ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე

ძმისშვილი



გრიგოლ როგავიძის
ცხოვრების ქრონიკა

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2018

რედაქტორები
ნანა კუცია
მარინე ტურავა

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

მხატვარი
თამარ მინაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თენგიზ როგიტაშვილი

ISBN 978-9941-8-0326-0
© როსტომ ჩხეიძე, 2018



უკვე თბილისში ვარ. ახლა აქ საუცხოო შემოდგომაა, რომელიც თითქმის ზაფხულს წააგავს. მზეს კვლავ ცოცხალ არსებად მივიჩნევ — და მითებში ვცხოვრობ.

გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძის სიტყვაში თითქოს გაიხსნა პირველი სათავე პირვანდელი წყაროსთვალი ქართული მეტყველების. მასში განახლდა ბებერი თესლი ქართული სიტყვის. გრიგოლ რობაქიძის ქართული არის აღსავსე პირვანდელი სიქალწულით. გრიგოლ რობაქიძე არ მიდის სიტყვასთან როგორც არტისტი, არამედ იგი თვით გამოდის სიტყვიდან როგორც რიტმი, და როგორც პოეტი.

პავლე ინგოროყვა

ჩვენ ვერ გაგვიგეს! ვერ დაგვღალა ამგვარ ჯირითმა.
მაგრამ ჩვენს შემდგომ, — როს ჩვენ ორი დავიხოცებით,
მოიგონებენ ჩვენ სახელსა მზივ-გაოცებით...

იოსებ გრიშაშვილი

ახლანდელ მწერლებში გრიგოლ რობაქიძე ყველაზე მეტია და მისს დაფასებას აქვს რაიმე ფასი.

ტიციან ტაბიძე

უწმინდესს გრიგოლს.
უნეტარესს გრიგოლს.
უსაყვარლესს გრიგოლს.

პაოლო იაშვილი

კარი პირველი

სიო აღმოსავლეთიდან

ლიტერატურული შემოქმედების სხვა ფორმები ავტორთან რჩება და საზოგადოების კუთვნილებად მხოლოდ მისი კეთილი ნების მეოხებით იქცევა, წერილები კი, რომლებიც კერძო პიროვნებებს სრულ საკუთრებად ეძლევათ, უალრესი გულწრფელობით ხასიათდება... ეს წერილები ჩემი დაბეჭდილი თხზულებების მნიშვნელოვანი ნაწილის სინქრონულია, და მე ვიფიქრე, რომ მათი შეპირისპირება მკითხველისათვის ჩემი პოემების გაგებას გააფართოვებდა, როგორც ფართოვდება ბილიკი, როდესაც მას საწინააღმდეგო მიმართულებით კიდევ ერთხელ გადასერავ.

რაბინდრანათ თაგორი

თავი პირველი

ევროპის განთიადის წინარ

1942 წლის შემოდგომის მიწურულს ბადორბის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკის იზოლატორიდან ოთხ ქართველს: აკაკი მუხაშავრიას, შალვა ჯაშს, აპოლონ ჯანელიძესა და შოთა შავგულიძეს — გადაიყვანდნენ ვილჰელმსჰაუზენის საჯარიმო ტყვეთა ბანაკში, რაც გულისხმობდა მათ უეჭველ განწირულებას.

იქ დახვდებოდათ 370-მდე საბჭოთა ტყვე, უმეტესობა პარტიზანი. ჩააცმევდნენ გესტაპოს ციხის ზოლებიან ტანსაცმელს, ზედ ოთხ ადგილას — წინ, მუხლებზე, გულთან და ზურგზე — წითელი ფერის ზეთის საღებავებით დააწერდნენ პირად ნომ-

რებს. მისცემდნენ ფეხზე მოსახვევად ძონძებს, ხის ქოშებს და გაამწესებდნენ სამუშაოდ.

გათენებიდან დაღამებამდე გამუდმებით ერთი და იგივე უმძიმესი სამუშაოს შესრულება უხდებოდათ:

ქალაქის ჩრდილოეთით, ზღვის ნაპირზე ქვიშისა და სილის კარიერებზე ეტვირთათ რონოდები.

აუტანელი შრომა და ცუდი კვება გაახშირებდა ტყვეთა სიკვდილიანობას, განსაკუთრებით ღამით... დილით, გაღვიძებისთანავე გვერდით მწოლ მეგობარს შეანძრევდნენ. ხმა იყო გავრცელებული და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ ბანაკის ადმინისტრაციას დავალებული ჰქონდა მათი მოსპობა „ჩუმი სიკვდილით“.

კარიერზე სხვა გერმანელებთან ერთად სამოც წელს მიტანებული ვილჰელმ ციმერმანიც ამუშავებდათ. კეთილი კაცი ჩანდა. წინა წელს ცნობა მოსვლოდა, რომ მისი ვაჟი, სამხედრო მეზღვაური, უგზოუკვლოდ დაკარგულიყო. ეს სამწუხარო ამბავი არ გააბოროტებდა და არამცთუ ტყვეებზე ეყარა ჯავრი, მათ თანაგრძნობითაც კი ექცეოდა. ცდილობდა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა მათთვის სამუშაო. შიმშილით დასუსტებულთათვის ხანდახან კარტოფილის ნარჩენებიც გამოჰქონდა სასადილოდან.

1943 წლის ზაფხული იდგებოდა.

შოთა შავგულიძე წინა წლის აგვისტოსა თუ სექტემბრის თვის გერმანულ ჟურნალს — „დე ვოხე“ — ათვალიერებდა. ამ ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალის ერთი გვერდი მსოფლიოში გამოჩენილ ადამიანებს ეთმობოდა.

და აი მოულოდნელად უნდა ამოეკითხა სათაური: „ჭეშმარიტი ქართველი“ — სტატიას გრიგოლ რობაქიძის სურათი ახლდა და მის ლიტერატურულ ნაღვაწს მიმოიხილავდნენ.

ეს ჟურნალს სასწრაფოდ აჩვენებდა მეგობრებს და უამბობდათ, რაც კი იცოდა გრიგოლ რობაქიძის შესახებ.

იმ საღამოსვე გაუჩნდებოდათ აზრი, წერილი გაეგზავნათ მწერლისათვის და ეცნობებინათ თავიანთი უნუგეშო ყოფა — იქნებ დახმარებოდათ როგორმე, რათა „ცოცხალთა სასაფლაოდან“ გადაეყვანათ ჩვეულებრივ ტყვეთა ბანაკში.

კი მაგრამ... ხმა როგორ მიეწვდინათ?

ვილჰელმ ციმერმანის იმედად.

ჟურნალს რომ აჩვენებდნენ და წაიკითხავდა, გაუკვირდებოდა, ქართველებს ასეთი დიდი კაცი რომ ჰყოლოდათ. დაინტერესდებოდა გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიით და შეპირდებოდათ, რომ „გველის პერანგს" იშოვნიდა და აუცილებლად წაიკითხავდა.

როგორც ჩანს, იმოქმედებდა ის გარემოებაც, შტეფან ცვაიგი აღტაცებას რომ გამოთქვამდა ამ რომანით.

ესენი რომ გაანდობდნენ თავიანთ განზრახვას და სთხოვდნენ, „დი ვოხეს" რედაქციის მეშვეობით გაეგო გრიგოლ რობაქიძის მისამართი, დათანხმებით დათანხმდებოდა, მაგრამ გააფრთხილებდათ:

— იცოდეთ, არავინ შეგვიტყოს, თორემ არ დამინდობენ და მომკლავენ.

ერთი კვირის თავზე რედაქციიდან მიღებულ ბარათს აჩვენებდათ და ახარებდათ:

— ქართველი მწერლის მისამართი შემატყობინეს.

ესენი სასწრაფოდ შეუდგებოდნენ წერილის წერას.

და... ჰოი რარიგ გაუჭირდებოდათ, რადგანაც ვერა და ვერ გამოხატავდნენ თავიანთ სათქმელს. დაეუხერხულებოდათ მიეწერათ: დაგვეხმარეო, გვიშველეო, უკანასკნელ დღეში ვიმყოფებითო... ბოლოს ამჯობინებდნენ მიეწერათ, ვინ საიდან იყო, და როგორი სასტიკი რეჟიმის ბანაკში მოხვედრილიყვნენ. აღნიშნავდნენ თავიანთ მისამართსაც და ბარათს მეორე დღესვე ჩააბარებდნენ ვილჰელმს.

სამი კვირის განმავლობაში იმედით ისაზრდოებდნენ.

და აი ერთ საღამოს შოთა შავგულიძეს შეიყვანდნენ ვახტიორთა კორპუსში, უფროსთან. ეს მოასწავებდა, რომ რაღაც დანაშაულისათვის კარცერი ელოდა. უფროსი პირდაპირ ჰკითხავდა:

— ვინ გყავთ თქვენ, ქართველებს ბერლინში ნაცნობი?

არ ელოდა ასეთ შეკითხვას, თუმც მიხვედრით მაშინვე მიხვდებოდა, რაშიც იყო საქმე.

— არავინ, — მიუგებდა.

ის ქაღალდს დახედავდა:

— მწერალი გრიგოლ რობაქიძე თუ გაგონიათ?

სხვა რა გზა იყო და... განუმარტავდა:

— ჟურნალ „დი ვოხეში“ ვიკითხე გრიგოლ რობაქიძის შესახებ. იგი ქართველია და ჩვენც წერილი ამიტომ მივწერეთ.

— ვის მისწერეთ წერილი? — ჩაეძიებოდა.

— გრიგოლ რობაქიძეს, — გაუმეორებდა და დასძენდა:

— „დი ვოხეს“ რედაქციას ვთხოვდით გადაეცა ჩვენი ბარათი მწერლისათვის.

— ვინ დაგიწერათ და გაგიგზავნათ წერილი ბერლინში?

— ჩვენ თვითონ დავწერეთ ქართულად. გერმანულად მხოლოდ ჟურნალის მისამართი დავაწერეთ.

და ვიდრე უფროსი მორიგ შეკითხვას დაუსვამდა: მიწოდებით როგორღა მიაწოდებო, — ეს სახელდახელოდ შეთხზავდა თავისთავად არცთუ დაუჯერებელ ვერსიას:

როდესაც სამუშაოდან ქუჩაში მივყავართ, ცნობისმოყვარე გერმანელი ბავშვები დაგვდევენ ხოლმე. მათ წერილი გადავუგდე და ხელით ვანიშნე, რომ კონვერტში ჩაედოთ და აღნიშნულ მისამართზე ფოსტით გაეგზავნათ. მეორე დღეს იგივე ბავშვები ეზოში დაგვხვდნენ და გაგვაგებინეს, თქვენი თხოვნა შევასრულეთო.

გუნებაში უკვე ხელიც ჰქონდა ჩაქნეული შოთა შავგულიძეს, დაუსჯელი ვერ გადავრჩებით ვერცერთიო... მაგრამ მისი ავბედითი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გაიყვანდნენ ოთახიდან, ერთ „ბუხანკა“ პურსაც მისცემდნენ და გამოუშვებდნენ. ეს როგორც მოიქცეოდა, იოლი მისახვედრია — პურს რამდენიმე წვრილ ნაჭრად დაჭრიდა და მეგობრებს გაუნაწილებდა.

მეორე საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებისას შოთასთან ერთად აკაკი მუხაშავრიას, აპოლონ ჯანელიძესა და შალვა ჯაშსაც ჩააბარებდნენ ჯარისკაცს. იგი საქაღალდიდან ამოიღებდა ამათ საბუთებს, შეამოწმებდათ სიითა და ნომრებით, მისცემდათ ორი დღის ულუფას — თვითეულზე 600 გრამ პურსა და 30 გრამ მარგარინს — და წაიყვანდათ ვილჰელმსჰაფენის რკინიგზის სადგურში.

აქედან მატარებლით იმგზავრებდნენ ოლდენბურგამდე. ღამეს საბჭოთა ტყვეთა ბანაკში გაათენებდნენ, მეორე დღეს კვლავ მატარებლით გააგრძელებდნენ გზას, შემდეგ უკვე ფეხით მოუწევდათ შვიდი კილომეტრის გავლა და... კიდეც მიადგებოდნენ დიუმერლოჰაუზენის ტყვეთა ბანაკს.

იქ მყოფი საბჭოთა ტყვეები სოფელში რომ მუშაობდნენ, ამათაც გაანაწილებდნენ გლეხებთან. დილით ყარაული მიიყვანდათ ოჯახში, საღამოს მივიდოდა და წამოიყვანდათ ბანაკში.

შრომა იქაც არა ყოფილა იოლი?

სამაგიეროდ შიმშილით სიკვდილისა აღარ ეშინოდათ.

იდუმალ მფარველ ხელს დაეხსნათ ცოცხალთა სასაფლაოდან და კვლავაც გრძელდებოდა ეს სასიკეთო ცვლილება მათ ცხოვრებაში.

მოინდომებდნენ მადლობა შეეთვალათ გრიგოლ რობაქიძისათვის.

გლეხი, რომლის მამულშიც მუშაობდნენ, ჰაინრიხ ლიუნინგი, ბარათს მისწერდა „დი ვოხეს" რედაქციას და სთხოვდათ შეეტყობინებინათ ქართველი მწერლის მისამართი, მაგრამ... იქიდან სანუგეშოს ვერას გაიგებდნენ. რედაქციიდან აცნობებდნენ: საჰაერო დაბომბვისას მთლიანად დანგრეულია ჩვენი შენობა და სამწუხაროდ მწერლის საცხოვრებელ ადგილს ვეღარ შეგატყობინებთო.

ეს ეპიზოდი ცხადია ვერ მოხვდებოდა აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიული რომანის — „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი" — ფურცლებზე, რაკიღა შოთა შავგულიძის მემუარების წიგნი „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად..." — აღწერა ფაშისტური და კომუნისტური დილეგებისა — ბიოგრაფოსის გარდაცვალების შემდგომღა იხილავდა მზის სინათლეს; არადა ამ მონათხრობის მერე ივსება ჩვენი წარმოდგენა „გველის პერანგის" შემოქმედის ბერლინურ ყოფაზე გაგანია ომის პირობებში, როდესაც გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს იმედი ჩაესახებოდათ, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დემონოკრატიის (გრიგოლ რობაქიძის კალამბურული გამოთქმისა არ იყოს) რეჟიმის დამხობას მოასწავებსო. და აი მათი ერთი

ჯგუფი სასტუმრო „ადლონში“ რომ შეიკრიბებოდა, საქართველოს გადარჩენისათვის მზრუნველ კომიტეტსაც ჩამოაყალიბებდნენ.

კომიტეტის თავმჯდომარედ სპირიდონ კედიას აირჩევდნენ, მდივნად — რაფიელ ივანიცკი-ინგილოს, და მისი წევრები რომ გახდებოდნენ: შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, ლადო ახმეტელი, მიხეილ წერეთელი, ლეო კერესელიძე, დავით ვაჩნაძე, კიტა ჩხენკელი, ალექსანდრე ასათიანი, შალვა მაღლაკელიძე — მათ შორის ცხადია იქნებოდა გრიგოლ რობაქიძეც, როგორც საერთო შეხედულებისა და განწყობილების თანაზიარი: მათ გულხელდაკრეფილი ჯდომის უფლება არა ჰქონდათ, რადგანაც ზრუნვას ითხოვდა ტყვედჩავარდნილი უამრავი ქართველი, რომელთაც ალალბედზე ვერ მიატოვებდნენ.

უფრო რთული ამოცანის წინაშე დადგებოდნენ, თუკი გერმანელები კავკასიონის ქედს გადმოლახავდნენ.

მაშინ ქართველ ემიგრანტებს რა როლი ეკისრებოდათ?

„ადლონის“ წევრებს სწამდათ, რომ საქართველოს ბედის გადაწყვეტაში მათი მონაწილეობა აუცილებელი გახლდათ და ამისათვის კიდეც ემზადებოდნენ.

როდესაც ამ ყოველივეს გაიხსენებდა აკაკი ბაქრაძე, დასძენდა, რომ:

გრიგოლ რობაქიძე დადიოდა თურმე ქართველ ტყვეებთან. ეხმარებოდათ. ამხნევებდათ. მომავლის რწმენას უნერგავდათ.

თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა 1943 წლის 22 თებერვალს ბრუნო გოეტცისადმი მიწერილ ბარათს, რომელშიც მწერალი მას აუწყებდა, რომ: ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ მიწვეული იყო თავის თანამემამულეებთან შესახვედრად, სამხედრო ტყვეებთან, რომელნიც ლეგიონერებად ითვლებოდნენ. მისი ლექციებისათვის კი დაემტკიცებინათ შემდეგი ადგილები და საღამოები:

დიურენი/რაინლანდი, შაბათი, 27 თებერვალი.

ფრაიბურგი/ბრაისგაუ, ოთხშაბათი, 3 მარტი.

ბადნი ვენასთან, შაბათი, 6 მარტი.

ჯერ მარტო ეს დამაფიქრებელი დეტალიც — ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა უშუალოდ რომ ავალებს ლეგიონერებთან შეხვედრა-საუბრებს — თვალნათლივ მოწმობს გრიგოლ რობაქიძის გავლენას გერმანიის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში.

ანდა კიდევ ის ბარათი-თხოვნა გერმანული პოლიციის შეფის — ჰაინრიხ ჰიმლერისადმი, მიწერილი 1944 წლის 20 ოქტომბერს, ერთ ადგილას ამასაც რომ აღნიშნავდა:

— ამჟამად ვმუშაობ ქართული საკავშირო შტაბის დავალებით ქართული რაზმებისათვის. ესენი ჩემი თანამემამულენი არიან, ათასობით და ათიათასობით სამხედრო ტყვე, რომელნიც მოხალისეებად ჩაეწერნენ რაიხის მხარეზე საბჭოებისა და დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად და რომელთაც სჭირდებათ ჩემი სიტყვა მათ ყოველკვირეულ გაზეთში საბრძოლო სულის განსამტკიცებლად მათთვის სრულიად უცხო ქვეყნებში.

* * *

გაზეთ „საქართველოს“ 1944 წლის 12 ივნისის ნომერში გრიგოლ რობაქიძე გაიხსენებდა, თუ როგორ მოენახულებინა წინა წელს ქართველ უკვე თავისუფალ ტყვეთა რაზმი, რაიხის სხვადასხვა მხარეში დაბანაკებულნი: ალაგ „ოსმინისტერიუმის“, ალაგ „ვერმახტის“ დავალებით. და მაშინვე იგრძნობდა, რომ: შეხვედრა ახალგაზრდა თანამემამულეებთან წარუხოცელ შთაბეჭდილებად დარჩებოდა მასში, ვიდრე ცოცხალი იქნებოდა.

საგანი მათთან გასაუბრებისა გახლდათ რასაკვირველია საქართველო: მისი მარადი „იდეა-სახე“ ხომ ასერიგად გულისხმიერი და მნიშვნელოვანი იყო არამარტო ქართველთათვის.

ხელსაღები მაგალითებით — ჩვენი ეროვნული „ყოფიდან“ თუ მამულიშვილური „ქცევიდან“ — გადმოჰფენდა მათ წინაშე თანდათან ამ „იდეა-სახის“ მრავალმხროვან, ნაირნაირ „სახეობას“.

თანაც მთელი არსებით მიყურადებოდა, თუ როგორ აღიქვამდა მსმენელი ამრიგად წარმოსახულ სამშობლოს ჩვენსას.

ამჩნევდა:

სახეები თანდათან ღვივდებოდნენ და ნათლდებოდნენ.

გრძნობდა:

გულები იხსნებოდნენ და ფეთქდნენ ახალისებულნი.

ხედავდა:

მკვრივდებოდა მათში ძალაყრილი მაჯისცემა მზეოსან კარდჰუსი, ქართველთა მითიური მდგენისა.

ხანდახან რომელიმე ხრტილი საუბრისა ისე მძაფრად შეიგრძნობოდა, ერთი მსმენელი ძალაუნებურად მეორეს გახედავდა, რათა გაეგო, მასაც იმგვარადვე მოხვედროდა თუ არა გულს ნათქვამი; და რაოდენ ნეტარი იყო წამი, როდესაც მეორე პირველს სხივმფენი ღიმილით დასტურს ანიშნებდა!..

ჰოი რამდენჯერ წარმდგარიყო სიტყვით თვისტომთა წინაშე იქ, საქართველოში — ხოლო ასეთ გულხვედრას თქმულისა იგრძნობდა პირველად აქ, უცხოეთში გადმოხვეწილი გადმოხვეწილთა შორის.

რისთვის შეედარებინა გული, რომელსაც სიტყვა ისე „ხვდებოდა“, რომ ის მყისვე „ხვედრად“ იქცეოდა მისთვის?

რისთვის და:

გრიგოლ რობაქიძე შეახსენებდა მკითხველს ამორეცხვას წყაროსი, ცნობილს ყოველი ქართველისათვის.

წყაროს ტანი დაცლილია, წყალი აღარაა შიგ, საშო მისი ამოშრეტილია — მაგრამ: წყაროს ძროდან მოარღვევს სილიან გნდეს თხილის კაკლის სიმსხო თვალციალა ნაკადი, რომლისთვისაც გენიას ქართული სიტყვისა სწორუპოვარი სახელი დაურქმევია: წყაროს თვალი.

მსმენელთა რიგებში ამ ხალას თვალის ანკარა ჩქეფს ამჩნევდა და ფიქრობდა გაკვირვებული: როგორ გადაურჩა იგი 22 წლის ბატონობას ბოლშევიზმისა, რომლის ქვესკნელურად მრღვევი სტიქიონი სიცოცხლის ყოველგვარ წყაროს ანადგურებსო.

და ძალაუნებურად ამოუჩნდებოდა თვალწინ საჩვენებელი პროცესები, სადაც ბრალდებული შინაგანად უკვე მოშლილიყო და მოსპობილიყო, ვიდრე მას იმსოფლად გაისტუმრებდნენ,

პროცესები, რომელზედაც თვით მეთაურნი ბოლშევიზმისა: კამენევი, ზინოვიევი, ბუხარინი, პიატაკოვი და სხვანი — გაიძახოდნენ დახვრეტის წინ: ჩვენ მუნიანი ძაღლები ვართ ფაშიზმისაო!.. და ვინც ამ პროცესთა შინაგან მექანიკას ვერ ჩაწვდებოდა, იგი ვერც მიხვდებოდა ბოლშევიკური მრღვევი ძალის უკანასკნელ საიდუმლოს.

გრიგოლი კი შეჰყურებდა მადლით სავსე ქართული მიწის წყაროს თვალს და გული სიხარულით ევსებოდა.

გულთბილი იქნებოდა გამოთხოვება და თანაც ნაღვლიანი, ამჯერად მხოლოდ ერთ სცენას რომ გაიხსენებდა, თუ როგორ გამოეთხოვებოდა ერთ რაზმს, რმსი-ის ახლო დაბანაკებულს.

ღამე ეფინებოდა მყუდრო მიდამოს.

ერთი კილომეტრიც არ ექნებოდა გამოვლილი, რომ უეცრად შორიდან მოესმოდა ფრთამაგარი ქართული სიმღერა. კამარა სიმღერისა ხან გაგანიერდებოდა და ხანაც შეიკუმშებოდა: ნელად მქროლი ნიავი შეარხევდა ბგერათა მათრობელ ტალღებს — ხან აქეთ და ხანაც იქით. რაინის მდელოებში იგრძნობდა ცოცხლად საქართველოს — შვებითა და ტკივილით. ეს სიმღერა ახლაც ჩაესმოდა. და მისი გუგუნი ალბათ საფლავშიაც თან ჩაჰყვებოდა.

პირად შეხვედრებსაც განიცდიდა.

ბადენში, ვენის ახლოს ერთი რაზმი უნდა მოენახულებინა. თვითონ გრიგოლი ვენაში იქნებოდა დაბინავებული. დანიშნულ საღამოს ავტოს მიჰგვრიდნენ ბადენში წასასვლელად. ავტოდან გერმანელთან ერთად ერთი ქართველიც გადმოხტებოდა, დაახლოებით 20-22 წლისა, რაჭველი. გაეცნობოდა. ეგაა მის გვარს — გასაგები მოსაზრებით — აქ ვერ ახსენებდა გრიგოლი. გაესაუბრებოდა და აღმოჩნდებოდა: მშვიდი, მორიდებული, თავაზიანი, კეთილზრდილი, გულჩვილი, ღრმამგრძნობი, ნათელგონიერი, ტკბილმოქართულე. მცოდნე ჩვენი ბედითი ვითარებისა. მზადმყოფი თავდადებისა თუ თავშეწირვისათვის. ასეთი ყმაწვილი იშვიათად შეხვედროდა.

და ვერ შეიკავებდა თავს აღტაცებული წამოძახილისაგან:

არა, დიდი კარდჰუს ნაშიერი ჯერ კიდევ არ გადაშენებულაო.

მამური სიყვარულით მოიგონებდა ამ ყმაწვილს.

დაახლოებით 500 რაზმელს ინახულებდა და... მართლაც რამდენი იქნებოდა მათში ასეთი ყმაწვილი!..

ორი თვის წინათ კი ესტუმრებოდა ქართველ რაზმელთ ბოდენის ტბის კუნძულზე — „მაინაუ". ისინი, რვანი, მუშაობდნენ ქოდტ-ის ორგანიზაციაში. მშვენიერი ყმაწვილები გამოდგებოდნენ. სამწუხაროდ ერთს ვერა ნახავდა — სოფლად ყოფილიყო გაწვეული, როგორც მეცხვარე.

ასეთი გახლდათ მისი შეხვედრა ქართველ უკვე თავისუფალ ტყვეებთან.

და ასეთივე იქნებოდა დღეს შეხვედრა მათთან — ლიტერატურულ არეში.

ათი დღის წინათ მიიღებდა თხუთმეტ ნომერს „საქართველოსი", ქართული ლეგიონის კვირეულისა. რა გასაკვირია, თუ პირველად მის სალიტერატურო ნაწილს გადაავლებდა თვალს. იქ მოთავსებულ შაირთა კითხვისას (და ჩაურთავდა: სიტყვა „შაირი" ქართულში უფრო მართებულია, ვიდრე „ლექსი", ამას დამიმოწმებს თვითონ დიდი შოთაცო) მის გულისყურს მიიპყრობდა უშუალო მხილება ავტორთა გულნადებისა, ვიდრე მგოსნური სხმულობა. ამ „გულნადებში" სწორედ იმ უშრეტი „წყაროს თვალის" ცინცხალ ციალს იხილავდა და გახარება — პირდაპირ „აიყვანდა".

ამოიწერდა ცალკეულ სტრიქონებს შაირთაგან.

დაიმოწმებდა ცალკეულ ციტატებს ბელეტრისტულ თხზულებათაგან.

სტატიის ფინალში კი ფრაგმენტს გააცნობდა მკითხველს რედაქტორის ბარათიდან:

— რედაქციას აუარებელი წერილი მოსდის ლეგიონერთაგან, სადაც ქართველი ახალგაზრდები დაჟინებთი გვთხოვენ თქვენი რაიმე მასალის გამოქვეყნებას გაზეთში.

და გრიგოლ რობაქიძე, ამგვარი თხოვნით გულათრთოლებული, მოვალედ მიიჩნევდა თავს, მოეწოდებინა დროდადრო სულიერი საზრდო თავის ამ ახალგაზრდა თვისტომთათვის: ლეგიონერებისათვისაც.

* * *

და არამცთუ ლეგიონერებს ხვდებოდა, აგერ მათაც მოევლინებოდა მფარველად, რომელთაც პირადად საერთოდ არ იცნობდა და არც ლეგიონერებად მოეაზრებინათ გერმანელებს. ის კი არა, სულაც ჩაკვლას უპირებდნენ...

ხოლო ემიგრანტი მწერალი თვისტომებს რომ ეხმარებოდა, აგერ ამ ზოგადი შეფასების ხელშესახები დასტური, უფრო შევსებულ მის ბიოგრაფიულ ქარგაში თავის შესაფერის ადგილს რომ დაიკავებს.

დარდად წამოჰყვებოდა სამშობლოში დაბრუნებულ შოთა შავგულიძეს, მადლობასაც რომ ვერ შეუთვლიდნენ გრიგოლ რობაქიძეს, მაგრამ როდესაც შეიტყობდა მის ნატვრა-ანდერძს:

— როცა მე ამსოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა მცხეთას, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწია სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არასა ვთხოვ საქართველოს.

თავისი უდიდესი მადლიერებისა და მოვალეობის დასტურად, ამ ანდერძის აღსრულებას გადაწყვეტდა.

და კიდეც:

ყოველ წიფობას მის ქალიშვილები, ქეთევანი და თამარი — ორივენი დედები — ივლიდნენ სვეტიცხოველში და იმ პაწია სალოცავის წინ სანთელს დაანთებდნენ ამ დრამატული ცხოვრების მწერლისა და მამულიშვილის სულის მოსახსენიებლად.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დაწყებულ ტრადიციას მხურვალე გამგრძელებელნი გამოუჩნდებოდნენ: თავისთავად და შეუთანხმებლად.

შტეფან ცვაიგი აღტაცებას რომ გამოთქვამდა ამ რომანითო...

იქ გერმანელების თვალში უნდა აემაღლებინა უცნობი მწერალი.

აქ ჩვენს თვალშიც უნდა დაეფასებინა აწ უკვე ტაბუდადებული და უცნობობისათვის განწირული, ოდესღაც კი დიდად პოპულარული, მწერალი, იატაკქვეშეთიდან ვაივაგლახით რომ უნდა გამოეკვალა გზა საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ.

ამიტომაც გადაწყვეტდა „გველის პერანგისათვის“ წამძღვარებული მისი წინასიტყვაობის ქართული თარგმანის გამოქვეყნებას „ოქროს საწმისის“ 1976 წლის მე-3 ნომერში ზვიად გამსახურდია, გერმანელი მწერლის მოკლე, ოღონდ საკმაოდ ტევადი სტატია ზოგადი მსჯელობით რომ იწყებოდა, ევროპული მსოფლიო, როგორც ყოველი მსოფლიო ცივილიზაცია-ქმნილი, შეუჩერებლივ რომ ექვემდებარებოდა გაერთიანებისა და გათანასწორების კანონს. ზნე და ჩაცმულობა, ხალხური ჩვეულება და ეროვნული ცეკვა — ეს ყოველივე ჰქრებოდა თანდათან, ანთუ დარჩებოდა, მხოლოდღა ხელოვნურად, როგორც ისტორიული უცნაურობა, მუზეუმური შენარჩენი.

სამწუხარო რეალობა იხატებოდა?

შტეფან ცვაიგი მიიჩნევდა, რომ წაყრუება და თვალის არიდება ამ პროცესისათვის, დანაშაული იქნებოდა, გულარხეინობასა და უდარდელობას შესაძლოა უმძიმესი, სულაც გამოუსწორებელი შედეგები მოჰყოლოდა, და ამიტომაც დაე ყველას დაენახა და გაესიგრძეგანებინა, რომ ევროპა ეროვნულდებოდა, და რომელიმე თანადროულ ქუჩაზე ვეღარც კი გრძნობდი მეტად, თუ რომელი გრადუსის ქვეშ გაყვანილიყო: და ასე ძლიერ ერთფეროვნდებოდნენ ნივთიერი ფორმები (და ამით შეუმჩნეველი სულიერი ფორმებიც) ოდესღაც ასერიგად გამომეტყველი და პიროვნული ხალხურ-ხასიათებისა.

მსოფლიოს ამ გარეგან გაერთფეროვნებას წინ ედგა სულის ნება, მომართული ცვლისა და მრავალსახეობის გეზით. და რამდენადაც უფრო ფართოვდებდა ერთიანობის ცივილიზაცია, იმდენად უფრო ისხამდა ფრთებს ეს ნებაც, რომელსაც მეზობლური აღარ აკმაყოფილებდა და მეტად ეგზოტიკური იზიდავდა.

და აი უნდა გამოჩენილიყო წარმოშობილი ლიტერატურა, რომელიც მასალასა და სახეებს იღებდა უცხო მხარიდან, ტროპიკული და ანტარქტიკული ზონებიდან. ხოლო ცხადია მზერა ამ ქვეყნებში გადასროლილიყო უმეტესწილ ექსპრესის ფანჯრიდან თუ ნავსადგურის ზღუდიდან. ეს — მიწის ირგვლივ მგზავრობისას. განათებულიყო მხოლოდ ფეროვანი, გარემხარე ამ სფეროების, ძვირად წარმოდგებოდა ამ პოეტური რეპორტაჟე-

ბით ნამდვილი ესენცია, პირვანდელი სურნელი უცხო ხალხის, და კიდევ უფრო იშვიათად — სუნთქვა მათი (ანუ სფეროთა) სულების.

ეს რომ შეგეგრძნო, ეს რომ განგესახიერებინა, ამისათვის გესაჭიროებოდა ღრმა ჩაძირვა, სისხლეული კავშირი და ელემენტური გზნება, დაუბრკოლებელი შთაგონება მშობლიური სიყვარულის.

პოეტურ შემოქმედებაში ვის შეეძლო ნამდვილი ეგზოტიკის გამჟღავნება?

მხოლოდ ღვიძლ შვილს თავისი ხალხისა, სულით ფესვებგამდგარს ხალხში.

ხალხთა შეუჩერებელ ცნობისწადილს ერთიმეორისადმი — ომი უმეტესწილად ხელს რომ უწყობდა, ვიდრე ხელს უშლიდა — ბევრი რამ უნდა მოეცა ბოლო დროს: ესკიმოსებს, ჩინელებს, იაპონელებს უნდა მოეთხროთ ევროპელთათვის თავიანთი კულტურებიდან, ხოლო რაბინდრანათ თაგორსა და მაჰათმა განდისთან ერთად გამოცხადებულიყო დასავლეთისათვის თანადროული, ფრიად ცოცხალი ინდოეთი.

* * *

გრიგოლ რობაქიძეს 1913 წლის ზაფხულში შემთხვევით ჩაუვარდებოდა ხელთ „რუსსკაია ვედომოსტის“ ერთი ნომერი, სადაც მოთავსებულიყო დიონეოს წერილი რაბინდრანათ თაგორზე, და იქ ამოიკითხავდა, რომ: ინდოელ მგოსანს თვითონვე ეთარგმნა ინგლისურ ენაზე პროზად თავისი ლექსთა კონა „გიტანჯალი“ (მსხვერპლშეწირვანი), რომელიც რამდენიმე თვეში ოთხჯერ გამოცემულიყო; წერილს თანვე დართვოდა რამდენიმე ლექსი ამ უცნობი და უცნაური ხელოვანისა.

ძლიერი აღმოჩნდებოდა და სულ ახალი გულნება ამ ორიოდე ლექსით გამოწვეული გრიგოლისათვის, და თუმც მიაჩნდა, რომ თარგმნა სრულიად არ ეხერხებოდა, ერთი ნიმუში მაინც ისე დაატყვევებდა, რომ იქვე მოინდომებდა მის ამეტყველებას ქართულად. ეს ლექსი გახლდათ „ბავშვები ზღვის პირას თამაშობენ“, რომელიც „ოქროს ვერძის“ მეოთხე რვეულში დაიბეჭდებოდა.

ამ მცირე ქმნილებაში ნათელი სიბრძნე ასულდგმულებულიყო. და ძალიან მოუნდებოდა გაეგო, თუ რა შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ის პოეზიის მოყვარულთა შორის; მაგრამ... ლოდინი სასურველი შესაფერისად სულაც არ აუსრულდებოდა.

— რაღაც ბუნდოვანიაო, — ამბობდა მრავალი მათგანი აშკარა წუნის დასაფარავად.

რაღაც ბუნდოვანი...

მწარედ ეღიმებოდა ამ შეფასების მოსმენისას, რადგანაც ეს შესიტყვება ჩვენში თითქმის ყველას პირზე ეკერა.

რა ნაწარმოებია, ბატონო, თუკი ვერ გავიგე? — აი რა გაისმოდა ხშირად ჩვენში, მაგრამ გრიგოლს ასეთ დროს საპასუხო შეკითხვა ებადებოდა: აქვს კი რაიმე საფუძველი ასეთ მტკიცებასო?..

უილიამ შექსპირის „ჰამლეტს" უბრალო მკითხველი რომ ვერ იგებდა, განა ამით ეს ქმნილება ოდნავ მაინ ჰკარგავდა თავის გენიალობას?

შესაძლოა რომელიმე სმენაგანუვითარებელს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმფონია კაკაფონიადაც კი მოსჩვენებოდა, მაგრამ განა ეს ნიშნავდა, რომ ბეთჰოვენი ბუნდოვანი გახლდათ?

ამ შემთხვევაში ბრალი ნაწარმოებს კი არა, თვითონ მკითხველსა თუ მსმენელს მიუძღოდა; არა სურდათ დაჯერება, რომ ნაწარმოების გაგებისათვის საჭირო იყო ერთგვარი დონე განვითარებისა; და ბოლოსდაბოლოს რომელიმე ქმნილებისათვის ის კი არ გახლდათ დამახასიათებელი, გაიგებდა მას ყველა თუ ვერა, არამედ: თუ ვის რა გაეგო მისით; უბრალო მკითხველს შოთა რუსთაველი სადად მოეჩვენებოდა, მაგრამ ოსკარ უაილდი მასში სიბრძნეთა ზღვას დაინახავდა; ჰერაკლიტე ეთესელი მრავალთათვის „ბუნდოვანი" რომ გახლდათ — აკი „ბნელსაც" შეარქმევდნენ — ფრიდრიხ ნიცშესათვის ყველაზე უნათლესად წარმოდგებოდა.

მაგრამ დაე ჩამოვხსნოდით ამ მსჯელობას.

დღეს ინდოელ მგოსანს „რაღაც ბუნდოვანს" რომ ვეღარავინ უწოდებდა, საამისოდ ქართველ მწერალს ის წყალგაუვალი არგუმენტი მოეპოვებოდა, რომ: თაგორს დაეტყვევებინა მთელი

ევროპა და რამდენიმე თვის წინათ ნობელის პრემიაც მიენიჭებინათ მისთვის.

მომხდარიყო უმაგალითო ამბავი: ჯილდოს იმეტებდნენ სრულიად უცხო მწერლისათვის... და მერე რისთვის? ლექსთა მცირე კონისათვის და ისიც თარგმნილისათვის?

პასუხი ერთი შეიძლება ყოფილიყო: ამ ვითომდა ბუნდოვან მგოსანში ისეთ სინათლეს დაინახავდნენ, თვალს რომ მოსჭრიდათ ხელოვნების ნამდვილ დამფასებელთ.

და გრიგოლ რობაქიძე თავის მხრივ მიადევნებდა: ჭეშმარიტად ღვთიურია თაგორის მარჯვენაო.

მისთვის ხელოვნების ქმნილება მხოლოდ მაშინ აღიქმებოდა გენიალურად, როცა ის მარადობის სამთავროში ააფრენდა და თავს იმ მარადობის ნაჭრად აგრძნობინებდა.

მართლაც როგორი განცდაა: კითხულობ და... გრძნობ, როგორ უერთდება შენი „მე“ მარადისობას. და უკეთესი საზომიც რაღა გინდა მხატვრული ქმნილების შეფასებისას.

ამჯერადაც: რაბინდრანათ თაგორის ყოველი სიტყვა მართლაც იმ ლურჯ ფრთას ემსგავსებოდა, რომელიც უკვდავების სუნთქვას მოგბერდა.

თვალსაჩინოებისათვის ნიმუში ენება მკითხველს? აგერ სულ მცირე — გრიგოლი „პაწას“ თქმას რომ ამჯობინებდა — მაგალითი, მისი წყალობით ქართულადაც რომ ამეტყველებულიყო, თუმც ჯერ მკითხველამდე არ მიეღწია:

— თუ შენ არა გსურს ლაპარაკი, მე ავავსებ მაშინ ჩემს გულს შენი დუმილით და ჩავიკეტები შიგ; მე ვიქნები მჯდარი ჩუმად და ლოდინით სავსე, ვით ღამე, უძრავად ფხიზელი და თმენით თავდახრილი; დილა უთუოდ მოვა, ბნელი გაჰქრება და ხმა შენი ოქროს ჩქერად იწყებს სხმას ცათა შორის; და მაშინ სიტყვები შენნი აფრინდებიან სიმღერებით ჩემს ფრინველთა ყველა ბაგეთაგან და ჰიმნი შენნი ყვავილებად გაიშლებიან ჩემს ტყეთა ყოველს კუთხეში.

ეგონა, ამ ერთ პაწია ლექსს ვიკმარებო, და თუმც ეს სტრიქონებიც ხელშესახებად წარმოაჩენდა ინდოელი მეფსალმუნის საგალობელთა თავისებურებას, ეშხში შესული მთარგმნელი

სხვა ლირიკულ ნიმუშსაც შეარჩევდა, რათა მკითხველს უფრო ძალუმად განეცადა მარადისობის სუნთქვა:

— მისუსტებული იმედით დავდივარ მე ოთახში და ვეძებ „მას“ ყოველს მის კუთხეში, მაგრამ ვერ ვნახულობ სასურველს; სახლი ჩემი დიდი არ არის და რაც გაჰქრა, არაოდეს დაბრუნდება ახლად; მაგრამ ვრცელია, უფალო, საცხოვრებელი შენი და მის ძებნაში მე მოველ შენს ბჭეებამდე; მე ვდგევარ შენი საღამური ცის ოქროს ტიტანის ქვეშ და ვუმზერ ანთებულ შენს სახეს, მე მოველ მარადობის საზღვრამდე, საიდანაც არა დაიკარგება რა: არცა იმედი, არცა ნეტარება და არცა სახე, ცრემლებში ხილული; ჰოი, ჩასძირე, უფალო, დაცალიერებული სიცოცხლე ამ ოკეანეში, ჩასძირე იგი თვით მის ფსკერამდე; მომეც მე ერთბაშად ძალა, რომ მსოფლიოს ყოველ შემცველობაში ვიგრძნო დაკარგული სათუთი შეხება.

როდესაც თაგორის საგალობელთა იმ — მისთვის ყველაზე უფრო შემძვრელ — ნიმუშს გამოაქვეყნებდა და ელოდა მკითხველთა აღტაცებულ შეძახილებს, ის კი არა, ეგონა კიდეც მოსთხოვდნენ: აუცილებლად უნდა გააგრძელო „გიტანჯალის“ ჰიმნების გადმოქართულებაო, — აკი პირზე კლიტეს დაიდებდნენ მისი თანდასწრებით, სადღაც-სადღაც კი დაძრახავდნენ: ბუნდოვანიაო. თაგორს ბუნდოვანებისა განა რა ეცხო, და გრიგოლ რობაქიძე ივარაუდებდა: მე ვესობი გულზე ეკლად ბევრს და ჩემი და მხოლოდ ჩემი ჯიბრით ცდილობენ ინდოელი მეფსალმუნის დამცირებასო.

ნუთუ ვერავითარი კვალი ვერ უნდა დაეჩნია ჩვენი სალიტერატურო პროცესისათვის რაბინდრანათ თაგორის შემონათებას?

და ახლა ამ სტრიქონებს რომ მოიხმობდა გრიგოლი, სთხოვდა ყველა ჯურის მკითხველს, რომ ერთი წამით შეჩერებულიყვნენ და დაკვირვებით დაკვირვებოდნენ, და მაშინ ირწმუნებდნენ თუ ირწმუნებდნენ, რომ: ამას იქით ველარ წავიდოდა სიბრძნე ლამაზ სამოსელში გახვეული!..

რას გამცნობდა ინდური ფსალმუნი?

მას დაეკარგა სატრფო, იგი აროდეს დაბრუნდებოდა ამასოფლად; მოტრფიალე გრძნობდა, რომ მარადისობის სამთავ-

როში არა დაიკარგებოდა რა, და ისიც მიდიოდა უფლის ბჭესთან, რომელიც სათავეც გახლდათ და ბოლოც ყოველი არსისა; მარადობის სამთავრო მაძიებლის წინ უსაზღვრო ოკეანედ იშლებოდა, რომელშიაც უთუოდ მისი სატრფოც დაცურავდა; და აქ იგი უფალს ევედრებოდა — მიეცა მისთვის საშუალება, რომ ოკეანეში ჩაძირვით ეგრძნო მას გამქრალი შეხება სატრფოსი.

და ეჭვიც არ ეპარებოდა გრიგოლს, რომ:

მსოფლიო ლიტერატურაში ეს რამდენიმე სიტყვა საგალობლად დარჩებოდა მარადის.

დაე ყველას შეესმინა, რომ:

ღრმა იყო აღმოსავლეთი და თაგორი მისი პირმშო შვილი გახლდათ.

ბოლოსდაბოლოს ყველაზე უფრო დიდ ლირიკოსად დავით წინასწარმეტყველი წარმოდგებოდა და „ქებათა ქების“ ავტორიც ხომ ღვთიური ხელოვანი გახლდათ ცეცხლეული ეროსის მიერ ნაშობი ყვავილოვანი გრძნობისა; და თაგორის მრავალი შაირიც ნამდვილ ფსალმუნად გვევლინებოდა, მისი მრავალი ხატება „ქებათა ქების“ ყვავილთაგან რომ არც განირჩეოდა.

ტყუილად კი არ მიიჩნევდნენ მას თავის სამშობლოში წინასწარმეტყველად, და გრიგოლ რობაქიძე ამგვარ გაიგივებას სავსებით რომ გაიზიარებდა, დასძენდა, რომ:

— იგი ნამდვილი ქურუმი იყო მსხვერპლის მწირველი და ამიტომაც დაერქმია თავის საგალობელთათვის „გიტანჯალი“ ანუ „მსხვერპლ-შეწირვანი“!..

აღმოსავლეთს გრიგოლ რობაქიძე „ფიქრ-მორეული გულ-ნებით“ რომ გამოსახავდა, სხვაგვარად ვერც წარმოედგინა ეს სამყარო. და ძალდაუტანებლად ახსენდებოდა ფრიდრიხ ნიცშეს შესანიშნავი შესიტყვება: „დიდი შუადღე“, სწორედ ამ ჟამს რომ იბადებოდა პანი, დიდი შუადღის მხურვალებაში, და ყველა რელიგიაც აკი აღმოსავლეთს წარმოეშვა.

და უეცრად შოთა რუსთველის სახება რომ ამოუჩნდებოდა, ბარემ გაამჟღავნებდა, თუ რითი გახლდათ იგი ძვირფასი მისთვის.

თურმე რითი და:

მისი ქმნილება ხანდახან აღმოსავლეთის გულ-ნებას რომ ჰქმნიდა.

და თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა ავთანდილის სახებას, როგორც ესთეტიკური ფენომენისა.

დაე ესმინათ და გულსა და გონებაში შთაებეჭდათ, რომ:

რაბინდრანათ თაგორიც მრავალმნიშვნელოვანი გახლდათ ჩვენთვის, ქართველთათვის, და ეს იმიტომ, ჩვენც რომ აღმოსავლეთის შვილნი ვიყავით.

ბუნებრივად მიაჩნდა გრიგოლ რობაქიძეს, ბევრს რომ ლაპარაკობდნენ ჩვენში „გაევროპელებაზე“, და თვითონაც მეგზურად და კულტურტრეგერად წარმოდგებოდა ამ მხრივ, მაგრამ ეს კი აღარ მოსწონდა და ძალიანაც აღარ მოსწონდა, რომ ამ დროს აღმოსავლეთი სრულიად ავიწყდებოდათ. ხოლო ეს მოასწავებდა, რომ „უაღმოსავლეთოდ“ ქართველნი მხოლოდ „ფიზიოლოგიურნი ერთეულნი“ გახდებოდნენ.

აქ თავს წამოჰყოფდა პრობლემა რომელიმე ეროვნების კულტურის სტილისა, რომელიც მხოლოდ ოდნავ აესახა თავის ერთ წერილში. და მიუთითებდა ღია ბარათების ციკლს არჩილ ჯორჯაძისადმი.

საქართველოს წინსვლა ამ პრობლემას გვერდს რომ ვერ აუხვევდა, პირადად გრიგოლისათვის ქართველთა კულტურის სტილი უკვე გამოკვეთილიყო რუსთველის სიტყვაში: ესთეტიკურ სინთეზში ელინთა მზიური ხალისიანობისა და აღმოსავლეთის ფიქრ-მორეული შუადღისა. და კვლავ იმ ბარათებისაკენ მიაბრუნებდა მკითხველის გულისყურს.

ქართველობის კულტურა როგორ უნდა განვითარებულიყო?

მხოლოდ რუსთაველის გზით.

და თუ ამ გზას გადაუხვევდა?

გადაუხვევდა და... დაე გვცოდნოდა, რომ:

უფსკრულში გადაიჩეხებოდა უთუოდ.

რაბინდრანათ თაგორს დასავლეთიც შეეთვისებინა, მაგრამ მხოლოდ იმით დაეტყვევებინა ევროპა, რომ აღმოსავლეთის ნამდვილ შვილად დარჩენილიყო.

და თავისი მომავალი წარმატებაც ასე ესახებოდა გულის-გულში გრიგოლ რობაქიძეს: თვითონაც მხოლოდ და სწორედ

იმით დაატყვევებდა ევროპას, რომ აღმოსავლეთის ნამდვილ შვილად დარჩებოდა.

და განა მართლაც ასე არ წარმოდგებოდა შტეფან ცვაიგის თვალში მონუმენტურ ფიგურად — რაბინდრანათ თაგორის გვერდი-გვერდ — როგორც აღმოსავლეთის ნამდვილი შვილი?!.

მანამდე ჯერ ადრეა, იმ ოცნების აღსრულებამდე, გრიგოლი რომ შესთამაშებდა და ავსტრიელი თანამოკალმე მოევლინებოდა თანამდგომად ამ გაბედული სწრაფვის გზაზე. ჯერ მხოლოდ სიამითა და... დანანებით უნდა მიედევნებინა მზერა რაბინდრანათ თაგორის ვარსკვლავის ამობრწყინებისათვის და კიდევ ერთხელ დაებეჯითებინა გუნებაში, თუ ევროპის დატყვევებას ვაპირებ, აღმოსავლეთის ნამდვილ შვილად უნდა დავრჩეო.

და გრძნობდა, რომ აღარ კმაროდა გაკვრით აღნიშვნა ეროვნული კულტურის სტილისა და არჩილ ჯორჯაძისადმი მიწერილ ღია ბარათში გამოთქმული შეხედულება მოითხოვდა გაშლასა და გაღრმავებას. შეხედულება, საქართველოს ტრაგედიას რომ უტრიალებდა და ამიტომაც საგანგებოდ უნდა დაკვირვებოდა ხალხის „სახის" წარმოშობას.

ამისთვის კი დაისაჭიროებდა ყოფილიყო ულმობელი, სიყვარულით ულმობელი, თავისი სამშობლოს მიმართ, — და ცეცხლეული სიმართლისათვის ასეთი კითხვა წამოეჭრა:

— ჰქონდა თუ არა საქართველოს საკუთარი „სახე", სრულდებოდა თუ არა რაიმე „იდეა" საქართველოს ისტორიაში?

თვითონ დადებით პასუხს აძლევდა ამგვარ შეკითხვას, აძლევდა უეჭვოდ და შეურყევლად.

მისთვის საკმარისი გახლდათ ერთი ალექსანდრ პუშკინი, რათა მის წარმოდგენაში რუსის ერს „სახე" ჰქონოდა, მსოფლიო ფასეულობის მეტყველი: სულიერი კულტურის სიმდიდრე სწორედ პუშკინებით განისაზღვრებოდა.

არავის შეეძლო მსოფლიო ისტორიიდან ამოეშალა დანტე ალიგიერი, რადგანაც ამით ისტორია ღარიბდებოდა?

არც ის შეეძლო ვინმეს, წარეხოცა ისტორიაში სახელი რუსთაველისა, რომელსაც მსოფლიო საგანძურში ღვთიურ-მშვენიერი რამ შეეტანა:

— სამხრეთის ცის მუქ-ლურჯი თაღის ქვეშ იშვოდა ღვთიური სიტყვა მისი, — მეთორმეტე საუკუნის უდაბნოში იგი მზიური ერთად-ერთი წინამორბედი იყო ფეროვანი რენესანსისა. ნარნარი ქსოვილი მშვენიერი სხეულის ვნებისა და მაღალი სულის სხივოსანი ოცნებისა; მხატვრული სინტეზი ელლინის მზიურ-ხალისიანი სიცოცხლისა და აღმოსავლეთის „დიადი შუადღის" ნაღვლიანი ფიქრისა, — აი ხელოვნებითი ღვაწლი რუსთაველისა, უაღრესი ლაკონურობით დაწურული.

ამიტომაც:

ძვირად მოიძებნებოდა სხვა „ღვთიური", რომელსაც რუსთაველსავით აზრი მის სიტყვაში ეშვა და სიტყვა მის ხორცში ჩაესხა.

გახლდათ მგოსანი ნათელი მარმარილოსი და პირქუშა ბრინჯაოსი.

სიტყვა მისი მზის ხაზებში ამოჭრილიყო.

მის ლექსს მოსდევდა სიმძიმე ლითონისა და მახვილობა ფოლადისა.

მხატვრული სახეობით ხომ ნამდვილი წინამორბედი იყო თანამედროვე მგოსნებისა, რომელნიც ასეთი ვნებით ეტრფოდნენ ყოველ ეგზოტიკურს და ოცნებით შვებულს.

თვითონ ხერხი თანამედროვე მხატვრული წერისა რუსთაველს ხელოვნებით კანონად ჰყავდა აყვანილი.

თანამედროვე მგოსანი რომ არ მიმართავდა შედარებას და პირდაპირ იტყოდა: მის თვალთა ამეთვისტო მიბნელდაო, — თუნდ ოსკარ უაილდს როგორც გამოეყენებინა თავის „დორიან გრეის პორტრეტში",— რუსთაველის ქმნილებაში ეს ხერხი იშვიათად გვხვდებოდა. მან იცოდა ისიც, ყოველ ხმას თავისი ფერი რომ აქვს, და ერთ ალაგას მშვენივრადაც დაიჭერდა ფერით ხმას ველად გაჭრილი ტარიელისა.

ხოლო შეყვარება ძვირფას ქვათა, მაგალითად უაილდის მიერ, გრიგოლ რობაქიძეს პირდაპირ ნასესხებიც ეგონა რუსთაველის ქმნილებიდან, რომლის სამშობლოსაც ინგლისელი ხელოვანი მხოლოდ ნაქარგი ქსოვილებით იცნობდა.

ასეთი გახლდათ რუსთაველი!

და მის მარმარილოს სიტყვაში გამოკვეთილიყო ნათელი სახე ქართველისა, მის ღვთიურ ხელოვნებაში შობილიყო კეთილშობილი სული ქართველი ხალხისა.

მთავარი თეზისი თუ ძარღვი ამ ღია ბარათისა მეორდებოდა „ფოთლების" იმ რკალში, გაბრიელ დ'ანუნციოს სილუეტით რომ იწყებოდა — პირველ ხელოვანად რომ შერაცხილიყო თანამედროვე ევროპელ მწერალთა შორის, პირმშო შვილად ლათინთა მხიბლავი გენიისა და ნამდვილ მემკვიდრედ დანტე ალიგიერის — და მთავრდებოდა რაბინდრანათ თაგორისადმი მიძღვნილი დითირამბით, მათ შორის კი მოქცეულიყვნენ: იოსებ გრიშაშვილი, არისტო ჭუმბაძე, ალექსანდრე აბაშელი და ალექსანდრე ყაზბეგი, პოლემიკური სტატიაც რომ ჩაერთვოდა უსახელოდ მოწერილი ბარათის პასუხად.

მთარგმნელობა თავის ხელობად რომ მიეჩნია გრიგოლ რობაქიძეს, მიჰყვებოდა და მთელ „გიტანჯალსაც" გადმოიღებდა ქართულად, „მებაღესაც" მიაყოლებდა და სხვა პოეტურ თუ პროზაულ თხზულებებსაც ინდოელი მეფსალმუნისა, მაგრამ რაკიღა თავს არა დებდა მთარგმნელობაზე, სულ 16 ლირიკულ ნიმუშს იკმარებდა. გული არ გაუძლებდა, რომ მათთვისაც არ მოენახა ქართული სამოსი, ყველაფერი კი მაინც იმ საგალობლით დაიწყებოდა, ბავშვები რომ თამაშობდნენ უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს, აშენებდნენ სილისაგან სახლებს და თამაშობდნენ ცარიელი სადაფებით.

გაყვითლებულ ფოთოლთაგან ხლართავდნენ გემებს და მხიარული სიცილით ჩაუშვებდნენ უსაზღვრო ოკეანეში, თამაშობდნენ ბავშვები ურიცხვ ქვეყანათა ნაპირს. მოთამაშეთ არ უწყობდნენ არც ცურვა და არც ბადის სროლა. მარგალიტთა მაძიებელნი ყვინთავდნენ სადაფთა საძიებლად, ნაოსანნი ამზადებდნენ გემებს და შემდეგ მიმართავდნენ მათ, ბავშვები კი აგროვებდნენ კენჭებს, რათა მერე გაებნიათ.

მოთამაშენი არ ეძებდნენ დაფარულ საუნჯეს და არ იცლიდნენ ბადის სასროლად, ზღვა ხითხითებდა ტალღებით და სუსტი ღიმილით აკვდებოდა ნაპირის სილას.

სასიკვდილო ტალღები უმღეროდნენ ბავშვებს სიმღერებს, უმნიშვნელოს, ნანას უმღეროდნენ, ვით დედა — მრწეველი ბავშვის აკვნისა.

ზღვა თამაშობდა ბავშვებთან და სუსტად ციალებდა ტალღათა მკრთალი ღიმილი ნაპირთა სილაზე.

ბავშვები ხვდებოდნენ ერთმანეთს უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირას.

ქარიშხალი მიაქანებდა აბნეულ ღრუბლებს.

გემები იღუპებოდნენ უკიდო ზღვათა წიაღში.

სიკვდილი გამეფებულიყო ყველგან, ბავშვები კი... ბავშვები განაგრძობდნენ თამაშს.

უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს უკუნით იკრიბებოდნენ ბავშვები.

ჰოი რა გულისფანცქალით ელოდა ლექსში გახვეული ნათელი სიბრძნისაგან მოგვრილი აღტაცების მოსმენას, მაგრამ... „რაღაც ბუნდოვანის“ გარდა სხვა შეფასებას ვერც ელირსებოდა ბევრი მკითხველისაგან. და ეს ხდებოდა იმ მგოსნის მიმართ, მთელი ევროპა რომ დაეტყვეებინა.

— მე თავს ვიქებდი ხალხთა წინაშე, რომ გიცნობ შენ, უფალოო, — ანკი ამ საგალობელს ხელიდან როგორ გაუშვებდა გრიგოლ რობაქიძე, ქართულ სიტყვაშიც რომ არ გარდაესახა.

ხალხი მზერდა უფლის სახეს მგოსნის ყოველ ნახელავში?

მიდიოდნენ პოეტთან და ეკითხებოდნენ:

— ვინ არის იგი?

ამან არ იცოდა, რა ეთქვა მათთვის, და აღიარებდა:

— ჭეშმარიტად, არ ძალმიძს თქმა.

ისინი ძრახავდნენ და მიდიოდნენ დაცინვით. ის კი იქვე იჯდა, უფალი, და იღიმებოდა.

მარადიულ სიმღერებში გარდაავლენდა თავის მონათხრობს უფალზე პოეტი, წყაროს თვალივით ამოხეთქავდა საიდუმლო მისი გულიდან. ხალხი მივიდოდა და ჰკითხავდა:

— გვაუწყე ჩვენ ყოველი, რისი თქმაც გსურდა.

ამან არ იცოდა, რა ეთქვა მათთვის, და ამასღა ეუბნებოდათ:

— ჰაი, ჰაი, რომ ვინმეს უწყოდეს, თუ რას მღერიან ჩემი სიმღერანი?!

ხალხი იცინოდა და მიდიოდა დაცინვით. ის კი იქვე იჯდა, უფალი, და იღიმებოდა...

„ნეტა ამ საგალობელზე რაღას იტყვიან? სულ გაუყუჩდებიან თუ ამასაც ბუნდოვანებას დასწამებენ?“ — ეს რა ახალი საფიქრალ-სადარდებელი გასჩენოდა გრიგოლ რობაქიძეს. უამისოდ ვითომდა აკლდა!..

* * *

1914 წლის 28 იანვარს იოსებ გრიშაშვილს მისწერდა: წაიკითხავდი ჩემს „ფოთოლს“ თაგორის შესახებ, ახლა მგონი დაბეჭდილიც იქნებაო. მთავარია დაბეჭდილი ყოფილიყო, თორემ სოსოს რომ არ გამორჩებოდა არც ის ნომერი და არც ის ესეისტური ჩანაწერები, გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა.

აღტაცებულიყო ინდოელი პოეტით და ამ აღტაცებას ბარათითაც უზიარებდა თანამოკალმეს:

აი, ასე უნდა უცქერდე მგოსნობასო.

„ასე ცქერა“ რას გულისხმობდა და:

ინდოელი პოეტისათვის მგოსნობა ღმერთმსახურება რომ გახლდათ და შაირი — მსხვერპლშეწირვა.

მხოლოდ მსხვერპლი — ესეც მთავარი ნაღვაწი (გრიგოლი „ნა-ქნარის“ თქმას ამჯობინებდა) მგოსნისა.

ბრბოსათვის ყურადღება სულ არ უნდა მიგექცია — მისი გემო ხომ „ქუჩის“ გემო იყო და მისი „ტაში“ — მეძავი ქალის ალერსი: ასე ყოფილა და ასე რჩებოდა კვლავაც...

„ბუნდოვანების“ შესახებაც ამოიკითხავდა ბარათის ადრესატი იმ „ფოთოლში“.

რეალობა ეს იყო, რომ: ესთეტიკურად განუვითარებლისათვის შოთა რუსთველიც „ბუნდოვანი“ იქნებოდა. მაგალითად რუსთველი რომ ამბობდა: სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისადო, — ბრძენი ადამიანი ამ სიტყვაში დიდ სიბრძნეს დაინახავდა, „სადა“ ადამიანს კი ესეც „სადად“ მოეჩვენებოდა...

ყური არ უნდა გეთხოვებინა, ვინ რას ლაპარაკობდა: თუკი ყურს დაუგდებდი, მოლაპარაკეთა ბედს მაშინ ძაღლიც არ დაჰყეფდა...

იოსებ გრიშაშვილსაც შეაგონებდა და საკუთარ თავსაც აფრთხილებდა.

ხოლო რაბინდრანათ თაგორთან თუ რაიმე ხიბლავდა, უპირველესად სწორედ ეს: მის საგალობელთა კონა მსხვერპლშეწირვას რომ უიგივდებოდა, თავისთავად და ძალდაუტანებლად, პოეტის მისია კი — ღმერთმსახურისას.

და ამ გადმოსახედიდან მართლაც რა აინუნში ჩასაგდები იქნებოდა ბრბო — მისი ქუჩური გემოვნებითა და მისი მეძავური ტაში...

22 ივლისს მიწერილ ბარათშიც კვლავ ახსენებდა თაგორსაც და თავის „ფოთოლსაც" მის შესახებ: პირადად მე ისე ვუცქერ პოეზიას, როგორც ინდოეთის ეს მგოსანიო.

ეს კი ნიშნავდა, რომ:

ლექსი ბრინჯაონაკვეთი უნდა ყოფილიყო ლოცვისა, სულის მუსიკისა, აღფრთოვანების ალისა.

ეს თუ არა, მშრალი რიტორიკა გამოვიდოდა უთუოდ.

და ამისთვის იყო, რომ გრიგოლი ასე ცოტასა წერდა...

* * *

რაბინდრანათ თაგორთან ერთად გამოცხადებულიყო დასავლეთისათვის თანადროული, ფრიად ცოცხალი ინდოეთიო...

და აი გამოდიოდა ასპარეზზე ახალი ხალხი — შტეფან ცვაიგის ფიქრით, პირველად — გრიგოლ რობაქიძის ამ რომანით: ქართველები, უძველესი ერი, რომელსაც ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი შეხვდებოდა თავისი გალაშქრებისას, და რომელშიაც ნაყოფიერ ირეოდა მრავალი ტომი, განუწყვეტელ განმცდელ-გადამტანი რუსების, ოსმალების, სპარსელების გავლენისა, დაბინადრებული დედამიწის უმშვენიერეს კუთხეში, სახელგანთქმული თავისი სიმღერებითა და ლეგენდებით, და სამარცხვინოდ ევროპელთათვის — უცნობი.

თუ რაოდენ მდიდარი გახლდათ იგი მითიური ძალებით, აღვსილი გმირული სულით და იმავდროულად ზიარებული თანადროულობას, ცვაიგი ამას პირველად პოეტის ამ წიგნიდან გაიგებდა, რომლითაც იგი თანაბრად გაუწევდა მნიშვნელოვან სამსახურს ევროპასაც და თავის სამშობლოსაც.

მისთვის მისი პლასტიკური გასხეულების მეოხებით ცხადდებოდა სრულიად ახალი არაჩვეულებრივად მხიბლავი ზონა ევ-

როპული ახალნდომის სულის წრეში, ვინაიდან ქვეყნის რომელიმე მხარე ან ხალხი წარმოდგებოდა ნამდვილად წამსვე, თუკი მოსდევდა ძალღონე თხრობისა და განსახიერებისა.

უპირველესად იმას მოეხიბლა ავსტრიელი ბელეტრისტი, რომ:

თაურის ქაოსიდან დუღდა რაღაც ამ წიგნში, როგორც ყოველში, რომელშიაც ახლად აცხადებდა თავს ლიტერატურა.

რამხელა მოვალეობა დაჰკისრებოდა „გველის პერანგს“ შტეფან ცვაიგის თვალში.

და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მსუბუქად აზიდავდა ამ ტვირთს იმ უცნობი ქვეყნის შვილი, ევროპას ძალიან რომ ესაჭიროებოდა ამ სიახლის ხილვაც, ისევე როგორც აღმოსავლეთში მიმდინარე სამწერლო პროცესების ახალ-ახალი მონაპოვრისა, სიმბოლურად რაბინდრანათ თაგორი რომ განასახიერებდა დასავლელი მკითხველის წარმოდგენაში.

და აი შტეფან ცვაიგი არამარტო გერმანულენოვან მკითხველს, არამედ დასავლურ აზროვნებას სთავაზობდა კიდევ ერთ ახალ სიმბოლოს — გრიგოლ რობაქიძესა და მის რომანს, როგორც ეგზოტიკურ და მიმზიდველ, შთამბეჭდავ და მრავლისაღმქმელ მხატვრულ სინამდვილეს, და კიდევ — მეგზურს იმ უცნობი ქვეყნის გასაცნობად და შესაცნობად.

ეს მხატვრული სინამდვილე ასე სახელდახელოდ და წინასწარ ორიოდე სიტყვით როგორ შეიძლება დახასიათებულიყო?

უძველესი ბალადებიდან, გარდასული ლეგენდებიდან ექსოვებოდნენ მომხდარი ამბების ხალიჩას ცეცხლოვანი ზოლები. ხანდახან გაგონდებოდათ ზღვარგადასულობა სპარსული გმირული სიმღერებისა, უხვად მფანტავი რომანტიკა აღმოსავლელებისა, და უეცრად: აელვარდებოდა შემოჭრილი სინათლე თანადროულობის.

ხედავდი: მოხმაურობდნენ „საბჭოების“ ავტოები ალექსანდრეს შარაზე, მოჰყავდათ ციტატა ბოდლერიდან — ძველი ქვეყანა და ახალი ქვეყანა, მაგიური და რეალური სფეროები ერთვოდნენ ერთიმეორეს სრულიად უჩვევი, ევროპელთათვის ახალი შუაგულ-შეჭრით, რომლის გამართლებაც მოეხერხები-

ნა მხოლოდ პოეტურობას ამ ეპიკური ხელოვნებისა, ხშირად არაჩვეულებრივ პოეტურობას, და... რა ცეცხლეულობა ესხმოდა ამ ასახვებიდან!..

სურვილი გიჩნდებოდა, მრავალი გვერდი ამოგეჭრა და სტროფულად დაგელაგებინა, როგორც ლექსები, — ისინი ხომ მართლაც ლექსები გახლდნენ.

სურვილი გიჩნდებოდა, ზოგიერთი თავი მოგესმინა რომელიმე მეზღაპრისაგან, რომელიც — ახლა უფრო იშვიათად — ამოჰყოფდა ხოლმე თავს ღამღამობით ძალზე ცივილიზაციაქმნილი აღმოსავლეთის ბაზრებზე; ყოველ ფურცელზე — ანთებული, ბალადური მომენტები გხვდებოდა სრულიად უცხო სილამაზისა, და თუმც გრძნობას მკაფიოდ ვერ გაერჩია, თუ ვისი მადლიერნი უნდა ვყოფილიყავით ამ ეგზოტიკურობისათვის, ვით ვარდის ზეთისა თუ ჰაშიშის თავბრუდამხვევი სურნელებისათვის, პოეტი რობაქიძისა თუ თვითონ საქართველოსი, მთავარია, რომ მკითხველი ტყვედ უვარდებოდა სიამით ამ ახალს.

მკითხველი — ჯერჯერობით თუნდ მხოლოდ შტეფან ცვაიგის სახით.

მაგრამ... ცვაიგზე განა შეიძლება ითქვას ეს „მხოლოდ“? მისი დიდი ერუდიცია და უაღრესად დახვეწილი მხატვრული გემოვნება ხომ თავისთავად მოასწავებდა გრიგოლ რობაქიძისა და მისი ლიტერატურული მონაპოვრის — ჯერ „გველის პერანგით“ წარმოდგენილის — მოსალოდნელ აზიდვას ფარზე დასავლურ ლიტერატურულ წრეებში.

შტეფან ცვაიგი უკვე დაეტყვევებინა ამ სიახლის ხილვას?

თანდათანობით სულ უფრო და უფრო გაიზრდებოდა ამ უცნობი ქვეყნის მწერლის თაყვანისმცემელთა, მისგან მოხიბლულ ტყვეთა რიგი და ჯარი.

და გრძელდებოდა აღტაცებული სტრიქონები, თუ რარიგ გაეფართოვებინა ავსტრიელი მწერლისათვის ამ წიგნს სამყაროს სახე, გამაბედნიერებლად გაენათებინა ჰორიზონტი ეგზოტიკურის მიმართ და ეგრძნობინებინა ჯერ კიდევ უცხო ფორმა ეპიკური შემოქმედებისა — ჰამადანი და ტფილისი, ქვეყანა ბაზრებისა და ქარავნების, მაცთუნებლივ ახელებდნენ უკვე

ფანტაზიას აღმოსავლური, განთიადური განათებით მას შემდეგ, რაც ცვაიგს წაეკითხა ეს არაჩვეულებრივი წიგნი, რომელსაც ვერ დაატევდი ვერცერთ კატეგორიაში და რომელიც დასავლეთის მატერიალისტურ, ყოველთვის უმცოდნეს და უმეცნიერეს ქვეყანაში — ძლევამოსილებით აცხადებდა შემოქმედებით სიცოცხლეს დაშრეტელი მითოსისა.

აღტაცებული შეფასება და ასეთი?!.

თაგორი თაგორად და, რობაქიძეც რა მონუმენტურობით წარმოდგებოდა!..

* * *

— საყვარელო ბატონო ცვაიგ, — ასე იწყებოდა ბარათი გრიგოლ რობაქიძისა, 1928 წლის 12 ოქტომბერს მიწერილი, ის-ისაა რომ მიეღო წინასიტყვაობის ასლი — წიგნში ჯერ არა — და დიდი შთაბეჭდილებაც განეცადა მისი არაჩვეულებრივი შინაარსისაგან.

რისთვის შეედარებინა ეს სტატია? რისთვის და... მაინც უფრო სონეტისათვის — მასავით მოკლე რომ იყო და ძლიერი. ბევრი რამ გადაჭარბებულიც ეჩვენებოდა, მაგრამ დასძენდა: ეს ალბათ დაკავშირებულია „წინასიტყვაობის ფსიქოლოგიასთანო".

როგორ გამოეხატა თავისი მადლიერება — სიტყვებით?

მაგრამ... სიტყვას რომ უკვე დაეკარგა მაგიის თაურელემენტი?!.

ეს მაინც როგორ არ ეთქვა, რომ: ავსტრიელი თანამოკალმის წინასიტყვაობაში სუფევდა შემოქმედებითი სიყვარული. და გრიგოლ რობაქიძეს ეიმედებოდა, რომ ერთხელაც დაარწმუნებდა სიყვარულის შემოქმედებით ძალაში.

ბედნიერებას განიცდიდა ასეთი ღრმააზროვანი სტატიის წაკითხვით და ამას არც მალავდა.

უგზავნიდა ბარათზე ბატონ ბერგმანის ჩანაწერს. ის წიგნთან ერთად მაშინვე გადაეგზავნებოდა ცვაიგს.

უთვალავ, უთვალავ გულითად მოკითხვას უთვლიდა და: „მარად ერთგულს" თავაზიანობისათვის კი არ მიაწერდა, არამედ მართლაც უცხადებდა ერთგულებას ასეთი თანადგომისათვის.

პოსტსკრიპტუმის დართვასაც დაისაჭიროებდა იმ უნებლიე ლაფსუსზე მისანიშნებლად, შტეფან ცვაიგს სიჩქარეში „ჰამადანის“ ნაცვლად „ტაშკენტი“ რომ დაეწერა. ბატონ ბერგმანს ტელეგრაფით კი შეატყობინებდა ამ უზუსტობის თაობაზე, მაგრამ შესაძლოა უკვე დაგვიანებული ყოფილიყო.

ეს რა მეგზური ღირსებოდა და როგორი წინასიტყვაობა, ბევრი გამოჩენილი და დაფასებული მწერალიც რომ ინატრებდა!..

ეს კი — ევროპისათვის სრულიად უცნობი, ჯერაც აღმოსაჩენი ქვეყნის ასევე სრულიად უცნობი შვილი.

და სად აიტყორცნებოდა — რაბინდრანათ თაგორის გვერდით.

და სულაც ნიმუშად დაუსახავდნენ მის რომანს დასავლელ თანამოკალმეებს, შვილებს იმ ქვეყნებისა, სადაც უმდიდრესი ცოდნა დაგროვებულიყო, მაგრამ მატერიალისტურ და მერკანტილურ მისწრაფებებს ჩაეთრია ყველა და ყველაფერი დაქანცულობისა და ერთფეროვნების წიაღში და აღარსად იგრძნობოდა შემოქმედებითი სიცოცხლე დაუშრეტელი მითოსისა.

მითოსს მოკლებულ დროში ევროპისა უნდა შემოჭრილიყო „გველის პერანგი“ არამარტო ეგზოტიკად, არამედ უპირველესად მაინც თაურის ქაოსის დუღილად, მითოსურ სამყაროსთან ხიდის გასადებად, რაც დასტურდებოდა ამბავთა ხალიჩას ჩაქსოვილი ცეცხლოვანი ზოლებით, უძველესი ბალადების, გარდასული ლეგენდების სუნთქვა რომ მოჰქონდათ რაღაც დიდი შემობრუნების მაუწყებლად, მართლაც რომ სამყაროს სახის გამაფართოვებლად.

აღმოსავლური განთიადური განათების ხილვა ენება დასავლეთს?

ამით გახელება თავიანთი ფანტაზიისა?

საამისოდ თაგორის შემოქმედებას ხომ უკვე ზიარებოდნენ, ახლა გრიგოლ რობაქიძეც ჩამდგარიყო იმის კვალში და დაე მისი „გველის პერანგი“ განეცადათ ისე, მის სხვა თხზულებათა გაცნობასაც დაშურებოდნენ.

ქართველი ერის უძველესობა შტეფან ცვაიგისათვის ყველაზე სახიერად იმით დასტურდებოდა, რომ:

მას ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი შეხვედროდა თავისი გალაშქრებისას.

ამის შეტყობა ისე აღიტაცებდა, ამ ერთიბეწო წინასიტყვაობაში სახელგანთქმულ მხედართმთავარს მეორედაც ახსენებდა:

„საბჭოების“ ავტოები რომ მიხმაურობდნენ ალექსანდრეს შარაზე.

„ქართლის ცხოვრება“ ირწმუნებოდა მაკედონელის ლაშქრის შემოსვლას საქართველოშიც, ეს მოვლენა უშუალოდ რომ გადაეჯაჭვებოდა იბერიის სამეფოს დაარსებას ფარნავაზის მიერ. რაო, ისტორიკოსები არ გაიზიარებდნენ ლეონტი მროველის ამ ცნობას?.. რას დაგიდევდა მათ ურწმუნობას გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც სწამდა „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთა და მათ შორის ლეონტი მროველისა, რომლის სანდოობაც პავლე ინგოროყვას უნდა დაემტკიცებინა, საპირისპიროდ ივანე ჯავახიშვილის გადამეტებულად კრიტიკული შეფასებისა, ლეონტი მროველს გამომგონებლობა-ფანტაზიორობას რომ სწამებდა. ენდობოდა ძველი ჟამის მემატიანეს პავლე ინგოროყვა და ენდობოდა გრიგოლ რობაქიძეც, ახლა შტეფან ცვაიგიც რომ დაეჯერებინა ამ ცნობის უტყუარობაში, და აგერ ავსტრიელი მწერლის თვალში ეს უწყება დიდად მნიშვნელოვანიც აღმოჩნდებოდა — ჩვენი მოდგმის უძველესობის თვალსაჩინოებად.

არადა, ისე შორს და შორს იკარგებოდა ქართველი ერის ისტორიული ფესვები, ალექსანდრე მაკედონელის ხანა ახალ დროებადაც კი გამოიყურებოდა იმ ფონზე.

დაე უფრო შორს აღარც გაჰყოლოდა შტეფან ცვაიგი ჩვენს წარსულს, ჯერ მარტო ეს რომ ეწამა ქართველობის უძველესობად — ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო ექსპედიციის შუაგულში მათი მოხვედრა, ესეც ცოტას არა ნიშნავდა იმ პირველი გაცნობისას ამ უცხო ქვეყანასთან, სავსებით რომ გაიზიარებდა მის მითოსურ ძალთა სიმდიდრესაც და გმირული სულით აღვსილობასაც.

ალექსანდრე მაკედონელი ისედაც ხიბლავდა და აღაფრთოვანებდა:

ბოლოსდაბოლოს მას გაეჭრა გზა აღმოსავლეთისაკენ, მას აღმოეჩინა იმჟამინდელი დასავლეთის სამყაროსათვის ეს სრულიად უცნობი მხარე, უზარმაზარ ტერიტორიაზე განფენილი და დიდი კულტურული მონაპოვრებით ძალმოსილი.

მას ეცადა დაახლოება დასავლეთისა და აღმოსავლეთის.

იმას, რაც აგერ-აგერ კვლავ მეორდებოდა, ფესვი ალექსანდრეს სწრაფვაში ედგა, და თუ იგი იარაღისა და ლაშქრობის გარდა სხვა საშუალებას ვერა ხედავდა ამ ორი სამყაროს დასაახლოებლად, ამჟამად სწორედ ეს უნდა აღსრულებულიყო — სულიერი, კულტურული გზაბილიკების მეოხებით.

ძლევამოსილი გაცხადება შემოქმედებითი სიცოცხლის დაუშრეტელი მითოსისაო...

მითოსური სახეები არ უკვირდა შტეფან ცვაიგს — ჯერ ისედაც, და მითუმეტეს მოდერნისტულ მწერლობას ძალიან ამოეტივტივებინა ეს სამყარო, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიას რომ დაეწაფებოდნენ და უხვად შემოზიდავდნენ სახეებსაც, პერსონაჟებსაც და სიუჟეტებსაც იმ სამყაროდან, რომელზედაც იდგა დასავლური კულტურაც და ცივილიზაციაც.

თავისებურ გარღვევას შეეცდებოდა უილიამ ბატლერ იეიტსი, საერთოდაც ირლანდიური აღორძინების ლიტერატურა, ირლანდიის წარსულს რომ ჩაუღრმავდებოდნენ, კელტურ მითებს მოიძევდნენ და მათ ახლებურ გააზრებას, აღდგენა-გაცოცხლებას შეეცდებოდნენ. სწორედ იმას, შემოქმედებითი სიცოცხლე რასაც ჰქვია დაუშრეტელი მითოსისა.

და აი ეს შემოქმედებითი სიცოცხლე უნდა ეხილა უცნობი ქვეყნის მწერლის რომანშიც, განსხვავებული იმისაგან, რასაც შესჩვეოდა და ზოგი რამ კიდეც მოყირჭებოდა, სრულიად ახალი სამყარო უნდა წარმოსახვოდა, იდუმალი გზაბილიკები რომ მოეპოვებოდა დასავლური ქვეყნების მითოსურ წარსულთან, საბოლოოდ მაინც ბერძნულ-რომაულ მითოსს რომ მოექცია თავის გარსში, თავის ბრძმედში გამოეტარებინა და ისე დაებრუნებინა თვითეული ქვეყნისათვის თავთავისი მითოსი — მკვეთრად შეცვლილი და გადასხვაფერებული.

ეს კი აშკარად აკლებდა თვითეული ქვეყნის წარსულის თვითმყოფადობას, ერთმანეთს რომ ემსგავსებოდნენ და ამაოდღა აწყდებოდა აქეთ-იქით იეიტსი, მითოლოგიური პარალელის მიგნებას რომ დაუფასებდნენ მისი მოდერნისტი მიმდევრები, მაგრამ თვითონ მაინც ბერძნულ-რომაულ ბრძმედს ამჯობინებდნენ, იქ ჩაყურყუმელავებასა და იმ სიუჟეტ-პერსონაჟთა ამოზიდვას.

თაურის ქაოსიდან უკვე აღარა დუღდა რა მათ წიგნებში, ან თუ დუღდა, ძალზე მკრთალად და შეუმჩნევლად.

ცოდნას გადაეყლაპა გრძნობა.

გონებას სულაც მიეჩეხა გული.

აუცილებელი გახლდათ ახლებური განათება მხატვრული აზროვნებისაც და ლიტერატურული პროცესებისა.

და სწორედაც ეს აუცილებლობა მოევლინებოდათ აღმოსავლეთიდან, რაბინდრანათ თაგორის სახელი რომ უწინამძღვრებდა ამ ნაკადს, და უპირველესად თუ ვინმე, სწორედ იეიტსი დაინახავდა და შესაფერისადაც აღნიშნავდა ამ სასიკეთო ნაკადის არსებობას და ხელსაც შეუწყობდა მის გაღრმავებას ღრმაშინაარსიანი წინასიტყვაობით „გიტანჯალისა“, ახალი დროის ფსალმუნებად რომ წარმოდგებოდა.

* * *

ამ შესავალ ესეიში გაიხსენებდა ირლანდიური აღორძინების მეთაური, თუ როგორ დაჰქონდა მთელი დღეები თაგორის თარგმანის ხელნაწერი, კითხულობდა ტრამვაიში, ომნიბუსის იმპერიალსა და რესტორნებში, და ხშირად უნდა დაემალა, რათა უცნობთაგან ვერავის დაენახა, რარიგ აღელვებდა ეს ხელნაწერი.

ეს ლექსები გადაუხსნიდნენ სამყაროს, რომელზედაც ოცნებობდა მთელი თავისი სიცოცხლე.

უფრო გამაოგნებელი შთაბეჭდილება ძნელი წარმოსადგენია.

მაშ არადა იეიტსი თავს გამოიდებდა სნობებივით და ზემოდან დახედავდა ინდოელ პოეტს, ანდა ვინმეს ჯიბრით ბუნდოვანებას დასწამებდა ამ უნათლეს პოეტს, ახალი დროის ერთ-ერთ წინასწარმეტყველს.

მაინც რითი მოხიბლულიყო და აღტაცებულიყო ასერიგად მომავალი ნობელიანტი მომავალი ნობელიანტის მხატვრული სამყაროს მოხილვისას?

რითი უნდა მიეზიდა მკითხველი ამ უჩვეულო, უცნაურ საგალობელთა წიგნის — „გიტანჯალის“ — გადასაფურცლად და სიტყვის მაგიის შესაგრძნობად?

— ეს ლირიკული კრებული დიდი კულტურის ნაყოფიაო, — ზოგადად რომ აღნიშნავდა მის მნიშვნელობას, კიდეც უნდა გაეხსნა დიდებული კარიბჭე მკითხველისათვის ამ გზამკვლევის შეთავაზებით:

— იგი ნაჟურია მთელი ქვეყნისა, სადაც პოეზია და რელიგია შერწყმულია. თუ ბენგალიის ცივილიზაცია არ დაიღუპა, იგი გაჟონავს ყველგან და მთელი თავისი დახვეწილობით უკანასკნელი უპოვარისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება. ეს საგალობლები, კარგად დაბეჭდილ ტომებად გამოცემულნი, უქმად არ იდება იმ ქალბატონების მაგიდაზე, რომლებიც უგულისყუროდ გადაფურცლავენ მის ლექსებს. მათ ხელში არ აიღებენ სტუდენტები, რათა საჭირო შემთხვევაში უფრო სერიოზული საქმე მოიმიზეზონ და გადასდონ წიგნი. გაივლიან თაობები და მათ ისევ იმღერებენ დიდი გზის ყარიბები და განგის მენავეები. ერთმანეთის მომლოდინე მიჯნურები მათში პოვებენ მეუფის სიყვარულს, იმ ჯადოსნურ ყურეს, სადაც მათი მიწიერი სიბერე განიწმინდება და განახლდება.

ეს მონაკვეთი პირდაპირ გადმომაქვს თამაზ ჩხენკელის შესავალი სტატიიდან, მის მიერ თარგმნილ „გიტანჯალის“ სრულ კრებულს რომ წაემძღვარებოდა. დადგებოდა ის დროც ჩვენს კულტურულ სინამდვილეში, როდესაც რაბინდრანათ თაგორის პოეტური მწვერვალი შესაფერისადაც ამეტყველდებოდა ქართულად — ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების მონაპოვრად. და საამისოდ თამაზ ჩხენკელს გრიგოლ რობაქიძის მცდელობაც შეაგულიანებდა, სხვათა შორის იეიტსის წინასიტყვაობიდან იგივე მონაკვეთი რომ დააინტერესებდა, რაც თავის დროზე „გრაალის მცველნის“ შემოქმედსაც, ეგაა ის უფრო ვრცელ ციტატას დაიმოწმებდა ესეიში „ინდოეთის მეფსალმუნე“, რუსულ ენაზე რომ დაწერდა და გამოაქვეყნებდა 1914 წლის 14 დეკემბრის „კავკაზის“ ფურცლებზე, ქართულად მთლიანად ნათია ორმოცაძე რომ გადმოიღებდა და მკითხველიც გაეცნობოდა ციტატის მომდევნო მონაკვეთსაც, იეიტსი რომ აგრძელებდა თავის დითირამბიადას:

— ყოველ წუთს პოეტის გული ისწრაფის იმ ხალხისაკენ, ვინაიდან იცის, რომ ისინი გაუგებენ. მგზავრი მუქყავისფერ სა-

მოსში, რის გამოც ნერვიულობს, მტვერი არ დამედოსო; გოგონა, რომელიც ეძებს საკუთარ საწოლზე ფოთლებს, რომელიც დაცვივდა მის უფლისწულ-სატრფოს გვირგვინს; მსახური ან საცოლე, რომელიც ელოდება თავისი ბატონის გამოჩენას ცარიელ სახლში — ეს იმ გულზე ამოტვიფრული გამოსახულებანია, რომელიც ღმერთს შეჰღაღადებს. ყვავილები და მდინარეები, ნიჟარის ნაკეთობები, ივნისის ინდოეთის თავსხმა წვიმა — არის გულისხმა განშორებისას თუ ერთად ყოფნისას; ადამიანი, რომელიც ზის ნავში და უკრავს ჩანგზე — ეს თვით ღმერთია. მთელი ხალხი, მთელი კულტურა, ჩვენთვის უსაშველოდ უცხო, ხორცშესხმულია ამ წარმოსახვაში; მაგრამ ჩვენ მაინც შეძრულნი ვართ არა ამ სიახლით, არამედ იმით, რომ ისე ვხვდებით საკუთარ წარმოსახვას, თითქოს ჩვენს ხმას ვხვდებოდეთ სიზმარში.

და გრიგოლ რობაქიძე თავის მხრივ მიადევნებდა:

ჭეშმარიტად ეს სიმღერები არის ღვთის საგალობლები, და მათი მგალობელი — ნამდვილი მეფსალმუნე წმინდა ლოტოსის ქვეყნიდანო...

დაგროვებოდა ამასობაში ახალი სათქმელი, გაცილებით ღრმა, ვიდრე ის სახელდახელო ჩანიშვნანი გახლდათ „ფოთლების“ რკალში, გულისტკივილით უფრო გამოწვეული, მისი ჯიბრით ამხელა პოეტს ბუნდოვანებას რომ უკიჟინებდნენ, პოეტს, ინგლისური ჟურნალი „ათენეუმი“ მკაცრ და დახვეწილ დანტეს რომ შეადარებდა, ხოლო იეიტსი ასეთ აღტაცებად დაიღვრებოდა.

რუსულად დაწერილ ესეიში გრიგოლ რობაქიძე თაგორის ზოგიერთ ბიოგრაფიულ რეალიასაც რომ გაიხსენებდა, მათ შორის — საყვარელი ცოლის სიკვდილსაც, ძლიერ რომ იმოქმედებდა პოეტზე, და მისი სულის სტიქია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განმწმენდელ სიღრმეებს ეზიარებოდა, ახლა თავისუფალ ჭვრეტას მიეცემოდა.

დაე მკითხველს ისიც სცოდნოდა, რომ თაგორი მისტიკური პანთეისტი გახლდათ და მიეკუთვნებოდა ინდურ სექტას, ბრახმო-სომაჯს, რომელშიც იგრძნობა ქრისტეს სწავლების გავლენა. ნამდვილი მამამთავარიც იყო — და როდესაც ტაძარში მსახუ-

რებდა, ქუჩები გადაიტვირთებოდა ხოლმე ხალხით, რომელნიც ელოდებოდნენ პირველი წინასწარმეტყველის გამოჩენას.

თავისი სიმღერები თვითონვე ექცია მუსიკად, და მღეროდნენ ყველგან, სადაც საუბრობდნენ „ბენგალიაზე". და ჭეშმარიტად ეს უცნაური გენიოსი წარმოდგებოდა პოეტ-ქურუმის ნამდვილ ხორცშესხმად.

რას უმღეროდა ინდოეთის მეფსალმუნე?

აღმოსავლეთის სიბრძნე ყოველთვის რომ იყო წინააღმდეგობა დასავლეთ-ევროპელ მოაზროვნეთათვის, მაია და ნირვანა — ესეც ორი წმინდა სიმბოლო ამ სიბრძნისა.

მრავალფეროვანი შესამოსლით გვევლინებოდა ქალღმერთი მაია, და მოკვდავი არსება ვერ უძლებდა ამ ცთუნებას; მაგრამ როდესაც ხედავდა ქალღმერთის სიტკბოებას, ადამიანის მოკვდავი არსება ამჩნევდა მხოლოდ ცარიელ შესამოსელს, თუმც ოქრომკედით ნაქარგს.

ესეც მითის მარცვალი: მაია — წამიერი ტყუილი და ავხორცი ცთუნება.

აქედან დასკვნა: გარეგანი სამყარო მხოლოდ მაიას საფარველია. და რაც უფრო შორს წავიდოდით სამყაროსაგან, მითუფრო მივუახლოვდებოდით ყოფის არსს — ატმანს.

აქედან მოდიოდა საკუთარ თავზე უარის თქმა, სიცოცხლის ჩაფერფლვა, არარსებობაში — ნირვანაში — მჭვრეტელური ლივლივი.

და გრიგოლ რობაქიძე ევროპელის მზერას რომ მიადევნებდა თვალს, მისთვის ცხადად გამოიკვეთებოდა, თუ როგორ აოცებდა დასავლეთს ყოველთვის მსგავსი მჭვრეტელური თვითმკვლელობა...

რაბინდრანათ თაგორი რომ სულ სხვაგვარად ფიქრობდა?

იმიტომაც, რომ: ინდოეთის შვილი გახლდათ და უფრო ღრმად გრძნობდა წმინდა ლოტოსის ქვეყნის სიმბოლიკას.

რას წარმოადგენდა მაია და ნირვანა თაგორის აზრით?

რას და:

ყველაფერი საერთო თავის სასრულს რომ ეძებდა ერთადერთში, ყველაზე სრული სახე ამ სასრულისა კი გახლდათ ადამია-

ნური მე, რომლის წყალობითაც შეგვეძლო იმაზე მეტად გვეგრძნო სამყარო, ვიდრე მაშინ, თუკი მის წიაღში ვერ შევიგრძნობდით ჩვენს გამორჩეულობას.

ეს ნიშნავდა, რომ: ადამიანური მე საიდუმლო საზღვრად გვევლინებოდა ყოფის ორი სიბრტყისა: ერთი მხრივ ის იყო სამყაროს სასრულის სახე, მეორე მხრივ კი — ცალკე არსებული, რომელიც აუცილებელი გახლდათ სამყაროს ინტენსიური შეგრძნებისათვის.

თაგორი ერთ საგალობელში რომ გადმოსცემდა მაიას უჩვეულო წვდომას, ეს სიმღერა ქართულად გადმოეღო გრიგოლს, თუ როგორ უნდა გამედიდურებულიყო ლირიკული გმირი საკუთარი მე-თი და ყოველი მხრივ ებრუნებინა ის, რათა დაეფრქვია ი მ ი ს ბრწყინვალებისათვის ფეროვანი ჩრდილნი — ასეთი გახლდათ ამის მაია.

ი მ ა ს აღემართა ზღუდე საკუთარ არსში და უხმობდა თავის ცალხედ-ქცეულ მე-ს მრავალი ხმით — ხოლო ი მ ი ს გამოყოფილი არსი ლირიკული გმირის არსებაში ჩამოსახლდებოდა.

ნაღვლიანი სიმღერა ექოდ განმეორდებოდა; ცაზედ გასრიალდებოდნენ მრავალფეროვანი ცრემლნი და ღიმილნი, ძგერანი და იმედნი. ტალღანი იმართებოდნენ და ეშვებოდნენ ისევ, სიზმარნი იბადებოდნენ და ჰქრებოდნენ კვლავ ლირიკული გმირის არსებაში — ი მ ი ს საკუთარი მარცხი პიროვანისა...

— კედელზედ, რომელიც შენ ამართე, ღამითა და დღით იხატებიან მრავალთაგან მრავალი ფიგურანი. კედელს უკან — შენი სამყოფელი, გრეხილ ხაზებით უცნაურ ნახლართი; და არ მოსჩანს იქ არც ერთი სწორი ხაზი უსიცოცხლო... დიდებული მარჯი შენი და ჩემი ცად არის მისხურებული, შენი და ჩემი ხმით ჰაერია ავსებული, — და ყოველი საუკუნე ისე გადის, რომ მე და შენ ხან ვემალებით და ხან ვეცხადებით ერთიმეორეს.

ბოლომდე წვდებოდა მთარგმნელი ამ საგალობლის გულისგულს და ხელშესახებად განიცდიდა, როგორ არ ჰკარგავდა თაგორი მაიას შესამოსლის ცვალების ცთუნებაში სამყაროს შეგრძნებას და თავის სიმღერაში დიდი „შენის“, სამყაროს შემქმნელის სუნთქვაში ჰპოვებდა დასაყრდენს.

და გახსნიდა თუ არა მაიას საიდუმლოს, მგოსანი კიდეც გადაინაცვლებდა სიყვარულისა და სიხარულის საიდუმლოზე. ჭეშმარიტი ყოფა ხომ სიყვარულში სუფევდა.

უპანიშადები რომ ირწმუნებოდა:

მთლიანად დაუთმე საკუთარი თავი ბრაჰმას, მსგავსად ისრისა, რომელიც აღწევს მიზნამდეო.

ბრაჰმაში ეს ჩაძირვა ნიშნავდა ნირვანას ანუ ზურგის შექცევას, უფრო კი მაინც ინდივიდუალური ჭურჭლის ავსებას ღვთაებრივი სითხით.

რას მღეროდა თაგორი?

ჩემთვის გათავისუფლება არ ნიშნავს ზურგის შექცევას. მე ვგრძნობ თავისუფლების სუნთქვას და ათასგზის ვტკბები მისით. — შენ მისხამ შენს ახალ ღვინოს სხვადასხვა ფერისა და სურნელისას, ავსებ ბოლომდე ამ მიწიერ ჭურჭელს. — ჩემი სიტყვა არის შენი ცეცხლის ათასი სხვადასხვა სიუჟეტი და დაიდგმევა ის საკურთხევლის წინ, ტაძარშიო...

ბრაჰმაში ჩაძირვა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით, ვინაიდან ნირვანა სიყვარულის უკანასკნელ ზღვრად წარმოდგებოდა. ადამიანური მე გახლდათ გარკვეული ჭურჭელი და ადამიანს ის უნდა მიეტანა ბრაჰმას საკურთხევლამდე. ოდეს ღვთაებრივი ნაკადი ავსებდა ამ ჭურჭელს და გადმოიღვრებოდა ინდივიდუალურის საზღვრებიდან, მაშინ სიყვარული ზეიმობდა გამარჯვებას და ყველაფერი გვირგვინდებოდა უსამანო სიხარულით.

უპანიშადები რომ ირწმუნებოდა:

ყველა ადამიანი იბადება მოჭარბებული სიხარულისაგან, სიხარული ინახავს მას, სიხარულისაკენ მიილტვის და სიხარულის თანაზიარი ხდებაო.

გრიგოლ რობაქიძის დაბეჯითებით, თაგორზე ღრმად და ძლიერად არავის განეცადა სამყაროს სიხარული:

ამბობენ, ფერმკრთალი ახალი მთვარის უბინო სხივი შეეხო მსუბუქი შემოდგომის ღრუბელს, და ღიმილი პირველად აღმოცენდა ნამიანი დილის სიზმარში, ის ღიმილი, რომელიც მძინარე ყრმას დასთამაშებს ბაგეზეო...

მაია გასხივოსნებული სიცრუე გახლდათ, და ნირვანა — ბრაჰმაში ჩაძირვა.

ეს სიბრძნე მხოლოდ სიყვარულის დროს გეხსნებოდა, ვინაიდან სიყვარული უდიდესი მსხვერპლია და მსხვერპლის ფერისცვალება: მსხვერპლი, როგორც საკუთარი მე-ს მიძღვნა სიცოცხლის მარადიული წყაროსათვის; მსხვერპლის ფერისცვალება კი — როგორც შემოქმედებითი გახსნა მაიას გაცისკროვნებული სიცრუისა.

ვისაც აღმოხდებოდა „შენ", მას უკვე მსხვერპლად გაეღო საკუთარი მე.

სიყვარული თაგორისათვის მაგიური სიტყვა რომ იყო, მისი სიმღერები, რომელნიც ეძღვნებოდა სიყვარულს, დასაბამიერისადმი შეწირული ნამდვილი მსხვერპლი გახლდათ.

გახსოვთ ის საგალობელი?

თუ შენ არა გსურს ლაპარაკი, მე ავავსებ მაშინ ჩემს გულს შენი დუმილით და ჩავიკეტები შიგო...

ამ ესეიშიც მოიშველიებდა გრიგოლ რობაქიძე იმ სტრიქონებს, რათა მიედევნებინა:

ამგვარად მღერის თაგორის შეყვარებული. და ბევრი, ბევრი სხვა საგალობელი, სამსხვერპლო და განმასპეტაკებელი, შობს სიყვარულს ინდუსი მეფსალმუნის შემოქმედებით სულშიო...

სიყვარულის საიდუმლო რომ შობდა სიკვდილის საიდუმლოს, თაგორი გვასწავლიდა: სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არა მაიას გაქრობაო.

ადამიანურ მე-ს რამდენჯერმე უნდა დაეწყო ხელახალი ცხოვრება, რამდენჯერმე ჩაფლულიყო, ვიდრე მიაღწევდა საკუთარ საზღვარს, სიკვდილით თავდავიწყებულს, რათა შეეძინა უკვდავი ახალგაზრდობა.

სამყაროში ის ყოველწუთიერად უნდა გამქრალიყო, რათა ინდივიდუალობის ყვავილისათვის ახლებური სიცოცხლე შეეძინა.

ჩვენს მე-ს უნდა სცოდნოდა, რომ:

ის თავისი სიცოცხლის ყოველ წუთს უნდა აღორძინებულიყო.

ჩვენ ვიცოდით, რომ:

ყოველ დილით დღე იბადებოდა ახალგაშლილ ყვავილებთან ერთად, და მოჰქონდა იგივე ამბავი და იგივე რწმენა, რომ სიკვდილი მუდამ კვდებოდა.

ამრიგად, პიროვნება უამრავჯერ კვდებოდა თავისი მე-ს ჩარჩოებში, რადგანაც გაუცხოება არის საზღვარი და ესაზღვრება სიკვდილს; მაგრამ მას არ შეეძლო მომკვდარიყო იქ, სადაც უერთდებოდა კრებითი სიცოცხლის წყაროს. და თაგორი ჰქმნიდა თავისი სიძლიერითა და სიღრმით შეუდარებელ სამსხვერპლო შესაწირავს, სადაც იგრძნობოდა სიკვდილზე საბოლოო გამარჯვება.

ის საგალობელი გახსოვთ?

მისუსტებული იმედით დავდივარ მე ოთახში და ვეძებ „მას" ყოველ კუთხეში, მაგრამ ვერ ვნახულობ სასურველსო...

და ამ ესეიშიც რომ მოიხმობდა იმ სტრიქონებს, ირწმუნებოდა გრიგოლ რობაქიძე:

მთელ მსოფლიო ლიტერატურაში არ ვიცი უფრო ღრმა და სულში ჩამწვდომი საგალობელი — აქ მიღწეულია სრული პანთეისტური შერწყმა სამყაროსთანო.

აქედან მომდინარეობდა თაგორის სიყვარულიც: მისთვის უცნობი გახლდათ სიკვდილის შიში. სიკვდილი ხომ მაიას გაცისკროვნებული სიცრუის გაქარვება იყო, და ამიტომაც წარმოდგებოდა სასურველ მსხვერპლად დასაბამიერისა.

თაგორმა ცხადად უწყოდა ეს:

ვრცელ სასახლეში უძირო უფსკრულის პირას, სადაც უხმო სიმთა ჰარმონია იბადება, წავიღებ მე ქნარს ჩემი სიცოცხლისას, მე მოვმართავ მას უკანასკნელად, — და როცა იგი ყოველს ხმას გამოიტირებს, მე დავდებ დადუმებულ ქნარს დიდი მდუმარის ფეხთა წინო.

ასე ეგებებოდა თაგორის გული სიკვდილს.

საგულისხმოა, რომ ინდოეთის მგოსან-ქურუმის ამ სამსხვერპლო საგალობლის უშუალოდ ამ სტრიქონებით გახსნიდა გრიგოლ რობაქიძე გამოსათხოვარ სტატიას აკაკი წერეთელზე.

მე დავდებ დადუმებულ ქნარს დიდი მდუმარის ფეხთა წინო...

ამას თუ რაბინდრანათ თაგორი გალობდა, აგერ აქ მის მოძმეს აღმოსავლეთის დიადი შუადღისა, მოძმეს ფიქრმორეული

შუადღისას, უკვე მიერთმია დადუმებული ქნარი თვისი სიცოცხლისა საიდუმლოთი მოცული დიდი მდუმარესათვის...

აღსრულებულიყო აკაკი.

ქნარი მისი სიცოცხლისა მომართულიყო უკანასკნელად, გამოეტირა ყველა ხმა, — და ახლა ერთვოდა იმ საიდუმლო უფსკრულს, საცა უხმო სიმთა ჰარმონია იბადებოდა.

ინდოელი მგოსან-ქურუმის საგალობელს ქართველი მგოსან-ქურუმის საგალობლად აქცევდა გრიგოლ რობაქიძე.

ოდესმე ასე მიეგებებოდა რაბინდრანათ თაგორის გული სიკვდილს.

უკვე ასე შეგებებოდა სიკვდილს გული აკაკი წერეთლისა.

რას გვასწავლიდნენ აღმოსავლეთის წმინდა წიგნები?

ოდეს სულში მინავლდება სურვილები, მასში დაიბუდებს იდუმალი სიჩუმე, და მაშინ სული იძენს იმ თვისებას, რომ ყველა ბგერას სასურველი ბგერით უპასუხოსო.

გრიგოლ რობაქიძე სისხლხორცეულად შეიგრძნობდა დიდებული თანამოკალმის შემოქმედებით ბუნებასაც და სულის ხვეულებსაც და დაგვიბეჯითებდა, რომ: თაგორს ნამდვილად მოეპოვებინა ეს სიჩუმე, და მისი სიტყვა გვევლინებოდა თვით მუდამ მდუმარის სიტყვებად. იგი იხსენებდა დუმილს, რომელსაც დაერღვია წყვდიადი, როცა ის იდგა და უსმენდა მარადიული მელოდიების მგალობელს. და ოდეს წავიდოდა დასაძინებლად, თაგორი თვალებს მილულავდა, ბაგეზე კი ლოცვა დაეფინებოდა:

ოდეს ვიქნები გაუცნობიერებელ თვლემაში, მძინარე სხეულის მიწყნარებულ უბნებში გაგრძელდება სიცოცხლის როკვა და ჩემი მიძინებული მე განაგრძობს გზას ვარსკვლავებთან ერთად; გული აჩქროლდება, სისხლი ძარღვებს მოასკდება და ჩემი სხეულის მილიონი ატომი მოექცევა იმ არფის ბგერებს შორის, რომელიც ჟღერს ოსტატის შეხებისასო.

გრიგოლ რობაქიძეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ:

ასე მარტოდენ წინასწარმეტყველთა და მეფსალმუნეთ შეეძლოთ ლოცვა, და თაგორი ჭეშმარიტად გადაგვიშლიდა ახალ მაგიურ გვერდს ქურუმული სიტყვისა...

და ამ ახალ მაგიურ გვერდს რომ შეიგრძნობდა ქურუმული სიტყვისა უილიამ ბატლერ იეიტსი, ამიტომაც დაატარებდა განუშორებლად „გიტანჯალის“ ხელნაწერს ტრამვაიშიც, ომნიბუსებსა თუ რესტორნებშიც, და ხშირად იმიტომაც მალავდა, არა სურდა ვიღაცებს დაენახათ, რარიგ მოქმედებდა მასზე ის საგალობელნი, იმ სამყაროს რომ წარმოუსახავდნენ, რაზედაც ირლანდიური აღორძინების მეთაური მთელი სიცოცხლე ოცნებობდა.

და გამაოგნებელ განცდებსა და შთაბეჭდილებებში გახვეული თვალდათვალ შეჰყურებდა, როგორ მღეროდნენ ამ საგალობლებს საუკუნეთა შემდგომაც დიდი გზის ყარიბები და განგის მენავეები.

და ერთმანეთის მომლოდინე მიჯნურები მასში როგორ ჰპოვებდნენ მეუფის სიყვარულს,

იმ ჯადოსნურ ყურეს,

სადაც მათი მიწიერი სიბერე

განიწმინდებოდა და განახლდებოდა კიდეც.

ეს რა მემართებაო, — გაკვირვებით როგორ არ გაკვირვებოდა იეიტსს, — ისე ვხვდები ჩემს წარმოსახვას ამ საგალობელთა წყალობით, თითქოს ჩემს ხმას ვხვდებოდე სიზმრადო...

* * *

და აი შტეფან ცვაიგის თვალში ამავე რანგის მოვლენად წარმოდგებოდა გრიგოლ რობაქიძეც და მისი „გველის პერანგიც“ — აღბეჭდილი პოეტური შარავანდითა და მითოსური საბურველით, და ისე გაიტაცებდა რომანში განფენილი პოეტური საწყისი თუ სული, რომ ამ მწერალს ბელეტრისტად კი არა, პოეტად მოიხსენიებდა.

ნიმუშად დასახავდა მის სწრაფვას ისტორიული ფესვებისაკენ.

და უხაროდა, რომ მადლიერნი დაურჩებოდნენ ჯერ თვისტომნი და მერე და მერე სხვა ევროპელი მწერლებიც და მკითხველებიც, გრიგოლ რობაქიძის ამ რომანთან ზიარებით სამყაროს სახე რომ გაუფართოვდებოდათ, გამაბედნიერებლად გაუნათდებოდათ ჰორიზონტი ეგზოტიკურის მიმართ და იგრძნობდნენ ჯერ კიდევ უცხო ფორმას ეპიკური შემოქმედებისა.

რა „გველის პერანგი“ და რა მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მისი ავტორის!..

ერთიანად მიდრეკილი მითოსური ჟამისაკენ, როგორც სულიერების სათავისაკენ. როგორც საფუძვლისაკენ ერის თვითმყოფადობისა!..

გახსოვთ მისი ესეის — „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ — ის პასაჟი, თავის მხატვრულ წარმოსახვათა ლაბორატორიაში რომ შეგვახედებდა?

— ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს.

გულისხმობდა მკვლევარს და არა მკითხველს, რადგანაც მკითხველი ხშირად უშუალო განცდით უფრო ღრმად წვდებოდა რომელიმე ნაწარმოებს, ვიდრე აპარატებით დამძიმებული მკვლევარი.

სიმბოლო ჩვენში აქა-იქ თუ გამოიყენებოდა, და ისიც — როგორც მშრალი ცნება, მითოსი კი იწილობიწილო ეგონათ გარდასულ ხანათა, პრიმიტიულობასთან გაიგივებული.

სიმბოლოს არსისა და რაობის შესაცნობად დაე ჩაკვირვებოდნენ გრიგოლის განმარტებას, ღრმა შესწავლითა და ძიებით რომ მოეპოვებინა.

ლაიფციგიდან პარიზს რომ გაემგზავრებოდა განსწავლის წლებში, ქალაქში, რომელსაც ლათინური რასის არტისტულ ნერვად აღიქვამდა, იქ გოთური კათედრალები ისევე გააოცებდნენ, როგორც გერმანული მუსიკა! და მალე ორი პოეტის გავლენის ქვეშაც მოექცეოდა: შარლ ბოდლერისა და არტურ რემბოსი, პროზაში კი ყველაზე მეტად გუსტავ ფლობერი და სტენდალი დაატყვევებდნენ. ფრანგული გენია რაღაც უცხოს იგრძნობდა! და ამას მხატვრულ მზერაში ზურგის ტვინის ჯადოსნურ მონაწილეობას დაარქმევდა.

საქართველოში რომ დაბრუნდებოდა, მისი მწერლური მანერა ფრანგულ სიმბოლიზმს უახლოვდებოდა, ნაწილობრივ რუსულსაც, მაგრამ გრძნობდა, რომ აქ რაღაც არ იყო სწორი, კერძოდ: სიმბოლისტურ მეთოდში ერთი შეცდომა ჩამარხულიყო — ზედმეტად გადაჭარბებული: საგნის, როგორც სიმბოლოს,

წარმოდგენა მთავრდებოდა „საგნის“ განადგურებით და შედეგად „სიმბოლოს“ სქემატიზება მოსდევდა.

მაშასადამე გრიგოლ რობაქიძე გზაგასაყარზე შედგებოდა.

და აი მაშინ მოხდებოდა და სწორედაც მაშინ, ვითომდა შემთხვევით, მაგრამ სინამდვილეში ღრმა კანონზომიერებით:

1916 წელს სამხედრო მოხელედ მოხვედრილი სპარსეთში თავისი ცხოვრების შემობრუნების წერტილს რომ მიაგნებდა.

მესოპოტამიის ზღურბლამდე მიაღწევდა და... კიდეც გაუჩნდებოდა შეგრძნება:

ესაა და — საუკუნეთა სვლაში დაკარგული სამშობლო ვიპოვნეო.

რას ვარაუდობდნენ ისტორიკოსები: ქართველთა უძველესი, პირველსამშობლო ქალდეა იყოო?

მიწის შეგრძნება მის არსებაში ყოველთვისაც განსაკუთრებით რომ გამოხატულიყო, ირანის ზეგანზე რაღაც კოსმიურადაც იქცეოდა და მზეც აღარ იქნებოდა მისთვის უბრალო ასტრონომიული მოვლენა.

ზოროასტრის ქვეყანაში ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ექნებოდა თან.

ფირდოუსის, ჰაფეზისა და ომარ ხაიამის ქვეყანაში — იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“.

და სრულიად შემთხვევით თან ექნებოდა მესამე წიგნიც — ნაწყვეტები ბაბილონური ეპოსის „გილგამეშიანისა“.

და ეს წუთები და ეს ხილვა გადაწყვეტდა კიდეც მის მწერლურ ბედს.

ირან-მესოპოტამურ მიწაზე წამოიმართებოდნენ პირველსამყაროს გოლიათური ფიგურები და სურათები.

და გრიგოლი მთელი არსებით იგრძნობდა, რომ:

მისი პოეტური ფესვები აქ, აქ, აქ იყო...

ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებსო...

დაე მზერა მიედევნებინათ გრიგოლ რობაქიძის მიდრეკილებისაკენ მითოსური ეპოქის მოსაჩხრეკად, და ჩვენშიც ისევე დაეფასებინათ, როგორც აგერ შტეფან ცვაიგი არწმუნებდა

გერმანულენოვან მკითხველს, გულგადახსნით შეგებებოდნენ ამ სიახლეს, მათთვისაც და მთელი ევროპისთვისაც ასერიგად ღირებულსა და უსათუოდ გასათვალისწინებელს.

მაუწყებელს განთიადური განათებისა, აღმოსავლეთიდან აღმოცისკრებულის.

ოსვალდ შპენგლერს წარმოესახა ევროპული დაისის პანორამა — მთლად ნიცშესებური მოურიდებლობითა და უკიდურესი სიმძაფრით არა, მაგრამ ხელშესახებად კი განაცდევინებდა მკითხველს ეპოქის ტრაგიზმსაც და მისგან თავდაღწევის აუცილებლობასა და საშურობასაც.

გრიგოლ რობაქიძესაც იმთავითვე ჩაითრევდა „ევროპის დაისი“ და საგანგებოდაც შეისწავლიდა ამ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ თხზულებასაც და მისი შემოქმედის პიროვნულ ბუნებასაც, იმ შპენგლერისა, ყველაზე უფრო ყურადსაღებ და ყველაზე უფრო საკამათო სახელად რომ ქცეულიყო თანადროულ ევროპაში.

— დაღუპვა დასავლეთის: თემა ტრაგიული მთელი კულტურისათვის. რომაულ-გერმანული შეხვედრით იღებს შპენგლერ ამ თავზარდამცემ თემას. „ამორფატის“ სულში გაჭრით ავითარებს იგი დასავლეთის აღსასრულს. იგი ჰქმნის გამოკვლევას, „ევროპის დაისი“, რომელიც რომანი უფროა, კონტრაპუნკტის ხაზებში გაშლილი.

სულიერების სათავისაკენ მიბრუნების გარდუვალობას ღაღადებდა დასავლური მიმწუხრის პანორამული სურათი.

ამ გარდუვალობას ადასტურებდა „გველის პერანგი“ — კონტრაპუნქტის ხაზებში გაშლილი რომანი.

ერთიანად მიდრეკილი მითოსური ჟამისაკენ, როგორც სულიერების სათავისაკენ, როგორც საფუძვლისაკენ ერის თვითმყოფადობისაო...

განსახიერებით კარდჰუში განსახიერებულიყო ეს სწრაფვა — სიმბოლოდაც და ცოცხალ არსადაც.

ამიტომაც ნატრულობდა ნატვრით, რომ არა სადმე სხვაგან, არამედ მცხეთაში გაეხსენებინათ მისი სახელი, რაკიღა ეს ქალაქი ესახოდა წმინდა საშოდ ჩვენი მიწისა და იქ ეგულებოდა მის ძვლებს საფლავიც კარდჰუსი.

მცხეთის მიდამო აერჩიათ ძველ მოგვებს, ერთი ადგილი: იქ ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ მზესა და ცეცხლს, და მცხეთის უბეშივე მივიღებდით ქრისტეს რჯულს, იქ გამოჭრიდა წმინდა ნინო ჯვარს ვაზისა წმინდა ნასხლავებისაგან და მოახვევდა მას თავის თმას.

იქვე მტკიცდებოდა ხელმწიფება საქართველოში.

მცხეთა როგორ წარმოედგინა და:

კამარამოკლებულ „მთელად“, ერთ დაუწერელ პოემად ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთზიარებისა.

სვეტიცხოველი როგორ წარმოედგინა და:

ამ ზიარების ქვით ნაშენ ტანად.

შედიოდი ტაძარში და ამჩნევდი კუთხეში პაწა სალოცავს, ძველისძველად აშენებულს, ტაძრის მშენებლებს კი ის არ დაენგრიათ.

თუ ეს ამბები, რასაც იხსენებდა, ქართული გენიის ნაპერწკალი გახლდათ, და ეს სალოცავი ამ მადლის განმარტებად წარმოდგებოდა, თითქმის აკვნად იმ პირველი ლოცვისა, რომელიც აქ აღმოხდენოდათ ღვთის ძის მიმართ მღვივან გულებს.

და ჩვენს ძველებს იმიტომაც არ ეხლოთ ხელი მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველი ლოცვის ნეტარმაცხოვლებელი კვალი.

რა სინაზე სუფევდა აქ, რა სისუფთავე ნივთიერებისადმი, რომელშიაც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაევლო...

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დაწყებულ ტრადიციას მხურვალე გამგრძელებელნი გამოუჩნდებოდნენ: თავისთავად და შეუთანხმებლადო...

ისე მაინც რა უცნაურად აეწყობოდა მათი ურთიერთობა!..

„ლომისის“ 1922 წლის მე-6 ნომერში კონსტანტინე გამსახურდიას სტატია რომ გამოქვეყნდებოდა: „ჩვენი კულტურ-პოლიტიკა“, გრიგოლ რობაქიძე 9 ოქტომბერს საყვედურის ბარათს მისწერდა კოტე მაყაშვილს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს: ამ გაზეთში ჩემი სახელი ცუდად არის ნახსენებიო.

არ აპირებდა გაზეთის ფურცლებიდანვე ეპასუხა წერილის ავტორისათვის, რომელსაც ხსენებითაც კი არ ახსენებდა.

არ აპირებდა პასუხს იმიტომ, რომ:

ავტორს არც ისეთი რამ დაეწერა ან ეთქვა საერთოდ, რაც „მეტად" მისაღები ყოფილიყო ქართული შემოქმედების დარგში; და არც ისეთი რამ ეთქვა ან დაეწერა, რაც გამოიწვევდა სასტიკ გალაშქრებას.

არსად ლიტერატურაში გრიგოლს მისი სახელი არ ეხსენებინა: არც ავად და არც კარგად.

იმას კი 1917 წლიდან მოკიდებული სიტყვა ისე არ ეთქვა, გრიგოლის სახელი არ ეხსენებინა: და თანვე ცუდად.

კოტე მაყაშვილისა და ალექსანდრე აბაშელის თანდასწრებით გრიგოლს ამ პიროვნებისთვის მოეხსენებინა მისი ხასიათის ორგანული დეფექტი. და ვიდრე იმ დეფექტს არ დაძლევდა, მისი აპერცეპციის პრიზმა მრუდი იქნებოდა.

თვითონ მისტიკოსს რომ უწოდებდა ის პიროვნება თავის თავს, თუკი მისტიკურად ჩახედავდა თავის ბუნებას, ამას, ამ ნაკლოვანებას უთუოდ შეიცნობდა.

გრიგოლს ძვირად შეხვედროდა ქართველი, რომელსაც იმის ხსენებაზე ოდნავ დამცინავი იერით არ გაეღიმა.

გრიგოლი რაკიღა აფასებდა არა-„თავისიანსაც", თავდაჭერილად უცქერდა მისგან ხსენებას. თვითონ მას კი რაღაც გრძნობა ლიტერატურაშიაც გადაჰქონდა. და როგორც ყოველთვის, აქაც მისი პრიზმა გაბზარულიყო.

თავის კრიტიკულ შენიშვნებს სამ მუხლად ჩამოაყალიბებდა.

საკითხი სუმბათაშვილისა-მარჯანიშვილისა-მესხიშვილისა ძალზე რთული გახლდათ. ამის თაობაზე გრიგოლი სხვა აზრისა იყო, ვიდრე ხსენებული ავტორი. საქართველოში სუმბათაშვილი პიროვნულად კოტე მესხიც ვერ იქნებოდა, საქართველო არც ისე უხვი გახლდათ ბიოლოგიურად, რომ შეძლებოდა სუმბათაშვილის გამეტება სხვისათვის.

ესეც ერთი ტრაგიკული კვანძი ქართული კულტურისა.

ვისაც სურდა ამის შესახებ რაიმეს თქმა, საკითხის ასეთ დაყენებას გვერდს ვერ აუხვევდა, მაგრამ დაე ამასაც ჩამოვხსნოდით: რა შუაში იყო რობაქიძე სუმბათაშვილთან?

სუმბათაშვილი რუსეთის რეჟისორი გახლდათ, არტისტი და მწერალი.

რობაქიძე კი ქართველი პოეტი და მოაზრე.

გამოდიოდა ხანდახან პარალელურად: რუსულ ენაზე: წერით თუ თქმით. ესეც იმდენად, რამდენადაც ესაჭიროებოდა ეს მის ქართულ ხაზს.

შესაძლოა საქართველოს არ მიეღო რობაქიძე, მაგრამ საქართველოს ისტორია უთუოდ აღნიშნავდა, რომ იგი უღელტეხილი იყო — ლექსში, პროზაში, პრობლემების წამოყენებაში.

ეს ფაქტი გახლდათ.

და წერდა ამას თავის თავზე როგორც მესამე პირი: ნაპოლეონისდაგვარად.

საყვედურით ეტყოდნენ: ქართული ხაზისათვის არ არის საჭირო პარალელურად გამოსვლა — ხანდახანაც კიო?

დამმუნათებელთ მიუგებდა, რომ:

ვარშავაში განზე გადგომა შეიძლებოდა, საქართველოში — არა: მითუმეტეს — ტფილისში, სადაც მრავლად მოიპოვებოდა უცხო ელემენტი. აუცილებელი ხდებოდა ამ უცხო ელემენტებისათვის თავი დაგვენახვებინა, რომ არ ვიყავით „პროვინციელნი". ამას მნიშვნელობა ენიჭებოდა. და თუ ესეც ხანდახან „რუსულად" გამოდიოდა, მხოლოდ ამ აზრით. შეეძლო ათჯერ „რუსულად" გამოსულიყო, მაგრამ თან ასჯერ გამოვიდოდა „ქართულად". ბოლოსდაბოლოს ეს შეძლების საქმე გახლდათ და მისი დახარჯვა სწორედაც გრიგოლის ნებაზე ეკიდა.

ანტიპატრიოტიზმზე ლაპარაკი მის შესახებ ისეთ გაუგებრობად ეჩვენებოდა, რომ აღარც იცოდა, რა სახელით მოენათლა მისადმი ასეთი მოქცევა.

ამ მუხლის შემდგომ მეორე მუხლზე გადავიდოდა, „სემინარიულ-რუსულს" რომ უხსენებდნენ, და იქით წაჰკრავდა მწვავე ნესტარს: ავტორს ყველაზე ნაკლებ შეუძლია რუსულზე ლაპარაკიო.

გრიგოლს ხომ წიგნი ჰქონდა გამოცემული რუსულად. გულისხმობდა 1919 წელს გამოქვეყნებულ პორტრეტებს: პეტრე ჩაადაევზე, მიხაილ ლერმონტოვზე, ვასილი როზანოვსა და ანდრეი

ბელიზე. და გამოჩენილი რუსი მწერლები აღნიშნავდნენ აღტაცებანარევი გაკვირვებით: არარუსი წერს ასეთი სტილითო!..

რაც შეეხებოდა მის რუსულ მეტყველებას ესტრადაზე, დაე ეკითხათ: მერეჟკოვსკისა, გიპიუსისა, ბერდიაევისა, მინსკისა და მრავალი სხვისათვის, და ისინი გიპასუხებდნენ, „სემინარიული" იყო ეს მეტყველება თუ არა. გრიგოლს ჰქონდა აქცენტი, როგორც არარუსს, მაგრამ ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო. ოღონდ როდესაც შთაგონებით ამეტყველდებოდა ხოლმე, ეჩვენებინათ რუსი, რომელიც შეამჩნევდა ამ აქცენტს.

და თავი და თავი: გამოსულიყო გრიგოლის გვერდით კარგი რუსი მეტყველი და მაშინ დაინახავდნენ ამის ძალას. იგი მრავალ ქართველს უსურვებდა ისე ლაპარაკს ქართულად, როგორც თვითონ რუსულად მეტყველებდა. ეს წვრილმანი გახლდათ, მაგრამ გრიგოლს ის აოცებდა, რომ ია ეკალაძის — ბანალობის ცოცხალი ძეგლის — ფეხის ხმას აჰყოლოდა ავტორი.

მესამე მუხლად აღნიშნავდა სრული კატეგორიულობით, რომ:

სახელოვნო კომიტეტის სახელით დებატები თეატრზე არ გაემართა. მისი სახელით მხოლოდ მჭედლიშვილის მოხსენებას გამართავდა: ისიც ქართველ ხელოვანთა სასახლეში და ყველა გამოსვლა — გარდა მომხსენებლისა — ორივე საღამოზე ქართულად მიმდინარეობდა. და მაშ რად დასჭირებოდა ავტორს ასეთი ტყუილი?!

ამით ამთავრებდა განსჯას და მიმართავდა კოტე მაყაშვილს — როგორც გავლენიან მწერალსა და როგორც კავშირის თავმჯდომარეს: „ლომისი" კავშირის ორგანო გახლდათ და მის ყოველ სიტყვაზე პასუხს აგებდა მთელი კავშირი. ამიტომაც თავმჯდომარისაგან მოითხოვდა, რომ: რჩევა-დარიგება მიეცა ავტორისათვის.

— მერწმუნეთ ბოლოს და ბოლოს ასეთი გამოსვლები მისთვის უარესია, ეს თქვენც იცითო, — დასძენდა და პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა: ეს ბარათი ალბათ დარჩება როგორც ისტორიული დოკუმენტიო.

პრესაში პასუხის გამოქვეყნებას ზედმეტად მიიჩნევდა, განსხვავებით იმ განმარტებისაგან, „სოციალისტ-ფედერალისტის“ 1921 წლის 10 ივლისის ნომერში რომ მოუწევდა ერთდროულად ორი ავტორის საპასუხოდ: ვახტანგ კოტეტიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიასი, თუმც არამცთუ მათი სტატიების სათაურებს არ ახსენებდა — ერთისა „ნაცარქექია კუდიანზე“ და მეორისა „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო“ — არამედ მათ ვინაობასაც. ზოგადად აღნიშნავდა, რომ ეს სტატიები იყო გამოხმაურება მისი მოხსენებისა ქართული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზების შესახებ, რომელიც წაეკითხა სომეხთა სახელოვნო სასახლეში მიწვევით.

ორივე წერილი დაწერილი იყო იმ ტონით, რასაც შეეძლო საზოგადოებაში არასასურველი აჟიოტაჟი გამოეწვია, და ამიტომაც მოვალედ მიიჩნევდა თავს ოქმის სისწორით აღედგინა თავისი ნათქვამი იმის თაობაზე, რასაც შეეძლო გაუგებრობის ნიადაგზე ფართო წრეები უმართებულოდ აემღელვებინა.

განა რა ეთქვა ამისთანა რუსთაველზე?

მან მისცა ქართულ სიტყვას სისრულეო, გამოთქმის ენერგია მის სიტყვაში მეტად დიდიაო, ამ მხრივ იგი ნამდვილი გენიოსიაო, რუსთაველის შემდგომ იწყება სიტყვის დეკადანსიო, სიტყვის სიძლიერით რუსთაველმა გადააბა საუკუნეები და მეფურად მოადგა მეოცე საუკუნესო, მეოცე საუკუნეში ახალმა პოეზიამ იწყო სიტყვის გადახალისებაო, ლიტერატურული ფორმა სიტყვისა წარმოიშვა ახალიო, სიტყვის ენერგიამ იპოვნა სხვაგვარი სიმართლეო, გამოთქმის ძალამ მონახა თავისებური რიტმი, რუსთაველს ამ მხრივ მოქიშპენიც ჰყავსო.

სად იყო აქ ნათქვამი, თითქოს გრიგოლს თავი დაეპირდაპირებინა რუსთაველისათვის და კიდეც დაემარცხებინა იგი?! ასეთი რამ არამცთუ თავისი თავის შესახებ არ ეთქვა, არამედ მთელი თავიანთი ესთეტიკური ჯგუფისაც კი. და ამიტომაც ვერა ხედავდა აქ რუსთაველის დამცირებას: რასაც მე ვლაპარაკობ, ჩვეული მოვლენაა ყოველ ლიტერატურაში და მის აუცილებლობას ვერ გადაურჩება ვერცერთი გენიოსი. ამის დისკურსიული მტკიცება შეურაცხყოფად მიმაჩნია ქართული

ლიტერატურისა (და ჩაურთავდა: მასზე მე უკეთესი აზრისა ვარო) და სიტყვას აღარ გავაგრძელებო.

რასიული „სუმბური" თბილისს ეხებოდა. ამის თაობაზე მას უკვე დაებეჭდა წერილიც „საქართველოს" ფურცლებზე, თუმც სხვა საბაბით: ლაპარაკობდა აქვსენტი ცაგარელის პიესაზე „რაც გინახავს, ველარ ნახავ". თბილისს მოეცა „მოქალაქის" ტიპი: ნამდვილი ეთნიკური „სუმბური". მასში ყოველი ხალხი მოიძებნებოდა: ქართველიც, სომეხიც, აზერბაიჯანელიც, სპარსელიც. თუ რას გამოეწვია ეს „სუმბური", ეს ისტორიის საქმე გახლდათ, მისი გამოსაძიებელი და გასარკვევი: გრიგოლს ეს ტიპი აქ მხოლოდ ლიტერატურულად აინტერესებდა. ამ ტიპს შეექმნა თავისებური ყოფა, თავისებური თეატრი, თავისებური ლიტერატურა.

ესეც ერთი ხაზი ტფილისისა.

როგორც ეს ტიპი არ გახლდათ წმინდა ქართული რასისა, ისე მისი ლიტერატურაც ვერ იქნებოდა წმინდა ქართული სტილის. სხვაგვარი იყო ფსიქიკა? მაშ სხვაგვარი იქნებოდა სიტყვაც. ამ მოვლენას ქართული ლიტერატურისათვის — „ქართის" ეთნიკური ელემენტისა — რამდენადმე სტილი შეერხია და სხვანაირად გაეხარა.

ესეც მისი აზრი და... განა რა შეიძლება ყოფილიყო აქ ანტიპატრიოტული?!

თუკი ტფილისში არსებობდა ეთნიკური „სუმბური", ის ამისაგან უნდა გაწმენდილიყო. აი ერთადერთი დასკვნა მისი, და თავისთავად ცხადია, რომ სხვა დასკვნა არც დაებადებოდა: სწორედ სტილის დაწმენდის მიზნით შეხებოდა ამ „სუმბურს".

ამ განმარტებას იკმარებდა.

რაც შეეხებოდა მის კარიერიზმსა და ანტიპატრიოტობას, ამის შესახებ ლაპარაკი სრულიად ზედმეტად მიაჩნდა, რადგანაც მის კარიერიზმსა და ანტიპატრიოტობას მხოლოდ მისი ბრაზმორეული მტერი თუ დაიჯერებდა.

გახმიანებით კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მის ერთ ბარათში გახმიანდებოდა, 1929 წლის 24 მარტს რომ მისწერდა კორნელიუს ბერგმანს, გერმანიის ქალაქ იენაში არსებული გა-

მომცემლობის „ოიგენ დიდერიხსის“ თანამშრომელს, რომელსაც მადლობას გადაუხდიდა თავაზიანი წერილისათვის და ფარული სიამაყით გაუმჟღავნებდა: ნუთუ ჩემი „გველის პერანგი“ მართლა ასე ღირებულიაო?

ამას წინათ ეს თხზულება იმ თვალით წაეკითხა, თითქოს მისი არც ყოფილიყოს და ახლა მასზე კრიტიკულადაც შეეძლო მსჯელობა. რომანის შთაგონების ძალა რომ ერთობ ძლიერი იყო, ამას ვერ უარყოფდა, მაგრამ... ამ შთაგონების ხორცშესხმას ჰიბრიდის ფორმა რომ მიეღო? და ამასთან დაკავშირებით აქვე გამოთქვამდა ვარაუდს: იქნებ ეს აღმოსავლური ხელოვნების თავისებურებაც იყოს საერთოდო?

გრიგოლის აზრით: სწორედ ამაში გახლდათ ამ თხზულების სიძლიერეც და იმავდროულად მისი სისუსტეც...

რაც შეეხებოდა მის ახალ რომანს... „მეგის“ გულისხმობდა — თემატურად „გველის პერანგს“ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, თუმც ახალი თხზულება უფრო ძლიერი ქარგით გამოირჩეოდა.

იქ: ჰიბრიდული ფორმა, აქ კი — ინდივიდუალურად სრულყოფილი. და „გველის პერანგის“ მკითხველს ეს რომანი იმედს ნამდვილად არ გაუცრუებდა — ამასთან მას შეეძლო მასობრივი მკითხველისკენაც ეპოვნა გზა... ამ თხზულების წაკითხვას ისინი უკვე მაისის დამდეგს შეძლებდნენ...

და ამ ფონზე:

— სულაც არ მიკვირს, რომ თქვენ მავანი მწერლის — გამსახურდიას იმ ნაწარმოებზე უარი განაცხადეთ. დიდერიხსის გამომცემლობა ნებისმიერ ნაწარმოებს ვერ მიიღებს. ვიმეორებ: დიდერიხსის გამომცემლობა უბრალო „გამომცემლობა“ არ არის, ეს არის პროგრამა, კულტურა, მოვლენა.

სქოლიოში პუბლიკატორის მიერ აღნიშნულია, რომ: გამსახურდიას გვარი ბარათის ტექსტში მერეა ჩამატებული.

მსჯელობა კი ასე გრძელდებოდა, რომ:

გრიგოლს სხვა თხზულებანიც მოეპოვებოდა, მაგრამ მათ ამ გამომცემლობას ვერასოდეს შესთავაზებდა. თავს ამის უფლებას ვერ მისცემდა, რადგანაც:

ნებისმიერი მწერალი უნდა შებრძოლებოდა თავის ზესთამჩენობას, რაკილა ჭეშმარიტი ხელოვნება პიროვნებიდან არც არასოდეს მომდინარეობდა: ის ყოველთვის ზეპიროვნული გახლდათ.

და სჯეროდა, რომ მისი თანამემამულენი ერთხელაც იქნებოდა შეიგნებდნენ ამ ჭეშმარიტებას.

თითქოს განზოგადებული განსჯაა, მაგრამ საერთო კონტექსტი გვაგრძნობინებს, რომ „თანამემამულეებში", რომელთაც „უნდა შეიგნონ ჭეშმარიტი ხელოვნების ზეპიროვნული ბუნება" და თავი დაანებონ „თავის ზესთამჩენობას", უპირველესად სწორედ კონსტანტინე გამსახურდიაა ნაგულისხმევი.

კიდევ ერთ ბარათში გაიელვებდა ეს გვარ-სახელი, მიხეილ ჯავახიშვილს რომ მისწერდა 1931 წლის 11 დეკემბერს:

დრეზდენში გავიცანი პროფესორი ჰოლდაკი, კონსტანტინე გამსახურდიას მეგობარი. დიდი მეგობრული გრძნობით იგონებენ მას: ჰოლდაკი და მისი ცოლი. შეხვედრისას გადაეციო.

და მოუბოდიშებდა, რომ მისამართი არ იცოდა, თორემ თვითონაც შეატყობინებდა.

ბოდენის ტბიდან გამოგზავნილ ბარათ-ესეიში „სულის დაშლა" საგანგებოდ განიხილავდა მის რომანს „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა" (თავდაპირველად ასე ერქვა, ვიდრე სათაური შემოკლდებოდა და „კონსტანტინე" ამოვარდებოდა), ოღონდ მანამდე შეეხებოდა სიმონ ჩიქოვანის წერილს, „პრავდას" ფურცლებზე გამოქვეყნებულს, მარჯვედ და მხვედრად რომ გაერჩია პაატა ვერძეულს „საქართველოს" 1944 წლის 110-ე ნომერში, მაგრამ გრიგოლს სურდა ამ სტატიას სხვა კუთხით მისდგომოდა.

რას ირწმუნებოდა სიმონ ჩიქოვანი?

იმას, რომ მწერლები:

გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, ვასო გორგაძე, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე აბაშელი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსანდრე ქუთათელი, შალვა აფხაიძე, ხარიტონ ვარდოშვილი, ვიქტორ გაბესკირია, მარიჯანი —

თავგამოდებით ემსახურებოდნენ საბჭოეთს.

გრიგოლ რობაქიძის დაბეჯითებული მოსაზრებით: თვითეულს რომ შეკითხვოდი, ამასვე გეტყოდა. და ყოველი მათგანი ამის თქმისას იქნებოდა გულწრფელი, მაგრამ არცერთი „ნამდვილი“ — იყენებდა ამ სიტყვას შესატყვისად გერმანულისა: „echt“.

კი მაგრამ... გულწრფელი როგორ შეიძლება არანამდვილიც ყოფილიყო იმავდროულად?

ბოლშევიზმის გავლენას სულიერ არეში მიიჩნევდა მეტად რთულ მოვლენად, უფრო ატმოსფერული რომ იყო, ვიდრე ფიზიკურ-ხელშესახები. და მისი რომანი „ჩაკლული სული“ უმთავრესად ამ ატმოსფეროს მხატვრული გადმოცემა რომ გახლდათ.

თვალსაჩინოებისათვის ამგვარ მაგალითს მოიშველიებდა:

ვინმე მხეცადქცეული ვაჟი ძალას იხმარდა ქალწულზეც, რომელსაც თავისი სიქალწულე საკრალურად მიაჩნდა. მისი წმინდათაწმინდა შეილახებოდა, სიცოცხლე კი თავისი გზით წავიდოდა მაინც. და პატივაყრილი ქალწულის ქვეშეცნეულ ფენებში თავს იჩენდა დროდადრო ერთი მეტად საიდუმლო და თან საგულისხმო პროცესი. ქალწულს გაუელვებდა ხოლმე ფიქრი: შესაძლოა სასწაული მომხდარიყო და მას კიდეც შეეყვარებინა თავისი პატივამყრელი. და... მაშინ?

მაშინ ის, რომ: მომხდარი თითქოს არც მომხდარიყოს და ქალწულიც აღარ დაიტანჯებოდა. და იგი დაუახლოვდებოდა თავის პატივამყრელს: დღითიდღე, თანდათან, თითქოს უნებლიეთ, დაუახლოვდებოდა, რადგანაც მოწადინებულიყო, მასში რაიმე დადებითი ენახა.

ნახავდა ასეთ რაიმეს, თუნდ სულ მცირეს, მაგრამ გააზვიადებდა უზომოდ. პატივამყრელი რასაკვირველია უცვლელი რჩებოდა; ქალწულს ხანდახან ეჭვიც ეპარებოდა დაახლოებაში, ხოლო უკან დახევა უკვე ძნელი შეიქნებოდა. იგი განაგრძობდა ერთხელ აღებულ გზას და ვერა ხედავდა, რომ ყოველი გადადგმული ნაბიჯი მხოლოდ უფსკრულისაკენ მიაქანებდა. მისი არსი ორდებოდა, მისი თვისების მთლიანობა ირღვეოდა.

იგი — ასე ვთქვათ — გულწრფელი გახლდათ თავის ქცევაში ყოველ წამს, ხოლო არცერთ წამს — ნამდვილი. ვინაიდან მეობა მისი გაბზარულიყო შინაგანად.

და საბჭოეთის მოქალაქე, არაბოლშევიკი, ასეთ ქალწულს აგონებდა გრიგოლ რობაქიძეს. ისიც გაბზარულიყო და გაორებულიყო და გამხდარიყო გულწრფელი და არანამდვილი ერთსა და იმავე დროს.

„საჩვენებელი პროცესები“ „მავნებელთა“ თუ „განხრილთა“, ასე რომ გავრცელებულიყო საბჭოეთში, ადასტურებდნენ მხოლოდ ამ რეალობას. საოცარი თუ საცნაური ამ პროცესებისა აქ ემარხა. მწერლობაშიაც იგივე ხდებოდა: ანუ შინაგანი ნამდვილობის დარღვევა.

და აი მაგალითისათვის მოიშველიებდა კონსტანტინე გამსახურდიას. შემთხვევა მიეცემოდა წაეკითხა მისი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელსაც, ქართველ ტყვეთა გადმოცემით, თვალსაჩინო გამარჯვება რგუნებოდა საქართველოში. რომანის ღერძი გახლდათ კონსტანტინე არსაკიძის ცხოვრება, რომელსაც აეშენებინა „სვეტიცხოველი“ — მცხეთის ტაძარი, კათოლიკოს მელქისედეკის დროს, დაახლოებით 1020 წელს. „სვეტიცხოველი“, როგორც ვიცოდით, უფრო ძველი გახლდათ; არსაკიძე მიანიჭებდა მას მხოლოდ იმ ფორმას, რომლითაც ამჟამად გვევლინებოდა.

მხატვრული თხზულებისათვის საბოლოო მსჯავრი რომ დაგედო, ამისათვის საჭირო იყო მისი ორჯერ წაკითხვა მაინც.

გრიგოლ რობაქიძე ამით თავს დაიზღვევდა: აქ მხოლოდ ჩემს პირველ შთაბეჭდილებას გავაცნობ მკითხველსო. და ამის კვალობაზე კი:

ჯერ ერთი:

ეპიკურ ნაწარმოებში „მთელი“ ისე უნდა ჩანდეს ხოლმე, როგორც კამარამოვლებული განფენილი ლანდშაფტი — ამ რომანში კი დეტალები ნთქავდნენ მთელს.

მეორეც:

ისტორიული რომანი მეცნიერული კვლევა არაა, და ცხადია აქ არყოფილსაც აქვს ადგილი, ხშირად სწორედ ამას; ხოლო არყოფილი ისე უნდა იყოს იქ გადმოცემული, თითქოს მართლაც ყოფილიყოს; ეს მოითხოვს დიდ ვიზიონერულ ნიჭს, აუცილებელს გზნებისათვის წარსულის „სულიერი ჰავისა“; წარმოსახული, ამ შემთხვევაში, არყოფილი, უნდა იყოს სახიერებული,

ვითარ ნამდვილი, ანუ როგორც ყოფილი — ამ რომანში კი მრავალი სცენა „ზღაპრაობის“ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მესამეც:

რომანში ყოველი ამბავი ცოცხლად რომ უნდა იყოს თხრობილი, ეს თავისთავად ცხადია; ხოლო იქ, სადაც მოთხრობილია საუკუნეებში გადასული ამბავი, ეს „ცოცხალი თხრობა“, ასე ვთქვათ, შორეთიდან უნდა ჰქროდეს, ანუ ამბის აღქმისას ერთგვარი „მანძილი“ უნდა იყოს დაცული — აქ კი ხშირად ისე მოთხრობილიყო ამბავი, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. და ამით — სხვათა შორის — ზემო მუხლში ნათქვამიც აიხსნებოდა: თუ ვერ წვდებოდი წარსულს ვიზიონერულად, მაშინ ძალაუნებურად შეგქონდა იქ „ჰავა“ აწმყოსი.

მეოთხეც:

მეორე ნახევარი რომანისა იმპრესიონისტულ-ფელეტონისტურად გაშლილიყო, რისი გამოისობითაც თხრობა ჰკარგავდა ეპიკურ ნელ განფენილობას, ეგზომ აუცილებელს წარსულის გადმოსაცემად.

ამასაც დასძენდა საგანგებოდ:

თუმც ეს რომანი გაცილებით უკეთესია, ვიდრე „დიონისოს ღიმილი“: ყოველმხრივო.

ახლა კი „დათმობასაც“ შეეხებოდა.

რომანში გამოყვანილიყო ერთი ფეოდალი, მეფის მოწინააღმდეგე, რომელიც ეკლესიასაც ებრძოდა, რადგანაც განხრილიყო წარმართობისაკენ (და გაოცებული ჩაურთავდა გრიგოლი: ეს XI საუკუნის დამდეგსო!!). მეფეს სურდა თავიდან „მოეცილებინა“ იგი, ეკლესიას სურდა მოეგო მეფის გული. გაიმართებოდა შეხლა-შემოხლა. ფეოდალი იძულებული შეიქნებოდა ერთხელ „სვეტიცხოვლის“ სასწაულმოქმედ ხატს მთხვეოდა, შინაგანად „უგულოდ“ რასაკვირველია. რამდენიმე წუთის შემდეგ მოკვდებოდა. ხალხს ეგონებოდა: ხატმა „უწია“ რჯულის უარმყოფელსო. ხოლო აქ სხვა რამეც გახლდათ. ფეოდალის უეცარი სიკვდილი გამოიწვევდა ათასგვარ მითქმა-მოთქმას. საქმე იქამდეც მივიდოდა, ხატსაც გასინჯავდნენ. მოიყვანდნენ ერთ ჯიშიან ძაღლს, რომელსაც ხატი ენით უნდა აელოკა. ალოკვის

შემდეგ ძაღლიც მოკვდებოდა წამსვე. გაირკვეოდა: თურმე ერთ აგენტს მეფისა მოეწამლა ხატი რაღაც სითხით.

შინაგანი მიმართება ამ ადგილისა ასე წარმოდგებოდა გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით:

მეფე „გაბითურდებოდა“ — ვინ უნდა ყოფილიყო ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთ საშუალებას მიმართავდა?

„გაბითურებულიყო“ ხატიც — რა შეიძლება ყოფილიყო ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცეოდნენ და ასე იყენებდნენ?

ბოლშევიკები? რასაკვირველია გაიხარებდნენ, როდესაც ამ ეპიზოდს წაიკითხავდნენ.

ხოლო ქართველნი? ყოველ ქართველს, ნამდვილ ქართველს ეს სცენა ისარივით მოხვდებოდა გულში.

შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა თავის მეფურ სიმაღლეზე, ამის მაგალითებსაც ხომ ვხედავდით საქართველოს ისტორიაში?

მაგრამ გრიგოლს ის შეაფიქრიანებდა და შეაწუხებდა, რომ აქ მალულად, თითქოს სუნთქვით, თვითონ „ხელმწიფების“ იდეაც „გაკაწრულიყო“, იდეა, რომლითაც გამართულიყო „ცხოვრებაი ქართლისაი“.

მაგრამ ესეც კიდევ არაფრად ეჩვენებოდა, რადგანაც მისთვის თავი და თავი ხატის შელახვა გახლდათ.

„სვეტიცხოველი“ საკრალურ შუაგულად წარმოდგებოდა საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლურ სახედ ამ შუაგულის.

მცხეთის ახლოს, ერთ გორაკზე, რომელსაც „მოგვთაის“ უხმობდნენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს სცემდნენ თაყვანს; მცხეთის გვერდით ეგულებოდათ კარდახუს საფლავიც; მცხეთაში მივიღებდით ქრისტეს რჯულს IV საუკუნის დამდეგს; აქ გამოჭრიდა წმინდა ნინო ჯვარს, რომელსაც თავის თმას მოახვევდა: უნივერსალური სიმბოლო მთელ საქრისტიანოში, მცხეთა უძველესი დედაქალაქი იყო საქართველოსი; მის წიაღში განისვენებდნენ მეფენი და მთავარნი. არ ყოფილა შემთხვე-

ვითი, რომ აქ აგებულ ტაძარს „სვეტიცხოველი“ დაერქმეოდა; გასაგები იყო ისიც, რომ ქართველთა განცდასა და შეგნებაში ამ „სვეტის“ ძალა „გასაგნდებოდა“, როგორც სასწაულმოქმედი ხატი — და აი რომანში ეს ხატი შეგინებულიყო.

რელიგიური კულტი განზეც რომ დაგვეტოვებინა — ეს „შეგინება“ ფსიქოლოგიურად მაინც მწველად იკვეთებოდა.

ეს რომ ერთი მოკლე ეპიზოდი იყო?

მაგრამ ხომ ვიცოდით: ხშირად ერთ წვეთ საწამლავსაც შეეძლო მოეწამლა მთელი წყარო. აი სადამდე მისულიყო გამსახურდიას „დათმობა“, იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთ დროს მისტიკოსად და მორწმუნედ მიიჩნევდა თავს! ახლა კი ამ „დათმობით“ მოეწამლა მას არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც.

ოლონდ თავი და თავი აქ ის იყო: საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმობას“ არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდაო.

წაეკითხა აგრეთვე პირველი წიგნი მისი ტრილოგიისა სტალინზე — ორი დანარჩენიც დაემთავრებინა თუ არა, ეს გრიგოლმა უკვე აღარ იცოდა. ეს წიგნი ლიტერატურულად უმნიშვნელო იყო; მასზე ლაპარაკიც არა ღირდა. და როგორც გადაეცათ გრიგოლისათვის ქართველ ტყვეებს, იგი მმართველ წრეებშიც ცივად მიეღოთ.

აქ მხოლოდ ერთი ფრიად საგულისხმო საკითხი იბადებოდა: როგორ მომხდარიყო, რომ ავტორი შეძლებდა XI საუკუნის დამდეგს მოქმედი არსაკიძის ცხოვრების ასეთუისე მხატვრულად გადმოცემას და ვერ შეძლებდა ხელოვნებით განსახიერებას იმ კაცის პიროვნებისა, რომელიც ამჟამად ჩვენს დროში ცხოვრობდა?

ეგებ თვალთმაქცობდა, როდესაც ტრილოგიის ამ პირველ წიგნს წერდა?!.

გრიგოლი ვარაუდსაც არ დაისაჭიროებდა, ისედაც დარწმუნებული გახლდათ, რომ:

არა, — რადგანაც გამსახურდია გულით მოწადინებულიყო სწვდომოდა მხატვრულად აღებულ საგანს. და... მაშ რატომ ვერ მოეხერხებინა განზრახვის ხორცშესხმა შესაფერისად? სწორედ

და მხოლოდ იმ მიზეზით: აქ მას, თუმც „გულწრფელს“, აკლდა „ნამდვილობა“.

მკითხველს უსათუოდ გაუჩნდებოდა შეკითხვა:

თქვენ მოიხმეთ გამსახურდია, როგორც მაგალითი, მაშასადამე გულისხმობთ, რომ სხვა მწერალთაც, ჩამოთვლილთაგან, ასეთივე მარცხი მოუვიდოდათ, და რამდენად მართალია ამგვარი შეფასებაო?

ამჯერად გრიგოლ რობაქიძე მოიშველიებდა გიორგი ლეონიძის პოემას სტალინზე: „ბავშვობა და ყრმობა“, და აგრეთვე გრძელ ლექსს, კოლექტიურს, რომლის ერთ-ერთი მონაწილე პაოლო იაშვილიც გახლდათ, რათა კვლავ დაედასტურებინა თავისი დებულება — დაშორიშორება გულწრფელობისა და ნამდვილობისა, და კიდევ...

თუმც ამ დებულებასაც და ამ სტატიასაც სჯობს სხვა დროს დავუბრუნდეთ, რაკიღა ამჯერად მზერას მივადევნებთ გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას ურთიერთობასა თუ... ურთიერთობის არარსებობას მათ შორის, რაღაც-რაღაცები მხოლოდ გაელვებით რომ გაიელვებდა და მათი ურთიერთობა — უშუალო თუ ეპისტოლური — არც არასოდეს გაიბმებოდა.

უცნობი საქართველოს პროფილის აღდგენას რომ შეეცდებოდა 1947 წელს და ასევეც დაასათაურებდა, პირველ კამარაში („ქართული ენა“) აღნიშნავდა „თხრობით პროზაში“ ქართველ მწერალთა თვალსაჩინო მიღწევებს და უპირველესად იგულისხმებდა კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც ყველაზე უფრო მძაფრ „მოშურნეს“ მათში.

თანაც მკითხველს სთხოვდა, რომ:

ამ სიტყვის — სულხან-საბა ორბელიანი წერდა „მეშურნე“-ს — ფესვს ნუ გაიხსენებდა, რადგანაც „მოშურნე“ ქართულში სწორედ იმას ნიშნავდა, რასაც გერმანული ასიტყვებდა როგორც Eiferer და რუსული როგორც – Ь °

აქვე შენიშნავდა, რომ ამ მწერლის უკანასკნელი რომანი „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“ მისივე „დიონისოს ღიმილს“ „უიშკლოდ“ ამარცხებდა: ენითაც.

ეს კი გამახარებელი მოვლენა გახლდათ, როგორც მარჯვე წინსვლა ავტორისა.

და უეცარი აღტკინება:

მისი მწიფობის ხანაში Vivat sapiens!

სწორედ ასე, ლათინურად ამჯობინებდა ამ წამოძახილს, ამ შემთხვევაში მარჯვედ მისადაგებულს, თორემ სხვა დროს შესაძლოა ქართულადვე მიედევნებინა: გაუმარჯოს სიბრძნესო!..

ესეის — „საუბარი კარჰდუსთან" — ერთ პასაჟში საგანგებოდ უნდა აღნიშნულიყო: მონაქროლი მითიური ჰავისა — რის დასტურადაც მოიხმობდა: ლეო ქიაჩელის ერთ სვანურ ნოველას, რომლის სახელიც ვერ გაეხსენებინა, არადა „ალმასგირ კიბულან" უნდა იგულისხმებოდეს, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველას „ტაბუ" და დემნა შენგელაიას რომანს „სანავარდოს", არ გამორჩებოდა შიო არაგვისპირელის რომანიც „გაბზარული გული".

ევგენი გეგეჭკორის სილუეტს რომ მოხაზავდა 1954 წელს, იმ 'ააყვედურითა და გულისტკივილთი დაიწყებდა, რომ:

ზოგიერთი მისი თანამემამულე ალმაცერად უცქერდა დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით მის განაპირა მხარეებს: გურიასა და სამეგრელოს. ასეთ „მამულიშვილებს" ვერ გაეგოთ, რომ ყოველი ტომი ქართველთა სხეობითი ასპექტი გახლდათ მთელის: საქართველოსი, ანუ ისეთი ნაწილი, რომლის თავისებურებაშიც მთელი ცნაურდებოდა. ქართველებს შეგვეძლო გვეამაყა სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხეულება ერისა და ტომისა იშვიათად მოეპოვებოდათ.

და ლიტერატურულ ფორმულადაც ჩამონაკვთავდა გრიგოლ რობაქიძე:

— საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურობაშია.

გრიგოლ იმის მომხრეც იქნებოდა, რომ: მწერლობა აყვავილებულიყო მეგრულადაც...

ოღონდ ამ ფრაზას დაწერდა თუ არა, შეშფოთდებოდა, ვაითუ პოლიტიკურად ცუდად გამოიყენონ ჩემი ნათქვამიო, და საჩქაროდ დასძენდა:

რასაკვირველია არა „მაფალუს“ ხაზითო — ამ ანტიქართულ მოძრაობას ზუგდიდის რაიკომის მდივანი რომ ჩაუდგებოდა სათავეში, ისააკ ჟვანია, და მოითხოვდა ერთხელ უკვე დასამარებული წამოწყების განახლებას, თადა აშორდიას სახელით გასიმბოლოვებულის: სამეგრელოს მხარის სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში მეგრულ ენაზე საქმის წარმოებასა და სწავლას. და სხვა გამოჩენილ პიროვნებებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიაც დაუპირისპირდებოდა ამ უკეთურ მოსაზრებას და მონაწილეც შეიქნებოდა მისი გაქარწყლებისა — იმჟამად მაინც...

პირწმინდად ლიტერატურული თვალსაზრისით კი განა რა უნდა დაშავებულიყო: პროვანსული მწერლობაც ხომ არსებობდა ფრანგულის გვერდით ერთ მთლიან რკალში საფრანგეთისა. ქართული მწერლობა ამით არას დაჰკარგავდა — პირიქით: კიდეც მოიგებდა. და ამის ნიმუშად გრიგოლ რობაქიძე შეახსენებდა მკითხველს, რომ: მეგრულში მრავალი სიტყვა არსებობდა ზედგამოჭრილი და მრავალი თქმა — მოხდენილი. და ეს შესაძლოა საზრდოდ ქცეულიყო ქართულისათვის. და ასევე შეიძლება თქმულიყო სვანურზედაც.

ხოლო ჩამონათვალში სამეგრელოს კუთხიდან გამოსულიყო სახელოვანი მწერლებისა, სხვათა გვერდით: იონა მეუნარგია იქნებოდა, დუტუ მეგრელი, შალვა დადიანი, ალექსანდრე აბაშელი, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, ჯაჯუ ჯორჯიკია თუ ტერენტი გრანელი — მოიხსენიებოდა კონსტანტინე გამსახურდიაც.

ხოლო „ფოთლების“ ციკლის 1956 წელს შედგენილ იმ რკალს სულაც იმით დაიწყებდა, რომ:

დიდი ინტერესით წაეკითხა კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დავით აღმაშენებელი“ პირველი წიგნი.

დაუფასებდა თანამოკალმეს დიდ შრომას, ზედმიწევნით რომ შეესწავლა ისტორიული წყაროები.

დაუფასებდა, სტილი იმ ეპოქისა სიუხვით რომ გადმოშლილიყო.

თუ როგორი ხელოვნებით განფენილიყო ეს ყოველივე, საგანგებო განხილვას ჩაიფიქრებდა, აქ კი გაკვრით აღნიშნავდა მხოლოდ ერთ დეტალს:

ფართოდ გაშლილ ისტორიულ გარემოში დავით იზრდებოდა ნელინელ, ივსებოდა ძალით, მტკიცდებოდა. ეს სინელე, ფრიად მნიშვნელოვანი ყოველი მხრით, რომანში ძალიან მარჯვედ გაყვანილიყო.

ავტორი გვპირდებოდა კიდევ ორ წიგნს. და გრიგოლი შორიდან გამარჯვებას უსურვებდა!

1961 წელს შედგენილ ნარკვევში „ვაჟას ენგადი“ კიდევ ერთხელ მიუბრუნდებოდა იმ სიას — მითიური ჰავის მონაქროლისა — და ხელახლა რომ გაიმეორებდა, „ტაბუსაც“ მოიხსენიებდა. ამჯერად აღარ დაავიწყდებოდა ლეო ქიაჩელის ნოველის სათაური, სამაგიეროდ ვეღარ აღიდგენდა სახელწოდებას არისტო ჭუმბაძის ერთი ვრცელი მოთხრობისა, ქუთაისურ გაზეთ „კოლხიდაში“ რომ იბეჭდებოდა, და პირნავარდნილი მიბაძვა იყო კნუტ ჰამსუნისა, მაგრამ შესავალი კი მისი ისეთი რამ გახლდათ, ჰამსუნს რომ არც მოელანდებოდა. იგონებდა იმ შესავალს უკანგახედვით და ფიქრობდა: პროზაში ის თითქმის გაეტოლება მას, რაც ვაჟა-ფშაველამ მოგვცა იმ ლირიკულ ნაკვეთში „გველის-მჭამელისა“: როცა კი შემობინდდება, კისკასი ისმის ალისაო...

ოო, რარიგ მოენატრებოდა მისი გადაკითხვა. არისტო ჭუმბაძის იმ მოთხრობისა.

იმავე ნარკვევში მალევე უნდა გამოეცალკევებინა იმ ხუთეულიდან სამეული, როგორც მეგრელები: კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი და დემნა შენგელაია — დასტურად და თვალსაჩინოებად იმისა: კოლხეთის მითიური მარაგი სამეგრელოში ჯერ კიდევ რომ არ მილეულიყო.

ამას მოწმობდა ერთი ფაქტიც — მეტად საგულისხმო:

ვაჟას დაბადების 100 წლისთავზე უთვალავი წერილი რომ გამოქვეყნდებოდა, გრიგოლი ყველას წაიკითხავდა და აღმოაჩენდა, რომ ვაჟას — პოეტს მითიური რეალობისა — ყველაზე უფრო სწორედაც მეგრელები მიუახლოვდებოდნენ: ჯერ იგივე კონსტანტინე გამსახურდია, და შემდეგ: აკაკი გაწერელია, სიმონ ჩიქოვანი, ვიქტორ გაბესკირია და ვინმე (რაკილა გრიგოლისათვის უცნობი სახელია) ალიო ადამია — იგი უკვე პოეტური

გზნებით. ამ ლექსს მთლიანად დაიმოწმებდა და დასძენდა: ისეთია, ვაჟასაც აუჩუყებდა გულსო.

როგორც ჩანს, თვითონ გრიგოლს აჩუყებოდა გული მისი წაკითხვისას.

სანტიმენტალობა მოეძალებოდა სიმონ ჩიქოვანის სურათის ხილვისასაც: ხანშესული ანდრე ჟიდს დამსგავსებიაო.

ხოლო მანამდე კარგა ხნით ადრე — 1947 წლის მწიფობისთვეში, როდესაც ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს გამოუგზავნიდა თავის გულნადებს, მტკიცებას იმისა, რომ სულაც არ იდგა „მეორე“ ნაპირზე, ამ მღელვარე ჩანაწერს დაიწყებდა იმ ეპიზოდის გახსენებით, მისთვის სამი თვის წინათ რომ ეცნობებინათ პარიზიდან, მათთვის კი ილია თავაძეს ეამბნა, ყოფილ წევრს საქართველოს მთავრობისა:

როდესაც ბერლინი, 1945 წელს საბჭოთა ჯარების მიერ ალყაშემორტყმული, ცეცხლის ქვეშ ნადგურდებოდა, მივარდნილიყო მთავრობის სასახლეში ერთი ჯგუფი მწერალთა კონსტანტინე გამსახურდიას მეთაურობით და ითხოვდნენ: რაიმე ეღონათ გრიგოლ რობაქიძისა და მიხეილ წერეთლის, რომელნიც იმჟამად ბერლინში ეგულებოდათ, გადასარჩენად.

მრავალი შერხევა განეცადა გრიგოლს ნეტარი წუთით, მაგრამ ასეთი სიმძაფრით — არცერთი. და აღფრთოვანებული ამ საქციელს ასერიგად განაზოგადებდა და გაასიმბოლურებდა:

ასეთი რამ მხოლოდ დიდი კარდჰუს სამფლობელოში თუა შესაძლოო.

მრავალ ცრემლს დაღვრიდა ამ ამბის მოსმენისას, ცრემლს ნეტარებისა.

და ახლაც კვლავინდებურად შეძრული (გრიგოლი კვლავ „შერხეულის“ განმეორებას ამჯობინებდა) გახლდათ, იგონებდა რა ამ ამბავს.

მადლობა გამოეცხადებინა იმ მწერლებისათვის?

ეს ემსგავსებოდა: მადლობა გამოეთქვა მღვდელმთავრისადმი ზიარებისათვის.

დეე ეს „აქტი“ დარჩენილიყო წვეთად სამშობლოდან მოგვილი ზედაშისა, რაიც ეგემა გრიგოლს, სამუდამოდ გადმოხვეწილს.

სწორედ ამ ამბავს აეღებინებინა ხელში კალამი მისთვის, რათა გადმოეშალა — მოკლედ მაინც თავისი გულნადები.

ამ გულნადებში ჩაერთვოდა, უფრო ზუსტად — ეს გულნადები გასრულდებოდა იმ თხოვნით, ეგებ რომელიმე ამათგანს შეევლო მცხეთის ტაძარში და გაეხსენებინა მისი სახელი იმ პაწა სალოცავის წინაშე, რომელშიც კვლავინდებურად იხილვებოდა მადლი სწორუპოვარი კარდჰუს გენიისა.

ნეტა მართლა შეივლიდა ვინმე?

იმ ეპიზოდის მერე უკვე ესეც აღარ ეეჭვებოდა და... კონსტანტინე გამსახურდია რომ უსათუოდ ესტუმრებოდა სვეტიცხოველს უშუალოდ ამ მიზნით — გაეხსენებინა გრიგოლ რობაქიძის სახელი იმ პაწა სალოცავის წინაშე — ამ სურათს ხომ ისე ხედავდა თავის წარმოსახვაში, თითქოს აგერაა და თვალდათვალ შეჰყურებსო.

სრულიად შეეცვლებოდა განწყობილება კონსტანტინეს მიმართ და სანდრო ფანჩულიძესთან გაგზავნილ ბარათშიც — 1961 წლის 1 ივლისით რომ თარიღდება — ამიტომ ითხოვდა მიეწოდებინათ მისთვის გაზეთები და ჟურნალები, რომელშიც გამოქვეყნდებოდა მასალები კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ყველაზე უფრო ვრცლად მათ ხილვას მაინც ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე მოელოდა.

ეეჭვებოდა: მის სახელზე ეგზავნათ სანდროს მიერ მისთვის გამოწერილი ჟურნალები — ხსენება მისი სახელისა „იქ“ არ შეიძლებოდა. მიმოწერა დასთან? მარტოდენ „მოკითხვის“ სახისა რა სათვალავში ჩასაგდები იყო.

ამიტომაც ცდილობდა ყველაფერი ეღონა, რათა კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო თარიღის აღმნიშვნელი მასალები არ გამორჩენოდა.

სრულიად შეეცვლებოდა განწყობილებაო...

თუმც ეს კარდინალური ცვლილება ხელს ვერ შეუშლიდა, კვლავაც კრიტიკულად მოპყრობოდა იმ ეპიზოდს „დიდოსტატის მარჯვენადან“, სასწაულმოქმედი ხატის ამბორი ადამიანს რომ შეინირავდა. ლიტერატურული დიალოგისას, კალისტრატე

სალია რომ მოამზადებდა 1953 წლის 25 თებერვალს ჟურნალისათვის „ბედი ქართლისა“, დემონური ძალების წინაშე დათმობის მაგალითად სწორედ ამ ეპიზოდს მოიხმობდა და სიტყვა-სიტყვით გაიმეორებდა, რაც რამდენიმე წლის წინანდელ სტატიაში ეწერა.

ვერ ეპატიებინა და ვერა ის „გაბითურებანი“... თუმც აღარ ითვალისწინებდა, რომ: გაცილებით იოლი გახლდათ ამ ყველაფრის განსჯა შორიდან, რკინის ფარდის მიღმიეთიდან, უხიფათო გარემოდან — ამ მხრივ უხიფათო, თორემ აგერ თვითონ გრიგოლ რობაქიძეც როგორ შარში გაეხვეოდა ადოლფ ჰიტლერსა და ბენიტო მუსოლინიზე დაწერილი წიგნაკებისათვის, კინალამ საბედისწეროდ რომ გაუხდებოდა და ლამის სიცოცხლის ფასადაც დაუჯდებოდა.

აბა თვითონაც აქ ყოფილიყო, ამ დამთრგუნველი, ტრაგიკული მოვლენების შუაგულში, ყოველ ღამე დაპატიმრების შიშით, მიხეილ ჯავახიშვილის სისხლი ჯერაც რომ არ აწმენდილიყო, და არც პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, სანდრო ახმეტელის...

ნებით თუ უნებლიეთ რაღაცები ახდენდა შენზე ზეგავლენას, ყოველ ნიუანსს რომ ვეღარ გაითვალისწინებდი არატირანულ გარემოში მცხოვრები მკითხველის თვალთახედვით — თუმც ამჯერად სხვა მოტივი უფრო იჭარბებდა თუნდ ამ ეპიზოდის წარმოსახვისას.

ისტორიული რომანი მეტად პირობითი ჟანრია და განსაზღვრება — ისტორიული — მხოლოდ იმას მიგანიშნებს, ზოგადი ფონი და ანტურაჟი რომ იქნება გარდასული ხანისა, თორემ არავის დაუწერია ამ ჟანრის თხზულება, უპირველესად თავისი თანადროულობის გამოხატვა რომ არ ეცადა — იმ პრობლემების, იმ სატკივრის, იმ საფიქრალის, ყველაზე ძალიან რაც აწუხებდა თვითონაც და მის გარშემომყოფთაც.

ეს ყოველივე ხან ძალიან მკვეთრადაც იჩენს ხოლმე თავს.

ხან უფრო შეფარულია.

„დიდოსტატის მარჯვენა“ სწორედაც რომ მკვეთრად წარმოსახავდა თანადროულობას: ხელოვანის ტრაგიკულ ბედისწერას ტირანულ სახელმწიფოში — სატკივარს, რასაც არაფერი, სრულიად არაფერი ჰქონდა საერთო XI საუკუნის საქართველოსა და

გიორგი პირველისა და სვეტიცხოვლის ამშენებელ არსუკისძესთან, მაგრამ ზედმიწევნით ემთხვეოდა გასაბჭოებული საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობას და მწერლის უმძიმეს ხვედრს ანტიჰუმანურ, ანტიხალხურ გარემოში, გიორგი პირველი სინამდვილეში საბჭოთა იმპერატორს რომ გულისხმობდა და კონსტანტინე არსაკიძე — თვითონ მწერალს, ჯერ ისედაც რომ არ იქნებოდა ძნელი ამოსაცნობი, მაგრამ სრული გამჭვირვალობისათვის გმირს თავის სახელს დაარქმევდა და თავიდან აკი რომანის სახელწოდებაშივე გაიტანდა.

სტალინად ნაგულისხმევ გიორგი პირველს რაოდენ სახიერად, კოლორიტულად, შთამბეჭდავად წარმოსახავდა, თვითონ სტალინის ბიოგრაფიის მხატვრული გააზრება კი ძალიან და ძალიან გაუძნელდებოდა და... სულაც მიატოვებდა ამ თემას, ბავშვობას რომ ვერც გამოსცილდებოდა, ისიც მეტად უფერულად, მეშვიდეხარისხოვანი მწერლის დონეზე აღწერილს.

გრიგოლ რობაქიძესაც აოცებდა ასეთი დაშორიშორება ამ ორი რომანისა.

არადა გასაკვირიც რა უნდა იყოს:

გიორგი პირველს თავის ნებაზე ხატავდა კონსტანტინე გამსახურდია — გამჭვირვალე მინიშნებით, მაგრამ მაინც მეთერთმეტე საუკუნის მეფე ერქვა და არა მეოცე საუკუნის წითელი იმპერატორი, რომლის წარმოსახვაც მხოლოდ და მხოლოდ სახოტბო ჟანრით შეიძლებოდა, ჟანრით, რაც არ ეხერხებოდა მისი მხატვრული აზროვნებისა და სტილური მანერის მწერალს, განსხვავებით, ვთქვათ, გიორგი ლეონიძისაგან, რომელიც სახოტბო ჟანრშიც დიდ სიმაღლეს მიაღწევდა.

...რაიმე იღონეთ გრიგოლ რობაქიძისა და მიხეილ წერეთლის გადასარჩენადო...

ვერცერთი ნეტარი წუთი ვერ შეედრებოდა გრიგოლის ცხოვრებაში ამ წუთს თავისი სიმძაფრით — ამ ამბავს როდესაც შეიტყობდა.

და დაღვრიდა ცრემლსაც, დიდი კარდჰუს სამფლობელო იმ მთავარ ძარღვს კვლავინდებურად რომ ინარჩუნებდა.

მადლობა შეეთვალა?

ეს ხომ იმას ემგვანებოდა, მღვდელმთავრისათვის გამოგეცხადებინა მადლობა ზიარებისათვის.

მწერალიც თავის მწერლურ ვალს იხდიდა — სხვაგვარად ანკი როგორ?!.

და ამ ვალს უსათუოდ მოიხდიდა მაშინაც, გრიგოლ რობაქიძის ის თხოვნა თუ ანდერძი რომ მიწვდენოდა ყურთ... ერთი იმდენი, მიწვდენოდა, თორემ ვინ ან რა ააღებინებდა ხელს!..

საქართველოში შენ ერთი მაინცო, — რაღაც ამგვარს უეჭველად გაიფიქრებდა გრიგოლ რობაქიძე, კურცხალს რომ შეიწმენდდა ღაწვზე...

* * *

ძალიან განიცდიდა შოთა შავგულიძე, მადლიერება რომ ვერ შეეთვალა გრიგოლ რობაქიძისათვის. თავს საყვედურობდა, უფრო უნდა მომენდომებინაო. თვითონ როდესაც დასჭირებოდათ მწერალთან დაკავშირება, ხომ მოახერხებდნენ?!. და ახლა განა რა გამხდარიყო მადლობის გადახდა, ხმას ვერაფრისდიდებით რომ ვეღარ მიაწვდენდა?!.

თუმც... განა რა შეეძლო — გერმანული ჟურნალის რედაქციას ყუმბარა რომ იმსხვერპლებდა, გრიგოლისაკენ მიმავალი კვალიც წაიშლებოდა, სხვა მხრივ კი აბა როგორღა გაეღწია ტყვეთა ბანაკიდან მადლობის სიტყვას?!.

მაინც წუხდა — რაღაც უნდა მეღონაო.

მისი პატიოსანი ბუნება ვერ ეგუებოდა ამხელა სიკეთისათვის — გარდუვალი სიკვდილი რომ მოელოდათ მასაც და მის მეგობრებსაც — მადლიერება არ გამოეხატათ.

ვალად რჩებოდა, გულზე მძიმედ რომ აწვა.

გაეცლებოდა ამ სამყაროს გრიგოლ რობაქიძე და... გადაუხდელი ვალის სიმძიმე კიდევ უფრო გააწვალებდა შოთა შავგულიძეს.

და აი უეცრად უნდა შეეტყო მწერლის ის ნატვრა მთელი საქართველოსადმი:

სვეტიცხოველის მცირე სალოცავის წინ ქართველ დედას სანთელი დაენთო და ლოცვით მოეხსენიებინა მისი სახელი წიფობის თვეში. და ეს რიტუალი ყოველწლიურად აღსრულებულიყო.

ტრადიციად დამკვიდრებაში მწერალს ეგებ ძველი კოლხური მისტერიებიც ელანდებოდა და მის თავისებურ გამოძახილადაც განეზრახა ეს რიტუალი, მისი ხსოვნა, ემიგრანტის შხამფიალა-შესმულისა, ასე მაინც რომ შემონახულიყო მანამდე, სანამ დემონოკრატიული სახელმწიფო არსებობას შეწყვეტდა და საქართველოც თავს აიშვებდა ამირანივით.

ამდენს უკვე აღარ დაგიდევდა შოთა შავგულიძე, მთავარია, რომ მის ყურამდეც მოსულიყო გრიგოლ რობაქიძის ნატვრა და... აჰა ის საშუალებაც ვალის გადასახდელად.

და კიდეც დაავალებდა თავის ქალიშვილებს ამ ნატვრის აღსრულებას, მწერლის ანდერძადაც რომ უნდა ეგულისხმათ და მამის ანდერძადაც, მერეც რომ არ უნდა შეეწყვიტათ ეს ტრადიცია, როდესაც მამაც აღარ იქნებოდა სამზეოზე.

კიდეც უერთგულებდნენ ამ ანდერძს, ამ საქვეყნოდქცეულ მოვალეობას და ყოველ წიფობისთვეს სანთელს დაანთებდნენ იმ მცირე სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდნენ გრიგოლ რობაქიძის სახელს.

...მეტს ანკი რას სთხოვდა საქართველოს?!.

თავი მეორე

ნაპერწკალი – ხორცში ტანჯული, ხორცი – ელვით ნატანჯი

ეს ბარათი 1928 წლის 14 სექტემბრით თარიღდება. სულ რამდენიმე სტრიქონია და მხოლოდ გრიგოლ რობაქიძემ და შტეფან ცვაიგმა იციან, თუ რომელი წიგნი იგულისხმება, ქართველი მწერალი მაშინვე რომ იპოვნიდა წიგნების ერთ მაღაზიაში. გამყიდველი ეტყოდა, რომ ეს ეგზემპლარი უკანასკნელი უნდა ყოფილიყო მთელ მოსკოვში. მეტი იშვიათობაც რაღა?!. და ბედიც ამას უნდა ჰქონოდა — ამ შემთხვევაში, თორემ... გრიგოლის ბედი ვინა თქვა?!.

ქართველი მწერალი ამცნობდა, რომ იმ დღეს, საღამოს ისინი შეხვდებოდნენ ერთმანეთს: ან ცვაიგთან, დაახლოებით შვიდის თხუთმეტ წუთზე, და ან აკადემიაში — სხდომაზე.

ესაა და ეს. და მაინც მეტად მნიშვნელოვანია ეს ერთიბეწო წერილი. ვითომ რატომ? რატომ და: ისინი უკვე პირადად იცნობენ ერთმანეთს — მოსკოვში ტოლსტოის დღეებზე ჩასულები; არადა კარგა ხანია მიმოწერა აქვთ გამართული, მათ ეპისტოლურ ურთიერთობას გრიგოლ რობაქიძის ბარათი რომ გახსნიდა: 1927 წლის 25 მარტს.

და აი ქართველი მწერალი მისთვის უცნობ გერმანელ თანამოკალმეს გაუგზავნიდა „გველის პერანგის" გერმანული თარგმანის წინასიტყვაობას, რათა მისი მეშვეობით შტეფან ცვაიგს დაახლოებით შეძლებოდა წარმოდგენა ამ ნაწარმოების ხასიათისა.

ბუნებრივია ის არ შეიცავდა იმ ძარღვს, რაც ნიშანდობლივი გახლდათ „ამოკისა" და „გრძნობათა შფოთვის" ავტორისათვის,

მასთან ხომ სულ მცირე „წვრილმანიც“ კი უხილავი ძაფით იხვეოდა ისე, რომ ეს წვრილმანი თანდათანობით სამუმად იქცეოდა და ძაფი — ლასოდ, რომელიც გადმოტყორცნილია სამუმის მიერ; არ შეიცავდა დინამიკას, და ზუსტად არ იცოდი, სამუმი გლეჯდა ლასოს თუ ლასო აცლიდა სამუმს თავს, ან ორივე, ერთმანეთს გადახლართული, მკვდარივით ქვავდებოდა...

მაგრამ გრიგოლს სჯეროდა, რომ მის რომანში გერმანელი მწერალი შენიშნავდა სულიერ ლანდშაფტებს, რომლებიც ისე ჩანდა, თითქოს მსგავსნი და მშვიდნი იყვნენ, თუმც შორიდან „უჩინარნი“ მკაფიო და ხელშესახებ წარმოდგენას გვიქმნიდნენ ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე...

ქართველი მწერლის თხოვნა გახლდათ: ეჩუქებინა ცვაიგს ერთი დღე ან საღამო (სწორედაც რომ „ეჩუქებინა“), რათა მისი ნაწარმოები წაეკითხა — და ამასთან: შეფასებისას ყოფილიყო უკიდურესად მკაცრი (ეიმედებოდა ლიტერატურული ეროსისა, რომელიც ცვაიგს ასე უხვად მომადლებოდა).

შეწყნარება სჭირდებოდა მხოლოდ „ადამიანს“, მაგრამ არა „შემოქმედს“.

პოეტური სიტყვა ხომ მაგიური ტონი გახლდათ, უშუალოდ ღმერთს რომ მიემართებოდა (ეს ჩემთვის არაა მეტაფორაო, — დასძენდა). ამიტომაც საჭირო იყო აგეტანა ცეცხლის განმწმენდი ძალა... და თუ „გველის პერანგი“ — გერმანელი მწერლის შეფასების პროცესში — ცეცხლის ამ ძალას გაუძლებდა, მაშინ გრიგოლი თხოვნით სთხოვდა რამდენიმე სიტყვის დაწერას, ასე-რიგად რომ ესაჭიროებოდა ევროპელი მკითხველის დაინტერესებისათვის...

— საქმე ეხება არა პოეტის ლიტერატურულ სახელს, არამედ ერთი პატარა აღმოსავლელი ერის სულიერი მდგომარეობის გაცნობას ევროპელი ხალხებისათვის.

ზედიზედ ორჯერ იმეორებს: ევროპელიო...

გერმანული კულტურული სივრცე ერთ ყველაზე საიმედო გარემოდ ეგულება გზის გასაკვლევად მთელ ევროპაში — თუკი გერმანიის სამწერლო წრეები აღიარებდნენ „გველის პერანგს“, ეს სრული საწინდარი იქნებოდა, სხვა დასავლელი

ხალხებიც რომ მოინდომებდნენ ამ რომანის ამეტყველებას თავთავიან ენაზე, მერე უეჭველად რომ დაინტერესდებოდნენ გრიგოლ რობაქიძის მთელი შემოქმედების გაცნობითაც.

მაგრამ ხომ შეიძლება უნუგეშოდ ჩაკარგულიყო „გველის პერანგი“ გერმანულ წიგნთა ნაკადში?

უცნობი ქვეყნის შვილის რომანს ვითომ ხელიდან არ გაუშვებდნენ? ეჰ, ნაკლებ და ნაკლებ მოსალოდნელი ჩანდა, და ამიტომაც იყო აუცილებელი, სახელოვან მწერალს ეწინამძღვრა მისთვის, გამორჩეულ მოვლენადაც შეერაცხა — თუკი „გველის პერანგი“ მისი შეფასების ცეცხლის ძალას გაუძლებდა — და მის დასამკვიდრებლადაც გარჯილიყო გერმანელი საზოგადოების ცხოვრებასა და ცნობიერებაში. ყველაზე ცნობილი გამომცემლობა რომ დაინტერესდებოდა თვით შტეფან ცვაიგის მოწონების სტრიქონების წაკითხვისას, ეს თავისთავად, სწორედაც მისი თანადგომა ითამაშებდა შესაფერის როლს... გერმანელი მკითხველის აჟიოტაჟი კი ძალაუნებურად მიიზიდავდა სხვა დასავლელი ქვეყნების ყურადღებასაც, ძალიან მალე ეს ყოველივე საერთოევროპულ ცნობისწადილად რომ გამოიკვეთებოდა.

ბოლოსდაბოლოს გრიგოლ რობაქიძე მარტოდენ თავისი ლიტერატურული სახელისათვის ხომ არა ზრუნავდა, არამედ თავისი მშობლიური ქვეყნის შემოსაყვანად დასავლურ თვალთახედვაში, მათთვის ამ პატარა აღმოსავლელი ერის სულიერი მდგომარეობის გასაცნობად.

და ეს მითუფრო აუცილებელი გახლდათ, რომ წამიერი გამონათების შემდგომ კვლავ წაშლილიყო ჩვენი სახელმწიფოებრიობა, კვლავინდებურად რუსეთის იმპერიის სამხრეთ პროვინციად აღვიქმებოდით და: სამხედრო-პოლიტიკური მარცხის გამოსწორება, ყოველ შემთხვევაში — ერთგვარი შემსუბუქება მაინც ჩვენი კულტურული მონაპოვრების გატანით თუ იქნებოდა შესაძლებელი საერთაშორისო ასპარეზზე.

გატანითა და დამკვიდრებით.

საამისოდ ყველაფერი უნდა გვეღონა, ყველაფერი გვეცადა, ყველაფერს მოვჭიდებოდით და... გრიგოლ რობაქიძეს ძალიან ეიმედებოდა თავისი რომანისა — მხატვრული ძალითაც და სუ-

ლიერების იმ გამოვლინებითაც, ერთ კერძო მწერალზეც რომ შეუქმნიდა აზრს დასავლეთს და იმ უცნობ ქვეყანაზეც, რომლის გაცნობასაც დაეშურებოდნენ.

უფო ხელსაყრელი ვითარებაც რაღა გვინდოდა:

რაბინდრანათ თაგორის სახელს ისე გაებრწყინა ევროპულ წიაღში და ისე აღიარებულიყო თანამედროვეობის ერთ-ერთ სულიერ წინამძღოლად, მარტოდენ ინდოეთი კი არ ექცია დასავლეთის თვალში გამორჩეულ ქვეყნად, არამედ მთელი აღმოსავლეთი, კიდევ უფრო რომ მიიზიდავდა და გააღრმავებდა ევროპელ სწავლულთა სწრაფვას ამ სამყაროსაკენ.

ამ სასიკეთო ვითარების გამოყენებას შეეცდებოდა გრიგოლ რობაქიძე, თაგორის თაყვანისმცემელთა შორის თვითონაც რომ ჩადგებოდა და არამარტო მის საგალობლებს გადმოიღებდა ქართულად და ესეებსაც მიუძღვნიდა ქართულ და რუსულ ენებზე, არამედ მის შემოქმედებით ძიებებშიც შემოიჭრებოდა ინდური თემატიკა და ორ მინიატურასაც შექმნიდა ამ შთაგონებით: „მაიასა“ და „ლოტოსს“.

და შტეფან ცვაიგთან მიწერილ ბარათშიც საგანგებოდ აღნიშნავდა თავის ერზე: აღმოსავლურიო...

სხვა შემთხვევაში ხაზს იმ გარემოებას უფრო გაუსვამდა, საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე რომ არსებობდა და ერთ სამყაროსაც ისევე რომ ეკუთვნოდა, როგორც მეორეს.

უსათუოდ მოიხმობდა ერთ-ორ მაგალითს მაინც, რარიგ ახლო იყო საქართველოს საუკუნეთა განმავლობაში დასავლურ წრესთან — პოლიტიკურადაც და კულტურულადაც და უიმისოდ არც გაეძლებოდა.

აღმოსავლეთი ძალით ითრევდა თავის უბეში?

საქართველო კვლავინდებურად დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა.

ეს შეხედულება იქნებოდა გულისგული გერმანელ მწერალთან მიწერილი ბარათისა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე — ყოველმხრივ რომ განსჯიდა რეალობას — ამჯობინებდა კვალში ჩადგომოდა რაბინდრანათ თაგორს და მის მიერ გაჭრილ გზაზე

შეედგა თვითონაც ფეხი... იმ წუთას ეს არჩევანი უფრო საიმედო ჩანდა და... არც უმტყუნებდა გუმანი.

შტეფან ცვაიგი აკი კიდეც დააწყვილებდა თავის წინასიტყვაობაში ამ ორ სახელს — თაგორისა და რობაქიძის — და „გიტანჯალივით" აზიდავდა „გველის პერანგს" ევროპის განთიადური განათების მაუწყებლად.

ლიტერატურული საქართველო ევროპაში სამოგზავროდ რომ აცილებდა, ერთი პოეტი ჰკითხავდა:

— უპირველეს ყოვლისა ვის მიმართავ?

და ვიდრე გრიგოლი მიუგებდა, მისი შემოქმედებითი ძმა თვითონვე, ინტუიციური გულით, ნათელმხილველივით დაუყოვნებლივ წარმოთქვამდა:

— ბუნებრივია შტეფან ცვაიგს.

და თურმე ეს უნდა ყოფილიყო გრიგოლ რობაქიძის პასუხიც.

ვინაობას არ გახსნიდა ამ პოეტისა, რადგანაც გერმანელ მწერალს არას ეტყოდა მისი გვარ-სახელი, თუმც ეს კოლორიტული შტრიხები: შემოქმედებითი ძმაო, ინტუიციური გულითო, ნათელმხილველივითო, ეს იყო ჩემი პასუხიცო — ადვილად ამოგვაცნობინებს, პაოლო იაშვილი რომ უნდა იგულისხმებოდეს, სხვაგან „მზიურ პიროვნებადაც" რომ მოიხსენიებდა, თორემ გრაალის ერთ-ერთ მცველად მასაც რომ მიიჩნევდა, ამას დიდი რამ ჩაკვირვება არც ესაჭიროება.

იმ შემთხვევაში, თუ გერმანელი თანამოკალმე დაეთანხმებოდა და ზალცბურგში ჩასვლის ნებას დართავდა, გრიგოლი შეძლებდა შტეფან ცვაიგის პირადად გაცნობის ბედნიერებითაც დამტკბარიყო.

ნეტა რა შეუშლიდა ხელს მათ შეხვედრას? არადა რაღა მაინცდამაინც მაშინ დაემთხვეოდა ცვაიგის მოგზაურობა!.. ეჰ, რაც იყო თუ როგორც იყო, ტოლსტოის დღეებამდე კი ვერ გაიცნობდნენ ერთმანეთს პირადად და ვერა, თუმც სულიერ თანაზიარობას უკვე თავიდანვე იგრძნობდნენ, „გველის პერანგის" წაკითხვა შტეფან ცვაიგს ამ სულიერ სიახლოვეს კიდევ უფრო რომ გაუღრმავებდა და მის თვალთახედვაში ამ უცნობი ქვეყნის შვილი ინდოეთის ასერიგად აღზევებულ შვილს გაუთანაბრდებოდა.

გრიგოლიც თავის მხრივ ამ ურთიერთობის გაბმაში რაღაც ღრმა კანონზომიერებას დაინახავდა და ამის თაობაზე კიდეც მიანიშნებდა ცვაიგს 1927 წლის 27 მარტს გაგზავნილი ბარათის დასაწყისშივე: თქვენი მეგობრული წერილი სწორედ იმ წუთას მივიღე, როდესაც საბედისწეროდ საინტერესო და როდენისებურად შექმნილი „იერემიას" უკანასკნელ გვერდებს ვკითხულობდიო, — და იქვე დასძენდა:

— ეს „შემთხვევითობაა"?

და დასძენდა ცხადია რიტორიკულ შეკითხვად, რაკიღა გამჭვირვალედ გამოსჭვიოდა ქვეტექსტი: რა შემთხვევითობა და რომელი შემთხვევითობაო.

ისე მაინც რაოდენ მარჯვედ და ლაკონიურადაა შეფასებული ცვაიგის დრამა:

საბედისწეროდ საინტერესო და როდენისებურად შექმნილიო...

გრიგოლ რობაქიძისათვის ნიშანდობლივი სიზუსტე და სისხარტე, ლიტერატურულ ფორმულად ჩამოქნილი.

მადლიერებით კი განსაკუთრებით ემადლიერებოდა იმ სიტყვებისათვის, რომელთა მოსაწერადაც მოეცალა ცვაიგს, მიუხედავად იმისა, რომ მიემგზავრებოდა და ეჩქარებოდა:

— ...თქვენი ნამოლვაწარი, რომელიც წინასიტყვაობის განაცხადის შემდეგ, შინაგანად მამზადებს...

ოთხი კვირა ავსტრიელი მწერლის არყოფნისა მშობლიურ მხარეში უკვე გასულიყო და ამიტომაც უგზავნიდა ხელნაწერს.

ამ დროისათვის პირადად გაეცნო მარტინ ბუბერი, რომლის ღრმააზროვან სიტყვებსაც წინათქმაში მოიხმობდა, ფილოსოფოსისა და მწერლის, ლექციებს რომ კითხულობდა ბერლინში და როგორც ფრანკფურტის, ისე იერუსალიმის პროფესორი გახლდათ, და ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტადაც აირჩევდნენ.

როგორი შთაბეჭდილება დარჩებოდა გრიგოლ რობაქიძეს მასზე?

ღრმა მოაზროვნე (ამასთანავე უმთავრესად სპეციფიკური ებრაული ფენომენის გააზრება), გამოჩენილი მწერალი, კარგი ადამიანიო.

სხვათა შორის შეამჩნევდა, რომ ბებერსა და სხვებს შორის — მისი სურვილის წინააღმდეგ — უხილავი საზღვარი გაჩენილიყო.

და ჩაუკვირდებოდა:

იქნებ ეს იმიტომ ხდება, რომ იგი უკიდურესად კრიტიკულადაა განწყობილიო?

ან — ეგებ პირიქითაც?

ასე ერთბაშად ახსნა გაუძნელდებოდა, თუმც მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ მისი საშინლად მკაცრი შეხედულებანი ევროპული ლიტერატურის შესახებ... „შეაშინებდა“ კიდეც. არა მხოლოდ მკაცრი გახლდათ ბუბერი, არამედ... ოდნავ წარმოუდგენელიც... და გრიგოლ რობაქიძე იგრძნობდა, რომ ამის გამოხატვა თავისი გერმანულით არ შეეძლო. და ჩართვით კი ჩაურთავდა: იქნებ ეს პათოსის ნაკლებობაა „სხვებისთვისო“?

მარტინ ბუბერისათვის „გველის პერანგი“ გადაეცა წასაკითხად და ათი დღის თავზე მისგან მიიღებდა წერილს, საიდანაც შეიტყობდა, რომ: არც ისე ძლიერად გახლდათ „ნაგვემი“. და ერთ მონაკვეთს სწავლულის წერილიდან ცვაიგსაც გააცნობდა გახარებული:

— ახლა წავიკითხე თქვენი რომანი, წავიკითხე სიღრმისეულად. მას აქვს ორი გამოკვეთილი ღირსება, ან პირიქით — თქვენ მოგეპოვებათ ორი განსაკუთრებული უნარი, რომელნიც მასში მკაფიოდ გამოჩნდა.

ერთ ღირსებად იმას მიუთვლიდა, რომ:

ქართველი მწერალი რეალისტურად იმზირებოდა.

ყველაფერი, რაც წიგნში ასახულიყო, წარმოდგებოდა სურათად, და ეს ყოველივე ერთმანეთის გვერდით ჩანდა ნამდვილი, ძლიერი და საიმედო.

— რამდენადაც თხრობის აღწერას ვცდილობთ, რაც ასახავს პროცესს, როგორც სურათს, შესაძლებელია თანამიმდევრობა თანადროულობაში აღმოცენდეს და ნება გვაქვს, თქვენი ნაწარმოები კანონიერად მივიჩნიოთ; პირწმინდა თანმიმდევრულობა ბუნდოვანი იქნება, შემთხვევითობის ხაზი იშლება და ფორმას კარგავს.

მეორე ღირსებად კი ამას აღნიშნავდა:

ქართველი მწერალი უშუალოდ რომ შეიგრძნობდა ისტორიის საიდუმლოებას აწმყოში, ძველი დროების ახლანდელში თამა-

შით ჩართვის საიდუმლოს, თქმულების შინაგან გაცოცხლებულ წამიერებას, თაობათა სტატიკურ ურთიერთკავშირს.

— ვიდრე თქვენს წიგნში მიმდინარეობს მოჯადოება დიდი წარსულისა დღევანდელობაში, რაღაც იძარცვება; იქ არ ჩანს ძალაუფლება და ყოველდღიურობა თავისი შიშველი არსებობით საუბრობს, და საერთოდ ჩვენ უკანასკნელ ნაწილში გავაძევეთ ძალაუფლება და მარტოდენ ცხოვრებას ძალუძს იქცეს მოვლენად, აქ რაღაც ვერ არის წესრიგში...

ეს სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა რომანისტისათვის.

ჯერ თავისთავადაც, და მითუმეტეს — ესთეტისა და მოაზროვნისაგან, რომელიც უკიდურეს სიმკაცრეს იჩენდა ევროპული ლიტერატურისადმი. არაფერი, სრულიად არაფერი მოსწონდა თანადროულ სამწერლო პროცესებში საერთოევროპული სივრცისა და... უეცრად ხელთ ჩაუვარდებოდა რომანი, რომელიც განსხვავებულიც აღმოჩნდებოდა და განსაკუთრებულიც, და ორ ისეთ ღირსებას გამოარჩევდა, „გველის პერანგის“ უდავო წარმატებას რომ მოასწავებდა, უპირველესად მაინც ისტორიის საიდუმლოების შეგრძნება აწმყოში, თანაც ძველი დროება ახლანდელში თამაშით რომ ჩაერთვოდა და თ ქ მ უ ლ ე ბ ა შ ი ნ ა გ ა ნ წამიერად რომ ცოცხლდებოდა.

ამ ფონზე მკრთალდებოდა კრიტიკული შენიშვნა, თუმც გრიგოლი მაინც იუკადრისებდა და შტეფან ცვაიგს ამცნობდა — არა თავდაცვის, არამედ განმარტების მიზნით: ბატონი ბუბერი ავტორის სისუსტედ „შიშველ დღევანდელობას“ რომ მიიჩნევდა, ეს შესაძლოა ასეც გახლდათ, მაგრამ... ალბათ ეს უფრო თარგმანის ბრალი უნდა ყოფილიყო — რადგანაც ორიგინალში ზოგიერთი ადგილი „შემაძრწუნებლად“ გამოიყურებოდა (საუბარი, სახელები, ურთიერთობანი...), მათი თარგმნა გერმანულად შეუძლებელი ხდებოდა.

ბატონ ბუბერს სუსტად რომ მიაჩნდა „თანამიმდევრობაც“, ესეც შესაძლოა ასე გახლდათ.

„წარსულის გადმოთამაშება ახლანდელ დროში“ გრიგოლ რობაქიძის რომანში — ავტორის ღრმა რწმენით — უმთავრესი იყო. თუმც „წარსულის გადმოთამაშებაში“ მოქმედება თავისი სვლით

მიმდინარეობდა (მაინც ხდებოდა რაღაც: „თანამიმდევრობა“), მაგრამ ამავდროულად ეს მაინც ხდებოდა (აღარაფერი გახლდათ მოსახდენი: „თანადროულობა“). პლასტიკურად გამოხატული — აქ გვხვდებოდა „თანამიმდევრობაც“ და „თანადროულობაც“.

და დასძენდა, რომ:

ღვთაებრივი თვალის წინ „ხდებოდა“ ყველაფერი, მაგრამ ამასთან ეს ყოველივე „უკვე“ მომხდარიყო: აქ მომხდარი მოვლენები მგზნებარე წამში იყინებოდა.

ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა ნაშრომის — „საუბრები იუდაიზმზე“ — გაცნობის შემდგომ, რომ:

ბატონი ბუბერი „თანამიმდევრობას“ არგებდა მხოლოდ „სემურ-აღმოსავლურს“.

* * *

შენიშვნაში მთარგმნელი ამ ბარათებისა — ნათია ფურცელაძე — აღნიშნავდა, რომ მარტინ ბუბერის ის ნაშრომი, რომლის უფრო ზუსტი სახელწოდებაც გახლდათ „სამი სიტყვა იუდაიზმზე“, აღმოჩნდებოდა ერთ-ერთი იმ სამთაგან, რომელნიც გადაეწყვეტინებდნენ გრიგოლ რობაქიძეს „გველის პერანგის“ თარგმნასა და გატანას ევროპაში.

დასტურად კი მოიშველიებდა მწერლის ბარათს აკაკი პაპავასთან, დათარიღებულს 1027 წლის 21 თებერვლით:

— ერთს რამეს ჰქონდა კიდევ გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ რომანის ევროპაში გამოსაქვეყნებლად. გასულ ზაფხულს შემთხვევით ჩამივარდა ხელში კაიზერლინგის „მოგზაურობის დღიური“ და მარტინ ბუბერის ორი წიგნი. გავვოცდი: იქ ვნახე „ფორმულები“ (რასაკვირველია „აზრითი“) ჩემი რომანისა — პირდაპირ „ქიმიური ფორმულები“...

* * *

ამ მორგებას „სემურ-აღმოსავლურისა“ შესაძლებლად მიიჩნევდა და მიადევნებდა, რომ:

მის ძარღვებში ჩქეფდა სისხლი ძველი ქალდეველებისა და შეეძლო ეთქვა, რომ „აღმოსავლურის“ განსაზღვრებისათვის

„ბაბილონურ-ირანული“ მიმართულება, რომელიც თავის რომანში განეხილა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ.

აქ „თანადროულობა“ მეტად ხაზგასმულიყო. და მოვლენები ისე მიმოიხილებოდა, თითქოს უკვე მომხდარაო. აქ „დრო“ უცნაურად მიედინებოდა: არსებობდა მხოლოდ „აწმყო“, მაგრამ არა ამწყო მარტივად, არამედ — როგორც აალებული ანამნეზისი. და ჩაურთავდა: სხვა სიმბოლოს პოვნა არ შემიძლიაო. და განაგრძობდა, რომ: ამას აღიქვამდა არა „იდეად“, არამედ „რასად“.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ ეჩვენებოდა აღმოსავლეთის არქიტექტონურ არსზე დაკვირვება, მაგრამ... ეს მაინც სხვა საკითხი გახლდათ.

რაც იყო თუ როგორც იყო: ამ ბაბილონურ-ირანულ მიმოხილვის თავისებურებებზე აეგო თავისი რომანი — უფრო მეტად ეპოპეა, რომელშიაც ცალკეული ნაწილები, მთელის ფაზები წარმოდგებოდა, მაგრამ იმგვარად, რომ ფაზები არა მხოლოდ მთელისათვის არსებობდნენ, არამედ განცალკევე?ულნიც იყვნენ და თითქმის დამოუკიდებელნიც.

აქედან გამომდინარე: მთელი აქ არა „გასაგები“, არამედ „ხელშესახები“ ხდებოდა.

ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლა ჰგავდა „გადაცურვას“, სურდა ეთქვა: „ლანდშაფტურად“ მოწყობას.

და ებადებოდა კითხვა: არის ეს მხატვრულად მოსახერხებელიო?

ერთი რუსი ლიტერატორის კრიტიკოსი ბევრ საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამდა ამის თაობაზე, მაგრამ მას ეს რომანი ორიგინალში ჰქონდა წაკითხული და, გარდა ამისა, ავტორის მეგობარიც გახლდათ...

ამგვარად... თუმც თვითონ არ შეეძლო აზრი გამოეთქვა, რადგანაც „გველის პერანგი“ მისგან ჯერ საკმარისად არ გამოცალკევებულიყო, რათა პიროვნულობა შეენარჩუნებინა, და ამის გამო მცირდებოდა აუცილებელი დისტანცია.

რისთვის გამოითქმოდა ეს შენიშვნები?

ალბათ ეს იყო ქვეცნობიერი მზაობა მწვავე კრიტიკისათვის, რომელსაც უსათუოდ მოელოდა შტეფან ცვაიგისაგან. და ამგ-

ვარი გამოხმაურება სავსებით ბუნებრივი ეჩვენებოდა იმ მიზეზით:

— თქვენი მკაცრი და წმინდა კომპოზიცია, რომელსაც მე აღმაფრთოვანებელი ძალის სიმფონიურად შეთხზულ და თვალსაჩინოდ წარმოჩენილ კონცენტრაციას ვუწოდებ, საყოველთაოდ ცნობილია.

დიდი დანანებითა და გულისტკივილთი აღნიშნავდა, რომ:

მისი რომანის თარგმანი მხოლოდ „ტექსტუალური" გახლდათ და ესაჭიროებოდა „ლიტერატურული" გადამუშავება. არადა: არ მოიპოვებოდა ქართველი, ევროპული ენა „მწერლის დონეზე" სცოდნოდა, და არ არსებობდა ევროპელი, ქართული ენის ფლობა რომ შეძლებოდა.

ესეც ქართველი მწერლების „ტრაგედია"!..

მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა და თანამოკალმეებსაც იმ მოტივით ამხნევებდა: „ტექსტუალურ" თარგმანს ხანდახან თან ახლავს იშვიათი ხიბლი, რომელიც „ლიტერატურულ" თარგმანში ხშირად სავსებით დაკარგული და გაუჩინარებულიაო.

ჩინებულად მოეხსენებოდა, რომ:

პოეტი შტეფან ცვაიგი, რომელიც საქართველოში ძალზე დაფასებული გახლდათ, უსათუოდ იყო „მომთაბარე" — არა მხოლოდ ჩვეული მნიშვნელობით, არამედ სულისკვეთებითაც. ჰქონდა ხეტიალის სურვილი და ეროსი „უცხოსადმი", და ამ დროს გრიგოლ რობაქიძე, მისთვის სრულიად უცხო პიროვნება, უგზავნიდა თავის ნაწარმოებს და ეიმედებოდა პოეტის „არეტისა", როგორც ამას ძველი ბერძნები იტყოდნენ.

ბერძენთა აჩრდილებს გამოიხმობდა მეტი დამარწმუნებლობისათვის, თორემ გერმანულადვე გამოიყენებდა ამ სიტყვის შესატყვისს: სიკეთეს, ღირსებას.

პოსტსკრიპტუმად რას მიაყოლებდა?

უგზავნიდა თავის საყვარელ ნაწარმოებს — „ლამარა", რომელიც 17 ეგზემპლარად გადაებეჭდა 17 ევროპელი მწერლისათვის, როგორც მისი „სავიზიტო ბარათი". ოღონდ ეს ბუნებრივია იყო ტექსტუალური თარგმანი. და ჩაურთავდა: ურითმოდ — ორიგინალი ნახევრამდე გარითმულიაო.

ახლახან წაეკითხა შტეფან ცვაიგის ნაწარმოები „დემონთან ბრძოლა“, რომელსაც მასზე მეტად ღრმა და ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა. სურდა ერთხელაც — თუკი გერმანელი თანამოკალმე ამის ნებას დართავდა — ამ თხზულების თაობაზე დაწვრილებით მიეწერა. და დასძენდა: მართლაც მაქვს სათქმელიო.

ამასთან ნებართვას სთხოვდა, ზოგიერთი ფაქტი დაეზუსტებინა. კერძოდ:

მწერალი გრიბოედოვი სპარსელებს თბილისში არ მოეკლათ — მას ბრბო გაუსწორდებოდა სასტიკად თეირანში, რუსული დიპლომატიური მისიის წინააღმდეგ გამართული აჯანყების დროს.

ხოლო ის ფაქტი, თითქოსდა მწერალი პუშკინი გრიბოედოვის კატაფალკს კავკასიაში შემთხვევით შეხვედროდეს, ლეგენდად ეჩვენებოდა. თუ მეხსიერება არა ღალატობდა, ეს უნდა ყოფილიყო მისი სკოლის ერთ-ერთი მეგობარი და არა გრიბოედოვი. გრიგოლს თბილისში მიეწერა და მის შესახებ არსებულ ისტორიულად დამოწმებულ ცნობებს მიიღებდა, თავის მხრივ ცვაიგს რომ მიაწვდიდა.

პირადი წერილია თუ ლიტერატურული სტატია, ვეღარც კი გაგირჩევიათ?

თქვენ მომდევნო ბარათი უნდა ნახოთ, ეპისტოლეს ფორმით დაწერილ ესეიდ რომ წარმოდგება, და საერთოდაც კერძო წერილების ეს ციკლი აღსავსეა ლიტერატურული დაკვირვებებითა და მოსაზრებებით, ორი ერუდიტის მიმოწერისათვის რაც უნდა ყოფილიყო კიდეც ნიშანდობლივი.

თანაზიარ სულს რომ ჰპოვებდა, კიდეც გადმოუშლიდა ფიქრებს, რითაც ერთიანად მოცულიყო. შეამოწმებდა თავის შეხედულებებს, ავსტრიელი თანამოკალმის შესაფერის მსჯელობასაც რომ დაელოდებოდა, ისიც თავის მხრივ ამ თემატიკის ირგვლივ რომ ქმნიდა თხზულებას თხზულებაზე — ლიტერატურის მკვლევარის მანტიამოსხმული.

5 აპრილის ბარათს მისალმებისთანავე მიადევნებდა: მიმაჩნია, რომ დიდი ქალაქის დინამიკური ცხოვრება გაქცევაა მეტაფიზიკური მოწყენილობისაგანო.

ამ ხმაურსა და ქაოსში ის, როგორც ჭირვეული ცხოველი, მოულოდნელად თავს ესხმოდათ, და თან ისეთი საშიში — როგორც ბასრი დანა უეცრად გააფთრებული ადამიანის ხელში.

და გრიგოლს რომ ეშინოდა ამ თავდასხმისა, ამიტომაც ცხოვრობდა განმარტოებით წიგნებს შორის. ამ დროში, თებერვალ-მარტში, ბევრი რამ წაეკითხა, მაგრამ არცერთს მასზე ისეთი მძაფრი შთაბეჭდილება არ მოეხდინა, როგორც შტეფან ცვაიგის თხზულებას „სამყაროს ოსტატები".

* * *

და აქ მთარგმნელი დაურთავდა შენიშვნას, რომ:

გრიგოლ რობაქიძე ამ თხზულებას სხვა სახელწოდებით რომ მოიხსენიებდა, ეს შესაძლოა შეცდომა გახლდათ, რადგანაც იგულისხმებოდა ცვაიგის სწორედ ეს ტრილოგია: „სამყაროს ოსტატები", რომლის პირველი ტომიც — „სამი ოსტატი: ბალზაკი — დიკენსი — დოსტოევსკი" — გამოიცემოდა 1920 წელს, მეორე ტომი — „დემონთან ბრძოლა: ჰოლდერლინი — კლაისტი — ნიცშე" — 1925 წელს, ხოლო მესამე ტომი — „თავიანთი ცხოვრების სამი პოეტი: კაზანოვა — სტენდალი — ტოლსტოი" — 1928 წელს.

* * *

და გრიგოლი ნებართვას ითხოვდა ავტორისაგან, რათა მისთვის რამდენიმე სტრიქონი მიეწერა ამ ნაწარმოებზე.

უპირველეს ყოვლისა — მის სტილურ მანერაზე.

ამცნობდა, რომ ქართულად „სიტყვა" უკავშირდებოდა „ტყვეობას", „სიტყვაში" უნდა ყოფილიყო ეს „ტყვე": რაც ნიშნავდა მასალის დამორჩილებას. დიახ — „ტყვე" და არა „იძულება".

მასალა თავისი სურვილით უნდა მიძღვნოდა სიტყვას.

ადამს „შეეცნო" ქალი?

სიტყვას უნდა „შეეცნო" საგანი. და ესეც საკრალური აზრი სიტყვისა.

გრიგოლს ეჩვენებოდა, რომ: ევროპული ენები თანდათან ჰკარგავდნენ სიტყვის ძალას, მადლს სიტყვისა. ამ ენებში საუ-

ბარი ეყრდნობოდა მხოლოდ ტექნიკას, და ისინი „თითქმის“ ემსგავსებოდნენ ექსპერანტოს. ამას განსაკუთრებით უცხოელი გრძნობდა და მათ შორის — უფრო მეტად აღმოსავლელი.

აღმოსავლური ენები მხოლოდ აბსტრაქტულობითა და ტერმინოლოგიით არ დამძიმებულიყო. გვტანჯავდა მძაფრი შეხედულებანი, კონკრეტულობის მახასიათებლები და ალეგორიულობა. კონკრეტიზაციითა და ალეგორიულობით მდიდრები ვიყავით.

ეს სიმძიმე განსაკუთრებით იგრძნობოდა გერმანულ ენაში.

ამას კი იტყოდა, მაგრამ არცთუ დაბეჯითებით, რადგანაც შესაძლოა ეს შთაბეჭდილება იმის ბრალიც იყო, რომ ეს ენა სათანადოდ არ ვიცოდით.

ჰოო, ეს კი უნდა გაგვეთვალისწინებინა.

მაგრამ უცხოელს რომ ახასიათებდა გამორჩეულად გამოკვეთილი ცხოველური სმენა?!.

გარდა ამისა, რომ ტკბებოდა გრიგოლი ფრიდრიხ ნიცშეს „სიტყვით“!..

და დაფიქრდებოდა: იქნებ ნიცშეს სტილი არც არის შინაგანად „გერმანულიო“?!. მაგრამ... ამას აბა დარწმუნებით როგორ შეაფასებდა?!.

დოქტორი რიხარდ მეკელაინი, აღმოსავლეთმცოდნე და სლავისტი (და კიდევ — ქართველოლოგი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, და „გველის პერანგის“ ერთ-ერთი მთარგმნელი) ეტყოდა გრიგოლ რობაქიძეს:

— ნიცშე არცერთ თარგმანში არ არის ისე ბუნებრივად „ნიცშეური“, როგორც პოლონურში.

ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანი რომ სცოდნოდა, აუცილებლად შეავსებდა ამ ფრაზას:

— და ქართულში.

თუმც მეკელაინისა კი არა, გრიგოლისათვის დარჩენილიყო უცნობი „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ტატიშვილისეული ვერსია.

ასეა თუ ისე „პოლონურის“ ხსენება გრიგოლს უცნაური მოეჩვენებოდა და მის ფიქრს იქით წაიყოლებდა: ნეტა მართლა თუ იღებს ნიცშეს წარმომავლობა სათავეს გრაფ ნიცკისაგან, რი-

თაც იგი ზოგჯერ ამაყობდაო?! — და ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: რაღაც სლავური მის სტილში უდავოდ არისო.

სხვათა შორის გერმანელ ფილოსოფოსს ეს ყველაფერი ფრანგებისაგან ესწავლა, ფრანგები კი, ყველას მოეხსენებოდა, დიდი სტილისტები რომ ბრძანდებოდნენ...

იფიქრებდა: მის სტილში რაღაც სხვა იმალებაო.

— თუ ეს „სისხლი" არ არის — ჩემთვის მისი ბიოგრაფია უცნობია, მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში სულიერი რასა უნდა იყოს.

აშკარად გრძნობდა მის სიტყვებში ფრანგულ სტილს. და მიუხედავად ამისა ნიცშეს სტილი მაინც სხვანაირი გახლდათ. ამით გითრევდა, ამით გიყოლიებდა, ამით გადაჰყავდი სულ სხვა სამყაროში.

— ფრანგები ძირძველი სტილისტებივით წერენ, მაგრამ ეგრეთწოდებული გალური ირონია, რომელიც ხანდახან ერთვება „გონებამახვილური ფრანგულის" თამაშში, მის სტილს თითქოს „მშრალს" ხდის. მისი სტილი კი პირიქით, უფრო მგზნებარე და ძლიერია.

აქ მოჩანდა გერმანელთა „სერიოზულობა". იშვიათად, ძალზე იშვიათად, შეხვდებოდა მკითხველი ამგვარ სტილს გერმანულ წიგნებში.

წინა ბარათში ხომ ოგიუსტ როდენთან შეადარებდა შტეფან ცვაიგს, როგორც სტილისტს, და ახლაც დარწმუნებით გაუმეორებდა: თქვენ ნამდვილი მოქანდაკე ხართო.

„სამყაროს ოსტატები" არ გახლდათ სამეცნიერო გამოკვლევა, არც ლიტერატურულ-კრიტიკული მონოგრაფია. ეს პორტრეტები ისე შექმნილიყო, როგორც ნამდვილი ნოველები. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ: საგნობრივი ელემენტები ნოველებში „გამოგონილი" გახლდათ, აქ კი — „ნაპოვნი".

და ესეც შემოქმედების ახალი სტილი.

ფრანგებსა და რუსებს ამ მიმართულებით ბევრი რამ გაეკეთებინათ, და გრიგოლს ამ შემთხვევაში ეს სტილი სრულყოფილი ეჩვენებოდა.

მაგალითად: „დოსტოევსკის" ნოველასავით წაიკითხავდა, ეს ავტორი რომ არა სცნობოდა. აქედან გამომდინარე: შტეფან

ცვაიგის მიერ შექმნილ პორტრეტებში შემოქმედებს ადამიანის სახე არ დაეკარგათ — სწორედაც პირიქით.

რაც შეეხებოდა თხზულებას „ბრძოლა დემონთან“:

უშუალოდ სათაურში „სიტყვა“ გადმოცემულიყო ქართული გაგებით. თვით სიტყვაში იგრძნობოდა დინამიკა: „დემონი“. და „ბრძოლა“ თუ დაემატებოდა — კიდევ ერთი დინამიკა — კიდეც გადაიზრდებოდა დინამიკური დაძაბულობა საშინელებაში.

ბარემ ორიოდე სიტყვას მოახსენებდა „პენთესილეიას“ შესახებაც, მთავარი გმირი ამორძალთა დედოფალი რომ გახლდათ ტროას ომის დროს.

აქ უპირველეს ყოვლისა ასახულიყო კოსმიური ბრძოლა ქალსა და მამაკაცს შორის. განა ოსკარ უაილდის „სალომეც“ იგივე ამორძალთა დედოფალი არ იყო? ეგაა ოდნავ ესთეტიზებული, „უაილდისებური“.

ფიოდორ დოსტოევსკის ქალი პერსონაჟებიც პენთესილეიასგან შობილიყვნენ. მათი სიმღერა იმავდროულად დუელად ამიტომაც წარმოდგებოდა.

და კნუტ ჰამსუნის ქალი პერსონაჟებიც — რომელთაც ბრძოლა უყვარდათ, და არც ისე ველურები იყვნენ.

განა რა ფენომენი გახლდათ ეს?

„ერთადერთი“ — პიროვნება კვდებოდა. ბატონობდა და კვდებოდა არა „სქესი“, არამედ უპიროვნო.

მაგრამ „სიყვარული“ ხომ პიროვნული გრძნობაა?

მას რომ სურდა ინდივიდუალობის მტკიცება, სურდა მამაკაცისა და ქალის უკვდავყოფა?

ასეთი ტენდენციური იყო სასიყვარულო განცდა.

სიყვარულს „სურდა“... მაგრამ სქესი იმარჯვებდა. შეყვარებული თავის სატრფოში.აღმოაჩენდა სქესს და იწყებოდა ზიზღი.

და ალბათ აქედან მომდინარეობდა:

სიყვარული, როგორც ორთაბრძოლა, როგორც სიძულვილი, როგორც დაქუცმაცება, და განსაკუთრებით — ცვალებადობა სიძულვილის ავხორცობასა და სიყვარულის ღირებულებებს შორის.

და... სულს მოითქვამდა გრიგოლ რობაქიძე, ვიდრე ნიცშესა და დოსტოევსკიზე გადაინაცვლებდა.

რაც შტეფან ცვაიგს „დემონურის“ შესახებ დაეწერა, გრიგოლ რობაქიძე აღიარებდა ჭეშმარიტებად და განსაცვიფრებლად.

რა ეთქვა ერთხელ ნიცშეს ნაპოლეონ ბონაპარტეზე?

იგი იყო სინთეზი არაადამიანისა და ზეკაცისაო.

და გრიგოლი თავის მხრივ მიადევნებდა:

დემონური ადამიანებში არის სწორედ თანხვედრა და ურთიერთკავშირი არაადამიანურისა და ზეკაცურისაო.

და გაგრძელდებოდა მსჯელობა ამ გეზით:

ადამიანი რომ მხოლოდ არაადამიანი ყოფილიყო, მაშინ ცხოველი იქნებოდა. ადამიანში რომ მარტო ზეკაცობა ყოფილიყო, მაშინ წმინდანი იქნებოდა. მაგრამ როგორც ცხოველი-ადამიანი, წმინდანი-ადამიანიც ვერ შეძლებდა ჩვენს „მოჯადოებას“.

ცხოველი მხოლოდ გვაშინებდა?

და წმინდანი?

იგი შინაგანად გვამსუბუქებდა, თუმც არასდროს „გვაჯადოებდა“.

„დემონური“ გახლდათ თაურელემენტი ცხოვრებისა და განცდისა.

ხელოვანი როცა ფორტეპიანოზე ანგელოზივით უკრავდა, ეს ჩვენ არ გვაჯადოებდა: აქ არ გახლდათ ლტოლვა, არანაირი ბრძოლა, არა ტკივილი, არა სიცოცხლე. მაგრამ ის ისე რომ დაუფლებოდა ფორტეპიანოს, როგორც ალექსანდრე მაკედონელი ბუცეფალს? ოოო — მაშინ სხვა საქმე იქნებოდა: ის აუცილებლად მოგვაჯადოვებდა, რადგანაც მასში წინააღმდეგობასა და მის გადალახვას დავინახავდით.

ცხოვრებაში, ისევე როგორც შექმნაში, მატერიაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

და ჩაურთავდა: რა ჩინებულად ავლებთ პარალელს ფრიდრიხ ჰოლდერლინსა და შარლ ბოდლერს შორისო.

ისეთი ფიქრი უჩნდებოდა, რომ:

ამ აზრით პაულუსს მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ქრისტეს, თუმც მისი ლოცვა გეთსიმანიის ბაღში ადამიანებთან მუდმივად ახლოს რჩებოდა.

„მხოლოდ" ზეკაცნი, სერაპიული ნატურები არ ახდენდნენ მომაჯადოვებელ შთაბეჭდილებას, რადგანაც მათში ტკივილი თითქმის არ არსებობდა და მარტოდენ ზეციურ ბრწყინვალებას ასხივებდნენ.

ამ მსჯელობას იმისათვის დაისაჭიროებდა, რათა ნიცშესეული განსაზღვრება ნაპოლეონის პიროვნებისა თვითონ ნიცშესა და აგრეთვე დოსტოევსკისათვისაც მიესადაგებინა: ისინი „მხოლოდ" ზეკაცნი კი არ არიან, არამედ არაადამიანებიცო.

დარწმუნებით შეეძლო განეცხადებინა, რომ: ნიცშესა და დოსტოევსკის იდეები არ გახლდათ ახალი.

ზეკაცის იდეას თუ ნიცშესაგან დაედო სათავე, თვით სიტყვა „ზეკაცი" გოეთესაგან მომდინარეობდა. ასევე — იდეა მარადიული დაბრუნებისა. ხოლო დოსტოევსკის იდეები გვხვდებოდა აღმოსავლურ ქრისტიანობაში: თანაც — ყველა.

სულაც არა ფიქრობდა, რომ: ის, რაც ნიცშესა და დოსტოევსკის მოეცათ, რაიხის ცნობიერებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ყოფილიყო, როგორც, პლატონის „ანამნეზისი", რომელშიც უსაზღვრო სიბრძნე იმალებოდა, ან გოეთესეული „თაურფენომენი", რომელშიც მთელი ანრი ბერგსონი — სულ რომ აღარაფერი თქმულიყო ოსვალდ შპენგლერზე — სრული სახით წარმოდგენილიყო. და მიუხედავად ამისა... დოსტოევსკიცა და ნიცშეც „მაგიურ" ზემოქმედებას ახდენდნენ მკითხველზე.

საიდან მომდინარეობდა ეს?

ყველაფერი, რაც მათ ამის თაობაზე ეთქვათ, მახვილგონივრული და ღრმააზროვანი გახლდათ. და გრიგოლ რობაქიძე მოინდომებდა თავისი შეხედულებანი „ცოტა" სხვაგვარად გამოეხატა.

ნიცშე და დოსტოევსკი მხოლოდ პიროვნებანი რომ იყვნენ, პიროვნება ხომ შინაგანი სამყაროს „მეობა" გახლდათ.

სულაც ფორმულასავით ჩამოაყალიბებდა:

„მეში" — ტანჯვის (სიცოცხლის) წვაო.

შეუძლებელია „ტანჯვის" „კონსტატაციაო", — რომ განაცხადებდა, თვალსაჩინოებისათვის შეუდარებდა ხელზე ჭრილობის კონსტატაციას — ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ პროცესს. მაგ-

რამ ტანჯვა, ტკივილი თვითონვე უნდა „განგეცადა“, და შენს გარდა არავის შეეძლო, თვით სამყაროსაც კი, ამის განცდა.

გრიგოლი მარტო იმყოფებოდა თავის საპყრობილეში თავის მონადაში, ეს კი ნიშნავდა, რომ:

— მე ვარ „მე“.

ნიცშე და დოსტოევსკი იყვნენ სწორედაც ტყვეები თავიანთი „მეობისა“. მათ შინაგან სამყაროს ეს „მეობა“ საოცრად ამაღლებდათ ისე, რომ ამ „მეობისაგან“ ერთხელაც არ გათავისუფლდებოდნენ.

თუ არსებობდნენ დიადი სულები, რომელთაც მძაფრი მეობა არ გააჩნდათ?

ნიმუშად გაიხსენებდა იმანუელ კანტს, რომელიც მხოლოდ „ტვინი“ გახლდათ და არა „პიროვნება“, გენიალური პოლიპი, რომელიც გადაიქცეოდა „წმინდანად“.

მაგრამ... დოსტოევსკი და ნიცშე?

დოსტოევსკის შეადარებდა გენიალურ ნაპერწკალს, რომელიც ტანჯვაში ხორცად იქცეოდა.

ხოლო ნიცშეს — გენიალურ ნერვს, რომელიც ამ განცდებში ელვა გახდებოდა.

და ერთბაშად დადგებოდა ლიტერატურული ფორმულების ჩამოყალიბების გუნებაზე, ცოტა პარადოქსული იერითაც რომ აღბეჭდილიყო და ამ იერს თავისებური ლაზათი უნდა შეემატებინა იმ სისხარტისა და ტევადობისათვის, მარჯვედ მიგნებული შეფასებანი ასეთ გაქანებას რომ იძენდა:

— ნაპერწკალი, რომელიც ხორცში იტანჯება, დოსტოევსკია.

— ხორცი, რომელიც ელვით იტანჯება, ნიცშეა.

არ გვიკვირს გრიგოლ რობაქიძისაგან შთამბეჭდავი ფრაზები, ღრმააზროვანი მიგნებანი, ლაკონიური და ზუსტი დახასიათებანი, და ლიტერატურულ ფორმულათა ამ მომხიბლავ, ნაკადივით მომდინარე სერიაში, მარგალიტთა ასხმულაში ეს ბედნიერად ნაპოვნი სტრიქონებიც თავის ღირსეულ ადგილს იკავებენ.

ვერასოდეს წარმოიდგენდა გრიგოლი, რომ: კანტის მიერ ვინმე მოჯადოებულიყო. და... აღფრთოვანებით თუ აღფრთოვანდებოდა? ოოო — ეს რასაკვირველია.

მაგრამ აი დოსტოევსკისა და ნიცშეს მიერ?

აქ სხვა სიტყვა უნდა გამოეყენებინა, ნაცვლად „მოჯადოებისა". და ამჯობინებდა: ძალაუფლება „პიროვნულობისაო".

გენიალურ სცენაში — თუ მეხსიერება არა ღალატობდა — გრეთხენი ეუბნებოდა ფაუსტს:

— რატომ ხდება ისე, როცა ამ ადამიანს (მეფისტოს) შენთან ერთად ვხედავ, მეჩვენება, რომ არ მიყვარდი.

გრეთხენმა არ იცოდა, რომ: მეფისტო მასთან ყოფნით სიყვარულით სავსე ატმოსფეროს სავსებით ანადგურებდა, რადგანაც იგი არ იყო „პიროვნება".

მეფისტოს შეეძლო იმაზე უკეთ წერა სონეტებისა, ვიდრე რომელიმე ჟოზე მარია დე ჰერედიას, მაგრამ „ლირიკულის" შექმნა — არაფრისდიდებით.

მეფისტო და ლირიკა ერთად გრიგოლს როგორ წარმოუდგენია?

როგორ და: აპოკალიფსურ ხუმრობად. და აქედან გამომდინარე: ზოგიერთი პოეტის ზოგიერთი „ლამაზი" ლექსი არ გახლდათ „ლირიკა" — და პირიქით.

ნიცშე და დოსტოევსკი იყვნენ მხოლოდ პიროვნებანი და მხოლოდ ლირიკოსები.

ესეც მათი ბედისწერა.

„მეს" საშინელ დაძაბულობას უნდა ეპოვნა ხსნა და... ისინი ამას კიდეც ახერხებდნენ შემოქმედებაში.

როგორ ქმნიდნენ დოსტოევსკი და ნიცშე?

გოეთეც ხომ ქმნიდა, პუშკინიც. ცხადია. მაგრამ ისინი ქმნიდნენ სხვაგვარად. და... მაინც რას ნიშნავს ეს „სხვაგვარად"?

გოეთე ქმნიდა სახეებს და შედიოდა მათში. იგი ქმნიდა საკუთარ თავს, მაგრამ ქმნილებებში იმყოფებოდა არა მხოლოდ გოეთე, უკეთ რომ ითქვას, ის იყო სხვა გოეთე. იგი ქმნიდა ნიღბებს, მაგრამ მათ მიღმა გოეთე არ იდგა: ნიღბები წარმოადგენდა მის სხვა სახეებს. „მოკვდი და აღსდექ" — იგი მოკვდებოდა და აღდგებოდა. გველივით იცვლიდა ტყავს, ისროდა უკან, ამას ირონიულად უყურებდა, ახალშობილად გამოიყურებოდა. გოეთე ქმნიდა და ხსნიდა საკუთარ თავს შემოქმედებაში. მასში თავის თავს ამოიცნობდა, საკუთარ პიროვნებას.

ასევე პუშკინიც.

მაგრამ როგორ ქმნიდა დოსტოევსკი?

ისიც ქმნიდა საკუთარ თავს, თუმც ქმნილებებში არ გარდაისახებოდა, ყოველთვის დოსტოევსკიდ რჩებოდა. ისიც ქმნიდა ნიღბებს, მაგრამ მათ მიღმა თვითონვე იდგა. მისი ნიღბები ყოველთვის ნიღბებად რჩებოდა: ასე არ იქმნებოდა სახეები. თუკი ისისი ხორცს შეისხამდნენ, მაშინ დავინახვდით მის პიროვნულ სახეს თვითონ დოსტოევსკის. ხასიათები, რომელთაც ისინი ქმნიდნენ, მიეკუთვნებოდნენ არა ობიექტურ პიროვნებებს, არამედ ობიექტურ ნიღბებს დოსტოევსკისა. ეს ხასიათები გახლდნენ ადამიანები, მაგრამ სხვა გაგებით.

შეცდარებისათვის მოიხმობდა უილიამ შექსპირს:

მასთან ისინი არიან არა ადამიანები, არამედ ასტრალური ადამიანებიო.

დოსტოევსკი აბსოლუტურ ლირიკოსად წარმოდგებოდა და არა ეპიკოსად.

მას შეეძლო დრამატურგიც ყოფილიყო, მაგრამ როგორ?

მის დრამაში პერსონაჟი გახლდათ მხოლოდ დოსტოევსკი — ლირიკოსი და მონოლოგისტი. მონოლოგებში სრულყოფილად გამოჰყავდა საკუთარი თავი. ქმნიდა გასაოცარ დიალოგებს, მაგრამ ეს იყო საუბარი საკუთარ თავთან, შემზარავ მარტოკაცთან.

იგი ორდებოდა, სამდებოდა, მრავლდებოდა, ნაკუწდებოდა, იხლიჩებოდა — და ეს ნაწილები ჩნდებოდნენ როგორც პერსონიფიცირებულნი და ჰიპოსტაზირებულნი. და მის დრამაში გაცოცხლებული ასპექტები „პიროვნებისა" მთავარი პერსონაჟები ხდებოდნენ.

ისინი მართავდნენ დიალოგს.

და სწორედ ეს გახლდათ თვითონ დოსტოევსკი, რომელიც დიალოგშიც კი მონოლოგს მიმართავდა. აბსოლუტური ლირიკოსი იყო და მუდამაც ასე დარჩებოდა.

მას არ შეეძლო თავი დაეღწია საკუთარი პერსონაჟისაგან — რასაც გოეთე თუ პუშკინი ახერხებდნენ.

არ შეეძლო გათავისუფლებულიყო საკუთარი თავისაგან.

იყო მეტაფიზიკური ტყვე საკუთარი „მესი“.

არ გახლდათ გველი, რომელიც საკუთარი თავისაგან განახლდებოდა.

ნიცშესი არ იყოს.

და უეცრად მედიტაციებში ჩაეფლობოდა გრიგოლ რობაქიძე.

უეცრად ვითომ?

დოსტოევსკისა და ნიცშეზე ფიქრი ძალდაუტანებლად წამოუტივტივებდა იმ განცდებს, რაც ისედაც უტრიალებდა გულსა და გონებაში, მაგრამ ამ ორი მწერლის გაცნობის შემდგომ ჩამოუყალიბდებოდა კანთიელ, გამოკვეთილ შეხედულებებად, ფიქრი შესაფერის კალაპოტშიც რომ მოექცეოდა და სიტყვიერ გარსსაც შეიმოსავდა, სტოიკური სიმაღლიდან რომ გადმოხედავდა თავის ყოფას და გულმშვიდად განაცხადებდა:

ვიცი, რომ გარდავიცვლები. ან უკეთ რომ ვთქვა, მე მხოლოდ ეს ვიცი. სხვა დანარჩენი, რაც ვიცი, ამ „ცოდნასთან“ შედარებით არაფერიაო.

გრძნობდა, ეს ქაოსი მასში მარადიული გახლდათ, თორემ სხვაგვარად ეს სამყარო უაზრობა იქნებოდა.

მიუხედავად ამისა: ეს ორი „ცოდნა“ ერთ ადამიანში არ ერთიანდებოდა. ეს არ გახლდათ „ერთი“ ცოდნა, არამედ — „ორი“. და ამ თვალსაზრისის შუქზე უმზერდა ყველაფერს, ძველი ლათინები რომ ირწმუნებოდნენ გაცნობიერებას გარდუვალი სიკვდილისა.

გრიგოლი კი თავის მხრივ ირწმუნებოდა:

ეს არ არის ცხოვრების უარმყოფელი ხედვა, არამედ მძაფრი მელანქოლიაო.

იქნებ გარდაცვალება სწორედაც რომ მარტოობა გახლდათ?

ალბათ ამიტომაც ახდენდა მასზე მძაფრ შთაბეჭდილებას თვითეული შეხვედრა და განშორება.

ის კი არა, თვითეული შეხვედრისას განიცდიდა მარადიულ განშორებას.

გრძნობდა: ეს სტრიქონები სწორედ რომ განშორება გახლდათ. და ამქვეყნად ვერაფერი შეედრებოდა ამ განცდას თავისი სიმძაფრითა და სისავსით.

აქ იპკურებდა გარდაცვლილის სურნელს.

აქ შეიგრძნობდა მიცვალებულის უკანასკნელ ამოსუნთქვას.

და არ იყო, არა — ანკი როგორ იქნებოდა — ეს განცდა უბრალოდ „ფიქრი".

და... მაინც, რა შეიძლება განეცადათ დოსტოევსკისა და ნიცშეს?

მედიტაციური ჩაღრმავებისა თუ ლირიკული „გადახვევის" შემდგომ კვლავ უნდა მიბრუნებოდა თავის სულიერ მეგზურთ და... ახალ სულიერ მეგზურს შტეფან ცვაიგისაც, რომლის დაკვირვებებსაც აეყოლიებინა გრიგოლ რობაქიძე ისე, რომ კვლავ და კვლავ ჩაიძირებოდა ამ ორ მხატვრულ-ფილოსოფიურ სამყაროში ახალ-ახალ მარგალიტთა მოსაძიებლად. მითუმეტეს თავის სულიერ მისწრაფებათა ასეთი გამზიარებელი დაეგულებინა გვერდით.

არ უკვირდა, ზოგიერთი სული რომ გაურბოდა სიკვდილს: ეშინოდათ მისი. მთელი გერმანული ფილოსოფია წინააღმდეგობას უწევდა სიკვდილს და გიგანტები გაურბოდნენ მას. და ფსიქოანალიზს ასეთ შემთხვევაში ბევრი რამის ახსნა შეეძლო — გრიგოლსაც როგორ წამოეშველებოდა ზიგმუნდ ფროიდის დოქტრინა, დიდი კამათი რომ აჰყვებოდა იმთავითვე, ან სრული უარყოფა და ან სრული მორჩილება მის წინაშე, ყველასა და ყველაფერს უკვე ამ თვალით რომ დაუწყებდნენ ყურებას, ფროიდული სამზერიდან, და... კიდეც აცდებოდნენ მართებულ განსჯას. ამ დოქტრინის გარეგნული მაცთურება ითრევდათ და... კიდეც ხელოვნურად მოარგებდნენ ყველაფერს, ხელოვნურობა კი, მოგეხსენებათ, არასოდესაა საყრდენი სწორი, შეუმღვრეველი ხედვისა. თუ მომარჯვებაა, გრიგოლ რობაქიძესავით უნდა მოგემარჯვებინა — სადაც აუცილებელიც იყო და ერთადერთი გზაბილიკიც ბუნდოვანებათა გასაფანტავად.

და აი ფროიდული სამზერიდან რომ გახედავდა, გრიგოლისათვის მკაფიო შეიქნებოდა, რომ:

ნიცშე უმზერდა სიკვდილს და დოსტოევსკი ხედავდა ამას. და ორივეს ცხოვრება და შემოქმედება გახლდათ მხოლოდ დემონური ბრძოლა სიკვდილთან.

რა იყო ეს — „ფიქრი“ (თუნდ გენიალური) სიკვდილზე?

არა — მგზნებარე ორთაბრძოლა საშინელებასთან.

ადამიანი არის ის, რაც ძლეულ უნდა იქნეს, — ამბობდა ნიცშე, ახალი ზეცა და ახალი მიწა, — აპოკალიფსის სიტყვებს იმეორებდა დოსტოევსკი.

და ნიცშეც და დოსტოევსკიც იყვნენ აპოკალიფტები.

გრიგოლ რობაქიძეს სწამდა, რომ:

სამყაროში არსებობდა ერთადერთი წიგნი — ერთდროულად დემონურიც და ღვთიურიც: ღრმა და შეუცნობელი — და ეს გახლდათ აპოკალიფსი.

ერთხელ დაეწერა და ახლა იმეორებდა:

ეპილეფსია ფიზიკური ორგანოა აპოკალიფსისაო.

და ეთანხმებოდა შტეფან ცვაიგს, რომელიც მიიჩნევდა ავ ზნეს სულიერ დაავადებად, გამომწვევად კოსმიური დასასრულის წინათგრძნობისა.

და თავის მხრივ მიადევნებდა: ისევე, როგორც სიფილისია ჟიზიკური დაავადება და მოასწავებს კაცობრიობის დასასრულსო.

და გაუმჟღავნებდა თემას, რომელიც გონებაში უტრიალებდა, მაგრამ მისი ხორცშესხმისათვის ვერა და ვერ მოეცალა, და ახლა ავსტრიელ თანამოკალმეს რომ უზიარებდა, არსებითად ჩუქნიდა, თუკი იგი დაინტერესდებოდა: სიფილისი და ფრანგული დეკადენტური ლირიკა.

ასეთ დროს ფროიდი შთამაგონებელიც გახლდათ და მისწრებაც — დეკადენტური ლირიკის არსსა და თავისებურებებში ჩასაღრმავებლად, მისი „ფიზიკური“ საწყისის გამოსაკვეთად. ცხადია ერთ-ერთი საწყისის, თორემ მთლიანად ამ თვალთახედვით თუ მოვინდომებდით ამ მოვლენის ახსნას, კიდეც ავცდებოდით სწორ გზას ფსიქოანალიზის ხიბლის სრულ ტყვეობაში მოქცეულნი.

დოსტოევსკიზე დაბეჯითებით შეეძლო განეცხადებინა გრიგოლ რობაქიძეს:

გახლდათ ეპილეფტიკი აპოკალიფსში და აპოკალიფტიკი ეპილეფსიაშიო.

ის კი აღარ იცოდა, აპოკალიფსისადმი მიდრეკილების რომელი ეპიფენომენი ჰქონდა ნიცშეს — ეროტიკული სოფილიზმი ხომ არა?!. თუმც მისთვის უდავო იყო, რომ: „ესე იტყოდა ზარატუსტრას" შემოქმედიც აპოკალიფტიკი გახლდათ — და ამას ნიცშეს სტილურ მანერაში ხედავდა. და გაეხარდებოდა, რომ კიდევ ერთ თემას იპოვნიდა — ამ მწერალ-ფილოსოფოსისათვის შესაფერისს.

ესეც: ახალი ზეცა და ახალი მიწა — აპოკალიფსური და კატასტროფული.

და ნიცშე პოულობდა ამ ზეცასა და ამ მიწას „მარადიულ დაბრუნებაში".

ზოგიერთი ფილოსოფოსი ამ იდეას მათემატიკურად განიხილავდა და ზეკაცის იდეასა და მარადიული დაბრუნების იდეას შორის წინააღმდეგობას მიაგნებდა: როგორ შემიძლია საკუთარ თავთან დაბრუნება, თუკი მას უკვე დაძლეულად მივიჩნევო?!.

მაგრამ გრიგოლი უაზრობად მიიჩნევდა ამ იდეის მათემატიკურ განხილვას. ამ შემთხვევაში ეს იდეა სულაც არ გახლდათ ისე მოაზრებული, როგორც ხალხს ეგონა.

აი აღმოსავლეთში ამ იდეის საიდუმლოებას ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ იცნობდნენ. მარადიული დაბრუნება ხომ წარმოდგებოდა დაბრუნებად: მზისა, მთვარისა, გაზაფხულისა, ბუნების ძალებისა, წარმოდგებოდა დაბრუნებად დიონისოსი.

— „ყოფიერება" დროში „მარადიული" ყოფნაა. „ყოფიერება" დაბრუნებაში არის „არსებობა" დიონისოსი. ეს უკვე ნაწინასწარმეტყველებია ბაბილონურ „გილგამეშში". გადმოცემულია ეგვიპტელთა „ოსირისში".

როგორ შეიძლება აღგვექვა მაგალითად „ყოფიერება" ღმერთისა?

ყოველი წამი მასში „ახალი" რომ არის და ნებისმიერ მომენტში — „უცვლელი", რაც ნიშნავს, რომ: იგი ყოველ წუთს საკუთარ თავს უბრუნდება. მარადიული დაბრუნება კი სიმბოლოა მარადიული ყოფიერებისა, უკვდავებისაო.

ესეც კავშირი „დემონურისა" და „ღვთიურისა".

და ნიცშეს ჰქონდა ამ იდეის შემოქმედებითი წინათგრძნობა.

ესეც ძალა ამორ ფატისა: ბედისწერის სიყვარულს, საბედისწერო სიყვარულს რომ გულისხმობდა ლათინურად.

დაე მომხდარიყო, რაც მოსახდენია.

ძლიერი ადამიანი ხეს უნდა ჰგავდეს, ქვას უნდა ჰგავდეს.

ეს კი ნიშნავდა: აღარანაირ განხეთქილებას, — რაკიღა სწამდა, რომ: ამორ ფატი განხეთქილების დაძლევას გულისხმობდა.

სიკვდილი თვითვე გახლდათ განხეთქილება — და როგორღა შეეძლო ამორ ფატის დახმარებოდა?

სიკვდილი, სიკვდილი როგორც ქვა, როგორც ხე?

გრიგოლ რობაქიძის შეტყობით: არა, ნიცშეს ეს არ შეეძლო.

სამყაროს საიდუმლოება „დიონისო“ გახლდათ და „დიონისურ“ ფენომენში ამორ ფატი იმალებოდა, მაგრამ „დიონისო“ ნიშნავდა არა მხოლოდ სამყაროს შემოქმედებით ვნებას, არამედ „ტანჯვასაც“ ცხოვრებისა. „დიონისო“ იტანჯებოდა. „დიონისურშიც“ არსებობდა განხეთქილება. და ჩაურთავდა: დიონისო დაძლევაა განხეთქილებისა, მაგრამ ამ დაძლევამდე ვანხეთქილება არსებობსო.

ამგვარად გამოიკვეთებოდა „ტანჯვა“.

ნიცშემ არ იცოდა ის, რასაც ქართველი მწერალი ასე განსაზღვრავდა:

დიონისო ჰაიდნისეული წინათგრძნობააო.

ერთ მომენტში გერმანელი ფილოსოფოსი დიონისოს... „ჯვარცმულს“ ნახავდა, ამას მთელი ცხოვრება შეებრძოლებოდა, შეებრძოლებოდა და... კიდეც გაგიჟდებოდა...

ჩანდა აქ მისტერია?

და გრიგოლ რობაქიძე კიდევ უფრო ღრმად ჩასვლასაც მოიწადინებდა „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შემოქმედის სულის ხვეულებში:

იქნებ თავის თავს ებრძოდა, საკუთარ თავში აცვამდა ჯვარს ქრისტეს, და როდესაც საკუთარი თავი მკვდრეთით აღმდგარი იხილა (და ჩაურთავდა: კვლავ — ახალშობილი დიონისო — ქრისტეო), მოხდა ეს, „უკანასკნელიო“...

და ამ უკანასკნელს არ შეეძლო „დაბადებულის“ გამოსახვა...

დოსტოევსკიც რომ ეცმოდა ჯვარს? სხვაგვარად, მაგრამ მაინც?

აქ ქართველი მწერალი გრძნობდა საზღვარს, რომლის გადალახვაც ახალდაბადებულს არ შეეძლო.

ორი პოლუსი, ორი უკიდურესობა:

„ან“ — „ან“...

ან სიგიჟე, ან სიწმინდე...

და არავითარი „შორის“...

თუ რაიმეს, ამასაც დაბეჯითებით განაცხადებდა:

არც დოსტოევსკი და არც ნიცშე არ იყვნენ „შორის“ ადამიანებიო...

ხოლო ესეიდ გადაქცევას კერძო ბარათისა იმით ახსნიდა:

ესაა აზრები, რომელნიც თქვენმა ნაწარმოებმა გააღვიძა ჩემშიო...

გაუმჟღავნებდა, რომ საერთოდაც მარტოსული გახლდათ, და ეს განცდა განსაკუთრებით აქ დატანჯავდა, ბერლინში... მაგრამ რაკიღა შტეფან ცვაიგის ნაწარმოები იყო „არსება“, გრიგოლ რობაქიძე ერთი კვირის განმავლობაში თავს მარტო აღარ იგრძნობდა.

— ჩვენ ორნი ვიყავით: მე და თქვენი ხელოვნების ნიმუში...

თითქმის ფიზიკური ტკბობა აღმოჩნდებოდა ეს გრიგოლისათვის და ამიტომაც მისწერდა იმ სიტყვებს, ისერიგად აღმტაცთ: ჩვენ ორნი, მე და არსებადქცეული თქვენი თხზულებაო.

მეორე დღეს დაურთავდა პოსტსკრიპტუმს, რომელშიც ამცნობდა, რომ სწორედ ამ წუთებში მიეღო შტეფანის მეგობრული ბარათი. და ჩაურთავდა: ესეც დამთხვევააო? გამჭვირვალე ქვეტექსტით, რომ: რაღაც ფარული კანონზომიერება წარმართავდა მათ ურთიერთობას.

— მე ბედნიერი ვარ.

ხელნაწერი ამანათში წერილთან ერთად ჩაედო და ისე გაეგზავნა. და ახლა შეშფოთებული ეკითხებოდა: ხომ არ დაიკარგაო?.. და კვლავინდებურად უმეორებდა თავის სურვილს ავსტრიელი თანამოკალმის პირადად გაცნობისა... და სასიხარულოდ ეჩვენებოდა, რომ შეეტყო: ჩემი თანამემამულე იმყოფება ზალცბურგშიო...

ესაა აზრები, რომელნიც თქვენმა ნაწარმოებმა გააღვიძა ჩემშიო...

იგულისხმება, რომ ამ ორი პიროვნების ირგვლივ ცვაიგისეულმა მსჯელობამ წამოუტივტივა ზოგიერთი შეხედულება, რაც მათზე ფიქრისას გასჩენოდა, დაჟინებული, სწორედაც დაჟინებული ფიქრისას, მას შემდგომაც რომ განაგრძობდა, რაც ერთსაც და მეორესაც ესეებს მიუძღვნიდა.

სწორედაც რომ გაელვიძებინა, რაკიღა სხვაგვარად ეგებ აღარც მიბრუნებოდა მათზე წერას, აქ კი მარჯვე საშუალება მიეცემოდა ნაფიქრის ჩამოსაყალიბებლად, თუკი საამისოდ მოიცლიდა, ეპისტოლეში დაწურულ მსჯელობას კიდეც რომ გაშლიდა და ესეებადაც აქცევდა.

ისე კი მარადიული დაბრუნების იდეას, ნასაზრდოებს ინდური რელიგიური და ფილოსოფიური წარმოდგენებით, გრიგოლ რობაქიძე ისეთ ახსნას მოუძებნიდა და ისეთი სამზერიდან განჭვრეტდა, რასაც დასავლელი მწერლები თუ ფილოსოფოსები ასე ნიუანსობრივად ვერც გაიაზრებდნენ. თორემ გარდა შტეფან ცვაიგის ნარკვევისა, ხელი მიგვიწვდება მარტინ ჰაიდეგერისა და თომას მანის ესთეტიკურ თხზულებებზეც, და არც ერთი და არც მეორე ამ სამზერიდან არ უკვირდება ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეას, და ალბათ იმ მიზეზით, ორივე ჯერ რომ მხოლოდ ეჩვეოდა აღმოსავლურ რელიგიურ-ფილოსოფიურ რწმენა-წარმოდგენებს და გონებით გაიაზრებდა, გრიგოლ რობაქიძისათვის კი მშობლიური სამყარო გახლდათ ეს რწმენა-წარმოდგენები: და ჯერ მარტო დროის შეგრძნებით, ამ ნიშნით, ერთ-ერთი უმთავრესით, რომ განასხვავებდა ჰერმან ჰესე დასავლურ და აღმოსავლურ მსოფლხედვასა და ცხოვრების წესს — ევროპელი წუთებად და წამებად დაგლეჯილი დროის რიტმით რომ ცხოვრობდა, აღმოსავლელი კი ერთიანი, დაუნაწევრებელი დროის განცდით.

ამ მხრივ დიდ სულიერ სიახლოვეს იჩენდნენ ინდოელები და ქართველები.

და აბა გრიგოლ რობაქიძე მარადიული დაბრუნების იდეას ნიცშესთანაც რომ აღმოაჩენდა, თითქოს მშობლიურ ნაკადს შეხვედროდა.

მაინც რითი მიეზიდა ნიცშეს? ისიც იმითვე, რითიც ყველა:

გრიგოლი დითირამბს რომ მიუძღვნიდა ინდივიდუალობას — როგორც ძლიერ საყვარელსა და ძვირფასს ყოველი ადამიანისათვის, რასაც ნათლად გვიმტკიცებდა ინდივიდუალური ნაკადული თანადროულ ხელოვნებაში, განმაცხოველებელს იმგვარი თავისებური მომენტებისა, რომელნიც სწვდებოდნენ უკანასკნელ სიმს კაცის სულიერი მოძრაობისა და თავისკენ იზიდავდნენ მის გულსა და მისწრაფებას — თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა შესანიშნავ ინდივიდუალისტს ფრიდრიხ ნიცშეს:

რაც უნდა უკიდურესობაში ვარდებოდეს ეს თავისებური მწერალი, იგი მაინც განხორციელებაა ინდივიდუალური ნაკადულისა, იგი მაინც პოეტია ადამიანის ძლიერებისა, იგი მაინც მომღერალია თავისი წარმტაცი „ზეკაცისაო"...

ესეც ის საიდუმლო, თუ რითი იზიდავდა ყველას!..

თავის დროზე საჯარო ლექციასაც მიუძღვნიდა ახალი ეპოქის მესიტყვეს, დავით კასრაძე რომ გამოედებოდა და კრიტიკულადაც მიმოიხილავდა იმ ლექციას „სახალხო გაზეთის" 1911 წლის 25 მაისის ნომერში, ორი დღის თავზე გრიგოლ რობაქიძის საპასუხო სტატია რომ მოჰყვებოდა „იძულებითი განმარტების" სახელწოდებით, და ზოგად შესავალში წუხილს გამოთქვამდა ჩვენი ცხოვრების საშინელი არეულობისა და დაწვრილმანების გამო.

ჩვენში თითქოს ლიტერატურაც არსებობდა და კრიტიკაც, მაგრამ ამისდა მიუხედავად არ მოიძებნებოდა ისეთი მთლიანი ორგანო, რომელიც ასე თუ ისე განსაზღვრავდა ლიტერატურის მიმდინარეობას. სხვა ერებში ამგვარ როლს დიდი ჟურნალები და საფუძვლიანი გამოცემები ასრულებდნენ, ჩვენში კი ამავე როლს ყოველდღიური გაზეთები კისრულობდნენ.

შესწევდათ კი ასეთ გაზეთებს ის ძალა, თავიანთ ფურცლებზე ესთეტიკური და ფილოსოფიური თეორიები გადმოეშალათ?!

და მართლაც გაზეთები ვერ სცილდებოდნენ მცირე შენიშვნების გამოთქმას.

არადა ასეთ შენიშვნებს ხომ მაშინ ჰქონდათ ფასი, როდესაც მათ წინ უძღოდათ — ჟურნალსა ან წიგნში — დასაბუთებული წერილები.

თუ ეს პირობა დაირღვეოდა, მაშინ ამგვარი შენიშვნები სარგებლობის ნაცვლად ხანდახან საშინელ არევდარევასაც იწვევდა. და ამის მაგალითს აწინდელი ლიტერატურული კრიტიკა წარმოადგენდა: არსად გარჩევა, არსად დასაბუთება — მხოლოდღა პირადი შთაბეჭდილება და მცირე შენიშვნა.

ეს გარემოება ლექტორსაც უხერხულ დღეში რომ აგდებდა, მაგალითის მოსაძებნად შორს წასვლა არ დასჭირდებოდა.

მესამე წელი გადიოდა, რაც ლექციების კითხვას შედგომოდა. და მის შესახებ ბევრი წერილი დაიბეჭდებოდა: პირადი შთაბეჭდილება, საზოგადოების შთაბეჭდილება და კრიტიკული გარჩევა. პირად შთაბეჭდილებას მაშინ ჰქონდა ფასი, თუ მისი განმცდელი იმ საკითხში ცოტად თუ ბევრად ავტორიტეტად მიიჩნეოდა. საზოგადოების შთაბეჭდილება მხოლოდ ქრონიკისათვის გამოდგებოდა. ხოლო კრიტიკული გარჩევის მხრივ სამწუხარო სურათი იშლებოდა: სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი ავტორი — არჩილ ჯორჯაძე და დიმიტრი უზნაძე — შეეხებოდა დასაბუთებით მის ლექციებს.

გულწრფელად განაცხადებდა:

კრიტიკა ყველასათვის საჭიროა; საჭიროა ის ჩემთვისაცო.

მაგრამ რა გინდოდა გელონა, როდესაც ის არ არსებობდა? ყოველთვის არჩილ ჯორჯაძე და დიმიტრი უზნაძე ხომ არ დაესწრებოდნენ მის ლექციებს!..

საინტერესოდ ეჩვენებოდა ამ მხრივ დავით კასრაძის წერილი, როგორც ერთგვარი სიმპტომატური მოვლენა.

— იგი ახლად გამოსული საგაზეთო მწერალი უნდა იყოს: მე პირველად ვხვდები მის წერილს.

სტატიას კეთილი სურვილი ეტყობოდა? მაგრამ ისიც უნდა ეთქვა ლექტორს: კეთილი სურვილი არა კმაროდა, საჭირო იყო კიდევ მომზადებაც. ეს კი, ნუ ეწყინებოდა ახალ ავტორს, ძლიერ აკლდა მას. სად გამოსდგომოდა მთელ წერილს საპასუხოდ, საამისოდ ვერ მოცდებოდა, და მარტოდენ რამდენიმე საგულისხმო მუხლის აღნიშვნას იკმარებდა.

გამოხმაურების ავტორი რომ წერდა:

— ნიცშეს შორეული ესმის, იმას უყვარს ის, იმიტომ რომ გონებით ცოცხლადვე განიცდის მას. მაგრამ ქართველობის თავ-

გამოდება არ ყოფილა პირველად ამ განზრახვით აღტყინებული. იგი უფრო მარტივია, ინსტიქტიური და სადა.

გრიგოლი სრულებით ვერ გაიგებდა ამ სტრიქონების შინაარსს. ლექციაზე ხომ განევითარებინა აზრი, რომ: სიყვარული მოჩვენებისა (შორეულისა) უფრო დიადია, ვიდრე სიყვარული ყოველდღიური სინამდვილისა (თუგინდ ემპირიული ადამიანისა). და საილუსტრაციოდ მოეყვანა მაგალითი „ქართველობისა", როგორც სულიერი მთელისა და ემპირიულად „მოჩვენებისა", რომლისადმი სიყვარულით რჩეულნი ქართველნი სისასტიკესაც კი სჩადიოდნენ.

რანაირად უკავშირებდა ამას ავტორი თავის შენიშვნას, გრიგოლისათვის სრულიად გაუგებარი გახლდათ; ან იქნებ ფრაზები შესაფერისად ვერ ჩამოეყალიბებინა და უნებლიეთ ამით დაებნია თუნდ ეს მსმენელი?!.

თუმც ეს მაინც წვრილმანი იყო მთავარ შენიშვნებთან შედარებით. თუნდ ამასთან:

— ნიცშეიზმი, მიუხედავად მისი აფორიზმული ფორმისა, მიუხედავად მისი მეტისმეტი უსისტემობისა, უკვე ჩამოყალიბებულ და ლოღიკურად დასკვნილ ერთს მთელს წარმოადგენს და გამომდინარეობს იმმანენტურ აუცილებლობის გამო მის ძირითად პრინციპებიდან.

კი მაგრამ... მეტისმეტი უსისტემობა და ლოგიკურად ერთ მთელად ჩამოყალიბება ერთიმეორეს რომ ეწინააღმდეგებოდა? ნიცშე ხომ არ გახლდათ განყენებული მოაზროვნე — მის მოძღვრებას ამ მხრივ სისტემა აკლდა. იგი იყო მხატვარი-მოაზროვნე და ამ მხრივ მის მოძღვრებას თან სდევდა მხატვრული მთლიანობა, აფორიზმებად ჩამოქნილი.

ხოლო მხატვრული მთლიანობის აღდგენა განყენებული აზროვნებით და მისი ლოგიკურად ჩამოყალიბება ყოვლად შეუძლებელი რომ არის, სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ ნიცშეს მოძღვრება ერთნაირად თითქმის ორ ადამიანსაც არ ესმოდა. ნიცშეს მოძღვრებისა მარტოდენ შეგრძნება შეიძლებოდა, რადგანაც ის ერთ დიად განცდად წარმოდგებოდა.

ნიცშეს ამ მხრივ „ნიცშეს პრობლემა" წამოეყენებინა და მხოლოდ მას შეეძლო ჩაწვდომოდა ამ მოძღვრებას, ვინც ამ პრობ-

ლემას განიცდიდა. ეს განცდა კი უთუოდ ესთეტიკური უნდა ყოფილიყო და არა განყენებულ-ლოგიკური...

სწორედ ამას გულისხმობდა, როდესაც ლექციის შესავალში გულახდილად აუწყებდა საზოგადოებას: ჩემი მონათხრობი არ იქნება მიგება იმ კითხვისა, თუ რა არის ნიცშე, არამედ იმ კითხვისა, თუ როგორ გადაიჭრა ჩემში ნიცშეო...

კრიტიკოსს ესეც სადავოდ გაეხადა:

— სათაურით კი „ფრიდრიხ ნიცშე" იგი უფრო მეტს გვპირდებოდა, არა ნიცშეიზმის უმნიშვნელო ნაწილის გადმოცემას, არამედ ნიცშეიზმის არსებით თვისებების ობიექტურად გადმოცემას.

არადა: სათაურს თან ახლდა პროგრამაც და თუ ლექტორი პროგრამის ფარგლებში ლაპარაკობდა, ეს ნაკლად არ უნდა ჩათვლოდა. თანაც — ამ პროგრამის ფარგლებში მოქცეული კითხვები უმნიშვნელო კი არა, უმთავრესი გახლდათ ნიცშეს მოძღვრების შეგნებისათვის და ლექციაში შეძლებისამებრ ამას ავითარებდა.

და არც ეს მოსწონებოდა დავით კასრაძეს, გრიგოლ რობაქიძე ნირვანასა და აპოლონ-დიონისოს კულტებს რომ გაიხსენებდა, რადგან: თითქოსდა ნიცშეს გასაგებად ეს სრულიადაც არ იყო საჭირო და უფრო მეტ ბუნდოვანებას ბადებდა. კრიტიკოსები კი, დასახელებით არ ასახელებდა მათ ვინაობას, ნიცშეს წინამორბედებად უფრო სოფისტებს ასახელებდნენ, მეორე აღორძინების ხანას, „ქარიშხლისა და შეტევის" ეპოქას, მაქს შტირნერს, ართურ შოპენჰაუერსა და ჩარლზ დარვინს...

არადა: როგორც ლექციაშიც განემარტა, ნიცშეს გასაგებად სწორედ დიონისოსა და აპოლონის კულტის ფილოსოფიური ახსნა იყო საჭირო. ვისაც წაეკითხა ნიცშეს „წარმოშობა ტრაგედიისა მუსიკის სულისაგან", გვერდს ვერ აუხვევდა ამ ორ დასაწყისს ელინთა კულტურისა. და არ არსებობდა არცერთი მნიშვნელოვანი მკვლევარი ნიცშესი, რომელიც ასე თუ ისე ანგარიშს არ უწევდა ამ ორ დასაწყისს.

გრიგოლ რობაქიძეც ამ ორ დასაწყისს დაყრდნობოდა და ნიცშეს მოძღვრება გაეხსნა დიონისესა და აპოლონს შუა. და ვი-

საც სურდა მისი დებულების დარღვევა, მას ყოვლის უწინარეს კრიტიკის ცეცხლში უნდა გაეტარებინა სწორედ ამ დებულების განვითარება; თორემ უბრალო შენიშვნა უსარგებლო და უსაფუძვლო გამოვიდოდა.

ამითვე აიხსნებოდა ის გარემოებაც, თუ რად არ გამოეყენებინა შოპენჰაუერი სავსებით ნიცშეს მოძღვრების განვითარებაში. გრიგოლს აინტერესებდა მხოლოდ შოპენჰაუერის ინტუიცია მუსიკის შესახებ, რადგანაც ნიცშეს „მუსიკალურ განცდაში" პოულობდა გამოსაკვლევ მუხლს მისი მოძღვრებისა.

ამით ხსნიდა სხვადასხვა იდეის წარმოშობა-განვითარებას: მარადი მობრუნებისა, „ძალადობისა" (ნება ძალისადმი), შორეულის სიყვარულისა და ზესთადამიანისა.

დავით კასრაძე სრულებით არ ეხებოდა იმ გარემოებას, მართლა ასე წარმოშობილიყვნენ ეს იდეანი თუ არა, და ამის მაგიერ იმეორებდა იმ ჩვეულ აზრს, ვითომ იდეა ზესთადამიანისა ევოლუციური სკოლის გავლენით, განსაკუთრებით კი ჩარლზ დარვინის წყალობით წარმოშობილიყოს...

გრიგოლ რობაქიძე სრულიადაც არ გახლდათ წინააღმდეგი ამგვარი ახსნისა, მაგრამ თანვე დასძენდა, რომ: ევოლუციური თეორია შემთხვევით დართვოდა ნიცშეს მუსიკალურ შეგნებაში დაბადებულ იდეას ზესთადამიანისა.

აქ უნდა აღენიშნა კიდევ ერთი რამ:

აელო მთავარი ნაკადული ნიცშეს მოძღვრებისა და ამისათვის გვერდი აევლო მრავალი სხვა საკითხვისათვის: ნიცშე და ვაგნერი, ნიცშე და ქრისტიანობა, ნიცშე და მორალი... ასე განზრახ მოიქცეოდა, რადგანაც ერთი სალამოს ფარგლებში ყოვლა შეუძლებელი გახლდათ ნიცშეს გადმოცემა მთლიანად. სურდა მხოლოდ, რომ საიდუმლო გასაღები მოენახა ნიცშეს მოძღვრების გამგებისათვის, და მთელი მისი ლექცია სწორედ ამ საიდუმლო გასაღების ძიებაზე აიგებოდა.

კრიტიკას ევალებოდა — გაერჩია, ნამდვილი გახლდათ ეს მეთოდი თუ არა; და ვიდრე ამ მეთოდის უვარგისობას არ დაამტკიცებდნენ, მანამდე გრიგოლ რობაქიძის ძიებაც შეურყეველი დარჩებოდა...

მალევე დავით კასრაძე „სახალხო გაზეთის“ ექვს ნომერში — 17-დან 23 ივლისამდე — გაგრძელებებით გამოაქვეყნებდა ვრცელ ნარკვევს „ფრიდრიხ ნიცშე“, რაც გრიგოლ რობაქიძის თვალში არაფერს წარმოადგენდა ისეთს, რაც ათასჯერ არ ყოფილიყოს განმეორებული პოპულარულ წიგნაკებში, და ამიტომაც კრიტიკულად არ შეეხებოდა, მაგრამ გვერდს ვერ აუვლიდა იმ ადგილებს, სადაც ავტორი ეხებოდა მის საპასუხო სტატიას, გამოწვეულს დავით კასრაძის რეცენზიით მის ლექციაზე.

კვლავ დაუბეჯითებდა: თუ მოძღვრება ჩამოყალიბებულსა და ლოგიკურად დასკვნილ მთლიანობას წარმოადგენდა, მაშინ უსისტემოც ველარ იქნებოდა, ავტორი ვერასგზით ვერ შეარიგებდა მათ, და ამიტომაც ზედმეტი ხდებოდა მოშველიება ქრისტიანობისა თუ ბუდიზმისა.

ქრისტიანობა რასაკვირველია ერთ რამეს წარმოადგენდა, მაგრამ ეს „რამე“ ლოგიკურად დასკვნილ მთლიანობად არ იკვეთებოდა, და ეს იმიტომ, რომ ქრისტიანობა „სისტემად ჩამოყალიბების“ გარეთ იდგა თავისი შინაგანი არსების გამო. ჩვენ ვიცოდით სისტემა ჰეგელისა, სისტემა ჰერბერტისა... მაგრამ ქრისტიანობა, მიუხედავად იმის ორიათასწლოვანი ხნოვანებისა, ასეთ ლოგიკურად შეწყობილ სისტემად არ წარმოდგებოდა. ის რომ ჩვეულებრივად ყოფილიყო სისტემად ჩამოყალიბებული, მაშინ აღარც მოხდებოდა ასეთი განხეთქილება მართლმადიდებლობას, პროტესტანტიზმსა და კათოლიკობას შორის. ასევე ითქმოდა ყველა მისგვარ მოძღვრებაზე, ჰამანის მოძღვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო!..

ასე რომ: მეტისმეტი უსისტემობა და ლოგიკური დასკვნილობა ერთ მთელად ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდა.

კიდევ რას ედავებოდა კრიტიკოსი?

ბატონმა რობაქიძემ ნიცშეს მოძღვრების მთავარი ნაკადი აიღო და... ამისათვის გვერდი აუხვია ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ნიცშე და ვაგნერი, ნიცშე და ქრისტიანობა, თვით მორალიც კიო!..

მაგრამ ლექტორი აქ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერა ხედავდა, რადგანაც: ვაგნერი და ქრისტე შემდგომი მომენტები გახლდათ ნიცშეს ვითარებაში.

ანდა რატომ ხდებოდა, რომ: გრიგოლ რობაქიძე დაინტერესებულიყო შოპენჰაუერის ინტუიციით მუსიკის შესახებ და ამავე დროს გვერდს უხვევდა ვაგნერს?

სრულიად სამართლიანადო, — პასუხობდა ადრესატი, — მე მაინტერესებდა და მაინტერესებს მუსიკალური მხარე ნიცშეს მოძღვრებაში, თავისთავად, გარეშე შოპენჰაუერისა და ვაგნერისა; და თუ მაინცდამაინც შოპენჰაუერი გავიხსენე, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ნიცშეს მუსიკალურ შეგნებაში შოპენჰაუერის ინტუიცია მუსიკის შესახებ არ მომკვდარაო. და დასძენდა: სულ სხვაა მისი ფილოსოფიური დასაბუთება პესიმიზმისა და ამ კითხვას არ შევხებივარო.

ნიცშე უარყოფდა სათაყვანო ვაგნერს, მაგრამ არ უარყოფდა მუსიკას, და სწორედ ეს უარყოფილი მუსიკა გახდებოდა გრიგოლ რობაქიძისათვის ასახსნელ მუხლად ნიცშეს შემოქმედების საიდუმლოებისა.

და რაღა გასაკვირია, რომ ერთ ლექციაში ვაგნერისათვის გვერდი აეხვია?

თვითონ „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, ეს ვაგნერის შემდგომ შექმნილი თხზულება, განა მუსიკალური პრინციპის განხორციელებად არ წარმოგვიდგებოდა?

და მოიხმობდა ამონარიდს მისი თხზულებიდან „ეკკე ჰომო“ (ეჰა კაცი იგი“):

— სული ზარატუსტრასი დითირამბის ენით ლაპარაკობს; მე აღმომჩენი ვარ დითირამბისა; ყური დაუგდეთ, როგორ ელაპარაკება ზარატუსტრა თავის მხრივ მზის ამოსვლის წინ: ასეთი ალმასის ბედნიერება, ასეთი ღვთაებრივი სინაზე ჩემამდე არ იცოდა არცერთმა ენამ.

და აქ მაგალითად იღებდა ზარატუსტრას „ღამის სიმღერას“ და შენიშნავდა:

— არასოდეს არ აღწერილა, არ გრძნობილა, არ განცდილა ამის მზგავსი: ასე იტანჯვის ღმერთი დიონისოისა.

თუ რა შინაარსისა გახლდათ ეს მუსიკალობა და ეს ტანჯვა, ამას ზესთადამიანის დახასიათება დაგვანახვებდა, ამჯერად კი კმარობდა იმის აღნიშვნას: ეს შენიშვნაც უმართებულო და შეუწყნარებელიაო.

ანდა მომდევნო შენიშვნაც:

რანაირად შეიძლება ევოლუციური თეორია შემთხვევით დართოდა ნიცშეიზმს, როცა დარვინის „სახეობათა წარმოშობა“ პირველად გამოვიდა 1859 წელს, ნიცშეს „ტრაგედიის წარმოშობა“ კი დაიბეჭდა 1871 წელსო?

განა უსაფუძვლოდ არ გამოიყურებოდა, რაკიღა „დართვა“ სულაც არა ნიშნავდა, თითქოს ისტორიულად წინყოფილი დამატებოდა შემდეგყოფილს. „დართვას“ ხომ სულაც არ გააჩნია ისტორიული აზრი. „დართობაში“ სრულებით არ შედის ისტორიული წინაობა ან უკანაობა, აქ მხოლოდ იდეალური ვითარება იგულისხმება: შეიძლება ისტორიულად რაიმე წინაარსებობდეს, მაგრამ იდეალურად შესაძლებელია მისი უკანარსებობა.

გრიგოლ რობაქიძის მტკიცების აზრი ის გახლდათ: დარვინის „სახეობათა წარმოშობა“ თვალითაც რომ არ ენახა ნიცშეს, მაინც მივიდოდა თავისით ზესთადამიანის იდეამდე, და ამიტომაც შესაძლებელია თქმულიყო, რომ ევოლუციური თეორია შემთხვევით დართოდა ნიცშეს მუსიკალურ ბუნებაში წარმოშობილ იდეას ზესთადამიანობისა.

ხოლო ნიცშეს მოძღვრება დარწმუნებით რომ მიაჩნდა გრიგოლს დიონისოსა და აპოლონს შორის მომწყვდეულად, სხვანი ასევე დაბეჯითებით ამბობდნენ — და დავით კასრაძეც იმეორებდა ამ მოსაზრებას — რომ ეს მოძღვრება არ აიხსნებოდა ამ ორი პრინციპით, რადგანაც ნიცშე შემდეგში უკვე გამოვლიდა ხანას დიონისოსა და აპოლონისა.

მაგრამ რამდენად მართებული იყო ამგვარი შეხედულება?

რად გვინდოდა ზედმეტი თავისმტვრევა, დაე მიგვემართა თვითონ ნიცშესათვის.

„ეკკე ჰომო“ საუკეთესო თვალგადავლება გახლდათ ყველა მისი თხზულებისა და სწორედ ამ თხზულებაში იგი დიონისური პრინციპით ხსნიდა (აპოლონი შეუცნობლად იგულისხმებოდა) თავის სულიერ განვითარებას:

— მე უფლება მაქვს ამ აზრით ვრაცხდე ჩემს თავს ტრაგიულ ფილოსოფოსად, — ამით მინდა ვსთქვა: უკიდურეს წინააღმდეგობად და ანტიპოტად პესსიმისტ-ფილოსოფოსისა, ჩემამდე

არავის შეუცვლია პათოსი დიონისოსი ფილოსოფიური პათოსით: ეს არ ყოფილა „ტრაგიული სიბრძნე“.

ამით ნიცშეს სურდა ეთქვა: ტანჯვის გახსნა ტანჯვისაგან ხსნააო.

და ამ სიბრძნეს დიონისეს სახით გადაშლიდა.

რას ნიშნავდა ფენომენი დიონისესი?

ნიცშე ასე პასუხობდა:

— დამტკიცება წუთიერობისა და გაქრობისა, ეს გადამწყვეტი მუხლი დიონისოს ფილოსოფიაში, წინშემტევისა და ბრძოლის დამყარებისა, პრინციპიალური უარყოფა თვითონ „ყოფის“ ცნებისა, — ეს მიმაჩნია ყველას უფრო ახლობელად ჩემდა ყველა მისგან, რაც კი ხდებოდა აქამდე საგნად აზრისა.

და აქ იშლებოდა მძლავრი იდეა მობრუნებისა — მთავარი აზრი „ესე იტყოდა ზარატუსტრასი“. და ეს იდეა ამნაირად განიმარტებოდა ამ თხზულებაში:

— სული, რომელსაც აქვს უგრძელესი კიბე და რომელიც ჩავალს დიდს სიღრმეში, სული მეტად ფართო, რომელსაც ძალუძს რაც შეიძლება ქვეით და ქვეით ჩასწვდეს თავის თავს, იხეტიალოს და იქანაოს თავის არსებაში, რომელიც მოჯადოებული უვარდება შემთხვევის ხვევნას, სული მყოფი, რომელსაც უნდა ყოფადქცევა, სულმფლობელი, რომელსაც სწყურია სურვილნი და მოთხოვნანი, ჩამწვდომი თავის თავისა...

და ნიცშეს თვალთახედვით: ეს თვითონ დიონისეს ცნება გახლდათ.

და კიდევ:

ზარატუსტრას ცხოვრებაში ფსიქოლოგიურ პრობლემად წარმოდგებოდა ის, თუ რარიგ შეეძლო ამ უკიდურეს უარმყოფელს ყოვლისა — სიტყვითაც და საქმითაც — რაც აქამდე დამყარებულიყო, თვითონ ყოფილიყო, მიუხედავად ყველა ამისა, წინააღმდეგი უარმყოფელი სულისა.

რანაირად შეეძლო სულს, რომელსაც აწვა ერთი უმძიმეს ბედისწერათაგანი, საშინელი ამოცანა, თვითონ ყოფილიყო, მიუხედავად ყველა ამისა, უმსუბუქესი და ზევარსკვლავური.

რარიგ შეეძლო მას, აღჭურვილს უსასტიკესი და უსაშინლე-

სი ცოდნით სინამდვილისა, რომელსაც გაეფიქრებინა „უღრმესი აზრი", რარიგ შეეძლო მას, მიუხედავად ყველა ამისა, დაენახა კიდევ ერთი მიზეზი ზედმეტი, რომ თვითონ ყოფილიყო მარადის „ჰოდ", მათხრობლად ყველა საგნის მიმართ უზომო, უსაზღვრო „ჰოდ" და „ამინად"!

— ყოველს უძირო ქვესკნელს მიმაქვს მე ჩემი მაკურთხებელი „ჰო"... მაგრამ ეს კიდევ ხომ ცნებაა დიონისოსი!

ესეც თვით ნიცშეს აზრი:

ზარატუსტრა თავისებური დიონისე გახლდათ, და მისთვის იდეა ზესთადამიანისა მის წიაღში შობილიყო.

და ირწმუნებოდა, რომ:

მისი წარმოდგენა „დიონისობისა", აქ, „ესე იტყოდა ზარატუსტრაში" ქცეულიყო უმაღლეს მოქმედებად; მასთან შედარებით მთელი დანარჩენი მოქმედება ადამიანისა უმწეოდ და სათუოდ რომ გამოიყურებოდა.

და ესეც დანიშნულება ზარატუსტრასი:

ეხსნა წარსულნი, და „ასე იყო" გარდაექმნა „ასე მინდოდად".

რაღას აეჭრელებინა სტატია ციტატებით, უკვე კანთიელად ჩანდა, თუ რატომ იყო მის ლექციაში ნიცშეს მოძღვრება დიონისესა და აპოლონს შუა გახსნილ-განვითარებული.

დასასრულ არ შეეძლო არ აღენიშნა ერთი მოვლენა, ფრიად ნიშანდობლივი ჩვენი საზოგადოებისა.

გრიგოლი ცნობილი კი გამხდარიყო, როგორც მისტიკოსი, ხოლო რა სახის მისტიკოსი, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. და შენიშნავდა ამას გულახდილად, რადგანაც: მისტიციზმიც არის და მისტიციზმიც. და დავით კასრაძეც ეტყობა ასე ფიქრობდა, რადგანაც ერთგან ასე ამთავრებდა ფრაზას:

— ...სულ ადვილად ავხსნით, თუ გავიხსენებთ მის ბოლონდელ მისტიკობას და ვლადიმირ სოლოვიოვების და მერეჟკოვსკ-ბერდიაევების აყოლას.

რა უნდა ახსნას მანო, — იკითხავდა გრიგოლ რობაქიძე, — როცა მისთვის, როგორც ეტყობა, თვითონ ეს სახელებია აუხსნელი?! მერეჟკოვსკი ბევრში ეომებოდა სოლოვიოვს და ბერდიაევი მერეჟკოვსკისო.

ვინც კარგად იცნობდა მათ ნაწერებს, მისთვის ეს დღესავით ნათელი გახლდათ.

— ესევე ითქმის ჩემზედაც.

ბევრში ეთანხმებოდა ამ მწერლებს, ბევრში კი მკაცრად ეომებოდა. პირადად მისი განწყობილება მერეჟკოვსკისა და ბერდიაევისადმი სრულებითაც არა ნიშნავდა მათ მიმდევრობას. ხოლო „აყოლას“ რაც შეეხებოდა:

— იგი მე სრულიად არ მეჭირება. ვისაც სურს, მისთვის დამილოცნია.

პირველად ასე გამოჩნდებოდა დავით კასრაძე ლიტერატურის სარბიელზე — გრიგოლ რობაქიძესთან პაექრობითა და ნიცშეს სახელის დამკვიდრების მცდელობით, „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ წინასიტყვის თარგმნასაც რომ მოსინჯავდა, უფრო შორს კი ვეღარ გაჰყვებოდა ამ ეპოქალური თხზულების გადმოქართულებას. ისე თარგმანშიც არაერთხელ ცდიდა კალამს, ვიდრე შემდგომ და შემდგომ რომანს რომანზე დაახვავებდა, ისტორიული იქნებოდა — „დედოფალი იბერიისა“ თუ „ერეკლეს ხმალი“ — თუ თანადროული ცხოვრების ამსახველი — „ჯვარი და სიყვარული“, „გორის ციხიდან“ თუ „განთიადამდე“, დასავლური ყოფის აღწერასაც რომ შებედავდა რომანში „კეთრი“...

ლიტერატურული პორტრეტების სერიასაც გამოაქვეყნებდა, დასავლეთში ცნობილი და საკმაოდ პოპულარული თარგის კვალობაზე: მწერლები ხალათში. და ამ სერიაში უეჭველად მოხვდებოდა გრიგოლ რობაქიძეც, საქართველოდან გასასწრებად რომ არ გახდომოდა საქმე... მათი ოდინდელი პაექრობა ასე სასიკეთოდ შემოტრიალდებოდა და ერთი შესანიშნავი ლიტერატურული პორტრეტის მხილველნი შევიქნებოდით.

და გენანება, როგორ გენანება, რომ არ დაწერილა ამ ყაიდის თხზულება: „გრიგოლ რობაქიძე ხალათში“... თუმც ამაზე ფიქრს აღარ უნდა გავყვეთ, რადგანაც თუნდ ამ მხრივ იმდენი სანანური წამოგვეშლება, გაუვალი ტევრივით ჩავიკარგებით მის წიალში...

არამცთუ გრიგოლ რობაქიძეზე, არ შექმნილა მხატვრული ესკიზები:

„ფრიდრიხ ნიცშე ხალათში“.

„ფიოდორ დოსტოევსკი ხალათში“.

გრიგოლიც რარიგ გაიხარებდა, მისთვის ესეც რომ ხელმისაწვდომი ყოფილიყო: შინაურ გარემოში ნარმოეჩინათ მისთვის ძვირფასი ეს მწერლები, შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად რამდენი მარგალიტი მიმოიბნეოდა, „ხალათი“ თვითონვე რომ იღაღადებდა მათ პიროვნულ თავისებურებებზე, სხვაგვარად სრულიად დაფარული რომ დარჩებოდა.

ახლა რა — იმ ფარულ ინტიმურს მარტოდენ დაკვირვებისა და ძიების წყალობით უნდა მიწვდომოდა როგორმე, ვარაუდებითა და ალღოთი მიეკვლია ზოგიერთი რეალიისათვის, რაც ისედაც უნდა გვივარდებოდეს ხელში „ხალათური“ მანერის აღმწერთა დაკვირვების უნარის გამოისობით.

მოგონებანი ვერ ცვლის ამ ყაიდის თხზულებებს, საკმაოდ ახლოა, განა არა, მაგრამ ვერა ცვლის. და ვერც ავტობიოგრაფიული ნაწერები ცვლის, რაოდენ გულწრფელიც უნდა იყოს.

და გრიგოლ რობაქიძე მკითხველისა და ესთეტიკოსის დაკვირვებებით რომ მიიკვლევდა გზას ფიოდორ დოსტოევსკის სულის ხვეულებსა თუ შემოქმედებითი ლაბორატორიის სიღრმეებში, პირველ საკვირველ ხაზად ეს წარმოუდგებოდა და ასეც ამცნობდა „ბარრიკადის“ მკითხველს 1922 წლის 1 თებერვლის ნომრიდან:

სასტიკი რეალისტია და თან უკიდურესი ირეალისტიცო.

პარადოქსია?

ამ პარადოქსს ასე აღიქვამდა და შეიგრძნობდა რუსი რომანისტი:

მე რეალისტი ვარ — რეალობა თვითონ არის ფანტასტიკაო.

და გრიგოლ რობაქიძე დასძენდა, რომ:

არავის ასე მძაფრად არ გაეყვანა ეს ხაზი.

ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი იჭერდა ირეალურს ტრივიალურისა და ფანტასტიკურის შეხვედრით.

ედგარ პო აღწევდა ირეალურს მათემატიკის მისტიკითა და სატანისტური ლოგიკით.

დოსტოევსკის არც პირველი ხერხი ესაჭიროებოდა და არც მეორე.

საკმაოა მის ხელთ მოხვედრილიყო სინამდვილის უბრალო ნატეხი, ერთი შეხედვითვე ფასტაზმად აქცევდა. და გოეთე რომ ირწმუნებოდა: ყოველი, რაც კი ვლინდება, არის სიმბოლო, და იმ გარემოებით, რომ ვლინებული სახავს თავის თავს სრულად, უთითებს ქარაგმით სხვა დანარჩენსაცო, — ამ გენიალური თქმის უშუალო გამართლებად წარმოდგებოდა დოსტოევსკი: იგი ისე სრულად ამოწურავდა ვლინებულს, როგორც რეალისტი, რომ მისი ამოწურვით უჩვენებდა სხვა რამესაც, როგორც ირეალისტი.

საოცრად ეჩვენებოდა დოსტოევსკის მსოფლიო გზნება, ამ ფორმულად დაწურული:

მე ყოველში ვარ და ყოველი არის ჩემში.

ესეც ის მისტიკური შეგზნება, დოსტოევსკის მთელ ფენომენს რომ იტევდა. არა მხოლოდ სიტყვიერი გამოხატვა, არამედ: ცეცხლეული ნერვი სინამდვილის უკანასკნელი გზნების. და ესეც ტონუსი მისი შემოქმედებისა.

ყოველი მოვლენა მისთვის: გახლდათ „ესეც“ და „ისიც“, „ერთიცა“ და „მეორეც“, „მეორეცა“ და „სხვაც“. მისი თვალი არეულიყო და მასში მოჩანდა ყოველი ხედვა. სული მისი ბნელსა და ქვეშეცნეულში გადასულიყო, სადაც სტიქიურ ელემენტთა ომი გამართულიყო.

და ძებნა-ძებნაში ამ ფორმულასაც მიაკვლევდა დოსტოევსკის ჰიბრიდულ მსოფლიო გზნებად: ყოველი ყოველში.

მისი ხატვითი სხეულების თავისებურების წარმოსაჩენად უილიამ შექსპირს მოიშველიებდა, მის ოტელოს: ვიცით, ვინ არის იგი, მაგრამ არ ვიცით, ვინ არის კარამაზოვიო. უფრო უკეთ: ვიცოდით, ვინ „იყო“ იგი, მაგრამ არ ვიცოდით, ვინ „იქნებოდა“. შექსპირის გმირის ხასიათი იკვეთებოდა სასტიკი განპირობებით, ყოველი მისი ფიგურა პლასტიკური ნაკვთებით იჭედებოდა. დოსტოევსკის გმირის ხასიათი ისხმებოდა შექსპირული ხაზებით, ისიც ყალიბდებოდა ინდივიდუაციის მკაცრი გზით, მაგრამ... ერთი უეცარი გადახვევა და... ჩვენს წინ ვლინდებოდა უცხო პირი, ულოდნელი და გამოუცნობი.

გადახვევა-გადავარდნა: ესეც დოსტოევსკის ხატვითი პრინციპი.

ჩაეფლობოდა ამ თავისებურებების განსჯაში გრიგოლ რობაქიძე, ვიდრე მიადგებოდა მის საშინელ სიბრაზეს, რომელიც ხშირად... სიცილით თავდებოდა, კიდევ უფრო საშინელით: ყვითელი თვალი გიჟის გამოხედვით. და ჭეშმარიტად ქაოსის ბადეს ქმნიდა დოსტოევსკის ფანტაზია.

და ჩამოთვლით რომ ჩამოთვლიდა მის პერსონაჟებს: კარამაზოვებსა თუ თავად მიშკინს, გრუშენკასა თუ ნასტასია ფილიპოვნას, კირილოვსა თუ... სადღა გაჰყოლოდა ამ მრავალფეროვან გალერეას, მკითხველს ურჩევდა საგანგებოდ დაკვირვებოდა „ძმები კარამაზოვების“ იმ პასაჟს, ძალზე მახასიათებელსა და საგულისხმოს.

დიმიტრი კარამაზოვს სურდა მოეკლა მამა — ფიოდორ პავლოვი, თუმც მას ჰკლავდა ლაქია სმერდიაკოვი. სასამართლოში კი დამნაშავედ სცნობდნენ დიმიტრის. რა გზით? რომანში ბევრი საბუთი მოიპოვებოდა, რომ დიმიტრი არ გახლდათ მკვლელი, მაგრამ... ბევრი საბუთიც ცნაურდებოდა იმისა, იგია ჩამდვილი მკვლელიო.

დოსტოევსკი განზრახ რატომ ხლართავდა ფაბულას — რათა კაცთა განსჯა უმწეოდ გამოეყვანა სიმართლისა თუ ბრალის საკითხში?

მაგრამ ეს შთაბეჭდილება მოჩვენებითი გახლდათ, რაკიღა რომანის შინაარსი სულ სხვას წარმოგვიჩენდა:

დიმიტრის არ მოეკლა მამა, მაგრამ მაინც მამის მკვლელი იყო!..

და ამ პარადოქსში მოქცეულიყო მთელი რომანი.

ნაიკითხავდით ათასჯერ ამ საშინელ რომანს და ათასჯერვე ის შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, რომ დიმიტრი ჰკლავდა ფიოდორ პავლოვიჩს, თუმც იქვე ამოიკითხავდით, რომ მკვლელი ლაქია სმერდიაკოვია.

რად ხდებოდა ეს აბერაცია?

რად და:

კარამაზოვთა ოჯახი დოსტოევსკის წარმოესახა არა მკაცრი ინდივიდუაციის ხაზებით, არამედ ნაპირგადასული ჰიბრიდული ქსელებით. აღარ იცოდი, ამ ოჯახში: სად თავდებოდა პირველი და სად იწყებოდა მეორე და სად გრძელდებოდა მესამე. ყველა

ცოცხლობდა ცალკეულ კერძოობაში, მაგრამ... კიდევ უფრო შერევით ერთიმეორეში.

თვითონ ფიოდორ პავლოვიჩში მოცემულიყო სამივე შვილი: იმპულსური დიმიტრი, გულჩათხრობილი ივანე და ნათელი ალიოშა. და ლაქია სმერდიაკოვიც ხომ მისი სისხლი და ხორცი იყო: მისგან შობილი ბუში, ალბათ როგორც რადიუსი მისი სიბილწისა და წუმპესი.

და ასეთ დაქსელვაში იხაზებოდა დიმიტრის დრამა: რათა თვითონ იცოცხლოს, მისთვის საჭიროა მოჰკლას მამა.

და ივარაუდებდა გრიგოლ რობაქიძე, რომ: შესაძლოა აქ სხვა რამეც ყოფილიყო ნაგულისხმევი: მამა, როგორც სიმბოლო წარმოშობის წყევის — ხაზი, რომელიც შემდგომ ანდრეი ბელის უნდა გამოეყენებინა რომანში „პეტერბურგი".

ხოლო თუ დავუკვირდებოდით დოსტოევსკისეულ ხლართს: გარე-გაზომვით სმერდიაკოვი იყო მკვლელი, ხოლო შინა-გაზომვით — უთუოდ დიმიტრი, რომელიც თუ ფიზიკურ პლანში არა, ასტრალურ პლანში ხომ გამოდიოდა მკვლელი მამისა!..

ესეც ის „ასტრალური" მხარე რომანისა, რომელიც ასე რთულად ხლართავდა ფაბულას, და ესეც მთელი რომანის ფოკუსი: კაცთა სიცოცხლის სირთულე ასტრალურობაში რომ გადადის, რასაკვირველია შეუძლებელი ხდება „ადამიანური" გაზომვით მისი ახსნა.

ესეც დოსტოევსკის მისტიკა.

ესეც მისი ხატვითი სხეულების ხაზი: ასტრალიზაცია.

და ასე უნდა გამოკვეთილიყო დოსტოევსკის ზოგადი სახება, სიმბოლურობას შერწყმულ-შენივთებული: ასტრალისტი — თანაც პირველი და უკანასკნელი კაცთა შორის.

გრიგოლ რობაქიძის თვალში დოსტოევსკის ფენომენს ერთი პარალელი ჰფენდა ნათელს და მკითხველსაც ურჩევდა, აქეთ და უსათუოდ აქეთ მიემართა მზერა: ნიცშესაკენ.

დოსტოევსკი არ იცნობდა ნიცშეს.

ნიცშე კი იცნობდა დოსტოევსკის — რამდენადმე. როგორც ამბობდნენ მხოლოდ ერთ რომანს მისას: „წერილები მკვდარი სახლიდან".

და მაინც: მათ იდეათა შორის მსგავსება ფენომენალური გახლდათ — შიგადაშიგ სრული იგივეობაც. ეს სავსებით გაეთვალსაჩინოებინა დიმიტრი მერეჟკოვსკის თავის მონუმენტურ ნაშრომში: „ლევ ტოლსტოი და დოსტოევსკი", და მეტად საგულისხმოდ ჩნდებოდა კითხვა: რას დაებადა ასეთი კონგენიალური შეხვედრა?

რას და:

დოსტოევსკის ჰიბრიდული მსოფლიოგზნება არსებითად იგივე გახლდათ, რაც ნიცშეს დიონისური აპერცეპცია.

„ყოველი ყოველში": ეს ფორმულა ჰიბრიდული ყოფისა დიონისოს ხდიდა საცნაურს.

„მე ყოველში და ყოველი ჩემში" იგივე იყო, რაც „სხვადქცევა" და „ყოვლადქცევა", პალინგენესია და მეტამორფოზა.

თუ ჰიბრიდული ყოფა „ერთიცაა" და „მეორეც", „მეორეც" და „სხვაც" და „ყოველიც", დიონისური ქცევა უხილავ ხელშეუხებ ზონად ჩნდებოდა „ერთსა" და „მეორეს", „მეორესა" და „სხვას" შორის, და კიდევ შორის — „სხვისა" და „ყოველისა".

და საკვირველად აღარ ეჩვენებოდა გრიგოლ რობაქიძეს, თუკი დოსტოევსკი და ნიცშე ერთნაირ იდეებში ტრიალებდნენ: იდეა „გადალახვისა", „მიწის ერთგულება", „სიყვარული შორეულისა", დადასტურება ყოველის, ექსტატიური შეხება და... ჩამოთვლას ვერც აუხვიდოდი მსგავსება-გადაკვეთისა.

ხოლო ერთი იდეა მაინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ ამ ორ მწერალს შორის პარალელის გამართვისათვის:

იდეა მარადი მობრუნების — სწავლა ძველი პითაგორას სკოლის.

იქ ანრი ბერგსონის „რეალურ დროსაც" გაიხსენებდა, იქ გეორგ ზიმელის მოსაზრებასაც გამოიხმობდა, რათა ცხადი გაეხადა, რომ: რაციონალური ტერმინებით ეს იდეა ვერ გაიხსნებოდა. მისი ბუნება ირაციონალური გახლდათ და ამიტომაც — მისტიკაში და მხოლოდ მისტიკაში გამართლებული.

— თუ მე ყოველში ვარ და ყოველი არის ჩემში, მაშინ არაფერი არ არის ჩემში, რაიც არ ყოფილიყოს ყოველში, და იმავე გზით, არაფერი არ არის ყოველში, რაიც არ ყოფილიყოს ჩემში.

რადაც უნდა ვიქცე მე, ჩემში უთუოდ იქნება ყოველი, და იმავე გზით, რადაც უნდა იქცეს ყოველი, მე უთუოდ ვიქნები მასში.

აქ მობრუნება „ვითარების" რკალში გადადიოდა.

ნიცშეს დარჩენილ ქაღალდებში იპოვნიდნენ საიდუმლო სიტყვას:

— რომ ყველაფერი ბრუნდება, ეს არის ექსტრემალური მიახლოება ქცევის სამყაროსი ყოფის სამყაროსთან: „მწვერვალი დაკვირვების".

აქ გახლდათ დამტკიცება პიროვნების.

დოსტოევსკისა და ნიცშეს შემოქმედება აქ გახლდათ წამებული.

იდეა მარადის მობრუნების გახლდათ იდეა „ყოვლადობის" — დოსტოევსკისა — და „დიონისურობის" — ნიცშესი.

ყოვლადობა დოსტოევსკისათვის ცხადდებოდა ქრისტეში, დიონისურობა ნიცშესათვის — დიონისეში.

აქედან ფორმულა:

ქრისტე ძეკაცში დაბადებული — ღმერთკაცი, დიონისე კაცში შვებული — ზეკაცი.

ნიცშე მთელი სიცოცხლე რომ ეომებოდა ქრისტეს, არ იცოდა, რომ დიონისე... წარმართული ჰიპოსტასი იყო ქრისტესი. თუმც სიგიჟისას უნდა ეგრძნო და მთელი სიმძაფრითა და ძალითაც უნდა ეგრძნო ეს, როდესაც ერთ ინტიმურ ბარათს მოაწერდა: ჯვარცმულიო!..

დოსტოევსკი რომ არ იცნობდა დიონისეს სახელს?

მთელი არსებით კი აცნაურებდა მას!..

და ეს უკანასკნელი შეხვედრაც უნდა მომხდარიყო:

თუ პიროვნება განმტკიცდებოდა კოსმიურად, იქცეოდა ზეკაცად თუ ღმერთკაცად, მაშინ თვითონ ღმერთი — დიონისე თუ ქრისტე — კვდებოდა კაცში. იმანენტური ქცევა აქ თითქო ზედმეტს ხდიდა ტრანსცენდენტურ ყოფას.

ესეც უკანასკნელი საიდუმლო — თან საშიშარი — ნიცშესი.

და ამავე იდეით იწვოდა დოსტოევსკიც — კირილოვის სახით.

დოსტოევსკის გრიგოლ რობაქიძე აღიქვამდა: სრულ ჯვარცმად პიროვნებისა — ძეკაცში ღმერთკაცის დაბადებისათვის.

მთელი პლანეტა მიწისა ამ პროცესით მართლდებოდა მისთვის.

პროცესი კი ასე და მხოლოდ ასე თუ დახასიათდებოდა: ძნელი-მწველი-საიდუმლო-საშინელი.

რათა კონკრეტული სახე მიენიჭებინა ამ პლანეტარული ელინებისათვის, იგი მას ატარებდა მიწის ავხორცობასა და მატერიის ძალაში: ქალი ყველგან და ფული ყოველთვის: ინფერნალობა პირველისა და სატანურობა მეორის.

იშლებოდა ხაზები: სადისტური და მაზოხისტური: ჭეშმარიტად მთელი პროცესი პლანეტის წამება გახლდათ ორმხრივი: მწვავე და ტკბილი.

დოსტოევსკი არ იღებდა მიწას, არ იღებდა სხეულებას არსებულს. და... გრიგოლ რობაქიძის მზერაში ერთბაშად ტიტანურ, ზეადამიანურ იერს შეიძენდა: როდესაც მიწაზე მიდის, უფსკრულები ითხრებიან, და როდესაც სხეულებას ეხება, ასტრალები იბადებიანო.

მან არ უწყოდა შეჩერება და ემტერებოდა ყოველ არსებულსა და განსახიერებულს.

ზოგის თვალი რომ ჩერდებოდა მიწასა და სხეულზე, ჩერდებოდა სიყვარულით — ჰომეროსის, ტიციანის, გოეთესი, პუშკინის?

დოსტოევსკი არა ჩერდებოდა მიწაზე, მას სურდა სხვა სხეული, მართალია პირველიც ვითარდებოდა და მეორეც, მაგრამ არ შეეძლო ეცქირა დაუსრულებელი ვითარებისათვის — სურდა ერთი დაკვრით შეეცვალა სამყარო.

და აქ უნდა ეჩინა თავი ეპილეფსიას, როგორც ეპიფენომენს კატასტროფული გარდატეხის — რაც ისტერია იყო დოსტოევსკის ხატით ტეხილებში, ის გახლდათ ეპილეფსია დოსტოევსკის ესქატოლოგიურ მსოფლიოგზნებაში.

თუკი ეპილეფსიას მივიჩნევდით აუტანლობად დროისა და ხანიერების, პირდაპირ ორკესტრადაც გვევლინებოდა პატმოსის კუნძულების.

აპოკალიფსი: როგორც სიგიჟე დოსტოევსკის.

აპოკალიფსური ეპილეფსია: როგორც შთაგონება დოსტოევსკის.

იგი ანგრევდა სამყაროს, ანგრევდა პლანეტებს, მაგრამ იოანესავით სხვა მიწას უმზერდა და სხვა ზეცას.

ხან ამ მომავალ უმაღლეს ნეტარებას თუ კირილოვის ეპილეპტიკური ბოდვით უმღერდა, ხან ბერი ზოსიმეს ნელი და ნათელი სიტყვებით უმზერდა ახალ მიწას. ზოგჯერ ალიოშას ხაზებითა და კოლია კრასოტკინის ამბით, ან კიდევ მიშკინის ფენომენით უყურებდა ახალ კულტურას. მაგრამ მისი მთავარი ხაზი მაინც აპოკალიფსი გახლდათ, ქოლერული ტემპერამენტით გახელებული.

დოსტოევსკის მსოფლიოგზნება ჭეშმარიტად ისეთი ტონუსით დაჟღენთილიყო და დაწურულიყო, რომ სავსებით სამართლიანად უნდა მისადაგებოდა ეპითეტი: პლანეტარული.

აქედან მოქმედებდა მისი სიტყვა.

თუ „სიტყვები მოქმედებდნენ ატმოსფეროზე", პოეტი როგორც ირწმუნებოდა, ეს უპირველესად დოსტოევსკიზე ითქმოდა.

დოსტოევსკის კითხვისას თანდათანობით რომ სცილდებოდა რეალობას და ირეალობაზე გადადიოდა, ამას საყოველთაო განცდად განაზოგადებდა გრიგოლ რობაქიძე და მიიჩნევდა, რომ: ამ მხრივაც ძვირად თუ ვინმე შეედრებოდა მას.

და სავსებით ეთანხმებოდა ვლადიმირ სოლოვიოვს, როდესაც დოსტოევსკის სიტყვას „მაგიურს" უწოდებდა.

რაო, რას ამბობდნენ: დოსტოევსკის ფორმა არ უვარგაო?

მაგრამ გრიგოლი ამტკიცებდა: დოსტოევსკის პლანეტარულ განცდას სხვა ფორმა ვერ გაუძლებდაო.

ფრანგული დაწმენდილი ფორმა გუსტავ ფლობერი გახლდათ, მაგრამ ეს დახვეწილი ინსტრუმენტი ლათინთა ნათელი გენიისა დოსტოევსკის ჰიბრიდულ მსოფლიო გზნებას ვერაფრისდიდებით ვერ გადმოგვცემდა.

დოსტოევსკიმ არ უწყოდა პლასტიკური ჭედი ქმნადის განსხეულებაში?

მაგრამ იცოდა ასტრალური ფლუიდი მისი გასაგნებისათვის.

ასტრალური ხელშეხება საგნისა თუ მოვლენის — ესეც დოსტოევსკის ხატვითი თვისება.

ეპილეპტიკური ხედვა ისე არავის გადმოეცა, როგორც მას კირილოვის არეული, თუგინდ ბოდვიანი მონოლოგით: აქ ყოველი სიტყვა ნამდვილ სეისმოგრაფს ემგვანებოდა ასტრალთა შორეული შეხებისა. და ეს მაგიური სტილი განსაკუთრებით მის დიალოგებში ცხადდებოდა. დღესდღეობით უკვე შეთანხმებულიყვნენ, რომ დოსტოევსკის დიალოგი მიუწვდომელი გახლდათ, და ამ მხრივ მხოლოდ პლატონს ადარებდნენ.

თავის მხრივ კი ამასაც დასძენდა:

პლატონის დიალოგები დიალექტიკურია, ხოლო დოსტოევსკისა — დრამატული: იქ თუ არის დინამიკა ინტელექტუალური დენის, აქ არის დინამიკა პლანეტარული მოხეთქისაო.

დოსტოევსკის ნიცშეთი ხსნიდა და ნიცშეს — დოსტოევსკით. საერთო სხვებთანაც მოეძევებოდათ ერთსაც და მეორესაც, და არაერთი, მსგავსებანი, გადაკვეთის ხაზები, მაგრამ საერთო ეს იყო თუ იყო, ერთმანეთისაგან ძნელად რომ გაირჩეოდნენ და ისე ძალდაუტანებლად აგრძელებდნენ ერთმანეთს, თითქოს წინასწარვე შეთანხმებულანო... თუმც ანკი რა შეთანხმება ესაჭიროებოდათ!..

შტეფან ცვაიგს თავისებურად გაეაზრებინა მათი სახებანი და დოსტოევსკის თუ ბალზაკისა და დიკენსის გვერდთი ხედავდა, ნიცშეს — ჰოლდერლინისა და კლაისტისა.

და ვერც შეედავებოდი — თანხვედრანი, სულიერი თანხმიერებანი უსათუოდ გამოიკვეთებოდა ამგვარ დალაგებაშიც, მაგრამ ის დაწყვილება რომ მაინც სხვა გახლდათ, დოსტოევსკისა და ნიცშეს სულიერი თანაზიარობა სულ სხვა სიახლოვე-მსგავსებით აღბეჭდილი, ეს სწორედაც მკვეთრად უნდა გამოეხატა გრიგოლ რობაქიძეს, ცვაიგის წიგნებიდან აღძრულ შთაბეჭდილებებად გაესაღებინა, იქიდან მოგვრილ შთაგონებად და... თავისი ემტკიცებინა, ის, რაც მისთვისაც ასერიგად მახლობელი რომ იყო და დოსტოევსკისა და ნიცშეზე ფიქრისას... საკუთარ თავს ჭვრეტდა, თავისი სულის ხვეულებსა და ლაბირინთებს შეჰყურებდა და... ამიტომაც ვერ გაიმეტებდა ვერც ერთსა და ვერც მეორეს სხვა მწერალთა, თუნდ დიდებულთა, გვერდით, მათ სიახლოვეს იდუმალად თავისი თავი რომ ესახებოდა და გუ-

ლისგულში ყვედრიდა ბედს, პატარა ერის შვილად რომ გაეჩინა და არა დიდ და ძლევამოსილ სახელმწიფოთა ნაშიერად, იქ ბოლომდე რომ გაშლიდა ფრთებს, აქ კი, ორ ზღვას შორის მომწყვდეულსა და სულამომხდარს, დრო და საშუალება აღარ გააჩნდა, მთლიანად მწერლობისათვის შეეწირა თავი.

და ეხარბებოდა ვაჟა-ფშაველასი, ამგვარივე ბედში მყოფი ახალი ჟამის საგმირო ეპოსს რომ შექმნიდა და... ჰომეროსთანაც ძალდაუტანებლად გასდებდა ხიდს, ფირდოუსთანაც, დანტესთანაც, შექსპირთანაც, გოეთესთანაც...

და მოებღაუჭებოდა გრიგოლ რობაქიძე კარდუს იდეასა და იდეალს, დიდი წარსულის კვლავდაბრუნების ოცნებას, მისი ხელითაც რომ უნდა გამოკვეთილიყო ეს ოცნებაც და კარდუს მონუმენტური სახებაც — იმ დიდებულების, იმ სულიერი სივრცის აღდგენად მომავლის საქართველოში.

ხოლო ცვაიგთან 22 აპრილს მიწერილ ბარათს მობოდიშებით დაიწყებდა: მაპატიეთ გეთაყვა, რომ ჩემი დაუსრულებელი წერილებით მყუდროებას გირღვევთო.

ადამიანს ხომ ჰქონდა უფლება ერთხელ — და თუნდ ბევრჯერაც — სუსტად ყოფნისა, და ამ წუთებში გრიგოლი თავს სუსტად გრძნობდა. ამას ყველასთან თუ არა, ავსტრიელ თანამოკალმესთან კი გულწრფელად აღიარებდა.

თუ შტეფან ცვაიგი ერთხელაც მოისმენდა გრიგოლის ბიოგრაფიას — და ამას სჯეროდა, რომ ეს მოხდებოდა — შემდეგ შეიძლებდა ამ უძლურების პატიებას. არადა ახლა მორალურად გატეხილიყო.

მაშინ მარტინ ბუბერს მოეწერა მისთვის:

— მიუხედავად სიმკაცრისა წიგნს უხილავ სასწორზე ვდებ — ცხადია, უპირველეს ყოვლისა, თუ თარგმანი საფუძვლიანად განახლდება და გასწორდება — უსათუოდ გახდება გამოქვეყნების ღირსი, ის იმსახურებს, რომ იცნობდნენ და უყვარდეთ, ვინაიდან ხალხის სულის გამომხატველია. ამ აზრის გათვალისწინებით მათ რეკომენდაციას გავუწევ ბატონ ნოიმანთან და დღეს ხელნაწერი „რუთენს ლოენინგის" გამომცემლობას გავუგზავნე...

ადოლფ ნოიმანი კი, ხელნაწერს დაუყოვნებლივ რომ გაეცნობოდა, მოსწერდა:

— წინასიტყვაობასა და თანმხლებ ბარათში წარმოაჩენთ იდეას, რომლის მიღმაც ჩამორჩენილობა იგრძნობა. თანაც უნდა გითხრათ, რომ გეგმა თქვენს ძალას არა მხოლოდ აღემატება, სხვათა შორის ამას თვითონაც აღიარებთ! — არამედ ის თქვენი არჩეული სქემით რომანს ბანალურს ხდის და ადგილ-ადგილ აუტანელსაც. რატომ? იმიტომ, რომ შინაარსი რომანისა ძალიან ხშირად უხეში და მყვირალაა! ჩნდება ეჭვი, ევროპისადმი წარსადგენი თქვენი მაგალითი მძიმეა, მაგრამ არა თქვენდა სასარგებლოდ...

ეს რა ეპითეტები დაეხვავებინა გამომცემელს, ერთიერთმანეთზე მკაცრი: ბანალურიო, აუტანელიო, უხეშიო, მყვირალაო, მძიმეო...

ყველა ადამიანს ჰქონდა დაეჭვების უფლება... მაგრამ ნუთუ გრიგოლ რობაქიძე ბრმა გახლდათ და ვერაფერს ხედავდა?!

ღმერთო ჩემოო, — აღმოხდებოდა.

ნუთუ შტეფან ცვაიგისათვის „ბანალური", „ტლანქი" და „უხეში" ნაწარმოები გაეგზავნა?..

მხოლოდ ამის მიწერა სურდა. ყოველ ჭეშმარიტ მწერალს ძმად მიიჩნევდა და შტეფან ცვაიგსაც ძმასავით უყურებდა.

აქ, ბერლინში არ ეგულებოდა ადამიანი, რომელთანაც ამის შესახებ საუბარს შეძლებდა. აქ საშინლად მარტოსულად გრძნობდა თავს. არადა თუ ვინმეს, მასაც მოეხსენებოდა, მარტოობა საშიში რომ გახლდათ. ამ დაძაბულობის გამოისობით ძალა თითქმის დაეკარგა.

ამ წუთებში კიდევ ერთხელ გადაიკითხავდა ცვაიგის ბარათებს და კვლავ იგრძნობდა ნამდვილი ადამიანისა და პოეტის განცდებს. თავისი ბარათის წერას კი მთვარეულობის ჟამს დაიწყებდა.

25 აპრილს აცნობებდა, რომ სწორედ ახლა დაესრულებინა მის შესახებ პატარა — სახელდახელო — სტატია თბილისური გაზეთისათვის და... ზუსტად ამ წუთას მიეღო ცვაიგის ღია ბარათიც.

„შემთხვევითობა" მესამედ!..

და როგორ არ გამოეთქვა გაოცება და ესეც დაერთო: ეს „მაგიური ქრონიკიდან" ხომ არ არისო?!.

31 აპრილს კი მადლობას გადაუხდიდა ვრცელი წერილისათვის: რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ, ამის შეფასებას ვერ შევძლებო.

შტეფან ცვაიგის აზრს „გველის პერანგის“ შესახებ სამართლიანად მიიჩნევდა.

ორიგინალში გრიგოლის „სიტყვა“ რიტმული გახლდათ, მაგრამ აი სიტყვა-სიტყვით თარგმანში...

ძალიან ახარებდა, მისი ნაწარმოების სული ავსტრიელ თანამოკალმეს შინაგანად რომ ეგრძნო.

— ეს ჩემთვის ყველაფერია.

ახლახან გადაეკითხა „გველის პერანგი“, გადაეკითხა ახლებური და კრიტიკული თვალით, და დღეს აღმოეჩინა, რომ მასში „შეცდომა იმალებოდა“: საბოლოო ფორმა არ გააჩნდა.

ყოველთვის მტკივნეულია ნაწარმოების „ოპერაცია“?

თუმც რამდენადაც ცვაიგს განეზრახა თავისი წიგნებიდან უმთავრესის — ტრაგედია „იერემიას“ — შემოკლება, ცხადია გრიგოლსაც თავისი რომანი შესაფერისად უნდა გადაეკეთებინა.

ნამდვილად მეგობრული და პოეტური რჩევა იყო. და არასოდეს დაავიწყდებოდა ცვაიგის ეს სიტყვები:

— ნუ გაფლანგავთ დიდ ქონებას, რომელიც გადმოგეცათ. ამით უპირველეს ყოვლისა შეძლებთ პირველად წარდგეთ ევროპის წინაშე, როგორც ქართველთა სახე. ჯერჯერობით ამისათვის სათანადოდ არ დახარჯულხართ.

ეს რჩევა გრიგოლისათვის სავსებით კმაროდა, რათა მოთმინება მოეკრიბა და ემუშავა „სათანადო“ ფორმის შემუშავებაზე. ბერლინში თავისი მარტოობისა და ნაწარმოების „გარდაქმნის“ ჟამს სურდა მხოლოდ ის, რომ ცვაიგი კიდევ ერთხელ დახმარებოდა.

მაშ ასე: იმუშავებდა თავის ნაწარმოებზე. და გულითად მადლობას მოახსენებდა დაპირებისათვის: „ლამარას“ შესახებ მოგწერო...

ევროპაში სავარაუდოდ 1928 წლის 1 იანვრამდე აპირებდა დარჩენას.

ნებას დართავდა ცვაიგი, რომ საქართველოში მიეწვია? ოო — ეს დიდებული იქნებოდა. გრიგოლს წარმოედგინა, რარიგ გაიხარებდნენ მისი მეგობრები, თბილისში რომ ენახათ სახელოვანი ავსტრიელი!..

და დასძენდა:

ვიცი, „ქართულ ნოველებსაც“ დაწერთო.

თავისი მხრივ კი უბიძგებდა საამისოდ, რადგანაც რაოდენ მომხიბლავი და შთამბეჭდავი იქნებოდა შტეფან ცვაიგის თვალით დანახული ქართული სინამდვილე.

* * *

თითქოსდა წვრილმანია და აქ განმეორება სრულიად ზედმეტი, რაკილა სქოლიოშივეა გასწორებული.

ეს ბარათი 1925 წლით რომ თარიღდებოდა, მთარგმნელი გაასწორებდა 1927-ით და გრიგოლისეულ დათარიღებას მიიჩნევდა მექანიკურ შეცდომად, რადგანაც შეუძლებელი გახლდათ 1925 წლის აპრილში ქართველ მწერალს შტეფან ცვაიგისათვის ეს ბარათი მიეწერა და ეხსენებინა „გველის პერანგი“, რადგანაც იმ დროს რომანი ჯერ დაწერილი არა ჰქონდა — ზაფხულში დაწერდა.

და თანამოკალმეს რომ ამცნობდა: ბერლინში დარჩენას 1927 წლის 1 იანვრამდე ვეპირებიო, — აქაც 1928-ად უნდა გადაკეთებულიყო თარიღი, რადგანაც: ჩასვლით გერმანიაში 1927 წლის დამდეგს ჩავიდოდა. აკი 1927 წლის 17 თებერვალს შეატყობინებდა აკაკი პაპავას: ბერლინში ვიმყოფებიო. და საქართველოში ამავე წლის ოქტომბერში დაბრუნდებოდა.

და ძალაუნებურად გაგიჩნდება შეკითხვა: რა დამართოდა გრიგოლ რობაქიძეს, რომ ორი თარიღიდან სწორად ვერცერთი ვერ დაეწერა: 27-ის ნაცვლად 25, 28-ის მაგიერ 27!

წვრილმანია, წვრილმანი, მაგრამ...

ისე ასეთ „წვრილმანზე“ ვინმე ფსიქოლოგიურ ნოველასაც კი ააგებდა. თუმც რაღა ვინმე: შტეფან ცვაიგი.

...და გენანება, რომ დაუწერელი დარჩებოდა „ქართული ნოველების“ ციკლი, გრიგოლს ეჭვიც რომ არ ეპარებოდა, ერთი იმდენი თბილისში მოხვდეს და მერე რა გული გაუძლებს, მთელი სერია რომ არ შექმნას აქაურ შთაბეჭდილებებზეო!..

თავი მესამე

„გველის პერანგის“ გერმანული ვერსია: ცვაიგური შენიშვნების თარგზე

რომანის „ოპერაციას“ რომ დაასრულებდა, მაშინვე შეატყობინებდა: 20 მაისს.

თვითონაც უკვირდა და ცვაიგისგანაც მოელოდა გაოცების გამოხატვას: ასე სწრაფადო?.. — და ამიტომაც წინასწარვე აუხსნიდა:

ჩემი ფანტაზიის ბარბაროსული აღზევება აუჩქარებლად, მშვიდად მუშაობის საშუალებას არ მაძლევს: ვწერ მუდამ სიცხიანიო...

ისე ფორიაქობდა და ღელავდა, ისე განიცდიდა, სიცხეც კი უწევდა მაღლა-მაღლა!..

თავებს: 2, 5, 8, 9, 14 და 16 და კიდევ მცირე „ინტერმედიას“ სავსებით გამორიცხავდა. ყველა დანარჩენს შეამოკლებდა და შეავსებდა. მხოლოდ მესამე — ან უკვე მეორე — და ბოლო თავი დარჩებოდა უცვლელი, მაგრამ შევსებით ისინიც შეივსებოდა, განსაკუთრებით — უკანასკნელი.

შემოკლების, შეცვლისა და შევსების დროს განიზრახავდა სულიერი პროცესებისთვის გარკვეული სივრცე მიეცა და ერთი თავიდან მეორეზე გადასვლა თანმიმდევრული ყოფილიყო. 21 თავის ნაცვლად რომანი ამჟამად 8 თავისაგან შედგებოდა და მოცულობითაც 360 გვერდის მაგივრად 260 გვერდიღა დარჩენილიყო.

— მჯერა ნაწარმოებს ახლა საბოლოო ფორმა აქვს.

ეს — გერმანულენოვანი მკითხველის გათვალისწინებით?

უპირველესად ცხადია ესაა მიზეზი, მაგრამ გულს ისედაც რომ აკლდა, ესეც აშკარაა, და კიდეც გაამჟღავნებდა გულისტკივილს: ზუსტად ვიცი, შემეძლო ეს რომანი უკეთესად შემექმნაო.

თუმც გადაკეთება-გადმოკეთება ახლა რაღას უშველიდა, რაკიღა — მისი დაბეჭდითებული რწმენითაც — დაბეჭდილი ნაწარმოები თვითმყოფადი არსება გახლდათ და საკუთარი ცხოვრებითაც ცხოვრობდა, „გველის პერანგი“ კი უკვე ცხოვრობდა ათასობით ქართველის სულში.

ამ გაგებით: „ოპერაცია“ იყო არა მხოლოდ მისი ბრძოლა რომანთან, არამედ რომანის ბრძოლაც მასთან...

მთავარია ნაწარმოები არსებით იგივე დარჩენილიყო, მხოლოდ ახალი ფორმა შეეძინა. და ფიქრობდა, რომ მეორე ვარიანტი პირველს ბევრად, ბევრად სჯობდა...

რომანის თარგმნა უკვე დაეწყო პროფესორ რიხარდ მეკელაინს, რომელიც ქართულ ენას სრულყოფილად ფლობდა. ბუნებრივია თარგმნისას გარკვეულ მონაკვეთებს გრიგოლი გადაამუშავებდა.

მადლიერების გამოხატვა არა წყინდებოდა:

— თქვენი ფასდაუდებელი წერილით მიბიძგეთ და ამან იმდენად მოახდინა გავლენა ჩემზე, რომ რომანი ახლებურად შევმოსე და ის ევროპელი მკითხველის არტისტულ გემოვნებას მივუახლოვე. თუ ჩემი ნაწარმოები ევროპელი მკითხველის მოწონებას დაიმსახურებს, დანამდვილებით ვიცი, ამას თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

რომანის ოპერაცია თითქმის დავასრულეო...

და ღმერთს ემადლიერებოდა, რომ მიეწერა ეს „თითქმის“, რადგანაც თარგმნისას ტექსტზე საკმაოდ ბევრი მუშაობა მოუწევდა — სამი თვე. და ახლა, 9 სექტემბერს, მადლობას რომ უთვლიდა მეგობრული ბარათის გამოგზავნისათვის, რომანის ბედს ასე წარმოუდგენდა: უკვე საბოლოო ფორმა შეიძინაო.

.ზოგიერთი მონაკვეთი ძლიერ შეემოკლებინა, ზოგიერთი შეეცვალა, ზოგიც შეევსო და მიაჩნდა, რომ ამჟამინდელი ფორმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო. მაგრამ... როგორ შეეძლო მისი გამოქვეყნება?.. დაინტერესებით სხვადასხვა გამომ-

ცემლობა ინტერესდებოდა, თუმც გამომცემელნი ძირითადად საქმოსნები გახლდნენ და ყველაფერს აანალიზებდნენ „საქმიანი“ თვალით.

სანიმუშოდ თუნდ ამ ფაქტს გაიხსენებდა, მარტინ ბუბერს ერთი გამომცემლისათვის ამ შინაარსის ბარათი რომ გაეგზავნა:

— ბატონმა რობაქიძემ მთხოვა რამდენიმე სიტყვა მომეწერა თქვენთვის წარმოდგენილ მის რომანზე. მე წავიკითხე ტექსტის დაუმთავრებელი თარგმანი... თუმც წაკითხულიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩემზე შთაბეჭდილება მოეხდინა თხრობის განსაკუთრებულ უნარს, რომლის უთვალსაჩინოესი ღირსებებიცაა: მრავალმხრივ იმპრესიონისტული, მაგრამ ძლიერი და ჭეშმარიტი ხედვა და ამასთან უცნაური აზრი „ისტორიის იმ საიდუმლოების“ სენსაციის შესახებ, რომელიც ბნელი და შთამბეჭდავი სამალავიდან აწმყოს ნახსენებ მოვლენებში გადათამაშდება. ვფიქრობ, წიგნს თავისი თემატური სიახლით, ამასთან გამოსახვის სტილით გერმანული პუბლიკის ფართო წრეების დაინტერესება შეუძლია...

თვით ბუბერი ირწმუნებოდა ამას, მაგრამ ეს სიტყვები საქმოსან გამომცემელს არად უღირდა და მოიწერებოდა: კიდევ უნდა დავფიქრდეო... და ამისთანებს.

არ ესმოდა და არა გრიგოლ რობაქიძეს საქმოსნების ფსიქოლოგიისა. მას რომანი დაეწერა „ადამიანებისათვის“ და არა „მასებისათვის“. გარდა ამისა: გამომცემლები ხელნაწერს აძლევდნენ თავიანთ რედაქტორებს, რომელნიც მუდამ ჩქარობდნენ და ამის გამო არ შეეძლოთ ნაწარმოებს შემოქმედებითად ჩაწვდომოდნენ.

გრიგოლი, როგორც მწერალი, ევროპაში სრულიად უცნობი გახლდათ — ამასთან ქართველი... და ყურში ჩაესმოდა არცთუ სასიამოვნო ფრაზები: მაინც რა არის საქართველოო?!.. აჰა, სადაც ლამაზი ქალები არიანო!..

ასეთ პირობებში ეეჭვებოდა, რომ გერმანიაში შესაფერის გამომცემელს იპოვნიდა.

ცხადია შეეძლო ცვაიგისთვისაც ეთხოვა, მის ნაწარმოებზე რომელიმე გამომცემლისათვის სარეკომენდაციო წერილი მიე-

წერა, და დარწმუნებული იყო, ასეთ წერილს გერმანელი თანამოკალმე აუცილებლად დაუწერდა, მაგრამ... საქმოსანი ჯერ „დაფიქრდებოდა“ და დაელოდებოდა რედაქტორების „კრიტიკას". იმას რა ენაღვლებოდა, გრიგოლისათვის კი:

— ეს აუტანელია.

ამიტომაც ახლა განიზრახავდა, ნაწარმოები თვითონვე გამოეცა.

და ჩაურთავდა: მე ძალიან ღარიბი ვარ, მაგრამ შემიძლია ახლავე გავყიდო ჩემი ბიბლიოთეკის ნაწილი თბილისშიო.

შტეფან ცვაიგი თუ ჰკითხავდა:

რისთვის აკეთებთ ამასო?

მოკლედ უპასუხებდა:

— ჩემი ერი ძირძველი და ძალიან ნიჭიერია. მონღოლების შემდეგ იქ მიმდინარეობს „ამოძირკვის პროცესი“. ეს მისი ტრაგედიაა. ჩემს ერს ბოლომდე არ ესმის ჩემი. ჩემი ესთეტიკური მიმართულება იყო (და არის): შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, ჰოლ ვერლენი, ემილ ვერჰარნი, პოლ კლოდელი, რაინერ მარია რილკე, სტეფან გეორგე, შტეფან ცვაიგი, ფიოდორ დოსტოევსკი, ფრიდრიხ ნიცშე, ვასილი როზანოვი, დმიტრი მერეჟკოვსკი, ვიაჩესლავ ივანოვი,ალექსანდრ ბლოკი, ანდრეი ბელი.

ისინი ამას უდგებოდნენ შემოქმედებითად, ესმოდათ, რასაც გულისხმობდა.

როგორ შეძლებდა საქართველოში ამ მიმართულების გატარებას?

მხოლოდ შემოქმედებითად.

მაგრამ შექმნა რომ არა ცნობს მექანიკურ გზებს და არის ყოველთვის ორგანული?

გრიგოლი შემოქმედებითად ჩაწვდომოდა თავისი ხალხის ათასწლოვან ფესვებს და ესთეტიკურ მიმართულებას წარმოადგენდა.

უფრო ლირიკოსი გახლდათ — თავისი ბუნებითა და მხატვრული აზროვნების მანერით.

და ზეპიროვნულ ლირიკასაც შექმნიდა.

დრამატურგიც იყო.

არა ევროპული „ბურჟუაზიული დრამის“ აზრით („იერემიას“ ავტორი კარგად გაუგებდა!).

მისი დრამების შინაგანი აგებულება მუსიკალური გახლდათ. და ჩაურთავდა: ეს დიდმა პოეტმა რომენ როლანმა იგრძნოო.

„გველის პერანგი“ მისი პირველი რომანი იყო. და ესეც მიზეზი მისი ეპიკური „გაუმართაობისა“, როგორც ამას ცვაიგიც სწორად შენიშნავდა.

საქართველოში ძალზე ცნობილი გახლდათ. ხალხი აფასებდა, მაგრამ... მესამე-მეოთხეხარისხოვან მწერლად თუ მიიჩნევდნენ.

და მართლაც: აზროვნებით ისინი იყვნენ პოზიტივისტები, ემპირისტები, მატერიალისტები, გრძნობით — მეწვრილმანეები, ხელოვნებაში — ნატურალისტები, რელიგიაში — ნიჰილისტები, მხოლოდ პოლიტიკით ინტერესდებოდნენ. შეხვდებოდით ნიჭიერ ახალგაზრდებსაც, განა არა, მაგრამ... ძირითადად ყველა მერყევი გახლდათ.

ეს რა გულგატეხილობა დაუფლებოდა გრიგოლ რობაქიძეს, ასეთი მკაცრი განაჩენი რომ გამოჰქონდა თანადროული საქართველოსათვის. მხატვრულ თხზულებებში ამ განწყობილებას არ ამჟღავნებდა, განსხვავებით მიხეილ ჯავახიშვილისაგან, და რომანტიკულ, მომხიბლავ, ამაღლებულ სამოსელში ჰხვევდა თვისტომთ, მაგრამ გულში სულ უფრო და უფრო უგროვდებოდა ტკივილიც, ბრაზიც, დაუფასებლობის შეგრძნებაც და... აგერ პირად წერილში საკმაოდ მძაფრადაც ამოხეთქავდა იმ პიროვნების წინაშე, თავის სულიერ ძმად რომ დაეგულებინა და მთელ იმედებსაც მასზე ამყარებდა. დაე სცოდნოდა შტეფან ცვაიგს, რომ: გრიგოლ რობაქიძე თითქმის მარტო იყო. ამ „თითქმისს“ მაინც ჩაურთავდა თავის დასამშვიდებლად.

კი მაგრამ, მეგობრები ხომ ჰყავდა, რომელთაც უყვარდათ იგი?

სიყვარულით როგორ არ უყვარდათ, თუმც მათ არ შესწევდათ ძალა, ბოლო წვეთამდე ჩაწვდომოდნენ მის მისტიკურ რეალიზმს.

ბოლო წვეთამდე ვერა, თორემ გრძნობდა, რომ საკმაოდ გაეგებოდათ მისი მსოფლმხედველობაც და მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებაც.

მამა დიდი ხნის წინათ დაეკარგა. იგი მღვდელი იყო, პაპა კი — მჭედელი. ჰყავდა მოხუცი დედა, რომელიც სოფლად ცხოვრობდა და არ შეეძლო წაეკითხა თუ რას წერდა მისი ვაჟი. მხოლოდდამხოლოდ უყვარდა შვილი და შეეძლო მისთვის ელოცა. ცოლი რუსი ჰყავდა და ყველაფერს ვერ იგებდა.

— მე მარტო ვარ.

„თითქმისსაც“ აღარ დაუმატებდა.

თავს მოიწონებდა, რომ: ქართული ენისათვის უსაშველოდ ბევრი გაეკეთებინა. მაინც რითი? როგორ თუ რითი: მისი სიმდიდრე აღმოეჩინა, ქართული ენის საბადო გადაეშალა მზის გულზე.

კიდევ ბევრის თქმა შეეძლო ავსტრიელი თანამოკალმისათვის, მაგრამ გერმანულად ვერ პოულობდა შესაფერის სიტყვებს.

არ მიილტვოდა იმისაკენ, რომ ცნობილი გამხდარიყო. ცნობადობა ხომ ღუპავდა ადამიანს თავის შინაგან გზაზე. მხოლოდ ის სურდა, ევროპის სულიერ წინამძღოლთა წინაშე წარმდგარიყო, როგორც მემკვიდრე პატარა, მაგრამ ძალიან ძველი და ღირსეული ერისა. საბოლოოდ: თვითვე გამოეხატა თავისი ერის რასიული სული, — ამასაც საგანგებოდ დასძენდა.

ამ აზრის გათვალისწინებით ძალზე გაეხარებინა ცვაიგის სიტყვების წაკითხვას:

— თქვენ პირველად შეძელით, როგორც პროფესიონალმა, ევროპაში ქართული სამყაროს წარდგინება...

უპირველეს ყოვლისა ამიტომაც სურდა ევროპაში თავისი რომანის გამოქვეყნება, რომ: მასში ცოტაოდენ ასახულიყო მისი ერის რასიული სული.

მაგრამ ეს რომანი ბარემ თვითონვე რომ გამოეცა!..

თუმც... ვინ წაიკითხავდა, ვინ მიაქცევდა ყურადღებას სრულიად უცნობი ქვეყნის კალმოსანს?

ამიტომაც იძულებული იყო თხოვნით ეთხოვა, თუმცა მძიმე გახლდათ ეს თხოვნა, განსაკუთრებით გრიგოლის ბუნების კაცისათვის, დიდხანს რომ იტანჯებოდა, ვიდრე ამ თხოვნას გაუზიარებდა ავსტრიელ თანამოკალმეს:

— შეგიძლიათ ჩემი ნაწარმოებისთვის რამდენიმე სტრიქონი დაწეროთ, როგორც წინასიტყვაობა? ბუნებრივია, ეს თქვენთ-

ვის რთულია. მე არ ვიცნობ ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებს. ამიტომაც გთხოვთ პატიებას. თუ ამგვარი დამოკიდებულება თქვენთვის შეუძლებელია, მაშინ იქნებ მოახერხოთ რამდენიმე სიტყვის მოწერა, რომელთა ციტირებასაც შევძლებდი ჩემს წინასიტყვაობაში?

გრიგოლისათვის, როგორც ავტორისათვის, სავსებით კმაროდა, რაც მის ნაწარმოებზე ცვაიგს პირველ ბარათში გამოეთქვა, მაგრამ ამჟამად რომანი სხვაგვარად გამოიყურებოდა, გაცილებით უკეთესად.ამასთან: ძალიან სურდა შეეტყო, თუ როგორ შეიძლო ცვაიგის რჩევების გათვალისწინება, რაკიღა რომანი მისი მითითებების საფუძველზე გადაემუშავებინა.

თუკი მის თხოვნას დათანხმდებოდა, კიდეც გაუგზავნიდა ხელნაწერს, ამჟამად 238 გვერდს რომ მოიცავდა.

არსებობდა კიდევ ერთი გარემოება, თუ რატომ გადაეწყვიტა, რომ თვითონვე გამოეცა თავისი რომანი: აჩქარდებოდა და ძალიანაც აჩქარდებოდა — ოქტომბერში ხომ საქართველოში აპირებდა გამომგზავრებას და იქიდან უფრო რთული შეიქნებოდა მოლაპარაკება გამომცემლებთან.

ამით ამთავრებდა.

თუ ცვაიგს მისი თხოვნის შესრულება არ შეეძლო, დაე მშვიდად ყოფილიყო და უარი მოეწერა, რადგანაც გრიგოლისათვის უკვე იმდენი გაეკეთებინა, ამისთვისაც სიკვდილამდე ავსტრიელი თანამოკალმის მადლიერი იქნებოდა.

უეცრად იგრძნობდა, რომ... დაღლილიყო. და ეს — დიდი ალბათობით — იმ თხოვნას გამოეწვია.

უთვალავ გულითად მოკითხვას რომ შეუთვლიდა, პოსტსკრიპტუმში დასძენდა:

ვბედავ გითხრათ: თქვენ ხართ მებრძოლი — ჩემს შეხედულებებს რომ გაეცნობით, ნახავთ, მე ამ თვალსაზრისით თქვენი თანამებრძოლი ვარ. ეს შეამსუბუქებს ჩემს თხოვნასო.

რარიგ განიცდის, წინასიტყვაობად რამდენიმე სტრიქონის წამძღვარებას რომ სთხოვდა. გინდა თუ არა, უსათუოდ მოიწონეო, ხომ არ ავალდებულებდა. რაკიღა შტეფან ცვაიგი გულითადად შეეგება, კიდეც მოიწონა „გველის პერანგი" და თანადგომასაც

ჰპირდებოდა, ბოლოსდაბოლოს ეს მოსაზრება და შეფასება საქვეყნოდაც გამოეხატა. ესაა და ეს... და მაინც, მაინც... ერიდება, ძალიან ერიდება, ჰგონია, რომ რაღაცას აიძულებს და... კიდეც მოერიდებოდა ამ მხრივ მის შეწუხებას, რაიმე სხვა გზა რომ ყოფილიყო დარჩენილი. გერმანელ გამომცემლებს რომ აეღოთ თავიანთ თავზე, ამდენს ვერც გაუბედავდა ცვაიგს, წინასიტყვაობა დაურთე რომანსო, მაგრამ რაკილა თვითონვე უნდა გამოეცა, აუცილებელი ხდებოდა ევროპაში განთქმული მწერლის წინასიტყვა, რომელიც აგერ ისეთი აღმოჩნდებოდა, ბევრი დიდი მწერალი რომ ინატრებდა: განთიადურ განათებას რომ აღუთქვამდა ევროპულ ლიტერატურასა და სულიერებით აღვსებას, თუკი ამ რომანს შესაფერისად გაეცნობოდნენ და გაიაზრებდნენ და ჯეროვნადაც დააფასებდნენ და დაამკვიდრებდნენ თავიანთ წიაღში.

შტეფან ცვაიგი იქით იქნებოდა მადლიერი ქართველი თანამოკალმისა, ასეთი მნიშვნელოვანი წიგნის წინამძღვრობა რომ ერგუნებინა მისთვის, და კიდეც ზუსტ და ტევად ლიტერატურულ ფორმულებში მოაქცევდა თავის დაკვირვებებსა და შეხედულებებს: განზოგადებულ-გასიმბოლოვებულს, წარმომჩენს რომანისაც, მწერლისაც და იმ უცნობი ქვეყნისაც, რომლის დაუნახაობაც რაღაც მნიშვნელოვან ფერს — და კიდევ მეტსაც — აკლებდა ევროპულ საზოგადოებრივ-კულტურულ სინამდვილეს.

15 სექტემბერს გაგზავნილ ბარათს იმ შემზარავი ამბის უწყებით დაიწყებდა, 1 სექტემბერს რომ შეეტყო და ძალზე მტკივნეულადაც განეცადა: პოეტ კოტე მაყაშვილის გარდაცვალება. თავის უკანასკნელ ბარათში მის სიკვდილზე არა ეთქვა რა, რაკილა ის ბარათი უამისოდაც მძიმე იქნებოდა.

გუშინ ცვაიგისაგან ორი წერილი მიეღო — ერთი ბატონი როზენკრანცისათვის, გერმანული გამომცემლობის დამაარსებლისთვის განკუთვნილი. ამ წერილებს დიდი სიხარული მოენიჭებინა. და როგორ შეეძლო მისადმი თავისი გულითადი და პოეტური მადლიერება არ გამოეხატა?!

ახლა დიდ ნაწარმოებს წერდა და მას შტეფან ცვაიგს მიუძღვნიდა — პოეტს, ესეისტს, ადამიანს. სხვაგვარად თავისი მადლიერების გამოხატვა არ შეეძლო.

ბატონი როზენკრანცი დღეს ენახა. მას გრიგოლზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა. იმედი გაუჩნდებოდა: დიდ დახმარებას გამიწევსო. შტეფან ცვაიგის სიტყვა იმისათვის ესთეტიკური კანონი გახლდათ, როგორც ირწმუნებოდა, და თუ ასე იყო, დაე კიდეც დაემტკიცებინა „გველის პერანგისათვის“ გზის გაკვალვით.

ძალიან გაიხარებდა, რომ ცვაიგი ამჟამად მუშაობდა ვრცელ ნარკვევზე ტოლსტოის შესახებ. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ის ისეთივე გენიალური იქნებოდა, როგორც მისივე ნარკვევი დოსტოევსკიზე. ტოლსტოი და დოსტოევსკი განეხილა არა მხოლოდ „წმინდა ლიტერატურულად“ (და ჩაურთავდა: თითქმის ყველა მარტოდენ მათ ცხოვრებისეულ ფილოსოფიაზე საუბრობსო), არამედ უპირველესად სწორედ ცვაიგს დაეწყო, მას შეეხედა ამ ავტორებისათვის ლიტერატურულად. სანიმუშოდ გაიხსენებდა რომანის არქიტექტონიკას დოსტოევსკისთან — გააზრებისა და მსჯელობისათვის ხვავრიელ საბადოს.

მოუთმენლად მოელოდა ამ ნარკვევის ხილვას.

ასევე ძალიან გაიხარებდა, ზამთარში ცვაიგი რუსეთში გამომგზავრებას რომ აპირებდა. ეიმედებოდა, რომ მისი სამშობლოს მონახულებასაც მოახერხებდა ავსტრიელი თანამოკალმე. თუ ამას უკვე ვეღარ შეძლებდა — ეს გრიგოლს ძალიან დატანჯავდა. და ბარემ აქვე მისი მოგზაურობის გეგმის მონახაზს წარუდგენდა:

მოსკოვიდან ვლადიკავკაზამდე რკინიგზით იმგზავრებდა — დაახლოებით 40 საათს. ვლადიკავკაზში გრიგოლი დახვდებოდა. აქედან ცნობილი სამხედრო გზის გავლით თბილისამდე მანქანით ჩამოვიდოდნენ 8 საათში. ცვაიგი ნახავდა ბუნების ნამდვილ საოცრებას — საქართველოს მთებს, რომლებიც თავის მცხოვრებლებიანად „რომანტიზმზე“ გაცილებით მეტს ამბობდნენ, ვიდრე მთელი ფრანგული ლიტერატურა.

შემდეგ — თბილისში შტეფან ცვაიგის ყოფნის პროგრამა:

ერთი დღე — წარმოდგენა დრამატულ თეატრში (და ჩაურთავდა: ჩემი დრამაო). ავსტრიელი მწერალი სცენაზე ნახავდა არა მხოლოდ „ფსიქოლოგიას“, არამედ „ბიოლოგიასაც“ ქართველისა.

ორი დღე — თეატრალური წარმოდგენა ოპერის თეატრში, ქართულ ორიგინალურ მუსიკას რომ მოასმენინებდა.

სამი დღე — ქართველ მწერალთა კავშირის ღია სხდომაზე (და აუხსნიდა: მე ვარ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტი კომუნისტი უნდა იყოსო). იგი იქ მოხსენებას წაიკითხავდა: „სტეფან ცვაიგი — პოეტი-ესსეისტი“). წაიკითხავდა რამდენიმე ნაწყვეტსაც „იერემიადან“ (ამცნობდა, რომ ზაფხულში ეს მონაკვეთები ქართულად ეთარგმნა. და აქვე შენიშნავდა: „ამოკი“ უკვე თარგმნილიაო).

ოთხი დღე — ცნობილი ქართული ლხინი. იქ იქნებოდნენ ჯიშიანი კაცები და მომაჯადოებელი ქალები. ავსტრიელი ნახავდა ჩვენს ცეკვას, მოისმენდა სიმღერებსა და ლექსებს — ერთი სიტყვით: პირდებოდა, რომ ღმერთი დიონისო თვალდათვალ გაცოცხლდებოდა.

შემდეგ: ჩვენი კათედრალები, ჩვენი ფრესკული მხატვრობა, ჩვენი მუზეუმები, ჩვენი უნივერსიტეტი, ჩვენი არქიტექტურა და უპირველეს ყოვლისა — გრიგოლის ძმები და მეგობრები — პოეტები...

ესეც გრიგოლ რობაქიძის პროგრამა შტეფან ცვაიგისათვის.

ფიქრობდა, რომ „მიზნის ჰეტერონომია“ გამრავალფეროვნდებოდა.

უთვალავი გულითადი მოკითხვის შემდეგ პოსტსკრიპტუმად დასძენდა: ვიდრე გავემგზავრებოდე, კიდევ მოგწერთო.

ისე... ქართული ლხინი ოთხ დღეს რომ უნდა გაგრძელებულიყო, რათა ავსტრიელ მწერალს სრულყოფილი წარმოდგენა შექმნოდა მის რაობაზეც, მნიშვნელობაზეც და თავისებურებაზეც.

ბევრი არ არის ოთხი დღე?

მაგრამ ღირს, თუკი ღმერთი დიონისე თვალდათვალ უნდა გაგიცოცხლდეს და სრულყოფილადაც განიცადო მისი მოვლინება!..

19 სექტემბრის ბარათში გულითად მადლობას რომ მოახსენებდა მეგობრული წერილისათვის, „ამოკის“ შესახებ აცნობებდა, რომ:

იანვარში ერთ ქართველ ნოველისტს ეჩვენებინა მისთვის „ამოკის“ ქართული თარგმანი, რუსულიდან შესრულებული. რუსული თარგმანი თუმცაღა კარგი გახლდათ, მაგრამ... თარგმანის თარგმანი? და მითუმეტეს — ცვაიგის ნაწარმოების? მე-

ტისმეტი იქნებოდა. და ამიტომაც ეტყოდა იმ ნოველისტს: სულ მცირე, თარგმანი ორიგინალს უნდა შეუდარდესო. მაგრამ იმან გერმანული არ იცოდა.

შემდეგ გამოჩნდებოდა ერთი და მოისურვებდა ამის გაკეთებას. უკვე იანვრის მიწურულს გრიგოლი გაემგზავრებოდა გერმანიაში. „ამოკი“ ერთ ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყო. ბერლინში ქართული ჟურნალები არ მისდიოდა. დღეს თბილისში მიეწერა, და თუ უკვე დაბეჭდილიყო, იმ ნომერს უსათუოდ მიაწვდიდა ავტორს.

დაე ესეც სცოდნოდა ცვაიგს „ამოკის“ თაობაზე: ქართული კინოსტუდია დაიწყებდა მის გადაღებას. გრიგოლი ვერა ბედავდა, რომ ეს ეუწყებინა ავტორისათვის, მაგრამ ბატონი როზენკრანცი ეტყოდა: ბატონი ცვაიგი ამაზე ბევრს იცინებსო, — და ესეც შეატყობინებდა.

უსაზღვროდ ახარებდა, რომ მისი რომანის ბედით ცვაიგი ინტერესდებოდა და როზენკრანცისადმი ბარათში ბევრ ისეთ რაიმეს იტყოდა, იმ აღმატებული ეპითეტებისაგან გრიგოლი უხერხულადაც კი იგრძნობდა თავს: ასეთ ქებას ჩემი ნაწარმოები არ იმსახურებსო.

დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა: ახლა — რომანის ოპერაციის შემდგომ — ცვაიგს შესაფიქრიანებელი აღარაფერი ჰქონდა, რომანი აშკარად გაძლიერებულიყო კონცენტრაციულად.

გერმანელი თანამოკალმე ალბათ გაკიცხავდა — და ასეც უნდა მოქცეულიყო — მაგრამ რაღაც უნდა ეუწყებინა: როდესაც 1 მაისს ცვაიგისაგან ვრცელ წერილს მიიღებდა, შეშინდებოდა, იქ ამ სიტყვებს რომ ამოიკითხავდა:

— რომანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და თუ ტოლსტოი, ფლობერი, გოტფრიდ კელერი, რომელნიც თავიანთი ენის ოსტატები იყვნენ, ასეთ ერთ წიგნს შვიდ ან ათ წელს უძღვნიდნენ, მაშინ თქვენ, ნამდვილმა სულსწრაფმა, უყოყმანოდ უნდა შესწიროთ მას ერთი წელი მსხვერპლად.

ამ სიტყვებს ენით აღუწერელ ქებად მიითვლიდა, განსაკუთრებით ის სიტყვათშეთანხმება ააღელვებდა: ასეთ წიგნსო, — და მიუხედავად ამისა მაინც შეშინდებოდა. რატომ?.. ელიარებინა?.. თუ გულწრფელობაა, გულწრფელობა ყოფილიყო: მთელი რო-

მანი — უკანასკნელი თავის გამოკლებით — ერთ თვეში — 1925 წლის აგვისტოს — დაეწერა. ძალიან რცხვენოდა. იმ გადასახედიდან რა გამოდიოდა: მთლად დაუფიქრებლად მოქცეულიყო, დანაშაულიც კი ჩაედინა.

კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ინსპირაცია, რომელსაც ნიცშე ასე ბრწყინვალედ ასახავდა. ისიც მოეხსენებოდა, რომ მას „ესე იტყოდა ზარატუსტრა" ერთ კვირაში შეექმნა. მაგრამ ნიცშე ხომ ნიცშე გახლდათ!.. მეორეც: ცოცხალი იდეების — „ზარატუსტრა" მაგალითად — წერა ბევრად ადვილი იყო, ვიდრე ცოცხალი ქმნილების ასახვა — „იდიოტი" მაგალითად.

რცხვენოდა — და ცვაიგისაგან გაკიცხვას იმსახურებდა.

ცვაიგს შეეძლო წარმოედგინა, თუ რას ნიშნავდა მაშინ მისი სიტყვები გრიგოლისათვის: ნუ გაფლანგავთ დიდ ქონებას, რომელიც გადმოგეცათო...

შტეფან ცვაიგს გრიგოლ რობაქიძეც და მისი ნაწარმოებიც გადაერჩინა — ნამდვილად... ამ დანაშაულს გრიგოლი შინაგანად განიცდიდა და გადალახავდა. ამას ოთხი თვე დასჭირდებოდა. გულახდილად რომ ეთქვა — და აღმოთქვამდა კიდეც ახლა.

კვლავ უთვალავი მოკითხვა და კვლავ პოსტსკრიპტუმი:

თქვენს მოგზაურობაზე უკვე მივწერე მწერალთა კავშირს. ყველაფერი მომზადდება. თქვენ საქართველოში გაცოცხლებულ დიონისოს იხილავთ. აუცილებლადო.

და აი გრიგოლს უნდა მიეღო იენადან 20 სექტემბერს გამოგზავნილი ბარათი კორნელიუს ბერგმანისა, ისტორიკოსისა და ფილოლოგის, და დიდერიხსის გამომცემლობის თანამშრომლის, და ბარათიდან უნდა შეეტყო, რომ:

ქალბატონ ლულუ დიდერიხსს, გამომცემლის მეუღლეს, დიდი ინტერესით წაეკითხა მისი რომანი. თვითონ ბერგმანს კი ჯერ მხოლოდ ნახევარი წაეკითხა და მეორე ნახევარს ამ დღეებში მოათავებდა.

მისგან ნუ ელოდებოდა ავტორი განაჩენს!..

საკმარისი იყო ისიც, რომ ისინი მის რომანს გაეტაცა არამარტო უცხო მასალით, არამედ პლასტიკური ასახვის სტილითა და მხატვრულობით, რომელსაც ევროპაში ოდნავ თუ იცნობდნენ.

ბატონი და ქალბატონი დიდერიხსები დიდი სიამოვნებით გაიცნობდნენ ავტორს და ბერგმანს სურდა გამომცემლის სახელით მიეწვია ბატონი რობაქიძე იენაში, ვიდრე საქართველოში გაემგზავრებოდა. იენაში ჩასვლას როდესაც შეძლებდა, სთხოვდა: შემატყობინეთო.

ცხადია განსახილველი იქნებოდა რამდენიმე საკითხი რომანის შესახებ, მათი უყურადღებოდ დატოვება რომ არ ეგებოდა. ელოდებოდა მის შეტყობინებას და უთვლიდა მოკითხვებს.

და გრიგოლ რობაქიძეს ამ ბარათის მიღებისთანავე როგორ არ მიეხარებინა ცვაიგისათვის 22 სექტემბერს: იენის დიდერიხსის გამომცემლობისაგან მიწვევა მივიღეო.

ვინაიდან საქმე ეხებოდა ძალიან კარგ გამომცემლობას, როგორ არ ესარგებლა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევით, და აპირებდა ხვალვე, პარასკევსვე ეს ბატონები მოენახულებინა იენაში.

მაგრამ არაფრის წამოწყებას არ მოინდომებდა, თუ არ ეცოდინებოდა, თუ რა აზრისა იყო ცვაიგი ყოველივე ამის შესახებ. ამიტომაც თავს ნებას რთავდა, გაესარჯა, და მეგობრულად სთხოვდა, შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ ეპასუხა და გამოეგზავნა პასუხი იენაში, სასტუმროში „ვაიმარის ეზო", ალბათ მოკლე ტელეგრამით.

წინასწარ უხდიდა მადლობას გარჯისათვის და კიდევ ერთხელ სთხოვდა მიტევებას — სურდა ყველაფერში სიფრთხილე გამოეჩინა და მცდარი ნაბიჯებისათვის თავი აერიდებინა.

პოსტსკრიპტუმში დასძენდა, რომ:

დიდერიხსის გამომცემლობის წერილის ასლსაც უგზავნიდა. იენაში სავარაუდოდ შაბათამდე, დღის 3 საათამდე დარჩებოდა.

27 სექტემბერს კი აცნობებდა, რომ:

ოიგენ დიდერიხსის გამომცემლობასთან ხელშეკრულებას რომ გააფორმებდა, ეს მოხდებოდა უეცრად, მოულოდნელად და სწრაფად. ბატონი ფონ ვეზენდონკი, ყოფილი კონსული საქართველოში, დიდერიხსის გამომცემლობასთან მოლაპარაკებას გამართავდა. გრიგოლს არ ეგონა, ეს გამომცემლობა მის რომანს თუ მიიღებდა, და მოლაპარაკების ამბავს უყურადღებოდ დატოვებდა.

გამომცემლობის წერილი გააოცებდა.

ბატონი როზენკრანცი გაემგზავრებოდა საქორწინო მოგზაურობაში. ამასთან — დაებარებინა:

— მას შემდეგ, რაც ბატონ ცვაიგს ამ რომანზე აზრი გამოეთქვა, ბუნებრივია აღარ შეეძლო ის მხატვრულად შეეფასებინა — მაგრამ ტექნიკურ-საგამომცემლო დონეზე კი უნდა შემოწმებულიყო, და ამისათვის ორ რედაქტორს უნდა წაეკითხა...

ამგვარად: გრიგოლი გაურკვევლობის წინაშე აღმოჩნდებოდა.

მიუხედავად ამისა: არა სურდა ცვაიგის თანხმობის გარეშე ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. კურიერის მეშვეობით შეეხმიანებოდა. იენაში ელოდა მის პასუხს, მაგრამ არაფერი მიუვიდოდა. და ივარაუდებდა გრიგოლი: ალბათ გაემგზავრა, თორემ ორიოდე სიტყვას როგორ არ მომწერდაო...

რომანს გამომცემლობა დიდი აღფრთოვანებით მიიღებდა.

გრიგოლი იხსენებდა ცვაიგსა და მის რჩევებს, რასაც მისი რომანი გადაერჩინა.

და ახლა ავსტრიელი თანამოკალმე თვითონვე დარწმუნდებოდა, ტექსტი რარიგ ძლიერი და მიმზიდველი გამხდარიყო.

შეთანხმების თანახმად: რომანი 1928 წლის გაზაფხულზე გამოიცემოდა.

— ჩემი სანუკვარი სურვილია, რომ წიგნი მანამ წაიკითხოთ, სანამ გამოიცემოდეს.

გაზაფხულამდე — დარწმუნებით ფიქრობდა — ცვაიგი აუცილებლად გამოძებნიდა თავისუფალ დროს ხელნაწერის კიდევ ერთხელ თვალის გადასავლებად.

— გულწრფელად ვაღიარებ, ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება, თუ რომანი თქვენი წინასიტყვაობით დაიბეჭდება და ისე მოევლინება სამყაროს...

თბილისიდან ცნობა მიეღო ტელეგრაფით, რომ: ლიტერატურული საქართველო უსაზღვრო აღფრთოვანებითა და სიხარულით ელოდებოდა შტეფან ცვაიგის სტუმრობას:

პოსტსკრიპტუმში დაურთავდა, რომ:

აქ მხოლოდ ერთ თვეს დარჩებოდა.

3 ოქტომბერს როგორ არ მიეწერა, რომ:

მისი წყალობით ეპოვნა სწრაფად ასეთი დიდი და ავტორიტეტული გამომცემელი თავისი ნაწარმოებისათვის.

ეს უდავო გახლდათ.

სურდა ზალცბურგს გამგზავრება, რათა თავისი გულითადი მადლობა პირადად გამოეხატა ავსტრიელი თანამოკალმის წინაშე, მაგრამ ამჟამად თავს გრძნობდა დაღლილადაც, დაქანცულადაც, განერვიულებულადაც, უძლურადაც (და ჩაურთავდა: სხვა არაფერიო): 10 მაისს ცოლი ჩამოსვლოდა და მაისიდან აგვისტომდე პფენინგიც არ მიეღოთ. ეს მდგომარეობა აუტანელი გახლდათ. და ჩაურთავდა: ახლა შემიძლია ამაზე მოგწეროთ, რადგანაც ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდაო.

ამასთან ეს რთული სამუშაო: ნაწარმოების გარდაქმნა და გადათარგმნა.

სურდა მალე გამომგზავრებულიყო საქართველოში: სოფლად შეეძლო დაესვენა. მაგრამ დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ თებერვალში მის სამშობლოსა — და პირადად მასაც — ესტუმრებოდა ეს ძვირფასი სტუმარი, როგორც უკვე მოელაპარაკებინათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისე არ გაემგზავრებოდა, რომ არ ენახა ცვაიგი.

12 ოქტომბერს შეატყობინებდა, რომ მალე უნდა გამგზავრებულიყო. ამ დღეებში თბილისიდან მიეღო ცნობა. 15-ში, შაბათს საქართველოში ბრუნდებოდა. დიდი იმედი ჰქონდა, რომ თებერვალში ცვაიგს თბილისში იხილავდა.

სტილისტური დახვეწა მისი რომანის თარგმანისა გამომცემლობას თვითონვე ეკისრა. გრიგოლის სანუკვარი სურვილი იყო, რომ ცვაიგს კიდევ ერთხელ გადაეკლო თვალი ხელნაწერისათვის გამოქვეყნებამდე. გრიგოლისათვის ძალზე საგულისხმო გახლდათ — და ფიქრობდა, რომ ავსტრიელი თანამოკალმისთვისაც — ცოდნა იმისა, თუ რამდენად გაეთვალისწინებინა ცვაიგის რჩევები ნაწარმოების გადამუშავება-გაუმჯობესებისას. და სწორედ ამ აზრით მისწერდა კორნელიუს ბერგმანს.

აქ, ბერლინში არცერთ მწერალს არ დაკავშირებოდა. ალბათ — შეგნებულად. რადგან აქ ბატონობდა ცივი ეგოიზმი, თვით დახმარებაც შესაძლოა ეგოისტური ყოფილიყო. და ჩაურთავდა: წარმოიდგინეთ, ერთი ადამიანი მეზობელ პალატაში მყოფ ავადმყოფს ეხმარებოდეს იმით, რომ სხვას ავალებდეს მის მოვლას, რადგანაც ავადმყოფის ტკივილები მისთვის აუტანელი იყოსო...

შტეფან ცვაიგი კი მას შემოქმედებითად დახმარებოდა: და სწორედ ეს იყო ადამიანური სიყვარული — „ადამიანური“ არა ბანალური „ჰუმანიზმის“ გაგებით. სამყაროს გულში რაღაც კოსმიური, საშიში, ცივი, ჯოჯოხეთური ხდებოდა — და ამ დროში სამყაროსათვის ეს შემოქმედებითი სიყვარული ძალზე საჭირო გახლდათ.

სწორედაც სამყაროსა და არა ცალკეული პიროვნებებისათვის.

პირდებოდა, რომ: სოფლად დედას ბევრს უამბობდა მასზე. დედას არ ესმოდა „ლიტერატურა“, მაგრამ იცოდა ზღაპრები. მასში ჯერ კიდევ არ ჩამკვდარიყო მიწის სული. დედას შეეძლო, და გრიგოლს სჯეროდა ამის, შტეფან ცვაიგისადმი გულითადი სიყვარულის გამოსახატავად სიტყვების მოძებნა. გრიგოლი რასაც ვერ ახერხებდა!..

გერმანელი თანამოკალმის ბარათები ყოველ ჯერზე დიდი სიხარული იყო გრიგოლისათვის. განსაკუთრებით გაიხარებდა, თუკი თბილისშიც შეეხმიანებოდა. თავის მისამართს კიდევ ერთხელ შეატყობინებდა: გურამიშვილის ათიო.

უსურვებდა: იცოცხლეთ კარგადო, — და ამავეს ქართულადაც დაუწერდა გერმანული ტრანსკრიფციით. და დაემშვიდობებოდა მომავალ შეხვედრამდე.

ბოლოს კი მიადევნებდა:

„სიცოცხლესა“ და „ცეცხლს“ ქართულ ენაში ერთი და იგივე ძირი აქვსო. და... ნიშნს მოუგებდა — საიდან სად — ჰერაკლიტე ეფესელს: ეს რომ გცოდნოდაო!..

ჩამოვიდოდა თუ არა თბილისში, 27 ოქტომბერს უკვე აქედან აცნობებდა, რომ: ახლა აქ საუცხოო შემდგომა იდგა, რომელიც თითქოს ზაფხულს წააგავდა. მზეს კვლავაც ცოცხალ არსებად

მიიჩნევდა და... მითებში ცხოვრობდა!.. — მითებში — ანუ ძველებურად გააგრძელებდა არსებობას.

უგზავნიდა ქართულად თარგმნილ მის ნოველებს: „ამოკსა" და „შიშს": სამწუხაროდ ორივე რუსულიდან გადმოღებულიყო. მთარგმნელი პოეტი გახლდათ — ლელი ჯაფარიძე. ხოლო „იერემიას" მისეულ თარგმანს გრიგოლი ჟურნალში დაბეჭდავდა.

დიდი ინტერესით წაიკითხავდა „ბერლინერ ტაგებლატში" „ერთ დღეს ტოლსტოის ცხოვრებიდან". ეს თავი ნოველასავით იყო დაწერილი — ჭეშმარიტად შტეფან ცვაიგისებურად.

— თამაში სრულდება ჟღერადი აკორდით, ყველა ტაშს უკრავს და მცირე შეყოვნების შემდეგ ტოლსტოიც.

ამ ფრაზას რომ გამოარჩევდა გრიგოლ რობაქიძე, იმიტომაც: ამ „შეყოვნებაში" მთლიანად ნაჩვენებია ტოლსტოის ხასიათიო.

ცვაიგი რომ ღრმა ფსიქოლოგია, ეს თავისთავად, მაგრამ გრიგოლიც როგორი ფსიქოლოგია!.. და როგორი დაკვირვებული მკითხველი!..

საუცხოოდ მიიჩნევდა უკანასკნელ სცენასაც, სცენას, რომელშიც სოფია ანდრეევნა ქმრის საიდუმლო დღიურს ფურცლავდა. აქ ჩანდა ტოლსტოის ჭეშმარიტი სახე.

დაბოლოს:

— და ასე იწვა ის კიდევ დიდხანს მღვიძარე, ლეო (მე „ლევს" დავწერდიო, — ჩაურთავდა) ნიკალაევიჩ ტოლსტოი, უდიდესი და ძლევამოსილი მამაკაცი თავისი ეპოქისა, საკუთარ სახლში უღალატეს, ეჭვებით გატანჯეს და მარტოსულობაში გაყინეს.

საოცრადაა გადმოცემულიო, — აღფრთოვანებას ვერ დაფარავდა გრიგოლ რობაქიძე, — ამ თავის შემდეგ, მგონია, რომ თქვენი ესეი უფრო დიდი მოცულობისა უნდა იყოს. ჩემი სანუკვარი სურვილია, ამ ესეიში ერთი თავი ტოლსტოის რომანის არქიტექტონიკას ეთმობოდეს. მჯერა, ასეც იქნებაო.

თავს ნებას აძლევდა ეთხოვა, რომ ეს თხზულება — ბუნებრივია გამოქვეყნების შემდეგ — უსათუოდ გამოეგზავნა მისთვის. უზომო მადლიერი იქნებოდა. ამ განზრახვასაც გაუმჟღავნებდა, რომ აპირებდა მისი ესეები ნიცშესა, დოსტოევსკისა და ტოლსტოიზე ქართულად ეთარგმნა.

კვლავ გაუმეორებდა, რომ:

მთელი ქართული ლიტერატურული სამყარო მოუთმენლად ელოდებოდა მის სტუმრობას თებერვალს თბილისში. ამ მოუთმენლობაში იგულისხმებოდა მხოლოდ სიხარული.

იცოცხლეთ კარგადო, — უსურვებდა და დასძენდა, რომ: დიდად გაიხარებდა, თუკი ავსტრიელი თანამოკალმე აქ შეეხმიანებოდა.

2 დეკემბრის მოკლე ბარათით შეატყობინებდა, რომ:

მისგან ერთ წერილს ელოდა და... გუშინ სულაც წიგნები მიეღო: „გაქცევა ღმერთთან“ (რაოდენ სწორად დასათაურებულიყო) და „ვარსკვლავთა ჟამნი კაცობრიობისა“ (რა კარგად გამოხატულიყო). ბუნებრივია ორივე უდიდესი აღფრთოვანებით უკვე წაეკითხა. და აპირებდა „ვატერლოოს მსოფლიო წუთი“ ახლავე გადმოეტანა ქართულად. ხვალისათვის კი პირდებოდა ვრცელ წერილს...

* * *

სქოლიოში აღნიშნულია, რომ: ამ კრებულში, რომელშიც ამჟამად შესულია 14 ისტორიული მინიატურა, პირველი გამოცემისას, 1927 წელს, ერთიანდებოდა მხოლოდ 5 — და მათ შორის: „გაქცევა ღმერთთან“ და „ვატერლოოს მსოფლიო წუთი“. სახელწოდება კრებულისა შეიძლება თარგმნილიყო ასეთნაირადაც: „კაცობრიობის ვარსკვლავური საათები“, მაგრამ რაკილა გრიგოლ რობაქიძეს ამგვარად ემჯობინებინა: „ვარსკვლავთა ჟამნი კაცობრიობისაო“, ბარათების მთარგმნელიც სწორედ ამ ვარიანტს გამოიყენებდა.

* * *

და აგერ ის დაპირებული ვრცელი წერილიც, 4 დეკემბრით დათარიღებული.

ამ დღეებში ქუთაისში იმყოფებოდა. და თავის ყოფილ, გიმნაზიისდროინდელ დიასახლისთან ერთ ფოტოს ნახავდა. ეს ფოტო თან სდევდა. სურათზე ყმაწვილი ჩანდა — ცივი სახისა, მიმიკა არ ემჩნეოდა. ყმაწვილი ძლიერ გაყინულიყო, მაგრამ ამასთან

მასში იგრძნობოდა რაღაც სიმხურვალეც. თვალები გველივით შავი: მათში არავითარი სიხარბე. ამ თვალებს ათასი წელი ეცქირათ. ბაგეები მტკიცედ მოკუმული: მათ არ იცოდნენ, თუ რა იყო ამბორი, მაგრამ მალავდნენ სიღრმეში დაფარულ ენერგიას.

ვინ გახლდათ ეს ყმაწვილი?

17 წლის გრიგოლ რობაქიძე — ასე ამბობდნენ.

მაგრამ ეს გრიგოლ რობაქიძე არ იცნობდა იმ გრიგოლ რობაქიძეს — იმ ვიღაც სხვას, უცხოს.

თუმც თან სდევდა.

იქნებ ძმა იყო მისი, რომელიც არა ჰყოლოდა?

ანდა მისი ვაჟი, რომელიც არასოდეს შეექმნა?

დაბნეულიყო, ეუცხოვებოდა, მაგრამ ამავდროულად ახლობელიც გახლდათ.

მან, იმ გრიგოლ რობაქიძემ, ეს გრიგოლ რობაქიძე წინასწარ იგრძნო?

ღვთიური შიში.

და ახლა გრძნობდა, რა ყოფილა მომავალი და წარსული.

აქ იმალებოდა საიდუმლო.

აქ იმყოფებოდა ჰერაკლიტე ეფესელი.

ყოფნა და არყოფნა: პიროვნება მომავალში.

მისთვის სიკვდილი ყოველთვის საიდუმლოებით იყო აღსავსე და ამასთან — აზრის მომცემიც. სიკვდილი, სრული სიკვდილი — ეს კოსმოსური უაზრობა, მაგრამ მარტოდენ სიკვდილი ანიჭებდა ყველაფერს, რაც მომხდარიყო, აზრს.

ვაჟა-ფშაველასებური შეგრძნება.

შეგრძნება უოლტ უიტმენისებური.

„მე“ ვარ — და არ „ვარ“: ამ ფორმულას უტრიალებდა, თითქოსდა ბანალურს, სრულიად ჩვეულებრივს, არადა იდუმალების ფესვსა და წყაროს და ჰოი რა განცდით ამოთქვამდა: იქნებ შეიძლება ამ ზღვარზე ღვთიურის დანახვა, ან უკეთ რომ ითქვას, შეგრძნებაო?!.

რამდენიმე დღის შემდეგ... ენახა ფილმი „მეფე და პოეტი“. პოეტი აქ გახლდათ ალექსანდრ პუშკინი — საოცრად წარმოჩენილი, თუმც თვითონ ფილმი არაფრად ვარგოდა. აფრიკელი და

სლავი — ორივე იკვეთებოდა გენიოსის გარეგნობაში. მაგრამ მისი სიკვდილი... ეს სიკვდილი დღემდე თან სდევდა. ამ სიკვდილში საკუთარ სიკვდილს განიცდიდა გრიგოლ რობაქიძე. ესეც ფაქტი. აქ მოუახლოვდებოდა ცოცხალი მითოსი.

როგორ გაიაზრებდა მითოსს?

როგორც კოსმიურ ფაქტს, და არასდიდებით — ისტორიულს:

როგორც ერთ უცხო შემთხვევას, რომელიც ამავდროულად მისიც გახლდათ: თითქოს ეს თვითონ განეცადოს ოდესღაც, ასე ეჩვენებოდა და მოეჩვენებოდა ყოველთვისაც...

„თითქოს“...

მაგრამ ეს მითიური შემთხვევა ბევრად ძლიერი იყო, ვიდრე ნამდვილი...

დამახსოვრებოდა ის ფრაზა „ჰეროიკული წამიდან“:

— სიკვდილი ნელ-ნელა მიცოცავს გაქვავებულ მოაჯირზე.

საკუთარ თავზე შეეძლო ეთქვა ეს...

მიღებით აკი მიეღო ცვაიგის წიგნები: „გაქცევა ღმერთთან“ და „ვარსკვლავთა ჟამნი კაცობრიობისა“. ასტაპოვო, რკინიგზის ის სადგური, სადაც ლევ ტოლსტოი აღსრულებულიყო, ამისთვის ცოცხალი მითოსი გახლდათ: და ტოლსტოის სიკვდილი — მსოფლიო მოვლენა.

„ვარსკვლავთა ჟამნი“ — ისე აღიტაცებდა ეს შესიტყვება, წარმოსახვა ძალდაუტანებლად გადაინაცვლებდა ბაბილონურ ეპოქაში: ამ სახელის წარმოთქმას ბაბილონელი თუ შეძლებდა, იმდენად მაგიურიაო.

იშვიათად თუ შეუქმნიდა რომელიმე წიგნი ისეთ „ვარსკვლავურ ჟამნს“, როგორიც ამას შეექმნა!..

„ვარსკვლავური ჟამი“ ხომ სიკვდილს, მისი წინათგრძნობის დროს ნიშნავდა.

და რა — „მარიენბადული ელეგია“ სიკვდილი არ იყო? თუმცაღა გოეთე გადალახავდა ამ სიკვდილს, მაგრამ...

და ძალაუნებურად წამოეჭრებოდა კითხვა: რა არის შემოქმედებითი სიტყვა, ამასთან — გენიალურიო?..

თარგმანი არარსებული ენიდან — რჩებოდა „თარგმანად“, როგორც ეს — სუსტი, ადამიანურად სუსტი...

ან „კაპიტანი სკოტი“ — ეს თვითვე სიკვდილი არ გახლდათ?.. ამ წუთებში ხედავდა მის ხელს, რომელიც სასტიკი დამაჯერებლობით შლიდა სიტყვას „ჩემი ცოლი“ და გადაწერდა საშინელ სიტყვას „ჩემი ქვრივი“...

ეს წრედ წარმოდგებოდა გრიგოლ რობაქიძისათვის:

ის ყმაწვილი, რომელიც თან სდევდა, პუშკინის სიკვდილი (ფილმში ნანახი), რომელსაც სიმშვიდე დაერღვია მისთვის, და შტეფან ცვაიგის ისტორიული მინიატურები: წრე ნამდვილი „ვარსკვლავური საათებიდან“.

ამჟამად იმყოფებოდა „ვარსკვლავური საათების“ ატმოსფეროში. და სურდა აღეწერა და გაეზიარებინა ამ „ვარსკვლავური საათებისაგან“ მოგვრილი შთაბეჭდილება ავსტრიელი თანამოკალმისათვის, მაგრამ კალამი მისი უძლური იყო: ვერ გაწვდენოდა ამხელა განზრახვას.

ერთგულებას რომ გამოუცხადებდა, პოსტსკრიპტუმად დასძენდა, რომ:

სწორედ ახლა მიელო მისი მეგობრული ბარათი, რისთვისაც მადლობას სწირავდა. მოუთმენლად ელოდა მის „ტოლსტოის“. დღეს დაეწყო თარგმნა თავისა: „ბრძოლა სამხრეთ პოლუსისათვის“. დაწვრილებით — მოგვიანებით შეატყობინებდა. გრიგოლთან ერთად მისი მეგობრებიც უსურვებდნენ ყოველივე საუკეთესოს ავსტრიელ თანამოძმეს.

„ვატერლოოს“ გადათარგმნას მოგვიანებით ეპირებოდა.

და აი 10 დეკემბერს შეეძლო ეხარებინა, რომ: „კაპიტანი სკოტის“ თარგმნა უკვე მოეთავებინა. რთული სამუშაო კი გამოდგებოდა.

ეს ისტორიული მინიატურები მეტად თავისებურად დაწერილიყო. „კაპიტან სკოტში“ მთხრობელი არ ჩანდა. პირიქით — ის გახლდათ მემატიანე, მხოლოდღა თუ სწორედაც მემატიანე, რომელიც სკოტსა და მის თანამოაზრეებთან ერთად უჩინრად მოგზაურობდა და წერდა ასტრალურ თხზულებას.

დარდი, გაჭირვება, დაძაბულობა, ტანჯვა, დაბნეულობა და შიში სიმტკიცისა — ყველაფერი ხელშესახებად გადმოცემულიყო ამ ნოველაში, მის სტილშიც კი. სვლაც, თვით სვლაც ამ უც-

ნაური ქარავანისა წინადადებების მდინარებითაც საუცხოოდ წარმოჩენილიყო. და ფიქრობდა: შესაფერისად შევძელი ამ დავალების ამოხსნაო.

კმაყოფილი დარჩენილიყო მისი ქართული ვერსიით — შევინარჩუნე ორიგინალის ეს თავისებური სტილისტიკა, ფრაზების ქარავანული დინება და მემატიანის უჩინარობაო.

ან ის როგორ არ ეთქვა ავტორისათვის: ამ უაღრესად ლამაზ ნოველას შინაგანად როგორ და რამდენ ხანს ეტირებინა!..

მომდევნო დღეებში აპირებდა „კაპიტანი სკოტის“ წარმოსახვას საჯაროდ. და დასძენდა სიამაყით: მიმიჩნევენ კითხვის ოსტატადო... — შემდგომ კი მისწერდა, როგორ ჩაივლიდა ეს ყველაფერი. რაკილა მარტის მიწურულს ცვაიგი ბუქარესტში უნდა ყოფილიყო, ამიტომაც საქართველოში აპრილის თვეში დაელოდებოდნენ. და მიადევნებდა: აპრილში საქართველო ძალიან ლამაზიაო... უღრმეს მადლობას შეუთვლიდა დაპირებისათვის... ამჟამად კი წერდა რომანს, რომელსაც მიუძღვნიდა შტეფან ცვაიგს — პოეტსა და ადამიანს.

უთვალავი მოკითხვისა და ერთგულების გამოცხადების შემდგომ პოსტსკრიპტუმს დაისაჭიროებდა: „კაპიტანი სკოტი“ სულ მალე გამოქვეყნდება ჟურნალ „ქართული მწერლობის“ 1927 წლის მე-12 ნომერშიო.

29 დეკემბრის ბარათიდან ცვაიგი შეიტყობდა, რომ:

ამ დღეებში გრიგოლ რობაქიძეს საჯარო მოხსენება ჰქონდა და მეორე ნაწილში წაიკითხავდა ამ მინიატურას: „კაპიტანი სკოტი", რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელზე. სწორედაც რომ განსაკუთრებულს!.. დღეს კი უგზავნიდნენ ჟურნალს „ქართული მწერლობა“, რომლის პირველ გვერდზეც დაბეჭდილიყო ეს მინიატურა... და გრიგოლთა ერთად მისი მეუღლეც და მეგობრებიც უსურვებდნენ ყოველგვარ საუკეთესოს.

ამასობაში მოაწევდა 1928 წელი.

და 24 იანვარს ბარათს რომ გაუგზავნიდა, მისი დაწერა საწოლში მოუწევდა. ავად იყო, თუმც მძიმედ არა. გულითადად ემადლიერებოდა წერილისათვის. ემადლიერებოდა დაპირების-

თვისაც (რომანს იგულისხმებოდა): თქვენი დახმარებით ის ევროპაში ნამდვილად მიაღწევს წარმატებასო.

ასე სჯეროდა. და უდავოდაც.

— იმედია კარგად მუშაობთ! — იწერებოდა ავსტრიელი თანამოკალმე.

გრიგოლი კი შესჩიოდა: როგორ შემიძლია კარგად მუშაობა! დრო არა მაქვსო.

უპირველეს ყოვლისა სამსახურისათვის უნდა მიეხედა, რათა ეარსება, და... ამის შემდეგღა შეეძლო დრო დაეთმო შემოქმედებისათვის. მცირეოდენი თავისუფალი დრო თუ რჩებოდა, მცირეოდენი.

ახლახან მოესურვებინა ისტორიული რომანის დაწერა დიდი მებრძოლის — შამილის შესახებ. მას ტოლსტოი „ჰაჯი-მურატში" გაკვრით ახსენებდა, მაგრამ ძლიერად კი წარმოაჩენდა. შამილი 25 წელიწადს ებრძოდა რუსეთის ცარისტულ ჯარებს — და თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა. საბოლოოდ კი მასში გენიალურად განსხეულდებოდა მთის ტომთა რომანტიკა.

— მისი ხვედრი ნამდვილი ტრაგედია იყო. გენიალური თავი. ნაპოლეონისებური სურვილი (ალბათ ძლიერი). აღმოსავლური მსოფლმხედველობა. გამორჩეული რაინდობა. ნამდვილი მოაზროვნე.

როგორც ახსოვდა: გუსტავ ფლობერს სურდა შამილის ცხოვრებაზე დიდებული ეპოპეის დაწერა... თუმც სურვილი სურვილად დარჩენილიყო, ოცნება — ოცნებად... და გრიგოლ რობაქიძეს რიღას გაკეთება შეეძლო? ვაი რომ... არაფრის. მასალა შეგროვებით შეეგროვებინა. მონახაზი მონახაზად ჩამოეყალიბებინა გონებაში. მაგრამ... მის შესაქმნელად დრო არა ჰყოფნიდა და არა: ამჟამად წერდა მხოლოდ ლირიკულ-ეპიკურ ნაწყვეტებს ამ გიგანტზე, მაგრამ სურვილი მისი — ნაპოლეონისებური, ოღონდ ლიტერატურაში — სხვას მოითხოვდა.

ბერლინში ყოფნისას დაეწყო რომანი ევროპის ცხოვრებიდან. და სურდა „ახალი" ადამიანები აღეწერა.

ნაცვლად „მიწისა" — „ქალაქი", ბუნებრივია: არა გეოგრაფიულად.

ნაცვლად „სულისა“ — „რაციო“, არა ლოგოსი.

ნაცვლად „მითოსისა“ — „რევიუ“...

და ასე გაჰყვებოდა. ეპიგრაფად კი უკვე შეერჩია საისის ქალღმერთის წარწერა:

— მე ვარ ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება, და არცერთ მოკვდავსა და არცერთ უკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი.

ესეც — მისი წარმოდგენით — საიდუმლოება მიწისა (დოსტოევსკის თანახმად), დედაკაცისა, მსოფლიოს სულისა. ეს ყოველივე ერთმანეთს უდრიდა, ერთმანეთს განსაზღვრავდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ:

მიწა, დედაკაცისა არ იყოს, ჯერ არ აღქმულიყო ისე, როგორც ლოგოსი (მხოლოდღა პერიფერიულად): და ეს გახლდათ ის საიდუმლო.

მის რომანში შევხვდებოდით ერთ ქალს, რომლის დამორჩილებასაც ვერ შეძლებდნენ ევროპაში (და ჩაურთავდნენ: ანამუსის ახდას — კიო). ეს ქალი თითქმის ღვთიურ-ცხოველურად მიილტვოდა სიყვარულისაკენ, მაგრამ არავის შეეძლო მისი დაკმაყოფილება... და ასე გრძელდებოდა.

— ამ რომანს თქვენ გიძღვნით.

ერთი მესამედი უკვე დაეწერა... მაგრამ გამოუვიდოდა? ეჭვობდა, და ეს იმიტომ, ევროპულ ცხოვრებას კარგად რომ არ იცნობდა. თუმც მიზანი გახლდათ ისეთი მაცთური, ისეთი, ისეთი, ადვილად ველარ გამოეცლებოდა, რაკიღა ერთიდაერთი გაუჯდებოდა გულსა და გონებაში: ამგვარი ქალი უნდა წარმოსახულიყო ევროპის მიწაზე, მხოლოდდამხოლოდ ევროპის, რადგანაც სხვა ქვეყნებში მას ასეთი დანაწევრებული მგზნებარე ლტოლვა არ ექნებოდა.

სჯეროდა, რომ:

საგნობრივი კომპოზიციის სტილი და რომანის პლასტიკური გამომსახველობა საყურადღებო იქნებოდა...

ნეტა ცვაიგს თუ მიეღო ქართული ჟურნალი, რომელშიც მისი მინიატურა დაბეჭდილიყო? ეს ნოველა, თუ მართლაც მინიატურა, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქართველ მკითხველზე, ისეთს, რომ საზოგადოება მოითხოვდა, გრიგოლს სხვა მინია-

ტურებიც ეთარგმნა. და თუ რაიმეს აღასრულებდა სიამოვნებით, ამ მოთხოვნას.

მთელი ქართული ლიტერატურული სამყარო ელოდა შტეფან ცვაიგს გაზაფხულზე — განსაკუთრებით ცხადია გრიგოლი და მისი მეუღლე.

29 თებერვლის ბარათით მადლობას მოახსენებდა მეგობრული წერილის გამოგზავნისათვის. წუხილს გამოთქვამდა, რომ მარტში ავსტრიელი თანამოკალმე საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას ვეღარ შეძლებდა. და გრიგოლი იმედს იტოვებდა, რომ: შემოდგომაზე მაინც მოახერხებდა საქართველოში სტუმრობას... მოუთმენლად ელოდა მის წიგნს ტოლსტოიზე... მისი ისტორიული ნოველა ბაირონის საიდუმლოზე უკვე ეთარგმნა და მასაც „ქართული მწერლობა" გამოაქვეყნებდა... ცოცხლობდა იმედით, რომ „გველის პერანგი" გამოიცემოდა შტეფან ცვაიგის დახმარებით...

24 აპრილის ბარათით კი აცნობებდა, რაც მისთვის მოეწერა კორნელიუს ბერგმანს: თქვენი რომანი პირველად შემოდგომაზე, სექტემბერში, გამოიცემაო. და მიზეზებიც აეხსნა.

ესაო და: ბოლო წლებში როგორც გაირკვა, გაზაფხულზე საერთოდ მცირე ტირაჟით იყიდება წიგნები, განსაკუთრებით — უცნობი ავტორებისა, რადგანაც ხალხი მიემგზავრება და წიგნებისათვის განკუთვნილი თანხა იზოგება შემოდგომისათვის. ამის გათვალისწინებით — გაზაფხულზე გამოცემული წიგნის წარმატება დამოკიდებული იქნება შემთხვევითობაზე, განსხვავებით შემოდგომისაგან, როცა საშობაო სამზადისია. საქმე ასეა... უნდა დამიჯეროთ, რომ ამის შესახებ აქ იმაზე მეტი ვიფიქრეთ, ვიდრე გერმანული წიგნის ბაზარი (ასორტიმენტი) დაუთმობდა ყურადღებას უცხოელ ავტორებსო...

ესაო და: მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი რომანი ადრიანად მომზადდება, ისე, რომ მის გამოცემამდე შევძლებ ეგზემპლარები წინასწარ გადავუგზავნო უმნიშვნელოვანეს კრიტიკოს-რეცენზენტებს, რათა ამგვარად სექტემბერსა და ოქტომბერში ბევრ რეცენზიას მოვუყაროთ თავიო...

და გრიგოლი მიიჩნევდა, რომ: სავარაუდოდ ბერგმანი მართალი უნდა ყოფილიყო. საგამომცემლო პირობები ამისათვის

ხომ უცნობი გახლდათ... სხვა გზა აღარ დარჩენოდა: უნდა დაეჯერებინა... არადა ხელშეკრულების თანახმად, მისი რომანი ახლა, გაზაფხულზე, უკვე უნდა გამოცემულიყო...

მოუთმენლად მოელოდა ნარკვევს ტოლსტოიზე. ნეტა უკვე ხომ არ გამოქვეყნებულიყო?.. ცვაიგის მეგობრული წერილისათვის 29 თებერვალს ეპასუხა. ავსტრიელი თანამოკალმე ალბათ გამგზავრებულიყო. ბარათში რომ ატყობინებდა: ვთარგმნე თქვენი ისტორიული ნოველა ბაირონის საიდუმლოზეო, — უკვე დაბეჭდილიყო კიდეც, და გრიგოლს შეეძლო ჟურნალის ის ნომერი მაშინვე გაეგზავნა ცვაიგისათვის, როგორც კი ის მოისურვებდა...

იმედოვნებდა, რომ ცვაიგს არ დავიწყნოდა, შემდგომაზე საქართველოს რომ უნდა სტუმრებოდა. მოხარული იქნებოდა, თუ მისგან რამდენიმე სტრიქონს მიიღებდა...

უთვალავი გულითადი მოკითხვისა და მარადიული ერთგულების გამოცხადების შემდეგ პოსტსკრიპტუმში აცნობებდა ბერგმანის მონაწერს: რომანის ხელნაწერს გავუგზავნით შტეფან ცვაიგს, როცა წიგნის საბოლოო ვერსია გამზადდება დასაბეჭდადო.

ღრმად გახლდათ დარწმუნებული გრიგოლი, რომ „გველის პერანგს“ ცვაიგი ამჯერად კიდევ ერთხელ წაიკითხავდა დიდი ინტერესით... და — თუკი მხარს დაუჭერდა საბოლოო ვერსიას, მაშინ განზრახვაც აღსრულდებოდა.

ამაში გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა.

11 მაისის ბარათში გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ: თებერვლის მიწურულის შემდგომ გერმანელი თანამოკალმისაგან არცერთი სტრიქონი არ მიეღო, გარდა მეგობრული წარწერისა თხზულებაზე: „თვისი ცხოვრების სამი მგოსანი“, რომელიც გრიგოლს დიდ სიხარულს მოუტანდა. ბევრსაც მისწერდა — მაგალითად ორ ბარათს „სამ მგოსანზე“ — და... ცვაიგის დუმილი იქნებოდა და დარჩებოდა მისთვის გამოცანად.

ფიქრობდა: ბატონი ცვაიგი შესაძლოა ავადაა, ან გაემგზავრა, ანდა იქნებ ძალიან დაკავებულიაო?..

მაგრამ აი გუშინ მიიღებდა ბერგმანის წერილს, რომლითაც შეიტყობდა, რომ იქ ამის ბარათი არ ჩასვლოდათ. და ახლა ეს

ფიქრი გაუჩნდებოდა: შესაძლოა არც ცვაიგს მიუღია ჩემი წერილებიო... ცხადია ერჩივნა, ასე რომ ყოფილიყო...

ახლა გრიგოლის რომანზე.

ის მალე დაიბეჭდებოდა.

ბერგმანი იწერებოდა თითქმის ყველა ბარათში, რომ: შტეფან ცვაიგი დაწერდა წინასიტყვაობას, როდესაც გამოსაქვეყნებელი წიგნის საბოლოო ვერსია იქნებოდა მზად.

— ევროპაში რომანის გამოცემა ჩემთვის დიდი შემოქმედებითი სიხარულია, თქვენი წინასიტყვაობით კი ის ჩემთვის სწორედაც რომ ფასდაუდებელი გახდება.

სხვათა შორის ფიქრობდა, რომ ცვაიგისათვის საგულისხმო უნდა ყოფილიყო ამ რომანის წაკითხვა კიდევ ერთხელ, რადგანაც ეს ნაწარმოები — ავსტრიელი თანამოკალმის ღირებული შენიშვნების გათვალისწინებით — საფუძვლიანად შეცვლილიყო.

წიგნის საცდელ ვერსიას მალე მიიღებდა ცვაიგი... ეს იყო და ეს...

გრიგოლი ამჟამად გელენჯიკში იმყოფებოდა, შავ ზღვაზე, და აქ დარჩებოდა 10 სექტემბრამდე, ვიდრე კვლავ თბილისს დაუბრუნდებოდა. თუ მოსწერდა და 1 სექტემბრამდე შეძლებდა ამას (წერილი ჩამოსვლას უნდებოდა 7-9 დღეს), დაე გელენჯიკის მისამართი მიეთითებინა...

15 მაისით დათარიღებულ ბარათში გულითად მადლობას მოახსენებდა წიგნისათვის „თვისი ცხოვრების სამი მგოსანი“, რომელსაც გუშინწინ მიიღებდა. ნახევარს უკვე წაიკითხავდა. კაზანოვა ოსტატურად აღწერილიყო. გრიგოლი იცნობდა ამ „სამხრეთულ ბუნებას“. წინააზიაში ბევრი კაზანოვა არსებობდა: ცხადია მინიატურული ფორმით. მათგან რამდენიმეს პირადადაც იცნობდა. მართალი ბრძანდებოდა ცვაიგი:

— კაზანოვა არც კარგია ხასიათია და არც ცუდი — ის საერთოდ არავინ არაა.

ის გახლდათ „კაცი-ცხოველი“, როგორც ცვაიგს დაეხასიათებინა, ოღონდ არა: დონ ჟუანი. პარალელებს, რომელთაც ავსტრიელი მწერალი გაავლებდა კაზანოვასა და დონ ჟუანს შორის, გრიგოლ რობაქიძე საუცხოოდ მიიჩნევდა. „პანიკური და თითქმის ადამიანური სიხარული“: საოცრად გამოხატულიყო...

მაგრამ გრიგოლს დააბნევდა ცვაიგის სტენდალი. რა
ზედაპირულად მოეჩვენებოდა — ამ ნარკვევთან შედარებ
პოლ აზარის წიგნი „სტენდალის ცხოვრება"!.. განსაკუთრ
მოეწონებოდა თავი: „ერთი მე და სამყარო". სტენდალის ფ
მენი აქ გამოთლილიყო „ალმასივით ბრწყინვალე ინტელე
საგან", ცვაიგის გამონათქვამისა არ იყოს. ნამდვი
ერთგვარი ტკბობა აღმოჩნდებოდა გრიგოლისათვის ეს წი

სიამოვნება უფრო ძლიერიც იქნებოდა, რომ არა ერთი
დურება... ამ დღეებში ხანძარი ქუთაისში მთელ ებრაულ კ
ტალს მიწასთან გაასწორებდა. 5 000 ადამიანი დარჩე
უსახლკაროდ. ჩვენთან 2 000 წელია ცხოვრობდნენ ებრაელ
ისინი განცალკევებით სახლობდნენ. თითქოს გეტოში. და
სობით წლის განმავლობაში არ მომხდარიყო ქორწინების
ცერთი შემთხვევა ქართველებსა და ებრაელებს შორის.

ამის ახსნა ერთადერთი მიზეზით თუ შეიძლებოდა: უძვ
სი ხალხი პატივს მიაგებდა რასის სისხლს.

და მაინც: საქართველოს ისტორია არ იცნობდა არც ებრ
თა დევნასა და არც მათ რეპრესიებს: არცერთხელ!.. ეს ნამ
ლი გამონაკლისი გახლდათ მსოფლიო ისტორიაში. და გრი
რობაქიძე თავს ვერ შეიკავებდა აღტაცებული შეძახილის
დიდება საქართველოს ისტორიასო!..

22 მაისის ბარათით აცნობებდა, რომ ახლახან წაეკითხა
„ტოლსტოიც". „კაზანოვასა" და „სტენდალზე" ხომ უკვე მ
რა თავისი მოსაზრება. თავში „ცხოველმყოფელობა და
მორჩილებლობა" მთელი ტოლსტოი წარმოსახულიყო.

ცვაიგი რომ წერდა:

— ვინც ყოფიერებას ცოცხლად შეიგრძნობს, შეუძლია
ნოდეს ამგვარი აბსოლუტური არყოფნისა, და რადგან აქ ნ
ვილი დემონური სიცოცხლის ძალა მიმართულია ასე
დემონური სიკვდილის შიშის წინააღმდეგ, იწყება ტოლსტ
გიგანტომანია ყოფნასა და არყოფნას შორის, შესაძლოა
დესიც მსოფლიო ლიტერატურაში.

გრიგოლ რობაქიძე საგანგებო მნიშვნელობას მიანიჭებ
სტრიქონებს:

— აქ ფორმულირებულია ტოლსტოის მთელი თაურფენომენი.

ტოლსტოისთანაც და ცვაიგის ნარკვევშიც სიკვდილი უარსო იყო. და აქ სუფევდა სიკვდილი ნერვისა და ძარღვისა:

— ...და მძვინვარებს ნამდვილი ცხოველური, ბარბაროსული ტერორი, გაუგონარი საშინელება, შიში-ორკანი, პანიკა შერყეული ცხოვრების აზრისა.

რაოდენ ნაცნობი გახლდათ გრიგოლისთვისაც ეს ორკანისებური ანუ ქარიშხლისებური შიში. თუმც ცოდნით არ იცოდა, საიდან მოდიოდა ეს წამი. და ნებართვას ითხოვდა ერთი მაგალითის გახსენებისა.

მამა გარდაცვლოდა 1911 წელს. დღეს მისი სიკვდილი გრიგოლისათვის გახლდათ მხოლოდ „მოგონება“ (აზრი), თუმც ხანდახან მის სიკვდილს გრძნობდა ფრაგმენტულად, ამავდროულად — ხელშესახებად — თითქოს ამ წუთას დაღუპულიყოს. და აღარ იცოდა, რატომ იყო ეს სიკვდილი ერთ შემთხვევაში „მოგონება“ და სხვა მხრივ „თვით ცხოვრება, ნამდვილი ცხოველური ტერორი“! მეორე მხრივ: არსებობდა კონკრეტულ-ინდივიდუალური, გაუგონარი, წარმოუდგენელი.

— ეს იგრძნობა თქვენს ესეიში.

სიკვდილის მხატვრული გაობიექტურება ნიშნავდა მის მარტოდენ შემსუბუქებას: არა დასრულებას. ამის გამო ცვაიგის ეს ნაწარმოები უჩენდა ორმაგ გრძნობას: ერთი მხრივ განიცდიდა არტისტულ ტკბობას და მეორე მხრივ მელანქოლიას, თითქმის პანიკურს. სხვათა შორის შტეფან ცვაიგს შეეძლო ბედნიერი ყოფილიყო, რომ ისეთი კოლოსალური ნაწარმოები, როგორიცაა „სამყაროს ოსტატები“, არტისტულად და ადამიანურად დაესრულებინა. და დასძენდა: მაინც რამდენი ცხოვრებით იცხოვრეთო!..

თავი „გაქცევა ღმერთთან“ გახლდათ ისეთი, როგორიც „ვარსკვლავთა ჟამნი კაცობრიობისა“: ნამდვილი და შეუდარებელი პოეტური პროზა. და დასძენდა: ტრაგიკული ითხოვს ტრაგიკულ, ღრმა და მარტივ ტონსო...

და კიდევ ერთხელ გადაუხდიდა გულითად მადლობას ამ თხზულების შექმნისათვის!

მერე უკვე ის ბარათია, 14 სექტემბრისა, გრიგოლი იმედს რომ გამოთქვამდა, რომ ამ საღამოს შეხვდებოდნენ ერთმანეთს: ან ცვაიგისას, შვიდის თხუთმეტ წუთზე, და ან აკადემიაში — სხდომაზე.

ჰოი რა იმედი ჰქონდა, შტეფან ცვაიგის მოგზაურობის მარშრუტში საქართველოც რომ შემოვიდოდა და ჰპირდებოდა ბუნების ისეთი საოცრების ჩვენებას, რომანტიზმს მთელ ფრანგულ ლიტერატურაზე უკეთ რომ გამოხატავდა.

თბილისური პროგრამაც რარიგი სიზუსტითა და სისავსით გაეთვალა, დიონისეს გაცოცხლებასაც რომ აღუთქვამდა, ისე თვალნათლივ და ხელშესახებად, სხვაგან რომ ვერსად ჰპოვებდა ავსტრიელი მწერალი-მოგზაური, მთელი დედამიწაც რომ შემოევლო.

ფრიდრიხ ნიცშეს რომ დაპირებოდა ვინმე დიონისეს ცოცხლად ხილვას, რა დააკავებდა, რა შეუშლიდა ხელს, და ჰოი რა სისწრაფით ჩამოიჭრებოდა თბილისში, ანთებული, გულამოვარდნილი!.. შტეფან ცვაიგი ასე ვერ გადაიკლავდა თავს... მაგრამ აი ტოლსტოის დღეებს კი ხელიდან არ გაუშვებდა და გრიგოლ რობაქიძესაც საშუალება მიეცემოდა, პირადად ახლა მაინც შეხვედროდა მის კეთილისმყოფელ მწერალს, ევროპაში რომ უკვალავდა გზას — მასაც და უცნობობაში ჩაძირულ მის ქვეყანასაც: კიდევ ერთხელ ჩაკარგულს ეფემერული გამონათების შემდგომ...

თავი მეოთხე

ოიკომენური სამყარო, ოიკომენური ადამიანი

იმპრესიონიზმის გაცნობას რომ მოინდომებდა ქართველი მკითხველისათვის, ამ ლიტერატურული მიმართულებისა თუ სკოლის ბუნების გახსნასა და შემოქმედებითი პრინციპების წარმოჩენას, ოსვალდ შპენგლერს დაეყრდნობოდა და მისი მხრებით შემოიტანდა ქართველი საზოგადოების თვალთახედვაში.

შპენგლერს თხზულებას „ევროპის დაისი" ამ სათაურით რომ გააცნობდა მკითხველს: „დასავლეთის დაღუპვაო" — დასძენდა, რომ: ავტორს აზრად სულაც არა ჰქონდა ევროპის „დაღუპვა" აესახა. მისი ფიქრი სხვა გახლდათ: ევროპის კულტურას დაესრულებინა რკალი თავისი ვითარებისა და ახლა ადგილი უნდა დაეთმო კულტურის სხვა რკალისათვის.

მისი შეხედულებით: თანადროული ხელოვნების რკალი იმპრესიონიზმი რომ გახლდათ, ამ მიმართულებას ამოეწურა თავი, სხვა სახე ხელოვნებისა კი ჯერ არა ჩანდა. მაგრამ რას წარმოადგენდა იმპრესიონიზმის ესთეტიკური პრინციპი?

— მობრუნება ევკლიდური მსოფლიო-გზნების. იგი ეძებს თავს მასში, რომ დასცილდეს რაც შეიძლება პლასტიურ თქმას და მიუახლოვდეს თქმას მუსიკალურს... შეიგზნების და მოიცემის შთაბეჭდილება საგანთა, რომელნიც ითვისებიან თვისგნით როგორც ფუნქციები მარტო ოპტიურად ველარ მისაწვდომი ვრცეულობის. შინაგანი თვალით იჭრებიან სხეულნი და ინთქმება ჯადო მათი ნივთიერი ზღვარების.

დასახასიათებლად ავტორი პარალელს მიმართავდა: ანტიკა და თანადროული ხანა.

პრინციპი ანტიკურობისა: საგანი საზღვრული.

პრინციპი თანადროულობის: ვრცეულობა უსაზღვრო.

ესთეტიკურ ფიგურებში ეს პარალელი ასე გაიშლებოდა: აპოლონი და ფაუსტი.

ანტიკურობას თუ ახასიათებდა სტატიკა საგნების.

თანადროულობა ამჯობინებდა დინამიკას ვრცეულობის.

ფორმულად კი ეს ყოველივე ასეც შეიძლება დაწურულიყო:

ანტიკა — სული, როგორც ფორმა ხორციელი ყოფის (არისტოტელე).

თანადროულობა — სხეული, როგორც ფორმა სულიერი ყოფის (გოეთე).

ანტიკურ განსხეულებაში არსებობდა გამოთქმა მხოლოდ უპერსონალო, მცენარეთა, უსულო ვიტალობის. ამას ცხადყოფდა პლასტიკური ფიგურები: იქ ნიღბები იყო უფრო, ვიდრე ინდივიდუალურად კვეთილი პროფილები.

ანტიკურ ადამიანს ეშინოდა საიდუმლოსი, რომელიც თვლემდა საგნის ზედაპირქვეშ. მათი ფრესკო უარყოფდა უკანამხარეს.

რენესანსი არ გრძნობდა აქ სიღრმეს: მისი უკანამხარენი მხოლოდ — „დასრულებულიყო“ (ამ სიტყვას გერმანულადვე დაწერდა გრიგოლი).

ბაროკო კი საჭიროებდა სიშორეს სულისა შინამუსიკისათვის.

ქარაქტეროლოგია კიდევ უფრო შორსაც მიდიოდა, ფორმულები ამ სურათს რომ გვთავაზობდა:

ანტიკა: ტიტველი — სხეული — წამი — წინამხარე — მასა — ქცეული.

მოდერნი: პორტრეტი — სივრცე — პარადობა — სიღრმე — მიქცევა — ქცევა.

კიდევ უფრო ლაკონიურად?

იქ: ქცეული.

აქ: ქცევა.

ამას მოწმობდა ისიც, ბავშვის ასახვა რომ არ ხდებოდა ელადაში, არც დედის — ორივე ხომ „ქცევა“ გახლდათ. აპოლონი ასახავდა მარტოდენ ნაყოფიერებას: ფალოსი — მომენტალურ აქტს. ელინური ქალი მცენარეულ ნაყოფიერებას გამოხატავდა

მხოლოდ. ელენე უდრიდა ჰეტერას, ანტიგონე და კლიტემნესტრა — ამორძალებს, აფროდიტე კი ნატურის ნაკვეთი თუ იყო.

თანადროულობა სხვა ხაზს ამოზიდავდა. ფაუსტი განასახიერებდა დედობის პრინციპს. მადონა პირველყოვლისა დედა გახლდათ და დედობის განმასახიერებელი.

ანტიკაში არსებობდა ურთიერთობა ფორმისა და მასალის.

თანამედროვეობა იცნობდა ურთიერთობას ძალისა და მასისა. და მიქელანჯელო პირველი წარმოსახავდა ამ ურთიერთობას. მის ქმნილებაში ყოველთვის ძალისა და მასის ომი იმართებოდა. იგი სასტიკი მოგვივით შეჰკრავდა ხოლმე სვეტებს, ანდა თავგამეტებით ჩაუშვებდა მათ ნიშებში. მის ფასადებს ახასიათებდა რაღაც ღელვილი და ვარდნილი. მან უწყოდა დინამიკა სივრცის.

ამ ხაზის გამძაფრება კიდევ შეიძლებოდა: რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი, რემბრანდტი.

პირველის ხაზი:

სასტიკი სისწორით შემოფარგლული, ანატომიური ანალიზით გარკვეული, კარგად გამართული ჯგუფები, რომელნიც მკაცრად იშვებოდნენ უკანასფეროსაგან.

მეორის ხაზი:

მონახვა გადასვლისა ბნელის და ნათლის, რბილი რკალები, სილრმეში მიმქრალი ხაზულები, ჯგუფები და მასები სინათლის და ნაჩრდილის, რომელთაგანაც ცალკეული ფიგურები უკვე აღარ იხსნებოდნენ.

და მესამე ხაზი:

ფიგურები ინთქმეოდნენ ფეროვან შთაბეჭდილებათა საშოში — ისინი მოქმედებდნენ მხოლოდ როგორც შტრიხები ფერთა ლაქების.

ამრიგად: ამ ხაზის გაყოლებით ყოველი საგანი იძირებოდა უსხეულო ვრცეულობაში.

და ესეც იმპრესიონიზმი — უსხეულო ვრცეულობა.

თვითონ ფენომენოლოგია შპენგლერს — ავტორს ხელოვნების რკალების — ორიგინალურად ესმოდა:

ერთი რკალი მეორისაგან ისე განირჩეოდა, რომ მაგალითად ერთი რკალის მუსიკასა და პლასტიკას შორის უფრო მეტი

მსგავსება შეიმჩნეოდა, ვიდრე ორი სხვადასხვა რკალის პლასტიკისა ან მუსიკის სხეულებათა შორის. ფრესკო, ბიზანტიური მოზაიკა, გოტიკური ხატულობა, პერსპექტიული ზეთითნახატობა — ყველა ესენი ფაზები კი არ იყვნენ ერთი საერთო ხელოვნებითი კულტურისა, არამედ ფორმიდეალები განცალკევებულნი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ხელოვნებათა.

ზოგადად ასე გამოიყურებოდა ოსვალდ შპენგლების შეხედულება გრიგოლ რობაქიძის თეზისურ მონახაზში, მეტად სხარტად და მარჯვედ აგებულ-წარმოჩენილში.

შპენგლერს იმიტომაც დაეყრდნობოდა ამ მოვლენის დასამკვიდრებლად ქართულ ცნობიერებაში, რომ ეს შეხედულება ძლიერ საგულისხმოდ ეჩვენებოდა — ქარაქტეროლოგია დიდი ნიჭით მოხაზულად.

თუმც ნაკლის აღუნიშნაობაც არ ივარგებდა, ნაკლად კი ის დამაფიქრებელი გარემოება იკვეთებოდა, რომ: თუკი იმპრესიონიზმი გახლდათ ახალი ეპოქალური აპერცეპცია სამყაროსი, მაინც რითი ან რარიგ წარმოშობილიყო ასეთი ცვლილება?

ეს ცვლილება კოსმიურ ხაზებში უნდა ყოფილიყო გაყვანილი, თორემ უამისოდ სხვადასხვა რკალის ფენომენოლოგია დარჩებოდა მხოლოდ უბრალო აღნუსხვად.

და კიდევ ერთ გარემოებას მიითვლიდა სამწუხაროდ გრიგოლი, იმპრესიონიზმის განხილვისას შპენგლერი მარტოდენ მუსიკასა და პლასტიკას რომ ეხებოდა, არადა საჭირო იყო ხელოვნების სხვა დარგთა განხილვაც: მაგალითად — პოეზიის.

აქ იქნებოდა თუ იქნებოდა შესაფერისი მასალა.

ისეთ აკორდზე მთავრდებოდა ესეი, გამჭვირვალედ მიანიშნებდა მკითხველს, ამ თვალთახედვით განხილვა-გააზრება ჩემზე იყოსო. უპოეზიოდ აბა იმპრესიონიზმის სურათი მთელი სისრულით როგორ წარმოჩნდებოდა. მასალა უხვი გახლდათ, უხვზე უხვიც, მაგრამ გრიგოლ რობაქიძისთანა ერუდიციის პიროვნება კი აუვიდოდა წარმატებით მათ თავმოყრა-დახარისხებასაც და არსებითი შტრიხების გამოკვეთასაც, ოღონდ ეგაა — უნდა მოეცალა საამისოდ.

ან... ეგებ სჯობდა უფრო რელიეფურად წარმოესახა თვითონ ოსვალდ შპენგლერის პორტრეტი და ამ ფონზე გადაეხსნა მისი ეპოქალური წიგნიც „დასავლეთის დაღუპვა?“

ამ ყაიდის ესეის ხომ გარდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დანიშნულებაც ექნებოდა, თანადროულ ვითარებაში ასერიგად აუცილებელი და ბევრგვარად გასათვალისწინებელი?!.

აკი ამ წიგნზე თავისი მოსაზრება ჰქონდა და — განსხვავებით ბევრი დასავლელი ლიტერატორისა და ფილოსოფოსისაგან — „ევროპის დაისი“ მონოგრაფიულ თხზულებაზე მეტად რომანად უფრო მიაჩნდა, კონტრაპუნქტის ხაზებში გაშლილად.

კომპოზიციურ აგებულებას, შინაგან არქიტექტონიკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა, ამ შემთხვევაში ეს ხედვა შპენგლერის თხზულების ჟანრული თავისებურების დადგენაშიც დაეხმარებოდა.

ჯერ რამდენიმე შტრიხი უნდა წარმოეჩინა კულტურის ფილოსოფიისა.

შპენგლერისათვის არსებობდა პირვანდელი დაპირისპირება: „თავისი“ და „სხვისი“, „თავისი“ იგივე სული რომ იყო და „სხვისი“ — ქვეყანა. შემდეგ „სულს“ დაერთვოდა ქცევა და „ქვეყანას“ — ქცეული. და ერთი მხრივ თუ იქმნებოდა „ქცევა სულისა“, მეორე მხრივ — „ქცეული ქვეყანა“. და მათ შორის სიცოცხლე მოჩანდა ცხადებად შესაძლოებისა.

ქცევა დროს განასახიერებდა, ქცეული კი სივრცეს ანუ მკვდარ დროს.

შპენგლერი გაერიდებოდა კანტიანულ განსაზღვრებას: დრო ფორმაა ჩქურებისო, — რაკიღა ყოველ ფორმას ექსტენსიურად მიიჩნევდა იმთავითვე.

„დრო“ სიცოცხლე გახლდათ თვითონ, განცდა უშუალობაში: მიმართება, აღძვრა, წადილი, ნაღვლი.

„სივრცე“ კი იძლეოდა მხოლოდ ნაცოცხლებს: ქცეულს, სხეულებრივს, ნა-ყოფს.

ეს ორმაგი სიმბოლური დაყოფა ჰქმნიდა თავისთავად ორ ცნებას: „ბედი“ და „კაუზალობა“.

ყოველი განცდა „ბედითი“ გახლდათ, მხოლოდ „ერთხელ“ ვლინდებოდა და ველარასოდეს მობრუნდებოდა. გაჩენისთანავე კვდებოდა. ყოველ დაბადებაში უკვე სიკვდილი სუფევდა, ყოველ განამდვილებაში — წარმავალობა. როდესაც ქალი ითვისებდა, მასში უკვე რაღაც კვდებოდა. და აქ იმალებოდა მარადი სიძულვილი სქესთა შორის. სიცოცხლე „დროში“ იყო, ცხოვრება — „დროული“, წარმავალობის შეგნება კი — „ბედი“ გახლდათ, „დროს“ თანსდევდა „ბედითობა“.

და მეორე მხრივ „სივრცე“ გამოდიოდა. ყოველი განცდა ბოლოს „ქცეულში“ გადადიოდა. „ქცეულს“ უკვე აღარ ჰქონდა მიმართება: მისი მობრუნება შესაძლო ხდებოდა. აღარც სახე გააჩნდა: მისი „მოგვარებაც“ შესაძლო იყო. აქ „ვრცეული“ — როგორც „ქცეული“ — მიზეზთა ხაზებში იხსნებოდა. ამგვარად „სივრცეს“ თანსდევდა მიზეზურობა, კაუზალობა. ხოლო „სივრცესაც“ ახასიათებდა თავისი საშიშროება: რაკილა იგი, როგორც ზღვარი, უცდიდა ყოველს „დროში“ განვლილს. და ამ შიშში სუფევდა ერთსადაიმავე დროს მოკრძალებაც და მტერობაც.

აქ იშვებოდა დაპირისპირება: ისტორია და ნატურა.

ქვეყანა, როგორც „ქცევა“ — ისტორია გახლდათ.

და ქვეყანა, როგორც „ქცეული“ — ნატურა.

ცოდნის სახეც ორმაგი გახლდათ:

ისტორია შეიმეცნებოდა ინტუიციით.

ნატურა შეიგნებოდა ცნებით.

პირველს ესაჭიროებოდა „ეკსაკტ გზნეული ფანტაზია“, გოეთეს სიტყვებით რომ თქმულიყო, ანუ: სახე, ხატი, სიმბოლო.

ხოლო მეორისათვის აუცილებელი ხდებოდა: კაუზალური გაყვანა — კანონი, რიცხვი, ფორმულა.

პირველნაირ ცოდნას გვთავაზობდნენ პლატონი და გოეთე.

ხოლო მეორენაირს — არისტოტელე და კანტი.

ამდენად: მეცნიერება ისტორიაში შეუძლებელი ჩანდა, რაკიღა მეცნიერება „სისტემატიკაა“, ისტორიას კი სხვა ცოდნა მოეპოვებოდა: „ფიზიონომიკა“. ისტორიის შეცნობა შესაძლო გახლდათ მარტოდენ პორტრეტიზაციის ხაზებში. ისტორიის წერა იგივე იყო, რაც შექსპირული „ქმნა“ ტრაგედიებისა. ისტორი-

კოსი ბიოგრაფი გახლდათ რომელიმე კულტურის, ხოლო ასეთი ბიოგრაფია შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ თვითონ კულტურა პირადად განცდილიყო.

და აქ შპენგლერი იმოწმებდა გოეთეს თვალსაზრისს:

— ისტორიაზე მსჯელობა არავის შეუძლია, გარდა იმისა, ვინც თავის თავზე განიცადა ისტორია.

არ არსებობდა ყოვლადი: არც ჭეშმარიტება, არც მორალი, არც რელიგია. სხვადასხვა კულტურაში თვით მათემატიკაც კი სხვადასხვა შეიძლება ყოფილიყო. არსებობდა მხოლოდ „Urseelentum" პირველსული, მისტიკური, უსახო და ბნელი საშო, საიდანაც გამოდიან კულტურათა სულები და სადაც ბრუნდებიან დამთავრებისთანავე. ამ მისტიკურ საშოში არაფერი იკარგებოდა: აქ იმყოფებოდა თვით დაკარგული ტრაგედიებიც ესქილესი.

დაწერდა ამ სტრიქონს და... სარგის თმოგველის „დილარიანისაკენ" გაექცეოდა გონების თვალი: ისიც უთუოდ იქაა, იმ მისტიკურ საშოშიო... და შოთა რუსთველის სხვა თხზულებანი?.. და... ეჰ, რამდენ რაიმეს მოისაკლისებდა ქართული კულტურის მონაპოვრებიდან, ბუნდოვან ხსოვნად შემორჩენილსა თუ სულაც პირწმინდად გამქრალს. ეს შეხედულება განუგეშებდა ვითომ, პირველსული მათაც საიმედოდ ინახავს და უფრთხილდებაო?!. რას იზამ, როდესაც სხვა ხელმოსაჭიდი არა ჩანდა რა, ისევ ამ ვარაუდს, ამ იმედს უნდა მობღაუჭებოდი, სადღაც მაინც რომ ელაგა ხელუხლებლად ის მონაპოვარნი... საიდანღაც მაინც რომ გამოასხივებდნენ სასიკეთო ენერგიას.

ხოლო ყოველი კულტურა უცხო და უცნაური რომ გახლდათ, დასტურად ოსვალდ შპენგლერი ასახელებდა ელინურ ლირიკას: ვის ესმის ახლა ეს პოეზიაო?.. გავიდოდა დრო და... სხვა კულტურაში ბეთჰოვენის სიმფონია შესაძლოა ღრიალადაც მოსჩვენებოდათ. ვიდრე რემბრანდტისა და ტიციანის ტილოები დალპებოდნენ, უკვე გავიდოდნენ ის სულები, რომელთათვისაც ეს ტილოები უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე უბრალო ჩვრებია.

არ არსებობდა საერთო ვითარება.

არ არსებობდა საერთო ისტორია.

არსებობდა მხოლოდ საერთო კულტურა.

ყოველი კულტურის განსაზღვრისათვის კვლავ გოეთე უნდა მოეშველიებინა: პირველფენომენიაო. ეს ცნება რას ნიშნავდა? რას და: რაშიც ქცევის იდეა თვალწინ ისახვოდა.

გოეთე ხომ მზერდა პირველი მცენარის იდეას ყოველ მცენარეში — არსებულსა თუ შესაძლოში, შემთხვევითსა თუ იდეალურში. და მზერდა ისეთნაირად, თითქოს ხელითაც ეხებოდა. ამ მზერაში მოქცეულიყო მისი სხვადასხვა აღმოჩენა — მისი Osintermaxilare მთელ დარვინს გადაწონიდა.

და სწორედ ამ მზერით უნდა შეჭრილიყავი კულტურის ორგანიზმში — და მხოლოდ მაშინ გაიგებდი მას. აქ იქმოდა პირველად მორფოლოგია ისტორიისა.

კულტურას, როგორც ორგანიზმს, ჰქონდა თავისი ასაკის საფეხურები: სიყმაწვილე, სიმწიფე და სიბერე.

ყმაწვილებად რომლები მოიხსენიებოდნენ?

ეგვიპტის მეოთხე დინასტია, ელინური დორიკა, ძველი ქრისტიანული ანუ არაბული ხელოვნება, დასავლეთის გოთიკა.

როგორც ყოველ სხეულს, ისე ყოველ კულტურას ახასიათებდა ჰომოლოგიური — მორფოლოგიური თანასწორფასეულობა — და ანალოგიური — თანასწორფასეულობა ფუნქციებისა — ორგანოები.

ჰომოლოგიურ პარალელებად მოჩანდა:

ელინური პლასტიკა და დასავლეთის ინსტრუმენტალმუსიკა, ეგვიპტის მეოთხე დინასტიის პირამიდა და გოთიკური დომი, ბუდიზმი და სტოიციზმი, ალექსანდრე დიდი და ნაპოლეონი, პლოტინი და დანტე, დიონისური და რენესანსი, პერგამენის ხელოვნება და ვაგნერი.

და ანალოგიურად:

დიონისური და რეფორმაცია.

ამ შეხვედრათა პრეციზობა იწვევდა იმას, რომ მორფოლოგიურად „თანადროულებად“ გამოდიოდნენ:

პითაგორა და დეკარტე, პლატონი და ლაპლასი, არქიმედე და გაუსი, იონიკი და ბაროკო, პოლიგნოტის ფრესკო და რემბრანდტის სურათი, პილიქტეტე და იოჰან სებასტიან ბახი.

კულტურა სიმწიფის ბოლოს გადადიოდა ცივილიზაციაში. ცივილიზაცია ნიშნავდა კულტურის სიკვდილს. კულტურა რელიგიით ცოცხლობდა. ცივილიზაცია არარელიგიური გახლდათ. კულტურა ქმნა იყო მითოსის: ცოცხლეული ღმერთშეგნება. ცივილიზაცია — კვდომა ქმედითი ენერგიების — ხელოვნების სფეროში მაგალითად: დაშლა მონუმენტური ფორმების, ცვლა უცხო სტილების, ფუფუნება, ჩვევა და სპორტი. მომაკვდავს ვერაფერი შეაჩერებდა.

გეოგრაფიულ ევროპას უნდა განეცადა სამი კულტურა:

ანტიკური ელინურ-რომაული, რომელიც დასრულდებოდა ქრისტეს დაბადებით;

არაბული ანუ „მაგიური", რომელშიაც შედიოდა პირველი სტადია ქრისტიანობისა ჯვაროსნობის ომებამდე;

და დასავლეთის ანუ „ფაუსტური", რომელიც დაიწყებოდა მეათე საუკუნეში და „აღსრულდებოდა" მეოცე საუკუნის მიწურულს.

დასავლეთის კულტურის ფუძედ დადებულიყო ლტოლვა უსაზღვროებისაკენ: ჯვაროსანთა ომები შორითშორად და გოტიკური ტაძრები მაღლითმაღლა. რენესანსი მაინცდამაინც არ ახასიათებდა დასავლეთის კულტურას. ეს გახლდათ ბრძოლის ეპიზოდი გოთიკასთან, რომელიც მიქელანჯელოს სახით უკვე გადადიოდა ბაროკოში, არსებითად „ფაუსტურში".

ან კულტურას თავისი უდიდესი განვითარება უნდა ეპოვნა XVII საუკუნის მხატვრობასა და XVIII საუკუნის მუსიკაში.

მეცნიერების დარგში აღინიშნებოდა: დიფერენციალური რიცხვი, იდეა უწყვეტობისა და უსაზღვროების, მათემატიკური აღმოჩენანი ფერმის, ეილერის, ლაგრანჟის, გაუსის. ბუნებისმეტყველებაში: კოპერნიკის აღმოჩენა. ფიზიკაში: ფუნქციონალობა. სოციალურ ფორმაში: ნაციონალური მონარქია.

1800 წლიდან უნდა დაწყებულიყო ამ კულტურის დეკადანსი. შინაგანი ძლიერება უნდა შენაცვლებულიყო ექსტენსიური გაფართოებით ანუ იმპერიალიზმით. ქალაქებს ჩაენთქათ სოფლები, სამეფოებს — პროვინციები. სიცოცხლის ორგანულობა დაეკავებინა მექანიზაციას. ხელოვნება დაბერებულიყო. ფილოსოფიას დაეკარგა პირველყოფილი სინოყივრე. ფაუსტურ ნებას

უკანასკნელად ეცნო თავი შოპენჰაუერში. ეს ნება გადასულიყო დარვინიზმში. შემდეგ სოციალიზმი, ინტერნაციონალიზმი. ბოლოს: ნიცშეს უკანასკნელად ემხილებინა ფაუსტური სული („ნება ძალისადმი“) და ვაგნერს უკანასკნელად მიენიჭებინა მისთვის მუსიკალური გამოთქმა.

ხოლო თუ რას წარმოადგენდა თავისთავად დასავლური კულტურა, ეს უნდა გაეთვალსაჩინოებინა პარალელს: აპოლონური და ფაუსტური.

ანტიკურ ეპოქაზე მზერის მიმოტარებისას ისე აღიქმებოდა, რომ: ელინური ღმერთები უბრალო სხეულები იყვნენ ადამიანებისა და სხვა არაფერი. ზევსი კაცისაგან არც განირჩეოდა. კიდევ მეტი: სხეული გახლდათ. ღმერთების ადგილსამყოფელი გეოგრაფიულ ოლიმპში მოქცეულიყო. ცის ღმერთები არა ჰყოლოდათ: ჰელიოსი მეტაფორას ვერ სცილდებოდა, რაკიღა არ გააჩნდა არც თავისი ტაძარი, არც თავისი კულტი და არც თავისი ქანდაკება. კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება მიგვეჩნია სელენა მთვარის ღმერთად.

ანტიკური დრამა კი ნატეხი იყო პლასტიკის: ჯგუფები პათეტიკური სცენებისა რელიეფური ხასიათებით. კათარზისი ანტიკური დრამისა გახლდათ ატარაქსია. ქორო უარყოფდა მონოლოგს ანუ შინაგან ადამიანს. გმირს ეშინოდა მარტოობის, რადგანაც ეშინოდა სიცარიელისა და ბოლოსდაბოლოს სივრცის. ბედი აქ უცაბედი შემოჭრა უნდა ყოფილიყო შემთხვევის და არა შინაგანი ქცევა სულისა სიცოცხლესთან ომში. ანტიკური დრამა ცხადყოფდა აპოლონურ სულს.

აქ იყო მარტო დღე და სინათლე. ღამე საგანს სპობდა, დღე — სულს. აპოლონს სული არ გააჩნდა. არც ათენას. აქ იყო მარტო შუადღე. ჰომეროსი წარმოდგებოდა რიტმად მატერიის: რხევა ფოთლისა შუადღის მზეში. და საკვირველი აღარ იყო, თუ აქ არც დრო მოიპოვებოდა, არც საათი და განდევნილიყო ყოველგვარი ასტრონომიული. აქედან მომდინარეობდა ცხედრის დაწვა და არა მუმიად ქცევა: უარყოფა წარსულისა და მომავლის. ასეთი გახლდათ სული ანტიკური: სტატუალური, წამიური. მან იცოდა მხოლოდ სტატიკა საგნებისა.

სულ სხვაგვარი მოჩანდა სული დასავლეთის: ფაუსტური. ის დაიბადებოდა მეათე საუკუნეში რომანულ სტილთან ერთად. აქ წარმოიშობოდა უსაზღვრო სივრცე. ირაციონალი რიცხვი. დაშლა კავშირისა სხეულსა და რიცხვს შორის და გადაბმა რიცხვისა უსაზღვროებასთან. პოლითეიზმის მაგიერ მონოთეიზმი: ერთეული უსაზღვრო. სულში ხდებოდა არა დაყოფა ღვთაებისა ღმერთებად, არამედ მისი შეკრება ერთ ღმერთში. ფაუსტური სული ცხადდებოდა გოთიკაში. გოთიკური ტაძარი მუსიკალურ ავარდნად წარმოდგებოდა უსაზღვროებაში. სივრცე, გოთიკურ ტაძარში მოქცეული, ისწრაფოდა გაერღვია თაღები და შერთვოდა უსაზღვროებას. მისი ორნამენტი, რომელიც აქცევდა მცენარეებს ცხოველებად და ადამიანებად, აქეთკენ იმართვოდა: ხაზები გადადიოდნენ მელოდიებში, ფასადები — ფუგებში, სტატუების სხეულები მუსიკის ხვეულებში. ხატულობა ფერადი ფანჯრებისა მატერიას ართმევდა კედლების ქვიან მასივებს: მისი ხატები თითქოს კამარას ჰკრავდნენ ვრცეულობაში.

ეს ხაზი ხატვაში კიდევ უფრო მახვილდებოდა. მოფარგვლას მოჰყვებოდა ერთიმეორეში გადასვლა სინათლისა და სიბნელისა, ჩნდებოდა ლაქები ნათელისა და ნაჩრდილის, მერე ფონი უნდა გამხდარიყო ყველაფერი და სრულიად გამქრალიყო წინა პლანი. ანტიკურ ეპოქაში ღრუბელს არ ხატავდნენ. კლასიკური რენესანსი მას მიიღებდა ზერელედ — დეკორატიულად. იყო მხოლოდ ცდა ღრუბელთა სიმბოლური ათვისებისა, მაგრამ მხოლოდ ნიდერლანდებს უნდა მოეცათ ისინი უკანასკნელად. გრეკოს ღრუბლის სიმბოლიკა ესპანეთში გადაეტანა. წალკოტებში ბაროსა და როკოკოსი უნდა გათვალსაჩინოებულიყო სევდა ნიდერლანდთა ხატულის. თვალუწვდენელ ხეივნებში უნდა ეჩინა თავი ხელოვნებას ლენოტრის.

შემდგომ ამ პერსპექტივებს აამღერებდნენ: ბოდლერი, ვერლენი, დროემი: ნაღვლი ვრცეულობაში და სევდა დასავალის.

იგივე ხაზი გადიოდა პოეზიაში: ვოლფრამ ფონ ეშენბახის, მიგელ დე სერვანტესის, უილიამ შექსპირისა და იოჰან ვოლფგანგ გოეთესი.

პერსივალიდან მოდიოდა ფაუსტი.

პერსივალი, დონ კიხოტი, ჰამლეტი, ფაუსტი — ესეც პორტრეტები მთელი კულტურისა, ისტორიის ეპოქისა და არა ეპიზოდის.

დიფერენციალის გამოგონების შემდგომ — ნიუტონისა და ლაიბნიცის მიერ — აღესრულებოდნენ დიდი მხატვრები: ველასკესი (1660), პუსენი (1665), ჰალი (1666), რემბრანდტი (1669), ვერმეერი (1675), რიუსდალი და ლორენი (1682). ამავე დროს დაიბადებოდნენ უდიდესი მუსიკოსები: იოჰან სებასტიან ბახი და ჰენდელი (1685). მათთან უნდა გაზრდილიყვნენ: შტამიცი, კუჰნაუ, კორელი, ტარტინი, სკარლატი (ორივე).

ფაუსტის სული განხორციელდებოდა კონტრაპუნქტულ მუსიკაში და ბახი იქნებოდა ფაუსტის უძლეველი გამარჯვება. ფაუსტის სული იჩენდა თავს ბეთჰოვენში, თუმც მასში ჩანდა დეკადანსი. უკანასკნელად ფაუსტის სული ვაგნერში იმღერებდა: ტრისტანში მოკვდებოდა უკანასკნელად ფაუსტური ხელოვნება — მუსიკა.

ასეთი გახლდათ ფაუსტის სული: დინამიკური.

მასში არსებობდა დინამიკა სივრცის.

ეს სქემატური მონახაზი იმთავითვე ერთ მონაკვეთად რომ ივარაუდებოდა, მას მალევე მოჰყვებოდა მეორე მონაკვეთიც, უფრო ჩაღრმავებული ანალიზი, დამტკიცება და დადასტურება იმისა, ოსვალდ შპენგლერი მაგარი მოაზრე რომ გახლდათ, თავისებური სინოყივრით აღვსილი: გაფიქრებდა და აღგიძრავდა სხვა აზრს. მისი კონცეფცია ისტორიისა არ გახლდათ სისტემა: უფრო გზნება იყო არტისტული ტემპერამენტისა, სამ თემაში მოქცეული:

მსოფლიო ისტორია დენაა პრინციპულად განსხვავებულ კულტურათა;

ევროპული კულტურა მოპირისპირეა ელინური კულტურისა და

ევროპულ კულტურას დაესრულებინა რკალი თავისი ვითარების.

სამივე თემაც ახალი გახლდათ და მათი განათებაც, შპენგლერის კვლევას სიტყვიერ კონტრაპუნქტს რომ გაუიგივებდა

გრიგოლი: ყოველ ნაწილში ეხება ყველაფერს, რასაც სხვა მონაკვეთებში ეხებოდა, მაგრამ სხვა მხრივ და სხვა მობრუნებითო. და აქ იკვეთებოდა მისი დიდი ლიტერატურული ტალანტი.

მაგრამ ისიც როგორ არ ეთქვა, რომ: თემატურად ორიგინალური შპენგლერი ნაკლებ ორიგინალურობას იჩენდა მოსაზრებათა გამოთქმისას. მრავალი სახელი იელვებდა მის მსჯელობებში, პირველ ყოვლისა — გოეთე.

და მიეცემოდა საშუალება გრიგოლ რობაქიძეს, დითირამბული სტრიქონები ეძღვნა იმ მონუმენტური ფიგურისათვის, რომელიც ბედისწერად გადაქცეოდა გერმანულ კულტურას.

ბედისწერად მაინც როგორ?

საუკუნენახევარია აწვა თავის ქვეყანას გიგანტური სიმძიმით და არ აძლევდა გასაქანს: თითქოს გერმანულ კულტურას თავი მასში ამოეწურა საბოლოოდ და უიმისოდ აღარც ჩანდა გერმანიისათვის გადახვევა და სხვა შესაძლებლობა.

აქ ზედმეტად მიიჩნევდა პარალელის გავლებას, თორემ თავისთვის კი გაიფიქრებდა: როგორც რუსთველი აწვა საქართველოს გიგანტური სიმძიმით სულაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და არ აძლევდა გასაქანს: თითქოს ქართულ კულტურას თავი მასში ამოეწურა საბოლოოდ და უიმისოდ აღარც ჩანდა ჩვენთვის გადახვევა და სხვა შესაძლებლობაო.

მაგრამ გადაილახებოდა რუსთველის მომნუსხველი ზეგავლენის მოჯადოებული წრე და ქართული მხატვრული აზროვნება გასცდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვა-გაგრძელებებით შემოფარგლულ სივრცეს.

ეს დრო უნდა დადგომოდა ადრე თუ გვიან გოეთესაც, მისი მომნუსხველი ზეგავლენის მოჯადოებული წრეც რომ გაირღვეოდა, მაგრამ ჯერჯერობით: თვით ფრიდრიხ ნიცშესაც ვერ აეარა გვერდი „ფაუსტის“ შემოქმედისათვის.

იგი არ მიიღებდა „გერმანელობას“, მაგრამ ვერ ეტყოდა „უარს“ გოეთეს. ვერ შეუთავსებდა გერმანიას გოეთეს და მის გარეშე დააყენებდა, როგორც ყოვლად-ევროპულ მოვლენას.

მხოლოდ ერთი გაბედავდა — ისიც გაკვრით — გოეთეს „შემცირებას“. ეს აღმოჩნდებოდა გიჟი გენიოსი ოტო ვაინინგერი,

ხოლო ეს „შემცირება“ მარტოდენ იმით გამოისახებოდა, რომ გოეთეზე მაღლა დააყენებდა რიჰარდ ვაგნერს.

ექსპრესიონისტები განზე დატოვებდნენ გოეთეს, მაგრამ... თან შიშითაც უკან იხედებოდნენ.

არსებობდა მთელი გოეთოლოგია. საერთოდ კი: ასეთი ნაყოფიერი ფენომენი პოეზიასა და ფილოსოფიაში — აქ: არასკოლური გაგებით — ევროპამ თითქმის არ უწყოდა.

შპენგლერიც ვერ ასცდენოდა გოეთეს გავლენას და... თითქმის ყველა გვერდზეც ამიტომ ამოჩნდებოდა გოეთეს სახელი. მისი ლექსი წარმართავდა ამ კვლევას. და ისეთ პასაჟსაც დაიმოწმებდა გრიგოლი გოეთედან, ზედმიწევნით რომ გამოთქვამდა შპენგლერის მსოფლიოგზნებას:

— ყოველი, რაც არის სუბიექტში, არის ობიექტშიც და კიდევ რაღაც მეტი. ყოველი, რაც არის ობიექტში, არის სუბიექტშიც და კიდევ რაღაც მეტი.

გოეთურ წარმოსახვაში სუბიექტი და ობიექტი ისეთი სწორი შეჭრით შედიოდნენ ერთიმეორეში, რომ „რაღაც მეტი“ პირველისა და „რაღაც მეტი“ მეორესი თავის ზომაში რჩებოდნენ და ერთიმეორის ხარჯზე აღარ „მეტდებოდნენ“. და გრიგოლ რობაქიძე დასძენდა:

ასეთი სწორი და თან ასეთი მჭრელი აპერცეფცია ისტორიამ არც იცის. აქ იმალება გოეთეს ფენომენური ინტუიცია: მისი მრავალკიდურობაც და მისი მოქცევაც ყოველ ფორმულაშიო.

იდეა „პირველფენომენისა“ ამ თვისების ნაყოფი გახლდათ.

და შპენგლერის შთაგონებას ეს იდეა ასაზრდოებდა, თავის ისტორიასოფიაში რომ გადაიტანდა: „პირველფენომენი“ რაც გოეთესათვის გახლდათ ბუნებაში, ის იყო შპენგლერისათვის კულტურაში. ბოლოსდაბოლოს შპენგლერის „ფიზიონომიკა“ იმავეს გულისხმობდა, რასაც გოეთეს მზერა, რომელსაც ეწოდებოდა „ეკსაკტ გზნებითი ფანტაზია“. და შპენგლერს ეს მზერა არტისტულად ამახვილებოდა.

შემდეგ მოდიოდნენ ვინდელბანდი და რიკარტი — „ისტორიასა“ და „ნატურას“ უთუოდ მათი მეთოდოლოგიის გავლენით — თუმც არც ისე ძლიერით — აპირისპირებდა, ოღონდ მათ ისევე

არ ახსენებდა „ევროპის დაღუპვის“ შემოქმედი, როგორც გეორგ ზიმელს.

მაგრამ უფრო საკვირველი ის ეჩვენებოდა გრიგოლს, რომ: როდესაც „ისტორიისა“ და „ნატურის“ დაპირისპირებას შპენგლერი ხსნიდა „დროისა“ და „სივრცის“ დაპირისპირებით, მთელ შეხედულებას ამ საგანზე — განსაკუთრებით „დროზე“ — თავით ბოლომდე წამოიღებდა ანრი ბერგსონიდან, ოღონდ აღნიშვნით არ აღნიშნავდა. კიდევ უარესი: ბერგსონს სულაც „შუათანა ჟურნალისტის“ სახელით მონათლავდა.

ბარემ აქვე დაურთავდა, რომ: „დროის“ იდუმალება და საშიშროება ბასრად ეგზნო ოტო ვაინინგერს, რასაც მოწმობდა მისი „უკანასკნელი საგნები“. მართალია აქ იგი გაურკვეველ ბნელში იმყოფებოდა, მაგრამ დროგამოშვებით ისვროდა ხოლმე წამახულ ცნაურს. შეიძლება თქმულიყო, რომ „დრო“, როგორც ეთიკური პრობლემა, ვაინინგერს უფრო მძაფრად განეცადა, შპენგლერი კი იცნობდა ვაინინგერს.

გრიგოლი მოელოდა, ისტორიკოსები იმასაც რომ აღნიშნავდნენ: არც ეს მთავარი იდეაა ახალი, ყოველი კულტურა რომ თითქოს სრულიად ცალკეული რკალია — ეს შეხედულება ჯერ კიდევ ვიკომ გამოთქვაო. ამავე აზრს ავითარებდა გერმანელი ისტორიკოსი რიუკერტი. დანილევსკის „კულტურული ტიპებიც“ ამავე წარმოშობისა გახლდათ. ნუ დაგვავიწყდებოდა ჰეგელის სწავლებაც შესახებ მსოფლიო სულის ვითარებისა: ეს სული სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა ფორმაში ცნაურდებოდა.

აქ „ერთი“ სული რომ იყო მაინც?

მაგრამ — გრიგოლის დაკვირვებით — სხვადასხვა საფეხურზე ეს „ერთი“ სული ისეთ თავისებურებას იჩენდა, რომ შემყურესათვის საცთური რამ იხსნებოდა: ერთი ნახტომი და... მივიღებდით შპენგლერისდაგვარს.

არც ის გამორჩებოდა, რომ:

„კულტურისა“ და „ცივილიზაციის“ დაპირისპირება უკვე მოცემულიყო რუსეთის სლავოფილებში, შესაძლოა სხვა ტერმინებით, მაგრამ არსებითი იგივეობით: რომ ევროპულ კულტურაში აღარ არსებობდა ცოცხლეული ღმერთშეგზნება, რომ მასში

გამქრალიყო ორგანული სიმრთელე სიცოცხლისა, რომ იქ ზეციური მადლი შენაცვლებულიყო მატერიული წყევლით, და რომ მას უკვე ამოეწურა თავისი ყოველი შესაძლებლობა...

და ბოლოს აღუნიშნავი არ უნდა დარჩენილიყო „დეკადანსის იდეა" ნიცშესი.

ესეც ის მიმალული წყაროები შპენგლერის ასერიგად გახმაურებული თხზულებისა, რაც გრიგოლ რობაქიძის ერუდიციის მქონე პიროვნებისათვის ხელმისაწვდომი გახლდათ და არც არაფერი დაემალებოდა.

და მაშ... რატომღა იზიარებდა საყოველთაო აღტაცებას „ევროპის დაისით"?

იმიტომ, რომ:

როგორ არ დაეფასებინა ის ტონუსი, შპენგლერის ორიგინალურობას რომ განსაზღვრავდა, და რომ თემა კულტურათა სხვაობისა პირველად იყო ასეთი სიღრმით ნაგრძნობი და ასეთი გაბედულებით გაყვანილი გონებაში. ოსვალდ შპენგლერი აქ მართლაც პირველი გახლდათ.

სადავო კი როგორ არ გასჩენოდა რა გრიგოლს და არაერთიც, სხვა თუ არაფერი, შპენგლერის კონცეფცია უკიდურეს რელატივიზმსა და ფენომენალიზმზე რომ ამოზრდილიყო, ეს ფილოსოფიური მიმდინარეობანი ხომ უკვე მოძველებულიყო. და დაე ისიც გაეთვალისწინებინა ყველას, აინშტაინის რელატივისტური მსოფლმხერა „ფიზიკა" რომ იყო და არა მეტა-ფიზიკა.

ანკი ისტორიასოფიას როგორ უნდა მორგებოდა რელატივისტურ-ფენომენოლოგიური თაური ისე, რომ აშკარა წინააღმდეგობას არ ეჩინა თავი?

შპენგლერი რომ ამტკიცებდა: არსებობს ესა თუ ის კულტურა და არა კულტურა საერთოდ, თვითეული ჩაკეტილი სისტემაა, რომელსაც არ გააჩნია არც კარი და არც სარკმელიო, — მაშინ ერთი კულტურა მზერით როგორღა შეიჭრებოდა მეორეში? არადა ამასაც ხომ თვითონვე ირწმუნებოდა თავისი კვლევით: ინტუიციური მზერით რომ იჭრებოდა თუმც პირამიდებისა და მუმიების კულტურაში და დიდი არტისტული ტალანტით გამოჰკვეთდა მის პროფილებს.

ანდა:

თუკი არსებობდა „პირველსული", როგორც კულტურათა საშო, მაშ ის უნდა ყოფილიყო „საერთო-სულიც" იმავე კულტურებისა.

ან ის რაღას ეთქმევინებინა, თავისივე დებულების დამრღვევი: ბაროკოს დროს რომ შესაფერისად ვერ განვითარდა ფაუსტური დრამა, ამის მიზეზი იყო რწმენა არისტოტელეს „პოეტიკისაო"?

ძალაუნებურად იბადებოდა შეკითხვა:

განა რა გზით შეეძლო სხვა კულტურის — ელინურის — ერთ თხზულებას, თუგინდ გენიალურს, მეორე კულტურის — ანუ ფაუსტურის — მიმდინარეობა მოეღუნა და დაეგრიხა, თუკი ამ კულტურათა შორის არ მოიძებნებოდა საერთო?

ან კიდევ — შპენგლერი რომ ირწმუნებოდა: ისტორიაში არ არის ლოგოსი. ვლენაა მოვლენის და მეტი არაფერიო, — და სხვა წიგნში, „პრუსია და სოციალიზმი", პირდაპირ აცხადებდა: მსოფლიოში მიზანთანაბარობა თამაშია მხოლოდ ბუნებისაო, — როგორ არ წასდავებოდა გრიგოლი: თუ ლოგოსი არ არის, მაშინ არ ყოფილა თვითონ ისტორიაც. ისტორია არ არის უბრალო ცვლა. ის ვითარებაა. ვითარებაში კი აუცილებელია საზრისიო.

თანაც ამ დებულებით შპენგლერი უნებლიეთ არღვევდა გოეთეს სწორედ იმ ლექსის აზრს, გზისგამკვლავად რომ მიიჩნევდა „ევროპის დაისის" შეთხზვისას:

— ყოველი წადილი და ყოველი ლტოლვა მარადი მყუდროებაა ღმერთში, უფალში.

თუ ყოველი ცვლა ბოლოსდაბოლოს უცვლელ ღვთაებაში უნდა მოქცეულიყო, ყოველ ცვლას საზრისი ჰქონია და ეგაა.

ან ხშირად რომ იმოწმებდა გოეთეს სიტყვებს:

— ყოველი წარმავალი არის მხოლოდ მსგავსება.

ნუთუ არ უკვირდებოდა, რომ აქ „წარსული" იგულისხმებოდა?

და თუ ასე იყო, მაშ შპენგლერს კიდეც ძირეულად უნდა შეერყია თავისი დებულება, თითქოს გარდა ვლენილისა და წარმავალისა არა იყო რა ისტორიაში.

ან კიდევ ის დაპირისპირება აპოლონურისა და ფაუსტურის, როგორც საგანთა სტატიკისა სივრცის დინამიკასთან: არც ის გახლდათ ახალი. ალოიზ რიგლი წინ რომ აღუდგებოდა გვიანრომაული ხელოვნების გამოცხადებას „დაცემად“ და „ბარბაროსობად“, „ულამაზობად“ და „უსიცოცხლობად“ და მასში დაინახავდა გამოთქმას დიდი აუცილებელი ბედისწერისა, ეს იმიტომაც, რომ: ამ ხელოვნებით დაირღვეოდა ზღუდე სივრცის უარყოფისა და გაიხსნებოდა გზა ახალი საქმის გადაწყვეტისათვის; ცალკეული ფორმის გაშლისათვის უსაზღვრო სივრცეში.

ამ ფორმულაში უკვე აშკარა იყო — და თითქმის იმავე ტერმინებით — შპენგლერისეული დაპირისპირება. ბარემ აქვე გაიხსენებდა გრიგოლი ვილჰელმ ვორინგერის კვლევებსაც: „შთაგზნება და აბსტრაქცია“ და „ფორმის პრობლემები გოთიკის“.

მაგრამ სწორი გახლდათ თუ არა თვითონ ეს დაპირისპირება?

გრიგოლ რობაქიძის დაბეჯითებით:

მთელი ტალანტი შპენგლერისა ამ დაპირისპირებაში ვლინდებოდა.

ისე ამ დაპირისპირებაში მრავალგან პირდაპირ ჩანდა შექსპირული ხაზი.

ძველ ელადაში აპოლონი რომ იყო უმთავრესად კულტურის პრინციპი — საგნური ყოფითა და სტატუალური სიცოცხლით, ეს თავისთავად, მაგრამ... დიონისე?

ეს ხომ პირდაპირ უარყოფდა ცალკეულ საგანსა და მოვლენას? ეს ხომ პერმანენტულ ცვლას გულისხმობდა, მეტამორფოზასა და პოლიგენესიას? ეს ხომ ცხადება იყო შორეულისა და გაქრობა ქცეულის? „ქცევა“ და დაშლა „ქცეულის“? ეს ხომ „ქცევარი“ გახლდათ თვითონ? შპენგლერი ამ ყოველივეს როგორ ვერა ხედავდა, მაგრამ... გვერდს უვლიდა და ფიქრობდა: დიონისური ჰომოლოგიურად უდრის რენესანსსო.

რენესანსი იყო ანტიგოთიკური და მტერი ინსტრუმენტალმუსიკის.

დიონისურიც იყო ანტიდორიული და მტერი აპოლონის პლასტიკურობის.

რენესანსი იყო ეპიზოდი — ბაროკო სძლევდა მას: ამას ამტკიცებდა შპენგლერი.

მაგრამ... რენესანსი მართლაც ეპიზოდად რომ გვეღიარებინა, განა შეგვეძლო ანალოგიურად დიონისეც ეპიზოდად გამოგვეცხადებინა?!.

შეუძლებლად მიიჩნევდა ამას გრიგოლ რობაქიძე იმ მოტივით:

ელადა თუ ცოცხლობდა აპოლონით, არანაკლებ ცოცხლობდა დიონისეთიცო.

ელევსინის მისტერიები განა დიონისეს მისტერიები არ იყო? და ამ მისტერიებში იშვებოდა სწორედ სული ელადისა.

და კიდევ:

ბაროკოს თუ დაეძლია რენესანსი, რას დაეძლია დიონისე?

შპენგლერი რომ გრძნობდა ამას — ოდნავ მაინც — და ცდილობდა გამოსავალი მოენახა: ეს არის შეტევა სულისა საკუთარი ბედისწერის წინააღმდეგო.

მაგრამ ვერ გაიზიარებდა ამ მოსაზრებას გრიგოლი:

რად სჭირდება სულს ბედისწერის წინააღმდეგ შემართვა, თუკი ბედისწერა მისი შინაგანი იმანენტური გზააო?!.

ან ის როგორ დაეჯერებინა: ეს არის მეორე სული ფაუსტისაო.

მაშინ გასარჩევი ხდებოდა: თუ ორმაგი იყო გზა სულის, რად ენიჭებოდა უპირატესობა ერთ მათგანს, ამ შემთხვევაში აპოლონს?!.

და მწარე სინანულით დასძენდა:

დიონისეს ფენომენზე მარცხდება სასტიკად შპენგლერის კონცეფციაო.

სწორედ აქ უნდა ეჩინა თავი ნიცშეს, ვისაც აღმოეჩინა ელადაში დიონისე. და მის შემდგომ ახსნა ელადის კულტურისა დიონისეს გარეშე ყოვლად შეუძლებელი გამხდარიყო. სახელდობრ იმ მონოგრაფიისა: „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან".

შპენგლერი ამას არ იგებდა თუ ვერ იგებდა, აშკარა იყო გრიგოლისათვის: ნიცშე ცუდად აქვს გაგებულიო.

მიზეზს იმითაც ხსნიდა, რომ:

შპენგლერს ეგონა ბერნარდ შოუს კარიკატურა — ადამიანთა რასის გაუმჯობესება სწორედ ისე, როგორც ცხოველთა ჯიშისა — ნიცშეს იდეოლოგიის განვითარებაო.

მაგრამ უკეთ მოეხსენებოდა გრიგოლს, რომ:

ნიცშეს ზეკაცი სულ სხვას გულისხმობდა — კაცში შვებულ დიონისეს:

— რამდენათ ზეკაცი ხსნის თავის თავს დიონისურად, იმდენად იგი რეალობაა; რამდენათ ზეკაცი ილტვის განსხეულდეს უკანასკნელად დიონისოში, იმდენათ იგი სიმბოლოა.

დაე ისიც სცოდნოდა და გაეთვალისწინებინა ყველას, რომ: დარვინულ ბიოლოგიას არაფერი აკავშირებდა ზარატუსტრასთან.

ასეა თუ ისე: ამგვარი გზით დაძლევა ნიცშესი თავის მოტყუება იყო და სხვა არაფერი. შპენგლერს კი ძალით სურდა დაეძლია ნიცშე. და გრიგოლი ივარაუდებდა: შესაძლოა ამით აიხსნებოდეს მისი პირდაპირ მტრული გრძნობა ელადისადმიო — იმისადმი, რაც ნიცშეს პრინციპი გახლდათ: ამიტომაც არ კმაყოფილებოდა „ევროპის დაისის“ შემოქმედი მისი დახასიათებით, სინამდვილეში ამ დახასიათებისას, არც მეტი და არც ნაკლები, ეომებოდა მას.

ცალმხრივი ეჩვენებოდა ქართველ მწერალს გერმანელი მოაზროვნის გაგება ანტიკური დრამისაც, როდესაც ასეთ ფორმულებს გვთავაზობდა: რაც უნდა მოხდეს, ის უკვე მომხდარია, ბედისწერა შემთხვევითი შემოჭრაა სტატუეტურ ყოფაში, დრამა სიტუაციისა და არა ხასიათის...

ამ ფორმულებში მრავალი ხაზი იყო სწორი, თუმც არ გახლდათ მართებული ანტიკური დრამის „დამცირება“. საამისოდ გრიგოლი ერთი ფორმულის გახსნას იკმარებდა.

ანტიკურ დრამაში რაც უნდა მოხდეს, უკვე მომხდარიაო, — ეს თქმა თითქმის მართალი იყო, მაგრამ ესაჭიროებოდა განმარტება:

ელადაში სიცოცხლე და შემოქმედება ლამის ერთიდაიმავეს ნიშნავდა. იქ მისტერია და ტრაგედია ერთიმეორეს აგრძელებდნენ. მთელი სიცოცხლე აგზნებულიყო ღმერთშემმოსველი მითოსით. და საკვირველი აღარ უნდა გვჩვენებოდა, თუ ბევრი რამ ანტიკურ დრამაში „მომხდარად“ იგულისხმებოდა: დრამის უკან

ვრცელდებოდა მზერალთა ცოცხალ ხსოვნაში ხორცშესხმული მითოლოგია.

და საცნაურიც ეს იყო.

ვერ გაიზიარებდა გრიგოლი, ვითომდა „შუადღე" ელინთა ყოფილიყოს ნიშანი საგნური ყოფისა, სწორედაც პირიქით: „შუადღეში" იგრძნობოდა ავხორცობა მზისა და გაორება „მესი" და დაშლა საგნისა. აქ იქმოდა პირველად მირაჟი, ჩვენება, ზმანება... აქ იბადებოდა თხაფეხა ღმერთი პანი. აქ ჩნდებოდა ორეული და სარკე. და აქედანვე მომდინარეობდა პანიკური შიშიც: ელინთა „შუადღე" ბევრად უფრო მისტიკურიც გახლდათ და საშიშიც, ვიდრე დასავლელთა ვალლალა და ღამე. აქ არათუ დგინდებოდა საგნური ყოფა, პირდაპირ გალხობა ხდებოდა ყოველგვარი ყოფის.

და საკვირველად ეჩვენებოდა გრიგოლ რობაქიძეს, რომ ოსვალდ შპენგლერის მზერას ვერ დაენახა ეს ფენომენი.

...რომანი რომ არის „დასავლეთის დაღუპვა", ამით უფრო გამოიწვია დიდი შთაბეჭდილება ევროპაში, კონტრაპუნქტულ ხაზებში გაშლილიო, — ეჭვიც არ ეპარებოდა გრიგოლს, თვითონაც ამ ღირსების გამოისობით რომ აღიარებდა თანადროულობის მნიშვნელოვან მოვლენადაც და აუცილებლად შემოსატანადაც თვისტომთა თვალსაწიერში.

უნდა გვცოდნოდა ოსვალდ შპენგლერის ეს თხზულება, მაგრამ გრიგოლ რობაქიძის შენიშვნების გაუთვალისწინებლად კი არა, დასავლელ მოაზროვნეთაც რომ წაადგებოდათ „ევროპის დაისის" შეფასებისას, თუკი ხელი მიუწვდებოდათ.

არადა სულიერად ევროპის შუაგულში იდგა გრიგოლი, მის დაისსაც რომ თვალდათვალ შეჰყურებდა და ახალი განთიადის მოახლოებასაც, სულაც თავისი წილის დადებასაც რომ ესწრაფოდა ამ გაცისკროვნებაში.

თვითონ ხომ სწამდა და სწამდა თავისი განსაკუთრებულობისა, მაგრამ მასზე არანაკლებ სწამდა შტეფან ცვაიგსაც: რაბინდრანათ თაგორში ხომ განგვაცვიფრა და მოგვნუსხა და ასეთივე განცვიფრებასა და მონუსხვას ახლა გრიგოლ რობაქიძისაგან ელოდეთო!..

* * *

სახელმწიფო ბიბლიოთეკაში შესულს კათოლიკური ტაძრის სიჩუმე დახვდებოდა. ფიქრები თითქოს განივთდებოდნენ და მატერიალურ სხეულებად დალაგდებოდნენ. ასწლეულთა და ათასწლეულთა სუნს იგრძნობდა მთელი სიმძაფრით. და... რომ გაღვიძებოდათ მათ, ამ მთვლემარე სხეულებს?! მაშინ... მაშინ კათოლიკური ტაძრის სიჩუმე დაირღვეოდა და მთელი ეს უზარმაზარი შენობა შფოთიან სიგიჟედ გადაიქცეოდა.

მაგრამ ახლა შემაძრწუნებლად მკვდარი მყუდროება უნდა დასადგურებულიყო.

მხოლოდ იშვიათად თუ უნდა მოეღწია თხელი ქაღალდის შრიალს. ეს — მკითხველები სამკითხველო დარბაზში თავიანთ „ბოტხენებს" იღებდნენ. და ირონიით უნდა გაეფიქრებინა: ოჰ ეს „ბუტერბროდები". უამისოდ გერმანელი ალბათ სამოთხესაც კი არ მოიწყობსო!..

მიაკითხავდა შეკვეთილ წიგნებს და... არცერთი არ დახვდებოდა — ყველა გატანილი აღმოჩნდებოდა და ეს — მეხუთედ. ყოველ ჯერზე ასე უწევდა — 15 წიგნზე ნაკლებს არასოდეს უკვეთდა და... ერთსაც არ დაახვედრებდნენ ხოლმე. დახედავდა თავისი ბილეთის ნომერს: 21 085 — და უკვე აღარ უკვირდა: მკითხველთა ასეთი უზარმაზარი რაოდენობისას ანკი როგორ გინდოდა წიგნი მიგეღო?!.

აღმოსავლეთ განყოფილებაში შესულს თან გაჰყვებოდა პროფესორი რიჰარდ მაკელაინიც. „აღმოსავლურ სემინარზე" ენებს რომ ასწავლიდა, აუცილებელ საგანთა რიცხვში ქართულ ენასაც ჩართავდა. ამჟამად აკადემიურ ქართულ-გერმანულ ლექსიკონს ამზადებდა, და სემინარი მის გამოსაცემად 30 000 მარკას გადარიცხავდა. პროფესორი გრიგოლ რობაქიძის ყურადღებას მიაპყრობდა წარწერას: უფრთხილდით ქურდებსო, — და შენიშნავდა:

— ომამდე ამგვარ წარწერას განა აზრი ექნებოდა?!

და კვლავ უნდა ეელვა ფიქრს: სხვა დროა, სხვა დროო...

საერთო განწყობილებას ისე შეიგრძნობდა, რომ:

ბერლინელები „დიდი ქალაქის" იდეაზე გიჟდებოდნენ; სურდათ, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ბერლინიც ისეთივე ცენტრად

ექციათ, როგორებიც იყო: პარიზი, ლონდონი, ნიუ იორკი. მოძრაობა — ჭიანჭველისებური. თითქმის შეუძლებელი გახლდათ ბუდაპეშტის ქუჩაზე ერთი მხრიდან მეორეზე გადასულიყავი, თუმც ეს ქუჩა პლეხანოვის პროსპექტზე ფართო არ მოეჩვენებოდა.

ამ ნაკადში თვითჩაძირვის ორი სახე რომ არსებობდა: როდესაც „საქმეზე" მიდიოდი და როდესაც „უსაქმოდ" დახეტიალობდა, მიადევნებდა: ეს მეორე შემთხვევა განსაკუთრებით საგულისხმოა აღმოსავლელთათვისო.

და ძალდაუტანებლად რომ წამოაგონდებოდა ოსკარ უაილდის სიტყვები:

— უსაქმოდ ჭვრეტა ყველაფერია.

სიამაყით გაიფიქრებდა, რომ:

ჩვენ რამდენიმე ათასწლეულითაც გაგვესწრო „დორიან გრეის" შემოქმედისათვის.

როდესაც საქმეზე მიდიოდი, ნაკადს შეიგრძნობდი როგორც რკინას და... შენც ამ რკინის ნაწილი ხდებოდი.

ხოლო როდესაც უსაქმოდ დახეტიალობდი, სრულად მხოლოდ გარეგანი ორგანოებით მიენდობოდი, შინაგანად საკუთარ თავში იძირებოდი, და რაც მეტი იქნებოდა მასობრივი ტალღისადმი ეს მინდობა, მით მეტი აღმოჩნდებოდა თვითჩაძირვა შიგნით.

ვის-ვის და გრიგოლ რობაქიძეს კი სრულყოფილად მოეხსენებოდა თვითჩაძირვის მექანიკა მთელი თავისი ნიუანსობრიობით.

ჰერმან კაიზერლინგის წიგნს შეიძენდა, ამჟამად ყველაზე პოპულარული მოაზროვნისა. ოსვალდ შპენგლერს ნახევრად რომ მიივიწყებდნენ, ეს წიგნი ნამდვილი სენსაცია აღმოჩნდებოდა თამამი შეხედულებებითა და განწყობილებებით. მისი თემა: ახალი ადამიანები — და თავით ბოლომდე ფაშისტებსა და ბოლშევიკებზე გამოჰყვებოდა მსჯელობა. და გრიგოლი იმედს გამოთქვამდა: ალბათ ითარგმნება და ჩვენთანაც გამოიცემაო.

შეაფასებდა, როგორც ერთადერთს თანადროული ევროპული გონების აღნაგობის დასახასიათებლად.

განყენებული ფილოსოფია წამგებიანი გახდებოდა გერმანიაში და ფილოსოფიაც — თავი რომ გადაერჩინა — კონკრეტული მთლიანი ცოდნის მხარეს გადაიხრებოდა. გაჩნდებოდა ცალკეული ფილოსოფიური ბაზები — პლატონის აკადემიის მსგავსად. მოაზროვნეთა გარშემო მათი მოსწავლეები და მიმდევრები დაჯგუფდებოდნენ და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობასაც დაამყარებდნენ. გამოსცემდნენ წიგნებსა და ჟურნალებს, გამართავდნენ საჯარო თავყრილობებს...

და ეს მოაზროვნენი ვინღა იყვნენ? ოსვალდ შპენგლერი, მარტინ ბუბერი, მაქს შეპერი, ლეო ფრობენიუსი, კარლ-გუსტავ იუნგი, ზიგმუნდ ფროიდი... სად გაჰყვებოდი მათ ჩამოთვლას.

და ჰერმან კაიზერლინგი დარმშტადში ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური საზოგადოების მეთაური შეიქნებოდა, მისი „ფილოსოფოსის მოგზაურობის დღიური" კი ევროპაში ასერიგად გახმაურებული „ევროპის დაისის" შემდგომ ყველაზე დიდ მოვლენად გამოიკვეთებოდა. მისი სკოლა ყოველწლიურად ერთი-ორჯერ რომ მართავდა კონგრესებს მოხსენებებით, ექსკურსიებით, ამბებითა და ამისთანებით, ერთ-ერთ კონგრესზე რაბინდრანათ თაგორიც იქნებოდა მოწვეული, განსაკუთრებული ცნობისწადილით რომ დაუგდებდნენ ყურს. და ცნობისწადილი დაე გრიგოლ რობაქიძის მიმართაც გენახათ, ოღონდ ჯერ „გველის პერანგი" უნდა მოვლენოდა ევროპას.

რას ირწმუნებოდა კაიზერლინგის თავისებურად ერთადერთი წიგნი?

კულტურა სულის პირდაპირი გამოხატვის ცხოვრებისეული ფორმა რომ გახლდათ, სულიერი ორგანიზმი, და როგორც ორგანიზმი, ის ჩამოყალიბებასა და გაქრობას ექვემდებარებოდა.

რა ახასიათებდა თანადროულ კულტურას?

„ასატანობის" მომენტი.

აბა წინა კულტურებში როგორ იყო საქმე ამ მხრივ?

იქ „აუტანლობის" მომენტი უპირატესობდა.

ეს იმიტომ, რომ: კულტურები თავის თავში ჩაკეტილი მონადები იყვნენ, უკარფანჯრებო და ერთი მონადიდან მეორისაკენ გასასვლელი არ არსებობდა.

ახლა კი რაღაც სხვა ხდებოდა — სამყარო თანდათან ტექნიზირდებოდა, რაკიღა ტექნიკა მსუბუქი და ადვილმისაწვდომი საგანი გახლდათ. არამცთუ განსაკუთრებულობას არ ითხოვდა, არამედ „თავისთავად“ ნაგულისხმევ მომენტზე აიგებოდა. სრულიად გაუნათლებელ ადამიანსაც შეეძლო გაეგო ავტოს სტრუქტურა. რადიოსაუბარი ყოვლად მსუბუქი გონებრივი აქტი გახდებოდა. და განვითარების გზაზე დამდგარი ტექნიკა ყველა „კარსა“ და ყველა „ფანჯარას“ ამსხვრევდა, ჩაკეტილ მონადებში იჭრებოდა და გარეთ გამოჰქონდა ისინი. და ასე გაბატონდებოდა „ასატანობის“ მომენტი.

ადამიანები ყველა ტრადიციისაგან „თავისუფლდებოდნენ“.

„შვილები“ ვეღარ უგებდნენ „მამებს“.

და ბრაჰმანი, რომელიც საზღვაო მოგზაურობას შეუდგებოდა, უკვე საკუთარ ფესვებს წყდებოდა.

„ორგანიკა“ „მექანიკაში“ გადადიოდა.

და ახალი რიტმი ცეკვასაც ახალს რომ მოიტანდა, თანადროული ცეკვა მეტს გაამჟღავნებდა, ვიდრე სოციოლოგიური გამოკვლევა. „ჯაზ-ბენდი“ ეპოქის ნიშანი შეიქნებოდა. და ცეკვა-ცეკვაში ახალგაზრდობა დაჰკარგავდა სიყვარულის უნარს. გრძნობები საერთოდ აღარც ექნებოდათ და მათი ვიტალიზმი ანუ სიცოცხლისუნარიანობა სპორტულობაშიღა გამოვლინებოდა.

თანადროული კულტურის რეპრეზენტული ტიპი მძღოლი ხდებოდა. წინათ რაც რაინდი იყო და მოძღვარი, ახლა მძღოლი შეენაცვლებოდა: ტექნიზირებული პრიმიტივი. და რაც უფრო პრიმიტიული იქნებოდა ადამიანი, მით ძლიერად იმოქმედებდა მასზე „ტექნიკური“ — თავისუფლების და ძალის განცდას რომ შესძენდა ილუზიურს, მოჩვენებითს, მაგრამ მათთვის სავსებით რეალურს.

ტექნიკამ რომ არ უწყობდა და არც უყვარდა „სიღრმეები“?

და კიდეც გაწყვეტდა თანამედროვეობა კავშირს „სიღრმეებთან“. და უაზროც შეიქნებოდა მისი მდინარება.

კვდებოდა ცხოვრებისეული ტრადიცია — კვდებოდა მისი „საზრისი“.

აღსრულებულიყო ეგვიპტური კულტურა — თუმც თანამედროვე ფელაჰი ეკუთვნოდა რასას, რომელიც ოდესღაც ფარაონებს შობდა.

მძღოლის რეპრეზენტული ტიპი თავს იჩენდა ახალ ადამიანებში — ფაშისტებსა და ბოლშევიკებში. ფაშისტი — იტალიელი შოფერი გახლდათ, ბოლშევიკი — რუსი შოფერი. რუსეთში შოფრის ტიპი მართავდა, როგორც სხვებზე ძლიერი, და ეს იმისდა მიუხედავად, სწამდა მას კომუნიზმი თუ არა. ეს როგორღა? თუ არა სწამდა, მაშ... თუმც როგორც რენესანსის ეპოქაში მართავდნენ პაპები, ქრისტიანობა რომ არა სწამდათ.

ვისაც რა უნდა ეთქვა, ამჟამად ისტორიას ქმნიდნენ ეს ახალი ადამიანები — ფაშისტები და ბოლშევიკები. ყველა „საშუალო“ გამოიგვებოდა, როგორც უსარგებლო და მომაკვდავი...

ახალ, უნივერსალურ ერაში რომ შედიოდა კაცობრიობა, ეს უნივერსალური სინამდვილე გახდებოდა უნივერსალურ თეორიათა და მოძრაობათა საფუძველი. და ახალი, „ოიკუმენური“ ეპოქის ზღურბლთან რომ ვიდექით, პირველი მაგალითი ანტანტა აღმოჩნდებოდა. ის დაიშლებოდა და ვერსალის შემდგომ არნახული ძალის კავშირი წარმოიქმნებოდა.

პირველი: ანგლო-საქსონური სამყარო ორი ცენტრით — ლონდონსა და ნიუ იორკში.

მეორე: პანისლამური სამყარო.

და მესამე — და ყველაზე მნიშვნელოვანიც — საბჭოთა კავშირი.

ასწლეულთა შემდგომ აღმოსავლეთი ისევე მიიღებდა რუსეთის სიტყვას, როგორც ევროპელები მიიღებდნენ თავის დროზე ებრაულ სიტყვას. ამ მიმართულებით მოსკოვი ისტორიული სიმბოლო ხდებოდა.

— მე ბოლშევიკების მეთოდის წინააღმდეგი ვარო, — აცხადებდა ჰერმან კაიზერლინგი, — მას სატანისტურად მივიჩნევ, მაგრამ არსი აქ არის. მე ვიცი, რომ ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე კულტურული ტიპები ახლა სადღაც შიგნით არიან შემწყვდეულნი. ისინი ალბათ სხვაგვარად ფიქრობენ და განიცდიან. მაგრამ ისინი — უმნიშვნელო უმცირესობაა. ახლა კი — ფსონი მასებზეაო.

კულტურა წარმოუდგენელია ურელიგიოდ და რელიგიის მიღმა?

მაგრამ ახლა მასები არარელიგიურნი და ანტირელიგიურნიც კი გამხდარიყვნენ.

მომავალ „ოიკუმენურ ადამიანს" არც „შოფრის" შვილად ხედავდა და არც შვილიშვილად, მაგრამ ახლა ნიადაგს „ოიკუმენური სამყაროსათვის" მხოლოდ ამ ტიპის წარმომადგენელნი ამზადებდნენ. და „ოიკუმენური" მდგომარეობა საშინლად დაძაბული და — შესაბამისად — აფეთქებებით სავსე იქნებოდა. მაგრამ სწორედ ამიტომ მას ამზადებდნენ არა „გათანაბრების" პოლიტიკოსები, არამედ ჰეროიკული უნივერსალისტები, რომელთა პროტოტიპადაც ბოლშევიკები წარმოდგებოდნენ.

იესო ქრისტეს გარდაექმნა სამყარო.

და... ლენინსაც გარდაექმნა სამყარო, თუმც კი სხვა მხრივ.

საგანგებოდ ამოიწერდა კაიზერლინგის წიგნიდან ამ სტატიას:

— აბსოლუტურად არავითარი აუცილებლობა არ იყო იმისა, რომ რუსეთი, მიუხედავად თანამედროვეობის ყველა დინებისა, ბოლშევიკური გამხდარიყო. ეს იმიტომ მოხდა, რომ რაღაც უმაღლესმა გონმა, აუცილებელი ფსიქოლოგიური, ლოგიკური და მატერიალური საშუალებების უმაღლესი შეცნობით, თანმიმდევრულად, დასრულებულად და ცხადად განასხეულა შეცნობილი სინამდვილე სწორედ ასე და არა სხვაგვარად.

ყველა დიდი ფიგურის რეალისტურ უნარს რომ აღნიშნავდა, მაგალითისათვის მოიხმობდა... მაინცდამაინც ლენინის სახელს: რეალისტი უნდა იყო, რეალობის გრძნობა უნდა გქონდეს, ღრმად უნდა შეიცნო სინამდვილე, უნდა გქონდეს ყველაზე ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა. მხოლოდ მაშინ შეიძლება აქტიურად შეხვიდე ისტორიის შემოქმედებით ნაკადშიო.

ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კაიზერლინგის წიგნზე კვლავაც ბევრი დაიწერებოდა.

ხოლო კიკო პერეცის პორტრეტს ზუსტი შტრიხებით ისე ლაკონიურად და ტევადად მოხაზავდა, ბელეტრისტიკაში ამას ასე შთამბეჭდავად რომ ვერც აღწევდა, აი „ფოთლების" სერიაში კი თვითონვე ჩაუვარდებოდა ხელთ კაცი, რომლის გარეგნობის გად-

მოცემაც ისევე ძნელი იქნებოდა, როგორც... ასაკის განსაზღვრა. დილით — გაპარსვის შემდეგ — შეიძლება 25 წელი მიგეცა, შუადღისას — სამუშაოს შემდეგ — 45, ხოლო საღამოს — ელექტრონის შუქზე — 35. ტანად დაბალი იყო, მაგრამ... ზოგჯერ მაღალი გეჩვენებოდა. თმის ფერი — ხან შავი და ხანაც წაბლისფერი, განათების კვალობაზე. სახის გამომეტყველება? ხან მიბნედილი ლირიკოსისა და ხანაც — მაღალი წრის გამქირდავის... დენდი და ღატაკი მასში როლებს გაუთავებლად ცვლიდნენ.

და გრიგოლს რომ გაუკვირდებოდა: აზრს შესანიშნავად გამოხატავთ და რატომ არ წერთო? — იმას უნდა აეხსნა: პრესა გამომცემელთა ხელშია, რაც სურთ, იმას წერენ... ესეც თქვენი „ლიტერატურა“... იქ, სადაც ყველა „გენიოსი“ და „ტალანტია“, არა ღირს წერო... არ არსებობს „სიშორის პათოსიო“.

და როდესაც გრიგოლი გადაწყვეტდა დასწრებოდა ფრანც ვერფელის მოხსენებას გერმანელ მთხრობელთა კავშირში, რაიხსტაგის პლენარულ დარბაზში, პერეცს მოურიდებლად უნდა ერჩია: ღვთის გულისათვის, სისულელეს ნუ ჩაიდენთო.

— ექსპრესიონიზმი დაჭკნა... იხმაურა და მიწყნარდა... და ეს — სულ რაღაც 5-6 წელიწადში... საოცარია... არცერთი ლიტერატურული სკოლა ასე ადრე არ მომკვდარა...

და ვერფელის ლექსს რომ წაიკითხებდა, თავს ვერ შეიკავებდა ხარხარისაგან: ამას ჰქვია „ლირიკა“?! და თანაც სონეტური ფორმით?! ეს — ქრონიკიორის მიერ საცირკო ნომრის აღწერა უფროაო.

დასწრებით მაინც რომ დაესწრებოდნენ და გაღიზიანებული პერეცი დროდადრო კრიტიკულ შენიშვნებს წამოისროდა, აქეთიქიდან არ მოუთმენდნენ და ჩააჩუმებდნენ. ამიტომაც იგი პროგრამაზე წაუწერდა აფორიზმს გრიგოლ რობაქიძეს:

— ორატორი რომ იყო, ხმა უნდა გქონდეს... ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ხმას მოტორულად ფლობდე...

გრიგოლი წაიკითხავდა და იქვე მიაწერდა:

— მასთან ერთად: არ უნდა გეშინოდეს ლოგიკისა და გრამატიკის ნორმების დარღვევისა, განსაკუთრებით — გრამატიკის...

და იმას აღტაცებით უნდა დაემატებინა:

— სწორედაც... სწორედაც... ეს როგორ დამავიწყდა მე, კიკო პერეცს?!.

მოთხრობის კითხვას რომ დაასრულებდა ვერფელი და მხურვალე აპლოდისმენტებსაც მოიმკიდა, გრიგოლი კულუარებში შევიდოდა მის სანახავად. წინა დღით ბარათსაც დაუტოვებდა. გერმანელი თანამოკალმე დაბნეულად შეხვდებოდა და მათი საუბარი რამდენიმე წყვეტილ ფრაზას ვერ გასცდებოდა. ამასობაში საღამოს ორგანიზატორი დაუძახებდა და ის კვლავ სცენაზე ავიდოდა —ამჯერად ლექსების წასაკითხად, უფრო ცუდად რომ გამოუვიდოდა, ვიდრე პროზა, თუმც აპლოდისმენტები არც ახლა დააკლდებოდა — ძალზე შეწყობილიც და ხანგრძლივიც.

გრიგოლი ადრინდელ ადგილას დარჩებოდა იმ იმედით, როდესაც თავის დაკვრას დაამთავრებს, გავისაუბრებთო. მაგრამ... ვერფელი ვერა და ვერ დაამთავრებდა — კართან თავდახრილი იდგებოდა, ტაშს მიყურადებული. გარშემო ვერაფერს ამჩნევდა და... გაოცებული დარჩებოდა გრიგოლი: ჯერ ამგვარი არა მინახავს რა, ადამიანი ღრმად უბედური უნდა იყო, ტაშისაგან ასე რომ გაბედნიერდეო. არადა ვერფელი ბედნიერებისაგან კანკალებდა და... სადღაც ვიღაც კვლავ რომ შემოჰკრავდა ტაშს, ეს კვლავ შიგნით შეფრინდებოდა...

გრიგოლს შეებრალებოდა და აღარც მიეკარებოდა.

ბერლინურ შთაბეჭდილებებში სულ უფრო და უფრო რომ შემოიჭრებოდა ლიტერატურული დაკვირვებანი, ერთ რეპორტაჟს სულაც ლიტერატურით შემოსაზღვრავდა — ტყუილუბრალოდ ხომ არ დაიარებოდა მწერალთა კლუბში.

60 წლის იუბილის აღნიშვნის შემდეგ გერჰარდ ჰაუპტმანი თითქოსდა წარსულს ჩაბარებოდა. იშვიათადღა იხსენებდნენ. განსაკუთრებით დიდი შემოქმედი არც არასოდეს ყოფილიყო. მის სახელგანთქმულ „ჩაძირულ ზარს“ ლათინური სიზუსტე და სიცხადე არა ჰყოფნიდა. მისი ბოლო რომანი „დიადი დედის კუნძული“ აქაურ წრეებში წარუმატებლობად შეფასდებოდა მეტად სუსტი ტექნიკის გამოისობით.

ვის უნდა დაეკავებინა ჰაუპტმანის ადგილი?

ამაზე ახდილად არა საუბრობდნენ, მაგრამ გრიგოლი შეატყობდა: ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს თომას მანი იქნებაო. ამგვარ ჩანაცვლებას ქართველი და რუსი მკითხველი ძნელად გაიგებდა, რადგანაც თომას მანი ჩვენში წარმატებით არა სარგებლობდა. მისი ძალა ენობრივი მასალის ფლობასა და განკარგვის ხელოვნებაში სუფევდა. ეს მხარე კი თარგმანში ყველაზე ნაკლებ გამოიხატება ხოლმე. და გასაგები ეჩვენებოდა, უცხოელი მკითხველისაგან რატომ არ უნდა ჰქონოდა „ბუდენბროკების“ შემოქმედს განსაკუთრებული აღიარების იმედი.

ამ მხრივ მას უსწრებდა თავისივე ძმა — ჰაინრიხ მანი, რომელიც ფანტაზიისა და გამომგონებლობის ძალით თომასს აღემატებოდა. მისი უბედურება კი ის გახლდათ, რომ ტრილოგიაში მეტისმეტად მიჰყვებოდა გაბრიელ დ'ანუნციოს გზას. მისი ბოლო რომანი „დედა მარია“, მიუხედავად გამომცემლის რეკლამისა, განსაკუთრებულ ინტერესს ვერ გამოიწვევდა.

გრიგოლი ცნობისწადილს გამოამჟღავნებდა, თუ როგორი აზრისანი იყვნენ აქაური მწერლები მათზე, რომელთაც საბჭოთა კავშირში საკმაო ხმაური და წარმატება მოეპოვებინათ. აი თუნდ რას ამბობდა ბერნჰარდ კელერმანზე კარლ ფედერნი, ესეისტი და ნოველისტი:

— კელერმანი კარგ რომანებს წერს — სულ ესაა. იგი „სხვებივით“ წერს. მისი ყოველი რომანი სხვასაც შეუძლია დაწეროს. აქაა მისი სისუსტე.

ინდივიდუალური ნიჭის ძალით კელერმანზე მაღლა ვასერმანი იდგა — ჩვენთან კელერმანის გვერდით განსაკუთრებული წარმატებით რომ სარგებლობდა.

საერთოდ გერმანიაში რომანს დიდი ტრადიცია რომ არ გააჩნდა, ამიტომაც გამოთქვამდა შტეფან ცვაიგი სინანულს თავის ეტიუდებში „სამი ოსტატი“, რომ: ბალზაკს, დიკენსსა და დოსტოევსკის ვერ უერთებდა მეოთხეს — გერმანელ ავტორს.

„გოლემის“ ავტორი მეირინკი ჩვენში მეტად ფასდებოდა, ვიდრე აქ. საგულისხმო აზრი ჰქონდა „გოლემზე“ მარტინ ბუბერს, გრიგოლის შეფასებით: თანამედროვე გერმანიის ყველაზე ღრმა

მწერალს. მისი აზრით: „გოლემის“ პირველი ოთხი თავი კარგად იყო დაწერილი, დანარჩენები კი — გამომცემლის მოთხოვნით. და შესაბამისად... — ბუბერი ღიმილსღა იკმარებდა.

„გოლემის“ შთაბეჭდილებას რამდენადმე წაახდენდა მეირინკის მეორე რომანი — „მწვანე სახე“, უიმედოდ სუსტი რომ გამოდგებოდა. ახლა მწერალი გამოსცემდა ახალ რომანსაც „ანგელოსი დასავლეთის ფანჯარასთან“.

გერმანიის მასობრივ წრეებში ძალზე აღიარებულიყო ვოლდემარ ბონზელსი. ჩვენი მკითხველები მას იცნობდნენ საინტერესო წიგნით „მოგზაურობა ინდოეთში“. მაგრამ ჰერმან კაიზერლინგის „ფილოსოფოსის მოგზაურობის დღიურის“ შემდგომ მონზელსის ეს წიგნი დეკორატიულ ქსოვილადღა გეჩვენებოდა.

თუმც... კაიზერლინგზეც რას ამბობდა მარტინ ბუბერი?

„ფილმებს აკეთებს“ და სიღრმეებს ვერა წვდებაო.

ხოლო ბონზელსს ძნელად უწოდებდი რომანისტს, ამ სიტყვის წმინდა მნიშვნელობით.

ექსპრესიონისტული ტალღა... „ინფლაციასთან“ ერთად ჩაივლიდა. „მარკის სტაბილიზაცია“ ლიტერატურას სხვა მხარეს შეაბრუნებდა. ახლა ექსპრესიონიზმი ცარიელ ადგილადღა მიიჩნეოდა გერმანიაში. მართალია ექსპრესიონისტები ცოცხლობდნენ, მაგრამ რამდენადმე ჩაკლავდნენ თავიანთ „ბაროკოსეულ“ სტილს.

ვერფელზე აღარას იტყოდა, ოღონდ აუცილებლად უნდა მოეხსენიებინა კაზიმირ ედშმიდი — ექსპრესიონისტულ ნოველისტთაგან ყველაზე საგულისხმო. მისი მოთხრობების კრებულები — „თიმური“ და „ექვსი საწყისი“ — ჩვენში (საბჭოთა კავშირი იგულისხმება!) გარკვეულ წარმატებას მოიპოვებდა. აქ კი, გერმანიაში, იგი ამგვარი წარმატებით არა სარგებლობდა. ამჯერად უკვე რომანების წერაც დაეწყო.

ექსპრესიონისტ დრამატურგებს შორის ჯერ კიდევ იბრძოდა ფრიც ფონ-უნრუუ — „გვარისა“ და „მოედნის“ ავტორი. იგი ძალზე მაღალ ნოტს აიღებდა და... ჩავარდებოდა. მისი პიესა — „ნაპოლეონი“ — რომელიც ამ სეზონზე რეინჰარდტის თეატრში

დაიდგმოდა, შეფასდებოდა სწორედაც, როგორც ჩავარდნა. „ლირიკას" აქ საერთოდ არა ჰქონდა გასავალი, განსაკუთრებით — ექსპრესიონისტულს. გაზეთებში მათ ზოგჯერ თუ ნახავდი, როგორც შემთხვევით სტუმარს. ანკი რა იყო საინტერესო — ნამდვილი ლირიზმის ნაცვლად — აღწერილობა საგანთა და მოვლენათა: აკრობატის თვალით.

რაო, რას იქმოდა შტეფან გეორგე და მისი სკოლა?

იგი ლიტერატურის ჰორიზონტზე სულ აღარ ჩანდა. მისი სკოლა კი უფრო მეტად მონოგრაფიებით დაკავდებოდა. მიუთითებდა ჰუნდოლფზე, რომელიც შესანიშნავ მონოგრაფიებს გამოსცემდა იოჰან ვოლფგანგ გოეთესა და შტეფან გეორგეზე, მაგრამ გაჭიანურებას ადგილებისა, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ გერმანულ ლიტერატურაში, ჰუნდოლფიც ვერ გადაურჩებოდა.

მარტინ ბუბერს საგანგებოდ შემოიტოვებდა.

და გადაინაცვლებდა შტეფან ცვაიგზე. აქ მიეღოთ ცნობა, რომ მოსკოვში მაქსიმ გორკის წინასიტყვაობით გამოიცემოდა ცვაიგის თხზულებათა სრულ კრებული. გერმანელ ნოველისტთა შორის მას უდავოდ პირველი ადგილი ეკავა. საოცარი გახლდათ სიუჟეტის მისეული კომპოზიცია და მონახაზთა სიმკვეთრე. სხვათა შორის მისი „ამოკი" და „გრძნობათა განგაში" საბჭოთა მკითხველებისთვისაც უკვე საკმაოდ იყო ცნობილი. გერმანიაში მას აფასებდნენ, მაგრამ შესაფერისადაც არა. და გრიგოლი ვარაუდს გამოთქვამდა: ალბათ რომანული სულისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარულის გამოო. თუმც მის შემოქმედებაში გამონაკლისად რჩებოდა ეტიუდები.

ახლა ევროპაში ძალიან რომ მომრავლებულიყვნენ ესეისტები, მათში ცვაიგს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირებოდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მას ბევრი რამ ესწავლა დიდ ოსტატთაგან — ფრანგებისა და რუსებისაგან. საოცარი გახლდათ მისი ესკიზების სტილი. მისი ლიტერატურული „ეტიუდი" არსებითად არაფრით განსხვავდებოდა „ნოველისაგან". ეგაა — ნოველაში საგნობრივი მასალა გამოგონილი იყო, ეტიუდში: ნაპოვნი — და ესეც მთელი განსხვავება.

მის „სამ ოსტატს“ უკვე რომ მოიხსენიებდა, უფრო მნიშვნელოვნად ესახებოდა: „ბრძოლა დემონთან“ — ჰოლდერლინი, კლაისტი და ნიცშე.

ნამოგზაურევი გრიგოლი ბერლინში რომ დაბრუნდებოდა, კოკო პერეცი ეწვეოდა, და ეს რომ შესჩივლებდა მარტოობაზე, ადამიანი ამ ქალაქში რომ განიცდის, ის გაიღიმებდა:

— მილიონი რომ გადაეხადათ ოქროთი თქვენთვის, დარჩებოდით ბერლინში იმ პირობით, რომ აქედან ათ წელიწადს არ გამოხვიდოდით?!

— არაფრის გულისათვის...

— და მაინც!.. მაგრამ თქვენ თითქოს მართალი ხართ... ასეთი შემაძრწუნებელი ეპოქა ევროპაში არა ყოფილა... ადამიანები ერთმანეთისადმი უკიდურესად უცხონი არიან... გარეგნულად დაკავშირებულნი, შინაგანად კი განცალკევებულნი... მაგრამ მაინც ამაში რაღაც ახალს ვგრძნობ...

დაე გაესიგრძეგანებინა გრიგოლ რობაქიძეს, რომ:

„რევიუ“ თანამედროვე ევროპული ქალაქის მითად ქცეულიყო, უფრო ზუსტად, მითად კი არა, მითის შემცვლელად. ანტიკურ ტრაგედიაში ადამიანები უკან ფესვებს გრძნობდნენ და წინ — სივრცეებს. რენესანსი ჰამლეტს წარმოშობდა, რომლის სულშიც დროთა კავშირი დარღვეულიყო. იგი მეჩეტსი გახლდათ? აქ სუფევდა უილიამ შექსპირის ძალა.

მას შემდეგ დეგრადაცია მოდიოდა. ფესვები აღარსად იყო და სივრცენი — მითუფრო... „მკვიდრი“ ადამიანის ნაცვლად ჩნდებოდა „ობივატელი“: ჟან, ჰანს, ივან. ისინი თავიანთი ცხვირის — იგულისხმებოდა, რომ არა „რომაულის“ — მეტს ვერას ხედავდნენ. „ობივატელის“ ცხოვრება „მეშჩანის“ დრამაში გადავიდოდა. ეს დრამა სამკუთხედს შეადგენდა: ცოლი, ქმარი, საყვარელი... ფრანგები ამ სამკუთხედის ყველა კომბინაციას ამოწურავდნენ. დაითვლიდნენ და... ოცდაცამეტზე მეტი არ აღმოჩნდებოდა... ახლა ეს „სამკუთხედიც“ მარადისობის ბინადარი ხდებოდა. „გეომეტრია“ ვეღარავის ეხმარებოდა.

და დადგებოდა ელექტროობისა და წამთა დრო.

აი ამ წამებს მოიცავდა „რევიუ“: კინო, ლამაზი ქალი, მოკრივე, დიპლომატი, მაღალი წრის ძუ ლომი, უმაღლესი წრეების კურტიზანი ქალი, მასხარა, აკრობატი, მანეკენები... და ყოველივე ეს — უმაღლეს წამიერ ათინათთა გზაჯვარედინზე.

თანადროული ადამიანი იმიტომ კი არ გარბოდა იქით, ეგებ „რაიმე“ ვიპოვნოო, არამედ „წამებით“ რომ დამთვრალიყო. და კიდეც თვრებოდა...

მარტოობა „პიროვნების“ ხვედრი გახლდათ... თუმც დასავლელებს შესაძლოა არც სურდათ, პიროვნებანი რომ ყოფილიყვნენ.

რას აღიარებდნენ აღმოსავლეთში?

„პირადულია“ ყოველგვარი უბედურების საწყისიო.

ვისაც „პიროვნების“ ჰიპერტროფია აწუხებდა, იგი დიდ ქალაქში მარტოობისათვის გახლდათ განწირული... ამიტომ: ის ადამიანები, რომელნიც თუნდ გრიგოლ რობაქიძის თვალწინ მასებად მიცურავდნენ, სულაც არ იყვნენ მარტოსულნი. მათში ახალი დროის სუნთქვა იგრძნობოდა: მასობრივი შეგრძნებანი.

მითი „რევიუდ“ გადაგვარდებოდა...

და გრიგოლი ამ მსჯელობის მოსმენისას — დიალოგისა თუ შინაგანი მონოლოგის — აღიარებდა თუ დაადასტურებდა მის სიმართლეს: კოკო პერეცის.

მარტოობა რატომ ეხსენებინა?

იმიტომ, რომ ვინც დიდ ევროპულ ქალაქებში ცხოვრებაზე ოცნებობდა, ასე თუ ისე სცოდნოდათ, ეს „ცხოვრება“ მათთვის წამება რომ იქნებოდა.

და სავსებით სერიოზულად განაცხადებდა:

— რუსთაველის გამზირს მე კურფიურსტენდამზე არ გავცვლი — არაფრის გულისათვის.

კოკო პერეცი მართალი გახლდათ?

სწორედაც რომ!.. მაგრამ... მართალი იყო შტეფან ცვაიგიც, დახვეწილი ნოველისტი და ესეისტი, რომელიც წერილში ეტყოდა:

— მესმის, რომ თქვენ ბერლინში მარტოობას გრძნობთ. აქ შესანიშნავი ადამიანები არიან, მაგრამ მათი წყევლა ის გახ-

ლავთ, რომ არცერთს არ გააჩნია დრო, ადამიანი იყოს. ისინი მოწამლულნი და მოდუნებულნი არიან გერმანული ნებით, რადაც უნდა დაუჯდეთ, წინ წავიდნენ. ნებით, რომელსაც მხოლოდ საგრძნობი შედეგი სწადია.

და კვლავ: ეს განცხადება მხოლოდ იმიტომ მოეხმო, რათა ევროპაში ცხოვრებაზე მეოცნებეებს სცოდნოდათ, რომ აქ ახლა „შესანიშნავ ადამიანსაც" უძნელდებოდა „ადამიანად" ქცეულიყო.

აგერ შტეფან ცვაიგსაც ეხუთებოდა სული.

და კიდევ ვიღას აღარ...

* * *

პირდაპირ ექსპრესიონიზმის განმარტებით სულაც არ დაიწყებდა ამ ლიტერატურული სკოლისადმი მიძღვნილ ესეის, რადგანაც ამჯობინებდა ჯერ ნატურალისტური მიმდინარეობის რაობა აეხსნა მკითხველისათვის:

თუ გსურდა აგესახა საგანი ისე, როგორც არსებობდა თვითონ — არც მეტი და არც ნაკლები, საგანი, თითქოსდა გარე სუბიექტისა, მთელი ენერგია უნდა მიმართულიყო საგნის სისწორით გადმოცემისათვის.

მერე იმპრესიონიზმის ჯერი დადგებოდა:

თუ გსურდა აგესახა საგანი ისე, როგორც შენს შთაბეჭდილებაში ახატულიყო, არა საგანი თვითონ, არამედ შენივე შთაბეჭდილება. არავითარი ზედმეტი. მთელი ენერგია უნდა მიმართულიყო მხოლოდ შთაბეჭდილების დასაჭერად.

და უკვე მოაწევდა ექსპრესიონიზმის ჯერიც:

თუ გსურდა აგესახა საგანი არა ისე: როგორც არსებობდა ეს საგანი თვითონ, მაგრამ არც ისე: როგორც შენს შთაბეჭდილებაში ახატულიყო. არამედ: როგორც გარდაქმნილიყო შენს სულში. მთელი ენერგია უნდა მიმართულიყო საგნის გარდასაქმნელად. არა ნაკლებად.

ხოლო ძნელი გახლდათ, ორ მიმართებას შორის, საგნისადმი და ამსახველისადმი, რომელიმე არ გაგემკვეთრებინა. თუ პირველს გაუსვამდი მეტ ხაზს, ექსპრესიონიზმი იქნებოდა ექსტენსიური, და თუ მეორეს გაუსვამდი ხაზს — უკვე ინტენსიური.

ფეხტერს რა ტერმინებიც შეერჩია, მაგრამ ორივე შემთხვევაში ექსპრესიონიზმისათვის თავი და თავი საგნის გარდაქმნა გახლდათ სულით და არა უბრალო ასახვა.

ნატურალიზმთან ომში ექსპრესიონიზმი იმპრესიონიზმთან შეიკვროდა, მაგრამ იმ მიმდინარეობასთან ომის დასრულების შემდგომ უკვე ახალ ომში ჩაებმოდა მანამდელი მოკავშირის — იმპრესიონიზმის — წინააღმდეგ, რადგანაც: ექსპრესიონიზმი ანტიიმპრესიონიზმად წარმოდგებოდა.

რეაქცია იმპრესიონიზმის წინააღმდეგ ჯერ თვითონ საფრანგეთში დაიწყებოდა პოლ გოგენის ცნობილი ამოძახილით:

— განზე ბუნება, უკან სურათისაკენ!

გერმანიაში ეს პაროლი მთელ მიმართულებად გადაიქცეოდა პატრიოტული მოტივითაც: თავი დაეღწიათ ტყვეობისაგან ხელოვნებაში. მაგრამ კიდევ იქნებოდა სხვა რამ: ევროპის დიდი ომი და რუსეთის დიდი რევოლუცია.

რატომ მაინცდამაინც გერმანიაში?

უშუალო პასუხს ბოლოსაკენ მოიტოვებდა გრიგოლ რობაქიძე, ამჯერად მთავარი ის გახლდათ, რომ: ამ ორი დიდი მოვლენის განცდაში მიუღებელი დარჩებოდა პასივიზმი იმპრესიონიზმისა. და მაქს პიკარის თქმისა არ იყოს: იმპრესიონიზმი არა ცდილიყო გამოეყო საგანი და განეცალკევებინა, რაკიღა მისთვის თავიდათავი გახლდათ ურთიერთმიქცევა საგნებისა და არა თვითონ საგნები. და საგანი, ამ ურთიერთმიქცევით გამოხსნილი, უკანვე ინთქმეოდა უსახელო ქაოსში.

ხოლო ექსპრესიონიზმს გამოჰყავდა საგნები ამ ქაოსიდან.

ის სახელს არქმევდა საგანს, მაგრამ არა კმაროდა უბრალო მიმართვა საგნისადმი. რათა საბოლოოდ გამოგეგლიჯა საგანი გარემოცულობისათვის, საჭირო ხდებოდა მისი გარდაქმნა. ეს მოითხოვდა საგანთა ტიპიზაციას, აუცილებელი ხდებოდა საგნის წმინდა ლოგიკა. შინაგანი არსი საგნისა და არა მისი აფექტი: ესეც ის მთავარი.

ერთი სიტყვით: აქტივიზმი სულის.

და ექსპრესიონიმზი ამ აქტივიზმს ავრცელებდა ყველგან.

სხვა ფორმულასაც მოიმარჯვებდნენ:

— საგნის გარდაქმნა სულით — მაშასადამე სული და სულობა თავიდათავი.

და გრიგოლი დააზუსტებდა, რომ: „სულობა“ ექსპრესიონიზმისათვის გახლდათ მეტაფიზიკური ცნება და არა „ფსიქოლოგიური“ ტერმინი. „ფსიქოლოგიას“ საერთოდაც განდევნიდა ეს ლიტერატურული სკოლა.

ლუდვიგ რუბინერს ეს აზრი ასე უნდა გაეღრმავებინა: მიზანი — სიცოცხლე ინტენსივობაში. ინტენსივობა სიმპტომია სულის ქმედებისო.

კიდევ უფრო ძლიერად მეტყველებდა კაზიმირ ედშმიდი:

ახალი ხელოვნება აღარ ცნობდა გარემოსა და ვიწრო არეს, აღარ ცნობდა ტრაგედიას „თუობით“ გამოწვეულს, აღარ იყო ტიკინა ფსიქოლოგიურ ქსოვილით, აღარ იყო ტიკინების სიცილი, ტირილი, საზრისი. გახლდათ მხოლოდ ადამიანი უბრალო, უშუალოდ შერთული კოსმიურ ყოფას, აღარც უკაცური და აღარც ზეკაცური, მხოლოდ ადამიანი, როგორიც იგი მოევლინა შემქმნელს, არ უწყოდა ადამიანის მიერ შექმნილი ხვეულები, არ თამაშობდა მალულობას საგანთა გარშემო, წვდებოდა თვით შუაგულს, უარყოფდა ატომიზმისა და იმპრესიონიზმის დეტალებს და მატერიის გარღვევით მიისწრაფოდა მატერიის ასულიერებული ექსტრაქტისაკენ.

იულის ბაბი ეჭვით უყურებდა ფსიქოლოგიას: ისევე ნაკლებ ლაპარაკობს ადამიანზე, როგორც ანატომიაო.

ვილჰელმ ჰაუზენშტაინი შენაცვლებებს დააკვირდებოდა:

თაყვანის ადგილს რომ იკავებდა სიცხარე, მორჩილებისას — გახელება, უშუალო ცდისას — ლოდინი ცხადების, ჭვრეტისას — ხილვა, იმედისას — ექსტაზი. და ხდებოდა აფეთქება საგანთა — უკიდურესობისაკენ.

ექსპრესიონიზმი კაცს წარმოსახავდა თავისთავად: ყოვლის გარეშე. კოსმოსსა და კაცს შორის აღარ იხილვებოდა აღარავითარი ზღვარი ან ზღუდე. და ყოველივეს განაგებდა კოსმიური გრძნობა: ყოვლისმომცველი და ყოვლისდამტევნელი, განუყოფელი და განუწევრებელი. არა წამი — არამედ მარადისობა. აქედან მომდინარეობდა: ელემენტარობა და პრიმიტივი — ამ სიტყვების არა ვულგარული გაგებით.

ხელოვნების საგანი ხდებოდა სულის აქტივობის ცნაურება.

სული ომს უცხადებდა თვითმპყრობელ მატერიას.

სული ილაშქრებდა „რეალური ფაქტების" წინააღმდეგ.

სული არღვევდა „ყოველდღიურობის" ფიზიკას.

ძალიან მოსწონდა ჰაუზენშტაინის ეს განსაზღვრება გრიგოლს:

ხელოვნება დაჭერა რომ გახლდათ საგნებზე ღვთის კვალისა, სამყაროს ღვთიური ნომოსისა. და რა გზით? მხოლოდ ექსტაზით. ექსტაზით უნდა გაერღვია სულს ტრანსცენსი და მხოლოდღა მაშინ იხილავდა ღმერთს.

და დოიბლერს ეს საიდან გაეხსნა ექსპრესიონიზმის არსი:

როცა ვინმეს ჩამოახრჩობენ, იგი უკანასკნელ წამს ერთხელ კიდევ განიცდის მთელ თავის სიცოცხლესო.

აქ ექსტაზი წამებამდე იკუმშებოდა.

ახალი სული ნახულობდა ახალ რიტმს გამოთქმისა. ფრაზები სხვაგვარად იქსელებოდნენ რიტმში, მელოდია მართავდა მათ. ?აგრამ ეს არ გახლდათ თვითმიზანი — ის ექვემდებარებოდა მათ გამაფორმებელ სულს. ფრაზები აღარ იკვროდნენ „ლოგიკური გადასვლის ბუფერით", სიტყვა იძენდა ახალ ძალას. ქრებოდა სიტყვა აღმწერელი. იქმნებოდა ახალი ლექსიკა და ახალი სინტაქსი.

ექსპრესიონიზმი ყველგან რომ ჰპოვებდა კოსმიურ გრძნობას, გრიგოლ რობაქიძე შეგვახსენებდა: გრეკოს, ზენატურალიზმს გოთიკისა (ეიმერიზმს), გოთიკურ პრიმიტივსა და საერთოდ პრიმიტივს, ველურთა ფეტიშებს, ძველ პაპირუსს, ინდოეთის კოლოსს, ზანგების ნაშენს, გრიუნევალდს და... უფრო მეტს სადღა გაჰყოლოდა.

ქმედითი ფორმა ექსპრესიონიზმისა ექსტაზი რომ გახლდათ, ამ მხრივ ის ეწინააღმდეგებოდა გოეთეს ფორმას, რომელიც გულისხმობდა: კეთილშობილ სიმარტივესა და წყნარ სიდიდეს. აქ კი ავარდნა და გადავარდნა წარმართავდა ყველაფერს.

გოეთე რომანტიკოსებზე რომ ამბობდა: შენი ნიჭი მოხერხებულობის წყალობით იუმორით უნდა გამოამჟღავნოო, — გრიგოლ რობაქიძე ამ თვალსაზრისს გარკვეულად ექსპრესიონისტებსაც მიუსადაგებდა. და ახსენდებოდა ბაროკოს კონვულსია და მო-

წამეობის სურვილი — ნაცვლად ნათელი და დახვეწილი ხაზებისა: გრიგალი და ნიაღვარი.

ეგუებოდა თუ არა გერმანელობის სულს ეს ქმედითი ფორმა?

თუკი მარტოდენ გოეთეს მიხედვით განვსჯიდით: მაშინ არა, მაგრამ გოეთეს გარდა გერმანელებს ხომ ჰყავდათ გრიუნევალდიც და დიურერიც? და ხომ ეძახდნენ დიურერის ქმნილებას „რისხვიან პორტრეტს"?!.

არსებობდა კიდევ ერთი სახელი, რომელსაც უნდა დაპირისპირებოდა ექსპრესიონიზმი: ფრიდრიხ ნიცშე. ამ განსხვავების წარმოჩენას შემდგომისათვის გადადებდა გრიგოლი, რაკიღა ეს განსჯა ცალკე ექსკურსს მოითხოვდა, ამჯერად კი იკმარებდა იმის აღნიშვნას, ნიცშეს იმორალიზმი ექსპრესიონიზმისათვის მიუღებელი რომ გახლდათ. ხოლო სულ სხვა საკითხი იყო ნიცშეს სწავლება ექსტაზზე და ნიცშეს სტილი — აქ შესაძლოა ნათესაური კავშირიც გამონახულიყო ამ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან.

როგორც აქტივისტები, ექსპრესიონისტები სოციალ-რადიკალისტებად წარმოდგებოდნენ, ზოგიერთი კიდეც იკომუნისტებდა, ერნსტ ტოლერისა არ იყოს.

იკვეთებოდა თუ არა ახალი ექსპრესიონიზმი მიმართულებად?

საჯარო მოხსენებისას გრიგოლ რობაქიძეს დაბეჯითებით განეცხადებინა, რომ:

— არა.

და სამწუხარო ვითარებად ესახებოდა და მიუტევებლად, რომ: გერმანიაში ერთიმეორეში ურევდნენ იმპრესიონიზმსა და სიმბოლიზმს. შორს რომ აღარ წასულიყო, დაასახელებდა რუს სიმბოლისტებს: ვიაჩესლავ ივანოვს, ალექსანდრ ბლოკს, ანდრეი ბელის — რომელთა შემოქმედებაშიც ექსპრესიონიზმი ძალდაუტანებლად იჩენდა თავს მთელი მისი ფორმულებით. ლექციისას ურიცხვ ციტატას დაახვავებდა ამ დებულების დასამტკიცებლად, მაგრამ მათ განმეორებას ზედმეტად მიიჩნევდა „კავკასიონის" მკითხველისათვის.

მაშ რითიღა იყო ექსპრესიონიზმი ახალი?

რითი და: ტონუსით განცდისა.

ომში დამარცხებული გერმანია სულაც არა გრძნობდა თავს დამარცხებულად: მილიტარული მხრივაც კი. და გრიგოლსაც შეეძლო დაბეჯითებით განეცხადებინა:

— აქ არის უდიდესი ტრაგიული ნება და ჰეროული შეხვედრა ბედის.

გამარჯვების გრძნობა მათრობელია ყოველთვის, დამარცხების გრძნობა კი — დამამცირებელი. მაგრამ დამარცხებისას რომ თავი გეგრძნო შინაგანად დაუმარცხებლად — კათარზისი გახლდათ ნამდვილი.

ეს ნიშნავდა ყოველი კუნთის დაჭიმვას.

ეს ნიშნავდა დაწურვას უკანასკნელს.

ეს ნიშნავდა წვას საშინელს.

ეს ნიშნავდა ლოდინით აღვსილობას.

და რაღა გასაკვირია, რომ: აქ ბუდობდა ნამდვილი ექსტაზი დიდი ხილვისა და ცნაურისათვის.

აქ ტონუსი ჰქმნიდა ექსპრესიონიზმის ხერხემალს.

და ამ ყოველივეს გამოისობით ექსპრესიონიზმი, როგორც მიმართულება, ჯერჯერობით მარტოდენ გერმანიის ფარგლებში მოქცეულიყო.

ბარემ მიღწევებიც წარმოჩენილიყო ორიოდ სიტყვით.

ლირიკა ექსპრესიონიზმისა ვერ შეედრებოდა სიმბოლიზმს: ვერც ფრანგულსა და ვერც რუსულს. დრამაში კი დიდ გამარჯვებას მოიპოვებდა: გეორგ კაიზერის, ფრიც ფონ-უნრუჰის, ფრანც ვერფელისა თუ სხვათა წყალობით. აქ უთუოდ იკვეთებოდა ახალი ხაზი, მაგრამ... დაე ამ მსჯელობის გაშლაც სხვა ექსკურსისათვის გადადებულიყო.

საგულისხმოდ ეჩვენებოდა, რომ დრამა უფრო განვითარებულიყო, და ეს კიდევ უფრო ამახვილებდა ზემოთქმულს, რომ: ტონუსი კოლექტივის მონოლითური ნებისა დრამაში უფრო ცხადყოფდა თავს, ვიდრე ვიწროპიროვნულ ლირიკაში.

გამოხდებოდა ხანი და:

ამ ესეის ემიგრანტული ჟურნალის — „ბედი ქართლისა“ — 1950 წლის ნოემბრის ნომერში რომ გაიმეორებდა, მინაწერსაც მიადევნებდა:

ექსპრესიონიზმი უკვე წარსულს ეკუთვნის, როგორც სკოლა, ხოლო მის მიერ გავლებული კვალი არ არის მთლად წარეცხილი. ვფიქრობ, ეს ძველი ესკიზი არც დღეს უნდა იყოს ინტერესმოკლებულიო.

აქ არის უდიდესი ტრაგიკული ნება და ჰეროიკული შეხვედრა ბედისო...

მაინც საიდან სად განეჭვრიტა ასე ზუსტად და უცთომლად გერმანიის ახლო მომავალი, ამ „შეხვედრის" იდუმალი ექსტაზით განსაზღვრული?!.

ამას კი ვეღარ წარმოიდგენდა, იმ უდიდესი მღელვარებით აღსავსე მოვლენების შუაგულში თვითონაც თუ მოექცეოდა და მწარედაც იწვნევდა ამ უჩვეულო შეხვედრის უდიდესი ტრაგიკული ნებისა ჰეროიკულ ბედთან...

თავი მეხუთე

ტოლსტოის დღეები, დღეები ცვაიგთან

ლიტერატურული დღიური „ტოლსტოის დღეები“ ეგებ ისედაც შეედგინა, მაგრამ ცვაიგის სტუმრობა კიდევ სხვაგვარად აღანთებდა და აიყოლიებდა; და ამიტომაცაა, რომ ტოლსტოური დღეების შთაბეჭდილებანი არსებითად შტეფან ცვაიგთან ურთიერთობის ქარგაზე აიგებოდა, დღიური, რომელიც იწერებოდა 1928 წლის შუა აგვისტოდან 17 სექტემბრამდე და საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალსაც შემოსწერდა: გელენჯიკი-ნოვოროსიისკი, მოსკოვი-ტულას სადგური — იასნაია პოლიანა — კუჩინო.

გელენჯიკში, ჩერქეზეთის ყოფილ სატახტო ქალაქში, ზღვის ნაპირას გაშენებულში, ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, ეგაა და პოსეიდონის აქაფებული ბედაური მიხლია ტორებით მთას გახელებული: მთა შეურღვევია და დარჩენილა ნატერფალი ფლოქვისაო.

და იგრძნობდა სუნთქვას გადასული ხალხის, რაინდულის.

ყვითელი მზე და ხვლიკისფერი ზღვა.

ისვენებდა მოცილებული: მეგობრებს, ნაცნობებს, წიგნებს, საკუთარ თავსაც.

თუმც ამას აჭარბებდა, რადგანაც უჯდა სცენებს ახალი დრამისა, ისე, როგორც კინორეჟისორი ამუშავებს ფილმის კადრებს.

მსოფლიოსთან აკავშირებდა მხოლოდ „იზვესტია“: რუსული გაზეთი.

და უეცრად: ტოლსტოის დღეების ამბავი... და თავს დაამუნათებდა: ტოლსტოის დაბადების ასი წლისთავი როგორ უნდა დამვიწყებოდაო.

საიუბილეო კომიტეტი უკვე შედგომოდა სამზადისს.

მოწვეულნი იყვნენ უცხოეთიდან:

ეს რომენ როლანიო, ეს ანრი ბარბიუსიო, ეს შტეფან ცვაიგიო, ეს ბერნჰარდ კელერმანიო, ეს თომას მანიო, ეს ჰაინრიხ მანიო, ეს ჯონ გოლზუორთიო, ეს ბერნარდ შოუო, ეს კნუტ ჰამსუნიო, ეს ჟორჟ დიუამელიო, ეს რაბინდრანათ თაგორიო, ეს მაჰათმა განდიო. და კიდევ მრავალი სხვა მწერალიც და სწავლულიც.

მოინდომებდა დასწრებოად დღესასწაულს. სურდა ნახვა რომენ როლანისა და შტეფან ცვაიგის, განსაკუთრებით მაინც ცვაიგის:

— გასაგებია: მისი სახელი ძალიან დაკავშირებულია ჩემი რომანის გამოსვლასთან ევროპაში.

და კიდეც მისწერდა წერილს საქართველოს მწერალთა კავშირის ფედერაციას.

წერილზე პასუხი არ მოუვიდოდა და იფიქრებდა: ალბათ თბილისში პრეზიდიუმიდან აღარავინაა — სიცხეებია და წასულ-წამოსულები იქნებიანო.

გაუგზავნიდა დეპეშას შტეფან ცვაიგს ზალცბურგში: დაესწრებოდა თუ არა მოსკოვში ტოლსტოის დღეებს?..

მესამე დღეს წაიკითხავდა „იზვესტიაში", რომ: ავსტრიელი მწერალი წამოვიდოდა მოსკოვისაკენ სექტემბრის შვიდს ან რვას.

დადგებოდა 6 სექტემბერი და:

თბილისი პასუხს არ აღირსებდა, მაგრამ გრიგოლი მაინც მოემზადებოდა მოსკოვს გასამგზავრებლად. და მოუვიდოდა ცვაიგის პასუხიც: დავესწრებიო.

შინ ურჩევდნენ: ნუ ჩქარობ, ხვალ გაემგზავრე, მაინც მოასწრებო, — არ დაუჯერებდა და... თურმე რა სწორად მოიქცეოდა: მეორე დღეს გელენჯიკ-ნოვოროსიისკის გზატკეცილზე რამდენიმე ავტობუსს გაძარცვავდნენ ზედიზედ.

8 სექტემბერს მოახლოვდებოდა მოსკოვი და დაიკარგებოდა გელენჯიკის ხსოვნა. ნისლი იმატებდა. მზე ნელ-ნელა დაიმალებოდა და მოსკოვთან აღარც გამოჩნდებოდა. იქ წვიმა დახვდებოდა და... დაბრუნებული მოაგარაკენი სულ წყევლაში იქნებოდნენ.

საღამოს ტელეფონით ჩამოურეკავდა ნაცნობებს, მაგრამ ვერავის გამოიხმობდა: ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ საგრილოდან თუ ევროპიდან.

9 სექტემბერს უცხოელ მწერლებს რომ მოელოდნენ, და მათ შორის კელერმანსა და ცვაიგსაც, გრიგოლი ბალტიის სადგურისაკენ გაემართებოდა დასახვედრად, იქ ცვაიგს დაუწყებდა ძებნას, მაგრამ... არ აღმოჩნდებოდა. ეტყოდნენ: ხვალ ჩამოვაო. ბერნჰარდ კელერმანს კი გაიცნობდა და კარგი შთაბეჭდილებაც დარჩებოდა მისი დამარწმუნებელი სიტყვა-პასუხითა და გარეგნული უბრალოებით. ჩაცმულობით — კიდევ უფრო.

და აი 10 სექტემბერი, როდესაც იმავე მატარებლით ჩამოვიდოდა შტეფან ცვაიგიც. დახვედრით იგივე საზოგადოება დახვდებოდა. ფოტოგრაფები არ დაზოგავდნენ აპარატებს. რეპორტიორები თავს დაესხმოდნენ.

და აი გრიგოლ რობაქიძეც უნდა შეხვედროდა.

შეატყობდა: იმასაც გაეხარდაო. როგორც იქნა შეხვდებოდნენ, არადა თითქმის ორი წელია მიმოწერა ჰქონდათ გამართული: ასეთი ინტენსიური, ასეთი გულითადი...

მოახარებდა:

— თქვენი რომანი ამ დღეებში გამოვა. წინასიტყვაობა წამოსვლის წინ დავწერე. ვჩქარობდი: მოწვევის ბარათი გვიან მივიღე.

გაემართებოდნენ „გრანდ-ოტელისაკენ".

ვერცერთი ფოტოგრაფი ვერ გადმოსცემდა ცვაიგის სახეს. ამის შესახებ რამდენიმე დღის შემდეგ კიდეც გაეხუმრებოდა გრიგოლი:

— ჰერ ცვაიგ, ფოტოგრაფია ვერ ახერხებს თქვენს გადაღებას. ძველ რწმენას თუ დავუჯერებთ, ეს კარგია...

— როგორ?..

— ძველი რწმენით, სახის ობიექტივაცია, გამოსახვა თუ გამოკვეთა, სიცოცხლეს უკლებს პიროვნებას, ართმევს რაღაცას, აცლის...

— ჰაააა... მაშ ახალგაზრდად მთვლით ახლაც, — და მხიარულად იცინებდა.

მართლაცო, — დასძენდა გრიგოლი:

47 წლისა გახლდათ და 37 წლისად გეჩვენებოდათ. თმაში თეთრს ვერ მოუძებნიდით: ტანით: საშუალოზე მაღალი. მსუბუქი. ნაზი (ხელები ქალის ხელებს უგავდა). შავგვრემანი. თვალებში: ხალისი. მაგრამ შორიდან რომ მოჩანდა სევდა, ეს გრიგოლის მზერას რას გამორჩებოდა!.. პირველი შეხედვით მწერალს არა ჰგავდა — ჩვეულებრივ ევროპელს, ზრდილს, თავაზიანს, მეტადაც კი, ჩაცმულობა — რიგიანი, თვალში რომ არ გეცემოდა. სუფთა. დაკვირვებული. პირველი შეხედვით კიდეც გაგიკვირდებოდა: როგორ, ეს კაცი წერს ამ ნოველებსა და ამ მონოგრაფიებსო?!. მაგრამ ეს „გარეგანი ხედვის" ბრალი იქნებოდა. შიგადაშიგ სახე ეცვლებოდა. ხანდახან, გაკვრით, ჩნდებოდა სულიერი დაძაბულობა. ეს მალულად ხდებოდა: ასე ვთქვათ — „განზე". უნდა „შეგესწრო": და მხოლოდ მაშინ დაინახავდი მისი სახით ნამდვილ მეტყველებას.

მოათავსებდნენ „გრანდ-ოტელში".

ცვაიგი გახარებული იქნებოდა, აღფრთოვანებული, და იტყოდა:

— როგორც იქნა მოველ რუსეთში, დოსტოევსკისა და ტოლსტოის რუსეთში. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ენა არ ვიცი ამ დიდი ხალხის. ეს კატასტროფაა ჩემი სიცოცხლის: რამდენი თემაა ახლა რუსეთში?..

ბევრს იბაასებდნენ. და გრიგოლი რომ დაინტერესდებოდა, თუ რატომ არ ჩამოსულიყო რომენ როლანი, აღმოჩნდებოა, რომ ავად ყოფილიყო, თორემ ამ ზეიმს არაფრისდიდებით არ გააცდენდა.

სამ საათზე სტენოგრაფისტი უნდა მოსულიყო და გრიგოლიც გამოეთხოვებოდა... ექვს საათზე კი შეუვლიდა: „დიდ თეატრში" უნდა წასულიყვნენ. იმას სიტყვა უკვე დაემზადებინა წარმოსათქმელი. ეტყოდა:

— ფრაკი არ წამომიღია, არც სმოკინგი...

ეს დაამშვიდებდა, რომ აქ არ იყო საჭირო არც ფრაკი და არც სმოკინგი.

შევიდოდნენ თეატრში. სტუმარი გაკვირვებას გამოთქვამდა შენობით. გაიყვანდნენ სცენაზე.

საზეიმო სიტყვას ანატოლი ლუნაჩარსკი რომ წარმოთქვამდა, საუკეთესო მჭევრმეტყველი ძნელ თემებზედაც, ამ საღამოს მეტად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდებოდა: ერთი მხრივ — ტოლსტოი, ეს უდიდესი ფენომენი კულტურის, და მეორე მხრივ: კომუნიზმი, რომელიც ტოლსტოიზმს ვერ ეგუებოდა. და ამის გამო საზეიმო სიტყვაში უთუოდ კრიტიკაც უნდა შეჭრილიყო. და როგორ გინდოდა ეს მოგეხერხებინა?

აი ლუნაჩარსკი პირნათლად სძლევდა ყოველგვარ სიძნელეს. ანუ: ფარისეველობის კლასიკური ნიმუში იქნებოდა მისი გამოსვლა თავისი ორმაგობით. გრიგოლი ასე მკაცრად, ანუ უფრო ზუსტად: მიუდგომლად, არ შეაფასებდა — თუ ვერ შეაფასებდა — და მხოლოდღა ამას იკმარებდა: მარქსიზმის მეთოდით მისვლა ტოლსტოისთან მეტად ორიგინალური ფორმებით იყო გაყვანილიო.

— ჩვენ ვაფასებთ ტოლსტოის, — ასე მოათავებდა გამოსვლას ორატორი, — მაგრამ ვიმეორებთ ლენინის სიტყვას: აქედან აქამდე...

შტეფან ცვაიგი აკვირდებოდა ლუნაჩარსკის სიტყვას და: ძალიან მაგარი ორატორი ყოფილაო, — ეჩურჩულებოდა გრიგოლს. შიგადაშიგ სთხოვდა, ზოგიერთი ადგილი გადაეცა. ესეც უთარგმნიდა. ამავე დროს ავსტრიელი თანამოკალმე შენიშვნებს გააკეთებდა: ალბათ ორატორული მანერისა და ხერხის თაობაზე. თანვე რვეულს ფურცლავდა, რათა წარმოსათქმელი სიტყვა ჩაესწორებინა.

მეორე დღეს ცვაიგს დაღლილობა შეეტყობოდა. თვალიერებას დაუწყებდა პროფილებს. და აი ვიღაცას მოჰკრავდა თვალს და... ვეღარც მოისვენებდა:

— შეხედეთ იმ კაცს... რა პროფილია... სწორუპოვარი... გასაოცარი, გასაოცარი...

გახედავდა გრიგოლიც: შავი კაცი აღმოჩნდებოდა, ნამლევა, დიდთმიანი და მოზრდილწვერიანი, მიმქრალი, თითქოს სანთლისაგან ჩამოქნილი, ფერი — ყვითელი პერგამენტი, თვალები — ანთებული. იჯდა თავისთვის: თითქოს თვალღია სიზმარში ყოფილიყოს, სახე ადამიანის, რომელსაც „ამ სოფელთან“ არაფერი დარჩენოდა.

— ბიბლიიდან არის ამოვარდნილი, ან უკეთ: თქვენი „იერემიადან", — მიუგებდა.

და ცვაიგი თვალს ვერ მოაცილებდა ამ ბიბლიურ სახეს...

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის დაკვრისას, ტოლსტოის ძალზე რომ უყვარდა, „დიდი თეატრის" ორკესტრი მართლაც რომ თავს ისახელებდა, შტეფან ცვაიგი სმენად გადაიქცეოდა. შიგადაშიგ ვერ მოითმენდა და აღფრთოვანებით ჩასჩურჩულებდა ხოლმე:

— გასაოცარია, გასაოცარია...

ერთ ალაგას ესეც წასჩურჩულებდა:

— მუსიკა — აი ნამდვილი ხელოვნება...

— შეიძლება ერთადერთიც, — გაისმოდა ცვაიგის სიტყვა.

გამოაცხადებდა ლუნაჩარსკი:

— სიტყვა ეძლევა ავსტრიელ მწერალს შტეფან ცვაიგს.

ისიც ადგებოდა — გაისმოდა ტაშის გრიალი. მივიდოდა კათედრასთან — ტაშის გრიალი გაგრძელდებოდა. ცვაიგი აღელდებოდა და საზოგადოებას თავს დაუკრავდა — გრიალი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. შეხვედრა გადაიქცეოდა ნამდვილ ოვაციად. ასეთი ოვაციით მას ალბათ ევროპაშიც არ შეხვედროდნენ არასოდეს. ცვაიგს ეტყობოდა აღელვება, მაგრამ ისეთი, რომელიც აღფრთოვანებას კიდევ უფრო მეტ ფრთებს ასხამდა.

დაიწყებდა ლაპარაკს. ორატორი არ გახლდათ, მაგრამ გრიგოლს მაინც მოეწონებოდა მისი მეტყველება: ინტიმური, მიმწვდომი. ხმა — ნელი, მშვიდი. არავითარი ჟესტიკულაცია, მხოლოდ წელსა თუ მხრებში იღუნებოდა ხანდახან.

ასეთი თემა შეერჩია: „ტოლსტოი და უცხოეთი". და მაგარი ზოლებითაც გადაშლიდა, თუ როგორი ბარბაროსული ძლევამოსილებით შეიჭრებოდნენ ევროპაში დოსტოევსკი და ტოლსტოი: დოსტოევსკი — ეს ანთებული ნერვი რუსეთის სულის, ტოლსტოი — ეს გაწოლილი ველი რუსეთის სიფართოვის. გახსნიდა ლიტერატურულ კვანძს ტოლსტოისა. გაიხსენებდა ორ „მორალურ გენიას", რომელთაც „სხივად მიიღებდა" ტოლსტოი: დასავლეთში — რომენ როლანს და აღმოსავლეთში — მაჰათმა განდის.

დაასრულებდა სიტყვას. ტაში. გადათარგმნიდნენ — კიდევ ტაში.

შემდეგ ბერნჰარდ კელერმანსაც დიდი ტაშისცემით შეხვდებოდნენ. წაიკითხავდა მოკლე სიტყვას, პოეტურ ფორმებში გამოკვეთილს. ტოლსტოის ფენომენს „ბიბლიურად" დასახავდა. თუმც ფურცლიდან წაიკითხავდა სიტყვას, მაგრამ შთაბეჭდილებას მაინც დიდს დატოვებდა.

გაიხსნებოდა მისალმება. ზეიმი გაგრძელდებოდა. ცვაიგს დაღლილობა დაეტყობოდა.

ოლგა კამენევა, „ვოქსის" თავმჯდომარე, გრიგოლს ჰკითხავდა:

— თქვენ როდის ილაპარაკებთ?

— მწერალთა კავშირში, — მიუგებდა.

ცვაიგი აღარ დაიცდიდა და გამოვიდოდა. ეტყობოდა: „მიღებით" გახარებულიყო. შემთვრალებულს დამსგავსებოდა.

დაიწყებდნენ ქუჩებში ყიალს. მიირთმევდნენ ყურძენს. მიადგებოდნენ „ივერსკაიას". ცვაიგი შეჩერდებოდა. სალოცავი ჩაკეტილი დახვდებოდათ. სანთელი ბუუტავდა. ცვაიგმა იცოდა, რომ ძველად საქართველოს იბერია ერქვა. უკანასკნელიც შეიჭრებოდა სიტყვაში.

გავიდოდნენ „წითელ მოედანზე". გამოჩნდებოდა ლენინის მავზოლეუმი.

— მე უფრო დიდი მეგონა, — იტყოდა ცვაიგი.

მავზოლეუმი აცხადებდა — დამშვიდებით და არა აცეცხლებით — უტეხ სიძლიერეს.

— რომ შეიძლებოდეს ნახვა, — დაიჩურჩულებდა ცვაიგი. იქვე მილიციელი იდგებოდა, რომელიც ეტყოდათ: ნახვა შეიძლება ყოველდღე 5-დან 6 საათამდე, გარდა ოთხშაბათისაო, — და ესენი გაჰყვებოდნენ ქვევით. ცვაიგი დააკვირდებოდა კრემლის კედლებს. მოიწონებდა. მიუახლოვდებოდა „ვასილი ბლაჟენნის" ეკლესიას. დაათვალიერებდა მის აღნაგობას, გაიკვირვებდა: მოეწონებოდა მეტად. შიგადაშიგ წარმოთქვამდა დანელებული აღფრთოვანებით: რუსეთი, რუსეთიო, — და ვეღარ მოითმენდა გრიგოლ რობაქიძე:

— წამოდით საქართველოში და კათედრალებს ისეთს გიჩვენებთ, რომ... ხომ დამპირდით გერმანიაში?

— ჩემი მოსვლა რუსეთში არ არის უკანასკნელი... უთუოდ მოვალ კიდევ... მაშინ აქედან საქართველოსაც ვეწვევი... უთუოდ... ოოჰ, ლეგენდარული სამხედრო გზა საქართველოსი!..

ცვაიგი რომანტიკაში გადაინაცვლებდა.

გამობრუნდებოდნენ. დააკვირდებოდა მაღაზიებს და ფასებს იკითხავდა. ხეტიალით დიდხანს იხეტიალებდნენ.

11-ში დილით ტოლსტოის მუზეუმი გაიხსნებოდა, მაგრამ გრიგოლი ვერ დაესწრებოდა, გარემოება გამოუვარდებოდა ისეთი.

სამის ნახევარზე „გრანდ-ოტელში" შეივლიდა და სასადილოში, მაგიდის გარშემო დახვდებოდნენ: ცვაიგი, ბორის პილნიაკი, ტიციან ტაბიძე და დოქტორი ტოკერი, ვენიდან. ომის დროს ტყვედ ჩავარდნოდა რუსებს და რუსული ენაც მაშინ ესწავლა.

გაისეირნებდნენ. თეატრალური მოედანი, ამჟამად სვერდლოვის. „პეტროვკა". აუხვევდნენ. ლენინის ინსტიტუტი. დაადგებოდნენ „ტვერსკაიას". პუშკინის ძეგლთან შორიახლო შეჩერდებოდა ცვაიგი და იტყოდა:

— ჰოო, რომ ვიცოდე რუსული ენა!.. პუშკინის თარგმნა შეუძლებელია...

— ენები ბევრი იცით და რუსულსაც მალე ისწავლით, — შეაგულიანებდა გრიგოლი.

ცვაიგი გაიღიმებდა. მართლაც მან კარგად იცოდა — გერმანულის გარდა რასაკვირველია — ინგლისური, ფრანგული და იტალიური, და რამდენადმე — ესპანურიც.

რამდენიმე წუთით ბორის პილნიაკთან შეივლიდნენ: ყავაზე. ჰკითხავდა გრიგოლი სტუმარს ერთ საშუალო მწერალზე:

— ნათესავი თუ არის თქვენი არნოლდ ცვაიგი?

და პასუხად:

— არა, მოგვარეა უბრალოდ... ახლახან შესანიშნავი რომანი გამოუშვა: „ტრაგედია ჯარისკაცის"...

ეს შეატყობდა: ცვაიგი თავმდაბალია და არ ახასიათებს შურიო.

საათის თორმეტზე, ღამით, „გრანდ-ოტელთან“ შეიკრიბებოდნენ. და გაემგზავრებოდნენ კურსკის სადგურისაკენ. აქვე ნახავდა ახალჩამოსულ სანდრო ეულს, დელეგატად გამოგზავნილს ჩვენი ფედერაციისაგან. აბა ვის გამოგზავნიდნენ!.. ნახავდა ტიციან ტაბიძესაც. ღამის 1 საათზე გავიდოდნენ „იასნაია პოლიანასაკენ“... მატარებელს მიაბამდნენ სამ ვაგონს — წამსვლელთათვის. ვაგონები გადაივსებოდა უცხოელებით. მათ შორის: მოსკოვში მყოფი დიპლომატიური წარმომადგენლებით. კელერმანი არ აღმოჩნდებოდა მათ შორის, რაკიღა ხვალ უკან უნდა გაბრუნებულიყო.

ერთ კუპეში იქნებოდნენ: შტეფან ცვაიგი, ამერიკელი სწავლული დენა, სპარსი ლიტერატორი და გრიგოლ რობაქიძე. ამერიკელის ხნოვანებას ვერ გაიგებდით: სახე ახალგაზრდული ჰქონდა, ხოლო ნაოჭები გადაჰკვროდა ობობას ქსელივით. მხიარული კაცი გამოდგებოდა. კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურაზე ნიუ იორკში, ოღონდ ლიტერატურაზე: 1918 წლიდან. იცოდა მრავალი ენა — ყველა სუსტად, რასაკვირველია ინგლისურის გარდა. სპარსი ჩუმად იჯდებოდა, გამტკნარებული. ევროპული ენები არ გაეგებოდა და ცოტაოდენი რუსული კი იცოდა.

ეტყოდა ცვაიგი:

— ხვალ ბარათი გავუგზავნოთ რომენ როლანს იასნაიადან...

მიუგებდა გრიგოლი:

— მაგას რა აჯობებს.

12 სექტემბერს, დილით გამოაღვიძებდნენ ტულის სადგურთან. ანატოლი ლუნაჩარსკი შემოიხედავდა მათ ვაგონში და ხალისით შემოსძახებდათ:

— აქ მთელი ინტერნაციონალი ყოფილა: ევროპა, აზია და ამერიკა.

იცინებდნენ.

გავიდოდნენ საუზმისათვის სადგურზე. კინოაპარატი მოსვენებას არ მისცემდათ. ფოტოგრაფები ჭამასაც არ დააცლიდნენ.

ცვაიგი ყველას ავტოგრაფს სთხოვდა. ეს ჰკითხავდა:

— რად გინდათ?

და პასუხად:

— ნანახი უფრო გამახსენდება.

გაემართებოდნენ „იასნაიასაკენ“ იმავე ვაგონებით. ჩავიდოდნენ დილის შვიდ საათზე. „იასნაიას სადგურიდან“ ავტობუსებით მივიდოდნენ თვითონ იასნაიაში, რომელიც წვიმითა და ტალახით შეეგებებოდათ.

დღესასწაული დაიწყებოდა ორსართულიანი სკოლიდან. შეიკრიბებოდნენ დარბაზში. ერთ-ერთი გამომსვლელი აღმოჩნდებოდა ის კაციც, რომლის პროფილიც ასე გააოცებდა ცვაიგს. ტოლსტოველი ყოფილიყო: შოორ-ტროცკი. და განაცხადებდა:

— არ კმარა სკოლა ტოლსტოის სახელობისა იყოს, საჭიროა მოსწავლეებს ასწავლოთ ის, რასაც ტოლსტოი ასწავლიდა.

მის პასუხად ალექსანდრა ლვოვნა, ნამდვილი ნაშიერი ტოლსტოისა: ველური, უტეხი ძალით — იტყოდა:

— ლევ ნიკოლაევიჩი წინააღმდეგი იყო ომის. საბჭოთა ხელისუფლებას, მამას პატივისცემისათვის, ამ სკოლაში არ გაჰყავს „ვოენიზაცია“. ამას გარდა: თუმც ლევ ნიკოლაევიჩი წინააღმდეგი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის, მას ღმერთი სწამდა მაინც. საბჭოთა ხელისუფლებამ აქაც დაუშვა გამონაკლისი: სკოლაში ათეიზმისაკენ არ ხრიან ბავშვებს.

როდესაც ამ განცხადებას გადათარგმნიდნენ, იგრიალებდა უცხოელთა ტაში. და ცვაიგიც გაიძახოდა:

— შესანიშნავია, შესანიშნავი!..

ლუნაჩარსკი წამსვე იგზნებდა, რომ ამ განცხადებას განმარტება ესაჭიროებოდა, და მყისვეც გამოჰკვეთდა. ამ „განმარტებას“ ყველა შეიტყობდა გაზეთებიდან. და გრიგოლი აღიარებდა: ასე უცბად, ასე მოჭრილად, ასე მოზომილად, ასე გონივრულად, ასე გულწრფელად — განმარტება ორატორისა ძვირად მსმენიაო. და შტეფან ცვაიგიც გაოცდებოდა ამ განმარტების მოხდენილობით და: ნამდვილი ორატორიაო, — წაილაპარაკებდა.

სხდომის შემდეგ დარბაზიდან გამოსულებს კიბესთან შეაჩერებდნენ: გახსნიდნენ ქანდაკებას ტოლსტოისა — გოლიათს, თაბაშირისაგან ჩამოსხმულს.

გაემართებოდნენ სასადილოდ იქვე, სკოლასთან, მაგრამ მისვლა არ გინდოდა?! ტალახში კოჭებამდე ეფლობოდნენ. მიაღ-

წევდნენ ბოლო-ბოლო და დასხდებოდნენ. შტეფან ცვაიგს სოფია ესენინა, უკანასკნელი ცოლი პოეტისა, მოუჯდებოდა მარჯვნიდან, მის მარჯვნივ კი გრიგოლი მოთავსდებოდა. მის გვერდით — სოფია ანდრეევნას დედა. ესენინის ქვრივი ტოლსტოის ძის ასული გახლდათ — ანდრეის. ტოლსტოის ოჯახობა ცვაიგს ინგლისურად გაუბამდა საუბარს. გაახსენდებოდა გრიგოლს ილია ნაკაშიძე და მოაგონებდა ტოლსტოის ოჯახობასაც მის სახელს. გაეხარდებოდათ და ძალიანაც გაეხარდებოდათ მისი ხსენება. ალექსანდრა ლვოვნა მთლიანად აფორიაქდებოდა სიყვარულით, სოფია ანდრეევნას დედისა არ იყოს, და: ჩვენი ილია, ჩვენი ილიაო, — მოჰყვებოდა ძახილს.

როდესაც ადგებოდნენ, აჩვენებდნენ ტოლსტოის მზარეულს, რომლის მამაც ყმა ყოფილიყო მწერლისა, ისიც მზარეული. აჩვენებდნენ ტოლსტოის მეეტლესაც და ერთ გლეხსაც. ცვაიგი მიაჩერდებოდა მათ და მოუბრუნდებოდა გრიგოლს:

— ესენი „პირები" აღარ არიან, არამედ „ხატები".

თან ღიმილად გადაიქცეოდა. ალექსანდრა ლვოვნა კი თავს მოევლებოდა სტუმრებს.

გაემართებოდნენ ტოლსტოის სახლისაკენ. ტალახი საშინელი იქნებოდა და კიდევ კარგი, რომ წვიმა გადაიღებდა. უნდა გეცქირათ ევროპელებისათვის, როგორ მიდიოდნენ ამ ტალახში დაკარწახებულნი. და ცვაიგი რომ ჩაურთავდა:

— არაფერია, ტოლსტოის მიწა უნდა წავიღოთ თან.

გამხნევდებოდა და იხალისებდა. აივლიდნენ ნიგვზების ხეივანს. ნახავდნენ პატარა ტბას. იქვე ახლოს — სკამს, სადაც ტოლსტოის დედას ჰყვარებოდა განმარტოება. გვერდს აუვლიდნენ მწერლის სახლს და გზას გაუყვებოდნენ პირდაპირ სასაფლაოსაკენ. მოშორებით გახლდათ. ტალახი მატულობდა. ხალხიც. მხოლოდ ხრიალი კლებულობდა, ხმამაღალი ლაპარაკიც. ჩურჩულითღა მიუახლოვდებოდნენ საფლავს. იქ ჩურჩულიც შეწყდებოდა და მზეც გამოანათებდა.

ხედავდნენ ტყეში, სადაც ბავშვობისას ტოლსტოი და მისი ძმა „მწვანე ჯოხს" დაეძებდნენ კაცობრიობის გასაბედნიერებლად — საფლავს. თითქოს ახლა დაუმარხავთო — არავითარი ძეგ-

ლი, არავითარი ქვა, არავითარი ჯვარი, მხოლოდღა მიწა, მარტოდენ მიწა.

სუნთქვა შეეკვროდათ უძირო შთაბეჭდილებისაგან: თითქოს პანი მომკვდარა და ამ საფლავიდან შერთვია მთელ მიდამოსო.

ტყე თითქოსდა იშმუშნებოდა. ცვაიგი გაშტერდებოდა და ჩაიჩურჩულებდა:

— ქვეყანაზე ეს პირველი საფლავია ასეთი.

საფლავს გისოსი შემოვლებოდა — კარგა მანძილზე.

— აქ ყველას შეუძლია შესვლა? — ჰკითხავდა ცვაიგი ვიღაცას. და პასუხად სრული თანხმობა. და გაკვირვებული დარჩებოდა ავსტრიელი მწერალი. გისოსთან წარწერას გრიგოლი უთარგმნიდა:

— დაზოგეთ ხეები, რომლებიც ასე უყვარდა ტოლსტოის.

ცვაიგს სახე შეეცვლებოდა.

სამარეზე სიტყვას რომ წარმოთქვამდა პოეტი კირილოვი — მხოლოდღა ჩურჩულით.

გამობრუნდებოდნენ და ცვაიგი ყოველ ფეხის გადადგმაზე შენიშვნებს ჩაიწერდა. დააკვირდებოდა ყოველ ხეს, ყოველ ხვეულს. გზის პირას დიდ ხეს დაინახავდნენ, მუცელგაფატრულს — ალბათ მეხით. და ახლა გრიგოლი დაიჩურჩულებდა:

— ტოლსტოის ჰგავს.

გამვლელი მიუთითებდათ:

— ტოლსტოი რომ დაიბადა, ეს ხე ერთიბეწო იყო.

ცვაიგი ღია ბარათს დაწერდა რომენ როლანის სახელზე. გრიგოლსაც მოაწერინებდა ხელს და სხვებსაც — რამდენიმეს. ნათქვამი იყო:

— თქვენი არყოფნა აკლია იასნაია პოლიანას.

მივიდოდნენ სახლთან და დაუწყებდნენ თვალიერებას. მათ ჯგუფს ხელმძღვანელობდა თვითონ ალექსანდრა ლვოვნა:

— აქ დაიწერა „ანა კარენინა“, ამ ტახტზე დაიბადა ლევ ნიკოლაევიჩი, და ყველა ტოლსტოიც და მეც, ეს სურათია ჰენრი ჯორჯის, რომელსაც ტოლსტოი ასე აფასებდა, აქ ეძინა, აქ მუშაობდა, აქ...

შტეფან ცვაიგი იტყოდა გაკვირვებული:

— ყველაფერში გადამეტება უყვარდა ტოლსტოის... აბა რა მდიდრული ცხოვრებაა ეს?! თავს კი აყვედრიდა: სხვები ასე ღატაკად ცხოვრობენ და მე კი მდიდრულადო...

და მართლაც მისი სახლი რუსული „ხორომი“ გახლდათ უბრალო: საშინელი სისადავე და სასტიკი სიმარტივე. არავითარი აღნაგობა რთული. უბრალოება, უბრალოება — ყველაფერში. არავითარი „სითბო“ ამ სახლს არ გააჩნდა, არავითარი „უიუტის“ ნასახი.

ცვაიგი ამასაც აღნიშნავდა: რჩეული ნივთების გვერდით უგემურ ნივთებს.

ალბათ ტოლსტოის უსაზღვროებაში ყველაფერი შედიოდაო, — ისიც ამას გაიფიქრებდა და გრიგოლიც.

მუზეუმში ყველაფერი დაეგროვებინათ, რაც კი ტოლსტოის ეხებოდა, თუმც სისრულით ჯერაც არ მოგვარებულიყო ისე, ამ რანგის შემოქმედს რომ შეჰფეროდა. მოსვენებით სკოლის ქვედა სართულში მოისვენებდნენ. საღამოს გაიმართებოდა კითხვა ჰოლსტოის ნაწერებიდან, სიმღერები, ცეკვა, დაკვრა — კვლავ ბეთჰოვენი.

დაიღლებოდნენ და ვაგონებს მიაშურებდნენ. ამაღამ მოსკოვს უნდა გაბრუნებულიყვნენ. „იასნაია პოლიანა“ დატვირთავდათ შთაბეჭდილებით: ქვასავით. ტოლსტოი ხომ დიდი გახლდათ ხევში დავარდნილი მთა-ლოდივით: მისთვის თუ იყო ცივი. ოდნავ უგლიმიც. და ყველა რომ იგზნობდა დაქანცულობას — არამარტო ფიზიკურს.

როგორც იქნა სძლევდნენ „იასნაია პოლიანას“ ტალახს. საღამოს 10-ზე უკვე შეიკრიბებოდნენ სადგურთან და დაიწყებდნენ ფეხსაცმელების წმენდას. ზოგი ამისათვის წყალსაც მიმართავდა. ვაგონებშიც დალაგდებოდნენ და დასაძინებლადაც გაემზადებოდნენ. ცვაიგი მისდებდა თავს თუ არა, წამსვე დაიძინებდა.

— მე ნომადი ვარ, — ეტყოდა შემდეგ, — სადაც გინდა, იქ დავიძინებ.

ტულაში ჩასულებს განთიადამდე მოუწევდათ ცდა. მათი ვაგონები მაგისტრალის მატარებლისათვის უნდა მიებათ. გრიგო-

ლი ვერ დაიძინებდა: გაჩერებულ მატარებელში ძილი ეძნელებოდა. როცა კი აიძვროდა, ძილიც წამსვე ეწვეოდა.

სექტემბრის 13-ც დადგებოდა და... უკვე მოსკოვისაკენ მიექანებოდნენ.

გრიგოლი დაიღლებოდა უძილობით. ცვაიგი მაგრად გამოიძინებდა და ახლა დასცინებდა კეთილი ღიმილით:

— ასე უნდა დაიღალოთ?! და მერე: ქართველი?..

ამას აბა რა ეპასუხა. ცვაიგი კი დაიწყებდა ევროპელის ჭირვეულობას:

— გუშინ თურმე ნაშუადღევის ხუთ საათზე შეგვეძლო გამოსვლა იასნაიადან: მატარებელი ყოფილა. რომ გვცოდნოდა! ახლა მთელი დღე დავკარგეთ. რა დრო დავკარგეთ!

და წამდაუწუმ გაიმეორებდა: რა დრო დავკარგეთ და რა დრო დავკარგეთო!..

ამერიკელი პროფესორი დენა იღიმებოდა. იგი დროს არასოდეს ჰკარგავდა: საცა უნდა ყოფილიყო, დროს მაინც იყენებდა. ახლაც: გადაეშალა რვეული და რაღაც ნიშნებს სახავდა. სპარსი თვლემდა: იგი ნირვანაში გადასულიყო და დროდაკარგულს ანკი რაღად უნდოდა დრო?!.

ამ დეტალში, თითქოსდა ყოფითსა და სრულიად ჩვეულებრივში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეუთავსებლობა დაიხატებოდა — დროის შეგრძნების ორი პოლუსი: ავსტრიელს დრო არა ჰყოფნის, რადგანაც ყოველი წუთი და წამიც კი ეძვირფასება და ენანება, სპარსელს კი — თავზესაყრელად აქვს და საათებისა და დღეების ჩაქროლებაც სრულიად არ ანაღვლებს.

ცვაიგი კუპედან კუპეში გადავიდოდა. აქ მრავალი მანდილოსანი იმყოფებოდა დიპლომატიური წრიდან. იბაასებდა, იმასლაათებდა, გაართობდათ. ამ მხრივ მას შეუდარებლად აღიარებდა გრიგოლ რობაქიძე. ხანდახან თავის კუპეშიც შემოიხედავდა. აიღებდა ხოლმე სათუთუნეს და ეგვიპტის პაპიროსებს მიაწვდიდათ.

შიგადაშიგ ჩაერთობოდა ლიტერატურული საუბარიც. გრიგოლი შეატყობდა, რომ ცვაიგს აგრერიგად არ უყვარდა ლიტერატურაზე ბაასი. და თავისთვის ასე ახსნიდა: ეგებ იმის გამო,

რომ ახალ ქვეყანაში მოსული გართულია სხვა შთაბეჭდილებით — მრავალნაირითო. მაგრამ მაინც: ხანდახან ლიტერატურასაც უბრუნდებოდა. და გამოთქვამდა თავის შეხედულებებს მწერლებზე.

რომენ როლანი იყო და: აფასებდა ყველაზე მეტად. მოწიწებით ეხებოდა მის სახელს. ატყვევებდა მისი მორალური გენია. — საკვირველიაო, — დასძენდა, — ვინც მებრძოლია და იწვის, სწორედ მას არ აძლევს ბუნება ფიზიკურ ძალას. როლანი ავადმყოფია. ბარბიუსიც ასეთია: იბრძვის და იწვის, იფერფლებაო.

მარსელ პრუსტი იყო და: შესანიშნავი მწერალია. მისი ფსიქოლოგიური ანალიზი შეუდარებელია. შლის და ჰფენს შემეცნების ფარდებსო.

— მაგრამ ხანდახან მოსაწყენია, — ჩაურთავდა გრიგოლ რობაქიძე.

— ჰოო, ესეც მართალია: ხშირად მისი ანალიზი მკვლევარის დეტალიზმია, — გაიღიმებდა შტეფან ცვაიგი.

— როგორ მოგწონთ მიგელ დე უნამუნო, ესპანელი მწერალი, ტომით ბასკი? — ჰკითხავდა გრიგოლი და ცვაიგი წარბს შეიკრავდა:

— საინტერესოა, ძალიან საინტერესოც, თუ გნებავთ, მაგრამ — მეტი არაფერი.

ჩამოვარდებოდა ბაასი თანადროულ ფრანგულ ლიტერატურაზე.

— ვინ არის ყველაზე უფრო გამოჩენილი?

— საფრანგეთში ამჟამად ბევრი კარგი მწერალია, — იტყოდა ცვაიგი დაფიქრებით, — მაგრამ მთელი არცერთი არ არის, — რასაკვირველია როლანის გამოკლებითო, ჩაურთავს გრიგოლი, — ეს ცვაიგისათვის იმთავითვე ნაგულისხმევიაო, — თვითეული რაღაც ერთი მხრით არის ძლიერი.

ისაუბრებდნენ სტილზე.

გრიგოლი წამოაყენებდა ანდრე სიუარესს, როგორც უკანასკნელ დახვეწას ლათინთა გენიის სტილისა. სხვათა შორის სიუარესი როლანის სკოლის ამხანაგი ყოფილიყო. ცვაიგი დაეთანხმებოდა და თანვე დასძენდა:

— ამ მხრივ უფრო ძლიერია დიულტე.

გრიგოლი ასე ჩაინიშნავდა თავის დღიურში, ოღონდ დაურთავდა: გვარი კარგად ვერ გავიგონე, ამ მწერალს არ ვიცნობო.

საუბარში შემოიჭრებოდა „რომანი-ბიოგრაფიის" თემა და თანვე ანდრე მორუას სახელი.

— არ მომწონს, — იძახებდა ცვაიგი, — დიზრაელს ვერ მიანიჭა დრამატული სიდიადე, — თან ადამიანურ მხარესაც აღნიშნავდა ავტორისა — არ ეჭაშნიკებოდა და არა.

უეცრად თავის მეგობარს გაიხსენებდა — ჯეიმზ ჯოისს, გრიგოლს „ჯონ" რომ მოესმოდა და ასეც ჩაინიშნავდა.

— „ულისეს" ავტორი? — ჰკითხავდა.

— დიახ: გენიალურია.

— მე წავიკითხე „ულისეს" რამდენიმე ნაწყვეტი, ნათარგმნი გერმანულად. გენიალური ვერა-რა ვნახე შიგ.

— არა, ინგლისურად უნდა წაიკითხოთ. ჯეიმზ ჯოისის გენიალურია ენის მხრივ. ისე კი „ულისე" ქაოტურია მეტად.

ანდრეი ბელი რომ იცოდეს ცვაიგმა ამ მხრივ, — გაიფიქრებდა გრიგოლ რობაქიძე, ჯეიმზ ჯოისი როგორ შეედრება მასო!..

მაგრამ ანდრეი ბელიზე თავისთავად ჩამოვარდებოდა ბაასი. ცვაიგი რუსეთის ახალი ლიტერატურიდან პირველად ანდრეი ბელის „ვერცხლის მტრედს" რომ გაიხსენებდა. — მშვენიერია, მშვენიერიო, — გაიმეორებდა და გაიმეორებდა. ავტორებში პირველად ალექსანდრ ფადეევსა და ბორის პილნიაკზე შეეკითხებოდა.

ნაშუადღევის 1 საათზე უკვე მოსკოვში ამოჰყოფდნენ თავს. ისადილებდნენ და ცვაიგი წავიდოდა მუზეუმების დასათვალიერებლად.

* * *

ტრეტიაკოვის გალერეაში ნახავდა ნიკო ფიროსმანიშვილის ერთ ნახატსაც. ძალიან მოეწონებოდა. გრიგოლი თბილისში რომ ჩამოვიდოდა, ჩვენს სახელგამს სთხოვდა, ცვაიგისათვის გაეგზავნა ცნობილი მონოგრაფია ფიროსმანზე. სახელგამი გადასცემდა უკანასკნელ ეგზემპლარს, რომელსაც გრიგოლი მაშინვე

გაუგზავნიდა ავსტრიელ თანამოკალმეს და ამ ბარათსაც მიადევნებდა, 27 სექტემბრით დათარიღებულს.

აცნობებდა, რომ:

აბრაამ ეფროსისაგან — ხელოვნებათმცოდნეც რომ გახლდათ, ლიტერატურათმცოდნეც, პოეტიც და მთარგმნელიც — მოსკოვშივე შეეტყო, ცვაიგს ძალიან რომ მოსწონებოდა ჩვენი სახალხო მხატვრის ფიროსმანის ნახატი. და აი უგზავნიდა წიგნს ამ ქართველი პრიმიტივისტის შესახებ...

ეს განწყობაც როგორ არ გამოეთქვა:

ტოლსტოის დღეები — განსაკუთრებით იასნაიაში — ჩემთვის დაუვიწყარი იქნება: ისინი თქვენს სახელს დაუკავშირდა. თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ პოეტი შტეფან ცვაიგი ადამიანური კუთხით ახლოს გავიცანიო...

მოუთმენლად მოელოდა „გველის პერანგს“ გერმანულად — ცვაიგის წინასიტყვაობით...

მისი მეუღლე გულითად მადლობას უხდიდა წიგნისათვის ტოლსტოიზე.

და მოკლე ბარათს იმ იმედოვნებით დაასრულებდა:

ერთხელ საქართველოშიც ჩამოხვალთო.

საპასუხო ბარათს რომ მიიღებდა, ცვაიგი მოიწერებოდა დიდ მადლობას.

ფიროსმანს უწოდებდა: დიდ ფიროს.

მისგან გამოწვეულ შთაბეჭდილებას: გასაოცარს.

და დასძენდა:

— მე მგონია, ევროპისათვის ის აღმოჩენა იქნება.

„მაშ არადა!“ — რაღაც ამგვარს უსათუოდ გაიფიქრებდა გრიგოლ რობაქიძე.

და თვითონ ეს სადამდე აზიდავდა ნიკო ფიროსმანის სახელს, ეს სადამდე ატყორცნიდა, რარიგ გაასიმბოლოვებდა და შარავანდითაც შემოსავდა.

მაგიური ხაზებიო, — ზოგადად რომ აღნიშნავდა ქართული სულიერების გააზრებისას, მერე რაოდენობასაც დააზუსტებდა, — რვა ხაზი გენიალურიო.

ამ მაგიურ და გენიალურ ხაზებში უნდა გახსნილიყო ქართული კულტურა და კომპოზიციური ქარგაც და არქიტექტონიკაც მათ უნდა შეედგინათ წიგნისა „საქართველო".

რა ხაზები იგულისხმებოდა და:

დიდი თამარ — წაზრდა სინამდვილის. ლეგენდა ყვავილებით. კულტი მარადი ქალწულობის თუ ქალურობის. ღვთიურობის ლარნაკი. იისფერი თვალები.

წმინდა ნინო — ასული უცხო. ჯვარი ვაზის. ჯვარი თმით ქალისა (ნინოსი თუ მარიამის). უნივერსალური სიმბოლო. ჯვარი: ტანჯვა. ლარნაკი: ყვავილობა. თმა: სიტკბოს სირბილე. თემა ახალი ჰიუსმანსის. მარადი ნუგეში.

გიორგი მერჩული — აღწერა წმინდა მამის გრიგოლ ხანძთელისა. ქრისტე და პანთეისტური დარბილება: ახალი მიწა. გენია ქართული სიტყვის. რასიული სიწმინდე ფორმების. პრობლემა ქართული რენესანსის.

შოთა რუსთაველი — ლექსის თაური. უცნაური: ყოველთვის პრობლემა. წვალება. ბოლოს და ბოლოს? ფარდის უკან გახედვა.

თეთრი გიორგი — ღმერთი და ქალური ხაზი. ქართული დიონისე. სათნო პროფილი. ქაშვეთი. ლოცვა და სინაზე. თეთრი ქვები.

გიორგი სააკაძე — გმირი შემმართებელი. ვერდატეული საქართველოში. გადავარდნა და მოვარდნა. ხმალი გადატეხილი. არმიღება ემპირიული საქართველოსი. სიყვარული შორეულის. ბერი იოვანე.

ვაჟა-ფშაველა — ბარბაროსი, რომელშიაც გენიამ გაიღვიძა. მუდამ უსინათლო ჰომეროსი: თვალღია ზმანება. ქართული მითოსი. გველის-მჭამელი.

და ამ ფონზე ჩნდებოდა ნიკო ფიროსმანის სახებაც — ველური ბავშვი. მიწა დედა. დაუმშრალი ძუძუები. ქართული ხედვა.

ამჯერად მხოლოდ ფიროსმანს დაუკვირდებოდა, ფიროსმანს ჩაუღრმავდებოდა, მოკლე ექსკურსით რომ უნდა მიეახლოვებინა მკითხველი მისი პიროვნებისათვის.

ევროპის კულტურას ახასიათებდნენ: ჰამლეტის მოწყვეტილობად და ფაუსტის ლტოლვად. ევროპაში თითქოს გამქრალიყო მიწის საშო. შვილი მოწყვეტოდა მშობელს და თვითონ უშვილო

გახლდათ. მიწის სიკვდილს თანსდევდა მარტოობა უკანასკნელი და ევროპის გუნება უმთავრესად მელანქოლიური გამხდარიყო. და აღარ ეჩვენებოდა საკვირველად გრიგოლს, თუ იქ დაიბადებდა სასტიკი წყურვილი პირველყოფილისა ანუ პირველ-მიწისა.

ეს წყურვილი გაუხსნიდა გზას რაბინდრანათ თაგორს დასავლეთის წიაღში შესაღწევად.

და ამავე წყურვილს უნდა გაეხსნა გზა გრიგოლ რობაქიძისთვისაც დასავლეთის წიაღისაკენ.

ალღოთიც გრძნობდა დასავლეთის სამყაროს ამ განწყობილებას ქართველი მწერალი, ერუდიციითა და ლოგიკური ანალიზითაც ჩაწვდებოდა ევროპული ცხოვრების დენას ამ მიმართულებით, და „გველის პერანგის“ გამოცემაზე ამიტომაც დაამყარებდა ასეთ დიდ იმედებს.

ჯერ უტრიალებდა ნიკო ფიროსმანის ფენომენს, პირველყოფილის წყურვილი კი ძალაუნებურად ამოზიდავდა ჟან-ჟაკ რუსოს სახებასაც და მის მოწოდებასაც: დაბრუნება ბუნებასთან.

თუმც... ეს მოწოდება სანტიმენტალური იქნებოდა.

და ლევ ტოლსტოი რომ მოუხმობდა გაუბრალოებისაკენ?

თუმც... ეს მოხმობა რაციონალისტური იქნებოდა.

ხოლო უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა ორი მოვლენა:

პოეტი პოლ კლოდელი გაემგზავრებოდა ჩინეთში და აღმოსავლური სიცოცხლის რიტმით გაანოყიერებდა თავის პოეტურ ხედვას.

და მხატვარი პოლ გოგენი ჩავიდოდა ტაიტზე და ველურებში ეზიარებოდა მიწის სიქალწულეს.

ორივეს შემოქმედებაში დაიწყებოდა ახალი დენა, რომელიც წარიმართებოდა გზით: პრიმიტივიზმი სირთულეს გაივლიდა შემდგომ: აქ სუფევდა რაღაც იმგვარი, რაც ჯერ მიუღწეველი იყო და კიდევ გამოსაცნობი რჩებოდა.

ყოველ შემთხვევაში ევროპა შეიცნობდა, რომ:

„ველურობა“ არ გახლდათ უბრალო რამ, „ველური“ პირველ ყოვლისა ბავშვი იყო და ბავშვთან კი ყოველთვის არის ღმერთი.

— ყოველს მის ნაკვეთს აზის ბეჭედი „პირვანდელის“, უეჭვოსი, პირდაპირის, სწორის. აქ არის პირველთქმა, აქ არის გულ-

გახსნილობა, აქ არის ღმერთის სიახლოვე. ამისთვისაა, რომ ველურის ქმნილი ასეთი მძაფრი ექსპრესიით მოქმედობს: როგორც დიდი ლოდი, როგორც წყარო მაჯის სიმსხო, როგორც ირემის ნაყარი რტოები.

უკვდავი ჰომეროსი რჩებოდა მარად ბავშვად და მარად ღმერთად.

და როგორ უნდა აღგვექვა თევზის ძვალზე ველურის მიერ გამოჭრილი შველი თუ მამონტი?

როგორ და: პირველ სიუხვედ შემოქმედების მოხეთქილი ჟინის.

და ცხადი და უცხადესი გახლდათ, რომ ამ სიქალწულეს დაეწაფებოდა ევროპის ხელოვნება.

ეს არ შეიძლება შეფასებულიყო სირთულის „მოყირჭებად“, როგორც ბევრს ეგონა, არამედ: უკანასკნელი გულახდის ნდომად და გადნობისა მსოფლიოში შვილურად: ბოლოს და ბოლოს ნდომად ზეკაცად ქცევისა.

პრიმიტივიზმის გაძლიერებისათვის არქეოლოგიურ აღმოჩენებსაც უნდა შეეწყოთ ხელი: აგერ კრეტის კულტურა შთაგონებად გადაიქცეოდა ევროპული ხელოვნებისათვის.

— მართლაც გადასარევია, რომ იხილო სამაჯური, რომელიც, ვინ იცის, შესაძლოა მშვენიერ ჰელენეს ხელს ამშვენებდა.

გადასარევიაო...

ისეთ რაიმეს წარმოიდგენდა: თვით მშვენიერი ელენეს ხელს — მის მომაჯადოებელ ხიბლში გახვეულ გრიგოლ რობაქიძესაც ულალატებდა ჩვეული თავშეკავება და ისე აენთებოდა და ამღელვარდებოდა, ამ განცდის გამოხატვასაც აღარ მოერიდებოდა.

კრეტის კულტურის რომელიმე ნაშთი არ გახლდათ ისეთი სისრულისა, როგორც პრაქსიტელეს ჰერმესი?

სამაგიეროდ მასში ბავშვის ხელი ღმერთით მოქნეულიყო: უდარდელი და სწორი.

აქ იგრძნობოდა მომაჯადოებელი დენა ქმედითი ენერგიისა, რომელშიაც მოჩანდა ძველი ეგვიპტეცა და გარდასული ქალდეაც.

ამ ფონზე უნდა გაელვებულიყო ქალდეაც, თუმც ამჯერად აღარ გაჰყვებოდა მისი კვალის ძიებას, რაკიღა საამისოდ სხვა დროს დაიგულებდა, უფრო შესაფერისს მსჯელობის გასაშლე-

ლად სიღრმეებისა და სიღრმეებისაკენ, და... ისტორიის მიღმა გადასახედადაც.

ხოლო თვითონ კრეტა გადარჩენილ კუნძულად რომ იგულვებოდა კატასტროფულად დაღუპული ატლანტიდისა, მის მოხსენიებასაც საგანგებოდ დაისაჭიროებდა, როგორც ქართული მოდგმის ერთ-ერთი პირველსაცხოვრისისა.

ამის გაცხადების დროც დადგებოდა, ისტორიის მიღმა როდესაც გადაიხედებოდა თვითონაც და გადაახედებდა მკითხველსაც: ქართველსაც, ევროპელსაც და... მთელს კაცობრიობასაც...

ამასობაში კი მოკლე ექსკურსიც უნდა ამოთავებულიყო და გამოჩენილიყო ესეის მთავარი გმირი, პრიმიტივისტად მოხსენიებული, ოღონდ იქვე რომ დასძენდა გრიგოლი: არა იმ აზრით, როგორც მაგალითად პოლ გოგენიო.

და ეს იმიტომ, რომ:

მას არ ეგემნა კულტურა, არ გაევლო რომელიმე სკოლა. საეჭვო იყო, რომ რაიმე ტექნიკა შეესწავლა ხაზვისა თუ ხატვის. და მითუფრო საცნაური გახლდათ მისი ფენომენი, იმ ფიროსმანის, რომლის ხატულიც ამ რიგში უნდა დაგვენახა: ეგვიპტის უსახელო ფრესკა, აფრიკის რომელიმე კერპი, ეტრუსკული ლარნაკი. და მაშინ მისი ხილვა გამოსცემდა ნამდვილ შთაბეჭდილებას.

მთავარ მოტივად მის შემოქმედებაში გამოარჩევდა ქართულ „მიწას", და ვერც გამოეხმო მეორე სახელი, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასე ეგრძნო ამ მიწის „დედობა".

დღეობა, ღრეობა, ყურძნის კრეფა, ქათმები, ბავშვები, ცხოველები, კალო — აქ გახლდათ ნამდვილი ფიროსმანი, და აქ იგრძნობოდა ქართული ტემპერამენტი: ხალასი, მზით დაფერილი. აქ არსად მოიძებნებოდა მელანქოლია, და მარტოდენ სიცოცხლე სუფევდა: ხალისით, გულახდით, ნადიმით.

— ნიკო ფიროსმანის პრიმიტივი არის უკანასკნელი „უშუალობა".

დაწერდა ამას და მკითხველს დაუბეჯითებდა: ეს არ არის ფრაზა, არამედ ონტოლოგიური ფაქტიო.

და დაე ისიც გვცოდნოდა, რომ: ზეკაცობა თუ ღვთიურობა მხოლოდ ასეთ „უშუალობაში" ვლინდებოდა. ამიტომაც იწვევდა

ასეთ მძაფრ ექსპრესიას ფიროსმანის ხატულის ხილვა. ბავშვი ბატებთან, კრუხი წიწილებით, კალო — რომელი ერთი ნახატი ჩამოეთვალა, ყველა ეს შთაგონების სხეულყოფად წარმოგვიდგებოდა თვითონვე: აქ თითქოს მოსპობილიყო შუა გზა შთაგონებასა და მის განსხეულებას შორის.

— ფიროსმან აქ ველურია და თან ნამდვილი ბავში. საკვირველი არაა, თუ ღმერთიც მასთან არის. ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი.

შესაძლოა ბევრი გეთქვა ფიროსმანის ხატულზე, როგორც სწორედაც „ხატულზე“: ფაქტურა იქნებოდა, კომპოზიცია, მური, ტონი თუ სხვა, მაგრამ არცერთი ეს არ გახლდათ „კულტურა“ გავლილი. თუმც სრული უშუალობის გამოისობით „კულტურის“ გარეშე გაუმართავი ხაზები თითქოს იკარგებოდნენ. რჩებოდა მხოლოდ „ბუნება“ უკანასკნელი დაწურვით. ამიტომაც იყო, რომ ფიროსმანის ნახატი მოქმედებდა როგორც პირდაპირი ნატეხი „ბუნებისა“: წყაროს თვალი თუ ირმის ჩლიქი.

ესეც უთუოდ უნდა აღნიშნულიყო:

ფიროსმანი უმეტესწილად ხატავდა კალენკორზე (მუშამბაზე). და ამისათვის მის ხატულს — და აქ გრიგოლი მოიშველიებდა მხატვარ დიმიტრი შევარდნაძისეულ შეფასებას — განსაკუთრებული ფერი მინიჭებოდა. ეს ფერი იყო, ლადო გუდიაშვილის ნახატებშიც რომ შედიოდა, როგორც მთავარი ტონი.

უცნაური გახლდათ თვით ბედიც ფიროსმანის — თითქოს კი არ მომკვდარიყოს, არამედ დაკარგულიყოს. და თითქოს იმიტომაც, რომ მისი ხატული „უსახელოდ“ დარჩენილიყო, როგორც ყოველი ნაყოფი დიდი პრიმიტივისა.

ეს აღმტაცი, ასერიგად განზოგადებული მსჯელობა შესაფერის აკორდზეც უნდა დასრულებულიყო, და კიდეც იპოვნიდა გრიგოლ რობაქიძე ისეთ ფრაზას, ბედნიერ მიგნებადაც რომ შეიძლება მიიჩნიო, ნატიფ და მახვილგონივრულ ლიტერატურულ ფორმულად:

— ხედავ ფიროსმანს — და გჯერა საქართველო.

ესეი 1922 წლის „ბახტრიონის“ 28 აგვისტოს ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა, რამდენიმე წლის შემდგომ, 1926-ში, მნიშვნელოვნად შევსებული დაიბეჭდებოდა კრებულში „ნიკო ფი-

როსმანაშვილი“ — ტიციან ტაბიძის, გერონტი ქიქოძის, კირილ ზდანევიჩისა და კოლაუ ჩერნიავსკის ნარკვევების გვერდით, მხატვრის რეპროდუქციებთან ერთად. და რასაკვირველია ხელუხლებლად დარჩებოდა დამაგვირგვინებელი ფორმულაც და ის ხაზგასმაც იდუმალებისა, ფიროსმანი ჩვეულებრივად რომ არ მომკვდარიყო, არამედ: დაკარგულიყო.

ხელუხლებლად რჩებოდა სხვა არაერთი პასაჟიც, რაკიღა იმ ესეის ხერხემალს შეინარჩუნებდა, მაგრამ თუნდ იმ სტრიქონისათვის: ფიროსმანს რომ არ შეესწავლა ტექნიკა ხაზვისა თუ ხატვის — როგორ არ დაერთო: იგი იყო უბრალო და ნათელიო. ერთი მესარდაფის ნაამბობს კი ხელიდან როგორ გაუშვებდა:

ნიკალა იყო პატიოსანი კაცი მეტად, უბინაო, ავადმყოფი, ღარიბი. ბევრჯერ მიჭმევია საწყალისთვის პური. კეთილი კაცი იყო. არავის ახსოვს მისგან წყენა. უყვარდა მეტად ლექსები (და გრიგოლი აქ ჩაურთავდა სხვის მიერ მიწოდებულ ცნობას: ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველასიო). საიდან იყო, დანამდვილებით ვერ ვიტყვით. დაახლოებით 50 წლის იქნებოდა. გუშინაც კი მომაგონდა: ნეტავი ჩვენი ნიკალა ცოცხალი იყოს, ამ გამონგრეულ კედელს დამიხატავდა და იაფად გამომიყვანდა-მეთქი. ბევრ არაყს სვამდა საწყალი. იტყოდა: მიყიდეთ საღებავები და ამადაამ სურათს დაგიხატავთო. მართლაც დახატავდა და მოიტანდა.

და მიადევნებდა გრიგოლი: ამ უბრალო სიტყვებს არაფერი მიემატება, აქ მოცემულია მთელი ფიროსმანი: ნამდვილი ვიზიონერი, თვალღია სიზმრის დაჭერა რომ სურს არყით სავსე ჭიქასთანო.

მის ნახატებში მელანქოლიას რომ ვერსად ვიპოვნიდით და მხოლოდ სიცოცხლე ხალისობდა, ამ სტრიქონს უნდა მიმატებოდა კიდევ ერთი საგულისხმო ფრაზაც:

— ფიროსმან ქართული ყოფის ეპიური თვალია.

და აღწერილიყო რამდენიმე დიდი და შესანიშნავი ტილო, ამ თვალის მზერას რომ შეეძინა ჩვენთვის: „ყურძნის კრეფა“, „ქორწილი კახეთში“, „ღრეობა“, კომპოზიციის მხრივ ეს ნახატი თითქმის ყველა მის სურათზე უმძლავრესად და ურთულესად

რომ წარმოჩნდებოდა: ურმებით მოსვლა — ციხე — ეკლესია — ქეიფი: ყველაფერი ერთი რკალით მოშვილდულიყო.

ანდა როგორ არ აღენიშნა მისი ეს ტილოც: „დიდი მარხვა“. საგულისხმოდ ეჩვენებოდა, რომ მხატვარს ლოცვა ბუნების შუაგულში გადაეტანა. ლოცვა გაშლილ ჰაერში მოწმობდა ფიროსმანის ერთგულებას მიწისადმი. ნუ გამოგვრჩებოდა ორი ბავშვი: ერთი ხელებაპყრობილი და მეორე პირქვედამხობილი. მლოცველთა ჯგუფებში ამ პატარა დეტალს შეჰქონდა მძაფრი ექსტაზი. და უცილო შედევრის დონემდეც აზიდავდა.

ხოლო ფიროსმანი „ქალაქელიც“ რომ გახლდათ — ამ სიტყვის როგორც საერთო, ისე „ტფილისური“ მნიშვნელობით?

ამის თაობაზე გაკვრითაც არაფერი ეწერა ესეის პირვანდელ ვერსიაში, ამჟამად კი ამ მოსაზრებასაც დაისაჭიროებდა და კიდეც შესაფერისად გაშლიდა, ვიზიონერსა და განმარტოებულს და არყის მსმელს „სამიკიტნო“ რომ უყვარდა, და აქ ნახავდა ტფილისის ბოჰემას კინტოს ლხენაში, რასიულ სხვადასხვა ხაზს გამოარჩევდა ყარაჩოღელში.

— ალბათ ეს თუ „აწვალებს“ მას.

თითქოს უდარდელი იყო, მაგრამ მაინც რაღაც აწუხებდა. ქეიფი, როგორც ერთგვარი არტისტიზმი, ახასიათებდა ამ უცნაურ კასტას. და ფიროსმანის კინტოების სერია დაუვიწყარი ხდებოდა თავისი ექსპრესიისა და უცნაური პროფილების წყალობით. და ბარემ აქვე თქმულიყო ფიროსმანის გავლენაც ლადო გუდიაშვილზე.

ამ სერიაში ყველაზე ძალიან მაინც რომელი ნიმუში მოსწონდა გრიგოლ რობაქიძეს?

ფართოდ გაშლილი ქეიფი ხუთი თუ ექვსი კინტოსი. მეზურნეები, მედოლე, ბიჭს ხილი რომ მოაქვს, გოგოს — ყვავილები, მოხუცს — ხელადა ღვინით სავსე, კინტოებს — ხელში ყანწები, ბალახზე გაშლილი სუფრაზე — მწვანილი, ყველი, თევზი — და ეს ყოველივე დიდი კომპოზიციით გამართული.

კიდევ უფრო გაქანებული გახლდათ ტილო „თეთრი დუქანი“, გუდიაშვილის ერთი სურათი თითქო ამ ტილოს ვარიაციას რომ წარმოადგენდა.

როგორ არ აღენიშნა პატარა ქალაქელი ბიჭიც — ამ ესკიზში თითქოს ყარაჩოღელთა მთელი რასიულობა დადაღულიყო.

ქალაქს „მხიარული“ ქალებიც რომ ახასიათებს?

და ფიროსმანიც წარმოსახავდა წყვილად ორთაჭალის გოგოებს. და მეტად საგულისხმოდ ეჩვენებოდა გრიგოლს, რომ: ნათელი ფიროსმანი ამ ცოდვის შვილებს უცოდველ ყვავილებთან აწვენდა და მხრებზე უბიწო მტრედებს დააფრენდა.

ქალაქური ტიპი გახლდათ „მეეზოვეც“: ოდნავ გამწყრალ სახეზე მოჩანდა დამგველის თავისებური სპლინი. სურათი უაღრესი სიმარტივით მეტყველებდა მთელი სიმძაფრით.

კინტოების ქეიფი ბალახზე გაშლილი სუფრაზე ყველაზე უფრო რომ იხატებოდა ხილსა და მწვანილში, გრიგოლის ვარაუდით, ამას წარმოეშვა ფიროსმანის „ნატურმორტები“, რომელშიც ჩანდა მისი უდიდესი ტექნიკური მიღწევა. ამ მხრივ გამოარჩევდა ერთს, კირილ ზდანევიჩის კუთვნილებას, ფორმალური სისრულით პოლ სეზანის ნატურმორტებს რომ შეადარებდა, თანაც როგორი სიამაყით: არ ჩამოუვარდებაო.

ერთ გარემოებასაც მიეპყრო გრიგოლის ყურადღება:

ფიროსმანს „მკვდარი ნატურის“ გარდა „მოკლული ნატურაც“ რომ ჰქონდა, და აქ შეიმჩნეოდა საგულისხმო ნიუანსი — მხატვარი სთავაზობდა რაღაც ახალს. ნატურმორტებს საერთოდ რომ სჩვევიათ სიკვდილის სურნელი, ფიროსმანისა — სუფრა იყო მხოლოდ, რომელიც მოელოდა მოქეიფეთ. თუმც აქაც იგრძნობოდა ის სევდა, რომელიც უჩინრად ეჭრება ხოლმე ყოველ ლხინს.

სრულიად ფენომენალურად მიიჩნევდა ამ მხრივ „აღდგომის კრავს“, სხვადასხვა ვარიაციით. „საცოდაობა“ აქ იწვევდა უზენაეს სიყვარულს, და ამ სურათის ხილვის შემდეგ ამიტომაც გეცოდებოდა ყოველი და გიყვარდებოდა ყოველი. პირადად გრიგოლისათვის კი, როგორც პოეტისათვის, „აღდგომის კრავი“ სამუდამო დაუვიწყარი რჩებოდა.

ფიროსმანს მეტად რომ უყვარდა ცხოველები, როგორ არ გაეხსენებინა: „ჟირაფი“, უცხო, მედიდური, სხვა გონებით სავსე თვალებით, და ბოლო-ბოლო საშიშარი; „დათვი ბელებით“, სი-

თოვლით სავსე; „დათვი მთვარიან ღამეში", უმაგალითო პეიზაჟი, დათვი შეჩერებული წაქცეულ ხეზე — თითქოს უეცრად გაღვიძებული სომნამბულა და ძარღვებშეშინებული; „ირემი", განსაკუთრებით პირველი ვარიანტი, გადაჭრილი ხის გვერდით მდგარი, ერთი დეტალის საკვირველება რომ არ უნდა გამოგვრჩენოდა — ირემს უნებლიეთ გავა ოდნავ ჩამოჭროდა. და კიდევ უფრო საგულისხმო: ირემი თითქოს ხისაგან გამოჭრილიყო, მაგრამ ამავდროულად უმძაფრესი სიცხოვლით შეკუნთულიყო ცხოველ არსებად. და ეს „შეკუნთვა" ისეთი ძალით მოძაბულიყო, მთელი ირემი თითქოს მარტოდენ ხტომა ყოფილიყოს; მესამე ირემიც რომ დაეხატა? უჩვეულო სევდით აღვსილი თვალები შემოგვცქეროდნენ; „ვირი დატვირთული", შეშა-ტვირთი მაგარი ტექნიკით დახატულიყო. და ვირის მზერა და საპასუხო მზერა ბიჭისა გრიგოლს როგორ არ მიეჩნია ნატეხად მთელი ეპოსის; „აქლემი", სპარსელს რომ მიჰყავდა დატვირთული, განა საოცარი არ იყო გახუნებული ფერი და სიდიადე აქლემისა? „კრუხი და ბავშვი", შესანიშნავი გახლდათ წიწილების სიცხოველე.

ფიროსმანი რომ იცნობდა ლანდშაფტებსაც, გრიგოლი სანიმუშოდ მოიხმობდა ერთ შედევრს: ორ რიგად ხეები, ყურძნის მტევნებით დატვირთული, შუაგულში დიდი ჭური, უკან სახლი, იქით კი სინათლის ღელეები, თითქოს მომსკდარი.

და მის მიღმა ისე სახიერად, ისე რელიეფურად გამოიკვეთებოდა მხატვრის ლანდი, ძალდაუტანებლად რომ გათქმევინებდა:

ნათელი ფიროსმანი ამ სინათლეშია ბოლომდისო.

„წყაროს თვალსა და ირმის ჩლიქს" რომ გაიმეორებდა, დაურთავდა: ჭეშმარიტად გენიალური ბარბაროსია იგი ბავშვის ქალწულური სულითო.

„უმეტესწილად მუშამბაზე რომ ხატავდა" და ფიროსმანული აფერვაც შემოეღო, ამჯერად დასძენდა: აქ უნდა ვეძიოთ მისი სიყვარული ჭაობის ფერებისაო.

ემიგრანტული კრებულისათვის „ბედი ქართლისა" 1953 წელს სთხოვდნენ გრიგოლ რობაქიძეს ნებართვას ამ ესკიზის გადაბეჭდვის, და კიდეც განმეორდებოდა, ოღონდ სულ სხვა ნარკვევის დაწერაც რომ მოენდომებინა, ანდა სულაც მონოგრაფიად

გაშლა, ფინალური პასაჟი და აკორდი კვლავაც უცვლელი დარჩებოდა, განმსაზღვრელი გრიგოლის მიერ შესრულებული ფიროსმანის პორტრეტისა:

თითქოს კი არ მომკვდარიყო, არამედ დაკარგულიყო.

და ხედავდი მას და — გჯეროდა საქართველო...

* * *

ხოლო ტოლსტოური დღიურის ფურცლებზე...

იმავე 13 სექტემბრის 5 საათზე „ვოქსი" „გრანდ-ოტელში" ჩაის გამართავდა უცხოელ სტუმართათვის.

სტუმრების გარშემო თავს მოიყრიდნენ მოსკოვის რჩეული ჯგუფები: ლიტერატურიდან თუ საერთოდ ხელოვნებიდან. იქნებოდნენ: ბორის პილნიაკი, ვსევოლოდ ივანოვი, ნიკულინი, ეიზენშტაინი, აბრაამ ეფროსი, ლიდინი, ბუდანცევი და... ვინ აღარ... და შექცევის, გაცნობის, გართობის შემდგომ შვიდის ნახევარზე დაიშლებოდნენ.

ბორის პილნიაკი მიადგებოდა გრიგოლს:

— ისე როგორ დავიშალოთ, რომ ერთი არ გამოვკრათ?

— სიამოვნებით.

— ცვაიგიც თან წავიყვანოთ.

— მაგას რა აჯობებს.

ცვაიგი მაშინვე თანხმობას გამოუცხადებდათ და გაემართებოდნენ ტვერსკაიაზე. მონახავდნენ „სამწვადეს", ერთი ქართველის მიერ გამართულს — პაწია დუქანს, პატრონს სწორუპოვარი რომაული პროფილი რომ ამშვენებდა. ვიღაც ჩასჩურჩულებდა გრიგოლს: ყოფილი თავადია.

დასხდებოდნენ. ეს მემწვადეს ქართულად მიმართავდა:

— აქ მაღალი სტუმრებია და აბა თქვენ იცით.

— ვეცდებით, — იქნებოდა პასუხი.

— ღვინო? — შემოსძახებდა პილნიაკი.

— ღვინო, ბატონო, აკრძალული მაქვს, — გაუმხელდა მემწვადე ქართულად.

— ჰაა, ეგენი არ იყოს, — გრიგოლიც ჩაურთავდა ქართულ ჟარგონს.

მემწვადე გაიღიმებდა და... გრიგოლიც დამშვიდდებოდა: მაშ საქმე კარგადააო!..

მაგიდას უსხდებოდნენ: შტეფან ცვაიგი, ბორის პილნიაკი, ვსევოლოდ ივანოვი, ლიდინი, ნიკულინი, ბუდანცევი, აბრაამ ეფროსი, ამერიკელი პროფესორი დენა, ავსტრიელი ტოკერი და გრიგოლ რობაქიძე.

მოუტანდნენ მწვადებს, შამფურზე ამართულს — და გრიგოლი გაიფიქრებდა: ასეთი მწვადები თბილისშიაც არ მინახავსო.

ცვაიგს მადა გაუხელდებოდა. მწვადს თითქმის გადაყლაპავდა: მთელ-მთელად.

შემდეგ ქართულ ლავაშს მიაქცევდა ყურადღებას:

— დახედეთ ამ პურის მოყვანილობას: ხომ სხვანაირია. საკვირველია: ყოველი ხალხი თავის ფორმას ანიჭებს პურს.

დაიწყებდნენ სმას. მაგრამ ცვაიგი მაქსიმ გორკისთან უნდა წასულიყო ერთი საათით. გაზეთებში იყო გამოცხადებული — გორკი ავადობის გამო მოსკოვიდან გავიდაო. და გრიგოლი ჩაურთავდა: ეს ალბათ იმიტომ, რომ მნახველებს არ შეეწუხებინათო. თორემ შინაურებმა იცოდნენ, გორკი რომ მოსკოვში იმყოფებოდა. ცვაიგს მოუხერხებდნენ მის ნახვას და რვა საათზე უკვე გაემართებოდა გორკისთან შესახვედრად.

ესენიც მალე დაიშლებოდნენ. გრიგოლი „კამერულ თეატრს“ მიაკითხავდა. გორკის ნახვის მერე აქვე უნდა მოსულიყო ცვაიგიც. იდგმეოდა „სიყვარული თელებქვეშ“, პიესა იუჯინ ო' ნილისა.

ერთი საათის შემდეგ მოვიდოდა ცვაიგიც. თამაშობდა ალისა კოონენი, რომელმაც იცოდა, რომ მას იხილავდა სახელგანთქმული ავსტრიელი მწერალი: ამიტომაც თავს არ დაზოგავდა — ისე ითამაშებდა. ცვაიგი აღფრთოვანებული იჩურჩულებდა: შესანიშნავია, გასაოცარიაო!..

ნასპექტაკლევს რეჟისორი ალექსანდრე ტაიროვი მცირე ვახშამს გაუმართავდათ. ბინა იქვე ექნებოდა — თეატრის შენობაში. ალისა კოონენი და შტეფან ცვაიგი ევროპის თეატრებსა და არტისტებზე იბაასებდნენ.

აქვე იმყოფებოდა ერთი ფრანგიც, საბჭოთა კავშირის ქვე-

შევრდომი, რომელიც სადღაც ფრანგული ლიტერატურისა თუ ენის კურსს კითხულობდა. და იგი განაცხადებდა:

— ამას წინათ ერთ უმაღლეს სასწავლებელში ანკეტას შეავსებდნენ: რომელ უცხოელ მწერალს უფრო ეტანებიან. ყველაზე მეტი ხმა მიიღო შტეფან ცვაიგმა.

ცვაიგი გაწითლდებოდა და დარცხვენით იტყოდა:

— იმედია, ეს ტალღა მალე გადაივლის.

და გრიგოლი გაიფიქრებდა: როგორი მორიდებულია, გადამეტებითაცო!..

14 სექტემბერს გაგრძელდებოდა ტოლსტოის დღესასწაული. საღამო გაიმართებოდა ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში.

საღამოს გახსნამდე აჩვენებდნენ ფოტოებს: იასნაია პოლიანასა და მის მიდამოს — ყოველ კუთხეს, ტოლსტოის სახლს, მის უკანასკნელ გზას — რომელსაც დაადგებოდა, როდესაც მშობლიურ სოფელს სამუდამოდ მიატოვებდა, ისტორიულ ალაგებს, რომელნიც იხსენიებოდნენ ტოლსტოის ნაწერებში, მდელოებს, სადაც თიბავდა ტოლსტოი, და კიდევ მრავალ სხვას... ნამდვილ შედევრებს.

შტეფან ცვაიგს საუბარს გაუმართავდნენ პეტრ კოგანი, რექტორი აკადემიისა, და პროფესორი საკულინი. ამასობაში საღამოც გაიხსნებოდა, და ცვაიგი ეტყოდა გრიგოლს:

— ჩვენ კუთხეში მივიმალოთ, უფრო ადვილად მივატოვებთ საღამოს: სამხატვრო თეატრში უნდა წავიდეთ ხომ!

— როგორც გნებავთ.

და კიდეც მიიმალებოდნენ კუთხეში.

საღამოს გახსნიდა კოგანი და განაცხადებდა:

— აქ არიან უცხო სტუმრები. ჩვენ მათ განურჩევლად ვცემთ პატივს. მაგრამ ორნი უნდა დავასახელო მაინც: პირველია — მწერალი შტეფან ცვაიგი, და მეორე — იაპონელი მეცნიერი ნაბორი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა.

საზოგადოება იაპონელსაც დიდი ტაშისცემით შეეგებებოდა, მაგრამ ცვაიგის ხსენებაზე? ჰოი რა ტაში იგრიალებდა, და საზოგადოება ძებნას რომ დაუწყებდა, ცვაიგი გაწითლდებოდა და მიიკრუნჩხებოდა, მაინც მიაგნებდნენ და ტაშიც გაძლიერდებო-

და, მიიწევდნენ ესტრადაზე და ტაში სულაც ოვაციაში გადაიზრდებოდა. მაგრამ დარბაზი მთლად გადაირეოდა, როდესაც კოგანი გამოაცხადებდა: დამსწრეთა შორის იმყოფება ტოლსტოის ვაჟიც — სერგეი ლვოვიჩიო. ტაშსაც აღარ აკმარებდნენ და ფეხზეც წამოიშლებოდნენ.

ნაბორი გადმოშლიდა უშველებელ ფოლიანტებს პერგამენტის, სადაც იაპონერი ადრესი ეწერებოდა — დრამატურგებისა და მწერლებისაგან გამოგზავნილი. და გრიგოლ რობაქიძეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ: იაპონური ენა ფრინველთა ენას უფრო ჰგავდა.

შემდეგ თვითონ პეტრ კოგანი წაიკითხავდა მოხსენებას: „ტოლსტოი და მარქსისტული კრიტიკა". მარქსისტული კრიტიკა ტოლსტოის დიდხანს უყურებდა როგორც თავად-აზნაურული ფენების მეტყველს. და ლენინი (როგორც ყველგანო, — ჩაურთავდა გრიგოლი) ამ აზრსაც შეაყენებდა და სხვაგვარად გადახრიდა: იგი ტოლსტოის ფენომენში გლეხურ სტიქიონს დაინახავდა.

— ტოლსტოი და ჩვენ მტრები ვართ, — განაგრძობდა მომხსენებელი, — ტოლსტოის სურდა გულზე ხელდაკრეფით დაემყარებინა კაცთა შორს მშვიდობა, ჩვენ კი გაშმაგებული ბრძოლით ვცდილობთ სამართლიანობის დამკვიდრებას. მაგრამ როდესაც ეს პროცესი დამთავრდება, ჩვენც შევხვდებით სადღაც ტოლსტოის, რომელიც ბოლოსდაბოლოს იმავე სამართლიანობისათვის იბრძოდა, თუმცა სხვა გზებით.

ეს სიტყვა მეტად მორიდებული აღმოჩნდებოდა ტოლსტოის მიმართ. ეს ორნი დანარჩენების გამოსვლას აღარ დაუცდიდნენ და „სამხატვრო თეატრში" გაეშურებოდნენ. მათთან ერთად იმყოფებოდა როზა გრეფენბერგიც, „ფოსსიშე ცაიტუნგის" კორესპონდენტი. იდგმებოდა „ჯავშნოსანი" ვსევოლოდ ივანოვისა. ნახავდნენ ერთ სურათსა და ერთ მოქმედებას. ცვაიგს მოეწონებოდა დადგმა. განსაკუთრებით ვასილ კაჩალოვის თამაში.

15 სექტემბერს ბანკეტი გაიმართებოდა მწერალთა კავშირში. შევიდოდნენ „გერცენის სახლში". დაათვალიერებდნენ. მშვენივრად მოეწყოთ ალექსანდრ გერცენის ოთახი. ნახავდნენ იშ-

ვიათ წიგნებსა და ხელნაწერებს. აჩნდა ნიშანი „დიდგვაროვანი კულტურისა“: თითქმის ყველაფერს.

გასაოცარი აღმოჩნდებოდა სერგეი ესენინის ოთახი, აქ მთელი მისი სიცოცხლე წარმოისახებოდა მუზეუმურად: ნახატებითა და სურათებით — „ჰარმოშკადან“ კუბომდე. მოჩანდა ყველგან თავი „ოქროს ვერძის“, სადაც სიმწიფეა რუსეთის პურის თაველის. მაგრამ კუბო, კუბო... ესენინი კუბოში... ეს სანახაობა ძნელი ასატანი გახლდათ: თითქოს ფიზიკურად ეხებოდი სიკვდილს — ასეთი იყო ბუნება ამ სურათების.

მწერალთა სურათებიდან გამოირჩეოდა ანდრეი ბელისა (ახალგაზრდობისას): გამოიყურებოდა როგორც კაპუეტი მიმინო ვიზიონერული თვალებით.

ბანკეტს დაესწრებოდნენ: შტეფან ცვაიგი, იაპონელი ნამორი, ამერიკელი ჰაირი დენა, იტალიელი ეტორე ლო-გატო, ესპანელი ჟურნალისტი ალვარეც დელ ვაიო, ესტონელი მწერლები — შარბარისი და სემპერი, ავსტრიელი ტოკერი (წევრი საბჭოთა კავშირის მეგობრების საზოგადოებისა), პილნიაკი, ეფროსი, ზაზულია, ნიკულინი, იაკოვლევი, კირილოვი, სანიკოვი, შუდანცევი, ლიდინი და მრავალიც სხვა. ქართველებიდან: ტიციან ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე. ბანკეტს დაესწრებოდა აგრეთვე ესენინის ქვრივი და ტოლსტოის შვილიშვილი სოფია ანდრეევნა.

სიტყვები, სადღეგრძელოები.

ტოლსტოის შესახებ გრიგოლს მოუხდებოდა სიტყვის წარმოთქმა. და ასე დაგეზავდა სიტყვას:

პირველი. მზერა ტოლსტოის, ტოლსტოის ყველა ბიოგრაფოსი ამოწმებდა: მის წინაშე შეუძლებელი იყო ტყუილის თქმა. ეს — ფიზიკური თვალი, ახლა — ხატვითი. მისი თვალის წინ საგნები თუ მოვლენები არ ტყუოდნენ (თუ ვერ ტყუოდნენ). აქ იჩენდა თავს მისი რეალისტური ხედვა.

ანა კარენინა, ქალური გახელებით ატანილი, სიბნელეში ხედავდა თავისი მზერის ალს (თითქმის მატერიალურად). ეს ხედვა ტოლსტოისა გახლდათ.

მეორე. ტოლსტოი სახავდა საგანსა თუ მოვლენას ხელშესახებად. მაგრამ ამავ დროს: ხედავდი — საგანი თუ მოვლენა

შორს იმყოფებოდა, სიგრძე ამ მანძილისა იყო საზომი ეპიკური ტალანტისა. ამ მხრივ ტოლსტოი თითქმის შეუდარებელი გახლდათ, ხასიათები მის ნაწერებში ლანდშაფტებად იშლებოდნენ, „სულიერი პეიზაჟი“, ბადესავით გასროლილი — აი საცდელი რომანის, და ტოლსტოის ძლიერებაც აქ იგრძნობოდა. აქ იშლებოდა მისი „ხერხი დეტალისა“. საერთოდ: რამდენად ნაკლებ ჩანს ხერხი, იმდენად მაგარია ნაწარმოები. „ჰაჯი-მურატი“ მაგალითად დაწერილი იყო როგორც „სამხედრო მოხსენება“, — ასეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, მაგრამ შინაგანად „ილიადას“ ნატეხივით გახლდათ, როგორც ამბობდა შტეფან ცვაიგი.

ხელიდან როგორ გაუშვებდა შემთხვევას, რომ გერმანელი თანამოკალმე არ ეხსენებინა.

მესამე. ამბობდნენ: ტოლსტოის მოძღვრება სხვაა და მისი მხატვრობა კიდევ სხვაო. შეიძლება ეს აზრი მართალიც იყო, მაგრამ აქ სხვა მხარე იპყრობდა ყურადღებას. ტოლსტოი არ გახლდათ „მარტო“ ხელოვანი: იგი აზრობდა, იგი ილტვოდა, იგი ეძებდა. სიმართლე, სიმართლე — აი რითი იწვოდა და რისთვის იწვოდა, არ ეშინოდა ფარდის ახდისა, შეეძლო გორგონასათვის შეეხედა. ეს შინაგანი მიმართება — წვა სიმართლისათვის — ანიჭებდა მის შემოქმედებას სწორედ უნივერსალურ ძალას, თორემ ისე რამდენი წერდა ტოლსტოიზე უკეთესად.

ნეტა ამაზე არავინ გამოედებოდა: რამდენი წერს ტოლსტოიზე უკეთესადო?

გორგონას შემოხედვაზე ყველა რომ ქვავდებოდა და ტოლსტოი კი — მითოსური გმირივით — ამაყად უსწორებდა მზერას, ეს კი ამაღლებულად წარმოსახავდა მის პიროვნებას, მერე ესეც — სიმართლისათვის თავგადაკლული წვა და ღწვა, მაგრამ... მასზე უკეთესად წერა? ქართველი რომ ამბობდა, თორემ ერთმანეთს ბევრს მოუთმენდნენ და თვალსაც მოუხუჭავდნენ, აგერ ტოლსტოის შეფასებისას სულაც ბეწვის ხიდზე რომ გადიოდნენ, რაკიღა ტოლსტოი, მიუხედავად ამათი მონდომებისა, მარქსისტულ სქემებსა და ფორმულებში ვერ იჭედებოდა, და არც სისხლითა და ძალადობით მოტანილი კეთილდღეობისა სჯეროდა, მაგრამ... „ნაცმენისაგან“?

ეტყობა გადაყლაპავდნენ, თორემ გრიგოლ რობაქიძის დღიური უსათუოდ გაამჟღავნებდა, სკანდალისმაგვარი რომ მომხდარიყო, მოიარებით მაინც მიგვანიშნებდა, თუ მთლად არ გააშიშვლებდა.

შტეფან ცვაიგი ადრე დატოვებდა ბანკეტს — ღამით ლენინგრადში უნდა წასულიყო. თანაც აქ დიონისეს გაცოცხლებას არავინ პირდებოდა.

დანარჩენები — და მათ შორის გრიგოლიც — კიდევ დარჩებოდნენ.

სექტემბრის 16-ს კუჩინოს ესტუმრებოდნენ ნინა და ტიციან ტაბიძეები და გრიგოლ რობაქიძე. ეს ადგილი მოსკოვთან ახლოსაა, ტყეში. იქ რა დარჩენოდათ? როგორ თუ რა: აქ ცხოვრობდა ანდრეი ბელი, განდეგილივით.

ისეირნებდნენ ტყეში, ძლიერ ნაწვიმარსაც არ მოერიდებოდნენ. მასპინძელი უამბობდათ ბევრ რაიმეს. წაუკითხავდათ დასაწყისს მეორე ტომისა „მოსკოვი“.

— მე მსურს გავიგო, თუ როგორი ბგერა ავიღე შინაგანი, — ეტყოდათ.

არტისტული კითხვა სჩვეოდა ანდრეი ბელის და გრიგოლი დარწმუნებული გახლდათ: მის ნაწერს მასავით ვერავინ წაიკითხავსო.

აჩუქებდათ ახალგამოსულ წიგნს — „ქარი კავკასიიდან“, რომელიც მარტო საქართველოს ეძღვნებოდა. და იმედს გამოთქვამდა გრიგოლი: ამ წიგნზე ალბათ ბევრს ილაპარაკებენო. ისადილებდნენ. კიდევ საუბარი და: გამუდმებით ლიტერატურა. და ამას უნებლიეთ ახსენდებოდა, შტეფან ცვაიგი რომ დიდი ხალისით არ ასდევდა, მწერლობაზე რომ ჩამოუგდებდა სიტყვას, თუმც როგორი მკითხველი გახლდათ, საყოველთაოდ იყო ცნობილი და კლასიკოსებზეც და თანამედროვეებზეც თითქმის ყველაზე თავისი შეხედულება ჰქონდა, ფიქრსა და გულისჭიდილში გამოტარებული. არ ეხალისებოდა კი ლაპარაკი!.. თუმც ეგებ იმიტომაც, ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით დატვირთულსა და კიდევ ახალ-ახლების მომლოდინეს დრო არ დაეკარგა მისთვის კარგად ცნობილის განმეორებაში?!.

აქ კი გრიგოლი გაკვრით რომ ეტყოდა მასპინძელს:

— თქვენი რიტმი პროზაში მგონი უფრო სხვანაირ სიუჟეტს ითხოვს.

და იგულისხმებდა რომანისა და ეპოპეის სხვაობას, ის არას მიუგებდა, თუმც ეს შეატყობდა, მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდაო. და გაახსენდებოდა, რომ ანდრეი ბელიმ ძვირად იცოდა დათანხმება. ოღონდ: თავის შესახებ. როგორც ჩანს, სხვა მწერლებზე მსჯელობისას უფრო შეიძლებოდა გადაეფასებინა თავისი მოსაზრება და გაეზიარებინა თუნდ შეხედულება გრიგოლ რობაქიძისა, რომელიც ამჯერად ცოტა ნაწყენიც დაურჩებოდა: რა იქნებოდა დაეგდო ჩემთვის ყური, ისევ მაგისთვის ვამბობ, რიტმი და სიუჟეტი უფრო რომ მიესადაგოს ერთიმეორეს, და მეტი ჰარმონიით წარმოსდგესო.

გამოემშვიდობებოდნენ მასპინძელს და პლატფორმაზე დაელოდებოდნენ მატარებელს.

ჩაივლიდა ერთი მატარებელი და მოესმოდა: ურია პალტოში, ურია პალტოშიო!.. გაიხედავდა და: მთელი ვაგონი, ახალგაზრდებით სავსე, ამას გაიძახოდა. და შეამჩნევდა, რომ: იყო ამ ძახილში უდარდელობა და ღიმილი. მაგრამ... იყო უთუოდ ანტისემიტური ბუნებაც.

17 სექტემბერს ლენინგრადიდან დაბრუნდებოდა შტეფან ცვაიგი. ქალაქი ქალაქად მოსწონებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც... ბალერინა სემიონოვა, სულ ამას რომ გაიძახოდა: გენიალურია და გენიალურიაო!.. — და გრიგოლ რობაქიძეს გულში გაჰკრავდა: ნეტა ის სემიონოვა ხომ არ არის, თბილისმა რომ წარმოშვაო!..

ნაშუადღევის 2 საათზე ცვაიგი სადილს გაუმართავდათ: 15 კაცს. გამოსამშვიდობებელს. და 5 საათზე უკვე ევროპისაკენ გაემგზავრებოდა.

იმავ საღამოს გრიგოლ რობაქიძეც თბილისს მოაშურებდა.

წინ დახვდებოდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელსაც... პირველად ნახავდა. და კიდეც დაიგმენდა და აღარც მკითხველს დაუფარავდა: ვაი შერცხვენავო!.. — ცვაიგს ახარებდა და... თურმე სხვების გადმოცემის კვალობაზე გაცნობოდა აქაურო-

ბას, წარმოსახვით ჰომეროსული სული რომ გაუცოცხლდებოდა. ალღოთი სავსებით კი მიაგნებდა ამ გარემოს არსს, მიწვდებოდა რაღაც ისეთს, რაც აგერ თვალნათლივადაც უნდა გამოცხადებოდა და... უკვე შეეძლო თავის დაკვირვებად და შთაბეჭდილებადაც შეეთავაზებინა მკითხველისათვის:

ეს სამყაროს თაურების პოემაა, გეოლოგიური ჰომეროსის მიერ კვეთილიო!..

და კინაღამ წაუცდებოდა ხელი ამ პოემის გადმოსატანად ფურცელზე, თუმც მაინც თავშეკავებას ამჯობინებდა: მაგრამ ეს სხვა თემააო, — შემდგომისათვის მოიტოვებდა, რათა „ტოლსტოის დღეების“ გაგრძელება არ გამოსვლოდა. და ასეთ დროს ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, უშუალოდ გადააბამდა თუ დამოუკიდებელ ნარკვევად შექმნიდა. მაინც ტოლსტოური ეპოპეის ნაწილად აღიქმებოდა.

ამას არ აკადრებდა დარიალის ხეობას, საერთოდ იმ სამყაროს, გეოლოგიურ ჰომეროსს რომ გამოეკვეთა.

მისი სულისათვის კი ქართველ ჰომეროსებს მიეგნოთ: ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას — მათგან განეცადა გრიგოლ რობაქიძესაც ეს გამაოგნებელი სამყარო და უკვე მანამდე აიგივებდა ხევსა და მთას ჰომეროსულ სინამდვილესთან, ვიდრე ნელ-ნელა მიუახლოვდებოდა ერთსაც და მეორესაც, თავისი თვალით იხილავდა, თავისი ხელით მოსინჯავდა, თვითონაც შეერწყმოდა ამ უჩვეულო გარემოს. ანკი რატომაც არა — საუკეთესო მეგზურები მოევლინა მისთვის უფალს, რაღა მინდია რომ გამოცხადებოდა და რაღა ესენი, ჰომეროსობაზე არც ერთი რომ არა სდებდა თავს და არც მეორე, და ამ შედარების მოსმენისას მხოლოდღა გაწითლდებოდნენ და კუთხე-კუნჭულს დაუწყებდნენ ძებნას დასამალად: რას არ მოიფიქრებენ, რას არ მოიგონებენ, ჰომეროსთან ჩვენი ნაწერები აბა რა გამოსაჩენიაო.

აბა გრიგოლ ორბელიანისათვის გეკითხათ!..

ანდა გრიგოლ რობაქიძისათვის!..

მოთავებულიყო ტოლსტოური ეპოპეა, ცვაიგურ ეპოპეას რომ დაემსგავსებოდა — თავით ბოლომდე რომ გამოჰყვებოდა ავსტრიელი მწერალი ქართველი თანამოკალმის დღიურის სიუ-

ჟეტს, დეტალ-დეტალ მისი სილუეტი საკმაოდ კოლორიტულად და შთამბეჭდავად რომ გამოიკვეთებოდა და „ტოლსტოის დღეების“ წამკითხველს მასზეც შეექმნებოდა წარმოდგენა, პატივისცემით რომ განიმსჭვალებოდა თანამედროვეობის ამ თვალსაჩინო მწერლისა და ღირსეული პიროვნებისადმი.

...ეჰ ნეტა მოეცალა და საქართველოში წამომყოლოდა, ხომ გავუცოცხლებდი თვალწინ დიონისესო, — გულს აკლდა სხვა მხრივ დიდად ნასიამოვნებ და შთაბეჭდილებებითაც უხვად დატვირთულ გრიგოლ რობაქიძეს.

* * *

— თითქმის ყველა თქვენგანს გაუგონია სიტყვა „მაიაო“, — დასავლელი მკითხველებისა და მსმენელთა თვალთახედვაში რომ შემოჰქონდა ეს ცნება, ვივეკანანდა მოინდომებდა მათთვის გაცილებით უფრო ღრმა განმარტება შეეთავაზებინა, ვიდრე ის იყო, ისინი როგორც გაცნობოდნენ ზედაპირულად, — ჩვეულებრივ მას გრძნობათა მოცთუნების, ილუზიის, ხიბლის აღსანიშნავად იყენებენ, მაგრამ მე არასწორად მიმაჩნია ეს. ხოლო ვინაიდან ამ სახელით გამოხატული ცნება ერთ-ერთი იმ ბურჯთაგანია, რომელზედაც ვედანტაა დაფუძნებული, მასზე რამდენადმე უფრო ხანგრძლივად შევჩერდებიო...

და აგვიხსნიდა, რომ:

ვედანტას მაია, მისი განვითარების უკანასკნელი სახით, არც იდეალიზმი გახლდათ და არც რეალიზმი. თეორიაც არა ყოფილა, არამედ უბრალოდ აღნიშნავდა იმას, რასაც წარმოვადგენთ ჩვენ და ჩვენი გარემომცველი სინამდვილე...

თვით ბუნება უნდა მიგვეჩნია მაიად, ანუ სამყარო.

და ვივეკანანდა ყურადღებას მიგვაქცევინებდა, რომ:

ყველა რელიგია — უხეშიდან და პირველყოფილიდან ამაღლებულ და ზემშვენიერებამდე — ამ მაიადან გაღწევის ცდას წარმოადგენდა. ყველას ერთი მიზანი ჰქონდა — რითაც უნდა გამოხატულიყო ეს მიზანი: მითოლოგიითა თუ სიმბოლოთი, ღვთაებისა და ანგელოსთა, დემონების, ადგილის დედის, წმინდანების, ნათელმხილველთა თუ დიადი წინასწარმეტყველების

ისტორიითა და განყენებული ფილოსოფიით — გაერღვია მაიას საბურველი, გაებიჯებინა მის საზღვრებს მიღმა და გაეცხადებინა ჩვენთვის რაღაც ისეთი, რაც მასზე მაღლა იდგა.

დაე გვცოდნოდა, რომ:

მაია ამ წუთისოფლისა და მისი ზემოქმედების რეალურად არსებული ფაქტებისა და მათი აუხსნელი, საშინელი წინააღმდეგობის დადგინება გახლდათ.

ჩვეულებრივ ხალხი შინდებოდა, როდესაც ამას ეუბნებოდნენ?

მაგრამ ჩვენ მამაცურად უნდა გაგვესწორებინა თვალი ამ ფაქტებისათვის. მათი მიჩქმალვა საშველის მონახვას არ ნიშნავდა, იმ კურდღლისა არ იყოს, მწევართაგან დევნილი თავს ბუჩქებს რომ აფარებს და ჰგონია, გადავრჩიო. სწორედ მას ვემგვანებოდით, ამ კურდღელს, როდესაც ოპტიმიზმსა თუ პესიმიზმს ვაფარებდით თავს.

გრიგოლ რობაქიძისათვის ინდური სამყაროსაკენ არჩილ ჯორჯაძის ნარკვევებსაც უნდა ებიძგა და რაბინდრანათ თაგორის „გიტანჯალსაც", და არამარტო ფილოსოფიურად შეისწავლიდა და გაერკვეოდა მის რაობასა და თავისებურებებში, არამედ მხატვრულ წარმოსახვასაც გაუღიზიანებდა და „მაიაზე" დაკვირვებას სულაც მინიატურად აქცევდა, ასეთ მინაწერს რომ წაუმძღვარებდა:

— ათინაში კერპი იყო, რომელსაც ეწერა: „უცნობ ღმერთს"; და რა საკვირველია თუ ამ საჩუქარს ჩემს „უცნობ ასულს" შევთავაზებ.

მინიატურა კი მოგზაურისადმი მიმართვით უნდა დაეწყო, თუ ხედავდა იმ სალ კლდეს, მდინარის გაღმა შავი ლანდივით რომ აღმართულიყო! და თუ ხედავდა, ამჩნევდა თუ არა მის ძირში, საცა მას ცელქი ტალღა ეალერსებოდა, კაცის მსგავს სახეს, ქვისაგან ნაკვეთს!

რაო, მოგზაური უნდა დადუმებულიყო გაკვირვებული?

არადა მართლაც უცნაური იყო ეს ქვა და საარაკო მისი თავგადასავალი: ნადირს რომ სისასტიკეს უკარგავდა და ლაღ ფრინველს ფრთა ეკეცებოდა მისი შეხედვის წამს.

ნურც მოგზაური შეხედავდა, თუკი შეყვარებული გახლდათ, თორემ ტრფიალის ალ-ნაკადული ცივად შეუნელდებოდა.

ამას ნუ უყურებდა, ამ რჩევის გამზიარებელს: ეს ხომ მოხუცი იყო და სიყვარულის ფრთა დიდი ხანია აღარ შეხებოდა.

მოგზაური კიდევ დუმდა?! ეტყობა, სურდა შეეტყო იმა ქვის საიდუმლო. და მაშ დაეგდო ყური და ესმინა მისი ლეგენდა.

ეს ნაღველსავით შავი მდინარე შხუილით რომ ეშვებოდა გადმოტეხილი ვერცხლის ქედიდან, უხსოვარ დროში იქ წისქვილი გამართულიყო და მის ხმაურში მოხუცი მეწისქვილე ზღაპარს თხზავდა. გულდასმით უსმენდა შვილიშვილი, ჯერ კიდევ უმწიფო, მაგრამ ასაკატეხილი ვაჟი და მოხუცის ნელი და ტკბილი ხმა ნაკადულივით რომ ეშვებოდა ყმაწვილის სმენაში, ისიც — რაღაც საიდუმლოებით გარინდული — შეცურდებოდა ოცნების სამთავროში. და ერთხელ ბერიკაცს უნდა ეთქვა მისთვის, რომ:

მდინარე ყოველთვის კი არა ხმაურობდა, არამედ ყოველ ღამეს დგებოდა ერთი წამი, როდესაც ისიც წაიძინებდა, და ვინც მას მძინარს იხილავდა, საუცხოო ასული მოევლინებოდა მდინარის წიაღიდან; ძნელი კი იყო მდინარის ძილის ხილვა: ყოველი უნდა დაგევიწყებინა და შესაძლოა მაშინ გეხილა, მაგრამ... ვინ არ დათმობდა ყოველს იმა ასულის სახილველად?!.

ყმაწვილს დაატყვევებდა მოხუცის ნათქვამი, ამიერიდან მეტი რომ არა ეხსომებოდა რა... და აი ერთ შუაღამეს მთვარე რომ დაეკონებოდა მდინარეს, თავის ლამაზ სატრფოს... მდინარეს კიდევ ერთი წუთით სუნთქვა უნდა შეეკავებინა.

ყმაწვილი შეკრთებოდა და სიზმარისებრ თვლემაში იგრძნობდა მდინარის მიძინებას და შიშით დაელოდებოდა რაღაც ახალს, უჩვეულოს, ჯერ კიდევ უცნობს. მაგრამ ეს რა მოესმოდა: თითქოს წყალი შეირხეოდა, აქაფდებოდა და თეთრი ქაფი უეცრად ქალის სახეს შეიძენდა. და წამსვე ქაფად გაიშლებოდა მდინარეში. ყმაწვილი თან გაფითრდებოდა შიშით და თან ტკბილ ტყვეობას იგრძნობდა, და შესცურავდა ისევ სიზმრის სამთავროში ხილულით მთვრალი. გავიდოდა წამი თუ საუკუნე — ეს არ იცოდა, მხოლოდ გამოღვიძების წამს თვალებზე ნაზად

შემოჭდობილ თითებს იგრძნობდა, მგრძნებარე მკლავს მოკრძალებით შეეხებოდა და, თუმც დანახვით ვერა ხედავდა, შეხებით შეიგრძნობდა მის სილამაზეს.

— ვინა ხარ შენ? — დასცდებოდა.

— მე სახელი არა მქვია, მე გამოუთქმელი ვარ, — მოესმოდა ნელი და ტკბილი ხმა, უკეთეს სასმენელს თვით ღმერთიც რომ ვერ იპოვნიდა.

— მე შენი ვარ, შენი, — უნდა ალუღლუღებულიყო ყმაწვილი. და ქალწული შეპირებოდა: მეც მოგეცლინები ხოლმეო, — ვიდრე ფრთქიალით მდინარის გულღია მკერდზე გადაეშვებოდა.

კიდევ უფრო დანაღვლიანებულ ყმაწვილს უკვე მოხუცი პაპა აღარ უნდა გაეკარებინა, ველად გაჭრილიყო. და ღამით მუდამ იმ ადგილს მისჩერებოდა, სადაც მთვარის შუქი ცელქ ტალღას ეამბორებოდა, და შამბში მიწოლილი ბალახის შრიალით მსოფლიო სიტყვას მიწვდომოდა: ყველაფერს გრძნობდა, მაგრამ ერთი რამ ემახსოვრებოდა მხოლოდ — წყლის ქალი, რომლის დედაც მდინარეა და მამა კი — მთვარე, და მოელოდებოდა მატყვევებლის ხილვას...

აი ახლაც შუაღამე რომ გადავიდოდა და ისიც თვალღია სიზმარს იქნებოდა შერთული, გავიდოდა წამი თუ საუკუნე, ეს არ იცოდა, ამას კი იგრძნობდა, რომ უსახელო ასული კვლავ მოეხვეოდა, ჩაითრევდა ნელინელ ტკბილ ბნელეთში, და ყმაწვილიც ჩაჰყვებოდა ნეტარებით უძირო ქვესკნელში, დათვრებოდა ვნებით, ბნედა მოერეოდა და ვერარას დაინახავდა, იგრძნობდა მხოლოდ, რომ მის ხვევნაში მარმარილო გაცოცხლდებოდა მშვენიერი და შეასმევდა მას მწყურვალს უკვდავების ნაკადულს.

— მიჩვენე შენი სახე, ჩემო ღვთაებავ, — შეევედრებოდა, — მიჩვენე სახე და მით ვიხილავ ყოველსა.

— მე უხილავი ვარ, მეგობარო, და თუ ჩემი ხილვა გხვდა წილად, იცოდე, ძვირად დაგიჯდება, — იტყოდა ქალწული და გედის ფრთქიალით გადაეშვებოდა ლაღი და ტალღებად გაიხსნებოდა მდინარეში.

ყმაწვილი იბორგებდა და ხმას კი აღარ გაიღებდა. დამუნჯებულაო, იტყოდნენ. ეს კი არც არავის შეხედავდა: თითქოს ვე-

რაფერს ამჩნევდა. მხოლოდღა ერთ სურვილს უნდა ეწვალებინა, უსაზღვროსა და ძლიერს, სურვილს სატრფოს ხილვისა. და უნდა მისწრაფებოდა საბედო ნაპრალს... ამაღამ მთვარე ძალზე რომ გაანათებდა, ყმაწვილს უნდა ეგრძნო რაღაც საშინელი, მაგრამ მიმზიდველი რომ არის უფსკრული აუცილებლისა?!. და ისიც უნდა მიჰყოლოდა ერთადერთ სურვილს სატრფოს ხილვისა... მდინარე შეინძრეოდა, შეჩერდებოდა, გადაიხსნიდა მკერდს და ამოცურდებოდა მისი ტალღებით ოცნების ქალწული... და ყმაწვილს მოესმოდა:

— არ შემომხედო.

მაგრამ ძნელი შესაჩერებელი იქნებოდა ტყვექმნილი თვალი და, მონადქცეული თავისი სურვილისა, არ შეისმენდა სატრფოს სიტყვას... გაიხსნებოდა ტალღები და მარმარილოდქცეულ ქაფში ღვთიური სისრულით შეიჭრებოდა ნელინელ საოცნებო სხეული ქალწულისა: ოქროს თმა ნაკადულად უნდა ყოფილიყო გადმოშვებული მის უხვ მკერდზე და ლურჯი ტალღა მაცთურ თვალებად გახსნილი მის ტურფა სახეში... და გაუყრიდა ყმაწვილი თვალს თვალში, მაგრამ იხილავდა თუ არა მის ლურჯ ციალობას, მყისვე უნდა გაქვავებულიყო... ქალწული კი კვლავ მდინარის მკერდქვეშ მოქცეულიყო და საუკუნოდ მიმალულიყო.

და ესეც ის საიდუმლო, მოგზაურისათვის გასამხელი: ქვა ის ყმაწვილი რომ იყო. მრავალი წელი გადაირბენდა მის თავზე, მაგრამ მას სფინქსად უნდა ეცქირა უხმო სივრცისათვის, მდინარეს კი ღამღამობით მისთვის ძილისპირული მოეყოლა. ამბობდნენ: წყლის ქალიც ტალღებით ჰკოცნის მას, მაგრამ კოცნით სრულიად არ დალევს, არ გააქრობსო. და ნუღა შეხედავდა მას მოგზაური: თუ ვინმე უყვარდა, ტრფიალი შეუნელდებოდა ცივი ნაკადულით...

გრიგოლ რობაქიძე თვითონვე შეთხზავდა ამ ლეგენდას, ოღონდ შეთხზავდა ინდურ მითოსურ-ხატოვან აზროვნებასთან მისადაგებით, იმ სტილისტიკით, ინდური სამყაროს სუნთქვას რომ გაგრძნობინებდა. და იმ აუხსნელ მოვლენასთან მიგაახლოებდა როგორღაც, მაია რომ ერქვა და ცხრაკლიტულივით უტ-

რიალებდნენ მის საიდუმლოს, ვიდრე არ დაიბეჯითებდნენ ადამიანის უმაღლეს სწრაფვას: გაერღვია მაიას საბურველი, გაებიჯებინა მის საზღვრებს მიღმა და გაეცხადებინა ჩვენთვის რაღაც ისეთი, რაც მასზე მაღლა იდგა.

თავისას ცდილობდა გრიგოლ რობაქიძე, თავისი ახსნის მონახვას, თავისი განმარტების შემუშავებას და... ყველაზე უკეთეს გზად არა ფილოსოფიურ განსჯას, არამედ მხატვრულ წარმოსახვას ამჯობინებდა, მინიატურას ლიტერატურული ზღაპრის იერს რომ მიანიჭებდა.

დაე ზღაპარს ეთქვა ჭეშმარიტებისაი, რაც ამ ჟანრის ბუნება გახლდათ.

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით რელიგიურ პორტრეტებს ინდური სამყაროდან — „კრიშნასა“ და „საკია-მუნს“ — ერეკლე ტატიშვილი ლიტერატურული ზღაპრის გარსში მოაქცევდა, რათა უძველესი სიბრძნე ადვილად, თამაშ-თამაშით მოეტანა თანადროულ მკითხველამდე. იგი არას თხზავდა, მხოლოდ ურთულეს აზროვნებას მოაქცევდა დახვეწილ, მომხიბლავ, გარეგნულად მარტივ, მაგრამ დიდი სიღრმეებით გაჯერებულ ფორმაში.

გრიგოლ რობაქიძე იმ სიბრძნიდან ამოზრდილა მაიას ლეგენდას, ყმანვილის ბედისწერის მაგალითზე საერთოადამიანურ ყოფას რომ გაიაზრებდა.

ვედური ლიტერატურა თავისას გამცნობდა: ინდრა მაიას მეშვეობით სხვადასხვანაირ სახეს იღებდაო, — და აქ სიტყვა „მაია“ — ვივეკანანდასი არ იყოს — რაღაც მაგიურს გამოხატავდა, ხოლო იმ კითხვა-პასუხში:

— რატომ არ შეგვიძლია გავიგოთ სამყაროს საიდუმლოება?

— იმიტომ, რომ ფუჭი ლაპარაკითა და გრძნობით სავსებით ვკმაყოფილდებით, აგრეთვე იმიტომ, რომ სურვილებითა ვართ გატაცებულნი და სინამდვილეს თითქოსდა ნისლით ვბურავთ.

აქ ეს სიტყვა „მაია“ არ ჩანდა, მაგრამ მისი იდეა კი მკაფიოდ გამოსჭვიოდა: ჩვენი უმეცრების მიზეზად წარმოდგენილი ნისლი თუ ბური, რომელიც ჩვენგან ფარავდა ჭეშმარიტებას.

და აგრძელებდა ვივეკანანდა, რომ:

ბევრად უფრო გვიან, ერთ-ერთ უპანიშადაში, ეს სიტყვა კვლავ გამოჩნდებოდა, მაგრამ ამ დროისათვის მისი მნიშვნელობა დიდად შეიცვლებოდა. წამოყენებული და უარყოფილი იქნებოდა მრავალგვარი განმარტება, ვიდრე ბოლოსდაბოლოს ამ სიტყვით გამოხატული იდეა საბოლოოდ დადგინდებოდა შვატა-შვატა უპანიშადაში: უწყოდე, რომ ბუნება მაია არის, ხოლო გონება, რომელიც მას წარმართავს, თვითონ უფალიო.

...ერთ-ერთ განმარტებად დაე გრიგოლ რობაქიძის მინიატურაც გვეგულებოდეს, თვითონ უკმაყოფილო რომ არ დარჩებოდა: მგონი რაღაცას მივაგენი... მივაგენი და ეგ არისო!..

თავი მეექვსე

ქართული იმედები, ევროპული ილუზიები

1928 წლის 24 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძე მადლობას რომ გადაუხდიდა ავსტრიელ თანამოკალმეს მეგობრული წერილისათვის, განსაკუთრებულ აღფრთოვანებას გამოთქვამდა იმის გამო, შტეფან ცვაიგი მეგობარს რომ უწოდებდა. და უზომო სიხარულის მიზეზს ასე განუმარტავდა:

ჩემთვის, ქართველისათვის მეგობრობა თითქმის კულტურააო.

და ამასაც მიადევნებდა:

თქვენთან, არამარტო პოეტთან, არამედ მოცარტივით ღირსეულ ადამიანთან დამეგობრება ნებისმიერი ადამიანისათვის ნამდვილი ბედნიერებააო.

რაო, რას სთხოვდა ცვაიგი, ჩემი წინასიტყვაობის მიმართ მკაცრი ნუ იქნებიო?

ნეტა რას შიშობდა ავსტრიელი, როდესაც მართლაც გასაოცრად დაეწერა და ამ ეპითეტს გრიგოლ რობაქიძე კიდევ ერთხელ გაიმეორებდა დიდი სიამოვნებით.

დაე ცვაიგს ისიც სცოდნოდა, რომ:

საქართველოს მთელი ლიტერატურული სამყარო აღფრთოვანებულიყო: რადგანაც არცერთ ევროპელს საქართველოსა და მის პოეტებზე მცირეოდენიც კი არა დაეწერა რა.

— ჩვენ ყველა უზომოდ მადლიერნი ვართ თქვენი, ძალიან, ძალიან მადლიერნი.

ახარებდათ ისიც, რომ ავსტრიელ მწერალს ჩვენი ფიროსი — როგორც ის უწოდებდა ფიროსმანიშვილს — ძალიან მოსწონე-

ბოდა. გულით ეამაყებოდათ, რომ ფიროსმანი ერთხელ მაინც გამოჩენილიყო ევროპაში.

შესაძლოა იანვარს ბერლინში ჩასულიყო — ამისათვის გრიგოლი ყველაფერს იღონებდა (და დასძენდა: ბუნებრივია თქვენი დახმარებითო).

ახლა მისთვის აგროვებდა ჩვენი კათედრალებისა და ფრესკების რეპროდუქციებს. და მათ მალე გაუგზავნიდა კიდეც.

„გველის პერანგის" გერმანული გამოცემა უკვე მიეღო და ძალიანაც მოსწონდა. უზომოდ უხაროდა, რომ დიდერიხსის გამომცემლობას ერთი ეგზემპლარი ცვაიგისათვის ტყავის გარეკანით მოემზადებინა. ჩანაწერები უკვე გაეგზავნა ავსტრიელი თანამოკალმისათვის. დრამატული პასტორალი „ლამარა", რომლის ინგლისური თარგმანიც ბერლინიდან გადაეგზავნა გრიგოლს, ცვაიგს ხომ არ დავიწყებოდა? თუკი დაკარგულიყო (შესაძლოა ასეც მომხდარიყო), ახალ ხელნაწერს მიაწვდიდა. მასში ავსტრიელი მწერალი ბევრ სახასიათოს იპოვნიდა.

უთვალავ, უთვალავ გულითად მოკითხვასაც არ დაინანებდა.

7 ნოემბრის ბარათსაც გულითადი მადლობით დაიწყებდა ცვაიგის მეგობრული წერილისათვის.

ის „ოსტატს" რომ უწოდებდა, გრიგოლი თავს სულაც არ მიიჩნევდა ოსტატად.

გოეთე ხომ ამბობდა: ოსტატს შვენის თავმდაბლობაო!..

— და მე?..

ძალიან გაიხარებდა, რომ ცვაიგის ღირსეულ მეუღლეს ამის რომანი ძალიან მოსწონებოდა, განსაკუთრებით — ქარავანის მატარებელი უდაბნოში და აქლემის სიკვდილი.

როგორ არ აღმოეთქვა გრიგოლ რობაქიძეს:

სწორედ ამ თავში ჩანს ჩემი გული, მინდოდა მეთქვა — გულისცემაო.

ამჟამად მუშაობდა სამ ნოველაზე. თემა — უძველესი ადამიანი. ხოლო გეოგრაფიული ფონი:

ქურთები ირანში.

ხევსურები (ქართული ტომი) საქართველოში.

და ებრაელები ყუბში (აზერბაიჯანი).

მათ შეენარჩუნებინათ სრული სიწმინდე, არავის შერეოდნენ. აქ ცოცხლდებოდა აბრაამის დრო. სწორედაც რომ!.. მათ შორის ვხვდებოდით წითურ ქალწულებს.

თემა ძალზე მიმზიდველი გახლდათ.

ახლახან წაეკითხა ლეო ფრობენიუსის, გერმანელი ეთნოლოგის, გამოკვლევა აფრიკულ ტომ იორუბაზე. ძალიან საგულისხმოდ მოეჩვენებოდა. საგულისხმო აღმოჩნდებოდა ლუდვიგ კლაგესის ნაშრომიც, გერმანელი ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის: „კოსმოგონიური ეროსის შესახებ". და ჩაურთავდა: მიუხედავად იმისა, როგორც ერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, გვაქვს „სიტყვობა სიტყვებისაო".

აშკარად ჩანდა, რომ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, იზრდებოდა ცნობისწადილი უძველესი ადამიანისადმი.

— ამით — ვფიქრობ — გაუწყეთ, როგორ ვმუშაობ ჩემს ნოველებზე.

ცვაიგის წინასიტყვაობა ქართულად უკვე თარგმნილიყო და ისევ მალეც დაიბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალში.

საქართველოში გრიგოლის წიგნს დიდი ინტერესი გამოეწვია — სახელმწიფო გამომცემლობა და „საქწიგნი" თბილისში 100-მდე ეგზემპლარს შეუკვეთდნენ...

ქართული არქიტექტურისა და ფრესკების რეპროდუქციათა შეგროვება თითქმის დაესრულებინა და მალე გადაუგზავნიდა.

ზამთარში განზრახული ჰქონდა გერმანიაში კიდევ ერთხელ გამომგზავრება. და ერთმანეთსაც რომ ნახავდნენ, ეს დიდ სიხარულს მოანიჭებდა.

— გულახდილად უნდა გითხრათ: თქვენ გაქვთ განსაკუთრებული ნიჭი, ცხოვრება საუცხოოდ აქციოთ: მოსკოვსა და იასნაიაში თქვენთან პირველი შეხვედრის შემდეგ, „ტოლსტოის დღეებიდან" მოყოლებული, ცხოვრებას სხვაგვარად აღვიქვამ: ეს არის ყველაზე დიდი ქმნილება ამ სამყაროში.

ეს რამხელა შემობრუნება მომხდარიყო მის მსოფლგანცდაში ავსტრიელი თანამოკალმის წყალობით.

შტეფან ცვაიგის პიროვნულობა გრიგოლისათვის მთელი თემა გახლდათ — ოღონდ ამის შესახებ დაე სხვა დროს ყოფილიყო...

დადგებოდა 1929 წელი და 2 იანვარს კვლავ გულითად მადლობას რომ გადაუხდიდა მეგობრული წერილისათვის და ამცნობდა თავის უზომო გახარებას ცვაიგის შეტყობინებით: ბენ ჯონსონის კომედიის პირველ წარმოდგენას პარიზში სწორედაც რომ ფანტასტიკური წარმატება ხვდა წილადო, — და ასერიგად იმიტომაც გაიხარებდა, რომ — ცვაიგსაც კარგად მოეხსენებოდა — ფრანგებს უცხო ძალიანაც არ ეხატებათ გულზე. ამიტომაც: წარმატება ნამდვილად უდიდესი უნდა ყოფილიყო.

და დასძენდა გრიგოლი: თქვენ არ გიყვართ ლაპარაკი საკუთარ თავზეო.

დიდი სიამოვნებით წაეკითხა ავსტრიელი თანამოკალმის ბროშურა: „მოგზაურობა რუსეთში“. უღრმეს მადლობას მოახსენებდა იმ სტრიქონებისათვის, რომელიც მოეძღვნა გრიგოლისა და მისი რომანისათვის.

მაგრამ... რატომ დაეწერა გრიგოლ რობაქიძეზე: პირველი ქართველი პოეტიო?

პოეტები და ქალები საერთოდაც ეჭვიანები რომ არიან, ქართველებს ეს გრძნობა მაინც განსაკუთრებით ახასიათებდათ.

გულიანად ეცინა, როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობდა:

— გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ერთი თბილისელი ნაცნობი სამი დღე-ღამე იმისთვის მგზავრობდა, რომ მისთვის ხელი ჩამოერთმია, რვა დღის შემდეგ, მატარებლით 14-საათიანი მგზავრობის მერე, იმავე სიმშვიდითა და თავდაჯერებით მოახერხა შეხვედრა ამ წვრილმანისათვის და მთელი სერიოზულობითაა დაფიქრება საჭირო, ღირს თუ არა ექვსი დღე-ღამისათვის კავკასიაში გამგზავრება...

ბევრს იცინებდა, აბა რა იქნებოდა:

ეს ნაცნობი ხომ მე ვარო...

მაგრამ დაე სცოდნოდა მის საყვარელ მეგობარს, რომ: გრიგოლს დრო უქმად არ დაეკარგა — ამ მოგზაურობისას მისი ახალი ნაწარმოები შეიქმნებოდა — მთლიანად...

17 ნოემბერს გაეგზავნა ქართული არქიტექტურისა და ფრესკების ილუსტრაციები. სავარაუდოდ ისინი ცვაიგს ჯერ არ მიეღო... ამ ზამთარს უცილობლად აპირებდა ბერლინს ჩამოსვ-

ლას. გამომცემლისათვის ახალი ნაწარმოები უნდა შეეთავაზებინა. ეს ნაწარმოები შინაგანი ფორმით „რომანი" გახლდათ, მაგრამ მხოლოდ 110-120 გვერდს მოიცავდა... არ იცოდა, შესაძლებელი იყო თუ არა მისი მიჩნევა რომანად... უზომოდ გაიხარებდა, თუკი ამ თხზულებასაც ნახავდა ცვაიგი...

საუკეთესო საახალწლო სურვილებსა და ერთგულების გამოცხადებას პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა:

დიდერიხსის გამომცემლობამ „დიდერიხს ლოუენის", მათი პერიოდული ორგანოს, მეოთხე ნომერი გამომიგზავნა. ალბათ თქვენც მიიღებდით. ბატონმა დიდერიხსმა აღიარება მოუტანა ჩემს რომანს და ამისთვის უზომოდ მადლიერი ვარო.

1 მარტის ბარათში გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ:

დეკემბრის მერე მისგან სტრიქონიც არ მიეღო. და ვარაუდობდა, რომ ამ დროის განმავლობაში დიდი ალბათობით ცვაიგს ბევრი სამუშაო ექნებოდა. გრიგოლს მხოლოდ იმის შეტყობა სურდა, დაახლოებით 130-150-გვერდიანი ნაწარმოები შეიძლებოდა თუ არა გერმანიაში რომანად მიეჩნიათ, ბუნებრივია იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებს შინაგანად რომანის ფორმა ექნებოდა.

სურდა ამ ზამთარს ორი თვით ბერლინს კვლავ სტუმრებოდა: უზომოდ გაიხარებდა, თუკი ცვაიგს ნახავდა.

— დამიჯერეთ, რომ ჩემთვის თქვენს სულიერებასა და ინდივიდუალურობას ძალიან ღრმა შემოქმედებითი და ადამიანური დატვირთვა აქვს.

ეს არ იყო უბრალო „ფრაზა"...

გრიგოლის ახალი დრამატული პიესა უკვე დადგმულიყო საქართველოს სახელმწიფო თეატრში. ძველ წარმოდგენას საშუალო წარმატება ხვდომოდა წილად (და ჩაურთავდა: დიდი არაო), მიუხედავად იმისა, რომ ინსცენირება კარგი იყო. გრიგოლის აზრით, ეს იმიტომაც მომხდარიყო, რომ სიუჟეტი და ფორმა პიესისა ახალი გახლდათ: მასების მუშაობა არხზე — მშენებლობა არხისა — ბრძოლა ელემენტებთან, მდინარესთან — ეს იყო სიუჟეტი. სიუჟეტში მასების სოციალური სურვილი და ინდივიდუალური სულიერი დრამა გადახლართულიყო. აქ წარმოჩნდებოდა

ძალა ადამიანებსა და საგნებს, საგნებსა და ბედს შორის. დრამატული ფორმაც ახალი გახლდათ. აქ საგნები თვითონ თამაშობდნენ, მდინარეს გარკვეული როლი ენიჭებოდა.

ზოგიერთი სცენა დაედგათ „პოტიომკინის ფილმის" კადრების მსგავსად. არ შეეძლო დაბეჯითებით ემტკიცებინა, რომ: სცენარი ეპიზოდებში კარგი გამოსვლოდა. მაგრამ მთლიანობაში, ეჭვიც არ ეპარებოდა, ასე იყო. ალექსანდრ ტაიროვს, რუს მსახიობსა და რეჟისორს, თეატრის თეორეტიკოსს, სურდა, რომ ეს პიესა გამოეცადა, გრიგოლს კი უნდოდა, რომ ერვინ პისკატორისთვისაც შეეთავაზებინა, გერმანელი თეატრის რეჟისორისათვის.

პისკატორის თეატრის თავისებურება უკვე გაეცნო ქართველი მკითხველისათვის.

მაინც რას ღაღადებდა ეს თეატრი თავის თავზე?

ის არ დაარსებულიყო იმისათვის, რათა პოლიტიკა განეხორციელებინა, პირიქით: პოლიტიკისაგან რომ გაეთავისუფლებინა ხელოვნება. არ ემხრობოდნენ მათ, რომელთაც ეგონათ, თითქოს ამ თეატრს პოლიტიკა რეპერტუარზე გადაეტანა მარტოდენ, როგორც საგულისხმო გამდიდრება თავისი დრამატიკის. არც მათი აზრი იყო გასაზიარებელი, რომელნიც ფიქრობდნენ: დღევანდელ თეატრში წმინდა ხელოვნებაა მოსალოდნელიო.

პისკატორის თეატრი მხოლოდ იმ მიზნით შექმნილიყო, სურდათ დაეძლიათ თანადროული სოციალური ყოფა, სურდათ ამით დაეძლიათ პოლიტიკა.

წმინდა ხელოვნება ამჟამად შეუძლებელი გახლდათ. მაგრამ ხელოვნება, რომელიც შეგნებულად დაისახავდა პოლიტიკურ სათქმელს, იქნებოდა — რამდენადაც უკომპრომისოდ გაატარებდა მას — ერთადერთი შესაძლო ხელოვნება და ამდენადვე წმინდა ხელოვნებაც.

ესეც იდეოლოგიური გეზი პისკატორის თეატრის.

ერვინ პისკატორი ახალგაზრდა გახლდათ — 30 წლისა თუ იქნებოდა, და მისგან ბევრს მოელოდნენ.

მოელოდა გრიგოლ რობაქიძეც.

შტეფან ცვაიგს კი 11 მარტის ბარათით აცნობებდა, რომ: ახლახან ბატონ ტოკერისაგან წერილი მიელო. გულითადად ემად-

ლიერებოდა ცვაიგს მეგობრული სიტყვებისათვის. ავსტრიელი თანამოკალმე იწერებოდა:

— თუ თქვენ არ ჩამოხვალთ, მაშინ მე გესტუმრებით.

გრიგოლი ყოველნაირად მზად იყო გამოსამგზავრებლად ბერლინისაკენ. ელოდებოდა მხოლოდ ნებართვას. სურდა, რომ მისი ახალი თხზულება წელსვე გამოქვეყნებულიყო გერმანიაში. თუ ცვაიგს ახლა ნამდვილად სურდა საქართველოში სტუმრობა, როგორც იწერებოდა, მაშინ ნუღა გადადებდა: გთხოვთ ახლავე. მე შემიძლია დავრჩეო.

— დიდი ბედნიერება იქნება, თუ ჩემს სამშობლოს ჩემთან ერთად ნახავთ.

შემდეგ შეძლებდნენ ევროპაში ერთადვე გამგზავრებულიყვნენ.

გრიგოლს ბევრი წერილი მიეწერა მისთვის, მაგრამ მხოლოდ ტოკერის იმ ბარათში ამოეკითხა ცვაიგის სიტყვები. დიდი ალბათობით ავსტრიელი მწერალი გამგზავრებული უნდა ყოფილიყო.

31 მარტს გულითად მადლობას რომ მოახსენებდა მეგობრული ბარათისათვის, დიდ სიხარულს გამოთქვამდა, რომ: ფიროსმანის ერთი ნახატი შტეფან ცვაიგის სამუშაო ოთახშიც ეკიდა უკვე.

ძალიან ახარებდა, რომ ავსტრიელი თანამოკალმე „გველის პერანგის“ „დიდ არტისტულ წარმატებას“ ადასტურებდა.

— კარგად იცით, ამ წიგნისათვის ვის უნდა ვუმადლოდე.

გრიგოლთან უკვე ბევრს გაება მოლაპარაკება. ყველა ძალიან კარგი გახლდათ, ნამდვილად კარგი. რამდენიმე — მოულოდნელიც კი. ბატონი ბერგმანი იწერებოდა:

— ყველა აღფრთოვანებულია, ვინც წაიკითხა. როგორც შევიტყე, ჩამოყალიბდა მკითხველთა წრე. ისინი ერთად კითხულობენ წიგნს.

ერთად წიგნის წაკითხვა — მოგეხსენებათ — რაოდენ იშვიათი მოვლენაა და... აგერ „გველის პერანგსაც“ რგებოდა ეს პატივი — უცნობი ქვეყნის მწერლისათვის ორმაგად და სამმაგად სასიხარულო.

საგამომცემლო საკითხებს რაც შეეხებოდა, საქმე მთლად კარგად ვერ მიდიოდა, მაგრამ ეს სხვა თემა გახლდათ.

როდის ეპირებოდა გერმანიაში?

იმედოვნებდა, რომ: მაისის დამდეგს. და შტეფან ცვაიგის ნახვა მისთვის დიდი ადამიანური და პოეტური სიხარული იქნებოდა.

25 მაისის ბარათი დიდად სამწუხარო ცნობით უნდა დაეწყო: ამ დღეებში მოსკოვში მისი ცოლისდა ერთიანად დამწვარიყო და გარდაცვლილიყო. თუ რა მომხდარიყო, ეს ჯერ არ იცოდნენ. სიკვდილს ერთ კვირას ებრძოდა. ცვაიგს შეეძლო წარმოედგინა, როგორ საშინლადაც ეწამებოდა. ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ყოფილიყო: ნამდვილი სლავური ნატურა. და დასძენდა: ისიც თქვენი დიდი თაყვანისმცემელიო.

გრიგოლის ცოლს იგი ჰყვარებოდა უკიდეგანოდ, უსაზღვროდ. მას არა ჰყავდა არც მამა, არც ძმა, არც სხვა და. დარჩებოდა მხოლოდ მოხუცი უნუგეშო დედა. თუ რარიგ იტანჯებოდა გრიგოლის მეუღლე, ამის წარმოდგენას ცვაიგს მიანდობდა. ისიც კი ეშინოდა: არ შეიშალოსო...

ცხადია ახლა გამორიცხულიყო გრიგოლის გამომგზავრება გერმანიაში.

თანაც: ზაფხულში ანკი რა აზრი უნდა ჰქონოდა ბერლინში ყოფნას.

სექტემბერში ჩამოვიდოდა.

ახალი თხზულება უკვე დაესრულებინა. და რაინოლდ ჩაკერტთან, უცნობ მწერალთან ერთად, გერმანულადაც ეთარგმნა...

თავისი ღრმა მწუხარების გამო თბილისში არ იმყოფებოდა მაშინ, როდესაც ერიხ მოსე — ებრაული წარმოშობის გერმანულენოვანი მწერალი და პუბლიცისტი — საქართველოს სტუმრობდა. შეხვედრით მას ბაქოში შეხვედროდა...

გარეთ — მელანქოლიური, მცხუნვარე მზე ანათებდა. მდუმარება სუფევდა. და გრიგოლს მარტოდენ თავისი გულისცემა ესმოდა. სადღაც მარტოხელა ბუზი ბზუოდა. იგრძნობოდა სიკვდილის სუნთქვა. ფიზიკა და მეტაფიზიკა აღარ განირჩეოდა — და გრიგოლი თავს იგრძნობდა ისე პატარად, ისე უმწეოდ, თითქოს ის ბუზი თვითონ ყოფილიყოს...

17 ივნისის ბარათით შეატყობინებდა, რომ: სწორედ ახლახან დაბრუნებულიყო სომხეთიდან...

* * *

ამ და აზერბაიჯანულ შთაბეჭდილებებზე გრიგოლის ორი მცირე სამოგზაურო ნარკვევი შეიქმნებოდა: „ბაქო და ჰაიასტანი" — ცალკე წიგნაკად რომ გამოიცემოდა 1930 წელს. და თუმც ორივე თხზულებაში ხარკს გადაუხდიდა მკაცრ პოლიტიკურ მოთხოვნას: აუცილებლად მიექცია ყურადღება აღმშენებლობისათვის — მაგრამ ეს იძულებული სტრიქონები სადღაც ჩაიკარგებოდა სულ სხვა განცდებისა და დაკვირვებების ფონზე.

ბაქოსთან მიახლოებისას მირაჟები გაჰქრებოდნენ და ტრამალები მიასკდებოდნენ გორაკებს, რომელთაც გრიგოლი მიამგვანებდა გასუდრულ ცხედრებს.

არე დახვდებოდათ: გადამწვარი, გადატრუსული და გადაბუგული.

ეს სივრცეები არა ჰგავდნენ სპარსეთის ტიტველ კლდეებს. იქ ცეცხლი ჯერ კიდევ არ დამქრალიყო. ცეცხლი ღვიოდა: ფერები და მურები იქ მზიურ იღვენთებოდნენ. აქ კი ცეცხლი თითქოს ჩამქრალიყო: დარჩენილიყო მხოლოდღა ნაცარი, ღადარიც არა. ფერი და მური ნაცრისაგან იყო თითქოს. არე: ღნიოში ჩაფერფლილი.

ხანდახან აქლემიც გამოჩნდებოდა — და მოჰქონდა ცხელი სუნთქვა უდაბნოსი.

აზერბაიჯანი გაგრძელება გახლდათ სპარსეთის. სპარსეთსა და ინდოეთს შუა იყვნენ ცეცხლის თაყვანისმცემელნი: და დღესაც ცეცხლის თაყვანისმცემელნი მოიპოვებოდნენ აზერბაიჯანშიც. მათი ძველი სალოცავი ახლაც არსებობდა ბაქოს ახლოს. ორიოდე წლის წინათ კიდევ ნახულობდა მგზავრი ამ სალოცავში ორიოდე მოთაყვანეს ცეცხლისა. მკვლევარებს თუ დავუჯერებდით: ზოროასტრის — და ზარატუსტრასიც — სამშობლო აზერბაიჯანი ყოფილიყო. ზოროასტრის ელემენტი კი ცეცხლი გახლდათ მუდამ. და ესეც ირანის ხაზი აღმოსავლეთის.

ხოლო... ცეცხლი რომ ჩამქრალიყო თითქოს?

არა: ეს ზედაპირული ხილვა გახლდათ.

მიუახლოვდებოდი ბაქოს და... თვალწინ გადაგეშლებოდა უცნაური ტყე, ტევრა-ტევრად: შავი, დაჭვარტლული, თითქოს „სალოსები" დაყუდებულან ლოცვადო. არა: ლოცვას აქ რა უნ-

დოდა? აქ შრომა გახლდათ, და ეს ტყე — საბურღეები: განუწყვეტლივ ჟონავდა ნავთი.

არა: ცეცხლი აქ არ ჩამქრალიყო, ეგაა სითხედ ქცეულიყო და მიწის ფენები აფშერონის ნახევარკუნძულისა გაჟღენთილიყო ამ სითხით.

ჰოი რა ინტენსიურობით სცემდა ინდუსტრიული პულსი ამ ქალაქში. და როდესაც ხედავდი ამ დიდ წარმოებას, შემოქმედებითი სიტყვა ქავილს გრძნობდა.

სურდა: მხატვრულად გადმოღება ხილულისა, და ასეთი სურვილი გრიგოლსაც დაებადებოდა და ქართულ მწერალთა დელეგაციის არაერთ სხვა წევრსაც. მაგრამ რა გზითა და რა ხერხით? მოდი და ნუ დაუფიქრდებოდი.

აგეწერა წარმოება თვითონ? მაგრამ ამას ინჟინერი უფრო შეძლებდა, და მუშაც. და მთვარესაც ალბერტ აინშტაინი უფრო კარგად გვაცნობდა, ვიდრე რომელიმე პოეტი.

ხოლო... პოეზიაშიც რომ არის მთვარე?

და გრიგოლი ივარაუდებდა: ალბათ პოეტის სიტყვაში მთვარე სხვანაირადაა „მობრუნებულიო".

მთვარე, როგორც ლიტერატურული ფაქტი, ერთი რიგიდან ამოვარდნილიყო და გადატანილიყო სხვა რიგში, ანდა — მთვარე მჭვირვალ სახედ გამოდიოდა, რომელშიაც სხვა რამ ისარკებოდა.

აქ არსებობდა ერთგვარი მეთოდი შემოქმედებისა.

და ბუნების ძალთა მიმართ ეს მეთოდი საკმაოდ გამართულიყო მსოფლიო ლიტერატურაში.

კაცის მიერ ქმნილი კი მხატვრული მეთოდით რომ დაგეჭირა, ამისათვის ესაჭიროებოდა ძველ მეთოდს გადასინჯვა. ეს გადასინჯვა კი ჯერაც არ დამთავრებულიყო.

და ამით აიხსნებოდა სისუსტე „წარმოებითი" პოეზიისა.

გიდი ეგვიპტელი ქურუმის ღირსებით გაუძღვებოდათ, კაცი — სიძველეში გადასული სიყვარულით, ნამდვილი სახე აღმოსავლეთის.

ავიდოდნენ „ქალწულის კოშკზე". და გრიგოლი რომ ივარაუდებდა: ამას ნამდვილად ეცოდინება, რამდენი საფეხურიაო, — ჰკითხავდა თუ არა, ის არც დაფიქრდებოდა:

— ას შვიდი.

დაინტერესდებოდნენ: რატომ ჰქვია ამ კოშკს ქალწულისაო?

და ისიც გაიხსენებდა ერთ კინოფილმს, რომელსაც გადმოეცა ეს ლეგენდა, ოღონდ... ტყუოდა მისი ყოველი ფირი. ამიტომაც გიდი მოჰყვებოდა სულ სხვა ლეგენდას.

— ეს კოშკი ბაბილონის „ციკურატს“ ჰგავს, — ეტყოდა გრიგოლი, ის პასუხად რომ შემოანათებდა მცდელ თვალებს და... არას მიუგებდა. გრიგოლს სურდა მოეყვანა ცნობა ბაბილონის შეწირულ ქალწულთა შესახებ (ალბათ აქედან წარმომდგარიყო ეს სახელი: ქალწულის კოშკი), მაგრამ... კოშკიდან ბაქო და ზღვა გადაშლილიყო და საუბარიც სხვა გზით გადაიხრებოდა.

— საიდან წარმოდგა სახელი ბაქო?

გიდი ეტყოდათ:

— ბაქ-ხან იყო მეომარი, მონღოლი. მან დაარქვა თავის სახელი. როგორც ახლა „ლენინგრად“, „სტალინგრად“.

ამ დროს მას ვერ შეამჩნევდი ღიმილს.

შემდგომ შეუცვლიდნენ სახელს ქალაქს.

— მაშინაც იყო ანტირელიგიური პროპაგანდა და ამისთვის, — დაასკვნიდა იგი. და ამ დროს შემპარავი თვალი შეამჩნევდა გიდს მალულ ღიმილს.

აღტაცება მოედინებოდა გრიგოლის სტრიქონებიდან, რაკიღა იმ მსოფლგანცდასა და სწრაფვას შეამჩნევდა, ასერიგად რომ აფასებდა ადამიანში:

გულმოდგინე დამცველი წარსულის ნაშთის. კაცი ბეჯითი და სიმპათიური. უკეთეს გამგებს ნაშთებისას ვერ მოძებნითო.

ხოლო პირველად რასაც იგრძნობდა, როდესაც ფეხით შეეხებოდა სომხეთის მიწას, იქნებოდა სიძველე. გორაკი უფრო ლოდები გახლდათ გადაბუგული. ლოდები დატრუსულ სპილოებს ჰგავდნენ: უფრო მათ ხორთუმებს. სპილოები დახეთქილიყვნენ. ეტყობა: გორაკზე ნაშენი ყოფილიყო ძველი. ერთ დიდ ლოდზე ურარტუს რომელიღაც მეფის წარწერაც მოჩანდა.

ისტორიის კვალი დაღივით აჩნდა მიწას. თვალწინ იჭრებოდნენ საუკუნეები. მიწა თვლემდა, თითქოს წარსულს იგონებდა. ასეთი გახლდათ სომხეთი თითქმის ყველგან.

ბუნება აქ პლასტიკური სახე იყო ისტორიის. ყოველი ქვა, ყოველი კენჭი, ყოველი კოროხი — გარდასულს ამცნევდა. კლდის ნაოჭი იეროგლიფი გახლდათ. ხევის ღრე — შინაგანი თვალი.

ლანდშაფტებიც სხვაგვარი იყო. ხომ არსებობს სილამაზე, მაგრამ არა კინოფირისათვის. არე აქ სულიერ ლანდშაფტში გადადიოდა. როგორც უდაბნოს ფაშატის გავაზე ამოჭრილი ტავრო: ისე იჭრებოდა სომხეთის ლანდშაფტებში ფარული თვალი მალული სახის.

სომხეთის კულტურა ლანდშაფტებად გადაშლილიყო: და ბუნება და ისტორია ტყუპურად შეზრდოდა ერთიმეორეს.

„უეცარი" საოცრების მხილველიც უნდა შექმნილიყო, სასწაულივით მოვლენილი „ულოდნელობის": ტბა მთებში — 6 346 ფუტის სიმაღლეზე.

ახლა უკვე ესმოდა გრიგოლს ოვანეს თუმანიანის სიტყვაც და თავისი აღთქმაც.

ამ ტბასთან გაეხსნებოდა პირველი ხილვა.

ეგვიპტის საფირონი თუ ინდოეთის ზურმუხტი? აღარ იცოდა, რომელი აერჩია. უფრო მაინც — საფირონი. ათასნაირი ლივლივი ათასნაირი ციალით. ხშირად ლივლივა ციალში გადაიზრდებოდა: თითქოსდა ზღაპრული ფრთებით გავლებული ზოლებია, ანდა პირველკაცების გასროლილი ბადეებიო. ტბის ზედაპირი სარკე გახლდათ, ამსარკველი ათასი სარკის. და ბუნების მზერა — თვალი ჰაიასტანის.

და კიდევ ის საოცრებაც: სევანის ტბა ლაჟვარდს რომ ერთვოდა, და ინთქმეოდა იქ, ითქვიფებოდა. ტბა ჰკარგავდა მატერიალურობას და ხდებოდა ჰაეროვანი. ბეჭედში ჩასმული თვალი იშლებოდა უსაზღვროებად, რომელსაც აღარ გააჩნდა არავითარი კიდური.

სულს იპყრობდა რაღაც სევდა, ნაღველი. გულისცემას რაღაც ეწვეთებოდა. გულისცემა რაღაცას ეხებოდა. სევანი ნათელი იქნებოდა და ნაღვლიანი: ადამიანივით. ცის ლაჟვარდიდან მზერა ისევ ქვევით ვარდებოდა და ისევ ტბას ეცემოდა.

და სხვა საოცრება: გეგონებოდა, ცას მოწყდა დიდი ნაკვეთი და ზურმუხტად და საფირონად დაიღვარა მთებშიო. ცის ლაჟ-

ვარდი ტბად გახსნილიყო და გულს ახლა სიმღერა აწვებოდა. ესეც სევანი.

და არ შეგეძლო არ გაგეხარა აქ: არ გემღერა.

და არ შეგეძლო არ გენაღვლა აქ: არ გეცრემლა.

ახლა კი ესმოდა გრიგოლს ავეტიქ ისაკიანის, თანამედროვე სომხეთის ღრმა ლირიკოსის, პოეტური კრებულის სათაურისა: „მღერანი და ჭრილობანი“. სწორედაც რომ მღერანი და სწორედაც რომ ჭრილობანი: ერთად.

და ახლა ესმოდა სიტყვა ოვანეს თუმანიანისაც, და უხაროდა, თვითონ რომ აღთქმა არ გაეტეხა. სევანის თვალში კი ოვანესის მრავალი პოეტური ხილვა მოქცეულიყო.

„ძველი ღმერთები“ — ასე ერქმეოდა შანტის დრამას, რომლის მოქმედებაც სევანის ტბაზე ხდებოდა.

ესენი გემით შესცურავდნენ სევანის ტალღებში. შემოუვლიდნენ კუნძულს. მიადგებოდნენ. გადმოსხდებოდნენ. ავიდოდნენ კუნძულზე, პატარა გორაკი რომ აღმოჩნდებოდა. გორაკზე ძველ მონასტერს წაადგებოდნენ: ორ საყდარს. ძველად იქ წარმართთა ტაძარი ყოფილიყო. ნაშთი ამჟამადაც იხილვებოდა. ტაძარში საგანგებო სარკმელი გამოეჭრათ. ამ სარკმლიდან მლოცველი ბერი თითქოს სატრფიალოს მზერდა თვისას: მშვენიერ იშხანუის, მთავრის ცოლს. მზერდა გაღმით, ტბის ნაპირას, სად მთავრის სასახლე აგებულიყო.

ტაძარში ოთახიც იყო, უფრო ჯურღმული. და აქ ხანდახან თვითონ იშხანუი იჯდა. და უმზერდა ბერს, როდესაც იგი ლოცულობდა.

ასეთი გახლდათ გადმოცემა, რომელიც დრამად გაშლილიყო და ებრძოდნენ ერთმანეთს: ძალა ქრისტიანული და ძალა წარმართული. და წარმართული ძლევდა.

ამ ძალთა შეხლას მძაფრად შეიგრძნობდა გრიგოლი და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამ კუნძულს მყოფ ყველა ადამიანს იგივე განცდა აიტანდა.

შესაძლოა დაწერილიყო „ბედი ჰაიასტანის“?

როგორ არა, ოღონდ სავსე კი იქნებოდა ტრაგიზმით. გრიგოლი კი განზოგადებისათვის ერთ პაწია სურათსაც იკმარებდა.

ერევნის ახლოს ათი წლის წინათ დასახლდებოდა ერთი ლტოლვილი. ოჯახი სადღაც დაიკარგებოდა, თვითონ დარჩე-

ბოდა: მარტოდმარტო. მასთან მხოლოდ ორი მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდა. მაგრამ „დასახლდებოდა“ კი? აიღებდა მინის მცირე ნაჭერს. შავი ქვებისაგან ქოხს ააგებდა. გამართავდა კერას. ცეცხლს აანთებდა. მაგრამ ხარი? მაგრამ ცხენი? მაგრამ ძროხა? სად ჰყავდა ან ხარი, ან ცხენი, ან ძროხა? „სახლს“, „კერას“ კი ბევრი რამ ესაჭიროებოდა.

ლტოლვილი წავიდოდა ბაზარში, ჯიბეში ორიოდ გროში რომ ეგდებოდა. კატას დაეძებდა: სურდა ეყიდა: შემხვედრნი იღიმებოდნენ ამ სურვილის გამგონენი. ხოლო ლტოლვილს დიდი ხანია აღარ გაეღიმა. არც ახლა იღიმოდა. მხოლოდ კატის ყიდვა სურდა. რისთვის? მოჩვენება მაინც რომ შეექმნა მოწყობისა. კატა კერასთან იქნებოდა. მას არ მოსცილდებოდა.

ესეც ის ნამდვილი ამბავი, რომლის ტრაგიკულობაც აქ უკანასკნელ სიმარტივემდე დასულიყო, და გრიგოლ რობაქიძე სრული დარწმუნებით აცხადებდა:

ეს კატა საშექსპირო სახეაო.

უფრო ქვემოთ არ დაუშვებდა, საშექსპიროზე ნაკლებს არ აკადრებდა.

მოესმინა თარი სპარსეთში: ეს გენიალური საკრავი აღმოსავლური. მოესმინა აზერბაიჯანშიც. ერთგანაც და მეორეგანაც არტისტულად უკრავდნენ, იღვრებოდა დათუთქული გული.

მაგრამ როდესაც სომეხი უკრავდა თარს, ჭრილობას გულისას ხელით ეხებოდი. ასეთი იყო მათი სიმღერაც: სევდიანი, ნაღვლიანი. ცეკვა კი სულ სხვა იყო: არავითარი სევდა, არავითარი ნაღველი. პირიქით: ლაღობა, სიმხნე და ატეხილობა ფარავდა ყველაფერს. მათი ფერხულის რიტმები თავს მოქანდაკედ განგაცდევინებდა. ხოლო შედარებით რომ შეადარებდა სვანურ რიტმებს, იმ სხვაობას შეამჩნევდა.

სომხურში მეტი ველური ატეხილობა იგრძნობოდა, სვანურში კი მეტი ბიოლოგიური დახვეწილობა.

და საიდუმლოდ დარჩებოდა მისთვის, რატომ იყო სომხური ცეკვა და სიმღერა სრულიად სხვადასხვა ხასიათის.

ნარკვევის ბოლოს კი საყვედური დაცდებოდა:

რას აკეთებდნენ ჩვენი ძველები? რად არ ინახულეს სომხეთი? სად იყვნენ მწერლებიო?

და დაბეჯითებით განაცხადებდა:

რომ ენახათ, „ნაციონალურ ფსიქოლოგიზმებს“ ალაგი ნაკლებ ექნებოდათო.

* * *

სწორედ ახლახან დაბრუნებულიყო სომხეთიდანო...

დაე შეეტყო ეს შტეფან ცვაიგსაც, ამ დაუღალავ მოგზაურს.

გულითად მადლობას უძღვნიდა თანაგრძნობისათვის. მოკლე სტრიქონები, რომელნიც ცვაიგს მოეწერა, გულიდან მოდიოდა და გრიგოლი ამას არასოდეს დაივიწყებდა...

— დიდი იმედი მაქვს, რომ მოახერხებთ ვენის პენკლუბში სტუმრობას: რამდენიმე პოეტია მოწვეული და იმედია, რუსეთიც მიიღებს მონაწილეობას — ჩემი მხრივ ყველაფერი ვიღონეო, — ავსტრიელი თანამოკალმე რომ იწერებოდა, რუსეთი მონაწილეობით აუცილებლად რომ მიიღებდა მონაწილეობას, გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირში — დაე სცოდნოდა შტეფან ცვაიგს — ბევრი გახლდათ ისეთი პოეტი, და ძალიან მნიშვნელოვანიც, რომელნიც რუსები არ იყვნენ. როგორ შეიძლებოდა მათი მიწვევა? ალბათ „ვოქსის“ მიერ? ეს აღარ იცოდა. არადა გრიგოლისათვის დიდი ბედნიერება იქნებოდა ვენის პენკლუბში სტუმრობა...

მისი მეუღლე მადლიერებით უთვლიდა მოკითხვას ცვაიგს.

17 ივლისის ბარათში კი ასე მიმართავდა: საყვარელო ოსტატო და მეგობაროო.

კვლავ მადლიერება მეგობრული წერილისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ანაპაში მიეღო. დაე ცვაიგს სცოდნოდა, რომ ანაპა პატარა ადგილი იყო შავ ზღვასთან, ჩერქეზთა ყოფილი საცხოვრებელი. არ მოგაკლდებოდა იისფერი სხივები და მსუბუქი ტალღები. ცის სინათლეში, ხილში, ყვავილებსა და მიწის სიმწვანეში ღრმა სიხარული იმალებოდა.

ესენი ცხოვრობდნენ გლეხის ქოხში: მიწა თვითონვე გახლდათ საფარი. არანაირი სისველე. მეტი სიჯანსაღე რაღა გინდოდა. იგრძნობოდა მიწის სუნი.

მათთან ერთად ცხოვრობდა გრიგოლის უბედური ცოლისდის გოგონა, პატარა არსება, სამწლინახევრისა. ფენომენალუ-

რად ნიჭიერი. მან ჯერ კიდევ არ უწყოდა, დედა რომ გარდაცვლოდა, მაგრამ მისი პატარა სხეულის ყოველი კუნთი აშკარად გამოხატავდა ცხოველურ წინათგრძნობასა და მელანქოლიას. ამის ცქერა გრიგოლისათვის საშინელება იყო...

ამ წელს ტექნიკურად ბევრი ემუშავა და ახლა უნდა დაესვენა. ინტენსიურად არ მუშაობდა. შექმნა არ გულისხმობდა დაუძლურებას: მას თან ახლდა დასვენება, როგორც ბიოლოგიური წყალობა...

როგორც უკვე შეეტყობინებინა ცვაიგისათვის: ახალი თხზულება დაესრულებინა. ახლა თავით ბოლომდე უნდა გადაეხადა. ამოხსნით უკვე ამოეხსნა და მიუდგომლადაც შეეფასებინა. შეეძლო შორიდან ეცქირა, როგორც ლანდშაფტის დათვალიერებისას: შემდეგ იწყებოდა მთავარი...

ავსტრიელი თანამოკალმის ბოლო ბარათი ამისთვის ბედნიერი უწყება გახლდათ, რაკიღა ადასტურებდა მისი რომანის „ნამდვილ დიდ ლიტერატურულ წარმატებას".

წაკითხვით მართლაც ბევრი კარგი რეცენზია წაეკითხა, მაგრამ ამ დასტურს — ცვაიგი კი გაუგებდა — მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მისი ახალი თხზულება, რომელიც შტეფან ცვაიგისათვის მიეძღვნა, არ იყო სუსტი. პირდებოდა, რომ გაუგზავნიდა იმ ფოტოებს, რომელნიც ეპოვნა ჟურნალ „ოგონიოკში", სადაც დაბეჭდილიყო ცვაიგის ესკიზები „ერმიტაჟის" შესახებ.

თვითონ გრიგოლი ამ ფოტოებზე გამოიყურებოდა როგორც უბედური ასკეტი — და ავსტრიელი თანამოკალმის დასტურსაც მოელოდა: ასე არააო?..

იმედოვნებდა, სექტემბერში ბერლინს რომ ესტუმრებოდა — და კიდევ ერთხელ ნახავდნენ ერთმანეთს: ეს მისთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა.

24 სექტემბრის ბარათს, ავსტრიელ თანამოკალმეს კვლავ საყვარელ მეგობრად და ოსტატად რომ მოიხსენიებდა, ისევ იმის განმეორებით დაიწყებდა, მისი მეგობრული წერილი, 28 ივნისით დათარიღებული, ანაპაში, შავ ზღვაზე, რომ მიეღო. მაშინვე ეპასუხა, მაგრამ ცვაიგი ალბათ უკვე გამგზავრებულიყო... და

გრიგოლიც მზად გახლდათ გამოსამგზავრებლად — ელოდა მხოლოდ ნებართვას...

იმედოვნებდა, რომ ცვაიგს ახალი თხზულება, ბიოგრაფიული რომანი ჟოზეფ ფუშეზე, უკვე დაესრულებინა. აღტაცება გაკრთებოდა მომდევნო სტრიქონებში, რომ: ამ საოცარ თემას შესაფერისი ავტორიც ეპოვნა. საიდუმლოებებით აღსავსე ამ ადამიანს ნაწარმოებში მართლაც ექნებოდა საგულისხმო გეშტალტი... და ეს ძალიან ახარებდა...

ამ დღეებში წაეკითხა ერიხ მარია რემარკის რომანი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, რომელსაც ფანტასტიკური წარმატება ხვდომოდა წილად. მსუბუქი და ბედნიერი წიგნი აღმოჩნდებოდა!.. სიმართლე რომ თქმულიყო, ის არ მიეკუთვნებოდა დიდ ლიტერატურას: ნაწარმოები იყო რეპორტაჟი და არა ორგანიზმი. მაგრამ ავტორს შესწევდა უნარი, მოლეკულურ დონეზე დაენახა მთლიანობა, რაც არასოდეს ყოფილა ადვილი. ნეტა ცვაიგი რას იტყოდა — არ იყო ეს მართებული შეფასება?..

და ბარათი მთავრდებოდა ამ ნატვრით: როდის გნახავთო?!.

29 დეკემბრის ბარათი უკვე კლიშედქცეული მიმართვით დაიწყებოდა: საყვარელო მეგობარო და ოსტატოო, და კვლავ გულითადი მადლობით წერილისათვის, რომელიც გუშინ მიეღო. დიდი სიკეთე გამოეჩინა ცვაიგს, რომ გამოეგზავნა რეცენზია „გველის პერანგზე“, დაბეჭდილი ავსტრიული გაზეთის — „ნოე ფრაე პრესს“ — ფურცლებზე. ის დიდ სიხარულს მოანიჭებდა. დაეთანხმებოდა კარლ ფედერნს, როდესაც ის ამბობდა:

მთელი შინაარსი (ამ წიგნისა) ჩვენს აზრებს სრულად არ შეესაბამებაო.

რეალურად: ცოტა რამ ქაოსური და ჰიბრიდული გახლდათ ამ რომანში. და მიტევებას ითხოვდა გრიგოლი: ეს ჩემი პირველი პროზაული ნამუშევარია და უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მასში თემა სხვა სახით არის გადმოცემულიო.

ახალი თხზულება უფრო მეტად გამოიყურებოდა „ევროპულად“. სათაურად შეერჩია „მედეას ნაწნავები“. ძველი კოლხების გაცოცხლება თანამედროვე საქართველოში — ესეც ამ

ნაწარმოების შემოქმედებითი ამოცანა. უძველესი ადამიანის თაურელემენტებში გაშლილიყო სიუჟეტი.

რომანის თარგმნა გერმანულად უკვე დასრულებულიყო.

ეძღვნებოდა შტეფან ცვაიგს — პოეტის გულს.

და გრიგოლი იმედოვნებდა, რომ მას „საგამომცემლო" წარმატებაც ექნებოდა.

ამჟამად მუშაობდა რომანზე: „ნეგრი ევროპაში" და სამი მეოთხედი უკვე დაეწერა. მაგრამ რათა ეს ყოველივე სრულყოფილად შეეგრძნო, კვლავ უნდა მოხვედრილიყო ევროპულ გარემოში. მზადყოფნით მზად გახლდათ გამოსამგზავრებლად. არ გამორიცხავდა, რომ იანვარში უკვე ბერლინს ყოფილიყო.

ცვაიგის ნახვა მისთვის ძლიერ მოთხოვნილებად ქცეულიყო — და ეს არ იყო უბრალო „ფრაზა"...

ავსტრიელი თანამოკალმე ალბათ წაიკითხავდა ჟურნალის — „დას ნოე რუსსლანდ" — ორ ნომერს: მეხუთე-მეექვსეს, საქართველოს რომ ეძღვნებოდა და სადაც დაბეჭდილიყო გრიგოლის სტატიაც: „ქართული ლიტერატურა V-დან XX საუკუნემდე".

ბატონი კაზანი — ბერძენ მწერალს ნიკოს კაზანძაკისს რომ იგულისხმებდა — ერთ სტატიას („ნადიმი ქართველი მწერლებისა") გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობის (ჩაურთავდა: მაქვს „ჩემიო"?) შესახებ გამოაქვეყნებდა. და შესავალში იმოწმებდა შტეფან ცვაიგის სიტყვებს საქართველოზე „გველის პერანგის" წინასიტყვაობიდან. რედაქციის მისამართი იყო: ბერლინი — პანკოვი, კავალიერის ქუჩა №10, რედაქტორი ერიხ ბარონი...

ცვაიგის წიგნი — „მარსელინა დებორდ-ვალმორი. პოეტის ცხოვრებისეული პორტრეტი" — ამ დღეებში რუსულად გამოცემულიყო. მისი მკითხველები აღფრთოვანებით კითხულობდნენ.

ელოდებოდა წიგნს ჟოზეფ ფუშეზე: მეგობარი შეპირებოდა ბერლინიდან გამოგზავნას. იმედოვნებდა, მომდევნო დღეებში ჩამომივაო...

მიეღო მშვენიერი წიგნი: რაინერ მარია რილკეს „წერილები ახალგაზრდა პოეტს" და აღტაცებისაგან თავს ვერ შეიკავებდა: გასაოცარიაო!..

რემარკის შემდეგ როლან დორგელესის წიგნი წაეკითხა: „ჯვარი ხისა“ — ძლიერად და არტისტულად დაწერილი. ზედმეტად არტისტულადაც კი...

ახლახან კი კითხულობდა ჟოზეფ დელთაილის „ჟანა დ' არკს“ და ამ ეპითეტით შეაფასებდა: შესანიშნავიაო. სურდა დაეზუსტებინა: ეს ავტორი ის პოეტი ხომ არ იყო, ცვაიგს რომ ექო მისთვის იასნაია პოლიანაში — რაღაც მსგავსი სახელი კი ეხსენებინა...

დიდი სიამოვნებით წაეკითხა კაზიმირ ედშმიდის ახალი ნაწარმოები, რუსულად ასე რომ ერქვა: „არაბები, ხარები, ბასკები“ — ესეც ძალზე არტისტულად დაწერილი. მაგრამ... მას აკლდა სისადავე.

საიდან მოდიოდა ეს? მხატვრული წიგნის მაგიადაც სწორედ ის ესახებოდა, რომ ხერხი — თუ „როგორ“ შექმნილიყო — პოვნით რთულად საპოვნელი ყოფილიყო. და თვალსაჩინოებისათვის წამოაგონდებოდა „დაბადება“ და „გილგამეში“.

გულითად მოკითხვასა და საუკეთესო საახალწლო სურვილებს გაუგზავნიდა და ნებართვას ითხოვდა, მოეკითხა ცვაიგის ღირსეული მეუღლეც, რომელსაც ჯერ არ იცნობდა.

30 დეკემბრის ბარათს იმით დაიწყებდა, რომ:

გუშინ ეპასუხა ცვაიგის მეგობრული წერილისათვის. და დავიწყნოდა ეკითხა მისი განზრახვის შესახებ — ესტუმრებოდა თუ არა საქართველოს, რადგანაც საბჭოთა საქართველოს მთელი ლიტერატურული სამყარო მოუთმენლად ელოდებოდა მის გამოჩენას.

კიდევ ერთი. დღეს შეეტყო, რომ: რემარკის რომანი გერმანიაში ისე შეეფასებინათ, ავტორს ნობელის პრემიის კანდიდატადაც კი მოიაზრებდნენ. ერთხელ ცვაიგისათვის ეს ნაწარმოები დაეხასიათებინა, როგორც „რეპორტაჟი“ (თუმც ძალზე მარჯვედ კი იყო შექმნილი). ახლა ხედავდა, რომ ის არც ისე მაღალ დონეზე შეეფასებინა. და შიშობდა: ვაითუ ჩემს შეხედულებას უსიამოვნოდ შეხვდითო...

კიდევ რაღაც თავისი ახალი თხზულების შესახებ.

ძველი კოლხების მარტივად გაცოცხლება — არ იქნებოდა საინტერესო.

ამიტომაც „მედეას ნაწნავები" ტრილოგიის პირველად ნაწილად განეზრახა. და სურდა წარმოეჩინა:

ა. ადამიანი მსოფლიო ომის შემდგომ.

ბ. ადამიანი დიდი რევოლუციის შემდგომ.

მსოფლიო ომსა და რევოლუციას ადამიანი სრულიად შეეცვალა. ცვაიგს ეს მოეხსენებოდა. ამის გამოსახატავად ადამიანი ისეთი უნდა წარმოესახა, როგორიც იყო მსოფლიო ომამდე და განსაკუთრებით რევოლუციამდე. ამიტომაც აღწერდა წარსულს — XIX საუკუნის შუა ხანას საქართველოში. მაგრამ ეს თხზულება არ გახლდათ ისტორიული რომანი. ამგვარად მისი ნაწარმოების თემა მზად იყო. და თხზულება ისე გამართულიყო, დიდ ინტერესს იწვევდა.

1930 წლის 3 მარტს მოკლე ბარათს იკმარებდა საყვარელი ოსტატისა და მეგობრის სახელზე:

ბერლინიდან თქვენი ახალი ნაწარმოები მივიღე და მაშინვე ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. თქვენ ამ თხზულებით მსოფლიო ლიტერატურაში ახალი ჟანრი შექმენით — ეს ფაქტია. ამ წერილით მინდა ჩემი აღფრთოვანება გამოვხატოო.

6 ივნისსაც ასევე მოკლე წერილს მისწერდა საქართველოს ცნობილი სამხედრო გზიდან, შემთხვევით რომ წაეკითხა „ნუველე ლიტერარის", ფრანგული ლიტერატურული ჟურნალის 22 მარტის ნომერში მარსელ ბრიონის ჩინებული რეცენზია „გველის პერანგზე". კიდევ ერთხელ უხდიდა მადლობას ცვაიგს, რომ წარმატებით მიეღოთ ეს რომანი, რომლის ასე ბრწყინვალედ მომზადებაც ავსტრიელი თანამოკალმის დამსახურება გახლდათ.

26 ივნისის ბარათი კი იმ სიტყვებით უნდა დაწყებულიყო, ყოველთვის ძალიან რომ უხაროდა, როდესაც ავსტრიელი მეგობრის წერილს ღებულობდა, მაგრამ სამწუხაროდ დეკემბრის მერე მისგან არცერთი სტრიქონი არ მოსვლოდა.

შესაძლოა ცვაიგი გაეხარებინა იმის გაგებას, რომ საბჭოთა ხალხის თეატრალური შემოქმედების კონკურსში, რომელიც მოსკოვში გამართულიყო, ქართული თეატრი პირველ ადგილზე გასულიყო გრიგოლ რობაქიძის დრამით „ლამარა".

სიმართლე რომ თქმულიყო:

ეს გახლდათ არა დრამა, არამედ დრამატულად გაფორმებული ქორალი.

მაშინ ამ თხზულების ინგლისური დაუმუშავებელი თარგმანი ბერლინიდან გაეგზავნა ცვაიგისათვის.

„ლამარა" ხევსურული დიალექტით იყო შესრულებული.

დაე ავსტრიელ თანამოკალმეს სცოდნოდა, რომ ესეც ქართული ენა გახლდათ, ოღონდ უფრო არქაული და შეუდარებლად ლაკონიური.

უძველესი ადამიანებისათვის, ამ დრამის მოქმედ პირთათვის, უნდა გამოეყენებინა არქაული სიტყვები.

მოსკოვში „ლამარას" მართლაც დიდი წარმატება ხვდომოდა წილად.

ამერიკული ექსპერიმენტული თეატრი ჩვენს თეატრს მიიწვევდა.

ცნობილი ჟურნალ-გაზეთების 30-მდე ამერიკელი და ევროპელი კორესპონდენტი „ლამარას" წარმოდგენას 17 ივნისს ნახავდა და აღიარებდა მის გამარჯვებას. ისინი სპექტაკლს სიმფონიურს უწოდებდნენ...

მომავალ შეხვედრამდე საუკეთესო სურვილებით რომ გამოემშვიდობებოდა, პოსტსკრიპტუმში მიადევნებდა, რომ:

მესამედ წაეკითხა „ჟოზეფ ფუშე" და ცვაიგის ამ თხზულების წერის სტილს ბევრი რა მიეცა მისთვის. სწორედ ამ სტილით შეეცდებოდა შეექმნა ალექსანდრ პუშკინის, დიდი რუსი პოეტის, სახე: პუშკინს (ჩაურთავდა: უსაზღვროდო) წარმოაჩენდა, როგორც აფრიკელს.

1931 წლის 3 იანვარს ერთადერთ ფრაზას იკმარებდა წერილის, უფრო კი დეპეშის, შინაარსად:

გულითად მადლობას გიხდით თქვენი მეგობრული ბარათისთვისო.

უხვსიტყვაობით არც 10 იანვრის წერილი გამოირჩეოდა საყვარელი მეგობრისა და ოსტატისადმი: კვლავ გულითადი მადლობა ბარათისათვის და უწყება, რომ: ახლა წერდა მხატვრულ ესეის იდუმალ ქართულ ტომზე — ხევსურებზე. ერთდროულად გამოიცემოდა გერმანულად, რუსულად და ქართულად.

1831 წლის 8 მარტს უკვე ბერლინიდან აცნობებდა, რომ: გუშინ ცოლთან ერთად ჩამოსულიყო — როგორც იქნა.

თავს გრძნობდა: ფიზიკურად — სუსტად, სულიერად კი — ისე სავსე იყო, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ნერვიულობით ნერვიულობდა.

ჩამოიტანდა „მედეას ნაწნავებს", რომელიც ცვაიგს ეძღვნებოდა, და „ნეგრს ევროპაში", სამწუხაროდ ჯერ რომ არ თარგმნილიყო, ისევ თან ჰქონდა საოცარი მასალა (ის უნდა დამუშავდესო, ამასაც დასძენდა). დაწვრილებით ყველაფერს პირადად მოახსენებდა: ერთმანეთს ხომ კიდევ შეხვდებოდნენ ერთხელ მაინც — ევროპაში სულ მცირე ერთ წელიწადს აპირებდა დარჩენას.

სულ მცირე ერთ წელსო...

რას წარმოიდგენდა, რომ ეს „სულ მცირე ერთი წელიწადი"... მთელ ცხოვრებად გადაეჭიმებოდა...

30 მარტს კვლავ რომ გაიმეორებდა: ჩემს ცოლთან ერთად ბერლინში ჩამოვედიო, — დასძენდა, რომ: მაშინვე გაეგზავნა ბარათი, მაგრამ პასუხი ჯერ კიდევ არ მიეღო. დიდი ალბათობით ცვაიგი უკვე გამგზავრებული უნდა ყოფილიყო.

ახალი ნაწარმოებები ჩამოეტანა: ერთი რომანი და 12 ნოველა — მაგრამ გამომცემლობის ეკონომიკური მდგომარეობა მაინცდამაინც რიგიანად ვერ გამოიყურებოდა. ამის შესახებ შემდგომში დაწვრილებით მისწერდა. მისამართი კვლავ ბერლინისა ექნებოდა — ბამბერგის ქუჩის 4.

4 აპრილს ძალიან გაუძნელდებოდა მიეწერა თავისი მატერიალური მდგომარეობის თაობაზე, მაგრამ იძულებული შექმნილიყო ასე მოქცეულიყო.

დიდი მოლოდინის მიუხედავად იმედგაცრუებული დარჩენილიყო.

ჯერ ერთი: ჩვენი თეატრი, რომელსაც შარშან მოსკოვში ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაეკავებინა და გრიგოლის „ლამარას" წყალობით ევროპასა და ამერიკაში მიეწვიათ, დღეს-დღეობით აქ ვერ მოხვდებოდა, რადგანაც გასტროლების საკითხი პოლიტიკურად ჯერაც არ გადაწყვეტილიყო.

ამგვარად — მაღალი ჰონორარი შეუწყდებოდა.

მეორეც: აქ შეატყობინებდნენ, რომ მის „გველის პერანგს“ დიდი ლიტერატურული წარმატება მოეპოვებინა, თუმც არა ფინანსური. საბჭოთა კავშირიდან, ცვაიგს ესეც მოეხსენებოდა, შეუძლებელი გახლდათ დოლარის მიღება. რაღა დარჩენოდა? ახალ თხზულებათა გამოქვეყნება. მაგრამ სწორედ ახლა გერმანიაში რთული ეკონომიკური კრიზისი დამდგარიყო. ამის შესახებ გრიგოლი მეორედ აქ შეიტყობდა, და გამომცემელნი იძულებულნი შეიქნებოდნენ, ცოტა თავშეკავება გამოეჩინათ.

მისი ახალი რომანი „მედეას ნაწნავები“, რომელიც უკვე გაეგზავნა დიდერიხსის გამომცემლობისათვის, ფიქრობდა, რომ მეტად ყურადსაღები იყო, დინამიკური, უნდოდა ეთქვა — უფრო მეტად ევროპული ფორმის მქონე, ვიდრე „გველის პერანგი“, და შეეძლო ეპოვნა მეტი მკითხველი, თუმც დარწმუნებული გახლდათ, რომ საერთო რთული მდგომარეობის გამო გამომცემლობა მასზე უარს იტყოდა. ყველა ასე ამბობდა, რომ: პესიმისტურად განწყობილიყვნენ.

რა უნდა ელონა?

ვერც გაუბედავდა თხოვნას: ფული მასესხეთო.

ერთადერთი გამოსავალიღა რჩებოდა:

მზად ჰქონდა მცირე „კავკასიური ნოველები“, 15-მდე. მათგან რამდენიმე: „იმამ შამილ“, „წმინდა ხარის მოკვლა“, „ტოტემური თხის რქა“ და სხვანი — უკვე თარგმნილიყო გერმანულად. მათი მხატვრული ფორმის შესახებ — ნოველის ფორმის პირველხარისხოვანი ოსტატის წინაშე — ბუნებრივია უნდა გაჩუმებულიყო.

შინაარსობრივად ისინი საინტერესო რომ გახლდათ, ეს შეეძლო გულწრფელად ეთქვა: საინტერესო განსაკუთრებით ეროვნული მკითხველისათვის. ეს მასალა მთაში მცხოვრებ კავკასიელ და ქართველ ტომებში შეეგროვებინა. ის უცნობი გახლდათ არამარტო ევროპაში, არამედ რუსეთსა და საქართველოშიც.

სჯეროდა: ეს ნოველები გაზეთებში, რომლებიც — როგორც ეთქვათ, კარგად იხდიდნენ — ადგილს დაიმკვიდრებდნენ. მაგ-

რამ საჭირო იყო წარდგენა. სწორედ ამ მხრივ შეეძლო ცვაიგს, დახმარებოდა მას.

გაზეთებში გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ამ ნოველების გამოცემა ცალკე წიგნადაც, რაც უთუოდ მომგებიანი იქნებოდა.

სურდა, რომ აქ — სულ მცირე — ერთ წელიწადს დარჩენილიყო, რათა ევროპაში ლიტერატურულად უფრო მეტად მოეკიდა ფეხი, — განსაკუთრებით ამ წელს.

28 ნოემბერს სურდა გერმანიაში ყოფნა. და რომ დასძენდა: მიხვდებით რატომაცო, — მიანიშნებდა: ვიცი, ამ დღეს თქვენი დაბადების დღე რომ არისო.

საერთოდ კი დარწმუნებული იყო, რომ ავსტრიელი თანამოკალმე გაიგებდა მის მდგომარეობას და დაეხმარებოდა.

პოსტსკრიპტუმში გაუმჟღავნებდა, მისი ყოფა მთლად უკიდურესი რომ შექმნილიყო.

ცვაიგისათვის საჩუქრად ჩამოეტანა ამორძალების ცული — მხოლოდ ბრინჯაო და ჯაჭვი, ასევე ბრინჯაოს ოთხი ბეჭედი, — რომელთაც ძველ დროს ფულად იყენებდნენ. და... ახლა იძულებული გამხდარიყო ვინმე მოეძებნა, რომ ეს ნივთები გაეყიდა. ხომ წარმოიდგენდა ავსტრიელი მწერალი, თუ რამხელა ტკივილი შეიძლება ყოფილიყო ეს გადაწყვეტილება გრიგოლ რობაქიძისათვის! სისხლით ხორცამდე შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მაგრამ...

4 აპრილის ბარათით ამცნობდა, რომ:

წერას ამთავრებდა, როდესაც მის მეგობრულ წერილს მიიღებდა. ვერც წარმოიდგენდა ცვაიგი, რაოდენ დიდ სიხარულს მიანიჭებდა ქართველ თანამოკალმეს გულწრფელი ფრაზებით. განსაკუთრებული მადლობა კი მაინც ამ სტრიქონებისათვის სურდა გადაეხადა:

— დაწვრილებით მომწერეთ თქვენი წიგნის შესახებ, იქნებ როგორმე შევძლო თქვენი დახმარება.

რომანზე აკი უკვე მიეწერა. უბრალოდ სურდა რაღაც დაემატებინა.

„მედეას ნაწნავებს" თავის თხზულებებს შორის საუკეთესოდ მიიჩნევდა.

ხომ არ ცდებოდა?

შესაძლოა, მაგრამ ასე კი ფიქრობდა და...

მისთვის ცხადია ემჯობინებოდა, რომ ის თავდაპირველად რომელიმე გაზეთში დაბეჭდილიყო (და დასძენდა: გაზეთები ხომ კარგად იხდიანო). ამ დღეებში პასუხს ელოდა დიდერიხსის გამომცემლობისაგან.

რამდენი რამ ჰქონდა ცვაიგისათვის პირადად სათქმელი!!! იმედოვნებდა, რომ ერთხელ მაინც ნახავდა აქ...

და კვლავ ერთიბეწო ბარათი, 7 აპრილით დათარიღებული:

გულითად მადლობას რომ მოახსენებდა წერილისათვის, და გაუგზავნიდა ორ ნოველას: „იმამ შამილ" და „წმინდა ხარის მოკვლა". იმედოვნებდა, რომ ცვაიგი დაწვრილებით მოიწერებოდა. მისი წერილის ბოლო ფრაზას არასოდეს დაივიწყებდა.

22 აპრილის ბარათით გულითად მადლობას გადაუხდიდა გზავნილისათვის.

რამდენიმე დღის წინათ ერთ ნაცნობს ერჩია ჟურნალი „ატლანტისი" და გრიგოლი იქ უკვე იმყოფებოდა. შტეფან ცვაიგის მეგობრულ წერილს რედაქციას დღეს გადასცემდა...

ახლა „მედეას ნაწნავების" შესახებ. ბატონი ბერგმანი, დიდერიხსის გამომცემლობიდან, იწერებოდა:

— ყოველთვის იგრძნობა, თუ რამდენი რამ იმალება მაგიური თქვენს განცდებში და რარიგ წარმოსახავთ ამ მაგიურ-ადამიანურსა და ზეადამიანურს. ეს ამარტივებს სათქმელს და ჭეშმარიტებამდე მიჰყავს. საფუძველი არის მაგიური. ასეთი მოთხრობა შეიძლება დაეწერა პუშკინს და ალბათ ლერმონტოვსაც. ორივეს მოეწონებოდა ეს სიმძაფრე, რომელშიც მითიური და მაგიური ერთმანეთს თანხვდება.

ამასთან დაკავშირებით გრიგოლს მხოლოდ ეს განცდა გაუჩნდებოდა:

პათეტიკური ნათქვამია, თუმც ნაწარმოებს ამის მიუხედავად დიდად აფასებენო.

მხოლოდ ეს?

ამის თქმას კმარობს, მთავარია, რომ მისი რომანი ძალიან მოიწონეს, თორემ გულში უთუოდ გაიფიქრებდა: რა საერთო აქვს

„მედეას ნაწნავებს“ ან პუშკინისა და ან ლერმონტოვის სტილისტიკასთან, სად ხვდება მათთან ერთიმეორეს მითიური და მაგიურიო?!. ისე მოწონებით თუ მოეწონებოდათ ეს სიმძაფრე, მაგას რაღა სჯობდა!.. ეგაა — ეს ორი სახელი იმიტომ ახსენდებოდათ, გრიგოლ რობაქიძეს მაინც რუსული სამყაროდან მოსულად რომ აღიქვამდნენ, თუმც ლიტერატურულ წრეებში ნელ-ნელა იჭრებოდა საქართველოს არსებობის ამბავიც და მისი უძველესი კულტურისაც.

ამჟამად კიდევ ერთი დაბრკოლება გამოხლართულიყო, გრიგოლი „ყალბ განმარტებად“ რომ მოიხსენიებდა და ასე უხსნიდა მიზეზს ავსტრიელ თანამოკალმეს:

თხზულება თარგმნით ხომ ეთარგმნა დოქტორ ჩაკერტს, თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ენის ლექტორს. და აი გრიგოლის ბედისწერა:

— ჩემი პოეტური ენა — ნება დამრთეთ, ერთხელ გულწრფელად ვთქვა — ისეთი ძლიერია, რომ მთარგმნელზეც ზემოქმედებას ახდენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი პოეტი არ არის.

სავარაუდოდ ეს მომხდარიყო ამჯერადაც.

ბატონი ბერგმანი მიიჩნევდა: ტექსტი გერმანული ენის რიტმს უნდა მოერგოსო.

არადა გრიგოლი ფიქრობდა — და ზოგიერთი მისი მეგობარიც — რომ უბრალო სტილისტური გადამუშავება სავსებით იკმარებდა. ამის გაკეთება კი ადვილად შეიძლებოდა.

ამგვარად: გამომცემლობას ამ თხზულებაზე მთლად უარიც არ ეთქვა, მაგრამ... არც მიეღო.

თვითონ გრიგოლი „მედეას ნაწნავებს“ აფასებდა როგორც ძლიერ ნაწარმოებს, ძალიან ძლიერსაც. ბრმა კი ნამდვილად არ გახლდათ. ცხადია შეეძლო თავისი თხზულებისათვის კრიტიკულადაც შეეხედა. მაგრამ ეს რომ ჩვეულებრივი თხზულება ყოფილიყო, ცხადია შტეფან ცვაიგს არ მიუძღვნიდა. პირადად გრიგოლისათვის ის უმნიშვნელოვანესი გახლდათ. და დასძენდა: არა მხოლოდ შემოქმედებითად, არამედ წმინდა სულიერადაცო...

რთული დრო იდგა გრიგოლისათვის. და მწარედ გაელიმებოდა: ალბათ ძველი ყაიდისა ვარ! რამდენი ადამიანური რამ შემეძლო შემექმნა! მაგრამ გარეგნული ბრძოლისათვის არა ვარ გაჩენილი. ასეთი ურთიერთობა ჩემთვის მიუღებელიაო.

შტეფან ცვაიგის ყოველი წერილი კი მხნეობას ჰმატებდა და მასთან მეგობრობა გრიგოლ რობაქიძისათვის ნამდვილი ღვთიური საჩუქარი გახლდათ.

დაწერდა „ღვთიურს" და... თითქოს გულს დააკლდებოდა: კიდევ არ არის „შესაფერისი" სიტყვაო.

3 მაისს გამომცემლობა „ატლანტისიდან" პასუხს რომ მიიღებდა, სასწრაფოდ აფრენდა ბარათს ავსტრიელ მეგობართან და იქ ამონარიდს ჩართავდა გამომცემლობის წერილიდან:

— თქვენი სამი ნოველა, ასე მეგობრულად რომ გადმოგვეცით, დიდი სიხარულით ვნაიკითხეთ. მათგან სიამოვნებით დავიტოვებთ ორს: „წმინდა ხარის დაკვლა" და „თეთრი თხის რქა". „ატლანტისში" გამოქვეყნდება. მესამე — „იმამ შამილ" — უკანვე გამოგიგზავნეთ არა იმიტომ, რომ არ მოგვეწონა, არამედ ჩვენი დასაბეჭდი ადგილი შეზღუდულია და ის ორი ერთმანეთს თემატურად ძალიან კარგად ესადაგება. გულწრფელად გვიხარია, რომ შევძლებთ თქვენი მშვენიერი მოთხრობების შეთავაზებას ჩვენი მკითხველისათვის. ისინი ნამდვილად ხალხის სულის გამომხატველი ბალადებია, როგორც თქვენ ბრძანდებით ჭეშმარიტი პოეტი.

ძალიან ახარებდა ამ სტრიქონების წაკითხვა და სურდა გამოეხატა მადლიერება ცვაიგის მიმართ — მისი მეგობრული რჩევისათვის.

ამჟამად ძალიან ბევრს მუშაობდა, თანაც როგორ პირობებში!.. მაგრამ ცვაიგის არსებობა გამბედაობას სძენდა და მასთან მეგობრობა ერთადერთი გახლდათ, რაც ევროპაში მოხვედრილი გრიგოლის მდგომარეობას ამსუბუქებდა.

* * *

დიდხანს რჩებოდა გამონაკლისად ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელის" ის ეპიზოდი, იმამ შამილის მონუმენტური სა-

ხება რომ წარმოისახებოდა დაწურულად, ოღონდ უაღრესი ტევადობით, თავისებურ საგალობელსაც რომ დაემსგავსებოდა აღმტაცი სტრიქონები.

ალექსანდრე ორბელიანს კინაღამ საბედისწეროდ გაუხდებოდა ფარული მცდელობა შამილთან პოლიტიკური კავშირის გაბმისა.

მის გარშემო იმით მოჰქონდათ თავი, რუსეთის სამხედრო ექსპედიციებში ჩრდილოკავკასიის დასაპყრობად დიდი მონდობით რომ მონაწილეობდნენ და თავიანთ წვლილსაც შეიტანდნენ ამ ეპოპეის მოთავებაში.

იმდენი ვეღარ განეჭვრიტათ, შამილის შეპყრობასთან ერთად კიდევ უფრო რომ ინავლებოდა იმედები ჩვენი სახელმწიფოებრიობის ამოგებისა.

რარიგ ხარობდნენ იმისი ოცდაათწლიანი თავგანწირული ბრძოლის დასრულების მხილველნი!.. რუსებზე არანაკლებად!..

ალექსანდრე ყაზბეგი შეეცდებოდა თვისტომთა გამოფხიზლებას ამ ეიფორიისაგან და იმამ შამილის პიროვნებისა და ღვაწლის წარმოჩენას ისე, ამ ჰეროიკული ბრძოლის გმირს რომ შეჰფეროდა.

მერე ალექსანდრე ფრონელს უნდა გადაება ალექსანდრე ბატონიშვილისა და შამილის ჰეროიკული სახებანი, იმ ლეგენდას რომ მოეჭიდებოდა: შამილი ქართველი ბატონიშვილის უკანონო შვილი იყოო...

ტიციან ტაბიძეც თავის პოეტურ წარმოსახვებში ალექსანდრე ყაზბეგის გზას გაჰყვებოდა.

და გრიგოლ რობაქიძე კავკასიური ნოველების ციკლს რომ ჩაიფიქრებდა, ერთ უპირველეს ნიმუშს შამილზე განიზრახავდა, თორემ უიმისოდ განა რა ფასი შეიძლება ჰქონოდა კავკასიური მთლიანობის იდეის ქადაგებას ნოველების მეოხებით.

მეტსაც ფიქრობდა შამილზე, მაგრამ ჯერჯერობით დაე ის ეპიზოდი მოესინჯა, იმის ლეგენდარულ სახეს კიდევ ერთ მომხიბლავ შტრიხს რომ სძენდა, თორემ აღმტაც სტრიქონებს ხომ არ დაიშურებდა და არა ამ მონუმენტური ფიგურისადმი, ძლევამოსილი რომ იგერიებდა მედგრად რუსთა ურდოებს და სიმამა-

ცით აღანთებდა თავისუფალ შვილთ კავკასიისა, მშობელი მიწის ყოველ გოჯს რომ იცავდნენ და ხშირად კიდეც ამარცხებდნენ რიცხვმრავალ მტერს. დარგოსთან ბრძოლაში აკი სრულ განადგურებასაც აწვნევინებდნენ.

მაგრამ რუსები რომ არა დრკებოდნენ მაინც, არა და არა ცხრებოდნენ? რაზმი რაზმს ემატებოდა და მოგორავდნენ ზვავივით მოხეთქილნი. და შეუვალ მაღლობებს რომ ეტანებოდნენ, ხანდახან კიდეც იპყრობდნენ რომელიმეს და სისხლით დამთვრალნი დაერეოდნენ მშვიდობიან აულებს — დასარბევად, ასაოხრებლად.

ჩვიდმეტი წელი მარჯვედ კი ხვდებოდნენ დამპყრობელთ, მაგრამ განა როდემდე გაძლებდნენ?..

და ბორცვის განიერ ფერდობზე რომ დაბანაკებულან და ნაღვლით განაბული მეომრები თვალს ავლებენ ჩამავალ მზეს, ყველას ერთიდაიგივე ფიქრი უნდა აეკვიატოს: ზავი, თორემ მთლად გავწყდებით, ზავი გვიხსნის, ზავი, ზავიო — მაგრამ... ვინ გაბედავდა ეს სიტყვა თუნდ სასხვათაშორისოდ ჩაეწვეთებინა მეთაურისათვის?

ორი დღის წინათ ხლებოდნენ შამილს სწორედ ამ განზრახვით ჯევად-ხანი და ხაგნარ-დიბირი. მორიდებით წარდგებოდნენ რაინდის წინაშე და შეეცდებოდნენ მიკიბვ-მოკიბვითა და შეპარვით ჩამოეგდოთ სიტყვა ზავზე. ხან იმას იტყოდნენ, ხან ამას, მაგრამ როგორც კი უნდა დაცდენოდათ ეს სიტყვაც — „ზავი“ — მყისვე უკან იხევდნენ შეშინებულნი, თითქოს უფსკრულს ჩასცქეროდნენ. იცოდნენ, რომ მეთაური არ ავარდებოდა რისხვით „ზავის“ გაგონებისას, მაგრამ გრძნობდნენ, რომ გაუმხელელი რისხვა, შამილის განლინგებულ უძრაობაში შეკავებული, უარესი იქნებოდა.

და ისე გამობრუნდებოდნენ, ზავს გაკვრითაც ვერ ახსენებდნენ.

ფარული ბჭობისას ნაიბები შუანეთსაც ახსენებდნენ, ერთერთ ცოლს შამილისა: ეგებ მას გაემხილა ზავის სურვილი, მაგრამ მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ ეს ამორძალივით გამბედავი და ბედს შერკინებული ქალი ყურსაც არ ათხოვდა რაიმე აზრს

დაზავებისა. და ბოლოს შამილის დედასაც რომ ახსენებდნენ... გულს მოეშვებოდათ — არჩევანს იგულვებდნენ მისწრებად.

და კიდეც დაითანხმებდნენ მოხუცს: მოლაპარაკებოდა შვილს, რომელიც ურჩობას იჩენდა დედის მუცელშივე.

და ვიდრე დედა კრინტს დაძრავდეს, ორიოდე შტრიხით უნდა მოიხაზოს პორტრეტი შამილისა — სახეუძრავის, თითქოს უწოვარი ხისგან ნაკვეთის, უკვე საკმაოდ დაღარულის, თვალები — შავი გველის ფერისა, გამხვრელი ხედვით, და ისე უძრავნი, თითქოს ხამხამი სრულიად არა სჩვეოდეთ. ბაგე თვინიერ გაყვანილი და თანვე სასტიკი იერით მოკუმული. ბაგეს კიდევ შეიძლება ოდნავი ღიმილი მოეფრქვიოს, თვალებს კი — არასოდეს, მათი მხვრეტი ციალი თვით ჯალათსაც რომ შეაკრთობდა.

რაოდენ რელიეფურია ეს პორტრეტი, გარეგნულ შტრიხებში მისი სულის ზეაღმომბეჭდავი ასეთი დახვეწილი ხელოვნებით.

და აი დედას უნდა გაემხილა შვილისათვის ნაიბთა გულნადები... და შამილი რომ მოხედავდა, დედა შიშს უნდა აეტანა. შვილი... აღარც იყო მისი შვილი, ვიღაც უცხოდ ქცეულიყო, სულ სხვად... და ისიც გაემჟღავნებინა შვილისათვის, ვინც იყვნენ მოგზავნილნი მოსალაპარაკებლად, და შამილი რომ დაინტერესდებოდა: ჰაჯი-მურადიც ხომ არაო? — დედას ეს არ უნდა დაედასტურებინა.

მაგრამ შამილი ასე ადვილად არ დაიჯერებდა, რომ ჰაჯი-მურადი ამ წამოწყებაში არ გარეულიყო, კაცი, ვისი სახელიც შორს გავარდნილიყო და აქა-იქ ხმებიც გაისმოდა: როგორც მეომარი, თვით შამილსაც გაეტოლება და ცხენოსნობაში ხომ ვერცა ვინ შეედრებაო. და ეგებ შამილის შენაცვლებაც განეზრახა, როგორც იმამისა?!.

აელაგმა ეს თავგასული ნაიბი?

მაგრამ... რა ლაგამი გაუძლებდა ჰაჯი-მურადს?

სხვებს რაღა დამართოდათ, მკლავითა და ხმლით ერთგულ ნაიბებს?!. ისინიც წამოგებოდნენ სასირცხვო გეგმას?.. დაუმძიმდებოდა ფიქრი — ეგებ მართლაც აღარ შესწევდათ ძალა თემთ, აღარ ყოფნიდათ ჟინი: ნაცადი სიმარჯვით გამკლავებოდნენ გარსმოხვეულ მტერს?!.

ჯერ გადაწყვეტდა უმაღლესი საბჭოს მოწვევას, მაგრამ წამსვე უკუაგდებდა ამ ფიქრს და მარტო გაეშურებოდა, ერთ მურიდსაც არ იახლებდა თან.

როგორ თუ ზავი? ეს ხომ დაღი იქნებოდა სირცხვილისა!.. არა და არა!.. უძლეველი ნაშიერნი უძლეველ ავართა, რომელთაც ერთხელ თვით ნადირ-შაჰიც უკუექციათ ძარღვშეშინებული — ეს ქედმაღალი და მომრევი ხალხი რუსხელმწიფეს დამორჩილებოდა?!. არასოდეს!..

კარი უნდა შეეღო სალოცავისა და ლოცვად დავარდნილიყო. მას სწამდა ხმალი და ალაჰი — ეს ორი მხოლოდ. ხმალი და ალაჰი მის არსში ერთიმეორეს ეცილებოდნენ — და ამ შეცილებაში მტკიცდებოდა ისლამი. მლოცველი მიეცემოდა შინაგან სმენას, ელოდა იდუმალ ხმას, თუ რას ამცნობდა ნაიბთა გადაწყვეტილების გამო... ელოდა, ელოდა...

და თავშეყრილი ხალხის წინაშე რომ წარდგებოდა თითქოსდა მოსესავით, ხელთ ათი მცნება რომ ეპყრა — და მზერა მისი შორეთში დაინთქმოდა, ვითარცა ხილვა ზმანეულისა — სმენადქცეული ჯამაათისათვის უნდა ემცნო საშინელი სიტყვები, ნაკვერჩხლებივით დატეხილნი:

— ასჯერ სახრე... მას... ვინც... პირველმა... გაუწყა... ზავის ჩამოგდების... განზრახვა... მამცნო პროფეტმა...

იმამი, ამწუთას ენაბრგუ — ამ მხრივაც თუ დამსგავსებოდა მოსეს — დადუმდებოდა. და ხალხი რომ ატორტმანდებოდა რეტდასხმული და ზარდაცემული, და ნაიბებიც დახრიდნენ თავებს: ვინ იყო პირველი? — გაისმოდა უეცრად მყივანა ხმა ერთი ქალისა და... ზარდაცემა ახლა ხუთვად გადაიქცეოდა... და კიდეც უნდა გახსნილიყო პირველი რკალი მოგროვილთა და აღმართულიყო მტკიცედ დედა შამილისა:

— მე ვიყავი იგი! — გამოეცხადებინა ნელი, მტკიცე ხმით.

— სახრე, ასელდერ! — მიემართა შამილს იქვე მდგომი მურიდისათვის.

ანტიკური ტრაგედიის სცენა წამოგაგონდება. და კიდეც უნდა აიტყორცნოს ეს ეპიზოდი იმ სიმაღლეზე მას მერე, რაც გროვა უნდა დაიკლაკნოს გველნაკბენივით, მოხუცმა კი სახ-

რეშემართულ მურიდს უთხრეს: შეუდექიო! — და იმას ხელი გაუშეშდეს.

უეცრად უნდა მოეშვას საფეხურს იმამი, შემოიხიოს ჩოხა, იწყოს გაშიშვლება მხარ-ბეჭისა და გასძახოს მაგარი ხმით:

— მე შვილი ვარ ამისა. იგი მოხუცია. 95-ჯერ სახრე მე, 5-ჯერ დედას!..

ამ დროს უნდა გამოჭრილიყვნენ ნაიბები წინ გამეხებულნი.

— არ გვინდა ზავი! — დაეყვირა ჯევად-ხანს.

— ბრძოლა ბოლომდე! — მიედევნებინა ძახილი ხაგნარ-დიბირს.

ამათ სხვებიც უნდა მიჰყოლოდნენ და შამილის წინ აღმართულიყო მთელი გუნდი ნაიბთა. აელვარებულიყვნენ გაშიშვლებული ხმლები. ხალხს მოშვებოდა სიმძიმე. შამილი მდგარიყო უძრავი, ფითრი გასცილებოდა, გაღვივებოდა, სახე გახსნოდა თანდათან ამ ძახილში ჩაძირულს:

— არ გვინდა ზავი! ბრძოლა ბოლომდე! მარჯი იმამს!

ანტიკური ტრაგედიის სცენა წამოგაგონდებაო...

და გრიგოლ რობაქიძეს სწორედ ძველბერძენ ტრაგიკოსებისაგან მონაბერი სუნთქვა აღანთებდა, როდესაც ხალხის აღტაცებაში დაინახავდა და მკითხველსაც გაუსიგრძეგანებდა, ბნელი, ქვეფენილი ბუნისაგან, საცა უპიროვნო ელემენტები თესლეულ თვლემენ, როგორ იშვებოდა თრობის ღმერთი, ზღვარგადამლახველი: დიონისე.

იშვებოდა: ცალკეულ თვითეულში და ერთობილ ყველაში.

შამილის არსებაშიც იშვებოდა იგი თუ იშვებოდა — ხოლო რაინდი ზღვარზე თავს შეიკავებდა დაძაბული. სისხლი ხან ერთ საფეთქელს მიაწვებოდა, ხანაც მეორეს. ხოლო ხალხი რომ ირეოდა აღტკინებით, სიტყვა აღარ ჰყოფნიდათ — ეხვეოდნენ ერთიმეორეს. არ იყო მხოლოდ სასუნთქი ავარდნის საბოლოოდ გაშლისათვის. და ახლა ესეც გაჩენილიყო.

დიდი მწუხარების ჟამს უნდა აცეკვებულიყვნენ ჩეჩნები ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ელისო".

და ახლა დიდი აღტკინების ჟამსაც უნდა აცეკვებულიყვნენ — გრიგოლ რობაქიძეც ამ მხატვრულ ხერხს მოიმარჯვებდა

„ელისოთი" შთაგონებული, ხალასი რიტმები რომ უნდა წამოშლილიყო კავკასიისა, თითქოს ყოფის სუნთქვააო. ჯერ თითო-თითოდ უნდა დაევლოთ კამარა, მერე ჯგუფ-ჯგუფად და ბოლოს მთელი კრებული არაკებულიყო.

ეს — კავკასი როკავდა, ალაღებული, ლხენით დამთვრალი.

მხოლოდ ერთი არ ჩარეულიყო საყოველთაო როკვაში — იმამი, რომლის ტანიც რიტმით იქნებოდა აყვანილი შინაგანად, მაგრამ გარეგნულად — გაქვავებული. და უეცრად უნდა მოშვებულიყო, მოსხლეტილიყო შამილი და გაქანებულიყო ცხენისაკენ, რაკილა ბნელი ბუნი, საცა უპიროვნო ელემენტები თესლეულ თვლემენ, სხვა არცერთ ცხოველში არ არის ასეთი ცეცხლოვანი... და კიდეც უნდა მოხტომოდნენ სხვა მეომარნიც თავთავიანთ ბედაურებს.

შამილმა, რომელიც ხრამს უნდა მიადგეს, იცის, რომ:

ბედი მისია, ვინც გამბედავია.

და ახლა იგი ცხენ-კაცად ქცეულა: კენტავრად.

და ერთი წუთი, ბედგადამწყვეტი — ბედზიარი მხედარი ხრამს თავს უნდა გადაევლოს.

და ატორტმანებული მეომრები რომ იხილავდნენ, თუ როგორ მიაგელვებდა შამილი ბედაურს უვნებელი, ახლა თვითონაც უნდა მინდობოდნენ ბედს და ყიჟინითა და ხივილით გადაშვებულიყვნენ ხრამის თავს. და უვნებლად რომ გააღწევდნენ გაღმა, ამ ჰეროიკული, აღმტაცი წამით უნდა დაგვირგვინებულიყო ნოველა:

წინ — იმამ შამილი, უკან — მეომარნი. და ახლებულნი რომ მინავარდობენ, რომელ უფსკრულს შეუშინდებიან? ანდა რა ჯებირი შეაკავებთ?

ლეგენდური გადმოცემა განსაზღვრავდა ნოველის კომპოზიციურ ქარგასაც და მხატვრულ-იდეურ მრწამსსაც, მთელი სისავსით რომ ამოიზიდებოდა უჩვეულო შემთხვევიდან ზნეობრივი სახება კაცისა, რომელიც ახალ დროში თავისებურ სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო რომაული სამართლებრივი პრინციპისა: დაე აღსრულებულიყო კანონი, თუგინდ დაქცეულიყო ქვეყნიერება!..

ეს პარადოქსული ფრაზა გულისხმობდა, რომ ქვეყნის ზნეობრივ გადარჩენას კანონთა, მოთხოვნათა აღსრულება განაპირობებდა, ყველაზე ერთნაირად რომ ვრცელდებოდა — და ასე სხვა არც არაფერი. და ეს ზნეობრივი გარემო წარმოისახებოდა ნოველაში შამილის სულის ტვიფარით აღბეჭდილი.

* * *

რუსუდან ნიშნიანიძის დაკვირვებით:

ნოველაში ორი ძნელადგასავლელი გზა გახლდათ დასაძლევი:

ერთი: დედისგან შამილამდე

და

მეორე: სამშობლოდან დედისაკენ.

ქცევის საზომი კი ერთი შეიძლება ყოფილიყო: სიყვარული — უანგარო და წრფელი.

და როგორც ირკვეოდა:

მწერალს არ დასჭირებოდა ორიგინალური სიუჟეტის მოფიქრება, მეტიც — ამ არაორდინარულ პიროვნებათა საქციელის შემონახვა დაესახა მიზნად ისტორიისა თუ ადამიანთა მეხსიერებისათვის.

მომხდარი ამბავი თავისი სათქმელისათვის მოერგო.

რას გულისხმობს მკვლევარი?

იგი მოიშველიებდა ალექსანდრე მანველიშვილის წიგნს „დაღესტნის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის", რომელშიც არაერთი აღმატებული ეპითეტი ეძღვნებოდა იმამ შამილს და მისი ცხოვრების ეს „ერთი ფრიად დრამატული ეპიზოდიც" იხსენიებოდა ამგვარი შეფასებით:

— არაერთ ამგვარ უცნაურობას შეხვდებით შამილის ცხოვრებაში, რომელნიც მომავალს გადაეცემიან მხოლოდ ლეგენდებად და ხორციელი ადამიანი უთუოდ უარს იტყვის მის დაჯერებაზედ.

და შედარება ალექსანდრე მანველიშვილის მონათხრობისა და გრიგოლ რობაქიძის ნოველისა ცხადყოფდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის განსხვავებას.

ისტორიულ-დოკუმენტური წყაროს კვალზე:

შამილი თვითონ ასახელებდა დედას და მიურიდები გაროზგავდნენ დამნაშავეს, თუმც რამდენიმე დარტყმის შემდეგ უგრძნობლად დაცემული ქალის წინ ამ საშინელების მაყურებელი შვილი დაემხობოდა და ლოცვითა და ტირილით გამოისყიდდა შეურაცხყოფას მშობელი დედის წინაშე. და შემდგომ ამისა მზადყოფნას განაცხადებდა დარჩენილი 93 დარტყმის მიღებაზე. ერთი წუთით შეტორტმანდებოდა მიურიდთა კრებული, მაგრამ შამილის მრისხანე გადახედვას ისინი შეუბრალებელი როზგებით უპასუხებდნენ.

და აი გრიგოლ რობაქიძე მიურიდებს შამილზე არ — თუ ვერ — დააკვრევინებდა სახრეს. ხელის აღმართვასა და დასჯას არ დაუშვებდა!..

ასე შეიცვლებოდა ამბის ფინალი.

უზუსტობად შეიძლება შეფასებულიყო მწერლის საქციელი?

რუსუდან ნიშნიანიძის დაკვირვებით:

სიტუაციის გამძაფრებად მხოლოდდამხოლოდ.

— ესაა საქციელი შამილისა როგორც მეთაურისა, რომელმაც არ შეიძლება დაუშვას ზავის ხმამაღლა განმცხადებლის დაუსჯელობა, და ესაა საქციელი შამილისა, როგორც შვილისა, რომელიც მოხუცი დედის დასჯას ვერ დაუშვებს. აქ ორი მაღალი მოვალეობა უპირისპირდება ერთმანეთს.

და ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც:

რომ მწერალმა ჩინებულად უწყოდა ამ ხალხის ფსიქოლოგია. არა ის, რასაც „კოლექტიური ფსიქოლოგია“ ჰქვია, არამედ — რაიც მთიელ ადამიანთა ხასიათს არცთუ იშვიათად წარმართავს.

და რომ ქვეყანას ემოციით არა მართავენ, მაგრამ გამოხატული ემოციები ამჟღავნებენ, როგორ იმართება იგი.

მწერალი ალტერნატივას არ დაუშვებდა, ან მიანდობდა მკითხველს გადაწყვეტას: რას აირჩევდა წინამძღოლი.

— ეს უფრო ეფექტური სურათია. არა მხოლოდ ზუსტი ფსიქოლოგიური პასაჟი, არამედ ის სათქმელი, რისთვისაც დაიწერა ნოველა, რა მიზეზითაც ის საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა.

საიუბილეო იმიტომ, რომ:

„ბედი ქართლისას" მეშვიდე, საგანგებო ნომერი მიეძღვნებოდა ისტორიულ თარიღს:

— შესრულდა 32 წელი დღითგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. დიდება 26 მაისს! უკვდავება მისთვის წამებულთ! მარადისობა ქართველ ერს!

და რა გასაკვირია მასალები მართლაც განსაკუთრებული სიფრთხილით რომ შერჩეულიყო და იმ მხატვრულ-იდეური მრწამსით, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის ძიებას ყველაზე ხელშესახებად რომ გამოხატავდა.

ჯერ მარტო მიხეილ წერეთლის მიმართვა რად ეღირებოდა უცხოეთის ქართველობისადმი.

ანდა:

კალისტრატე სალიას წერილიც და გიორგი ყიფიანის ლექსიც მარიამ დედოფლის ხსოვნას რომ ეძღვნებოდა, ლეგენდაში გადასულ თანამეცხედრეს საქართველოს უკანასკნელი მეფისა.

და კიდევ:

ეს გიორგი ლოლუაო, ეს მიქელ თარხნიშვილიო, ეს ვლადიმერ ემუხვარიო, ეს გივი კობახიძეო, ეს ნინო სალიაო, ეს ვახტანგ ღამბაშიძეო.

ზნეობითაც და ღვაწლითაც გამორჩეული პიროვნებანი.

და სწორედაც ამ კრებულსა და ამ გარემოცვაში უნდა გამოქვეყნებულიყო პირველად გრიგოლ რობაქიძის ამ ნოველის ქართული ვერსია, თორემ გერმანელი მკითხველისათვის ის კარგად იქნებოდა ცნობილი ჯერ კიდევ აგერ 1932 წელს.

ერის ერთობლიობა — მეთაურისა და ხალხის — და დაუმორჩილებლობის ხიბლი მიმზიდველი რომ გახლდათ გრიგოლ რობაქიძისათვის, ნოველა ამ და სწორედაც ამ მუსიკალური ფრაზით უნდა დაგვირგვინებულიყო:

— იიარრააალ არრალუუ — ოდილლარ იდალლა!

და მკვლევარს კი შეეხსენებინა მკითხველისათვის, რომ:

ვისაც ერთხელ მაინც მოესმინა გრიგოლ რობაქიძის ხმა, იოლად წარმოიდგენდა, როგორ წაიკითხავდა ავტორი თავის ნოველას.

საქართველოს კულტურის შესწავლის საზოგადოება პარიზში მწერალს საღამოს რომ გაუმართავდა, შვეიცარიიდან საგანგებოდ ჩასული გრიგოლი დამსწრე საზოგადოებას ამ სიტყვებით მიმართავდა:

— გულის გენია უფრო ცხოველმყოფელია, ვიდრე გენია გონისა — ქართული გულის გენია ორი სიტყვით შემიძლია გამოვხატო: გაახარე-გაიხარე, არა პირუკუ. ამ გეზით მინდა გავმართო ჩემი დღევანდელი სიტყვა. მსურს გაგახაროთ და ამით მეც გავიხარო.

ისაუბრებდა ქართული ენის გენიალურობაზე, ისტორიულობაზე, გამოთქმის მრავალმხრივ შესაძლებლობაზე, და „საღამოს ქართული სიტყვისა“ ასე შეაჯამებდა:

— ხშირად ჩემს ნაწერს ვერ იგებენ, ამავე დროს, თუ მე წარმოვსთქვი იგი, მაშინ მასში არა რჩება რა გაუგებარი მსმენელისათვის. აიხსნება ეს მოვლენა იმით, რომ მე, როგორც ავტორს, კარგად მესმის, თუ როგორ გამოვთქვა ფრაზა მთლიანად: სად ავამაღლო ხმა და სად დავამდაბლო, რომელი სიტყვა გავამძაფრო და რომელი შევანელო, სად შევჩერდე დაზმით, რათა ართქმული თქმულად ისმოდეს და სხვა. მკითხველი, ჩვეული სხვაგვარ გამართვას ფრაზისა, ვერ ხვდება ჩემ მიერ დასმულ შესვენების ნიშნებს, თუმცა მათი ანარნაირებით ვცდილობ ვანიშნო მას მელოდია სიტყვათა თანმიყოლებისა. არც გასაკვირია, რადგან შესვენების ნიშნები ნოტები არ არიან. ეხლა წაგიკითხავთ ნოველას „იმამ შამილ“. წინასწარვე ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ შორის არ აღმოჩნდება არც ერთი, რომელსაც წაკითხულითგან ერთი ფრაზაც კი დაურჩეს გაუგებარი.

სულაც არ ამტკიცებდა, თითქოს ენის მხრივ ეს ნოველა სრულყოფილი ყოფილიყოს.

საბეჭდი მანქანა რომ ჰქონოდა, ხუთჯერ მაინც გადაწერდა მას კიდევ და გადაწერისას აქა-იქ უთუოდ შეასწორებდა.

დაე სცოდნოდა ყველას:

ქართული ენა მარტივი გახლდათ ფრიად, ხოლო თანვე უაღრესად რთულიც — სწორედ სიმარტივის გამო სრულიად განსაკუთრებულისა.

რას ამბობდნენ და თვითონ მწერალსაც ხშირად რა სმენოდა?

გრიგოლ რობაქიძე დიდი ოსტატია ქართული სიტყვისაო.

და ეს დიდი ოსტატი ქართული სიტყვისა გულახდილად აცხადებდა, რომ:

25 წუთი მაინც სჭირდებოდა მას, სულ უკანასკნელი, უბრალო „ღია ბარათის“ დასაწერად.

ასე ძნელი გახლდათ ქართული და იმიტომ.

და მაინც:

— ნოველლა ამ სახითაც დაგანახვებთ, თუ რა შეუძლია ქართულ ენას.

დამსწრეთა შორის ნინო სალიაც რომ იმყოფებოდა, როგორ გაუშვებდა ხელიდან ამისთანა საუკეთესო შესაძლებლობას, საერთო შთაბეჭდილება მოგონებად რომ არ ექცია:

— მომხსენებელი შეუდგა კითხვას „იმამ შამილისა“. დიდი მსახიობი და პოეტი უნდა იყო, რომ შესძლო აღწერა იმისა, თუ რა ოსტატობით წაიკითხა ავტორმა თვისი ნაწარმოები. საზოგადოება, სმენად გადაქცეული, უძლიერესი აღტაცებით იშვიათ განცდას ეძლეოდა.

ამ განწყობილებით გახალისებული და შეგულიანებული გრიგოლ რობაქიძე ამ ნოველას ვენის, ლაიფციგისა და კელნის რადიოშიც წაიკითხავდა.

დირიჟორიც თვითონვე იქნებოდა და შემსრულებელიც, მუსიკალური თხზულებასავით რომ იდენდა თხრობა და არამარტო იმამ შამილის ბიოგრაფიის ამ დრამატულ, ლეგენდაში გადანაცვლებულ ეპიზოდს განაცდევინებდა მსმენელებს მთელი სიმძაფრითა და გულისშემძვრელობით, არამედ ქართული ენის ძლევამოსილებასაც, მის უღრმეს მელოდიურობასა და მშვენიერებას.

ხან დაბლდებოდა ხმა.

ხან მაღლდებოდა.

რომელიმე სიტყვა მძაფრდებოდა.

რომელიმე — ნელდებოდა.

თითქოს პარტიტურა ეპყრა ხელთ მწერალს, დაზმითაც შესაფერის დროს რომ ჩერდებოდა და... ართქმულიც თქმულად გაისმოდა: სიტყვათა თანმიყოლების მელოდიურობის წყალობით.

მოდი და ამის მერე დაგცდენოდა თუნდ ერთ ფრაზაზე: რაღაც ვერ გავიგეო!..

* * *

ჰაჯი-მურადის სახელს მხოლოდ უნდა გაეელვა ნოველაში, გაკვრით პერსონაჟადაც არ უნდა გამოჩენილიყო, თუმც ის ორიოდე სტრიქონიც ათვალსაჩინოებდა დაპირისპირებას ამ ორთა შორის, ეჭვი შამილისა იქამდე რომ მიდიოდა, სწორედ ჰაჯი-მურადი უნდა იყოს ამ სამარცხვინო გადაწყვეტილების შთამაგონებელიო, იმ ზავისა, რაც დამარცხებისა და დამორჩილების აღიარებას ნიშნავდა მთელი კავკასიისა და წყალს ატანდა წლების ჰეროიკასა და თავგანწირვას.

უფრო მეტ ადგილს ვერ დაუთმობდა იმ ისტორიულ პერსონაჟს ნოველაში გრიგოლ რობაქიძე, პიროვნებას, რომელსაც საკუთრივ მიეძღვნებოდა ლევ ტოლსტოის მოთხრობა „ჰაჯი-მურატი", მონუმენტურად რომ გამოჰკვეთდა მის სახებას და შამილზე მეტად აღამაღლებდა და განადიდებდა. და მის ტრაგიკულ აღსასრულს რაღაც განსაკუთრებულ მოვლენად შერაცხავდა.

განუდგებოდა იმამს ჰაჯი-მურატი, მანამდე მის ყველაზე ერთგულ ნაიბობაზე რომ სდებდა თავს, რუსთა მხარეს გადასვლას ამჯობინებდა და თავისუფლებისათვის ბრძოლას პირად კეთილდღეობაზე გადაცვლიდა.

ტოლსტოი რა გასაკვირია, რომ მოიწონებდა მის ამ საქციელს, ამაოებად რომ მიიჩნევდა იმამ შამილის თავგამოდებას, არაფრისდიდებით არ შეგუებოდა რუსების დამკვიდრებას დაღესტან-ჩეჩნეთში.

ძალიან აბრკოლებდა იმპერიის სწრაფვას იმამი კავკასიის დაპყრობის რაც შეიძლება მალე მოსათავებლად, რათა დროულად გაეღწიათ ინდოეთის ზღვისაკენ. და ამ შეუპოვრობის გამო მიუღებელი გახლდათ საიმპერატორო კარისთვისაც და... თვით სახელგანთქმული მწერლისთვისაც, ჰუმანისტობაზე რომ სდებდა თავს და თითქოსდა სხვა არაფერი აღელვებდა და აწუხებდა, თუ არა ადამიანთა ბედნიერება.

ოღონდ ეს ყოველივე მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები, გრანდიოზული გეგმები აღსრულდებოდა.

კი მაგრამ... რანაირად რიგდებოდა მის გულსა და გონებაში დამპყრობლური ომები და ოცნება ადამიანთა კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე?

გაორებულიყო ლევ ტოლსტოიც სხვა რუს თანამოკალმეებივით, ჰუმანიზმი იქამდე რომ ჰყოფნიდათ, რუსეთის იმპერიულ მისწრაფებებს თუ არ გამოედებოდა დაბრკოლებად იმ ადამიანთა სურვილ-ოცნებანი, რომელთა უფლებების დაცვაც ევალებოდათ, როგორც მწერლებს. ველარ წვდებოდა, ველარ და ველარ მათი ჰუმანიზმი აქამდე. მოწამლულიყო მათი სულიც და გონებაც მსოფლიო ბატონობის ჟინით და უძნელდებოდათ თავდაღწევა ამ ილუზიებისაგან.

ჰაჯი-მურატის თვალით უყურებდა კავკასიურ ეპოპეას ლევ ტოლსტოი.

იმამ შამილის თვალით შეხედვას ამჯობინებდა გრიგოლ რობაქიძე, მოთაყვანე ტოლსტოის მწერლური ხელოვნებისაც და მისი ჰუმანისტური ქადაგებებისაც, მაგრამ ვერ გაიზიარებდა ჰაჯი-მურატის გამოცხადებას გმირად და შამილზე უფრო გონიერ და შორსმჭვრეტელ პირად.

უფრო მეტიც რაღა შეიძლება ეთქვა მცირე თხზულებაში, შამილის ფონზე ერთბაშად რომ დააკნინებდა ჰაჯი-მურატს, და რაც მეტად გაზვიადდებოდა და გასიმბოლოვდებოდა ჰეროიკული სული კავკასიისა, მითუფრო ადვილად ჩაიკარგებოდა ამ აღმტაც განწყობილებებში ის ადამიანი, ამ ჰეროიზმის დასამარებას რომ ლამობდა და თავისი ხალხის გადაქცევას რუსთა მორჩილებად.

ღია ფინალს ამჯობინებდა ნოველისათვის გრიგოლ რობაქიძე.

მოდერნისტული თხზულებებისათვის ნიშანდობლივია ამგვარი ფინალი, მაგრამ ნიშანდობლივიც რომ არა ყოფილიყო, მწერალი მაინც ასე გადაწყვეტდა ნოველის დასასრულს პირწმინდად პოლიტიკური მიზნით — იმამ შამილი აჩრდილად გადაქცეულიც აგრძელებდა თავგანწირულ ბრძოლას დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად ჩრდილო კავკასიისათვის. და აღანთებდა ქართველობასაც იმპერიული ხუნდებისაგან თავდასაღწევად.

...აქ ვერ მორიგდებოდნენ ლევ ტოლსტოი და გრიგოლ რობაქიძე.

* * *

ოთხი დღის თავზე ახალ ბარათსაც მიადევნებდა, ძალიან რომ გაეხარებინა ცვაიგის სიტყვების მოსმენას:

— მე ვიცი, ვინა ხართ და რა უაზრობაა ყოფნა მაშინ, როდესაც თქვენი რანგის შემოქმედებითი ძალა ბრიყვულმა მოჩვენებითობამ შეიძლება შეაფერხოს...

ცვაიგს უნდა სცოდნოდა, რატომ ჩამოვიდა გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში.

ორი წლის განმავლობაში ითხოვდა ნებართვას. და როგორც იქნა მიიღწეოდა ამ ნებართვის მოპოვება მოსკოვში.

რატომ სურდა ასე სასწრაფოდ გამომგზავრება ევროპაში?

არა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირიდან „გაქცევას" ესწრაფოდა.

ცვაიგს მოეხსენებოდა მისი შეხედულება.

მთელ საქართველოში გრიგოლი გახლდათ ცნობილი და პატივსაცემი ადამიანი: მისი სიტყვა მისი მახვილი იყო: მიწისა და ფესვების გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. და არც შემოქმედებითი გარჯა.

მაგრამ ამჟამად საბჭოთა კავშირში ითხოვდნენ მატერიალისტურ და მარქსისტულ შემოქმედებას — ითხოვდნენ რა: სულაც გაიძულებდნენ. გრიგოლი კი არც მატერიალისტი გახლდათ და არც მარქსისტი. მისთვის ძალზე რთული იყო ემპირიულ-რეალისტურად წერა, რადგანაც ყოველ რეალობაში სხვა რეალობას ხედავდა.

— ეს ჩემი ბედისწერაა.

ზოგიერთ პოეტს შეეძლო მატერიალისტურ-მარქსისტულად ეწერა, რადგანაც მათ საერთოდ არ გააჩნდათ მსოფლმხედველობა. მაგრამ როგორ მოეხერხებინა ეს გრიგოლს თავისი ვიზიონერულ-რეალისტური ხედვით?

მოსკოვსა და თბილისში აფასებდნენ როგორც პოეტსა და ღირსეულ ადამიანს, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ იდეოლოგიურად მათთვის მიუღებელი გახლდათ.

— ჩვენ შორის დარჩეს, „გველის პერანგის" გერმანული გამოცემა იქ აკრძალულია (მისტიკური: მითიური! ქართული გამოცემა მაშინვე გაიყიდებოდა).

გულწრფელად ეტყოდა ცვაიგს:

თქვენ მართალი ხართო.

რას ნიშნავდა — მაგალითად — კლასთა ბრძოლისათვის „გველის პერანგი"?

არც არაფერს.

ერთხელ ამის თაობაზე პირადადაც გაესაუბრებოდა. ასეა თუ ისე ახლა ცვაიგს შეეძლო წარმოედგინა, რატომ გაეხარებინა მის სიტყვებს გრიგოლი, რომელიც პოსტსკრიპტუმად დაურთავდა: ამ წერილში არაფერია საპასუხო, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მინდა ვიცოდე, მიიღეთ თუ არაო.

ხუთ დღეში დიდ მადლობას მოახსენებდა ძვირფასი წერილისათვის. ყოველთვისაც გრძნობდა, რომ შტეფან ცვაიგი არა მხოლოდ უბრალო „შემსრულებელი" გახლდათ, არამედ „მკურნალიც". მის არსებაში იყო რაღაც (და ჩაურთავდა: არ შემიძლია თქვენი ხელების დავიწყებაო), რაც სულს ამსუბუქებდა. ცვაიგის სიტყვას ყოველთვის მოჰქონდა სიმშვიდე.

თავისთავად ცხადად მიაჩნდა:

ჩვენი დრო საბედისწეროაო.

ყველგან — ქაოსი. დღევანდელი ადამიანები აგონებდნენ იმ ჭიანჭველებს — როდესაც „წითელი და შავიდან" მონაკვეთს იყენებდა — რომელთა ბუდეც დროებითი იყო და ფეხის შეხებაზე დაინგრეოდა. არცერთ მათგანს, თვით ზეგენიოსებსაც, არ შეეძლოთ იმის გაგება, რაც მათ გარშემო ხდებოდა. ამით არ ამტკიცებდა, თითქოს თვითონ ყველაფერი ესმოდა. მაგრამ რაღაცას გრძნობდა — და სურდა ეს განცდა ერთხელაც შემოქმედებითად აეხსნა.

ახლა — თავს გრძნობდა უკიდურესად მარტოსულად.

მითუფრო ძლიერად განიცდიდა მისადმი მიმართულ ცვაიგის სიტყვებს, რომელნიც უცნაური სულისაგან შობილიყვნენ...

ბუნებრივია არ შეეძლო ყველაფერზე დაწვრილებით ეწერა ბარათში. ერთხელ ამის შესახებ პირადად გაესაუბრებოდა... ამ წუთას კითხულობდა ცვაიგის ახალ თხზულებას: „სულისმიერი განკურნება", ტრილოგიას, რომელიც მოიცავდა სამ ბიოგრაფიას: ფრანც ანტონ მესმერის, მერი ბეკერ ედისა და ზიგმუნდ ფროიდის.

გრიგოლის შეფასებით: ის მეტი იყო, ვიდრე „ლიტერატურა“: წმინდა სულიერი გახლდათ (და დანანებით ჩაურთავდა: შესაფერისი სიტყვის პოვნა რომ არ შეეძლო). მხოლოდ ისეთ პოეტსა და ადამიანს, როგორიც შტეფან ცვაიგი იყო, შეეძლო ამის დაწერა. მარტოდენ „შემსრულებელი“ რომ ყოფილიყო, შესაძლოა ეს არ გამოსვლოდა, მაგრამ ცვაიგი თვითვე გახლდათ „მკურნალი“ და სურდა სულების დახმარება, და ეს ყოველ წინადადებაში იგრძნობოდა — ასე შეიქმნებოდა ერთი სასიამოვნო და მნიშვნელოვანი — არა მხოლოდ შემოქმედებითი თვალსაზრისით — წიგნი.

მერი ბეკერ ედი: ეს რა შემზარავი მოვლენა ყოფილიყო! და გრიგოლს როგორ არ ეთქვა: ასეთი შემზარავი ცხოვრების შეთხზვა თვით დოსტოევსკისაც არ შეეძლოო. იყო მასში რაღაც დემონური — ამ სიტყვის ანტიკური გაგებით. გრიგოლს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ: მერი ბეკერი არა ყოფილა ადამიანი, შეიძლება იმაზე მეტი იყო, ვიდრე ადამიანი, ანდა ნაკლები — მაგრამ: თვით ადამიანი არა ყოფილა და არა.

მეორე მხრივ: რაოდენ ადამიანურად, პირწმინდად ადამიანურად გამოეხატა ცვაიგს! მას ეს არაადამიანური გეშტალტი ბედნიერად წარმოეჩინა.

უთვალავი მეგობრული მოკითხვის მერე პოსტკრიპტუმში შიშს გამოთქვამდა: ვაითუ უეცრად გაემგზავროთო. როდესაც გრიგოლი ჩრდილოეთში იმყოფებოდა, ვერ ახერხებდა ცვაიგთან დაკავშირებას. და თუკი ასე მოხდებოდა, სთხოვდა: თქვენი ახალი მისამართი შემატყობინეთო.

26 მაისს იძულებული შეიქნებოდა საკუთარი თავისათვის გადაებიჯებინა, როდესაც ამ სათხოვარს გაუმჟღავნებდა: შემიძლია რაღაც თანხა გთხოვოთ? ცხადია სესხადო.

ზუსტ თანხას ვერც ასახელებდა, რადგანაც მისი სიდუხჭირე ყოველგვარ საზღვარს გასცდენოდა. მათ — გრიგოლს, მის მეუღლესა და პატარა ბავშვს, მისი ცოლის ტრაგიკულად დაღუპული დის შვილს — ჰქონდათ 3 მარკა ყოველდღიურად — ორი თვის განმავლობაში. დაე ცვაიგს წარმოედგინა: თუ როგორ ცხოვრობდნენ!.. ახლა კი ესმოდა აზრი იმ სიტყვებისა, „სულისმიერ განკურნებაში“ რომ ამოეკითხა:

— გაჭირვებამ და სიღარიბემ მიიყვანა ყველა რელიგია ღვთიურობამდე.

ხუთი დღის მერე შეეძლებოდა გულითადი მადლობა გადაეხადა გზავნილისათვის, 150 მარკას რომ მოიცავდა.

— გადამარჩინეთ. ზუსტად ასეა.

იმედოვნებდა, რომ შემდეგ თვეებში რაიმეს გამოიმუშავებდა.

მუშაობდა საშინელ რეჟიმში, არადა ინტენსიურად.

ჯერჯერობით ვერ ეპოვნა ისეთი ვინმე, ვინც მისი რომანის თარგმანის სტილისტიკურ გადამუშავებას შეძლებდა. სამწუხაროდ ესახებოდა, რომ: თითქმის ყველას ერეოდა ენასთან დაკავშირებული სტილისტური საკითხები.

ახლახან დაესრულებინა ერთი დიდი ნოველა იდუმალი ქართული ტომის — ხევსურების — ცხოვრებაზე. ამ ტომს ბევრი გამოცანა უკავშირდებოდა. მაგალითად: სიყვარული ფიზიკის გარეშე უნდა დამტკიცებულიყო. მაგრამ მგზნებარე ალერსი ნებადართული გახლდათ.

6 ივნისის ბარათით აცნობებდა, რომ:

დღეს გამოეგზავნა წერილი „ვ. ც."-სგან ქალბატონ ქეთე როზენბერგისადმი (მთარგმნელიო, — ჩაურთავდა). ეს ეხებოდა მის ნოველას „მემნონი", რომელსაც მაშინვე გაუგზავნიდა ცვაიგს. სთხოვდა: წაიკითხეთო... „ვ. ც."-ს პასუხი გააოცებდა.

ჯერ ერთი: ზღაპარი დედის გულზე პირველად საქართველოში მოესმინა. ყველა ქართველი იცნობდა ამ ზღაპარს. მეორე: არ იცნობდა სიმღერას ივეტა გილბერტის შესრულებით, და ცვაიგს ხომ მოეხსენებოდა, რომ სხვადასხვა ხალხში არსებობდა მონათესავე ზღაპრები (და სწორედ ეს არის საგულისხმოო, — დასძენდა). და მესამე: მთავარი გახლდათ ეს ამბავი, რა იყო ამომავალი დედის გულისა, როგორც ალბათ ცვაიგიც ხედავდა...

სურდა სცოდნოდა, რას ურჩევდა ავსტრიელი თანამოკალმე. ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო მოთხრობის ამ მონაკვეთის შეცვლა!..

„ლიტერარიშენ ველტის" ფურცლებზე ქვეყნდებოდა ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან, მისი პორტრეტიც და ალბათ ერთი მოთხრობაც.

მეორე დღეს ამ ბარათსაც დაადევნებდა, რომ:

მისი დიასახლისის ქალიშვილს, ქალბატონ ბუხჰოლცს, სურდა მომდევნო კვირებში სტუმრებოდა ზალცკამერგუთეს საზაფხულო აგარაკს. ხომ არ შეეძლო ცვაიგს, რამდენიმე მშვენიერი ადგილი ერჩია? ძალიან შორსაც რომ არა ყოფილიყო ზალცბურგიდან. როგორი გახლდათ მონდზეე ან ვანგანგზეე? ისიც ხომ არ შეეძლო, რამდენიმე არცთუ ძვირი სასტუმრო ან პანსიონი ერჩია? ქალბატონი ბუხჰოლცი ცვაიგისა ძალიან, ძალიან მადლიერი იქნებოდა.

მიტევებას ითხოვდა, ასეთი წვრილმანებისათვის რომ აწუხებდა, მაგრამ რა ეღონა — უძლური იყო ქალების თხოვნის წინაშე.

21 ივნისის ბარათს კი გულითადი მადლიერებით დაიწყებდა ცვაიგის პოეტური რჩევისათვის: ნოველაში ზოგიერთ ადგილს სრულიად შეცვლიდა და... კმაყოფილიც დარჩებოდა: ასე უკეთესიაო... მისთვის ძალიან საინტერესო გახლდათ ის, ლიდინს მოსკოვიდან თუ მოეწერა ცვაიგისათვის... მომდევნო დღეებში თვითონ აპირებდა გრიგოლი გაეგზავნა ვრცელი წერილი სამყაროს ამჟამინდელი სულიერი მდგომარეობის შესახებ. დიდხანს შეყოვნდებოდა, მაგრამ აუცილებელი გამხდარიყო ამის თაობაზე ცვაიგისათვის, სწორედ ცვაიგისათვის მიეწერა.

— ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობთ — და ყველაფერი, რაც სულიერად მნიშვნელოვანია, ამჟამად უნდა ვაკეთოთ.

22 ივლისის ბარათი იმ ვრცელ წერილად ჰქონდა ნავარაუდევი თანამედროვე სამყაროს სულიერი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ უკანასკნელი დღეების საშინელი ეკონომიკური (რიტორიკულ შეკითხვად ჩაურთავდა: მხოლოდ ეკონომიკურიო?) კრიზისი ყველა გეგმას დაუნგრევდა.

პირველი ნოველა „თეთრი თხის რქა“ უკვე გამოქვეყნდებოდა „ატლანტისის“ ივლისის ნომერში. მეორე — სავარაუდოდ — აგვისტოში გამოვიდოდა. „შამილი“ იბეჭდებოდა „ლიტერარიშენ ველტში“. ახალი თხზულების ენობრივი გადამუშავება უკვე დასრულებულიყო. და გულმოკლული დასძენდა: მაგრამ ახლა — რისთვისო?!

უთვალავ გულითად მოკითხვას პოსტსკრიპტუმი მოჰყვებოდა: „რევიუ მენსუელის“ ივნისის ნომერში ჩემზე სტატია დაიბეჭდაო.

ერთი კვირის თავზე გულითად მადლიერებას გამოხატავდა ცვაიგის მეგობრული წერილისათვის. ავსტრიელი თანამოკალმე რომ მოიწერებოდა:

— ჩვენ ამოვირჩიეთ სინანულით აღსავსე საუკუნე, მაგრამ ან სწრაფად უნდა ავიდეთ ზევით, ან კიდევ დავეშვათ დაბლა.

მიადევნებდა: ნეტა სწრაფად მივდიოდეო!

არც იმას დაფარავდა, ცუდი წინათგრძნობა რომ ჰქონდა...

ცვაიგს რომ დიდი მოგზაურობის გამართვა მოენდომებინა, გრიგოლს ძალიან ახარებდა, თუმც კიდეც რომ ეხარბებოდა ქვეყნიერების მოვლის ეს შესაძლებლობა, რატომ დაემალა...

ათ დღეში მისი რომანი გადაიწერებოდა, მაგრამ ამასობაში ცვაიგი უკვე გაემგზავრებოდა!..

მისი სანუკვარი სურვილი იყო, რომ ხელნაწერი ცვაიგს წაეკითხა — მხოლოდ 150 ნაბეჭდი გვერდი.

„ლიტერარიშე ველტის“ ფურცლებზე „შამილი“ უკვე დაბეჭდილიყო, ასევე ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან და მისი ფოტოსურათიც.

ბატონ ვილი ჰაასს, გერმანელ პუბლიცისტსა და კინოკრიტიკოსს, კარგი თვალით შემოეხედა მისთვის და სიმპათიითაც განწყობილიყო. თუმც ძალიან წაადგებოდა, ცვაიგს ორიოდე სიტყვაც რომ მიეწერა მისთვის გრიგოლის შესახებ. ბუნებრივია, თუკი ამის საშუალება ექნებოდა...

ამ დღეებში საკმაოდ დიდი ნოველა დაეწერა: „კაზანოვას შთამომავალი“. ფიქრობდა, რომ ცვაიგი დაინტერესდებოდა. აქ მოიაზრებოდა მხოლოდ ფსიქიკური მასა. მისი ავანტურისტი წარმოშობით აღმოსავლეთიდან გახლდათ. მხოლოდ ერთი განსხვავება: ის ბედით არა პროვოცირებდა.

აქვე შეიტყობდა, რომ ქალბატონი ლოდინი (ჩაურთავდა: ეგზოტიკურად ლამაზიო!) დაბრმავებულიყო... წუხილს გამოთქვამდა... და კიდეც შეწყვეტდა ბარათს.

7 სექტემბრის წერილს იმ სტრიქონებით დაიწყებდა, რეინერ ვუნდერლიხის გამომცემლობას რომ მოეწერა მისთვის ტუბინგენიდან:

— ხელნაწერი („მედეას ნაწნავები") დიდი ინტერესით წავიკითხე და მან წარმოუდგენლად მიმაჯაჭვა. განწყობილება, რომელსაც ეს წიგნი ქმნის, განუმეორებელია...

გამომცემლობას სურდა მისი დაბეჭდვა, მაგრამ... მომავალი წლის შემდგომაზე...

უნდა მიეღო ეს შემოთავაზება?

კიდევ ერთი: გამომცემლობა მზად იყო, მთელი ჰონორარი წინასწარ გადაეხადა, მაგრამ გრიგოლმა არ იცოდა, რა თანხა შეიძლება მოეთხოვა. მოცულობის მხრივ „მედეას ნაწნავები" „გველის პერანგის" ორ მესამედს შეადგენდა და წიგნი დაახლოებით ოთხნახევარი ან ხუთი მარკა ეღირებოდა. შეეძლო ცვაიგს მეგობრულად ერჩია, თუ როგორ მოქცეულიყო?

მისი დიდი ნოველა „მაგიური წყაროები" — გერმანულად ეს სახელწოდება მიესადაგებოდა „ენგადს", 60 ნაბეჭდ გვერდს რომ მოიცავდა — უკვე თარგმნილიყო.

აქ რომ აღიწერებოდა ცხოვრება იდუმალი ქართული მთის ტომისა, გრიგოლ რობაქიძის ღრმა რწმენით, შინაარსობრივად ეს ნოველა ევროპისათვის სენსაცია იქნებოდა.

— ჩემი აზრით, ეს მასალა არის მსოფლიოს ისტორიისა და კულტურისათვის იდუმალებით მოცული და მნიშვნელოვანი, როგორც მხოლოდ ერთი ტომი მთელი მსოფლიოსი.

* * *

მთავარი ძარღვიც და სიუჟეტურ-კომპოზიციური ქარგაც ამ მოთხრობისა — „ენგადი" — სწორფრობის ტრადიციის ირგვლივ შემოსალტულიყო, ხევსურეთში შემორჩენილის, ფშავში რამდენადმე რომ ეცვალა სახე და წაწლობად გადასულიყო, ამით რაღაც რომ მოაკლდებოდა იმ საკრალურობას, იმ ღვთიურ საწყისს, საიდანაც მოედინებოდა ეს ჩვეულება და... ამიტომაც მისი ახსნა არც უნდა გეცადა.

მაინც ფუჭად ჩაგივლიდა ეს მცდელობა, ეგაა უნებურად შებღალავდი იმ ღვთიურ, საკრალურ დასაბამს, არამცთუ გააფერმკრთალებდი და გააპრიმიტიულებდი, სულაც დაამახინჯებდი მის სათავესაც, მის მდინარებასაც, მის არსსაც.

სათავეს, მდინარებასა და არსს მოვლენისა:

როდესაც გვერდი-გვერდ მწოლიარე ქალ-ვაჟს შორის სავსებით გამოირიცხებოდა ხორციელი კავშირი, აკრძალული ზღურბლის გადალახვას რომ გაუიგივდებოდა და... არც არავინ გაპატიებდა ადათის შეურაცხყოფას, ამ ტრადიციის წეს-კანონთა დამრღვევთ გარდუვალი ჩაქოლვა (მოგვიანებით უკვე: მოკვეთა) რომ ემუქრებოდათ.

გრიგოლ რობაქიძე ამ იდუმალი ინსტიტუტის ნარჩენებსღა შეესწრებოდა, იმ ნანგრევებს, ძალუმად რომ გიზიდავდა და სულსა და გულს გიფორიაქებდა, და... ადვილი შესაძლებელი იყო, ზედაპირულად, იოლად, ჰაიჰარად მოჰკიდებოდი და... აკრძალულ ზღურბლს თამამადაც (რომ აღარ თქმულიყო: უდიერადო) შეხებოდი, ანუ: წარმოსახვით გადაგედო განზე ის ორლესული, ქალ-ვაჟს შორის რომ გაწოლილიყო შეხსენებად ღვთიური წარმომავლობისათვის შესაფერისი პატივის მიგებისა.

ეს ნაშთებიც საკმარისი აღმოჩნდებოდა გრიგოლისთვის, რათა — ზურაბ კიკნაძის დაკვირვება-შეფასებისა არ იყოს — სწორფრობის სულიერი, პლატონური და იქნებ ერთგვარი ასკეტური შინაარსიც მისებური გამჭრიახობით ამოეცნო.

მკვლევარს ისეთი შთაბეჭდილებაც დარჩებოდა, რომ:

ამ შთაგონებულ და ამავდროულად დოკუმენტურ აღწერას ისეთი კონკრეტული ცოდნა დასდებოდა საფუძვლად, თითქოს მწერალს ამ მოთხრობაში თავისი განსაცდელი, პიროვნული გამოცდილება აღეწეროს.

ეგებ ამიტომაც ჰყვებოდა „ენგადის" მთავარი გმირი გიორგი ვალუევი პირველი პირით, ამ გარემოებასაც რომ მიენიშნებინა მკითხველისათვის, მისი ალტერ ეგო თვითონ მწერალიაო?

და დაუფასებდა ზურაბ კიკნაძე, მწერალი მისთვის უცხო ეგზოტიკურ ფენომენს რომ არ ანაცვალებდა თავის მხატვრულ ფანტაზიას: ერთი იშვიათი შემთხვევათაგანია ლიტერატურაშიო.

და ეამაყებოდა გრიგოლსაც: ეროსის აღვივება „იმ" ტკბობის მბასრავ ზღვარს რომ არ გადაცდენოდა მხატვრულ ქარგაშიც.

* * *

რუდოლფ კარმანი ქალებისა და კაცების ურთიერთობას საგანგებოდ რომ დაუკვირდებოდა გრიგოლ რობაქიძის რომანებსა და მოთხრობაში „ენგადი“, აღმოაჩენდა, რომ: სიყვარული აქ არ იფერფლებოდა მის ვნებაში, და ქართველი ქალი შინაგანი ქალწულებრიობით იწვოდა — აკი თვით გოეთესაც შეენიშნა რაღაც თავშეკავებული ცეცხლისმაგვარი ამ ქალებში, რასაც მოწმობდა მისი შენიშვნები „აღმოსავლური დივანისათვის“.

შეყვარებულნი ყველა ბედნიერი გრძნობით მგზნებარედ უახლოვდებოდნენ ერთიმეორეს, მაგრამ უკანასკნელი ზღვარის გადალახვას მაინც ყოველთვის ერიდებოდნენ.

ყველაზე ძლიერ სიყვარულის ეს სახეობა ხევსურეთში შემოინახავდა თავს, მთიელთა ტომის ამ თითქოსდა უდროო სამყაროში.

რას ამბობდა მგელიკა ლიქოკელი „ენგადში“, გერმანელები „მაგიური წყაროების“ სათაურით რომ გაცნობოდნენ ამ მოთხრობას?

სიყვარული ღვთაებრივი რამ არის, თუკი მარტოდენ სხეულით ემსახურები, ის კვდება. კაცი სიყვარულში უნდა იწვოდეს მხოლოდო.

და ხევსურული სიყვარულიც — სწორფრობა — გახლდათ მარტოდენ წვა, თავშეკავება ზღვარზე, დაუოკებელი ვნება: წმინდა მოქმედება, მსხვერპლი უმაღლესი გაგებით.

გერმანელი სნავლული ჯერ თვითონ უნდა გარკვეულიყო როგორღაც ამ მოვლენის არსში, რათა შემდგომ თვისტომთათვისაც შეეგონებინა, რომ:

ამ შეყვარებულთა — სწორფერთა — ეროტიკული ენერგია მეთოდურად იკრიბებოდა, რადგანაც სქესობრივი შეერთება გამორიცხული გახლდათ, ხოლო სიყვარულის ძალები პლატონურ ზენაარსს მისდევდნენ.

რას ირწმუნებოდა ლეგენდარული დიოტიმა „ნადიმში“?

სიყვარული შობს მშვენიერებას, როგორც სხეულის, ისე სულის თვალსაზრისითო.

და რაც პლატონთან მინიშნებულიყო, ხევსურთა ადათ-წესებში სულაც ხორცს შეისხამდა და გრიგოლ რობაქიძის ნაწერებში განსახიერდებოდა ქალთა დიდებული ტიპების წყებით:

მზექალა იქნებოდა, მეგი, ლამარა, ლონდა, მატასი თუ ნატა — რომელთა სიყვარულიც რაღაცნაირად მზიურიც გახლდათ და წმინდაც და არასოდეს გადალახავდა მგზნებარე, მწველ და საამურ საზღვარს, რაც — ძველჩინური წერილისა და იოგასტრამის თანახმად — უმაღლესი ენერგიის წესრიგად იქცეოდა.

და ამგვარად:

ქალები, რომელთაც ქართველი მწერალი სისხლ-ხორცსა და ფერს ანიჭებდა, არა ქმნიდნენ განხეთქილებას სხეულსა და სულს შორის, ეროსსა და სქესს შორის, და წარმოდგებოდნენ სიმბოლოდ იზისისა, შვილებად იმ დედამიწისა, რომელიც ხევსურეთსა და ფშავში განდიდებულიყო როგორც ცხოვრების დედის ქალწულებრივი მშობელი: „ადგილის დედა".

„ლიტერარიშე ველტს" მისთვის ავტობიოგრაფია შეეკვეთა. ნოველა „იმამ შამილის" შესახებაც გამოექვეყნებინა თავის ფურცლებზე.

ბუდაპეშტის ერთ-ერთი ახალგაზრდული საზოგადოებისაგან მოულოდნელი წერილი მიეღო, ასერიგად გამახარები: ახალგაზრდები აღფრთოვანებულიყვნენ.

და ცხადია ინტერესს გამოიჩენდა, თუ როგორი იყო შტეფან ცვაიგის მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო?

3 ოქტომბრის ბარათიც ერთიბეწო იქნებოდა:

მაქს რიხნერს, შვეიცარიელ მწერალსა და ჟურნალისტს, იმ დღეებში შეემოწმებინა „მედეას ნაწნავების" ხელნაწერი „დი კელნიშე ცაიტუნგისათვის". და თუ შეეძლო ცვაიგს მეგობრულად მიეწერა ამ გაზეთისათვის ორიოდე სიტყვა გრიგოლზე? უზომოდ მადლიერი დაურჩებოდა.

შტეფან ცვაიგი რომ მოსწერდა:

— თქვენ ევროპულ დისტანციას შეეჩვიეთ.

პირველი წაკითხვისას ვერ ჩაწვდებოდა გრიგოლ რობაქიძე ამ ფრაზის სიღრმეს, მერე კი ძალზე მოსწრებულ ნათქვამადაც აღიქვამდა და ამ შეფასებითაც დაიწყებდა 10 დეკემბერს გაგზავნილ ბარათს.

მისი სანუკვარი ოცნება ყოველთვისაც იყო ერთხელ მაინც ზალცბურგში სტუმრობა. და ეს სურვილი ახლა განსაკუთრე-

ბით გაუმძაფრდებოდა. მოინდომებდა 28 ნოემბერს სტუმრობას ცვაიგთან დაბადების დღის მისალოცად, მაგრამ... ეს მატერიალური ყოფა გამუდმებით რომ აბრკოლებდა?!.

ლამის განდეგილად ქცეულიყო, თუმც ზალცბურგში ცვაიგთან სტუმრობა-საუბარი გრიგოლისათვის მზიან-აზრიანი სიამოვნება რომ იქნებოდა, ამის თქმა გადაუჭარბებლად შეეძლო.

ამჯერად უგზავნიდა დრეზდენში გამართული მისი ლექციის რეცენზიას. აშკარად ჩანდა, მოხსენებას დიდი მოწონება რომ დაემსახურებინა. და შეეძლო ეს ლექცია — ასევე სხვებიც — ვენაში რომ წაეკითხა, რომელიმე სხვა საზოგადოებაში. შესაძლებელი თუ იყო ეს? ამით რომ საშუალება მიეცემოდა, ზალცბურგში ორიოდე დღით ჩამოსულიყო.

ერთი კვირის თავზე გულითად მადლობას უძღვნიდა მეგობრული მცდელობისათვის, რომ ლექცია ვენაშიც წაეკითხა. ძალიან გაეხარა. ოოო თუკი ეს მოხერხდებოდა!.. მალევე შეძლებდა ცვაიგის ნახვას...

სურდა მასთან პირადად ესაუბრა ერთ საკითხზე, რომელიც გრიგოლისათვის — და მისი შემოქმედებისათვის — საბედისწერო გახლდათ.

რაღაცებთან დაკავშირებით მორიდებული და თავშეკავებული რომ იყო, არა ჰქონდა სურვილი, ვინმე შეეწუხებინა — მეგობარიც კი. ამ საკითხის თაობაზე ცვაიგთან იმიტომ მოენდომებინა საუბარი, რომ ერთი მხრივ გრიგოლის გამოჩენა ევროპაში სწორედ ამ მწერლის სახელს უკავშირდებოდა. მეორე მხრივ: ამ პიროვნებაში გასაოცარი გული აღმოეჩინა. და ეს ყველაფერი ამხნევებდა და იმედიანადაც განაწყობდა.

სავსებით დარწმუნებული გახლდათ და ასეც გრძნობდა, რომ: ავსტრიელი თანამოკალმე მისი ბედით დაინტერესებულიყო. შესაძლოა ეს უფრო მეტიც ყოფილიყო, ვიდრე „დაინტერესებაა". იცოდა, რომ ცვაიგს მნიშვნელოვანი პრობლემები მოეგვარებინა, და ამისდა მიუხედავად იმედოვნებდა მის თანამონაწილეობას. ეს რომ მატერიალურ მდგომარეობასთან ყოფილიყო დაკავშირებული, მარტივად მისწერდა...

ორი დღის თავზე გულითად მადლობას გადაუხდიდა 17 დეკემბრის წერილისათვის. ძალიან გაახარებდა ის, რომ — ბატონი ტოკერის თქმით — ნებისმიერ დროს შეეძლო წაეკითხა მოხსენება ვენაში. თუ ცვაიგი იანვრის მიწურულს კვლავ ზალცბურგში იქნებოდა, გრიგოლი მაშინ ლექციას თებერვლის დასაწყისისათვის ივარაუდებდა. სწორედ ამიტომაც მისწერდა ბატონ ტოკერს. საუბრობდა თუ არა გერმანულად „ბრწყინვალედ და გასაგებად"? „ბრწყინვალედ" ნამდვილად ვერა: ძლიერი აქცენტი ეტყობოდა. „გასაგებად" — რატომაც არა. ამავდროულად: რადიოსათვისაც ემზადებოდა.

ერთგულების გამოცხადების მერე პოსტსკრიპტუმით აცნობებდა, რომ: „ატლანტისს" უკვე მიეღო მისი ერთი დიდი მოთხრობა და ეს თანადგომა როგორ არ გახარებოდა!..

კიდევ ერთი ახალი წელი ჩაივლიდა. და 1932 წლის 26 იანვარს რომ ივარაუდებდა, ცვაიგი უკვე დაბრუნებული იქნება მოგზაურობიდანო, კიდეც მისწერდა ბარათს და აცნობებდა, რომ ბატონი ტოკერი ახლახან ყოფილიყო ბერლინში და ლექციის შესახებაც ყველაფერზე მოელაპარაკა გრიგოლთან, რომელიც გაზეთებისათვის საჭირო მასალასაც მიაწვდიდა.

და კიდევ ეს სასიხარულო ამბავიც:

„გველის პერანგი" ერთ შვედურ გამომცემლობას მიეღო ხელსაყრელი პირობებით.

ახლახან „ლე ნუველე ლიტერარიში" წაეკითხა ცვაიგის ინტერვიუ ფრედერიკ ლეფევრესთან: კარგი, სწორი და შესაფერისი. პოეტები მართლაც ხომ არიან მოწოდებულნი ასეთი ქცევისათვის, როგორსაც ავსტრიელი თანამოკალმე გეგმავდა. ეს ძალიან, ძალიან იყო საჭირო სწორედ ამჟამად, ამ რთულ დროში.

უფრო რთულიც რაღა უნდა ყოფილიყო:

ჩვენ კატასტროფის წინაშე ვდგავართ — უდავოდო.

17 თებერვლის ბარათით საყვარელ მეგობარს ამცნობდა, რომ მისთვის წერილი მიეწერა იანვრის მიწურულს და ის კი ალბათ ჯერაც არ დაბრუნებულიყო მოგზაურობიდან.

„გველის პერანგი" მალე შვედურადაც გამოიცემოდა.

ამ დღეებში ბოლომდე მიეყვანა საქმე რაინერ ვუნდერლიხის გამომცემლობასთანაც — რომანი შემოდგომაზე გამოქვეყნდებოდა.

ბატონი ტოკერი ბერლინში იმყოფებოდა. გრიგოლი დალაპარაკებოდა ლექციის თაობაზე, მაგრამ მისგან პასუხი ჯერაც არ მიეღო.

2 მარტს ქალბატონ ედით ანდრეესთან, საპატიო საზოგადოებაში, თავისი თხზულებებიდან ნაწყვეტებს წაიკითხავდა.

სურდა ავსტრიელ თანამოკალმესთან ერთ ლიტერატურულ საკითხზე საუბარი (და დასძენდა: ჩემთვის ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანზეო), მაგრამ ცვაიგს მგონი ბერლინი არ უყვარდა.

4 მარტს გულითად მადლობას მიუძღვნიდა მეგობრული ბარათისათვის — 18 მარტს ვენაში გრიგოლი, შეთანხმებისამებრ, ლექციას წაიკითხავდა. ელოდებოდა მხოლოდ საპასპორტო ნებართვას ვენიდან. იმედოვნებდა, რომ ორიოდე დღით ზალცბურგშიც ჩამოვიდოდა. და ამას რაღა ემჯობინებოდა...

გუშინწინ წაეკითხა ერთ საზოგადოებაში — ქალბატონ ანდრეესთან — ნაწყვეტები თავისი თხზულებებიდან. წარმატება ისეთი დიდი აღმოჩნდებოდა, რომ მსმენელთაგან ზოგიერთს გაუჩნდებოდა აზრი, ეს უცნობი კაცი ოკულტისტი უნდა იყოსო: პოეტს კითხვისას — და ამასთან უჩვეულო გამოთქმით — ოკულტური ძალის გარეშე ასეთი წარმოუდგენელი შთაბეჭდილების მოხდენა არ შეუძლიაო, — ასე ფიქრობდნენ ისინი.

მაგრამ მათ დავიწყნოდათ, ან არ იცოდნენ, რომ წმინდა — ემპირიული — ენის გარდა, არსებობს „შინაგანი ენაც", რომელსაც ალბათ ფლობდა გრიგოლ რობაქიძე... და „შინაგან ენას" ზემოქმედების ძალა რომ ჰქონდა, ვის-ვის და ცვაიგს ეს ჩინებულად მოეხსენებოდა...

მეგობრულ მოკითხვას მიადევნებდა, რომ:

დღეს გაზეთში წაეკითხა: ივანოვს, ლეონოვს, ლიდინს, ოლეშასა და ფადეევს — შტეფან ცვაიგისა და რომელ როლანისათვის ღია წერილი რომ მიეწერათ. თვითონ წერილის ტექსტი გრიგოლს ჯერ არ წაეკითხა. ცვაიგის პასუხი ალბათ მალევე დაიბეჭდებოდა რომელიმე ჟურნალში...

სურდა დაწვრილებით მიეწერა თავისი ლიტერატურული გეგმების თაობაზეც, მაგრამ რაკიღა ამჟამად ცვაიგი ინტენსიურად მუშაობდა, გრიგოლს განა რა უფლება ჰქონდა, მისთვის ხელი შეეშალა.

ერთი კვირის თავზე ათას მადლობას გადაუხდიდა წერილისათვის:

მორალურად გამაცოცხლაო.

ზალცბურგში სტუმრობა, ცვაიგისა და მისი მეუღლის მონახულება და მსოფლიოში ცნობილ სასახლეში ავსტრიელი თანამოკალმის შემოქმედებითი საქმიანობის ნახვა გრიგოლის სანუკვარ ოცნებად ქცეულიყო.

თვითეულ გეშტალტს აღიქვამდა „ლანდშაფტურად" — ეს მისთვის იქნებოდა პლასტიკური სარგებელი, როდესაც მას, პოეტსა და მეგობარს, ნახავდა ისეთ ლამაზ მხარეში, ზალცბურგი რომ გახლდათ.

მიუხედავად მატერიალისტური საუკუნისა — ან ალბათ ამის გამოც — თანადროული ადამიანობა ქცეულიყო ძლიერ წყურვილად სიყვარულისა, მუდამ ღვთაებრივი რომ არის, და შესაგრძნობი.

გრიგოლ რობაქიძის არსებაში ამჟამად სუფევდა მხოლოდ გული, კოსმიურად რომ გაღებულიყო.

ეს „ხმამაღალი" ნათქვამი იყო?

თუმც სხვა სიტყვას ვერა პოულობდა და...

ეხებოდა მარადიულობის ნიაღვარს, მაგრამ იშვიათად: მარტოობა ხშირი იყო. ამაზრზენი.

შტეფან ცვაიგს შეეძლო წარმოედგინა, თუ რას ნიშნავდა გრიგოლის ფსიქოლოგიური ყოფისათვის შეხვედრა პოეტთან, რომელიც ამასთან მეგობარი გახლდათ მისი.

თვითონ მზად იყო ვენაში გამოსამგზავრებლად, მაგრამ საპასპორტო ნებართვა ჯერ არ მიეღო.

ორ დღეში აცნობებდა, დოქტორ ტოკერს რომ მოეწერა მისთვის: რავაგთან, ავსტრიულ რადიოსთან, მოლაპარაკების შედეგად აღმოჩნდა, რომ მარტში ლექციის წაკითხვა არ არის შესაძლებელიო.

საქმის ვითარება ამგვარი გახლდათ: ლექცია შეიძლება გამართულიყო 17 აპრილს, 19 აპრილს შეხვედრა იქნებოდა პრესასთან და 22 აპრილს კი — ლექცია „ურანიაში". ამგვარად: მარტი შეიცვლებოდა აპრილით. ეს თვე გრიგოლისათვის კი საუკეთესო იყო, მაგრამ შესაძლებელია ცვაიგი მაშინ ზალცბურგში არა ყოფილიყო. ეს უსიამოვნოდ დაურჩებოდა. თუმც ბატონ ტოკერს თანხმობას მისწერდა, იმედოვნებდა, ცვაიგს მაინც ვნახავო.

17 აპრილიც დადგებოდა და მოკლე ბარათსაც აფრენდა ცვაიგთან: თქვენი წყალობით მე უკვე ვენაში ვიმყოფებიო.

დღეს რადიოში ისაუბრებდა. არ იცოდა, როგორ შეძლებდა რადიოტალღების დამორჩილებას, რადგანაც მას და მატერიას შორის ფარული განხეთქილება სუფევდა.

თუ ღმერთი ინებებდა, 23 აპრილს ზალცბურგში იქნებოდა. და წინასწარ უხაროდა.

22 აპრილს „ურანიაში" ლექცია რომ დანიშნულიყო, როგორ არ მიეწერა მეგობარი მწერლისათვის: ვგრძნობ, თუ როგორ იმატებს ჩვენში ტემპერატურაო.

ხვალ ბატონი ტოკერი მიიწვევდა, ამიტომაც ზალცბურგში გამოემგზავრებოდა ზეგ, კვირას, და მანდ საღამოს რვის ათ წუთზე იქნებოდა. იქიდან პირდაპირ სასტუმრო „შტეინს" მიაკითხავდა. იმედოვნებდა, რომ ნახევარი საათი სავსებით ეყოფოდა თავის მოსაწესრიგებლად, შემდეგ კი ცვაიგს ესტუმრებოდა — ფიქრობდა, რომ გვიანი არ იქნებოდა.

დიდ მადლობას მოახსენებდა გულითადი ბარათისათვის.

ხოლო ზალცბურგული ღრმა შთაბეჭდილებანი 30 აპრილის ბარათში უნდა გამოხატულიყო, სიხარულით აღესილად რომ გრძნობდა იქ თავს. სიხარულს კი ყველაფერი აღვივებდა: ეპიკურად მოჩხრიალე მდინარის საწოლიც, მდინარის კვარციც, გიგანტური მთების ბუმბერაზი ზურგებიც, რომელნიც საკუთარ თავსა და მარადიულობაში იძირებოდნენ, მზეზე ბრწყინავდნენ.

ჰაერში შეიგრძნობდა მოცარტისეულ ლივლივს, მსუბუქს, რბილს. ყველაფერი ბედნიერებით აღესილიყო. და ამ გარემოში — პლასტიკური ფორმა შტეფან ცვაიგის პოეტური და მამაკა-

ცური პიროვნებისა! პირდაპირი შეხება ამ ფორმასთან გრიგოლისათვის მზიური გახლდათ — მართლაც!

მელანქოლია გამოხატავდა მის გულს ყოველთვის, თვითმყოფადი მელანქოლია. ამჯერად კი: შეიგრძნობდა, როგორ შორდებოდა თავისი მელანქოლიით დამძიმებული გული.

უცნაური ეჩვენებოდა, რომ: მიუხედავად დაღლილობისა, გრძნობდა ძალას მთელს არსებაში. გული უთრთოდა — ბავშვივით.

ცვაიგთან საუბარი მისთვის იყო წყარო ელვისებრი ინსპირაციისა. ბედნიერი გახლდათ. იგრძნობოდა სიცოცხლის ხალისი — იყო წუთები, როდესაც ეხებოდა მარადიულობას, რომელიც სადღაც — როგორც ბეთჰოვენის საწერ მაგიდაზე — ცვაიგის ოთახში იდუმალებითმოცული წარმოშობილიყო.

მადლობას არ იხდიან ხოლმე ბედნიერი შემთხვევებისათვის. უკეთესი უნდა გამხდარიყავი, სინათლით აღვსებულიყავი — და ეს იქნებოდა ყველაზე დიდი მადლიერება.

გრიგოლ რობაქიძე ზალცბურგში უკეთესი გამხდარიყო, განათლებულიყო.

მეგობრულს მოკითხვას დააბარებდა მის ღირსეულ მეუღლესთან, რომელსაც აღეფრთოვანებინა გრიგოლი, და ქალიშვილთან. მეგობრულად მოიკითხავდა იოაჰიმ მაასსაც — პროზაიკოსსა და ლირიკოსს.

3 მაისის ბარათს წინ წაემძღვარებოდა გრიგოლის ცოლის დისშვილის — ალას — მინაწერი, გულითად მადლობას რომ უძღვნიდა საყვარელ ქალბატონ ცვაიგს საჩუქრისათვის.

ხოლო გრიგოლი დიდ მადლობას რომ გადაუხდიდა მეგობრული წერილისათვის, მიადევნებდა, რომ: ზალცბურგი მისთვის განტვირთვა გახლდათ — როგორც ფსიქოლოგიურად, ისე პოეტურად. მართლაც რომ!.. დრო, რომელიც ცვაიგების ოჯახში გაეტარებინა, მის არსებაში ღვიოდა როგორც ცოცხალი მითოსი. ფაქტი ფაქტად რჩებოდა. ბატონი ცვაიგი ალბათ იტალიაში გამგზავრებულიყო... ჰო მართლა, რა ერქვა იმ კბილის პასტას?.. და გულითად მადლობას დააბარებდა ქალიშვილთანაც და ბატონ მაასთანაც, თუკი იგი ჯერ კიდევ ზალცბურგში იმყოფებოდა.

15 მაისის ბარათით გულითად მადლობას გადაუხდიდა წერილისთვისაც და რეცენზიის გამოგზავნისთვისაც. და დასძენდა: ალბათ იტალიაში დიდი წარმატება გხვდათ წილადო.

დღეს სურდა ერთ გარემოებაზეც მიეწერა:

იანვარში ბატონი ფონ ვეზენდონკი, გრიგოლის კარგა ნაცნობი, რელიგიების მკვლევარი, ყოფილი კონსული საქართველოში და ქართველთა მეგობარი, ანტონ კიპენბერგისაგან, გამომცემლობა „ინზელვერლაგის“ ხელმძღვანელისაგან, მიიღებდა წერილს, სადაც ეწერებოდა:

— დოქტორმა ჰანს კაროსამ დიდი თავაზიანობა გამოიჩინა იმით, რომ მისადმი მიწერილი თქვენი წერილი გადმოგვიგზავნა. მოხარულნი ვიქნებით, რომ ბატონი რობაქიძის თხზულებების თარგმანებს, რომელთაც ახსენებთ თქვენს წერილში, გადავხედოთ ჩვენს გამომცემლობაში დაბეჭდვის მიზნით. უზომოდ მადლიერნი ვიქნებით თქვენი, თუკი ხელნაწერს მოგვაწვდით.

ვეზენდონკის ამ ინიციატივის თაობაზე გრიგოლმა მანამდე არა უწყოდა რა.

მაშინ გაგზავნით არაფერს გაგზავნიდა: რომანი უკვე მიღებული ჰქონდათ გამოსაცემად, მოთხრობების მიწოდებას კი ვერ გაბედავდა. და ეს იმ მიზეზით, რომ: დღესდღეობით გამომცემელნი მოთხრობების მიმართ უნდობლობას იჩენდნენ... ასე დაუმთავრებელი დარჩებოდა ეს საქმე... ამასობაში ზალცბურგში ისაუბრებდნენ ამ თემის ირგვლივ — და შტეფან ცვაიგიც ნათლად გამოხატავდა თავის მოსაზრებას...

ამ დღეებში მოენახულებინა ბატონ დულკს, გამომცემლობა „ინზელის“ წარმომადგენელს, რომელსაც „ატლანტისში“ წაეკითხა „მაგიური წყაროები“ (იგივე „ენგადი“) და ამ მოთხრობით აღფრთოვანებულიყო.

— ამის შესახებ, — დასძენდა იგი, — ვესაუბრე ბატონ კიპენბერგს და მან დამავალა, თქვენთვის მეთხოვა „მაგიური წყაროებისა“ და სხვა მოთხრობების გადაგზავნა...

ბატონი დულკი მეტად აღტაცებული ილაპარაკებდა...

და გრიგოლი გაიფიქრებდა:

თუკი „მაგიური წყაროების“ ასე მოეწონა, რაღას იტყვის, როცა „იმამ შამილს“, „წმინდა ხარის მოკვლასა“ და „თეთრი თხის რქას“ წაიკითხავსო!..

ეს ნოველები ხომ თვითონ საუკეთესოდ ეჩვენებოდა.

გადაწყვეტდა ბატონი კიპენბერგისათვის „ინზელის“ წიგნების სერიაში გასათვალისწინებლად რამდენიმე მოთხრობა გაეგზავნა — და ასეც მოიქცეოდა.

ბუნებრივია არ მოელოდა რაღაც განსაკუთრებულს, მაგრამ ჩვენ, ქართველები ხომ ვამტკიცებდით: ცდა ბედის მონახევრეაო.

ცვაიგს ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რარიგ მნიშვნელოვანი იქნებოდა გრიგოლ რობაქიძისათვის — ლიტერატურულადაც და მატერიალურადაც — „ინზელის“ წიგნების სერიაში მოხვედრა — და ამის გამო სთხოვდა, იმ შემთხვევაში, თუკი ბატონი კიპენბერგი რაიმეს მისწერდა ცვაიგს, იმას თავის საპასუხო წერილში ეხსენებინა გრიგოლის სახელიც.

შტეფან ცვაიგის სიტყვა შედეგს გამოიღებდა — უდავოდ.

6 მაისს ბატონ მარიო ფრამერთან წაეკითხა ნაწყვეტები თავისი თხზულებებიდან — წარმატებით.

გულით მოიკითხავდა ცვაიგსაც, მის პატივსაცემ მეუღლესაც და ქალიშვილსაც.

და ერთგულებას რომ გამოუცხადებდა, პოსტსკრიპტუმად დაურთავდა, რომ:

დიდერიხსის გამომცემლობისაგან მიეღო თავისი წიგნის ერთი ეგზემპლარი ალფრედ კუბინისათვის — გრაფიკოსის, მწერლისა და წიგნების ილუსტრატორისათვის. სამწუხაროდ მისამართი, რომელიც ფურცელზე ეწერა, არ იკითხებოდა: იეროგლიფებს უფრო ჰგავდა. და ამიტომაც ცვაიგი თუ გაუგებდა მის მისამართს.

27 მაისის ბარათს მადლობით დაიწყებდა იმ წერილის გამო, ცვაიგს ბატონი კიპენბერგისათვის რომ მიეწერა. შესაძლო ხდებოდა, რომ „ინზელთან“ მოლაპარაკება კარგად დასრულებულიყო.

„მაგიურ წყაროებთან“ დაკავშირებით ბევრი აღტაცებული წერილი მიეღო. ბატონი კუბინი მას „არაჩვეულებრივად“ საგულისხმოდ მიიჩნევდა...

ზალცბურგიდან წერილს რომ გაგზავნიდა საქართველოში, დღეს მოუვიდოდა პასუხი რამდენიმე პოეტისაგან: მათ უზომოდ გაეხარათ, რომ გრიგოლისათვის ასე გულით, ასე პოეტურად ემასპინძლათ ცვაიგების ოჯახში...

ბატონი ფონ ვეზენდონკი გრიგოლზე საკმაოდ დიდ სტატიას გამოაქვეყნებდა ჟურნალში...

და კვლავ: მეგობრული მოკითხვა ცვაიგის მეუღლესა და ქალიშვილს.

14 ივნისის ბარათი იმით დაიწყებოდა, რომ:

ახლახან ესაუბრა ქალბატონ პროფესორ კიპენბერგთან, რომელიც ძლიერ აღფრთოვანებულიყო გრიგოლის ნოველით. ნოველები — „მაგიური წყაროები", „იმამ შამილი" და „წმინდა ხარის მოკვლა" — გამოიცემოდა „ინზელის" წიგნების სერიით...

ეჭვიც არ ეპარებოა, რომ შტეფან ცვაიგის წერილს მოეხდინა სასიკეთო გავლენა...

და ძალიან გახარებულიყო გრიგოლი, და ცვაიგსაც მოეხსენებოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს წარმატება ქართველი თანამოკალმისათვის, რომელსაც სურდა ცვაიგის გულისადმი პოეტური და ადამიანური მადლიერება გამოეხატა: ხომ მისი და მხოლოდ მისი წყალობით გასჩენოდა შესაძლებლობა ევროპაში პოეტური საქმიანობისა.

ერთგულების გამოცხადების მერე დასძენდა, რომ:

ამ დღეებში დაესრულებინა მოთხრობა, რომლის წერაც ზალცბურგში დაეწყო: „ბედისწერა წმინდანთა სახეებში" — და რომელიც მიაჩნდა საუკეთესოდ, რაც ბერლინში შეექმნა.

და კვლავ: მეგობრული მოკითხვა ცვაიგის მეუღლესა და ქალიშვილს.

7 ივლისის ბარათით იმ მართლაც დიდებულ წარმატებას მიახარებდა კიდევ ერთხელ, „ინზელი" რომ მიიღებდა მის ნოველებს თავისი წიგნების სერიისათვის.

ნოველები — განსაკუთრებით „იმამ შამილი" და „წმინდა ხარის მოკვლა" — სტილისტურად უნდა გადაემუშავებინა. ეს ეთხოვა იოაჰიმ მაასისათვის, და იგი ისე მეგობრულად განეწყობოდა, რომ გრიგოლს ალტონაში მიიწვევდა. ამას სამწუხაროდ

მგზავრობის ფული არ გააჩნდა და ამიტომაც ხელნაწერთა გაგზავნას იკმარებდა.

მაასი შემოუთვლიდა: თარგმანები გაუმართავია და თქვენი აქ ყოფნის გარეშე არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო...

აქ შტეფან ცვაიგის მეგობარი, მწერალი რიჩარდ ფრიდენთალი გაეცნო, რომლის „დემეტრაც" ქართულ მიწაზე დიდი სიამოვნებით წაეკითხა — იგი ისეთ თავაზიანობას გამოიჩენდა, რომ „იმამ შამილის" ენობრივ გადამუშავებას თავის თავზე აიღებდა.

„წმინდა ხარის მოკვლას" კარლ ფედერნი შეასწორებდა...

ამ დღეებში იმყოფებოდა ტუბინგენში თავის გამომცემელთან, რომელიც მიიჩნევდა, რომ სათაური — „მედეას ნაწნავები" — წიგნის ბაზარზე არ გაამართლებდა. ამტკიცებდა: ზედმეტად ანტიკურად ხმიანებსო.

მართალიც არისო, — განა არ ეთანხმებოდა გრიგოლი.

მაგრამ მისთვის არსებობდა სახელის სათაური და სახელის შინაგანი რეალობა.

რაც იყო თუ როგორც იყო, დათმობით უნდა დაეთმო. არაერთ სათაურზე იმსჯელებდნენ და საბოლოო არჩევანს შეაჩერებდნენ სახელწოდებაზე: „ქართველი ქალის სიყვარული". და სთხოვდა ცვაიგსაც და მის მეუღლესაც: შეეტყობინებინათ თავიანთი აზრი ამ სათაურზე. საინტერესოდ კი ჟღერდა, მაგრამ გრიგოლს გულს აკლდა: ლიტერატურულად არ არის დახვეწილიო.

კარლ ფედერნი სახელწოდებად შემოსთავაზებდა უბრალოდ „ქართველ ქალს". ნეტა ცვაიგს როგორ მოეწონებოდა? გრიგოლს განსაკუთრებულად არ ეჩვენებოდა.

და კვლავ: მოკითხვა ცვაიგის მეუღლისა და ქალიშვილისა.

30 აგვისტოს ბარათით იმედს გამოთქვამდა, რომ: ცვაიგს თავისი სამუშაო უკვე დასრულებულიც ექნებოდა.

თვითონ გრიგოლი ამჟამად იმყოფებოდა ოსტრაუს სასახლეში და აქ რამდენიმე კვირას დარჩებოდა.

მისი ტომი „ინზელის" წიგნების სერიაში — სავარაუდოდ — სექტემბრის მიწურულს გამოჩნდებოდა.

რომანი უკვე დაებეჭდათ, რამდენიმე დღეში აიკინძებოდა და ერთ ეგზემპლარს მაშინვე მიაწვდიდა.

წიგნი შტეფან ცვაიგს ეძღვნებოდა — და ამისდა მიუხედავად არ ესმოდა ის, რომ ავსტრიელ თანამოკალმეს არ შეეძლო მასზე მსჯელობა.

მხოლოდ ერთ თხოვნას გაუმხელდა:

ბატონი ერიხ მოსე მიიღებდა ერთ ეგზემპლარს, რათა მასზე რეცენზია გამოექვეყნებინა „ბერლინერ ტაგებლატის“ ფურცლებზე. იგი ამას სიამოვნებით შეასრულებდა, თუკი ცვაიგი მისწერდა რამდენიმე სტრიქონს.

წიგნი ამ სათაურით რომ გამოიცემოდა — „მეგი, ქართველი გოგონა“, ნაცვლად „მედეას ნაწნავებისა“, გრიგოლი ამას სამწუხაროდ მიითვლიდა.

და კვლავ: გულითადი მოკითხვა ავსტრიელი თანამოკალმის მეუღლესა და ქალიშვილს.

9 სექტემბრის ბარათიც დიდი მადლობით უნდა დაწყებულიყო იმ გულითადი წერილისათვის, რომელშიც ცვაიგი იმედს გამოთქვამდა, რომ: გრიგოლი რობაქიძის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლებოდა.

შესაძლო იყო, რატომაც არა.

და გრიგოლს რარიგ სურდა, ამ წინასწარმეტყველებისა დაეჯერებინა.

ისე კი: ამ წელიწადს დიდი ლიტერატურული წარმატებისათვის მიეღწია, მაგრამ... ქართველების მხრიდან ამჩნევდა ბოროტ „მინიშნებებს“.

ერთი კვირის წინათ მიეღო თავისი საუკეთესო მეგობრის ტელეგრამა თბილისიდან: და რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო მშობლიურ ქალაქში... ბინის გამო.

განა ეს სასაცილო არ იყო?

შტეფან ცვაიგმაც და სხვა მისმა მეგობრებმაც კარგად იცოდნენ, რომ გრიგოლის ლიტერატურული საქმიანობა გერმანიაში ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე ბინის საკითხი.

ტელეგრამა საეჭვოდ ამიტომაც მოეჩვენებოდა.

კიდევ: გუშინწინ ღია ბარათი მიეღო თავისი დისაგან, რომელიც იწერებოდა: დედა ავადააო, — მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გრიგოლისათვის დაერეკა, მის ცოლს ურეკავდა.

ესეც არანაკლებ საეჭვოდ მოეჩვენებოდა.

თუმც ყველაზე ცუდი მაინც ეს იყო, რომ: სიმართლეს ვერასოდეს შეიტყობდა. გამორიცხული გახლდათ.

დაბნეულიყო გრიგოლ რობაქიძე:

თუკი ახლა უკანვე გავემგზავრები, ჩემი პოეტური საქმიანობა შეწყდება, იქიდან მოღვაწეობა ევროპაში კი ყოვლად შეუძლებელი იქნებაო.

საქართველოში ამჟამად არ შეეძლო შემოქმედებითი საქმიანობა:

იგი ხომ არც მატერიალისტი იყო, არც მარქსისტი და ხელოვნების დანიშნულებაც სრულიად სხვაგვარად ესმოდა, ვიდრე საბჭოთა რეჟიმი და იდეოლოგია მოითხოვდა.

შესაძლოა დიდი დრო არც დარჩენოდა ამქვეყნად ყოფნისა, და სურდა კაცობრიობისათვის ემსახურა, როგორც ამას შინაგანად გრძნობდა.

თავის თხზულებებს — ბედავდა ამის თქმას — აღიქვამდა როგორც საკულტო სამსხვერპლო ცხოველებს მარადიულობის თვალწამისათვის.

მრავალ სულს დახმარებოდა ამით:

გერმანიაშიც კი, როდესაც ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

და კვლავ: გულითადი მოკითხვა მის მეუღლესა და ქალიშვილთან.

2 ოქტომბრის ბარათით უჩვეულო სიხარულს პირველს შტეფან ცვაიგს ამცნობდა:

მობრუნდებოდა ბერლინში იენადან და: მაგიდაზე „მეგი" და „კავკასიური ნოველები" დახვდებოდა.

ჰოი რარიგ გაიხარებდა.

წერილების ქვეშ ცვაიგის ტელეგრამაც იდებოდა: მეტად სათუთი და ლირიკული. და სიხარულიც კიდევ უფრო მოემატებოდა.

გუშინ მისგან წერილიც მიეღო. ნაეკითხა და... მზად იყო ეტირა არამიწიერი სიხარულისაგან...

— სასიამოვნოა, როდესაც ერთი პოეტის თხზულება მეორის მოწონებას იმსახურებს. უდიდესია სიხარული, როდესაც ის მე-

ორე პირველის მეგობარია. როგორი სასიამოვნო უნდა იყოს, რომ ნაწარმოები მეგობარს ეძღვნება!..

და გრიგოლ რობაქიძეც ბედნიერი გახლდათ იმ წუთებში.

ამას გრძნობდა მისი მეუღლეც. ამას ხვდებოდა მათი პატარა ბავშვიც, რომელიც ბოლოსდაბოლოს ღმერთთან უფრო ახლოსაა...

ასეთ წუთებში გრიგოლი გული ხდებოდა, სწორედაც გული და მხოლოდ გული, კოსმიურად გაშიშვლებული და მფეთქავი გული, რომელსაც აღიქვამდა ხორცადქცეულ ნაწილს მეტაფიზიკურად დაგლეჯილი ღმერთისა...

დიონისე რომ არ გამოეცხადოს, ისე როგორ იქნება!..

და შტეფან ცვაიგის წერილიც ასევე გული იყო, შიშველი გული.

ხომ იყო ცვაიგი საკუთარი თავისაგან უარყოფილი, ერთიანად თავგანწირული, პოეტურად ადამიანური.

გრიგოლი ამას მიიჩნევდა ადამიანის უდიდეს ნიჭად. და განიცდიდა უსაზღვრო სიხარულს იმ ადამიანთა წყალობით, რომელნიც თავიანთ არსებაში ამ ნიჭს მზიურად აყვავებდნენ და აცხოვრებდნენ.

ერთგულების გამოცხადების მერე დასძენდა, რომ:

ბატონი ალექსანდრესათვის უკვე გადაეცა თარგმნის უფლება, და კარგი იქნებოდა, თუკი ცვაიგი მას მისწერდა.

ბატონ პეტერ ფლამისათვის (ერიხ მოსეს ფსევდონიმი) თუ კიდევ არ მიეწერა, იქნებ ახლა მაინც შეხმიანებოდა, რათა მას „ბერლინერ ტაგებლატში“ დაეწერა „მეგიზე“. ამასთან უგზავნიდა „კავკასიურ ნოველებს“.

18 ოქტომბრის ბარათით დიდ მადლობას მოახსენებდა წიგნისათვის „მარია ანტუანეტა“, რომელსაც მალე დიდი სიხარულით წაიკითხავდა.

უკვე ხომ არ მიეწერა პეტერ ფლამისათვის, გამოაქვეყნებდა თუ არა რეცენზიას გრიგოლის წიგნზე „ბერლინერ ტაგებლატში“?..

აქ ეთქვათ: ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ ამ გაზეთში რეცენზია დროულად დაიბეჭდებაო.

და კვლავ: უამრავ გულითად მოკითხვას დააბარებდა ცოლსა და ქალიშვილთან.

7 ნოემბერს კი აცნობებდა, რომ:

ამ დღეებში წაეკითხა „მარია ანტუანეტა“ — დიდი ბედნიერებითა და სიხარულით.

შტეფან ცვაიგი რევოლუციის მხარეს რომ იდგა, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ამავდროულად უბედური დედოფლის გვერდითაც იმყოფებოდა. ეს მიმართულება კი, გრიგოლის აზრით, ურთულესი იყო და დიდ პოეტურ ძალასაც საჭიროებდა.

კიდევ მეტი: აქ შეიგრძნობოდა ადამიანობა, რომელიც პარტიებსა და უთანხმოებებზე მაღლა იდგა ყოველთვის.

ცვაიგს გაეცხადებინა ადამიანური ყოფის საიდუმლო მარია ანტუანეტას სახეში: ყველა ადამიანის არსებაში ყოველთვის რომ იმალებოდა რაღაც პატარა ან ძალიან დიდი, არაადამიანური ან ზეკაცური.

ამ დროში, ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი ს ეპოქაში, ამგვარი თხზულება მორალური საჩუქარი გახლდათ. მხოლოდ დიდ გულს შეეძლო ასეთი წიგნების დაწერა — მხოლოდ დიდ გულს. და თუ ნებას დართავდა, დაუმატებდა, რომ: ცვაიგის თხრობის ხელოვნება მეტყველებდა დიდ ძალაზე!.. და დაე დალოცვილი ყოფილიყო მისი შემოქმედებითი სიმართლე!..

ერთგულების გამოცხადების მერე ორ პოსტსკრიპტუმს დაურთავდა.

ერთი ის, რომ:

პეტერ ფლამისათვის უკვე მიეწერა „მეგის“ რეცენზიასთან დაკავშირებით, მაგრამ პასუხი ჯერ არ მოსვლოდა.

და მეორე კიდევ:

თავისი ნაცნობი ქალბატონისაგან — თავადი მაჩაბლისაგან, იტალიაში დაბადებული გრიგოლის თანამემამულეზე რომ დაქორწინებულიყო — მიეღო ეს ბროშურა თხოვნით: ეგებ შტეფან ცვაიგისათვის გადაგეგზავნათო. იგი გახლდათ შეპყრობილი ალქიმიკოსი და ერთ ინდოელთან ერთად მოგზაურობდა ევროპაში. ნოემბრის მიწურულს ან დეკემბრის დამდეგს ისინი გერმანიაში იქნებოდნენ. განზრახული ჰქონდათ, იტალიიდან ცვაიგს სტუმრებოდნენ, ასევე — ბატონ რომენ როლანს. და გრიგოლს

ძალიან გაახარებდა იმის გაგება, ელოდა თუ არა ამ ვიზიტისაგან მისი ავსტრიელი მეგობარი რაიმეს... სასიამოვნო იქნებოდა, თუკი ამის შესახებ ცვაიგი რომენ როლანსაც შეატყობინებდა.

18 ნოემბრის მოკლე ბარათში ვარაუდს გამოთქვამდა, რომ: ცვაიგი ალბათ გამგზავრებულიყო და ან ავად იყო, ან ეგებ გრიგოლს დაეგვიანა, თორემ იგი ბარათზე უსათუოდ უპასუხებდა.

აინტერესებდა: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ „ბერლინერ ტაგებლატში" პეტერ ფლამს ანდა ვინმე სხვას რეცენზია დაებეჭდა „მეგის" შესახებ.

24 დეკემბერს „ბერლინერ ტაგებლატის" დილის ნომერში რომ დაიბეჭდებოდა პეტერ ფლამის მეტად საგულისხმო და აღტაცებული სტატია „მეგისა" და მისი ავტორის შესახებ, ბატონი ფლამისათვის უკვე გადაეცა გულითადი მადლიერება, და ამავდროულად მადლობას უხდიდა ცვაიგსაც, რადგანაც აქ მის მადლიან ხელს ხედავდა.

და მეუღლესთან მოკითხვას რომ დააბარებდა, ახალ წელს უსურვებდათ ყოველივე საუკეთესოს.

ახალი წელიც დადგებოდა — 1933, და რამდენიმე თვეც გადაიკეცებოდა, ვიდრე აპრილის მიწურულს — კერძოდ: 30-ში — შეატყობინებდა თავის კეთილისმყოფელს, რომ: ამჟამად იენაში იმყოფებოდა დიდერიხსთან, რომელსაც თავის ახალ რომანს გადასცემდა: „ადამიანებსა და დემონებს შორის". რამდენადაც ახსოვდა, ამ თემაზე ცვაიგთან ზალცბურგში ელაპარაკა.

გამომცემლობას მონახაზს რომ გაუზიარებდა, ისინი წიგნს სასწრაფოდ შეუკვეთდნენ და ესეც ოქტომბრის შემდეგ დღედაღამ მუშაობდა ამ ძალიან რთულ თხზულებაზე.

სწორედ ეს იყო მიზეზი, თუ რატომ არ გამოჩენილიყო ამდენ ხანს.

წიგნის შინაარსი სრულიად გამოაცლიდა ძალას: მორალურსაც, ფიზიკურსაც, შემოქმედებითსაც. და ამ ბოლო დროს ძალაგამოცლილად გრძნობდა თავს.

ამასთან მატერიალურადაც შემაძრწუნებელ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. დიდერიხსის გამომცემლობას არაფრის გადახდა არ შეეძლო და ავანსიც ამოიწურებოდა. „მეგის" პირველი

გამოცემა თითქმის გაიყიდებოდა, მაგრამ აფიქრებდა ის გარემოება, დაიბეჭდებოდა თუ არა მეორე, რადგანაც „ვუნდერლიხის“ გამომცემლობა სხვა რამის გამოქვეყნებას აღარ აპირებდა.

„მეგი“ მიეღო იტალიელ გამომცემელს, მაგრამ გრიგოლის წარმომადგენელს, ბატონ ალექსანდრეს შეპირებული ავანსი დღემდე არ მიეღო: 1000 ლირა — დაახლოებით 215 მარკა.

პატარა მოთხრობების დაწერა დღესდღეობით აღარ შეეძლო: მართლაც ძალაგამოცლილი გახლდათ.

გუშინ თავისი მეუღლისათვის მიეწერა, რომ:

თვითონ, ცოლსა და ბავშვს უარი ეთქვათ დიდ ოთახზე და როგორმე მოთავსებულიყვნენ პატარა საძინებელში. მაგრამ ეს არაფერს უშველიდა. იცოდა, რომ შტეფან ცვაიგი ბევრ ადამიანს ეხმარებოდა, გულით შველოდა — და თუ შესაძლებლობა ექნებოდა, გრიგოლი დარწმუნებული იყო, მასაც რომ დაეხმარებოდა. არ დავიწყნოდა, როგორ ამოდგომოდა მხარში ცვაიგი ორი წლის წინათ.

გულითად მოკითხვას რომ დააბარებდა მეუღლესთან, დასძენდა, რომ:

წიგნი პირველად გამოიცემოდა შემოდგომაზე. რამდენიმე დღეში კი უკან მიემგზავრებოდა. „უკან“ ბერლინს გულისხმობდა და არა თბილისს, რომლის ნახვაც აღარც აღარასოდეს ელირსებოდა.

12 მაისს მადლობას მოახსენებდა მეგობრული წერილისა და იმისათვის, მუდამ მზადყოფნას რომ გამოთქვამდა გრიგოლის დასახმარებლად. მოკლე ბარათი მოეწერა ცვაიგს, მაგრამ მრავლისმთქმელი, და კარგად ესმოდა გრიგოლს, რამხელა ბედნიერება იყო, როდესაც ცვაიგს მუშაობა შეეძლო. ძალიან უხაროდა, რომ იგი გრიგოლის ახალ რომანს „მოუთმენლად“ ეწოდა. უფრო დაწვრილებით ამ თხზულებაზე ბერლინიდან მოსწერდა. სხვადასხვა საზოგადოებაში რამდენიმე თავი წაეკითხა. შთაბეჭდილება ისეთი დიდი აღმოჩნდებოდა, რომ ამას მისტიკური შიშიც კი დაეუფლებოდა.

გულითად მოკითხვას რომ დააბარებდა მეუღლესთან, პოსტსკრიპტუმად დასძენდა, რომ:

მომდევნო ორშაბათს დაბრუნდებოდა ბერლინში. სწორედ ახლა მიეღო ცვაიგის მეორე წერილი — 9 რიცხვით დათარიღებული. დიდ, დიდ მადლობას გადაუხდიდა და ბატონ ალექსანდრესაც ახლავე მისწერდა.

9 ივლისს გულითად მადლობას რომ მოახსენებდა გულთბილი წერილისათვის, ამცნობდა, რომ ამ დროისათვის შვებულება ამოწურვოდა. ამჟამად მუშაობდა ახალ ნაწარმოებზე: „ცხოვრება მითოსში" — ეს გახლდათ ნამდვილი სურათი მისი ბავშვობიდან.

მეუღლეს რუსეთიდან საშინელი ამბავი შეეტყობინებინა მისთვის: იქ შიმშილი მძვინვარებდა. მტკივნეული იქნებოდა მისთვის ამის გაგება... მისამართსაც დაუზუსტებდა და გულითაც მოიკითხავდა ცვაიგებს.

14 ივლისს გულითად მადლობას გადაუხდიდა გამოგზავნილი თანხისათვის:

ეს ჩემთვის მეტი იყო, ვიდრე დახმარებაო.

იმ დროს თავს დაატყდებოდა მელანქოლია, რომელიც დროდადრო საშინლად ტანჯავდა. ამას დაერთვოდა შემაძრწუნებელი ცნობა რუსეთიდან და საქართველოდან: შიმშილობა და მერე როგორი! — და მელანქოლიაც გაუმძაფრდებოდა. ამიტომაც არ შეეძლო ცვაიგთან მიეწერა. ახლა უკეთ გრძნობდა თავს. და მოგვიანებით დაწვრილებითაც მისწერდა.

„მეგის" ერთი ჩეხური გამომცემლობა მიიღებდა.

რობერტ ბლაიხშტაინერი, ავსტრიელი ეთნოლოგი, გრიგოლის ცნობილ დრამას — „ლამარა" — ძველქართული ტექსტიდან თარგმნიდა.

— ძალიან, ძალიან კარგადო, — აღტაცებას გამოთქვამდა გრიგოლი.

იგი ახლა ცდილობდა, ეს პიესა რომელიმე ავსტრიულ სცენაზე დაედგა. და იქნებ შეძლებოდა ცვაიგს და ამაში დახმარებოდა? ეს არ იქნებოდა მხოლოდ „ეგზოტიკურად" მნიშვნელოვანი. და ბატონ ბლაიხშტაინერის მისამართსაც აცნობებდა.

ამისათვის უზომოდ მადლიერი იქნებოდა.

გულითად მოკითხვას რომ დააბარებდა მეუღლესთან, დასძენდა:

ჩემი ავტობიოგრაფია „ლიტერარიშენ ველტის“ ფურცლებზე დაიბეჭდება, და მას გიგზავნითო.

25 ოქტომბრამდეც აღარსადაა გრიგოლის ახალი ბარათი, ამჯერად რომ ამცნობდა: ამ დღეებში დიდერიხსის გამომცემლობისაგან მიიღებთ ჩემს ახალ წიგნს: „ჩაკლული სული“ — და დაურთავდა, რომ: სათაური ეკუთვნოდა გამომცემლობას. წინასიტყვაობა მოკლე იყო და ნათელს ხდიდა, თუ რას შეეხებოდა.

მოწოდებული გახლდათ — სწორედაც მოწოდებული და საგანგებოდ ამიტომაც გამოიყენებდა ამ სიტყვას — ამ წიგნის დასაწერად. კარგად აცნობიერებდა, რამხელა პასუხისმგებლობას კისრულობდა მისი გამოქვეყნებით: ამით ჰკარგავდა მშობლიურ მიწას და მიწასთან ერთად დედასაც და მეგობრებსაც.

ღრმად გახლდათ დარწმუნებული, რომ:

პასუხისმგებლობა მარადიულისადმი მასში უფრო მეტად გაიზრდებოდა, თუკი ამას რაიმე მიზეზით არ გააკეთებდა.

ეს არ იყო ცარიელი სიტყვები...

პირწმინდად პოეტურად მისთვის რთული გახლდათ ამ წიგნის დაწერა. მისი სირთულე სწორედ შინაარსში მდგომარეობდა: ბოლშევიზმის დემონური არსი სავსებით პირუთვნელად უნდა აესახა და ამავდროულად ნეიტრალური არ უნდა დარჩენილიყო — ეს იყო პასუხისმგებლობით აღსავსე მცდელობა.

ფორმა ნაწარმოებისა: ეს გახლდათ — სურდა ეთქვა — გამოგონილი პიროვნების ბიოგრაფია. თანამედროვე ბიოგრაფიებს, განსაკუთრებით — შტეფან ცვაიგის თხზულებებს — გრიგოლ რობაქიძის ტექსტის ფორმაზე გავლენა მოეხდინა.

— მართალია, გამოგონილი პიროვნების ცხოვრება „ლეგენდას“ ჰგავს, მაგრამ როდესაც „ბიოგრაფიის“ სახით იწერება, „რეალურის“ შთაბეჭდილებას ტოვებს... თანამედროვე რომანისტებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ...

ნაწარმოების უკანა ფონზე ჩანდა არაადამიანური პიროვნება სტალინისა: ეს ისე, თითქოს „შორიდან“ ეხებოდი რაიმეს და არა ახლოდან. ამიტომაც გამოიყენებდა წარმოსახვის ხელოვნებას... სხვათა შორის — ამას ცვაიგი თვითონაც რომ შეამჩნევდა, გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა.

პოეტური თვალსაზრისით ბევრი სუსტი ადგილი შეიმჩნეოდა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე ღრმად გახლდათ დარწმუნებული, რომ ყოველი წინადადება მორალური ძალით იყო გაჟღენთილი — და ეს გახლდათ სწორედ ავტორისათვის უმთავრესი.

შეეძლო წარმოედგინა ცვაიგს, რამდენად დაქანცულიყო გრიგოლი ბოლო თვეებში: ფიზიკურად, მორალურად, პოეტურად. და ამიტომაც დუმდა.

უთვალავ გულითად მოკითხვას უთვლიდა მასაც და მის საყვარელ მეუღლესაც.

5 ნოემბრის ბარათით გულითად მადლობას რომ გადაუხდიდა გულთბილი წერილისათვის, მიადევნებდა: ძალიან მახარებს, რომ ჩემს ახალ წიგნს ასე მოუთმენლად ელითო.

იმედოვნებდა, რომ მალეც მიიღებდა. სხვათა შორის ის უკვე გამოცემულიყო და „დი ლიტერარიშე ველტი“ მაშინვე დაბეჭდავდა დიდ სტატიას, რომელშიც ეწერებოდა:

— ჩვენი ლიტერატურა საბჭოთა რუსეთზე ნამდვილად არ არის მრავალფეროვანი, თუმცა მათ შორის ბევრი კარგი წიგნია! მაგრამ როდესაც „ჩაკლულ სულს“ წაიკითხავთ, მაშინ მიხვდებით, რომ „არაფერი“ იცოდით ამ სულების ჩამკვლელი სახელმწიფოს შესახებ, რომელმაც ეს საშინელი რევოლუცია შექმნა.

და კიდევ:

— არაფერს და არავის ძალუძს არაადამიანური ბატონობა სტალინისა — ასე გარკვევით ასახოს... ამ თხზულებაში სუფევს დინამიკა, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მკითხველზე, რომელსაც სურს, რომ ეს ერთი ამოსუნთქვით შთანთქას...

„კოლნიშე ცაიტუნგი“ წინასწარ სწერდა გამომცემლობას, რომ მოგვიანებით გამოქვეყნდებოდა რეცენზია: „დიდი წიგნი“. ასევე „დი ვოსიშე ცაიტუნგ“ აღნიშნავდა: მან უჩვეულოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო...

გრიგოლის თხოვნა გახლდათ:

იქნებ შეიძლებოდა და ეს წიგნი რომელიმე ინგლისური გამომცემლობისათვის შეეთავაზებინა — პირადად. ცხადია, თუკი ცვაიგი მას ღირებულად მიიჩნევდა. ამასთან: უკვე პარიზისაკენ მიმავალ გზას უნდა დადგომოდა და კარგი იქნებოდა,

თუ გაზეთს — „ლე ნუველე ლიტერარი“ — ორიოდე სტრიქონს მისწერდა ამის შესახებ. ეს ამ წიგნის გამოცემას საზღვარგარეთ ძალიან წაადგებოდა.

და ერთგულების გამოცხადების მერე დაურთავდა:

მახარებს თქვენი ახალი საქმეო.

კიდევ ერთი ახალი წელი დადგებოდა.

და 15 იანვრის ბარათი კვლავ მადლიერებით რომ დაიწყებოდა ცვაიგის ძვირფასი წერილისათვის, რომელიც მას პარიზიდან გამოეგზავნა, ამცნობდა: ქალბატონს გუშინ დაწვრილებით მივწერეო.

ბოლო ხანს ძალზე ბევრი ყოველდღიური უსიამოვნება რომ შეხვდებოდა, იქამდე ვეღარ მიეღწია, რომ ეპასუხა ცვაიგის წერილისათვის, რომელიც იმას ლონდონიდან გამოეგზავნა.

დღეს სურდა დაწვრილებით მიეწერა — და წაიკითხავდა ერთ რუსულ გაზეთში, რომ: მისი მეგობარი, დიდი პოეტი ანდრეი ბელი, რომელსაც ავსტრიელი მწერალიც იცნობდა მისი უდავოდ ბრწყინვალე რომანით — „ვერცხლის მტრედი“ — მოსკოვში გარდაცვლილიყო.

და გრიგოლ ძალაწართმეულად გრძნობდა თავს.

მაინც მიადევნებდა, რომ:

მის წიგნს ბევრი სული აეფორიაქებინა. ავტორიც და გამომცემლობაც უცნობი ადამიანებისაგან მიიღებდნენ წერილებს. მორალურად ძალიან ამაღელვებელი იქნებოდა ეს სასიამოვნო აჟიოტაჟი. და მოკითხვას რომ დააბარებდა თავის საყვარელ მეუღლესა და ქალიშვილთან, დასძენდა: ზალცბურგი ჩემთვის დაუვიწყარი რჩებაო.

* * *

„ლოტოსს“ უნდა გაეგრძელებინა „მაიაში“ დაწყებული ინდური განწყობილება.

კი მაგრამ... ეს უცნაური ყვავილი ნილოსის სუნთქვით რომ ცოცხლობდა და არა განგის?

და მინიატურაში ეგვიპტე რომ იხსენიებოდა და არა ინდოეთი?

და მაინც განწყობილება ინდური უფროა, იმ ლეგენდური სამყაროთი ნაკვები, იმ ფესვზე ამოზრდილი, იმ სულიერებით შთაგონებული.

თორემ ნირვანა ხომ არ შემოცურდებოდა თხრობაში?

და ლოტოსი ხომ ინდოეთის სიმბოლო უფროა, ვიდრე ეგვიპტის?

ლოტოსი — უცხო სურნელით რომ აყვანილა მისი მოქნილი ტანი და დედოფლის სილაღით გაშლილა მისი თეთრი გული. და მიღამების ჟამს წმიდა წყალთა ქვეშ რომ უნდა ჩაძირულიყო ხოლმე მოკუმშული, მსუბუქფრთოვან დილით მკერდს იხსნიდა ამოზიდული, ლოდინით მთრთოლვარეს. მოელოდა მზის ვაჟის შეხვედრას და ძალზე მოწყურებული ეწაფებოდა მის დაუშრეტელ ჩქერს.

ჰკრთოდა თეთრგულა ლოტოსი — და ნილოსის ნელ ტალღებში ლეგენდა იბადებოდა ტკბილხმოვანი.

ლამაზი იყო ეგვიპტის მთავრის ასული, ფარჩეულ სარეცელზე მიწოლილი, ხშირფოთლოვანი ხის ჩრდილქვეშ, ლაღ მკლავზე დაყრდნობილი გასცქეროდა ლურჯთვალა აღმოსავლეთის ნაღვლიან შუადღეს.

ხალისიანი მზე ცეცხლით რომ დაატყვევებდა ყოველს, მყუდრო მთვლემარე ალმურში სხივოსანი ჩვენებით პანი უნდა დაბადებულიყო.

ფერმიხდილი მარმარილო ქალწულის ტანისა უნდა შერხეულიყო ზანტად: მზის უხვი ჩქერი დაშვებულიყო მის მწყურვალ სხეულში და ისიც მიჰყოლოდა, ნებამილეული, უჩვეულო ტყვეობას.

ნაღვლიან შუადღეს რომ მიაჩერდებოდა ლურჯთვალა, შორით თვლემაში იქნებოდა ჩაძირული ფიქრმორეული ნილოსი.

დღეს პირველად უნდა ეხილა ქალწულს მზის ღმერთის სამლოცველო.

მზე ჩაესვენებოდა ნელინელ უკუნეთის სამთავროს და წმინდა მდინარეს მიერხია აუჩქარებელი, ფოლადად გამდნარი ტანი.

მთავრის ასული, მწვანე მოლმოსხმული, უნდა მიახლოებოდა მსახურთა თანხლებით ამონ-რას სამლოცველოს ნელი ბიჯით; მოხუც მოგვს კრძალვით გაეღო წმინდა კარი და ლამაზი ასული შესულიყო საიდუმლო საკურთხეველში; და გამოჩენილიყო ამონ-რა ცეცხლისმფრქვეველი და ეგრძნო ტანს ლამაზისა კიდევ უფრო მწველი ტალღა მატყვევებელი; უნდა ელოცა

ქალწულს უსიტყვოდ პირქვედამხობილს — და შორით ესმინა ნილოსს აუჩქარებელს.

მოხუც მოგვს უნდა ეცქირა ტყვექმნილი მთვარის პროფილისათვის ქალწულისა და ხშირი თმის ტევრისათვის, მთრთოლვარე მკერდზე შავ ღელედ გადმოშვებულისათვის; და მოეგონებინა შორეული ლამაზის ხილვით და უძლურების ცახცახს აეტანა საბრალო.

— მშვენიერო, — უნდა ეთქვა, — შენ ხარ ულამაზესი ეგვიპტის ყველა ასულს შორის; სახე შენი გაშლილა მზის ხილვისათვის და ტანი შენი ჭაბუკის ხვევნას ელის; მხოლოდ მზიურს ძალუძს შენი დატყვევება და იქმნები შენ მარადის ქალწული.

ეთქვა და... კიდეც დაცემულიყო იქვე მკვდარი.

და შორით ედინა ნილოსს აუჩქარებელს.

მრავალფერ ალად უნდა გაშლილიყო ყვავილოვანი სილამაზე ქალწულისა. გაღვიძებული ცეცხლი ვნებით-სავსე ტანისა — უნდა დალოდებოდა მატყვევებელს, მაგრამ არსად ყოფილიყო მზის ვაჟი. მთავართა შვილნი შესცილებოდნენ ერთიმეორეს ტურფა ასულისათვის, მაგრამ ვერცერთს ვერ შეძლებოდა ქალწულის მზიური დატყვევება. აგერ ახოვანი ვაჟი უნდა მიახლოებოდა ქალღმერთს, მაგრამ ბნედა მორეოდა ლამაზის მხილველს და იქვე ჩაკეცილიყო ვნებაუძლური.

მთავრის ასული კი ალის სურვილით დალოდებოდა მზეჭაბუკს.

და შორის სიზმრად ყოფილიყო ნილოსი ნელი.

თეთრად უნდა გაეთენებინა ღამე ტურფა ასულს. ძილის ღმერთს არ მოეხუჭა მისთვის ლურჯი თვალები. ალიონიც მოახლოებულიყო დილის ნისლად გახსნილი. ქალწული ამდგარიყო მთვარეული სრულად და ნელი ნაბიჯით მისულიყო ნილოსთან, ნელად მიერხია მუქლურჯა ტანი წმინდა მდინარეს და ლივლივა ტალღებში სიზმარეთის სამთავრო გაეშალა ქალწულისათვის. ისიც შერთვოდა მდინარის დენას და დაღლილ თვალებზე მსუბუქი გამჭვირვალე ბინდი ჩამოჰფენოდა.

ქალწულს უნდა შეეცურა ნირვანაში.

მაგრამ... ეს რა შრიალი მოესმოდა?

გამორკვეოდა ბურუსს და მისჩერებოდა ათრთოლებული: მზე ვითარ ეხვეოდა ნილოსის ტანს ვნებააშლილი; მზეჭაბუკის ოცნებას უნდა ეელვა ქალწულის ფიქრებში და ერთი მოსხლეტით გადაშვებულიყო მდინარის მკერდში ჩაჭრილ ცეცხლის რგოლში.

ნილოსს ამოესუნთქა ვნებადამცხრალს და... მის მკერდზე ამოცურებულიყო ყვავილად ლამაზი ქალწული. დედოფლურად ეყვავილა თეთრგულა ლოტოსს და ჩაეკრა ის გულში ნილოსს, ნელიად მდინარეს.

როგორ იწყებოდა ეს ლექსი პროზად?

თუ გინახავს უცნაური ყვავილიო...

და ფინალში მთხრობელს უკვე შეეძლო დაებეჯითებინა, რაკიღა შეეთვისებინა მკითხველისათვის ამ უცნაური ყვავილის თავგადასავალი:

კი გინახავსო...

და კვლავ უნდა განმეორებულიყო:

რომ ნილოსის სუნთქვით ცოცხლობდა და უცხო სურნელით აყვანილიყო მისი მოქნილი ტანი და დედოფლის სილაღით გაშლილიყო მისი თეთრი გული;

რომ მიღამების ჟამს წმინდა წყალთა ქვეშ იძირებოდა მოკუმშული და მსუბუქფრთოვან დილით მკერდს იხსნიდა ლოდინით მთრთოლვარეს;

რომ ელოდა იგი მზის ვაჟის შეხვედრას და ძალზე მოწყურებული ეწაფებოდა მის დაუშრეტელ ჩქერს;

და რომ ჰკრთოდა თეთრგულა ლოტოსი — და ნილოსის ნელ ტალღებში გაისმოდა ლეგენდა ტკბილხმოვანი.

ცვლიდა გეოგრაფიულ არეალს გრიგოლ რობაქიძე, შორით-შორად გადაიტანდა, მაგრამ ვერ დააცილებდა იმ ორ ლეგენდას, ვერ განასხვავებდა „მაიასა“ და „ლოტოსს“; ვერც სტრუქტურულად და ვერც სულისკვეთებით, ერთგანაც მდინარეში რომ ხდებოდა ჯადოსნური ამბავი და მეორეგანაც, და თუ ერთგან ვაჟი უნდა გადაქცეულიყო ქვად, მეორეგან ქალი — ლოტოსად.

რუსულად თვითონვე რომ თარგმნიდა და გაზეთ „კავკაზის“ 1915 წლის ნომერში დაბეჭდავდა, იქაც ხომ შეიძლებოდა განმე-

ორებულიყო სათაურად ლათინური შრიფტი, მაგრამ... არ უნდოდა და არა „ლოტოსი“ სახელწოდებაშივე აღბეჭდილიყო და ასე შეცვლიდა: „ყვავილი ეგვიპტისაო“.

თუმც ტექსტში ჩარჩებოდა ლოტოსი.

მაგრამ იქაც რომ შეეცვალა, კვალი მაინც არ წაიშლებოდა, რადგანაც:

ინდური სუნთქვა მოდიოდა ერთი მინიატურიდანაც და მეორედანაც და... ამიტომაც მკითხველი ნილოსს განგად წაიკითხავდა, ეგვიპტეს ინდოეთად, და ამონ-რას ტოლსაც ადვილად მოძებნიდა ინდურ ღვთაებათა პანთეონში.

1913 წლის 23 ნოემბერს იოსებ გრიშაშვილს რომ აცნობებდა: „თემს“ გავუგზავნე ჩემი „ლოტოსიო“, 15 დეკემბერს კიდეც შეაფასებდა თვითონვე ამ მინიატურას:

ჩემი „ლოტოსი“ ნაქანდაკებია და ამის გამო ძნელი წასაკითხი; ამას გარდა ის ჰქმნის აღმოსავლეთის „შუადღის გულნებას“, და ვინც ამ სამყაროს არ იცნობს ოდნავ მაინც, მისთვის „ლოტოსი“ მარტოდენ ლამაზ სიტყვად დარჩებაო.

ამ თხზულებაში ესწრაფოდა და — დაბეჯითებით სჯეროდა, რომ — კიდეც განეხორციელებინა:

ქართული ენის რ ი ტ მ ი მის უკანასკნელ საზღვრამდე: აქ ყოველი სიტყვა თ ა ნ დ ე ვ ი თ ამიტომაც იყო აუცილებელი და ყოველი ფრაზა — მტკიცედ ნაჭედი.

აქ ერთ მის კარგად ნაცნობ ქართველს წაეკითხა და განცვიფრებული დარჩენილიყო.

მის შთაბეჭდილებას წამიერად საყოველთაო განცვიფრებაღფრთოვანებადაც მიითვლიდა, მაგრამ მალევე გამოაფხიზლებდა ყოფითი რეალობისაგან წაკრული ქიმუნჯი, ის წუთები რომ გაახსენდებოდა, რაბინდრანათ თაგორის საგალობლის თარგმანს რომ გამოაქვეყნებდა „ოქროს ვერძის“ ფურცლებზე, მეორე დღეს კი ქუთაისში ყველა მკითხველი ამას ჰკითხავდა: რა არის, ვერაფერი გავიგეთო!..

მაგრამ საკმაო იყო სულ მალე მის ლექსთა ერთი კონა გამოსულიყო ინგლისურად, რომ... ნობელის პრემიაც მოეპოვებინა.

და: სადაა ჩვენში დაფასებაო?! — დაიგმენდა გრიგოლი, — დაფასებას დიდი ნიჭი და განათლება უნდაო...

ქართული ენის რიტმი განახორციელო მის უკანასკნელ საზღვრამდე და... ვერც შენიშნონ თითოოროლა კაცის გარდა, თორემ დაფასებას ვიღა ჩივის!..

„გიტანჯალის" საგალობელი ეთარგმნა კი არა, სულაც „გიტანჯალის" შემოქმედი რომ ყოფილიყო თვითონვე, იმ თითოოროლა კაცის მოწონებას ვერ გასცილდებოდა მისი დაფასება, თორემ ნობელის ჯილდოზე ხომ ვერც იოცნებებდა.

თუმც... ვერც იოცნებებდა დღეს, მაგრამ ვინ იცის რა პერსპექტივა გახსნოდა ხვალ, თუკი ევროპას როგორმე მიაწვდიდა თავის ნაწერებს — მთელი სერია შეეძლო შეექმნა „ლოტოსის" ბადალი, ისინი რომ მაინც ჩაუკვირდებოდნენ შესაფერისად, თუკი თვისტომნი კვლავ ამრეზითაც და გულგრილადაც მოექცეოდნენ.

ამ და ამგვარი ციკლის იმედად იქნებოდა, ვიდრე ქართველთა მოდგმის ძველთაძველ საცხოვრისში ჰპოვებდა თავს ხელახლა შობილად და გაეხსნებოდა სრულიად ახალი სულიერი სივრცე, მზის სხივებში განბანილი და რაღაც იდუმალ მადლს ზიარებული.

ჯერჯერობით კი:

ჩაძირულიყო გრიგოლ რობაქიძე ინდურ სამყაროში, რაბინდრანათ თაგორის მიერაც ამოძრავებულში დასავლეთისთვისაც და დასავლეთ-აღმოსავლეთის მიჯნაზე არსებული ქვეყნისთვისაც, რომლის შვილსაც — „გიტანჯალის" შემოქმედთან ერთად — უნდა ეცადა შეჭრა და მძლავრადაც შეჭრა მითოსსმოკლებულ ევროპულ სივრცეში აღმოსავლური განთიადური განათებით.

* * *

ისე რუდოლფ კარმანისათვის რომ გეკითხათ:

მართალია რაბინდრანათ თაგორი პირველი სახელი გახლდათ, რომელიც საუკუნოვანი დუმილის შემდგომ შეჭრილიყო ევროპაში აღმოსავლეთიდან, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე, რომელიც მას მიჰყოლოდა, ბევრად უფრო გამოხატავდა თავდაპირველ საწყისს და მეტადაც დაკავშირებულიყო მიწასთან, ვიდრე ინდოელი ნობელის პრემიის ლაურეატი.

გრიგოლ რობაქიძეს ასე ხელშესახებად და შემძვრელად მიეტანა დასავლეთ ევროპელთათვის ქართული მიწა, მისი სახელი, მისი სუნთქვა და მისი ფერები.

ყველა მისი რომანი, ნოველა და დრამა ისე ესისხლხორცებოდა კავკასიისა და ირანის ზეგანის ბუნებას, ვითარცა დედის საშოს.

ეს თვით ბუნება განმსჭვალულიყო გენეზისის სუნთქვით.

ყოველი არსება აქ მშვიდად ჩაძირულიყო საკუთარ თავში, თითქოს კვლავ იმეორებდა პირველქმნილის სუნთქვას.

და გერმანელი მკვლევარი მოიხმობდა გრიგოლ რობაქიძის სიტყვებს ესეიდან „სიცოცხლის განცდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში", გერმანულადვე დაწერილ წიგნში რომ ჩართულიყო: „დემონი და მითოსი":

მიწა აღმოსავლეთისათვის კოსმიური არსია, რომლის სუნთქვაშიაც ყლორტები ამოაქვს მითოსს, ხოლო ადამიანი დაკარგული ჩანს იმ ბუნებაში, სადაც დრო კი არ მიედინება, არამედ ამაღლებულად გარინდებულა სივრცეებში, და სადაც ერთი წამიც მარადისობას შეიცავს, ისევე, როგორც ზღვის ნიჟარა დიდი ხნის წინათ გარდასულ ტალღათა ხმაურს ოკეანისას. დასავლეთში კი პირიქით — ყველაფერი შელახულია: აქ ყოველი საგანი მჭიდროდ გარემოცული გვევლინებაო.

და რაღა გასაკვირია, რომ:

აქ აღარ იყო სიმშვიდე, აღარც სივრცე, მჭვრეტელს მხედველობიდან ეპარებოდა კოსმიური სუნთქვა და მიუწვდომელი ხდებოდა მისი მთლიანობა.

და როგორ არ დაეფასებინა რუდოლფ კარმანს ქართველი მწერალი:

რომლის ბუნების სურათებშიც მოშლილიყო ზღვარი საგნებს შორის, ხოლო ადამიანები კვლავინდებურად ბუნების შვილნი ხდებოდნენ.

იგი გაიზიარებდა გრიგოლ რობაქიძის იმ თვალსაზრისსა და რწმენასაც, რომ:

ქართულ მოდგმას ფესვები გაედგა ლეგენდარულ ატლანტურ სამყაროში, თითქოსდა უგზოუკვლოდ დაკარგულში, პლატონი რომ მისტიროდა „კრიტიასა" და „ტიმეოსში".

და დასძენდა:

თვით ქართველი მწერალი ამ შუქში მოჩანს ჭეშმარიტად „ძველთაძველად", და თავისი დასავლურ-აღმოსავლური შემეცნება მოაქვს დასავლეთ ევროპაში საკუთარი სამშობლოდან, კავკასიის მიუვალი ბუნებიდან და ძველი კოლხეთიდან, სადაც ჰაერსა და ადამიანში, თვით მიწაშიაც კვლავინდებურად ცოცხალია სული შუმერების, პრომეთეოსისა და მედეასიო.

და დასავლეთში მოხვედრილი და ცხოვრების იქაურ რიტმში ჩართული თუ ვერჩართული გრიგოლ რობაქიძე გაოცებით აკვირდებოდა, რომ:

დედამიწა, რომელიც აღმოსავლეთში უფრო მეტი იყო, ვიდრე წმინდა „ფიზისი": ის კოსმიური სუნთქვა, რომელშიაც მითის სუნთქვა აღმოცენდება ხოლმე, დასავლეთში უფრო ნაკლები გახლდათ, და ხშირად მარტოდენ ნიადაგი, რომელსაც ამუშავებენ და უვლიან, და ყველაფერი ისეა ხელშეხებული, რომ... ხელშეუხებელი აღარც აღარაფერი რჩება: აღარც ტოტემი და აღარც ტაბუ.

დასავლელნი აინუნშიც არ აგდებდნენ მისტიკურ შეხსენებას: ტერიტორიის ესა თუ ის ნაწილი დაუმუშავებელი უნდა დარჩეს, აუცილებლად და უთუმცაოდ, რათა დედამიწა მისმა კოსმიურმა სუნთქვამ არ დატოვოსო.

ისეთი შთაბეჭდილებაც კი უჩნდებოდა:

თითქოსდა აქ ღვთის ქმედებას ადამიანის ხელი ენაცვლებოდა.

მშვენიერ და მყარად დასრულებულ დასავლურ ლანდშაფტებს ესთეტიკური ხიბლი რომ მოსავდათ?

და... მხოლოდ. და... ეს იყო და ეს.

ხიბლი ვერ შეცვლიდა არსს.

აქ ყოველივე სიმძიმეში იშლებოდა, მაგრამ ყველაფერს აკლდა სივრცე.

ჩანდა ძლიერი გაქანება, მაგრამ არ იგრძნობოდა — პაუზები რაღა იყო, მაგრამ თუნდ პაუზებშიც — სიჩუმე.

დასავლეთში სივრცეს არც შეეძლო დიდებული სიფართოვე შეენარჩუნებინა: ის უბრალოდ დროში იშლებოდა — და წამი აქ არ გახლდათ ჩასუნთქვა, რომელშიაც მარადიულობის კეთილ-

სურნელება შეიწოვებოდა, წელთაღრიცხვის უბრალო მონაკვეთილა იყო, თითქმის საათის კვალობაზე გაზომილი, და არ გააჩნდა — ანკი როგორღა — ხანგრძლივობა.

მაინც როგორ წარმოუდგებოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართველ მწერალს?

ორ სამყაროდ, მაგრამ არა გეოგრაფიული დაყოფით, არამედ — და აქ პიოტრ ჩაადაევის მარჯვე გამოთქმა წამოეშველებოდა — საგანთა წესრიგით.

...თავდაპირველ საწყისსა და მიწასთან სიახლოვეს გრიგოლ რობაქიძესავით თვით რაბინდრანათ თაგორიც ვერ გამოხატავსო, — გაოცება და აღფრთოვანება ვერ დაეფარა რუდოლფ კარმანს, ქართველი მწერლის მითოსური სუნთქვითა და სიტყვის მაგიით მოხიბლული მის ატლანტიდურ ზმანებებსაც რომ იჯერებდა, იჯერებდა და ასდევდა, ასდევდა და დიდი იმედოვნებითაც აღივსებოდა.

კარი მეორე

ახალი მითოსი

ათას მოგონებათა შორის რყეული, მოქანცული ყველა ჭრილობით, გათოშილი მრავალი ყინვით, გაბმული საკუთარ მახეში, ჩემი თავის მცოდნე და ჯალათი! სნეული, რომელიც კედება გველის შხამით, ტყვე, რომელსაც მწარე ბედი ეწია, ვშრომობ წელში მოხრით ჩემს საკუთარ მალაროებში, ჩემს საკუთარ „მე“-ში გამომწყვდეული, როგორც გამოქვაბულში. მე თვითონ ვასამარებ ჩემს თავს და ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე, უძლური, გაშეშებული ლეში.

ფრიდრიხ ნიცშე

ორიოდე სიტყვა მკითხველისათვის

რა იმედოვნებით წერდა ამ პოლიტიკურ პამფლეტებს და... საბედისწეროდ კი გადაექცეოდა.

ცალკე ის უსიამოვნებანი, რაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უნდა განეცადა ევროპაში — მოსალოდნელ სასჯელსა და ფსიქოლოგიურ ტერორს თავი რომ დავანებოთ, საზოგადოებრივი აზრი განეწყობოდა მის წინააღმდეგ, მისი მწერლური ნიჭის დამფასებელნიც აემრიზებოდნენ და გამოეკეტებოდა დიდი გამომცემლობებისა და რედაქციების კარი.

ცალკე სამუდამოდ დახშული კარიბჭე სამშობლოსაკენ, ვიდრე საბჭოთა რეჟიმი გაიხანგრძლივებდა არსებობას. გარდაცვალებაც ვერ შეანელებდა გაგულისებას მის წინააღმდეგ და გრიგოლ რობაქიძის სახელი და ყოველი სტრიქონი კვლავაც აკრძალულად გამოცხადდებოდა. იქნებ სხვა შემთხვევაშიც არ გამოეჩინა საბჭოთა ხელისუფლებას ლმობიერება მის მიმართ და, რასაც რუს მწერლებს პატიობდნენ, მისთვის მაინც არ ეპატიებინათ — სიკვდილის შემდგომ მათ სახელსა და ცალკეულ თხზულებებს თუ აეხსნებოდათ ტაბუ, გრიგოლ რობაქიძე — ქართული წარმოშობის გამო — მაინც შერისხული ჰყოლოდათ; მაგრამ ეს ორი პოლიტიკური პამფლეტი განსაკუთრებით დაეხვიათ ხელზე და ყოველგვარ მცდელობას ემიგრანტი მწერლის სახელის რეაბილიტაციისა გადაულახავ ზღუდედ ეღობებოდნენ.

არადა, რა იმედოვნებით იწერებოდა „ადოლფ ჰიტლერი" და „მუსოლინი" — თითქოსდა საქართველოს თავისუფლების დეკლარაციის ტექსტი ითხზვება და იხვეწებაო.

და ბედისწერა როგორ მწარედ შემოუბრუნდებოდა.

დაიმსხვრეოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგია და აღდგებოდა ჩვენს ქვეყანაში მისი კიდევ ერთი ტრაგიკული შვილის სახელიც და ნაღვაწიც — ნაწილობრივ მაინც. სამწუხაროდ, ჯერ მის ყველა რომანზეც არ მიგვიწვდება ხელი, სტატიებსა თუ პირად მიმოწერაზე რომ აღარაფერი ითქვას.

იმ ორი წიგნაკის გაცნობა მაინც განსაკუთრებით ეჩქარებოდა ქართველ საზოგადოებას, მაგრამ გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეთა გაჭიანურებულმა და გახლაფორთებულმა დავამ თანდათან გაანელა ყოველგვარი ცნობისწადილი მწერლის მიმართ და ტრიუმფით დაბრუნებული სახელიც ნელ-ნელა მიყრუვდა.

თითქოს აკლდა გრიგოლ რობაქიძეს მოჯადოებულ წრეში ტრიალი, მის აჩრდილსაც ეს ხვედრი რომ არა რგებოდა.

ბიოგრაფიულ რომანში „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი" აკაკი ბაქრაძე საგანგებო თავს — „ცდუნება" — მიუძღვნიდა ამ წიგნაკების განხილვას, საკმაოდ ღრმად და ეპოქის ფონზე გაიაზრებდა და ცალკეულ ფრაგმენტებსაც ჩაურთავდა ამ პოლიტიკური პამფლეტებიდან.

გაზეთ „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე გაგრძელებებით გამოქვეყნდებოდა „ადოლფ ჰიტლერი“, შორენა შამანაძის მიერ თარგმნილი. და თუმც საკმაო ინტერესიც მოჰყვებოდა, გამოხმაურება-შეფასების გარეშე დარჩებოდა, ვეღარც ცალკე წიგნაკად განმეორდებოდა და ჩაიკარგებოდა კიდეც გაზეთის ფურცლებზე.

2006 წელს დალი ფანჯიკიძე მოჰკიდებდა ხელს მისი ახალი ვერსიის შექმნას და გამოცდილი მთარგმნელი უფრო მარჯვედ მოარგებდა გასაღებს გრიგოლ რობაქიძის — ბედის ირონიით — გერმანულ ორიგინალს და წარმატებით გამოიყენებდა თვითონ მწერლის ლექსიკას, რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს. იმედოვნებდა, ეს იქნება „სტილის ადეკვატურობის მაღალი ხარისხის საწინდარიო“; და ასეც მოხდებოდა.

წიგნაკს გამომცემლობა „საარი“ დასტამბავდა და სწორედ იმხანად ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გაგრძელებით გამოქვეყნდებოდა „მუსოლინიც“ — ნანა გოგოლაშვილის მიერ ამეტყველებული ქართულად; და ისიც საგანგებოდ დაძებნიდა გრიგოლ რობაქიძის სტილური მანერისათვის ნიშანდობლივ სიტყვა-ცნებებსა თუ გამოთქმებს და მარჯვედაც გაურევდა ტექსტში.

ორივე პუბლიკაცია ისე დატრიალდა სალიტერატურო წრეებში, როგორც მოსალოდნელიც გახლდათ... დაეძებენ, ახსენებენ, აფასებენ, კამათობენ... მაგრამ ეს განწყობილება პრესის ფურცლებზე არსად აღიბეჭდება.

არადა, წიგნაკებს მარტოდენ ისტორიული ღირებულება არ გააჩნიათ. ზოგადპოლიტიკური, ზოგადკულტურული თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანნი არიან და მარჯვე საბაბადაც გამოდგებიან პოლიტიკური არჩევანის გზაზე ჩვენს დღევანდელობაში.

პოლიტიკური არჩევანი როგორც ცალკეულ პიროვნებათა, ისე ჩვენი ქვეყნის.

საბაბად — ახალი პოლიტიკური პამფლეტისთვისაც გმირის ძიების თემაზე.

გრიგოლ რობაქიძეს იქნებ კიდეც ეგონა — ლიტერატურულ ტრადიციას ვაგრძელებო. XIX საუკუნის ქართული მწერლობის

უკეთესი ქმნილებანი გმირის ძიების წყურვილით გაითანგებოდნენ და ბიბლიური წინასწარმეტყველებივით მოამზადებდნენ პროფეტულ საფუძვლებს გმირის მოსასვლელად. და გრიგოლ რობაქიძეს გაუჩნდებოდა განცდა, რომ შემსწრე ხდებოდა გმირის მოვლინებისა, შეჰხაროდა ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს... და ოცნებობდა, უიმისოდ არ მომხდარიყო გმირის კურთხევა და თვითონ ეძღვნა ყველაზე შთამბეჭდავი, ყველაზე აღმტაცი დითირამბი.

ეძებდა გმირს გრიგალთა ქროლვასა და ვულკანურ ამოფრქვევაში და ხან როდის დაიბეჯითებდა და ხან როდის — აჰა, ვიპოვნე და ჩემს მწერლურ ტალანტზე ჰკიდია შესაფერისი ხოტბა-შემკობაცო.

ისინი თუ მხოლოდ ეძებდნენ, ამას — ეპოვნა კიდეც, თვითონ როგორც მოეჩვენებოდა დროდადრო, და ღვთის წყალობა მეტი რაღა უნდა ყოფილიყო?!

შორიდან თვალყურის დევნებას კმარობდა გრიგალთა ქროლვისა და ათასგვარი ვნებათაღელვა-ჭიდილისათვის თუ პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში შეჭრასაც ლამობდა?

პოლიტიკოსი არც ვყოფილვარ და არცა ვარო, — მოჰყვებოდა მტკიცებას ლიტერატურულ სილუეტში „მიხეილ წერეთელი", რაკიღა ყველაზე მარჯვე შემთხვევად ეს ნარკვევი მოეჩვენებოდა თავისი მრწამსის გამოსახატავად:

— არა ვარ, არა იმის გამო, ვითომ პოლიტიკის არა გამეგებოდეს რა. არა ვარ იმის გამო, რომ ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებული: მწერალი, რომელიც პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკას ვერას არგებს, თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მიაყენებს.

ეს თვალსაზრისი რომ ზოგად დებულებად აღვიქვათ, ძალაუნებურად გაგვახსენდება დანტე ალიგიერი, თხემით ტერფამდე ჩაფლული იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ „ღვთაებრივი კომედიის" მხატვრულ სრულყოფილებას ამით არა დაკლებია რა. გაგვახსენდება ჯონათან სვიფტი, თავზეხელაღებული ირლანდიელი ინგლისური კაბალის დასამსხვრევად და ქვეყნის პოლიტიკურ წინამძღოლადაც დასახული როგორც დამ-

პყრობთა, ისე თვისტომთა თვალში, მაგრამ „გულივერის მოგზაურობა“ მსოფლიო შედევრთა შორის იპოვნიდა სამუდამო სავანეს. გაგვახსენდება ილია ჭავჭავაძე, ვინც თავის თავს, როგორც ხელოვანს, ვნება კი მიაყენა, მაგრამ პოლიტიკას არგო და თანაც ისე, ბევრი რომ ვერ დაიქადნის — საქართველო დაიხსნა სრული გადაგვარებისა და რუსეთის განაპირა პროვინციად დასამარებისაგან. გაგვახსენდება მიხეილ ჯავახიშვილი, ვინც იქნებ პოლიტიკას ვერა არგო რა, მაგრამ თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, მხოლოდ სიკეთე მოუტანა პოლიტიკაში გარევით.

მაგრამ ჩამოვეხსნათ განზოგადებას, და თუ მაინცდამაინც გული გაგვიწევს, ცალკეც შეიძლება ჩავუკვირდეთ ამ მოვლენის მორალურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ თუ სოციალურ მხარეებს.

ამჯერად მხოლოდ იმას მივაქციოთ ყურადღება, რომ ეს პირადად გრიგოლ რობაქიძის შეხედულებაა, თანაც „ღრმად და მკაფიოდ შეგნებული“ და გზამკვლევად დასახული ქაოტურ რეალობაში. თავისთვის დაუბეჯითებია, ჩემი სულიერი წყობისა და ინტერესთა პიროვნება პოლიტიკას უნდა გაერიდოს, თუმც საკმაოდაც გაეგებოდეს მისი, და გულში ჩაიმარხოს ეს სწრაფვა იმ მიზეზით, პოლიტიკას მაინც ვერაფერს ვარგებ და ჩემს თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მოვუტანო.

რაკიღა ღრმად და მკაფიოდ შეუგნია, მაშ არც არასოდეს უნდა გადაუცდეს ფეხი ამ მრწამსიდან და პოლიტიკურ ორომტრიალს სათოფეზეც არ ეკარებოდეს.

ისე ნეტა როგორ წარმოედგინა პოლიტიკაში გარევა?

მაინცდამაინც პარტიის დამაარსებელი უნდა იყოს ადამიანი ან მისი ერთ-ერთი მებაირახტრე?

მეორე მსოფლიო ომის კარიბჭესთან ამ ომის თაოსანს ქებადიდება რომ შეესხმის და კაცობრიობის მხსნელად და ახალი სამყაროსაკენ გზის გამკაფავად გამოცხადდება, ამ ყაიდის თხზულებას ენიჭება თუ არა პოლიტიკური დანიშნულება? იქნებ ისტორიოგრაფიული ნარკვევია ანდა პირწმინდად ლიტერატურული ძიების გამოვლენა და პოლიტიკას სრულიად უნდა ჩამოვაცილოთ?

ჩამოვაცილებდით კიდეც, თვითონ რომ სცილდებოდეს.

ხვდება, ცხადია, როგორც უნდა უარვყო პოლიტიკოსობა, მაინც წამაკეცავენ იმ წიგნაკს ფიურერზეო.

და კიდეც ჩაესმის იქედნური შეკითხვა:

— თქვენი ერთი გერმანული წიგნი, საცა მოხატულია ერთი პოლიტიკური პიროვნება?

და აპირებს „გადაჭრითი პასუხი" შეაგებოს:

— მოახდინოს მკითხველმა ერთი უბრალო ცდა: წიგნის კითხვისას არ გაუშვას გონებიდან ერთი ღიად თქმული, ხოლო ქვეფარულად გაყვანილი აზრი — „თუ მოსახული პიროვნება აქ მოვლებულ ხაზებში ავლენს თავის თავს". იგი აქ „დათუებულია". დაინახავს ერთს რამეს, ვფიქრობ, უფრო გულისხმიერს ვიდრე „პოლიტიკას", ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. ჩემი „განმარტება" მზადაა გამოსაქვეყნებლად.

ძალიან ბუნდოვანი და დაშიფრულია, რაც ამ პასაჟიდან ამოიკითხება და მკითხველს გაუძნელდება და ძალიანაც გაუძნელდება იმ თითქოსდა უბრალო ცდის მოხდენა. თვითონაც გრძნობს, რომ განმარტება, თუკი ამ მოვლენის ახსნას მოინდომებს, ცალკეა დასაწერი. აქ სწორედ გაბუნდოვანება და დაშიფრვა ურჩევნია და ზოგადი დარწმუნება, რომ „ერთი პოლიტიკური პიროვნების მოხატულებას" არავითარი საერთო არ გააჩნია პოლიტიკასთან. მითუმეტეს, თუკი ეს თვალსაზრისი „დათუებულია".

ეს არის მისთვის მთავარი და უმთავრესი და ურჩევნია კიდეც, „დათუებულის" შინაარსი მკითხველმა საერთოდაც ვერ გაიგოს.

და ის მტკიცებაც, პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარო, შემზადება და საფანელია ამ უმთავრესი თვალსაზრისის გამოსათქმელად.

დაუჯერებდნენ კი?

თავისას ეცდებოდა.

ევროპის არაერთ დიდ გამომცემლობას დაუგზავნიდა თავის „განმარტებას", მაგრამ... ყველგან დახშულ კარს შეაწყდებოდა. ბოლოსდაბოლოს, „განმარტება" გახლდათ, თავს მართლულობდა და — ჯერ კიდევ ძველი რომაული კანონმდებლობისა

არ იყოს — მისთვისაც მოესმინათ. მოესმინათ, სხვა რა — და თუ უკმარი მოეჩვენებოდათ მისი საბუთები და მსჯელობა, ნუ გაიზიარებდნენ და თუნდ მკაცრ შეფასებასაც ნუ მოერიდებოდნენ. მაგრამ ეს დახშული კარი? და ყველა რედაქციისა?

სასამართლოზე ეძლევა ბრალდებულს თავისსამართლებელი სიტყვის წარმოთქმის უფლება და აღიარებულ მწერალს ასე სრული მოკვეთისათვის როგორ იმეტებდნენ კრინტის დაუძვრელად? მოკვეთა აკლდა? ან მონანიებას რაღა ეღობებოდა წინ? ასე როგორ დაეზაფრა ევროპა ფაშისტურსა და ნაცისტურ მოძრაობებს, რომ მათთან რითიმე დაკავშირებული პიროვნებისა სრულიად აღარაფერი სწამდათ და სამოქალაქო სიკვდილის ბრჭყალებში აგდებდნენ?

ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებულიო...

მაინც გაერეოდა.

თვითონვე ჩაითრევდა პოლიტიკური მღელვარება-ვნებათაღელვანი და, ეტყობა, ისეთი იმპულსები თუ გულის იდუმალი ძრეები განაწყობდა საამისოდ, ღრმა და მკაფიო მრწამსსაც ჩაუმსხვრევდა ხელთ.

და იმ წუთას იქნებ კმაყოფილიც დარჩენილიყო — რაღაცას ზედმეტად ვაზვიადებდი, თორემ არც ისე ყოფილა, გულუბრყვილოდ როგორც წარმომედგინა, და დაე გაერიოს მწერალი პოლიტიკაში, ან პოლიტიკას არგებს, ან თავისი მწერლური ინტერესებისათვის გამოიყენებს იქ ტრიალს, ანდა ორივე ერთადო.

მაინც ამის მტკიცება ერჩივნა:

პოლიტიკოსი არც ვყოფილვარ და არცა ვარო.

ერჩივნა, რომ არ დაეკისრებინა პოლიტიკური დანიშნულება „ადოლფ ჰიტლერისათვის", მითუმეტეს — „მუსოლინისათვის".

ყურს ვინღა უგდებდა, თორემ...

მოგეხსენებათ, აქვთ წიგნებს თავისი ბედისწერა, რომელიც არ დაგიდევს ავტორის ნება-სურვილს.

ჯერ საერთოდაც, და მით უფრო მაშინ, როდესაც ავად გეთამაშება.

და მოყოლილიყო ბედისწერის ჟინიან თამაშშიც გრიგოლ რობაქიძე.

თავი პირველი

აღსარება კაზანძაკისთან

1952 წლის 17 დეკემბერს ჟენევაში თავშეფარებული გრიგოლ რობაქიძე ნიკოს კაზანძაკისს სწერს ვრცელ ბარათს, რომელიც აღსარების ყაიდისაა და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ბერძენი მწერალიც — ისიც ღრმა მისტიკოსი და ქართველი შემოქმედის სულიერი თანაზიარე — სწორედ ამ ჟანრისაკენ მიილტვის და, ორ ათეულზე მეტი წლის წინათ შეთხზულ „ასკეზას“ რომ არ იკმარებს, რამდენიმე წლის შემდეგ უზარმაზარ აღსარებას შეადგენს თავისი სულიერი ოდისეისა — ელ გრეკოს აჩრდილს გადაუშლის გულს.

გრიგოლ რობაქიძე პერსონაჟადაც გამოჩნდებოდა მის რომანში „ტოდა რაბა“, გამორჩეულ სახებად, ყველაზე დიდ შთაბეჭდილებად კავკასიაში მოგზაურობისას.

* * *

დიონისურ გარემოდ რომ შეიცნობდა და გაიაზრებდა ქართულ ნადიმს გრიგოლ რობაქიძე და თვალდათვალაც შეჰყურებდა ვნებული ღმერთის გამოცხადებას, ასეც აღიქვამდნენ და გაითავისებდნენ ჩვენებურ სუფრას ის უცხოელებიც, რომელნიც დიდად აფასებდნენ მის პიროვნებას და ითვალისწინებდნენ მის ყოველ სიტყვას.

ითვალისწინებდნენ რა – ინუსხებოდნენ კიდეც გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრისას.

და მათ შორის ერთი უპირველესი სწორედ ნიკოს კაზანძაკისი გახლდათ, რომელსაც სწორედ დიონისურ გარემოში უნდა ეხილა პირველად გრიგოლ რობაქიძე.

ჯერ იქნებოდა მთელი ბატარეა ბოთლებისა, სავსე გასაოცარი ღვინით – ეს წინანდალიო, ეს ნაფარეულიო, ეს თელიანიო...

და შემდეგ გამოჩნდებოდა მწვადი და ახალ-ახალი ბოთლები, რომლებიც ხელიდან ხელში გადაინაცვლებდნენ.

ტიციან ტაბიძეს, ლურჯთვალა პოეტს, გამოწეული ტუჩებითა და ჰამლეტის ნაკვთით, აირჩევდნენ თამადად, წვეულთა ხელმძღვანელად. ეს განმარტება „თამადისა" ბერძენი მკითხველისათვის იქნებოდა გამიზნული.

იგი წარმოთქვამდა სიტყვებს, დალევდა სადღეგრძელოს თვითეული სტუმრისა და უბრძანებდა ყველას: სასმისები დაეცალათ, ემღერათ და ეცეკვათ. და არავის ჰქონდა უფლება მას არ დამორჩილებოდა.

საქართველოს ყველა ლიტერატურული მიმდინარეობა წარმოდგებოდა ამ სუფრაზე – ყველა ყვავილი ბოროტებისა: აქ იქნებოდნენ ცისფერყანწელები, არისტოკრატულ-ლიტერატურული სკოლა, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი – მამაკაცური სილამაზის ენამჭევრი მგალობელი; აქ იქნებოდა ულმობელი პროლეტარული ხელოვნებაც, რომელიც თავისი საუკეთესო პოეტით, გამხდარი, ბრაზიანი კონსტანტინე ლორთქიფანიძით წარმოდგებოდა...

და აი: გრიგოლ რობაქიძე.

დიონისურ გარემოს შეთვისებულ-შესისხლხორცებული.

უძლიერესი სულიერი პიროვნება საქართველოსი.

დაახლოებით 40 წლისა.

ყოველთვის ლამაზად ჩაცმული.

ყურადღებას იპყრობდა ფიცხელი მოძრაობითა და თვალთა ცივი მზერით.

მხოლოდ ფართო, თავდაჭერილი სიცილი, რომლის დროსაც მისი მშვენიერი კბილები მოჩანდა, ამხელდა მის ვნებიანობას.

და ნიკოს კაზანძაკისიც სხვებივით იგრძნობდა, რომ იდგა წინაშე იმ ადამიანისა, რომელიც თავის წმინდა გამტაცებელ ტემპერამეტს აშკარა მტკიცე ნებით იპყრობდა.

ისინი განმარტოვდებოდნენ პატარა მერხზე, მაშინ, როდესაც სხვა სტუმრები, ღვინით გამოწვეულ ძალთა გადაჭარბებით, ცეკვის ნამდვილ სიგიჟეში ჩაცვივდებოდნენ.

და კაზანძაკისს ახარებდა შეხედვა თავისი მეზობლისა, რომელიც ამ გიჟური ყოფაქცევისას წყნარი და უმოძრაო დარჩებოდა.

და ბერძენ მწერალს უნებურად უნდა ეფიქრა ერთ ანტიკურ ლარნაკზე, რომელზედაც, ბრწყინვალე სიშავით წითელ ნიადაგზე, დიონისეს სილუეტი მოჩანდა.

უძრავი, ვით სვეტი, იდგა შუაში; ჰქონდა ნაღვლიანი თვალები და დამუწული ბაგენი – იდგა უძრავად იგი, ვისგანაც როკვის სული, ლხინი და ხორციელი განცხრომა წარმოიშობოდა.

მის გარშემო კი გადარეული დედაკაცები, სილენები და მონადები ღვინითა და მხიარულებით მთვრალნი იბარბაცებდნენ. ისინი ვეღარც იპოვნიდნენ შვების დასასრულს და ვეღარც გაძღებოდნენ ღვინის სმითაც.

მხოლოდ წყარო ამ ღრეობისა რჩებოდა ფხიზელი.

მგონი რიჟრაჟიც მოუსწრებდათ, ცარიელი ბოთლებისა და გაციებულ საჭმელთა წინ კვლავაც რომ გააგრძელებდნენ კამათს...

გრიგოლ რობაქიძის თვალები ნაპერწკლებს გამოისროდნენ ელექტრონის სინათლეზე.

ხალხი კვლავაც იცეკვებდა მათ გარშემო გიჟური გატაცებითა და ისე, რომ სასტუმრო „ორიენტის" მთელი დარბაზი აძიგძიგდებოდა.

კაზანძაკისის თანმხლები დარჩებოდა წყნარი, სევდიანი. მისი თვალები კი ისე ხეშეშად და დამაბრმავებლად გამოიცქირებოდნენ, თითქოსდა უდაბნოს უმზერენო.

ბერძენ მწერალს უყვარდა ეს მარტოხელა, უძრავი კაცი და ესმოდა მისი დუმილიც და მისი მზერაც.

და ცოტა ხნის შემდეგ მას უნდა განეგრძო:

– ერთხელ ნიცშემ თქვა: ნაპოლეონი არის სინთეზი პირუტყვისა და ზეკაცისაო. დემონურ კაცში ჭეშმარიტად არის ყოველთვის სინთეზი ველური პირუტყვისა და ღვთისა. კაცში რომ მხოლოდ პირუტყვი იყოს, იგი იქნებოდა უხეში ქმნილება, რომელიც თავის გარშემო მარტოდენ შიშს ავრცელებს. არიან ასეთი კაცები. მაგრამ პირუტყვებსა და წმინდანებს არ შეუძლიათ შეგებოჭონ გრძნებით და აღგვაგზნონ: მხოლოდღა „დემონური" არის მომაჯადოებელი.

და გრიგოლ რობაქიძე კიდეც გაჩუმდებოდა; გაიღიმებდა და მისი თეთრი კბილები წამიერად გამოაშუქებდნენ.

ალიონი გამოჩნდებოდა ფანჯარაში.

და ეტყოდა კაზანძაკისი:

– რიჟრაჟი აღებს „ვარდის თითებით“ აღმოსავლეთის კარს. თქვენ იყავით ამ ღამით პოეტთა ამ ნვეულებისა და მწვადთა სოკრატე. მათმა „დემონმა“ ბოროტად და ავხორცად იგორავა თქვენი სიტყვების ბადეში.

მიუგებდა გრიგოლ რობაქიძე ღიმილით:

– დემონმა გვიან შეამჩნია მახე. ტლუ ბიჭს მაინც ჰქონდა ყოველთვის ბადეში თავისი სიხარული. დავასრულოთ ჩვენი საუბარი ჩვეულებრივი ბოლოთი, რომლითაც ყველა ხალხური თხრობა მთავრდება.

რას გულისხმობდა ამგვარი დასასრული, ასერიგად მშობლიურ-ახლობელი სახალხო მთქმელთათვის?

რას და:

სამი ვაშლი რომ ჩამოვარდებოდა ციდან:

ერთი – მთხრობელისათვის;

მეორე – მსმენელისათვის;

და მესამე – ულამაზესი და წითელი... ჩაეშვებოდა უფსკრულში!..

ამ აკორდზე კიდეც უნდა მოეთავებინა „ტოდა რაბას“ ეს ეპიზოდი ნიკოს კაზანძაკისს.

მხოლოდღა „დემონური“ არის მომაჯადოებელიო...

„როგორც ნაპოლეონი და... როგორც მეო“, გაიფიქრებდა გრიგოლ რობაქიძე და... თავის ფიქრს შეჰღიმებდა და მზის პირველ სხივებს.

* * *

და ვის უნდა გადაუხსნას გული „გველის პერანგის“ ავტორმა, თუ არა კაცს, ვინც მის ამ რომანს საოცრებად იხსენიებს, თვითონ მას კი უზომო გაქანების პიროვნებად, თანაც ისეთი მისტიციზმით განმსჭვალულად, თვითონ რომ შეხარბებია.

გრიგოლ რობაქიძეც მოხიბლულა ბერძენი მწერლის პიროვნებითა და მხატვრული ნააზრევით, თავისი პერსონაჟობაც აღაფრთოვანებს მის რომანში და სწორედ მას ანდობს ამ აღსარებას, თითქოს საკუთარ თავს უმჟღავნებდეს ყველაზე ფარულ

ფიქრებს. ამოაქვს გულის სიღრმიდან და ამ გადასახედიდან ცდილობს განსჯას ნიკოს კაზანძაკისთან ერთად.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აკი მისი ორი პატარა წიგნი გამოიცა: „ადოლფ ჰიტლერი (უცხოელი მწერლის თვალით)“ და „მუსოლინი (მზიურნიშნეული)“.

საბედისწეროდაც სწორედ ეს წიგნაკები გაუხდა.

არადა, დაბეჯითებით ირწმუნება: არც პირველია ნაცისტური და არც მეორე — ფაშისტურიო.

ორივე თხზულება იმთავითვე სახოტბო ჟანრს მიეკუთვნება, ასე აღიქვეს და შესაფერისადაც გამოიყენეს — უზარმაზარი ტირაჟითა და პროპაგანდისტული მიზნით.

და ეს იმიტომ, რომ „ჰიტლერი“ აღიარეს ნაცისტურად, „მუსოლინი“ კი ფაშისტურად.

მოწონებითაც ამიტომ მოუწონეს.

მაგრამ მისი დამფასებელნი ისტორიის ავანსცენიდან კულუარებში გადაურეკავთ, ზოგი გაუჟლეტავთ, ზოგიც დაურბევიათ და ეს წიგნაკები გრიგოლ რობაქიძის წინაშე უკვე ბრალდებად აღმართულან.

და ახლა რა ხდება, თავს იტყუებს „ჩაკლული სულის“ შემოქმედი თუ სხვათა გაცურებას ლამობს? შეცვლილი პოლიტიკური რეალობა კარნახობს თავის მოკატუნებასა და წიგნაკების მიზანდასახულებათა გადასხვაფერებას? მიყრუება ვეღარ მოხერხდება, ისე გახმაურებულა ორივე თხზულება, და ამიტომაც ისღა დარჩენია ილუზიის შექმნას ჩაებღაუჭოს და დაუმტკიცებლის დამტკიცებას შეეცადოს?

მაგრამ მხოლოდ პოლიტიკური ცვლილება რომ აფრთხობდეს მსოფლიო და, განსაკუთრებით, ევროპის რუკაზე, და საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებას იზრახავდეს, მაშინ იკმარებდა ქართველ თანამოკალმეებთან გამოგზავნილ ბარათს და იმათ დარწმუნებას: ტყუილუბრალოდ მნათლავენ საბჭოეთში ფაშისტად, ეს სინამდვილეს ეწინააღმდეგება, რადგანაც „ჰიტლერი“ პითაგორული გეგმებითაა აგებულიო. იქ ნაციონალურ-სოციალისტური მსოფლხედვა შინაგანად სრულიად შენგრეულია და, ამავე დროს, ჰიტლერი მართებულ არეშია მოქცეული, ამ არეში კი იგი მართლაც მითიური ძლევამოსილებით იზრდებაო.

რას გულისხმობდა?

წიგნაკის შინაგანი „ინტენციის“ (მიმართების) იმედი რატომ ჰქონდა, თუკი მკაფიოდაც განუმარტავდა და მის ნათქვამსაც ყურად იღებდნენ?

რატომ და:

— „ამ გზით“ თუ წავიდა იგი და არა „იმ გზით“ — მაშინ ნათელი „მარჯი“, ასე ვთქვათ, „დაწინდებულია“. დღეს მხოლოდ ეს კითხვაა მართებული: მოხდებოდა ის, რაც მოხდა, „ამ გზით“ რომ წარემართა მას მისი ისტორიული მოვლენა? პასუხიც ერთია მხოლოდ: არა.

ცოტა ბუნდოვანი მსჯელობაა, მაგრამ ჩანაფიქრი ასეა გაცხადებული: წარმოვსახე არა ის ჰიტლერი, რაც სინამდვილეში მოჩანდა, არამედ ის, რაც იდეალად წარმომედგინა და რაც საბოლოოდ მისთვის მიუღწეველი აღმოჩნდაო.

ესეც თავის გასამართლებლად სჭირდება: წიგნი ფრიად რთული აღნაგობისაა და ამიტომაც მოუნდა კომისია ამ 23 ფურცლის გარჩევას 9 თვეო.

და ესეც: წიგნაკი 1938 წელს მოვათავე, შემოდგომაზე, და გამოცემით ომის ატეხვისას რომ გამოიცა, იმის ღერღირში ვიღას ეცალა ნიუანსების ამოცნობისათვისო.

ახსენებს თაურმდგენისა და ცალკეულის შეპირისპირებას, მათ შორის არსებულ მუდმივ დაძაბულობას, და ირწმუნება, ტექსტში ისეთი წვეთები მაქვს გარეული, ჰიტლერის მარცხს ვწინასწარმეტყველებო.

უცნაური განცხადებაა?

მწერალი თავისაზეა:

აბა, კარგად ჩაუკვირდით, თუ არ დამეთანხმებითო.

მაგრამ დაენახა კი რომელიმე მკითხველს ეს ჩაწვეთება?

რომელიმეს, თუნდაც ერთს იმ ნახევარი მილიონიდან, ვისაც ხელთ ჰქონდა ეს წიგნაკი...

და გრიგოლ რობაქიძე აღიარებს: ერთიც ვერ დაინახავდაო.

ომს სწორედ ამას აბრალებს — ნიუანსთა გამოწვლილვისათვის ვის ეცალაო.

მაგრამ ომს უკვე რომ გადაუვლია და მაინც შეუმჩნეველია ჰიტლერის საფრთხისა და მარცხის პროფეტული მინიშნება?

გრიგოლ რობაქიძე იმედს ებღაუჭება, დღეს შემიძლია წიგნაკის ის ადგილი ჩემი თავმართლებისათვის გამოვიყენო და ვერავინ შემეკამათება, რომ იქ ჰიტლერი არ არის ნაგულისხმევიო, თანაც „თავმართლებას“ ნინწკლებში ჩაწერს, თითქოსდა — თავის სამართლებელი არც არაფერი მჭირს, მაგრამ რატომღაც იძულებული გავმხდარვარო.

თავს იმშვიდებს და... ვერც იმშვიდებს. ასე იოლად რომ არ არის მისი საქმე და ის პასაჟი დავიდარაბას ვერ ააცილებს, ამაზე ფიქრი რომ გონებას უშხამავს, ამიტომაც მონდომებულა ამ და ამგვარი დოკუმენტების შექმნას. ცხადია, ეჭვიც არ ეპარება, რომ თანამოკალმეებთან გამოგზავნილი ბარათი საბჭოთა უშიშროების ხელში მოხვდება და გულდასმითაც გაჩხრეკენ მის ყოველ სტრიქონს. ამიტომაც გულისხმობს ბარათის მკითხველებად სწორედ უშიშროების ოფიცრებს და მათ გასაგონად ჩაწერს:

1942 წლის ოქტომბერში, როდესაც ერთი მნიშვნელოვანი მარცხის აღნიშვნაც არ შეიძლებოდა გერმანიისა, ერთ ფესვნამდვილ გერმანელს გავენდე და დაწვრილებით ვუხსნიდი: „იგი“ „ამ“ გზით არ მიდის და საფრთხეთა არე საშინლად იმორგვებაო.

მართალია ეს „ისტორიული“ საუბარი გაიმართა ქალაქგარეთ, გაშლილ ველზე და ერთადერთ კაცთან, უმოწმეებოდ, გამოთქვა თავისი დაეჭვება, მაგრამ ესეც სასახელოდ მიაჩნია: ჩემი ვალი მოვიხადე გერმანიის წინაშეო.

სხვებთან კი გაჩუმებას რომ ამჯობინებდა და საუბრისას მიკიბულ-მოკიბულ გადატან-გადმოტანას სიტყვისა, მიზეზად იმას უსახელებს მწერლებსა თუ საბჭოთა უშიშროებას, რომ 1941 წლის ივნისიდან გესტაპოს მზვერავ თვალდევნაში ისიც მოქცეულიყო.

განა ჯაშუშთა თვალთვალი ცხადლივ არ მეტყველებს, რომ გერმანიის ხელისუფლება არ ენდობოდა?

განა ნაცისტთა წრეში დაფასებულ კაცს ამას შეჰკადრებდნენ? ასეთი სერიოზული ეჭვის სამზერზე დააყენებდნენ?

ანდა — გესტაპოში იმიტომაც რომ დაიბარებდნენ, ოკულისტთა ერთ ბუდეს თურმე შენ ხელმძღვანელობო, და ხელწერილ-

საც ჩამოართმევდნენ, აღარასოდეს მივმართავ ოკულისტიკასო, ესეც მის ათვალწუნებას არ ააშკარავებდა ნაცისტური პარტიის მხრიდან?

ამ ეპიზოდს რომ გაიხსენებს და გესტაპოს იმ ოთახის ნომერსაც დააზუსტებს მეტი დამაჯერებლობისათვის: 52-ო, სადაც ის მოხელე იჯდა, ხელწერილს რომ ჩამოართმევდა და გრიგოლ რობაქიძისაგან მთელ ლექციას მოისმენდა ამ მოძღვრების თაობაზე, უეცრად წამოაგონდება, რომ ოკულტიზმი პატივით არ ფასობს საბჭოთა რეალობაშიც, და მაშინვე მოადევნებს: ხელწერილზე რომ დავთანხმდი, ეს არ ნიშნავს, რომ ოდესმე მიმემართოს მისთვის ცხოვრებაშიო.

ყოველნაირად ისუფთავებს ბიოგრაფიას.

ავიცდინე რადიოთი გამოსვლაო.

გერმანიის ლაშქარი რომ მიადგა კავკასიონს და წერილების შედგენა მთხოვეს კავკასიაზე, პოლიტიკური აქცენტი, რომელსაც ელოდნენ, ავიცილეო.

ქართველ ტყვეთა მონახულება რომ შემომთავაზეს სამხედრო ბანაკებში, მოვინახულე კიდეც, ოღონდაც მხოლოდ საქართველოზე ვესაუბრებოდიო.

მაგრამ... ტყვეთა გაზეთში რომ ათავსებდა სტატიებს და იქ აშკარად შეიმჩნევა გადაკვრები საბჭოეთის მიმართ?

უარყოფით ვერ უარყოფს, მაგრამ ამ გადაკვრებს იდეოლოგიური მოსაზრებით ხსნის, პირადი ანტიპათიით საბჭოეთისადმი და არა ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკისადმი თანაგრძნობის გამო.

მხატვრულ შემოქმედებასაც რომ ახსენებს, თავდასაცავად მომარჯვებული აქვს ცნება „მითიური", როგორც არსი მისი რომანების, მითიური რეალიზმის გამო კი პასუხი არ უნდა მოეთხოვოს, რადგანაც უშორეს წარსულში ჩაკარგვა და ერის ისტორიული ფესვების ჩხრეკა შეუძლებელია დანაშაულად ჩაუთვალონ, როგორი სიმკაცრითაც უნდა მოეპყრონ.

ამ ბარათში მოერიდებოდა იმის ჩაწერას, რომ არა ყოფილა წევრი ქართველთა ფაშისტური დარაზმულობისა, მოძრაობად თუ პოლიტიკურ პარტიად რომ იკვეთებოდა საფრანგეთში

1937-39 წლებში, და, ვინ იცის, რა გადამწყვეტი როლი შეესრულებინა, თუკი გერმანული ჯარები საქართველოში შემოვიდოდნენ და დამკვიდრდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ეს პარტია ითავებდა აქ სახელმწიფოებრიობის აღდგენას, და მისი წევრები ახლა უკვე დამნაშავეებად რომ გამოიყურებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების თვალში, ეს განსაზღვრება — ფაშისტური — ყოვლად მიუღებელი გახლდათ დასავლეთისთვისაც და ამ მოძრაობაში გაერთიანება იოლად არავის ჩაუვლიდა.

ამიტომაც ვერ შერჩებოდა ევროპას, ვთქვათ, ვიქტორ ნოზაძე, ამ დარაზმულობის ერთ-ერთი მოთავე, და თავშესაფრის საძებნელად აქედან არგენტინაში გადაიკარგებოდა.

გადასაკარგავად ან კი იმას რატომ უნდა გახდომოდა საქმე.

მაგრამ ისე დატრიალდებოდა პოლიტიკური მოვლენები:

ეროვნული მრწამსისა და მიზანდასახულებისათვის ამჯერად უფრო მარჯვე ცნებად ფაშიზმი მოეჩვენებოდათ და დიდი იმედითაც შეხედავდნენ საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები იტალიელ ფაშისტთა და გერმანელ ნაციონალ-სოციალისტთა სულ უფრო წარმატებულ აღმასვლას ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში — ეს მოძრაობანი დაასამარებენ თუ დაასამარებენ ბოლშევიზმ-კომუნიზმსო. მითუმეტეს, გული აეყრებოდათ საფრანგეთის ხელისუფლებაზე 1933 წელს, როდესაც ისინი სცნობდნენ საბჭოთა კავშირს და კიდეც გაუქმდებოდა საქართველოს დევნილი მთავრობის ლეგაცია.

იმედით კი მიაჩერდებოდნენ და მათ სახელწოდებასაც გაიმეორებდნენ თავიანთი გაერთიანებისათვის, მაგრამ ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა ორგანიზაციულად არ დაუკავშირდებოდა არც გერმანულ ნაციონალ-სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიას. სახელწოდების გადმოღებით კი მხურვალედ ეხმიანებოდნენ ანტიბოლშევიკურ მოძრაობას და ამასთან:

— მათთვის ფაშიზმი გაიგივებული იყო მხოლოდ ეროვნულ კონსოლიდაციასთან და კორპორატიზმთან, რომელთა შემოღებითაც ცდილობდნენ პარტიული დაყოფის აღმოფხვრას.

ეს რუსუდან დაუშვილის დაკვირვებაა, ვინც საგანგებოდ შეისწავლიდა ქართული ფაშისტური დარაზმულობის ისტორიას

და ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ მესამე სამეცნიერო კონფერენციაზე (1999 წელი) მიმოქცევაში შემოიტანდა 1937 წელს პარიზში გამოცემულ ბროშურას „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა — დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის", რომლის წინასიტყვაობასაც — „ჩვენი მიზნებისთვის" — ხელს აწერს ვიქტორ ნოზაძე, დებულებებს კი — დარაზმულობის ხელმძღვანელი შალვა მაღლაკელიძე.

რა მიზნებს აეყოლიებინა ამ ორგანიზაციის იდეოლოგი თუ თვითეული წევრი?

განმარტება ლაკონურ პოლიტიკურ ფორმულებში მოექცეოდა:

— თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო აგებული თანამედროვე პრინციპებითა და დაკავშირებული ერის ბრწყინვალე წარსულთან. თანამედროვე ეროვნული პრინციპებით გამოსახულია ფაშიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმში; ეს არის ჩვენი პროგრამის საძირკველი და შენობა. ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი, ეს დღევანდელი ევროპიული ნაციონალიზმია, თითოეული ერისათვის თავისი და თავისებური, ქართველი ერისთვის თავისი, თავისებური და საკუთარი უნდა იყოს.

მიზნის ხორცშესხმა გულისხმობდა საქართველოს სახელმწიფოს მოწყობას კონსტიტუციური მონარქიის ყაიდაზე, ქართული კერის აღდგენასა და ქართული მოდგმის დაცვას, სარწმუნოების აღდგენასა და დაცვას, კულტურისა და ცივილიზაციის უმაღლეს დონემდე ქვეყნის აყვანას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ახლო ურთიერთობას კავკასიის ხალხებთან...

ყველა ის მუხლი, რაც დებულებებში აღბეჭდილიყო, ყველა ის პრინციპი იყო ქართული და ნაციონალ-სოციალისტური, ხოლო მის დაგვირგვინებად მოჩანდა საქართველოს სამეფო, რომლის დიდი იდეალიც ხელშესახებად გამოკვეთილიყო ჩვენს ისტორიაში. ასე ადუღაბებდა თანადროული ინტეგრალური ნაციონალიზმი ქართველი ერის წარსულს — საქართველოს სამეფოს — და მის მომავალს — თავისუფალ საქართველოს.

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა ახალი მოვლენა არ არისო, — ირწმუნებოდნენ ვიქტორ ნოზაძეც და შალვა მაღ-

ლაკელიძეც, — ეს დარაზმულობა ჩვენს ისტორიაში ყოველთვის არსებობდა და მუდამ ერთი დროშის ქვეშ იყრიდა თავს. ეს დროშა იყო: მთლიანი და დაუნაწილებელი საქართველოსი; ამ დროშას ატარებდა გაერთიანებული და თავისუფალი საქართველოო.

წესდების ყოველი სტრიქონი და თუნდ ეს პასაჟი დაბეჯითებით გვიმჟღავნებს, რომ ფაშიზმი ქართველ ემიგრანტთა ამ გუნდის თვალში ეროვნული თვითმყოფადობისა და თავისთავადობის გადარჩენა-შენარჩუნებას ნიშნავს და სხვა არაფერს. იმედოვნება კი სულ უფრო და უფრო ემატებათ: ქართველი ერი, რომელმაც მრავალი უბედურება გამოსცადა და გადაიტანა რუსეთისა და მენშევიზმ-ბოლშევიზმის ხანაში, დღესაც კალაპოტიდან ამოგდებული, კვლავ ჩადგება თავის საკუთარ, ეროვნულ საზღვრებშიო.

ცხადია, ვიქტორ ნოზაძისთანა აზროვნების პიროვნება არ განარჩევდა ერთმანეთისაგან მენშევიზმსა და ბოლშევიზმს, როგორ სამკვდრო-სასიცოცხლოდაც უნდა დაპირისპირებოდა სოციალ-დემოკრატიის ეს ორი ფრთა ერთმანეთს.

პარტიის წესდებაში საამისო ადგილი არ იყო, ამიტომაც მისი იდეოლოგი ცალკე სტატიაში („ფაშიზმი და ეროვნული ერთობის დარაზმულობა“) დაუბრუნდებოდა სოციალიზმისა და კლასთა ბრძოლის მწვავე კრიტიკას და სანიმუშოდ გაიხსენებდა ილია ჭავჭავაძესა და მის თაობას, რომელთაც მაშინვე ეგრძნოთ საშიშროება და კლასთა ბრძოლის ყალბი თეორიისათვის ეროვნული ერთიანობა და კლასთა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა დაეპირისპირებინათ, კოსმოპოლიტიზმისათვის — ეროვნულობა, ნიჰილიზმისათვის — ნაციონალიზმი:

— და ამისთვის საჭირო ბრძოლის იარაღი ჭავჭავაძესა და მის თაობას ქართული ისტორიიდან, ქართული სინამდვილიდან გადმოჰქონდა... პრინციპი ეროვნული ერთიანობისა გადმოცემულია თვით ქართული ისტორიიდან და ჩვენ ამ მხრივ არავისგან სესხის მიღება არა გვჭირდება.

აქ მაინც დავძინოთ, რომ საქართველოს ისტორიიდან ნაანდერძევი ეროვნული ერთიანობის პრინციპი თეორიად ალექსან-

დრე ორბელიანმა აქცია და ილიასა და მის თაობას მანვე გადაულოცა.

დებულებათა ჩამოწერას საბრძოლო ყიჟინით დაიწყებდნენ და ასეთ დროს ყიჟინაც სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა: საქართველო უწინარეს ყოვლისა!

მისი აღდგენა გამხდარიყო აუცილებელი, რადგანაც ამ ყიჟინის მიჩუმებას გამოეწვია ქართველი ერის უბედურება, რომლის თავდამტეხ ძალადაც მენშევიზმ-ბოლშევიზმი მოვლენოდა ქვეყანას და რუსეთის ხელახალი გაბატონებაც ამ პოლიტიკურ მოძრაობას გამოეწვია. ერთი წოდების გადაკიდებას მეორე წოდებაზე განესაზღვრა ავი ბედისწერის შინაარსი და ხალხისათვისაც საშინლად დაემახინჯებინა ის ბუნებრივი ეროვნული სწრაფვა, რომელიც სასტიკი რეჟიმის პირობებში კიდევ უარესისაკენ მიექანებოდა.

ფაშისტური დარაზმულობა ვერ შეეგუებოდა ქართული მოდგმის გაქრობასა და გადაქცევას ისტორიად, და ამიტომაც იკრებდა ძალას ძველი მოწოდებითა და ყიჟინით, საქართველო უწინარეს ყოვლისაო.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის პირველად ყოვლისა ჩვენი სამშობლოა! რომ ჩვენთვის ყველაზე უწინარეს საქართველო არსებობს! რომ ჩვენ საქართველოს გარეშე, მამულის იდეის გარედ, არა ვზრუნავთ არც ერთ საერთაშორისო, ინტერნაციონალურ და კოსმოპოლიტურ და სხვა იდეებზე.

— ჩვენ ვცოცხლობთ საქართველოს გულით და ვცხოვრობთ მისი სულით.

— უწინარეს ყოვლისა საქართველო და სხვა ყველა ინტერესი, სხვა ყველა წადილი, სხვა ყველა მიზანი მას ემორჩილება.

— საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. ამ სიტყვისაგან: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდინარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც.

სხვა დასაყრდენი არაფერი ეგულებათ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისა და რუსული ძალმომრეობის წინააღმდეგ და ამიტომაც ებღაუჭებიან ყველაფერს, რაც ქვეყანას გახლეჩისა-

გან გამოიხსნის და გაამთლიანებს ყველაზე ბუნებრივი, ყველაზე მართალი იდეის გარშემო — გქონდეს საკუთარი სახელმწიფო, ყველაზე უკეთესი მფარველი შენი კულტურისა და თვითმყოფადობის.

გერმანია უწინარეს ყოვლისაო — ამ მოწოდებით დაწყებულიყო გერმანიაშიც ის მოძრაობა, რომელსაც საბოლოოდ კატასტროფა გამოეწვია? ეს უკვე სახელმწიფოზე ეკიდა, მის ხელისუფლებაზე, შეჩერდებოდნენ დამოუკიდებლობის აღდგენასთან თუ ზედმეტს მოიწადინებდნენ და ახლა თვითონ მოუნდომებდნენ შთანთქმას სხვა ქვეყნებს... მაგრამ საქართველო გერმანიისხელა სახელმწიფო ვერ იქნებოდა, რომელიმე მთავრობას სხვათა მიწა-წყლის მისაკუთრებაზე რომ ეფიქრა. ვიქტორ ნოზაძე და შალვა მაღლაკელიძე კი — ამ დარაზმულობის იდეოლოგნი — საამისოს არც არაფერს გაივლებდნენ გულში.

რუსეთისაგან თავდაღწევასა და ბოლშევიზმის დამხობასთან მთავრდებოდა მათთვის საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის შექმნის აუცილებლობა და მისი უმთავრესი ღვაწლი.

ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა მთლად თანმიმდევრული ვერ აღმოჩნდებოდა სოციალიზმის უარყოფაში, მაგრამ ნუღა გავყვებით მათ პოლიტიკურ-ეკონომიკურ შეხედულებებს, პარტიულ სტრუქტურასა და წესდების მუხლებს, მთავარი ისაა, რომ მათ იტალიელ ფაშისტთაგან გადმოიღეს ინტეგრალური ნაციონალიზმისა და ეკლესიის აღდგენის იდეა, გერმანული ნაციზმი და რასიზმი კი არ გაიზიარეს. და საქართველოსათვის ყველაზე შესაფერის და ტრადიციულ სახელმწიფო წყობად მონარქია რომ აღიარეს, ჩაიფიქრეს ფაშიზმისა და კორპორაციული სახელმწიფოს შეთავსება.

ასე დაემატა „თეთრი გიორგის" მიერ ჩამოყალიბებულ ინტეგრალურ ნაციონალიზმს ფაშიზმი და მონარქიზმი, და, სხვათა შორის, სოციალიზმიც, რომელიც პარტიის იდეოლოგიისათვის ყოვლად მიუღებელი გახლდათ.

ქართული ფაშისტური დარაზმულობის პირველსათავედ სწორედ „თეთრი გიორგის" პოლიტიკური ორგანიზაცია მოჩანს, დაარსებული პარიზში 1925 წელს ლეო კერესელიძის თაოსნო-

ბით, მიზნად რომ დაესახა ანტიბოლშევიკური ბლოკის შექმნა და ყველა ქართველი პატრიოტის გაერთიანება, მიუხედავად მათი პარტიულობისა.

ამ მოძრაობას შეუერთდებოდა 1935 წელს „ორნატის“ ჯგუფი (ჟურნალ „ორნატისაგან“ რომ მიეღოთ ეს სახელწოდება), ვიქტორ ნოზაძე რომ ხელმძღვანელობდა და ახლა უკვე გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქტორი გახდებოდა. ამასობაში „თეთრ გიორგიში“ განხეთქილება მოხდებოდა. IV ყრილობა მეთაურობას ჩამოართმევდა ლეო კერესელიძეს და მის მაგივრად შალვა მაღლაკელიძეს აირჩევდნენ. მაგრამ იდეური ჭიდილი ამით არ მოთავდებოდა. კერესელიძე ყრილობას არ ესწრებოდა, მაგრამ დაბრუნდებოდა თუ არა პარიზში, ახალ ყრილობას მოიწვევდა და ხელმძღვანელობას დაიბრუნებდა, თავისი მხრივ კი მოძრაობიდან გარიცხავდა „ორნატის“ ჯგუფს და ვიქტორ ნოზაძესაც გაისტუმრებდა გაზეთის რედაქციიდან.

ამ ყოველივეს ლეო კერესელიძე მიხაკო წერეთლის მომხრეობითა და გავლენით მოახერხებდა, და გრიგოლ რობაქიძე „ერი და კაცობრიობის“ შემოქმედის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური პორტრეტის აღდგენას რომ შეეცდებოდა, მისი ბრძოლის დრამატულ ხვეულთაგან საგანგებოდ გამოარჩევდა სწორედ „თეთრ გიორგისა“ და ამ მოძრაობის ყველა მებრძოლს, და მიხაკო წერეთელთან ერთად უპირველესად ლეო კერესელიძეს.

პორტრეტის აღდგენა ძალდაუტანებლად დაისაჭიროებდა „თეთრი გიორგის“ სიმბოლიკის გააზრებასაც.

ვინც საქართველოსათვის საქართველოს შუაგულიდან გამოდის, იგი „თეთრ გიორგის“ გვერდს ვერ აუხვევსო, — არც ეეჭვებოდა გრიგოლ რობაქიძეს, — „თეთრი გიორგი“ რაინდია ქართველობის და რაინდი „წმინდაო”.

თვალსაჩინოებისათვის გაიხსენებდა ალავერდობის მისტერიასა და ლაშარის, ლაშას ფენომენს, როგორც „სხივოსანისა“ და „ბრწყინვალისა“, და დასძენდა: ლაშარი იგივეა მთაში, რაც ბარში თეთრი გიორგიო.

რაკილა ამ სიმბოლიკის ირგვლივ რამდენჯერმე უკვე მოუწია სიტყვის ჩამოგდება, ყველაფრის განმეორებას ზედმეტად მიიჩ-

ნევდა და მარტოდენ ორიოდე გარემოებას მიაქცევდა მკითხველის ყურადღებას.

1918 წელს საქართველო დაკარგულ სუვერენობას რომ აღიდგენდა, ხელისუფლების სათავეში მარქსისტები მოექცეოდნენ და სახელმწიფო ღერბისათვის ეს ინტერნაციონალისტები „თეთრ გიორგის" მიმართავდნენ. წარწერას ღერბზე გრიგოლ რობაქიძე გამოიყვანდა საკუთარი ხელით.

მწერალთა კავშირი რომ დაარსდებოდა კოტე მაყაშვილის მეთაურობით, მწერალთა დღედ აირჩევდნენ 5 მაისს — გიორგობას ახალი სტილით. ამ დღეს საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც იდღესასწაულებდნენ და პირველ წელს გრიგოლ რობაქიძე რომ წარმოთქვამდა სიტყვას, გადმოშლილა „გიორგის" შინაარსს, როგორც ქართველთა მისტერიას. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ასეთ საგნებზე საუბარი და, ვთქვათ, გიორგი ლეონიძეც ამიტომ აიღებდა თემად „საქართველოს მესსიანიზმს".

იმავე ხანებში პავლე ინგორყვა გამოსცემდა ლიტერატურულ გაზეთს „ლაშარი", რომელიც მხოლოდ ერთ დღეს იცოცხლებდა.

— მეც ვიყავი მონაწილე, — სიამაყით ჩაურთავს „გველის პერანგის" შემოქმედი, რათა უშუალოდ გადავიდეს მისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე და მისი ახსნა სცადოს ისეთნაირად, რომ ააშოროს პოლიტიკას და თავით ბოლომდე ადამიანურ, ბუნებრივ მისწრაფებას დაუკავშიროს — მშობლიური ქვეყნის სიყვარულს, მითუმეტეს, დიდ გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნისა:

— დაახლოვებით ამ დროსვე პარიზში წარმოიშვა რაზმი „თეთრი გიორგი". არავითარი „პოლიტიკა" არ ყოფილა „თეთრი გიორგის" ხსოვნის აღდგენაში იქ, საქართველოში. არავითარი კავშირი არ გაბმულა ამ „ხსოვნის აღდგენისა" და უცხოეთში მის „რაზმულად" დგენის შუა. ყველაფერი ეს მოხდა თავისთავად, მოხდა: რადგან ამ ამბებში საქართველოს „შუაგული" ფეთქდა. მიხეილის გული ძგერდა და ძგერს სწორედ ამ შუაგულიდან და მისთვის ვაფასებ მას როგორც ნამდვილ ქართველ მამულიშვილს. ეს მამულიშვილობა გადაძლევს თვითონ „დარაზმულობასა", მის ნიადაგზე პოლიტიურად განრიგებულს.

და ბარემ აქვე გააცხადებდა იმას, რაც ხშირად გაეფიქრა, მაგრამ გამოთქმით არ გამოეთქვა:

— „თეთრი გიორგი“ ცოცხალი „ხატია“, ქართველთა მისტერიისაგან შობილი. როგორც ასეთი მისი „ყოფადება“ მხოლოდ მისტერიული გზით თუ შეიძლება. ამ „ყოფადდებას“, ვფიქრობ, მხოლოდ „ორდენის“ სახით ძალუძს განსხეულდეს.

და მკითხველს შეახსენებდა პითაგორელთა ორდენს, რომლის წევრიც ყველა ვერ გახდებოდა, თუნდაც ძალზე მონდომებული. ამისათვის აუცილებელი იყო მზადება შინაგანი სულითა და გონითი, მზადება — არა როგორც სწავლა საიდუმლოთა, რაც, ბოლოსდაბოლოს, ყველას შეუძლია, არამედ: „ხილვა“ საიდუმლოთა და „ხილვა“ როგორც „წვდენა“ სიღრმესი და „წვდენა“ როგორც უშუალოდ „დგენა“ ხილულისა.

ასე წარმოუდგენია იდეალური სახით „თეთრი გიორგის“ ორდენი.

მისთვის უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭება, საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ყაიდისა იქნება თუ მონარქიული; და ორდენის წევრებსაც შეუძლიათ სხვადასხვა პარტიაში იყვნენ, მხოლოდ ერთი განსაზღვრით:

— თუ ეცდებიან ზეპარტიულ არეში გაიყვანონ ლაშარის ხაზი.

მთელი ეს მსჯელობა მკაფიოდ განმარტავს როგორც „თეთრი გიორგის“, ისე „ქართველთა ფაშისტური დარაზმულობის“ იდეურ საწყისსა და დანიშნულებას, მის განზოგადებულ სწრაფვას, ყველა და ყველაფერი საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ირგვლივ რომ ტრიალებს და ამ ორგანიზაციათა წევრებიც მხოლოდ ამ მიზნით აწყდებიან ბედისწერის მტკიცედ ნაგებ კედლებს... მკაფიოდ კი განმარტავს, მაგრამ ეს მტკიცება-არგუმენტაცია, პირწმინდად სულიერ სფეროში გადატანილი და ასერიგად დამაჯერებელი, ვერაფერს უშველიდა, ამ მოძრაობათა უშუალო წევრი რომ ყოფილიყო.

ვიკტორ ნოზაძე თავშესაფრის საძებნელად ევროპიდან არგენტინაში გადაიკარგებოდაო...

გრიგოლ რობაქიძეს არ დასჭირდებოდა ევროპიდან ლტოლვა და შვეიცარიაში ამიტომაც დაიდებდა ბინას.

ძალიან გამოადგებოდა შეცვლილი პოლიტიკური რეალობისას, მისი სახელი რომ არ აღნიშნულა ქართველთა ფაშისტური დარაზმულობის სიაში, მაგრამ ამის თაობაზე ხმას მხოლოდ მაშინ გაიღებდა, თუ ბრალდებად წააკეცავდნენ, ამ პოლიტიკური გაერთიანების წევრიც იქნებოდი და სულაც იდეოლოგიო.

აკი პოლიტიკურ ჭორებში მისი სახელი ისე ტრიალებდა, თითქოს სულაც ჰიტლერის მდივანი ყოფილიყოს.

ადვილად კი დაიცავდა თავს, დოკუმენტურად რომ ვერაფრისდიდებით ვერ დაადასტურებდნენ ვერც მის ნაცისტობას და ვერც მის ფაშისტობას, მაგრამ არა ღირდა ამ მიმართულებით ყურადღების გამახვილება, სხვებზე თუნდ უნებური მინიშნება.

გასაგები და ადვილი ასახსნელია ეს ყოველივე, ოფიციალური ახსნა-განმარტებითი ბარათის შედგენა და რედაქციებისათვის დაგზავნაც, მაგრამ ნიკოს კაზანძაკისს რაღას უმტკიცებს და არგუმენტს არგუმენტზე უხვავებს?!.

ის პასუხს არა სთხოვს, ჰიტლერისა და მუსოლინისათვის ხოტბა რამ შეგასხმევინაო.

ეს კი რას უნდა ელოდეს, გარდა იმისა, რომ მისი წერილი ბერძენი მწერლის არქივში ჩარჩება და ოდესმე იქნებ გამოქვეყნდეს, მაშინ, როდესაც ისტორიისათვის შეიძლება ჰქონდეს ამ ტექსტს მნიშვნელობა, თორემ თვითონ გრიგოლ რობაქიძისათვის — აღარავითარი.

არადა, სწორედ ნიკოს კაზანძაკისის დაჯერება სურს, რომ ის წიგნაკები არც ნაცისტურია და არც ფაშისტური: ამ თემებს მე განსაკუთრებული სულიერი თვალთახედვით ვუყურებდიო.

საზოგადოებრივ აზრს რომ მიყურადებოდა, ახარებდა იმის შეგრძნება, რომ მკითხველი ნაკლებ გულისწყრომას გამოთქვამდა „მუსოლინის“ გამო, რადგანაც ეს თხზულება „საკუთრივ ლიტერატურული კუთხით გაშუქებულიყო“, მაგრამ „ჰიტლერს“... აი, ამ წიგნაკს კი არ უწონებდა, რადგანაც ავტორი აქ დაშორებულიყო — და საკმაოდაც დაშორებულიყო — ლიტერატურულ ასპექტს.

მაგრამ ის არც პირწმინდად პოლიტიკურიაო, — საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებას მაინც ლამობდა და ბერძენ მწე-

რალთან ამოწმებდა, რამდენად შესაძლებელი იყო მორალური ბრალდების აცილება.

თუკი პოლიტიკურ ბრალდებას გადაურჩებოდა, მისთვის ეს ჯერ მაინც არა ნიშნავდა ყველაფერს, რადგანაც ძნელი გადასატანი იქნებოდა, განათლებული საზოგადოება თუ აღარ გაირევდა თავის წრეში და ზურგს შეაქცევდა მასაც და მის წიგნებსაც.

ოღონდ ვიდრე თხზულებაში ფარულად ნაგულისხმევ თვალსაზრისს გაუმჟღავნებდეს, ცოტა შორიდან იწყებს და ოტელოსა და იაგოს სახელებსაც ახსენებს, ბოროტის მსურველი როდესაც ცეცხლს უკიდებს ეჭვით დაავადებულ ადამიანს, მოხერხებულად შეაპარებს სათქმელს, ვითომდა მეგობრული გრძნობით და ამით უფრო ნამდვილს ხდის ეჭვის მიზეზსო. ეჭვი აორებდა ადამიანს, შლიდა მის არსებას და, რაც უფრო დიდი იყო ეს განცდა, მითუფრო უნადგურებდა სულს.

კეთილმოსურნე?

ის ხომ მხოლოდ იმას ცდილობს, გაანელოს ეჭვიანობის ცეცხლი და ფრთხილად გაუნათოს გონება, თანაც ისე, რომ თვალშისაცემი არაფერი იყოს, თანდათან იმოქმედოს მასზე და აღუდგინოს სნეულს დაკარგული მთლიანობა.

იმასაც ამცნობდა: ჯანმრთელი და მთელი ქართულ ენაზე სინონიმებიაო, — და ფსიქოლოგიური ძიების შედეგს ამ დასკვნით დააბოლოვებდა:

— პირველ შემთხვევაში სნეულს საფრთხე ემუქრება, მეორე შემთხვევაში — გაჯანმრთელება. ორივე შემთხვევაში იგი არის საკუთარი თვითონის ხატოვანი რეალობა.

ეს დაწურული მსჯელობა, გულუბრყვილო მკითხველს სახელდახელოდ მოხმობილიც რომ შეიძლება ეგონოს, გრიგოლ რობაქიძისათვის მეტად მნიშვნელოვანია და ხანგრძლივი და დაძაბული ფიქრის ნაყოფი.

მასზე უნდა ამოიზარდოს მტკიცება, რომ ადოლფ ჰიტლერისადმი მიძღვნილი თხზულების მიზანი იყო ნაცისტური მოძრაობის გაწმენდა ყოველგვარი წიდისაგან.

და სიამაყეს არ ფარავს, რომ ჩანაფიქრი ჩანაფიქრად არ დარჩენილა და მისი აღსრულება კიდეც მოუხერხდა.

ოღონდ მოუხერხდა მხოლოდ ასე:

— მოძრაობის სულისჩამდგმელი, ნამდვილ „კლიმატში“ ჩასმული, მითოსურ სახეში გადაიზარდა. ეს ფიგურა ემპირიული ჰიტლერი კი არაა, არამედ იგი გახლავთ თავისი თავის მეორე მე. კითხულობენ: შენ ხარ ეს, უნდა წაიკითხონ: შენ უნდა იყო ეს.

ეს მხატვრულ-ფილოსოფიური ხერხია, პითაგორულს რომ უწოდებს და აიგივებს იმ ქმედებასთან, რასაც კეთილისმსურველი წარმოსახვით აღასრულებს ავადმყოფის მიმართ.

აი, რა მოსდევს მოსალოდნელ საფრთხეს მწერლისათვის.

პოლიტიკური პამფლეტის შუაგულიდან ასე თვალნათლივ ამოზიდული მითოსური გმირი, მხსნელი, ისტორიის ჩარხის დამტრიალებელი ახლა უკვე ერთბაშად ავადმყოფად გვევლინება.

როგორც მისი განდიდებისათვის არ დაუზოგავს თავი გრიგოლ რობაქიძეს, ისე მის დაკნინებასაც თავდაუზოგავად ცდილობს.

თურმე მითოსური გმირი და მხსნელი ადოლფ ჰიტლერი კი არა ყოფილა, რა შთაბეჭდილებაც გვრჩება იმ წიგნაკის წაკითხვით, არამედ ის განუხორციელებელი იდეალი, რომელიც მწერლის ოცნებებში არსებობდა მხოლოდ და რეალობაში დამკვიდრება კი არაფრისდიდებით არ ეწერა.

ჩემს მიმართ დღეს ერთადერთი კითხვა უნდა დაისვასო, — მისთვის ხელსაყრელი კუთხით სურს საზოგადოებრივი აზრის მომართვა: უწმინდურებად გარდაიქმნებოდა თუ არა ჰიტლერის ბოროტეული „მანა“ (ძალა), თუკი მისი მფლობელი ჩემს მიერ მოხაზული მიმართულებით განახორციელებდა თავის თავსო? — და პასუხი მზად აქვს, პასუხი ლაკონური და ამომწურავი:

— გამორიცხულია!

მაგრამ როგორ შეიძლებოდა ფიურერს, ამხელა სახელმწიფოს მეთაურს, მაინცდამაინც რომელიღაც ქვეყნიდან — რუკაზე რომ არც აღინიშნებოდა — გადმოხვეწილი მწერლის მიერ მოხაზული მიმართულებით ეძია გზა გამარჯვებისა და თვითდადგინების ურთულესი პროცესიც გრიგოლ რობაქიძისათვის მიენდო?

ასე მოხიბლავდა ის წიგნაკი და ყველაზე სწორ გზაზე შეაყენებდა?

თანაც — თუ ვერავის ამოეცნო თხზულებაში ღრმად შეფარული ჭეშმარიტება, რაღა ჰიტლერი ამოიკითხავდა და გზის მანათობელ შუქურადაც დასახავდა?

მწერალს აღარ უნდა ამაზე დაფიქრება, ურჩევნია ურთულეს ფილოსოფიურ კითხვებს ჩაუღრმავდეს და ყოველივე ღიად დატოვოს, თითქოს მყუდრო გარემოში მისცემოდეს ნეტარ ოცნებებს და არა თრგუნავდეს მოსალოდნელი სამსჯავრო — იურიდიული თუ არა, მორალური.

— თუკი. ისტორია ყველა წამში არის თუკი. განა არ არის სამოთხის ბაღში მდგომი ცნობადის ხე წინასამყაროსეულად დაყენებული თუკი? იგი რეალურია მხოლოდ როგორც თუკი. შეამჩნიეს თუ არა ეს ონტოლოგებმა?

რა ხდება, რატომ გასჩენია ასეთი აზრი, რომ ქვეყნიერების ზურგზე ვერავინ ვერაფერს ამჩნევს?

წიგნაკის მთავარი მრწამსის დაფარულობის მტკიცება ძალაუნებურად ყველაფერს საბურველში ხვევს მისთვის და აღარც აღარავისა სჯერა, რომ ან ტექსტს წაიკითხავენ სწორად ან იმ მრწამსს დაუჯერებენ.

აქაც უნდა ახსენოს ოკულტისტური „ცენტრის“ გამო გესტაპოს აგენტების თვალთვალი.

აქაც კვლავ უნდა ახსენოს ის სულიერი პიროვნება, ვინც აღსარებისათვის აირჩია და ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გერმანიის სამხედრო ძალა მნიშვნელოვან მარცხს არ განიცდიდა, ხანგრძლივად ესაუბრა სწორედ თავისი ამ ნაწერის გარშემო:

— ვესაუბრებოდი ნდობით, შეიძლება ითქვას, სახარებისეულად, მოსალოდნელ საშიშ მოვლენებზე: არა, პოსტ ფაქტუმ მე არაფერი შემითხზავს.

რას გულისხმობს ეს გამოთქმა: სახარებისეულად?

უაღრეს ნდობასაც, იშვიათ სიწრფელესაც და პროფეტულ ამოცნობასაც კარს მომდგარი რეალობისა.

და კვლავ იმ მწარე საფიქრალს უნდა დაუბრუნდეს, რომ ვერც „ჰოსა“ და ვერც „არას“ მთქმელს ვერ გაუგია მისი ნაწერის შინაგანი ჩანაფიქრი.

რა გამოდის — მოსწონთ თუ არ მოსწონთ მისი პოლიტიკური პამფლეტი, ორივე მხარეს ერთნაირად არ ესმით.

მიზეზად ომის ატმოსფეროს დასახელება რომ უკმარია?

მაშინ თუ მხოლოდ ფასადს ხედავდნენ, შინაგანი სივრცე კი მათთვის ჩაკეტილიყო და მათი ხედვა ვერ სწვდებოდა სწორედ იმ ადგილს, რომელიც უკვე — რეტროსპექტულად დანახული — პირდაპირ წინასწარმეტყველურად ჟღერდა, ახლა რაღა ეღობებოდათ წინ, ომი ხომ გადავლილიყო და წინასწარმეტყველების ამოკითხვა აღარ უნდა გაძნელებოდათ იმათ მაინც, წიგნაკის ღირსებებს ვინც აღიარებდა.

— მისი პოვნა მე მოცლილთათვის მიმინდვია.

რატომ მოცლილთათვის?

ასეთი მძიმე სულიერი ჭიდილისას ვის მიმართაა ირონიული (და ეს ფრაზა რომ ირონიულია, სადავოდ არავინ გახდის) — საკუთარი თავისა თუ მათი, რომელთაც მისი შველა შეიძლება მოინდომონ და სწორედ ის პასაჟი ამოზიდონ, წინასწარმეტყველების სულით რომ განმსჭვალულა?

ალბათ საკუთარი თავის მიმართაც — თუ მართლა რაღაცას მივხვდი, ცოტა უფრო მკაფიოდ მიმენიშნებინა, თავის სამართლებელი რომ არაფერი დამჭირებოდაო.

და ალბათ იმ მომწონებელთა მიმართაც, რომელნიც... მხოლოდ მწერლის წარმოსახვაში არსებობდნენ და მათ ჰიპოთეტურ მოვლინებას რეალური შველა არაფრით არ შეეძლო.

— ჩემი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ...

როგორც უნდა მიაწყდეს აქეთ-იქით, ისეთი გულუბრყვილოც არ არის, რომ დაბეჯითებით დაარწმუნოს მტერი თუ მოყვარე თავის უცოდველობაში, და ამიტომაც რაღაც ბრალი უნდა აიღოს თავის თავზე, უნებური ცოდვა მაინც უნდა ზღოს, პოლიტიკური დანაშაული როგორმე ამ უნებური ცოდვით შეანაცვლოს:

— ... საშიშროებით დამუხტულ ატმოსფეროში ჩემი გავლენის ძალა გადაჭარბებით შევაფასე და ამასთან ვერც მკითხველის აღქმის უნარი გავითვალისწინე.

მკითხველს ტყუილად რევს ცოდვაში.

თუ ახლაც კი — მწერლის მტკიცების შემდგომ — ამოუცნობია წიგნაკში ნაგულისხმევი აზრი და ვერავის დაუდასტურებია მისი წინასწარმეტყველური მინიშნებანი, 1938 წელსა თუ მომდევნო წლებში რანაირად უნდა ამოეცნოთ, აღქმის მაინც რანაირ უნარს ავალდებულებდა მკითხველს გრიგოლ რობაქიძე.

საკუთარი გავლენის ძალის გადაჭარბებული შეფასება კი იმას ნიშნავს, რომ რატომღაც მოეჩვენა, ამ თხზულების გაცნობა რეალურ ჰიტლერს თვალსადახელშუა იდეალურად გარდასახავდა და, დამპყრობლის ნაცვლად, გმირისა და მხსნელის სახელით დაამკვიდრებდა შთამომავლობის ხსოვნაში.

თურმე — საშიშროებით დამუხტული ატმოსფერო რომ არა ყოფილიყო, მაშინ ეს განზრახვა სულაც არ გამოეკიდებოდა ჰაერში.

და ჰიტლერი გახდებოდა ისეთი, როგორც წარმოისახებოდა მისი სულიერი პორტრეტი ქართველი მწერლის ესეისტურ-ფილოსოფიურ მონახაზში.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

თავისი გავლენაც რომ გადაჭარბებით შეაფასა და მკითხველის აღქმის უნარიც შესაფერისად ვერ გაითვალისწინა, იქვე ამასაც დასძენს: ამაზე პასუხი სხვაგვარად მაქვს მისაგები, რასაც ვაკეთებ კიდეც სინამდვილეშიო, — და ამ ბუნდოვან ფრაზაში იკარგება მისი მოქმედების მიმართულება — პოლიტიკური ბრალდებისაგან თავის დახსნას გულისხმობს თუ მხატვრული ნააზრევით გამოსწორებას იმ უნებური ცოდვისა.

დრო გამოაჩენდა ამ ნაგულისხმევს მაინც და ნიკოს კაზანძაკისისთვისაც უფრო ცხადი შეიქნებოდა, ჯერჯერობით კი ქართველი თანამოკალმის ჩივილისათვის უნდა ესმინა: ამ ჩემი დანაშაულით მე ფატალურად მოვექეცი იმ სიტუაციაში, რომელიც დღითიდღე ბნელდებოდა. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი მაშინდელი წამება. და აი, ომიც დაიწყო. როგორც ეს დღეს ნათელი გახდა, აქ იმ პაწაწა თუმ, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით, საშინელი როლი ითამაშაო.

უკვე მაშინვე ნანობდა?

გამოქვეყნდა თუ არა წიგნაკი, უკვე საგონებელში ჩავარდა?

სხვას რას შეიძლება გულისხმობდეს: ჩემი მაშინდელი წამებაო...

ფატალიზმსაც საგანგებოდ მოიხსენიებს. სწორედ ამ „მაშინდელი წამების“ ხაზგასასმელად.

მაშინვე ნანობდა თუ... მომნანიედ ყოფნა ახლა ურჩევნია?

ფრიც ჰესეს მოხსენებას მიუთითებს, და კიდევ ერთი შვეიცარიული გაზეთის ცნობას, ჰესეს „უკანასკნელი მცდელობის“ იმ პასაჟს უდიდეს დოკუმენტურ ღირებულებას რომ ანიჭებდა: მეორე მსოფლიო ომი არ უნდა დაწყებულიყო უსათუოდ 1939 წლის 1 სექტემბერსო.

ამ ცნობას ჩაებღაუჭება და მისი მოშველიება ისე ათამამებს, იმასაც დასძენს: დავანებოთ თავი ამ თუს. ადამიანებს არ ძალუძთ მომხდარი მოვლენა არმომხდარად აქციონო.

მთავარი ის ჩანს, რომ:

— ჩვენ ყველანი უკვე აპოკალიფსური ურჩხულის ხახაში ვიყავით მოქცეულნი.

და იქვე:

— თქვენ შეგიძლიათ დამიჯეროთ...

თუკი სხვა ნაკლებ ან სულ არ ირწმუნებს გრიგოლ რობაქიძის სინანულს, ეს ბერძენი მწერალი ხომ მაინც არ გაწირავს და არ გადაუდგება, და ახლა პირდაპირ ეტყვის იმას, რასაც ნიკოს კაზანძაკისი ისედაც მიხვედრილი იქნება, მაგრამ დაე ამოთქვას შეუნიღბავად და შეუფერადებლად:

— მე ამ მოვლენებს მთელი ჩემი არსებით განვიცდიდი.

ნაკლებ მოსალოდნელია, კაზანძაკისისათვის ეს მეტაფორული გამონათქვამი იყოს, მაგრამ ერთი ბეწოც არაფერი უნდა დარჩეს დასაეჭვებელი: არამც და არამც არ გეგონოთო.

აქ ერთხანს წყდება მსჯელობა ჰიტლერისადმი მიძღვნილ წიგნაკზე და გრიგოლ რობაქიძე აღადგენს შინაგანი ჩაღრმავებისა და აზროვნების განწყობის ძირეული გადასინჯვის ხანას იმ სიმშვიდისა და მოსვენების სავანეში, შვეიცარიამ რომ აჩუქა გერმანიიდან „ოსტატურად, ფანტასტიკურად“ გაქცეულს.

ამ მართლაც თავისუფალ ქვეყანაში მიეცემოდა საუკეთესო საშუალება, ჩაძირულიყო საკუთარ თავში, ჩაწვდომოდა საკუ-

თარ თვითონს, ჩაჰყოლოდა სულის უკანასკნელ სიღრმემდე და მთელი ეს მედიტაცია ამ მეტაფორაში ჩაეწურა: ისიდას ჭასთან.

მსჯელობისას საგანგებოდ დაუკვირდებოდა დელფოს ორაკულის მცნებას — „შეიცან თავი შენი“ — როგორც თვითშემეცნების მისტიკურ აქტს, რომელშიც მეორე მე პირველი მე-ს იდენტურად წარმოდგებოდა.

ამ იგივეობას ადასტურებდა ერთი გადარჩენილი ფრაგმენტი პინდარეს ლექსისა, მისტიკური აქტების ერთადერთ გასაღებად რომ შემოგვრჩენოდა.

„კურთხეულია ის, ვინც ეს იხილა და ისე წავიდა იმქვეყნად: მან იცის, როგორც სიცოცხლის საბოლოო საზრისი, ისე ზევსის მიერ ნაბოძები საწყისის საზრისი“ — გვამცნობდა ძველი ბერძნული ლირიკის ეს ორიოდე სტრიქონი და რობაქიძე ასე გახსნიდა მხატვრულ საბურველში გახვეულ შინაარსს: ტაძრული ძილით თავის თავში ჩაძირული არ ფიქრობს იმაზე, რა არის იგი, არამედ რომ იგი საერთოდ არის. რადგან იგი თუნდაც ერთხელ იყო „აქ“, ამიტომ მან მოიწია საკუთარი თავი, როგორც ღვთის ნაყოფი. თითქოსდა იგია ღვთის საჩუქარი, რომელიც მას ღვთისაგან ებოძაო.

ესეც ძველი ბერძენი პოეტის ჰიერატიულ სიტყვათა საზრისი ქართველი ბელეტრისტის ინტერპრეტაციით, და მსგავს განწყობას 1938 წლის აპრილში რომ განიცდიდა, „ჭვრეტითად“ გადმოსცემდა იმ წიგნაკში მუსოლინის შესახებ.

მერე პირველხატს უნდა ჩაუღრმავდეს.

მერე შესაქმეს უნდა ჩაუკვირდეს და ეგვიპტურ მისტერიათა თვალთახედვით გაიაზროს. და თავი დაირწმუნოს, ამგვარი გააზრება რომ არა, შესაქმე ზერელედ იქნებოდა წაკითხულიო. ახლა კი ისეთი თავდაჯერებით აცხადებს: მოსეს წიგნების შესწავლისას მე ისრაელის საიდუმლოება ამოვხსენიო!..

ამავე წერილში ისიც უნდა დაიქადოს: ფრიდრიხ ნიცშეს ფენომენის შინაგანი ბირთვიც აღმოვაჩინეო, და თუმც გაზვიადებულს უწოდებს ერთი ცნობილი გერმანელი პოეტის (ვისთანაც შინაგანი მეგობრობა აკავშირებს) შთაბეჭდილებას, მისი ხელნაწერის პირველი მესამედის წაკითხვისთანავე რომ მოსწერდა: რაც აქამდე ნიცშეზე დაწერილა, უფერულდებაო, — მაგრამ რა-

კილა მოიხმობს ამ სიტყვებს, მთლად გაზვიადებულადაც არ უნდა მიიჩნევდეს.

და ამ ორ — მისთვის საამაყო — მიგნებას შორის კვლავ უნდა გამოჩნდეს ჰიტლერის თემა. მანამდელი არგუმენტებით გული ვერ შეაჯერა, მაგრამ შესაფერისი განწყობილება რომ უკვე შექმნა, ამჯერად ახალ საბუთებსაც იშველიებს:

როდესაც ღმერთსა და ადამიანს შორის მშვილდი მოჭიმულია, ამ სფეროში იუდეველებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ, და არა როგორც ცალკეულს, არამედ როგორც მთლიანს, როგორც ხალხს. ვინც ისრაელებს სდევნის, იგი „მშვილდის" მოჭიმვის არეში ხვდება. მშვილდის მომჭიმველი თუ ქრისტიანული სამყაროდანაა, მაშინ იგი თავს იღუპავსო.

ჰიტლერის შემთხვევა მისთვის ამ ზოგადი შეხედულების დადასტურებაა.

თანაც:

მე ამას უკვე მაშინ ვგრძნობდი, როცა მასზე იმ პატარა წიგნს ვწერდიო.

ვთქვათ, კიდეც გრძნობდა — გამჟღავნდა კი ეს განცდა, მკვეთრად თუ არა, შეფარულად მაინც წიგნაკის ფურცლებზე?

თავს იმით იმართლებს: ებრაელთა საკითხს მესამე რაიხის დროს შეიძლებოდა მხოლოდ ჰიტლერელთა პოზიციიდან შევხებოდი, ამიტომაც საერთოდ ავუარე გვერდიო.

დუმილი რას ნიშნავდა — თანხმობას?

ამ შეკითხვას თვითონვე წამოჭრის, რათა ამგვარი მტკიცება შეაგებოს:

— ავტორი თითქოს ნაცისტურ მოძრაობას ეკუთვნის. იტყოდნენ „ჰოს" და დაიწყებოდა მაშინვე ლაპარაკი: ებრაელთა საკითხს არაერთხელ შეეხო, ასეთი ავტორი მიუღებლად მიგვაჩნიაო. მეორე მხრივ, მე აღვნიშნავდი, რომ ყოველი ხალხი ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლენაა და ამით უკვე უთქმელადაც ცხადად იყო მინიშნებული, რომ ებრაელი ხალხიც ასეთი გამოვლენაა.

და, დაიმედებულმა, მსჯელობის გეზი ჩემს სასარგებლოდ გავხარეო, ასეთი დასკვნით დააგვირგვინოს:

— ჩემი დუმილი სწორედ უარყოფა იყო.

იმასაც კი არ აღიარებს, სიფრთხილემ მიკარნახა, ამ თემას გავქცეოდიო, და ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებულ თვალსაზრისს — დუმილი თანხმობის ნიშანიაო — ამგვარი ფორმულით ცვლის, ყოველ შემთხვევაში, ამ გამონაკლისი შემთხვევისას: დუმილი უარყოფის ნიშანიაო.

საუკუნეობით შემოწმებული ანდაზა სახელდახელოდ იცვლება ახალი სენტენციით.

ეს უკვე მეორედ ლამობს ბერძენი მწერლისა და საერთოდ საზოგადოების — დარწმუნებას, ჰიტლერის სახოტბო თხზულებაში ანტიჰიტლერული თვალსაზრისი გავაპარეო.

და გაიხსენებს იმ ეპიზოდსაც, რომ ვიდრე ხელნაწერს ცენზურას გადასცემდა, როგორ წაიკითხა „ერთ ცნობილ თანამედროვე გერმანელ პოეტთან ერთად", რომელსაც „ვერაფრით ვერ დასდებდნენ ბრალს ნაციზმში", და იმას, კი გრიგოლ რობაქიძის შეკითხვაზე: გამოვაქვეყნო თუ არაო, — უყოყმანოდ მიუგია:

— დიახ, სურათი არსებულ ატმოსფეროში უნდა დარჩეს!

იმავე საღამოს ებრაელთა დევნაზეც ულაპარაკიათ და ისეთი შეშფოთებულნი და აღელვებულნი ყოფილან, ქართველ მწერალს უეცრად წამოსცდენია:

— ჩვენ ორნი არა ვართ!

და ის ღიმილით დაუქნევდა თავს:

— ვიცი.

გესტაპოს ყველგანმყოფობას გულისხმობდნენ.

გადავლილიყო ის ჟამი, ამოშლილიყო გესტაპო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, მისი ყველგანმყოფობაც სამუდამოდ განქარებულიყო და გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებული იმედით მიაჩერდებოდა „ნესუს პერანგის" დასრულებასა და გამოქვეყნებას, ახალი პოლიტიკური თხზულებისა, რომლის ძირითად აზრსაც ასე მიაწვდიდა ბერძენ მწერალს:

საბჭოთა კავშირში მბრძანებლობს ვიღაც, ვინც არის არავინ. ქვესკნელის ძალთაგან წარმოშობილი, საქმიან ანონიმად ჩამოსხმული ანონიმური იგი, რომლის ძალითაც ყოველი ადამიანი, თვითონ მოძალადეც კი, კოლექტივის უბრალო ფუნქციად იქცევა.

ასე წარმოედგინა ბოლშევიზმის პნევმატოლოგიური არსი და ამ პოლიტიკური პამფლეტის შექმნა გადაუდებლად იმიტომაც ესახებოდა, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საბედისწერო წინააღმდეგობა ტრიალებდა, და თუ ბოლშევიკური აღმოსავლეთი შესანიშნავად იცნობდა ანტიბოლშევიკურ დასავლეთს, დასავლეთი ნაკლებ წვდებოდა აღმოსავლეთის ბუნებას.

საბედისწეროდაც ეს გადაექცეოდა ევროპას, თუკი ისე გააგრძელებდა საბჭოთა ხალხების დახმარებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ სათანადოდ ვერ გაერკვეოდა საბჭოთა ადამიანის უსასრულოდ რთულ ფსიქიკაში.

ცდილობდა ყველაფერი მოეძია, რაც ბოლშევიზმის თაობაზე იწერებოდა და გული წყდებოდა, რომ ეს ნაწერები — მათ შორის, მნიშვნელოვანნიც — ღრმად ვერ წვდებოდა მის ფენომენს, უკვირდებოდნენ, გაანალიზებდნენ და... მეორეხარისხოვან საკითხებს კი ვერ გასცდენოდნენ.

დასავლელ ავტორებს საკუთარი სხეულით არ გამოეცადათ ბოლშევიზმის ავადმყოფობა და ამიტომაც აკლდათ მეექვსე გრძნობა, რომლის წყალობითაც აღიქმება ბოლშევიზმის ატმოსფერო. ეს რაღაც გამართლებას უძებნიდათ მის თვალში, მაგრამ ის კი უკვირდა და ვერ აეხსნა, რუს ემიგრანტებს რაღა დამართნოდათ — დმიტრი მერეჟკოვსკის, ნიკოლაი ბერდიაევს, სემიონ ფრანკსა თუ სხვებს — რომელთაც სწორედაც საკუთარ ტანზე გადაეტანათ ეს სნეულება, მაგრამ მაინც აკლდათ სიღრმისეული სულიერი ხედვა და ბოლშევიზმის დემონური ძალა ვერ გაეგოთ.

გრიგოლ რობაქიძესაც რომ გამოეცადა ეს ძალადობა მის დემონურ ფაზაში, ეს განცდა მისთვის მარტო ტკივილი კი არა ყოფილა, არამედ, იმავდროულად, „მოლეკულებისაგან“ შემდგარი საბჭოთა კოლექტივის შთაბეჭდილებებში ჩაძირვა.

ამ ჩაღრმავების წყალობად მიიჩნევდა, რომ რომანში — „ჩაკლული სული“ — წინასწარვე განეჭვრიტა მოსკოვში მოგვიანებით შემდგარი უსახური პროცესების არსი.

„ნესუს პერანგში“ სიღრმეში წვდომა კიდევ უფრო გაღრმავდებოდა და პოლიტიკური ფორმულაც დადგინდებოდა საბჭოთა ადამიანის შესახებ:

— ყოველ წუთას მზადმყოფი, მაგრამ არცერთ წუთში ნამდვილი.

გაღრმავდებოდა და ნიკოს კაზანძაკისის წინაშე სიამაყე რატომ არ გამოეხატა:

„ნესუს პერანგით“ მე დასავლეთს საბჭოთა ფსიქიკის გასაღები მივეციო.

სიამაყეც და... იმედის გაცრუებაც.

გასაღები იდო და ხელს არავინ ჰკიდებდა, არამცთუ საბჭოთა ცხრაკლიტულის კარის შესახსნელად არ მოემარჯვებინათ, ცნობისწადილსაც არ ამჟღავნებდნენ, ნეტა რა არის ამისთანაო.

ზაფხულში ამ თხზულებიდან ორ მნიშვნელოვან ნაწყვეტს რომ შესთავაზებდა ერთ-ერთ პრესტიჟულ ჟურნალს, გამომცემელი მოსწერდა: ნაწყვეტებმა მომხიბლა, მაგრამ გადმოცემის სტილი, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, მეტად უჩვეულოა, ახალი და ძნელი. ის ინტელექტუალურ გემოვნებას არ აკმაყოფილებსო.

ინტელექტუალს ასე ხელაღებით უკიჟინებენ ინტელექტუალურ უგემოვნობას მხოლოდ იმიტომ, რომ გულწრფელ პასუხს გაურბიან, თუ რატომ უბრუნებენ უკან დიდი მღელვარებით შეთხზულ ფურცლებს, რომელთაც თურმე მოუხიბლავთ რედაქცია. თან იწონებენ, თან იწუნებენ და, უხერხულობა რომ დაფარონ, სიტყვათა ფეიერვერკს იშველიებენ — ყალბ ფეიერვერკს. და მწერალი გულდაწყვეტით დასძენს: გამომცემელმა ამ გამაოცებელი წინადადებებით მხარი აუბა დღევანდელ უწმინდურ ვითარებასო.

ეს ცრუ ინტელექტუალები მას მოაგონებდნენ პოლ ვალერის ბატონ ტესტს, ვისაც შექმნის უნარი არ გააჩნია და ვისი ტვინის მოძრაობაც უნაყოფოდ იფანტება გარემომცველ სამყაროში და უკან უბრუნდება გამოცარიელებულ ჩენჩოდ.

სექტემბერში გამომცემელს რომ შეხვდებოდა, გულღიად (რაც თავისი ხასიათის თვისებად მიაჩნია) ჰკითხავდა:

— დაბეჭდავდა თქვენი ჟურნალი ჩემს ნაწყვეტებს, მე რომ არ ვიყო ჰიტლერზე ყბადაღებული წიგნის ავტორი?

ის დარცხვენილი დადუმდებოდა.

საბჭოთა ფსიქიკის გასაღები გვერდით გადადო და დისკუსიის წესითაც აერიდო მის გამომზეურებას მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლური დემოკრატიული აზროვნების გადმოსახედიდან ჰიტლერზე სახოტბო თხზულებაც დასაგმობია და მისი შემქმნელიც.

რაკიღა დემოკრატობაზე დებენ თავს, იქნებ შემწყნარებლობა გამოეჩინათ და მომნანიე ადამიანისათვის ყური მაინც დაეგდოთ?

ლმობიერებას არ მოინდომებდნენ და არა.

და გრიგოლ რობაქიძე კიდევ ერთხელ უნდა აღმოჩნდეს გადაულახავი ბარიერის წინაშე.

კიდევ ერთხელ უნდა გააცნობიეროს, რომ ბოლშევიზმის ყველაზე ღრმა, თანმიმდევრული, ქრესტომათიული რანგის მხილებაც ვერ დაიფარავს, თუკი კვალში ჩაუდგებიან.

ხომ ასე წვალობს.

ასე აწყდება აქეთ-იქით და ყოველი თანამგრძნობის პოვნა ცოტათი თუ უმშვიდებს გულს.

სულიერ კრიზისს ყოფითი სირთულენიც ზედ წამატებია და ისედაც გაუსაძლის ცხოვრებას მთლად ჯოჯოხეთად უქცევს.

მაინც არსად და არასდროს ცდილობს მოიმარჯვოს ერთი არგუმენტი, რომელმაც, წესითა და კანონით, ყველაზე მეტად უნდა გაუჭრას.

მაინც რა იგულისხმება?

შიში დიქტატორულ გარემოში, შიში, რომელსაც გერმანელებიც განიცდიდნენ ნაცისტური რეჟიმის პირობებში, არამცთუ ემიგრანტი, ფეხის მოსაკიდებელი რომ არ გააჩნდა.

თუკი იმის შეთხზვა არა სურს — დამემუქრნენ, სახოტბო თხზულებას თუ არ შექმნი, ვერაფერი გიშველის, მკაცრი სასჯელი არ აგცდებაო, — ვინ გაამტყუნებს, ყოველ წამს მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მდგარი თუ თვითონვე მოჰკიდებდა ხელს ამ თემას. თავგზააბნეულ კაცს ძნელად მოჰკითხავ პასუხს. საფრთხე თავისთავად აზვიადებს მოვლენებს, მითუმეტეს — სახელმწიფო ტერორის პირობებში.

ერთი სიტყვით, მოჰყვეს მტკიცებას — არაგულწრფელი წიგნიაო.

არამცთუ ახლა დაგმოს და მოინანიოს მისი შექმნა, იმთავითვე შიშის ნაყოფად გამოაცხადოს.

განა ძნელი მოსაფიქრებელია?

მაშ რა დამართნია გრიგოლ რობაქიძეს, ასეთი მარტივი არგუმენტი გაელვებითაც რომ არ გაიელვებს მის თავისსამართლებელ ნაწერებში?

ბოლოსდაბოლოს, გადამწყვეტ მნიშვნელობას თუ არ მიანიჭებდა, სხვათა შორის მაინც ჩაერთო მსჯელობისას.

არაფრისდიდებით არ მოიმარჯვა.

არ ახსნა წიგნაკის შექმნა მუქარითა თუ შიშით.

ვერ დაარქვა არაგულწრფელი თხზულება თუნდაც ყასიდად, ტაქტიკური თუ დიპლომატიური მოსაზრებით.

არ იკადრა წიგნაკის შეურაცხყოფა.

რაც არ ყოფილა, იმას ვერ გამოიგონებდა.

პიროვნული მორალი არ დაანებებდა.

დაე მოსულიყო, რაც მოსასვლელი გახლდათ.

ისევ არარსებულ ქვეტექსტებსა თუ ბუნდოვან მინიშნებებზე ერჩივნა ყურადღების გადატანა.

ტაქტიკად თუ დიპლომატიად ესეც კმაროდა.

წრფელი იყო, ადოლფ ჰიტლერს სახოტბო თხზულებას რომ უძღვნიდა და იმ განცდას ვერ დააკნინებდა.

ზოგიერთ შეხედულებასა ან პასაჟს თუ გადააფასებდა ამჟამინდელი გადასახედიდან, აღმტაც პათოსს თუ დააცხრობდა, თხზულების მთავარი აზრი არ გაიმეტებოდა და მისი მზერა ამიტომაც წვდებოდა უფრო შორს, როდესაც მსოფლიო ომი ისტორიად გადაიქცეოდა, ის საფრთხე კი კვლავაც დამოკლეს მახვილად დაეკიდებოდა განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერების თავზე — ეროვნული ადათ-წესების, თვითმყოფადობის მოშლას ლამის რეალურს რომ გახდიდა და დიდი თავგანწირვა იქნებოდა აუცილებელი ამ საფრთხის შესაკებლად, მთლად გასაქრობადაც თუ ვერა.

ეს ტკივილები ბრუნავდა ამ წიგნაკში და გულის ამ მდუღარების გამჟღავნებისათვის როგორ დაერქმია ნაცისტთა შიშით შობილი.

...არც მაშინ დაბეჭდავდით ჩემს ნაწყვეტებსო? — ხელში შერჩენილი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური გასაღებით იდგა გრიგოლ რობაქიძე და პასუხს არც დაელოდებოდა.

იდგა მხრებჩამოყრილი, მოწყვეტილი, განმარტოებული.

დამსხვრეული ილუზიების ამარა.

და თუ ოდნავ რაიმე გამოუკეთებდა გუნებას, ნიკოს კაზანძაკისის მოკითხვის ბარათი, მზის სხივებისაგან რომ აღარც გამოერჩეოდა.

ამიტომაც მისწერდა, ძველი შეთამამება და თავმომწონეობა ჟრუანტელივით რომ დაუვლიდა სხეულში: ჩემი არწივი არა კვდება, ის მხოლოდ გარდაისახებაო.

თავი მეორე

ჰიტლერის მითოსური სილუეტი

ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი პასაჟი აქეთ მოისწრაფის — მითოსური საბურველისაკენ, შარავანდად რომ უნდა გაცისკროვნდეს და ფიურერი წარმოსახოს არამარტო სახელმწიფო მოღვაწედ და წინამძღოლად, არამედ სწორედაც კაცობრიობის მხსნელად.

ამ ძალმოსილების პიროვნებისათვის უკმარია ერთი ქვეყნის — მშობლიური გერმანიის — განდიდება.

მან მხოლოდ კაცობრიობას უნდა დაუსახოს გზა ხსნისა ქრისტიანობის განახლებით.

ის, რაც ადრეულ კულტურებში განმსაზღვრელად მიიჩნეოდა — რასა — თანდათან გაფერმკრთალდა, დაკნინდა, სულაც არასერიოზულ თემად გადაიქცა; და, აი, ჰიტლერი უნდა გამოჩენილიყო, რათა ხელახლა შთაებერა სუნთქვა რასისათვის და დაეჩქარებინა გერმანელების ხალხადქცევა. გერმანელთა ხალხადქცევას კი დედამიწის ძალები გამოეფხიზლებინა.

კი მაგრამ, გერმანელები მეოცე საუკუნის 30-იან წლებში უნდა ქცეულიყვნენ ხალხად?

მანამდე ვინ იყვნენ, თუ ხალხი არა — თუნდაც მეცხრამეტის მიწურულს ანდა მეოცის გარიჟრაჟზე?

გრიგოლ რობაქიძე ხშირად ახსენებს ისტორიას ამ წიგნაკში და ფიურერსაც ისტორიის შემქმნელად მოიხსენიებს, მაგრამ მისთვის ისტორია, არსებითად, მითოსს გულისხმობს, რომლის კანონებითაც, გმირის გამოჩენამდე მხოლოდ სიბნელეა, გარშემო არიან ადამიანები და არა ხალხი, არის საცოდავი ყოფა და არა ცხოვრება მთელი თავისი სისავსით. და რაკიღა ჰიტლერი

მითოსურ შარავანდში უნდა გაეხვეს, მაშ ისტორიაც პირობითობა უნდა იყოს და სხვა არაფერი, ისტორია — როგორც მითოსის, სულაც პარტიული მითოსის, დამატება, საკუთარ საზრისსა და განვითარებას მოკლებული და ისე შეტრიალ-შემოტრიალებული, როგორც ესა თუ ის მითი მოითხოვს. მის შეკვეცას კი ყველა მითი ერთნაირად ითხოვს, და ხანგრძლივიც და უხანგრძლივესი ისტორიაც შესაძლოა იოლად შეიკუმშოს რამდენიმე წლად, მანამდელი კი ისე უკვალოდ გაქრეს, თვალის მიდევნებაც აღარ დაგანებონ, შენთვის მაინც რომ შეინახო გულისგულში.

ყველაფერი პირველად მხოლოდ ახლა უნდა ხდებოდეს.

არა მეათასედ, მეასედ ან სულაც მეორედ, არამედ — პირველად, მხოლოდ და მხოლოდ პირველად, ასე ჩაგაგონონ, ასე გაგაბრუონ და პარტიულ მითოსს კი — სახელმწიფო მითოსის რანგში ატყორცნილს — მიზანმიმართულად ეძახონ ისტორია, თითქოს წარმოსახვა ოდნავადაც არ მონაწილეობდეს ახალი იდეოლოგიისა და პოლიტიკური რეალობის შექმნაში და ყოველივე იყოს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია — გაუზვიადებლად, გადაუსხვაფერებლად.

გმირს კი ქმნადობის პროცესის შუაგულში მიეჩინოს ადგილი.

და მის სახელს სხვადასხვა სიმბოლო რომ მიესადაგება, მათ შორის, ჭაც, ამომშრალი, ერთხანს ჩაფლული ნეტარ მყუდროებაში, მაგრამ მისი სიღრმიდან მაინც ჟინიანად უნდა მოიკვლევდეს გზას წყლის ნაკადი და ჭის წიაღი ნელ-ნელა უხმაუროდ ივსებოდეს.

მოულოდნელი გაიგივებაა?

იყოს მოულოდნელი, ოღონდ არამც და არამც გარეგნული ეფექტისათვის მოხმობილი, რადგანაც ქართველი მწერლის წინაშე თვალდათვალ ამოისახება სურათი, თუ როგორ გრძნობს სიმშვიდეში ჩაძირული, მდუმარე ჰიტლერი მის არსებაში იმ ჭასავით მომდინარე ხალხის ძალებს.

მისი ჰეროიკული მოღვაწეობა ჯერ არ დასრულებულა, მთავარი მისია ჯერაც ხორცშეუსხმელია, მაგრამ ამას ხომ უკვე მიაღწია — დიდი გერმანიის შექმნას, მისი სუვერენობის დაარსებას. და ის-

ტორიამ — დიახაც, ისტორიამ და არა ამა თუ იმ მეხოტბემ — თვითონვე მიუჩინა ადგილი მითიურ რუნებში, ძველთაძველ გადმოცემებს შეურია მისი სახელი და გერმანულ ტომთა პირველ გაერთიანებებს გამოადევნა დღევანდელ დღემდე, წამიერება მარადისობად გარდაქმნა და მარადისობა წამიერებაში ჩაწურა.

თუ ჰიტლერი მითოსურ გმირს შესტოლებია, მაშ გველეშაპთანაც უნდა მოუხდეს შერკინება.

გველეშაპის სიმბოლიკა ისედაც იგულისხმება ყოველი გმირის ცხოვრებაში, იმის მიუხედავად, უშუალოდ ამ სახითვე ეცხადება ურჩხული თუ მის ათასგვარ ვარიაციად გარდაქმნილი — ვთქვათ, ორმოდ, დილეგად... და მომავალი ფიურერის ციხეში ყოფნაც შესაძლოა ამ სიმბოლური იერით შეიმოსოს, იქიდან გამოსვლა კი — გველეშაპის წიაღის გამოფატვრად და კვლავაც სამზეოზე ამოღწევად; მაგრამ გრიგოლ რობაქიძისათვის უკმარი მოჩანს გველეშაპის გაიგივება ციხის საკანთან, ისე აუმაღლებია გმირის სახება, რომ გველეშაპიც კიდევ უფრო უნდა განაზოგადოს და დასახოს იმ ბოროტ მსოფლიო ძალებად, ჯერ გერმანელთა ხალხადქცევის პროცესს რომ აბრკოლებს და შემდგომ უკვე კაცობრიობას ემუქრება სრული გადაგვარებითა და სულიერების წაშლით.

და გველეშაპმა არა ნართაულად, უშუალოდაც უნდა გაიელვოს ხოტბის ნაკადში:

— ადოლფ ჰიტლერი ისე შეუპოვრად მოქმედებს, რომ გიჩნდება შეგრძნება: ურჩხული რომ გადაუდგეს წინ, არ შეუშინდება. დიახ, გჯერა, რომ იმ ურჩხულს დაამარცხებს.

და ამის დანახვას არა სჭირდება მაინცდამაინც პოეტური წარმოსახვა.

მთელი ქვეყნის თვალწინ თამაშდება და თანაც არაერთხელ.

გრიგოლ რობაქიძემ მხოლოდ პოლიტიკური პამფლეტის ქარგაში უნდა გადაიტანოს ეს რეალური სურათები.

დაუსრულებელია მითოსური გმირის შერკინება ურჩხულთან და მისი დათრგუნვა, ვიდრე ყველა ეს ორთაბრძოლა ერთ გველეშაპთან შერკინებად გაიგივდებოდეს. და ეს მაშინ, როდესაც

გმირის მისია ამოწურულია და ხალხი ბედნიერებისა და კეთილდღეობის კარიბჭეში შესულა.

ჯერ კი ბრუნავს ორთაბრძოლა ორთაბრძოლაზე.

და ეს ილუზია ეფინება მიდამოს თუნდაც მაშინ, როდესაც ჰიტლერი ხალხის წინაშე წამდგარა საჯარო სიტყვით და ისე მტკიცედ და გაბედულად მიმართავს მათ, რომ საკუთარ თავსა და სხვებს შორის მიჯნას ველარც გრძნობს.

ეს ორატორული ხელოვნებაა, რაც დიდი იდუმალებით იმუხტება და თვითონ ორატორი ღვთისაგან წარმოგზავნილის შარავანდში ეხვევა: ამიტომაც იწყებს მასში თავისი ქვეყნის პულსი ფეთქვას, და კვლავ და კვლავ რომ იყენებს პირის ნაცვალსახელს „მე", ეს ნაცვალსახელი ამ შემთხვევაში ხალხის ზეპიროვნულ თვითობას ნიშნავს. ამიტომაც ასხივებს მისი ფოლადივით სიტყვა უზარმაზარ ძალას და სულაც ქმედით ძალად გადაიქცევა. ამიტომაც წვდება მისი გამჭრიახი გონება ჯერ არშობილ საიდუმლოს და ლაღი ჩირაღდმტყორცნელივით ათვინიერებს ბრმა ბედისწერას.

და ის იფანიც, სადღაც რომ ხარობს და იგდრაზილი შეურქმევიათ, რეალობისა და ირეალობის მიჯნაზე ამოშოლტილა, და ნათელი ნისლი რომ დაჰფენია, მისი ჯადოსნური ძალის გამოსხივებაა, რადგანაც იქიდან მოდის ცვარ-ნამი, და ეს მარადმწვანე იფანი ბედისწერის ქალღმერთის, ურდის, ჭის ახლოს ამიტომაც ამოზრდილა.

ძველი მითოსის ფრაგმენტს ახალი მითოსის ფრაგმენტით ავსებს გრიგოლ რობაქიძე, და ვიდრე ჰიტლერის სახელი დააგვირგვინებდეს ამ ღრმა ექსპრესიით განმსჭვალულ პასაჟს, ჯერ სიმბოლოები თუ მხატვრული სახეები ისეთნაირად უნდა დატრიალდეს, რათა ახალი ფრაგმენტი ძველისაგან აღარც განირჩეოდეს და მკითხველისთვისაც სარწმუნო გახდეს, რომ ის მსოფლიო ხე კვლავაც საკვირველად ჰყვავის.

დიახ, კვლავაც:

— მის ახლომახლო ჭები არ დაშრეტილან. ორი ფრინველი, ორი გედი ბუდობს იმ ურდის ჭაში. მათი მედიდური, მელანქოლიური ცურვა უსაშველოდ ნაზი ფშვინვით ავსებს კოსმიურ სი-

ჩუმეს. იფნის კენწეროში ირმები სახლობენ. მათი კრიალა თვალებიდან გაცხადებული ყოფიერების პირველმზერა გამოკრთის. დაკუნტრუშებენ ეს ღვთისშვილები და შენს სმენას ფოთლების შარიშური აჯადოებს.

ეს ჯადოსნური ხე ქვეყნის იდუმალ სულთან გაიგივებულა და გერმანიის სახელმწიფოს ყველაზე დიდი მოამაგენი ამიტომაც მოიხსენიებიან იმ იფნის შთამომავლებად: თეოდორიხ დიდი, დითრიხ ბერნელად წოდებული; ოტო I, გერმანელი ერის წმინდა იმპერიის შემქმნელი; ფრიდრიხ II ფონ ჰოჰენშტაუფენი.

და ამ ფონზე უნდა შეერქვას ამ ხეს ადოლფ ჰიტლერის საგვარტომოც, რადგანაც „მისი მაცოცხლებელი ძალა იმ ჭიდან მოედინება, მსოფლიო იფანს რომ ასაზრდოებს".

დედამიწის ძალებს დაჟინებით, მოუწყინრად რომ იმეორებს მწერალი, როგორც უნდა ენდობოდეს მკითხველის ერუდიციასა თუ წარმოსახვას, მოვალედ მიიჩნევს თავს — სრული სიცხადისათვის — დაუზუსტოს, რომ დედამიწა გულისხმობს თავის თავში ჩაკეტილ სიცოცხლის ერთეულებს: რასას, ხალხს, სისხლს, მიწას.

და რაც მთავარია:

— დედამიწა გონის კოსმიური პლაზმაა. ჩვენს თავში ამ პლაზმის ზრდას ხელი თუ არ შევუწყეთ, მაშინ გონი თანდათან რაციონალიზირდება, ხოლო რაციოს თვალით დანახული ქრისტეს ამბავი უბრალო მონაჩმახი იქნება და სხვა არაფერი. როცა ლოგოსი ლოგიკად გარდაიქცევა, მაშინ რწმენის გარდამქმნელი ძალის საქმე წასულია.

რწმენის გარდამქმნელი ძალაო...

ნეტა მართლა თუ აქვს რწმენას გარდამქმნელი ძალა?

იქნებ ამის თქმა პირობითობაა და მეტი არაფერი, გარეგნული ეფექტისათვის გამიზნული გაზვიადება, მომხიბლავიც, რეალობის რაღაც ნატეხზე ამოზრდილიც, მაგრამ ნატეხი მაინც ნატეხია და საძირკველობას ვერ იქმს, და ილუზიის გაფანტვისთანავე გარეგნული ხიბლი ისე შემოეძარცვება, გულიც შეიძლება აგიტირდეს და სულაც სასოწარკვეთას მიეცე, რას შევხაროდი, რისი მეიმედებოდა, ოცნება და რეალობა ასე როგორ ამერდამერია ერთმანეთშიო.

გრიგოლ რობაქიძე ვერაფრისდიდებით ვერ შეეგუება რწმენის გამოცხადებას პირობითობად, რადგანაც მისთვის რწმენა სარწმუნოებაზე აღმატებული რამ არის, უნამდვილესი სინამდვილე, და ჯერ კიდევ „გრაალის მცველებში" ღაღადებდა პერსონაჟის ბაგით: ღმერთი რაიმეს წარმოიდგენს თუ არა, მაშინვე ჩნდება რაღაც. ქმნადობის ეს ძალაა რწმენის საიდუმლო. აქ მხოლოდ სარწმუნოება ვერას გიშველის... თანამედროვე კაცობრიობა მხოლოდ ამ რწმენის ქმედითი ძალის ნაკლებობით იტანჯებაო.

და თანამედროვე ადამიანების შემყურეს ძალაუნებურად ახსენდებოდა სახარების ერთი პერსონაჟის სიტყვები:

— მრწამს უფალო, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა.

და გამორჩეულად აღიტაცებდა ფიურერის ის ფრაზა 1936 წლის 29 მარტს წარმოთქმული წინასაარჩევნო სიტყვიდან, როგორც ღრმააზროვანი და შუქმფინარე:

— მე ერს რწმენა განვუმტკიცე, ახლა ვიმედოვნებ, ერი მე განმიმტკიცებს რწმენას.

ისიც ეთქვა: სამი წლის მანძილზე მე ვაძლევდი გერმანელ ხალხს ძალას, ახლა ველოდები, გერმანელმა ხალხმა თავის მხრივ მე მომცეს ძალაო, — და კიდეც ასდევდა ამ პასაჟს გრიგოლ რობაქიძის დითირამბი:

— იგი ხალხის ენერგიებს განასხეულებს და მისი პიროვნული არსიც იმ ენერგიებით იკვებება. იგი ამას საკუთარი სულის სიღრმეში გრძნობს... მხოლოდ მას, ვინც თავისი სულის იდუმალ სიღრმეში დაძაბულობის ფასად უზრუნველყოფს პიროვნული თვითობისა და მთელის ნების ფასად ნაყოფიერ ურთიერთზემოქმედებას, მხოლოდ მას ძალუძს ბედნიერების მომნიჭებელი ღვთიური ჟრუანტელით ატანილმა მიადევნოს თვალი ამ ენერგიების მიქცევა-მოქცევას.

გულს ვერ იჯერებდა ამ შესხმით და დოქტორ გებელსის შთაბეჭდილებასაც საგანგებოდ დაიმოწმებდა, ვისაც ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს გერმანია ყველა ფენის, პროფესიისა და კონფესიის მომცველ დიდ ღვთის სახლად გადაქცეულიყოს, სადაც მათი მფარველი ყოვლადძლიერის მაღალი საკურთხევ-

ლის წინაშე ნებისა და საქმის დამადასტურებელი სიგელის მოსაპოვებლად იღვწოდა და თან უზენაესს წყალობასა და შეწევნას ევედრებოდა იმ მომავლისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვეველად და ბუნდოვნად იდო გერმანელი ხალხის თვალთა წინაშე.

მის რწმენას ქრისტიანული მოძღვრება ასაზრდოებდა და გრიგოლ რობაქიძისათვის უზარმაზარ პრობლემად წარმოდგებოდა ჰიტლერის მსოფლგანცდის შინაგანი მიმართება ქრისტიანულთან, იქნებ ამ ურთულეს თემას ოდესმე კიდეც შეჭიდებოდა, პოლიტიკური სინამდვილე სულ სხვა გეზით რომ წარმართულიყო, მაგრამ იმ დაუწერელი თხზულების ერთ-ერთ მთავარ თეზისს ამ პოლიტიკურ პამფლეტშიც გაამჟღავნებდა: დედამიწის ძალთა გამოღვიძებას შეიძლებოდა ქრისტიანობის განახლებისათვის ოდესმე დიდი სამსახური გაეწიაო.

უფალს არ უტოლებდა თავს ადოლფ ჰიტლერი.

მის მოციქულობას კმარობდა.

ფრიდრიჰ ნიცშეს ზეკაცში საკუთარი თავის ამოცნობას რომ ლამობდა ფიურერი და ადამიანთა ახალი მოდგმის გზის გამხსნელად ესახებოდა თავისი ღვაწლი, თვალს არიდებდა „ესე იტყოდა ზარატუსტრას" იმ მთავარ თვალსაზრისს, რაზეც ამოშენებულიყო ეს რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა: ღმერთი მოკვდა.

ზეკაცი ხალხს ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში თუ მოევლინება.

და მის ადგილსაც მხოლოდ მაშინ დაეუფლებოდა.

მიწის აზრად გამოცხადდებოდა ზეკაცი და მიწის ერთგულება ზეკაცის ერთგულებას გაუიგივდებოდა.

ასე აუხსნიდა ზეკაცის ბუნებასა და მისი გამოცხადების საიდუმლოს ზარატუსტრა ადამიანებს.

გასწავლით ზეკაცსო, — შეღაღადებდა და არწმუნებდა: ადამიანი რაობაა, რომლის ძლევაც აუცილებელია. და თქვენ რას იქმთ მის დასაძლევადო?

საკუთარ არსებას უნდა გამოსცლოდა ადამიანი, სრულიად გარდაქმნილიყო და ახალი ადამიანის სხეული შეემოსა. რასაც

ოდესღაც იესო მაცხოვარი პირდებოდა კაცობრიობას: ქრისტიანები ახალ ადამიანებად, სამყარო კი ახალ ზეცად და ახალ მიწად გარდაესახა, — ზეკაცს უნდა ეტვირთა ეს მისია უღმერთო საზოგადოებაში.

მე მხოლოდ ელვის მაუწყებელი ვარ და ღრუბლის მძიმე წვეთიო, — თავის დანიშნულებას ასე გაუმჟღავნებდა ადამიანებს. ხოლო სახელი ამა ელვისა სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა ზეკაცი.

ხალხს ჯამბაზის გამოჩენა უფრო ახარებს და ზარატუსტრას ქადაგებას აღარც უსმენს და, თუ ზეკაცის სახელი მიწვდა იმათ ყურს, მაშინვე ივიწყებს?

და ზარატუსტრას ქადაგებათა კრებული მწარე ვალალებაა, რომ ზეკაცის მოვლინებას საზოგადოება სრულიად მოუმზადებელი უნდა დახვდეს და ახალ ადამიანებად მათი გარდაქმნა ძალიან გაძნელდება?

გზა ხომ მაინც არის მინიშნებული ნიცშეს მოძღვრებით და იქნებ საზოგადოებასაც ადრე თუ გვიან თვალნიც აეხილოს და სასმენელნიც გაეხსნას.

აუცილებელია ახალი ადამიანი, ღვთის სიკვდილს გულმშვიდად რომ შეეგუება და სამუდამოდაც მიივიწყებს.

საბჭოთა იდეოლოგიის მრწამსი და მორალი რის დამკვიდრებასაც ესწრაფოდა.

რა გამოდის? —

სტალინი უფრო ნიცშეანელია, ვიდრე ჰიტლერი?

რუსული ბოლშევიზმი უფროა „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ იდეალის ხორცშესხმა რეალობაში, ვიდრე გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი?

არადა, სტალინი კრძალავს ფრიდრიხ ნიცშეს სახელსაც და ზარატუსტრას ქადაგებათა ამ კრებულსაც.

ჰიტლერი თავის სამაგიდო წიგნად სახავს, ავტორის სახელს კი განადიდებს.

ბოლშევიზმი ცეცხლითა და მახვილით დასდევს მის ყოველ გაელვებას.

ნაციონალ-სოციალისტები მის მიმდევრებად აცხადებენ თავს.

ღმერთსმოკლებულ საზოგადოებაში უფლის შენაცვლება ზეკაცით ანუ ბელადით ყველაზე მახლობელი ლენინისა და სტალინისათვის აღმოჩნდება.

და იესო ქრისტეს ცხოვრების გარეგნული მოდელის განმეორებას რომ შეეცდება საბჭოთა იმპერატორი და კომუნისტური პარტიის ისტორიას სახარებათა თარგზე მოჭრის, მთავარ გმირს ზეკაცის თვისებებით აღჭურავს და არა ღვთის მოციქულისა, რაც ადოლფ ჰიტლერისათვის გახლდათ ყველაზე მახლობელი გარსი პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე.

აფრიალებდა „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ფიურერი, პარტიულ რელიგიადაც მოიმარჯვებდა და მეორე მსოფლიო ომი გერმანიის ტრიუმფით რომ დასრულებულიყო, ისევე გავრცელდებოდა ნიცშეანელობა, როგორც საბჭოეთის გამარჯვებამ მარქსიზმი განამტკიცა ახალ რელიგიურ მიმდინარეობად.

აფრიალებდა, მაგრამ მიაყრუებდა ღმერთის სიკვდილის იდეას.

და რაკიღა უფალი კვლავაც განაგებდა სამყაროს, შემცვლელიც აღარ სჭირდებოდა.

ზეკაცს — ანუ საკუთარ თავს — ახალ მოციქულად აღიარებდა.

და ადამიანთა გარდაქმნასაც მას მიანდობდა ანუ თვითონ ითავებდა.

სტალინი საკუთარი, მხოლოდ საკუთარი ნებით აშენებდა ახალ ადამიანთა საზოგადოებას.

ჰიტლერი უფლის ჩაგონებით ხსნიდა მიზანს ადამიანის ფერისცვალებისა.

მორწმუნე საზოგადოების წინამძღოლად ამიტომაც აცხადებდა თავს და ქრისტიანობის განახლებისათვის ყველაზე დიდ მებრძოლად.

ნეტა დასცლოდა გრიგოლ რობაქიძეს და ხელთ გვქონდეს მისი ის განზრახული თხზულებაც, თუ როგორ მიემართება ჰიტლერის მსოფლხედვა ქრისტიანულს... თუმც დაცლოდა კი არა, ეს წიგნაკიც საბედისწეროდ გადაქცეოდა და გამუდმებულ შიშში ამყოფებდა, რა მომელის, რას მიმზადებენ, რას შემამთხვევენო.

პირველმდგენის არსის წარმოსაჩენად ცალკე ქვეთავს დაისაჭიროებდა, რათა ყველა ნაკადი იქ შეკრებილიყო, სადაც ჰიტლერის სახება ახლა ამ ამაღლებულ სიტყვიერ გარსში მოექცეოდა: „მის

სტიქიაში მარად სასიკეთო ინტერფერენციის სახით შემოქმედებითად იძვრის ცალკეულ ადამიანსა და პირველმდგენს შორის დაძაბულობის შემქმნელი ცეზურა“ — და ამ ფონზე ჩაერთვოდა ქართველთა ხსენებაც, მათი პირველმდგენისაც — კარდუსი, და კიდევ თბილისისაც, მცხეთისაც, მზეს განდობილთა საკულტო სალოცავებისაც, წმინდა ნინოსა და მის მიერ ვაზის ნასხლევისაგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრისაც და, მისთვის ამ უძვირფასეს სახელთა ჩამოთვლას ნუხილიც მოსდევდა, პირველმდგენი დასაშრეტად განწირულა და ამ ხალხის ცნობიერებაში ფესვებს მწარე შიში ღრღნისო.

ნუხილი რეალობას გამოუწვევია, მაგრამ სასონარკვეთაში არ გადაზრდილა და არც გადაიზრდება, რადგანაც ჰიტლერის პიროვნებაში ეძიებს საქართველოს ხსნას, სტიქიონურ ძალთა იმ ამოძრავებასა და მოსალოდნელ დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებაში, ფიურერის გამოსვლას რომ გამოუწვევია საქვეყნო ასპარეზზე; და ამ ცვლილებებს ქართული მოდგმის იმ დაშრეტილ ძალთა ხელახალი აღორძინება უნდა მოჰყვეს და ხალხის ცნობიერებიდანაც თანდათან ამოიშანთოს ის მწარე შიში, ვაითუ გაგვიქრეს ეროვნული ზნე-ჩვეულებანი და სამუდამოდ მოვწყდეთ ისტორიულ ფესვებსო.

და თხრობა-ანალიზისას ის ეპიზოდიც გაიელვებს, ბერლინიდან იენაში მგზავრობისას როგორ შეხვდება მწერალი დედაშვილს, რომელნიც თანამგზავრს დამწუხრებას შეატყობენ და გული არ მოუთმენთ, რომ არა ჰკითხონ: რა შეგემთხვათო. და უყვებათ გრიგოლ რობაქიძე, ახლახან თბილისში როგორ დაუხვრიტეს მეგობრები, მისი სამშობლოს მზეკაცები, რომელნიც მისთვის ძმებზე მეტი იყვნენ. ქალი თანაგრძნობით აღივსება და დადუმდება, გოგონა კი უცნაური სახით დიდხანს და სერიოზულად რომ მისჩერებია, კონვერტიდან სათუთად ამოიღებს რამდენიმე ღია ბარათს და დამწუხრებულ კაცს დაათვალიერებინებს. — აი ფიურერის სახლი, — ჩურჩულებს იგი სიყვარულით სავსე ხმით, — აი, თვითონ ფიურერი.

გრიგოლ რობაქიძე ამ თითქოსდა უბრალო საქციელს ერთბაშად აღიქვამს სამოთხისებურ სიახლოვედ და რაღაც ღმერთ-

თან სიახლოვისებურადაც, რადგანაც გრძნობს, რომ გოგონა ამ სურათებით შეუმჩნევლად მის ნუგეშისცემას ლამობს.

და როდესაც ქართველი მწერალი ბავშვის ამ გაუცნობიერებელ, იმპულსურ საქციელს ასერიგად განაზოგადებს და აღამაღლებს, გამჭვირვალე ხდება ამ ეპიზოდის ღრმა ქვეტექსტი, შემთხვევითობაში სწორედაც ღვთაებრივი მინიშნების ანარეკლი — გოგონა ჰიტლერის ხსენებით, მისი ფოტოსურათების თვალიერებით აგრძნობინებს მისთვის უცნობ პიროვნებას, რომ ვიდრე ფიურერი ცოცხალია, საშიშიც არაფერია — არსად და არავისთვის, იგი ყველგან დათრგუნავს ბოროტებას და აღარც ამ უცხო კაცის სამშობლოში მოელოდებათ მზეკაცებს ჩახოცვა.

რეალობის ეს ნატეხი იმ ქვეთავში ჩნდება, „ცეცხლოვანი სასმელი" რომ დარქმევია.

ეს სიტყვათშეთანხმება რას უნდა გულისხმობდეს?

გრიგოლ რობაქიძე კი არ გვაგრძნობინებს, უშუალოდ შიფრავს: სამშობლოაო. ოღონდ სამშობლო — ადოლფ ჰიტლერის პირით წარმოთქმული, მოღვაწისა, ვინც „ამ საკვირველ სიტყვას ჭეშმარიტად დაუბრუნა თავისი პირვანდელი აზრი".

ასე ქცეულა იმისთვის სამშობლო ცეცხლოვან სასმელად.

და ამიტომაც მოწოდებულა, რომ სხვათათვისაც ხელშესახები გახადოს სწორედ ეს პირვანდელი აზრი და ცეცხლოვანი სასმელის იდუმალი დვრიტა განაცდევინოს.

მაინც ვის შეუძლია შეიცნოს და იგრძნოს ფიურერის მიერ წარმოთქმული ამ სიტყვის — „სამშობლო" — ძლევამოსილება?

ავტორი ზოგადად მიანიშნებს უიარაღოს მოთხრობაზე „მამელუკი". მისი მოხსენიება გერმანელსა თუ გერმანულენოვან მკითხველს არაფერს ამცნობდა, ამიტომაც იკმარებდა მისი წარმომავლობის აღნიშვნას („ერთი ქართული ნაწარმოები") და მის სიუჟეტურ მონახაზსა და ფინალურ სტრიქონებს, იმას, რაც ყველა შეგნებული ადამიანისათვის უნდა იყოს გულის შემტოკებელი და დამაფიქრებელი.

XVIII საუკუნის მიწურულს სამეგრელოდან, საქართველოს ამ ერთ-ერთი კუთხიდან, ორ ბიჭუნას გაიტაცებენ, რადგანაც ეს საზიზღარი ვაჭრობა აქ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილიყო. ისინი

ერთხანს ერთად ცხოვრობენ, შემდეგ კი ერთმანეთს დააშორებენ და, აი, 1798 წელს, ეგვიპტეში ნაპოლეონ ბონაპარტეს ლაშქრობისას ერთი ამ დიდი მხედართმთავრის არმიაში აღმოჩნდება, ხოლო მეორე — ლომგულ მამლუქთა ბანაკში. პირამიდებთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთი მათგანი ბრძოლის ველზე რომ დაეცემა, სასიკვდილოდ განწირულს ერთი სიტყვა აღმოხდება: ნენა.

და გრიგოლ რობაქიძე უცხოელ მკითხველს განუმარტავს, რომ ეს დედის საალერსო სახელია, ერთადერთი სიტყვა მშობლიური ენისა, რომელიც გმირს დაწნეხილი სულის სიღრმეში შემორჩენოდა და, როგორც დაუნაწევრებელი ბგერებისაგან შემდგარი გმინვა, ისე განიბნა მისი ხმა კოსმიურ სივრცეში.

განა ვის შეუძლია სულის ჩაწნეხილი სიღრმიდან ამოჭრილი მშობლიური სიტყვა დაუნაწევრებელ ბგერათაგან განარჩიოს?

არავის იმ ერთადერთი კაცის გარდა, ვინც მისი ოდინდელი მეგობარია და მის გულშიც მშობლიური ენის ეს სიტყვაა შემორჩენილი. თავზარდაცემულს სულთმობრძავის ხრიალი რომ ჩაესმის, ტკივილს უორკეცებს იმის შეგნება, რომ მისი ბედის მოზიარე ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარი ხმლით განუგმირავს... მაშინ კი სასოწარკვეთილი ყვირილი უნდა აღმოხდეს და ამ ყვირილში წუთისოფელთან გამოთხოვების გმინვა, გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით, სულაც წუთისოფლის წყევლა-კრულვად უნდა გარდაისახოს.

ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ, — ამ ნაღვლიან კილოზე მთავრდებოდა უიარაღოს ის მოთხრობა, ქართველი ყმაწვილების ფიქრებსა და ოცნებებს რომ შეუზავდებოდა. ნაღველი მხოლოდ მიანიშნებდა იმ ერთგვარ პათეტიზმს, რაც „გველის პერანგის" შემოქმედისათვის წუთისოფლის წყევლა-კრულვას ნიშნავდა, იმ ტრაგედიას, ქართველი მეომრები უცხო ბაირაღების ქვეშ რომ ღვრიდნენ სისხლს წლიდან წლამდე და საუკუნიდან საუკუნემდე და უმძიმეს ყოფას დასასრული არ უჩანდა.

მაგრამ იქნებ მოახლოებულიყო ამ მეტისმეტად გაჭიანურებული ტრაგიკული რეალობის დასასრული?

იქნებ ხელისგაწვდენაზეც მოჩანდა, და ნუგეშისმცემლის სახებად კი ის პიროვნება ამოზრდილიყო, ვინც ამ საკვირველ სიტყვას — სამშობლო — თავის პირვანდელ აზრს უბრუნებდა და ცეცხლოვანი სასმელისაგან აღარც განერჩეოდა.

ზედ გადაებმოდა ქართული მოთხრობა და ფიურერისეული განცდა სამშობლოსი ერთმანეთს გრიგოლ რობაქიძის წარმოსახვაში და ამ პოლიტიკური პამფლეტის შექმნით მხოლოდ იმას ესწრაფოდა, ეს დაკვირვება სარწმუნო გაეხადა სხვათათვისაც.

ასე მაინც როგორ დაახლოებოდნენ ერთმანეთს უიარაღოს პერსონაჟები და ჰიტლერი?

წუთისოფელს სჩვეოდა ათასგვარი პარადოქსი და გამოცანა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე ამ კუთხით სულაც არ ახსნიდა ამგვარ სიახლოვეს, მისთვის ესეც ღვთაებრივი კანონზომიერების გამოვლენად მოჩანდა და, გონების თვალით რომ აღიდგენდა „მამელუკის" ფინალსა და მთავარი გმირის სასოწარკვეთილ გმინვას, ძალდაუტანებლად ამოესახებოდა მზერის წინაშე ცეცხლოვანი სასმელიც — პირვანდელ შინაარსს დაბრუნებული:

— ვისაც ეს ტკივილი ძარღვს არ შეუტოკებს, იგი სიტყვა „სამშობლოს", ფიურერის მიერ წარმოთქმულს, ვერასოდეს გაიგებს.

კი მაგრამ, რაკილა ადოლფ ჰიტლერისათვის ძვირფასია მისი სამშობლო, სხვათა სამშობლოებსაც მოკრძალებით მოექცევა?

დაპყრობითი ომები განა ითვალისწინებს სხვათა სამშობლოების გაფრთხილებას?

გრიგოლ რობაქიძეს საქართველოს მხსნელადაც რომ ესახება ფიურერი და გულისფანცქალით მოელის, როდის დაიძრებიან გერმანიის ჯარები საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგაც, ნუთუ მართლა სჯერა, რომ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მიანიჭებენ მის სამშობლოს და აღუდგენენ სახელმწიფოებრიობას?

ჯერ ისიც ძნელი განსაჭვრეტია, შეიქმნება თუ არა საქართველოში ძლიერი წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც დასაყრდენი აღმოჩნდება გერმანელთა წინსვლისათვის და სანაცვლოდ კი ეს მინა-წყალი რბევასა და აოხრებას გადაურჩება.

იმედი უთუოდ ექნებოდა, ახსოვდა 20-იანი წლების მძაფრი საპროტესტო გამოსვლები და 1924 წლის აჯანყება, რომლის შემდგომაც ზედაპირზე აღარ მოჩანდა ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ხელსაყრელი პირობები დაგუბებულ ჟინსა და იატაკქვეშა წინააღმდეგობას უსათუოდ ამოზიდავდა მზის სინათლეზე, უკეთესი პირობები კი რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა გერმანელთა გამოჩენა იმ კაცის წინამძღოლობით, ვისაც მოეხსენებოდა სამშობლოს ჭეშმარიტი ღირებულება და იმ ადამიანებზე მეტად მაინც არ გაიმეტებდა სხვათა ადათ-წესებსა და თვითმყოფადობას, რომელთაც ეროვნული ფესვები საერთოდ არ გააჩნდათ და სამშობლოს ცნებაც არაფრისმთქმელ, ყავლგასულ ფუჭსიტყვაობად მიაჩნდათ.

ამიტომაც შეჰხარის ფიურერის ყოველ გამოჩენას ხალხის წინაშე, გერმანელებივით ყლაპავს მის ყოველ სიტყვას, ყოველ დაპირებასა თუ აღთქმას და რეალობა და ოცნება აღარც განერჩევა ერთმანეთისაგან.

ამ განცდის ათინათი დასთამაშებს წიგნაკის ყოველ ფურცელს.

ნუთუ ამ ოცნების მიღმა გადახედვა არაფრისდიდებით არა სურს და თავით ფეხამდე მის ხიბლში ჩაძირულა?

ნუთუ დროდადრო მაინც არ დააეჭვებდა გონება, იქნებ ასე ბედნიერადაც არ წარიმართოს ოცნებანი და ჰიტლერი სულაც არ მოევლინოს მხსნელად საქართველოს, გახსოვს, რა იმედებს უკავშირებდა XIX საუკუნის დამდეგის ქართველობა ნაპოლეონ ბონაპარტეს ვარსკვლავის ამობრწყინებას, რაღა მისი წინსვლა და რაღა მესიის მოლოდინი, მაგრამ აკი ამაოდ ჩაიშრიტა ის ოცნებაო?

ბოლოსდაბოლოს, ყველაზე უარესიც რომ ეფიქრა:

ჰიტლერს ოდნავადაც არ შეტოკებოდა გული საქართველოს ბედკრული ხვედრით და მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის კი არ მომცდარიყო, არამედ ეს მიწა-წყალი მხოლოდ მიეკაუთრებინა რუსეთისაგან და, ნაცვლად საბჭოთა პროვინციისა, გერმანიის პროვინციად გადაექცია.

მაშინაც ის სიკეთე მოჰყვებოდა ერთი ბატონის ხელიდან მეორე ბატონის ხელში გადანაცვლებას, რომ ქვეყანა დროს მოი-

გებდა, ასე სასიცოცხლო, ასე სანუკვარ დროს — გარუსების გზაზე საუკუნე-ნახევარია შევმდგარიყავით და ძლიერად უჭერდა ხალხს ყელში ეს ყულფი, თავქვეზე თავის შემაგრება სულ უფრო ძნელდებოდა და ეროვნული გადაგვარებაც თვალდათვალ ხდებოდა რეალური.

გერმანელთა დამკვიდრება ამ საშიშროებას ერთბაშად აგვარიდებდა.

გარუსება გაგერმანელებით შეიცვლებოდა?

სანუკვარი და სასიცოცხლო დროც ეს იყო — სულის მოსათქმელი.

ადვილად ვერც გაგერმანელებით გაგვაგერმანელებდნენ, ათწლეულები უნდა გადავლილიყო, ვიდრე საფრთხე რეალური შეიქნებოდა, და ვიდრე ყელში ძლიერად მოგვიჭერდა ეს ახალი ყულფიც და იმ თავქვეზეც დავეშვებოდით, მანამდე კიდევ ბევრი რამ მოხდებოდა.

იქნებ სულ შეცვლილიყო მსოფლიო-ისტორიული წესრიგი.

იქნებ დასრულებულიყო ჩვენთვის საბედისწერო ჟამი.

იქნებ ამასობაში სხვა სახელმწიფო დაწინაურებულიყო და სხვას მოენდომებინა ჩვენს მიწა-წყალზე დამკვიდრება.

დრო გვიშველიდა.

დრო ახლაც მშველელად მოჩანდა და გრიგოლ რობაქიძის ეჭვსაც — თუკი შიგადაშიგ აუფაჩუნდებოდა — ეს ფიქრი და განცდა აცხრობდა.

და ძალდაუტანებლად გადაინაცვლებდა გულისყური ჰიტლერის მგზნებარე ღაღადისიდან „მამელუკის“ პერსონაჟის სასოწარკვეთილ ყვირილზე და იმისი სასოწარკვეთილი ყვირილიდან ფიურერის ღვთიური ჟრუანტელით აღვსილ სიტყვებზე.

და წრფელია გრიგოლ რობაქიძე: ამ დაბალ ხმას მილიონობით ადამიანთან ერთად მეც გულმხურვალედ ვუსმენ. დროგამოშვებით სიტყვებს თავს ვანებებ, მხოლოდ შინაგან ენას ვაყურადებ და უცნაურ ხილვას ვეღარ ვეშვებიო.

ეს ხილვა საქართველოს მიწა-წყალზე გერმანელ ჯარისკაცთა გამოჩენა და გერმანული ბაირაღების აფრიალებაა.

ქართველი მწერალი ადგენს ისტორიულ ქრონიკებს და უფრო ოცნების თარგზე გააწყობს, გერმანიის სახელმწიფოს მეთაური კი ქმნის ისტორიას... მაგრამ ქმნის მისთვის საბედისწერო ჟამამდე.

ჯერ კი ღვთის მოციქულივით შემართულა ტრიბუნაზე.

გულმხურვალედ მისჩერებიან მილიონები.

და მათში ჩაკარგული ქართველი მწერალი დროდადრო სიტყვებს თავს ანებებს და მხოლოდ შინაგან ენას აყურადებს.

და არ ეშვება უცნაური ხილვა.

თავი მესამე

მუსოლინის მითოსური სახება ან დ'ანუნციოს დამსხვრეული ფრთები

გარეგნული სქემა აქაც განმეორებულია — ბენიტო მუსოლინისადმი მიძღვნილ თხზულებაში.

აღარ ეძიებს გრიგოლ რობაქიძე ახალ კომპოზიციურ სტრუქტურას.

ეტყობა, ბედნიერ მიგნებად სახავს, ფიურერი ჯერ ზოგადი იერით რომ ჩნდება მისი წიგნაკის ფურცლებზე და ზოგადი კონტურებიდან უპირველესად მისი მზერა გამოირჩევა, რაღაც უჩვეულო, არაამქვეყნიური და მომნუსხველი, შემდეგ კი — ხმა, ათასები, ასიათასები და სულაც მილიონები რომ უნდა დაიმორჩილოს. და რეალობა და იდუმალება ერთმანეთს შეერიოს, ყოფითი ეპიზოდები გაზვიადდეს და განზოგადდეს და თანამედროვე პიროვნებამ მითოსში გადაინაცვლოს.

მიგნებად სახავს და აღარ უშინდება, ვაითუ განმეორებამ ერთფეროვნების საფრთხე შექმნასო, ამიტომ დუჩეც ზუსტად ისევე გამოჰყავს თხრობის ასპარეზზე — ჯერ მზერა უნდა გამოირჩეს მისი ზოგადი იერიდან, შემდეგ კი ხმის დამატყვევებელი ძალისაგან მოგვრილი შთაბეჭდილება სურს გადმოგდოს და თვალნათლივ წარმოგიჩინოს, თუ როგორ უცისკროვდება ხალხს — მითუფრო ახალგაზრდობას — სახე მუსოლინის სინათლის სხივით.

„მზიურნიშნეული" — ქვესათაურად ეს ხატოვანი სიტყვა გაუტანია და დუჩეს მითოსს თავით ბოლომდე მზის ნათელი მსჭვალავს, ოღონდ ამ წიგნაკის გადაკითხვამ შეუძლებელია არ დაგაეჭვოთ — არის თუ არა ეს თხზულება ჟანრობრივად პოლიტიკური პამფლეტიო.

რა მნიშვნელობა აქვს, ლიტერატურისმცოდნეობა რომელ ჟანრს უფრო მიუსადაგებს.

და თუ დარქმევია პოლიტიკური პამფლეტი, ერქვას, მითუმეტეს, ერთი შეხედვით უცნაური არც არაფერია.

აგერ გარეგნული სქემა სულაც განმეორებულა.

თემატურადაც „ადოლფ ჰიტლერს" აგრძელებს.

ის კი არა, უერთმანეთოდ ვეღარც წარმოგვიდგენია — დაწყვილებულიყო ეს ორი პიროვნება პოლიტიკურ ასპარეზზე და, ბუნებრივი მოჩანს, რომ მათი განმადიდებელი თხზულებანიც დაწყვილებულა.

და ერთდროულადაც შექმნილა.

რაკიღა ერთიან რკალს შემოსწერენ, ჟანრობრივადაც ბარემ ერთნაირად განისაზღვრონ და ნუღა გამოვედევნებით ზედმეტ დაზუსტებებს — ორივე კვლავაც პოლიტიკურ პამფლეტად მოვიხსენიოთ, როგორც აქამდე.

შეცდომა ნამდვილად არ იქნება.

და მაინც:

ჟანრის დადგენა ზედმეტი იმიტომაც არ უნდა იყოს, რომ, თუკი „მუსოლინი" ჰიტლერისადმი მიძღვნილ თხზულებასთან ერთად უახლოვდება პოლიტიკური პამფლეტის ჩარჩოს, ცალკე პირწმინდად ლიტერატურული ნარკვევია, მთლიანად ჩაფლული მხატვრულ ძიებათა ანალიზში და დუჩეს სახელი საბაბი უფროა მწერლისათვის საკუთარ თავსა თუ ეროვნულ ფსიქიკაში ჩაძირვისათვის.

„ადოლფ ჰიტლერის" პოლიტიკურ-პროპაგანდისტული დანიშნულება აქ შენაცვლებულია ლიტერატურული განსჯით და ამ კუთხით ავსებს და აგრძელებს იმ წიგნაკში მონიშნულ დაკვირვებათა წრეს.

ბოლოსდაბოლოს, ბენიტო მუსოლინი გამოცალკევებულად, დამოუკიდებლად ვერ მოევლინებოდა მხსნელად საქართველოს, ამ თვალსაზრისით მას მხოლოდ ჰიტლერის მოკავშირეობა აქცევდა ჩვენი ქვეყნის მფარველადაც და, თუ გრიგოლ რობაქიძე ხელს მოჰკიდებდა მისი სახოტბო თხზულების შექმნასაც, უფრო იმიტომ, „ადოლფ ჰიტლერსაც" ისევე არ ეგრძნო

თავი განცალკევებულად, როგორც თვითონ ფიურერი არ გრძნობდა მარტოსულობას, რაკიღა იმედად ბენიტო მუსოლინი ეგულებოდა.

და ისიც აახლოვებდა ამ ორ პიროვნებას — გარდა პოლიტიკური მიზნებისა — რომ სამშობლოს განცდას ორივე ერთნაირად მოენუსხა და თავთავიანთი სახელმწიფოს ძლევამოსილად დამკვიდრებას ესწრაფოდნენ ევროპაშიც და მთელს სამყაროშიც.

სამშობლოსათვის მუსოლინისაც დაებრუნებინა თავისი ჭეშმარიტი აზრი, მისი საკვირველება შეეცნო, ხალხის დვრიტასაც ჩაწვდომოდა და ეროვნული შეგნება სახელმწიფო ცნობიერებისა და მორალის საძირკვლად ექცია.

აკვირდებოდა დუჩეს გარეგნულ იერს, უღრმავდებოდა მის ბიოგრაფიას და ეს უცხო კაცი თანდათან ისეთი მახლობელი ხდებოდა გრიგოლ რობაქიძისათვის, ეგონა, „გრაალის მცველებში“ უკვე მაქვს მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატული, ახალი იტალიის ამ მზმელისაო.

რა იგულისხმება?

მეტეორის ნამსხვრევი გდია უჩვეულო სიმშვიდით მინდორზე, ოღონდ ეს სიმშვიდე ჩვეულებრივად დაგდებული ქვის სიმშვიდესთან კი არ გაიგივებულა, არამედ ისეთ შთაბეჭდილებას გიტოვებს, თითქოს ზეციდან ჩამოვარდნილი ქვა უეცრად მოგებულიყოს გონს და ახლა დაჟინებით ელოდეს რაღაცას. და შენ კი აზრი აგეკვიატება, შესაძლოა შავი ნამსხვრევი ერთბაშად ცეცხლის ენებად აინთოსო.

ეს ის პასაჟია გრიგოლ რობაქიძის რომანიდან, იმ პერსონაჟის სახება რომ უნდა მოიყოლოს, ვინც დამგვანებია უნებურად მუსოლინის:

— უზარმაზარი მუქი თვალები ისე უელავდა, იფიქრებდი, შიგ რვალი გამორევიაო, ბინდბუნდისას კი მათში მოცისფრო სხივი გამოკრთოდა. ამ თვალებში მუდმივად იმალებოდა ენით-გამოუთქმელი სევდა, მაშინ, როდესაც სოლისებურად წამახული პირის კუთხეებში ურყევი მხნეობა იკვეთებოდა... როდესაც სახეზე ღიმილი ეფინებოდა, უმალ გრძნობდი, როგორი ჩვილი

გული ჰქონდა... მასთან შეხვედრისას გრძნობდი, რომ მსხემი იყო და, როდესაც ელაპარაკებოდი, უხერხულობა გეუფლებოდა... ისეთი გრძნობა გქონდა, ეს-ესაა ცეცხლს ამოაფრქვევსო; სადაც უნდა გამოჩენილიყო, ყველგან სახიფათო დაძაბულობის ველს ქმნიდა, და ეს ველი თვითონ მისთვისაც და გარშემომყოფთათვისაც საშიში ხდებოდა.

მართლა ასე უნებურად დამთხვეოდა პერსონაჟი რეალურ პიროვნებას?

ბოლოსდაბოლოს, მეტ-ნაკლებად მსგავსი ხასიათები ყველგან შეიძლება დაიძებნოს, მითუმეტეს, თუკი საგანგებოდ მოინდომებ; ოღონდ ამჯერად ქართველ მწერალს ის კი არ ახარებს თუ აფორიაქებს, რომ იტალიის სახელმწიფოს წინამძღოლში თავისი პერსონაჟის თვისებებს ჭვრეტს, არამედ საერთოს რომ ჰპოვებს ქართულ და იტალიურ ხასიათებს შორის და სულიერ სიახლოვეს კიდევ უფრო მძაფრად განიცდის იმ პიროვნებისადმი, ვინც მფარველობას ჰპირდება ეროვნულ ზნე-ჩვეულებათა ერთგულთ, არა მხოლოდ იტალიელ, არამედ ყველა მიწა-წყლისას, მითუმეტეს — სახელმწიფოდაკარგულ ხალხებს.

ანტიკურ დროებაში რომ გადაიტანდა მზერას, იმ იდუმალ ნიშანსაც გამოარჩევდა, ელვას რომ გულისხმობდა, და მუსოლინის შემყურეს ისეთი განცდა იპყრობდა: მას საკუთარ თავზე გამოუცდია ელვის ეს გამანადგურებელი დარტყმაო. ელვადაკრული ელვითშეპყრობილად გარდაისახებოდა და მისი არსების უჩვეულო პოლარიზებასაც ის გამოიწვევდა — იგი ჭეშმარიტად „ქვაშიშობილიც“ იყო და „მატრომანიის“ პირმშოც, მითრას ნათესავი.

რაოდენ ამაღლებულ შარავანდში ეხვევა ბენიტო მუსოლინის სახება.

ზეკაცი მოხიბლავდა მომავალ ბელადს, ნიცშეს იდეები მასაც მონუსხავდა და თითქოს ზარატუსტრას ქადაგებათა სულისკვეთებას იმეორებსო, როდესაც ახალ იდეალს ასე განსაზღვრავდა: უნდა შეიქმნას თავისუფალ სულთა ახალი ნაირსახეობა, გამოწრთობილი ბრძოლაში, სიმარტოვესა და დიდ საფრთხეში. მათ ეცოდინებათ, რა არის ქარი, მარადიული თოვლი, მაღალი

მთები და მყინვარები, და თამამად გაზომავენ უფსკრულთა სიღრმესო.

გრიგოლ რობაქიძე ამ პასაჟს საგანგებოდ გამოარჩევდა მუსოლინის სიჭაბუკისდროინდელი ნაწერებიდან, და არა მარტო აზროვნების გაბედულებით, არამედ იმ თვალსაზრისითაც:

- იქნებ ამ დროს დუჩე საკუთარ თავზე წინასწარმეტყველებდა?!

ყოველ შემთხვევაში, ქართველი მწერალი ამ სიტყვებში „უფრო მეტ დაფარულ აზრს“ ამოიკითხავდა.

გახსოვთ ნიკოს კაზანძაკისთან მიწერილი წერილიდან, თავის ახალ თხზულებას „ნესუს პერანგის“ სახელწოდებით რომ მოიხსენიებს?

ამ წიგნაკში უკვე ჩნდება ეს სიმბოლიკა და იმ მომავალი თხზულების მთავარი კონცეფცია: ყოველ ჩვენგანს ნესუსის პერანგი გვმოსავს ჰერაკლეს მსგავსად, სასიკვდილოდ რომ შეგვამზადებს. ამ სხივნათელი გმირივით ჩვენც საზორველ ცეცხლში უნდა ვიწვოდეთ, რათა ამ პერანგისაგან თავი დავიხსნათ, და ეს ყოველდღიურად, ყოველ წამს უნდა ხდებოდესო.

ნესუსის პერანგი სხვათათვის თუ სასოწარკვეთას გულისხმობდა, რაკილა ამ პერანგის ჩაცმა საბედისწეროდ გადაექცეოდა ჰერაკლეს და დაფერფლავდა მის სიცოცხლეს, გრიგოლ რობაქიძისათვის ის განახლების წინაპირობაა, სფინქსის თვითდაწვისა და მკვდრეთით აღდგომის თავისებური ვარიაცია. ის საბედისწერო პერანგიც ვერ მოგიღებს ბოლოს, თუკი საზორველ ცეცხლს მისცემ თავს, ანუ გაამჟღავნებ შინაგანი თავგანწირვისათვის სრულ მზადყოფნას:

— მზადყოფნა კი სიმამაცეს გულისხმობს; სწორედ სიმამაცის წყალობით იქცევა საფრთხე თვითრეალიზაციის მასალად.

ოცნებაა, მარტოდენ ოცნება, მითოსური სახეებით შემობლანდული?

გრიგოლ რობაქიძეს ეს არც ოცნებად მიაჩნია და არც ფანტაზიის გაქანებად, რადგანაც ხორცშესხმულს ხედავს იმ პიროვნებას, ვინც მისი იდეალი უნდა დაადასტუროს.

რა ვუყოთ, რომ:

— მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანის ხვედრია, მუსოლინის მსგავსად, შეუვალი იყოს და მამაცად იქცეოდეს სახიფათო ზონაში.

იყოს ცოტა — ხომ მაინც არიან ასეთი პიროვნებანი კაცობრიობის ხსნის დვრიტად და მარილად.

და ყველა მათგანის ლტოლვასა და ბედისწერის წინააღმდეგ ამხედრებას ამჯერად მუსოლინი განასახიერებს, იტალიელთა წინამღოლი, ვინც ერთი შეხედვით თავგადასავალთა მაძიებელს მოაგონებს ადამიანს, მაგრამ:

- მუსოლინი მხოლოდ საკუთარ ინსტინქტს ენდობა, და ასეც ამბობს: ჩემს ინსტინქტს როცა ვენდობი, არასოდეს არა ვცდებიო.

და მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებს დუჩეს სიჭაბუკის-დროინდელ ერთ ეპიზოდს.

საფრთხე თვითდისციპლინის ნაირსახეობად რომ წარმოუდგება და ამ საფრთხეში სურს გამოიწრთოს თავი, ამიტომაც იკისრებს ომის ქარ-ცეცხლში მტრის მიერ ნასროლი ხელყუმბარის დაჭერასა და, ვიდრე აფეთქდებოდეს, მის უკანვე გადაგდებას.

დავალებული მქონდაო, — ისე უბრალოდ გაიხსენებს, თითქოს პაკეტის წაღებ-წამოღება ევალებოდა, თანაც უსაფრთხო ყოფაში.

იქვე იმასაც დასძენს: სახიფათო თამაში იყოო, — მაგრამ ეს სახიფათო თამაში იმაზე უფრო საბედისწეროდ არ ეჩვენება, ვიდრე ცირკის მსახიობთა მოქმედებაა არენაზე.

თითქოს ბარონ მიუნჰაუზენის მონათხრობს ისმენდეთ.

ეგაა, ის ყუმბარაზე თვითონაც შემხტარა.

მაგრამ მუსოლინისათვის ეს ყველაზე მკაცრი რეალობაა და ოდნავადაც არაფერს აზვიადებს.

თვითონაც იჭერს ყუმბარას და ჯარისკაცებსაც ასწავლის სროლის წესებს.

ასანთი მალე ქრებოდა, ამიტომაც ფალიას სიგარეტით უკიდებდნენ. ყუმბარა კი ერთხანს კიდევ უნდა სჭეროდათ ხელში, რადგანაც თუ მას დროზე ადრე ისროდნენ, შეიძლება მტერს ისევ უკან გამოებრუნებინა.

— საბრალო ჯარისკაცები შიშით კანკალებდნენ და შეძრწუნებული სახით მიყურებდნენ, ვიდრე ერთიდან სამოცამდე დავითვლიდი წამებს.

ხოლო ამ ეპიზოდს თვითონ დუჩე კი არა, საველე ლაზარეთის ექიმი გაიხსენებდა, მძიმედ დაჭრილ მუსოლინის საკაცით რონკიში რომ ჩაიყვანდნენ.

წვივის ძვალი უნდა გაუხვრიტონ. თავშეკავება არ აკლია, შუბლშეჭმუხვნილი ხმას არ იღებს და ერთობ პირქუშიცაა. საოპერაციო დარბაზში რომ შეიყვანენ, თითქოს მასში რაღაც უჩვეულო ნერვი დაიწყებს ფეთქვას და მიზანსწრაფული ენერგიაც ამოხეთქავს. დაჟინებით ადევნებს თვალს დასტაქრის დანას, მერე კი, როდესაც დანის პირი ხორცში ჩაესობა, მუსოლინი აუტანელი ტკივილის პასუხად... ყბებს დააღრჭიალებს, პირს დამანჭავს და შეიკურთხება, მაგრამ იმავე წუთს სახეზე ღიმილი გადაურბენს.

ღიმილი?.. ღიმილი მაინც რას უნდა გამოეწვია?

თურმე ერთ პატარა ადგილას 42 ჭრილობა ჰქონია და სხეულში ყუმბარის უამრავი ნამსხვრევი ჩარჩენოდა.

ეს ღიმილი მაინც წარუშლელად შემორჩება იტალიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მორალური ცხოვრების ისტორიას.

მუსოლინის მხიარულ გუნებაზე აყენებს უამრავი ჭრილობა და ყუმბარის ნამსხვრევი, და ჯერ შვებით სულაც არ ამოუსუნთქავს — დასტაქრის დანა აგრძელებს თავის საქმეს.

რა მოთმინება ჰქონია! — ამ ფრაზით გამოხატავს თავის აღტაცებას ქართველი მწერალი, რათა ეს საქციელი ისე განაზოგადოს, შეფარულად თვისტომნიც იგულისხმოს — გარდასული ჟამის გმირები თუ ჯერაც ამ სულით აღვსილი პროტესტანტები, რომელნიც ერთხანს გაყუჩებულან და შესაფერის დროს ეძიებენ, რათა დაამხონ რუსეთის იმპერიის უღელი.

— თუ ადამიანი უფერფლოდ იწვის, მისგან რჩება რაღაც ისეთი, რაც შთანმთქმელ ცეცხლსა სძლევს.

ამ ფრაზაში სად მოჩანს საქართველოს ბედისწერა?

ასე ცალკე ამოგლეჯილად, ცხადია, ვერაფერს გვამცნობს გრიგოლ რობაქიძის სულიერ აფორიაქებაზე და ამგვარი ფანა-

ტიზმის მოლოდინით ქართველობაშიც და ზოგადფილოსოფიურ სენტენციად წარმოგვიდგება, მაგრამ როდესაც თავს გვახსენებს მუსოლინიზე წიგნაკის შექმნის პირველბიძგი, ძალდაუტანებლად ამოჩნდება ქართველი მკითხველის თვალწინ გრიგოლ რობაქიძის მღელვარე სახე და ის მზერა, ამ ეპიზოდის მოსმენისთანავე თავისი სამშობლოსაკენ რომ გამოიცქირება და დაეძებს იმ პიროვნული ხასიათის ანარეკლებს, აგერ ბენიტო მუსოლინიში რომ შეუსხამს ხორცი.

ანდა იმ ფრაზის მიღმა, დუჩე ბოლშევიზმის შემოჭრის საშიშროებას იტალიაში რომ არაფრად ჩააგდებდა იმ რწმენით გულმოცემული: ქვეყანაში, სადაც ასე უხვად იფრქვევა მზე, ის ვერ შემოვაო, — განა ყოველი ქართველი მკითხველი ძალდაუტანებლად არ ამოიკითხავს გრიგოლ რობაქიძის დაუოკებელ სიხარულსაც, მზეს, უხვად შუქმომფინარეს, თუკი ბოლშევიზმის განდევნის ძალაც შესწევს, მაშ ეს რეჟიმი საქართველოშიც დიდხანს ვეღარ იბოგინებსო?

თხრობისას ეს თითქოს არ იგრძნობა, მწერალი მუსოლინის მზეოსან ბუნებას რომ წარმოაჩენს ანალიტიკური ჩაღრმავებით და ფარული შრეებიც თანდათან ამოაქვს ზედაპირზე, იმ ფრაზას, ერთი შეხედვით, მხოლოდ დუჩეს მახვილი აზროვნების ნიმუშად იმოწმებს, აზროვნებისა, რომელიც მზის სხივებში განბანილა და იმ მეტაფორა-სიმბოლიკით ამიტომაც შემოგარსულა, მაგრამ ეს პასაჟი ამოსავალია მწერლისათვის, თხზულების ქვაკუთხედი, და საქართველოს გადარჩენის იმედითაც რომ აღივსება, კაცობრიობის გარიჟრაჟამდე გაჰყვება მზის სიმბოლოს.

მზეს ეპოვნინებინა მისთვის პოეტური ფესვები, მზე აღავსებდა ყოველთვის მის წარმოსახვებს და მონათესავე სული მოეძია იტალიის სახელმწიფო მეთაურის სახით. მზის უღრმესი განცდა გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ ნააზრევში პირველსაწყისი შეიქნებოდა ჩემი ლიტერატურული ცდისათვის „მზის შვილები“, და მსჯელობისას ძალდაუტანებლად გამოჩნდებოდა მუსოლინის სახებაც, მზიურნიშნეულის სინათლით გაცისკროვნებული. იქ გაელვება უნდა ეკმარა დუჩეს, ამჯერად კი

გრიგოლ რობაქიძის წიგნაკიდან ამ ფურცლებზეც გადმოსახლებულა და მისი სახებაც უფრო რელიეფურად და შთამბეჭდავად იკვეთება, ერთმანეთს რომ ერწყმის რეალური ეპიზოდები და მითოსური სარჩული.

„ადამიანებს მარადისობის თვალსაწიერიდან ვუყურებო“, — ამტკიცებდა დუჩე და კვერს უკრავდა ქართველი მწერალი: ალალია მასზე, რომ საკუთარ თავს მარადისობის შუქად მიიჩნევსო.

— მაგრამ რაც გაკეთდა, იმის დავიწყებას გონება ვერ შეძლებს, იმ დროს, როდესაც მატერიას დახსნილი ჩემი სული, ამ კნინი მიწიერი არსებობის შემდეგ, ღმერთის უკვდავი და ყოვლისმომცველი ცხოვრებით იცხოვრებს, — აღტაცებულიყო საკუთარი პიროვნებითა და ღვაწლით მუსოლინი და გრიგოლ რობაქიძე არამცთუ ოდნავ გადაჭარბებასაც ვერ ამჩნევდა, მიიჩნევდა, რომ ეს აღსარება მის „დადს“ თითქმის მონუმენტურად სხივმოსილს ხდიდა და ვარაუდს გამოთქვამდა, ამაშიც ატლანტიდიდან მონაბერი სიო იგრძნობაო.

ეს „დადი“ რას ნიშნავს?

ოოოოო — გრიგოლ რობაქიძისათვის ეს ყველაზე ღირებული ცნებაა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ის შუაგულია, რომელიც — ატომის ბირთვისა არ იყოს, სიმშვიდეში ქარტეხილს რომ შეიძლება ამზადებდეს — თუკი უცვლელად შენარჩუნდა, ადამიანს ღვთიურობის ხარისხში აღავლენს და სიმტკიცეს ანიჭებს.

უძველეს გადმოცემებში ამ თვისებას იულიუს ევოლა მოიხსენიებდა როგორც „დადს“ და ამ ამოუცნობ სიტყვას ქართველი მწერალი მაშინვე დაუკავშირებდა დადიანების გვარს და გერმანელ მკითხველს ამცნობდა: ეს საქართველოში ერთ-ერთი წარჩინებული გვარიაო. დადიანი მის თვალში უკვე „დადით“ შეპყრობილად მოჩანდა. ამ სიტყვას ციხესიმაგრესთანაც აიგივებდნენ? გრიგოლ რობაქიძე უფრო შორს მიდიოდა და მის ეტიმოლოგიაში რომ ჩაყვინთავდა, თავისთვის დაიბეჯითებდა: „დადი“ თავდაპირველად შესაძლოა საერთოდ „მაგარს“, „მტკიცეს“ ნიშნავდა, ამიტომაც მისი კავშირი სიმტკიცესთან აშკარააო.

და თუ „დადი" შინაგანი სიმტკიცის, ღვთიურად მუდმივის საცნაურ ნიშატად იკვეთებოდა, ამიტომაც წარმოდგებოდა ეს ცნება დუჩეს მეფურ ორნატად.

მეხსიერებაში თავისთავად მოტივტივებდა ის ფრაზა, ეკერმანთან საუბრისას გოეთეს ასე რომ განუსაზღვრავს ნაპოლეონ ბონაპარტეს სიძლიერის ფარული საწყისი:

— ყოველ წამს ერთი და იგივე რჩება.

ფრაზა გამოხატავდა ზუსტად იმავეს, რასაც ის ერთადერთი, მოკლე სიტყვა „დადი", და აღტაცებას ვერ დამალავდა გრიგოლ რობაქიძე, რაკიღა უკანასკნელ საუკუნეთა ამ უდიდეს ხელდასხმულს გუმანით ეგრძნო „დადის" არსებობა და საფრანგეთის იმპერატორის პიროვნება ასე ზუსტად და ლაკონიურად დაეხასიათებინა. და რაც გოეთეს ნაპოლეონის უმთავრეს ღირსებად მიაჩნდა, გრიგოლ რობაქიძე მუსოლინიზე გადმოიტანდა და იმ გადმოცემას შეადარებდა, რომში რომ დადიოდა დუჩეზე: დუელის წინ, ცოტა ხნით ადრე და მის შემდეგაც, ერთნაირად თანაბარი პულსი ჰქონდაო.

ამ შტრიხს ისე განაზოგადებდა ქართველი მწერალი, რომ იტალიის დუჩეს საფრანგეთის იმპერატორს შეუტოლებდა:

— განა აქაც არ იგრძნობა „დადისმიერი" სიძლიერე?

ატლანტიდიდან მონაბერი სიოო...

მითიური კუნძულის ხსენება სხვათა შორის კი არ გაიელვებს მოხდენილ მეტაფორად, არამედ ცალკე ქვეთავად ჩაერთვის თხრობას და არა მხოლოდ დუჩეს პიროვნების ქვეცნობიერში ჩაძირულ სამყაროდ. ქართველი მწერლისთვისაც არანაკლებ მახლობელია ეს ოდესღაც გამქრალი კუნძული და ლამობს იმ იდუმალ სავანეში შეჭრას, ატლანტიდას ხელშესახებად რომ განაცდევინებს — არა ფანტაზიად თუ ისტორიად, არამედ თვალწინ გადაშლილ რეალობად; ცოცხალ განცდას რაც სჩვევია. ამიტომაცაა ასეთი მღელვარებით დაწერილი ეს ფურცლები და გრძნობს მკითხველი, თუ როგორ უჩინარდება — თითქმის უჩინარდება — გრიგოლ რობაქიძეც სინათლის ამ მისტერიაში.

დიახ, მისთვის ეს განცდა რეალობისაგან არ განირჩევა, და შესაძლოა რეალობაზეც უფრო ჭეშმარიტი იყოს — პლატონისა

და ჰეროდოტეს ცნობები მხოლოდ ადასტურებს იმას, რასაც — დარწმუნებულია — ისედაც იგუმანებდა. მაინც კარგია, რომ მეგზურებიც გამოუჩნდნენ — იქ, ანტიკურ ეპოქაშიც, და აქ — ისტორიის ამ უაღრესად მწვავე მოსახვევშიც.

იქ — პლატონი და ჰეროდოტე.

აქ — მუსოლინი.

— ო, სოლონო, სოლონო! თქვენ, ელინელები, ჯერაც ყრმობის ასაკში იმყოფებით და თქვენს შორის აშკარად არ არსებობს მხცოვანი კაცი, — ქურუმისათვის ეს ცხადი ჭეშმარიტებაა პლატონის „კრიტოსში“, და როდესაც საპასუხოდ ჰკითხავენ, რატომ გგონია ასეო, განმარტებას აფორისტულ ჩარჩოში მოაქცევს და ზოგად კანონად ჩამოაყალიბებს:

— იმიტომ, რომ შორეული წარსულისა და მისი გაცნობიერების ტრადიცია არ გაგაჩნიათ.

ამ პასაჟის გადაკითხვა წარმოადგენინებდა გრიგოლ რობაქიძეს, თუ რა გზას გადის ადამიანი ღმერთისაკენ, ეს ხომ იგივე გზა იყო, ოღონდ პირიქით — პიროვნულიდან ზეპიროვნულისაკენ მიმავალი. და განა ის წმინდა წარწერა: ღვთის ძე ადამიანებისათვის აღესრულაო, — ატლანტიდის სვეტზე ამოტვიფრულ კანონთა სჯულის განმეორება არ იყო?

— დიახ, ჯერ ღმერთი ეწირება მსხვერპლად ადამიანს, შემდეგ კი ადამიანს მოაქვს თავი ღმერთისთვის მსხვერპლად... ადამიანი ღვთისგან ბოძებულს, მაგრამ უკვე საკუთარ თვითობად ქცეულს, უბრუნებს ღმერთს უკან, როგორც საჩუქარს. მსხვერპლი ყოველთვის თვითმსხვერპლად რჩება, მაშინაც კი, თუ ეს მსხვერპლი ხარია. ადამიანი საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვას ახდენს, ანუ მსხვერპლად მოაქვს ის, რაც უყვარს, ეს კი ერთი და იგივეა. სხვაგვარი მსხვერპლი არ არსებობს.

ირღვეოდა ატლანტიდელთა ღვთიური ბუნება, თანდათან ქრებოდა ღვთიურის გავლენა ადამიანურზე და ადამიანური აზროვნების წესი იხვეჭდა უპირატესობას. და ვერ მოენელებინა პლატონს, ატლანტიდელთა არსებაში ამ ზღვრულ კვეთს საფრთხე რომ დაემუქრა, მერე სულაც დაკარგეს იმ მდგომარეობაში ყოფნის უნარი და გადაგვარდნენ. ეს განცდა ხელშესახებად

ამოიკითხებოდა „კრიტოსის“ სტრიქონებში და მიუხვდებოდა ქართველი მწერალი: როგორც ჩანს, პლატონს ატლანტიდის სულიერი ფენომენი უფრო აინტერესებდა, ვიდრე ამ მითიური კუნძულის ნამდვილობაო.

და თავის შეგრძნებას კი ამ აღმტაცი კილოთი გვამცნობს:

— სიჩუმეში ისე მივყუჩდი, თითქოს ეს-ესაა კურთხევა მივიღე.

„კურთხევა“ შემთხვევით არ წამოჰგონებია.

მართლა ასე ხედავს საკუთარ თავს, კურთხევა კი იქიდან გადმოდენილა, რომ თაურდროების შორეთიდან მოღწეული ჩურჩულის სიო ელამუნება.

უფრო მეტიც:

— კუნძული სადღაც ზევით, სივრცეში აჭრილა და მეც ფრთაშესხმული დავფარფატებ მასთან ერთად.

ეს „ფარფატი“ მისტერიული აქტია, სულიერი აღმაფრენის ის წუთი, როდესაც ადამიანი ღმერთს უნდა წარუდგეს, უფრო ზუსტად, მზადება საამისოდ — ესაა ატლანტიდელთა არსი და ვინც ამ გაწყვეტილ ტრადიციას აღადგენს და დროთა კავშირს შეკრავს, ატლანტიდური სულიერებითაც შეიმოსება.

ასე უნდა დაბრუნდეს დაკარგული.

და ვიდრე ის სულიერება ხელახლა აღორძინდებოდეს, ატლანტიდური ბუნების ცალკეულ ნიშნებსა და გამოვლინებებს უნდა ჩავეჭიდოთ და ზნეობრივ ორიენტირადაც ეს დაფანტული ნიშნები დავისახოთ.

და მუსოლინიში გრიგოლ რობაქიძე სწორედ ამ ატლანტიდურ ნიშანს ჭვრეტს.

თითქოს ერთი უმნიშვნელო ეპიზოდია, მაგრამ მწერლისათვის ღრმა სიმბოლური აზრით იტვირთება და ცდილობს მკითხველსაც ამ რაკურსიდან წარმოუსახოს.

1915 წელს მუსოლინი ჯარისკაცია და რაზმთან ერთად ტოლმეცოში შედის. ბაზრის მოედანზე დახვდება ქალი: ოთახი მოგიმზადე და ამდენი სიარულის შემდეგ ამაღამ მაინც დაისვენეო. მუსოლინი ერთხანს შეყოყმანდება, მაგრამ უარს განუცხადებს: მეც ისეთივე ჯარისკაცი ვარ, როგორც ყველა, ამიტომ გულზე

დაბნეული ეგ სამფერი ყვავილი სახსოვრად გამატანე და კარგად იყავიო. მერე ფარაჯას ეკლესიის კიბეზე გაშლის, თავს წინაპართა ნატერფალით შელახულ ქვებზე ჩამოდებს და ისე გაათენებს იმ ღამეს.

გრიგოლ რობაქიძისათვის სწორედ ამ პატარა შემთხვევაში ვლინდება მთელი მუსოლინი იმ კანონზომიერების ძალით, როგორც ერთი მცირე დეტალი გამოასხივებს ხოლმე ნაწარმოების არსს.

მუსოლინი ერთხანს შეყოყმანდაო...

ტევადი ფრაზაა, ღრმად ფსიქოლოგიური, და სხვა თუ გულგრილად გადაავლებდა მზერას, ამ წიგნაკში საგანგებოდაა გაანალიზებული: ეს არის იმ სიფრიფანა წყალგამყოფის შეგრძნების უნარი, რომლის გადაბიჯების უფლებაც ადამიანს არასდროს არ გააჩნია. მუსოლინიმ ამ წყალგამყოფს არ გადააბიჯა, და ეს მისი მხრიდან მცირედი მსხვერპლშეწირვის აქტი იყო. მაგრამ ის დიდშიც ასეთია; და დაძაბულ წუთებში ყოველთვის ინარჩუნებს ზომიერებასო.

ამ ეპიზოდის გახსენება ძალაუნებურად ითხოვს იმ ბიბლიური ამბის გამოხმობასაც მეფეთა წიგნიდან, ჰური ხეთელი თავის მეომრებთან ერთად რომ გაითენებს ღამეს ცისქვეშ და არაფრისდიდებით არ წავა შინ მეუღლესთან.

არადა, თვით დავით მეფე აძლევს უფლებას, მეუღლესთან მოისვენეო.

ტყუილის თქმა არა სჭირდება და მალულობა-გაპარვა — შეუძლია ყველას თვალწინ დაადგეს გზას შინისაკენ და მსუბუქ საყვედურსაც ვერავინ ჰკადრებს.

მაგრამ ამ ეპიზოდური გმირისათვის არსებობს უფრო მაღალი მსაჯულიც — საკუთარი სინდისი, და სწორედ ის არ დაანებებს განცხრომას, მაშინ, როდესაც მისი თანამებრძოლნი შიშველ მიწაზე ყრიან.

ასეც მოახსენებს მისი საქციელით გაოგნებულ მეფეს:

— კიდობანი იგი სჯულისა უფლისა და ყოველი ერი ისრაელი და იუდასი დგანან გარე კარავთა. და იოაბ, უფალი იგი ჩემი, დგას წინაშე განწყობილსა და მე ვითარ შევიდე სახიდ ჩემდა ჭა-

მად და სმად და განცხრომად ცოლისა ჩემისა? მზესა შენსა ვფუცავ და სიყუარულსა თავისა შენისასა, რამეთუ არა ვყო საქმე ეგე! (11, 11).

დაუვიწყარი ზნეობრივი პასაჟია ძველ აღთქმაში.

სხვათა შორის, იმ მხრივაც საგულისხმო და მტკივნეული, რომ გმირი თავის კეთილშობილებასა და პატიოსნებას უნდა შეეწიროს, მაგრამ ამჯერად მის მოქმედებას ვუკვირდებით როგორც მუსოლინის ბიოგრაფიის იმ ეპიზოდის თავისებურ არქეტიპს.

ძალაუნებურად ითხოვსო...

თუ მაინცდამაინც: ამ ბიბლიურ ეპიზოდსაც ატლანტიდური სულიერების გამოვლენა დაერქმეოდა, მთავარ გმირს კი ატლანტიდური ნიშნით აღბეჭდილი. მაგრამ გრიგოლ რობაქიძე, ვინც შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, ასოციაციურად გამოიხმოს სხვადასხვა სახელი თუ ეპიზოდი და ხან სულაც დაახვავოს, რატომღაც გვერდს უვლის ჰური ხეთელის — რამდენიმე სტრიქონში ჩანურული — ფსიქოლოგიური პორტრეტის გახსენებას.

უნებურად გამორჩა?

თუ შეგნებულად აირიდა, ვაითუ მსგავსმა ამბავმა გააფერმკრთალოს მუსოლინის ბიოგრაფიის ეს თავისებურად სიმბოლური შემთხვევაო?

საგულისხმო კი იქნებოდა, გრიგოლ რობაქიძე როგორ შეუთანასწორებდა ურთიერთს წარსულისა და თანამედროვეობის ამ ერთგვაროვან ეპიზოდებს.

ასეა თუ ისე, ატლანტიდური ნიშნები მხოლოდ საკუთარი თავისა (შეფარულად) და მუსოლინისათვის (ყველას გასაგონად) ემეტება და ატლანტიდურ სულს ამჩნევს ისეთ თანადროულ მოვლენებშიც, როგორიც კაპიტალისტური ეკონომიკა და კოლექტივიზმია, ოღონდაც დუჩეს უკავშირდებოდეს და მის გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობას ადასტურებდეს.

კაპიტალისტურ ეკონომიკას აშკარად ემჩნევა გარღვევები და ეს რეალობა არც მუსოლინისათვისაა დაფარული?

ყოველივე შეფარდებითია სამყაროში და ეს გარღვევები ნაკლებ საზიანოდ ეჩვენება, ვიდრე კოლექტივში სოციალური თა-

ნასწორობის იდეა, რომელსაც ჰგმობს და არავის ურჩევს ამ მსოფლხედვას მისდიოს. თავის მხრივ კი ქმნის კორპორაციულ სისტემას, რომელშიც ერთმანეთს აწონასწორებს ცალკეულ ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივა და სახელმწიფო დაგეგმარება.

ქართველი მწერლის თვალში ეს საქმე ერთ-ერთი სწორუპოვართაგანია, რადგანაც თავისი პიროვნების წყალობით მუსოლინიმ გარდასული დროებიდან გამოიხმო საკრალური მბრძანებლობის ფორმა და მას ხელახლა შთაბერა სული; და, ამასთან, ესეც სწორედ მისი არსების ატლანტიდური ბუნების გამოვლინებაა, დადასტურება იმისა, თუ როგორ ხდება ყველაფერი მოუდრეკელი მასში მოქნილი.

და ისიც ატლანტიდურობას ამჟღავნებდა, როდესაც მუსოლინი საკუთარსა და თავის თანამებრძოლთა მოვალეობას ასე განსაზღვრავდა:

— დაუღალავად უნდა ავმაღლდეთ წარმავალ დღევანდელობაზე; ეს არის ჩვენი რწმენის ჰეროიკული ნიშანი.

და მთელი ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიულ გეზს ამ ფორმულაში მოაქცევდა:

— რომი ჩვენი მითოსია.

აქ არსად ახსენებს გრიგოლ რობაქიძე, რომ მისთვის მითოსი თბილისია, არა მარტოდენ მხატვრულ-ესთეტიკური, არამედ სწორედაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვით, და დედაქალაქის მითოსურ ხატს ამიტომაც ძერწავს ასეთი შთამბეჭდაობით „გველის პერანგში“. ასე რომ გაიაზრებს თბილისის სიმბოლიკასა და ისტორიულ დანიშნულებას სამყაროში, ამიტომაც არ გამორჩებოდა მუსოლინის ის ლაკონური ფრაზა, თორემ სხვაგვარად დუჩეს ფსიქოლოგიური პორტრეტის აუცილებელ შტრიხად არ მიიჩნევდა და არც „ხელმწიფის“ ეტიმოლოგიას ჩაუღრმავდებოდა, კიდევ ერთ ქართულ სიტყვას საგანგებოდ არ გამოურევდა თხრობაში და მუსოლინისთან ქართული გარემოსა და თავისი პირადი სულიერი საერთოს აღნიშვნას მოერიდებოდა.

ახლა კი:

მბრძანებელს ქართულად სიტყვასიტყვით „ხელ-მწიფე" ჰქვია, მდიდარიც, ძლიერიც და კურთხევის უნარის მქონეცო; და თუ კაცობრიობის სულიერ კულტურაში, განსაკუთრებით კი კურთხევის გაცემასთან დაკავშირებით, „ხელის" სიმბოლურ მნიშვნელობას გავიაზრებთ, გაოცებულნი აღმოვაჩენთ, რომ „ხელ-მწიფე" — მბრძანებლის მნიშვნელობით — ერთი სიტყვით გამოხატავს „მზის მეფის" მთელს კონცეფციასო; და როდესაც მუსოლინის მბრძანებლად წარმოვიდგენთ, გვახსენდება ოქროს ხანის სახელწოდება მეფისა: ხელმწიფე და მისი მოვლინება მიწიურ სივრცეში: რვა დღეა, რაც მზე ლომის ნიშანში შევიდაო; დიახ, მზეოსან და ლომივით ძლიერ კაცს „მწიფე ხელი" აქვს და ეს ის ხელია, რომელმაც რომი უნდა განაახლოს და ააღორძინოსო.

და მთელი ეს ძიება ქართული ენის წიაღში უნდა დაგვირგვინდეს დუჩეს ფორმულით:

— რომი ჩვენი მითოსია.

ოქროს ხანის ქართულმა სახელმწიფოებრივმა ტერმინმა ასე ძალდაუტანებლად მოიყოლოს თან რომის მითოსური სახება.

თხრობის შინაგან ლოგიკასა და წიგნაკის შექმნის მოტივს თუ გავითვალისწინებთ, ასეთ გადასვლაში ოდნავადაც არაფერი იქნება სახამუშო.

მუსოლინის მეტყველების მანერითაც — და არა მხოლოდ ემოციური ზეგავლენით — რომ მოიხიბლებოდა და საბაბს ეძებდა აღენიშნა: დუჩე ძირისძირობამდე იცნობს სიტყვის სახვით ძალას, მისი სიტყვა ყოველთვის თაურ-ენის სიზუსტით გაისმის და სიტყვაში ხედავს იგი სურათ-ხატის მორჩსო, — საამისოდ გამოიყენებდა ფრაზას — „მინდა საკუთარი ნებისყოფის ძალით ვითარცა ლომის ბრჭყალებით, ამ დროებაში ორნატი ამოვტვიფრო: აი, ასე!" — და განსაკუთრებით გამოთქმას: ამოვტვიფრო, — რომელსაც უნდა ეგრძნობინებინა მკითხველისათვის დროში ამოკვეთილი სურათ-ხატი, მოვლენებს მისი საკუთარი მოდელის მიხედვით რომ ქმნიდა და წარმოაჩენდა. და ჩაურთავდა ფრაგმენტს მუსოლინის მიერ დანტე ალიგიერის პოეტური ძლევამოსილების შეფასებისა, რომელშიც გრიგოლ რობაქიძე დუჩეს თვითდახასიათებასაც ამოიკითხავდა:

„დანტეს ესმოდა ის, რაც ბევრმა მწერალმა არ იცის; დიახ, მათ არ იციან, რომ სიტყვები ცოცხალი არსებანი არიან. და როდესაც დანტე მათ ამოძრავებს და თავისუფლებას ანიჭებს, რათა შემდგომ კვლავ მწყობრში ჩააყენოს, იმავდროულად არც იმას ივიწყებს, რომ ამ სიტყვების სახით ცოცხალ არსებებთან აქვს საქმე. როდესაც ვწერ სიტყვას „ვარსკვლავები", მისი ასოები სულაც არ არის მკვდარი, უსიცოცხლო ნიშნები. ისინი ერთად ქმნიან რეალურ, ორგანულ სუბსტანციას".

ეს განცდა ჯერ კიდევ იმ დროიდან მოჰყვებოდა, მწერლობაში რომ ცდიდა კალამს და ეს მონდომებული მცდელობა სულაც რომანის შექმნით დაგვირგვინდებოდა. იქნებ გაბრიელე დ'ანუნციოსაც ემეტოქებოდა გუნებაში, ვისი სახელიც ისეთი სიკაშკაშით ამობრწყინდებოდა, იტალიასაც აღაფრთოვანებდა და ევროპასაც, როგორც პოეტისა და ახალი იდეების ქადაგის, რომის დიდების აღორძინებას რომ ესწრაფოდა და ახალი იტალიის შექმნას, რელიგიად ნიცშეს მოძღვრება დაესახა, იდეალად — ზეკაცი, და ზეკაცად საკუთარი თავი ესახებოდა.

ლიტერატურის ასპარეზს არ იმყოფინებდა ეს „საშიში უცნაურობებით" (რომენ როლანისა არ იყოს) აღსავსე პიროვნება და პოლიტიკაშიც ენერგიულად გაერეოდა. ნაციონალიზმის იდეოლოგი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ფაშის — შექმნასაც განსაზღვრავდა და ავსტრიის უღლის გადასაგდებადაც ერთი უპირველესი მებრძოლი ის შეიქმნებოდა და ფიუმეს სახელმწიფოსაც დააარსებდა, თავისუფლების ერთადერთ კუნძულად რომ მოიხსენიებდა და ეს პოეტური სახელწოდება მართლაც გამოხატავდა მის არსსა და სულისკვეთებას.

* * *

იტალიაში განზრახული მოგზაურობა რომ ჩაეშლებოდა გრიგოლ რობაქიძეს, 1941 წლის 22 აპრილს ბრუნო გოეტცს მისწერდა:

ახლა უკვე ივლისის დამდეგს იუბერლინგენში ჩამოვალ იმ პირობით, რომ მანდ დამხვდები. შეგიძლია ერთი კარგი, მზიანი ოთახი რომ დამიქირავო, საუზმითო?

იქ ალბათ ორ თვეს მოუწევდა ყოფნა და იმედოვნებდა, რომ: იქნებ მზეს „მოწყალე თვალით" გადმოეხედა მისთვის: მას თავი-

სი მეხოტბე გერმანიაში უნდა დაესაჩუქრებინა!.. მისგან ამას „მოითხოვდა“ გრიგოლი... მაგრამ მაინც...

ვერნერ ზომბარტი ამ დღეებში სამუდამოდ გამომშვიდობებოდათ. ძალიან დაემწუხრებინა გრიგოლიც საწუთროდან მის გამოკლებას. საკმაოდ დიდხანს კი ეცხოვრა ამქვეყნად, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ფიზიკური და სულიერი ძალების პატრონი გახლდათ. მისი სახით ქვეყანას დაეკარგა არამარტო დიდი მეცნიერი, არამედ შესანიშნავი ადამიანიც, რომელიც თანამოძმეთ გოეთესებური სხივმოსილებით ასაჩუქრებდა.

ლეოპოლდ ციგლერი გრიგოლის ახალ წიგნთან — ანუ „მუსოლინთან“ — დაკავშირებით მისწერდა ავტორს:

— თქვენმა უჩვეულო მითიურმა იმპროვიზაციებმა, თუკი შეიძლება მათ ასე ვუწოდო, დიდად მომხიბლა. ალბათ იმის გამო, რომ აქ უფრო ადვილია, ის პიროვნება, რომელსაც ეს იმპროვიზაციები გულისხმობს, მთლიანად გამოვრიცხოთ იქიდან. და ამის შემდეგ ისინი მაინც მშვენიერნი, მნიშვნელოვანნი დარჩებიან, ეს პიროვნება საერთოდ რომც არ არსებულიყო. როგორც ჩანს, ამას უკვე თვით ისტორია განსჯის, თუკი ამის მაუწყებელი უამრავი ნიშანი არ გვატყუებს! ენთუზიაზმით შექმნილი თქვენი ეს მცირე ნაშრომი მოგვიანებით ალბათ დასტური იქნება იმისა, დროის რამდენად უფრო დიდ მონაკვეთს მოიცავს და იმავდროულად რამდენად უფრო მარადიული ფასეულობანი განასხვავებს მითოსის სფეროს ისტორიულისაგან, ხოლო სიმბოლურს — ფაქტობრივისაგან.

მსგავსი აზრი გამოეთქვა ჰანს ჰასოსაც:

— რაოდენ მშვენიერი და ღრმაა ეს ყოველივე, რისთვისაც მუსოლინი მხოლოდღა გარეგნული ბიძგი თუ იქნებოდა!

გრიგოლი ამ მოსაზრებებს ერთობ ღირებულად მიითვლიდა!..

ქართველი მწერლის მიერ შექმნილ პორტრეტს ორივე თანამოკალმე ისტორიული თვალთახედვითაც უდგებოდა და... დღევანდელი პოზიციიდანაც განიხილავდა. და გრიგოლი ეკითხებოდა გოეტცს: მართებულია ესო? პირწმინდად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს გასაგები გახლდათ და ადრესა-

ტისთვისაც ცხადი უნდა ყოფილიყო, რასაც გულისხმობდა ქართველი მწერალი ამით.

„XX საუკუნის“ ივნისის ნომერში „მუსოლინის“ შესახებ ასეთი მოსაზრება გამოქვეყნებულიყო:

— უნივერსალურად წარმოდგენა იმ კაცის პორტრეტისა, რომელიც აი უკვე წლებია საკუთარი საქმიანობითა თუ მისი წინააღმდეგობრივი შედეგების წყალობით, როგორც ჩანს, დიდ გავლენას ახდენს გარესამყაროზე, ალბათ დიდ პრეტენზიად უნდა ჩაითვალოს. იგი მუსოლინის ერთობ პლასტიკურ პორტრეტს ჰქმნის და მას ქმედით, ტანჯულ, ძლევამოსილად ცოცხალ ადამიანად წარმოგვიდგენს. ვინც ერთხელ მაინც დაინტერესებულა მუსოლინის პიროვნებითა და ცხოვრებით, უთუოდ აღეძვრის სურვილი, დაამსხვრიოს ის კლიშე, მის პიროვნებასთან დაკავშირებით რომ შეიქმნა. რობაქიძემ მთელი სიგრძე-სიგანით გამოავლინა ამ პიროვნების სამყარო. მან შეძლო ეს, რადგანაც პოეტია და ამდენად ფსიქოლოგიისა კი არა, მითოლოგიის სფეროში იღვწის. ამასთან თვითონ რობაქიძეც იმავე სამყაროს განეკუთვნება, მუსოლინი რომ განასხეულებს. ეს არის ხმელთაშუა ზღვის მზიური ცეცხლით აღსავსე და სახიფათო სამყარო, — სივრცე, გადაჭიმული ევროპას, აზიასა და აფრიკას შორის.

ამ ღრმააზროვან შეფასებას კი ეს რჩევა აბოლოვებდა:

თუკი ვინმე, ამ სტატიის ავტორის მსგავსად, ფულს დაზოგავს და მოისურვებს თავისი ბიბლიოთეკა ერთი წიგნით მაინც გაამდიდროს, შეუძლია ეს წიგნი მაისში უკვე შეიძინოსო.

ერთადერთი შენიშვნა გაუჩნდებოდა გრიგოლს მისი ჩაკითხვისას:

„სახიფათო სამყარო“ რომ ეწერა, შინაარსობრივად უფრო მართებული იქნებოდა: „სამყარო, რომელიც საშიშროების წინაშე დგას“.

* * *

იქნებ გაბრიელ დ'ანუნციოს ემეტოქებოდა გუნებაშიო...

პოეტსა და ახალი იდეების ქადაგს.

რომის დიდების აღორძინებისა და ახალი იტალიის შექმნის მოსურნეს.

ნიცშეანიზმის, როგორც რელიგიური მოძღვრების, მიმდევარსა და ზეკაცთან თავისი თავის გამაიგივებელს.

ქუხდა დ'ანუნციოს სახელი, გადაეფარა სხვა შემოქმედნი, რაკიღა მის მძლავრ მხატვრულ წარმოსახვებს მღელვარე და თვალისმომჭრელი ბიოგრაფიაც ემატებოდა და მის ჩრდილში ჩაიჩუმქრებოდა ბენიტო მუსოლინიც, ვინც ვერ ეგუებოდა დ'ანუნციოს ასეთ აღზევებას, მაგრამ მოინდომებდა თუ არა გაფხაკუნებას მის წინააღმდეგ, ისეთი მწარე შემონათვალი მოუვიდოდა ახალი დროის გმირისაგან, გუნებას წაუხდენდა, თუმც ჯერ პროტესტს მორჩილად უნდა მოეხადა ქედი და თავისი ვარსკვლავის ამობრწყინებას დალოდებოდა.

თურმე ფუჭი ოცნება არა ყოფილა დ'ანუნციოსთან ჭიდილში გამარჯვების მოპოვება.

საწინააღმდეგო გზას ვერ აირჩევდა მის დასამარცხებლად მუსოლინი — სულიერად სწორედ იმ იდეებსა და სულისკვეთებას ეთვისებოდა, დ'ანუნციოს რისი აღდგენაც მოეწადინებინა და კიდეც აფუძნებდა რეალობაში. ამიტომაც კვალში უნდა ჩადგომოდა, უფრო ძლიერ პოლიტიკურ რაზმს ჩადგომოდა სათავეში და ხელიდან გამოეცლია მეტოქისათვის მონაპოვარი.

გამოაქვეყნებს თავის პოლიტიკურ პროგრამას და... მისი თეზისები პირწმინდად იმეორებს დ'ანუნციოს შეხედულებებს.

გადმოაქვს მისი პოზა, ჟესტები, მიმიკა.

ორატორული ხელოვნებითაც მას ებაძება და ეჯიბრება.

განსაკუთრებით ის ჟესტი მოხიბლავს, ძველი რომაელებისათვის ჩვეული და... მივიწყებული, უძრავად გაყინული საუკუნეთა სიღრმეში, დ'ანუნციო რომ მიაგნებდა და მისი აღდგენა-განმეორების აუცილებლობასაც პირველი ის იგრძნობდა. და რომისაკენ ტრიუმფით მიმავალი აურაცხელ ხალხს ჩვეული მგზნებარებით რომ მიესალმებოდა, ძველ რომაელთა ჟესტს მოიშველიებდა და ამითაც აღაფრთოვანებდა მებრძოლებს.

თუ რომის დიდება უნდა დაბრუნებულიყო, ეს ყველა დეტალს უნდა ეღაღადა, უპირველესად კი იმ საბრძოლო ჟესტს,

რომლის ქვეშაც ოდესღაც ხალხი ხალხზე დაჩოქილიყო და ისე ამოჰყურებდნენ, როგორც ღვთაებრივი ნიშნის გამოსახვას.

ეს აღფრთოვანებაც ამოუბრუნებდა გულს მუსოლინის და ის ძველთაძველი ჟესტიც შეეხარბებოდა. მე უნდა მიმეგნო, მე უნდა აღმედგინაო, — რაღაც ამგვარს უსათუოდ გაივლებდა გუნებაში და... რაკილა დ'ანუნციოს დაესწრო, თვითონაც გაიმეორებდა და სულ უფრო ხშირ-ხშირად, ხალხს ჩემგან უფრო დაამახსოვრდეს და ადრე თუ გვიან მე მომეწეროსო.

არაფრად ჩააგდებდა დ'ანუნციო მისი ამ მარჯვე მიგნების ასე უცერემონიო მითვისებას.

ძველრომაული საბრძოლო ჟესტი კი არა, აგერ პროგრამაც მისგან გადაეწერა და ესეც დიდად არ ანაღვლებდა დიდების ზენიტზე გადმომდგარ ახალი დროის გმირს. იცინებდა მხოლოდ, მუსოლინი რომ არა და არ მოეშვებოდა და ლამის მის სრულ განსახიერებად გადაიქცეოდა. გადაქცეულიყო რა, დიდი ამბავი — მიმბაძველები არ აკლდა დ'ანუნციოს და დაე ერთი მათგანი დუჩეც ყოფილიყო. რამდენიც უნდა ეწვალა და ევაგლახა, შეწვდომით მაინც ვერ შეწვდებოდა, დარჩებოდა ასე, მის უნიათო მიმბაძველად, მისი ფაშიზმი კი დ'ანუნციოს იდეების პლებეურ პაროდიად. უფრო მეტის შემძლე არა ჩანდა.

და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო გულიანად იცინოდა დ'ანუნციო მუსოლინიზე, იცინოდა ლამაზმანთა ალერსში ჩაფლული თუ თანამებრძოლთა თაყვანებით აღსავსე გარემოცვაში ჩაძირული, ხან იქნებ ხარხარისაგან ცრემლებიც გადმოსცვენოდა.

მუსოლინი კი ჩუმად იცინებდა, სულ უფრო და უფრო მტკიცედ რომ არტყამდა რკალს აღზევებულ მეტოქეს და... იმისი აღზევებიდან ბოლოს არაფერს დატოვებდა.

გაახელდა ერთ დღესაც თვალს ახალი იტალიის მესაძირკვლე და... ბენიტო მუსოლინის საპატიო ტყვეობაში იხილავდა საკუთარ ყოფას, ტყვეობაში, რომელსაც ვეღარასოდეს დააღწევდა თავს.

დაკარგავდა სიცილის ხალისს.

და დადგებოდა დუჩეს სიცილისა და ტრიუმფის ჟამი.

მიმბაძველობა კი არა, მიმდევრობასაც ითაკილებდა და ნაცარს წააყრიდა იტალიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ხანას, როდესაც ფაშიზმი ისახებოდა და მკვიდრდებოდა, ოღონდ არა მისი ხელით. იქიდან დაიწყებდა წელთაღრიცხვას, თვითონ როდესაც ჩაღრმავებოდა ამ მსოფლხედვას და თავისი პოლიტიკური პროგრამის ქვაკუთხედად ექცია, და როდესაც ფაშიზმის უნივერსალურობას ამტკიცებდა („ის იტალიურია თავისი კონკრეტული ორგანიზაციით, მაგრამ უნივერსალურია სულისკვეთებით"), მხოლოდ თავისი — პირადი — წელთაღრიცხვით განსაზღვრავდა მის საკაცობრიო მიზანსა და დანიშნულებას.

რაც ამ ფურცლებზე ჩაიკითხეთ გაბრიელე დ'ანუნციოს პიროვნებაზე, ყველა ეს ცნობა თუ დეტალი შეიძლება იპოვნოთ სხვადასხვა თხზულებებში (ქართულად — მერი ტიტვინიძის ლიტერატურულ ნარკვევში), ოღონდ არასდიდებით — გრიგოლ რობაქიძის წიგნაკში.

საგანგებოდ მოერიდებოდა დუჩეს წინამორბედის — თანაც როგორი წინამორბედის — ხსენებას, ვაითუ ჩემი გმირის სიდიადეს რაიმე დააკლდეს და შარბათს სამსალის წვეთები შეერიოსო. თუმც ისეც არ მოხდება, რომ ეს სახელი სრულიად გააქროს ამ პოლიტიკური პამფლეტის ფურცლებიდან, მოიხსენიებს, განა არა, მაგრამ მოიხსენიებს, დახეთ, რარიგად.

დაიმონმებს ფრაგმენტს მიმართვიდან, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე რომ გაეგზავნა დ'ანუნციოს დუჩესათვის:

— ამდენი ბრძოლისა და გამარჯვების, წინააღმდეგობათა დაძლევისა და ნებისყოფის დაძაბვის შემდეგ, შენ ჭეშმარიტად ბოლომდე მიიყვანე ის საქმე, რაც დიდი ადამიანების ისტორიაში ვერავინ შეძლო; დიახ, შენ საკუთარი მითოსი შექმენი.

ამ წიგნაკის სტილს, მღელვარესა და ზეაწეულს, ბუნებრივად ერწყმის ეს სტრიქონები, მაგრამ დ'ანუნციოს რა დამართნია, რომ ლამის მუსოლინის ყველა მეხოტბისათვის წაუჭარბებია!.. ამ წუთას ნაკლებ მნიშვნელოვანია, მართლა ერთადერთმა შექმნა საკუთარი მითოსი დუჩემ თუ არა, და ჭეშმარიტად აღემა-

ტება ყველას დიდ ადამიანთა ისტორიაში თუ სხვანი უფრო აღ-
ზევებულან.

მთავარი ისაა, ვინ ამბობს ამ სიტყვებს.

ნუთუ ის პიროვნება, ვინც მუსოლინის თავს არ უყადრებდა და უნიჭო მიმბაძველსა და მისი იდეების გადამმღერებელზე მეტ ქებას ვერ იმეტებდა?

იქნებ ნანობს, ძალიან ვამცირებდიო, და ახლა უზომო დითი-რამბით მოუნდომებია იმ შეცდომის გამოსწორება?

იქნებ შიში გასჩენია, საპატიო ტყვეობას არ მაკმარებს და სა-ნამლავით მომიღებს ბოლოსო, და მისი მრისხანების დაცხრო-მას ესწრაფის?

და თუ ქებაა, ქება ყოფილიყო.

კი მაგრამ, მუსოლინის მითოსი დ'ანუნციოს მითოსს რომ აცამტვერებდა?

სხვა თუ არ ინაღვლის ამ გადაფარვასა და წინამორბედის ღვაწლის მონდომებულ წაშლას, თვითონ წინამორბედი რატომ აღტაცებულა მისი მიჩქმალვით?

კითხვა კითხვას მოჰყვება და როგორ გინდა გაერკვე ამ საი-დუმლოებაში?!.

ბოლოსდაბოლოს, წრფელია ეს სიტყვები თუ არ არის წრფელი?

ნუთუ შეიძლება წრფელიც იყოს?

რაკიღა ეს კითხვაც დაიბადა, ეტყობა, საამისო საბაბიც არ-სებობს.

და კიდევ ერთხელ ჩავუკვირდეთ:

ბენიტო მუსოლინიმ აღასრულა ის წამოწყება, რაც გაბრიე-ლე დ'ანუნციოს ოცნებაში ესახებოდა და საძირკველიც გაჭრა იმ გრანდიოზული შენობის ასაგებად, ახალი იტალია რომ უნდა დაყრდნობოდა.

რეალობამ თანდათან დაჩრდილა ოცნება.

მიმბაძველობით დაიწყო თუ რა იყო, დიადი ჩანაფიქრი კი და-აგვირგვინა და დ'ანუნციო, სიკვდილის წინ გათავისუფლებუ-ლი ამქვეყნიურ ვნებათაღელვათაგან, გარეშე კაცის თვალით ზომავს და აფასებს ყოველივეს და შესაფერის პატივსაც მია-გებს მისი წამოწყების ასეთ წარმატებულ ხორცშემსხმელს.

იტალიისათვის ასე აღმოჩნდა უმჯობესი და დ'ანუნციო, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, ქედს იდრეკს უფრო ძლევამოსილი პიროვნების წინაშე.

წრფელია და დამაფიქრებელი მისი სიტყვები, და გასათვალისწინებელიც სწორედ ეს არის, თორემ აღმტაცი ხოტბანი უკვალოდ გამქრალან და, თუკი ვინმეს ჩაუვარდა ხელთ, ირონიულ ღიმილზე მეტს არ გაიმეტებს.

შენ საკუთარი მითოსი შექმენიო...

ბარემ ერჩივნა, თვითონვე აღესრულებინა გაბედული განზრახვა და პლებეური პაროდიის ამარა არ დაეტოვებინა, მაგრამ მკაცრი აღმოჩნდებოდა ბედისწერა და რაც პლებეური ეგონა და ვინც უნიჭო მიმბაძველი ეგონა, სწორედ იმას დაამარხვინებდა გაბრიელ დ'ანუნციოს სახელსა და ღვაწლს.

და მღელვარე ცხოვრება, დიადი წარმოსახვებითა და ათასგვარი ფათერაკებით აღსავსე, ამ გაელვებაში ჩაიწნეხებოდა, მუსოლინის ყველაზე დიდი მეხოტბის შთაბეჭდილებას რომ დაუტოვებს გრიგოლ რობაქიძის წიგნაკის წამკითხველს.

ქართველ მწერალს თავისი იტალიელი თანამოკალმისა სხვა არც არაფერი დაჭირდებოდა.

...ესეც დ'ანუნციოს ბედი ყოფილა.

თავი მეოთხე

რა მოენია ჰამსუნს, პაუნდს რა მოენია

შეჰხაროდა გერმანულ ნაციზმსა და ჰიტლერს კნუტ ჰამსუნი. ამ პოლიტიკური მოძრაობისა და მისი წინამძღოლის წარმატებებს უკავშირებდა თავის ეთიკურ-მორალურ იდეალს, კაცობრიობის ხსნასა და ბედნიერი ცხოვრების დადგომას ყველა ქვეყნისათვის. ამიტომაც მიყურადებოდა ასეთი მღელვარებით ნაციზმის აღზევებას და ცდილობდა თავისი პუბლიცისტური გამოსვლებითა და გერმანიის სამხედრო ძლიერებისათვის მხურვალე თანადგომის გამოცხადებით თვითონაც მონაწილე ყოფილიყო გრანდიოზული და სასიკეთო ცვლილებებისა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

ნორვეგიაც შეიძლება შთაენთქა გერმანული ნაციზმის მომძლავრებას? ჰამსუნი ამას შთანთქმად სულაც არ მიიჩნევდა — ოღონდაც ბრიტანელებისათვის დაემოკლებინათ ხელები და მათი სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიისათვის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოთ ბოლო და დაე თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ.

სძულდა ინგლისი ჰამსუნს, ჰოი, რა სძულდა, ვერ ეპატიებინა ნორვეგიის დაპყრობა-რბევანი და ახლა ფიურერი და გერმანია თითქოს მის ნაცვლად იძიებდა შურს. ამ თვალით გაჰყურებდა მათ წინსვლას და ან აღტაცება როგორ დაეფარა, ან იმედი რატომ გადაეწურა.

მთელს ევროპაში გაეთქვა სახელი ჰამსუნს, არც ელიტარული სალიტერატურო წრეების დაფასება და აღიარება აკლდა და არც საყოველთაო პოპულარობა, 1920 წელს მინიჭებული ნობელის პრემია — რომანისათვის „მადლი მიწისა“ — მხოლოდ ოფი-

ციალურად ადასტურებდა მის დიდ ზეგავლენას ევროპის სამწერლო და კულტურულ ცხოვრებაზე და ამიტომაც მისჩერებოდნენ გულისყურით მის ყოველ სიტყვას და, როდესაც გერმანელ ჟურნალისტსა და პაციფისტს კარლ ფონ ოსეცკის ნაცისტები — ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ — დააპატიმრებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკში გაამწესებდნენ, ყველა განსაკუთრებით მოელოდა ჰამსუნის საპროტესტო გამოხმაურებას.

ოსეცკი გაბედულად ამხელდა ნაცისტთა მკაცრ რეპრესიებს სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ და გერმანიის მილიტარისტულ სწრაფვებსაც და, ცხადია, სითამამეს ასეთი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში არავინ აპატიებდა.

მის გამოქომაგებას ვინც მოინდომებდა, კიდეც მოიფიქრებდნენ წარედგინათ ნობელის პრემიაზე, იმედოვნებდნენ, მისი მოპოვება დაიხსნის საკონცენტრაციო ბანაკიდანო. ოსეცკის წარდგენა პრემიაზე დიდ დავა-კამათს გამოიწვევდა მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის და მწვავე პაექრობისას ჰამსუნი... ჟურნალისტის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდებოდა. იგი ოსეცკის გაამტყუნებდა, და მისი ამ საქციელით აღშფოთებული ჰერმან ვილდენვი და თომას მანი კი ჰამსუნს დააყენებდნენ მძაფრი კრიტიკის სამიზნეზე.

ინგლისი მუხლებზე უნდა დადგეს, ბოლშევიკებისა და ამერიკელთა დამარცხება არა კმარა, ინგლისმა უნდა განიცადოს მწარე და სრული ფიასკო, მხოლოდ მაშინ ეშველება ევროპასაც და მსოფლიოსაც, მხოლოდ მაშინ დაისადგურებს საყოველთაო მშვიდობაო, — სხვა არაფრის გაგონება არა სურდა ჰამსუნს, ინგლისის მუხლებზე დამჩოქებელი კი გერმანია იქნებოდა თუ იქნებოდა, ფიურერის წინამძღოლობით, და როდესაც ამხელა მისია ჩაეთქვათ, რას ასტეხოდნენ ეს სხვაგვარად მოაზროვნენი, რატომ არ აცლიდნენ მიზანდასახულ მოქმედებას. და ამ ოსეცკისაც ვითომ რა ენება, რატომ გადადგომოდა წინ ამაღლებულ სწრაფვას, და რატომ უწოდებდა რეპრესიებს, თუკი ნაციზმი რკინის ხელით აღკვეთდა მოწინააღმდეგეთა ყოველგვარ მცდელობას, უკმაყოფილების განწყობილება შეეტანათ ხალხში და სიმხნევე წაერთმიათ მისთვის.

დაე გამწყრალიყო თომას მანი, ჰამსუნი საკუთარი ერის — თანაც კაცობრიობის მხსნელად შემართული ერის — მაძაგებელს ვერ გამოექომაგებოდა.

მეორე მსოფლიო ომის ცეცხლოვანი სუნთქვა სულ უფრო ხელშესახები ხდებოდა.

მოგვიანებით გაიხსენებს ჰამსუნი: მაშინდელი მოვლენები ყველაფერზე მეტყველებდა, გარდა გერმანიის დაღუპვისა. რადგანაც გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის ხანა დაიწყო, ქვეყანას სიცოცხლე, მოქმედების უნარი, საყოველთაო აღმავლობა ეწვია. გამოცხადდა ნება და გერმანული ძალის სასწაული ფიურერის, ადოლფ ჰიტლერის, წინამძღოლობითო.

და მსოფლიო ომი რას გამოეწვია?

ჰამსუნის მტკიცე რწმენით: ინგლისისა და მხოლოდ ინგლისის მოქმედებას, რადგანაც ეს ქვეყანა გერმანიის ასეთ აღმავლობას არაფრისდიდებით არ მოითმენდა. ჰიტლერი დიდხანს გაურბოდა სახელმწიფოთა სამხედრო დაპირისპირებას, ითხოვდა, სხვა რა, ითხოვდა, რომ სულ მცირედი მაინც დაეთმოთ მისთვის, ითხოვდა მარტოდენ ჭუჭრუტანას, დერეფანს გერმანიის მიწა-წყლის შორეულ ნაწილთან. მაგრამ ინგლისი არა თმობდა, რადგანაც ომი სურდაო.

ინგლისი თუ ომს მოწადინებულიყო, ჰიტლერსაც სხვა რა უნდა ელონა, თუ არა ის, რომ მახვილი ეშიშვლა?

და დაიღვრებოდა დითირამბებად მისი სახელის ხსენებაზე ჰამსუნი:

— იგი ჯვაროსანი და რეფორმატორია, სურდა შეექმნა ახალი ეპოქა და ახალი ცხოვრება ყველა ქვეყნისათვის, მტკიცე საერთაშორისო ერთობა ყოველი ქვეყნის საკეთილდღეოდ. აი, რა სურდა. და მის გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია, ხალხმა და ერებმა მას მხარი დაუჭირეს, მხარდამხარ დადგნენ, ხალხმა და ერებმა გადაწყვიტეს მასთან ერთად გაემარჯვათ. ჩვენ ამის მოწმენი ვართ.

და კიდევ:

— იგი მედგრად დგას, ადოლფ ჰიტლერი, ეს გამოჩენილი ადამიანი, რომელმაც მშვიდად და მსუბუქად წამოაქცია მთელი

მსოფლიო და ახლა მეორე მხარეს აბრუნებს! იგი გაუმკლავდება! მის გვერდითაა მისი იტალიელი თანამებრძოლი, მასთან არიან ევროპის მთავარი კონტინენტური სახელმწიფონი, ისინი ერთობლივად გაართმევენ თავს — და ომსაც ბოლო მოეღება!

„მისი იტალიელი თანამებრძოლი" გამჭვირვალედ მიანიშნებდა ბენიტო მუსოლინის. ამჯერად უკვე თანამებრძოლად ქცეულა ის კაცი, ვისიც ჰამსუნს ერთ დროს, ვიდრე ჰიტლერი აღზევდებოდა, ყველაზე მეტად ეიმედებოდა. იტალიურ ფაშიზმს რომ მიესალმებოდა, მისი გამომცემელი აღუთქვამდა, მუსოლინის პირადად გაგაცნობო. და ნასიამოვნები ჰამსუნი დიდად დაუმადლებდა: ძალიან მინდოდა გამომეხატა მუსოლინისათვის ჩემი უდიდესი აღფრთოვანება და უღრმესი პატივისცემა — მოწყალე ღმერთმა ამ არეულ ჟამს ჭეშმარიტი ვაჟკაცი მოგვივლინაო.

და აჰყვებოდა ოცნებას, რა იქნება ნორვეგიასაც ეწვიოს იტალიურ-გერმანული სიკეთენი და ფაშიზმმა რაღაც ფორმით ჩემს სამშობლოშიც გაიმარჯვოსო.

მეორე მსოფლიო ომი რომ ატყდებოდა და გერმანიის არმია ნორვეგიაშიც შეიჭრებოდა, ჰამსუნი მოუწოდებდა თანამემამულეებს, წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ გერმანელებს, მათ ჩვენი დაცვა აქვთ განზრახული ინგლისელებისაგანო. თუმც ნაცისტებთან თანამშრომლობით არ უთანამშრომლია, მაგრამ არასოდეს დაუფარავს ღრმა სიმპათია მათდამი.

ოცნების ევროპა მხოლოდ ასე წარმოედგინა: სახელმწიფოთა გაერთიანება გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის წინამძღოლობით.

ფიურერის სიკვდილს ნეკროლოგით გამოეხმაურებოდა 1945 წლის 7 მაისს და მოიხსენიებდა ყველა ხალხის უფლებათა დაცვისათვის მებრძოლად. აღიარებდა ევანგელისტურ წინასწარმეტყველად და უმაღლესი რანგის რეფორმატორად, ვისაც ბედისწერის განჩინებით მოღვაწეობა მოუხდა უმაგალითო სისასტიკის ეპოქაში და სწორედ ამას შეეწირა.

ომის დასრულებისთანავე გაასამართლებდნენ ჰამსუნს სამშობლოს ღალატის ბრალდებით და ციხეს მხოლოდ ხანდაზმუ-

ლობის წყალობით გადაურჩებოდა. ერთხანს შინაპატიმრობაში გამოკეტავდნენ, მერე მოხუცთა თავშესაფარში ამყოფებდნენ, შემდეგ კი ოსლოს ფსიქიატრიულ კლინიკაში გაგზავნიდნენ გამოსაკვლევად.

არაფრისდიდებით არ გატყდებოდა ჰამსუნი და არ მოინანიებდა თავის საქციელს:

— რასაც ვწერდი, შეცდომა არა ყოფილა. არ ყოფილა შეცდომა, როდესაც ვწერდი. სავსებით ვიზიარებ მაშინდელ შეხედულებებს და სინდისიც გაკრიალებული მაქვს.

გონებრივი უნარის ასაკისმიერი დაქვეითებაო, — ასეთი აღმოჩნდებოდა მისი სამედიცინო დასკვნა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებს თავის მამულში გაატარებდა, ნორჰოლმში, გამომცემლობა რომ გამოისყიდდა მისთვის, თორემ სასამართლო განაჩენით ქონებას ერთიანად ჩამოართმევდნენ.

1949 წელს მისი ბოლო თხზულება გამოქვეყნდებოდა, მოგონებანი — „გაბარდულ ბილიკებზე", რომელიც სრულიადაც არ ამჟღავნებდა ჰამსუნის გონებრივი უნარის ასაკისმიერ დაქვეითებას. წიგნი აღწერდა მის განცდებს დაპატიმრების დღიდან უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ საბრალდებო განაჩენამდე, და შეურაცხყოფისა და წყენის უმძაფრეს შეგრძნებას. გულისტკივილით აღნიშნავდა: თანამემამულეთაგან თანაგრძნობას თუ არა, უფრო მეტ პატივისცემას ხომ მაინც ვიმსახურებო.

მკითხველი აღიარებდა, რომ კვლავაც დიდ ხელოვნად დარჩენილიყო, საუკეთესო სტილისტად და მთხრობელად.

ამ წიგნით ჰამსუნი მკითხველის წინაშე წარდგებოდა არა გასამართლებულ პოლიტიკოსად, არა სულიერ მოძღვრად, ვინც თვისტომთ ყალბ იდეას უქადაგებდა, არამედ უნიკალური ტალანტის მწერლად, ვინც მსოფლიოს უძღვნა ნორვეგიამ.

მისი სახელის ირგვლივ ადვილად ვერ შეთანხმდებოდნენ და ნორვეგიელები დიდხანს იკამათებდნენ, როგორ შევაფასოთ ჰამსუნი — როგორც მწერალი თუ როგორც პოლიტიკოსიო? როგორც პატრიოტი თუ როგორც კოლაბორაციონისტიო?

და საღი თვალსაზრისი მაინც ის აღმოჩნდებოდა, მისი მხატვრული მემკვიდრეობის გადასარჩენად გამიზნული, თვით ნორ-

ვეგიული საზოგადოების განაჩენმა, ჰამსუნი რომ კოლაბორაციონიზმისათვის გაასამართლეს, არ უნდა გვაიძულოს, „მისტერიების“ შემოქმედი ფაშისტად შევრაცხოთო. ბოლოსდაბოლოს, რას წარმოადგენდა ჰამსუნის ფაშიზმი? ეს იყო მტკიცე უარყოფა ინგლისური ცივილიზაციისა და მასთან ერთად ტექნოკრატული პროცესებისა, რამაც მკვეთრად გადაასხვაფერა ქალაქური ცხოვრება მეოცე საუკუნის დამდეგსო. ნაცისტი თუ იყო? იყო, ცხადია, მაგრამ ნორვეგიის სამეფო ოჯახმა თუ ინგლისს შეაფარა თავი ოკუპაციის დასაწყისშივე, იქიდან „მართავდა“ ნორვეგიას და ამისათვის ისინი არავის დაუსჯია, 90 წლის ჰამსუნი ისე იცავდა თავის სამშობლოს, როგორც შეეძლოო.

ვერა, ვერ გაიმეტებდნენ დასაკარგავად იმ ლიტერატურულ მიღწევებს, რაც ჰამსუნის სახელს უკავშირდებოდა, ჰიტლერის ქება-დიდებას ვერ ანაცვალებდნენ, და მკითხველს ამიტომაც შეაგონებდნენ: თუ ჰამსუნისა არაფერი წაგიკითხავთ და მხოლოდ რაღაც-რაღაცები გსმენიათ მასზე და ცოტა არ იყოს ათვალწუნებით უყურებთ, ძალიან გთხოვთ, ნუ შეაქცევთ ზურგს მის თხზულებებს, როგორც მოიქცნენ ნორვეგიელები მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას. წაიკითხეთ მისი თუნდაც ერთი წიგნი და თვითონვე შეძლებთ პასუხი გასცეთ შეკითხვას — ვინ არის ჰამსუნი? ფაშისტი თუ... ოღონდ ეს აუცილებლად პირადად უნდა გადაწყვიტოთო.

საქართველოში კნუტ ჰამსუნის მხატვრული ნააზრევი განსაკუთრებით მახლობელი აღმოჩნდებოდა კონსტანტინე გამსახურდიასათვის და 1923 წელს მიუნხენში დაწერილ ლიტერატურულ-კრიტიკულ ეტიუდში ლამის თაყვანებამდე მიღწეულ დამოკიდებულებას თავიდანვე გაამჟღავნებდა: ჩემს საწოლ ოთახში, შოთასა და ილიას სურათის ქვემოთ, მაღალი, მხარბეჭიანი, სათვალიანი კაცის სურათი ჰკიდია. იგი საოცარი დაკვირვებით იცქირება წინ, განცვიფრება იხატება მის სახეზე, თითქოს შიმშილისა და ტანჯვისაგან თავგაბელატებული კაცის ნაცვლად — ბუნების წიაღში, ზღაპრული ციდან ჩამოვარდნილი ბალღი იყოსო.

და იქვე მოსდევს:

— ჭეშმარიტად „ციდან ჩამოვარდნილი“ მწერალია იგი.

შოთა რუსთველისა და ილია ჭავჭავაძის მოხსენიება ჰამსუნის გვერდით თავისთავად უკვე მეტყველი მინიშნებაა, ნორვეგიელი მწერალი „დიონისოს ღიმილის“ შემოქმედის სულიერ თანაზიარად და ლიტერატურულ ორიენტირად რომ ქცეულა, მაგრამ თითქოს ამასაც არ კმარობს, რადგან ალექსანდრე ყაზბეგის აჩრდილსაც გამოიხმობს, თანაც ორგზის.

როგორც ყაზბეგის პერსონაჟებს აღიქვამს რეალურად არსებულ ადამიანებად, ისე ჰამსუნისას.

როგორც ყაზბეგის გმირთა სიყვარული ეჩვენება რაღაც საკვირველებად, ისე ჰამსუნისა.

კონსტანტინე გამსახურდიას თვალში „მისტერიების“ შემოქმედი მითოსურ გმირებსაც კი უტოლდება, ამიტომ იდუმალებაში ჰხვევს მის ბიოგრაფიას და მკითხველს უმტკიცებს, მთავარია, რომ მუდამ თან ვატარებ ნაგელის ფიქრებს, მასთან ერთად მიტანჯნია და ცრემლიც მიღვრიაო.

იდუმალების მოციქულად იხსენიებენ „მისტერიების“ მთავარ გმირს?

ქართველ მწერალს ძალიან მოსწონს ასეთი სახელდება და ჰამსუნზეც გადააქვს, ისიც იმავე საოცარი ჟინითაა შეპყრობილიო.

ერთ რომანთან დაკავშირებით ახსენებს „სისხლით დაწერილ სტრიქონებს“, მაგრამ მსჯელობის პათოსი გვაგრძნობინებს, რომ ეს აღმტაცი შეფასება ნორვეგიელის მთელს შემოქმედებაზე განზოგადდება, ისევე, როგორც „ბუმბერაზული, მაგრამ ჩუმი ბრძოლა ადამიანის გულსა და ჟინს შორის“.

ამ ეტიუდის შექმნის შემდგომ საკმაო ხანი გასულა, ჰამსუნი გერმანული ნაციზმისა და ფიურერის მეხოტბედ ქცეულა და არც დევნა-შევიწროება მოკლებია და არც სასამართლო თუ ფსიქიატრიული საავადმყოფო. მისი სახელი სათრევი გამხდარა და, თუმც ნორვეგიელებს ბოლოსდაბოლოს, შეუნდიათ მისთვის და — გარდაცვალების შემდეგ — მისი თხზულებანი აღარ იკრძალება, საბჭოთა რეჟიმის საქართველოში თუ არის შესაძლებელი კონსტანტინე გამსახურდიას ამ პორტრეტული მონახაზის ხელმეორე გამოქვეყნება?

თურმე შესაძლებელი ყოფილა.

ეტიუდი „კნუტ ჰამსუნი“ დაიბეჭდება ესეების ორტომეულშიც და რჩეულ თხზულებათა ტომეულებშიც.

ეგაა, მწერალს დასჭირდებოდა საგანგებო პოსტსკრიპტუმის დართვა:

„სამწუხაროა, რომ მიხრწნილებაში გადამდგარი მოხუცი ჰამსუნი ფაშისტი კანიბალებისადმი სიმპათიით განიმსჭვალა“.

ერთგვარ გამართლებას იმით უძებნის, რომ ამ პოლიტიკურ შეცდომას მისი ხანდაზმული ასაკით ხსნის, თითქოს მაშინ ნორვეგიელს ბევრი აღარაფერი მოეკითხებოდა. ასეა თუ ისე, ქართველმა მწერალმა აუცილებლად უნდა დაგმოს მისი ეს ნაბიჯი, რათა ამ ხერხით ეტიუდი გადაარჩინოს ცენზურის მსახვრალ ხელს.

ტაქტიკა გაამართლებს.

70-იან წლებში ჰამსუნის ქართულ თემატიკას მიუძღვნიდნენ სტატიებს, ერთი მხრივ, ნოდარ კაკაბაძე და ნოდარ რუხაძე, და, მეორე მხრივ, მიხეილ კვესელავა, აერიდებოდნენ მის ნაცისტურ იდეალებზე მსჯელობას და მათი ნარკვევები დაუბრკოლებლივ გააღწევდა „ლიტერატურული საქართველოსა“ თუ „საუნჯის“ ფურცლებზე.

ერთ კრიტიკულ წერილში ოტია პაჭკორიას რომ დასჭირდებოდა კნუტ ჰამსუნის რომანის („მისტერიები“) ხსენება, როგორც შთამაგონებლისა ერთ-ერთი ქართული რომანისათვის, არც მას შეეხებოდა ცენზორის კალამი.

80-იან წლებში „მისტერიები“ ცალკე წიგნადაც გამოიცემოდა და, რასაკვირველია, მთარგმნელისეულ ბოლოთქმაში თამარ აბრამიშვილი ბიოგრაფიულ ცნობებს ამოაკლებდა ნაციზმითა და ფიურერით გატაცებასა და ამის გამო ჰამსუნის მწარე ხვედრს.

არც მის სხვა რომანებს, მოთხრობებს, პიესებსა თუ სტატიებს ელოდა რაიმე წინაღობა, თუკი ითარგმნებოდა, ერთადერთი ადოლფ ჰიტლერის ქება ნურსად გასხლტებოდა.

ჩვენში მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის სახელს უნდა დასდევდნენ ამოსაშლელად, როგორ თუ ფიურერს განადიდებდაო.

ის კი არა, გადათქმამ თუ მონანიებამაც ვერაფერი უშველოს.

ჰამსუნს მოჩვენებითი მონანიებაც არ დასჭირდებოდა: საკუთარ სებით ვიზიარებ მაშინდელ შეხედულებებს და სინდისიც გაკრიალებული მაქვსო.

შეჰხაროდა იტალიურ ფაშიზმსა და მუსოლინის ეზრა პაუნდი. რადიოგამოსვლებითაც ასხამდა ხოტბას და პოლიტიკურ პამფლეტსაც შექმნიდა „ჯეფერსონი და/ან მუსოლინი". ორიგინალური სათაურია, არა? ერთდროულად მაერთებელი და მაპირისპირებელი კავშირები. „და" კავშირი აირჩიოს, ანდა „ან", ერთ-ერთი დატოვოს და მეორეს შეელიოს. მაგრამ სწორედაც ესაა პოეტის ჩანაფიქრი — ორივე ერთდროულად, რადგანაც მეტი სიმკვეთრისათვის არჩევანის ძიება ურჩევნია საბოლოო გადაწყვეტილებას.

ვრცელია ეს პამფლეტიც, გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინისა" არ იყოს, და მასავით დიდების შარავანდშია გახვეული დუჩეს მონუმენტური ფიგურა.

„მუსოლინის პიროვნების ნებისმიერი ღრმა განსჯა გარკვეულწილად რწმენის აქტია, და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია — შენი რწმენით — ეს კაცი და რისი მიღწევა სურს", — როდესაც ასეთ შეხედულებას გვიმტკიცებს პაუნდი, იგი თვითონვეა ხელშესახები დასტური, მუსოლინიზე მსჯელობა რწმენის რიტუალისაგან რომ არც განერჩევა და მხოლოდ ამ გადასახედიდან გაიაზრებს მის პოლიტიკურ იდეალსაც და თვითეულ ნაბიჯსაც.

მუსოლინის არასოდეს უთხოვია განსხვავებული ხასიათის მქონე ერებისათვის, გადაეღოთ ფაშიზმის აგებულება და მონახაზიო, — ეს დაკვირვება პაუნდისათვის უმნიშვნელოვანესია და დუჩეს მონუმენტურობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი; და რაკიღა მისი ეს თვისება აღმოუჩენია, თამამად მიმართავს სულაც კაცობრიობას: გადაიყვანეთ ინგლისში და ნახავთ, თუ როგორ გაჰყვება თავის ფესვებს და დუგლასივით ვიტანაგემოტს ჩაეჭიდებაო.

ვიტანაგემოტი რას გულისხმობს?

ძველი ანგლო-საქსური სიტყვაა და აღნიშნავდა სახელოვან ადამიანთა კრებულს. ამ კრებულში თავს იყრიდნენ ეპისკოპო-

სები, უხუცესები, თენები და სხვანი. მათ ასახელებდათ მეფე და იკრიბებოდნენ მისთვის რჩევის გასაზიარებლად სახელმწიფოს მართვისას. და მუსოლინი ინგლისში რომ დაბადებულიყო, ამ ტრადიციის ერთგული მიმდევარი იქნებოდა.

მუსოლინის საიდუმლოს ამოხსნასაც ხომ არ უტრიალებდა პაუნდი?

ამ რანგის პოეტს ეს განზრახვა აუცილებლად ექნებოდა და კიდეც მიაკვლევდა, ყოველ შემთხვევაში, თავისთვის ივარაუდებდა: დუჩეს საიდუმლოება ალბათ მის უნარშია, ამოირჩიოს უმნიშვნელოვანესი და უსაჭიროესი ელემენტი ყოველგვარი ჩახლართული ვითარებიდანო.

და კიდევ: როდესაც ადამიანთან აქვს საქმე, პირდაპირ მიადგეს ამ კაცის ინტერესის შუაგულსო.

სხვანი მუსოლინის იმიტომ თუ აღიარებდნენ, პლუტოკრატია დათრგუნაო, პაუნდი ამ სახელმწიფო მოღვაწეში გაცილებით მეტს ხედავდა, უპირველესად კი პიროვნებას, ვინც პოლიტიკა ხელოვნებად აქცია.

განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვესაც ამიტომ განიცდიდა მასთან და მონდომებული გახლდათ, ყველას შეეტყო და ერწმუნა დუჩეს ეს გამორჩეულობაც და მისი წარმატების საწყისიც:

— მუსოლინიმ უთხრა თავის ხალხს, სახელმწიფოსათვის აუცილებელია პოეზიაო, და ამიტომაც ავიდა ცივილიზაცია უფრო მაღალ დონეზე რომში, ვიდრე ლონდონსა თუ ვაშინგტონში.

არ აპატიებდნენ ამერიკელები პაუნდს იტალიური ფაშიზმითა და მუსოლინით აღტაცებას და 1943 წელს სახელმწიფო ღალატში დასდებდნენ ბრალს.

ამერიკელ მწერალთა შორისაც არაერთი გამოჩნდებოდა, ვინც ამ უთვალსაჩინოესი პოეტის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, კაცისა, ვინც არამარტო თავისი მხატვრული ძიებებით გაჰკვალა ახალი გზები XX საუკუნის მსოფლიო მოდერნიზმში, არამედ სასიკეთო პიროვნული ზეგავლენითაც.

მისი საგულდაგულო რედაქციითა და თანადგომით გამოქვეყნდებოდა ტომას სტერნზ ელიოტის პოემა „ბერწი მიწა“, ეპოქალური ქმნილება და თავისებური ორიენტირი, რომელსაც

ავტორი ამ სიტყვებით მიუძღვნიდა ეზრა პაუნდს: ჩემზე დიდ ოსტატსო.

მისი თანადგომით გამოქვეყნდებოდა ჯეიმზ ჯოისის რომანი „ულისეც", ასევე ეპოქალური ქმნილება და თავისებური ორიენტირი.

მის ზეგავლენას განიცდიდა ერნესტ ჰემინგუეი, სულ სხვა მანერის შემოქმედი, მაგრამ პაუნდი არასოდეს შემოზღუდულა ერთი რომელიმე სტილისტიკითა თუ პოეტიკით და უპირველესი მომხრე გახლდათ ლიტერატურული მრავალფეროვნებისა.

სწორედ ჰემინგუეი გამოიდებდა თავს პაუნდისათვის ამ უმძიმეს ჟამს, გამოიდებდა, თუმც თვითონ დემოკრატობდა და გენერალ ფრანკოს ფაშისტურ მოძრაობასაც იარაღით უპირისპირდებოდა ესპანეთში. მასწავლებლად აღიარებდა პაუნდს და ძალიან აწუხებდა მისი ბედი. ცხადია, ვერასოდეს აპატიებდა თავს, მხოლოდ შორიდან რომ ედევნებინა თვალი, თუ როგორ წარიმართებოდა პოეტის ბედი. ამიტომაც მოელაპარაკებოდა საერთო ლიტერატურულ მეგობრებს და შესთავაზებდა: სულით ავადმყოფად გამოვაცხადოთ და სიკვდილით დასჯას ამით გადავარჩენთო. დაუჯერებდნენ და ამ თხოვნით მიმართავდნენ ამერიკის მთავრობას.

რომში მყოფ პაუნდს ძალიან კი უნდოდა, ამერიკელთა სამხედრო ძალებს ჩაბარებოდა, მაგრამ მუსოლინის სიკვდილით დასჯიდან ორ დღეში იტალიელი პარტიზანები დააკავებდნენ სახლში. კერი ბოლტონი პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემისას საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პაუნდს კონფუციუსის წიგნი ჩაუდევს ჯიბეში და პარტიზანებს ისე გაჰყოლია, დარწმუნებული, რომ დახვრეტდნენ. იგი ხომ არამარტო გატაცებული იყო ჩინური პოეზიითა და ფილოსოფიით და თარგმნიდა კიდეც, ის განწყობილებანი თავის ლექსებშიც შემოჰქონდა, და ნიშანდობლივია, რომ ელიოტმა შეარქვა „ჩინური პოეზიის გამომგონებელი ჩვენს დროში".

იგი მზადაა დახვრიტონ მაინცდამაინც კონფუციუსის წიგნთან ერთად. მაგრამ სიკვდილით დასჯის ნაცვლად პიზაში ჩაიყვანდნენ და ყველაზე საშიშ სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოათავსებდნენ.

ესეც მისი რადიოგამოსვლების საზღაური.

რაკილა ფაშისტ სამხედრო დამნაშავეებს გაუთანაბრეს, ცარიელ, ბეტონის იატაკიან ოთახში ამიტომაც შეაგდეს, აუტანელი სიცხის პირობებში, მთელი ღამე შუქიც რომ არა ქრებოდა.

პაუნდს ჯანმრთელობა შეერყეოდა და სამკურნალო ბლოკში გადაიყვანდნენ, სადაც... „პიზური სიმღერების“ წერას შეუდგებოდა.

ნოემბერში ვაშინგტონში გადააფრენდნენ და ციხეში ჩასვამდნენ, მაგრამ სულით ავადმყოფად გამოცხადების შემდეგ შეშლილ დამნაშავეთა წმ. ელიზაბეთის სახლში მიუჩენდნენ ადგილსამყოფელს. აქ გააგრძელებდა წერას და 300 ტრადიციულ ჩინურ ლექსსაც თარგმნიდა, რაც 1954 წელს იხილავდა მზის სინათლეს.

ბოლინგენის პრემია რომ დაარსდებოდა 1949 წელს, კონგრესის ბიბლიოთეკის ამერიკული მწერლობის საბჭო, იმავე პრემიის ჟიური, პირველ ლაურეატად აღიარებდა ეზრა პაუნდს „პიზური სიმღერებისათვის“.

ჟიურის წევრთა შორის იმყოფებოდა ალენ ტეიტიც, პოეტი, ესეისტი და მეცნიერი, ვინც ამ ლიტერატურული მოვლენის ირგვლივ საგანგებო ესეის დაწერდა — „ეზრა პაუნდი და ბოლინგენის პრემია“, რათა აეხსნა ამგვარი გადაწყვეტილების აუცილებლობა და პირადი მოტივიც, თუ რატომ დაუჭირა მხარი პირველ ლაურეატად პაუნდის არჩევას, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ ჭორიკნებს არაერთხელ ჩაეწვეთებინათ ტეიტისათვის, შენს შემოქმედებას პაუნდი ყოველთვის ათვალწუნებით იხსენიებდაო.

ალენ ტეიტი არ გაიზიარებდა თვალსაზრისს, პაუნდის უპასუხისმგებლო შეხედულებანი მხოლოდ ახლოს ჩაუვლის მის პოეზიას, რაც შეურყვნელი რჩებაო.

მიუღებელი შეხედულებანი უშუალოდ პოეზიის შუაგულშიაო, — წაედავებოდა ნაგულისხმევ ოპონენტებს, — და ისე უნდა აღვიქვათ, როგორიც სინამდვილეშია: სუბიექტური, კერპი და განყენებულიო.

კერძო შემთხვევას განაზოგადებს ტეიტი და სულაც არა ფიქრობს, თითქოს პიროვნების ბიოგრაფია და შემოქმედება ორი სრულიად განცალკევებული მოვლენა იყოს, არსად რომ არ

გადაჰკვეთენ ერთიმეორეს. ისინი ბევრწილად უნდა განსაზღვრავდნენ ერთმანეთს, და თუ გულუბრყვილო მკითხველი შეიძლება მოტყუვდეს და კეთილშობილების ილუზია კეთილშობილებად აღიქვას, სიკეთის ილუზია სიკეთედ, მორალის ილუზია მორალად, პროფესიონალს ასეთი შეცდომა არასოდეს დაემართება და მის თვალწინ თხზულების არსი და ეთიკური მრწამსი ხელშესახებად იშიფრება.

ტეიტს „პიზური სიმღერების" ფორმალური უპასუხისმგებლობაც ხვდება თვალში და ირწმუნება, კრიტიკული შენიშვნები მაშინაც გამიჩნდებოდა, პოემაში ანტიფაშისტური თვალსაზრისები რომ იყოს გამოთქმული.

საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც: რომის რადიოთი პაუნდის გადაცემებს არავითარი ზეგავლენა არა ჰქონია ამ ქვეყანაში და მხოლოდ საკუთარი თავის საზიანო დაუდევრობად დარჩაო.

ამ სიმღერების ანტისემიტიზმი?

მიაჩნია, რომ სიმღერების ანტისემიტიზმს სერიოზულად არავინ აღიქვამს, გარდა ლიბერალი ინტელექტუალებისა, რადგანაც: პაუნდის შეხედულებებს ანტისემიტები ვერ გამოიყენებენ, საამისოდ ძალზე უმანკოაო.

მრავალმხრივ საგულისხმოა ტეიტის ესეი და ასე რომ გავყვეთ, ვეღარც ჩამოვეხსნებით. ამიტომაც მის ბირთვს დავუკვირდეთ, რის გარშემოც იკვრის კომპოზიციური ქარგა.

რატომ მისცა ხმა პაუნდის დაჯილდოებას?

რატომ და:

— ლიტერატურის სიჯანსაღე დამოკიდებულია საზოგადოების სიჯანსაღეზე და პირიქით; და მუდამ ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალი პროცესის ორივე მხარეს. მწერლის სპეციფიკური მოვალეობაა იზრუნოს საზოგადოების ჯანმრთელობაზე არა მთლიანად, არამედ ლიტერატურაში — ეს ნიშნავს, რომ მან გამუდმებით უნდა იცოდეს, თუ რა დღეშია ენა მის დროს. პაუნდის ენაზე ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე დაკვირვების შედეგად დავრწმუნდი, რომ მას ყველა სხვაზე მეტი წვლილი მიუძღვის ინგლისური ლექსის, თუ არა წარმოსახვითი ფორმებისა, ენის აღორძინებაში მაინც.

პოლიტიკური კონიუნქტურა სრულიად უცხოა არა მხოლოდ ალენ ტეიტისა და ჟიურის სხვა წევრებისათვის, არამედ ამერიკული სინამდვილისათვის საერთოდ. ჟიურის წევრებს მინიჭებული აქვთ უფლება, თვითონ გადაწყვიტონ ლაურეატის ბედი, და არ ემუქრებათ დევნის საშიშროება, თუნდაც ისეთი კაციც რომ შეარჩიონ, ვინც ციხიდან შეშლილ დამნაშავეთა სახლში გადაუყვანიათ და არავინ უწყის, ელირსება თუ არა ოდესმე თავისუფალი ცის ხილვა.

1953 წელს პაუნდს ჯერ კიდევ არა ჰქონია დიაგნოზი დასმული, მხოლოდ ზოგადად აღნიშნავდნენ: პიროვნება დაერღვაო. 50-იანი წლების შუა ხანებში გავლენიან პირთა და ჟურნალების შუამდგომლობით იგი გაათავისუფლეს და 13-წლიანი ტუსაღობის შემდეგ — 1958 წლის 18 აპრილს — სახელმწიფო ღალატის ბრალდებაც გაუუქმეს.

ორიოდ თვეში, კერძოდ, 30 ივნისს, იგი იტალიაში გაემგზავრა და ნეაპოლში დახვედრილ ჟურნალისტებს ფაშისტური სალამი მისცა.

მის მსოფლხედვაში ოდნავი ცვლილებაც არ მომხდარა და არც დიპლომატიური მოსაზრებით უცდია თავშეკავება.

ამასაც არ იკმარებს და საქვეყნოდ განაცხადებს:

— მთელი ამერიკა ფსიქიატრიული საავადმყოფოა.

„სიმღერების“ შეთხზვასაც კვლავ გააგრძელებდა და მიმოწერასაც ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ კასპერი და მოსლი.

„იგი შეურიგებელი დარჩა ამერიკული სისტემის მიმართ და პოლიტიკური შეხედულების გამო მხოლოდ გარდაცვალების — 1972 წლის ნოემბერი — შემდეგ ელირსა აღიარება და ჯილდოები“, — იტყვის კერი ბოლტონი, თუმც რატომ უნდა გამოგვრჩეს, რომ ბოლინგენის ლიტერატურული პრემია სიცოცხლეშივე და სულაც შეშლილთა სახლში გამოკეტვის ჟამს არგუნეს.

ქართულ სინამდვილეშიც მისი სახელი სიცოცხლეშივე შემოაღწევდა ზვიად გამსახურდიას მეოხებით. ჯერ 1971 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“ დაეთმობოდა პაუნდს ორიოდ გვერდი და გამორჩეულ მოვლე-

ნადაც მოიხსენიებოდა როგორც იმაჟიზმის მიმდევარი და როგორც იმ რანგის შემოქმედი, ვინც შეუძლებელია ჩაეტიოს ერთი ნაციონალური ლიტერატურის საზღვრებში. იქვე მის ორ ლექსსაც გაეცნობოდა მკითხველი. შემდგომ კი 1972 წელს გამოქვეყნებულ მცირე ანთოლოგიაში „ამერიკელი პოეტები" მისი კიდევ არაერთი პოეტური ნიმუში მოექცეოდა ქართულ ენობრივ სამოსელში.

პაუნდი რომ ჯერაც ცოცხალია, ორივე წიგნში გამჭვირვალედაა მინიშნებული: მისი ყველაზე პოპულარული წიგნია „ქებანი", რომელიც ჯერ არც უნდა იყოს დასრულებულიო.

ცხადია, გაკვრითაც არსადაა აღნიშნული, ეს პოეტი იტალიურ ფაშიზმსა და მუსოლინის რომ განადიდებდა და ამისათვის არც ციხე დაკლებია და არც ფსიქიატრიული კლინიკა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართულ ენაზეც თავისუფლად ჩნდება მისი სახელიც და ლექსებიც. არ დაგიშლიან, თუ მაინცდამაინც მის თავგადაკლულ ფაშისტობას არ შეასხამ ხოტბას და ამ გადასახედიდან არ გაიაზრებ მის პოეზიასა და ბიოგრაფიას.

ჩვენში მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის სახელს უნდა დასდევდნენ ამოსაშლელად, როგორ თუ დუჩეს განადიდებდაო.

„ო, ღმერთო! ო, ვენერა! ო, ქურდების მფარველო მერკური!" ისმინეთ ჩემი ვედრება, მაღირსეთ თამბაქოს პატარა ფარდული" — უკვე ქართულ ენაზეც შესთხოვდა ზეცას ეზრა პაუნდი — „მომაქირავეთ თამბაქოს პატარა ფარდული, ან მომიჩინეთ სხვა რამ ხელობა, ოღონდ მარიდეთ მწერლის დაწყევლილი ხელობა, რომელიც ითხოვს დღედაღამ ტვინის მუშაობას".

საკუთარ ბედისწერას ვინ გაქცევია, პაუნდი რომ გარიდებოდა, და ეს ვედრებაც პირადი ხვედრის გადაულახაობის ტრაგიზმით განმსჭვალულა.

არაფერს მოინანიებდა.

არავის შეეპუებოდა.

და იდგა ნეაპოლში ჟურნალისტების წინაშე ფაშისტური ჟესტით, დ'ანუნციოს მიგნებულით, მუსოლინის მისაკუთრებულით. აღარც ერთი იყო, აღარც მეორე, დროს წაელო მათი მეტოქეობაც და იტალიური ფაშიზმიც დაემსხვრია, როგორც

მძლავრი მოძრაობა. პაუნდიღა ინარჩუნებდა მის გარეგნულ ნიშნებს, ისღა ეკოწიწებოდა მუსოლინის სახელს და დაჟინებით ცდილობდა ყველასათვის შეეგონებინა, რომ სახელმწიფოსათვის აუცილებელია პოეზია.

ეს მრწამსი არ უნდა დამარხულიყო დუჩეს ნაწამებ სხეულთან ერთად.

ამერიკისათვის კი თავისი 13-წლიანი პატიმრობა როგორ ეპატიებინა.

მთელი ამერიკა ფსიქიატრიული საავადმყოფოაო, — მგზნებარებას ჩააქსოვდა ამ სიტყვებში და ამ ფრაზის შემდეგ იტალიის მიწაზე ხელშესახებად შეიგრძნობდა თავისუფლებას.

ნეტა საბჭოთა იმპერიაზე რაღას იტყოდა, ცალი ფეხი რომ მაინც შემოცდენოდა და მისი პოეტური მზერის წინაშე ერთბაშად გადახსნილიყო ამ ქვეყნის არსი?

ამერიკა თუ ფსიქიატრიული საავადმყოფო იყო, ნეტა საბჭოეთს რაღა უნდა დარქმეოდა?

და იძირებოდა ქვეყნიერება ტკივილსა და სასოწარკვეთაში.

თავი მეხუთე

ლენინური დითირამბები ან ტრაგედიის მწვერვალზე

საქართველოს გადარჩენის იმედი რომ არა, საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური სისტემის წინსვლა რომ არა, ეროვნული მრწამსის აღზევების სიხარული რომ არა, ნეტა თუ მაინც შეიქმნებოდა გრიგოლ რობაქიძის პოლიტიკური პამფლეტები ადოლფ ჰიტლერსა და ბენიტო მუსოლინიზე?

კიდევ ჩაძიება რაღა აუცილებელია?

ამ სამი მოტივიდან ერთიც რომ იყოს მწერლის გონების ამაფორიაქებელი და ამ წიგნაკების შესადგენად შემგულიანებელი, ისიც კი კმარა, არამცთუ სამივე ერთად.

მეტი რაღა უნდა გვინდოდეს?

სხვა შემთხვევაში იქნებ არც არაფერი, მაგრამ ავტორის პიროვნული წყობა და მხატვრულ-იდეური კონცეფცია ძალაუნებურად გვიბიძგებს კიდევ ერთი მოტივისაკენ.

მთავარი შესაძლოა სწორედ ის იყოს.

ყოველ შემთხვევაში, დანარჩენ მოტივებს არ ჩამოუვარდება: თაყვანება ძლიერი პიროვნებისა.

და მთავარი შთამაგონებელი „ესე იტყოდა ზარატუსტრა" არ უნდა იყოს.

უფრო ზუსტად:

გავლენას უთუოდ იქონიებდა მის ფსიქიკაზე ნიცშეს ზეკაცის იდეალი, უფრო დაარწმუნებდა თავის მისწრაფებაში, ფიქრს იქნებ კონცეფციადაც ჩამოუყალიბებდა, თუ უკვე არ ჩა-

მოყალიბებოდა. ასეა თუ ისე, ახლა უკვე ეცოდინებოდა, რა სახელით მოეხსენიებინა თავისი ფარული იდეალი, ეპოქის სულისკვეთება ხელშესახებად რომ უნდა გამოეკვეთა, მაგრამ პიროვნული ბუნებითაც სწორედ აქეთ რომ იხრებოდა და ისედაც ძლიერი ადამიანის მეხოტბე იქნებოდა, არ არის ძნელი ამოსაცნობი, თუკი ამ თვალით გადავხედავთ გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ მემკვიდრეობას და იქ თვალსაჩინოდ წარმომდგარ ძლიერი პიროვნების კულტს.

ეს ორი წიგნაკიც ამ კულტის ნაწილებია.

და გრიგოლ რობაქიძე ასე გულისფანცქალითაც რომ არ მიყურადებოდა ნაცისტურ და ფაშისტურ მოძრაობათა მომძლავრებას და საბჭოეთის, ბოლშევიზმის დამხობა და რუსეთის იმპერიის დაშლა მისთვის სიცოცხლეზე ძვირფასი რომ არც ყოფილიყო, მაშინაც მოიხიბლებოდა ჰიტლერის პიროვნებითაც და მუსოლინისაც და თავისი ისტორიულ-პოლიტიკური გალერეის ახალ პერსონაჟებად აღიარებდა.

და ხელი მაშინაც წაუცდებოდა მათ ფსიქოლოგიურ პორტრეტთა სრული თუ არა, ფრაგმენტული მონახაზისაკენ.

ისევე, როგორც:

სრულიად არ დასჭირებია პოლიტიკური კონიუნქტურისათვის ანგარიშის გაწევა, საბჭოური რეჟიმის წინაშე ქედის მოდრეკა, მოჩვენებითობა, ტაქტიკური სვლის გამოყენება, როდესაც ლენინის ხსოვნას ხოტბას აღუვლენდა.

ხოტბას — თავდაუზოგავად.

1924 წლის 1 იანვარს ვარაუდობდა ჟურნალ „კავკასიონის" გამოცემას პავლე ინგოროყვა, თუმც გამოსვლის თარიღი ოდნავ გადაიწევდა და თვის დამლევამდე მზის სინათლე არ ეღირსებოდა. და სწორედ ბოლო წუთს უნდა ჩართულიყო ჟურნალში ნეკროლოგი ლენინის გარდაცვალებაზე. 21 იანვრის ეს ცნობა თავზარდამცემად იმოქმედებდა გრიგოლ რობაქიძეზე და ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, რომ როდესაც რადიომ საბჭოთა ბელადის სიკვდილი მსოფლიოს შეატყობინა, ჰაერში მისი ტალღა რაღაც სხვანაირად დაიკლაკნა და არც ისეთი ადამიანი დარჩენილა ქვეყანაზე, რომელიც ამ ცნობით არ შერხეულიყოს.

და სახელდახელოდ რომ შეადგენდა გამოსათხოვარ სტატიას, შიგ მთელ თავის გულის მდუღარებას ჩააქსოვდა. სახელდახელოც რა იყო — იმდენი ეფიქრა ლენინის პიროვნებაზე, ისე აეტყორცნა თავის წარმოსახვაში ზევით და ზევით მისი სახება, ისე ჩამოეყალიბებინა იმისი პოლიტიკური ღვაწლის შეფასება, ფურცელზე გადატანაღა სჭირდებოდა.

აგერ, საბაბიც გამოჩენილიყო და ლენინის დატირებას თვითონვე რომ აიღებდა საკუთარ თავზე, რა აღმტაც ეპითეტს არ გამოძებნიდა, რა საქებურ სიტყვას არ შეარჩევდა, რა ექსპრესიით არ განმსჭვალავდა სამგლოვიარო ტექსტს.

ორად ორი გვერდია.

თუმც კმარა, როდესაც ყოველი ფრაზა ნერვივით თრთის და ტექსტიც და ქვეტექსტიც ზესწრაფვით აღვსილა.

გულწრფელი რომ არ იყოს გამოსათხოვარის სულისკვეთება, გარეგნული სქემა იქნებ იგივეც დარჩენილიყო, მაგრამ ნერვის თრთოლვას ვერ შევატყობდით... არც სასწაულებრიობით შეიმოსებოდა იმის სახება... და მითოსის გმირი კი აღარ იქნებოდა, არამედ უფრო პაროდია; გადაფხეკდი გარსს და კარიკატურა გეცემოდა თვალში, როგორც სჩვევია არაგულწრფელი ნაწერის გადაკითხვას პროფესიონალი მკითხველის მზერით, მის არსს რომ აშიშვლებს.

ლევ ტროცკის სიტყვებით იწყება გამოსათხოვარი.

ნეკროლოგში მერეც კიდევ ერთხელ გაიელვებს ეს სახელი.

ორ გვერდზე — ორჯერ.

— მარქსს რომ არ მოეხდინა არც ერთი რევოლუციური აქტი და დაეტოვებია შთამომავლობისათვის მარტო „კაპიტალი“, მაინც მარქსი იქნებოდა: დიდი ისტორიული პიროვნება. ლენინს რომ არ დაეწერა არც ერთი სტრიქონი და დაეტოვებია კაცობრიობისათვის მარტო რევოლუციური მოქმედება, მაინც ლენინი იქნებოდა: დიდი ისტორიული პიროვნება, — იტყოდა ტროცკი და გრიგოლ რობაქიძე ორივე ხელით ჩაეჭიდება ამ შეფასებას. შიფრავს, აგრძელებს, თითქოს აზუსტებს კიდეც, მაგრამ ხოტბას კი მასზე ამოაშენებს და არც აღტაცებას ფარავს, რომ:

— ამ სიტყვებში ნამდვილი გაგებაა. მარქსი მოაზრე და ლენინი მოქმედი. ორივე დიდი ექვივალენტობით.

და კიდევ:

— ნების პრიმატი! ეს ხაზი ტროცკის სიტყვებიდანაც სჩანს. მაგრამ ეს პრიმატობა არ უნდა იყოს ინტელლექტის პირისპირ. აქ არის ლენინის ფენომენალობა.

მარტო შეფასების სიზუსტე არ უნდა ხიბლავდეს. ასეთ „ნამდვილ გაგებას" სხვასაც არაერთს იპოვნიდა და, ბოლოსდაბოლოს, უამისოდაც მოახერხებდა დითირამბის მიძღვნას — განა რა საძნელოა მწერლისათვის ორი გვერდის შედგენა ისე, რომ არავის დამოწმება არ დასჭირდეს. კომპოზიციურ ქარგას ამ სიტყვების ირგვლივ რომ ამოახვევს, სხვა საყრდენსაც იოლად გამოძებნიდა. არასოდეს ყოფილა გრიგოლ რობაქიძისათვის ძნელად მისაღწევი კომპოზიციური სტრუქტურის ხელოვნება.

აშკარაა:

ლევ ტროცკის პიროვნებაში ხედავს ლენინის მემკვიდრეს.

საბჭოთა სახელმწიფო სულ მალე ეგულება მის ხელში და თავის ამ დაბეჯითებულ თვალსაზრისს ასე მიანიშნებს — საკმაოდ გამჭვირვალედ.

ეს შემდგომ მოხდება, ლენინის გვერდით ამოზრდილ ამ თვალსაჩინო სახელს ბოლშევიკური მოძრაობისა ამ სიტყვათშეთანხმებით რომ მიუჩენს ადგილს ისტორიაში: რევოლუციის ნახევარბედი.

რევოლუციის ბედი ლენინი გახლდათ.

კი მაგრამ, ნახევარბედიც არსებობს?

არსებობსო — ირწმუნება გრიგოლ რობაქიძე, როდესაც რომანში „ჩაკლული სული" ტროცკის პიროვნულ ბუნებასაც გაიაზრებს და მისი დამარცხების მიზეზებსაც ახსნის, დამარცხებას კაცისა, ვისაც ლენინმა თავის ანდერძში შესაძლო მემკვიდრეთა შორის პირველი ადგილი მიუჩინა; და ისედაც, მაშინდელ პოლიტიკურ არენაზე ტროცკის თითქოს ვერავინ უნდა შესცილებოდა საბჭოთა იმპერატორის ტიტულს.

— ტროცკი, როგორც რევოლუციონერი, მიხვეულ-მოხვეული, ხანდახან მცდარი გზებითაც დადიოდა. იქნებ სწორედ ამა-

ში იყო მისი ნახევარბედი. ტროცკის ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ დიდი რევოლუციონერი ყოფილიყო, ოღონდ ბოლშევიკური ფსიქიკა აკლდა — ასეთი რამეც არსებობს.

და კიდევ:

— სახარებაში ქრისტეს „ძე ღვთისას“ და „ძე კაცისას“ უწოდებენ. ევრო-ამერიკელ ადამიანში ძე ღვთისა თითქმის მოკვდა. ლოგოსის ნაცვლად მასში რაციო მეფობს. უღმერთო ბოლშევიკს ლოგოსი არ სჭირდება, მისთვის რაციო ყველაფერია... ინდიელის თავიდან რომ ღვთიური ცეცხლი აღმოგვეფხვრა და მის ნაცვლად ინტელექტი ჩაგვენერგა, ბოლშევიკურ ტიპს მივიღებდით. რაციო და ინსტინქტი — უკეთესი ნაზავი წარმოუდგენელია რევოლუციონერისათვის. ლენინს ჰქონდა ეს ნაზავი, ტროცკის — არა. მას აკლდა ბოლშევიკის რასიული ფსიქიკა.

30-იანი წლებიდან რომ გამოხედავდა, ყველაფერი ისე თვალნათლივ მოჩანდა და ისეთი კანონზომიერებით ლაგდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, გაუკვირდებოდა კიდეც, ამ რეალობაში გარკვევას რა წინასწარხედვის ნიჭი სჭირდებოდა, განა არ იგრძნობოდა, რომ ლენინის ნატეხი თავიდანვე სტალინი იყო, მასშიც გაერთიანებულიყო რაციო და ინსტინქტი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ელემენტი უფრო მძლავრად განვითარებოდა და ეს ლენინთან შედარებით უპირატესობასაც კი ანიჭებდა. და ცხოველური ალღოთი სტალინი მუდამ გრძნობდა, რომ ნახევარბედი ვერ გაუძღვებოდა რევოლუციასო?

არ იგრძნობოდა.

ყოველ შემთხვევაში, ვერავინ ჭვრეტდა.

ქაოტურობა ფარავდა რეალობას და გარეგნული ბრჭყვიალება უფრო აბრმავებდა თვალს და ტროცკის დემონურ სიმამაცესა თუ ზეადამიანურ გამბედაობას ისე შეეძლო აღეფრთოვანებინა თუნდ გრიგოლ რობაქიძე, ვეღარ ჩაკვირვებოდა, რომ ლენინის გვერდით ხდებოდა ეს სვენაკლული რევოლუციონერი სვებედნიერი, ულენინოდ კი კარგავდა იმას, რასაც იღბლიანი გამბედაობა ერქვა. თურმე მისი ზეადამიანური გამბედაობის მიღმა ურყევ კლდესავით იდგა ლენინი, და საკმარისი იყო, ლენინს სისხლი ჩაქცეოდა, რომ ტროცკისაც მყისვე დაეკარგა სიმამაცე.

ჯერ ეს ყოველივე ბურუსითაა მოცული და ქართველი მწერალი ამიტომაც მიელაციცება ტროცკის სახელს.

ამ სიტყვებში ნამდვილი გაგებააო...

ლენინს, როგორც ისტორიულ მოვლენას, საოცრებად აღიარებდა და არც იმის თქმას მოერიდებოდა, ასეთი მთლიანი პიროვნება ბოლო ხანებმა არ იცისო.

ევროპის ეპოქალურ ტიპს ჰამლეტი განასახიერებდა და ჰამლეტობა ევროპაში თითქმის ყველა ისტორიულ პიროვნებას ახასიათებდა?

ლენინი ამ მხრივ პირველი იყო ევროპის ერაში, საიდანაც იწყებოდა სრულიად ახალი ტეხილი: ჰამლეტის ანტიპოდი — პიროვნება როგორც განუკვეთელი ალი.

უჩვეულობად აღიქვამდა მის იდეალს ინტერნაციონალურს და ბუნებას — ნაციონალურს, ჰარმონიულად შეზავებულს („ორივე ნაკადულის შესხეულებით") და უკვირდა, რატომ ადარებდნენ ერთმანეთს რევოლუციის ბელადსა და პეტრე დიდს. ამ შედარებაში ორივეს „რუსობა" კი მართალი იყო, მაგრამ გადალახვით ლენინი ბევრად უფრო დიდი რომ მოჩანდა?

ლენინში მთელი რუსეთის „საშო" განივთებულიყო:

— აქ არის რუსეთის ველი, რომლის უკიდურობა სივრცის შიშს ჰბადებს. აქ არის გიჟური მოხედვა მღვრია ქაოსის, რომლის გუგუნი ქვესკნელში ტიუტჩევმა გაიგონა. აქ არის ნგრევის რიტმების აგორება, რომელსაც თან გადაჰყვა სკრიაბინი. აქ არის სლავური შეტევა სამყაროს მიმართ.

აშკარად დემონური იერით აღიბეჭდება განდიდებული პიროვნების ნაკვთები, მაგრამ ამ დემონურობის წარმოჩენას აღტაცების კილო შერევია, განსხვავებით სტალინის ფსიქოლოგიური პორტრეტისაგან, რომელიც აჰრიმანულ (<ოროტეულ) ძალად წარმოდგება გრიგოლ რობაქიძის თვალში და, ანალიტიკური განსჯისას, არც მკაცრ ეპითეტებს იშურებს.

უცნაურად მოჩანს, რომ ის, რაც ცოდვად ჩაეთვლება ლენინის მემკვიდრეს და მისი წამოწყების დამაგვირგვინებელს, თვითონ დამაარსებელს საბჭოთა იმპერიისა ოდნავ ნაკლად და ზადადაც არ მიეწერება.

თუ არა და — ჯერ მარტო ეს პასაჟი.

და მწერალი ამასაც არ კმარობს, რადგანაც თურმე რუსეთის „საშო“ რბილია და უნებო, ლენინი კი სასტიკი და ნებიანი.

სისასტიკე და ნება მისი სტიქიონური ბუნების აუცილებელი ნიშნებია, ზვავივით მომსკდარი შინაგანი ენერგიის გარეგნული გამჟღავნება, და ამ თვისებებზე სიტყვის ჩამოგდება გრიგოლ რობაქიძის გონებაში თავისთავად გამოიხმობს ხალიბური რკინის ასოციაციასაც და მონღოლური სტიქიის მრისხანებასაც, რომლის გამოძახილიც საუკუნეებს გადმოწვდომოდა.

შემთხვევას არ გაუშვებს ხელიდან, მონღოლურ აღზევებასა და ზღვასავით წამლეკავ ძალას დითირამბი არ უძღვნას, და სლავურ გაქანებას მის — მონღოლური სტიქიონის — მემკვიდრეობად დაიბეჯითებს:

— მასში არის რასიული გაქანება მონგრეული მონღოლეთის. მონღოლი ჯერ კიდევ გამოუცნობია. აქ საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ რაინდული გავარდნა მონღოლისა კეთილშობილურია თავის სისასტიკეში. სლავების უცნაურ არეში, როცა სული მარტო კატასტროფას ელის, ასეთი გავარდნა ფენომენალურ ფაქტად უნდა მოვლენილიყო.

ლენინის ნებისყოფას ნაპოლეონის ნებისყოფას ადარებენ?

გრიგოლ რობაქიძეს ეს შედარება თავისი გმირის დაკნინებად ეჩვენებოდა და ყელში სწვდებოდა ამ შეხედულებს მომხრეთ: ნაპოლეონის ნება ქოლერიული იყო, ჭკუა კი მელანქოლიური. ლენინის ქოლერიულ ნებას კიდევ უფრო ახელებს ქოლერიული ჭკუა. ამისათვისაა ლენინი მარტო ცეცხლი და მარტო წვა. ახალ ისტორიაში ასეთი ცეცხლი მგონი არავის ჰქონიაო.

და მეტი დამაჯერებლობისათვის დასძენს:

— აქ არის სიცხე ჰანნიბალის და რისხვა თიმურის.

ასე თუ გაჰყვა, აღარავის დატოვებს სახელგანთქმულ სახელმწიფოს მეთაურთაგან თუ მხედართმთავართაგან — ყველას ლენინის ჩრდილში მიუჩენს ადგილს, მისი პიროვნების ცალკეულ ასპექტობას აკმარებს.

„მგონი“ ამ კონტექსტში დაეჭვებას კი არა გულისხმობს, არამედ ქედმაღლურ ირონიასა და თვითრწმენას, იმ ჭეშმარიტების გამჟღავნებას, რომელთან შეკამათებაც არა ღირს.

და თუ მთელ ისტორიაში ვერავინ მოეძებნა მისი საფერო, მით უფრო რევოლუციურ ქარტეხილებში ვერ უპოვნიდა ტოლს და მწარედაც გადაჰკრავდა ევროპელთა გარევას რევოლუციურ მოძრაობაში, რაც ლამის პაროდიულად აღიქმებოდა რუსული რევოლუციის ფონზე:

— ევროპაში რევოლუცია უფრო მატერიალურ სიკეთეთა „გადალაგებაა", რუსეთში რევოლუცია სამყაროს პრობლემადაა გადაქცეული. ყოველ შემთხვევაში: პათოსით და რომანტიკით. ეს პათოსი და რომანტიკა შექმნა ლენინმა. „რომანტიკა" — არა როგორც სისხლნაკლულობა და „ოცნებობა" რასაკვირველია. კიდევ მეტი: ლენინის სახით მოცემულია ახალი რასსა რევოლუციონერის.

თითქოს მეტი რაღა უნდა თქვას, მთელი ენერგია უკვე ჩახარჯა დითირამბთა ფრქვევაში და ალბათ გულდამშვიდებით ამოახვევს კომპოზიციურ ქარგას... მაგრამ ექსპრესია თურმე კიდევ ჰქონია გადანახული და მოინდომებდა ზემსწრაფი განცდის მწვერვალზე შეეკრა:

— ლენინი ბედია და მაშასადამე გაბედული. ასეთი „გაბედვა" სამყაროს მიმართ არ ჰქონია არავის. ასეთი რისხვა არ მოვლენია ჯერ კაპიტალისტურ სისტემას. თვითონ სახელი მისი — „ულიანოვ-ლენინ" მოდის ისე, როგორც ურაგანი. ლენინში არ არის ის, რაც გულგრილობას იწვევს. ის მოცემულია როგორც ძელქვის კორძი, უტეხი და უკვეთელი. ის სასტიკია როგორც მოქნეული ხმალი. მაგრამ „სასტიკია ყოველი შემოქმედი" (ნიცშე). „პირადული" წარეცხილია თითქო მასში. მასში მოჩანს „უპიროვნო" სახე თვითონ ისტორიისა, ამისთვის არის იგი საოცარი და საშიშარი. ასეთია „ფატუმი" თვითონ. ამაშია მისი ძლევა.

ამ პასაჟში ძალდაუტანებლად მჟღავნდება ძლიერი პიროვნებით გრიგოლ რობაქიძის აღფრთოვანების ფსიქოლოგიური საწყისი — უპიროვნო ძალა, ბედისწერის განსხეულება, ისტორიის წარმმართველი, და, ცხადია, სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგარი.

შემთხვევით არ გახმიანდება ნიცშეს სახელი.

ზეკაცი უშუალოდ არ მოიხსენიება, მაგრამ გამჭვირვალედაა მინიშნებული, თანაც ისეთი ფრაზით, ყოველივეს ნებადართულს რომ ხდის მისთვის, ოღონდაც მასში ჩაგუბებულ მსოფლიო ენერგიას, უკიდეგანო ძალებსა და სტიქიონურ მოვარდნას შესაფერისი ასპარეზი მიეცეს.

და მისი ასპარეზიც ესაა:

— სასტიკია ყოველი შემოქმედი.

სისასტიკე თურმე აუცილებლობაა, ა-უ-ცი-ლებ-ლო-ბა...

ნაკლებმნიშვნელოვანია, თუ როგორ ატყდებათ თავს იმისი შინაგანი მოწოდების აღსრულება ადამიანებს, დაე დაინგრეს და შეიმუსროს ყოველივე, მთავარია ძლიერი პიროვნება მთელი თავისი სრულყოფილებით წარმოდგეს.

მის წინაშე ერთბაშად წაიშლება ეროვნული საზღვრებიც.

რეალობაზე მაღლა მდგომს წუთისოფლის კანონებით ხომ ვეღარ განსჯის გრიგოლ რობაქიძე.

ისტორიის მონაწილეს — თუნდ თვალსაჩინოსა და სახელოვანს — მეტ-ნაკლები სიმარჯვითა და გამჭრიახობით მიუსადაგებ ამქვეყნიურ საზომებს, მაგრამ ისტორიის შემოქმედს — ვერა.

ასეთი რისხვა არ მოვლენია კაპიტალისტურ სისტემასო...

გრიგოლ რობაქიძე არასოდეს ყოფილა არც სოციალისტი და არც მარქსისტი, სხვანი თუ ძალიანაც დაებნია და ეცთუნებინა ამ თეორიებს, მასზე არასოდეს მოუხდენია ზეგავლენა და, თუკი მარქსიზმს თუნდაც ამ გამოსათხოვარ წერილში პატივისცემით მოიხსენიებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ლენინიზმის — მის მიერაც ასერიგად განდიდებული პიროვნების პოლიტიკური თეორიის — უშუალო საყრდენად და წინამორბედად მიაჩნია. და რაკიღა სოციალისტთა ნაქადაგებ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოძღვრებას ვერ ჩაუთრევია, არც კაპიტალისტური სისტემის მიმართ იქნებოდა არასოდეს სიძულვილით განმსჭვალული, არ მიიჩნევდა ბოროტების საუფლოდ და მისი განადგურება ოცნებად არ გადაექცეოდა.

ჯერ მანამდეც, ვიდრე საბჭოთა სახელმწიფო დაარსდებოდა და თვალნათლივი შეიქნებოდა სოციალისტური თეორიისა თუ მარქსიზმის შინაგანი გამოფიტვა და უსუსურობა. ჰაერში მო-

ლივლივე ეკონომიკური გათანასწორების იდეა ან ისტორიის განსაზღვრა კლასთა ბრძოლით თუ ჯერ მაინც ბრჭყვიალებასა და ფერადებში გამოხვეულიყო, რეალობაში მისი დამკვიდრების ჟინი ყველასათვის გაათვალსაჩინოებდა ამ მოძღვრების დანაშაულებრივ ბუნებას, გარდუვალი ჩიხისაკენ რომ მიუძღოდა ადამიანს.

სწორედაც დანაშაულებრივს სრულიად მიუკერძოებელი გადასახედიდანაც.

კაცობრიობის მხსნელის სახელით მოვლენილი მოძღვრება კაცობრიობის დამღუპველის სახელით წარმოსდგებოდა ერთბაშად და მთელი თავისი შემზარაობით.

თურმე შინაგან გამოფიტვასა და უსუსურობას ვინ ჩიოდა!..

და საქართველოსაც რომ დატყდომოდა თავზე მთელი მრისხანებით ამ ყალბ თეორიებზე ამოშენებული სახელმწიფოს მომძლავრება?!.

ეს კიდევ ცალკე ტრაგედია.

გინდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ შემართული ბრძოლით გახარებულიყო კიდეც, საქართველოს ხელახალ ჩავარდნას პოლიტიკურ კაბალაში და თვალწინ დამსხვრეულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარემოს განა არ უნდა განეწყო ათვალწუნებით იმ ადამიანის მიმართ, უპირველესად ვისაც ბრალდებოდა ქვეყნის ხელმეორე ანექსია?

განა ლენინის მთავრობა არა ჰპირდებოდა ნოე ჟორდანიას ხელისუფლებას სრულ ხელშეუხებლობას და ამ მხურვალე აღთქმის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებითაც არ დაადასტურებდა?

და განა ეს მთავრობა არ დაძრავდა არმიას გრიგოლ რობაქიძის სამშობლოს დამოუკიდებლობის დასამხობად, თანაც, ვინ იცის, რამდენი ხნით, თუ სულაც არ მოუღებდა ბოლოს ქართველობას?

და განა კლასთა ბრძოლის არენად ჩვენი ქვეყანაც არ გადაიქცეოდა და გრიგოლ რობაქიძეც საკუთარი თვალით არ იხილავდა შემზარავსა და გულისმომკვლელ ნაყოფს ლენინის მრისხანებისა?

თურმე მხოლოდ კაპიტალისტურ სისტემას კი არ მოვლენოდა ლენინი რისხვად, არამედ საქართველოს სახელმწიფოსა და თვითმყოფადობასაც.

მაშ რატომღა აღტაცებულა მისი რისხვით?

ძლიერი პიროვნების ხიბლი ისეთი დამატყვევებელია „გრაალის მცველთა“ შემოქმედისათვის, რომ მის წინაშე განსჯის უნარი სრულებით ეკარგება.

გახსოვთ, ხალიბურ რკინასაც რომ შეადარა?

მერე ძელქვის კორძსაც.

რაოდენ უცნაურიც უნდა გეჩვენოთ, ლენინის ხილვისას უძველესი ქართული სამყაროც ამოჩნდება მის თვალთა წინაშე, თავისი პოეტური ფესვების იმ სათავესა თუ პირველბიძგს ხელახლა განიცდის მთელი არსებით, მესოპოტამიის საზღვარზე დაკარგული სამშობლო რომ აპოვნინა და მხატვრული შთაგონებითაც აღავსო.

ხალიბურის ხსენებას ძელქვის კორძი ამაგრებს და ავსებს.

კი მაგრამ, როგორ?

ვისაც ხსოვნაში წამოუტივტივდება „გველის პერანგის“ ის თავი — „ირუბაქიძე“ — მისთვისაც ყოველივე ცხადი შეიქნება.

ირუბაქ ირუბაქიძე არჩიბალდ მეკეშის მითიური წინაპარია და... თვითონ გრიგოლ რობაქიძისაც. მის მითოსს ასეთი სიყვარულით ამიტომაც გამოჰკვეთს და თხზავს საკუთარი საგვარეულოს წარმოსახვით მატიანეს, რომლის თანახმადაც:

ირუბაქ ირუბაქიძეს თავისი გვარი ქალდეადან გამოჰყავს.

ქალდეა ქართველთა პირველსაცხოვრისად მიუჩნევია გრიგოლ რობაქიძესაც და თავისი გვარის ეპონიმს სწორედ იმ გარემოში მოაქცევს.

რაკიღა გვარი იქიდან მოდის, მაშ სიტყვა „ირუბაქ“ ქალდეური ძირისა უნდა იყოს.

ასეცააო, ირწმუნება მწერალი და მის შინაარსსაც განმარტავს: ნიშნავს ხის კორძს, საკუთრივ ძელქვისასო.

გვარის ეს მნიშვნელობა ირუბაქ ირუბაქიძისათვის ისეთი საიდუმლოა, რომელსაც არავის უმხელს. მაგრამ ზოგიერთ ადამიანს — უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისტერიებს ზიარებულთ — მაინც მოეხსენება, რომ:

— კორძი იგი ცეცხლია ხის. ხანდახან გახელდება დაძარღვული და აინთება. ხე იწვის და თვითონაც იფერფლება. სხვა ხეს ცეცხლი — კორძში ანთებული — არ ედება.

ამ ფონზე კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი გამოსათხოვარის იმ სტრიქონს:

— ის მოცემულია როგორც ძელქვის კორძი.

არ არის და არც შეიძლება იყოს ეს დამთხვევა უნებური ან ნაკლებმნიშვნელოვანი. მწერლისათვის ისეთი ძვირფასია ირუბაქ ირუბაქიძის ხატის შექმნა და საკუთარი გვარის გახვევა ძელქვის კორძის სიმბოლიკაში, ამ მეტაფორებსა და ცნებებს, ასე იოლად არავისთვის გაიმეტებს.

მაგრამ სად ლენინი და სად ქალდეური სამყარო?

დიდება შენდა, ღმერთო!..

მაგრამ გრიგოლ რობაქიძის წარმოსახვა შესაძლებელს ხდის ამგვარ გაიგივებებს სრულიად დაშორებული ეპოქების და მოვლენებისა.

თუ მოშლაა ყოველგვარი საზღვრისა, მოშლა იყოს!..

და მწერლის შეფარული ოცნებაც უნებურად ამოდის სინათლეზე.

ის, რაც მიუღწეველია მისთვის, აგერ ლენინის პიროვნებაში განსხეულებულა. თვითონ თუ ამაოდ მიელტვოდა ზეკაცობას, მსოფლიო ენერგიის ამოძრავებასა და სტიქიონურ მოვარდნა-გახელებას, ყველასა და ყველაფერს რომ წალეკავდა, აგერ ფარული ოცნება ლენინად გამოცხადებია.

და ამიტომაც გადაულოცავს მას რობაქიძეთა გვარის მითოსსაც, ასეთი რუდუნებით გამოქანდაკებულს.

ახალი ეპოქის მითს გარდასული ჟამის მითოსური ხატი შეუზავდება და ზეკაცობის წყურვილი ასე მაინც მოიკვლის.

საქართველოს დამპყრობს ქართული მოდგმის მითოსიც მიერთვა შთასათქმელად.

1924 წელი საბედისწეროდ დაუდგებოდა ისედაც დარბეულსა და სულშეხუთულ ქვეყანას.

აგვისტო-სექტემბრის სისხლიანი კალოღა გვაკლდა.

აჯანყება სისხლში ჩაიხშობოდა, ოჯახები გაიჟლიტებოდნენ დიდიან-პატარიანად, ქალსა და ბავშვსაც არავინ გაარჩევდა და

სერგო ორჯონიკიძეც კი აღიარებდა: ცოტა მეტი მოგვივიდაო. უამრავი გულისშემძვრელი ეპიზოდიც რომ არ გვსმენოდეს და დოკუმენტებიც ამასვე არ ღაღადებდნენ, ეს ფრაზაც უკვე მიანიშნებს ადამიანს ბოლშევიზმის წარმოუდგენელ სისასტიკეზე.

გრიგოლ რობაქიძეც შეიძვროდა ამ ტრაგედიით და „ლამარას“ რომ შექმნიდა, ამ მისტერიას გაიაზრებდა როგორც პროტესტს... როგორც დამარცხებულის ქედუხრელობას... როგორც მარჯს, მისი საყვარელი სიტყვა და შეფასება რომ გავიმეოროთ...

აჯანყებისათვის მზადებას რომ გაანდობდნენ, სასტიკად უარყოფდა ამ გადაწყვეტილებას. თუ რატომ — „გველის პერანგში“ გაამჟღავნებდა. იმასაც კი იტყვის: მისხლობითაა აწონილიო. არ დაუჯერებდნენ მეამბოხენი, ხელის აღება სჯობსო, და საშინლად ანერვიულდებოდა, აიშლებოდა, დაიშლებოდა. და ამბოხება რომ მარცხით გათავდებოდა, მთლად შლეგს დაემსგავსებოდა:

— კაცს აღარ ვგავდი. მთელი არსი ჩემი ანთებით იყო აყვანილი. ასეთ ყოფაში დღე კვირეა და კვირე თვე და წელი... შესაძლოა წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნეულ მოვინდომე: „ლამარა“ უმალვე მიმეხალა მტარვალთა მიმართ ვითარ ტრაგიული მარჯი დამარცხებულთა.

მიზეზს აქ პოულობს, თუ როგორ ერთბაშად შეიქმნებოდა ეს მისტერია.

ვთქვათ, „გველის პერანგი“ 1917 წელს რომ შთაესახებოდა ჰამადანში, რომანად აქცევდა მხოლოდ 1925 წლის შემოდგომის დამდეგს ბორჯომში.

„ლამარას“ კი:

შთასახვიდან თვენახევარში უკვე ჩაუჯდებოდა და ორ კვირაშიც გაასრულებდა.

პროტესტის ჟინს აეტანა ასეთი სიშმაგით და კალამსაც ის აუჩქარებდა, და ეს აჩქარება მხოლოდ სასიკეთოდ წაადგებოდა დრამის შთამბეჭდაობას.

ლენინი კი ცოცხალი აღარ არის და ულმობელი ჟლეტა მას უშუალოდ ვერ დაბრალდება, მაგრამ სწორედაც მაგრამ:

განა მის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა სისტემამ და საქართველოს დაპყრობამ არ გამოიწვია აჯანყება? განა მის მიერ ნებადართული და დანერგილი მეთოდებით არ გაუსწორდნენ მეამბოხეებსა თუ მშვიდობიან მოსახლეობას? და განა ეს ცოდვის კითხვა მის სახელსაც არ გადაწვდება?

ჯერ ისტორიის გადასახედიდანაც, და მით უფრო იმ ადამიანთაგან, ვინც იმ მღელვარების შუაგულში მოქცეულიყვნენ და თვალწინ მომხდარს შთამომავლებზე გაცილებით მეტად განიცდიდნენ.

მითუმეტეს — ისეთ ემოციურ ნატურათაგან, მწერალი რომ არის ყოველ დროსა და ქვეყანაში.

მითუმეტეს — გრიგოლ რობაქიძისაგან, ვისი სულიერი დახვეწილობა და სიფაქიზეც საარაკოდ გაისმოდა საზოგადოებაში.

და თავის ასპარეზზე — ლიტერატურულ არენაზე — აგერ კიდეც შეეჯახა ლენინის დემონური სულისკვეთების ნაშიერ ძალმომრეობას.

„ლამარა" — ვითარ ტრაგიული მარჯი დამარცხებულთაო.

მაგრამ...

გამოიცემა „გველის პერანგი" და არამცთუ ეს პროტესტანტული გზნება, ეს ტრაგიკული მარჯი არა გრძელდება, ლენინის სილუეტი ისე გაიელვებს, ისეთი ბრწყინვალებით, რომ იმ გამოსათხოვარი წერილის თავისებურ ვარიაციად მოჩანს.

ეტყობა, ვერ იკმარა ის დითირამბი და უმატებს და უმატებს.

ეს ჩართული მონაკვეთი არ არის ვრცელი, სამაგიეროდ, შინაგანად საკმაოდ დამუხტულია და დაწნეხილი სიტყვა ხელშესახებად განგვაცდევინებს მწერლის აღფრთოვანებას ლენინის პირადი ხილვით.

რომანში პერსონაჟია შემსწრე ბოლშევიკური მოძრაობის ბელადის ორატორული გამოსვლისა პარიზში, 1908 წლის მაისში, რეალურად — თვითონ მწერალი მოისმენდა ლენინის ამ საჯარო სიტყვას რუს ემიგრანტთა წრეში და თავის პირად განცდებსა და შთაბეჭდილებებს უცვლელად გადაულოცავდა რომანის გმირს.

ეს ჩანართი სტრუქტურულად აგებულია ისე, როგორც ის პოლიტიკური პამფლეტი აიგებოდა, გრიგოლ რობაქიძეს ლენინზე ცალკე რომ შეეთხზა.

ისიც დაიწყებოდა გარეგნული იერის წარმოსახვით.

შემდეგ მოჰყვებოდა მისი ხმის ანალიტიკურ-ფსიქოლოგიური აღწერა ანუ ხალხზე ზემოქმედების გრძნეული უნარი და აქედან გაიხსნებოდა მისი პიროვნული ხასიათიც და ამქვეყნიური მისიის უმთავრესი გეზი.

ხომ არაფერი გაგახსენდათ?

ეს ხომ „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ გარეგნული სქემატური მონახაზებია.

თურმე ორივე პოლიტიკური პამფლეტის კომპოზიციური სათავე „გველის პერანგში“ ძევს, ოღონდ ლენინის პორტრეტის ქარგაზე ამოხვეული.

და ჩნდება თუ არა იმისი სახება, წამდაუწუმ გაიელვებს მწერლის საყვარელი სიტყვა — რეალობისა და სიმბოლიკის თავისებური ნაზავი: კორძი. — მაღალი შუბლი და უტეხი კორძები შუბლის.

— ...კეფა მტკიცედ ამოკორძილი (ნიშანი თავშეკავების?!).

თვალები, ერთი შეხედვით, თითქოს ისეთიც რა: წვრილი. ერთი მოხუჭული ოდნავ: უნდობი და გამხვრეტი. მეორე — განზე მოცქირალი თითქო.

მაგრამ თურმე იქით უკვე ამოიკითხება მისი სულიერი სიმტკიცე:

— თვალები თვალებში გეჭრებიან და თვალებს „იქით“ იხედებიან.

და მთელი ფიგურა სულ სხვანაირად ამოიზრდება:

— უგლიმი. თითქო ყველაფერს ხვდება წინასწარ როგორც მორკინალი.

მის მიერ წარმოთქმული არცერთი ფრაზა რომ პლასტიკურობითა და მჭევრმეტყველების გარეგნული სილამაზით არ იქცევს ყურადღებას?

სამაგიეროდ, მისი ფრაზა უფრო „მოქმედებაა“, სიტყვა — უფრო „ნება“.

ნუღა გავყვებით ცალკეულ დეტალებს, ზეკაცთან გაიგივებული სურათის ზოგადი მონახაზი აღვადგინოთ:

— ფიგურაში არის ძლევა და გამარჯვება. მთელი სხეული დაძაბულა ყველა კუნთებით. კაზინოში „ზერო“ რომ ირჩიოს —

მოიგებს უთუოდ. უტეხი. უდრეკი. შემმართებელი. არავითარი იჭვი. არავითარი გაორება. ერთი გეზი მთავარი. ერთი ხერხემალი მაგარი. დანარჩენი: მხოლოდ გაზომილობა ამ გეზით. ირგვლივ: ყველაფერი ამ გეზისთვის გამოსაყენებლად. არა: არ ლაპარაკობს; ნებას სჭედავს ქმედებისათვის. თითქო გიხმობს ხანძარის ასანთებად და ჩასაქრობათ. მთელი პიროვნება: თითქო ქვეყნის სილლოგიზმია რკინის რგოლებით — რომელიც ეს არის გაიშლება და საშინელი ხმაურით გავარდება. არავითარი სისველე და არავითარი სილბილე.

მისი ზემოქმედების ძალას ისე შეუპყრია რეალობაში გრიგოლ რობაქიძე და რომანში — მისი პერსონაჟი, რომ აღარც კი აინტერესებს, რას ლაპარაკობს ორატორი.

რაღაცას ხომ არ ვაჭარბებ?

არა, არაფერს, იმიტომ, რომ საკმაოდ მკაფიოდ წერია:

— რასაც ლაპარაკობდა არ მესმოდა. არა მარტო იმის გამო, რომ რუსული სუსტად ვიცი.

მაშ... რა ხდება?

— ჩემს პიროვნებას იპყრობდა თვითონ პიროვნება — გარეშე იმისა: თუ რას ამბობდა ან თუ რას ფიქრობდა. პიროვნება უშუალოდ: მის შუაგულში აღებული.

თუ არჩიბალდ მეკეში ვარაუდით ვარაუდობს, რუსული ენა სუსტად რომ არ ვიცოდე, მისი პიროვნება ისედაც დამიპყრობდა და ლაპარაკს მაშინაც ნაკლებ მივუგდებდი ყურსო, მწერალს ამ მხრივ სავარაუდო არც არაფერი აქვს — რუსული ენა ისე სრულყოფილად შეუსწავლია, ერთხანს ქართულზე უკეთესად ის ემარჯვებოდა და სამშობლოში დაბრუნებული თავდაპირველად საჯარო ლექციებს აკი სულაც რუსულად კითხულობდა. წესით, ერთი ნიუანსიც არ უნდა გამორჩეს. და მაინც არ მიადევნებს გულისყურს მის სიტყვათა ნაკადს, არ უკვირდება, რას ლაპარაკობს ორატორი ან რას ფიქრობს. მთავარი და უმთავრესი სწორედ ესაა მისთვის:

— პიროვნება უშუალოდ: მის შუაგულში აღებული.

ნეკროლოგის იმ ფრაზისა არ იყოს („მასში მოჩანს „უპიროვნო“ ძალა თვითონ ისტორიისა“), ამ სტრიქონშიც ძალდაუტანებ-

ლადაა გამჟღავნებული ძლიერი პიროვნებით გრიგოლ რობაქიძის აღფრთოვანების ფსიქოლოგიური საწყისი.

სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგარ ადამიანს ვერც შებედავს გამოვლილი გზის ცოდვა-მადლად შეფასებას, გადარჩევა-გადახარისხებასა და შესაფერისი ადგილის მოძებნას მისთვის ისტორიაში.

მხოლოდ ქედმოხრა მისი უზღვავი ენერგიის წინაშე.

მხოლოდ მორჩილება მისი გრიგალისებური ქროლვის ქვეშ.

მხოლოდ მის მიერ მოვლენილი ზანზარია ჭეშმარიტებაც და ყოველგვარი შეფასების საზომიც.

ააზანზარა ლენინმა სამყარო?

უპიროვნო ძალით გადაალაგ-გადმოალაგა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე?

და რაკიღა ეს ასეა და არა სხვაგვარად, გრიგოლ რობაქიძის თვალში ერთბაშად ფერმკრთალდება და სულაც არაფრდება, თუ რა რჩება სინამდვილეში ამ ზანზარისაგან.

ნგრევა, სისხლი, ცრემლი, საზოგადოებრივი ცხოვრების მოშლა, ეკონომიკის მარცხი... და საქართველოსათვის ლამის საბედისწეროდ გადაქცეული ლენინის პოლიტიკური მიზნის აღსრულება.

ის, რაც იდეალად გამოკვეთილა გრიგოლ რობაქიძისათვის, მის სამშობლოს დემონად და იმის უზომო მრისხანებად მოვლენია.

ნიკოს კაზანძაკისთან გაგზავნილ წერილში ქართველი შემოქმედი მხოლოდ იმ ორ პოლიტიკურ პამფლეტს — ჰიტლერსა და მუსოლინიზე — რომ უტრიალებს, მსჯელობისას არსად დასჭირებია არც ლენინის ხსენება და არც გამოსათხოვარი სტატიისა თუ „გველის პერანგის“ ამ ეპიზოდის ამოტივტივება, თორემ სიტყვას რომ მოჰყოლოდა და გრიგოლ რობაქიძე ერთხელ კიდევ აღვლენილიყო ხოტბად, ბერძენი მწერალი ამ სულისკვეთებას უთუოდ გაიზიარებდა, რადგან თვითონაც ასევე განწყობილიყო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მიმართ და სიჭაბუკისდროინდელ ამ განცდას ვეღარაფერი შეუცვლიდა.

74 წლისა მოიყრებოდა, თავის განვლილ გზას გახედავდა და ავტობიოგრაფიულ რომანში მოაქცევდა უმძაფრეს სულიერ ძი-

ებებს. სახელწოდებად შეურჩევდა „აღსარებას გრეკოსთან" და წინასწარგანზრახვით თუ უნებურად იმ ყაიდის თხზულებას შექმნიდა, როგორიც ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანია".

სიწრფელე, იდუმალ ფიქრთა და ზრახვათა უკიდურესი გაშიშვლებაა ნიშანდობლივი კაზანძაკისის ამ რომანისათვის — თანაც სიცოცხლის მიმწუხრზე დგას და, ღმერთს რომ ევედრება, კიდევ ათი წლის სიცოცხლე მიბოძეო, გულისგულში გრძნობს, ათი კი არა, ერთიც ძალიან სახვეწარი აქვს.

1956 წელია.

რუსეთის რევოლუციის ხანა სადღაც შორს დარჩენილა, მისი პერსონაჟები დიდი ხანია ისტორიაში გადასახლებულან და მშვიდ, აუღელვებელ განსჯას წინ აღარაფერი უდგას, მითუმეტეს, ასეთი ღრმა, ლამის ყოვლისმხილველი შემოქმედისაგან, ნიკოს კაზანძაკისი როგორც წარმოგვიდგება.

მეტი დამაჯერებლობით შეიძლება მსჯელობა სოციალიზმისა თუ კომუნიზმის აბსტრაქტულობასა, არაბუნებრიობასა და გარდუვალ მარცხზეც და რევოლუციის უპირველესი შემოქმედის ოდიოზურობაზეც.

უკვე ადვილია მისთვის ჩამოხსნა ამაღლებული, გაიდეალებული საბურველისა და რეალისტური პორტრეტის აღდგენა, პორტრეტისა, რომელიც ჰკარგავს გარეგნულ ზიზილ-პიპილოებს, მოჩვენებით შთამბეჭდაობას და სულ უფრო და უფრო გამოიკვეთება შემზარავი შტრიხებით.

თხრობისას მწერალი იმასაც გაიხსენებს, თუ როგორ სცემს ბოლთას წითელ მოედანზე და როგორ დაჰყვება გიდი, სულმოუთქმელად რომ უმტკიცებს: არ არის ლენინი ადამიანი, იგი სიმბოლოა, დაჰკარგა ადამიანური ნიშნები, ლეგენდად იქცა. ბავშვები, რომელნიც რევოლუციის ხანაში დაიბადნენ, ლენინის ბავშვებად იწოდებიან. ის იდუმალი მოხუცი, ახალ წელს რომ მოდის საჩუქრებით დატვირთული და ბავშვებს ურიგებს, აღარც წმინდა ნიკოლოზია და აღარც წმინდა ბასილი, ლენინია, ყოველ მუჟიკს, ყოველ ქალს, ხალხის წიაღიდან მომავალს, ზეადამიანური მანუგეშებელი და მფარველი სჭირდება. ამიტომაც ახალ სახატეში ლენინის გასპეტაკებულ სურათს ჰკიდებს და

კანდელს უნთებს. რუსეთის ყველაზე შორეულ სოფლებში, ჩრდილოეთის ყინულოვანი ზღვიდან ცენტრალური აზიის ტრამალებამდე, უბრალო ადამიანები — მეთევზენი, მიწის მხვნელნი, მწყემსნი — საუბრებით, სიცილით, კვნესით ღამისთევისას ლენინის სახეს აქანდაკებენ. ქალები ქარგავენ მის სახეს მრავალფერი აბრეშუმებით, მამაკაცები კვეთენ ხეზე, ბავშვები კი ნახშირით ხატავენ კედლებზეო.

ისეთი სურათი გადაიშლება, თითქოს ეს სახელი და მისი მოძღვრება ცეცხლითა და მახვილით კი არ ჩანერგილიყოს ხალხში, არამედ სიკეთისა და სინათლის სუფევით დამკვიდრებულიყოს ადამიანთა გულსა და გონებაში და ძალდაუტანებლად შეცვლილიყოს ღმერთის არსებობაც ლენინის სახელით.

ახალ სახატეში ლენინის გასპეტაკებულ სურათს ჰკიდებსო...

ამ სტრიქონების გადაკითხვა ჩვენი მკითხველის თვალში პაროდიადაც კი გამოჩნდება და, ასე ამოგლეჯილად თუ გაეცნობა, ეგონება, კაზანძაკისი სოციალიზმ-კომუნიზმის ფანატიკურ მიმდევარს ხატავს ირონიულ-სარკასტული საღებავებით და მისი სულიერი ავლადიდების, სრული სიღატაკის წარმოსაჩენად უშუალოდ მისი სიტყვები ამიტომაც მოუხმიაო.

მაგრამ... ეს მიმდევარი და მისი გზნება ელ გრეკოს წმინდანებსა და მათ სხეულებზე მოდებულ ცეცხლის ალსაა შედარებული.

თავისი პირადი განცდა კი კაზანძაკისს იმ პასაჟშიც გაუთვალსაჩინოებია, მავზოლეუმში ლენინის მუმიის მონახულებას რომ აღწერს.

განცდა აღარც ჰქვია — დიდი გზნებაა, ამაღლებულისა და იდეალურის სახეებში გახვევა და ღმერთის უშუალო ხილვის ტოლფასი შეგრძნება.

თოვლით დაფარული წითელი მოედნის შუაგულში რა ამოიზიდება მის თვალთა წინაშეც?

— თანამედროვე წმინდა საფლავი ახლისა იერუსალიმისა.

და მოედინება ათასობით მომლოცველი, მდუმარე ოთხეულებად დაწყობილნი, და დაბალი კარის გაღებას ელოდებიან. მოდიან ქვეყნიერების დასასრულიდან ქალებიც, კაცებიც და

ბავშვებიც, რათა იხილონ და ეთაყვანონ წითელ მეფეს (გრიგოლ რობაქიძე ამჯობინებდა ეთქვა: წითელ ფარაონსო), რომელიც ცოცხლად განისვენებს დედამიწაზე.

მათ შორის ჩამდგარა ბერძენი მწერალი ნიკოს კაზანძაკისიც, მათსავით მდუმარე, საათობით შერჩენილი თოვლსა და სიცივეს და „წმინდა საფლავზე" თვალმიშტერებული.

წმინდა საფლავის ხსენება რაღაც შემთხვევითობა ან სულაც გაუგებრობა ნუ გეგონებათ. მწერალიც ბნელ შესასვლელში რომ გაუჩინარდება სხვებთან ერთად, უეცრად მის წინ მიმავალ ორ მუჟიკს ისე გაუნათდებათ უფერული, ცხოველური სახეები, თითქოს მიწისქვეშეთის მზემ შემოანათაო. და კაზანძაკისი კისერს რომ წაიგრძელებს:

— ქვემოთ, დაბლა, მოჩანდა დიდი ბროლის შუშა, რომელიც წმინდა გვამს ფარავდა.

ისეთ განცდას შეუპყრია, ნეშტი ცოცხალიც კი ეჩვენება, და გარშემო მდგომ ადამიანთა განწყობილებას რომ განაზოგადებს და ადრინდელსა და მოგვიანო დაკვირვებებსაც შეურევს, „წმინდა გვამის" ხილვა ერთბაშად ამგვარ განზომილებაში გადადის:

— რუსული მასა აღტაცებული შეჰყურებს, იმავე, შეუცვლელი მზერით, რომლითაც ჯერ კიდევ სულ რამდენიმე წლის წინათ იესოს ვარდისფერ და ქერა სახეს შესცქეროდნენ მოოქროვილ კანკელებზე. ესეც ქრისტეა, ოღონდ წითელი. არსი იგივეა, მარადიული არსი ადამიანისა, შექმნილი იმედისა და შიშისაგან. მხოლოდ სახეები იცვლებიან.

წითელ მეფესაც აღარ ხმარობს და: წითელი ქრისტეაო.

იქნებ ეს მხოლოდ რუსული მასის განწყობილებაა და მწერალი არც იზიარებს ასეთ აღტაცებასა და განზოგადებას, რომლის ფონზეც ერთმანეთში არეულა ქრისტე და ლენინი... და წარმოსახავს მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინდელი სულისკვეთება აღადგინოს. მწერალი ხომ არც არის მოვალე, მოსწონდეს და იზიარებდეს ყოველივეს, რასაც ხელმისაწვდომს ხდის მკითხველისათვის. არც იმის მოვალეა, აშკარად დაგმოს ესა თუ ის შეხედულება ან მისწრაფება. ხან თუ არა, ხან საკმარისია სტრიქონებს შორის გამოსჭვიოდეს მისი შეფასება.

აი, გამოდის კაზანძაკისი მავზოლეუმიდან დაფიქრებული და გონებაში მხოლოდ ის უტრიალებს: რამდენი იბრძოლა ამ ადამიანმა უცხოეთში, რამდენი რამ გადაიტანა სიღარიბის, გამცემლობისა და ცილისწამების გამო. ყველაზე საყვარელი მეგობრებიც კი შეაშინა მისმა რწმენამ და სიმტკიცემ, სიჯიუტემ და მიატოვეს იგიო.

მაგრამ იმ უთმო თავის ქალაში, ბროლის შუშის მიღმა რომ იხილა სულ ახლახან, და იმ პატარა ჩამქრალ თვალებში, რა გგონიათ, რას ხედავს?

„... რუსეთს, თავისი სოფლებითა და ქალაქებით, უკიდეგანო ტრამალებით, ფართო და მდორე მდინარეებით, უდაბური ტუნდრებით, თუ როგორ ეძებდა და უხმობდა თავისუფლებას".

თურმე რუსეთი ეძებდა მას და თავის ხსნას სწორედ ლენინს აკისრებდა.

არა, ოდნავადაც არ ემიჯნება მწერალი რუსულ მასას და დარწმუნებულია, რომ ლენინის მოვლინება ამ ქვეყნის სულიერმა მოთხოვნილებამ და ბედისწერის განჩინებამ გადაწყვიტა. და რატომ მაინცდამაინც ასე?

— რადგანაც ყველაზე ძლიერი, და ამიტომაც ყველაზე პასუხისმგებელი პირი იყო იგი მთელს რუსეთში. რადგანაც რუსეთმა თავისი ბრძოლებით, თავისი სისხლით და ცრემლით განა შექმნა სხვა უფრო ძლიერი სული, რომელსაც დააკისრებდა საშინ, მომაკვდინებელ საგმირო საქმეს?

რაღა ის გიდი და რაღა თვითონ მწერალი!..

იქნებ რუსეთში მოგზაურობისას მასის მაშინდელმა განწყობილებამ აიყოლია, გონება ცოტა არ იყოს დაუბანგა და შემდგომ თანდათან კიდეც გამორკვეულიყო ბურანიდან?

მაგრამ რას უზამ ავტობიოგრაფიული რომანის უმთავრეს მრწამსს, რაც ხელშესახებად განაცხადა წიგნის წინათქმაშივე:

— ოთხი გადამწყვეტი საფეხური შემხვდა აღმა სვლისას და ყოველ მათგანს გარკვეული წმინდა სახელი ჰქვია: ქრისტე, ბუდა, ლენინი, ოდისევსი.

გამაოგნებელია სიბრტყეთა ასეთი არევ-დარევა. გამაოგნებელი — ამ სიღრმის მწერლისაგან, ვისაც სულიერ ძიებათა მართლაც ქრესტომათიული გზა გაუვლია.

ეს სახელები ერთმანეთის გვერდით რანაირად შეიძლება მოხვედრილიყო?

და მაინც:

რეალობაა ეს ფრაზაც.

და რეალობაა რომანის ეს სულისკვეთებაც.

— ახლა, როცა უკვე მზე ჩასასვლელად გადაიხარა, ეს სისხლიანი სვლა ერთი წმინდა სახელიდან მეორისაკენ, მინდა, რომ ჩემი ცხოვრების ამ გზამკვლევში აღვნიშნო. მინდა აღვწერო გზა ადამიანისა, რომელსაც სული ყელში მობჯენია და თავისი ბედისწერის ციცაბო მთას შესდგომია. სული ჩემი ღაღადისია ერთიანად, ხოლო მთელი ჩემი შემოქმედება ამ ღაღადისის განმარტებაა.

თითქოს გრძნობს, სწორედაც გამაოგნებელი რომ მოგვეჩვენება სახელთა ეს აუხსნელი თავმოყრა და გვიბეჯითებს და გვიბეჯითებს — რედაქტორისა თუ ინტერპოლატორის ნახელავი არ გეგონოთ, ჩემი ცხოვრების ეს გზამკვლევი ნამდვილად ამ სახელთა საძირკველზეა ამოშენებულიო.

ოღონდ ესეცაა:

გარედან შეჰყურებს ნიკოს კაზანძაკისი საბჭოურ რეალობასაც და რუსეთის იმპერიასაც და შესაძლოა მისთვის ყველაფერი ისე ცხადი და ადვილად ამოსაცნობი არ იყოს, როგორც ამ რეჟიმის პირობებში მცხოვრები ადამიანებისათვის — მაინცდამაინც მწერლები თუ ხელოვანნი რომ არც ყოფილიყვნენ.

საბერძნეთს არ გადაწვდომია ლენინის მრისხანება, არ უწვნევია ეს რეჟიმი და კაზანძაკისი ისე გაიაზრებს ამ პიროვნების არსს, როგორც ლიტერატურულ პერსონაჟზე იმსჯელებდა.

გნებავთ — მითოსურ პერსონაჟზე.

ღმერთსმოკლებულ სინამდვილეს თავისი მითოსი მოუტანია და ამ მითოსისაკენ კაზანძაკისსაც ფრიდრიჰ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ მიუძღვის.

ამ წიგნის წაკითხვა გადაუტრიალებს გონებას და ყოველი რელიგია, რომელიც ადამიანს იმას ჰპირდება, რასაც ნატრობს, უკვე მხდალთა თავშესაფრად ეჩვენება, ჭეშმარიტი მამაკაცისათვის მიუღებლად.

და მაცხოვრის მოვლინების მისიაც დააეჭვებს:

არის კი ქრისტეს გზა ის, რომელსაც ადამიანი ხსნისაკენ მიჰყავს?

ეჭვი ღრმავდება: ვაითუ ის მხოლოდ კარგად ჩამოყალიბებული ზღაპარია, რომელიც სამოთხესა და უკვდავებას გვპირდება მეტად ნიჭიერად, დიდი ხელოვანებით, ისე, რომ ვერასოდეს მიხვდეს მორწმუნე ადამიანი, რომ ეს სამოთხე არ არის ჩვენი წყურვილის ანარეკლიო.

და კიდევ უფრო ღრმავდება ეჭვი...

თუნდ მეფეც იყოს ადამიანი და თავის თავში ატარებდეს საკუთარ სამეფოს, მიდიოდეს და იცოდეს, საითაც მიდის, მაშინ რაღას აპირებს, უფსკრულის ნაპირს რომ მიაღწევს?

და შენატრის კაზანძაკისი ნიცშეს, იმის გამბედაობასა და სიმშვიდეს, თვალისდაუხამხამებლად შეხედოს უფსკრულს — მოიძროს თავიდან ქაღალდის გვირგვინი და მოისროლოს, გაიძროს სამეფო სამოსი და მყვინთავივით შიშველი, ხელებსა და ფეხებს ერთმანეთს რომ შეაწებებს, თავით გადაეშვას უფსკრულში.

შენატრის და სჯერა:

დედამიწაზე არ გაგონილა მანამდე ასეთი ამაყი ხმა იმედის მოძულისა.

ბერძენ მწერალს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თვით ნიცშეც კი აკანკალდა ერთი წუთით, დაუსრულებელ წამებად მოეჩვენა მარადიული დაბრუნება. და დიდი იმედი, მომავალი მხსნელი, ზეკაცი შექმნა შეშინებულმა. ასე ჩნდება კიდევ სხვა სამოთხე, სხვა ანარეკლი საბრალო ადამიანის მოსატყუებლად, იმისათვის, რათა გაუძლოს სიცოცხლესა და სიკვდილს.

„ესე იტყოდა ზარატუსტრას“ უმძაფრესი ტრაგიზმი შეუმჩნეველი არ დარჩენია კაზანძაკისს, მაგრამ ზეკაცში ძალის კულტს უფრო ხედავს და სტიქიონურ აღზევებას, ვიდრე სულიერად ფერნაცვალ ადამიანსა თუ კაცობრიობას, მხედველობიდან ეპარება ის, რამაც ეს წიგნი მეხუთე სახარებადაც კი შეიძლება მიგვაჩნევინოს. და რაკი მისი აღქმა ცოტა ზედაპირულია, გაორებული ეპოქის ტრაგიკული სულისკვეთებით, აქედან ძალაუნებურად ამოჰყოფს თავს ლენინის მითოსში.

თავი მეექვსე

ნოე ჟორდანია — მოსე წინასწარმეტყველი?

— ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის, — თავიდანვე იმგვარ კამერტონზე მომართავდა ჩანგს, უკვე მიხვდებოდი, დითირამბებად დაიღვრებაო. და მართლაც ისეთ სიმაღლეზე აზიდავდა და ისეთ სიმბოლოდ განაზოგადებდა, ილია ჭავჭავაძის მოხუცის სახება რომ გვახსოვს „აჩრდილიდან“ — ხორცშესხმა ქვეყნის უკვდავი სულისა, მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანაო. გრიგოლ რობაქიძესაც უთუოდ ამ პოემის სტრიქონები აგონდება და იმ ხილვების კვალს მიჰყვება, ბიბლიის ხსენებიდან კეთილშობილ რასაზე რომ გადადის: მასში მოსჩანსო.

ეს ის რასა გახლდათ, ქალდეას ველებში გამოხურვებული და კავკასიონის კალთებით განელებული.

და იმ ფრაზამაც, განსაკუთრებით აღმტაცმა და ამაღზევებმა, უკვე აქვე უნდა გაიელვოს:

— ქურუმები ძველად ღმერთებს ალბათ ასეთი სახით ელაპარაკებოდენ.

ნოე ჟორდანიას პროფილი ძველ ღერბსაც მოაგონებდა და გურიის ველების უცნაურ სირბილესაც აგრძნობინებდა. ახსენებდა გურიის ველებს და... უეცრად შეჩქვიფდებოდა: უნებურად ხომ არ დავამცირე მისი ამაღლებული სახება, ქვეყნის ერთი კუთხით რომ შემოვრკალეო. ამიტომაც მაშინვე გაუტოლებდა იბერიის მიწასა და საქართველოს რასიული ტიპის ხორცშესხმად აღიარებდა.

გაუტოლებდა, აღიარებდა და:

იქ რუსთველის ტარიელის აჩრდილი წამოჰყოფდა თავს: ყოველთა მჯობი რაინდი გულჩვილობას რომ იჩენდა.

აქ თეთრი გიორგი გადაიელვებდა, ტაიჭზე მჯდომარე მახვილით რომ ჰკვეთდა ვეშაპს და, იმავდროულად, მის თვალებში ნათელი ბავშვის გვერდული მზერა გამოსჭვიოდა.

დაუკვირდით: არა წმინდა გიორგი, არამედ თეთრი გიორგი — ახალი დროის, მენშევიკური ეპოქის სიმბოლიკა, პირწმინდად გაძარცული რელიგიური ნიშნებისაგან.

ისე როგორ იქნება, გიორგი სააკაძეც არ ახსენოს, მაგრამ მთლადაც ვერ შეუთანადებია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან იმისი რისხვით შემმართებელი ხასიათი, თუმც გამოსავალს ასე გამოძებნის: დიდი მოურავი ბოლოს და ბოლოს გამონაკლისიაო.

ვერა ფარავდა გრიგოლ რობაქიძე, რომ უყვარდა ნოე ჟორდანიას აცეცხლება, მაგრამ საზოგადოებას უმტკიცებდა, დაუკვირდით და თქვენც ჩემსავით დარწმუნდებით, რომ ამ ანთებაში სათნოების ტემპერამენტია და არა სიავის ცეცხლიო.

და ქართული ხასიათის ერთ კოლორიტულ ხაზად განაზოგადებდა: უკანასკნელი დარბილებაა ჯვაროსანი ნებისო.

ბიბლიისა და ღმერთთან მოლაპარაკე ქურუმების ასოციაციას, რა გასაკვირია, თეთრი გიორგის ხსენებაც რომ მოჰყოლოდა, და კიდევ — ქაშვეთის („ქაშვეთი ესთეტიური ფორმულაა ქართული ყოფის ერთი მთავარი ნაკადულის. მისი მორცხვი ტანის ქალწულ ხაზებში ჟორდანიას პროფილიც არის უთუოდ ასარკული"), და კიდევ — მარიამ ღვთისმშობლის, ვისი წილხვდომილიცაა საქართველო. ლეგენდაა? მაგრამ ლეგენდაში ხომ უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე გაზეთის ქრონიკაში, მითუმეტეს, ეს საიდუმლო ცოდნა ქაშვეთს ფრინველივით დასტრიალებს თავს. და კიდევ — წმინდა ნინოსი — ვისი ვაზითდამთვრალი ჯვარიც აცხელებს ამ ლეგენდას — და ქეთევან წამებულის — ვისი სურნელოვანი ცრემლიც ნელად ალბობს.

და კვლავ აღფრთოვანებული სტრიქონი:

— ჟორდანიას სირბილე მე ამ ხაზებში მესახება.

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანაო...

და ამ გადმოსახედიდან ორჯერ უნდა გაიკენწლოს მწარედ ლენინი.

ნოე ჟორდანიას სახება ისე გადიადებულა მწერლის წარმოსახვაში, რა გასაკვირია, მისი ტოლ-სწორი ვეღარც ეპოვნა, ოღონდ ზოგადად კი არ აღნიშნავს: ბადალი არ მოეძებნებაო, — ლენინის სახელს გაიბურთავებს მეტი დამაჯერებლობისა და ეფექტისათვის.

მესმის ჟორდანიას წუხილი შვილის დაკარგვის გამოო, — იტყვის თუ არა, მაშინვე მოადევნებს:

— ლენინს ასეთი წუხილი არ შეუძლია.

ეს ხომ მიწასთან სიახლოვეს ნიშნავს, ეს წუხილი მხოლოდ პირადი ტრაგედია კი არ არის, არამედ — და უფრო მეტადაც — ფესვებთან ზიარების აქტი, რაც უცხოა რუსეთის სახელმწიფო მეთაურისათვის.

ან:

არ ვიცი, ჟორდანია ლოცულობს თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ მრავალი ლოცულობს მისთვისო, — იტყვის თუ არა, იქვე ეს უნდა დასძინოს:

— გამაგებინეთ ვინ ლოცულობს ლენინისათვის?!

პოლიტიკური ვითარებითაა ნაკარნახევი ეს ირონიული გადაკვრები?

თუ წამიერად მართლა გულწრფელია გრიგოლ რობაქიძე და ლენინის პიროვნება მის თვალში ერთბაშად დაკნინებულა, ვიდრე... რამდენიმე წლის შემდეგ აღმტაც ქება-დიდებას არ დაიშურებდეს?

ამას დაბეჯითებით ვერც ვერასოდეს გამოარკვევ, უბრალოდ დავიმოწმოთ როგორც ნოე ჟორდანიაზე დითირამბული სტატიის დეტალები და იმ ცნობას ჩავუკვირდეთ: მრავალი ლოცულობს მისთვისო.

ვიციო, — ირწმუნება, ვარაუდს კი არ გამოთქვამს მწერალი.

— დაისებში ჩვენს დედებს არ ავიწყდებათ ჟორდანია და ჩვენი ბავშვები აისებში პირველად ალბად მას იგონებენ.

„ალბადო“ — მაინც წასცდება.

თანაც ამტკიცებს ისეთ რაიმეს, რაც — თვითონაც უნდა მოეხსენებოდეს — რეალობას ძალიან დაშორებია.

მოწიფულ, თუმც მოვლენათა გულისგულში ჩაუხედავ ადამიანებს ნოე ჟორდანია საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან რომ გაეიგივებინოთ და მისი ჯანის სიმრთელეს ავედრებდნენ არსთაგამრიგეს, დაუჯერებელი სულაც არ არის. წუთისოფლის ტრიალს ისე მოუტანია, რომ ჟორდანიას წარმატება ქვეყნის წარმატებას გულისხმობს, წარუმატებლობა კი საქართველოს ბედს შავი ღრუბლებით შემოგარსავს, და ამიტომაც შესაძლებელია, რომ გულისფანცქალით და იმედით ადევნებდნენ თვალს მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

მაგრამ ბავშვებიც მის ლოცვაში ახელდნენ თვალს?

მწერლის სურვილის საპირისპიროდ, ეს პასაჟი ხოტბიდან ირონიაში გადადის, და ამგვარი სტრიქონები დიდი საძებნელი არ არის სტატიაში, რომელშიც მთავრობის თავმჯდომარე მხოლოდ დიდი ქართველის ფიგურად კი არ წარმოსდგება, არამედ სულაც მის ეპონიმად.

რაღა ქართლოსი და რაღა ნოე ჟორდანია!..

აგერ, ქალდეამდეც კი გადაუტყორცნია მისი სახება და ღმერთთან ლაპარაკის უნარითაც დაუჯილდოვებია.

ისტორიულ ფიგურას ისტორია ჰქმნის?

მართალია, ჟორდანია ქვეყნის უკვდავი სულის შარავანდში გახვეულა, მაგრამ როგორც ხორცშესხმული არსება, ყველას თვალწინ დაიარება და მისი ეს თვალით ხილული სახეც უნდა გაბრწყინდეს უჩვეულო სიკაშკაშით. მანამდე კი ყოველგვარი ლაქა უნდა ჩამოეწმინდოს, უპირველესად მაინც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ თავგადაკლული ბრძოლა და ენერგიული მონაწილეობა მის სამოქალაქო მკვლელობაში. შელამაზდეს ისიც, სწორედ ილიას ნაოცნებარი და მიზანდასახულად მომზადებული სახელმწიფო დამოუკიდებლობას თვითონ რომ ჩაიგდებდა ხელში და რასაც მთელი ცხოვრება აბიაბრუებდა, მისი საპატრონებელი შექმნილიყო.

ასე პირდაპირ, ცხადია, არ მოინდომებს ილიას დასახელებასა და იმ ლიტერატურულ-პოლიტიკური ჭიდილის წამოტივტივებას, არ მოინდომებს, რაკიღა დარწმუნებით იცის, რომ როგორც უნდა შეარბილოს და შეღებ-შემოღებოს ნოე ჟორდანიას მაშინდელი მოქმედება, მაინც დაზარალდება მისი გმირი.

ბოლოსდაბოლოს, ილიას სახით ქვეყნის მომავალი ხელისუფალი მწვავედ უპირისპირდებოდა ეროვნულ მრწამსსა და სულისკვეთებას, დრომოჭმულად, უვარგისად აცხადებდა და თავის კოსმოპოლიტურ შეხედულებებს ქართველ ხალხს მიაწერდა, მე მხოლოდ მათ გულისნადებს გამოვთქვამო.

ამიტომაც ურჩევნია მწერალს, ის დავა-კამათი აბსტრაქტულ სივრცეში გადაიტანოს და გააბუნდოვანოს. მხოლოდ ასე მიალამაზ-მოალამაზოს, ყოველ შემთხვევაში, შედარებით ასატანი რომ გამოჩნდეს სტატიის ქარგაში.

— ჟორდანიას იმთავითვე ჰქონია დიდი ნიჭი ინტუიციის... პირველმა იგრძნო სავსებით რომ პატარა ერის ბიოლოგიური ენერგია განსაზღვრულია და მისი ცხოვრების განვითარება შესაძლოა მხოლოდ გარეშე ძალების დახმარებით. ცხადია, იმ ცოცხალი ძალების, რომლებითაც იჭედება ერთა სოლიდარობა. ამ ძალების წარმომშობი ინტერნაციონალური დემოკრატიაა. ჟორდანიამ შემოიტანა საქართველოში ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ინტერნაციონალიზმს საქართველოს პოლიტიკაში.

როგორც უნდა შებუროს და მოაშანდაკოს ინტერნაციონალისტური იდეოლოგია, აგერ, მიუახლოვდა საფრთხილო ზღვარს.

არიდებით მთლადაც ვერ აერიდება, ამიტომაც:

— ხაზგასმა აკცენტუაციაა ფსიხოლოგიური და ხშირად მის ხელში ჯოხი მეორე მხარეს იხრებოდა: ინტერნაციონალიზმი ანაციონალიზმში გადადიოდა. აქ არის სათავე ჟორდანიას ნაწერების წინააღმდეგობათა. მაგრამ ეს „წინააღმდეგობანი" ზედაპირია მარტო ოდენ. თავიდათავი მის აზროვნებაში (შესაძლოა ქვეშეცნეული) სხვაა: საქართველოს ნაციონალური იდეოლოგია შეიძლება იყოს მხოლოდ ინტერნაციონალური გეზით გამართული.

სიტყვიერმა ეკვილიბრისტიკამ ზიდა ის ტვირთი, რასაც ჰქვია ისტორიული რეალობის გადაკეთების ცდა, და წინააღმდეგობანი რომ ახსენა, იქვე წინწკლებითაც შემოსა, ვითომდა: მოჩვენებითია, ჩემო მკითხველო, ყოველგვარი წინააღმდეგობა და ზედაპირულ შთაბეჭდილებას ნუ დაეყრდნობითო.

ნაციონალური იდეოლოგია მხოლოდ ინტერნაციონალური გეზითო...

ნოე ჟორდანიას თარგზე უნდა მოიჭრას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგადი იერიც და მისი ყოველი ნაკადიც, და გრიგოლ რობაქიძე წარმოგვიდგება არა ანალიტიკოსად, არამედ მენშევიკური პარტიის მითოსის შემქმნელად. იგი არასოდეს უთანაგრძნობდა ამ პარტიას, მაგრამ მისი ბელადის სახის გაიდეალება ძალაუნებურად იწვევს ჟორდანიას მითოსისა და მენშევიზმის მითოსის შეთხზვის ცდას.

სიტყვიერი ეკვილიბრისტიკა გრძელდება და აღმავალი და აღმავალი გზით მიისწრაფის.

— არსად ისე აშკარად არ გამართლებულა ისტორიის დიალექტიკა ჰეგელის მიერ შეცნობილი, როგორც საქართველოს ცხოვრებაში. ისტორიის ირრაციონალობა იმაშია, რომ ერთში იბრძვის ორი, მაგრამ მთელისათვის ორივე საჭიროა. საქართველოს ნაციონალურ იდეოლოგიას საშინლად ებრძოდა თითქმის ანაციონალიზმში გადასული ინტერნაციონალური იდეოლოგია: მაგრამ ისტორიული გონება საქართველოსი ორივეს შეიცავდა და დღეს უკვე ნათელია, რომ საქართველოს ხსნისათვის ორივე მიმართულების ბრძოლა იყო აუცილებელი. ამ ისტორიულ გონებას არის ზიარებული ჟორდანიას ინტელექტი.

თუკი ერის უკვდავი სულის სიმბოლოა, მაშ ქვეყნის ცხოვრების უმთავრესი თავისებურებაც მან უნდა გამოხატოს, თუნდაც ამ გამოხატვამ ანტინაციონალისტური შტურმი მოითხოვოს მისგან. თურმე ეს ანაციონალიზმი სადღაც სიღრმეში ნაციონალიზმიც კი ყოფილა.

სიტყვიერი ეკვილიბრისტიკაო...

აქ მთავრდება ილია ჭავჭავაძესთან ჭიდილის მინიშნებითი, ქვეტექსტური პასაჟი მთავრდება ნოე ჟორდანიას ტრიუმფალური სახების აღზევებით, რასაც უნდა მიემატოს მისი მახვილი ინტუიციის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება: საქართველოს ხსნა მხოლოდ დასავლეთშია.

მაშ... საქართველოსა და რუსეთის შეერთების მომხრე რომ იყო?

* * *

დიდი კოსმოპოლიტიო, — ერთგან ასეც მოიხსენიებდა ნოე ჟორდანიას კონსტანტინე გამსახურდია, — რომელიც თავისი მოღვაწეობის ოცდაათი წლის განმავლობაში ეროვნულ ფაქტორს უარყოფდაო.

და თვით ასეთ ადამიანსაც, ეროვნულობის არადჩამგდებ კოსმოპოლიტსაც დაერღვეოდა თავისი მოხუცებულობის სიდინჯე და, საქართველოში რუსეთის ასწლიანი პოლიტიკის მიერ დათესილი ბოროტების გაცნობიერების შემდეგ, ნებით თუ უნებლიეთ მთელი ქვეყნის წინაშე აღიარებდა: საქართველოს ერთადერთი და შესაძლებელი ორიენტაცია ევროპისაკენ უნდა იყოს მიმართულიო.

და ამას დასავლური დემოკრატიის სახელით განაცხადებდა — რუსული ორიენტაციის მიუღებლობას ჩვენთვის.

ორიოდ სტრიქონში კი ასე ჩაწურავდა მის პოლიტიკურ გზასა და ღვაწლს:

— ნოე ჟორდანია, როგორც ისტორიული პიროვნება, რუსული ყალიბის საზოგადო მოღვაწე იყო, რამდენადაც როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმი რუსული იდეოლოგიის პირმშოებია. ჟორდანიას ინტელექტუალური ჰაბიტუსიც რუსული იდეოლოგია იყო პარ ექსელან.

მაშ ის ნაბიჯი რაღამ გადაადგმევინა, ევროპისაკენ რაღამ გაახედა?

ახსნით ასე თუ აიხსნებოდა:

რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფო აპარატის განადგურებამ, ქართული ენის გამუდმებულმა დევნამ თავისთავად აიძულა საქართველო რუსეთის პოლიტიკის ორბიტიდან გამოერიცხა თავი. და რაკიღა ეს რეალობა ისეთი თვალნათლივი გახლდათ, რომ ბოლოსდაბოლოს თვით დაბნეული გონების ადამიანებსაც გამოარკვევდა ნოე ჟორდანიაც იძულებული შეიქნებოდა თავისი პოლიტიკური მრწამსის სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება ემტკიცებინა.

და შეფასების ამ ფონზე ცოტა არ იყოს კომიკურად გამოიყურება მისი პიროვნებით გრიგოლ რობაქიძის უზომო აღტაცება, მოსე წინასწარმეტყველისთვისაც რომ შეეტოლებინა.

* * *

მისი მახვილი ინტუიციის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება: საქართველოს ხსნა მხოლოდ დასავლეთშიაო...

არა, გრიგოლ რობაქიძე ამას არ უარყოფს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ... რუსეთის საშუალებით ვზიარებოდით ევროპას. ახლა კი, 1920 წლის დამდეგს, სწორედ ნოე ჟორდანიაა რუსეთისაგან გამოცალკევების პირველი მომხრე, რადგანაც შეატყო, რომ რუსეთი საბოლოოდ გვიპირებდა ჩატოვებას აზიაში.

ისე ვინც ამ პერსპექტივას გაცილებით ადრე მიხვდა, განა იმას უფრო მახვილი ინტუიცია არა ჰქონია?

მაგრამ მწერალი მაშინვე ზურგს აქცევს ამ მოსალოდნელ შეკითხვას, რეალობიდან კვლავ ბიბლიურსა და მითოსურ წარმოსახვებს უბრუნდება და, განაცხადებს თუ არა: ჟორდანია ტრიბუნია, თუმცა მას ენა არ ემორჩილებაო, — ერთბაშად ხვდები, ამას ნაკლად კი არ აღნიშნავს, ისევ მის განსადიდებლად გამოიყენებსო.

მაგრამ... ენა თუ არ ემორჩილება, სახოტბოდ ეს ნიშანი როგორ უნდა მოიმარჯვოს?

როგორ და:

— ამ შემთხვევაში შეიძლება იგი ძველს მოსეს ჰგავდეს, რომლის ხვედრია მშობელი ერის აღთქმულ ქვეყნისკენ წაყვანა.

ეს პასაჟი მხოლოდ ინტელექტუალურ მკითხველზეა გამიზნული.

მის ქვეტექსტს ყველა ვერ ამოშიფრავს, თუმც მთავარი ისაა, რომ იმ ადამიანებს, იმ წრეს, რომელნიც აღიარებულნი არიან მარილად ქვეყნისა, ძალაუნებურად წამოაგონდებათ ეგვიპტურ ტრადიციაში დაცული ცნობა მოსე წინასწარმეტყველის ენაბლუობის შესახებ.

ედუარდ შიურე წამოწევდა ამ როდინდელ ტრადიციასა და მოსეს ამ ნიშანსაც „დიად ხელდასხმულთა“ სახელით ცნობილ წიგნში, უჩვეულო პოპულარობას რომ მოიხვეჭდა საფრანგეთშიც და მთელს ევროპაშიც და ყველა წიგნიერი ქართველისთვისაც ხელმისაწვდომი გახლდათ.

ძველი აღთქმის წიგნებისათვის სრულიად უცხოა მოსეს ენაბლუობა, ბიბლიური ტრადიცია არ იცნობს ასეთ ნიშანს, და

მორწმუნე საზოგადოება სხვა ტრადიციას, გარდა ბიბლიურისა, არც უნდა სცნობდეს; მაგრამ მორღვეულა ეპოქა, ხელახალი საძიებელი შექმნილა ღმერთი და ძებნის ამ გზაზე, რწმენასა და ურწმუნობას შორის მიმოწყდომისას, აღარც ისაა მოულოდნელი, ათასგვარი ტრადიციაც რომ გაჩნდეს ბიბლიურის გვერდით და თანაბრად, ხან იქნებ აღმატებულადაც.

ასე რომ, გრიგოლ რობაქიძე ხელიდან არ უშვებს თვით ამ დეტალს და მასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს:

ნოე ჟორდანია არამარტო სამოღვაწეო მისიით ჰგავს მოსე წინასწარმეტყველს — მშობელ ერს აღთქმული ქვეყნისაკენ რომ მიუძღვის, არამედ ამ გარეგნული ნიშნითაც — ენა რომ არ ემორჩილება.

ესეც თურმე რაღაც ღვთაებრივი ჩანაფიქრის გამოხატულება ყოფილა!..

ენის დაბმა დიდ საიდუმლოს იმარხავს, რაც მხოლოდ განდობილთათვისაა საცნაური.

მითუმეტეს, სანაცვლოდ კალამი უჭრის ძალიან, და ამ ფრაზასაც ახალი დითირამბი უნდა მოჰყვეს.

ქართველი პოეტისათვის საამაყოა პირდაპირ, რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილიო. თუ სტილი არა, ჟორდანიას წერის მანერა უთუოდ აქვსო. მის ნაწერში არ არის არც კორძიანი ხაზი და არც დაგრაგნილი ხვეული. იქ ყოველი სიტყვა სადად მოკვეთილია და ყოველი ფრაზა სხარტად გამოჭრილიო. ჟორდანია უფრო ლაპიდარული ფორმულებით ლაპარაკობს, ვიდრე დისკურსიული პერიოდებით. მის ფორმულებში მონუმენტალური პრიმიტივის ქვებიაო. თავის ლაკონურ ფრაზაში ჟორდანიას ეტყობა უთუოდ, რომ იგი მესხეთის მოსაზღვრე კუთხის შვილიაო.

თვალნათლივია შოთა რუსთველის გამჭვირვალე მინიშნება მესხეთის ხსენებით, მისი იმ სტრიქონისა: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო. თურმე მოსაზღვრე კუთხის შვილობას ჩაუნერგავს ნოე ჟორდანიასათვის ლაკონიზმი და სისხარტე.

აღმატებულ ფრაზათა კასკადია, მაგრამ მწერალს მაინც ვერ შეუჯერებია გული და ირწმუნება: ნოე ჟორდანიას არ უყვარს

სიბნელე და სძულს განყენება, მის სიტყვაში ჭვირვალი სინათლეა და სხეულიანი კონკრეტობა. ამ მხრივ იგი ფრანგებს უახლოვდება, საკვირველი არ არის, რომ ჟორდანიას პირველს შემოელო საქართველოში ფრანგული ჟურნალიზმიო.

როგორ გინდა დაიჯერო, რომ ამ პიროვნებას განყენება სძულდა. განა სწორედ განყენებული მოძღვრების მედროშე არ გახლდათ? განა მისმა სოციალისტობამ ბოლშევიკების შემოჭრა-დამკვიდრებამდე უკვე საკმაოდ არ დააზარალა ქართული პოლიტიკური აზროვნებაც და ეკონომიკაც?

ან რაღა დროს ფრანგული ჟურნალიზმის შემოღებაა ნოე ჟორდანიას ჟურნალისტურ ასპარეზზე გამოჩენისას — ნიკო ნიკოლაძე თუ სერგეი მესხი ნუთუ ასე იოლად ამოიშალნენ ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერებიდან და მათი ღვაწლი ველარ გაგვიხსენებია? ფრანგული ჟურნალიზმი კარგა ხნის შემოღებულია და პირველობაც სხვათათვის უფრო უპრიანია, მითუმეტეს, ნოე ჟორდანიას არამცთუ არ შემოუტანია ეს სტილი ჩვენს ჟურნალისტიკაში, რუსულ ხაზს მიჰყვებოდა ერთგულად და ეს გარემოება იმთავითვე გამოჰქონდა სააშკარაოზე ილია ჭავჭავაძეს, ვისაც სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს გაუმწარებდა ეს ვითომდა პირველად შემოღებული ფრანგული ჟურნალიზმი.

აშკარაა, ამ წინააღმდეგობებს გვერდს უვლის გრიგოლ რობაქიძე, თვალის არიდება ურჩევნია, რაკიღა ძლიერი პიროვნების შარავანდით აღფრთოვანებული ზეცად აღტყორცნილ ნოე ჟორდანიას შეჰყურებს, ვინც მართლა არ განერჩევა მოსესაგან და ამჯერადაც წრფელია და ალალი ხოტბა-დიდებისას.

ხომ გაპირველკაცდა ქვეყანაში — მაშ სხვა ყოველივე ეპატიება და ყველა სიკეთე ისე გადაელოცება, თითქოს მართლაც მითოსური ან ბიბლიური გმირი იყოს და იმ ღმერთთან მოლაპარაკე, რომელიც... არასოდეს სწამდა.

თავი მეშვიდე

ძალის კულტი — ერთადერთი შარავანდი

რისხვა თიმურის...

ქართველი ადამიანის შეგნებაში თიმურის ანუ თემურ-ლენგის რისხვა შეძრწუნების ექოდ გამოისმის, ჯალალ-ედინისა თუ ჩინგიზ-ყაენის ურდოთა შემოსევაც ვერ გაუტოლდება ამ ულმობელი მბრძანებლის დაძვრას ჩვენი ქვეყნისაკენ და მას შემდეგ ვეღარც შეხორცდებოდა გადატეხილი ხერხემალი. არა ცხრებოდა იმისი რისხვა, არ გვაკმარებდა ერთსა თუ ორ შემოსევას და არნახული სისასტიკის სიმბოლოდაც შემორჩებოდა ქართლის ცხოვრების მატიანეს.

თემურის რისხვა ბადებს შიშსაც, ძრწოლასაც და, ამასთან, შურისგების წადილსაც, სულიერი გაუტეხელობის შენარჩუნების ჟინსაც, ოღონდ არასდიდებით — აღტაცებას.

ეს რაღაც მოულოდნელი, უცნაური განცდაა ქართულ მწერლობაშიც და, საერთოდ, ჩვენს სინამდვილეშიც.

გამოწვევაა საზოგადოებრივი აზრის.

და გამომწვევი კი გრიგოლ რობაქიძეა, ვისაც ხიბლავს მონღოლური ძალაც და თემურ-ლენგის რისხვაც, და ლენინისადმი სახოტბოდ რომ მომართულა და მის ღირსებებს ჩამოთვლის, საგანგებოდ მოიხსენიებს, რომ ახლა მასში გადმოსულა თემურის მრისხანება და დაე სამყაროს ახლა უკვე მისი არნახული სისასტიკისა ეშინოდეს.

თუ ყოველგვარი საზღვარი მოშლილა, თუ ადამიანი სიკეთისა და ბოროტების მიღმა ჭვრეტს მოვლენებს, ბუნებრივია, სტიქიური ძალისა და მსოფლიო ენერგიის ზეაღმტაცი შექება,

თუნდაც ამ ძალისა და ენერგიის განსხეულება მისი სამშობლოს უბოროტეს მტრებში ჰპოვოს.

ბოროტება, დანაშაული, ცოდვა სადღაც ქვემოთ რჩება მის თვალში და ამაღლებული სამზერიდან კი მონღოლებიც სხვაგვარად ფერნაცვალნი არიან და თემურ-ლენგიც.

და ნეტარებით თრთის გრიგოლ რობაქიძე, როგორც ახსენებს მონღოლთა „რაინდულ გავარდნასა" თუ „სისასტიკის კეთილშობილურ" სარჩულს ანდა თემურის რისხვას.

და რომ არა ძლიერი პიროვნების კულტი, რომ არა ზეკაცის მოლანდება თემურ-ლენგის სახეში, არც ასე ამაღლებულად წარმოდგებოდა მონღოლთა სარდალი თიმური მეცამეტე საუკუნის თავისებურ ქრონიკად გააზრებულ მისტერიაში „კენტავრები".

თუ ყველაფერი იოლად შეიძლება მოიშალოს და გადავიდ-გადმოვიდეს ერთმანეთში, ისიც ძალდაუტანებლად გახდება შესაძლებელი, რომ თემურ-ლენგმაც ცოტა უფრო იქით გადაინაცვლოს ისტორიის სიღრმისაკენ, მთავარია, რომ შეინარჩუნოს ზეკაცს შეტოლებული სახება.

„მიწა ჩვენ ვერ გვიტევს. მამული ვიწროა. დედა აგზნებაა და მამა გავარდნა. კუნთებში ცეცხლები. ხმალში გახელება. ცხენზე სიშმაგე და კიდურის გადალახვა. აქ არის ჩვენი მიწა. არ არის სხვა მამული" — თამამობს და დაგუბებულ რისხვას გვაგრძნობინებს მონღოლთა სარდალი თიმურ, და მისი ამ გახელებული სიტყვების მიღმა ისე ხელშესახებად ილანდება მწერლის აღტაცებული მზერა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი „ვიწრო მამულის" გადაჭიმვას შორეულ სივრცეებზე თიმური საქართველოს მიწა-წყლის შემოერთებითაც ლამობს და არაფრისდიდებით არ უნდა შეისმინოს ამ ქვეყნის მთავრის, კარდუსა, თუ მისი ვაჟის, გიმმირის, ანდა მოურავის, მუხრანის, შეგონებანი:

— ჩვენი მზე სხვა არის.

— ვაზის ჯვარია მისი ნაყოფი.

— ჩვენი მზის სჯული უცხოა შენთვის.

— იფიქრე თიმურ!

მან მხოლოდ ის იცის და ის სწადია, რომ:

— ლტოლვა თიმურის ლაგამაშვებული ნინოს მამულში დაცხრება მხოლოდ. მინდა მზე ვიყო.

მხოლოდ პერსონაჟი კი არ შემეტოქებია მზეს, მწერალს ემეტება მისთვის ამგვარი სიმბოლო-ეპითეტები და მის მონოლოგში კი თავის აღფრთოვანებას გამოახვევს მონოლური სტიქიონური ძალითა თუ მსოფლიო ენერგიით:

მონოლუ რუხი. საშო უდაბური
ღვრია თვალის გუგა დაბუგულ ველების დაუგეშელი
ნადირის ბოლმა.
შუბლი მოღუნშული დაბორგილ ნაღველით:
ჩემი სამშობლოა.
სისხლი აინთება ჩვენში ავი ცეცხლით.
ცეცხლი გახურდება უცხოის ნდომით.
ნისლი გადაუარს ელამურ თვალებს.
სუნთქვა დაგუდდება ამწვარი სურნელით.
და პირმოკუმული —
ვართ მაშინ მარტო საფეთქელი.
ავარდებიან მთვლემარე ბუნაგები
შეშლილი ნადირები ცხენებს მოვახტებით.
სისხლს გამოუშვებთ.
თან ჩურჩულს ჩავაწვეთებთ.
და გაშლილ ველებს ცეცხლად მოვედებით —
გრიგალი თავწაჭრილი.
არ არის შეჩერება. არ არის მოსვენება.
არ არის ნაპირი რომ არ გადავიაროთ.
არ არის უფსკრული რომ არ გადავლახოთ
თუ ვერ გადავლახეთ —
გადავიჩეხებით:
და მთვრალი ვეფხები.
ასეთნი მოვადექით ჩვენ საქართველოს.

სხვა მწერლის ქმნილებაში რომ იყოს ჩართული ეს მონოლოგი, ცხადია, ასე დაბეჯითებით ვერ გავაიგივებდით ავტორის

სულისკვეთებასა თუ განწყობილებასთან. გზნება, რომელიც ასე ჟინით ტრიალებს აჩქარებულ რიტმში, პერსონაჟის განცდა იქნებოდა და შესაძლოა სხვა არც არაფერი, მაგრამ როდესაც მიზანმიმართულად მკვიდრდება ლიტერატურაში სტიქიონური ძალისა თუ ძლიერი პიროვნების კულტი, ამ გზნებაშიც ძალაუნებურად ამოიცნობა გრიგოლ რობაქიძის სულიერი ლტოლვა.

მოდის და მოგრგვინავს მონღოლური ლაშქარი.

მოზანზარებს სამყარო.

მართლაც — წინ ვერ გადაღობებიათ ნაპირი, რომელსაც ვერ გადაივლიან, უფსკრული, რომელსაც ვერ გადალახავენ, და საქართველოსაც ის ბედი მოელის მათი ცხენების ფლოქვებქვეშ, რაც სხვა ხალხებს დამართეს და კიდევ არაერთს დამართებენ.

მაგრამ ხომ ატრიალებულა და ზანზარებს სამყარო.

რა მნიშვნელობა აქვს, რა დარჩება ამ ზანზარისაგან.

ყალყზე შემართული ადამიანური ნება დაძრულა, ის გარდაქმნილა გრიგალად, დაუოკებელ სტიქიონად და დაე მოვიდეს მოსასვლელი, დაე შენც შთაინთქა, მოწმე ხომ იყავი ადამიანური ნების საოცარი ტრიუმფისა და ამ რასაში ჩაგუბებული ძალის ამოხეთქვის.

და ხუნდება შენს თვალთა წინაშე სხვა ყოველივე.

მსოფლიო მოქალაქეობის ფარული ჟინი ადვილად ითავსებს ამგვარ წარმოდგენა-შეხედულებებს.

სწორედაც ფარული, რაკიღა ამ მისწრაფებით ატანილ გრიგოლ რობაქიძეს საქართველო მაინც არ მიაჩნდა მიწის ერთ უმნიშვნელო ნაგლეჯად, რომლის გულისთვისაც თავის შეწუხება არა ღირდა. ცდილობდა ერთმანეთში მოერიგებინა მსოფლიო მოქალაქეობა და მამულიშვილობა, შეეთავსებინა შეუთავსებელი, ჰარმონია ეძია იქ, სადაც ყოველი ამგვარი ცდა მარცხისთვისაა განწირული...

არაფრისდიდებით არ იჯერებდა და მთელი ცხოვრება ამ მირაჟის დევნისას შემოადნებოდა ხელში.

ეს შინაგანი წინააღმდეგობაა არეკლილი ძლიერი პიროვნების მისეულ თაყვანებაშიც.

ხოტბას შეასხამს თემურ-ლენგს.

ხოტბას შეასხამს ლენინს.

გააიდეალებს მონღოლურ სამხედრო ექსპანსიას.

და მაინც მაძიებელი იქნება ყოველთვის თავისი ეროვნული ფესვებისა, ქართული მოდგმის ისტორიული ძირებისა და ქალდეას მითოსის ერთ-ერთი დამამკვიდრებელიც.

ნოსტალგია გამოხრავდა და გამოჭამდა ევროპაში და ჰიტლერსა და მუსოლინის ასერიგად რომ განადიდებდა, გახსოვთ, იმიტომაც, სამშობლოს სიყვარულის გამძაფრებული შეგრძნება რომ აღედგინათ და ეროვნული სიამაყე ჩაენერგათ თავთავიანთი ხალხისათვის; და საქართველოს გამოხსნის იმედიც დამთრგუნველი კაბალისაგან მათ — უპირველესად მაინც ფიურერის — მიერ წამოწყებულ პოლიტიკურ მოძრაობას უკავშირდებოდა.

და მაინც:

თუ წარმოიდგენს ვინმე კონსტანტინე გამსახურდიას, ვინც შეიძლება ხოტბას აღუვლენდეს... თემურ-ლენგს!

თუ წარმოიდგენს ვინმე კონსტანტინე გამსახურდიას, ვინც შეიძლება ხოტბას აღუვლენდეს ლენინს — წრფელად და არა იძულებით!

თუ წარმოიდგენს ვინმე კონსტანტინე გამსახურდიას, ვინც ხოტბას აღუვლენდეს მუსოლინსა და ჰიტლერს?

მასაც არანაკლებ იპყრობდა ზეკაცის იდეა, ეს სახება შთააგონებდა და, ევროპული კულტურის გზამკვლევად მასაც ნიცშე რომ დაესახა, ძლიერი პიროვნების კულტი ანკი მისთვის რატომ იქნებოდა უცხო. ჯერ კიდევ სიჭაბუკისას ამიტომაც მოსინჯავდა „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ სათარგმნელად... თუმც, გაწბილებული, მალევე ჩამოეხსნებოდა.

ეგაა, ძლიერი პიროვნების ხორცშესხმულ სახებად ნაპოლეონ ბონაპარტე მიაჩნდა, და თუ რომანტიკოსებივით განადიდებდა, მარტოდენ იმიტომ, რომ საფრანგეთის იმპერატორს არასოდეს დაურბევია საქართველო, მის მიერ დაძრული გრიგალი საქართველოს არ გადმოწვდომია.

ვერა, ვერ მოიშლებოდა მის წარმოსახვაში ყოველგვარი საზღვარი და მიჯნა და ერთ რკალში ვერასოდეს მოაქცევდა თემურ-ლენგს, ნაპოლეონსა და ლენინს.

ნაცვლად გრიგოლ რობაქიძისებური დითირამბისა, მკაცრად დაუპირისპირდებოდა პროლეტარიატის ბელადის პოლიტიკას და საქართველოში მის სამხედრო ექსპანსიას ქართული პუბლიცისტური აზროვნების ერთი საუკეთესო ნიმუშით „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი", 1921 წლის 7 მაისს რომ დაიწერებოდა.

მის სიმბოლურ შინაარსსაც გაუმჟღავნებდა: დღე ქართული პოეზიისა და საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების წლისთავიო.

როდესაც ლენინს პეტრე დიდთან შეაპირისპირებდნენ, კონსტანტინე გამსახურდია არ გაიზიარებდა ამგვარ გაიგივებას და ღია წერილში ასეთ პარალელს ამჯობინებდა:

— როცა თქვენ თქვენზე დაკისრებულ ისტორიულ მისიას დაასრულებთ, ისტორიის ლოღიკა მოითხოვს თქვენს დაპირისპირებას ნაპოლეონ ბონაპარტესთან.

ორივეს აბსოლუტურ გენიად აღიარებდა ორი დიდი რევოლუციისა.

ნაპოლეონი ესწრაფოდა ევროპის ერთი დიდი კონფედერაციის შექმნას და, რაკიღა უარყოფდა ეთნიკურ შტრიხებსა და ნიუანსებს, ევროპის რადიკალიზაციის იდეა სავსებით რეალურად მიაჩნდა, ხოლო ლენინი გაცილებით მეტ რადიკალიზაციას მიელტვოდა — ევროპას არა კმარობდა და აზიაც ერთი დიდი კონფედერაციის აუცილებელ ნაწილად ესახებოდა.

აქამდე თითქოს ისიც სიკეთისა და ბოროტების მიღმა გაიაზრებს ლენინის პიროვნებას — გრიგოლ რობაქიძისა არ იყოს.

მაგრამ მთავარი კონსტანტინე გამსახურდიას მსჯელობაში ისაა, რომ ლენინი ისევე შეიძლება აღმოჩნდეს მსხვერპლი ფატალური შეცდომის, როგორც თავის დროზე ნაპოლეონი.

— ნუთუ დღეს ყველასთვის ცხადი არ გახდა, რომ ნაციონალური ნიუანსების და შტრიხების წაშლა აწი აღარ შეიძლება?

ვერაფრისდიდებით ვერ განსჯის ვერავის სიკეთისა და ბოროტების მიღმა, როდესაც მსჯელობა ეხება მისთვის ყველაზე მტკივნეულ თემას — ეროვნულ თვითმყოფადობასა და ერის ბედისწერას.

ღია წერილს ეპიგრაფად ნაპოლეონის სიტყვებს რომ წარუმძღვარებდა, წმინდა ელენეს კუნძულზე აღმომხდარს: გენიოსე-

ბი ის მეტეორებია, რომელთაც უწერიათ წვა, რათა გაანათონ თავიანთი საუკუნეო, — მსჯელობის ქარგაში კიდევ ერთხელ მოიხმობდა, რათა დაეზუსტებინა ამ აფორისტული ფრაზის სულისკვეთება: თუკი ასეა, მაშ ყველამ გაიგოს საუკუნის დემონის კარნახიო.

კარნახი კი ის გახლდათ, რომ — აღარავინ უნდა დაპირისპირებოდა ეროვნულ თავისებურებებს, რათა საბედისწერო მარცხი არ განეცადა, როგორც გარდუვალობა.

კიდევ ერთხელ აღნიშნავდა ფორმულის ლაკონურობით, რომ: „საქართველოში ორიოდე თაობა შეიწირა ძველი რუსეთის ტლანქი ხელით შელახული ეროვნული პიროვნების რესტავრაციის იდეამ და ნაციონალური სახელმწიფოსათვის ბრძოლამ" — რათა ეცნობებინა, რომ დღეს თბილისში ძველი შეცდომების განმეორებას ლამობდნენ.

დიპლომატიური ხერხიანობა და კანონი მოითხოვდა, რომ პირდაპირ არ დაედო ბრალი ლენინისათვის, ქართველი კომუნისტები თუ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაში ხედავდნენ ამ ქვეყნის მომავალს — რუსეთთან ისე მჭიდრო კავშირში, რომ თვითმყოფადობის ყოველგვარი ნასახი გამქრალიყო.

ვითომდა ეს ყოველივე ლენინის ბრძანებით კი არა, მის ზურგსუკან ხდებოდა, თორემ იმას კარგად მოეხსენებოდა — და კონსტანტინე გამსახურდია ვითომ სხვათა შორის მოიგონებდა — რომ: ყველაფერი შეიძლება წაართვა პიროვნებასა და ერს, გარდა თავისუფლების შეგნებისა.

ლენინს ამ რეალობის დანახვა არაფრისდიდებით არა სურდა?

მაშინ ქართველი მწერალი თვალწინ გადაუშლიდა ამ ახალ სინამდვილეს და, ყოველი შემთხვევისათვის, ნაპოლეონის ნაღვლიან სიტყვებსაც შეახსენებდა, წმინდა ელენეს კუნძულზე წარმოთქმულს ბედს შერიგებულის ტკივილით:

— მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ.

ამ განკითხვას მოელოდეო, გამჭვირვალედ მიანიშნებდა და წამდაუწუმ უხსენებდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და

თავისუფლებას, როგორც გარდუვალობას, რასაც გონიერი პოლიტიკოსი არ უნდა შეწინააღმდეგებოდა, რადგანაც ამ სწრაფვის აღკვეთა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ და ადრე თუ გვიან ის ხუნდებიც დაიმსხვრეოდა, რაც უკვე კომუნისტურ რუსეთს გამოეჭედა, დაიმსხვრეოდა, რაკიღა ყოველი გათავისუფლების დედაბოძი თავისუფლების შეგნება ყოფილა, ეს შეგნება კი კვლავაც შენარჩუნებულიყო ქართველთა მოდგმაში.

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევსო, — დაუბეჯითებდა და ჰეროიკული განცდით დაუბოლოვებდა ამ მძაფრ მიმართვას:

— მერწმუნეთ: ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეზე არ მიეღწიოს ჯერ, როგორც ირლანდიას, მაგრამ კეზმენტები და მაკ სვინეები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა, ვიდრე სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

...სხვა რაღა შეეგონებინა: მოერიდე ფატალური შეცდომის განმეორებას და ჩამოეხსენი ნაციონალური ნიუანსებისა და შტრიხების წაშლაზე ოცნებასო.

არ ერწმუნებოდა რუსეთის იმპერიის მეთაური? საქართველოს სულიერი ძალა და ენერგია თავისას მაინც მიაღწევდა.

დაე თავის მირაჟებში ჩაფლულიყო გრიგოლ რობაქიძე და ლენინის მკვეთრად ფერნაცვალი და შელამაზებული სილუეტი ეხილა... და ყოფილიყო გაუნელებლად აღფრთოვანებული.

ამ რამდენიმე პასაჟითაც თვალნათლივია:

კონსტანტინე გამსახურდიასათვის ამ წუთას არაფერსაც არ ნიშნავს არც „უპიროვნო სახე თვითონ ისტორიის“ და არც „პიროვნება უშუალოდ: მის შუაგულში აღებული“.

ლენინი სულაც არა დგას სიკეთისა და ბოროტების მიღმა.

ზეკაცის ნიშნები სრულიად შემოძარცვია, იდეალის, ამაღლებულის სამოსი ნაკუწებად ქცევია და არის მხოლოდ რეალური პიროვნება, ვისაც მისი სამშობლოსათვის ხელახლა განუზრახავს უღლის დადგმა. არ არის სტიქიონის, მსოფლიო ენერგიის ხორცშესხმა, არამედ ჩვეულებრივი მოძალადე, ვისაც იარაღი-

თაც უნდა დაუპირისპირდე და მკაცრი სიტყვითაც, მამხილებლის ჟინითაც.

კონსტანტინე გამსახურდია უბრალოდ ვერ გაიგებს, როგორ შეიძლება დაიპყროს ლენინის პიროვნებამ მისი გონება ისე, რომ აღარც დაინტერესდე, თუ რას ლაპარაკობს ან რას ფიქრობს.

ამ თვალთახედვით შესაძლოა მხოლოდ ნაპოლეონის მისია გაიაზრებოდეს, გიპყრობდეს ისე, აღარაფრად აგდებდე, თუ რას ლაპარაკობს ან ფიქრობს.

და ესეც ყოველთვის სულაც არა, რაკიღა მის შეცდომებსაც ახსენებს.

როდესაც კონსტანტინე გამსახურდია თარაშ ემხვარის („მთვარის მოტაცება") განცდებსა და მსოფლხედვას წარმოსახავს, უმეტესწილად საკუთარ თავს ხატავს, რაკიღა თვითონვეა ამ პერსონაჟის პროტოტიპი. და ამჯერადაც დაუფარავად გადმოშლის თავის პოლიტიკურ არჩევანს საბედისწერო 20-იან წლებში, უფრო სწორად, გვაცნობს უმძიმეს რეალობას პატიოსანი და პატრიოტი კაცისათვის, როდესაც შენს ნებაზე სულაც არ არის ეს არჩევანი და ლამის სასოწარკვეთის ზღვარზე მდგარი აწყდები აქეთ-იქით.

ხომ გახსოვს რომში რომ გითხარი, — მისწერს თარაში თავის მეგობარს ვახტანგ იამანიძეს, — ორი გზაა-მეთქი ამ ჟამად მსოფლიოში, ორად-ორი გზა, სტალინისა და მუსოლინის გზა. შენ პირველი ამოირჩიე... მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და როგორც ხედავ ვერც ერთს დავადექი.

რომში, იმ საუბრისას, კიდევ ერთ სახელს ახსენებდა — ჰიტლერსაც, მუსოლინისთან ერთად. ერთ გზას სტალინი განსაზღვრავდა, მეორეს — ეს ორნი.

მაშინ მესამე გზაც მოჩანდა — ევროპული დემოკრატიისა, რომელზეც ნოე ჟორდანია ამჯობინებდა შედგომას და თარაში ამ არჩევანში ხედავდა საქართველოს ხელისუფალის პოლიტიკის გარდუვალი მარცხის მიზეზს — ამ გზამ დაობებამდე მიიყვანა ევროპული დემოკრატია, ის უფრო უგზოობაა, ვიდრე გზა და ამიტომაც მისი მიმდევარი განწირულიაო.

თარაშ ემხვარი ვერ ურიგდება ბოლშევიზმს, სამშობლოში დაბრუნება მისთვის უკვე თვითმკვლელობის ბადალია, ამიტომ

თითქოს დუჩესა და ფიურერს უნდა აღიარებდეს თავის წინამძღოლებად და მათთან ეძიებდეს შველას საქართველოსთვისაც და პირადად თავისთვისაც.

მაგრამ პერსონაჟის სამოსელში გამოხვეული კონსტანტინე გამსახურდია ვერც ამ პიროვნებათა პოლიტიკაში ხედავს რაიმე სასიკეთოს:

— ერთი რამ აშკარაა ჩემთვის: იტალიური და გერმანული ფაშიზმი ჩვენი ხალხისათვის ისევე შორეული ამბავია, როგორც გველფებისა და გიბელინების ბრძოლა. ეს მოძრაობა დიდმა ერებმა წარმოშვეს და როგორც ყოველგვარი ევროპული „იზმი“, იგიც უგულებელყოფს ალბად ჩვენი ხალხის ინტერესებს.

„მთვარის მოტაცების“ შემოქმედი გრიგოლ რობაქიძესავით რომ მიიჩნევდეს თავის უმთავრეს რწმენად ძლიერი პიროვნების კულტს, ცხადია, მოერიდებოდა ამგვარი პასაჟის ჩართვას რომანში, ბოლოსდაბოლოს, საერთოდ არ ახსენებდა არც მუსოლინისა და არც ჰიტლერს, თუკი მათ დითირამბს ცენზურა არ დაანებებდა.

აქ საკმაოდ დაშორებია ერთმანეთს ეს ორი მწერალი, ორივ ნიცშეანელი, ორივ ახალი იდეების ქადაგი და უცნობი ღმერთის მაძიებელი და ზეკაცის გარდუვალი მოვლინების მომლოდინე.

ძლიერი პიროვნების კულტის განცდისა და გააზრებისას ერთის გულსა და გონებაში ეს თუ მონოლითური მოვლენაა, სხვა ყოველივეს დამჩრდილავი, მეორე ანალიტიკურად ანაწევრებს ამ კულტს და განარჩევს მის ზოგად იდეასა და კერძო გამოვლინებებს.

ამ მწერალთა წინაშე არ წამოჭრილა შეკითხვა:

ჭეშმარიტება თუ სამშობლო?

მათთვის სხვა კითხვაა უფრო მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი:

ძლიერი პიროვნება თუ სამშობლო?

კაცმა რომ თქვას, ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში სწორედაც ძლიერმა პიროვნებამ ანუ ზეკაცმა უნდა ჩაანაცვლოს უფალი ანუ ჭეშმარიტება.

მაინც რომელი?

ორივესათვის სამშობლოა უპირველესი, ეს უდავოა და უკამათო, ოღონდ გრიგოლ რობაქიძისათვის საქართველო ძლიერი პიროვნების რაკურსში მოჩანს, საზომი ის არის და ხანდახან ამიტომაც შეიძლება გადაფაროს მამულიშვილობის განცდა, სამშობლოს ის საკვირველი შეგრძნება, რომლის პირვანდელი არსის აღდგენაც ჩვენს დროში „გველის პერანგის" შემოქმედის თვალში უდიდეს ღირსებად ჩაეთვლება ყველას.

აკი ადოლფ ჰიტლერს სწორედ ეს ღვაწლი დაუფასა განსაკუთრებით.

მაგრამ წინააღმდეგობრიობა ჩაბუდებულა მის სულშიც და მსოფლგანცდაშიც და ადვილად ამიტომაც აჰყოლია ლიბერალურ მორალსა და მოთხოვნებს. ლიბერალური აზროვნების კვალობაზე კი, თუ გხიბლავს თემურ-ლენგისა ან ლენინის ძალაუფლება და მათ მიერ მოვლენილი ხანძარი და ზანზარი, კიდეც უნდა გამოთქვამდე სავსებით დაურიდებლად და ანგარიშს არც უწევდე, შენი სამშობლოსთვისაც საბედისწერო შექმნილა თუ არა ამ სტიქიონის აბობოქრება.

ჯერ მარტო გიორგი სააკაძის პიროვნების განსჯა წარმოაჩენს ამ ორი მწერლის მსოფლგანცდის პოლარულობას.

სამშობლო ძლიერი პიროვნების გადასახედიდან თუ ძლიერი პიროვნება სამშობლოს გადასახედიდან?

აქეთ ლუარსაბ მეორეს შეეჯახებოდა გიორგი სააკაძე, იქით — თეიმურაზ პირველს, არც შაჰ-აბასთან შერკინებას მოერიდებოდა, ირანის იმ მბრძანებელთან, ევროპული სახელმწიფოები რომ დიდად უწევდნენ ანგარიშს და მასთან მორიგება ერჩივნათ ომსა და დავიდარაბას. ევროპელი დიპლომატები თუ ისტორიკოსები საგანგებოდ მოიხსენიებდნენ დიდი მოურავის დაუმცხრალ ენერგიას, უშიშრობასა და დიდ გავლენას აზიაში და არამარტო საქართველოსა თუ ირანში. და კიდეც აწვნევდა სამხედრო მარცხს ირანის შაჰს და მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების წყალობით საბოლოოდ დაუსამარებდა საქართველოს სრული განადგურების ოცნებას. ამასთან, შვიდი საუკეთესო სარდლიდან ზოგს საკუთარი ხელით განუგმირავდა და ზოგსაც თვითონ შაჰ-აბასს დაახოცინებდა მარჯვედ ამოხლართული ინტრიგის მეშვეობით. ლუარსაბ

მეფესაც მოაკვლევინებდა დასმენითა თუ ცილისწამებით — ტყვეობიდან გაქცევას აპირებსო. და თუმც თეიმურაზ პირველის დამხობის წადილი ამაოდ ჩაუვლიდა და ოსმალეთში გადახვეწა მოუხდებოდა, იქ კი დიდვეზირი რომ არ გადაჰკიდებოდა და სასიკვდილოდ არ გაეწირა, ერთხელ კიდევ დაიძროდა საქართველოს შესამუსრავად და ცოდვის კითხვასაც კვლავ დაატრიალებდა, ირანის სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობით წლების წინათ რა სასტიკი დღეც დაეწია ქართველობისათვის.

უსამშობლო და უპრინციპო მხედართმთავრად მოიხსენიებდა დიდ მოურავს კონსტანტინე გამსახურდია, გამოგონილ გმირად, რაც სრულებით არა სჭირდებოდა ნამდვილი გმირებით ასე მდიდარ ერს. და დაბეჯითებით ამტკიცებდა: საქართველოს თვით უნიათო მეფეებიც ყოველ საუკუნეში უფრო მართებულ საქმეს აკეთებდნენ, ვიდრე უჭკვიანესი და გაიძვერა, მსტოვარი ფეოდალები. ასე რომ, თეიმურაზი და ლუარსაბი იყვნენ ამ ფაქტების ფონზე ნამდვილი ნაციონალური გმირები და არა კონდოტიერი სააკაძეო.

გრიგოლ რობაქიძის რწმენით კი ეროვნული გმირი სწორედაც გიორგი სააკაძეა და არა ქართლ-კახეთის მეფენი.

მერე რა, რომ მის კისერზეა ამიერსაქართველოს აოხრება.

მის კისერზეა წმინდანად შერაცხული მეფის ტრაგიკული აღსასრული.

მის კისერზეა ბაზალეთის სისხლისღვრა.

ხომ ამსხვრევდა ყოველგვარ წინაღობას, ხომ არ უთმობდა არავის არაფერს და საქართველოს უგვირგვინო მეფობასაც მიელტვოდა, ხომ გაამწარა შაჰ-აბასი, ხომ მოიარა ხმლის ქნევით აზია და ყველგან დააჩნია თავისი კვალი, ხომ ააზანზარა სამყაროს ერთი კუთხე, თანაც ისეთი, ევროპის მორიდებული მზერა საითაც მიპყრობილიყო...

ამ ფონზე მკრთალდება სხვა ყოველივე — კონდოტიერობაც, სამშობლოს წინააღმდეგ ხმლის აღმართვაც, წმინდანის სისხლში გარევაც, სამეფო ტახტის ხელყოფის მცდელობაც...

და გრიგოლ რობაქიძის აღფრთოვანებას წინ ვეღარაფერი დაუდგება.

ამიტომაც გადაებმის „გველის პერანგში" თბილისის მითოსს გიორგი სააკაძის დითირამბი, რომელიც თავისი ექსტაზითა და გზნებით, ცხადია, ტოლს არ უდებს ლენინის მიმართ აღვლენილ ქებას.

დავა-კამათის ფონზე უნდა გაიშალოს სააკაძის დითირამბი:

გაჰყიდა თუ არა საქართველო?

მართლა შეშლილივით, გახელებით უყვარდა თავისი ქვეყანა თუ გულმშვიდად მიატოვა?

საქართველოს ყიზილბაშთა ჯარით რომ მოადგა, შურისძიება ენება თუ მხოლოდ მათი შემოტყუება, რათა შემდგომ გაენადგურებინა?

გამცემია თუ გმირი?

ეს დავა-კამათი იმისათვის სჭირდება, რომ უფრო დარწმუნებით ამტკიცოს დიდი მოურავის სიდიადე, ვისაც თითქოს არც ცილისწამება-შეურაცხყოფა დაჰკლებია, ტრაგიკული აღსასრულის შემდგომაც არა და არ ეშვებოდნენ მის სახელს, მაგრამ, აი, „გველის პერანგმა" უნდა მოათავოს ეს კამათი გიორგი სააკაძის ღვაწლის გაბრწყინებით და მისი გადატეხილი ხმალი დასახოს სიმბოლოდ: ივერია გაიმარჯვებს, თუ ის ხმალი გამრთელდებაო.

გასამრთელებლად კი აუცილებელია დიდი მოურავის სახელის აღდგენა და გმირისა და მოწამის შარავანდით შემოსვა.

შარავანდი კი ექსტაზურმა ჩანართმა უნდა შექმნას, და რომანის შთამბეჭდაობამ და გავლენამ გიორგი სააკაძის მომხრედ განაწყოს საზოგადოება.

და კიდევ ერთხელ შეახსენოს ანტონ ფურცელაძის პანეგირიკული წიგნის სულისკვეთება, სააკაძის მითოსის საფუძვლებს რომ ქმნიდა, მაგრამ ის საფუძვლები იქვე ჩაინამქრებოდა და დავიწყებას მიეცემოდა, დიდი ქომაგი თუ არ გამოუჩნდებოდა და მითოსის ზოგიერთ ნიშანს მართლაც მითოსში არ გადაზრდიდა.

გრიგოლ რობაქიძეს მხოლოდ ის შეეძლო, რომ თავის მითოლოგიაში მიეჩინა ადგილი გიორგი სააკაძისთვისაც, ძლიერი პიროვნების კულტის ერთ-ერთ ხორცშესხმად დაესახა, თორემ ისე როგორ გაბუქავდა და გააზვიადებდა მის სახელს, რუსეთის იმპერიის მითოსში დაემკვიდრებინა.

საამისოდ ხელი სად მიუწვდებოდა.

ოცნებითაც არ იოცნებებდა.

მარტოდენ — იმპერიის განაპირა პროვინციად გადაქცეული ქვეყნის ისტორიულ-მითოლოგიურ გალერეაში თუ გამორევდა, ისიც თუკი კონსტანტინე გამსახურდია დაანებებდა უსამშობლო კაცის გამოცხადებას გმირად და პატრიოტად.

ის არ დაანებებდა და... გრიგოლ რობაქიძეს თავის მითოლოგიაში ხომ მაინც ეყოლებოდა ძვირფას სახელად: ლენინი, ნოე ჟორდანია, გიორგი სააკაძე, თემურ-ლენგი. და ჯერ მის თვალსაწიერში არ მოჩანდნენ ამ მითოლოგიის მომავალი გმირები — ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი — თუმც უკვე ენერგიულად მიიწევდნენ ძალაუფლებისაკენ. იმათ ჯერ დასადასტურებელი ჰქონდათ თავიანთი ბუმბერაზობა, სხვებივით რომ არ ჩაქრებოდნენ და საკმაოდ ააფორიაქებდნენ ევროპასაც და მსოფლიოსაც.

სამაგიეროდ, „გველის პერანგის“ გამოცემის ხანაში უკვე უნდა ამოჩენილიყო ყველას თვალსაწიერში სტალინის სახება, და თუ ჯერ იმასაც დასამტკიცებელი ექნებოდა თავისი ზეკაცობა და სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგომა, ის, რომ ლევ ტროცკის ხელიდან გამოაცალა იმპერატორის სავარძელი, თავისთავად მრავლისმეტყველი გახლდათ და მის ყოველ ნაბიჯს გრიგოლ რობაქიძის აღტაცებული მზერაც უნდა მიდევნებოდა, ახალი გმირი გამომიჩნდა და ხომ არ ამომწურვია მეტაფორა-ეპითეტთა და ჰიპერბოლათა სალაროო.

თავი მერვე

სტალინი — მითოსის გარეშე

აღტაცებული მზერაო და: არ მიადევნებს აღტაცებულ მზერას. ახალი გმირიო და: არ მიიჩნევს ახალ გმირად.

გნებავთ ბუნებრივი თანმიმდევრობის დარღვევა უწოდეთ, გნებავთ სხვაგვარად მოიხსენიეთ, მთავარი ისაა, რომ სტალინი გრიგოლ რობაქიძის მითოლოგიის გარეშე დგას.

მეტისმეტი პირობითობით შეიძლება დავუახლოვოთ ამ მითოლოგიას, რომელიღაც გარეშრის ნაწილად მივიჩნიოთ, მაგრამ ის სხვა სახელები თავიანთ გვერდით არაფრისდიდებით არ გაირევენ.

თემურ-ლენგიც, გიორგი სააკაძეც, ნოე ჟორდანიაც, ლენინიც, მუსოლინიც, ჰიტლერიც მონუმენტურნი არიან და ჰეროიკულნი, გაიდეალებულნი და ამაღლებულნი, რეალისტური დეტალები და შტრიხები მხოლოდ ღრმა განზოგადებისათვის რომ გამოერევა მათ პორტრეტებს, ისევ და ისევ ჰეროიკული სრულყოფისათვის. სტალინი კი თავით ბოლომდე რეალისტური მანერითაა წარმოსახული „ჩაკლულ სულში“, მკაცრი რეალისტური მანერით და ყოველივე ზედმიწევნით გამიწიერებულია.

გრიგოლ რობაქიძის მითოსის გმირთაგან არცერთი რომ არ ეკარებოდეს შენს გულს, გასაგებია და ადვილადაც ასახსნელი — სიკეთისა და ბოროტების მიღმიეთიდან გადმოგყავს ისტორიულ რეალობაში, სიკეთისა და ბოროტების წრეში და სტიქიონური მოვარდნისა თუ სასიცოცხლო ენერგიის უზღვავი ამოფრქვევის ნაცვლად მათ ნაკვალევზე შეჰყურებ ძალმომრეობას, ნგრევას, განადგურებას, უამრავ ცოდვას და გრანდიოზული ზანზარისაგან დარჩენილ ფერფლსა და ნატისუსალს.

მაგრამ თუ მათში ზეკაცებს ჭვრეტ, განა შეიძლება, რომ ეთაყვანებოდე, ვთქვათ, თემურ-ლენგს და ვერ იტანდე მუსოლინის?

თუ თანმიმდევრული ხარ, ცხადია, არა.

მითუფრო არა, თუკი ლენინს ისტორიის უპიროვნო სახედ და ევროპაში ახალი ერის დასაბამის პირველკაცად აღიარებ და მის გვერდით კი სტალინისათვის ადგილს ვერა ხედავ.

ეს თითქოს სრულიად გამორიცხული უნდა იყოს.

და არამარტო იმიტომ, რომ სტალინი თავს სახავდა ლენინის უშუალო მემკვიდრედ, ერთგულ მოწაფედ და მისი საქმის გამგრძელებლად.

ჯერ ესეც კმარა, რათა გრიგოლ რობაქიძის ზეკაცთა რკალში მისთვისაც გამოიძებნოს ადგილი.

მაგრამ გამგრძელებელზე გაცილებით მეტი გახლდათ და ბოლშევიზმის მამამთავრის ერთგულ მოწაფეობასაც დიპლომატიური მოსაზრებით უფრო ირქმევდა, თორემ ლენინის საქმის გაგრძელება ის იქნებოდა, რომ... 20-იან წლებშივე დაერღვეოდა თვალწინ სოციალისტური სისტემა.

ასეთი რისხვა არ მოვლენია ჯერ კაპიტალისტურ სისტემას. თვითონ სახელი მისი — „ულიანოვ-ლენინ" მოდის ისე როგორც ურაგანიო, — რა აღტაცებად გადმოღვრილიყო გრიგოლ რობაქიძე და სინამდვილეში კი რაღა რისხვა გამოდიოდა, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოს პირველი მბრძანებელი იძულებული შეიქნებოდა „ნეპის" უფლება დაერთო.

„ნეპი" კი სხვა რა არის, თუ არა შემობრუნება სოციალისტური ეკონომიკიდან კაპიტალისტურისაკენ. აშკარა დათმობა იმის წინაშე. დროებითიაო, — თავს იმართლებდა სოციალიზმის მებაირახრტე, მაგრამ კერძო საკუთრებისათვის გზის გახსნა ახალი რეჟიმის კანონმდებლობით უკვე თვალნათლივ მოასწავებდა სოციალისტური სისტემის შინაგან სისუსტესა და საკუთარი თავის გარდუვალ ამოჭმას ადრე თუ გვიან.

ვერა, ვერ იქნებოდა დროებითი, მბრძანებლის აღსასრული იქვე რომ არ ყოფილიყო ჩასაფრებული.

ერთხანს კიდევ რომ ეცოცხლა, თვითვე დარწმუნდებოდა სოციალიზმის დასამარებაში. აღიარებით, ცხადია, არ აღიარებ-

და, ასეთ დათმობას აუცილებლობად მიიჩნევდა კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე, მოჩვენებით ქედისმოხრად კაპიტალისტური ეკონომიკური წყობის წინაშე, მაგრამ შეკავებით ვერაფრისდიდებით ვერ შეაკავებდა საბჭოთა ეკონომიკური სისტემის თვალსადახელშუა დაქცევას.

თუ რაიმეს შემძლე გახლდათ, იმთავითვე არ გაუსხლტებოდა ხელიდან ეკონომიკის სადავეები და „ნეპს" არ შეეფარებოდა.

და ამ ფონზე ის მგზნებარე სიტყვები — „ასეთი რისხვა არ მოვლენია ჯერ კაპიტალისტურ სისტემასო" — ირონიად უფრო აღიქმება. პანეგირიკი უნებურად გადადის ირონიაში და ურაგანის ხსენებაც ჩაღიმებას უფრო იწვევს.

მაგრამ „ნეპის" არსებობა ერთბაშად მოთავდებოდა, დასამარდებოდა მავზოლეუმში ლენინის გადანაცვლებასთან ერთად.

და კოლექტივიზაციის პროცესიც დაიწყებოდა ისეთი ჟინითა და მიზანდასახულებით, ისე მოინგრეოდა ძველი სოციალურ-ეკონომიკური წესები, ლამის ვეღარც გეფიქრა, რომ სოციალიზმს ადრე თუ გვიან მაინც დაუდგებოდა აღსასრული.

ის, რაც ყოვლად შეუძლებელი მოჩანდა პირველი მბრძანებლისათვის, რეალობად იქცა მისი მემკვიდრე იმპერატორის მტკიცე ნებითა და მარჯვენით.

ვისი თვალთახედვითაც მრისხანება კაპიტალისტური სისტემის მიმართ დიდად საქებარი და სულაც აღმტაცია, გაცილებით უფრო უნდა აღფრთოვანდეს სტალინის რისხვით, ვიდრე მისი მასწავლებლისა, რადგანაც სიტყვიერი მუქარა საქმედ მხოლოდ ახლა გარდაისახა.

რისხვა ეს არის, თუ არის.

და სტალინისადმი აღვლენილ პანეგირიკში სწორედ მასზე უნდა გადმოინაცვლოს იმ ფორმულამ „ჯერ არ მოვლენიაო".

და აღმტაცი ფორმულა ფორმულაზე დახვავდეს.

მაგრამ ასეთი რამ არ მოხდება.

და არც პანეგირიკი შეითხზვის.

მის სანაცვლოდ ის ზედმიწევნით გამიწიერებული ტექსტი შეიქმნება „სტალინის ჰოროსკოპის" სახელწოდებით და ცალკე თავად ჩაერთვის რომანს „ჩაკლული სული".

ფსიქოლოგიური პორტრეტი მამხილებელ პუბლიცისტიკაში გადაიზრდება და სადღაც იკარგება მსჯელობა-ანალიზში მიმობნეული ისეთი პასაჟები, დითირამბის საშენ კენჭებად რომ გამოდგებოდა, თუკი რუსეთის იმპერატორის პორტრეტის გამოკვეთა ამ გზით წარიმართებოდა.

ახლა კი ეს ყოველივე ისე მიმოფანტულა, მხოლოდ აქა-იქ თუ მიგანიშნებს, მწერალი ძლიერი პიროვნების კულტს რომ ამკვიდრებდა ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, და ეს სულიერი სწრაფვა უკვალოდ მაშინაც ვერ ჩაივლიდა, ბიბლიური წინასწარმეტყველივით მამხილებლად რომ მოვლენოდა მბრძანებელს.

— სტალინი თავიდანვე ლენინის ნატეხი იყო: მასშიც გაერთიანებული იყო რაციო და ინსტინქტი ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ელემენტი უფრო მძლავრად ჰქონდა განვითარებული. ეს სტალინს ლენინთან შედარებით უპირატესობასაც კი ანიჭებდა.

ყოველგვარი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური წესითა და კანონით ეს ფრაზები უნდა ყოფილიყო „სტალინის ჰოროსკოპის" მთავარი ბირთვი და პორტრეტი მის ირგვლივ შემოგარსულიყო.

იგი მართლაც ნატეხია რევოლუციის ბელადის.

ინსტინქტიც უფრო მძლავრად განვითარებია და ამით უპირატესობაც მოუპოვებია.

მაშ კიდეც უნდა დაიძრას აღმტაც ეპითეტთა და ჰიპერბოლათა ქარიშხალი.

მაგრამ...

დაიძრას კი არა, საერთოდ რამ დააწერინა ეს სტრიქონები გრიგოლ რობაქიძეს, იქნებ ვეღარც ახსნა, როდესაც ქარიშხლად მამხილებელი სულისკვეთება უფრო ამოსკდება.

ინტერპოლატორის ნახელავი ხომ არ არის?

ასეთ შთაბეჭდილებას — თითქოს და ინტერპოლატორის ჩარევისა — კიდევ რამდენიმე პასაჟი დაგიტოვებს:

— ლენინზე პირველი შეხვედრისთანავე მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება: ლენინმა იგრძნო ამ რევოლუციონერში რაღაც ძლიერი და ბნელი.

ან:

— ყოველგვარი კომპლექსებისა და შეფერხებების გარეშე მოქმედებდა როგორც ბუნების ძალა, ბრმად და მძლავრად.

ანდა:

— ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს — „ლეგენდარული ქართველი". ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში...

ან კიდევ:

— 1903 წელს ლენინის წერილი მიიღო ევროპიდან. მისთვის ეს მოსეს ფილების მიღებასავით იყო. 1905 წელს სტალინი ფინეთში პარტიულ კონფერენციაზე შეხვდა ლენინს. დიდმა რევოლუციონერმა დუმილისმოყვარე ქართველში სანდო მებრძოლი ცნო.

რაღაც განსაკუთრებულობით იმოსება ეს სიმბოლური გაიგივება, ლენინის წერილი მოსეს ფილებს რომ შეტოლებია. ლენინის სახება გრიგოლ რობაქიძეს მამაღმერთამდე რომ შეუტყორცნია, აღარც გვაოცებს მაინცდამაინც მისი პანეგირიკულ-დითირამბული სტილის შემყურეთ, მაგრამ ამასობაში სტალინი ხომ მოსე წინასწარმეტყველს უტოლდება?!. უშუალოდ იხსენიება ებრაელთა პატრიარქი და მისი დიადი მისიის დასაბამი.

ის სიმბოლური გაიგივება, რაც მწერალს ოდესღაც ნოე ჟორდანიას მიმართ ემეტებოდა, ახლა თავისი დიდების კარიბჭესთან მდგარ კობა ჯუღაშვილზე გადმოუტანია, ოღონდ თუ მაშინ ეს სიმბოლიკა გვირგვინად და შარავანდად დაედგმოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურს, ამჯერად წარმოთქმისთანავე ჩაინავლებოდა.

შესაძლოა მკითხველმა ერთგვარი სითბო ამოიკითხოს იმ პასაჟშიც, როდესაც სტალინის მიერ ფსევდონიმთა გამუდმებული ცვლა ახსნილია არა მისი არალეგალური ცხოვრების პირობებით, არამედ იმავე მოტივით, რა მოტივითაც ძველი ეგვიპტელები (ეს ჩვეულება საქართველოს მთაში შემორჩენილიყო) სახელთა გასაიდუმლოებას ამჯობინებდნენ, რაკიღა სწამდათ, სახელით პიროვნებას მოიხელთებო. და სტალინიც ფსევდონიმთა შეცვლას საგანგებო მნიშვნელობას რომ ანიჭებ-

და, ამიტომაც რჩებოდა ყოველთვის მოუხელთებელი და გამოუცნობი, დაპატიმრებული კი მარჯვედ უსხლტებოდა შემპყრობთ, ხშირად გარბოდა ციხეებიდანაც და გადასახლებიდანაც და სულ სხვა ადგილას ამოყვინთავდა ახალი სახელითა და ახალი ნიღბით.

და მწერალს მისი ეს გაუჩინარებანი და ნიღაბთა ცვლა გოლემს რომ აგონებს — ვინც, ებრაული თქმულების თანახმად, ოცდაათ წელიწადში ერთხელ ეწვევა ხოლმე სამყაროს, მასთან შეხვედრა გაკრთობს და, გონს მოხვალ თუ არა, ის უკვე აღარ ჩანს — ეს უფრო გარეგნულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, სამაგიეროდ, სწორედ ის სითბო გამოსჭვივის, როდესაც ამ მოვლენის ანალიტიკური განსჯისას ძვირფას აჩრდილს გამოიხმობს, ვისაც ყველას გვერდით ხსენებას არ აკადრებს:

— სტენდალის მსგავსად, ფსევდონიმები მისთვის ნამდვილი სახელები იყო.

დითირამბის მარცვლები აქ კიდეც მთავრდება.

სულ სხვა ფონია თვალშისაცემი და იმ საერთო სულისკვეთებას სწორედ ასეთი მხატვრული სახეები შეეფერება:

— სტალინი გველივით იცვლიდა კანს და ამით ხელშეუხებლად ინახავდა შინაგან არსებას.

უკვე არა სტენდალივით მორგება ახალ-ახალი ნიღბისა, არა დიდი ხელოვანისათვის ნიშანდობლივი თამაშისა თუ გაიდუმალება-გაუჩინარების წყურვილი, არამედ უხსენებლის გამოჩენა თხრობისას, თანაც მას შემდეგ, რაც მწერალი აღტაცებით დაუკრავს კვერს (თვითონ არც იცოდა, როგორ ზუსტად მოარტყა მიზანსო) სტალინის ერთი ყოფილი თანამშრომლის მიერ იმპერატორის დასახასიათებლად გამოძებნილ შედარებას:

— პრეისტორიული ხელიკის გაქვავებული თავი.

ავისმომასწავებლად გადაიხსნება ის კარი, რომელსაც სტალინის საიდუმლოს ამოხსნის მცდელობა ჰქვია, და ეს შემაძრწუნებელი განცდა ბუნებრივად უნდა გაღრმავდეს იმის მტკიცებით: მთელს მის არსებაში უბედურების მომტანი ცივი სისხლი იგრძნობოდა, რომელიც მზაკვრობით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდაო.

ზეკაცთა პორტრეტების წარმოსახვისას არსად გაიელვებს მათი წარმოშობა გრიგოლ რობაქიძის პოლიტიკურ პამფლეტებსა თუ ლიტერატურულ გააზრებებში, ანკი სხვაგვარად როგორ იქნება — თუ გმირები მითოსში უნდა გადასახლდნენ, მაშ იდუმალებიდანაც უნდა იყვნენ მოსულნი, მათი მამების არსებობა სამუდამოდ დაფარული უნდა დარჩეს მკითხველისათვის.

ამჯერადაც ასევე მოხდებოდა, სტალინიც ზეკაცთა შორის რომ ეგულისხმა, მაგრამ რადგანაც მისი რეალისტური პორტრეტის აღდგენა განუზრახავს, კიდეც გამოჩნდება მამის სილუეტი — მეწაღის, ლოთის, ბოლმიანი და სასტიკი ადამიანისა, ვინც სცემს ცოლსაც და ერთადერთ პატარა ვაჟსაც, ქოხში კი მეფობს სიღატაკე, ცოფიანის დორბლი და ცრემლი. ბიჭს ზარავს მამის სახელის ხსენებაც და თვით სამყაროს შექმნაშიც მხოლოდ სიბილწეს ხედავს. და მწერალი ყმაწვილის ფსიქიკის სამუდამო და მილიონობით ადამიანისათვის საბედისწერო გამრუდებისა და დამახინჯების მიზეზს მამა-შვილის მძულვარებით აღსავსე ურთიერთობაში ეძებს: შვილი წყევლის მამას, თესლს, და გამწარებული თვით შექმნასაც შეიძულებს, მისთვის აღარც სიყვარული არსებობს, აღარც სიხარული, და ეს ჩაგუბებული ბოლმა სიცოცხლეს უწამლავს.

ამიტომაც მოექცევა ასე ადვილად ნიჰილისტთა გავლენის ქვეშ და საბოლოოდ უღმერთობამდე მიდის.

— არსებითი ეს იყო: თუ ღმერთი მოკვდებოდა, თავისუფლებას მოიპოვებდნენ. იგი ვერ მიხვდა, რომ ღმერთისაგან მოწყვეტილ, უღმერთო ადამიანს ღმერთთან ერთად იმავე დროს სამყაროსთანაც უნდა გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი. შესაძლოა, ქვეცნობიერად სტალინს სწორედ ეს სურდა. თუ დაირღვეოდა საკრალური კავშირი საგნებს შორის, მაშინ თვითონ სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში. ის, ვისაც სიცოცხლე თავიდანვე ტანჯავდა, ანგარიშში არ ცდებოდა.

ეს მისთვის თავდაცვის საშუალებაცაა და სულიერი მოთხოვნილებაც — სინამდვილის გაბიაბრუება, მტრული განწყობილება სიცოცხლის მიმართ. ბუნებით არც მკვლელი ყოფილა, არც ყაჩაღი, არც არანაირი დამნაშავე; მწერალი საგანგებოდ გვიმტ-

კიცებს, რომ სწორედაც პირიქით — საუკეთესო სურდა ადამიანებისათვისო.

მაგრამ...

მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი რომ ბუდობდა?

და ამიტომაც ვერ ასდევდა თუნდაც ქართულ ლხინს, რომელიც გრიგოლ რობაქიძისათვის დიონისეს განმადიდებელი ადგილსამყოფელია. უცხოა მისთვის დიონისური, უცხოა გზნება, თავისი ათასფერადი უკიდურესობით, და ამიტომაც ეჩვენება მწერალს მცდარი და შეუფერებელი მისი შედარება ჩინგიზ-ხანსა თუ თემურ-ლენგთან: მონღოლ დამპყრობლებს ხომ ცეცხლი ჰქონდათ, გაქანება და სიშმაგე, სტალინს კი ცეცხლი არ გააჩნდა, იგი ცივსისხლიანი იყოო.

და თუმც ეს ძალას უორმაგებს, გზნებისა და გაქანების არარსებობა აფერმკრთალებს იმპერატორის ფიგურას გრიგოლ რობაქიძის თვალში.

ეტყობა, ამ თვისებით განასხვავებდა ლენინისგანაც.

მოგვიანებით უკვე დუჩესა და ფიურერისგანაც.

ერთი შეხედვით შესაძლოა გაგიელვოს, რომ სწორედ გზნების უქონლობამ ამოაგდო სტალინი გრიგოლ რობაქიძის მითოსურ პორტრეტთა გალერეადან, მაგრამ უმძაფრესი სულიერი ლტოლვა, ცეცხლისა და გზნების რაღაც ნაირსახეობა რომ არა, ვერც აღიმართებოდა „საბჭოეთის — და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს — ცივ და ბრმა ბედისწერად“.

იმ სიმაღლეზე ატყორცნილა, რობაქიძის მითოსური გალერეა სულაც ქვემოთ მოუქცევია, არადა, მწერალს ვერაფრისდიდებით ვერ გაუმეტებია მისთვის ზეკაცისა და მითოსური გმირის ტიტული.

მტრად შერაცხულ ადამიანებს ცილისწამებითა და დამცირებით სპობდაო, — ნაკლად და ცოდვად რომ მიუთვლის, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ეს ხერხი სტალინს პირველად თვითონ გამოეყენებინოს და თავისი მასწავლებლისაგან არ გადმოეღოს.

უმოწყალობასა და სისასტიკესაც ისე მოუხსენიებს დანაშაულებრივ სწრაფვად გრიგოლ რობაქიძე, თითქოს ლენინისათვის

ეს თვისება საქებ-სადიდებლად არ მიეჩნიოს, მოქნეული ხმლის ელვარებისათვის არ შეედარებინოს აღტაცებულს, უპიროვნობის აუცილებელ საწყისად არ დაესახოს და მეტი დამაჯერებლობისათვის ნიცშეს სენტენცია არ დაემოწმებინოს: სასტიკია ყოველი შემოქმედიო.

ის, რაც ღირსებად ცხადდება ერთისათვის, მეორისთვის თურმე ცოდვა ყოფილა.

და გრიგოლ რობაქიძე ამგვარ შეუთანხმებლობაში ვერავითარ უხერხულობას ვერ ამჩნევს, ანდა უბრალოდ არაფრად აგდებს.

ვერ იტყვი, მაინცდამაინც იმ შეგონებას ითვალისწინებდეს: რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარსო.

ნამუსს კი არა წმენდს ლენინს სისასტიკის გამჟღავნებისათვის, სახოტბო თვისებად წარმოუჩენს.

და, აბა, მაშ... მაშ სტალინს რატომღა გმობს იმავე თვისებისათვის?..

ანდა:

თეოდორ დოსტოევსკის წინასწარმეტყველურ რომანზე — „ეშმაკნი" — გრიგოლ რობაქიძის ამ რომანის მთავარი გმირი თამაზ ენგური (მწერლის ალტერ ეგო) შენიშვნებს რომ მიაწერს, პიოტრ ვერხოვენსკისა და მისი საიდუმლო ორგანიზაციის ამბის თხრობისას ხშირად ჩნდება აშიებზე სიტყვა „ჯუღა", რომლის გამჭვირვალე ქარაგმულობაც ძალდაუტანებლად გამოიხმობს სტალინის აჩრდილს. ეს ის ვერხოვენსკია, ვინც მომავალი ბოლშევიკური მოძრაობის — ამ ყველაზე საზარელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის — იდეური და რეალური საფუძვლები უნდა შექმნას. და მაშ „ჯუღაზე" ადრე სხვა სახელი უნდა გახსენებოდა გრიგოლ რობაქიძესაც და მის პერსონაჟსაც — ვერხოვენსკი ხომ ლენინი უფროა, ვიდრე მისი პოლიტიკური მემკვიდრე... ვინც წამომწყებია მთელი ამ უბედურებისა სინამდვილეში, მის წინამორბედ ლიტერატურულ პერსონაჟსაც ის უნდა გაუიგივდეს უპირველეს ყოვლისა, მერე კი — თუ არ დაგიშლია — სხვანიც გამოძებნო ვერხოვენსკის ხორცშესხმულ ნაირსახეობებად.

ამიტომ „ჯუღას" მიწერა დოსტოევსკის რომანის აშიებზე — მხოლოდ „ჯუღასი" — მთლად ლოგიკურად არ გამოიყურება.

რაღაც გამართლება რომ მოეძებნოს ლენინის ჩანაცვლებას სტალინით, მწერალი მკითხველის დარწმუნებას შეეცდება: კობა ჯუღაშვილი ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი იყოო. და ამ გამოთქმამ ყური რომ არავის მოჭრას, ადრეულ შესიტყვებას მოიშველიებს: ქრისტიანობამდელი ქრისტიანი.

თუკი ასეა, მაშ სტალინი ვერხოვენსკის ფარდი იმ დროიდან ყოფილა, ვიდრე მარქსიზმსა და... ლენინიზმს ეზიარებოდა.

ვერა, ლენინიზმს გვერდს ვერ აუქცევს მწერალი და იძულებულია აღიაროს, რომ ლენინის თხზულებათა წაკითხვამ დაატყვევა კობა ჯუღაშვილი, და დაეუფლა მანამდე არყოფილი განცდა საკუთარი თავის პოვნისა, ოღონდ სხვაში.

როგორი ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკიც უნდა იყოს რუსეთის მომავალი იმპერატორი, თავის მასწავლებელს მაინც ვერასოდეს გადაასწრებს ისტორიული ქრონოლოგიის სიღრმეში და ვერხოვენსკის რეალური გამოცხადებაც ლენინი იქნება.

უპირველესად და მხოლოდ ის.

საკუთარი თავის პოვნა, ოღონდ სხვაშიო...

თურმე სად ჩამალულიყო ის, რისკენაც ილტვოდა სტალინი თავისი ბნელი ინსტინქტის ცეცებით: მარქსისტული იდეის დემონიზმი.

დემონიზმად ლენინიზმია მინიშნებული, ოღონდ საშინელებად კი არა, ძალმოსილი ენერგიის ამოფრქვევად და იმ აუცილებლობად, რამაც რუსეთში „საქმედ" უნდა აქციოს დასავლეთის „სიტყვა", და ეს გარდაქმნა ცოფიანი გრიგალივით უნდა შემოვარდეს სამყაროში, რომლის საფუძვლებიც უკვე მოერყია მსოფლიო ომს.

და რეალისტურ თხრობაში კვლავ მითოსის ფრაგმენტმა უნდა გაიელვოს. ვერასოდეს ახსენებს გრიგოლ რობაქიძე გულგრილად ლენინის სახელს და ამჯერადაც ისეთი განცდით უნდა გამოძერწოს პატარა პასაჟი, თითქოს რევოლუციის შემოქმედზე მანამდე სიტყვაც არ დაეძრას და ლამობდეს რამდენიმე ფრაზაში ჩაწნეხოს აღმტაცი ეპითეტები:

— ლენინი გამოჩნდა ვითარცა მუშტადქცეული ენერგია ქარიშხლისა. როცა თავის ამხანაგებთან ერთად დაჯავშნული მატა-

რებლით გერმანია გადმოკვეთა, რათა რუსეთში რევოლუციური ცეცხლი დაენთო, კაცობრიობამ არ უწყოდა, თუ რა ვულკანურმა ძალებმა მოიყარეს აქ თავი. ლენინი მოევლინა რუსეთს როგორც რევოლუციის ბედისწერა, ის გახდა კოსმიური ბიძგის მიმცემი ოქტომბრის ნგრევისა.

ვერ იჯერა გული გამოსათხოვარი სტატიითა და „გველის პერანგის" დითირამბული ჩანართით და — ახლა უკვე ემიგრაციაში გადახვეწილი — კვლავაც დაუოკებელი ჟინით ჰხვევს რევოლუციასა და მის ბელადს ბრწყინვალების შარავანდში. და ისე როგორ გაძლებს, მონღოლური სულიც არ გამოიხმოს: ორი სტიქია იყო მასში, სლავური და მონღოლური; სლავური — ქაოსის სუნთქვა, უარყოფა ყოველგვარი საზღვრის; და მონღოლური — შინაგანი კრულვა და შორეული გაქანებაო.

ეს პასაჟი მხოლოდ ლენინის ხსენებას არ გამოუწვევია, თითქოს სიტყვას მოჰყოლოდეს და ბარემ ხოტბაც შეესხას. წინასწარვე ჩანს მოფიქრებული აუცილებელ კონტრასტად — ერთის მითოსური შტრიხებისა და იერის ფონზე უფრო ხელშესახებად გამოიკვეთოს მეორის რეალისტური სახება, მისი განსჯა წუთისოფლის კანონებით, მაშინ, როდესაც მის მასწავლებელს სიკეთისა და ბოროტების მიღმა გაუღწევია და ვეღარაფერი ეკარება, ვიდრე ისტორიას გადაჰყვებოდეს საბჭოთა მითოლოგია და ბელადის სახებაც ნამსხვრევებად მიმოიფანტებოდეს.

და ვიდრე გრიგოლ რობაქიძის ახალი მითოსიც არ დაიშლებოდეს და განქარდებოდეს, და მხოლოდ მეხსიერებას შემორჩებოდეს ზეკაცობისაკენ მწერლის ლტოლვის დაუმცხრალი ჟინი და აღტაცება ძლიერი პიროვნებით, ვინც რეალობაში ამკვიდრებდა იმას, რაზეც „გრაალის მცველთა" შემოქმედს ოცნება თუ შეეძლო.

სტალინის გარიყვა მოჩანს ცოტა არ იყოს უცნაური და აუხსნელი და ეჭვიანმა ფიქრმა იქნებ პირადული წყენითაც სცადოს ამ ენიგმის გაშიფრვა... მაგრამ ამ ორი პიროვნების პირადი შეხვედრა არასოდეს მომხდარა, თუ არ ვიგულისხმებთ სტალინის დასწრებას „ლამარას" ერთ-ერთი წარმოდგენისას მოსკოვის ოლიმპიადაზე 1930 წელს, „ლამარასი", გრიგოლ რობაქიძეს თავის პიროვნულ არსად რომ მიაჩნდა და მის ირგვლივ ყველაფერს

განსაკუთრებული სიმძაფრით ამიტომაც განიცდიდა. ამ ეპიზოდსაც „ლამარას" მოკლე ბიოგრაფიაში ჩაურთავს, 1954 წლის იანვარს რომ შეუდგენია ჟენევაში და „ყველაზე უმნიშვნელოვანეს ფაქტად" სწორედ იმპერატორის იმ გამოჩენას დაასახელებს:

— მოსულიყო, როცა ბოლო აქტი მიდიოდა. ფარდის ჩამოშვების შემდეგ სურვილი გამოეთქვა: თავითგან ბოლომდე განმეორებინათ წარმოდგენა. რასაკვირველია, განმეორებინათ დაცარიელებულ თეატრში — ახლა მეტი ტემპერამენტით, ესეც რასაკვირველია. შეირხენ სტალინში საქართველოს ფესვები?

შესაძლოა ამ ეპიზოდმაც განსაზღვრა, რომ გრიგოლ რობაქიძემ საბჭოეთიდან გაღწევა შეძლო და გერმანიაში თავშეფარება მომდევნო წელსვე და 37-38 წლების დიდ ტერორსაც არ ემსხვერპლა. ან მასაც შეიწირავდა სისხლიანი კალო, ანდა — „ჩაკლული სულის" ნაცვლად — სტალინის განმადიდებელ თხზულებას შექმნიდა, გულგარეთ, მაგრამ გაცილებით უფრო ექსპრესიულსა და მონუმენტურს, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიას შეექმნა.

იმას სრულებით არ გააჩნდა პანეგირისტის ნიჭი. ვაჭარბებ? ყოველ შემთხვევაში, იმ ხელოვნების შესაფერისი არა, მისი მხატვრული ხილვები რომ გარდაისახებოდნენ, და თვით დავით აღმაშენებელი, ვინც უეჭველად გახლდათ მისი გმირი და იდეალი, ჩაეკარგებოდა ისტორიულ ქრონიკათა გამხატვრულებულ ვერსიებში და იმ მონუმენტურობით ვერ აზიდავდა, იდეალს რომ დაშვენდებოდა. არ გააჩნია პერსონაჟ დავით აღმაშენებელს არც ის შთამბეჭდაობა, არც ის სისავსე და რელიეფურობა, რაც კონსტანტინე სავარსამიძეს („დიონისოს ღიმილი"), თარაშ ემხვარსა („მთვარის მოტაცება") თუ კონსტანტინე არსაკიძეს („დიდოსტატის მარჯვენა"). გიორგი პირველის სახებაც კი გაცილებით უფრო კანთიელადაა წარმოსახული, ვიდრე საქართველოს ისტორიაში ამ გამორჩეული ღვაწლის დამდები პიროვნებისა.

თამარ მეფეზე მხოლოდ ჩანაფიქრის დასაწყისი დაგვიტოვა.

ბოლომდეც რომ დასცლოდა ამ რომანის მიყვანა და თან სიცოცხლის მიმწუხრისას კი არა, გაცილებით ადრე, როცა მწერლური ძალ-ღონე მეტად მოსდევდა, ალბათ ვერც ეს წიგნი გაუტოლდებოდა მის საუკეთესო ბელეტრისტულ ქმნილებებს.

იდეალი მომხიბლავ ფერებს ვერ შეიძენდა და ცხოველმყოფელობით ვერ აღივსებოდა.

ძლიერი მარჯვენა თუ მოდუნებული ერთნაირად უღონო აღმოჩნდებოდა ამაღლებული პორტრეტის გამოსაკვეთად.

და სტალინზე არც არასოდეს იფიქრებდა რომანის შეთხზვას, საფრთხის გარდუვალობის შეგრძნება რომ არა. თუ მწერლის ბედი წყდებოდა, დაე დაეთმო და ის განედიდებინა, ვინც თავის გმირად და იდეალად არც არასოდეს უღიარებია და, გიორგი საააკაძისა არ იყოს, უსამშობლო მსტოვრად მიაჩნდა, საკუთარი ქვეყნის დამაქცევრად.

მაგრამ რაკიღა აუცილებელი გამხდარიყო, სამტომიან რომანს ჩაიფიქრებდა, „ბელადად" სახელდებულს, და დაუჯდებოდა თუ არა, იგრძნობდა, როგორ გაუხუნდებოდა ერთბაშად მწერლური ხელოვნება. ტექნიკის ხარჯზეც კი ვერ მოაბამდა თავს და ვერც მოაბა — სამი წიგნის ნაცვლად ერთი გასრულდებოდა ძლივძლიობით და ისიც ყოვლად უფერული, დაუკავშირებელ სიუჟეტურ მონახაზებში ბელადის ბავშვობისა და ყრმობის ეპიზოდები შემთხვევიდან შემთხვევამდე რომ გაიელვებს და მითოსურ-ეპიკურ განზოგადებამდე ძალიან ბევრი უკლია.

რაკიღა აუცილებელი გამხდარიყო, „მთვარის მოტაცების" ხელმეორე გამოცემისას საგრძნობლად გადაკეთდებოდა თარაშ ემხვარის მიერ სამოქმედო გზის, პოლიტიკური არჩევანის ძიება და სრულიად საპირისპირო შინაარსით აღივსებოდა მისი სულისკვეთება. თუ თავის ნებაზე მყოფი პერსონაჟი განუდგებოდა როგორც სტალინის გზას, ისე მუსოლინი-ჰიტლერისას, საბჭოთა იდეოლოგიის მხრივ უხეში ძალდატანების შემდგომ დარღვეული გმირი დაბეჯითებით აცხადებდა საკუთარ არჩევანს:

— მრავალ გზაზე მიყიალნია, მრავალ გზაჯვარედინზე მიყოყმანია და ბოლოს ავირჩიე გზა სტალინისა, რადგან ეს არის გზა ჩემი ხალხისა.

როდესაც აკაკი ბაქრაძე შეუდარებდა რომანის 1936 და 1947 წლების გამოცემებს და წარმოაჩენდა ძალდატანებით გადასხვაფერებას, მკაფიოს გახდიდა, თუ რა ძირეულად შეცვლილიყო თარაშ ემხვარის პიროვნებაც და პრობლემატიკაც უხეში ჩარევის

შედეგად, რომანის პრობლემას ერთბაშად დაეკარგა სიღრმეც და სიმწვავეც და დამგვანებოდა ჩვეულებრივ პროპაგანდისტულსა და კონიუნქტურულ თხზულებებს.

და რომანის ფინალიც უკვე გაუგებრობას რომ იწვევდა?

ამ გარემოებას საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა კრიტიკოსი:

— თუ ბუნებრივი, მართალი და ლოგიკური იყო იმ კაცის დაღუპვა, რომელმაც ვერ მიაგნო ცხოვრების გზას, აუხსნელია თარაშ ემხვარის დახრჩობა იმის მერე, რაც მან სტალინის გზა აირჩია. რა გამოვიდა — არყოფნა ელის იმას, ვინც სტალინის გზას დაადგება? რაც მართალია, მართალია, ეს აზრი პირადად მე ძალიან მომწონს, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას კრიტიკოსებს ეს არ უნდოდათ ეთქვათ. პირიქით, ისინი ირწმუნებოდნენ — ერთადერთი სწორი გზა სტალინის გზააო.

ამ პასაჟს იმ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ იმოწმებდა, თუ რაოდენ აბსურდული ვითარება იქმნება ყოველთვის, როდესაც მექანიკურად, უხეშად და ძალდატანებით ხდება მხატვრული ნაწარმოების ჭრა-კერვა თუ გადაკეთება-გადმოკეთება, რადგანაც მხატვრული თხზულება ცოცხალი ორგანიზმია და უხეში ოპერაცია მას მხოლოდ დააგონჯებს, ჩვენი თხრობისათვის კი ის მნიშვნელობა ენიჭება, რომ მკითხველმა მწერლის მრწამსი არ ამოიკითხოს იძულებით ჩამატებულ სტრიქონებში.

სხვათა შორის, მოგვიანებით — კერძოდ, 1958 წელს — როდესაც ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა და ცენზურა სტალინის სახელის ამოშლას მოსთხოვდა კონსტანტინე გამსახურდიას და თარაშ ემხვარი უკვე არაფრისდიდებით აღარ უნდა დადგომოდა სტალინის გზას, ეს მოთხოვნა უნებურად დაემთხვეოდა მწერლის კონცეფციას.

იძულებით ასეთ ჩანართებს ან სხვა — ვთქვათ, ნარკვევის — ჟანრს ასე თუ ისე დაადგამდა თავს, მაგრამ პანეგირიკული, სახოტბო თხზულების შექმნა — აგერ, ხელშესახებად დადასტურდებოდა, რომ — მის ძალას აღემატებოდა. ეგაა, „ბელადის“ გამოცემა იმ მხრივ წაადგებოდა, რომ ქედის მოხრად შეუფასებდნენ მისთვის საძულველი რეჟიმისა და მისი მბრძანებლის წინაშე და მოსალოდნელი საფრთხეც გადაივლიდა.

ნურავინ იტყვის, ბავშვობა და ყრმობა არა კმაროდა შთამბეჭდავი პორტრეტის წარმოსახვისთვისო.

ჯერ ერთი, ვინ დაუშალა, რომ ბელადის ცხოვრების ამ ხანას გასცილებოდა.

და მეორეც, განა გიორგი ლეონიძის პოემაც მხოლოდ ბავშვობისა და ყრმობის ასაკს არ უტრიალებს, სახიერ მხატვრულ ტილოდ რომ შემორჩენილა და პოეტური განცდის სიძლიერით კლასიკურ სახოტბო ქმნილებებს გატოლებია?..

მახლობელი აღმოჩნდებოდა მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის პანეგირიკი, ხოტბა, დითირამბი, ხოლო მსოფლგანცდისათვის ბარბაროსული ძალისა, მსოფლიო ენერგიის და ძლიერი პიროვნების კულტი.

სიჭაბუკეშივე საკმაოდ გადმოწვდენოდა გრიგოლ რობაქიძის გავლენა და მასავით ისე მოიხიბლებოდა გრიგალებს შეტოლებული ენერგიის ამოფრქვევით, ხანდახან მის წარმოსახვაშიც მოიშლებოდა ყოველგვარი საზღვარი და საქართველოს სამრეკლოდან კი არ გაიაზრებდა მოვლენებს, თემებსა თუ მოტივებს, არამედ იმ საზღვარმოშლილი გადმოსახედიდან.

და განადიდებდა ატილას, ჰუნების ბელადს, რომი ვისაც დაემხო და დაექცია, მის დაუჭედელ სულს, აპოკალიფსის მესამე მხედრადაც რომ ეჩვენებოდა („ატილლა“).

და საკუთარ თავსაც ყველაზე დიდი გაამაყების წუთებში მხოლოდ ასე შეასხამდა ხოტბას: ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაცინი, რომის კედლებთან ურაგანი და დინამიტიო („ავტოპორტრეტი“). და აღარც იმას დაგიდევდა, ბარბაროსების თარეშს მისი სამშობლოც რომ არაერთხელ შესწირვოდა, ხაზართა ულმობლობაც ეწვნია და სარკინოზებისაც — ეს სულაც საუკუნეობით. და თუ აბო ტფილელი ქართველობას იჩემებდა და მისთვის თავსაც დადებდა მოწამებრივი სიკვდილით, ქართველ ჭაბუკს რა ენება — აბო ხომ არ უნდა შეეცვალა ახალ დროში და მის ნაცვლად შერეოდა იმ გარდასულ სარკინოზთ?

ყივჩაღებსაც ამიტომ გახედავდა აღტაცებული მზერით და თავის ლექსში („ყივჩაღის პაემანი“) ერთ-ერთ მათგანს კიდეც ამტვრევინებდა მცხეთის საკლეტურებს და დაალეწინებდა ტაძრებს კელაპტრიანს.

და სიყვარულისათვის ყველაზე აღმტაცი, ამაღლებული შედარების გამოძებნა რომ დასჭირდებოდა, ვინმე სხვა კი არა, თემურ-ლენგი მოაგონდებოდა და საშველად მას გამოიხმობდა: როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებიაო („ნინოწმინდის ღამე").

და გრიგოლ რობაქიძისაგან შთაგონებული ეს შეხედულებანი და ხილვები ისედაც მიიყვანდა სტალინის მითოსურ თუ ეპიკურ სახებამდე, საბჭოეთში რომც არ რგებოდა ცხოვრება.

სიცოცხლის მიმწუხრზე გადააფასებდა ამ შეხედულებას და შესტიროდა უკუღმართ ბედს, ჰოი, რა სასოებით ეაჯებოდა: რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ, გამაგებინე — რა ლექსი გინდაო, — და მწარე ქვეტექსტი ყველაზე მკაფიოდ ამჟღავნებდა სასოწარკვეთილის გულისტკივილს, ეპოქის ტრაგიზმს რამდენიმე სტრიქონში რომ ჩაწურავდა და რეალურ სურათს შეუფერადებლად აღადგენდა:

რად დამიგრიხე ხორხზე საბელი
და ფრთაში წყლული რად გამიჩინე,
რად აკვლევინე კაენს აბელი,
რომ ერთი ძმაც კი არ შემარჩინე...

ყველაფერი ასე თვალნათლივია და ხელშესახები, მაგრამ გული არ მოუთმენდა, რომ გამჭვირვალედ არ მიენიშნებინა, თუ ვის დაეგრიხა ყელზე საბელი მისთვისაც და მთელი ქვეყნისთვისაც:

ერთი დავითი,
ერთი თამარი!
ორ სააკაძეს ვერ გაუძლებდა!

მაინც სტალინს დაემკვიდრებინა გიორგი სააკაძე ახალი დროის მითოსში, რის საფუძვლებსაც ქმნიდა გრიგოლ რობაქიძე ანტონ ფურცელაძესთან ერთად, გაეგრძელებინა და დაეგვირგვინებინა მათი წამოწყება და თავის არქეტიპსაც ძერწავდა დიდი მოურავისაგან. ძერწავდა და... ბარემ დარქმეოდა მისი ბიოგრაფიის გამმეორებელი და დავითისა და თამარის სახელმწიფოს დამაქცევარი. ერთი სააკაძე საბჭოთა იმპერატორია

გიორგი ლეონიძის უკვე გადაფასებული საზომით, მეორე სააკაძე — სერგო ორჯონიკიძე.

დიდი მოურავისაგან აღარ განერჩევა.

არადა, იყო დრო, როდესაც გულწრფელ მეხოტბედ დადგომოდა და მთელ თავის პოეტურ ტალანტსა და გზნებას იმ ეპიკურ ქმნილებაში ჩახარჯავდა.

მითოსური გმირი ამოსდევდა მძაფრ ხილვებსა და სტრიქონებს.

ბორგავდა პოეტის დაუმცხრალი სული.

სიცოცხლის მიმწუხრზე გადააფასებდა ამ შეხედულებასო...

ცხადია, სხვა თვალით გადმოხედავდა თავის ეპიკურ ქმნილებასაც, მაგრამ მისი მხატვრული ძალა არც არასოდეს დააეჭვებდა, განსხვავებით კონსტანტინე გამსახურდიასაგან, ვინც წიგნის გამოქვეყნებამდე შეატყობდა, განზრახვა მარცხისთვის რომ იყო განწირული.

საბჭოეთში რომც არ რგებოდა ცხოვრებაო...

გერმანიაშიც რომ გადახვეწილიყო „ლამარას“ შემოქმედივით და ხელი შეშლოდა „ბავშვობისა და ყრმობის“ შექმნაში, თავისთვის მაინც შეთხზავდა ერთ ან რამდენიმე ლექსს და გაამჟღავნებდა თავის მხატვრულ-იდეურ მრწამსს, ატილას, თემურ-ლენგის, მონღოლთა, ხაზართა, სარკინოზთა ბარბაროსული ძალისა და ვულკანივით ამომსკდარი ენერგიის მოვარდნას სტალინის პანეგირიკით რომ დააგვირგვინებდა.

საითაც უბიძგებდა გრიგოლ რობაქიძე თავის მიმდევართ და, მათ შორის, გიორგი ლეონიძესაც, თვითონ მოძღვარი სრულიად შეაქცევდა ზურგს ძლიერი პიროვნების კულტის ამ — სხვებზე კიდევ უფრო გამოკვეთილ — სახებას და, ემიგრაციაში ნოსტალგიით გასენილი შვებას იმაში ჰპოვებდა, რომ იქ ეს იძულება მაინც არ მოელოდა — რუსეთის იმპერატორის სადიდებლის შეთხზვა.

მერე ნაცისტური მოძრაობა სულ უფრო გაულვივებდა იმედს და რაც მანამდე შორეულ ოცნებად მოჩანდა, უფრო მკაფიო კონტურებს შეიძენდა და ის კაციც თანდათან უფრო გაზვიადდებოდა, ჯერ ჰილდენბურგის გვერდით რომ იდგა გარინდებული და მოკრძალებით გულზე ხელებგადაჭდობილი.

თავი მეცხრე

მითოსის ნამსხვრევებში

ის კაციც თანდათან უფრო გაზვიადდებოდაო...

ჯერ — გარინდებულა და მოკრძალებით გადაუჭდია გულზე ხელები.

მსოფლიო ორომტრიალი ჩაბუდებულა ამ გარინდებაში.

გრიგოლ რობაქიძე თავს ირწმუნებდა, უკვე მაშინ ვამჩნევდი, თუ როგორ გახვეულიყო ოდნავ შესაგრძნობი აურის საფარველში და როგორ იზრდებოდა უსასრულოდ და სიშორისაკენ მიისწრაფოდაო. ნეტა თავიდანვე თუ მართლა კარნახობდა იდუმალი ხმა, ეს კაცი ამოიყრის შენს ჯავრსაც და რუსეთის უღელს ნამსხვრევებად აქცევს შენს სამშობლოშიო?!. თავიდანვე იყო თუ მოგვიანებით, მისი მიხრა-მოხრაც განუმტკიცებდა იმედს — თავისი სწორუპოვრობით თვალშისაცემი; და მის გრძელ, ენერგიულ ხელებს რომ აკვირდებოდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, მის მტკიცე ნაბიჯს ფრთას ასხამენო.

და, აი, იწყება ის ზეასვლა, როდესაც ყველასათვის თვალნათლივ იკვეთება, თუ როგორ განასხეულებს ფიურერი ხალხის ენერგიას და როგორ მიედინება მასში ეროვნული ძალა; როგორ ხდება მისი ხმის გამოძახილი ისეთი გულისშემძვრელი, რომ გრიგოლ რობაქიძესავით ხანდახან ყველას უჭირს დაჯერება, ეს ხმა ერთი ცალკეული ადამიანისააო; და როგორ ცნაურდება მის არსებაში გერმანული თვითობა.

— მისი ყოველი გამოსვლა ერთადერთი და განუმეორებელია. ათასობით ადამიანი მასთან უშუალო შეხვედრას ელოდება, მილიონები კი რადიოგადაცემის მოლოდინში გაქვავებულან. აბრიალებული ტალღა ტალღაზე მოგორავს და აღტკინებისგან

გუგუნებს. ტანი უგრძნობთ: იგი მოდის, იგი უკვე ახლოსაა. შუქშობილის მოლოდინში ყოველი ხმის გაგონებაზე უტოკავთ ფესვები. უსაშველოდ მოდიდებულან ტალღები. აქ მარტო აღარავინაა.

და გრიგოლ რობაქიძისათვის რომ ფიურერის ყოველი საჯარო სიტყვა საქართველოსთან იგივდება, ამიტომაც ჩაურთავს საგანგებოდ ფრაზას რომანიდან „გრაალის მცველნი“:

— ყოველი მხარი ძმაა და ყოველი მზერა დაია შენი.

რაღაც ამგვარს ისედაც იტყოდა, რა აუცილებელი იყო ციტატის დამოწმება?

მაგრამ ის „რაღაც ამგვარი“ ვერ გამოააშკარავებდა მწერლის ღრმადინტიმურ შეგრძნებას, ვერ მიგვანიშნებდა ისე ხელშესახებად ფიურერის აღთქმისაგან გამოწვეულ მოლოდინსა და იმედზე. და გამოცდილმა ხელოვანმა ყველაზე უკეთ უწყის ასეთ ჩანართთა ზემოქმედების ძალა.

და კვლავ გრძელდება საყოველთაო აღტაცების არეკვლა სიტყვის შემწეობით:

— ტალღისგან ატაცებული ბედნიერი მსმენელი ჰაერში ნანაობს: იგი ერთდროულად ნადავლიც არის და ნადავლის მომპოვებელიც. და აი, ფიურერიც აქ არის. ქარბორბალასავით ეხვევა გარს შეძახილი: „ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!“ აბობოქრებული ზღვის ზედაპირი მშვიდდება. ნელ-ნელა იკეცებიან ჩამცხრალი ტალღები. არსაიდან არ ისმის ხმა, ყველა ჩაწყნარებულია, მხოლოდ გულები ძგერენ ძალუმად, მოლოდინით ანთებულნი.

ორატორის მჭევრმეტყველება ჭეშმარიტად ღვთიურ გზნებასთან რომ გაიგივებულა და გრიგოლ რობაქიძეც გულმხურვალედ უსმენს, ისედაც ხვდები, რომ ამჯერადაც ის უნდა დაემართოს, რაც ოდესღაც ლენინის საჯარო გამოსვლისას მოუვიდა — თავი ანებოს სიტყვებს და მხოლოდ შინაგან ენას მიაყურადოს და აღარც უცნაურ ხილვას მოეშვას.

დაე შეძრწუნებულიყო საბჭოთა იმპერია.

დაე სულ ახლოს დაენახა გერმანიის არმიათა ძლევამოსილი სწრაფვა, აბობოქრებულ გრიგალსა თუ ვულკანის ამოფრქვევას შეტოლებული.

დაე საკუთარ თავზე ეწვნია ძელქვის კორძის უტეხელობა და უკვეთელობა და სისასტიკის ის უკიდურესობა, საბჭოურ სისასტიკეს რომ დააჩოქებდა.

ვერ უნდა გაეძლო ისტორიის უპიროვნო ძალის მრისხანებისათვის.

ვერ უნდა გაეძლო მისი კაიროსისთვის.

ქართველ მწერალს ყველაზე ძალიან მაინც ფიურერის ამ კაიროსისა ეიმედებოდა.

ათასგვარი გემოვნებისა და გონებრივი ავლადიდების ადამიანს ვარაუდობდა ამ წიგნაკის მკითხველად და ამიტომაც მიიჩნევდა აუცილებლად კაიროსის განმარტებას: ძველი ბერძნული სიტყვაა და გულისხმობს ყოფიერების იმ წყალობას, ქმედების იმ უნარის მოპოვებას — იპოვნოს გადამწყვეტი წამიო.

მისი შეგრძნება ჩინებულად შეეძლოთ ცხოველებთან კოსმიურად დამეგობრებულ ადამიანებს.

და კიდევ მათ —

ვინც მთლიანად და უყოყმანოდ გაიზიარებდა თავისი ხალხის ბედს.

მაინც რა ხდება მაშინ?

რა და — მას ეძლევა ნიჭი და უნარი, ფარულად შეამოკლოს ფარული შუალედი, ანუ სივრცე ყოფიერების ირგვლივ არსებულ ცოდნასა და თვით ყოფიერებას შორის.

და კვლავ საგანგებოდ უნდა მოიშველიოს თავისი პერსონაჟი და მისი სიტყვები („მაშინ მასში წმინდა ცხოველის ძალები გაბატონდებიან და ამიერიდან იგი მთლიანად და განუყოფლად იმოქმედებს ხოლმე"), რათა ისევ ის მიანიშნოს, რომ ფიურერის კაიროსმა სიკეთე უნდა მოუტანოს ქართულ სამყაროსაც.

უხაროდა გრიგოლ რობაქიძეს, რომ თვალდათვალ ამჩნევდა მუსოლინის არსებაში მოქმედ კაიროსს, რაღაც მეტეორის ნამსხვრევის ცეცხლისებრი რომ ჰქონდა, მაგრამ, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ახარებდა და აღიტაცებდა, რომ ეს უნარი განსაკუთრებით უხვად მომადლებოდა ადოლფ ჰიტლერს:

— იგი შორეული სიღრმეებიდანაა ხესავით ამოზრდილი, დედამიწის ცეცხლით გავარვარებული, ნაყოფიერ სინათლის სხივად გარდაქმნილი.

და „ბჰაგავატგიტას“ სტრიქონებსაც სწორედ მას მიუსადაგებდა, კაიროსის ძალ-ღონით მორჭმულს:

— საკუთარ თავს რომ ჩავუკვირდები, წმინდა გულს ვპოულობ და წინ ათასობით, ათიათასობით ადამიანიც რომ გადამიდგეს, არ შევეპუები.

მაგალითს მაგალითზე იმოწმებს მისი ამ უნარის განსაკუთრებული ელვარებით გამოსხივებისა და გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს ოთხი სახელმწიფო მოღვაწის თავყრილობას მიუნხენში — ჰიტლერის, მუსოლინის, ჩემბერლენისა და დალადიესი. ეს ხომ ის წამია, რომ „საკმარისია ერთი მისხალი დაემატოს სასწორის პინას, რომ ჭექა-ქუხილი აიწყვეტს. კაცობრიობა გაქვავებულა ძრწოლასა და ლოცვაში...“

მაგრამ, საბედნიეროდ:

— მშვიდობა და მასთან ერთად მშვიდობაც გადარჩენილია. დროის ამ სუნთქვისშემკვრელი დრამატიზმით აღსავსე მონაკვეთში ჩანდა, რომ განუწყვეტლივ მოქმედებდა ფიურერის კაიროსის სხივი.

ამ სხივს მიჰყვებოდა გრიგოლ რობაქიძის მომლოდინე მზერა.

თურმე კაიროსსაც არ უმართლებს ყოველთვის.

ჩაინაცრებოდა ის სხივი.

კაიროსი ვერ გაარღვევდა უფრო მტკიცე ნებას.

და გრიგოლ რობაქიძეს სათავშისაცემოდ გაუხდებოდა ეს იმედოვნება და ნიკოს კაზანძაკისსაც ამას შესთხოვდა და ევედრებოდა: თავგადაკლული მომხრე არასოდეს ვყოფილვარ ჰიტლერისა და კიდეც ვაფრთხილებდი, საბედისწერო გზა არ აერჩია. და თუ ძალიან ფარულადაა მინიშნებული ეს გაფრთხილება ჩემს წიგნაკში, შენ მაინც არ უნდა გამოგრჩეს და დამიდასტურე, რომ არ შევპუებივარ სიმართლის თქმას და ჩემი მორალური მრწამსი უცვლელად შევინარჩუნეო.

აღარც „ადოლფ ჰიტლერის“ გახსენება უნდოდა, აღარც „მუსოლინისა“.

ლენინზე დითირამბების გახსენებაც აღარ ღირდა, ნოე ჟორდანიას სახელი ისედაც მიბინარებულიყო მწერლის ცნობიერებაში, გიორგი სააკაძისა და თემურ-ლენგის ჯავრი სულ აღარ

ჰქონდა და ასე ემსხვრეოდა ხელში თავისი ახალი მითოსი, ეფანტებოდა ნატეხებად და აღარც ნაღვლობდა, ოღონდაც სასჯელს გადარჩენოდა... ხეტიალითაც სადამდე ეხეტიალა, არგენტინა სამყაროს დასასრულად ესახებოდა და: იქამდე ვერც ჩავაღწევო, — რაღაც ამგვარს უთუოდ ფიქრობდა.

სტალინს მაინც არ აღიარებდა, არაგულწრფელადაც კი არ უძღვნიდა პანეგირიკს, იქნებ რაიმეში წამადგესო... გამარჯვებას არაფრად ჩაუგდებდა და ახალ გმირად არაფრისდიდებით არ იწამებდა.

* * *

ნოე ჟორდანიას სახელი ისედაც მიბინარებულიყო მწერლის ცნობიერებაშიო...

და თუ მაინც ახსენებდა, ისიც ტაქტიკური მოსაზრებით, თავისი იმ პოლიტიკური ესეის არაპოლიტიკური შინაარსი და მიზანდასახულება რომ ემტკიცებინა.

რაკიღა „ადოლფ ჰიტლერი“ არაპოლიტიკურ თხზულებად სურდა მოენათლა, მასთან მისასვლელი საფეხურებიც უნდა მოშლილიყო, და არამარტო „მუსოლინი“, არამედ ჟორდანიას დითირამბიც ისეთ საბურველში მოქცეულიყო, სამუდამოდ დაეშორებინა პოლიტიკისაგან.

მიხეილ წერეთლისადმი მიძღვნილ ესეიში თავის დაცვას იმით მოინდომებდა: პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარო, — და ზედ მოაბამდა მსჯელობას: სულ სხვაა მამულიშვილობა, ის მეტია, ვიდრე პოლიტიკა და, დავუმატებ, ვიდრე პარტიაცო.

და თვალსაჩინოებისათვის აღნიშნავდა: ნოე ჟორდანია მარქსელია, მე — არამარქსელი, მაგრამ შესანიშნავ მამულიშვილად მიმაჩნია, და ამას ახლა კი არ ვამჟღავნებ, არამედ წაიკითხეთ ჩემი ესკიზი, 1920 წელს გამოქვეყნებული, სადაც მოხაზულია მისი პიროვნებაო.

იქ მართლა არ ჩაიხედოს ვინმემ და არ აღმოაჩინოს, რომ გრიგოლ რობაქიძეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გამორჩეულ, ყოველთა აღმატებულ პიროვნებად მიაჩნია და მოსე

წინასწარმეტყველის განმეორებად ახალ დროებაში. ამიტომაც ქმნის ისეთ კონტექსტს, თითქოს იგი ძლიერი პიროვნების კულტის გამოვლენად კი არ ესახებოდეს, არამედ ერთ-ერთ რიგით მოღვაწედ სხვა პატრიოტთა შორის:

მარქსელია აკაკი ჩხენკელი და თავდადებულ მამულიშვილად ვიგულვებო.

ევგენი გეგეჭკორიც მარქსელია და ძალიან მაგარ მამულიშვილად მიმაჩნიაო.

აქვე ერთ დეტალსაც საგანგებოდ დაიმოწმებს: როგორც ისტორიული, გამოადგებათ ქართველ პოლიტიკოსებსო —

1943 წლის ივნისში ევგენი გეგეჭკორი მიმართავს გრიგოლ რობაქიძეს (და იქვე იმყოფებიან გიგო დიასამიძე და ალექსანდრე ქორქია):

— გრიგოლ! ჩვენი ერის ბედს ნუ გადავაბამთ ერთი ერის ბედს!

თვითონ კი არ შიფრავს მწერალი ამ „ერთს“, მკითხველს სთხოვს: დააკვირდით, აქ ის მარტო რიცხვს არ ნიშნავსო. ურჩევნია, მკითხველმა თვითონ ამოიცნოს მასში გერმანია. ეს უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე.

იმასაც დასძენს: ყურადღება მიაქციეთ, თუ როდის იყო ეს თქმული! და პოლიტიკურ გამჭრიახობასთან ერთად დაინახავთ მამულიშვილურ ზრუნვასაც, და მერე რამხელასო.

ჩამოთვლას გააგრძელებს და გარდაცვლილთაც გაიხსენებს: კარლო ჩხეიძეს და ვლასა მგელაძეს, იმათაც მარქსელთ და, ამასთან, გულმხურვალე მამულიშვილებს.

და მიხეილ წერეთლის პოლიტიკურ ბრძოლასაც რომ არ დაივიწყებს საქართველოს თავისთავადობის აღდგენისათვის, „თეთრი გიორგის“ რაზმის მესვეურობას მისი პატრიოტობით ახსნის და არა რაიმე სხვა მიზეზით.

აღდგებოდა საქართველოშიც თეთრი გიორგის ხსოვნა.

უცხოეთშიც ეს მოხდებოდა, ეგაა, განსხვავებით საქართველოში აღდგენილი საზოგადოებრივ-კულტურული ხსოვნისაგან, ემიგრაციაში ის უფრო რაზმის, პოლიტიკური მოძრაობის სახეს შეიძენდა, მაგრამ არსებობდა კი მათ შორის — საზღვარს აქეთ

და საზღვარს იქით — რაიმე კავშირი, რაც პოლიტიკად შეიძლება გამოიკვეთოს?

არავითარი პოლიტიკა აქ არ ყოფილა და ყველაფერი მოხდა თავისთავად, რადგან ამ ამბებში საქართველოს შუაგული ფეთქდაო, — აკი დაბეჯითებით ირწმუნება „გრაალის მცველთა“ შემოქმედი და მიხეილ წერეთელის მოქმედებას იმ გამართლებას უძებნის: მიხეილის მამულიშვილობა გადაძლევს თვითონ „დარაზმულობას“, მის ნიადაგზე პოლიტიკურად განრიგებულსო.

ურჩევნია შემოკლებით და მინიშნებით ახსენოს, მხოლოდ ასე — დარაზმულობაო.

თორემ ძალიან მოჭრიდა ყურს მკითხველს ამ პოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდება: ქართველთა ფაშისტური დარაზმულობა.

მარქსელებს იძახებდა და დარაზმულობამდე მოვიდოდა.

ნოე ჟორდანიათი დაიწყებდა და მიხეილ წერეთლით დაასრულებდა.

შლიდა საფეხურებსაც.

და აწყდებოდა აქეთ-იქით სასოწარკვეთილი, და ხან თუ გარიდებას ურჩევდა გული, ხანაც ლამის თავისი ფეხით მიდგომოდა კარს მართლმსაჯულებას — რაც გენებოთ, ის მიყავით, გამთანგა ლოდინმა და ესაო.

და უეჭველად დასძენდა: პოლიტიკოსი არც ვყოფილვარ და არცა ვარ, განა იმიტომ, რომ პოლიტიკისა არა გამეგებოდეს რაო.

* * *

ნოე ჟორდანიას გარდაცვალებას მაინც ძალიან განიცდიდა.

მისი სახელი მაინც საქართველოს დრამატულ ბედისწერას გადაჯაჭვოდა, თავისებურ სიმბოლოდ კრთოდა ქართული ემიგრაციის ცნობიერებაში და ამიტომაც მოინდომებდა გამზადებას ვრცელი წერილისა „ნოე ჟორდანია როგორც მამულიშვილი“, რომლის გამოქვეყნებასაც ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე ივარაუდებდა, მაგრამ ახლავე კი არა.

მაშ როდის?

თავის დროსო, — ეს ბუნდოვანი დაპირება ერჩივნა.

ნეტა რომელია ეს „თავისი დრო"?

აგერ ჟურნალის რედაქტორი კალისტრატე სალია როგორი პატივისცემით განმსჭვალულა მისადმი, ოღონდაც რაიმე მიუტანოს, დიდი სიხარულით დაუბეჭდავს, ის კი არა, ინტერვიუზეც დაითანხმებს გრიგოლ რობაქიძეს და თავიდანვე ისე ჩამოუგდებს სიტყვას ნოე ჟორდანიას გარდაცვალებაზე, დიდი დანაკლისია ჩემთვის და საინტერესოა თქვენი აზრი განსვენებულის შესახებო, — აშკარაა, როგორ ამაღლებულა მის თვალშიც დამხობილი ხელისუფლის სახება და გრიგოლ რობაქიძის ვრცელი წერილის არსებობა, რა გასაკვირია, საუკეთესო საჟურნალო მასალად წარმოუდგება.

სწორედ მისი მოლოდინისა და იქნებ გაწვდილი ხელის პასუხად იტყვის მწერალი:

თავის დროსო.

და დაუბეჯითებს:

ვამბობ „თავის დროს" — რადგან თქმაც შესაფერ დროს მოითხოვს.

რაოდენ თვალნათლივია მისი განწყობილება.

შიშობს, ძალიან შიშობს, ვაითუ როგორ გამოიყენონ, რას მიაკერონ, რაზე გამომედევნონო.

კიდევ ეს უნდა?..

ინტერვიუს კვალობაზე კი მოკლედ და ზოგადად უპასუხებდა: ნოე ჟორდანია საქართველოს თავგადასავალში ფრიად მნიშვნელოვანი და ამდენადვე რთული მოვლენააო. და იქვე კვლავ „ბარრიკადის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ იმ ლიტერატურულ პორტრეტს დაიმოწმებდა: იქ გამოთქმული აზრი ჩემში შემდგომ კიდევ უფრო განმტკიცდაო.

რა აზრია, გაკვრითაც აღარ იმეორებს, იმ შესაფერის დრომდე მისი გახმიანება აღარ სურს და „ფრიად მნიშვნელოვანისა" და „ამდენადვე რთულის" აღნიშვნას კმარობს.

იქნებ ამასაც მორიდებოდა, მაგრამ ნოე ჟორდანიას ხელისუფლების დამხობა მაინც საქართველოს ტრაგიკულ ხვედრს მოაგონებდა და სულ დადუმებას, მითუმეტეს, ახალგაჭრილი სამარის წინაშე, თავს არა ჰკადრებდა.

* * *

ჟენევა ცოტა დაამშვიდებდა, იქ თავშეფარება ოდნავ მაინც დაუამებდა ტკივილებს და წლების გადაკეცვა შიშსაც სულ უფრო ჩაუცხრობდა და ხუმრობის გუნებაზე მოიყვანდა, 1954 წელს ქართველი ახალგაზრდობისადმი მიმართვაში მარჯვე სიტყვათთამაშს გამოიყენებდა:

— ბოლშევიკები გაჰყვირიან: ვამყარებთ დემოკრატიასო... უფრო მართალი იქნებოდა, ეთქვათ: ვამყარებთ დემონოკრატიასო.

რა ერწმუნა საბჭოეთისა, როდესაც აქ ყოველგვარი რწმენა ზებუნებრივისა დაკარგულიყო, მოშლილიყო ადამიანის უკანასკნელი საყრდენი — უზენაესი, და ეს ლენინის „ქეძაფი სიტყვით“: გვამთმავლობა.

მთლად აღტაცებით აღარ უნდა გაისმოდეს პროლეტარიატის ბელადის სახელი ამ კონტექსტში.

ყურებს რომ გიჭედავენ, ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიბრძვითო, — განაგრძობდა შეგონებას გრიგოლ რობაქიძე, — ამავე დროს, ხალხს, როგორც ცოცხალს კრებულს, ბასრი დანით სახსრებს უხსნიან. ხალხის ალაგას აქ მასაა გამეფებული, რომელშიაც პიროვნება, ეს უღვთიურესი მოვლენა, სრულიად ითქვიფება. არავითარი სახე აქ არაა და, მაშასადამე, არავითარი სახიერიო.

ძლიერი პიროვნების კულტი ასე გარდაისახებოდა მწერლის შეგნებაში პიროვნების, როგორც სულიერად შემკული არსების, თაყვანებად, განზე მდგომად მასობრივი ადამიანისაგან, მაგრამ არაფრისდიდებით — უფლის წინააღმდეგ შემართულად და მის შემცვლელად.

შეჭრილიყო ბოლშევიზმის გამხრწნელი ძალა იმ ახალგაზრდობაშიც, რომელიც შორეულ ოცნებად კიაფობდა მწერლის ცნობიერებაში?

ეს შეჭრა ისე ძალიანაც არ აშინებდა, რადგანაც სწამდა: ჯერ არ წვდენია ეს შეჭრა ძირა ფენებს თქვენი არსისაო. ეს ძირა ფენები კი უეჭველად ამოზიდავდა და ყველასათვის საცნაურს გახდიდა გულისძგერასა და მაჯისცემას საქართველოსი.

ესმინათ ამ ხმისათვის და მათში შემოიჭრებოდა წმინდა ნინო, ვაზის ჯვრით მაზიარებელი ქრისტეს მცნებისა, დავით აღმაშენებელი — ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფებისა, მეფე თამარი — ამ ხელმწიფების მშვენიერი შარავანდი, ქეთევან დედოფალი — წმინდა ნინოს დობილი და ვაზის ჯვრისათვის წამებული, დიდი კარდუს მესიტყვენი, მითიური იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, შოთა, სულხან-საბა, ილია, აკაკი, ვაჟა... შემოიჭრებოდა და, მათით ძლევამოსილთ, ვერარა ძლევდათ.

ადრე ამ ჩამონათვალში უეჭველად გამოურევდა გიორგი საკაძესაც, როგორც მათ ტოლსა და ფარდს და იქნებ დიდადაც აღმატებულს მათზე, არაერთზე მაინც, ყველაზე თუ არა. მითიურის ხსენება უპირველესად მის სახელს გამოიხმობდა... მაგრამ თან გადაეყოლებინა დიდი მოურავიც ახალი მითოსის გალერეისათვის, მისი ნატეხებისათვის გაეტანებინა და ახალ სახელებს შემოკრებდა კარდუს შარავანდის ქვეშ და მითოსსაც მათი გადასახედიდან მოუნდომებდა გააზრებას, მხოლოდ მათი გადასახედიდან...

უკვე აღარაფერი აიმღვრეოდა მის მხატვრულ-ფილოსოფიურ წარმოსახვებში, იდეალად აღარ დაისახებოდა ბარბაროსული, ყოვლისმნგრეველი ძალა, ვულკანური ამოფრქვევა, სამყაროს წამლეკავი გრიგალი.

* * *

მაგრამ ეს ყოველივე თანდათან უნდა მოხდეს.

ჯერ კი ნიკოს კაზანძაკისთან გასაგზავნ წერილს უზის, შლის, ასწორებს, მისხალ-მისხალ განსჯის შერჩეულ პასაჟებს და მთელ თავის აღსარებას მაინც ამ ძარღვზე ამოაშენებს: ჩაუკვირდი და შენ მაინც მიმიხვდები, როგორ ვცდილობდი ჰიტლერი სწორ გზაზე დამეყენებინაო!..

თავი მეათე

უხილავი ხუნდები

აწყდებოდა ხან აქეთ.

ხანაც იქით აწყდებოდა.

საითაც გადადგამდა ნაბიჯს, კიდეც იქით უნდა მოცელოდა ფეხი.

ეზრა პაუნდის მწარე ხვედრს კი არიდებოდა: არც ციხის საკანში მოხვდებოდა და არც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში;

არიდებოდა ტიტე მარგველაშვილის ტრაგიკულ ხვედრსაც: ვერ გამოიტაცებდნენ საბჭოთა საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები და ცხადია ვერც დახვრეტდნენ...

შტეფან ცვაიგის ულმობელ ბედისწერასაც დაუსხლტებოდა.

შტეფან ცვაიგის: მისი მეგობრის, მეგზურის, პატრონის...

გრიგოლ რობაქიძე თუ სტალინის პოლიტიკურ რეჟიმს გამოექცეოდა, ავსტრიელი მწერალი ჰიტლერის პოლიტიკურ რეჟიმს ვერ შეეგუებოდა და გაერიდებოდა.

1933 წლის შემდგომ აღარ შემოგვრჩენია მიმოწერა მათ შორის.

აღარ შემოგვრჩენია თუ... არც არსებობდა?!.

უკვე ვეღარც გაუგებდნენ ერთმანეთს?!.

„საჭადრაკო ნოველა“ აღმოჩნდებოდა ცვაიგის უკანასკნელი თხზულება, მკვლევარები სიმბოლურ მნიშვნელობასაც რომ მიანიჭებდნენ და უშუალოდ დაუკავშირებდნენ მწერლის აღსასრულს.

და ეს იმიტომაც, რომ:

ნოველაში აღმოაჩენდნენ ორ იდეურ პლანს: პირდაპირსა და გადატანითს.

პირდაპირი მნიშვნელობით სიუჟეტური ქარგა ამოეხვეოდა ორი მოჭადრაკის, ორი საჭადრაკო სტილისა და ტემპერამენტის დაპირისპირება-შერკინებაზე.

ერთი მხრივ:

გაუნათლებელი, შეზღუდული, დაუხვეწავი, გულქვა მსოფლიო ჩემპიონი მირკო ჩენტოვიჩი, რომლის უნარიც და ძალაც მთლიანად თავმოყრილიყო საჭადრაკო ნიჭში. არ გააჩნდა სულიერი ინტერესები და დასრულებულ მონომანად წარმოგვიდგებოდა.

და მეორე მხრივ:

დოქტორი ბ., პროფესიით იურისტი, შემთხვევით რომ აღმოაჩენდა თავის თავში მოჭადრაკის ნიჭს... გესტაპოს საკანში ჯდომის დროს, განათლებული, გონიერი და მგრძნობიარე. იგი გაცილებით მიმზიდველად, ლამაზად და შემოქმედებითად ითამაშებდა, მაგრამ... ნერვები კი სუსტი ექნებოდა და ნებისყოფაც მოშლილი.

და გადატანითი მნიშვნელობა ასე ცნაურდებოდა:

ჩენტოვიჩში გასიმბოლოვდებოდა უხეში ფიზიკური ძალა, თუნდ ნაცისტური შეუბრალებლობა, რომელიც ძალმომრეობით, სამხედრო ტექნიკის მეოხებით იმარჯვებდა, დოქტორი ბ. კი განასახიერებდა ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციას, რომელიც მწერლის თვალწინ დამარცხდებოდა ნაციზმთან ბრძოლაში.

ნოდარ კაკაბაძე ასე რომ განმარტავდა „საჭადრაკო ნოველის“ შინაარსს, აღარ უკვირდა, რომ:

საბოლოოდ თავისი ცივსისხლიანობით, გამძლეობითა და ფიზიკური ძალით იმარჯვებდა ჩენტოვიჩი (დოქტორი ბ. უარს ამბობდა თამაშის გაგრძელებაზე), ისევე, როგორც ცვაიგის თვალწინ იმარჯვებდა და ზეიმობდა ნაციზმი.

რატომ აღმოჩნდებოდა ნოველის ფინალი ასერიგად პესიმისტური?

რატომ და: მსოფლშეგრძნება იმედიანს ვეღარას მოაფიქრებდა ცვაიგს და ნაცისტთა ტრიუმფში ვერ დაინახავდა მის დროებითობასა და გარდუვალ დაღუპვას.

დოქტორი ბ. თუ თამაშს გაერიდებოდა, მწერალი სულაც წუთისოფელს განუდგებოდა: უშფოთველად, მცირეოდენი ტანჯვის გარეშეც, რაკიღა იმ გზას აირჩევდა, რომ:

26 წლით უმცროს ცოლთან ერთად დასაძინებელი წამლის დიდ დოზას მიიღებდა.

ეს მოხდებოდა 1942 წლის 23 თებერვალს პეტროპოლისში, რიო დე ჟანეიროს მახლობლად მდებარე პატარა საკურორტო ქალაქში, სადაც ბრაზილიის ყოფილი დედაქალაქის მცხოვრებნი ჩვეულებრივ სააგარაკოდ მიემგზავრებოდნენ ხოლმე.

თვითმკვლელობის წინ ცვაიგი გამოსათხოვარ ბარათს დატოვებდა, რადგანაც:

ვიდრე ნებაყოფლობით გაშორდებოდა სიცოცხლეს, სურდა უკანასკნელი მოვალეობა მოეხადა და გულითადი მადლობა ეძღვნა ამ საოცარი ქვეყნისათვის, ბრაზილიისათვის, რომელიც მას სტუმართმოყვრულად შეიფარებდა და მუშაობის შესაძლებლობასაც მისცემდა.

დღითიდღე უფრო და უფრო ძლიერდებოდა მისი სიყვარული ამ ქვეყნისადმი და სხვაგან ვერც ვერსად ააგებდა უკეთესად ხელახლა თავის ცხოვრებას, ვიდრე აქ, და ეს მას შემდეგ, რაც მისი საკუთარი ენის სამყარო მისთვის დაღუპულიყო და მისი სულიერი სამშობლო — ევროპა სისხლისაგან იწრიტებოდა.

მიაჩნდა, რომ:

60 წლის შემდგომ განსაკუთრებული ძალები იყო საჭირო, რათა ადამიანს ცხოვრება ხელახლა დაეწყო.

მისი ძალები კი ხანგრძლივი უსახლკარო ხეტიალის გამოისობით დაშრეტილიყო, და ამიტომაც უჯობდა დროულად და ქედმოუხრელად დაესრულებინა სიცოცხლე, რომლისთვისაც ინტელექტუალური შრომა ყოველთვის ხალას სიხარულს, ხოლო პიროვნული თავისუფლება ამქვეყნად ყველაზე დიდ ბედნიერებას წარმოადგენდა.

და მიესალმებოდა ყველა თავის მეგობარს, რათა მათ კვლავ ეხილათ განთიადი!..

თვითონ კი... თვითონ როგორც ერთობ მოუთმენელი, მათზე ადრე არჩევდა წასვლას!..

ისე ნეტა „მეგობრებში“ კვლავინდებურად თუ გულისხმობდა გრიგოლ რობაქიძესაც, რომელიც ამ ერთიერთმანეთზე მწარე ხვედრს გადარჩენოდა?!.

მაგრამ რა ბედენა იყო ასეთი გადარჩენა, თუკი მორალურად ამოგხდიდნენ სულს, გასაქანს არ მოგცემდნენ და ბედკრულ ყოფაში ჩაგაგდებდნენ.

შენ გეწერა ახალ-ახალი თხზულებანი, ახალ-ახალი წიგნები.

დასაბეჭდად, გამოსაცემად ყოველ მხარეს გზა გადაგეკეტებოდა.

მოგენდომებინა ორატორული უნარის ამოფრქვევა.

კვლავაც კედელი აგემართებოდა თვალწინ, არამცთუ ხალხმრავალ თავყრილობაზე, ვიწრო წრის შეკრებაზეც რომ აღარ მიგესვლებოდა.

ყოველმხრივ მზად გეგრძნო თავი — ხმა მიგეწვდინა კაცობრიობისათვის.

არადა: ერთი-ორი ადამიანის იქით ვეღარც გაატანდა შენი სიტყვები.

ძლივძლიობით, ვაივაგლახით თუღა გაჰქონდა თავი, ამ რანგის მწერალს წესითა და კანონით მოგვარებული რომ უნდა ჰქონოდა ამ მხრივ ყველაფერი და, ფუფუნებაში თუ არ ჩაიძირებოდა, ლუკმაპური მაინც არა ჰქონოდა საძებარი ყოველდღიურად.

რა დაეწერა მაინც ამისთანა, ლამის რომ გადაეყოლებინათ?!.

ინანიებდა, თუ უნებურად შეეცოდა — ილუზიებს აჰყოლოდა — სხვა რა, სულ სხვა განეზრახა და სულ სხვა რამ გამოსვლოდა ხელიდან. დაე დასჯილიყო კიდეც ამისათვის, მაგრამ არა ისე მკაცრად: ან ციხე, ან ფსიქიატრიული საავადმყოფო, ანდა სიღატაკეში ვაინაჩრობით არსებობა, სიკვდილის გაუნელებელ სუნთქვას რომ გაგრძნობინებდა.

კიდევ რა აძლებინებდა, რა ანიჭებდა ძალას, გული რომ არ უჩერდებოდა, ანდა დაგლეჯილი ნერვები მთლად არ იფანტებოდა ნაფლეთებად — მაინც დიონისეს ედარებოდა და მასავით ჯერ მაინც რომ არ ამთავრებდა არსებობას.

რა და:

ამქვეყნიური მისიის შეგნება უსალკლდევებდა ჯერაც სულს.

მხოლოდ მისი და სწორედაც მისი სათქმელი სიტყვის ამოთქმის იმედი არ აკარგვინებდა მხნეობას.

კაცობრიობისათვის ახალი სიტყვის მიწვდენის დაუმცხრალი ჟინი აღანთებდა ისე, კვლავინდებურად ხელშესახებად შეიგრძნობდა გულში ჩაგუბებულ მზეს...

* * *

1946 წლის 10 იანვარს რობერტ ბინზვანგერს „გერმანელთა ტრაგედიის" ესკიზს გაუგზავნიდა, დაიმედებული: მასში რაღაც არსებითი აღმოვაჩინეო. დაე გერმანელ თანამოკალმეს კრიტიკული თვალით წაეკითხა, რადგანაც გრიგოლი ერთობ მადლიერი დაურჩებოდა შენიშვნებისა და მითითებებისათვის. და სთხოვდა საგანგებო ყურადღება მიექცია იმ გარემოებისათვის, მთლიანობაში სწორად შეერჩია თუ არა ქართველ თანამოკალმეს ესკიზის ტონალობა. მერე კი ესკიზი უკანვე გამოეგზავნა, რათა გრიგოლს ერთხელ კიდევ გაეშალაშინებინა.

20 იანვარს კი ძალიან გაიხარებდა, მისი ესკიზი გერმანელ მწერალზე ასეთ შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა. მის აზრს ხომ ძალიან აფასებდა. ამ დღეებში კიდევ ერთხელ გაჰკრავდა ხელს ამ თხზულებას და მაშინვე კვლავ გადაუგზავნიდა.

მეორე ესკიზი, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ესახებოდა, თითქმის უკვე გაემზადებინა. ეს ესკიზები იმ ახალ წიგნში განეზრახა ჩასართავად, „სხვა ჭადრაკის დაფა" რომ ერქვა და ჯერაც შექმნის პროფესში იმყოფებოდა.

ესწრაფოდა ამ წიგნით თანამედროვეთათვის რაღაც მნიშვნელოვანი ეთქვა.

წიგნს ამ ზამთარშივე დაამთავრებდა, რომ არა მისი ამჟამინდელი უმძიმესი ცხოვრებისეული პირობები! მტკივნეული კი იყო ეს, ძალიან და ძალიან მტკივნეული.

შემოდგომაზე ხომ მოეწერა რობერტ ბინზვანგერს: ბატონ დოქტორ ნეფსა და მის მეუღლეს თქვენთან ამ საკითხზე სურთ ლაპარაკიო.

„გაკვრით" ხომ არ შეახსენებდათ ამ შეპირებას?

აქედან რაიმე თუ გამოვიდოდა, გრიგოლს ძალიან წაადგებოდა.

ესაჭიროებოდა მის წიგნზე დოქტორ კოროდის მიერ გამოქვეყნებული რეცენზია „ნოიე ციურიჰენ ცაიტუნგის“ ფურცლებზე. ძალზე მადლიერი დარჩებოდა, თუკი ამ სტატიას სასწრაფოდ მოაწვდიდა რობერტ ბინზვანგერი...

და გულითად მადლობას გადაუხდიდა ძმური თანადგომისათვის.

ჰოი რარიგ აღანთებდა კაცობრიობისათვის ახალი სიტყვის მიწვდენის დაუმცხრალი ჟინი...

ჰოი რა ძალით შეიგრძნობდა გულში ჩაგუბებულ მზეს...

* * *

1946 წლის აპრილის შუა რიცხვებში გაგზავნილ ბარათს ბრუნო გოეტცთან იმ დიდი სიხარულის გამჟღავნებით დაიწყებდა, გერმანიასა და დანარჩენ სამყაროს შორის საფოსტო ურთიერთობის აღდგენა რომ მოჰგვრიდა: ბოლოსდაბოლოს შეეძლო მისთვის მიეწერა.

წინა წლის აპრილის შუა რიცხვებში, მაშასადამე ზუსტად ერთი წლის წინათ, ეცნობებინათ გრიგოლისათვის და თან გაეფრთხილებინათ:

— იალტაში გადაწყვეტილება მიიღეს, ყველა ემიგრანტი მათ ყოფილ სახელმწიფოებს უნდა გადასცენ.

მაგრამ გრიგოლისათვის მხოლოდ აქ ყოფნის დროს გახდებოდა ცნობილი, რომ საქმე იმ ემიგრანტებს ეხებოდათ, თავიანთი სამშობლოდან ომის დაწყების შემდეგ რომ წამოსულიყვნენ. ეს ყოველივე ადრევე რომ სცოდნოდა, ნამდვილად გერმანიაში დარჩებოდა. ხოლო აქეთ გამოქცევის გადაწყვეტილება როგორ მიეღო და მერე როგორ მოქცეულიყო, ამაზე სხვა დროს მისწერდა.

თავისთავად ეს მთელი ეპოპეა გახლდათ.

საზღვარს 23 აპრილს არალეგალურად გადმოკვეთდნენ.

შვეიცარია დიდსულოვნად შეიფარებდათ.

მათთან ერთად გამოიქცეოდა პროფესორი რუდნეფიც ცოლთან ერთად. იმხანად ისინიც იუბირლინგენში იმყოფებოდნენ.

რუდნეფი, 80 წლის ჭარმაგი მოხუცი, ჯანმრთელობას არ უჩიოდა. ეს ცნობილი დიდოსტატი ქირურგი საოცარი ანდე-გუმანით გამორჩეული ადამიანის პირველსახედ წარმოდგებოდა გრიგოლის თვალში, მისი სვე-ბედის უახლოეს თანამგზავრად რომ იქცეოდა.

24 აპრილს სანკტ-მარგგრეთენში ჩავიდოდნენ.

მერე ის იქნებოდა, ნაშუადღევს, ბანაკის წინ გრიგოლი ნელი ნაბიჯით ბოლთას რომ დასცემდა და თან თავისი ცხოვრების ამ ფინალური მონაკვეთის განსჯაში ჩაეფლობოდა.

უეცრად რუდნეფი მოუბრუნდებოდა და ეტყოდა:

— მაგ თქვენი დაფარული აზრთა მდინარებაც კი შეეძლო ამოეცნო კაცს, იმდენად შთამბეჭდავი ნაბიჯები გაქვთ.

ამას გული აუჩუყდებოდა და შემცბარი შედგებოდა.

როგორც ჩანდა: მედიტაციას „პლასტიკურად" მის სხეულშიც კი გამოეჟონა.

სწორედ ამ დროს თავისივე პოემიდან „მდუმარება" ორი სტრიქონი წამოუტივტივდებოდა და ჩურჩულით წარმოთქვამდა:

ჩემივე თავის უშობელი ძმა ვიყო თითქოს, სურათ-ხატს ჩემსას ოცნებით რომ ელამუნებაო.

ეს ერთგვარი დამშვიდობება იქნებოდა, დამშვიდობება საკუთარ თავთან. ამ გრძნობას გამოხატავდა იუბირლინგენში დაწერილ ლექსში „დაი", რომელიც ჯერაც გასაშალაშინებელი იყო... ასე ეგონა: ამ სტრიქონებით სამშობლოს დანატრებული კაცის მთელი მეტაფიზიკა გამოვხატეო. ამ სევდას თანამედროვეობის მიჩუმათებულ პულსის ცემაში შეიგრძნობდა. და ფიქრობდა: ეს ადამიანებს სასიკეთოდ წაადგებათო.

ეს სიკეთე, — და ამას დღეს ხედავდა, — „მამის", „დედის" ან „ძმის" ნიშნით კი არ გვევლინებოდა, არამედ „დის" და სწორედაც „დის" ნიშნით აღბეჭდილიყო. „დის" სურათ-ხატი არცთუ ურიგო იდეად აღმოცენებულიყო. თუ ამას რეალსიმბოლურად გავიაზრებდით, მაშინ ბრუნოს „ათენა პალადა" წარმატებას მოიპოვებდა.

ამასთან დაკავშირებით მოინდომებდა ორიოდე სიტყვით მოეხსენებინა ბრუნოსათვის თანამედროვეობისადმი თავისი სულიერი დამოკიდებულების შესახებ.

ამ დროების ერთ-ერთ მოწინავე და ჭეშმარიტად ყველაზე გონიერ მოაზროვნეს ლეოპოლდ ციგლერს 1942 წლის 2 დეკემბერს მისთვის მოეწერა, რომ:

დღეს მასთან მადლობის სათქმელად მოდიოდა. ამ შავბნელი კვირების განმავლობაში ხელახლა გადაეკითხა „ჩაკლული სულიც“ და „გრაალის მცველნიც“ და იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ მხოლოდ ბოლო ათ წელიწადში გამხდარიყო შესაძლებელი მათი სრული აღიარება. თუ არა ცდებოდა, ორივე ამ თხზულებაში პირველად ხდებოდა რევოლუციის შეფასება იმგვარად, რომ ის საქმის არსს ძირისძირობამდე წვდებოდა. გრიგოლს მიიჩნევდა იმ ერთადერთ ადამიანად, რომელიც თავის თანამედროვეებს აუწყებდა იმ ძალების შესახებ, ერთმანეთს ადამიანებზე ბატონობის მოსაპოვებლად რომ ებრძოდნენ. სხვები კი მხოლოდ იმას თუ ახერხებდნენ, რომ რევოლუციისათვის, როგორც ისტორიული პროცესისათვის, ისტორიულად ქცეული თანამედროვე ადამიანი დაეპირისპირებინათ.

— თქვენ, როგორც ქართველმა, შეძელით, რომ ისტორიული ადამიანი, რომელიც თავისი არსით რევოლუციონერად იქცა, წინაისტორიულ, ადრინდელი ხანის ადამიანთან შეგეჯახებინათ, რომელიც თავისი არსით „ტრადიციონალისტია“. სხვათა შორის ასე შეიქმნა საქართველოს აპოთეოზი. და რაკილა „გველის პერანგი“ ორივე წიგნს წინ უსწრებს, ამიტომაც სამივე თხზულება მომავალში ერთად უნდა გამოიცეს, როგორც ქართული ტრილოგია. ეს ტრილოგია იმავდროულად რევოლუციის იმ ძალაზეც მოიპოვებდა სულიერ გამარჯვებას, ბოლშევიზმი რომ ჰქვია.

ორ ფრაზას გამოარჩევდა გრიგოლი ამ ჭეშმარიტად ყველაზე გონიერი მოაზროვნის ბარათიდან:

— ...მხოლოდ ბოლო ათ წელიწადში გახდა შესაძლებელი...

და:

— ...იმ ძალაზეც მოიპოვებდა სულიერ გამარჯვებას, ბოლშევიზმი რომ ჰქვია.

იმ ადამიანებს, რომელთაც სურდათ რაიმე გონივრული გაეგოთ თანამედროვეობასთან მის დამოკიდებულებაზე, ციგლერის ეს „ისტორიული“ წერილი უნდა წაეკითხათ.

ეს პირველ რიგში მათ საყვარელ, უაღრესად გონიერ, მაგრამ თავის დასკვნებში სულსწრაფ ელისაბეთს ეხებოდა.

ბრუნოს უთუოდ გააახსენდებოდა, როგორ „გაცოფდებოდა“ გრიგოლი, როდესაც ერთხელ ზემოთ ისხდებოდნენ, მის (ბრუნოს) „სადგომში“, და ელისაბეთი გრიგოლს მის ერთ-ერთ ჩანახატზე არცთუ სასიამოვნო შენიშვნას მისცემდა. მაშინ გრიგოლი ვერაფრით „დაასაბუთებდა“ თავის „გაცოფებას“, რადგანაც სულიერი ჭრილობები ტანჯავდა. აი დღეს კი შეეძლო ამისათვის რაღაც ახსნა გამოეხახა, ანდა — უკიდურეს შემთხვევაში — მიენიშნებინა მაინც ამაზე.

როდესაც თემად რაიმე ისტორიულ მოვლენას იღებდა, ყოველთვის რაღაც „სურათს“ აღწერდა და ეს სურათი გარკვეულ პოეტურ სახეს ჰქმნიდა.

რას ირწმუნებოდა გოეთე?

პოეზია აშკარად „ინკომენსურაბელურიაო“.

და... ეს უცნაური სიტყვა რას ნიშნავდა?

რას და: მას ერთნაირი საზომით რომ ვერ მიუდგებოდი.

ჭეშმარიტი სურათი რეალურის „ასახვას“ კი არ წარმოადგენდა, არამედ მასში მისი „შიდა არსის“ გამოვლინება ხდებოდა. ყოველი ასეთი ჭეშმარიტი სურათის დაფარული ინტენცია იმას გულისხმობდა, რომ მოდელი „შიდა არსის“ გამოვლინებას უნდა მომსახურებოდა იმის გათვალისწინებით, რომ შემოქმედი ამ არსს ჭეშმარიტად შეიცნობდა.

და დაე გვცოდნოდა, რომ:

ამაში მდგომარეობდა ხელოვნების ონტიურად „ქმედითი“ ძალა: მას შეეძლო მოდელისათვის სურათის „შიდა არსი“, ასე ვთქვათ, ნათლად, პლაზმურად, ფარფატით წარემძღვარებინა წინ. იმ სახიფათო ზონაში, რომელშიც მოდელი დიდხნობით იმყოფებოდა, მას (ამ მოდელს) სწორ კვალზე დააყენებდა მის წინ მოფარფატე სურათის „შიდა არსი“. ამასთან: სურათში, სტრიქონებს შორის, უსიტყვოდ, „პითაგორასებურად“ უნდა მინიშნებულიყო მოდელის შინაგან საფრთხეებზე. თუ მოდელი არ შეესაბამებოდა სურათის „შიდა არსს“ — რაც საბოლოოდ თვითონ მოდელისათვის იქნებოდა საზიანო — მაშინ ის დასაღუპადაც გაიწირებოდა.

გრიგოლს თავისთავად ცხადად მიაჩნდა, რომ:

შემოქმედს ამაში ბრალი არ მიუძღოდა.

და თვითონ იგი მაშინაც რჩებოდა „სურათის შექმნის" ამგვარი პრინციპის ერთგული, როდესაც მოდელად გარდაცვლილ ადამიანს ირჩევდა. მართალია მიწიერ ცხოვრებაში იგი უკვე „აღსრულებულიყო", მაგრამ გრიგოლის „შეგრძნების" მიხედვით, მარადისობისაკენ ტრანსცენდენტურ დონეზე მიემართებოდა და ამრიგად ქმნადობასაც აგრძელებდა.

თავისი შემოქმედებითი სიტყვით ახლა ცდილობდა მისთვის რაღაც საგანგებო ხსოვნა შეენარჩუნებინა.

და აი მაშინ სურათი „აგაპეს" — რომელსაც განგვიმარტავენ, როგორც: ეროსის ვნებიანი სიყვარულისაგან განსხვავებით, სიმბოლოს ქმედითი, მეოხი სიყვარულისა — შესაგვანი ხდებოდა.

იმ წყვდიადშიც კი, რომელსაც გარემოებისდა კვალობაზე აღწერდა, სურდა ყოველ ჯერზე რაღაც სხივმოსილება დაენახა.

მგრძნობიარების თვალსაზრისით აი ასე და მხოლოდ ასე უნდა მომხდარიყო მისი „ჩაკლული სულის" კვლევა... თუმც დაწვრილებით დაე სხვა დროს ყოფილიყო, ჯერჯერობით კი ამას იკმარებდა...

უკანასკნელი სამი ათეული წლის მოვლენები ავბედითად აისახებოდა მის ცხოვრებაზე.

ფეხქვეშ გამოეცლებოდა მშობლიური მიწა.

ამასთან — დაჰკარგავდა თავის მეორე სამშობლოსაც, ნათესავებს, მეგობრებს.

მოკლედ — თითქმის ყველაფერს.

მაგრამ ერთი რამ მაინც შემორჩებოდა: თავი თვისი.

როგორ მოხდებოდა ეს?!

თვალსაჩინოებისათვის ერთ საოცარ ლეგენდას მოუყვებოდა ბუდაზე და ის ლეგენდა ამ ამბავს ნათელს მოჰფენდა:

სატანა კარგახანს რომ ცდილობდა ღვთისსელდასხმული ბუდას გაბმას მახეში, ვერა და ვერ აღწევდა თავისას. ერთხელ დაინახავდა, ბუდა მდინარეში ჩავიდა საბანაოდო, და ელვისსისწრაფით უზარმაზარ გველად გადაიქცეოდა, ბუდას შიშველ სხეულს შემოეგრაგნებოდა და მის გაგუდვას მოინდომებდა. ბრძენი მას აქ-

ტიურ წინააღმდეგობას სულაც არ გაუწევდა, უბრალოდ ნელ-ნელა დაიხევდა უკან და საკუთარ თავში — ასე ვთქვათ — სხეულებრივად „გაუჩინარდებოდა". შეტევა გაძლიერდებოდა, და... ბუდაც სულ უფრო და უფრო დაიხევდა უკან. „წინააღ-მდეგობა" თანდათან შემცირდებოდა, მერე კი სულაც გაარაფრდებოდა, ბოლოს ყოველგვარი დაპირისპირება პირწმინდად რომ შეწყდებოდა. და ასე დაუძვრებოდა ბუდა გველის ან სატანას მახრჩობელა მარწუხებს.

გრიგოლ რობაქიძეც ასე მოიქცეოდა და... ცოცხალი გადარჩებოდა.

დროდადრო თავს სულის შეხუთვამდე „დამცრობილად" გრძნობდა, მაგრამ ღმერთი ყოველთვის უწვდიდა შემწეობის ხელს.

რომ ამბობდა: თითქმის ყველაფერი დავკარგეო, — ასეც გახლდათ, ოღონდ „ფსიქოლოგიური" თვალსაზრისით. იცოდა: ასობით ადამიანის გულში კვლავაც ცოცხლობდა და ამას ფიზიკურადაც კი შეიგრძნობდა.

ამას გარდა: ისეთ სულიერ სამკუთხედში უწევდა ცხოვრება, რაც ანუგეშებდა და იცავდა. ამ სამკუთხედს კი ეს სამნი ჰქმნიდნენ: ჰანს ჰასო, ბრუნო გოეტცი და გრიგოლ რობაქიძე.

ჰანს ჰასო ამ ცხოვრების ის სხივნათელი შემოქმედი გახლდათ, რეალობაზე გავლენას რომ ახდენდა და მის გარდაქმნასაც ახერხებდა. მსოფლიო ისტორიის ჩვენეულ, აპოკალიფსის მოლოდინში მყოფ დროებას სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდებოდა. რადგანაც მათ ხელეწიფებოდათ ლოგოსის ძალთა უმალვე ქცევა „საქმედ". და ჰანს ჰასო თავის ამოცანას ამქვეყნად კეთილშობილურადაც შეასრულებდა.

ხოლო ბრუნო გოეტცი — გრიგოლის თვალში — ჰოლდერლინის ჭეშმარიტ მემკვიდრედ წარმოდგებოდა, ხელთ განუხრელად რომ ეპყრა ამ ზეციური გენიოსის ჩაუქრობელი ჩირაღდანი; ეს კი მომავალშიაც აღფრთოვანებას გამოიწვევდა ადამიანთა სულებში. და გრიგოლს ღრმად სწამდა, რომ: ბრუნო გოეტცის პოეტური „სადგომი", სადაც მუდმივად იმართებოდა უმაღლესი დონის „შეხვედრები", ერთხელაც იქნებოდა ცოცხალ „მითოსად" გადაიქცეოდა.

თვითონ გრიგოლი კვლავდაკვლავ იმავეს ისახავდა მიზნად: სურდა მომავალშიც თავის უშობელი ძმის, „გრაალის მცველთა“ გმირის ლევან ორბელის ერთგული დარჩენილიყო.

ამ სამკუთხედის გვერდით კლდეზე აღმართულ ციხე-სიმაგრესავით იდგა ლეოპოლდ ციგლერი, ხოლო რიცხვი „ოთხი“ აქ „პითაგორულ“ მნიშვნელობას იძენდა. ციგლერი ჭეშმარიტებას იმ ნამდვილი „ფილოსოფიის“ მთავარქურუმივით ემსახურებოდა, რომელსაც შემდგომ ქრისტიანული „სოფიას“ ძირითადი ხაზებში გამოავლენდა.

ამასობაში გრიგოლს წაეკითხა კარლ-გუსტავ იუნგისა და კარლ კერენის „მითოლოგიის შესავალი“. ერთობ საგულისხმო წიგნად აღიქვამდა, მაგრამ მთლად მაინც ვერ დაკმაყოფილდებოდა. მითოლოგიის სფეროში „მარტოდენ ფსიქოლოგიური“ მეთოდის გამოყენებით მხოლოდ მითოსური რეალობის „ქსოვილს“ ეხებოდნენ და არა მისი კოსმიური მონადების ბირთვს. სხვათა შორის იუნგი თავის გამოკვლევაში ბრუნო გოეტცის ნაშრომსაც მოიხსენიებდა: „იმპერია სივრცის გარეშე“.

ალია — გრიგოლის შვილობილი — აქამდე ნოშატელში რომ სწავლობდა, შვეიცარიის დასავლეთი კანტონის დედაქალაქში, ახლა სწავლას აქაურ უნივერსიტეტში გააგრძელებდა. ელენა, მეუღლე გრიგოლისა, შარშან შემოდგომაზე ძალიან იავადმყოფებდა და გრიგოლი დიდ ტანჯვას გამოიველიდა. მადლობა ღმერთს გამოჯანმრთელებულიყო და ამჟამად თავის ნოველებზე მუშაობდა. ორი ნოველა უკვე გაემზადებინა. გრიგოლი დარწმუნებულიყო, რობერტი ბინზვანგერი, გრეტე და ერიკა გულითადობის მხრივ ნამდვილი გენიოსები რომ იყვნენ. ელენა ათ დღეს დაჰყოფდა მათთან და, უკან რომ დაბრუნდებოდა, ამას ეგონებოდა: ხელახლა დაიბადაო. არასოდეს დაავიწყდებოდა გრიგოლს, რასაც რობერტი — სულიერად თუ სხვა მხრივ — აკეთებდა გრიგოლისათვის. დაე ღმერთს დაელოცა ისიც და მისი ოჯახობაც. ფიქრობდა: მალე ვესტუმრები კიდეცო.

ზედმეტიც კი ეჩვენებოდა იმის თქმა, რარიგ გაახარებდა ბრუნო, თუნდ ცოტა ხნით, სამი კვირით მაინც თუ ესტუმრებოდა შვეიცარიაში. გრიგოლს ეიმედებოდა: ნებართვას როგორ არ მიიღებო.

და რა შესანიშნავი იქნებოდა, ლეოპოლდ ციგლერიც რომ ჩამოსულიყო! ბევრ რამეზე დაწვრილებით დაილაპარაკებდნენ.

სთხოვდა: ეს ბარათი გადაეწერა, მერე ერთი პირი ბატონ ციგლერისათვის გადაეცა, მეორე კი ჰანს ჰასოსათვის გადაეგზავნა. ნეტა მისთვის ოსტრაუ, ეს ჩეხური ქალაქი, კვლავ თუ რჩებოდა „ადგილის დედად"?..

...ისე მაინც რა ნაბიჯები ჰქონდა ამისთანა შთამბეჭდავი გრიგოლ რობაქიძეს, მათზე დაკვირვებით მისი დაფარული აზრთა მდინარებაც რომ შეეძლო ამოეცნო კაცს... ყველას არა რა საკვირველია, მაგრამ მაინც!..

* * *

— გამაოგნებლად იმოქმედა ჩემზე თქვენმა სტრიქონებმა, თითქოს ჩემი თავდამცველი წერილი „ჰაერში დარტყმის" შთაბეჭდილებას ტოვებდეს მანამ, სანამ თვით ნაწარმოები არ იქნება წაკითხული.

ამას გრიგოლი 1948 წლის 25 ივლისს მისწერდა დოქტორ დეკერს, მისწერდა გაღიზიანებული, თუმც მანამდე ისე აეწყობოდა მათი ურთიერთობა, თითქოს ადრესატს მისთვის წყენა არ უნდა მიეყენებინა. ანკი რა წყენა — კიდევ ერთი სასიხარულო ფურცელი უნდა ჩაწერილიყო გრიგოლის შემოქმედებით და საგანმანათლებლო ბიოგრაფიაში, შვეიცარიის ფილოსოფიურ-რელიგიური საზოგადოების მიერ გამართულ სემინარზე მოხსენება რომ უნდა წაეკითხა.

არნიმ ზიგრისტი ურჩევდა დოქტორ დეკერს ქართველ მწერალთან შეხვედრის გამართვას საკურორტო დაბა ასკონაში, ლაგო მაჯორეს პირას, ლოკარნოს ახლოს, და კიდეც დაითანხმებდა, მაგრამ... ამასობაში დეკერის ყურამდე მიაღწევდა ხმა: გრიგოლ რობაქიძეს თავის მართლების მიზნით წერილი აქვს დაწერილიო, — და ძალიან დაფრთხებოდა, ემანდ რაღაც შარში არ გავეხვეო.

სასწრაფოდ შეადგენდა ბარათებს და რჩევას დაეკითხებოდა დოქტორ მოეშლინსაც და პროფესორ პაეზსაც: საშიში ხომ არ იქნება გრიგოლ რობაქიძის მოწვევა მისი პოლიტიკური შეხედუ-

ლებებისა და პირველ რიგში მაინც ჰიტლერზე დაწერილი ესეის გამოო.

სულ დაავიწყდებოდა შიშით ატანილს, თავისუფალი აზრის ქომაგობასა და დემოკრატობაზე რომ დებდა თავს და ამ აკანკალებულ სტრიქონებს გამოიყვანდა ფურცელზე:

— მე არ მოვითხოვ, რომ მომხსენებელი, თანაც ქართველი, მისი დემოკრატიული შეხედულების მიხედვით შემოწმდეს. ეგზოტისაგან გასაგებია, ნაცისტების ტყუილებს რომ წამოეგო, მაგრამ გაისტის (სულის) აშკარა მოღალატის დაპატიჟებაც ხომ არ შეგვიძლია.

არადა გრიგოლი, აწ უკვე გაისტის აშკარა მოღალატის იარლიყმიკერებული, რა სიხარულით აცნობებდა არნიმ ზიგრისტს 5 მაისს:

— ეს-ეს არის მივიღე თქვენი გულითადი წერილი. თანახმა ვარ. მიხარია.

და მაშინ დეკერი გრიგოლს შესთავაზებდა მესამე კლასის ბილეთს: ჟენევიდან ასკონამდე და უკან. მწერალი მოხსენებას უჰონორაროდ წაიკითხავდა, სანაცვლოდ კი 10 დღე დარჩებოდა სტუმრად დეკერებთან.

კიდევ ერთი სასიხარულო ფურცელი უნდა ჩაწერილიყოო...

სხვა რა განცდა დაგეუფლება ამ სტრიქონების წაკითხვისას:

— ...ჩემი ცოლი ლიტერატურაში ჩახედულია. მე თვითონ რელიგიის ფილოსოფოსი და მითოლოგი ვარ. მოხარულები ვიქნებით, თუ თქვენ გაგეცნობით.

ბრუნო გოეტცსაც უნდა შეეტყო გრიგოლისაგან: ასკონაში მოხსენების წასაკითხად რომ მიეწვიათ და ეს ამბავი ძალიან ახარებდა. დაძაბული ელოდებოდა, თუ რა გავლენას მოახდენდა მასზე ასკონას ადგილის დედა. იმედოვნებდა, რომ სიკეთეს გამოიჩენდა მის მიმართ. არა სურდა მოვლენებისათვის გაესწრო და ახლა მხოლოდ შინაგანად ემზადებოდა.

— ვნახოთ, რა იქნება.

ისე გახარებულიყო, ისე აღტაცებულიყო, ისე აფოფინებულიყო, გრძნობდა, ხილვები იერიშით როგორ გადმოდიოდნენ მასზე, ისე, ისე, რომ... სულ ცოტა ხუთი მდივანი მაინც უნდა ჰყოლოდა, ნაკარნახევის ჩაწერა რომ მოესწროთ.

არადა: განა რომელი მეცენატი შეძლებდა მისთვის ამდენი მდივნის აყვანას?

კიდევ რამდენ ხანს მოუწევდა ლოდინი?

ასეთი ვინმე ალბათ არც გამოჩნდებოდა, რადგანაც გრიგოლი უპირატესობას მდივან ქალებს ანიჭებდა და... თანაც მხოლოდ ლამაზმანებს.

გაეცინებოდა ბრუნოს, არა, ამის გაგონებისას?

დაე ეცინა, გრიგოლი მაინც თავისას გაიმეორებდა: უყოყმანოდ და დაბეჯითებით, რაკიღა ოცნებაში ხომ მაინც მოელანდებოდა ხუთი მდივანი, ერთიერთმანეთზე ლამაზები!..

მოხარულები ვიქნებით, თუ თქვენ გაგეცნობითო...

მაგრამ...

უეცრად ის ბედდამწვარი ბროშურა უნდა მოეთხოვა იმ მოტივით: რათა ჩემმა ცოლმა და მე აზრი შევიქმნათ თქვენზეო.

ზაფხულში რომ უნდა გამართულიყო შეხვედრა... სექტემბრისათვის გადაიტანდა და ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას ასე ახსნიდა: კარგა ხანია ზაფხული დაიწყო. ივლისი და აგვისტო სხვადასხვა მიზეზის გამოისობით არ არის გამოსადეგი. მანამდე კი შესაძლებელია მდგომარეობა კარგად გაირკვევს და იმედია — სასიკეთოდო.

14 ივლისის ამ წერილზე გრიგოლი მხოლოდ 11 დღის შემდეგ რომ გაუგზავნიდა პასუხს, ამ განმარტებას იკმარებდა შეგვიანებისათვის:

— შინაგანად ძალიან დაკავებული ვიყავი.

და მუხლობრივად გამოეპასუხებოდა ყოველ ნართაულზე.

ჯერ ერთი:

ვერ იტყოდა, რომ იმ „ძლიერ სადავო“ ნაწერისათვის შვეიცარიაში „თავს დასხმოდნენ“. ის გარემოება, რომ აქ თითოროლა ადამიანი ზურგს შეაქცევდა, ხომ არ შეიძლება თავდასხმად მიჩნეულიყო.

მეორეც:

მისი „ახსნა-განმარტება“ აქაური რამდენიმე კომპეტენტური უწყებისათვის ცნობილი გახლდათ. კიდეც დაასახელებდა: ფედერალურ პროკურატურასა და კონფედერაციის თავშესაფრებისა და ბანაკების ცენტრალურ მმართველობას.

მესამეც:

შვეიცარიას დიდსულოვნად შეეკედლებინა და ამ წლის მარტში უკვე ქვეყანაში დიდი ხნით დარჩენის უფლებაც მიენიჭებინა მისთვის.

მეოთხეც:

მისთვის ცხადი გახლდათ, რომ თანამედროვეობა, რომელსაც აგრერიგად აწამებდა დროსმიტმასნილი „ფსიქოლოგიზმები“, მის ახსნა-განმარტებაში გატარებულ აზრს ასე ადვილად ვერ დაეთანხმებოდა. არადა გრიგოლს მტკიცედ სწამდა, რომ: მისი ახსნა-განმარტება, რომელიც ავადსახსენებელი ნაწარმოების შინაგანი განზრახვის სკნელში ჩაახედებდა ნებისმიერ მიუკერძოებელ პირს, იძლეოდა საშუალებას მისი შემთხვევა სულ ცოტა განსაკუთრებულ შემთხვევად მაინც განეხილათ.

მეხუთე მუხლად სწორედ ის საყვედური ჩაეწერა, მის თავდამცავ წერილს „ჰაერში დარტყმად“ რომ შეუფასებდნენ, ვიდრე თვითონ ის ბედნავსი თხზულება არ იქნებოდა წაკითხული.

მეექვსეც:

სამწუხაროდ ხელთ არ გააჩნდა არცერთი ეგზემპლარი ამ ნაწარმოებისა, თორემ დიდი სიამოვნებით, ადრესატის სურვილის შესაბამისად, გაუგზავნიდა. მაგრამ არა იმის იმედით, რომ საქმე გაირკვეოდა ისეთნაირად, როგორც დეკერი მიუთითებდა, და თანაც „სასიკეთოდ“. ვინც გრიგოლის ზემოხსენებულ თავდამცველ წერილზე მსჯელობდა, იგი — გრიგოლის შეგრძნებით — ნაწარმოებთან მისასვლელ სწორ გზას თვითონვე იპოვნიდა.

დეკერი პატიოსნად და აშკარად ლაპარაკობდა?

გრიგოლიც ასევე ლაპარაკობდა — აშკარად და პატიოსნად.

მეშვიდეც:

სურდათ დღეს გრიგოლის სიტყვის წაკითხვა ან მოსმენა? ძალიანაც კარგი. არა სურდათ და... პირადად გრიგოლი არაფერს ჰკარგავდა იმ მტკიცე რწმენით აღვსილი, რომ:

საუკუნეებს ელაპარაკებოდა.

ამ გადმოსახედიდან კი განა რა ბედანა შეიძლება ყოფილიყო მცირერიცხოვანი აუდიტორია?!.

და მერვეც და უკანასკნელიც:

დასძენდა იმასაც, რომ: მისთვის დიდ „საზოგადოებაში“ მოხსენების წაკითხვა სასიამოვნო არც გახლდათ. უპირატესობას ანიჭებდა ვიწრო წრეში ინტიმურ საუბარს, პიროვნებისა პიროვნებასთან.

უკვე ეს სიტუაცია ერჩივნა, თუმც ათწლეულთა წინათ სწორედაც ხალხმრავალ აუდიტორიებს მიელტვოდა განსაკუთრებული ჟინით, რათა თავისი ენამჭევრობა სრულყოფილად გადმოეფრქვია.

ახლა ინტიმურ გარემოს ამჯობინებდა, ვიწრო წრეს, ის კი არა, სულაც ერთ პიროვნებასაც იყაბულებდა, მთავარია გამგები ეშოვნა.

თუმც... მაშინაც საუკუნეებს მიმართავდა, დიდ თავყრილობებზე რომ წარდგებოდა ხოლმე, და ახლაც, მცირე გუნდი თუ შეიკრიბებოდა და ესეც გულს რომ დაუამებდა, კვლავინდებურად საუკუნეებისათვის უნდა გადაეწვდინა სიტყვა.

და რაღას დაგიდევდა, ასკონაში მოუწევდა ჩასვლა თუ არა. გულში ის ეღვრებოდა შხამად, რომ არა და არ ეშვებოდნენ და ლამის გადაეყოლებინათ იმ წიგნაკისათვის — თითქოსდა საფრთხეს საბოლოოდ გამორიდებული.

არ აძლევდნენ და არა დავიწყების საშუალებას, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგებაზე ფიქრი და ზრუნვა ასე სავალალოდ რომ შემოუტრიალდებოდა.

* * *

ლეოპოლდ ციგლერი გაზეთის დანართიდან დიდი კმაყოფილებით შეიტყობდა, რომ: გრიგოლ რობაქიძე დროის აუცილებელ მოთხოვნას ემორჩილებოდა და — როგორც უშუალო დამკვირვებელი და სიტუაციაში ჩახედული ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ადამიანი — ცდილობდა საბჭოთა საჩვენებელი სასამართლო პროცესების აღწერით თვალი აეხილა დაბრმავებული დასავლეთისათვის და „ჩვენს თავზე გადმოკიდებული კლდე“ დაენახვებინა.

ეს კლდე ხომ მხოლოდ რკინის ფარდის მიღმა არსებულ სამყაროს არ ამყოფებდა მუდმივი შიშის ქვეშ?!. ამ შიშით შეპყრო-

ბილიყო დასავლეთშიც ყველა, ვისაც ესმოდა, რომ — ასე ვთქვათ — მხოლოდ ამ უდრეკი კლდის ნება-სურვილზე ეკიდა, მოხდებოდა თუ არა დასავლეთის განადგურება.

და წერილს რომ მისწერდა გრიგოლს 1952 წლის 22 დეკემბერს, მადლიერებას გამოთქვამდა: ვინ იცის „საჩვენებელ სასამართლო პროცესებზე" სულიერი წამებისათვის გამოყენებული მეთოდების თქვენეულმა ახსნა-განმარტებებმა იქნებ ზოგიერთს თვალიც აუხილოს იმ გარემოებაზე, რაც, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყველა ჩვენგანს ემუქრებაო.

რადგანაც ყველაზე საშინელი ხომ ეს გახლდათ:

როგორც ბოლშევიკთა ნებისმიერი მსხვერპლი თავის მტარვალთა მიმართ საკუთარ თავში დანაშაულის გრძნობას დაატარებდა და ამ ლატენტური, ვირტუალური დანაშაულის აღიარებისათვის მზადყოფნას გრძნობდა, ასევე დასავლეთში მცხოვრებ თითქმის ყოველ ადამიანში დიახაც ზუსტად ასევე ჩაბუდებულიყო ლატენტური თუ ვირტუალური ბოლშევიკი! და ამის აღიარებას ძალიან ბევრი ადამიანი არ მოერიდებოდა, თუკი ერთხელაც იქნებოდა და საამისო ისტორიული საბაბი გამოჩნდებოდა.

და მაინც:

ამჟამად გერმანიაში ხდებოდა ზოგზოგი ისეთი რამ, რაც უზარმაზარ საფრთხეს პირწმინდად თუ ვერ აღმოფხვრიდა, ნიღაბს ხომ ჩამოხსნით ჩამოხსნიდა.

ამ პროცესს დიდად უნდა შეშველებოდა გრიგოლ რობაქიძის მგზნებარე პუბლიცისტური გამოსვლაც, მისი მამხილებელი სიტყვაც, ოღონდ ყური უნდა დაეგდოთ მისთვის, დაკვირვებოდნენ, შეესმინათ, შეეთვისებინათ, განაპირებული კი არა ჰყოლოდათ იმ ტრაგიკული წიგნაკებისათვის.

ყურს დაუგდებდნენ, შეისმენდნენ, შეითვისებდნენ და... მაშინ უკვე ისევე მოიხიბლებოდნენ, როგორც ლეოპოლდ ციგლერი, რომელიც არამარტო ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობას უსურვებდა გრიგოლს, არამედ თავის კუთვნილ ადგილზე ურყევად დგომასაც.

სწორედაც: ურყევად დგომას თავის კუთვნილ ადგილზე.

ხომ კვლავაც მოძებნიდნენ ადამიანებიც, რომელნიც არამცთუ კიცხავდნენ თუ ზურგს აქცევდნენ, დიდადაც აფასებდნენ მის პიროვნულ ღირსებებს.

ისეთი დამფასებელნი სადღა გამოუჩნდებოდნენ, თორემ: ცისფერყანწელი სიამის ტყუპები...

* * *

კალე სალია ბროშურას რომ გამოუგზავნიდა — „ქართული ევროპიული მოძრაობა" — იმასაც შეატყობინებდა: ავტორი სანდრო ნიკურაძეაო, — და აი გრიგოლი ავტორს ბარათით რომ შეეხმიანებოდა 1952 წლის 3 ნოემბერს, იმით დაიწყებდა: ორჯერ წავიკითხე და შესანიშნავიაო.

სავსებით იზიარებდა მთავარ აზრს: საქართველოს ბუდობი დასავლეთიაო. ეს აზრი გრიგოლის ახალ წიგნსაც — „საქართველოს მსოფლხატი" — გასდევდა და ამონარიდს ამ წიგნიდან ბარათთან ერთად გაუგზავნიდა.

ჯერ მოხმობილიყო სანდრო ნიკურაძის წიგნიდან „კავკასიელები" პარალელი საქართველოსა და ევროპის შუა ფეოდალური წყობის გასწვრივ და შემდგომ კი გამოთქმულიყო გრიგოლის ჰიპოთეზა.

რკალი თვალმოვლებისა — სადაც ავტორი „ქართული ევროპიული მოძრაობისა" თანადროულ მსოფლიო ვითარებას ეხებოდა — მომცველი გახლდათ და რაც მთავარია: მხვედრი კიდეგანით.

საქართველოს მომავალი ამ თვალმოვლებაში თავით ბოლომდე სწორად გააზრებულიყო და გრიგოლი თავის მხრივ დასძენდა: სხვა გზა ჩვენ არა გვაქვსო.

განსაკუთრებით აღნიშნავდა ავტორის მოსაზრებას რუსეთისა და ოსმალეთის ირგვლივ: არა მხოლოდ თავისთავად, არამედ დაკავშირებითაც ჩვენი მომავალისა, ან უფრო სწორად: ჩვენი ურთიერთობისა მათთან. ეს მოსაზრება გრიგოლს პირველად ესმოდა. დაუკვირდებოდა და: უდავოდ მოეჩვენებოდა.

ტონი ბროშურისა ფრიად მოეწონებოდა. ისმენდა ნათქვამს და ხედავდა, რომ: ტოლი ტოლს ელაპარაკებოდა.

ქართულიც ავტორს გვარიანად მოემარჯვებინა. და გრიგოლისაგან თქმული „გვარიანად“ ავტორს დიდ ქებად უნდა მიეთვალა, მითუფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რარიგ მახინჯდებოდა თანადროულ ჟურნალ-გაზეთურ მწერლობაში ქართული ენა:

— უგენიალურესი ქმნილება ენათა შორის.

დაე სანდრო ნიკურაძე გაცნობოდა იმ ამონარიდსაც „საქართველოს მსოფლხატიდან“, რომელშიც მოხმობილიყო ციტატა ვიაჩესლავ ივანოვის ჩინებული ესეიდან „უხსოვარი შიში“, ჩაძირულ ატლანტიდაზე რომ წერდა:

— არქეოლოგსა და კულტურის ისტორიკოსს კი იგი იმ საწუკვარი იმედით იზიდავს, რომ პლატონის მითისა და წარღვნის ლეგენდების, ასევე ენების შედარებითი კვლევის მონაცემების მეშვეობით იპოვოს ის სანატრელი შუალედური რგოლი, რომელიც მრავალ მსგავს და განსხვავებულ მოვლენას შეაკავშირებს, როგორიცაა მაგალითად ეგვიპტისა და მექსიკის ხელოვნების უძველესი სიმბოლიკა, და ატლანტიდური გასახლების მითის აღიარებით ამოხსნის ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურის გამოტანას, უპირველეს ყოვლისა კი კრეტისა და ეტრუსკების გამოცანას.

და აქ გრიგოლი დასძენდა:

— ასევე ქართველების გამოცანასაც.

და ამ ჰიპოთეზის საფუძველსაც განმარტავდა:

ხალხად ქართველების ჩამოყალიბება, რასაც არც სულიერებითა და არც ტრადიციებით, არც ცხოვრების სტილითა და ხასიათით საერთო არაფერი აქვს წინააზიის ხალხებთან, როგორც ჩანს, მართლაც „ატლანტიდური გასახლების“ ვერსიით შეიძლება აიხსნას. ქართველთა ენაში, რომელშიაც უძველესი ხანის სიბრძნე და ხატებია განფენილი, მე ატლანტიდელთა მსოფლხატის კვალს ვვარაუდობო.

ფანტასტიკურ ჰიპოთეზად გამოიყურებოდა?

ერთი შეხედვით ასეც გახლდათ, მაგრამ მაინც უნდა აჰყოლოდი, დადევნებოდი მის გამონაკრთომს, რადგანაც აგერ თუნდ გრიგოლი ღრმად გახლდათ დარწმუნებული, რომ:

ერთ მშვენიერ დღეს მას ახალი მონაპოვარი განამტკიცებდა.

და ეს თუ ასე იყო, მაშ გამოდიოდა, რომ ქართველები წარმოშობით უძველესი ევროპელები გახლდნენ და — როგორც ასეთი — ევროპულ ქვეყნებს ძირეულად ენათესავებოდნენ. აქედან გამომდინარე კი რაღა გასაკვირი იყო, თუ ევროპა და საქართველო თავიანთი მანიფესტებით ზოგჯერ ერთმანეთს შეესაბამებოდნენ ხოლმე.

„ცირკულარს" კი იმის მტკიცებით დაიწყებდა:

არც „ჰიტლერია" ნაცისტური და არც „მუსოლინი" ფაშისტური — ამ თემებამდე განსაკუთრებული სულიერი სფეროდან მივედიო.

საზოგადოებრივი აზრი თითქმის რომ არ გამოხატავდა გულისწყრომას მუსოლინიზე დაწერილი თხზულების გამო, რაკიღა ის პირწმინდად ლიტერატურული ხასიათისა გახლდათ, აი ჰიტლერზე დაწერილი თხზულება კი იწვევდა საზოგადოების აღშფოთებას, რადგანაც — მართალია პირწმინდად პოლიტიკური ხასიათისა იყო — მაგრამ მაინც გამოდიოდა თეორიული ფარგლებიდან. რაც იყო და როგორც იყო, ეგებ მკითხველი მის ფარულ ინტენციას დაკვირვებოდა ახლა მაინც, ავტორის განმარტებათა მოსმენის შემდგომ.

გრიგოლი სთავაზობდა მკითხველს:

წარმოვიდგინოთ, რომ ვდგავართ ეჭვით შეპყრობილი ადამიანის წინაშე. ავისმოსურნე სნეულის გულში გაჩენილ ცეცხლს კიდევ უფრო აღვივებს, ისე როგორც იაგო სჩადის ამას „ოტელოში" — დახვეწილი „ჩხვლეტების" მეშვეობით, ვითომ სხვათა შორის, ზოგჯერ პირმომცინარეც, რითაც კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის თავის ნაუბარს. იგი სნეულის სულში გამუდმებით აწვეთებს ეჭვს. ქართულად ეჭვიანობას ორჭოფობაც ჰქვია და გერმანულშიც გაორებას ნიშნავს. გაორება ორად ჰყოფს, შლის სნეულს და რაც დრო გადის, ამას მითუფრო მწვავედ აკეთებსო.

კეთილმოსურნე როგორღა იქცეოდა?

ცდით ისიც ცდილობდა, ოღონდ უფაქიზესი განმწმენდი საშუალებებით გაესუფთავებინა სნეულის გულში გაჩენილი

ცეცხლი. თან ამას თვალშისაცემად არ აკეთებდა და ამით კიდევ უფრო დიდ შედეგს აღწევდა. თავისი საქციელით სნეულს დაკარგული მთლიანობის აღდგენაში ეხმარებოდა.

მთელი და ჯანმრთელი ქართულში სინონიმები რომ არის, პირველ შემთხვევაში სნეულს, ხატოვნად რომ თქმულიყო, საფრთხე ემუქრებოდა, მეორე შემთხვევაში კი, ასევე ხატოვნად, გამოჯანმრთელებისაკენ იბრუნებდა პირს. და ორივე შემთხვევაში იგი სხვა იქნებოდა: ანუ: თავისი თვითობის სხვა გამოვლენას წარმოადგენდა.

და ქადილით უნდა განეცხადებინა:

რომ მისი თხზულება წლობით ჩატარებული მედიტაციების ნაყოფი გახლდათ და, გამოკვეთილად უნდა თქმულიყო, 1938 წელს რომ დასრულებულიყო;

რომ ნაცისტურ მოძრაობას იგი ყოველგვარი მინარევისაგან გაწმენდდა;

რომ მეთოდი მისი იმ წარმოსახვითი კეთილმოსურნის მეთოდს ჰგავდა;

და რომ მოძრაობის დამფუძნებელი ხელსაყრელ „კლიმატში" მოქცევის წყალობით მითიურ ფიგურად იქცეოდა, ოღონდ ეს ფიგურა იქ ემპირიული ჰიტლერი კი არა, მისი თვითობის სხვა გამოვლენა იქნებოდა.

გრიგოლის შემთხვევაში დღეს მხოლოდღა ერთადერთი კითხვის დასმა გახლდათ შესაძლებელი:

განა ჰიტლერის საშინელი „მანა"-ძალა უკეთურობად გარდაიქმნებოდა, მისი მატარებელი გრიგოლ რობაქიძის მიერ დასახული გეზით რომ განვითარებულიყო?

და პასუხად:

გამორიცხული იყო. თუკი... არადა ისტორია ყოველწამს ეს „თუკია"... და განა ედემის ბაღის ხე ცნობადი წინარესამყაროსეული „თუკი" არ გახლდათ? იგი რეალური მხოლოდ „თუკის" სახით შეიძლება ყოფილიყო. და ნეტა ონტოლოგებს თუ შეემჩნიათ ეს?

ამ აზრს უკანა რიცხვით აყალიბებდა?

თავს გამოიდებდა გრიგოლი:

არა, მე ეს არა მჩვევიაო.

მაშინ ამ თემაზე — თავისთავად გასაგებია — მხოლოდ თავის მცირერიცხოვან ახლობლებთან შეეძლო ელაპარაკა და ეს აზრი მინიშნებით მიენიშნებინა. 1941 წლის ივნისიდან მოყოლებული კი მეტი სიფრთხილე მართებდა. იმავე წლის მაისში ოკულტისტები დაედანაშაულებინათ: შოტლანდიაში რუდოლფ ჰესის გადაფრენა მათ მიერ იყო ინსპირირებულიო.

ერთი ოკულტისტური ცენტრი კი ხმას გაავრცელებდა, თითქოს ბერლინში გრიგოლ რობაქიძესთან გესტაპოს აგენტები აღმოეჩინათ.

მას შემდეგ მეთვალყურეობას დაუწესებდნენ.

ამ დროს იქნებოდა, აღსარებისათვის ერთ სანდო კაცს რომ აირჩევდა. 1942 წლის ოქტომბერში, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გერმანული სამხედრო ძალის დამარცხების არავითარი ნიშანი არ არსებობდა, მასთან მთელი საღამოს განმავლობაში სახიფათო მოვლენებზე ისე გულახდილად ილაპარაკებდა, თითქოსდა ანდერძს უტოვებს და ეგააო.

პოსტ ფაქტუმ რაიმეს კეთება არა სჩვეოდა და არა.

ვერც მომხრენი და ვერც მოწინააღმდეგენი მისი თხზულების შინაგან ინტენციას ვერ გააცნობიერებდნენ, ეტყობა მათზე ომის ატმოსფერო მოახდენდა ზეგავლენას: დანახვით მხოლოდ ფასადს ხედავდნენ, შიდასივრცე კი მათთვის დახურული აღმოჩნდებოდა.

მათ მზერას ის ადგილიც კი გამოეპარებოდა, დღეს რეტროსპექტულად რომ შეგვეხედა, მართლა წინასწარმეტყველურად ხმიანებდა.

გრიგოლის დანაშაული მხოლოდ ის გახლდათ, საფრთხით ასერიგად დამუხტულ ატმოსფეროში მკითხველის აღქმის უნარს გადაჭარბებით რომ შეაფასებდა. ამაზე როცა იქნებოდა პასუხი უნდა ეგო, და... ახლა სხვას განა რას აკეთებდა?!.

ჰიტლერზე დაწერილი თხზულების გამო გრიგოლი, როგორც ავტორი, ხელფეხშეკრული აღმოჩნდებოდა, მაგრამ კალაპოტიდან ამოვარდნილი სამყაროსათვის მაინც რაღაც ჰქონდა სათქმელი.

რამდენიმე წლის წინათ ნიცშეზეც დაწერდა წიგნს და ეს „ზარატუსტრას“ ავტორზე შექმნილი კიდევ ერთი წიგნი სულაც არ გახლდათ. გრიგოლი გერმანელ ფილოსოფოსს იმ სულიერ სფეროში განიხილავდა, სადაც ადამიანი არსებითად გარდაიქმნებოდა თვითობად.

ის მისტერიები, რომლებშიაც შედგებოდა ეს აქტი, ცერემონიული კუთხით აღიწერებოდა ხოლმე.

და გასაოცრად ეჩვენებოდა, რომ:

კლემენტ ალექსანდრიელის მეშვეობით ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი პინდარეს თხზულებისა, რომელსაც გრიგოლი მისტერიების გასაგებ ერთადერთ გასაღებად მიიჩნევდა, ერთ თავისთავად საგულისხმო ნაშრომში, თითქოსდა რაღაც „დამატებითი რამ“ ყოფილიყოს, სქოლიოში გახლდათ ციტირებული.

ახლახან წაეკითხა ერნსტ იუნგერის პატარა წიგნი „სტუმრობა გოდენჰოლმზე“, რომელშიც ავტორი ცდილობდა ერთი ვინმე „განდობილი“ აღეწერა. ვითომ პაროდია გახლდათ? სულაც არა — ეს ყოვლეიევე „ჰიერატიულად“ სერიოზულად მოთხრობილიყო.

და შეაგონებდა ყველას გრიგოლი, რომ:

მისტერიების შესწავლა მხოლოდ მაშინ მოხერხდებოდა, როდესაც ისინი „განცდილი“ გახლდათ. მისტერიებში თვითობადქცევა გონის დაბადებას ნიშნავდა. ვისაც ეს დაბადება არ გამოეცადა, იგი ფილოსოფოსობის ამოსავალ წერტილს ვერც ვერასოდეს მიაგნებდა. ევროპული აზროვნების მაგისტრალები ამას თვალსაჩინოდ ადასტურებდა. გენეზისიც მისტერიებიდან ხდებოდა საცნაური.

და ნიცშეს ისე გაიაზრებდა, რომ ძველგერმანულ მისტერიებში ჩართავდა, ამ თვალსაწიერიდან გამოიკვლევდა და... გამაოგნებელ შედეგებამდეც მივიდოდა. და აღარ უკვირდა ბრუნო გოეტცისა, გერმანიის ერთი უთვალსაჩინოესი პოეტის, რომელიც გრიგოლის ამ ნაშრომის პირველი მესამედის წაკითხვის შემდეგ მისწერდა ავტორს:

— ყველაფერი, რაც აქამდე დაწერილა ნიცშეზე, თქვენი ნაშრომის გვერდით ფერმკრთალდება და ნიცშეზე დაწერილ ჩვეულებრივ ლიტერატურად იქცევა.

ცხადია გადაჭარბებული შეფასებააო, — დაურთავდა გრიგოლი, და მიიჩნევდა, რომ ის, რაც მას, როგორც ავტორს, შეეძლო და უფლებაც ჰქონდა ეთქვა, ეს გახლდათ:

მე იმ ფენომენის გულისგული აღმოვაჩინე, რასაც „ნიცშე“ ჰქვიაო.

ვითომ კადნიერი განცხადება იყო?

არაო! — არ მოითმენდა ამგვარ შემოპასუხებას გრიგოლი, — მართალია მეტად „თავდაჯერებული“ ვარ, მაგრამ სამაგიეროდ ნაკლებ „თავმომწონეც“ გახლავართო.

აქ ისიც უნდა აღნიშნულიყო, რომ:

ამ წიგნში ფარულად გერმანელთა ტრაგიზმის ფესვებსაც წვდებოდა.

და... კრიტიკული მზერით გახედავდა თომას მანს:

რომანში „დოქტორი ფაუსტუსი“ ადრიან ლევერკიუნი ძველ გერმანელთა მისტერიების გათვალისწინებით რომ გამოეძერწა, მაშინ ეს სახე გამოუვიდოდაო.

ამ ნაშრომით აღფრთოვანებული გრიგოლის ერთი ნაცნობი მას შვეიცარიის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ გამომცემელს გაუგზავნიდა. და პასუხად გამომცემლობის საქმეთა მმართველი აცნობებდა:

— ნაშრომი დიდი ინტერესითა და აღტაცებით წავიკითხე, ის ნიცშესადმი მიძღვნილი ლიტერატურის სიახლედ მიმაჩნია, მაგრამ ჩვენი გამომცემლობა სამწუხაროდ მას ვერ გამოსცემს, ვინაიდან ავტორი ნაცისტური გამომცემლობის, დიდერიხსის ავტორთა რიცხვს მიეკუთვნება...

ესეც კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურება, როგორ შეიძლება მოქცეულიყო ადამიანი საზოგადოებრივი აზრის, ანონიმურობის ამ ყველაზე საძაგელი პირმშოს წნეხის ქვეშ.

შარშან ზაფხულში დაესრულებინა „ნესუს პერანგი“, რომელშიც ბოლშევიზმის ფენომენს მოდერნის კრიზისთან კავშირში განიხილავდა. წიგნის ძირითადი დებულება კი ასეთი გახლდათ:

საბჭოთა კავშირში ბატონობდა ვიღაც, რომელიც არავინაა, ანუ ეს გახლდათ ქვესკნელური ძალებიდან წამოსული და საგნობრივ ანონიმად ქცეული რაღაც, რომლის მეშვეობითაც ყოვე-

ლი ადამიანი, თვით მოძალადის ჩათვლით, კოლექტივის უბრალო ფუნქცია ხდებოდა, რაზედაც გრიგოლი ჯერ კიდევ 1933 წელს გამოქვეყნებულ რომანში — „ჩაკლული სული" მიანიშნებდა.

მაინც რას ებიძგა ამ წიგნის დასაწერად?

რას და:

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირების ვითარებაში რომ უხდებოდათ ცხოვრება. ბოლშევიკური აღმოსავლეთი ჩინებულად იცნობდა ანტიბოლშევიკურ დასავლეთს.

შეიძლება კი იგივე თქმულიყო დასავლეთზე? ეჭვი ეპარებოდა გრიგოლს. ანტიბოლშევიკური დასავლეთი დღეს ცდილობდა გადმოებირებინა საბჭოთა ხალხები ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ... ჰქონდა კი წარმოდგენა დასავლეთს საბჭოთა ადამიანის უსაშველოდ რთულ ფსიქიკაზე? გრიგოლს ერთმნიშვნელოვანი პასუხი მოეძებნებოდა: არაო.

კი მაგრამ... განა არ არსებობდა ფუნდამენტური ნაშრომები ბოლშევიზმის შესახებ?

გრიგოლი დაბეჯითებით განაცხადებდა, რომ:

ბოლშევიზმზე დაწერილი ნაშრომები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანნიც, ღრმად ვერ წვდებოდნენ ამ ფენომენს. ზოგიერთი ავტორი, მეტწილად დასავლელები, ცდილობდნენ გაეგოთ ბოლშევიზმის გამომწვევი მიზეზები. ამ ფენომენთან ვითომ ახლოსაც მიდიოდნენ, მაგრამ... საბოლოოდ მაინც გვერდით ჩაუვლიდნენ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ საკუთარ ტყავზე არ გამოეცადათ ის ავადმყოფობა, რასაც „ბოლშევიტის" ერქვა — და ამიტომაც აკლდათ ის მეექვსე გრძნობა, ურომლისოდაც ბოლშევიზმისაგან შექმნილი ატმოსფეროს აღქმა შეუძლებელი გახლდათ.

სხვებს, უმეტესად ემიგრანტებს, ხომ მაინც გამოეცადათ საკუთარ ტყავზე ეს სნეულება?

გამოცდით კი გამოეცადათ, მაგრამ მათ აკლდათ ის ღრმად ჩამწვდომი მზერა, ურომლისოდაც ძირისძირობამდე ვერ ჩაჰყვებოდი მოვლენებს.

და... დმიტრი მერეჟკოვსკი, ნიკოლაი ბერდიაევი, სემიონ ფრანკი, გიორგი ფედოტოვი, ფიოდორ სტეპუნი?

ისინი ადრე დატოვებდნენ საბჭოთა კავშირს და ბოლშევიზმის მთავარ დემონურ ფაზას არ იწვნევდნენ.

ამას ისე ნურავინ გაუგებდა გრიგოლს, თითქოს მათი პირველი ან მეორე ჯგუფის ნაშრომებს აკნინებდა. დაკნინება რა სათქმელია, მაგრამ ისიც ხომ არ შეიძლებოდა, რომ მათ მიუდგომელ შეფასებას მოვრიდებოდით?

თვითონ გრიგოლის ამბავი კი სულ სხვა გახლდათ: მას იქ წლების განმავლობაში სწორედ იმ დემონურ ფაზაში მოუწევდა ცხოვრება. და ეს ცხოვრება მისთვის მარტოდენ ტანჯვა არ იქნებოდა, არამედ ამავდროულად: ჩაღრმავება და ჩაძიება საბჭოთა კოლექტივის მოლეკულური ჩამოყალიბების პროცესში. ამ ჩაძიების წყალობით თუ აიხსნებოდა, რომ იგი იმ საშინელ პროცესებს, რაც შემდგომ მოსკოვში განვითარდებოდა, „ჩაკლულ სულში“ ჩანასახშივე განჭვრეტდა.

მისი ფორმულები, საბჭოთა ადამიანისათვის რომ შეიმუშავებდა, ასე გამოიყურებოდა:

— გულწრფელი, მაგრამ არა ჭეშმარიტი.

„გულწრფელი“ ფსიქოლოგიური ნიშანი გახლდათ, „არა ჭეშმარიტი“ კი პნევმატოლოგიური. ამ ფორმულის გარეშე — გრიგოლის აზრით — შეუძლებელი იყო საბჭოთა ადამიანის გაგება.

და... რა მერე, ბოლშევიზმის ფესვები რომ გაეშიშვლებინა?

„ჩაკლულ სულზე“ არაფერი ისმოდა და ჯერ ვერც „ნესუს პერანგისათვის“ მოძებნილიყო გამომცემელი.

აქ მხოლოდ ერთ შემთხვევას დაასახელებდა

ამა წლის ზაფხულში თავისი ახალი წიგნის ორ „წერილს“ — მაშინ მას ერქვა „წერილები მსოფლიოს“ — გერმანიის ერთ გავლენიან ჟურნალს გაუგზავნიდა, რომლის ერთ-ერთი რედაქტორიც გრიგოლის მეგობარი გახლდათ და... მოწერით მოსწერდა:

— წერილებმა აღმაფრთოვანა, მაგრამ მისი სტილი უჩვეულოა, რომ არა ვთქვათ, ისეთი ახალი, რომ ძნელია ასეთი რამ ინტელექტუალების გემოვნებას დავუპირისპიროთ.

ავტორი ვერც მიხვდებოდა, ამ წინადადებით თანადროულ არაჯანსაღ სულიერ ვითარებას რა ზუსტად დაარქმევდა თავის სახელს.

ეს კვაზიმოაზროვნენი გრიგოლს პოლ ვალერის „მუსიო ტესტს“ მოაგონებდნენ, რომლის არსებაშიც სავსებით გამქრალიყო „სათესლე ლოგოსები“. იგი არაფერს „შობდა“, რადგანაც უთესლო გახლდათ, მისი რაფინირებული პროექციები გარესამყაროში მკრთალ კვალს ტოვებდნენ და მერე მასვე ფუჭად უბრუნდებოდნენ. ასე ცხოვრობდა იგი ანარეკლიდან ანარეკლამდე, ვიდრე თავისი პროექციების ფუნქციადღა გადაიქცეოდა.

ეს სახე-სიმბოლო ყოველმხრივ გაეანალიზებინა „ნესუს პერანგში“ და მკითხველს ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომზე მიუთითებდა: დაწვრილებით იქ იხილავთო.

და რარიგ უხაროდა გრიგოლს, ამ ჯიშს თვითონაც რომ არ მიეკუთვნებოდა.

იმ ჟურნალში კი, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებოდნენ ხოლმე ავტორები, რომელნიც „ინტელექტუალთა“ რიცხვში სულაც არ შედიოდნენ.

და მაშ რა იყო გრიგოლისათვის უარის შემოთვლის ჭეშმარიტი მიზეზი?

სექტემბრის თვეში აქ, ჟენევაში შეხვდებოდა იმ რედაქტორს და, როგორც ჩვეოდა, პირდაპირ დაუსვამდა შეკითხვას:

— თქვენი ჟურნალი მაშინაც არ გამოაქვეყნებდა ჩემს ესკიზებს, მე რომ ჰიტლერზე დაწერილი იმ ყბადაღებული თხზულების ავტორი არა ვყოფილიყავი?

ის, დარცხვენილი, ხმასაც არ ამოიღებდა.

და მისი დუმილი თავისთავადაც ნათელი პასუხი გახლდათ: ამ საქმეს არაფერი ეშველებოდა.

სანდრო ნიკურაძესა და გიორგი მაღალაშვილს გადაუგზავნიდა იმ წერილსაც, რომელიც დოქტორ გუსტავ რიჰარდ ჰეიერისაგან მიეღო 31 ოქტომბერს, და რომელშიც ის იზიარებდა გრიგოლის ეჭვს: ზოგიერთი გამომცემლის უარს პოლიტიკური ხასიათის შიშით რომ ხსნიდა.

სამწუხაროდ ესახებოდა დოქტორს, რომ:

საზოგადოებრივ კვლავინდებურად ადამიანთა შედარებით მცირე ნაწილი ჰქმნიდა და ამას რაფინირებული ტერორის მეშვეობით სჩადიოდნენ. საკმარისი იყო რკინიგზით გემგზავრა ან

რომელიმე სამიკიტნოში შესულიყავი და საუბრისათვის ყური დაგეგდო, რათა დარწმუნებულიყავი: საყოველთაო აზრი სულ სხვა გახლდათ და არა ის, რასაც გაზეთები ავრცელებდნენ ან პარლამენტარები ღაღადებდნენ.

მშვენიერი „დემოკრატიააო"! — ირონიით დასძენდა.

საქმე ორგზის რთულდებოდა იმის გამო, რომ დებოშიორები და ხულიგნები სიტყვით გამოდიოდნენ, გაერთიანებებს აფუძნებდნენ და ორგანიზაციებს აყალიბებდნენ. ამ ხალხს 45 წლის შემდეგაც ვერაფერი ესწავლა და ერჩივნათ იქიდან განეგრძოთ თავიანთი საქმიანობა, სადაც ჰიტლერსა და მის გენერალიტეტს კრახი განეცადა.

— ჩვენისთანები მათთან ერთად ერთ ქვაბში არ უნდა იხარშებოდნენ და საზოგადოებამ არც იმათ წისქვილზე უნდა მიუშვას წყალი, ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვეულ ბრძოლას რომ აგრძელებენ და დღესაც ამით ცხოვრობენ. ასეა თუ ისე ყველგან სრული ქაოსი კია გამეფებული.

ცხადია თქვენი ღრმა დაკვირვებანი — ქართული ვითარების გამაგრებულნი — უაღრესად მნიშვნელოვანია გამოქვეყნდესო, — აღტაცებას უზიარებდა გრიგოლს რიჰარდ ჰეიერი, — წერილზე დართული ფურცლების უმეტესობამ ძალზე დამაინტერესა. ის მართლაც სრულიად ახლებურად ჰფენს შუქს კომპლექსურ მოვლენებსო.

აღტაცება აღტაცებად, არადა... თავისდა სავალალოდ აღარ იცოდა, რა ერჩია, აღარ იცოდა, როგორ შეიძლება მოხერხებულიყო პუბლიკაცია.

იქნებ გადაეწყვიტა ძვირფას ბატონ რობაქიძეს და... ფსევდონიმით გამოექვეყნებინა? რას ფიქრობდა ამაზე? ასეთი რამ ხომ ხშირად ხდებოდა.

და ამ სიტყვებით გამოეთხოვებოდა დოქტორი:

ნებისმიერ შემთხვევაში თქვენ და თქვენიანებს, უპირველეს ყოვლისა კი თქვენს დიდმნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმატებასა და ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთო.

1954 წლის 1 აგვისტოს გაგზავნილი ბარათით უღრმეს მადლობას გამოუცხადებდა სანდრო ნიკურაძეს გულითადი შეხ-

ვედრისათვის, რომელსაც იგემებდა მისგან მიუნჰენში ყოფნის დროს. დახვედრა „შეხვედრა“ რომ აღმოჩნდებოდა — ამ სიტყვის ძირეული მნიშვნელობით: „ხვედრი“. დაახლოება მათი — განმტკიცებულიყო კიდევ უფრო: სიტყვა „მტკიცე“ ქართულში ხომ ნიშნავდა როგორ „მაგარს“, ისე „წმინდას“.

და ამიერიდან სანდროს იგულვებდა „უმცროს ძმად“.

ეს არ იყო გრიგოლისათვის უბრალო „გამოთქმა“. სანდრო ნიკურაძის დიდ ნიჭს — როგორც ქართული, ისე ევროპული მასშტაბით — იგი ყოველთვისაც აფასებდა. მაგრამ ახლა კიდევ უფრო ნათლად დააფასებდა.

და უცხადებდა გულწრფელად:

თქვენ ბევრი რამ ძალგიძთ გააკეთოთ ევროპაში და ამ გზით: ბევრი რამ საქართველოსთვისაცო.

იგივე ითქმოდა სანდროს საყვარელ ძმაზედაც — ივანეზე, რომელიც გრიგოლისთვისაც ძვირფასი გახლდათ.

ხოლო ბედი გამწარებით გამწარებოდა.

ერთი მხრივ: მისი ცოლის ავადმყოფობა, რაც მეხუთე წელია გრძელდებოდა.

მეორე მხრივ კი: სიძნელე მისი ახალი ლიტერატურული ნაქმის გამოცემისა, გამოწვეული მისი წიგნაკით ჰიტლერზე.

დასახასიათებლად ამ სიძნელისა გააცნობდა ერთ ადგილს 1954 წლის 2 ივლისს მასთან გამოგზავნილი წერილისა „მანასეფერლაგის“ ხელმძღვანელისაგან, რომელიც არწმუნებდა: ტრაგიკული ვითარება, რომელშიაც იმყოფებით, ყოველთვის გულს მტკენდა, მითუმეტეს, რომ ოდესღაც ბერლინში მეც წავაშველე ხელი თქვენი ლიტერატურული დებიუტის ხორცშესხმას, შტეფან ცვაიგის მიერ რომ იყო შეგულიანებულიო.

— თქვენი მაღალნიჭიერების შეფასება, რაც იმთავითვე ვაღიარე, ჩემში უცვლელი დარჩა... დარწმუნებული ვარ, თქვენი შემოქმედება, რაზეც საზოგადოებას ხელი აღარ მიუწვდება, ერთ მშვენიერ დღეს კვლავ გამოქვეყნდება და ეს დღე შორს აღარ არის.

გამამხნევებელ სიტყვას რა სჯობს, მაგრამ... იქნებ ახალი გამოცემა მანესეს ბიბლიოთეკის ფარგლებში ყოფილიყო შესაძლებელი?

განა ამაზე არ ეფიქრა „მანასე-ფერლაგის" ხელმძღვანელს... და სხვა სტრუქტურის გამომცემლობა რომ ჰქონოდა, ალბათ ყოყმანს კიდეც დაძლევდა, მაგრამ... ვალდებული გახლდათ, ამ წარმატებულ სერიას, რომელიც უკვე ასზე მეტ ტომს მოითვლიდა და ხელმძღვანელისათვის სისხლხორცეული საქმე გახლდათ, დიდი რუდუნებით მოკიდებოდა.

ერთ ტომსაც კი — რომელიც ცხადია არა მხატვრული, არამედ პოლიტიკური მიზეზებით გამოიწვევდა მასზე თავდასხმას — შეიძლებოდა მთელი სერიისათვის შეექმნა საფრთხე, რაზედაც ხელმძღვანელი გამომცემლობის წინაშე იქნებოდა პასუხისმგებელი.

პირდებოდა: თუკი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ჩავიდოდა, იქ ბევრ ნაცნობ და მეგობარ გამომცემელს შეხვდებოდა, შეეცდებოდა მათ დალაპარაკებოდა და ეგებ ეპოვნა გრიგოლისათვის კარგი და წესიერი გერმანელი გამომცემელი.

ხედავთ: რა მდგომარეობაშიც ვიმყოფები, როგორც ავტორიო, — შესჩიოდა სანდრო ნიკურაძეს.

გრიგოლის ცოლს გამომრთელება ეტყობოდა, მეტად ნელი, მაგრამ თვალსაჩინო. ამჩნევდა: მისი საბოლოო გამომრთელებისათვის — იგულისხმებოდა ენის-ადგმა — გახარება ნამდვილი საშუალება იქნებოდა. არადა... რითი უნდა გაეხარებინა მეუღლე გრიგოლს ასეთ მძიმე, დამთრგუნველ ყოფაში?!

მიუნჰენში ამ სიძნელის ირგვლივ საუბარი ჰქონოდა დოქტორ ოსკარ ერგენ გიუნტერთან. და ის ურჩევდა:

— ამ სიძნელის გადალახვა შეიძლება, თუ.... თუ გამომცემელი წინასწარ რაიმე თანხას მიიღებს.

გრიგოლი პასუხად, ნირწამხდარი და გულატკივებული:

— მე არა გამაჩნია რა ამისათვის.

და იგი კი:

— სახსარს გამოვძებნით — გამომიგზავნეთ თქვენი ხელნაწერები!

სწორედ გუშინ გაეგზავნა „საქართველოს მსოფლხატი" და „ფრიდრიხ ნიცშე". ბარათს დღეს მისწერდა. აპირებდა მოკლე

ხანში მიეწოდებინა აგრეთვე ყველაზე უფრო ღრმა თავის თხზულებებში: „მედიტაციები“.

გიუნტერს ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა გრიგოლზე. და სანდროც — რასაკვირველია — ითათბირებდა მასთან: თუ რა გზით გამოძებნილიყო ის სახსარი.

ვინ იცის: შესაძლოა მართლაც გადალახულიყო ის სიძნელე, გრიგოლ რობაქიძის წინაშე ასე საბედისწეროდ აღმართული!..

გულითად მოკითხვას დააბარებდა მეგობრებთან — მათ შორის რასაკვირველია ივანესთანაც.

და ამ აკორდზე დაასრულებდა ბარათს, აფოფინებული, გახალისებული, რაღაც იმედი რომ გამოუჩნდებოდა ხელმოსაჭიდად:

— მარჯი საქართველოს!

...მოსდევდა, მოჰყიოდა თვალბედითი, შავი ყორანივით ის ბედნავსი წიგნაკი...

* * *

– აქ ტბაზე ცხოვრობს ქართველი, რომელიც თავს პოეტს უწოდებს. სამწუხაროა, რომ გერმანელთა გარდა უცხო ავტორებსაც აქვთ ხმის ამოღების უფლება, რომ გრძნობათა ეს საშინელი უწმინდურობა იმ კაცის მიმართ გადაშალონ, ვისაც ჩვენთვის, ყველასათვის დაღუპვა მოაქვს.

ვინ გაგულისებულიყო ასე ძალიან?

ჯერ ბარემ ბოლომდე ჩავყვეთ და...

– ქართველმა დაწერა წიგნი, სადაც თავს უცხოდ მოიხსენიებს, უცხოდ, რომელიც ადოლფ ჰიტლერის ფენომენს ჩაწვდა. აქ მართებულად მიმაჩნია, მრავალ ათას ეგზემპლარად გავრცელებული ამ წიგნიდან, სულ ცოტა, ერთი თავის მოხმობა. შემაშინებელია, კრიტიკულად რა გაუანალიზებელი და უსუფთაო მაღალფარდოვნების ორმოში ჩაეშვებიან ავტორები მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს უწესრიგო და ბნელი ძალა ღვთიურ ძალას წარმოადგენს... ჭეშმარიტად ქართველი მწერლის კარგი გერმანულით რომ გავაგრძელოთ, ყოველ სერიოზულ ადამიანს, ვისაც სიწმინდისა და წესიერების მცირეოდენი

გრძნობა შემორჩა, გული უნდა აერიოს ნაცისტების ამ აბდაუბდისაგან. სასტიკი სიმართლეა ის, რომ მრავალი ადამიანი ამ ძნელად მოსანელებელ, ამაზრზენ ყბედობას დაგემოვნებით ღეჭავს და მასში მარადიულ ჭეშმარიტებათა შეცნობა სწადია.

ესაა ამონარიდი გერმანელი მწერალი ქალის ტამი ოელფკენის წიგნიდან, რომელიც თავდაპირველი სათაურით „მოგზაურობა ქაოსში“ გამოიცემოდა ომის დამთავრებისთანავე – 1946 წელს – და გრიგოლ რობაქიძე დაუნდობლად, უკანასკნელი სიტყვებით იქნებოდა გალანძღული. მომდევნო, გადამუშავებულ გამოცემებში – 1948 და 1955 წლებში რომ გამოჩნდებოდა შეცვლილი სათაურით „გემის ჩანაწერების წიგნი“ – ცუდად მოიხსენიებოდა ბრუნო გოეტციც.

ეს ფრაგმენტი დამოწმებულია ენვერ ნიჟარაძისწიგნში „გრიგოლ Avalon რობაქიძე და ორი „წიგნაკის“ ერთი საიდუმლოება“, დეტექტივის ალღოთი და მიზანსწრაფვით რომ უტრიალებს ამ ხელოვნურად შექმნილ საიდუმლოთა გახსნას, ანუ იმ ეროვნულ სულისკვეთებას, რასაც არავითარი საერთო არ გააჩნია არც ფაშიზმთან და არც ნაციზმთან; და დიდძალი უცხოური მასალაა მოშველიებული, მათგან არაერთი პირველად რომ უნდა დატრიალებულიყო ჩვენს სამწერლო მიმოქცევაში.

ჯერ ისედაც აღელვებდა ტრაგიკული ხვედრის მწერლის თავგადასავალი, მისი ორმაგი ემიგრანტობა, და მითუფრო მძაფრად შეიგრძნობდა და პირად ვალდებულებადაც მიიჩნევდა ამ თავგადასავლისათვის მზერის მიდევნებასა და არაერთი ბუნდოვანების განათებას, თვითონაც რომ იგემებდა ენვერ ნიჟარაძე ემიგრანტობის მწარე ფიალას 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალებისა და ეროვნული მთავრობის დამხობის შემდგომ.

გერმანიას თავშეფარებული გულდასმით მოიძევდა ლიტერატურულ და დოკუმენტურ მასალებს და ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენდა გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების გაუსაძლის მონაკვეთს, ულმობლად რომ აზღვევინებდნენ იმ ბედდანავსული წიგნაკების შექმნას.

ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც, ტამი ოელფკენის წიგნი სანდო წყარო რომ აღმოჩნდებოდა თუნდ მანფრედ ბოში-

სათვის, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა იუბერლინგენსა და ბოდენის ტბასთან დაკავშირებულ ლიტერატორთა და ხელოვანთა ცხოვრებას და პირდაპირ გადმოიწერდა თავის ორ წიგნში – „მარმარილოსა და სხვა კლდეები“ და „ბოჰემა ბოდენის ტბაზე“ – ქართველი მწერლის „დახასიათების“ ერთსა და იმავე ფრაგმენტს.

მეორე ასეთივე მიკერძოებული წყარო აღმოჩნდებოდა ინგლისურენოვანი ანალიტიკური და ბიოგრაფიული ლექსიკონი: „ლიტერატურული ემიგრაცია XX საუკუნეში“ – რომლის 582-ე გვერდზეც აღინიშნებოდა, რომ:

– მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ჰიტლერისა და ნაციონალ-სოციალისტური პოლიციის მხარდაჭერის გამო გამტყუნებულ გრიგოლ რობაქიძეს 1945 წელს შვეიცარიაში მოუხდა ემიგრირება.

ამ სიტყვებიდან ძნელი გასაგები იქნებოდა XX-XXI საუკუნეთა მიჯნის ქართველი ემიგრანტი პოეტისათვის, ვინ ვის უჭერდა მხარს: გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერსა და ნაციონალ-სოციალისტურ პოლიციას თუ ჰიტლერი და ნაციონალ-სოციალისტური პოლიცია გრიგოლ რობაქიძეს!..

ორი ვერსიიდან თუ გავიზიარებდით პირველს, აშკარა გახლდათ, რომ:

მწერალი გარკვეული ხანი მართლაც უჭერდა მხარს ჰიტლერს, მაგრამ არა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში. დაე გაგვეთვალისწინებინა, რომ იმ წიგნაკების გამოქვეყნების შემდგომ:

– ჩვენ არ ვიცით, რას ფიქრობდა ის გულში, მაგრამ ვიცით ერთი, რომ არცერთი სიტყვა, ჰიტლერის მხარდასაჭერი, მას არ გამოუქვეყნებია.

და კიდევ:

– საინტერესოა, როგორ უჭერდა მხარს ნაციონალ-სოციალისტურ პოლიციას, როდესაც არათუ ამ უკანასკნელზე, არამედ ნაციონალ-სოციალიზმზე, როგორც მოძღვრებაზე, მას ფაქტობრივად არსად არაფერი უწერია?

და დაბეჯითებით შეეძლო განეცხადებინა ავტორს ამ დიდტანიანი მონოგრაფიისა:

რაიმე სხვა, კონკრეტული საბუთი რომ არსებულიყო გრიგოლის მიერ ნაციონალ-სოციალისტური პოლიციის მხარდაჭერისა, ხომ დიდი ხნის წინათ გამოუჩხრეკდნენ და გამოაქვეყნებდნენ და – რაც მთავარია – სათანადო ორგანოებსაც გადაუგზავნიდნენ მარტინ ტეკერი და მისი მსგავსი ანალიტიკოსები და ბიოგრაფოსებიო.

რაც შეეხებოდა მეორე ვერსიას:

ჰიტლერსა და ნაციონალ-სოციალისტურ პოლიციას მართლაც ერთადერთ შემთხვევაში შეეძლოთ ქართველი მწერლის თანადგომა: თუკი ისინი სტალინსა და ბოლშევიზმს დაამარცხებდნენ და საქართველოს დაიხსნიდნენ რუსეთის ბატონობისაგან.

და ირონიის გუნებაზე დადგებოდა ახალი თაობის ემიგრანტი პოეტი:

სხვა რა საქმეში უნდა დაეჭირათ მხარი მწერლისათვის, სიმინდს გაუმარგლავდნენ თუ ყანას მოუმკიდნენ? თუ თვითონ უბოძეს გრიგოლს მამულები გერმანიაშიო?

რათა გაეთვალსაჩინოებინა მსგავს შეფასებათა სრული ზედაპირულობა და მიკერძოებულობა, მოვლენის არსში ჩაწვდომის მცდელობასაც კი პირწმინდად რომ გამორიცხავდა.

ხოლო როდესაც საუკუნის მიწურულს შვეიცარიელი ავტორის თომას ჰოისერმანის წერილიც გამოქვეყნდებოდა, ენვერ ნიჟარაძის შეფასებით:

ის არატიპურიც იქნებოდა: რადგანაც ქართველი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელი სურათის ჩვენებას ისახავდა.

და ტიპურიც: რამდენადაც გრიგოლ რობაქიძის სადავო თხზულებათა და ქმედებათა განსჯისას დადგენილ სტერეოტიპებს ვერც ის ცილდებოდა.

წერილი გამოირჩეოდა ცნობათა სიზუსტით, მაგრამ ცოტა რამ თუ ითქმოდა ახალი და კონკრეტული. განსაკუთრებით ეხებოდა ეს შვეიცარიულ ხანას, რაც იქაურ ავტორს თითქოს მკითხველისათვის უცნობი ფაქტების გამომზეურების საშუალებას აძლევდა... მაგრამ სტატია არსებითად მაინც „ორი წიგ-

ნაკის" ავტორის ბრალეულობა-უბრალოების შესაფასებლად დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მართალია თომას ჰოისერმანი იმეორებდა დადგენილ – არადა გრიგოლ რობაქიძის მიერ საფუძვლიანად და დამაჯერებლად გაბათილებულ – სტერეოტიპებს, ენვერ ნიჟარაძე მას არ დაუკარგავდა გრიგოლ რობაქიძის სასარგებლოდ ნათქვამ ერთ დასკვნას, რომელსაც შვეიცარიელი ლიტერატორი ქართველი მწერლის მტკიცებათა საფუძველზე გააკეთებდა.

როდესაც შეეხებოდა გრიგოლის დამოკიდებულებას რასის საკითხისადმი, სულაც არ მიიჩნევდა მის მოსაზრებებს რასისტულად. და ამგვარი საქციელი როგორ არ ჩამორთმეოდა უდავოდ არსებით და დადებით მომენტად.

– რობაქიძე ომის შემდეგ ჰიტლერის თხზულებას ისევ დაუბრუნდა, როცა 1952 წლის 17 დეკემბერს ნიკოს კაზანძაკისს მისწერა: ნაცისტური მოძრაობა შლაკებისაგან გავწმინდეო. მართლაც რობაქიძის მოსაზრებანი რასის შესახებ ეჭვსაც არა ტოვებს, რომ მისთვის არ არსებობდა დაბალფასოვანი რასები. მათ მრავალფეროვნებას ღვთიურ მოვლენად აღიარებდა. მინიშნებანი ძალაუფლების საფრთხის თაობაზე ორივე თხზულებაში გვხვდება. რობაქიძის მიხედვით, წარმოსახულია არა ემპირიული ჰიტლერი, არამედ მისი თვითობის სხვა. კითხულობენ: შენ ხარ ეს? – არადა წაკითხულ უნდა იქნას: შენ უნდა იყო ეს.

ღირდა თუ არა დღესდღეობით გრიგოლ რობაქიძის ნოველებისა და რომანების წაკითხვა ანუ მათი ახლიდან გამოცემა?

ქართველი პოეტი-ემიგრანტი ურჩევდა თომას ჰოისერმანსაც და კრისტიან ვაისსაც:

ინტერნეტის შესაბამისი გვერდებისათვის ედევნებინათ თვალი და დაენახათ, თუ რა აქტიურად მიმდინარეობდა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში გრიგოლ რობაქიძის წიგნების გაყიდვა.

ნუ ვიფიქრებდით, რომ ეს მხოლოდ კომერციული მიზნით ხდებოდა.

დაე უფრო ღრმად ჩავკვირვებოდით ამ მოვლენას და მისი მთავარი ფსიქოლოგიური საწყისისათვის მიგვეკვლია.

და კიდეც „ორი „წიგნაკის“ ერთი საიდუმლოების“ ავტორი სავსებით სარწმუნო მოსაზრებასა თუ დასკვნას შემოგვთავაზებდა:

როგორც ჩანს, დასავლური იდეოლოგიის (სჯობდა დაგვეზუსტებინა და შემოგვერკალა: იდეოლოგთა ერთი გუნდისო) მიერ დიდად მხარდაჭერილი დენ ბრაუნის ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული მკრეხელური ბესტსელერებითა და ჟოან კ. როულინგის „ჰარი პოტერით“, მაგიურობის პრეტენზიის მქონე სისულელითა და აბდაუბდით, გაბრიყვებულთა გვერდით ახალ თაობაში ისეთი მკითხველებიც არსებობენ, რომელთაც ღმერთისაც სწამთ და ღვთიური შუქით განათებული ცხოვრებისაც სჯერათ,

ანუ იმისა –

რასაც გრიგოლ რობაქიძის თხზულებანი დღესაც პირვანდელი სიცხოვლით ქადაგებენო.

სხვას განა რას ირწმუნებოდა შტეფან ცვაიგი ჯერ კიდევ 20-იან წლებში, გრიგოლ რობაქიძეს ახალი ჟამის მაუწყებლად რომ მიიჩნევდა და ურჩევდა გერმანელ და საერთოდ ევროპელ მკითხველს: დაწაფებოდნენ მის ნაწერებსაც ისე, როგორც რაბინდრანათ თაგორისა.

* * *

და...
მოსდევდა, მოჰყიოდა
თვალბედითი, შავი ყორანივით
ის ბედნავსი წიგნაკი...

თავი მეთერთმეტე

უპირობნობა – ყოველგვარ ძალას აღმატებული

რას ირწმუნებოდა მომხსენებელი ტუტცინგის კონფერენციაზე?

სტალინიზმი დარჩა, თუმც დაფარული სახით, მაგრამ მთელი ძალით; მიუხედავად იმისა, რომ სტალინის სახელი მისი სიკვდილის შემდეგ მიჩქმალესო.

ესეც ის მთავარი თეზა, რომელსაც უსათუოდ უნდა გამოხმაურებოდა გრიგოლ რობაქიძე 1954 წლის 5 ივლისს.

ტუტცინგში, მიუნხენის ახლოს, რა იმართებოდა ამისთანა და:

საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის IV სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე მდგომარეობა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური საკითხების განვითარების პერსპექტივები საბჭოთა კავშირში".

ვინ მონაწილეობდნენ და:

150-ზე მეტი მეცნიერი სხვადასხვა ქვეყნიდან.

ძირითად მიზანს რა წარმოადგენდა და:

მიუდგომელი და შეძლებისამებრ ყოველმხრივი ანალიზი საბჭოთა კავშირში შექმნილი მდგომარეობისა, ასევე — საბჭოთა ხელმძღვანელობის ტაქტიკის ცვლილების შესახებ სტალინის სიკვდილის შემდგომ და იმ სამეცნიერო გამოკვლევათა გაცნობა თავისუფალი მსოფლიოსათვის, სხვადასხვა სფეროში რომ შეიქმნებოდა.

და გრიგოლ რობაქიძეც რომ იქნებოდა მონაწილეთა შორის: შვეიცარიის... რას ვიზამთ, სწორედაც შვეიცარიის სახელით.

რუსულდან ნიშნიანიძე, რომელსაც ათწლეულთა შემდგომ ქართულად უნდა აემეტყველებინა მისი გამოსვლების ტექსტი, ამ იძულების გამო შენიშნავდა:

ზუსტად ვერც კი გეტყვით, იმ წუთებში რას განიცდიდა; ალბათ ოღონდაც დიდი სათქმელი ეთქვა და სხვაც აღარ დაგიდევდათო.

სტალინიზმი დარჩა, თუმც დაფარული სახითო...

ესეც ის მთავარი თეზა, რომელსაც უსათუოდ უნდა გამოხმაურებოდა გრიგოლ რობაქიძეო...

თუმც გამოსვლის დასაწყისში აუცილებლად მიიჩნევდა წარდგომოდა საზოგადოებას როგორც რომანისტი, ლირიკოსი, დრამატურგი და ესეისტი, რომელსაც თითქოს არა ჰქონდა პირდაპირი კავშირი იმ საკითხებთან, ამ კონფერენციაზე რომ წამოჭრილიყო, მაგრამ ამავდროულად იგი ხომ მოაზროვნეც გახლდათ, მოაზროვნე, რომელიც მიზნად ისახავდა სიღრმისეულად ჩაწვდომოდა თანამედროვე პრობლემებს და შესაფერისადაც შეეფასებინა ისინი.

თავს უფლებას მისცემდა შეეხსენებინა დამსწრეთათვის, რომ:

მისი სახელი აღბეჭდილიყო ხუთ ენციკლოპედიაში.

დასაფარიც რა იყო:

მოახსენებდათ ამის თაობაზე იმ მიზნით, რომ მიენიჭებინა თავისი სიტყვებისათვის გარკვეული წონა.

სტალინიზმი დარჩა, თუმც დაფარულად, მაგრამ მთელი ძალითო...

და ეს: მიუხედავად იმისა, რომ სტალინის სახელი მისი სიკვდილის შემდეგ მიჩქმალესო...

თავდაპირველად თეზის პირველ ნაწილს დაუკვირდებოდა გრიგოლი.

სადავოდ სულაც არ მიაჩნდა, ოღონდ საჭიროებით საჭიროებდა ზუსტ განმარტებას.

სტალინიზმი იმიტომ დარჩენილიყო, რომ... სხვაგვარად არც შეიძლებოდა. სტალინიზმზე უარის თქმა ნიშნავდა უარის თქმას სამკუთხედზე: მარქსი — ლენინი — სტალინი, ისე როგორც: თუ ლენინიზმი, სტალინის მიზანმხვედრი განმარტებით, გახლდათ მარქსიზმი (განხორციელებული) რევოლუციურ აქტში, მაშინ

სტალინიზმი წარმოადგენდა ლენინის აქტს სახელმწიფოებრივ ფორმირებაში.

მარქსისტები ამბობდნენ:

ლენინიზმი არის მარქსიზმის გადაგვარებაო.

ნეოკომუნისტები ედავებოდნენ:

არა, ლენინიზმი არ არის მარქსიზმის გადაგვარება, მაგრამ სტალინიზმი უდავოდ ლენინიზმის გადაგვარებააო.

საკმარისი იყო აქ „გადაგვარების“ ადგილას ჩაგვესვა „მხილება“, რომ მაშინვე მიიღებოდა ფორმულა — გრიგოლის დაბეჯითებით — მიზანში მხვედრი: ლენინიზმი მხილებაა მარქსიზმის, სტალინიზმი მხილებაა ლენინიზმისო.

მხილება ორივე შემთხვევაში იმანენტური გახლდათ.

ხომ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირში კიდევ გაჩენილიყო რომელიმე „იზმი“?

მაგრამ ის იმავე სამკუთხედში იფართხალებდა, თუკი სრულიად არ დააღწევდა თავს იქიდან. და თუ ასე მოხდებოდა, მაშინ ეს იქნებოდა სამკუთხედის კრახი, კრახი მის ყველა კუთხეში.

მაშ რაღა საჭირო იყო სტალინის სახელის მიჩქმალვა, თუკი აუცილებელი გახლდათ სტალინიზმის დატოვება?

მომხსენებელი მოიხმობდა მთელ რიგ დამაჯერებელ მოსაზრებებს ამ ჭეშმარიტად თავზარდამცემი გამოცანის ასახსნელად, მაგრამ მის სრულად ამოცნობას მაინც ვერ შეძლებდა.

რატომ არ გამოუვიდოდა?

გრიგოლი კი ადვილად მიხვდებოდა მიზეზს:

იმიტომ, რომ იგი, როგორც ყველა, გამონაკლისის გარეშე, სტალინის დიქტატურას ღებულობდა როგორც „პიროვნულს“.

ეს კი პირწმინდა გაუგებრობა გახლდათ, რადგანაც:

სტალინის დიქტატურა სრულიად საგანგებო ხასიათისა იყო, ძირეულად განსხვავებული, ვთქვათ, ჰიტლერისა თუ მუსოლინის დიქტატურისაგან — დიქტატურა, რომელიც თავისი იდუმალებით აქამდე გამოუცნობი რჩებოდა მთელი მსოფლიოსათვის.

აქ იმალებოდა სხვა გამოცანაც.

სტალინის ერთ-ერთ ძალიან დაწვრილებით მოთხრობილ ბიოგრაფიაში ისააკ დოიჩერისა, ნათქვამი იყო:

— სტალინის მაღალჩინოსანი, მაგრამ უპიროვნო მოღვაწეობა იდეალურ განსახიერებას წარმოადგენდა პარტიისა და კლასის უპიროვნო ძალთა არსებობისა.

წიგნში ეს ფრაზა ისე მოხმობილიყო, თითქოს ის შემთხვევით დავარდნილიყო გამოფხიზლებული მთვარეულის მიერ: წუთიერად, გაკვრით, სხვათა შორის. ავტორს აზრადაც არ მოსდიდა, რომ ამ ერთი ფრაზით თურმე მიზნისათვის მიეღწია. ამით ჰქონდა მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა:

— პარტიისა და კლასის უპიროვნო ძალთა განსახიერება.

ყურადღება უნდა მიგვექცია:

არა გარე ან ზეპიროვნულ ძალთა.

არამედ, ხაზს უსვამდა გრიგოლი:

უპიროვნო.

დიახ, სტალინი იყო ჭეშმარიტი განსახიერება ამ უპიროვნო საწყისისა, ძლიერი სწორედ „თავისი უპიროვნო პიროვნებით“.

დაე გაგვეგო ეს პარადოქსი არა უბრალოდ მეტაფორულად, როგორც ამას ბიოგრაფოსი ფიქრობდა, არამედ ღრმად მეტაფიზიკურად.

უპიროვნო — ამის ქვეშ მოიაზრებოდა შესაზარი ანონიმი ორი პარალელური პროცესისა:

თანდათანობითი კვდომა სიწმინდის მეუფებისა და თანდათანობითი გადაგვარება ღვთაებრივი ლოგოსისა რაციონალიზმის ნაფცქვენად, ჩენჩოდ.

ეს პროცესი საბოლოოდ გაფორმდებოდა საბჭოთა ყოვლისმშთანთქავი კოლექტივის სახეში, რაც გაეკრიტიკებინა გრიგოლს თანმიმდევრული განსჯით წიგნში — „ნესუს პერანგი“, რომლისაც მხოლოდ ორი ნაკვეთი გამოქვეყნებულიყო — სტალინის გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე.

კითხვაზე:

— ვინ ბატონობს საბჭოთა კავშირში?

ასეთი პასუხი გახლდათ მიგებული:

— ვინმე, რომელიც არავინაა.

პარადოქსი იყო?

— არაო, — ირწმუნებოდა გრიგოლი, — თუ საბჭოთა კავშირში მოიძებნება თუნდ ერთადერთი თავისუფალი ადამიანი, მაშინ შესაძლოა კიდევ გვეფიქრა, რომ ეს პარადოქსიაო.

არა, ასეთი ადამიანი არ მოიძებნებოდა.

ქმედებით გამომხატველს კი ამ ურჩხულის — ანონიმის — კოლექტივისა წარმოადგენდა სტალინი.

აქედან მომდინარეობდა მისი არაადამიანური ძლიერებაც.

აქედანვე მომდინარეობდა მისი უსაზღვრო ძალაუფლებაც.

და გრიგოლს სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ: მას აღმერთებდნენ.

ეს გაღმერთება შეიძლება მიკუთვნებოდა იმ ურჩხულს, რომელშიაც შენიღბულიყო სტალინი.

— ამის გაუცნობიერებლად გამღმერთებლები ხედავდნენ სტალინს, ვერც კი ამჩნევდნენ მის ზურგს უკან ურჩხულს. ამას შეუძლებელია არ გაეჩინა გამღმერთებელთა ფარულ ქვეცნობიერებაში, განსაკუთრებით მმართველ წრეებში, ზოგიერთი კომპლექსის არევდარევა. ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდებოდა ზედაპირზე ამოტივტივებულიყო ის გარდუვალობა, რომ გავლებულიყო გამყოფი ხაზი ურჩხულსა და მის რეალურ განმხორციელებელს შორის, რაც მოხდა კიდეც სტალინის გარდაცვალების შემდეგ.

ასე მიჩქმალავდნენ სტალინის სახელს.

და ასე დატოვებდნენ სტალინიზმს — თავიანთი საჭიროებისამებრ.

სურდა კიდევ ბევრი რამ ეთქვა ბოლშევიზმზე, მაგრამ ის მცირეოდენი დრო, დათმობილი კონფერენციაზე გამომსვლელთათვის, არ იძლეოდა ამის საშუალებას.

ამასთან ეჭვი გაუჩნდებოდა, რომ: ინსტიტუტი გაურბოდა ძირფესვიანად ჩაწვდომოდა ბოლშევიზმის ფენომენს. სხვაგვარად როგორ უნდა ახსნილიყო, რომ: ის თავს საბჭოთა კავშირის ისტორიის შემსწავლელ ინსტიტუტს უწოდებდა, მაგრამ მის რომელ პუბლიკაციებში გამოკვლეულიყო მიწისქვეშა დინებათა სათავე, რომელიც წარმოშობდა ბოლშევიზმს?

უწოდებდა თავს საბჭოთა კავშირის კულტურის შემსწავლელ ინსტიტუტს, მაგრამ მის პუბლიკაციებში არ მოიძებნებოდა

კულტურულ-ფილოსოფიური ანალიზი კულტურის თვით სტალინისეული ფორმულისა:

— ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური.

მითუფრო, რომ ამასობაში ყველაფერი, რაც იქმნებოდა საბჭოთა კავშირში კულტურის ხაზით, მიმდინარეობა ამ კანონადქცეული ფორმულით, მისი ნიშნით.

ანდა:

იმგვარი ნაშრომები — საკოლმეურნეო მშენებლობათა ეკონომიკური თუ სტატისტიკური კვლევანი — ინტერესმოკლებული არ გახლდათ რასაკვირველია, მაგრამ — გრიგოლის შეთავაზებით — რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა კოლმეურნეობის შესწავლა როგორც სახეცვლილი, როგორც საყოველთაო სიყალბისა, რადგანაც:

ამ ერთ მაგალითზე შეიძლებოდა ბოლშევიზმის დედაარსის სრული წარმოჩენა — ამ რაფინირებული მეტაფიზიკური ფალსიფიკატორისა.

შესაძლოა შემოპასუხებოდნენ: ეს მეტაფიზიკაა და არა მეცნიერებაო?

დაე შეესმინათ ზედაპირზე მოტივტივეებს, რომ: მეტაფიზიკას გვერდს ვერ აუვლიდა თვით ფიზიკაც, რომელიც აგერ ყველას თვალწინ ყალიბდებოდა მეტაფიზიკად.

ამ გამოსვლის შემდგომ კვლავ გ.ფ. ახმინოვს რომ დაეთმობოდა ტრიბუნა, როგორც ძირითად მომხსენებელს, იგი მოკამათეთა მოსაზრებების ირგვლივ გამოთქვამდა თავის განსხვავებულ დამოკიდებულებას, შვეიცარიის სახელით გამოსულ ქართველ მწერალს კი სავსებით დაეთანხმებოდა:

— ბატონი რობაქიძის თქმულის საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს.

* * *

სიმონ ჩიქოვანი — რომლის ფოტოსურათის ნახვისასაც გრიგოლს დასცდებოდა: სიბერეში ანდრე ჟიდს დამსგავსებიაო — „მნათობის“ რედაქციაში თავშეყრილ მწერლებთან უეცრად გაიხსენებდა 1931 წელსა და რაჟდენ გვეტაძის ბინას, სადაც ახალ-

გაზრდები იკრიბებოდნენ ხოლმე. და აი შეშფოთებული გრიგოლ რობაქიძეც უნდა მისულიყო.

იქ რა მიიყვანდა და:

უყვარდა რაჟდენი, როგორც „რასიული" ტიპი, კარგი ურთიერთობაც ჰქონდა და სჩვეოდა მასთან სტუმრობაც.

შესული არც იქნებოდა, მღელვარედ რომ განუცხადებდათ:

— ახლა ვიყავი ბერიასთან, პირდაპირ იქიდან მოვდივარ და უნდა გითხრათ, რომ ვერ გავუძელი მის თვალების გამხვრეტ მზერას. ეს კაცი დაღუპავს საქართველოს.

და ნაამბობს დასძენდა სიმონი:

— მე მაინცდამაინც არ მომწონდა რობაქიძის პათეტიკა და წინასწარმეტყველური ფრაზეოლოგია, მაგრამ ეს როგორ თქვა, ასე ზუსტად როგორ იწინასწარმეტყველა.

თამაზ ჩხენკელი ყურადღებას მიაქცევდა, აღტაცება რომ გამოერეოდა ხმაში რედაქტორს, საერთოდ კი მერამდენედ გაიფიქრებდა: ეს რა მეხსიერება აქვსო!..

მაშინდლისა არ იყოს, ახსენებდა თუ არა ვიაჩესლავ ივანოვის ბიბლიოგრაფიადქცეულ წიგნს დიონისეზე, ბაქოში გამოცემულს 1923 წელს, სიმონი იმწამსვე გამოეხმაურებოდა:

— ხომ იცი ვინ მიიწვია ბაქოს უნივერსიტეტში ივანოვმა?

სტუმარი ცნობისწადილით მიაჩერდებოდა და:

— გრიგოლ რობაქიძე.

ასე ზუსტად როგორ იწინასწარმეტყველაო...

რადიო „თავისუფლებით" სამჯერ რომ მოუწევდა გამოსვლა გრიგოლს 1954 წლის აგვისტო-სექტემბერში: მიმართავდა ახალგაზრდობას, ქართველ ხალხსა და ქართველ მწერლებს — სამჯერვე გაიხსენებდა ლავრენტი ბერიას აღსასრულს, როგორც ნიშანდობლივს საბჭოთა რეალობისათვის, სადაც არავინ გახლდათ თავისუფალი: გუშინდელი მბრძანებელი დღეს შეიძლება უკვალოდ გამქრალიყო და მისი სახსენებელიც მოთხრილიყო. და თუ ეს შეიძლება დამართოდა თვით ბერიასაც, რა ელოდათ უბრალო მოქალაქეთ?

უბრძანე მტკვარს და უკან იწყებს დენასო, — გადამლაშებას საზღვარი აღარ ჰქონდა მისი ხოტბისას და თვით ასეთი სტრიქონიც შეიძლება დაეცდენინებინა პოეტისათვის ბერიას მრის-

ხანე, თავზარდამცემ ფიგურას, დღეს უკვე მწარედ რომ ინანებდა: რამ დამაწერინა ეს უხამსობაო.

ადვილად ახსნიდა მიზეზს გრიგოლი:

დააწერინა იმ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ, სადაც ყველაფერი აკრძალულია, რაც არ არის ნაბრძანებიო.

ბერიას შიშისმომგვრელი, დამთრგუნველი სუნთქვით გაჟღენთილიყო გპუ-ს შენობა, ეს სუნთქვა ყველაფერს რომ წვდებოდა, და გრიგოლი ისე შეიგრძნობდა ამ სატანურ ზემოქმედებას, ხელშესახებს გახდიდა რომანში „ჩაკლული სული“, სტრიქონსა და სტრიქონს შორის კანთიელად რომ გამოსჭვივის და თამაზ ენგურის ნებისყოფასაც გასტეხს, უნებურ, მაგრამ მაინც გამცემად რომ აქცევს და მის მიერ ერთი ღირსეული კაცის სახელის ხსენებას კიდეც მიჰყვება ტრაგიკული შედეგი...

სულაც პერსონაჟად გარდასახავდა რომანში „მცველნი გრალისა“.

ჩვენითაც იოლად ამოვიცნობდით მის პროტოტიპს, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე საჭიროდ რომ მიიჩნევდა პერსონაჟთა ყველა პროტოტიპი გაემჟღავნებინა კალისტრატე სალიასათვის, ამასაც ამცნობდა: შავდია ლავრენტი ბერიააო.

ერთ-ორ ეპიზოდში გამოჩნდებოდა ეს შავდია, მაგრამ სავსებით იკმარებდა ის გაელვებანი მისი შემზარავი პორტრეტის გამოსაკვეთად, კაფეში მჯდარ ლევან ორბელს მეზობელი მაგიდიდან ჯიქურ რომ შემოხედავდა. და უმალ იცნობდა, თუმც ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ ლევანის ვინაობა მაინც მოეხსენებოდა და ახლა მის დანახვაზე საკბენად გამზადებული გველივით მრისხანედ წამოიმართებოდა.

წამიერი ხილვა იქნებოდა, მაგრამ წარუშლელი:

ასპიტის თავი, თითქმის უთმო და უწარბო, თვალები — ვიწრო, ოდნავ წყლიანი და მაინც გესლიანი, მზერა — ალმაცერი და მოუსვენარი, რომელსაც პენსნე კიდევ უფრო უცნაურსა და შემზარავს ხდიდა.

კიდევ ერთი ამაზრზენი უცნაურობაც სჭირდა:

სიგამხდრის მიუხედავად სახე თითქოს ცხიმისაგან ულაპლაპებდა.

ლევანი ზუსტად ისევე სძულდა, როგორც ლევანს სძულდა ეს კაცი, ოღონდ იმის სიძულვილს შიშიც ემატებოდა. ეს ორივეს მოეხსენებოდა, მაგრამ წარბის ოდნავი შერხევითაც არ ამჟღავნებდა.

ლევანს მადა წაუხდებოდა.

როდესაც აგვისტოს მარცხიანი აჯანყების შემდეგ თავადი გიორგი გპუ-ს ვიწრო საკანში აღმოჩნდებოდა, მისი საქმის გამოძიება ერთ ქართველს დაეკისრებოდა, მაგრამ იგი უარს განაცხადებდა პატიმრის დაკითხვაზე. და ამ არნახული დანაშაულისათვის ამ უწყების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი შავდია, სწორედ ის, ლევანი ერთხელ კაფეში რომ გადააწყდებოდა, აღშფოთებას ვერ დამალავდა.

— დაკავებული ჩემი ნათლიაა, მე ამას ვერ ვიზამ, — ასე დაასაბუთებდა გამომძიებელი თავის დაუმორჩილებლობას.

— ბოლშევიკი ხართ თუ არა? — მკაცრად ჰკითხავდა უფროსი.

— დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ...

— მაგრამ რა?! ბოლშევიკმა არ უნდა მისცეს თავს უფლება ნათლიასი მოერიდოს.

— წმინდა თეორიულად მართალი ბრძანდებით, მაგრამ რაღაც მაკავებს, ვერ აგიხსნით, რა...

— თქვენ არა ხართ სათანადოდ მზად ჩვენი საქმისათვის.

— ეს ჩემთვის ნათელია. მართლაც, როგორც ბოლშევიკი, თქვენ როგორ შეგედრებით?

გულუბრყვილო იერით შენიღბული ეს პირფერობა მართლაც გაჭრიდა.

— ჰმ, ნათლია! რა სენტიმენტალობაა! — დაცინვით ჩაილაპარაკებდა უფროსი, მაგრამ თანამშრომელს ამ დავალებისაგან გაათავისუფლებდა.

ხოლო ლევან ორბელს რომ შეაშფოთებდა ის აზრი: ჩხრეკისას თავადის დღიურიც ვაითუ წაიღესო, — და სასწრაფოდ გაემგზავრებოდა საირმეში, სასახლის ეზოში ფეხის შედგმასაც ვერ მოასწრებდა, იმ წამსვე რომ გამოეცხადებოდა შავდია გპუს ორ თანამშრომელთან ერთად. და მათთან იმყოფებოდა ველსკიც, როდესაც ლევანი ოდესღაც შემზარავ კოშმარში იხილავდა.

და ახლა მას ორბელისათვის უნდა განეცხადებინა: ყოვლად განსაკუთრებულმა შემთხვევამ შეგვყარა, თქვენ გრაალის მცველის მისიას ასრულებთ, მე კი გრაალის შემმუსვრელისაო.

და ლევანი რომ მიუგებდა: ტაბუს დამსხვრევას ვერ შეძლებთ, საამისო გამბედაობა არ გაგაჩნიათო, — ის არ შეეპუებოდა:

— მე თუ არა ვარ გრაალის შემმუსვრელი, ის ხომ არის, ვისაც ვემსახურები.

— ვინ არის ეს უსახელო? — იკითხავდა ლევანი და ველსკი მაშინვე მიხვდებოდა, იგი პარტიას კი არა, იდუმალ ძალას რომ გულისხმობდა.

ხოლო როდესაც შეეცდებოდა მისტანებოდა ჩვენს სიწმინდეს, ლევანის თვითეული სიტყვა თითქოს ცეცხლის ალს გამოტყორცნიდა:

— ეს ხელი ვერ შეეხება წმინდა თასს: მასში საქართველოს გულია მოქცეული!

და უეცრად ბასილა და ყანსავი გააფთრებით უნდა შემოჭრილიყვნენ ოთახში და ყველაფერი ელვისსისწრაფით მოხდებოდა: ორიოდე წუთის შემდეგ ველსკი და გპუ-ს თანამშრომლები დამარცხებულნი ეყრებოდნენ ძირს. მათ განაიარაღებდნენ და ხელ-ფეხს შეუკრავდნენ. ველსკის სულაც გააშიშვლებდნენ, ეზოში გაათრევდნენ და არყის ხეზე ჯაჭვით მიაბამდნენ, ლევანი რომ მოუბოდიშებდა არყს:

— გვაპატიე ეს შეურაცხყოფა, კეთილო ხეო!

ყოფით რეალობაში თუ ვერ გადაუხდიდა სამაგიეროს გრიგოლ რობაქიძე ლავრენტი ბერიას, მხატვრულ სინამდვილეში ხომ მაინც აზღვევინებდა ლევან ორბელი შავდიას, ამ სტრიქონების წერისას მწერალი უთუოდ რომ გაიფიქრებდა: ოდესმე როგორ არ გადაგხდება ამდენი ავკაცობა-დანაშაულისათვის, როგორ არა ზღავ, რაც ჩაგიდენიაო.

და აჰა ის წუთებიც.

უფლისა გახლდათ შურისგება და ის მიაგებდა.

ხოლო მანამდე:

კინაღამ ხელთ იგდებდა სრულ ძალაუფლებას მტკვრის კინაღამ აღმა შემბრუნებელი, საბჭოთა იმპერატორის ტახტის და-

უფლებამდე თითქმის აღარაფერი რომ აღარ დარჩენოდა, და უეცრად... ფაფუ!.. ეს „თითქმის“ მიუწვდომელი აღმოჩნდებოდა მისთვის და კიდეც გადაჰყვებოდა ამ სწრაფვას...

რას აღარ ატრიალებდა, რას აღარ ხლართავდა... და რას აღარ მოეჭიდებოდა მაშინაც, საფრთხეს რომ იგრძნობდა.

თურმე გრიგოლ რობაქიძის ფანტაზიაც ვერ გაწვდებოდა, ისეთი ნაბიჯის გადადგმასაც აპირებდა.

დაეჯერებინა?

როგორი დასაჯერებელი გახლდათ.

არ დაეჯერებინა?

საფუძველი არ არსებობდა საამისოდ, რაკიღა დაბრალებასა თუ ცილისწამებას არა ჰგავდა, ისეთი კაცი გამოიტანდა სააშკარაოზე.

რა იყო მაინც ამისთანა, განა რა ნაბიჯის გადადგმას ეპირებოდა საბჭოთა საიდუმლო სამსახურის შეფი?

რა და... რა ნაბიჯის და...

იმ სენსაციურ ცნობას რომ შეიტყობდა, კიდეც მაშინვე გაუზიარებდა კალე სალიას 1961 წლის 29 ნოემბერს გაგზავნილ ბარათში.

პოლიტიკური მიმომხილველი და ამერიკის ადრინდელი ელჩი შვეიცარიაში ჰენრი ო. ტეილორი ვაშინგტონის ყოველკვირეულ გაზეთში თავისი განცხადებით ყურადღებას მიაპყრობდა იმ ფაქტს, რომ:

საბჭოთა საიდუმლო პოლიციის ყოფილ შეფს ლავრენტი ბერიას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1953 წლის ბოლოს, წინადადებით მიემართა: ემუშავა ამერიკის საიდუმლო სამსახურებში.

და წერდა ამის თაობაზე ტეილორი:

— საბჭოთა მოღალატეები დასავლეთს ეხმარებიან, ჩვენც, უსიამოვნოა, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ამერიკელი მოღალატეებიც საბჭოთა კავშირს ეხმარებიან. ალაბთ უფრო მეტად საბჭოთა მოქალაქეები მუშაობენ დასავლეთისათვის — თუ ამის შესაძლებლობა ექნებათ! საბჭოთა საიდუმლო პოლიციის შეფს ლავრენტი ბერიას თავისი სისხლიანი კარიერის დასასრულს ეს მოუსურვებია და წინადადებითაც მიუმართავს, მაგრამ, მაგრამ

იგი ხრუშჩოვმა დახვრიტა, ვიდრე ჩვენთან მოლაპარაკებისათვის შეხვედრას შეძლებდა.

და მიადევნებდა გაოგნებული გრიგოლი:

გასაოცარია არაო?!.

ფიქრობდა, რომ ეს ცნობა ჯერ არ ეცოდინებოდათ პარიზელ ქართველებს და მისგან და კალესაგან შეიტყობდნენ.

30-ში ახალ ბარათსაც რომ მიაყოლებდა, მის პოსტკრიპტუმში მოუთმენელ ცნობისწადილს გაამჟღავნებდა:

გუშინ გამოგიგზავნე საინტერესო ცნობა ბერიაზე. რას იტყვი? ამერიკის ყოფილი ელჩი შვეიცარიაში — ჰენრი ტეილორი — როგორ შეთხზავდა, რასაც ამბობსო?!

3 დეკემბრის ბარათში კი კალეს დუმილი გააკვირვებდა ამ ცნობის ირგვლივ:

გაცნობე სენსაციური ამბავი ბერიას შესახებ. და... არაფერს მწერო!..

რევაზ გაბაშვილს რაღაც შემთხვევითობით რომ შეეტყო ამ ბარათთა შინაარსი, გრიგოლ რობაქიძის გაკვირვება გააკვირვებდა, და ირონიული ღიმილითაც ჩაიღიმებდა. იგი ბევრად უფრო ჩახედულიყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საიდუმლო დინებებში, რასაც გრიგოლი გუმანსაც ვერ მიატანდა.

აგერ ლავრენტი ბერიას ეს ფარული მცდელობაც რარიგ აოცებდა: ამერიკელებს დადგომოდა აგენტებად.

არც ეს გააოცებდა რევაზ გაბაშვილს!.. და კვლავ მწარე ღიმილი აეკიდებოდა სახეზე.

* * *

რა დრო იყო, 1938 წლის 6 ივნისს რომ გაახსენებდა გრიგოლ რობაქიძე ვიაჩესლავ ივანოვს:

პეტერბურგში გაგიცანით თქვენთან, ტავრის 24-ში, თუ მეხსიერება არა მღალატობს, 1910 წელს. რამდენჯერმე შევხვდით რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების კრებებზე. შემდეგ: ომი. რევოლუცია. 1921 წელს ბაქოდან მომწერეთ. ორი-სამი წლის შემდეგ შევიტყე, რომ თქვენ დატოვეთ საბჭოთა კავშირიო.

თავის ამბავს ასე ამცნობდა, რომ:

ორგანიზებული „დემონოკრატიის“ ქვეყნიდან თვითონ 1931 წლის მარტში გამოეღწია. აქედან მოკიდებული ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც — როგორც მწერალს — წარმოუდგენლად თბილად მიიღებდნენ.

ჯერ ქართულად წერდა და მხოლოდ შემდგომ თარგმნიდა გერმანულ ენაზე. მარტოდენ „დემონი და მითოსი“ დაეწერა პირდაპირ გერმანულად.

აქ გაეცნო სტეპუნი, რომელსაც ვიაჩესლავ ივანოვის შესახებ ეუწყებინა. ასე შეიტყობდა, რომ: თურმე იტალიაში ცხოვრობდა, სრულ განმარტოებაში. მის მშვენიერ წიგნს დოსტოევსკიზე გერმანულად წაიკითხავდა გრიგოლი და... ყველას ურჩევდა მის წაკითხვას.

ერთი კვირის წინათ ფლორენციაში ჩამოსულიყო. ამ დღეებში აქ გაეცნო გერმანელი პოეტი ფრომელი, რომელსაც ეცნობებინა ივანოვის მისამართი. და აი ისარგებლებდა და მისწერდა. აქ კიდევ ერთ კვირას დარჩებოდა, მერე კუნძულ კაპრიზე აპირებდა გამგზავრებას. უკანა გზაზე, დაახლოებით ივლისის მეორე ნახევრის დამდეგს, რომში გაჩერდებოდა და: თუკი ივანოვს მოუხერხებოდა, დაე შეხვედროდნენ ერთმანეთს.

აპირებდა გაეგზავნა თავისი წიგნების პროსპექტი. თუკი ის მოისურვებდა, შეეძლო დაუყოვნებლივაც მიეღო; საკმარისი იყო, გრიგოლს მიეწერა თავისი გამომცემლისათვის. ამასთან სხვა გამომცემლობასაც დაესტამბა მისი ორი წიგნი, რომელთაგანაც ერთი — „მედეას ნაწნავები“ — იტალიურადაც თარგმნილიყო (გამომცემლობა „სპერლინგი და კუპერი“. მილანი).

21 ივნისს დიდ მადლობას მოახსენებდა საპასუხო წერილისათვის. ახარებდა მომავალი შეხვედრის მოლოდინი. თავისი გამომცემლისათვის უკვე მიეწერა და იმედოვნებდა, რომ მალე გაუგზავნიდა წიგნს „დემონი და მითოსი“, რომელიც შექმნილიყო როგორც: „წერილები უცნობ ძმას“.

1939 წლის 27 იანვრის ბარათში რომში იმ შეხვედრას მოიხსენიებდა თავისი ცხოვრების ჩაუქრობელ მოგონებად. ისე გაერთობოდა საუბარში, დაავიწყდებოდა მასპინძლისათვის

ეკითხა სახელი და მამის სახელი მისი მეგობარი ქალისა, რომელიც ასე მზრუნველად იცავდა ივანოვის მყუდროებას. გულითად მოკითხვას უთვლიდა მას: თურმე ოლღა ალექსანდრეს ასულს შორ-დეშარტს, როგორც გაიხსნებოდა მისი ვინაობა.

ივანოვს ალბათ უკვე მიეღო რომანი „მცველნი გრალისა“, და როგორ არ გაემჟღავნებინა გრიგოლს მადლიერებით:

— მასში თქვენი სიბრძნის კვალსაც იპოვნით.

აცნობებდა, რომ: მისი მეუღლე, ელენა, რუსი გახლდათ, არიელი, დაბადებით ფიალკინა, მწერალთა საიმპერიო პალატის წევრი. მწერალი. აპირებდა იტალიის მონახულებას. იტალიის აქაურ საკონსულოში საანკეტო ფურცლის შევსებისას კითხვაზე: ვინ მოგცემთ იტალიაში რეკომენდაციასო? — ვიაჩესლავ ივანოვი დაესახელებინა.

14 აპრილის ბარათით ამცნობდა: თქვენმა თბილმა სტრიქონებმა დიდი სიხარული მომანიჭაო.

იმედოვნებდა, რომ პეშკე მოეწონებოდა: ცოტა „შემტევი“ კი გახლდათ ძიებათა სფეროში, მაგრამ ეს ახალგაზრდობით მოსდიოდა.

მისი მეუღლე ამ დღეებში ესტუმრებოდა იტალიას, ივანოვს მოინახულებდა და თან რუსეთის ერთ პაწია ნაწილსაც მიუტანდა. წარმოშობით ორიოლიდან გახლდათ.

გრიგოლი მუშაობდა ახალ წიგნზე „ატლანტიდის ზმანება“.

და ვიაჩესლავ ივანოვი აქ დაინახავდა თავისი გენიალური ჭვრეტის კვალს: „უხსოვარი შიშის“ ზეგავლენას.

განსაკუთრებით რთული ამოცანა დაესახა:

სურდა შეექმნა სახე თანამედროვე ადამიანის: სულიერად — და შესაძლოა რასიულადაც — ატლანტების შთამომავლისა.

დაე ივანოვს წარმატება ესურვებინა მისთვის:

ისე, შინაგანად, უსიტყვოდ.

არ გამორიცხავდა, რომ შემოდგომაზე კვლავ ეხილა იტალია. იგულისხმებოდა, რომ მაშინ მასაც შეხვდებოდა.

გრიგოლისათვის აუცილებელი გახლდათ არსებით საკითხებზე ვიაჩესლავ ივანოვთან საუბარი.

ახლა კი უსურვებდა წყნარ, ნათელ დღეებს.

8 ივნისს იენადან მისწერდა, სადაც თავის გამომცემელ დიდერიხსს სტუმრებოდა.

მისი მეუღლე უკვე დაბრუნებულიყო იტალიიდან. სამწუხაროდ ცუდ ამინდებს ხელი შეეშალა, ბოლომდე დამტკბარიყო ამ კურთხეული მხარით. ივანოვთან ორჯერ შეხვედრა ქალის მეხსიერებაში წარუშლელად დარჩებოდა. მოხიბლულიყო მასპინძლის პიროვნებით: როგორც რუსი და როგორც ადამიანი.

პეშკე კი მხოლოდ ვიაჩესლავ ივანოვზე ლაპარაკობდა.

მეუღლეს ივანოვის სიტყვები გადმოეცა:

დაე გრიგოლ ტიტეს ძეს მუდამ ვუყვარდეო.

ამას ცრემლებამდე შეეძრა გრიგოლი და ეფიცებოდა:

ეჭვიც არ შეგეპაროთ თქვენდამი ჩემს სიყვარულში! მე ბოლომდე ერთგული ვრჩები მათი, ვისთან შეხვედრაც ჩემში ამ გრძნობას აღძრავს: განშორება არ არის, მაშასადამე არც სიკვდილია. ერთ-ერთი პირველი ადგილი თქვენ გიჭირავთ იმ ადამიანთა შორის, რომელთაც სამყაროს საიდუმლოებებს მაზიარესო.

ამაზე რიგოლის წიგნები მეტყველებდნენ.

ფიქრობდა, რომ:

ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც „გატყორცნილია“ სამყაროში, როგორც შემოქმედებითი პროექტი. და რაღაც პუნქტში ორი საწყისი რომ უნდა განეხორციელებინა, ივანოვის განმარტებით, ეს იყო ნაზავი ღვთიურისა და არაღვთიურის.

ადამიანი ზეპიროვნულის პიროვნულ მაგალითად უნდა ქცეულიყო.

ესეც აზრი ღმერთის მოწამეობრივი გზისა ადამიანამდე, როგორც პირუკუ, ადამიანის ასევე მოწამებრივი გზისა ღმერთამდე.

ყველა ერთნაირად ვერ ართმევდა თავს ამ ამოცანას, და ამიტომაც ყველა ერთნაირად უკვდავი ვერ იქნებოდა კოსმიურად და არა მეტაფიზიკურად.

ამაში ღრმად დარწმუნებულიყო.

აქედან გამომდინარე:

რა სიხარული ელოდა ადამიანს, როდესაც იგი უეცრად შეხვდებოდა პიროვნებას, რომელშიაც ეს ორი საწყისი თავი-

სი ძალითა და ყველა მოცემულობით სრულქმნილებამდე დაძლეულიყო.

უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე პირისპირ ისაუბრებდნენ, როდესაც — სავარაუდოდ აგვისტოში — გრიგოლი რომში იქნებოდა. წინასწარ ტკბებოდა მასპინძელთან „პითაგორულად" საუბრის მოლოდინში.

ნათელ დღეებს უსურვებდა.

პოსტკრიპტუმში კი:

გულითად მოკითხვას დააბარებდა მის მეგობარ ქალთან.

და დასძენდა:

თქვენთვის ძნელია წერილებზე პასუხის გაცემა, ამიტომ არც ველოდებიო.

ოღონდ ერთს კი სთხოვდა:

ჩაღრმავებული ჭვრეტის წუთებში ზოგჯერ მეც გამიხსენეთო.

* * *

პლატონი ამ შემთხვევაშიც მეგზურად უნდა დაგვეგულებინა.

სხვას რას — სწორედაც ატლანტიდური გადასახლების მითის აღიარებას უნდა ამოეხსნა ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურის გამოცანა.

ვიაჩესლავ ივანოვის მზერა უპირველესად მაინც კრეტისა და ეტრუსკების გამოცანის ამოხსნისაკენ მიპყრობილიყო.

გრიგოლ რობაქიძისათვის კი ეს საიდუმლოება უშუალოდ უნდა დაკავშირებოდა ქართველების გამოცანას.

ასე რომ არ ყოფილიყო, მაშ საიდან შეიმჩნეოდა ქართულ ენაში, რომელშიაც უძველესი ხანის სიბრძნე და ხატები განფენილიყო, ატლანტიდელთა მსოფლხატის კვალი?

რა — არა ჩანდა ვითომ?

თუმც... ვისთვის როგორ.

გრიგოლისათვის კი ეს კავშირი კიდევ უფრო რეალური გახლდათ, ვიდრე გარემომცველი სინამდვილე, და თუ თვითონაც ფანტასტიკურ ჰიპოთეზად მოიხსენიებდა, ეს — სხვათა თვალ-

თახედვით, თორემ რარიგ მღელვარებით მოელოდა იმ მართლაც მშვენიერი და მშვენიერზე მშვენიერი დღის დადგომას, როდესაც ამ შეხედულებას ახალი და საკმაოდ დამაჯერებელი მონაპოვარი განამტკიცებდა და... ფანტასტიკური ჰიპოთეზაც ყველას მზერაში გარდაისახებოდა იმ რეალობად, რაღაც ახალისა და განსაკუთრებულის მიმანიშნებელიც და მაუწყებელიც რომ შეიქნებოდა კაცობრიობისათვის.

მთავარია ამ ახალსა და განსაკუთრებულს თავისი შესაფერისი მესიტყვეც გამოსჩენოდა.

...არ მოისაკლისებდა ამ მესიტყვეს გრიგოლ რობაქიძე, დასალიერს რომ გახედავდა ამაყი მზერით და წკიპურტით ჩამოიბერტყავდა პიჯაკზე გავარდნილ მტვრის ნაწილაკს...

კარი მესამე

მისტერიიდან ენგადამდე

გრიგოლ რობაქიძე იქცა ნამდვილ სიმბოლოდ ქართული ლიტერატურისა, რომელმაც კვლავ ღირსეული ადგილი მოიპოვა მსოფლიო ლიტერატურაში.

რუდოლფ კარმანი

განცვიფრებული ვდგავარ გასაოცარი შეთვისების წინაშე, რომლითაც თქვენ გერმანული ენა და მისი პოეტური გამოთქმის შესაძლებლობანი ჯერ მიუღწეველ, არნახულ დონეზე აიყვანეთ სხვა ენათა შორის. ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რილკეს შემდეგ ასეთი სრულყოფილი არაფერი გამოსულა გერმანულ ენაზე.

ფრანკ მარაუნი

თავი პირველი

ისტორიული ნამები: წამოგონებად

— ჩემთვის თქვენ ხართ ხერხემალმაგარი მოურავი საქართველოსი მეოცე საუკუნეში და როგორც ასეთი, ნამდვილი წარმომადგენელი მისი უცხოეთშიაც. თქვენი ისტორიული როლი ჩვენი მამულის ვითარებაში მე გარკვევით ავსახე 26 წლის წინათ, — ამ სიტყვებით დაიწყებდა 1946 წლის 1 ნოემბერს ნოე ჟორდანიასთან მიწერილ ბარათს და იგულისხმებდა გაზეთ „ბარრიკადის“ 1920 წლის 25 ოქტომბრის პუბლიკაციას.

და დასძენდა, რომ:

მაშინ ერთი რამ გამორჩენოდა ნოეს პიროვნების ახატვისას: გახსენება მისი მამისა.

ნიკო ჟორდანია გრიგოლს „კვალის“ რედაქციაში გაეცნო 1902 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც ნოე იმყოფებოდა მეტეხის ციხეში, როგორც პოლიტიკური პატიმარი. და როდესაც ნოეს იგონებდა ხოლმე გრიგოლი, წინ ესახოდა ხოლმე მამამისი. ახსოვდა სიკეთე მისი თბილი გულისა და სინელე მისი ნათელი ხასიათისა: თვისებანი, რომელთაც გრიგოლი ნოე ჟორდანიას ბუნებაშიც ხედავდა.

— მე თქვენ პატივს გცემდით იქაც: საქართველოში, და აქაც: უცხოეთში.

ამიტომაც ყოველთვის კიცხავდა ყოველნაირ „გალაშქრებას“ ნოეს პიროვნების წინააღმდეგ და თამამად შეეძლო აღენიშნა: მის წინაშე ძვირად თუ ვინმეს გაებედა ნოეს სახელის აუგად ხსენება.

ასეთი პატივისცემა უფლებას აძლევდა გრიგოლს, მიემართა ხერხემალმაგარი მოურავისათვის ერთი საკითხის გამო, მითუმეტეს, რომ ეს თხოვნა პირადი ხასიათისა არ გახლდათ.

ხოლო ვიდრე თვითონ საგანზე გადავიდოდა, ზედმეტად არ მიიჩნევდა, ცოტა რამ ეუწყებინა თავისი ლიტერატურული მუშაობის შესახებ უცხოეთში. ნოე ჟორდანიას რასაკვირველია მოცალეობა არ ექნებოდა, თვალყური ედევნებინა ამ მუშაობისათვის.

ამასთან: სურდა ანგარიში ჩაებარებინა თავისი სამშობლოსათვის, და რასაც ქვემოთ ამცნობდა დამხობილ ხელისუფალს, სწორედ „ანგარიშჩაბარებად“ მიიჩნევდა — ქართველ ერს აქედან ვერ მიწვდებოდა: და ამიტომაც ანგარიშს ნოე ჟორდანიას აბარებდა, ერთი საათით, მაგრამ მაინც გახალიფებას რომ არგუნებდა ბედისწერა და ისტორია. და სთხოვდა მოესმინა:

გერმანიაში გამოექვეყნებინა ცხრა წიგნი:

ხუთი რომანი, ორი ლიტერატურული სურათი, ერთი წიგნი ნოველებისა და ერთიც ნარკვევების; გამოექვეყნებინა აგრეთვე ესკიზები კავკასიის შესახებ.

რომანები — „ჩაკლული სული“ და „მეგი“ — გამოიცემოდა ჩეხიაშიც. ეს მეორე თხზულება იტალიაშიაც გამოვიდოდა „მე-

დეას ნაწნავების“ სახელით. ფრანგულად ითარგმნებოდა „ქალღმერთის ძახილი“ და „მეგი“, ოღონდ ჯერაც ელოდნენ ეს რომანები გამოცემას — ატეხილი ომი ხელს შეუშლიდათ მთარგმნელთ, განეგრძოთ მოლაპარაკება გამომცემლებთან. ერთი ნოველა ითარგმნებოდა „ესპერანტოს“ ენაზეც. ესკიზი „იმამ შამილ“ გამოვიდოდა არაბულადაც: დაიბეჭდებოდა ერთ ჟურნალში. გერმანიიდან ჩამოიტანდა აქ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ კონას ლირიკული შაირებისა: „მომაკვდავი არწივი“. მცოდნენი, რომელნიც ამ კონას გაეცნობოდნენ, ამტკიცებდნენ ერთხმად: ის გვირგვინია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისაო.

მის შემოქმედებას დიდი გამოხმაურება ეპოვნა უცხოეთში და დიდი დაფასებაც რგებოდა. მის შესახებ არსებობდა საკმაოდ მოზრდილი ლიტერატურა — გულისხმობდა არა „რეცენზიებს“, უთვალავი რომ მოიყრიდა თავს, არამედ ვრცელ და საფუძვლიან „ნარკვევებს“. მაგალითისათვის გაიხსენებდა მხოლოდ ერთ ნარკვევს, რომელსაც გამოაქვეყნებდა ცნობილი ჟურნალი კათოლიკებისა „ჰოჩლანდ“, რვეული VI, 1934/35.

მანამდელი შეფასება-ეპითეტებისათვის თავიც რომ დაგვენებებინა, ავტორი ასე აბოლოვებდა განხილვას:

— ...რობაქიძე სინამდვილეში სახალხო პოეტია, როგორიც იყვნენ ესქილე, სოფოკლე, ჰომეროსი საბერძნეთისათვის, როგორც დანტე იტალიისათვის, დოსტოევსკი რუსეთისათვის, ჰელდერლინი და კლაისტი გერმანიისათვის; სახალხო პოეტი არა ხალხის მოძრაობის სოციალ-ფსიქოლოგიური გაგებით, არამედ უმაღლესი სასულიერო და რელიგიური სახალხო მნიშვნელობით.

ამაზე მეტი მართლაც რაღა უნდა თქმულიყო მწერალზე?

მოჰყავდა ეს ადგილი — ამგვარი დაფასება მისი შემოქმედებისა მრავლად მოიპოვებოდა — დასტურად მხოლოდ საქართველოს გენიისა, რომელსაც გრიგოლისათვის ძალა მოემადლებინა: პიროვნული გზით ეცნაურებინა ეს გენია სამშობლოსი.

თავისი ყოველი ახალი წიგნის გამოსვლას ასეც აუწყებდა ხოლმე აწ განსვენებულ დედას, გარდაცვლილს 1939 წელს:

— ეს არის ნაყოფი ქართული მიწის მადლისა, რომელიც მე შენი ძუძუებით მივიღე.

აი რა მოემოქმედებინა ჩვენი დაუვიწყარი მამულისათვის.

1945 წლის აპრილის მიწურულს დაეტოვებინა გერმანია.

და შვეიცარიაში ეპოვნა თავშესაფარი.

დიდი დახმარება გაეწია ამ მხრივ ხარიტონ შავიშვილს.

მიშა კედია ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენდა სამი თვის განმავლობაში. მაგრამ მერე კი ეტყოდა: მეტი აღარ შემიძლიაო.

და ჩავარდებოდა გრიგოლი საშინელ ყოფაში.

მისი სეხნია გრიგოლ ბერიძე გაიღებდა 100 ფრანკს, მაგრამ მდგომარეობა სულ უფრო და უფრო აუტანელი შეიქნებოდა.

დატრიალდებოდა ხარიტონი, არ დაზოგავდა არც ძალასა და არც დროს. თავგამოდებით შეეცდებოდა გამოსავლის ძიებას და დაუღალავადაც იბრძოლებდა მისთვის. ყოველმხრივ გამოიყენებდა თავის ნაცნობობასა და გავლენას სხვადასხვა წრეში. და ბოლოსდაბოლოს — ამა წლის მარტის დამლევს — კიდეც მიაღწევდა მიზანს: მოაწყობდა ბანაკში გონებრივად მომუშავე ლტოლვილებისათვის. და ახლა — მისი გარჯითა და წყალობით — გრიგოლსა და მის ცოლს ჰქონდათ ბინა და კვება უზრუნველყოფილი.

განვლილ თვეებს უნაყოფოდ არ ჩაევლო მისთვის.

ამზადებდა ერთ მოზრდილ წიგნს, სადაც ცდილობდა „ესეისტური“ დალაგებით გადმოეცა უკანასკნელნი ფესვნი ევროპის კულტურის ტრაგედიისა.

სქოლიოში შენიშნულია, რომ: იგულისხმება კრებული „ჭადრაკის დაფა“, რომელსაც შემდგომ ეწოდებოდა „ისიდას ჭასთან“.

ვინც იცნობდა გრიგოლ რობაქიძეს, როგორც მოაზროვნეს, გადაჭარბებულად არ უნდა მოსჩვენებოდა, რომ მას სრულიად ახალი და არსებითი რამ ჰქონდა სათქმელი კაცობრიობისათვის.

თვითონ სწამდა, და რარიგ სწამდა, რომ სწორედ ახალი და არსებითი და სწორედაც მთელი კაცობრიობის გასაგონად მას და მხოლოდ მას და დიახაც მას უნდა ეთქვა, ოღონდ... თუკი მანამდე შიმშილით ამოხდებოდა სული, რაღა გამოვიდოდა...

ამ წიგნის პირველი ნახევარი უკვე გაემზადებინა.

ბრუნო გოეტცთან მიწერილ ბარათში — 1946 წლის აპრილის შუა რიცხვებში — უფრო დააზუსტებდა დასრულებული მონაკვეთის რაობას, ორი ნაწილი რომ გაემზადებინა: „ოდანი და მისი საფრთხე: თორი“ და „ატომური ბომბი და ტექნიკური აპოკალიფსი“.

და დასძენდა, რომ:

ამ წუთას დაკავებულიყო ერთობ მნიშვნელოვანი პრობლემით, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევდნენ, თუმც ვერსად წაწყდომოდა, რომ ის საიდუმლო, რომელიც ამ პრობლემას „თან ახლდა“, თვით გენიალურ გამოკვლევებშიაც კი, ვინმეს ამოეცნო.

და აი მას და მხოლოდ მას, ღვთიური ზეშთაგონების წყალობით, ბოლოსდაბოლოს ეპოვნა ამ საიდუმლოს გასაღები; და გრძნობდა, რომ მოწოდებულიყო: ეს გასაღები კაცობრიობის სასიკეთოდ გამოეყენებინა.

საერთოდ ეს წიგნი ძალზე მნიშვნელოვნადაც ესახებოდა. ფიქრობდა, ის გარკვეულ წვლილს შეიტანდა მშვიდობიანი მსოფლიოს აღმშენებლობის საქმეში. და ღმერთის შეწევნის იმედიც ჰქონდა, რათა რამდენიმე თვეში წიგნი კიდეც გაემზადებინა თავის გუნებისად.

„ჭადრაკის დაფის“ — იგივე „ისიდას ჭის“ — პირველი ნახევრის წარმატებით მოთავება იმედით ავსებდა და აგულიანებდა, რომ ამ სიმაღლეს ბოლომდეც ასევე შეინარჩუნებდა.

მოეთავებინა აგრეთვე ერთი გამოკვლევა შესახებ საქართველოს გენიისა. ამ გამოკვლევაში იგი განიხილავდა „მსოფლ-სახეს“ ქართველთა: „სახეს“, არა ცალკეულთა მიერ „ხილულს“, არამედ ზეპიროვნული გენიის მიერ „შობილს“.

ქართველთა „მსოფლ-სახე“ არათუ გაეტოლებოდა იმ „მსოფლ-სახეს“, რომელიც მოეცათ უდიდეს ერებს — ჩინელებს, ინდოელებს, ირანელებს, ეგვიპტელებს, ებრაელებს, ბერძნებს, რომაელებს, კელტებს, გერმანელებსა და სხვებს — ზოგიერთ მუხლში წინაც უსწრებდა მათ „მსოფლ-სახეთ“.

წინ უსწრებდა მაინც რითი?

რითი და:

„ხილულის“ სიღრმითა და მისი პლასტიკური „ჩამოსხმით“.

ჯერ მარტო ქართული ენა რად ღირდა: ეს უგენიალურესი ქმნილება საკაცობრიო კულტურაში.

თითქმის ყოველი ქართული ელემენტი-სიტყვა მსოფლხედვის რომელიმე შინაგანი „ხრტილი“ გახლდათ: „ბედი“, „უფალი“, „ღვიძლი“, „მზე“, „სიტყვა“, „ნაყოფი“, „ცოდვა“ და უთვალავი სხვა — თვითეულში მთელი ფილოსოფიური ხილვა რომ ცნაურდებოდა.

ქართული ენა საბუთი იყო თავისთავად, რათა მისი შემქმნელი ზეპიროვნული გენია „უნივერსალურად“ ყოფილიყო ცნობილი. ამ გენიას კაცობრიობა ჯერ არ იცნობდა და — მიტევებას ითხოვდა გრიგოლი ამის გამჟღავნებისათვის: არ იცნობდა მას თვით ქართველობაც.

აი რა გამოკვლევა მოეთავებინა!..

და თუ როგორ იქნებოდა ეს ყოველივე გააზრებული და წარმოსახული, ადვილი მისახვედრი უნდა ყოფილიყო ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ადამიანთათვის.

ხარიტონ შავიშვილი რომ არ დახმარებოდა, ამას ცხადია ვერ შეძლებდა. და თუ მას უღრმეს მადლობას უცხადებდა ნოე ჟორდანიას წინაშე, ეს თანვე იმასაც ნიშნავდა, რომ: მადლობას უცხადებდა მთელ ქართველ ერს.

და აქ უკვე უშუალოდ იწყებოდა საგანი მისი მიმართვისა საქართველოს მთავრობის დამხობილი თავმჯდომარისადმი, რომელსაც უთუოდ მოეხსენებოდა ქართველ ლტოლვილთა საშინელი ბედი ევროპაში.

ძველ ემიგრაციას მიემატებოდა ახალიც — მათი ყოფა კიდევ უფრო უარესიც რომ იქნებოდა.

დაინგრეოდა ყველგან ქართული კერა — გარდა პარიზის სათვისტომოსი, რომელიც, რამდენადაც გრიგოლს სმენოდა, თვითონაც არასასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ლტოლვილი ქართველნი სად აღარ გაფანტულიყვნენ ამჟამად: გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში — ზოგიერთი ოსმალეთშიაც შეფარებულიყო და ეგვიპტეშიც.

შიმშილი, წყურვილი, სიცივე, დაავადება, სულიერი დამცირება, პიროვნების დაჩაგვრა, ადამიანის ღირსების სრული უგულებელყოფა — ესეც მათი უკუღმართი ხვედრი.

ვინც ბანაკში დამწყვდეულიყო, მისი ყოფა ხომ მთლად აუწერელი გახლდათ: და ასეთი მრავალი იყო. და დახმარება — ნივთიერი და სულიერი — უნდა გაეწია მათთვის ყველას, ვინც კი თავს „გადარჩენილად" მიიჩნევდა. და უკვე მათ შორის გულისხმობდა თავსაც გრიგოლი, ასე რომ ამბობდა: ჩვენ, „გადარჩენილებმაო".

მათ იცოდნენ, რომ შვეიცარია გადარჩენოდა ამ ჯოჯოხეთურ ომს და სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც უკეთეს სოციალ-ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა. იცოდნენ ისიც, რომ აქ ტრიალებდა საქართველოს ინტერესების დამცველი — ხარიტონ შავიშვილი. და აი სწერდნენ მას სხვადასხვა მხრიდან ჩვენი გაუბედურებული თვისტომნი. სწერდნენ და თხოულობდნენ: მიშველებას, დახმარებას. და... ამდენი უბედურების შემყურეს რა ეღონა ბატონ ხარიტონს?

იგი ქართველთა ინტერესებს ასე თავდადებით რომ იცავდა აქ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში — ეს ნოე ჟორდანიამაც კარგად იცოდა ალბათ.

ამ ორი დღის წინათ მას გრიგოლისათვის ეჩვენებინა ვრცელი არქივი, სადაც დაგროვილიყო ყველაფერი, რაც კი ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულიყო საქართველოს შესახებ ამ 25 წელიწადში.

ფასდაუდებელი მასალააო! — აღმოხდებოდა გრიგოლს, — ამ არქივის ნახვა საკმაოა, რომ სცნოთ მყისვე მოდგინე გული და მარჯვე ხელი შემკრებლისაო.

რა ეღონა რა, ბატონ ხარიტონს?

მას შეეძლო წითელი ჯვრის ხაზით მიშველებოდა გაჭირვებულ თვისტომთ. შეეძლო — ნოე ჟორდანიას მიერ უფლებამოსილს — შუამდგომლობის სახით მიემართა სოციალური თუ დემოკრატიული წრეებისათვის, მთავარი მესაჭეებისათვის ამჟამინდელი ევროპისა, რომ ამ გზით რაიმე დახმარება აღმოეჩინა ტანჯულ თვისტომთათვის. შეეძლო, მაგრამ — აქ თავსა ჰყოფდა სიცოცხლის მგესლავი „მაგრამ" — არ გააჩნდა არავითარი ნივთიერი საშუალება ამ ფრიად მნიშვნელოვანი და დაუყოვნებელი საქმის ასეთუისე მოსაგვარებლად.

კიდევ მეტი: არ გააჩნდა „საცხოვრებელი მინიმუმიც“ — და იძულებული გახლდათ დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე ლუკმაპურისათვის ებრძოლა.

სასოწარკვეთილ თვისტომთ რომ მიშველებოდა ზემოასახული გეზით, ამის გამო დასჭირდებოდა დროდადრო მგზავრობა ჟენევასა და ბერნს შუა — ამას კი საგზაო ფული უნდოდა, რაკიღა უწყებანი და დაწესებულებანი უმეტესად ბერნში თავმოყრილიყო.

დასჭირდებოდა გავლენიან პირებთან ტელეფონით გასაუბრებაც და მიმოწერაც — ამასაც ფული უნდოდა. ხანდახან შეხვედრაც დასჭირდებოდა მათთან — „შეხვედრა“ „მასპინძლობის“ აცდენით უხერხული რომ არის ყოველთვის, განსაკუთრებით მაინც ქართველის მხრივ.

ამრიგად ბატონ ხარიტონს არ შეეძლო შესაფერისადაც გაეშალა თავისი გავლენა.

უსახსრობას აქ ერთი რამ ერთვოდა კიდევ: ხარიტონს თვალები სტკიოდა და კითხვა თუ წერა გამადიდებელი მინით თუღა შეეძლო. და ადვილად წარმოიდგენდი მის წვალებას წერისა თუ კითხვისას.

მეტის თქმას ზედმეტად მიიჩნევდა და უშუალოდ მიმართავდა: ბატონო ნოეო!

მისთვის უკვე ცხადი უნდა ყოფილიყო მიზანი გრიგოლ რობაქიძის მიმართვისა — მას სურდა ყოფილ ხელისუფალს მოეხმო თავისთან თავკაცნი ქართველთა სათვისტომოსი მოსალაპარაკებლად. გრიგოლის ფიქრით შემდეგი პირნი: ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, ვახტანგ ღამბაშიძე, ვალოდია გოგუაძე, სპირიდონ კედია, საშა ქორქია, სამსონ ფირცხალავა, რაჟდენ არსენიძე, ჭიჭიკო ასათიანი, გიორგი კერესელიძე, სოსო გოგოლაშვილი — და სხვანი.

„ფიქრს“ ხაზს გაუსვამდა, რადგანაც წინასწარ იგულისხმებოდა, რომ ნოე ჟორდანია მოიხმობდა მათ, ვისაც საჭიროდ დაინახავდა.

წუხდა უღრმესად გრიგოლი, რომ: მოხმობილთა შორის ვერ იგულვებდა ვახტანგ ღამბაშიძის მეუღლეს: აწ განსვენებულ

ვანდას. ტომით უცხო — იგი გახდებოდა ნამდვილი ქართველი ქალი ვახტანგით და ვახტანგში იგი იხილავდა და შეიყვარებდა საქართველოს. იგი იყო ქართველ ემიგრანტთათვის დედა და და — ყველასათვის: ნათელი და დაუვიწყარი. გრიგოლი ისე შეერხია ვანდას გარდაცვალების ამბავს, რომ ვახტანგისათვის ჯერ კიდევ არ მიეწერა „სამძიმარი“ — იცდიდა, ვიდრე მონახავდა სანუგეშო სიტყვას ნამდვილს. მანამდე კი — ეგებ მოესმინა მას ეს სიტყვები ნოესაგან. სურვილი ჰქონდა გრიგოლს ამისა.

წუხდა აგრეთვე, რომ ვეღარც ვანო ჭავჭავაძეს მოიხმობდნენ. შეეტყო: გარდაცვლილიყო. ეს იშვიათი ადამიანი გაეცნო პარიზში ყოფნისას — 1943 წლის ივნისში. და წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებდა იგი გრიგოლის ხსოვნაში: ნელი, მშვიდი, ჩუმი, სიტყვაძვირი, ხოლო ისე გულგაშლილი, რომ სიტყვა არც სჭირდებოდა. ნათელი, კეთილი, სიყვარულით აღვივებული სამშობლოს მიმართ... და ამ აღმატებულ ეპითეტთა ჩამოთვლისას როგორ არ ამოეკვნესა გრიგოლს მწარე ამოკვნესით:

— ჰე, ასე ვსტოვებთ ამ სოფელს — სადღაც უცხოეთში გადახვეწილნი: სიკვდილის წამსაც ვერ გვიგემნია დამალბუნებელი საშო ქართული მიწისა...

მაგრამ გული მაინც არ უნდა გაგვტეხოდა, რადგანაც — მისი შეურყეველი რწმენით: ქართველი, რომელიც საქართველოს სახელს რამდენადმე მაინც გაამართლებდა, უცხო მიწაშიაც „დედა“-მიწას იპოვნიდა — ვინაიდან სახელი იგი, ეჭვიც არ ეპარებოდა, უნივერსალური მნიშვნელობისა და დანიშნულებისა გახლდათ...

და უცებ შეამჩნევდა, რომ გრძნობას წაეძლია — საგნისათვის გადაეხვია.

და კვლავ უშუალოდ მიმართავდა: ბატონო ნოეო!

ყოველი სიტყვა გრიგოლის ბარათისა, როგორც ამბობდნენ, „მისხლობით“ იყო აწონილი, და როგორც ასეთი: მართალი.

სჯეროდა — ენდობოდა ნოე ჟორდანია.

ცხრა მთას იქითაც რომ ყოფილიყო გადახვეწილი — დაშორებული ყოფილი მთავრობის თავმჯდომარისაგან — სწამდა: ნოე ჟორდანია მაინც დაენდობოდა შორიდან.

საიდან მოდიოდა ეს რწმენა?

1918 წლის შემოდგომის დამლევს იგი, როგორც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, დირექტივებს გადასცემდა განსვენებულ კარლო ჩხეიძეს — მეთაურად დანიშნულს საქართველოს დელეგაციისა — პარიზის კონფერენციაზე სახელმძღვანელოდ. ეს დირექტივები მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა. ერთ ცალს ამ საბუთისა ნოე ჟორდანია დაიტოვებდა, მეორეს კარლო ჩხეიძე მიიღებდა.

და ამ დირექტივების სიტყვიერ ჩამოსხმასა და ხელით გადაწერას მთავრობის მეთაური სწორედ გრიგოლ რობაქიძეს მიანდობდა: მაშინ გრიგოლი მთავრობის „საქმეთა სამმართველოში" მუშაობდა, როგორც ლიტერატურულად დამმუშავებელი მთავრობის დადგენილებათა.

აი საიდან მოდიოდა გრიგოლის რწმენა: მისადმი ნოე ჟორდანიას ნდობისა.

გაიმეორებდა:

ნოე უთუოდ ენდობოდა ყოველ სიტყვას, ამ ბარათში თქმულს. ეს გრიგოლს ღრმად სწამდა.

და ამ ბარათში აღძრულ საკითხს დამხობილი მთავრობის თავმჯდომარე კიდეც გაარკვევდა მოხმობილ პირთა წინაშე ისე, როგორც სჩვეოდა: მოკლედ, სხარტად, მკაფიოდ, „მაგრად".

მოხმობილი პირები — სჯეროდა გრიგოლს: ერთხმად გადაწყვეტდნენ: ყველაფერი ეღონათ მოსაპოვებლად დასახმარებელი ფონდისა, რომელიც შესაძლებლობას გაუხსნიდა ხარიტონ შავიშვილს: აქედან მიშველებოდა ტანჯულ თვისტომთ.

— ამით ვათავებ ჩემს მომართვას თქვენდამი, ბატონო ნოე.

თუკი პარიზის ქართველობა, ცოტაოდნავ მაინც, გრიგოლისთვისაც იზრუნებდა დროგამოშვებით — რადგანაც ადამიანს გარდა ბინისა და კვებისა ბევრი რამ სხვაც ესაჭიროება — მადლობელი დაურჩებოდათ.

და თუ დახმარებას ვერ შეძლებდნენ, ამას ცხადია გრიგოლი „სანყენად" არ მიიღებდა.

და იქვე აცნობებდა თავისი პიროვნული ხასიათის ერთ თვისებას:

საერთოდ მე „ნაწყენი“ ძვირად მიხილავს ჩემი თავი, რადგან მუდამჟამს მონდომებული ვარ, არ „ვანყენინო“ სხვას. ასე რომ: „წყენა“ მე არ ვიცი — გულის „ტკენა“ კიო.

სიტყვა მოიტანდა და... ბარემ გაუმჟღავნებდა, გული რას ეტკინა მისთვის.

ჯერ ერთი: პარიზის ქართველობამ იცოდა, რომ იგი ჟენევაში იმყოფებოდა და... არავის „მოეკითხა“ — უბრალო ღია ბარათითაც.

მეორეც: ლოზანაში ყოფილიყო თავადი მიხეილ სუმბათაშვილი რამდენიმე ხნის წინათ. და არ მოენახულებინა გრიგოლი. — მეჩქარებაო, — ეთქვა და ამით აერიდებინა მასთან სტუმრობა.

და მესამეც: მეორე წელია შვეიცარიაში იმყოფებოდა — როგორც ეუბნებოდნენ — აკაკი ჩხენკელის ძმა: კიტა. და როგორი წარმოსადგენია: გახსენების ბარათი რაა — ისიც არ მოსვლოდა დღემდე მისგან გრიგოლს. დარწმუნებული იყო: ბატონი აკაკი სათანადო დასკვნას გამოიტანდა აქედან...

იცოდა, ყველაფერი ეს „წვრილმანი“ გახლდათ — ხოლო ისიც იცოდა, ასეთი „წვრილმანი“ ხანდახან ძალიან დამახასიათებელი რომ არის. ასეთი მოქცევით რასაკვირველია ამას არა დაკლებოდა რა, მაგრამ „მაინც“ — ეს „მაინც“ გულისათვის ყველაფერი იყო — გული „ტკიოდა“ მაინც: როგორც ადამიანსა და როგორც ქართველს.

და კვლავ უშუალოდ მიმართავდა: ბატონო ნოე! წერილი გამიგრძელდა. დანარჩენი შემდეგისათვის იყოსო.

უსურვებდა მხნეობასა და მზეგრძელობას: როგორც იტყოდნენ ძველად ქართველნი.

პატივისცემისა და ერთგულების გამოცხადების შემდეგ პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა, რომ ამ ბარათს თან აყოლებდა შაირს „გოდება ქართველ დედისა“. დაწერილს 1943 წლის იანვარში. თან აყოლებდა — ასე ვთქვათ — როგორც „ემოციურ“ დამატებას.

ამ იმედს მოეჭიდებოდა გრიგოლ რობაქიძე: თუკი ბარათი ისერიგად ვერ შეუძრავდა გულს ნოე ჟორდანიას, ამ ემოციურ აკორდს კი უსათუოდ უნდა შეერხია, ლექსი „ქართველი ერის“ ფურცლებზე ამ სათაურით რომ გამომზეურებულიყო: „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“ (ბერლინი,

1943, №1-2). ხოლო მის ვარიანტს, რემინგტონზე გადაბეჭდილს, მოგვიანებით ავტორის მინაწერი უნდა დართვოდა:

— ჩემს დებს — ნინოს და ლიდას მოსაგონებლად ჩვენი დედისა. აპრილი 1961. ჟენევა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილი" რომ შეიქმნებოდა, გრიგოლ რობაქიძე შედევრად, ქართული პოეტური აზრის ერთ უკეთეს გამოვლინებად რომ შერაცხავდა, მეორე მსოფლიო ომის წლებში დაე მის თავისებურ გამოხმაურებად დაწერილიყო დედის პოეტური წერილი: წინა დღით ხმა რომ შემოსმოდა კართან, შვილი რომ ეგონებოდა და გულისცემა გახშირებოდა, წამოვარდნილიყო და... შვილი რომ არ დახვდებოდა, საგულე კიდეც გულს ცივად გარიყავდა. პაწია სიდონია, შვილიშვილი ხმათაფლა რომ ეკითხებოდა მამაზე: მალე მოვაო, — პასუხობდა დიდედა ხმადაბლა, ის კი ატყობდა, რომ... ცრემლებს უმალავდა მოხუცი.

უცხო ჩიტი მოფრინდებოდა, გნოლი, მოჟღურტულებდა რაღაც ამბავს უგნებად, დედას ეგონებოდა: სანუგეშოს მაიმედებსო, მაგრამ გული მაინც სხვას ეუბნებოდა.

ეგებ სციოდა შვილს უცხო არეში: ყინვები ყოფილა თურმე იქ ნამეტნავი. ნეტა თუ იყო კიდევ ცხრათვალა მზე საქართველოს იქით. ან ეგებ ეგდო შვილი სადმე დავრდომილი, დასტეხოდა შავად თავს უბედობა. ვინ ეგულვა დედას შვილის კეთილმდომელი, რომ დანელებით გაეწია მისთვის დედობა?!. გადაესვა ნაზი ხელი ყვრიმალთან, მოესხურა სხივი ნატვრისთვალისა, ირემივით მხრებში რომ გამართულიყო და მზეს შეხვედროდა ამომავალს ხალისად.

რა ვქნათ, შვილო! არ არის მეკომური,
არ ყვედრიდეს ეხლა ბედის-წერასა.
ნაღვლითაა სავსე ყველგან გომური,
რომ აკლია ვაჟი მყუდრო კერასა.

ცრემლის დენით დაშრეტილი დედები ეფინებოდნენ თმაგაშლილნი ტყე-ველთა: და საქართველოს მიწის საკურთხეველთან მიჰქონდათ ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით.

ვედრებაში დათუთქული გულები ისხმებოდნენ ერთ გულისცემად. ქართველ დედის ხელით დანერგულები მსხვერპლშეწირვით განაგრძობდნენ წმინდა გადმოცემებს.

დაე დედაღვთისა ყოფილიყო ამის მოწმედ:

იყვნენ ვაჟები გამძლენი ვით ურთხელი ულპობი. და გადაეცა შვილს თანამოძმეთათვის: მათთვის მიდიოდა დედების ლოცვა-კურთხევა.

ჰა იქნებ ამ ლექსს მაინც გაეჭრა, ვითომდა სასხვათაშორისოდ დართულს, სინამდვილეში ამხელა მოვალეობა რომ დაეკისრებოდა დასახმარებელი ფონდის შექმნისათვის, დანარჩენი კი უკვე ხარიტონ შავიშვილმა იცოდა და მისმა კაცობამ!..

მისი გულითადობის იმედად იყო გრიგოლი, 1945 წლის 25 აპრილს რომ მისწერდა:

უკვე შეიტყობდით ოჯახთან ერთად შვეიცარიაში ჩემი გავლით ყოფნის ამბავს. ვისურვებდი შეძლებისდაგვარად უზრუნველგეყოთ ამ ქვეყანაში ჩვენი ყოფნის ნებართვაო.

გრიგოლი აპირებდა ჟენევაში დარჩენას. ხარიტონთან შეხვედრისას სურვილი ჰქონდა ესაუბრათ ერთი დეტალის თაობაზე.

მომდევნო წლის 5-ში, ოღონდ თვე კი აღარ იკითხებოდა, გრიგოლი შეატყობინებდა, რომ: იმ დღეს ვეღარ უგზავნიდა ცნობებს და ხვალ მიაწვდიდა. წუხელ არ ეძინა — ნერვებაშლილს. თუმც გასაკვირიც რა იყო მის მდგომარეობაში.

ციურიხიდან ელოდებოდა მცირე თანხას. თუ არ ჩამოუვიდოდა ამ დღეებში — როგორი წარმოსადგენი იქნებოდა მისი გასაჭირი. დიდ წუხილს გამოთქვამდა, რომ გუშინ ხარიტონს ნერვებაშლილი ელაპარაკებოდა პირველ წუთებში. უბოდიშებდა. უმეორებდა, რომ ცნობებს ხვალ გაუგზავნიდა. თუ ის საჭიროდ ცნობდა შევსებას ან რაიმეს შეცვლას — იმედოვნებდა, რომ წინასწარ მოელაპარაკებოდა. თუ შემოუვლიდა — გრიგოლი დიდად დაუმადლებდა. უსურვებდა სიმხნევესა და მარჯვედ ყოფნას.

თუ პირველ ბარათში ასე მიმართავდა: ჩემო ძვირფასო თანამემამულევო; მეორეში კი — ბატონო ხარიტონო, — 1946 წლის 23 აპრილს უკვე: ძმაო. და მერე „ბატონო" და „ძმაო" შეენაცვლებოდა ხოლმე ერთიმეორეს.

ამცნობდა, რომ მისი დიასახლისი ნერვიულობდა: ჯერ არ მომსვლია წერილობითი ნებართვა და თქვენს გადმოსვლას პოლიციას ვერ ვაცნობებო.

გრიგოლი ხომ ნერვიულობდა და ნერვიულობდა საშინლად.

თუ საქმე არ მოგვარდებოდა, უბედურება იქნებოდა: გარდა იმისა, რომ ბინა დაეკარგებოდა — ამდენ გაწეულ ხარჯს რითი აინაზღაურებდა? და სთხოვდა:

— უნდა გვიშველოთ ამ საქმეში.

იქნებ დაერეკა დღეს ხარიტონს, როცა მოახერხებდა

თუ დღეს ვერ მოახერხებდა, მაშინ ხვალ დაერეკა დილის 9 საათზე.

ხარიტონისაგან ბევრი დახმარება ახსოვდა — და ეგებ ეს გართულებული საქმეც მასვე მოეგვარებინა. იმედოვნებით იმედოვნებდა და... მიდევნებით მაინც მიადევნებდა: დახმარების დაფასება მე ვიციო.

2 მაისს მისწერდა, რომ: დღეს დილით ურეკავდა ტელეფონით, მაგრამ ხარიტონი შინ არ იმყოფებოა. გრიგოლ ვეშაპელის წიგნი უნდა დაებრუნებინა ბიბლიოთეკისათვის, რადგანაც ვადა გასდიოდა. და რა ეღონა — აღარ იცოდა. სთხოვდა შემოხმიანებოდა ტელეფონით ხვალ — ან სადილობამდე და ან ნასადილევს, თუ თვითონ არ იქნებოდა შინ, დაებარებინა მისი მეუღლისათვის: სად და როდის შეეძლებოდა გადმოეცა გრიგოლისათვის ის წიგნი.

კბილების ხიდი გატყდებოდა და ძალიან ცუდ გუნებაზე დამდგარიყო, და ესეც მიზეზი, აქამდე რომ ვერ გამოხმაურებოდა.

ამ დღეებში მოეთავებინა ახალი წიგნი: „ატლანტიდის ზმანება ანუ ქართველთ მითოსი“ — რომელშიაც გადმოეშალა მითიური სამყარო, საქართველოს გენიის მიერ ხილული. ამ წიგნს „აღმოჩენად“ მიიჩნევდა მთელი ქვეყნისათვის — და ცხადია ქართველთათვისაც.

უსურვებდა სიმხნევესა და კარგად ყოფნას.

და ელოდა ტელეფონით გამოძახილს.

7 ნოემბერს მისწერდა, რომ:

როგორც იქნა გადაწერდა ნოე ჟორდანიასადმი მიმართულ ბარათს. მთელ საღამოს მოანდომებდა. ძნელი გახლდათ ლათინური ასოებით ქართული ტექსტის გადაწერა მანქანითაც.

ეგებ ხარიტონს მისამართი გაესინჯა — სწორად იყო დაწერილი თუ არა.

ბარათში სულ გამოტოვებდა იმ ადგილს — ორ-სამ სტრიქონს — სადაც ალიაზე ლაპარაკობდა: შვილივით გაზრდილ ცოლის დისშვილზე.

გაახსენდებოდა: როდესაც მის საქმეებზე უიმისოდ ლაპარაკობდა, შემდგომ — მასთან გასაუბრებისას — ხშირად გაუგებრობა მოჰყვებოდა ხოლმე.

თავისი ბარათი, რომლის თვითეული სიტყვაც — როგორც შიგნითაც აღნიშნულიყო — „მისხლობით“ აეწონა, არა სურდა დაემძიმებინა ფიქრითაც კი შესაძლო გაუგებრობაზე. ამიტომაც გამოეტოვა ის ადგილი.

ამით ბარათი ერთ ნვეთსაც მნიშვნელობისა არ დაჰკარგავდა — შინაგან ძალას კი კიდეც მოიგებდა.

დღეს დილით ფეხი აუსხლტებოდა და იატაკზე დაეცემოდა. რამდენიმე წუთს ვერც კი წამოდგებოდა. დაბეგვით მთელი სხეული დაებეგვებოდა.

უსურვებდა ხარიტონს სიმხნევესა და კარგად ყოფნას.

ერთგულების გამოცხადების მერე კი დასძენდა, რომ: თავისი მისამართი ბარათის თავში აღენიშნა, კონვერტზე კი (ნოესათვის) აღარ იყო საჭირო — რადგანაც ფოსტით აქედან არ იგზავნებოდა.

მომდევნო ბარათი 1948 წლის 15 თებერვალს გაიგზავნებოდა და შეატყობინებდა რამიშვილის წერილიდან იმ ცნობას. ავსტრიის დასავლეთის ზონებში 45-მდე ქართველი რომ იმყოფებოდა. თვითონ ამ კვირის ბოლოს ჟენევაში იქნებოდა უკვე. კიტა ჩხენკელი კი საავადმყოფოში მოხვედრილიყო.

1 მარტს აცნობებდა, რომ: ოთახის საკითხი მოგვარებულიყო პიკოსთან. დაე ხარიტონს შემოევლო — თუკი შეძლებდა — დღეს ან ხვალ საღამოს. თუ არადა — დაერეკა მაინც. და დაწვრილებით მოუთხრობდა თავიანთი საქმის ამბავს.

ახლა სჭირდებოდათ ნებართვა კანტონისაგან აქ ყოფნისათვის. დაყოვნება არ ივარგებდა. ხარიტონის დაუხმარებლად არაფერი გამოვიდოდა — მის მეტი მომგვარებელი არავინ იყო ამ საქმისა. ძალიან დაუმადლებდა, თუკი შემოუვლიდა.

ერთგვარი მობოდიშებით დასძენდა:

რადგან თქვენთან პასუხი არ იყო და საკითხი — ოთახისა — ვერ ითმენდა დაყოვნებას — ამიტომაც ჩვენ თვითონ გადავდგით ნაბიჯიო.

19 აპრილს შეატყობინებდა, რომ: ეშოვნა ის ბინა: ეკოლ-მედისონის სანაპირო 8, მესამე სართული. და მეორე დღეს აპირებდა იქ გადასვლას.

ორი დღით ადრე კი: 1948 წლის 17 აპრილს აკაკი ჩხენკელს გაუგზავნიდა ბარათს, „დიდად პატივცემულოთი" რომ მიმართავდა და გულისტკივილით დასძენდა, რომ: ხელით წერა თანდათან უძნელდებოდა: დიდი ხანია გადაჩვეოდა — ქართული საბეჭდი მანქანა კი არ გააჩნდა. მაშ უნდა დაკმაყოფილებულიყო „მოკლე სიტყვით".

„დიდად პატივცემულო" არ მიეწერა მარტოდენ ზრდილობისათვის: მართლაც დიდ პატივს მიაგებდა, რადგანაც უკვე ორმოცი წელია თვალს ადევნებდა აკაკი ჩხენკელის მამულიშვილურ მოღვაწეობას.

ერთი რამ გამხდარიყო გრიგოლისათვის საგულისხმო:

ეს პიროვნება, ერთ-ერთი დამფუძნებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, ყოველთვის ზეპარტიული საზომით გამოდიოდა, როდესაც მის წინაშე წამოიჭრებოდა საკითხი ჩვენი მამულისა და დედულისა: საქართველოსი.

განსაკუთრებით გამოაშკარავებულიყო ეს 1917 წელს, „ეროვნული ყრილობის" დროს.

ამ ყრილობას გრიგოლი აღფრთოვანებული წერილითაც — „ისტორიული წამები" — გამოეხმაურებოდა გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე. იმავდროულად კი რუსულ გაზეთ „რესპუბლიკაში" აკაკი ჩხენკელის სილუეტსაც მოხაზავდა.

„ისტორიული წამები" ჩვენი ეროვნული ტემპერამენტის წარმოსახვით დაიწყებოდა: ქართველი ძლიერი რომ ხდებოდა უფსკრულის პირას მიყენებული. მანამდე თითქოს სუსტი იყო და მოღალული: ხელის მოქნევა — იჭვნეული, და ნება — ძალზე მინელებული. ხოლო როცა პირღია უფსკრულს მიადგებოდა, სადაც მხოლოდ საშინელი გადაჩეხვა გახლდათ მოსალოდნელი,

მაშინ იგი, ვით შმაგი ვეფხი საფრთხის წინაშე, იკუმშებოდა სასტიკი ძალმოკრებით და უტეხი ძლევამოსილებით აელვარებდა მახვილს.

ამას მოწმობდა მრავალი ტეხილი საქართველოს ისტორიისა.

ამას აცხადებდა მრავალი ფაქტი ქართველის სიცოცხლისა.

დაჭრილი ქართველი დაჭრილი ვეფხის ნახტომით თვითნებობდა.

ამ გასაოცარ თვისებას ამ ისტორიულ დღეებშიაც მარჯვედ გამოვაჩენდით: მსოფლიოს მოსდებოდა ომის ცეცხლი. სამყარო იწვოდა. მიწის პლანეტა ქაოსის ფრთებით უფსკრულისაკენ მიექანებოდა. რუსეთს წაიღებდა რევოლუციის ქარიშხალი. დაირღვეოდა საუკუნეობით ნაჭედი. დაიმსხვრეოდა ყოველი. შემოქმედება გაიყინებოდა. აპოკალიფსის „მცხრალი ცხენის“ ლანდი ითარეშებდა ყველგან. ყოველი მხრივ უფსკრული გაითხრებოდა.

და აი ამ „განკითხვის ჟამს“, როცა საქართველოსაც დაუდგებოდა ბედისწერითი საშინელებით კითხვა „ყოფნა-არყოფნისა“, იგი გამოიჩენდა ნამდვილ ვაჟურ ძლიერებას: აჩქარებული ქართველი სიდინჯით გაიმართებოდა; იმპულსური ქართველი ფიქრით გაიჭედებოდა; მოღლილი ქართველი ნების ფოლადს გაამახვილებდა.

ეს მოხდებოდა საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე და ამ ყრილობით დაიწყებოდა ჩვენი ახალი უღელტეხილი.

ჯერ თვითონ „გარე-სახე“ ყრილობისა.

მრავალ ქართველს მოიცავდა შიში, ვაითუ „პროვინციული“ გამოსულიყო ყრილობა. და გრიგოლ რობაქიძე დასძენდა, რომ: არსებობდა რაღაც საცნაური „პროვინციულსა“ და „სატახტოში“, და ეს არ იყო უბრალო დაპირისპირება: არც გეოგრაფიული და არც ადმინისტრაციული, რადგანაც ამ დაპირისპირებაში უფრო ღრმა შინაარსი გახლდათ ფარულად ნაგულისხმევი:

სიცოცხლე თავისთავადური, თავისუფალი („სატახტო“)

და სიცოცხლე ფუნქციონალური, დამოკიდებული („პროვინციული“).

საბედნიეროდ ქართველთა ყრილობაზე ეს შიში არ გამართლდებოდა: პირიქით: ყრილობას უთუოდ დაეტყობოდა „სახალ-

ხო სტილი“ აკაკი ჩხენკელის შესავალი სიტყვიდან ნოე ჟორდანიას უკანასკნელ სიტყვამდე.

აქ იქნებოდა ერის ხელმწიფებითი თავისთავადობა, აქ იქნებოდა პოლიტიკური გამოცდილება, აქ იქნებოდა ზომა-შერჩენილი დიდი ისტორიული პათოსი.

ყოველი ეს „გარე-სახე“ იყო თითქოს, მაგრამ თუკი ღრმად შევიცნობდით, მის გარეგან სამოსელში მეტად გულისხმიერ „შინა-სახეს“ დავინახავდით.

გრიგოლ რობაქიძე დაინახავდა კიდეც ასეთ სახეს, და ეჭვიც არ შეეპარებოდა, რომ ყველა მასავით აღიქვამდა და განიცდიდა ყრილობის მსვლელობას.

ყრილობა დაირაზმებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ზოლებით?

მაგრამ მიუხედავად ამისა საოცარი ის აღმოჩნდებოდა, რომ მთელი ყრილობა ერთ მაგარ რაზმად წარმოდგებოდა.

აღარსად გამოჩნდებოდა ჩვეული ჯგუფური დაყოფა, აღარსად მოისმოდა საშინელი „შენჩემობა“, აღარ იქნებოდა: შუღლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა.

ამ ყრილობაზე მოისპობოდა საქართველოს ისტორიის პირვანდელი ცოდვა: არწამება მთელისა და ნაწილთა შორის ერთიმეორის მანადგურებელი განხეთქილება.

აქ შეიგრძნობდნენ იქმყოფნი პირველად ნამდვილ ეროვნულ ქმედით ეროსს: სიყვარულს არა რაღაც განყენებულად, არამედ ჭეშმარიტი ცოცხალი არსისა. ყრილობა ამხელდა შეუცნობელ სიყვარულს საქართველოსადმი, რომელიც თურმე მიყუჟებული ცეცხლივით ყოფილიყო მიმალული ჩვენში.

საქართველოს აღიმართებოდა როგორც დიადი მთელი: დადგებოდა ყოველ განსაზღვრებაზე მაღლა: გამოცხადდებოდა როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი.

საქართველო გაარღვევდა ყოველგვარ რკალს და თვითვე გაიშლებოდა უხილავ ერთ უსაზღვრო მზეოსან რკალად...

ეს რკალი მოიცავდა უნებურად ყრილობის მონაწილეთ და გრიგოლ რობაქიძესაც — დაკარგულები ნეტარებით ჩაიძირებოდნენ მის თბილ ნირვანაში. განიცდიდნენ საქართველოს მთე-

ლი მისი ისტორიული სჩეულებით, როგორც ფშანები განიცდიან ფესვებს ათასი წლის მუხისა. აენთებოდა ქმედითი ეროსი იქმყოფთა და იგრძნობოდნენ მთელ საქართველოს ვით ეროვნულ ტანს — მრავალ საუკუნეს შორის ხორცშესხმულს. მათში აღიმართებოდნენ წინაპარნი: კეთილშობილი რაინდები მრისხანე მახვილებით და მზითმოსილი შემოქმედნი გენიალური პროფილებით.

გადაილახებოდა ყოველი ზღუდე.

დაიმსხვრეოდა ყოველი ზღვარი.

და ნოე ჟორდანია თავისი ისტორიული სიტყვით ამ ფსიქოლოგიურ ამბავს დაადასტურებდა: ამიერიდან არსებობს ერთი ქართველი ერიო!..

ყრილობაზე გაისმოდა ერთი რამ დამაფიქვრელიც.

ყველა იმას ამტკიცებდა: საქართველოს თავისუფლება ნაყოფია რუსეთის რევოლუციისაო. ბევრს შესაძლოა ეს ფორმულა ისე გაეგო, როგორც ჩვენი ძალებით კი არა, გარეშე ძალებით მოგვეპოვებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

გრიგოლ რობაქიძე არაფრისდიდებით არ დაეთანხმებოდა ამ მოსაზრებას: წყალწყალასა და მიკერძოებულს.

ჯერ ერთი: რუსეთის რევოლუციის ავანგარდი იყო და რჩებოდა საქართველო. რამდენი რაინდი რევოლუციონერი მიეცა რუსეთისათვის საქართველოს!.. რუსეთის რევოლუციის ისტორია საქართველოს გამორიცხვით არასგზით არ დაიწერებოდა.

ქართველი ხომ რევოლუციონერი გახლდათ ტემპერამენტით.

დაე დავკვირვებოდით:

როდესაც რუსეთი რევოლუციიდან ანარქიისაკენ მიექანებოდა, საქართველოს მთელ ამიერკავკასიაში განაგრძობდა რევოლუციის ორგანიზატორულ გზას. საქართველოს რევოლუციის ცეცხლის შესანიშნავ კუთხედ მოჩანდა და მაშ „სხვისით" არც შეიძლება შობილიყო მისი თავისუფლება.

და თავი და თავი: ერი, რომელიც ჰქმნიდა ასეთ ერთსულოვან ყრილობას, ერი, რომელიც აცხადებდა ასეთ სახელმწიფო შეგნებას, ერი, რომელიც ასეთი ზომით აფოლადებდა თავისთავადურ ნებას, „თავის-უფალი" გახლდათ თავისით და მაშასა-

დამე იმთავითვე თავისუფალი: იგი ასეთ ჟამს მხოლოდ უხეშ მონობას იცილებდა თავიდან.

საქართველოს ისტორიაში ახალი უღელტეხილი აღიმართებოდა მზეოსანი: ქართველი იხილავდა საყოფელ საქართველოს. ამიერიდან საქართველოს არა უშავდა რა. და მრავალი ქართველი, მომსწრე ამ ისტორიული წუთებისა, უთუოდ იტყოდა:

— აწ განუტევე მონა შენი.

ხოლო ქართული ეროვნული ყრილობის მსვლელობასა და ჭეშმარიტ არსს რუს მკითხველსაც რომ გააცნობდა, მის კომპოზიციურ ქარგას ხუთ სილუეტს დააყრდნობდა და გახსნიდა აკაკი ჩხენკელით, რომელსაც მოჰყვებოდნენ: ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, კოტე აფხაზი და ნიკო ნიკოლაძე.

აკაკი ჩხენკელი — საშუალო სიმაღლის, მსხვილი, ჯმუხი, მძიმე, გახსნილი ფართო მიამიტი სახით — გრიგოლზე იმ ისტორიულ წუთებში დატოვებდა პირველქმნილი სისადავის, თითქმის შეურყვნელი „შავმიწანიადაგის“ შთაბეჭდილებასს. მასში არ მოჩანდა ფაქიზი რაფინირებულობა, არ მოჩანდა ნიშანდობლივი დახვეწილი შტრიხები, მასში ერთგვარი „სიბრტყელეც“ კი იწვევდა გაოცებას, თუმც ამ ყველაფრის მიღმა იგრძნობოდა პირველყოფილი ძალა, მტკიცე, მებრძოლი სული.

იდგებოდა ლამის გაუნძრევლად, ორივე ხელით მაგრად ჩაჭიდებული პრეზიდიუმის მაგიდას. და გრიგოლი ისე გრძნობდა: ხელები მძიმე კორპუსის დაწოლისაგან დაძაბვიაო. თუმც ამასთანავე მის ფიგურაში გააოცებდა რაღაც მოზღვავებულ ძალთა მართვის უნარი. ლაპარაკობდა უბრალოდ, თანაბრად, თეატრალური აფექტებისა და მაღალფარდოვანი პათოსის გარეშე. მასში საერთოდ არ იქნებოდა „ელვარე დიდებულება“ — რომანული რასის ბევრი ორატორის მსგავსად. მის ლექსიკაში არსად გაკრთებოდა გადაპრანჭული სიტყვები და სახეები, მისი მეტყველება არ მოგაგონებდა ფაქიზად ნაშენ არაბესკებს, მის ბაგეებს არ მოწყდებოდა აფორიზმთა კრისტალები, იგი ორატორიც კი არ გახლდათ ამ სიტყვის მკაცრი გაგებით.

მიუხედავად ამისა: დაუვიწყარ შთაბეჭდილებას დატოვებდა.

რაში იმალებოდა მისი მეტყველების საიდუმლო?

გრიგოლ რობაქიძეს ასე უნდა აეხსნა, თანაც ადვილად:

აკაკი ჩხენკელი უპირველესად თხემით ტერფამდე რევოლუციონერია, რომელსაც რევოლუციური ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. მოეპოვება მტკიცე, ნაცადი მრწამსით ნათელი მომავლის ურყევი რწმენა, საზოგადოებრივი გარდაქმნის ბოლომდე მოფიქრებული გეგმა. და ეს თავისთავად ძალიან გხიბლავსო.

ამასთან: უბრალო გახლდათ, და ეს უბრალოება არ იყო პროვინციული. მას გავლილი ჰქონდა პარლამენტარიზმის სკოლა და მის უბრალოებას ამიტომ არ დაჰკარგავდა ოდნავადაც კი იაფფასიანი, ვულგარული პოზა.

თავი თავისუფლად, მეფურად ეჭირა.

გაეცნობიერებინა მძიმე პასუხისმგებლობა — ნამდვილი რევოლუციონერის თვისება. მასში არ იგრძნობოდა ცრუ პათოსი, მის კილოში არ შეიმჩნეოდა სიყალბის ნასახიც. და ამ ყოველივეს იგი გამოავლენდა 19 ნოემბერს, როდესაც — როგორც საქართველოს ინტერპარტიული ბიუროს თავმჯდომარე — გახსნიდა ჩვენს ეროვნულ თავყრილობას.

როგორ განსაზღვრავდა გრიგოლი ნამდვილი ორატორის ხელოვნებას?

„უბრალო საგნებსაც" კი მიანიჭოს ისტორიული მნიშვნელობაო.

და აკაკი ჩხენკელის გამოსვლით იმიტომაც დარჩებოდა აღტაცებული, რომ: იგი შესავალი სიტყვით ხელშესახებად გვაჩვენებდა ამ ხელოვნებას: „უბრალო საგანსაც" ისტორიულ სიმაღლეზე აზიდავდა.

ყველა არტისტს — ამ სიტყვის ფრანგული მნიშვნელობით — რომ მოეხსენება „სწორი ტონის დაჭერა", აკაკი ჩხენკელი სწორედაც რომ ამ „სწორ ტონს" დაიჭერდა. და ამას ხელს შეუწყობდა ისიც, რომ საკითხის სერიოზულობა სრულყოფილად გაეაზრებინა.

ეს იგრძნობოდა მისი ყოველი სიტყვის მიღმა... და წერდა ამ ფრაზას გრიგოლი და მერე მაინც ამგვარ შეფასებას ამჯობინებდა: მთელი მისი სხეულითო.

სიტყვა დაიწყებოდა სუფთა „საქმიანი" ტონით, თუმც შემდეგ სრულიად შეუმჩნევლად შემოაპარებდა „ფრთიან გამოთქმებს" და მათ მიანიჭებდა დასაბამიერ სიცხოველესა და უბიწოებას.

თავიდან ბოლომდე რომ შეინარჩუნებდა პათოსს, კიდევ უფრო გააძლიერებდა მას „დამასრულებელი სიტყვების" წარმოთქმისას. და გრიგოლ რობაქიძე ისე შთაინთქმოდა საერთო განწყობილებაში და ისე აღტაცდებოდა ამ ლოზუნგური ფრაზებით:

— ქართული თვითმმართველობა საკუთარი კანონმდებლობით!

— ამ ეროვნულ კრებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს დამფუძნებელი კრება.

რომ არანაკლები სიმძაფრით აღიქვამდა ამ ლოზუნგებსაც:

— გაუმარჯოს რუსეთის ერთიან მთლიან დემოკრატიულ ფრონტს!

— გაუმარჯოს თავისუფალი რუსი ხალხის რესპუბლიკურ მთლიანობას!

— ხალხის ინტერესების დაცვა იმავდროულად ერთიანი რუსეთის დაცვაა!

— ხალხის დამოუკიდებელი გაძლიერება ნიშნავს ერთიან მებრძოლ კავშირში მათ მონაწილეობას!

და ყველას ერთობლივად მიიჩნევდა პოლიტიკური გონების ნაყოფად, როგორც სოციალური, ისე ნაციონალური შეფერილობის ტემპერამენტით რომ აღბეჭდილიყო.

ორატორი ამ სიტყვებს თავდაჯერებით, თამამად, მბრძანებლური კილოთი რატომ წარმოთქვამდა?

გრძნობდა, გრძნობდა, რომ კრება საერთო ექოდ გამოეხმაურებოდა.

და ყრილობაც ნამდვილად ეხმაურებოდა საერთო ექოდ, და ყრილობის პათოსი იქნებოდა ნამდვილი და გულწრფელი. და გრიგოლს ისიც მოეწონებოდა, რომ: ორატორის სიტყვებში არცერთ მომენტს — სოციალურსა თუ ნაციონალურს — უპირატესობა არ მიენიჭებოდა — ისინი სწორედ რომ თანაბრად გამჟღავნდებოდნენ.

გრიგოლი მოუწონებდა იმასაც, რომ:

აკაკი ჩხენკელი დიდი წარმატებით შეძლებდა თავადაზნაურობის ნიჭის გათავისებას: როდესაც მიაგებდა სათანადო პა-

ტივს ქართველ თავადობას მისი რაინდულად კეთილშობილური ჟესტისათვის, რომელიც მას პირველობის უფლებას აძლევდა რუსეთის თავადობასთან მიმართებით, ორატორი ამავე დროს არ დაივიწყებდა, რომ ქართველი თავადობა მაინც უნდა დამორჩილებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს; ამ ინტერესთა გამომხატველად კი ქართულ დემოკრატიას დაასახელებდა, რომელიც უნდა ყოფილიყო და იქნებოდა კიდეც მემკვიდრე და მმართველი ქართველი ხალხისა.

თავადობისაგან პირადი საკუთრების მიღებას სიმბოლურ აქტად მიიჩნევდა ყრილობის გამხსნელი და დასძენდა: საქართველოს, სახელმწიფო-ფორმალური მნიშვნელობით, არ გააჩნია საკუთრება, თუმც უნდა ჰქონდეს და ექნება კიდეცო.

გრიგოლი არ ცდილიყო აკაკი ჩხენკელის სიტყვის ზედმიწევნით გადმოცემას, სურდა მისი საუბრის მხოლოდ რაღაც მომენტები მოეხაზა. მთავარი კი მისთვის მაინც ის გახლდათ, რომ: ასეთი ყრილობის გახსნა ძალიან ძნელია, აკაკი ჩხენკელი კი ამას ნამდვილად შეძლებდა.

ბოლო დრომდე გამოჰყვებოდა გრიგოლ რობაქიძეს ეს კრძალვაც და პატივისცემაც აკაკი ჩხენკელის, ნოე ჟორდანიასა და საერთოდ სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთის წინაშე, რატომღაც ბოლშევიკთაგან რადიკალურად განსხვავებულებად რომ აღიარებდა, და ბოლომდე დაიჯერებდა იმასაც, თითქოს ქართველ თავადაზნაურობას თავისი ნებით გადაეცა პირადი ქონება სახელმწიფოსათვის, სინამდვილეში კი — ხელისუფალთათვის.

ვერ დაიჯერებდა მენშევიკთა გაპატრიოტებას შალვა ამირეჯიბი.
ვერ დაიჯერებდა მენშევიკთა გაპატრიოტებას რევაზ გაბაშვილი.
ვერ დაიჯერებდა ვერც ზურაბ ავალიშვილი.
ვერც მიხაკო წერეთელი.
ვერც დათა ვაჩნაძე.
ვერც ქაქუცა ჩოლოყაშვილი...

და ვერც მენშევიკთა და ბოლშევიკთა შორის დაინახავდნენ რაღაც დიდ განსხვავებას, ეგაა — ბოლშევიკები ველური ფორმებით ახორციელებდნენ უკეთურ მიზნებს, მენშევიკები უფრო თავდაჭერილად, სათავისოდ მორგებული კანონებით ეპატრონებოდნენ

— სწორედ მათ დროს დაიწყებოდა ეკლესიისა და სამღვდელოების შევიწროებაც და თავადაზნაურობისაც, მათ ქონებას, მათ პირადი საკუთრებას ხელთ რომ იგდებდნენ და... მადლობას გამოუცხადებდნენ „ნებაყოფლობითი" გადაცემისათვის.

ნებაყოფლობით, როგორ არა!..

და თუ თავიანთ საკუთრებას არ დაიცავდა თავადაზნაურობა და უდრტვინველად შეეგუებოდა სამთავრობო ექსპროპრიაციას, მხოლოდ იმიტომ: ხელისუფლებასთან ჩვენი დაპირისპირებით რუსეთმა არ ისარგებლოს და ნანინანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ხელში არ ჩაგვიფშხვნასო.

გრიგოლ რობაქიძეს სული რომ შეეხუთებოდა ბოლშევიკური მმართველობის ხანაში და ღმერთს მადლობას შესწირავდა, გერმანიაში გამოღწევა რომ შეძლო, უფრო სასიამოვნოდ ახსენდებოდა მენშევიკთა მმართველობის ხანა და მათთან თანამშრომლობა, რატომღაც რომ დაავიწყდებოდა, ბოლშევიკთა გახელისუფლებისას მათთანაც რომ მოაგვარებდა ურთიერთობას და თანამშრომლობასაც ააწყობდა...

თავიდან აკი ფრთხილობდნენ ბოლშევიკი მმართველები, ვიდრე რკინის სალტეებს ამოუჭერდნენ ეფემერული დამოუკიდებლობით ოდნავ სულმოთქმულ ქვეყანას.

მენშევიკებს რომ გაგრძელებოდათ ქვეყნის მმართველობაში ყოფნა, ვითომ მაშინაც არ შეეხუთებოდა სული გრიგოლ რობაქიძეს?..

ბარემაც, ბარემაც...

რაც არის თუ როგორც არის, აკი კვლავაც იმავე თვალსაზრისზე იდგებოდა 1948 წელსაც, თუნდ აკაკი ჩხენკელის მაშინდელ — 1917 წლის — სილუეტს კვლავაც უცვლელად რომ გაიზიარებდა, ყოველგვარი ჩასწორება-კომენტარის გარეშე, ის კი არა, ეს პიროვნება „გულით" რომ აღიქვამდა სამშობლოს, ეს გარემოება კიდევ უფრო ნათელი გამხდარიყო გრიგოლისათვის, როდესაც 1943 წლის ივნისში პარიზის ქართველთა სათვისტომოს წინაშე წარდგებოდა მოხსენებით: „საქართველოს სათავენი".

აკაკი ჩხენკელი პირველ რიგში იჯდებოდა, მომხსენებლის პირისპირ.

და ხშირად მოხსენების რომელიმე ხვეული, გულმწდომი და გულამანათლებელი, მასში ნეტარების ცრემლებსაც კი გამოიწვევდა.

ეს სურათი არასოდეს დაავიწყდებოდა გრიგოლ რობაქიძეს.

და ეიმედებოდა, რომ: ადრესატი იმგვარივე გულისხმიერებით მოისმენდა გრიგოლის სიტყვას დღესაც. ეს სიტყვა ხომ არამარტო გრიგოლს ეხებოდა „პირადად", არამედ თვითონ ქართულ „საქმესაც" — არ იყენებდა ყალბად ხმარებულ სიტყვას: „ამოცანა".

ქართველობას ერთხელაც ხომ უნდა გაეგო, თუ ვინ გახლდათ გრიგოლ რობაქიძე.

ამისათვის აამეტყველებდა ფაქტებს.

ჯერ ერთი:

ქართული ენა, ეს უგენიალურესი ქმნილება ენათა შორის, დროთა უკუღმართი ვითარებით: წაირყვნებოდა, გაფუჭდებოდა, გადაგვარდებოდა — ალბათ ქართული სულის „მილევისა" და დასუსტების გამოისობით. და მას გადაახალისებდა გრიგოლ რობაქიძე: აღადგენდა ქმედითი ძალით მის პირვანდელ პლასტიკურ დინებას: მოკვეთილ და ყოვლის მცნაურებელ ფესვამდე.

ეხსომებოდა ადრესატსაც: არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა ამას ჯერ კიდევ 1909 წელს.

ეს კი არ ეხსომებოდა, ან არ ეცოდინებოდა: 1911 წელს აკაკი წერეთელი დაესწრებოდა გრიგოლის მოხსენებას ტფილისში: „ფრიდრიხ ნიცშე". და თავის შთაბეჭდილებას ამ სიტყვებით დაიწყებდა „თემის" ფურცლებზე: აწ განუტევე მეუფე მონა შენიო!..

მეორეც:

მისი რომანი „გველის პერანგი" შევიდოდა ქართულ შეგნებაში როგორც ცოცხალი მითოსი ხალხის დგინებისა, ამ შემთხვევაში: ქართველთა. ასეთი მაგალითი მსოფლიო ლიტერატურაში ძალიან, ძალიან იშვიათი გახლდათ.

* * *

იმ ამბებს კვლავ მიუბრუნდებოდა და ცოტა უფრო გაშლილადაც გიორგი გამყრელიძესთან 1962 წლის აგვისტოს გაგზავნილ

ბარათში, მემუარული ყაიდის ესეიდ რომ უფრო წარმოგვიდგება. და განუმარტავდა, რომ: გამოდიოდა ნამდვილი თაურიდან: ქართულის შუაგულიდან. და ეს იმთავითვე „ეგრძნოთ“ საქართველოში.

1908 წელს წაიკითხავდა (წარმოთქვამდა) ლექციას აკაკი წერეთელზე. და ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე) ამ ლექციას წერილს უძღვნიდა ამ სათაურით: „ამომავალი მზე“.

1909 წელს წაიკითხავდა (წარმოთქვამდა) ლექციას ნიკოლოზ ბარათაშვილზე. და არჩილ ჯორჯაძე, გაკვირვებული მისი ქართულით, ამ ლექციას უძღვნიდა ვრცელ წერილს, რომელიც შემდგომ შევიდოდა კრებულში მისი ნაწერებისა. აქ აღნიშვნას მოერიდებოდა, თორემ ისე კანთიელად, ისე ხელშესახებად ჩაესმოდა ყურთ არჩილ ჯორჯაძის თუნდ ის ფრაზა, ნამდვილ არტისტად და ბატონად რომ მოიხსენიებდა გრიგოლს თავისი სიტყვისა...

1911 წელს წაიკითხავდა (წარმოთქვამდა) ლექციას ფრიდრიხ ნიცშეზე. და აკაკი ამ ლექციას გაზეთ „თემში“ მიუძღვნიდა წერილს, რომელიც ასე დაიწყებოდა: აწ განუტევე მეუფეო მონა შენიო. გენიალური ინტუიციით მიწვდებოდა აკაკი ფესვებს სწორედ იმისა, საიდანაც გრიგოლს დაეწყო გამოსვლა.

1913 წელს გიგო დიასამიძესთან, რომლის სტუმარიც გახლდათ აკაკი, გრიგოლი წაიკითხავდა ლეგენდას „მაია“. და მაშინაა სწორედ, დაასრულებდა თუ არა კითხვას, მგოსანს რომ უნდა წამოეძახა:

— უყურე შენ, რა მოდის ჩხარიდან!

გავრცელდებოდა სიტყვა გრიგოლზე კოტე ბაქრაძისა:

— სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული — გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა!

დავით კლდიაშვილიც შეეხებოდა ქებით გრიგოლის ქართულს თავის მოგონებებში.

— სად ისწავლა?

ის, რაც მოხვდებოდა თვისტომთა გულს, გრიგოლ რობაქიძეს არსაღაც არ „ესწავლა“.

და „მაშ“?

იმთავითვე მომადლებოდა.

ხოლო აკაკი ჩხენკელთან გაგზავნილ ბარათში მუხლების ჩამოთვლა რომ გაგრძელდებოდა...

* * *

მესამეც:

„ლამარა", მისი დრამა იქცეოდა პირდაპირ გულისძგერად საქართველოსი. მისი გამარჯვება მოსკოვში, 1930 წელს, საბჭოეთის ხალხთა სათეატრო ოლიმპიადაზე, ნამდვილ ლეგენდარულ სახეს შეიძენდა.

მეოთხეც:

მისი ლიტერატურული გამოსლვა (და ჩაურთავდა: მართებულია „გამოსლვა" და არა „გამოსვლაო"). ამ გამოსლვის ნაყოფს ქართველობა ჯერ კიდევ ვერ გაზომავდა საკმაოდ.

აღნიშვნით გრიგოლი აღნიშნავდა მხოლოდ, რომ მისი შემოქმედების შესახებ ევროპაში არსებობდა საკმაოდ მოზრდილი ლიტერატურა. გულისხმობდა არა უბრალოდ „რეცენზიებს", რომელნიც უთვალავი იყო, არამედ საფუძვლიან „განხილვებს". აქა-იქ ისეთი ეპითეტიც რომ გაისმოდა მის თხზულებათა ირგვლივ, როგორიცაა „გენიალური".

და მეხუთეც:

დაე გადაეშალა ქართველ მკითხველს ბროკჰაუზის მთელს ქვეყანაზე სახელგანთქმული ენციკლოპედიური ლექსიკონი. ნახავდა იქ რომელიმე ქართველს? იქ მხოლოდ გრიგოლ რობაქიძე გახლდათ ნახსენები და მერე როგორ?!! რამდენიმე თვის წინათ აკაკის ძმისათვის, კიტა ჩხენკელისათვის დაევალებინათ ცნობები მიეწოდებინა გამომცემლობისათვის შვეიცარიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოსათავსებლად ორი ქართველის შესახებ.

ეს ქართველნი კი იქნებოდნენ: შოთა რუსთველი და გრიგოლ რობაქიძე.

აღარ გააგრძელებდა და... აღარც იყო საჭირო.

მოეხმო ეს ფაქტები არა იმისათვის, რათა ვინმეს წინაშე თავი „ექო" — გულახდილად რომ ეთქვა, ეს მას სრულიადაც არ ესაჭი-

როებოდა. მოეხმო იმიტომ, როდესაც მისი თვისტომნი მას ეხებოდნენ, უპირველესად ეს ფაქტები უნდა გაეთვალისწინებინათ.

ადრესატს ეცოდინებოდა ალბათ, რომ „ქართულ საქმეში“ გრიგოლს გამოექვეყნებინა „უცნობი საქართველო“ (ნაწილი მისი ახალი წიგნისა). ამ ნარკვევში იგი გადმოშლიდა — და ქადილით ჩაურთავდა: მე პირველმა საუკუნეთა განმავლობაშიო — სწორუპოვარ მადანს ქართული გენიისა.

თამამად შეეძლო განეცხადებინა:

რომ ამ ნარკვევით, რომელიც ესეისტური ფორმით სახავდა მთავარ გეზს მისი შემოქმედებისა... დიახ ამ ნარკვევით შეეძლო საქართველოს წარმომდგარიყო კაცობრიობის წინაშე არა როგორც უბრალო „ეთნოგრაფიული“ სინამდვილე, არამედ როგორც ერთ-ერთი გენიალური „ასპექტი“ მსოფლიოს ცნაურებისა.

შესაძლოა ეს ვინმეს კვეხნადაც მოსჩვენებოდა?!.

მაშ დაეგდო ყური, თუ რას ამბობდა გრიგოლ რობაქიძეზე ერთი ავტორი თავის გამოკვლევაში, რომელიც გამოქვეყნდებოდა ომის წინ ცნობილ კათოლიკურ ჟურნალში „ჰოჰლანდი“:

— რობაქიძე თავისი ხალხის ერთ-ერთი ჭეშმარიტი წინამძღოლია და ერთადერთი ნამდვილი ხსნაა ხალხისათვის. იგი ჭეშმარიტად სახალხო პოეტია, როგორც ესქილე, სოფოკლე და ჰომეროსი საბერძნეთისათვის, დანტე იტალიისათვის, დოსტოევსკი რუსეთისათვის, ჰოლდერლინი და კლაისტი გერმანიისათვის. იგი სახალხო პოეტია არა ფსიქოლოგიურ-სოციალური თვალთახედვით, არამედ ხალხის სულიერი აღორძინებისა და რელიგიური გაგების უმაღლესი აზრით.

თუ რაიმეს ჩახედავდა ხოლმე ხშირად და ამასობაში კიდეც გაიზეპირებდა, სწორედ ამ სტატიის ამ პასაჟს.

გრიგოლს განა „კვეხნა“ სჭირდებოდა?

უბრუნდებოდა საგანს:

მის მიერ აღმოჩენილი საქართველო უცნობი გახლდათ არამარტო სხვათათვის, არამედ თვით ქართველთათვისაც!.. ეგონა, ჩემი თვისტომნი ამ აღმოჩენას სიხარულით აღვივებული გაოცებით შეხვდებიანო. ამის მაგიერ ისინი — ხმა მოწვდებო-

და მიუნჰენიდან და პარიზიდან — გაოცებულიყვნენ თურმე: რად გამოაქვეყნა „იქ", იმ გაზეთშიო! იმას კი აღარ ჩაკვირვებოდნენ: თუ რა გამოქვეყნებულიყო, თვალში მოხვედროდათ მხოლოდ: სად დაბეჭდილიყო!

ამაზე იქით „გაუგებრობა", რბილად რომ ეთქვა, ველარ წავიდოდა. ყველაფერსაც რომ ჩამოვხსნოდით, ერთი რამ ხომ ცხადი იყო: რომ მხოლოდ „იმ" გაზეთის გზით შეეძლო გრიგოლ რობაქიძეს თავისი აღმოჩენა ეცნობებინა იქ, საქართველოში: „გონის" მეტყველთათვის: მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთათვის!

არ იყო ეს საჭიროო? — ძალდაუტანებლად ებადებოდა კითხვა — კიდევ მეტი: არ იყო ეს აუცილებელიო?!.

სიტყვას აღარ გააგრძელებდა. მისი სურვილი გახლდათ: ეცნობებინა აკაკი ჩხენკელს თავისი სათვისტომოს ზოგიერთი პირისათვის გრიგოლის ეს განმარტება.

ესეც მთავარი მუხლი მისი მიმართვისა.

ამასთან სურდა კიდევ ერთ გაუგებრობაზე მიეთითებინა. ადრესატს გაეგონებოდა, რომ გრიგოლს ომის დროს ერთი წიგნაკი გამოეშვა: ლიტერატურულ-მეტაფიზიკური პორტრეტი ერთი ისტორიული პიროვნებისა. ეს წიგნაკი ვერ გაეგოთ ვერც ამ პიროვნების მიმდევრებს და ვერც მოწინააღმდეგეებს, ვერ გაეგოთ: წიგნის ფარული გეზი, ასე ვთქვათ, „პითაგორისებრ" გამართული.

და დღეს, მთელი ამ აღრევის შემდგომ, კითხვა ასე უნდა დასმულიყო: მოხდებოდა ის, რაც მოხდა, იმ პიროვნებას გრიგოლ რობაქიძის მიერ მოხაზული გეზით რომ ევლო? — გამორიცხულიაო! — გერმანულად ათქმევინებდა ყოველ ჩახედულს, რათა ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებოდა. ქართველობას ესეც უნდა სცოდნოდა! გრიგოლს უკვე დაეწერა ვრცელი „განმარტება". შეექმნა მართებული, უცთომელი „შიფრი" — იმ წიგნაკის გაგებისათვის საჭირო. ის ახლო მომავალში სათანადო ორგანოებს დაურიგდებოდა ყველგან. ეს „განმარტება" აქ იცოდნენ: სათანადო უწყებაში კარგადაც გაიგებდნენ. დეტალები? დაე სხვა დროს ყოფილიყო.

ერთ საკითხს, ფრიად აქტუალურს ქართველთათვის, ბოლოსათვის მოიტოვებდა.

საკითხს — ქართველ ლტოლვილთა, ევროპის სხვადასხვა კუთხეში უპატრონოდ და უმწეოდ გაბნეულთა. მათ რომ პატრონობა ესაჭიროებოდათ და შემწეობა — ეს ადრესატსაც კარგად ეცოდინებოდა. გრიგოლი აცნობებდა მხოლოდ იმ გეგმას, თუ როგორ უნდა მოგვარებულიყო ეს საქმე:

ჯერ ერთი:

გრიგოლისათვის უდავო იყო, რომ ამ საქმის მოგვარება აქედან, შვეიცარიიდან უფრო ადვილად მოხერხდებოდა, ვიდრე საფრანგეთიდან: ეს არ ნიშნავდა, რომ ქართული „ოფისი" აქ გადმოეტანათ. ეგაა: ეს მხარე ომს გადარჩენოდა, არ მინგრეულიყო და, როგორც ასეთი, ცენტრად ქცეულიყო ევროპის ხალხთა ურთიერთმიმოქცევისას.

მეორეც:

ქართველთა ინტერესების დამცველი აქ, როგორც ყველასაც მოეხსენებოდა, ხარიტონ შავიშვილი გახლდათ: კაცი პოლიტიკურ (და ჩაურთავდა: „პოლიტიკური" შეცდომააო) ვითარებაში კარგად ჩახედული და საქმიანობაში ძალზედ მოხერხებული. ესეც საგანგებოდ უნდა დაემატებინა: ლელოს გამტანიც შეხლა-შემოხლაშიო. აქაურ მმართველთა რიგებში ნდობაც მოეპოვებინა და გავლენაც, აგრეთვე პასუხმგებ წრეებშიაც. მუშაობდა საქართველოსათვის თავგამოდებით და მარჯვედაც.

მესამეც:

ნივთიერად იგი უსახსრო გახლდათ: იბრძოდა ლუკმაპურისათვის ყოველდღიურად. და როგორ უნდა მოევლო ამ ურთულესი საქმისათვის ასეთ აუტანელ მდგომარეობაში?!. თვალები სტკიოდა და მიმოწერა დაქტილის დახმარებით თუღა შეეძლო — ამას კი ფული ესაჭიროებოდა. წერილებისათვის საფოსტო მარკები იყო საჭირო — ესეც საგრძნობ თანხას ითხოვდა. შემდეგ: ტელეფონი, დეპეშა, შეხვედრანი და სხვა — აქაც უფულოდ არა გამოვიდოდა რა.

ასეთი გახლდათ ამჟამად ხარიტონ შავიშვილის მდგომარეობა.

ამის თაობაზე თითქმის ორი წლის წინათ გრიგოლ რობაქიძეს ვრცელი წერილით მიემართა ნოე ჟორდანიასათვის, საქართველოს პოლიტიკური მოურავისათვის უცხოეთში.

იგი ვერას გახდებოდა რას — ალბათ მოხუცებულობაც შეუშლიდა ხელს.

ყოველ შემთხვევაში გრიგოლი ასე ივარაუდებდა, რათა მისი უყურადღებობისათვის რაღაც გამართლება მოეძებნა და გულგრილობით არ აეხსნა.

და ახლა აკაკი ჩხენკელს მიმართავდა.

სთხოვდა მოეწვია თავკაცნი თავისი სათვისტომოსი და მათ წინაშე დაეყენებინა ეს საკითხი. კარგი იქნებოდა, თუ ამ მონაწერსაც წაუკითხავდა მათ. შესაძლოა ამ ჯგუფს, ადრესატის თაოსნობით, გამოენახა რაიმე გამოსავალი.

ეს არ იქნებოდა პირადი დახმარება, არამედ დახმარება: ჩვენი მამულისა და დედულისათვის გაწეული.

მრავალი წერილი მისდიოდა გრიგოლს ქართველ ლტოლვილთაგან, სავსე ვაებითა და სასოწარკვეთით. ისინი ხომ სისხლი და ხორცნი იყვნენ ჩვენი! გული სტკიოდა — მაგრამ რა ეღონა? როგორ დახმარებოდა მათ?

უსურვებდა აკაკი ჩხენკელს ყოფნას მხნედ და კარგად, ანუ როგორც ჩვენი წინაპარნი იტყოდნენ: „მზეგრძელ“!

მარადი პატივისცემის გამოცხადებას მერე დაურთავდა, რომ: აქ სამი წიგნი მოეთავებინა. და ძმურ მოკითხვასაც დააბარებდა თანამემამულეებთან.

საიმედო ამჯერადაც არა მოესმოდა რა.

არც სახსარი, არც ნუგეშის სიტყვა, რომ რაღაც სასიკეთოდ შეიცვლებოდა.

ჩემთვის ხომ არა ვთხოულობ, ისევ გატანჯული ხალხისათვის არ მინდაო? — უკვირდა გრიგოლ რობაქიძეს და ვერ აეხსნა დუმილი დამხობილი მთავრობის თავკაცთაგან. თუმც დამხობა სხვას რას ნიშნავდა, თუ არა გარიყვას ყველაფრიდან, ძლივას რომ გაიტანდნენ თავს, თორემ ევროპაში გაფანტულ ქართველ ემიგრანტებს სად გაწვდებოდნენ. გრიგოლის შეტყობით: მონდომებაც აკლდათ, თორემ... ბოლოსდაბოლოს იმ თანხითაც, რაც იმათ მოეპოვებოდათ, ენერგიული და თავგამოდებული კაცი რაღაც-რაღაც სასიკეთო საქმეებს მაინც აღასრულებდა, აი ხარიტონ შავიშვილისთანა, ბედად ისეთ ქვეყანაშიც რომ მოხ-

ვედრილიყო, ომის ჯოჯოხეთს რომ გარიდებოდა და თავისი სახეც შეენარჩუნებინა.

დუმილი გაწოლილიყო გრიგოლსა და მის პარიზელ ადრესატებს შორის — ცივი, სულისგამთოშავი დუმილი.

ხარიტონზე საყვედურის თქმას ვერ იტანდა, რაკილა მოეხსენებოდა მისი გულის მხურვალება. და გიგო დიასამიძეც ტყუილუბრალოდ დარჩენოდა ნაწყენი ხარიტონს: არ მიპასუხაო, — გრიგოლი 1949 წლის 30 მარტს მიწერილ ბარათში რომ აუხსნიდა ვითარებას: ალბათ პასუხი ტექნიკურად გაუძნელდაო.

თვალები ისე დაავადებოდა, გამადიდებელი შუშითღა უხდებოდა კითხვა. და აბა გიგოს წარმოედგინა, რარიგ ძნელი უნდა ყოფილიყო ხარიტონისათვის წერა! ახლა კიდევ ერთი უბედურება დაერთვოდა: მოტოციკლეტი დაეტაკებოდა და მარჯვენა ბარძაყს მოსტეხდა. ოთხ თვეზე მეტი საავადმყოფოში მოუწევდა წოლა. ახლა დასასვენებელ სახლში იმყოფებოდა. მორჩენით მორჩებოდა — მაგრამ ამას ხომ დრო უნდოდა. როგორც კი გამომრთელდებოდა, უსათუოდ შეუდგებოდა გიგო დიასამიძის საქმესაც — გრიგოლი გაახსენებდა.

ჯანმრთელობა შეეწირა ხარიტონ შავიშვილს თვისტომებზე ზრუნვისათვის. ეს უბედური შემთხვევა მაინც რაღა იყო!.. და გამოკეთდებოდა თუ არა, კვლავ გატანჯულ ემიგრანტებზე ზრუნვა უნდა გაეგრძელებინა — რა სახსარიც მოეპოვებოდა. არადა თუ ვინმეს, ასეთ კაცს უნდა ჰქონოდა ფული, პირწმინდად სხვებს რომ მოახმარდა.

ლამის დაბრმავებულა, ახლა უკვე სიარულიც გაუძნელდებოდა და... ისევ მის იმედად არიან, ისევ მას სთხოვენ შემწეობას, ისევ მას ენუკვიან — რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს რომ მისჩერებოდნენ სასოებითა და ვედრებით, მის შესაშველებლად გრიგოლ რობაქიძე ამაოდ რომ აწყდებოდა აქეთ-იქით.

თავი მეორე

საიდუმლო ძალა „ლამარასი“

არაერთხელ გააგონებდნენ გრიგოლ რობაქიძეს, ადრეც, მერეც, ჯერაც რომ არ დამცხრალიყო ეს პოლემიკური შემოტევა:

— თქვენი შემოქმედება უცხოეთიდანაა შემოტანილი.

და ყოველთვის უკვირდა გრიგოლს:

ეს როგორ, ნუთუ ლიტერატურა საექსპორტო საქონელიაო?!.

თავის მხრივ კი ყველას ურჩევდა:

ასეთი მიდგომა კულტურის კვლევისა სასაცილოდ თავდებაო.

აგერ თუნდ:

ქართველი მინდია იგემებდა გველის ხორცს და — ხდებოდა მისანი.

გერმანელი ზიგფრიდი ვეშაპის სისხლში ბანაობდა და — იქცეოდა მისნად.

იქ გველი და აქ ვეშაპი: მითოლოგიურად ერთი და იგივე გახლდათ. აკი ვამბობდით ქართველნი: გველეშაპიო!.. „ხორცსა“ და „სისხლს“ შორის სხვაობა სულ მცირეა... და მაინც, რომელ ჭკუათამყოფელს მოუვიდოდა აზრად მტკიცება: ქართველებმა „შემოიტანეს“ ეს მითოსური ხრტილი გერმანიიდან ანდა გერმანელებმა გაიტანეს საქართველოდანო.

მეორე მაგალითი კიდევ უფრო ნათლად მოწმობდა:

ზიგფრიდის „ბეჭი“ იგივე გახლდათ, რაც აქილევსის „ქუსლი“. და „იმპორტექსპორტის“ ხაზით რომ გვეკვლია, მაშინ სხვა რა შეიძლება გვეფიქრა, თუ არა: ან გერმანელებმა მოიტანეს ეს „ქუსლი“ კონტრაბანდით საბერძნეთიდან და „ბეჭად“ გაასაღეს,

ანდა ბერძნებმა მიიღეს „ბეჭი“ გერმანელთაგან (და ირონიით ჩაურთავდა: იყვნენ კი მაშინ გერმანელებიო?) და ბაზარზე „ქუსლად“ გაიტანესო.

როდესაც შეამჩნევდნენ: იმპორტექსპორტით აქ ფონს ვერ გავალთო, — გამოუგონებდნენ სხვა მეთოდს, რომელსაც დაერქმეოდა „მოტივები მავალნი“. და გრიგოლი კვლავ ხუმრობისა და ირონიის გუნებაზე დადგებოდა:

ეს „მოტივები“ დაყიალობენ ალბათ ბატებივით, ხან აქ მოექცევიან და ხანაც — იქ. გაჰყივიან ერთსა და იმავეს, ოღონდ სხვადასხვა ვარიანტით, ანუ შეხმატკბილებით კილოსთან იმ მხარისა, სადაც მოხვდებიანო.

ასეთი „მკვლევარნი“ აგონებდნენ იმ საარაკო მოგზაურს, რომელიც შემთხვევით ერთ უცნობ კუნძულს აღმოაჩენდა და გაოცდებოდა, როდესაც შეკითხვაზე: ორჯერ ორი რამდენიაო? — კუნძულის მცხოვრებნი მიუგებდნენ: ოთხიო. და ამას კი სხვა ველარა ეფიქრა რა: საიდან შემოიტანეს ესო?!

თუ რა ამოტივტივდებოდა ხოლმე მეცნიერებაში ხანდახან, ამის სააშკარაოდ ერთ მაგალითს იკმარებდა, მართლაც საარაკოს.

ერთი ჭკუათამყოფელი იკვლევდა, თუ საიდან წარმოშობილიყო იდეა „სამერთარსებისა“: მამაღმერთი, ძე ღვთისა და სულიწმინდა. იკვლევდა, იკვლევდა და ბოლოს, საშინელი ჭაპანწყვეტის შემდგომ, კვალს აღმოაჩენდა: ალბათ ერთხელ სადღაც სამთავიანი მონსტრი დაიბადა და აქედან მოდის იდეა „სამერთარსებისაო“.

წინასწარვე იცოდა გრიგოლმა, რომ ასეთ უაზრობას არ დაუჯერებდნენ და შეთხზულად ჩამოართმევდნენ. ამიტომაც მიუთითებდა მკვლევარსაც და ნაკვლევსაც, თუკი ამას მკვლევარი და ნაკვლევი დაერქმეოდა. გეორგ ვილკე, „ინდოგერმანელთა რელიგია არქეოლოგიურ კვლევებში“, ლაიფციგი, 1923.

შეატყობდა, ოდნავ გადავუხვიეო. მაგრამ კულტურის მკვლევართ ერთი რამ უნდა ხსომებოდათ: ადამიანთა „არსი“ ყველგან და ყოველთვის ერთია, ხოლო „სახე“ მათი — ნაირნაირი. ვინც ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ვერა წვდებოდა, იგი ცხადია:

ან „იმპორტექსპორტის“ გზით ივლიდა კულტურის კვლევისას, და ამაოდ, ანდა იმ „ბატებს“ გაჰყვებოდა, და სასაცილოდ.

ამ ყოველივეს შესავლად დაისაჭიროებდა იმ ავტობიოგრაფიულ-ფსიქოლოგიური ესეისა, „ბედი ქართლისას“ რედაქტორი რომ შესთავაზებდა: ნათელეყო ძირითადი დენა თავისი შემოქმედებისა, — და გრიგოლიც სიამოვნებით შეასრულებდა ამ თხოვნას, ის კი არა, დაფაცურდებოდა კიდეც: გადადებული საქმე ეშმაკისაა!..

ფრაგმენტულად, გაფანტულად ისედაც უკვირდებოდა ხოლმე თავის თავსაც და თავის ბიოგრაფისაც, თუნდ „საუბარი კარდჰუსთან“ ხომ არსებითად თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების გახსენებაზე აიგებოდა, მაგრამ ერთიანი სურათი აქამდე ჯერ მაინც არ აღედგინა და გულს აკლდა: როდისღაო?!. და აჰა ხელსაყრელი საშუალება მიეცემოდა, აქეთ რომ შემოსთავაზებდნენ (თითქოს მის გულში მჯდარიყოს კალე სალია!) და... დაწყებასაც და შინაგან პათოსსაც მაინც პოლემიკურს ამჯობინებდა, წარმოსახვით ოპონენტსა თუ ოპონენტთა მთელს გუნდს გაეპაექრებოდა და მათთან კამათისას გადმოშლიდა სათავეებს თავისი შემოქმედებისა — არაერთი გარემოების გასანათებლადაც და ნაცისტისა თუ ფაშისტის ბრალდება-იარლიყის გასაბათილებლადაც.

დაწყებას უკვე პოლემიკურს რომ ამჯობინებდა:

გავრცელებულ აზრს — საქართველოში სიმბოლიზმი რუსეთიდან „შემოიტანეს“, რუსეთში კი საფრანგეთიდანო, — ამ არგუმენტით დაუპირისპირდებოდა, აგერ წინ რომ ედო რუსი სიმბოლისტის ანდრეი ბელის რომანი „პეტერბურგი“, რომლის მსგავსიც არამცთუ ფრანგულ სიმბოლისტურ ლიტერატურაში, არამედ მსოფლიო მწერლობაშიც არ მოიძებნებოდა.

ალექსანდრ ბლოკიც სიმბოლისტად რომ აღიარებულიყო იმავე რუსეთში. გრიგოლს მაგიდაზე ედო მისი პოემა „თორმეტნი“ და შაირთა რვეული „მშვენიერი ქალბატონი“. და ეგებ ვინმეს მოენახა ფრანგულ სიმბოლისტურ პოეზიაში მსგავსი რამ? წინასწარვე მოეხსენებოდა და დაბეჯითებითაც, რომ: მოწადინეს ძებნა ამაოდ ჩაუვლიდა.

და საქართველოში რაღა ხდებოდა?

„ბედი ქართლისას“ ამავე ნომერში იბეჭდებოდა პაოლო იაშვილის ლექსი „არგვეთის ღამეები“, ერთადერთი ლექსი, რომელიც აღმოჩნდებოდა გრიგოლის ქაღალდებში. ვინ მონახავდა ამ შაირის მსგავსს რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში? ვერავინ! იქნებ პაოლოს ის საფრანგეთიდან „შემოეტანა“ კონტრაბანდით?! ვისაც სურდა გადაეფურცლა: შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, პოლ ვერლენი და სხვანი — თუ იხილავდნენ მათ შაირებში, „მსგავსი“ რაა, „ნასახსაც“ პაოლოს ლექსისა?! ერთ სტრიქონსაც, ერთ სახესაც, ერთ ხვეულსაც ვერ მონახავდნენ! მეტს იტყოდა კიდევ: მსოფლიო ლიტერატურაში არ ეგულებოდა ერთი მგოსანიც კი, რომელსაც მთვარე არ აესახა — ამავდროულად არ ეგულებოდა ერთი შაირიც მთვარისა, რომელსაც შეეძლო პოეტური ძალით გატოლებოდა პაოლოსას. ეგებ ვინმეს მოეძებნა ასეთი! მაგრამ ეს უკვე „დაფასება“ იქნებოდა და... უკვე სხვა საკითხი წამოიჭრებოდა.

რაში იყო მაშ საქმე?

ჩვენში დღემდე ვერ განესხვავებინათ „სიმბოლური“ „სიმბოლისტურისაგან“ — და სამწუხარო რეალობაც ეს გახლდათ. არადა: პოეზია „სიმბოლური“ იყო იმთავითვე: არასიმბოლური პოეზია ქვეყანაზე არც ყოფილიყო და არც იქნებოდა.

დაგვეგდო თუნდ ყური ვაჟასათვის:

— ჯერ თუ არ გაუღვიძნია (მთვარეს), ისევ თუ სძინავს მკლავზედაო.

— ლაშარის ჯვარი ჩამოვა, ყელზე ჩაგიდებს შინასაო...

— ალალიც ამაზედ არის, ნანა და ძუძუ დედისაო (და აღმოხდებოდა: რა სისათუთე და სინაზეაო).

— დიდება უფლის სახელსა, რა კარგი დაუწერიაო (და თავს ვერ შეიკავებდა: უმაგალითო სადა სიტყვა, ეგზომ მეტყველიო).

— დიდება ქვეყნის შემოქმედს, რა კარგად დაუწერიაო (და გაოგნდებოდა: ადამი თუ იტყოდა ამას ედემის ბაღში ასე პირვანდელურადო).

აქ შეჩერებას მიიჩნევდა საჭიროდ.

იმ ცნობილ ამბავს: ილიას რომ მოუვიდოდა „ივერიაში“ პირველად შაირი ვაჟასი, და იტყოდა: ახლა კი უნდა გავაგდოთ ხელი-

დან კალამი მე და აკაკიმო, — დასძენდა: ხედავთ, როგორ გახარებია მძლეობა თვისტომისაო! და ახლა აღარავის უნდა მოსჩვენებოდა გადამეტებულად გრიგოლის თქმა: ილია კარდუს დიდი მოურავიაო! თუმც ამ ამბავს სულ სხვა მიზნით გაიხსენებდა:

ილიას არ უცნევია, თუ რითი გამოიხატებოდა სიდიდე ვაჟასი. ამის ცნება ბედმა მე მარგუნა. ვამცნე ეს ქართველობას ორმოცი წლის წინათ — ვამცნე ისე, რომ ვაჟას მოვლინებისას არც ილიას უნდა გაეგდო კალამი ხელიდან და არც აკაკისო (და დასძენდა: ილიას თქმა ჰიპერბოლა იყო, რომელიც თან ახლავს ყოველთვის ნამდვილ გახარებასო).

დღეს ვინღა არ ადიდებდა ვაჟას?!

და ამ დროს ილიას სიტყვებს კიდევ მოიგონებდნენ ხოლმე „გაკვრით“.

ხოლო გრიგოლ რობაქიძისას... არც „გაკვრით“.

და წყენა ამ ფრაზით იჩენდა თავს:

ამით მე ცხადია არა დამაკლდება რაო.

სავალალოდ ის ესახებოდა, რომ „მადიდებელთ“ ხელში გრიგოლის მეთოდი ვერ მოემარჯვებინათ, თუგინდ ანონიმურადაც, მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ვაჟას განფენა ფესვეულად. ამიტომაც „განდიდება“ ვაჟასი რჩებოდა მშრალ სიტყვად.

ვაჟას პოეზია, როგორც ყოველი ნამდვილი პოეზია, სიმბოლური გახლდათ?

რასაკვირველია. ოღონდ იგი „სიმბოლისტი“ არასოდეს ყოფილიყო.

როდესაც პოეზიაში სიმბოლო — ეს წყაროსთვალი შემოქმედებისა — მილევის, ამოშრეტის გზაზე მიდგებოდა რომელიმე ლიტერატურაში, მაშინ რომელიმე მგზნებარე მგოსანი ცდილობდა „გაეღვიძებინა“ სიმბოლო, მიენიჭებინა მისთვის სიცოცხლის ძალა, უკეთ: დაებრუნებინა მისთვის ეს ძალა.

„სიმბოლისტური“ „სიმბოლურს“ მოუძლურებულად რომ მიიჩნევდა და მოძველებულადაც, სიახლის სახელით დაუპირისპირდებოდა და ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვებას შეეცდებოდა. ასე მოხდებოდა საფრანგეთშიც, რუსეთშიც და სა-

ქართველოშიც. და როდესაც „ომი" დამთავრდებოდა, „ახლის" გამყვანნი — დაე გულდასმით დავკვირებოდით ამ გარემოებას — მაინცდამაინც აღარ გამოდევნიდნენ „სიმბოლისტურობას".

ცისფერყანწელთა ორდენს რომ ახსენებდა, უმაგალითო ამბად მიიჩნევდა მსოფლიო ლიტერატურაში: ძმობა პოეზიით რომ წარმოშობილიყო და არა პირუკუ — და ასე განაზოგადებდა ამ ორდენის შექმნის მნიშვნელობას: ქართველთ შეუძლიათ ამით კიდეც იამაყონო.

ჯგუფი 20 წელიწადს რომ გაძლებდა?

ამასაც საგულისხმო მოვლენად აღიარებდა.

აღნიშნავდა, რომ: იმყოფებოდა მათ გვერდით არა როგორც „ყანწელი", არამედ: უფროსი მეგობარი, დამხმარე და წამახალისებელი.

თავის დამსახურებასაც საგანგებოდ წარმოაჩენდა და არც ქებას მოაკლებდათ, ის კი არა, დაუსახელებლად გალაკტიონ ტაბიძესაც წაჰკრავდა ქიმუნჯს, მის სტრიქონებს რომ დაიმოწმებდა:

— სილაში ვარდი: სილაჟვარდე.

და

— გრძელი მონტევიდეო, მოკლე ხელთათმანებით (მეორეს არასწორად. უნდა იყოს: ლურჯი მონტევიდეო ვიწრო ხელთათმანებით).

და მიადევნებდა: ამგვარი „მარგალიტი" ცისფერყანწელებს მრავლად მოეპოვებათ, არადა ეს ავტორი, არაყანწელი, ფალავნადაც კი გამოჰყვდათ წინააღმდეგ ყანწელებისაო.

ხოლო როდესაც თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში შეახედებდა მკითხველს, სწორედ იმ მტკიცებით დაიწყებდა:

ვისაც „სიმბოლო" და „მითოსი" არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებსო.

ზეპიროვნულ არეში სიმბოლო და მითოსი თავისთავად იშვებოდნენ, სიძნელე იქ არსად ჩნდებოდა.

პიროვნულ არეში კი მათი წარმოშობა ძნელი რამ გახლდათ.

ვთქვათ, პოეტი მიაგნებდა სიმბოლოს საგნისა. გააძლიერებდა „სიმბოლოს" და... „საგანი" მიიჩქმალებოდა, ხანდახან მთლა-

დაც ჰქრებოდა და „სიმბოლო“ გამოდიოდა უხორცო და უსისხლო: ეს საფრთხე თან სდევდა „სიმბოლისტურ“ პოეზიას.

გაშლიდა პოეტი „საგანსა“ და „სიმბოლოს“ თანაბარი სიძლიერით და... იშვებოდა პარალელიზმი: „სიმბოლო“ ემსგავსებოდა „ილუსტრაციას“: ეს საფრთხე, კიდევ უფრო საზიანო, თან სდევდა ყოველგვარ პოეზიას: როგორც „სიმბოლისტურს“, ასევე „სიმბოლურს“.

ხელოვანს ევალებოდა დაეძლია ეს ორმაგი სიძნელე. თუ შეძლებდა საგანში ხილული და საგნისაგან გამოყვანილი „სიმბოლო“ უკუებრუნებინა საგნისაკენ და კვლავ „საგნად“ ექცია ის, მაშინ ავტორი გამარჯვებული გამოდიოდა. მხოლოდდამხოლოდ „მაშინ“.

ცოტა უხერხულად კი იგრძნობდა თავს, მაგრამ... თქმულის ნათელსაყოფად ამჯობინებდა მოეხმო ერთი ადგილი რომანიდან „მცველნი გრალისა“.

გრაალის ორი მცველიდან ერთი გარდაიცვლებოდა, და დედამ ჯერ არ იცოდა, რომ გარდაცვლილის ხსოვნა გულხმიერად აღინიშნებოდა ტფილისში.

— იმავე ღამეს, არა-შორ ტფილისიდან, სოფელში, ერთმა მოხუცმა ქალმა იხილა სიზმარში მისი პაწა ბავში: ძუძუს სწოვდა მისას. უეცრად გამოელვიძა. იგრძნო სიმწარე: ჰე, დიდი ხანია, ძუძუნი მისნი მჭნარნია და ამოშრეტილნი! კვლავ ჩაეძინა. ეხლა ეზმანა: პაწა ბიჭი სვამს სასმელს თასითგან, რომელიც კიაფობს ვითარ ვარსკვლავი. გამოელვიძა კვლავ. ეხლა კი ვეღარ შესძლო დაძინება. წამოდგა, გავიდა ეზოში, შეერთო ცალიერ ღამეს. აიხედა მაღლა ცისაკენ ოცნებაში გადასულმა. ერთი ვარსკვლავი ეკიდა ცას, ვით თასი სხივსავსე, სულ ახლო, ახლო. რამოდენიმე წუთი მზერდა განაბული მოხუცი ვარსკვლავში წმინდა გრალს, რომლის ირგვლივ სმენილი მას ბავშისათვის ზღაპრად უამბნია ხოლმე. „ნეტავ რას იქმს ამ წუთს საყვარელი?“ ელვად გაურბინა ფიქრმა. „ეგებ ამ წუთს იგიც მზერს ამ მომხიბლავ ვარსკვლავს?“ ფიქრი გაიფანტა წამსავე. ამბავი ლევანის, მისი ვაჟის მიცვალებას დედას ჯერ კიდევ არ მისვლოდა.

ესეც ის ადგილი, რომლის კომპოზიციაც დაე განზე დაგვეტოვებინა:

შვილის სიტყვის შეტყობა დედის მიერ რომანში არ მოთხრობილიყო — აღწერილი სცენის გაცნობით მკითხველი დაუწერელსაც წაიკითხავდა: იგრძნობდა, თუ რა მწუხარება უნდა განეცადა საცოდავ დედას, როდესაც მის ამბავს მიუტანდნენ.

აქ გრიგოლს სხვა რამის აღნიშვნა სურდა:

ჯერ „ძუძუ": ბავშვი რომ სწოვს. ძველად წმინდა თასს ქალწულის ძუძუზე ჩამოასხამდნენ ხოლმე თიხისაგან: შინაგანი შესიტყვება — „ძუძუ": „თასი" ნაგზნობი გახლდათ.

შემდეგ: „ვარსკვლავი" — თასი: ბავშვი სვამდა — „ძუძუ" გადადიოდა „თასში", „თასი" გადადიოდა „ვარსკვლავში".

ახლა: „ვარსკვლავში" იელვებდა „გრაალი", ისიც ხომ თასი გახლდათ ნათლისმფრქვეველი: „ვარსკვლავი" გადადიოდა „გრაალში".

ძუძუ, თასი, ვარსკვლავი, გრაალი — რეალობანიც გახლდნენ და იმავდროულად — ხატებანიც: ერთიმეორეში გადადიოდნენ, გადასვლისას ერთიმეორეში იხატებოდნენ, იხატებოდნენ სხეობით.

ვის გაუელვებდა აზრად, რომ: „ხატი" ვლინდებოდა აქ ან მჭლედ და ან ილუსტრაციად? არავისო, — ეჭვიც არ ეპარებოდა გრიგოლს და თავმომწონედ დასძენდა:

ჭვრეტთ „რეალურს" და წამსვე „სიმბოლურად" იქცევა; ხედავთ „სიმბოლურს" და მყისვე „რეალურად" გამოდის. ორმაგი სიძნელე აქ დაძლეულიაო.

მაშ არადა!..

მკითხველს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ:

მითოსი კოსმიური ამბავი გახლდათ: მოვლენა კოსმიური და არა „ისტორიული". სალუსტიუსი — ეგებ გაგეგონოთო, მიადევნებდა, ძველი რომაელი ავტორიაო — ეხებოდა ატისის მითს და ეუბნებოდა მკითხველს:

— ეს არ ყოფილა, მაგრამ არის ყოველთვის.

და როგორ არ აღტაცებულიყო გრიგოლი:

აი ზედმიწევნილი ფორმულა მითოსისაო.

უძველეს დროში, სალუსტიუსის დაბადებამდე, ქართველი დედა მიუთხრობდა შვილს:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზეთუნახავი.

ხომ თვალნათლივ იკვეთებოდა:

ქართველ დედას მითოსი სალუსტიუსამდე გაეგო, უფრო სწორად: ქართულ გენიას.

გოეთე ასე ათქმევინებდა ვილჰელმ მაისტერს მგოსანზე:

— და აი იგი ცოცხლობს სიზმრით სიცოცხლისა ვითარ ფხიზელი.

ათასი წლების იქით გოეთეს მოვლინებამდე ქართული გენია გამოჭრიდა პლასტიკურად „თვალღია სიზმარს". ქართველები გოეთემდე მიაგნებდნენ ამ საიდუმლოს.

როგორ აგრძელებდა გოეთე?

და უიშვიათესი: რაც ხდება მგოსნისათვის, წარსულიცაა და მომავალიცო.

ხოლო სალუსტიუსისეული: არყოფილი, მაგრამ მუდამ მყოფი — მარად მყოფობას ნიშნავდა. აქ წარსული და მომავალი ერთი და იგივე გახლდათ. გოეთე ადასტურებდა სალუსტიუსს: რაც ხდება, მგოსნისათვის წარსულიცაა და მომავალიცო.

და აი მეტად და მეტად საგულისხმო ვითარება:

ზეისტორიული რეგიონებიდან, სალუსტიუსისა და გოეთეს შობამდე, კარდუ მეტი სიღრმით აცნაურებდა მარად მყოფადს.

ქართველნი ვიტყოდით თუნდაც: „ვქმნიდე". ეს არ იყო არც წარსული: „ვქენ", არც აწმყო: „ვქმნი", არც მომავალი: „შევქმნი". ხრტილი ქართული ზმნისა მოქროლვით ანიშნებდა აქ „მარად მყოფადს".

მეორეც: ზმნისაგან „ყოფნა" ორმაგად ვლინდებოდა წარსული: „ყოფილი" — „ნაყოფი".

„ყოფილი" იხრებოდა ზედსართავისაკენ, „ნაყოფი" — არსებითი სახელისაკენ.

ახლა კი ის სხვაობა, უფრო მნიშვნელოვანი:

„ყოფილი" გულისხმობდა ერთხელ არსებულსა და სამუდამოდ გადასულს: „ნაყოფი": ასევე გადასულს, მაგრამ ჟამყოველ მოსულს. ასე რომ:

„ნაყოფით" — ამ უგენიალურესი სიტყვით არამარტო ქართულში — „მარად მყოფადი" გამოჭრილიყო ვითარცა კოსმიური მედალიონი.

დაბოლოს სასწაული ნამდვილი.

რას ვეძახდით ჩვენ მაგალითად „ხილს“?

„ნაყოფს“!

და რა შეიძლება ყოფილიყო კიდევ სხვა რამ ქვეყანაზე, როგორც: „მარად მყოფი“ შედარებით „ხილთან“, რომელიც მარად იშვის?

ეს რიტორიკული შეკითხვა ამ ფონზე ასე და მხოლოდ ასე თუ დაგვირგვინდებოდა:

პლატონს რომ ეს სცოდნოდა! ჰეე, რა იქნებოდაო!..

„საგნის“ ქცევა „მითოსად“ ძალზე ძნელი გახლდათ?

კიდევ უფრო საძნელო — „ამბის“ ვლინება „მითოსად“.

როგორ გამოიცნობდი, დაეძლია თუ არა ხელოვანს ეს სიძნელე?

სულ ადვილადო, — გვაგულიანებდა გრიგოლ რობაქიძე.

ვთქვათ ვკითხულობდით რომანს, რომელიც მოგვითხრობდა სრულიად უბრალო ამბავს, ამბავს ყოველდღიურს. თუ ვგრძნობდით კითხვისას: თითქოს იქ ჩვენივე განცდა მოყოლილიყო, და იმავდროულად — და თავიდათავიც ეს გახლდათ — ვგრძნობდით: თითქოს „მომხდარი“ უკვე სადღაც და ოდესღაც მომხდარიყოს — უნდა მივმხვდარიყავით: რომანი „მითიურიაო“.

ესეც გრიგოლ რობაქიძის კონცეფტი.

მის შემოქმედებით ლაბორატორიაში ეს კონცეფტი „მეთოდი“ გახლდათ, ქართულად: გეზი. და რომ იკითხავდა რიტორიკულად:

— „შემოტანილია“ ეს კონცეფტი, ან „ნასესხები“?

ამგვარ შეკითხვასაც ზედმეტად მიიჩნევდა.

რას იტყოდა აქ სიმართლის ერთგული განმხილველი?

გრიგოლის დაბეჯითებული რწმენით, აი რას:

ავტორს ამ კონცეფტისა „ზიარება“ მიულია; „ზედაში“ ყოფილა: ევროპაც და ქართული მიწაც; თვითონ „ზედაშში“: ქართული ელემენტი სჭარბობს ევროპულს; „ელემენტები“: პირველი უფრო ღრმა და მხვედრი; „ზიარება“ თვითონ: სრულიად განსაკუთრებულიო.

მეტაფორულად ამ სწრაფვას ცისფერყანწელები ასე გამოთქვამდნენ ტიციან ტაბიძის ბაგით: ბესიკის ვარდი ჩავრგეთ პრუდომის ლარნაკშიო.

გრიგოლ რობაქიძეს ეს სწრაფვა კიდეც აღესრულებინა, და თანაც რარიგ მოხიბლულიყო ამგვარი შერწყმისას გამოვლენილი ხელოვნებით, სინთეზს სრულიად განსაკუთრებულად რომ მოიხსენიებდა.

ტოლს როგორ დაუდებდა დასავლელ მწერლებს, მათი მიღწევები ისე მარჯვედ რომ გამოეყენებინა და მოერგო ქართული წარმოსახვებისათვის, სულაც სიახლედ შეეთავაზებინა იმათთვისვე, როსტომ წერეთლის კვალობაზე რომ ჩაიღიმებდა კიდეც გრიგოლი: ჩაიწერონ, რასაც ვამტკიცებ და... მათი თეორიაც ეგ იქნებაო!..

„სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ ვითომ რატომ არ უნდა დასდებოდა საფუძვლად დასავლელ კრიტიკოს-ესთეტიკოსთა განსჯებს?

აგერ ჯეიმზ ჯოისს შეჰყურებდნენ აღტაცებულნი და... გრიგოლი მის ნაწერში განსაკუთრებულს ვერც ვერას ჰპოვებდა.

პოლ ვალერის შენუკვოდნენ სასოებით და... გრიგოლი მის ნაწერში ახალსა და ორიგინალურს ვერას ჰპოვებდა და „რაფინირებულ ეპიგონზე“ მეტ ტიტულს მისთვის ვერც იმეტებდა.

ხოლო რა შობილიყო მის შემოქმედებით ლაბორატორიაში მითოსური მეთოდით?

„ლონდა“, „კარდუ“ (მისტერიაო, რომ დაურთავდა, კიდეც ამოიკვნესებდა: ხელნაწერი საქართველოში დამრჩაო), „გველის პერანგი“, „ლამარა“, „ჩაკლული სული“, „მეგი“, „კავკასიური ნოველები“, „ქალღმერთაის ზახილი“, „მცველნი გრალისა“.

„გველის პერანგი“ იყო და:

შვილი, რომელსაც საქართველო სიზმრად ახსოვდა, დაეძებდა დაკარგულ მამას. „მამის“ ძებნაში შეიძვროდა თანდათან, მეტი და მეტი სიმძაფრით, შორეული ფესვი: „მამული“; „მამულის“ ხილვაში იელვებდა ხანდახან: თაური ყოვლისა — „მამა“ უზენაესი. ერთი რკალი მოიცვებოდა მეორეთი, მეორე — მესამით — და აქ „მოცვა“ სრულდებოდა. გმირის თავგადასავალი: გარეგ-

ნულად წინსვლას ედარებოდა, შინაგანად — უკუქცევას. განცდა: „ნაყოფი“ უტოლდებოდა „მარად მყოფადს“.

„მეგი“ იყო და:

სამეგრელო საქართველოს ძველი კუთხე გახლდათ — კოლხეთი. „ხილი“: „ნაყოფი“ — მედეა, რომელიც მეგის უიგივდებოდა. მედეას მითოსი ხორცს ისხამდა მეგრელ ქალწულში: აღმოცენებულიყო ვითარცა მცენარე.

„ქალღმერთის ზახილი“ იყო და:

ფონად სვანეთი გადაიშლებოდა. დალი — ტყის დედოფალი — ერთსა და იმავე დროს მითიური ქალიც რომ გახლდათ და რეალურიც: აქაც ორმაგობა. თვითონ ორმაგობა: მითიური წამსვე რეალურში გადადიოდა, რეალური — მყისვე — მითიურში.

შენიშვნად დაურთავდა: ყველაზე უძნელესი სიძნელე, რაც კი შემოქმედებისას შემხვედრიაო.

„მცველნი გრალისა“ იყო და:

„თვალი ჩასულა მტევანში“ — ეს მეტაფორა აქ ცნაურდებოდა ქვეფენილ თაურად, რომანის „ენგადად“, წყაროთა თვალად. იმ ვაზის ლერწებიდან, რომელთაც ეს „მტევანი“ გამოესხათ, ქალწულ ნინოს ჯვარი გამოეჭრა და თავისი თმით შეეხვია. და აი მითიური წვეთი: ჟამსა ბედის თავდატეხისა ვაზის ჯვარს მტევნები გამოელო. ზედაშე ამ მტევნებისა რაინდებს შეენახათ თასით: „გრაალით“: საქართველოს გულით. გრაალი მცველთა ხელთ გახლდათ. „წვეთი“ დიდდებოდა უჩინრად. მოთხრობილი ამბები „ღვარად“ მოედინებოდა მისგან.

„ლამარა“ იყო და:

აერთიანებდა „ჯვარს“ და „ხმალს“ — ორ ნაკადს საქართველოს თავგადასავლისა. „ჯვარი“ სიწმინდეს ნიშნავდა მისნურს, „ხმალი“ — შემართებას რაინდულს. დრამა ორმაგად ვითარდებოდა. „ჯვარი“ და „ხმალი“ ერთიმეორეს ეუღლებოდნენ და ამ შეუღლებით გაჰქონდათ „ლელო“.

და... კმარაო — შესძახებდა გრიგოლ რობაქიძე. და რცხვენოდა ეკითხა რომელიმე ქართველისათვის:

— „უცხოა“ ყოველი ეს? „სხვისაა“ ყოველი ეს?

რცხვენოდა როგორც ქართველს, რცხვენოდა.

ვთქვათ და: მართლაც „უცხო“ იყო, მართლაც „სხვისა“.

მაშინ ვინ ახსნიდა — ერთი მაგალითიც კმაროდა საამისოდ — იმ განსაცვიფრებელ მოვლენას, რომ: „ლამარა“ მთელი საქართველოს გულისცემად გადაიქცეოდა?!

ვინც გრიგოლს არ დაუჯერებდა, დაე ეკითხათ ევროპაში დარჩენილი ტყვეებისათვის, ქართველებისათვის: ისინი მოჰყვებოდნენ, თუ როგორ გადაიქცეოდა „ლამარა“ მთელი საქართველოს გულისცემად.

ძალიან ეეჭვებოდა გრიგოლს, სხვა ერებს ისეთი თხზულება ჰქონოდათ, რომელიც ასე შეჭრილიყოს ხალხის გულში, უფრო სწორად: მის „გულად“ ქცეულიყოს.

რითი აიხსნებოდა ეს მოვლენა?

სიმართლის ერთგული მკვლევარი იტყოდა:

ავტორს გულით განუცდია სამშობლოს გული, ეს ერთი, და მეორეც: განცდა მას, როგორც ხელოვანს, „გულადვე“ უქცევიაო.

როგორ ეთქვა ერთ გერმანელ მწერალს მის ნაწერზე?

— აქ ყოველი სიტყვა და ყოველი სახე ისე მოსდევს ერთიმეორეს, როგორც ხის ზრდისას ცილი ცილს.

და... სადღაც ჩასაფრებული ოპონენტის პასუხად უთუოდ მოუწევდა მოსმენა:

— გაგონილა ასეთი თავის ქება?

როგორც არაერთხელ მოესმინა.

იტყოდა ხოლმე თავის თავზე რაიმე „საქებარს“ და: ეგ სხვამ უნდა თქვასო.

მოიხმობდა სხვების ნათქვამ „საქებარს“ და: ეგ სხვას უნდა მოეხმოო.

აღარ იცოდა, რა ეღონა. ერთი რამ აოცებდა:

ომის დროს ხვდებოდა ქართველ ტყვეებს: თავის ვაჟებსა და უმცროს ძმებს. მოხსენებებსაც წაიკითხავდა — ხან ამ ბანაკში და ხანაც იმ ბანაკში. ამბობდა თავის თავზე რაიმე „საქებარს“, ანდა მოიშველიებდა სხვების ნათქვამ „საქებარს“ მასზე და... ყოველ ასეთ ცნობას ტაშის გრიალით ხვდებოდნენ: უხაროდათ და იმიტომაც! იმათგან რატომ არ ამბობდა არავინ: თავს იქებსო?!.

მეორე კიდევ ის, რომ: გრიგოლი და მისი მკილავნი შესაძლოა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. თუ მაინცდამაინც, გრიგოლს ასე ესმოდა „თავის ქება", ერთ ამგვარ სცენას რომ გაიხსენებდა.

გლეხების ერთ ჯგუფში ერთ-ერთი მათგანი, თუნდ კიკოლა, რაღაცას ჰყვება. იგი ნამლევაა, მაგრამ კილო კი „დიდრაჯული" აქვს. ამბობს: რო წამოვდექი, კაცო, გარდაქეშანივითო. სიცილი და ხარხარი ასდევს და გაისმის ხმა: ეგებ ბაყბაყდევივით, კიკოლა?! მატულობს სიცილი, მატულობს ხარხარი. იცინიან, ლაღობენ. არც კიკოლას სწყინს მაინცდამაინც. სხვებიც ფიქრობენ: იქოს თავი, ვის ავნებს კიკოლას თავისქებაო?!.

მესამე კიდევ ის, რომ:

გოეთე 1787 წლის 17 ივნისს მისწერდა ჰერდერს:

— თაურმცენარისათვის ანუ მისი აღმოჩენისათვის თვით ბუნებასაც უნდა ვეშურვებოდე.

გრიგოლს სხვა რა შეიძლება დაერთო ამ თავმომწონე სტრიქონისათვის.

ამაზე შორს „თავისქებაში", ჩვეული გაგებით, მგონი ქვეყანაზე არავინ წასულაო.

თვით ბუნებასაც უნდა ვეშურვებოდეო...

მაგრამ... იყო კი ეს თავის ქება?

გოეთე თავმქებარი რომ ყოფილიყო, მაშინ იგი — გრიგოლის დაბეჯითებული რწმენით — არამცთუ იმ „მცენარეს" ვერ აღმოაჩენდა, უდიდეს იდეა-სახეს მთელს დასავლეთში, ასეთი რამ არც კი მოელანდებოდა.

ამიტომაც: გოეთეს სიტყვაში ჩანდა მხოლოდ „თვითრწმენა". და თუ „თვითრწმენა" არ გაგაჩნდა, ვერ გამოდგებოდი: ვერც მწერლად, ვერც მოაზროვნედ, ვერც მეცნიერად, ვერც ვერარად.

რაო, რას ამტკიცებდა ზოგიერთი ქართველი?

თქვენი შემოქმედება უცხოეთიდან არის შემოტანილიო.

კეთილი და პატიოსანიო, — არ ედავებოდათ გრიგოლი, ოღონდ ითხოვდა: დაესახელებინათ თუგინდ ერთადერთი თხზულება უცხო — რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, პოლონურ, ჩეხურ, უნგრულ, იტალიურ, ფრანგულ, იაპონურ, ჩინურ, სპარ-

სულ — ენაზე, თუგინდ ერთადერთი თხზულება დაესახელებინათ, რომელსაც მისი რომელიმე წიგნი — „ლონდა“ იქნებოდა თუ „გველის პერანგი“, „ლამარა“ თუ „კავკასიური ნოველები“, „მეგი“ თუ „ჩაკლული სული“, „ქალღმერთის ზახილი“ თუ „მცველნი გრალისა“ — წააგავდა: ან მატერიით, ან მისი „ფორმისშესხმით“, ან კომპოზიციით, ან განფენით, ან აღწერით, ან სხეობით, ან ახატვით, ან სახექმნით, ან ფერადობით, ან ფერთა შეხამებით, ან მოყოლისნაირობით, ან სიმბოლოს „გამოშიგნვით“, ან მითიური თესლის ზრდითა და მწიფობით.

დაესახელებინათ აბა!

ვერ დაასახელებდნენ!

ასეთი თხზულება თვითონ უცხოელებსაც, მათ შორის გამოჩენილ მწერლებსა და მოაზროვნეთაც, ვერ დაესახელებინათ — და ისინი ერთხმად აღიარებდნენ:

თქვენი შემოქმედება სრულიად, სრულიად სხვააო.

მკითხველს გაუკვირდებოდა: ვიეთნი ქართველთაგან გაიძახიან, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება უცხოურია, უცხოელნი კი ირწმუნებიან, სრულიად სხვააო!

და ეს გაკვირვება სამართლიანი იქნებოდა.

რითი აიხსნებოდა ეს უცნაურობა?

თურმე ადვილადაც:

ის ქართველნი, რომელნიც უცხოურად მიიჩნევდნენ მის ნაწერებს — აქ მკითხველის გაკვირვება გაოცებად გადაიქცეოდა — რომელიღაც მხრით... მართალს ამბობდნენ.

კი მაგრამ... ეს როგორ?

ამისათვის უნდა გაგვეხსენებინა, თუ რა ეთქვა გრიგოლ რობაქიძეზე მიხეილ წერეთელს თავის „მადლობაში“:

— გრიგოლ რობაქიძის გმირები ყოფა-ცხოვრებიდან კი არ არიან ამოღებულნი, ისინი ქართული არსების ხორცშესხმულობანი არიან.

და გრიგოლი მიხეილ წერეთელს მიიჩნევდა იმ ერთადერთ ქართველად, რომელიც ჩაწვდომოდა საიდუმლოს.

ხოლო „ის“ ქართველნი იცნობდნენ მხოლოდ საქართველოს ზედაპირს, მხოლოდ „ყოფა-ცხოვრებას“ მისას. „ქართული არ-

სება“ კი — კარდუს სამზეო: ენა, მითოსი, მსოფლსახე, „ქართლის ცხოვრება“: ეს „ანამნეზისი“ ნამდვილი — ეს „არსება“ მათთვის „უცხო“ ხილი გახლდათ. და რაღა გასაკვირი იყო, თუკი მათ გრიგოლის შემოქმედება — სხეულქმნა ამ „არსებისა“ — „უცხოდ“ ეჩვენებოდათ, ანუ უცხოეთიდან „შემოტანილად“.

ხოლო ისინი, რომელნიც არა „ტვინით“, არამედ „სისხლით“ აღიქვამდნენ „ქართულ არსებას“, გრიგოლის შემოქმედებაში განიცდიდნენ თავიანთ გულისფეთქვას, თავიანთ მაჯისცემას.

— ჯანი მამიმატის!

აი რა ეთქვა ხევსურთა კრებულს, როდესაც „ლამარას“ იხილავდნენ.

და ასეთი ქართველნი ათიათასობით რომ მოიპოვებოდნენ, როგორ არა ყოფილიყო გრიგოლი ბედნიერი?!.

დასასრულ ორიოდე სიტყვის თქმასაც დაისაჭიროებდა კიდევ.

„სიმბოლო“, „მითოსი“, „მარადი მყოფადი“ — მარტო მის სახელოვნო ლაბორატორიაში კი არა მუშავდებოდნენ. ისინი „დედიშობილანი“ იყვნენ გრიგოლ რობაქიძისა, „ცეცხლი“, რომლითაც ცოცხლობდა.

და მკითხველს სთხოვდა, დაკვირვებოდა ამ შინადენას სიტყვისა: „ცეცხლი“ — „საცეცხლე“ — „სიცოცხლე“. ამ ცეცხლით წვა რომ არ განეცადა, მაშინ მისი შემოქმედება „უცეცხლო“ იქნებოდა და როგორც ასეთი: „უნაყოფოც“.

მოინდომებდა ეჩვენებინა ერთი ნაპერწკალი მაინც ამ ცეცხლისა.

ამ „ჩვენებასაც“ ზოგიერთნი „თავისქებად“ ჩამოართმევდნენ?

არ მოერიდებოდა გამკილავთ და გაიხსენებდა 1913 წლის მარტს, როდესაც პეტერბურგის ქართველთა სათვისტომო ილიას სახსოვარ საღამოს გამართავდა. ითავმჯდომარებდა მაქსიმ კოვალევსკი. მომხსენებლად შოთა დადიანს შეარჩევდნენ (აი იმას, ვისი ნაამბობიც მოგვიანებით საფუძვლად დაედებოდა მიხეილ ჯავახიშვილის ნოველას „ორი განაჩენი“). ხოლო გრიგოლი გამოვიდოდა სიტყვით: „საქართველოს ტრაგედია“.

მოათავებდა გამოსვლას და... აღტაცება ექსტაზად გადაიქცეოდა.

შინაარსი გამოიწვევდა ამას მისი სიტყვისა?

არა, რადგანაც ურიგო არა ყოფილა — ეგაა და ეგ.

ეგებ ფორმა სიტყვისა?

ესეც ეეჭვებოდა გრიგოლს, რადგანაც მისი საშინელი აქცენტი რუსულში ცნობილი გახლდათ.

აბა მაშ... რა?

რა და:

„ის“ ცეცხლი, რომელიც სიტყვის წარმოთქმისას იწვოდა გრიგოლ რობაქიძის არსებაში: იწვოდა ილიას ირგვლივ.

მოხდებოდა ერთი რამ, რაც ექსტაზის გამოსახატავად უმაგალითოდ უნდა ჩათვლილიყო. ამ ამბავს აქ არ მოიშველიებდა იმის შიშით: „სხვანაირად“ არ გაიგონო — დაინტერესებულ პირთ კი შეეძლოთ ეს „ბედი ქართლისას“ რედაქტორისათვის ეკითხათ.

მოიხმობდა მეორე ამბავსაც.

საღამო გათავდებოდა. აღტაცება მინელდებოდა. გავიდოდა ორი-სამი დღე. ერთი სტუდენტი, რუსი, გაუგზავნიდა პეტერბურგიდან ბარათს თავის მეგობარს ხარკოვში, სტუდენტს, რუსს. მისწერდა სიტყვა-სიტყვით:

— გრიგოლ რობაქიძის სიტყვის შემდგომ, საქართველო რომ თავისუფალი მხარე იყოს, მე მისი ქვეშევრდომი გავხდებოდი.

გრიგოლს ამ ამბავს გადასცემდა თავისი მეგობარი, პროფესორი დიტო, დიმიტრი უზნაძე — გადასცემდა სიხარულით აყვავებული.

და თავს ვერ შეიკავებდა გრიგოლი, დიმიტრი უზნაძის სხარტი და ტევადი დახასიათება რომ არ ჩაერთო:

— ასეთი სათუთი, ფარული ცეცხლით ანთებული ადამიანი მე არ მინახავს; მოგახარებს რამეს — თრთის, თითქო ჩვილი ბავშვიაო.

გრიგოლ რობაქიძის სიტყვის შემდეგო...

მე საქართველოს ქვეშევრდომი გავხდებოდიო...

და იმ 1913 წელს რა იყო გრიგოლი? „დამწყები“ მხოლოდ.

და ცეცხლის ამ ნაპერწკლის გახსენებით მოათავებდა 1949 წლის ივანობისთვეში სტატიას, რომელიც წერისას აღსარებად გადაექცეოდა.

ეს სიტყვა „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაგედია“ სტატიის სახით ეპისტოლურ ყაიდაზე აიგებოდა — ამ კომპოზიციურ ქარგას ამჯობინებდა ავტორი იმ სილრმეში ჩასაწვდომად, საქართველო რომ შეიცნობდა თავის ტრაგედიას და გახსნიდა ტანჯვას ხელოვნური გამოთქმით: და ეს იქნებოდა გმირის პასუხი ბედისწერის მიმართ.

XIX საუკუნეში ქვეყნის ცას რომ გაეფინებოდა მთელი გუნდი ვარსკვლავ-ხელოვანთა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა თუ სხვანი — მართალია ყოველი მათგანი იტანჯებოდა ხალხის ტანჯვით, ყოველი მათგანი მოთქვამდა და გამოთქვამდა მშობელი ერის საშინელ ხვედრს, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე მათში მაინც გამოარჩევდა ილია ჭავჭავაძეს, როგორც მრავალმხრივი შემოქმედებით, ისე თავისი სიცოცხლის ტრაგიზმით: იმ დროს, როდესაც ყოველი სხვა იშვებოდა მგოსნად და დარჩებოდა მხოლოდ ხელოვანად — და ზოგიერთი: უფრო მაღალ მგოსნადაც — ილია წარმოდგებოდა როგორც მგოსანი-მოქმედი, როგორც ხელოვანი-გმირი. და ჭეშმარიტად საქართველოს ტრაგედია მასში მონახავდა თავის უკანასკნელ სიტყვას.

იდეა საქართველოსი, სახე ქართლისა — ამას რომ ემსახურებოდა მგოსანი-გმირი მთელი თავისი სიცოცხლითა და ხელოვნებით, გრიგოლ რობაქიძე ამ ფორმულასაც შეიმუშავებდა მისი სახიერად წარმოჩენისათვის:

ილია ჭავჭავაძე მთელი კულტურაა XIX საუკუნის მთელი ქართველობისა.

მაგრამ როგორ არ წარმოეჩინა ისტორიის გზის უცნაურობა:

ხალხსა — ემპირიულად აღებულს — და ილიას შორის უფსკრული გაიხრებოდა.

რითი ცდილობდნენ ეგრეთწოდებული განმათავისუფლებელნი კაცობრიობისა მისი მრავალმხრივი შემოქმედების გახსნასა და განსაზღვრას?

კლასთა ბრძოლის პროგრამის ვიწრო ტერმინებით.

და მწარედ ეცინებოდა გრიგოლს, როდესაც წარმოიდგენდა ამ ვიწრო ფარგალში მოქცეულ... გოეთეს. სხვა გზა არა რჩებო-

და — ან გენიოსი უნდა დამხრჩვალიყო ამ პროკრუსტეს სარეცელზე და ან პროგრამა გარღვეულიყო, პირწმინდად დამსხვრეულიყო მისი ფარგლები.

საკმაოდ გაბედულება იყო იმხანად ამის თქმა, რასაც გრიგოლი განაცხადებდა:

ილია ჭავჭავაძე — ჰუმანისტი ამ სიტყვის მაღალი და კეთილშობილი აზრით — უკანასკნელ დღემდე წინააღმდეგი იყო ამგვარ განმათავისუფლებელთაო.

და რაკიღა მოსალოდნელი იყო მისგან კლასთა ბრძოლის პროგრამის ვიწრო ფარგლის დამსხვრევა, ამიტომაც უსათუოდ უნდა გაანწირულიყო „განმათავისუფლებელთა“ ხელით.

ამით გრიგოლ რობაქიძე — ისევე როგორც: ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, კიტა აბაშიძე — წინამურის ტრაგედიის მოწყობაში სოციალ-დემოკრატებს ადებდა ხელს.

განსჯა კი ასე გრძელდებოდა, რომ:

უფსკრული მგოსანსა და ხალხს შორის თანდათან ღრმავდებოდა და... ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე გმირი-შვილის დაბადებას ელოდა, შვილი-ქამის მოვლინებას მოესწრებოდა: დიდებული მოხუცის სისხლით მოირწყობოდა მშობელი მიწა.

აღსრულდებოდა: საქართველოს ტრაგედია დამთავრდებოდა ბოლომდე.

— მაგრამ არ არის ტრაგედია გარეშე გამომსყიდველი მსხვერპლისა და არცა არის ტრაგედია გარეშე ტრაგიულის თვალახსნისა. და სისხლით შეღებილ ხელში დედამ ქართლისამ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში პირველად იხილა თვისი სახე.

და იქ, სადაც დაიმსხვრეოდა გმირი სააკაძის ძლევამოსილი ხმალი, სიმბოლო საქართველოს გაერთიანების იდეისა (ვერც ვერასოდეს გამოერკვეოდა გრიგოლ რობაქიძე სააკაძური ილუზიისაგან და ბოლომდე იწამებდა, თითქოს იმას საქართველოს გაერთიანების იდეა ამოძრავებდა, თუმც ამის თაობაზე „ქართლის ცხოვრება“ კრინტსა არა ძრავდა და ვერც დაძრავდა: არარსებულს არსებულად ანკი როგორ გამოაცხადებდა!), გამოიჭედებოდა სხვა ხმალი სულიერი, სიტყვა წინასწარმეტყველური, სიმბოლო ეროვნული რენესანსისა.

და... ვინ იცის, შეიძლება გამოსყიდულ ყოფილიყო სისხლი გმირი მგოსნისა. მაშ დაე აღსრულებულიყო.

რამდენი რამ ითქმოდა ამ სტატია-აღსარებაში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ მნიშვნელოვანი, საგულისხმო, დამაფიქვრელი, მაგრამ მინდა საგანგებოდ გაგახსენოთ ის პასაჟი, თავისი მხატვრული ქმნილებების არქიტექტონიკას რომ წარმოაჩენს ყოველმხრივ: ეს მატერიაო, ეს ფორმისშესხმაო, ეს კომპოზიციაო, ეს განფენაო, ეს აღწერაო, ეს სხეობაო, ეს ახატვაო, ეს სახექმნაო, ეს ფერადობაო, ეს ფერთა შეხამებაო, ეს მოყოლისნაირობაო, ეს სიმბოლოს გამოშიგნვაო, ეს მითიური თესლის ზრდა და მწიფობაო — იმას, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ თხზულებათა განსჯა-შეფასებისას, იმ სტილურ ხვეულებს, რასაც მარქსიზმი არად აგდებდა, რაკიღა კლასთა ბრძოლის პროკრუსტეს სარეცელზე ვერა თავსდებოდა ნამდვილი აზრიც და ნამდვილი ხილვაც, ნამდვილი გემოვნებაც და ნამდვილი შთაგონებაც... და ეს თითქოსდა წვრილმანი კიდევ ერთხელ ადასტურებს, გრიგოლ რობაქიძეს საბჭოთა სინამდვილეში არაფრისდიდებით რომ არ გაეძლებოდა — ამ პროგრამის ვიწრო ფარგლის დამსხვრევას ვინ დაანებებდა, და ამიტომაც სული ამოხდებოდა: ჯერ მორალურად და მერე ფიზიკურადაც.

„ლამარა“ მთელი საქართველოს გულისცემად გადაიქცაო...

სხვა რომელი ერის მწერალი დაიქადნიდა, რომ მისი თხზულება ისე შეჭრილიყოს ხალხის გულში, ის კი არა, სულაც მის გულად გარდასახულიყოს?!.

მაშ თავისი ბიოგრაფიაც ექნებოდა, პირადი, საკუთრივი, ასეთ მნიშვნელოვან მხატვრულ ქმნილებას.

ჰქონდა კიდეც.

და ვინ შეძლებდა ამ ბიოგრაფიის უკეთ მოყოლას, თუ არა ავტორივე, მშვენიერ მხატვრულ-დოკუმენტურ მოთხრობად რომ აქცევდა მონათხრობს 1954 წლის დამდეგს, ზოგიერთ რაიმეს კი მომავალი რვეულისათვის შემოინახავდა. ხოლო ამჯერად მინაწერში იმის თქმას იკმარებდა: ერთი აღსარება თანამემამულეთა წინაშე — „ლამარა“ — მოვლენილია საქართველოს შუაგული-

დან. მე როგორც ავტორი, მხოლოდდამხოლოდ „მომყვანი“ ვარ მისიო.

ითხოვდა, რომ: ნურავის გაუკვირდებოდა სათაურად „ბიოგრაფია“ — „ლამარა“ მისთვის ხომ პიროვნული არსი გახლდათ.

ზაფხულს 1924 წლისა მანგლისში გაატარებდა, სადაც ისვენებდა დასი ქართული თეატრისა: ისვენებდა და თანაც მომავალი სეზონისათვის ემზადებოდა. და გრიგოლი თითქმის ყოველდღე ხვდებოდა მთავარ რეჟისორს: კოტე მარჯანიშვილს.

და მკითხველს დაუზუსტებდა, რომ:

მანგლისის იდუმალი „გენიუს ლოცი“ — ქართული განსაზღვრით: „ადგილის დედა“ — მოსახულიყო მის გერმანულ რომანში „მცველნი გრაალისა“. მარჯანიშვილიც იქვე გამოყვანილიყო პერსონაჟად გვარის შეკვეცით: „მარჯანი“.

კოტე მარჯანიშვილის ელემენტი რა იყო და: ცეცხლი. უნარი კი ცეცხლის „მოვლისა“ არ ჰქონდა.

სხარტი და ტევადი დახასიათებით გრიგოლ რობაქიძე არსებითად იმავეს იტყოდა მარჯანიშვილზე, რასაც უილიამ ფოლკნერი ჯეიმზ ჯოისზე!..

ხოლო ცეცხლის მოვლა რომ არ შეეძლო, ამიტომაც: ჩქარა იწვოდა და მალე იფერფლებოდა. წვა იძლეოდა გასაოცარ „ელვარს“. ოღონდ ელვარი ძვირად თუ იღებდა პლასტიკურ „სახეს“. ყოველი ხელოვანივით: ისიც ჟინიანი გახლდათ, ხოლო ჟინს ნირიც ახლდა თან: კაპრიზი. და ჟინიანი შიგადაშიგ ჯიუტიც ხდებოდა: ერთხელ აღებულ გეზს არაგზით არ იცვლიდა. და გრიგოლს აღარ უკვირდა, რომ ნაღვაწში კოტეს ხშირად ლაფსუსიც ეპარებოდა.

შეხვედრა მასთან რა იყო და: ახალისება სიცოცხლისა. შეხვდებოდი და... მთელი არსით გადაგეხსნებოდა, ვითარცა ხალისი წყაროსთვალი.

და ამ სტრიქონებს დაწერდა თუ არა, ისეთი სახება წამოუტივტივდებოდა მეხსიერებაში, როგორ არ ჩაერთო:

ამ მხრივ მას პაოლო იაშვილი თუ გაეტოლებოდაო.

ერთთანაც და მეორესთანაც: შენც ხარობდი და იზრდებოდი შინაგანად.

და კოტესაც ნამდვილ მზისშვილად რომ მოიხსენიებდა პაოლოსავით, მიადევნებდა, რომ: ამ მადლის წყალობით ამართლებდა გენიალურ განჭვრეტას ქართველთა: როდესაც ვამბობდით „მცენარე ხარობსო", ვგულისხმობდით — „მცენარე იზრდებაო".

ეგაა — წყენას მიაყენებდი და... სამუდამოდ გაგემგუნებოდა.

ამავე დროს კი: მისმა მზემ დაბნელება არ იცოდა, და გრიგოლს მისი ის პიროვნული თვისებაც როგორ გამორჩებოდა: შურისგება რომ არასოდეს ამოძრავებდა.

თითქმის ყოველდღე რომ ხვდებოდა, ჭილოფებით მოფენილ მოლზე, ჩრდილში წამოწვებოდნენ და: ნებივრობდნენ და საუბრობდნენ. კოტესთან საუბარი გონების ტკბობას ედარებოდა, ყოველ აზრს წამსვე რომ ხვდებოდა და მოაბრუნებდა მოულოდნელი ნიუანსით. შევარდენული ციალი მის თვალებისა აზრის აფოთლებად ელვარებდა. და საუბრით კი რაზე ისაუბრებდნენ, თუ არა: მუსიკაზე, მხატვრობაზე, თეატრზე, ლიტერატურაზე.

შიგადაშიგ ლამაზ ქალთა „მონადირების" ამბებსაც უნდა ამოეყო ხოლმე თავი — რათა საუბარი კიდევ უფრო გახალისებულიყო.

და აი ერთ მწიფე ნაშუადღევს გრიგოლს ვაჟა-ფშაველაზე უნდა ჩამოეგდო სიტყვა. ემცნო, თუ რა დიდ მგოსნად მოჩვენებოდა იგი ილიას. უამბობდა: თვითონ გრიგოლს როგორ უნდა გადმოეშალა ეს სიდიდე ვაჟასი. და კოტე რომ გაინაბებოდა გულხმიერებით, ამას უნდა ჩაეწვეთებინა:

— რა იქნებოდა ვაჟას პოემა „გველის-მჭამელი" გასცენიურდეს!

გასცენიურებად ამას იგულისხმებდა: წარმოითქმოდა სცენიდან მთელი ამბავი, დიალოგებში კი მსახიობები გამოვიდოდნენ. დიდი ხანია აწვალებდა ეს ფიქრი გრიგოლს, მხოლოდ შესაფერის დროს ეძიებდა მის გასამხელად, და ესეც ის შესაფერისი ჟამი — კოტე ჩაეთრია ვაჟას სამყაროში, თვალები შევარდენულად აციალებოდა მოსმენისას, აზრიც დაუტრიალდებოდა გონებაში და... განაბული უეცრად რომ აღვივდებოდა, ორიოდე დღის შემდგომ გრიგოლი თავით ბოლომდეც წაუკითხავდა პო-

ემას და ღრმადაც განაცდევინებდა. ერთხანს დუმილში ჩაიძირებოდა, და მერე კი, თვალთა ციალის შემოფრქვევით:

— იცი რა გითხრა? ეს არ გამოვა! რა იქნება, შენ თვითონ გაშალო ეს მითიური გადმოცემა დრამად, ჰა?!

„გველის-მჭამელს“ იმ სახით, გრიგოლი როგორც ვარაუდობდა, სცენაზე ვერ დაინახავდა კოტე მარჯანიშვილი, გასაღებს ვერ მოუძებნიდა, არადა ამბავი ისე ააღელვებდა, ხელიდან როგორ უნდა გაეშვა.

თუკი თავიდანვე დრამად დაიწერებოდა, აი მაშინ კი...

— ვნახოთ, — სპონტანურად დაუქნევდა თავს თანამოსაუბრე, არც დაფიქრდებოდა.

მაგრამ იმპულსი კი აინთებოდა მასში. არ გავიდოდა სამი დღეც — და „ლამარას“ კიდეც იხილავდა ერთ უეცარ გაელვებაში მისი მთავარი მუხლებით.

ასეთი ხილვის დრო — დაე მკითხველი ჩაკვირვებოდა შემოქმედებითი პროცესის ამ ნაწილს — „თვალღია სიზმრისა“ ყოფილა ყოველთვის და არა საათის.

ოდისევსის თავგადასავლის მოსაყოლად სულ ცოტა ერთი დღე მაინც მოგვინდებოდა, ხოლო სიზმარში იმავე თავგადასავლის თვალგადავლებისათვის სულ ბევრი ათი წუთი თუ დაგვჭირდებოდა.

რაც იყო თუ როგორც იყო: „ლამარა“ შთაესახებოდა.

და შემოქმედება ხომ მართლაც ამგვარი შთასახვით იწყება და არა კალმით.

სურათი მთელისა ჯერ ლანდად გამოკრთებოდა, სპონტანურად რომ უნდა განამდვილებულიყო საშოთაგან ქვეცნობიერებისა. ფხიზელს რომ გეგონებოდა: ხილული თითქოს მიმქრალაო — თავისით ამოტივტივდებოდა ხოლმე სიცხადეში, როგორც... როგორც რომელიმე სახელი დავიწყებული ხსოვნის იდუმალი აუზიდან.

აქ ჰმართებდა ხელოვანს მძაფრი წვართი.

ნადირული ნაბვით უნდა დალოდებოდა ლანდის ამოტივტივებას, ოღონდ დაფრთხობით არ უნდა დაეფრთხო. ნელად, სათუთად უნდა მიეშვა მასთან „იმაგო“: წარმოსახვითი ძალა,

რათა მინიჭებოდა ამოტივტივებულის ჰაეროვან ხრტილს პლასტიკური სხეობა.

ამ გზით გაიზრდებოდა და მომწიფდებოდა ხილული ქვეფენებში ცნობიერებისა.

და გულისყური ხელოვანისა ახლა იქით უნდა მიმართულიყო: არ გაეშვა წუთი შთასახვის მომწიფებისა.

დაინახავდა: მწიფეა უკვეო — და კიდეც დროულად მოწყვეტდა: არც ადრე, არც გვიან. მოწყვეტდა როგორც ხილს.

კალამს ამის შემდეგღა მოჰკიდებდა ხელს ხელოვანი — ყოველ შემთხვევაში ასეთი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის გამოცდილება.

ეს იდუმალი პროცესი, შთაგონების მოვლინებიდან ხელში კალმის აღებამდე — დიდხანს გრძელდებოდა ხოლმე გრიგოლის არსებაში — ხანდახან წლობითაც. სანიმუშოდ გაიხსენებდა „გველის პერანგს“: შთამესახა 1917 წლის ზაფხულს, ჰამადანში — დაწერით კი დავწერე 1925 წლის შემოდგომის დამდეგს, ბორჯომშიო.

ხოლო „ლამარა“ — თვენახევარიც არ გავიდოდა მისი შთასახვიდან, კალამს მოიმარჯვებდა. მაშინაც უკვირდა ეს სიმალე და კვლავაც გაოცებული გახლდათ — ამდენი წლის გადასახედიდან. მიზეზი კი შესაძლოა — თუმც რაღა შესაძლოა — მისი მაშინდელი სულიერი მდგომარეობაც იყო.

საქართველო ემზადებოდა ამბოხებისათვის.

ამ ამბავს გაიგებდა: გაანდობდნენ.

და გრიგოლი სასტიკად უარყოფდა ამ ნაბიჯს. თუ რატომ, მისხლობით აწონიდა ამ რომანში.

მაგრამ მას ვინ დაუჯერებდა ამ საქმეში?

საშინლად ნერვიულობდა. აიშლებოდა, დაიშლებოდა...

მოხდებოდა ამბოხება და... გათავდებოდა მარცხით...

ახლა კი შლეგად იქცეოდა: კაცს აღარც ჰგავდა. მთელი მისი არსი ანთებით აინთებოდა. ასეთ ყოფაში კი დღე კვირაა და კვირა თვე და თვე წელიწადი.

და სხვა რა ეფიქრა: სიმალე იგი მხოლოდ „კალენდარული“ უნდა ყოფილიყოო.

ამას ერთ რაიმესაც დაუმატებდა:

შესაძლოა წამებულ ქართველს ისეთი სიმძაფრით გაელვიძა მასში, რომ ქვეშეცნეულად მოენდომებინა: „ლამარა“ უმალვე მიეხალა მტარვალთათვის ვითარცა ტრაგიკული მარჯი დამარცხებულთა.

შესაძლოაო, — ერთხელ კიდევ გაიმეორებდა.

ორი კვირა მოუნდებოდა „ლამარას“ სიტყვიერ გაშლას. მასში „გველის-მჭამელიდან“ არა დარჩებოდა რა, გარდა მითიური თქმულების შუაგულისა, ისიც გარდაქმნილის: იქ დაცოლშვილება, აქ ტრფობა — იქ თავმოკვლა, აქ თავშენირვა.

სახავდა მინდიას და... თვალწინ ედგა მისი მომღერალი: ვაჟა.

გაბედავდა ცდას: მგოსანი „ლამარაში“ მისნის თანამედროვედ შემოეყვანა.

როგორ, ისტორიული პირი — თანამედროვედ ზეისტორიულის, მითიურისა? ავტორი — გვერდით მისივე გმირისა? რასაკვირველია ეს შეუსაბამობა მოეხსენებოდა გრიგოლს, მაგრამ იცოდა ისიც, რომ ვაჟა მითიურ სივრცეში მოქცეულიყო: მითოსი მისთვის დედიშობილა გახლდა.

არა, ალღოს არ ელალატა გრიგოლისათვის. მისი დაბეჯითებული შეტყობით: და არც გაწბილებოდა. მესამე კამარაში ვაჟა გამოჩნდებოდა ხევსურთა ღრეობაზე. მეორე კამარაში „გველის-მჭამელის“ ადგილთ, პატარა ლაგაზის მიერ წარმოთქმულთ, თვითონ მინდიაც ისმენდა: ადგილთ, სადაც მისანი სამყაროს მიმართ ისახებოდა. „თანამედროვეობა“ ვაჟასი და მინდიასი აქ უშუალო სიახლოვედ ხდებოდა.

ამ ცდას სურვილიც ასულდგმულებდა:

„გარემოვლით“ გამოეთქვა გრიგოლ რობაქიძეს თავისი გრძნობა ჰომეროსის ნაშიერისადმი: ვაჟა-ფშაველასადმი.

დიდი ხანიც გამოხდებოდა, ვიდრე კოტე მარჯანიშვილი მზადებას შეუდგებოდა დრამის დადგმისათვის. არ ამტყუნებდა გრიგოლი გაჭიანურებისათვის: ალბათ ნათლივ ხედავს სიძნელეთო.

„ლამარას“ სიტყვიერი გაშლისათვის მოიმარჯვებდა ფშავ-ხევსურულ ფშანს ქართულისა, რომლითაც გამართულიყო ყო-

ველი შაირი თუ პოემა ვაჟასი. გამოსათქმელს აქ მართლაც მისი შესაფერი სიტყვა უნდა მორგებოდა.

ეს ფშანი არ შეიძლება ყოფილიყო დიალექტი, ამ ცნების ჩვეული გაგებით: ის ბარშიაც გასაგები გახლდათ. და მაშ... პროვინციალიზმი? არაო, — მტკიცედ უარყოფდა გრიგოლი და მოვალედ მიიჩნევდა თავს აღენიშნა, რომ ეს არაპროვინციულობა ფშავ-ხევსურულისა პირველად პავლე ინგოროყვას შეემჩნია 1917 წელს, გრიგოლთან საუბრისას ესეც რომ ეთქვა:

— ფშავ-ხევსური არქაული ქართულია.

და ეს დაკვირვება ბიძგი აღმოჩნდებოდა გრიგოლისათვის, რათა ამგვარად გაეშალა:

— ერთ-ერთი ძველთაძველი ფენი ქართულისა, მიუვალ მთებში გადარჩენილი და დღემდე ცოცხალი.

ხევსურული ფშანი ქართულისა მართლაც სალი კლდისაგან იკვეთებოდა. და თვითონაც კიდევ ერთხელ დაუგდებდა ყურს ვაჟას და მკითხველსაც საამისოდ განაწყობდა:

— იმათ წყალს დაუბანია თამარის ტურფან თვალნიაო.

— იმედს ნუ დამინიავებო.

— კლდის თავს გაშლილი პირიმზეო.

— ჩემს ცრემლს უბეში ინახავ, ვიცი, სამშობლოს მთვარეო.

განზეც რომ დაგვეტოვებინა აქ სახენი თვალწარმტაცნი — თვითონ სიტყვის, თქმის კვეთილობა გვაჯადოებდა. კვეცილი ფორმა ამ ფშანისა მკვეთრი იყო ძირამდე. თანვე ელიფსით იმართებოდა, ანუ: ართქმულით, მაგრამ ნაგულისხმევით.

და გადაერთობოდა ენობრივ ხვეულებში, ქართული ენის საიდუმლოდ ელიფსს რომ გამოაცხადებდა — ამით გამოირჩევა სინტაქსისაგან რომელიმე სხვა ენისაო.

ხოლო ხევსურულს ჰქონდა კიდევ ერთი მხარე, რაც განასხვავებდა მას ლიტერატურული ქართულისაგან: იქ უბრალო თქმა, ელიფსით გამართული, არ ემგვანებოდა „ყოველდღიურს“. თუნდ აგერ ერთი სცენა „ლამარას“ მესამე კამარაში, თორღვა რომ იღრინებოდა და მზად იყო შეეტია ძმისათვის: მინდიასათვის. რაიბული, მამა, ერთი მოკვეთილი შერისხვით შეაჩერებდა მას, ამ მოქნევით, შაირით რომ გაიმართებოდა:

ჯერ არ მიხილავ ცდუნება ჩემი დაშნა და ფარისა — სახელ მიქვიან რაიბულ — მინდოდაურის გვარისაო!..

მკითხველს სთავაზობდა გრიგოლი წარმოედგინა: ვინმეს შეერისხა თავისი შვილი ამავე სიტყვებით, მაგრამ ჩვეული ქართულით: მე მქვიან სახელად რაიბულ და გვარი ჩემი არის მინდოდაურიო. ნიძლავს დასდებდა, თუ რომელიმე მსმენელი წამსვე არ მიახლიდა მრისხავს: მერე რაო!.. და თუ მამხილებელი იმერელიც იქნებოდა, „ბოშოსაც“ მიაყოლებდა და: მთელი რისხვა პამპულაის ქაჩვად გადაიქცეოდა. იქ კი უბრალო თქმაც ლახვრად ელავდა თვითონვე: შევყურებდით დევკაცს, შემმართებელს.

რაღას გაეგრძელებინა. ეს ერთი დეტალიც საცნაურს ხდიდა, ხევსურული ძნელი რომ გახლდათ სცენისათვის. ბარის ქართველისათვის საჭირო ხდებოდა ხევსურად გადაქცეულიყო. ამ სიძნელეს ხედავდა კოტე მარჯანიშვილი. დაე იმ გარემოებასაც დავკვირვებოდით, რომ ქართული სცენიდან მანამდე არავის სმენოდა ხევსურული. ამის გამოისობით ის სიძნელე სახიფათოდაც ეჩვენებოდა კოტეს: ერთი უეცარი წაბორძიკება მსახიობისა და... სიტყვა მყისვე სიცილს გამოიწვევდა.

არსებობდა მეორე სიძნელეც, ბევრად, ბევრად უფრო რთული, ზოგიერთი რომ მიიჩნევდა: აღნაგი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში მუსიკალური პრინციპიდანაა ამოზრდილიო.

ქართველთა შორის ეს თავისებურება აქ, უცხოეთში აღენიშნა მიხეილ წერეთელს.

საქართველოში კი — ვუკოლ ბერიძეს.

პირველად აკი ვუკოლისათვის წაეკითხა „ლამარა“, როგორც მცოდნისათვის ხევსურულისა: არ შემეპაროს რაიმე აბრუნდიო. და ყოველი კამარის მოთავების შემდეგ ის წამოიძახებდა ხოლმე:

— სიმფონიაა, სიმფონია!

და გრიგოლს რა დაავიწყებდა იმ წუთას გაბადრულ მის პროფილს — ჰიტიტურს!

უცხოელთაგან აგონდებოდა სიტყვები რომენ როლანისა, რომელსაც 1925 წელს გიორგი ელიავა, გრიგოლის თხოვნით, პარიზიდან გაუგზავნიდა ელისაბედ ორბელიანის მიერ თარგმ-

ნილ „მალშტერმსა“ და „ლონდას“. იმას „მალშტრემი“ არ მოეწონებოდა, „ლონდაზე“ კი მოსწერდა გიორგის:

— მუნე სიული „ლონდას“ მაგიური ზეგავლენის განცდის შემდგომ აღარ არის მუნე სიული.

მუნე სიული ვინ გახლდათ და: საფრანგეთის სახელგანთქმული მსახიობი ტრაგიკულ როლებში, მისი დაბადება-გარდაცვალების თარიღებსაც რომ გვამცნობდა გრიგოლი: 1841-1916.

და დასძენდა ამასაც:

— მიმაჩნია, რომ ეს ხელოვნება (განსაკუთრებით „ლონდას“ პირველი და უკანასკნელი გვერდები) ჩვენი დიდი მუსიკოსებისათვის უფროა ახლობელი, ვიდრე პოეტთათვის.

მეორე ბარათში კვლავ გაიხსენებდა „ლონდას“ და მოსწერდა:

— ...და რომლის მუსიკალურმა არქიტექტურამაც განმაცვიფრა.

და გრიგოლი ამ ფრაზას აღტაცებული გაიმეორებდა, მიადევნებდა, რომ:

არცერთ მის ქმნილებაში ეს „მუსიკალური არქიტექტურა“ არ მჟღავნდებოდა ისეთი მძლეობით მოზმულად, როგორც სწორედ „ლამარაში“: ყოველი მოქმედი პირი, მთავარი თუ თანმყოლი, შესულიყო ამ დრამაში ისე, როგორც რომელიმე ინსტრუმენტი ორკესტრში.

ადვილი წარმოსადგენია, რა სირთულეც აღიმართებოდა რეჟისორის წინაშე.

მაგრამ... ყოველი სიძნელე ერთობ — ასეთი გახლდათ მისი „ესპანური“ ბუნება — ახელებდა მხოლოდ შემოქმედებით ჟინს კოტე მარჯანიშვილისა.

და აი ერთ მშვენიერ დღეს, ხანგრძლივი აწონ-დაწონვის შემდეგ, კიდეც უნდა შედგომოდა მის ხორცშესხმას სცენაზე.

რარიგ განცვიფრდებოდა გრიგოლი, როდესაც რეჟისორი ეტყოდა:

— მეოთხე კამარა განზე დავტოვე, მხოლოდ მისი ბოლო სცენა მოვიტოვე და მესამე კამარას მივაბი.

რატომ მიეღო ეს მოულოდნელი, გრიგოლისათვის სულაც უცნაური გადაწყვეტილება?

თურმე რატომ და:

— მეოთხე მოქმედება ხელს უშლის მოქმედების დრამატულ მაღლა-მაღლა განვითარებას.

გაშტერდებოდა გრიგოლი: მართლა ხელს უშლისო?.. და ამას მერეც ვერ გაიგებდა, წელი წელს და ათწლეული ათწლეულს რომ მიჰყვებოდა.

ანკარა წყარო ხომ გვხიბლავს ამონაკადებულიო — მაშინაც და ახლაც ამას ფიქრობდა — კიდევ უფრო ვიხიბლებით, როდესაც მის ფსკერზე თვალს მოვკრავთ ცინცხალ თვალს: მოჩუხჩუხე „წყაროსთვალს". მეოთხე მოქმედება „ლამარასი" სწორედ ასეთი წყაროსთვალია. სულიერი დრამა როგორც ლამარასი, ისე მინდიასი ამ კამარაში იშლება. გარეგნულად აქ მოქმედება მინელებულია — მითუფრო დინამიკურია შინაგანად. ვითომ ეს შეუშლიდა ხელს დრამის რიტმულ დენასო?

მაგრამ... მართლაც ვის შეეძლო კოტე მარჯანიშვილის გადარწმუნება!..

და გრიგოლ რობაქიძეც გულდაწყვეტილი დაუთმობდა.

არადა „ამპუტაცია" მეოთხე კამარისა გრიგოლისათვის სხვა მხრივაც აღმოჩნდებოდა მტკივნეული: იმ დღეებში, როდესაც იგი „ლამარას" ჰქმნიდა, გარდაიცვლებოდა ორფეოსი ქართველთა: ვანო სარაჯიშვილი.

მამულს გლოვა მოიცავდა. დედული აცრემლდებოდა. დასაფლავება — კოტეს მიერ განრიგებული — ჭეშმარიტ მისტერიად გადაიქცეოდა. დაკრძალავდნენ საოპერო თეატრის ბაღში. დაბრუნდებოდა გრიგოლი შინ დამწუხრებული. ნათელი იქნებოდა ეს მწუხარება.

ჩაუჯდებოდა „ლამარას" გაგრძელებას და... მეოთხე კამარა სწორედ იმ ღამეს დაიბადებოდა.

და მერე როგორ?

წერდა ისე, თითქოს ვიღაც კარნახობსო. არ დასჭირდებოდა არც სიტყვის შენაცვლება, არც თქმის სხვაგვარი მოზმევა, სასვენი ნიშანიც რაა, ისიც უცვლელი დარჩებოდა. და ასე შევიდოდა ეს კამარა მთელ ქმნილებაში: ვითარცა ნაყოფი ხალასი შთაგონებისა, გრიგოლი ინსპირაციის თქმას რომ ამჯობინებ-

და, და ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: სამუდამოდ დადუმებულმა ორფეოსმა თუ მარგუნა ეს უნათლესი მადლიო!..

და დაე მკითხველს წარმოედგინა მისი ტკივილი, გამოწვეული ამ „ამპუტაციით“.

დათმობით მაინც დაუთმობდა.

არა იმიტომ რასაკვირველია: ოლონდაც დადგმულიყო. თუკი რეჟისორი მხოლოდ ასე ხედავდა სპექტაკლს და სხვაგვარად ვერა, დადგმა მისი გახლდათ და თვითონვეც უნდა გადაეწყვიტა, ავტორის ჩაურევლად, რა როგორ სჯობდა. ბოლოსდაბოლოს ლიტერატურულად აუცილებელი ნაწილი შესაძლოა — ან რაღა შესაძლოა, თუ კოტე მარჯანიშვილი ასე გაიაზრებდა — სცენურად ამოვარდნილი ყოფილიყო და ერთიანი შთაბეჭდილების დამზიანებელი თუ არა, შემანელებელი მაინც.

და გაჩაღდებოდა მზადება სპექტაკლისათვის.

კოტესთან ერთად იმუშავებდა სანდრო ახმეტელიც: ნიჭით უხვად დაჯილდოებული.

ამჯერადაც, როგორც გიორგი ელიავას ხსენებისას, გრიგოლი დაურთავდა: დახვრიტეს 1937 წელსო.

მოათავებდნენ ორ კამარას და... უეცრად ავად უნდა გამხდარიყო კოტე: ბრმანაწლავის ანთებით. ოპერაცია ვერ წარიმართებოდა სასურველად და დიდხანს მოუწევდა კლინიკაში წოლა.

მაგრამ დრამა დაგეგმილი გახლდათ ბოლომდე და ახმეტელი მარტო განაგრძობდა ხელმძღვანელობას შემუშავებული გეგმის კვალობაზე.

და კიდეც მოთავდებოდა მზადება.

და კიდეც დაიდგმოდა 1926 წლის 29 იანვარს.

გრიგოლი იჯდებოდა პირველ ლოჟაში, სცენიდან მარჯვნივ. ირგვლივ მეგობრები შემოკრბებოდნენ. თეატრში ტევა აღარ იქნებოდა. მარცხისა ეშინოდა? არა, სულ სხვაგვარად დაამახსოვრდებოდა მაშინდელი განწყობილება: ღელავდა, თითქოს მათრობელა პაემანისათვის ემზადებოდა. თეატრი ძაბვით დაიძაბებოდა და... ფარდაც აიხდებოდა...

კვალდაკვალ გაჰყვებოდა სპექტაკლის მდინარებას გრიგოლის მეხსიერების სკივრიც, ფიქრიც და მზერაც, „ლამარას“ ბიოგრა-

ფიული ქარგის აღდგენას რომ შეეცდებოდა, და თვითეული ხვეული და ნიუანსი ისე გადმოიფინებოდა ახლა უკვე მკითხველის თვალთა წინაშე, თითქოს შენც დამსწრე ყოფილიყავი იმ უჩვეულო მოვლენისა, რომელიც უნდა დასრულებულიყო განხეთქილების ჩაქრობით ორ ტომს შორის — ლამარა, უნებური კვანძი შეხლისა, თვითონვე უნდა აღმოჩენილიყო ამ კვანძის გამხსნელი. გახსნიდა და... თანაც გადაჰყვებოდა: ვითარცა მსხვერპლი.

ტრაგედია მისტერიაში გადაიხსნებოდა. ლამარა სულს განუტევებდა.

და სიმბოლური სურათი: ერთი მხრივ იჩო და რაიბული, ხელგადაჭდობილნი, მეორე მხრივ მინდია და თორღვა, და ისინიც ხელგადაჭდობილნი. მკლავებზე: დასვენებული საუკუნოდ განსვენებული. მიჰყავდათ მაღლა აზიდული. გალობდნენ ძველ ჰიმნს ქართველთა. და ჰიმნში იკიაფებდა სახელი: ლამარა, ლამარა.

თეატრი, მისტერიას ზიარებული, ცრემლად გადაიქცეოდა, ხოლო ცრემლი — შვების ნაკადად. თვალი თვალს ეხსნებოდა და ყოველ თვალში ერთი თვალი იციალებდა: ლანდი ლამარასი, ღვთიურად ცოცხალი.

რა დაემართებოდა თეატრს ფარდის დაშვებისას, გრიგოლ რობაქიძე აღარ აღწერდა და... აღარც იქნებოდა საჭირო...

როგორ გაიხსენებდა და შეაფასებდა შემსრულებელთ და მათ თამაშს და:

ლამარა-თამარ ჭავჭავაძე დიახაც შესაფერი აღმოჩნდებოდა, ოდნავ ტანსრული, ვიდრე ლამარა წარმოსახული. სიტყვა, გამოთქმა, მიმოხვრა, იერი — ნამდვილი ქისტის ქალისა. თამარს აქ ხელს შეუწყობდა მისი კახური წარმოშობაც.

მინდია-გიორგი დავითაშვილი: არცერთ როლში არ ენახათ იგი ეგზომ დასრულებული.

თორღვა-უშანგი ჩხეიძე: ერთი სიტყვით მოიჭრებოდა — მეხმოხვედრილი, მაგრამ მეხს გადარჩენილი და ამით: მეხი თვითონვე.

მურაზ-აკაკი ვასაძე: რასიულად დახვეწილი ჩერქეზი. გამომსახველი გმირისა ისეთი წნევით, რომ ასახვა ბიოლოგიურ სხმად გამოიკვეთებოდა.

იჩო-აკაკი ხორავა: ესეც ერთი სიტყვით მოიჭრებოდა — ნამდვილი შამილი. და დასძენდა: შეუდარებელი ხმა, ბანი ბარიტონული ტემბრითო.

რაიბულ-შალვა ღამბაშიძე: განსვენებული ვახტანგის ძმისწული, და როგორც ყოველი ნაშიერი ღამბაშიძეთა: ისიც ახოვანი და ბრგე, და როგორც ასეთი: მოხდენილი რაიბული.

ქავთარ-ლადო ადამიძე: დიახაც შესაფერად რომ ითამადებდა ღრეობის გაშლისას.

ვაჟა-პლატონ კორიშელი: გრიმით ნამდვილი ვაჟა. მისი როლი: მხოლოდ „ის" გადმოძახება და შაირის წარმოთქმა. პირველი — მარჯვე, მეორე — გულმხვედრი.

ჰიდდირ, იჩოს მამა-დათიკო ჩხეიძე: მოყვარული სცენისა და მსახიობად ვერქცეული, მოულოდნელად და სასიხარულოდ ამ ნათელ მოხუცს კარგად შეასრულებდა.

მუსიკა ახალგაზრდა კომპონისტს მიენდობოდა — იონა ტუსკიას, დრამის შინაგან დენას მშვენივრად რომ შეეხმატკბილებოდა.

სცენის მორთულობა ლადო გუდიაშვილს დაევალებოდა, მაგრამ ეს ფრიად თავისებური ხელოვანი ვერ გამოდგებოდა სცენისმომრთველად. და შემდგომ ირაკლი გამრეკელი რომ იკისრებდა ამ საქმეს, მისი მორთულობა ბევრად უფრო შესაფერი გამოდგებოდა.

კოტე მარჯანიშვილი ვერ დაესწრებოდა წარმოდგენას: ჯერაც კლინიკაში იწვებოდა.

გაიმარჯვებდა თეატრი. და მისი გამარჯვება უმთავრესად ამით გამოიხატებოდა: „ლამარათი" ის შეჰქმნიდა სრულიად ახალ სტილს, პირწმინდად ქართულს.

რისი თქმა ენება ამით გრიგოლ რობაქიძეს?

მიუხვდებოდა ყველა მცოდნე თეატრისა, თუ მას ენახა ებრაელთა თეატრი „გაბიმა", ანდა სმენოდა იაპონური „კაბუკი".

* * *

როგორ გინდოდა პერსონაჟად შემოგეყვანა ჰომეროსის ნაშიერი ვაჟა?!.

სულიერი ექსტაზი შეაგულიანებდა საამისოდ გრიგოლ რობაქიძეს, თორემ მარტოდენ გონებით ვერ გაბედავდა.

ახლა კი, გზნებადავლილი, თვალნათლივ იხილავდა ვაჟას, განიცდიდა მის არსებას და... გაპერსონაჟებასაც რაღა დაუდგებოდა წინ.

ღრეობისას უეცრად ხმა უნდა გაელვებულიყო: ვაჟა მოდის, ვაჟაო! — და ნადიმიც ამზეურებულიყო. და ხევსურნი იმ წუთას ერთ გუნდად შეკრულნი, რომ შეუღივლებდნენ, იმას მაღლიდან უნდა გადმოეძახა:

— ფშავ, ხევსურ, თუშ, კახ, ქართ, იმერ, გურ, მეგრ, სვან — შვილნია საქართველოისის! მარჯი საქართველოს!

და როდესაც სთხოვდნენ შაირის წარმოთქმას, იმას უნდა ემჯობინებინა: „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ — და იმ სტრიქონზე: გულმკერდიც აგიყოვდება, დედაო, ია-ვარდითაო, — ურუანტელს ელექტროტალღასავით უნდა დაევლო ყველასათვის. ხოლო როდესაც წმინდა თაყვანით ჩამოაწვეთებდა: ეს ჩვენი ჩუმი მფარველი ლაშარის ჯვარად ვსცანითაო, — თეთრი გიორგის ლანდი უნდა მოფენოდა ირგვლივ, მზიურად ალივლივებული. — გიცქერ, მატყლსა სჩეჩ, ფარტენას — ცრემლი გისველებს ტიალიო, — და მიადევნებდა: ეგ ხომ ჩემ საჩოხედ გინდაო, — და მსმენელთ კიდეც ცრემლი უნდა მოდგომოდათ თვალზე.

მოლხინეთა „ვაჟაა“ ისევე რომ დატრიალდებოდა, როგორც „ვაშაა“ — კიდეც გაირღვეოდა აბობოქრებული რეალური ზღვარი.

ფარდა რომ დაეშვებოდა და მთელი თეატრი ფეხზე წამოიშლებოდა, გრიგოლიც ადგებოდა. ტაში გრიალებდა სცენისაკენ და ესეც მიჰყვებოდა გრიგალს. ფარდა აიხდებოდა. და გრიგოლი იხილავდა, რომ... სცენიდანაც ტაში მოდიოდა. გაოცდებოდა. ერთი მეგობრის ხელს იგრძნობდა მარჯვენა მხარზე. და გამოერკვეოდა:

სცენიდან მოშვებული ტაში მისკენ შემოაბრუნებდა იქით მიზღვავებულ ტაშს მთელი თეატრისა. და გრიგოლს თავბრუ დაესხმოდა: თითქოს სხვა ყოფილიყოს, ნათელი ნეტარებით ტანაყვანილი.

მეხსიერებით რომ აღიდგენდა სპექტაკლის მთელ მდინარებას, კიდევ ერთხელ დაწყდებოდა გული, მესამე კამარას რომ მიეწებებოდა ის მოკვეცილი ბოლო სცენა მეოთხე კამარისა: თორღვაისა და მურთაზის ხმალდახმალ შეყრა და სასიკვდილოდ დაჭრა მურთაზისა. „მიწებებას" სჭირდებოდა: თორღვაი და ლამარა ნადიმის ბოლომდე დარჩენილიყვნენ. იქ, მეოთხე კამარა, ეს სცენა მომზადებული გახლდათ — აქ კი, მესამე კამარის ბოლოს, მართლაც ხელოვნურად მიწებებული, „ოპერისებურ" მორთმეული.

როგორ ბოლოვდებოდა მესამე კამარა ტექსტში?

ვაჟა შაირის წარმოთქმას რომ დაასრულებდა, მოლხინეთა აღტაცება ისეთი შეიქნებოდა, ვაჟა ლამის ცისაკენ აეტაცათ. ამგვარი აღტაცების გამოსასხეულებლად კი გამოუშვებდნენ მროკავებს და როკვაც გაიმართებოდა ამოწვდილი ხმლებით. და უეცრად ერთი ხევსური მოვარდებოდა ძახილით:

— ქისტები დაგვეცნენ თავს!

და მოცეკვავეთა აწვდილი ხმლები ახლა ბრძოლისათვის უნდა აელვარებულიყვნენ.

ესეც ის ნამდვილი ბოლო, ტექსტში მესამე კამარისა. და გულდაწყვეტით დასძენდა გრიგოლი:

— ვუღალატე მუსიკალურ არქიტექტონიკას?

ვერ გადახარშავდა და ვერა რეჟისორულ ჩარევას პიესის მდინარებაში.

* * *

პროვინციაში „ლამარას" კიდევ უფრო მეტი გამარჯვება ერგუნებოდა. თვალსაჩინოებისათვის თუნდ ერთი დეტალის გახსენებას იკმარებდა, მრავლისმეტყველის. ბათუმში ეტყოდნენ აჭარლები მსახიობებს:

— იქ, საცა ვაჟა ესალმება ხევსურებს: ფშავ, ხევსურ, თუშ, კახ, ქართ, იმერ, გურ, მეგრ, სვან — ჩაუმატეთ ერთი სახელიც.

— რომელი?

— აჭარ!

რარიგ აღფრთოვანდებოდა გრიგოლი, ამ თხოვნას რომ გადასცემდნენ: როგორ მოხვედრიათ გულზე „ლამარა" ჩვენს მუსულმან ძმებსო!..

და... სახელი ლამარა კიდეც მოეფინებოდა მთელს საქართველოს.

დაარქმევდნენ... სადოღე ცხენებსაც, დაარქმევდნენ... რესტორანსაც ტფილისში.

საიდან მოდიოდა ეს სახელი?

მოგვაგონებდა ერთ წარმართ ღმერთქალს, ცნობილს სახელით „ლაგამარ", გაგვახსენებდა „ლამარიას", სახელს სვანთა ერთი მცირე სალოცავისა.

და ქართველ ქალს რომ არასოდეს რქმეოდა ლამარა — დრამის განფენის შემდგომ ამოციალდებოდა მრავალი ლამარა, ცქრიალა ცირანი, დღეს უკვე დაქალებულნიც რომ იქნებოდნენ.

ერთი ლამარა ევროპაშიც იმყოფებოდა. და თუ ვინმე დაინტერესდებოდა მისი ვინაობით, ცნობას მიაწვდიდათ პარიზში მცხოვრები თამარ ბერეჟიანი, ქართველი ქალის სილამაზის დედოფლური წარმომადგენელი.

საუბედუროდ მარჯს მარცხიც რომ უნდა მოჰყოლოდა, და აქ გრიგოლი დაადანაშაულებდა ქართველთა თანდაყოლილ სენს — შინაგანად ვერძლეულ საფრთხეს.

მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის შუღლი უნდა ჩამოვარდნილიყო. მარჯანიშვილს მიეტოვებინა თეატრი და საკუთარი დაეარსებინა. მას თან გაჰყოლოდა მსახიობთა მცირე ჯგუფი, მათ შორის: თამარ ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე და შალვა ღამბაშიძე.

და ნაცვალი თამარისა ვერ გამოდგებოდა „ჭავჭავაძური", ვერც უშანგისა — „უშანგური" და ვერც შალვასი — „ღამბაშიძური".

განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდებოდა უშანგის განშორება.

იგი, აკაკი ვასაძე და აკაკი ხორავა განუყრელ სამეულად წარმოდგებოდნენ — არამარტო თეატრში, ნადიმშიაც, საოცარი სიმღერა რომ სჩვეოდათ უხვად გაშლილ სუფრაზე: ვასაძის აელვარებული დაწყება, უშანგის მეხური მოძახილი და ხორავას ნელი გუგუნით განფენილი ბანი.

აი რა გახლდათ სიმღერა: ქართული სიმღერა!

და დაჰგმობდა ბედს გრიგოლ რობაქიძე, ბედს ქართველისა: უშანგი უნდა ამოვარდნილიყო ამ სამეულიდან და განაპირებულიყოო?

ჩაივლიდნენ წლები.

1930 წლის ზაფხულს გაიმართებოდა მოსკოვში საბჭოეთის ხალხთა თეატრალური ოლიმპიადა.

რუსები ჩართავდნენ შეჯიბრში „პრინცესა ტურანდოტს“, რომელსაც პირველი ჯილდო მოეპოვებინა პარიზში 1926 წელს.

ჩვენი თეატრი შეარჩევდა: „ნგრევას“ ლავრენიევისა, „ანზორს“ გადმოკეთებულს სანდრო შანშიაშვილის მიერ ვსევოლოდ ივანოვის პიესიდან, და „ლამარას“.

სანდრო ახმეტელს არ ეშინოდა იმ უბრალო მიზეზითაც, რომ: შიში რაა, საერთოდ არ იცოდა.

დარწმუნებული გახლდათ გრიგოლი:

თუკი „ლამარა“ პირველი გავარდნისას თავში მოექცეოდა, ვერა რომელი ფაშატი ვერ დაეწეოდა ვოლგის გადატრუსული ველებიდან. მაგრამ ვერც წარმოიდგენდა, თუ ეს მზე-ნაშვი ფაშატი, სპორტის ენით რომ თქმულიყო, სხვებს ასი მეტრით მოიტოვებდა უკან.

აჭარბებდა ვითომ?

ფაქტები თვითვე იღაღადებდნენ.

ყოველი პიესა საცდელად ორჯერ უნდა წარმოედგინათ, და „ლამარას“ წარმოადგენდნენ... რვაჯერ ზედიზედ: „გამოცდა“ მცდელთათვის თრობად იქცეოდა.

ის საგულისხმო გარემოებაც:

ამ რვიდან ერთხელ დადგამდნენ საგანგებოდ მოსკოვში მცხოვრებ უცხოელთათვის და მეორედ — მხოლოდ მსახიობთა და რეჟისორთათვის მოჯიბრე თეატრებისა.

ერთხელ — ეს მოხდებოდა 26 ივნისს და აღინიშნებოდა თეატრის დღიურში — ოვაცია ოვაციაზე გაგრძელდებოდა მესამე მოქმედების შემდგომ ნახევარ საათზე მეტხანს: 35 წუთი.

პრესაც დიდი ქებით შეხვდებოდა „ლამარას“ და ერთგან ისიც ეწერებოდა: შექსპირული სახეებიო. ამავე დროს ხაზს უსვამდნენ: შინაგანად ეს „ჩვენი“ არ არისო. და გრიგოლს ახარებდა ამ-

გვარი ჩამატება: რასაკვირველია ეს ქებაც კიდევ უფრო აძლიერებსო.

ერთი გერმანული ჟურნალი, რომელიც იმჟამად მოსკოვში გამოდიოდა, მიმოხილვას ოლიმპიადისა ამ სათაურით გამოაქვეყნებდა: „ლამარრრრრრრრა“ — ესეც ის დეტალი, რომელიც მართლაც რომ მონოგრამად ჰკვეთდა მთელ სურათს.

ბოლოს ის უმნიშვნელოვანესი რეალიაც:

ერთ წარმოდგენას თვით „იგიც“ დაესწრებოდა: სტალინი.

აქ საგანგებოდ ჩაურთავდა გრიგოლი, რომ: თვითონ ოლიმპიადას არ დასწრებოდა.

ხოლო „იგი“ მოსულიყო მაშინ, როდესაც ბოლო მოქმედება მიმდინარეობდა. და ფარდის ჩამოშვების შემდეგ სურვილი გამოეთქვა: თავიდან ბოლომდე გაემეორებინათ წარმოდგენა.

რასაკვირველია გაიმეორებდნენ დაცარიელებულ თეატრში.

და ესეც რა გასაკვირია — უფრო მეტი ტემპერამენტითაც.

და გრიგოლ რობაქიძე ამ ფსიქოლოგიურ გარემოებას ჩაუფიქრდებოდა:

— შეირხნენ სტალინში საქართველოს ფესვები?

და ღიად დატოვებდა ამ კითხვას.

თუმც... ვითომ მართლა ღიად არის დატოვებული?..

* * *

ფოტოსურათი მთელი ამ სცენისა გამოქვეყნდებოდა ერთ რომელიღაც ქართულ ჟურნალში.

რომელიღაც — რაკიღა სიცოცხლის მიმწუხრზე გრიგოლს ვერა და ვეღარ გაეხსენებინა ამ გამოცემის სახელწოდება.

სად შეიძლებოდა მისი მოპოვება?

წესით თეატრს უნდა ჰქონოდა შემონახული.

და თუ თეატრის არქივში არ მოიძებნებოდა?

მაშინ... იოსებ გრიშაშვილის წიგნთსაცავში. ოოო, იმისი კი სჯეროდა გრიგოლს: როგორ გაუშვებდა ასეთ უნიკუმსო.

* * *

ისე რაკიღა ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა „ლამარას“ შექმნას, რას გამორჩებოდა, 1954 წლის შემოდ-

გომაზე საიუბილეო თარიღი რომ უნდა შესრულებულიყო მისი შექმნიდან: 30 წელი.

ამ ხნის განმავლობაში არ მოსვლოდა ფიქრად, რომ: მოქმედ პირთა შორის ლამარა ლანდურად წარმოსახულიყო — და ამავე დროს იგი გახლდათ ყველაზე უფრო ნამდვილი, ვთქვათ: საგზნები, სურნელოვანი.

დღეს უფიქრდებოდა ამ საცნაურ დეტალს, და ივარაუდებდა: აქ უნდა იმალებოდეს საიდუმლო ძალა „ლამარასიო".

* * *

რარიგ გაიხარებდა გრიგოლი:

მიხეილ წერეთელი ერთადერთი ქართველია, რომელიც წვდა საიდუმლოსო.

ეს მაშინ, მიხეილი რომ განაცხადებდა:

გრიგოლ რობაქიძის გმირები ყოფა-ცხოვრებიდან კი არ არიან ამოღებულნი, არამედ ქართული არსების ხორცშესხმულობებს წარმოადგენენო.

ქართული არსების ანუ კარდუს სამზეოსი: ენით, მითოსით, მსოფლსახითა და ისტორიული თავგადასავლით.

თავი მესამე

ორი სიმართლე

აღარ იცოდა, როდის გამოიცემოდა მისი თხზულებანი, რომელნიც გამზადებით კი გაემზადებინა დასაბეჭდად. მოესწრებოდა თუ არა მათ გამოსვლას. ასეა თუ ისე მოინდომებდა რობერტ ბინზვაგენისათვის გაემჟღავნებინა 1953 წლის 4 იანვარს გაგზავნილ ბარათში, თუ ვის უძღვნიდა თავის ნაწარმოებებს.

„მომაკვდავი არწივი" ეძღვნებოდა მაქს ლინკეს. იმ ამ მცირე კრებულით განსაკუთრებით აღფრთოვანებულიყო. ეს უაღრესად ნიჭიერი ადამიანი, გამომცემლობა „დიდერიხსის" ფინანსური დირექტორი და თანამფლობელი, გრიგოლთან ურთიერთობაში თავს გამოიჩენდა როგორც ერთ-ერთი ერთგული პიროვნება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ომის შემდგომ ბოლშევიკები გაიტაცებდნენ და სიცოცხლეს საკონცენტრაციო ბანაკში დაასრულებდა.

„ფრიდრიხ ნიცშე" — ჰანს ჰასოსა და ბრუნო გოეტცს, რომელნიც მისთვის განუყოფელნი იყვნენ.

„საქართველოს მსოფლხატი" — საქართველოს რაინდს, ოტო გეორგ ფონ ვეზენდონკს; ქართველი ხალხის დიდ მეგობარს ალბერტ მალშს; ცნობილ ქართველ მკვლევარს, გრიგოლის მეგობარს მიხაკო წერეთელს; დიდბუნებოვან ქართველს, ინჟინერ დავით ბერეკაშვილს.

„მედიტაციები" — ამ წიგნიდან მედიტაციები „ისიდას წყაროსთან" და „უშობელი სიტყვა" ეძღვნებოდა ლეოპოლდ ციგლერს, პლატონის შესაგვან, გონებაგამჭრიახ მოაზროვნეს. დანარჩენი ჩანაწერები: „ვან გოგი", „ტექნე და მითოსი" ეძღვნებოდა თვით

რობერტს, უფრო ზუსტად რომ ეთქვა: რობერტის გულისხმიერებასა და გრეტესა და ერიკას კეთილგანწყობას, ასე გულუხვად რომ გამოავლენდნენ ავადმყოფი ელენა ფიალკინას მიმართ.

„ისრაელი როგორც საიდუმლო და ბედისწერა“ — სამწუხაროდ ჯერაც დაუმთავრებელი, ეძღვნებოდათ: მოსე წინასწარმეტყველს, პლატონსა და ნეტარ ავგუსტინეს.

* * *

ახარებდა და აამაყებდა გრიგოლს მეგობრობა მიხეილ წერეთელთან.

ახარებდა და აამაყებდა მიხეილს მეგობრობა გრიგოლ რობაქიძესთან.

ამიტომაც გადაუშლიდნენ ხოლმე გულს ერთმანეთს.

ბევრი რამ აახლოებდათ — პიროვნული თვისებებიც, მისწრაფებებიც, აზროვნების მანერაც, და განსაკუთრებით მაინც ქართული მოდგმის ისტორიული თუ პრეისტორიული ფესვების მოჩხრეკა-მოძიების დაუმცხრალი ჟინი; და აბა — „საქართველოს მსოფლხატი“ ვის შეიძლება მიძღვნოდა, თუ არა შემოქმედს მონუმენტური მონოგრაფიისა „ერი და კაცობრიობა“, და ამასთან: სულიერ ძმას.

15 მაისს, 1953 წლისა, მიხაკო წერეთელს გადაუგზავნიდა ნინო და კალისტრატე სალიებისადმი მიმართულ ბარათებს, ყოველი სიტყვა მისხლობით რომ აეწონა, და მიადევნებდა ვრცელ წერილს, როგორც მხოლოდ მომრგვალებას იქ თქმულისა: ამით სურდა გაეადვილებინა მიხეილისათვის თავგადავლება გრიგოლსა და კალეს შორის ატეხილი დავისათვის.

მუხლობრივად ჩამოჰყვებოდა.

რომ ყოველი ხალხი ერთ-ერთი ასპექტია ღვთიური მრავალსახიერებისა. და მაშასადამე რუსი ხალხიც ასეთად უნდა გვეგულვა.

რომ ხალხი ცოცხალი არსია ზეცალკეული ბუნებისა, გოეთეს ცნება რომ მოგვეშველიებინა: თაურმოვლენა.

რომ არცერთ ხრტილში მისი ისტორიული ვლინებისა არ მოცემულიყო „მთლად“, მაგრამ ყოველში იგივე ვირტუალური „რეალობა“, ქმედითი თვისება გახლდათ.

რომ აქედან მომდინარე:ხალხი არ იყო ამათუიმ დროს სტატისტიკით აღრიცხული გროვა ცალკეულთა. დღეს მაგალითად შეგვეძლო მოგვეთვალა ყოველი ქართველი შალვა და ყოველი ქართველი ნინო — შეჯამებულნი ეს შალვანი და ნინონი ვერ განფენდნენ მაინც მთელს: საქართველოს.

რომ განფენა მთელისა ცხადდებოდა რომელიმე მომადლებული ცალკეულით: რომელიმე მხრით. საქართველოში ესენი გახლდნენ, აქ მხოლოდ ეს სახელები ჩამოითვლებოდა: წმინდა ნინო, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარ, სვიმონ ჯაყელი, ქეთევან დედოფალი, მეფე ერეკლე, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შოთა რუსთველი. და დასძენდა: ზემოთ უნდა მეხსენებინაო.

რომ ფიურერის პრინციპი აქ მოქცეულიყო. ასიათასი ჩიტირეკია ერთი მხრივ — დავით აღმაშენებელი მეორე მხრივ. აბა თუ ოდნავ გაეტოლებოდნენ ჩიტირეკიები, ერთად აღებულნი, დავითს: ერთ კაცს? ამასთან დაპირისპირებით ჩიტირეკიების გროვა მხოლოდ „არამზადებად“ წარმოდგებოდნენ.

რომ ეს ცალკეულნი ცხადყოფდნენ „მსოფლ-ხატს“ მათი ხალხისა. „მსოფლ-ხატი“ რომელიმე ხალხისაგან განიზომებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად გახლდათ „შინაარსი“ მისი ორიგინალური, თუ რამდენად გახლდათ ეს ორიგინალურობა უნივერსალური და ბოლოს თუ რა პლასტიკურობით სახიერდებოდა „ხატი“.

რომ მსოფლ-ხატი ქართველთა, გრიგოლის მიერ ხილული და გადმოშლილი, განსაცვიფრებელი იყო. გაეყენებინათ ამ „ხატისათვის“ თავიანთი „ხატნი“: რუსებს, ფრანგებს, იტალიელებს, გერმანელებსა და სხვებს. გაეყენებინათ პირისპირ — ვნახავდით, რაც გამოვიდოდა!

რომ მთავარი მუხლი ქართველთა ხატისა ლაშარი გახლდათ: თეთრი გიორგი: წმინდანი და რაინდი ერთად, მომავალში. შუბი მისი მზისაგან გამოკვეთილიყო. ერთხელ მიეწერა მიხეილისათვის და ახლა მოაგონებდა. „ავალონ“: „თეთრი კუნძული“ — ატლანტური ტრადიციით მითიური რეალობა იყო და როგორც ასეთი ყოფის

გარდამქმნელი „თეთრი გიორგი“ ქართველთა სწორუპოვარი ფშანი გახლდათ იმ „თეთრი კუნძულისა“: „ავალონისა“.

რომ ეს ფშანი იყო, რომელიც ასულდგმულებდა ზემოთჩამოთვლილ ცალკეულთ. რუსთველი ერთ ტაეპსაც ვერ ჩამოასხამდა, არ ყოფილიყო ის ფშანი აცოცხლებული მის მგოსნურ აღქმაში. დავით აღმაშენებლის „ხელი“ არ იქნებოდა „მწიფე“ — აქედან: „ხელ-მწიფე“ — არა ჰკავებოდა შუბი „ლაშარისა“. ამ შუბით დაამარცხებდა დიდგორში შემოსეულ ისლამს. მარჯი მისი „ლაშარის“ მარჯი გახლდათ. ამით აიხსნებოდა საარაკო განდიდება მისი სახელისა: დასავლეთში მიიჩნევდნენ „პრესვიტერ იოანედ“, რომელიც აღმოსავლეთში ეგულებოდათ ლეგენდის გზით. სახელის ეგზომ განდიდება თვით ფრიდრიხ მეორესაც, ჰოჰენშტაუფენსაც, არ რგუნებოდა.

რომ პოლიტიკურად ფშანი მიხეილ წერეთელს განეფინა — „თეთრგიორგელთა“ დარაზმულობა სხვა არა იყო რა. ამით შედიოდა მიხეილი „ქართლის ცხოვრებაში“ როგორც მამულიშვილი — იმავდროულად როგორც მეცნიერი იმავ „ცხოვრებაში“. და აქ ერთ ჩაწვეთებას აუცილებლობად მიიჩნევდა: დაფასებით დიდად აფასებდა განსვენებულ ნოე ჟორდანიას, მაგრამ ვერ იტყოდა, რომ იგი ხსენებული ფშანით შესულიყოს ქართულ სინამდვილეში — მხოლოდ უკანასკნელ წლებში თუ მიაგნებდა იმ ფშანის ერთ ხვეულს. ამის გამო გრიგოლი მას სამძიმრის წერილში ასე მოხაზავდა: ფრიად მნიშვნელოვანი მამულიშვილი და ამდენადვე რთულიო. მიხეილი შეამჩნევდა, ანკი რა გამოეპარებოდა, მოხაზვა მისხლობით რომ ჩამოსხმულიყო.

რომ თვითონ გრიგოლ რობაქიძეც, როგორც ხელოვანი, იმ მთავარი მუხლიდან გამოდიოდა საქართველოს „მსოფლ-ხატისა“. ქართველთა შორის მიხაკო წერეთელი ყველაზე უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ამას. არა, უნდა შეესწორებინა ნათქვამი: მიხეილი გახლდათ ერთადერთი, რომელიც ჩაწვდომოდა.

უცხოელთა შორის პირველ ყოვლისა უნდა ეხსენებინა ლეოპოლდ ციგლერი. ამ ბარათის დამატებაში ამოიკითხავდა ადრესატი, თუ რას ამბობდა ციგლერი გრიგოლზე, როგორც „ტრადიციის“ მცნაურებელზე. ეს „ტრადიცია“ „ავალონიდან“

მოდიოდა, მოდიოდა თეთრი გიორგის „ხატით“. მიხეილი კი დაუჯერებდა, თუ გრიგოლი ეტყოდა: ეს „ხატი“ ჩემთვის ბევრად უფრო ცოცხალია, ვიდრე რომელიმე გვერდით გამვლელიო.

მიიჩნევდა, რომ საკმაოდ მოამრგვალებდა იმას, რომლის „კონტექსტშიც“ უნდა ყოფილიყო თვალგავლებული გრიგოლსა და კალეს შორის ატეხილი დავა.

არადა: აკვირვებდა კალეს ქცევა, აოცებდა მისი სიტყვა.

შეეძლო თუ არა „თეთრგიორგელს“ ბიოლოგიური გეზით, ნაციონალიზმის გეზით შეჭრილიყო ქართულ საქმეში?

გრიგოლი მკვეთრად მოჭრიდა, როგორც ერთადერთ პასუხს: არა!

თეთრი გიორგი ბევრად მეტი გახლდათ, ვიდრე „ბიოლოგია“ — როგორც „პნევმა“ საქართველოსი.

გრიგოლის ბარათებიდან — მისადმი და ნინოსადმი — მიხეილი დაინახავდა, თუ რას ამტკიცებდა კალე. გრიგოლი აქ მხოლოდ ერთ მაგალითს იკმარებდა:

— თქვენ რომ შეგეძლოთ ნოველაში სამშობლო არეს — რუსეთის სხვათა შეცვლა, მაგალითად უკრაინით, ყაზახეთით — დიდი სიამოვნებით დავბეჭდავდი.

მისწერდა კალე, გრიგოლი კი მიხეილს ეკითხებოდა: ამაზე უფრო შორს წავა ძულვა რუსეთისადმიო?

იტყოდა ამის მსგავსს რაიმეს თეთრი გიორგი? გრიგოლის დაბეჯითებული განცხადებით: მაშინ თეთრი აღარ იქნებოდაო. თეთრი გიორგი ხომ მომსპობი გახლდათ სიბნელისა, მომსპობი ნათელი შეტევით. აქ კი ძულვას არ გააჩნდა ადგილი.

დღეს ეს საჭირო იყო.

დღეს თეთრი გიორგის გეზით — აი რა იყო საჭირო.

ქართველნი ხვდებოდნენ რუსებს ანტიბოლშევიკურ ფრონტზე, და ეუბნებოდნენ დაახლოებით ამას:

— თქვენში იმპერატორები ვერა წვდნენ რუსეთის შინაგან დანიშნულებას. იმის მაგიერ ეცადათ „კურთხეული სამეფოს“ დადგინება, დაიწყეს შენება იმპერიისა, რომლისთვისაც არც რომაელთა ნიჭი მოეპოვებოდათ და არც ბრიტანელთა.

მაშ რა შექმნილიყო კურთხეული სამეფოს ნაცვლად?

სიმსივნით დაავადებული სხეული. ამ სიმსივნეს ევროპულად ელეფანტიაზისი ერქვა. თებერვალში 1917 წლისა ის ამ სიმსივნეს გადაჰყვებოდა კიდეც.

ამ დროს საჭირო შეიქნებოდა „კურთხეული მეფის" მითოსი — მეფეს თანგადაყოლილი, რომელიც რუსი ხალხის წიაღში, თუმც იმპერატორთა მიერ არ თუ ვერშეგნებული, მაინც ცოცხლობდა — სხვა, ახალი მითოსით შენაცვლებულიყო.

რუსეთის ინტელიგენცია — ეს კოლექტიური კერენსკი — უფესვო, ფუყე, ამ საქმისათვის ვერ გამოდგებოდა.

მოვიდოდა ლენინი და... კიდეც წამოაყენებდა ახალ მითოსს, მართალია ფსევდოს, მაგრამ მაინც მითოსს. და „უსისხლო" თებერვალი იქცეოდა „სისხლიან" ოქტომბრად.

ახლა მაინც ჩაკვირვებოდნენ ამას რუსები.

არ უკვირდებოდნენ და ამბობდნენ, რომ: „რუსეთი" ეგულებოდათ „იმპერიად".

მაგრამ უნდა გაეგოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ „იმპერია" არ გახლდათ მათი საქმე.

ამას რომ ეტყოდი რუსს, ჭკუას კი არ არიგებდი, არამედ კეთილ სურვილს უმჟღავნებდი, ეს კეთილი სურვილი ამჯერად გრიგოლ რობაქიძის ბაგით ასე რომ გამოითქმოდა:

— თქვენს ხალხს აქვს დიდი ნიჭი: რწმენის წვაში, ლიტერატურაში, სიმღერაში, გალობაში, თეატრში, ბალეტში. მას გამძღოლი ეჭირვება — პოლიტიური მიმართებით. პოლიტიკა უკან-დახევასაც ითხოვს. თქვენ კი გინდათ განაგრძოთ ის გზა, რომელმაც თქვენი ხალხი უფსკრულამდე მიიყვანა.

თუ გრიგოლისა და ქართველებისა არა სჯეროდათ, წაეკითხათ წიგნი მათივე, შარშან გარდაცვლილი, თანამემამულესი, ღრმად ჩახედულის: გიორგი ფედოტოვის „ახალი ქალაქი".

ამასთან ორი რამეც უნდა სცოდნოდათ:

ჯერ ერთი: იმპერიებს დრო მოეჭამათ.

და მეორეც: ყოვლად შეუძლებელი იყო, საბჭოეთის დამხობის შემდგომ კვლავ აღმდგარიყო ИМПЕРИЯ.

გარდა ამისა როდესაც ჩვენ, ქართველები ვხვდებოდით რუსებს, იმათ უნდა ხსომებოდათ, რომ ჩვენ არ ვიყავით ასე-წოდებული „ნაციონალი".

და ვრცელ შენიშვნად ჩაურთავდა, რომ:

ქართველებს ტერმინად უნდა გამოგვეყენებინა არა „დამოუკიდებლობა", არამედ „სუვერენობა". 1918 წლის 26 მაისს ჩვენ სუვერენობა აღვადგინეთ ჩვენი, რუს იმპერატორთა მიერ ასე ვერაგულად გაუქმებული. „დამოუკიდებლობის გამოცხადება" მართებული გახლდათ, როცა ვლაპარაკობდით მაგალითად აზერბაიჯანსა თუ ჩრდილო კავკასიაზე — მათ არ გააჩნდათ სუვერენობა. მართებული გახლდათ, თუმც არა ისე, სომხებზე ლაპარაკისასაც — საუკუნეთა განმავლობაში აღარც მას გააჩნდა სუვერენობა. ეს ტერმინოლოგიური შეცდომა, 1918 წლის 26 მაისს ჩადენილი, ქართველებს ახლა მაინც უნდა გამოესწორებინათ. და ეს სულაც არ გახლდათ ფორმალური ამბავი.

დიახ, ჩვენ არ ვიყავით „ნაციონალი". XVIII საუკუნის მიწურულს რუსეთს შევერთებოდით ხელშეკრულებით, რომლის აქტსაც, ორმაგს, გააბათილებდნენ რუსი იმპერატორები. „იმპერია" დაემხობოდა და — გაიმართებოდა კვლავ ჩვენი „სუვერენობა".

ესმოდათ რუსებს ეს?

თუ ესმოდათ, მაშ ესეც უნდა შეეგნოთ:

ჩვენ, ქართველები მათ უნდა შევხვედროდით როგორც თანაბარი თანაბარს.

და ეს მითუფრო, რომ: ჩვენ, ქართველები რუსებისაგან იმ აქტის გამო ანგარიშს არ მოვითხოვდით, ვინაიდან თავიდანვე უანგარონი ვიყავით!

არ ნებავდათ რუსებს ეს?

და... ჰოი რა ჯავარზე დადგებოდა გრიგოლ რობაქიძე, მითოსური განცდა-წარმოდგენებით შეჭურვილი და ძალამოცემული:

— მაშინ ჩვენსა და თქვენს შორის ბრძოლა გაიმართება. გამცნევთ ახლავე იმასაც, რომ ჩვენი მხრით ეს ბრძოლა რაინდული იქნება: ჩვენი მითიური „ჰეროს", თეთრი გიორგი, რაინდია. ბრძოლაშიაც მისი ერთ-გულნი ვართ!

ეიმედებოდა, რომ რუსეთის ფესვმოჭმული ინტელიგენციის არეშიც მოიპოვებოდნენ ნამდვილი გონმეტყველნი, რომელნიც არჭირვეულნი „იმპერიის-კომპლექსით" გულხმიერად შეხვდებოდნენ ამგვარ განსჯას.

რას ემყარებოდა მისი ეს იმედი?

ჰქონოდა შეხვედრები: დმიტრი მერეჟკოვსკისთან, ნიკოლაი ბერდიაევთან, ვიაჩესლავ ივანოვთან — და მათ ქცევაში არ შეემჩნია „ველიკოდერჟავობა“.

იგივე ითქმოდა პროფესორ ბორის ვიშეცლავცევზეც. შარშან შემთხვევა მიეცემოდა გრიგოლს მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალში ნაეკითხა ვრცელი წერილი, სათაურად მგონი ეს რომ ერქვა: „ვაზის ლერწთა ჯვრის ქვეყანაში“.

და აღტაცებული რომ განაცხადებდა:

არსად არ არის გადაშლილი საქართველო „ვაზის-ჯვარის“ მუხლზე ასე უნივერსალურად, როგორც აქო.

უეცრად შეჩქვიფდებოდა, მეტი ხომ არ მომივიდა, ეს „არსად“ რომ ვთქვიო. და მიადევნებდა:

— თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩემს გამოუქვეყნებელ შრომას „საქართველოს მსოფლხატი“.

ავტორი წერილისა? რუსი: დნეპროვი!

ხსენებული გიორგი ფედოტოვი ამტკიცებდა თავის წიგნში: იმპერიაზე უარის თქმა იქნება განწმენდა რუსეთისაო. იგულისხმებოდა: ცოდვათაგან. თანაც ამ წიგნში დაგმობილიყო ცარისტული რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. და გრიგოლი მიხეილ წერეთელს ურჩევდა: ეს წიგნი შენ **უთუოდ** უნდა წაიკითხო, საკუთრივ წერილები: „რუსეთი და თავისუფლება“ და „ბედი იმპერიისაო“.

იცოდა, განა არ იცოდა გრიგოლმა, რომ რუსებისადმი ზემომხაზული მიმართვით, წარმოსახულით, კერენსკებსა და მელნიკოვებს ვერ გადააჯერებდა, მაგრამ იმ იმედს მოებღაუჭებოდა: დააფიქრებს მაინცო!.. ყოველ შემთხვევაში აგრძნობინებდათ, თუ რა მძლავრ მოპირდაპირესთან ჰქონდათ საქმე.

ხოლო... კალე სალიასებური პოლიტიკური სიტყვარი?

იგი რუსებს წარბსაც არ გაუხრიდა. მეტიც: ისინი დამცინავი კილოთი შეხვდებოდნენ მას: „რესსანტიმანით“ ყოფილან ამ სიტყვარის ავტორნი „გაწიწმატებულნიო“!

დაწერდა ამას გრიგოლი და... სირცხვილით დაიწვოდა. ვერ შეათავსებდა **თეთრ გიორგისა** და „რესანტიმანით გაწიწმა-

ტებულს"!.. და მიხეილის მხარდაჭერის იმედი ექნებოდა, ამ მოსაზრებას რომ გაუზიარებდა: მოპირდაპირეს ისეთი რამ არ უნდა მივცეთ ხელთ, რაც, მობრუნებული, შეურაცხებად მოხვდება ჩვენს რაინდს. არა, ეს ყოვლად დაუშვებელიაო!!!

ეფიქრათ ქართველთა წინამძღოლებს ღრმად, რათა გამოეცათ გრიგოლ რობაქიძის ის წიგნი, საქართველოს მსოფლხატის უნივერსალურად წარმომსახველი?

წაიკითხავდნენ ამ წიგნს ევროპასა და ამერიკაში და — მაშინ უკვე სულ სხვა ენით დაუწყებდნენ ლაპარაკს სათანადო წრეებში. კერენსკებსა და მელგუნოვებს კი ენა ჩაუვარდებოდათ. წაკითხვით ისინიც უთუოდ რომ წაიკითხავდნენ, გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა და წინასწარვე ტკბებოდა იმის წარმოდგენისას, ენა როგორ ჩაუვარდებოდათ.

რაო, რას იტყოდნენ ჩვენი წინამძღოლები — ფული არ გაგვაჩნიაო?

და აქ თავს ვერ შეიკავებდა გრიგოლი:

კონფერენციებისა და — მომიტევე ეს სიტყვა — წყლის ნაყვისათვის ხომ აქვთო?!

არადა: ამ წიგნის გამოცემა ყველა ქართული პოლიტიკური დარაზმულობისათვის იქნებოდა ხელსაყრელი.

ვერ დამალავდა: ეგონა იფიქრებდნენ ამაზე ქართულ-ევროპული მოძრაობის დაარსებისას. მაგრამ... ერთადერთი კალე სალიასაგან მოესმოდა ამაზე სიტყვით და ისიც: „გაკვრით"... თუმც როგორ არ დაეფასებინა ეს გაელვებაც...

ჰგონებდა, რომ საკმაოდ გაეთვალსაჩინოებინა, თუ რა სახის პოლიტიკური სიტყვარი გვესაჭიროებოდა დღეს. მაგრამ უფიქრდებოდა ამას კალე? აქ ერთ მრავლისმეტყველ დეტალს მიაქცევდა მიხეილის ყურადღებას.

სტატიაში „ნოე ჟორდანია როგორც მამულიშვილი" გამოიყენებდა გამოთქმას: „იმპერატორების რუსეთი" (თუ რას დამართებდა საქართველოს). კალე წერილობით გამოედავებოდა: რატომ „იმპერატორებისო?" იგულისხმებოდა: მარტო „რუსეთი" უნდა გეხსენებინაო. გრიგოლი რომ განუმარტავდა, ის დათანხმებით კი დაეთანხმებოდა, მაგრამ ძლივას. როდესაც ამას

მოსწერდა კალე, უკვე ხელთ ჰქონდა მიხეილ წერეთლის წერილი ნოე ჟორდანიაზე. დაიბეჭდებოდა. წაიკითხავდა გრიგოლი და... იქ ორჯერ შეხვდებოდა „ცარისტული რუსეთი" და არა „რუსეთი" — საქართველოსთან დაკავშირებით.

და მოუწონებდა გრიგოლი:

შენმა გონჭვრეტამ აქაც არ გიმტყუნაო.

და მიუთითებდა კალესაც ამის თაობაზე, მაგრამ ის დუმილს ამჯობინებდა.

იწერებოდა, იწერებოდა, იწერებოდა: რას იტყვიანო?

გულისხმობდა, რომ უსათუოდ მოჰყვებოდა არაჯანსაღი აჟიოტაჟი ელენა ფიალკინას ნოველის — „გადია" — გამოქვეყნებას „ბედი ქართვლისას" ფურცლებზე. ეს ნოველა დასაბეჭდი რომ არა ყოფილიყო, განა გრიგოლი არ ურჩევდა მეუღლეს: სჯობს მოერიდო მის დაბეჭდვასო?.. ახლა კი არამცთუ თანახმაა, ძალიანაც მონდომებულა. ქალსაც გაამხნევებდა მორალურად ეს პუბლიკაცია, მკითხველსაც სასიამოვნოდ დაურჩებოდა. კალე კი ხელებს ასავსავებდა: რას იტყვიანო?

მწარედ ელიმებოდა გრიგოლს, ეს სიტყვები რომ ესმოდა: ამას რომ გავყოლოდი, ვინ რას იტყოდა, არ ვიქნებოდი ის, რაც ვარო.

ესეც მისი მტკიცე პასუხი. იგი ხომ სასტიკი გახლდათ იქ, სადაც მთავარი რამ წყდებოდა. და თავის თავს რომ ექცეოდა სასტიკად, ეგრე არც არავის.

წერდა რამეს და... ეკითხებოდა თავს:

— გამოვდივარ თუ არა ᲥᲐᲠᲓᲣᲡ სამყაროს შუაგულიდან?

უთუოდ დაემოწმებოდა მიხეილ წერეთელი, რაკიღა დაბეჯითებით ირწმუნებდა:

მწერლური ნაქმი გრიგოლ რობაქიძისა — ყოველ შემთხვევაში: ნაქმი გადამწყვეტი მნიშვნელობის — ამ შუაგულიდან მომდინარეობდა.

დაუმოწმებდა იმასაც, რომ:

ᲥᲐᲠᲓᲣ მისთვის ცოცხალი, ძვალ-რბილში გამჯდარი არსი გახლდათ მითიური.

იქმოდა რაიმეს, როგორც ქართველი და... აქაც თავს ეკითხებოდა:

— ვარ თუ არა ერთ-გული ლაშარისა?

ვერ იტყოდა, რომ ყოველთვის დაეცვა ეს ერთგულება, ხანდახან აცდენოდა სწორ გზას — მაგრამ ეს აცდენა არა ყოფილა მაინცდამაინც მარცხული, ვინაიდან აცდენა იგი მშობარს შეურყვნელად ტოვებდა.

ამაში მიხეილს ეჭვიც არ შეეპარებოდა.

და დაუდასტურებდა აგრეთვე, რომ: ლაშარი გრიგოლისათვის არ იყო ცნებითი განყენება.

ქართული საქმის წარმართვისას უპირველესად დავით აღმაშენებელს ეკითხებოდა:

— შენ რას იქმოდი?

ქართველ-რუსთა ურთიერთობისას დავითთან ერთად მეფე ერეკლეს აჩრდილსაც მოიხმობდა.

დაუჯერებდა მიხეილი:

პირველიც გრიგოლის „ანამნეზის"-ში რომ ცოცხლობდა და მეორეც. და მათ „კალენდარულად" არ იგონებდა.

— რას იტყვიანო? — ეკითხებოდა კალე.

და მიუგებდა გრიგოლ რობაქიძე:

— აი აქ ჩამოთვლილნი რას იტყვიან!

კალისტრატე სალია კეთილშობილიც რომ იყო, ერთგულიც, სამშობლოსათვის ამწვარიც, მომადლებოდა მაგარი ნებისყოფაც და გამჭრიახობაც, ამას გრიგოლი რომ არ უარყოფდა და არა, ისიც სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა, მიხეილ წერეთელი კალეს თავდადებულობას რომ აფასებდა. ეგაა: გრიგოლი რომ ამბობდა: ამწვარი სამშობლოსათვისო — ამ „წვაში" ემჩნეოდა ხანდახან: „ემოციებით" აყვანილიყო. დიახ, ემოციებით. და ამას ეუბნებოდა არაპოლიტიკოსი გრიგოლ რობაქიძე, თორემ პოლიტიკოსი ფონს ვერ გავიდოდა.

გარდა ამისა ერთი გარემოებაც: იქმოდი რამეს და... განზე უნდა გაგეხედა: გაახარებდა ეს მტერს თუ არა. ამას ამბობდა კალეს მისამართით უკვე ფსიქოლოგი გრიგოლ რობაქიძე.

ახლა მიხეილი უნდა დაკვირვებოდა გრიგოლის მინაწერს ბარათში, მეორე გვერდზე, ნინო სალიასადმი. გაეზომა კიდეგანით. ვინ გამოიყენებდა კალეს მიერ აღებულ გეზს? გრიგოლის

ფიქრით, ის ატმოსფერო, რომელშიაც დღეს კალე სუნთქავდა, ათასნაირი „ფსიხოლიგიზმითა“ და „რესსანტიმანით“ გაჟღენთილიყო.

კალე მოსწერდა: ის ნოველა ელენა ფიალკინასი მიხეილს გაუგზავნეთო.

გრიგოლი... არ უგზავნიდა. და არ უგზავნიდა, ვინაიდან მისი შინაარსი არ მიაჩნდა გადამწყვეტად ამ დავაში. ისე კი ორიოდ სიტყვით მოუხაზავდა. ერთ ცოლ-ქმართან იმყოფება გადია. გადმოხვეწილნი გერმანიას შეფარებიან. ცოლი და ქმარშვილი ამერიკისაკენ მიეშურებიან, ხოლო გადიას გერმანიაში ტოვებენ, დროებით. გემი გამგზავრებულთა იღუპება — და გადია, ჰარცის მთებში მარტოდ შთენილი, ელის, ელის, წლიდან წლამდე ელის ამბავს. ამბავი არ მოდის და იტანჯება საცოდავი. გერმანული მან არ იცის, სხვებმა რუსული არ იციან. და ბორგავს ვითარცა „პირველყოფილი ადამიანი“. მოწყვეტილია მშობელ მიწას — მაგრამ მშობელი მიწა მოწყვეტილის წარმოსახვაში იღვიძებს მძაფრად. ერთი ოჯახი აიყვანს, კეთილი ოჯახი, რომელსაც ახალი „სული“ ემატება: იბადება გოგონა. ახლა დაკარგულ ადამიანში „გადია“ იღვიძებს არანაკლები სიმძაფრით. გოგონასა და გადის შორის უნაზესი კავშირი მყარდება. გოგონა გერმანულად იდგამს ენას, და ამავდროულად რუსულადაც. გადია გოგონას უყვება ზღაპრებს — გოგონა შეერთვის უცხო არეს. გადიასათვის ეს „გართობაა“ — მაგრამ შიგადაშიგ უფსკერო ნაღველიც იპყრობს. გოგონას ეს ვერ გაუგია. გადია ამოიოხრებს: მიწა, მიწაო. და გოგონა რომ ეკითხება გაოცებული: აქაც ხომ არის მიწაო?! — არაო, — უნდა მიუგოს გადიამ, — რუსეთში სულ სხვა მიწააო. როგორიო და: კიდეც აღუწერს. გოგონა მირბის მამასთან, რომელიც „საცდელ ნიადაგზე“ მუშაობს, და ეტყვის: ასეთი და ასეთი მიწა დამიმზადეო. მამას რომ უკვირს, გოგონა გადასცემს გადიას ნათქვამს — და მამა მიხვდება, რაც სწადია გოგონას. გადის ხანი. გადია ლოგინადაა ჩავარდნილი და ლოცვად გადაქცეული. სულს ღაფავს. შემოვარდება გოგონა: გადია! ის მიწა მოგიტანეო! — ეუბნება აკიაფებულ სულთმობრძავს. და გადია კიდეც სულს განუტევებს.

ესეც ჩონჩხი ნოველისა, მხოლოდ „ჩონჩხი“!

უცრემლოდ ამ ნოველის მოსმენა გრიგოლს ვერც წარმოედგინა.

„ნაივობა“ გახლდათ?

მერედა რა — ნაივობა ხომ ხალასი სიქალწულეა პირვანდელისაო, — ირწმუნებოდა გრიგოლ რობაქიძე და ყოფით რეალობას გულისხმობდა.

არც ქართულ, არც რუსულ, არც რომელიმე ევროპულ ლიტერატურაში არ ეგულებოდა ისეთი თხზულება, სადაც ასე მძაფრად გადმოცემულიყო სიმწვავე მშობელი მიწის დაკარგვისა.

ნოველა დაიბეჭდებოდა რუსულად, დაიბეჭდებოდა გერმანულადაც.

ბრუნო გოეტცი, გამოჩენილი მგოსანი, გრიგოლის მეგობარი, აი რას იტყოდა:

— მსოფლიო ლიტერატურაში „გადია“ ერთ-ერთი საუკეთესო ნოველათა რიცხვს მიეკუთვნება.

არადა: „რუსული“ აქ „სხვა ეროვნებით“ რომ შეცვლილიყო, მაშინ კალე დაბეჭდავდა.

ეს რა საშინელი რამ თქვაო, — ვერა და ვერ მოენელებინა გრიგოლს. და აკი კალესთვისაც მიეწერა: ეს უარესიაო! ანუ აზრი მისი: რომ რუსი ავტორი კი არა, „რუსეთია“ მიუღებელი. „კარგად“ გამოყვანილი რუსეთი.

ამის თქმის შემდეგ მიმოწერა უნდა შეეწყვიტა მასთან, მაგრამ ჯერ მაინც თავს შეიკავებდა. აუხსნიდა კი: ეს ნოველა შედევრია და როგორც ასეთი ეთნიკურ საზღვრებს სცილდებაო.

გრიგოლის განმარტება აქ „ანგარიშის გაწევა“ გახლდათ ერთგვარი — გაუწევდა ანგარიშს „ემოციებით აყვანილს“. თუმც ემოციებით აყვანილი კალე ამასაც უგულებელჰყოფდა!

აქ წერტილს დასვამდა და ახალ კითხვას წამოჭრიდა.

მართალი იყო თუ არა ამ დავაში კალე, როგორც „თეთრგიორგელი“ — მიხეილს გრიგოლის აზრი უკვე მოესმინა. და გრიგოლს აინტერესებდა მიხეილის აზრი. იცოდა, ფსიქოლოგიურად ორ ცეცხლს შუა აგდებდა, როგორც განმსჯელს. თუმც მიხეილსაც მოეხსენებოდა და გრიგოლსაც, რომ: ამ „ორ ცეცხლთან“ „მესა-

მე“ ცეცხლიც არსებობდა, რომელთან შედარებითაც ის „ორი“ არაფრდებოდა.

ეს ცეცხლი თეთრი გიორგი გახლდათ თვითონ: წმინდანი და რაინდი.

და გრიგოლს სჯეროდა, რომ სწორედ ეს ცეცხლი გაუადვილებდა მიხეილს განსჯას.

არადა ვინმეს დაზოგვა აქ შეუწყნარებელი იქნებოდა.

საკუთრივ ეს აინტერესებდა:

რითი განსხვავდებოდა „თეთრგიორგელი“ კალე სალიას გეზი ამ საკითხში ათასი „თეთრ გიორგელი“ ნაციონალისტის გეზისაგან?

გრიგოლ რობაქიძის გადაწყვეტილება ურყევი რჩებოდა.

როგორც ნინო სალიას მისწერდა: კალეს შეეძლო დაახლოებით ეს შენიშვნა დაერთო ნოველისათვის, თუკი გაუშვებდა სტამბაში:

— დღეს ქართველ-რუსთა ურთიერთობა ისეა გამწვავებული, რომ ასეთი წმინდა-რუსული ნაწერის (და ჩაურთავდა, რომ: ბარათში ნათქვამი იყო „რუსი ავტორის ნაწერის“, მაგრამ რაკილა შემდგომ კალეს განეცხადებინა: ჩემთვის რუსი ავტორი კი არ არის მიუღებელი, არამედ რუსეთიო, გრიგოლიც შესაბამისად შეცვლიდა ტექსტს) ქართულ ჟურნალში მოთავსება „ბედი ქართლისას“ რედაქციამ არა ცნო მიზანშეწონილად. ჩვენ მაინც ვათავსებთ მას — ვათავსებთ, ვინაიდან გრიგოლ რობაქიძე ეგზომ მნიშვნელოვანი მწერალია, რომ სრული უფლება აქვს პერსონალურად აგოს პასუხი ქართულ საქმეში საერთოდ და მაშასადამე აქაც (და ჩაურთავდა, რომ: ბარათში ნათქვამი იყო „იმხელა მწერალია“, მაგრამ გრიგოლი არ შეარბილებდა ამ გამოთქმას. რედაქციას კი შეეძლო სხვა გამოთქმაც გამოეყენებინა).

ასეთი შენიშვნა სარიდი იქნებოდა: ჟურნალი აიცილებდა იმ მოლანდებულ „ატომ-ყუმბარას“. და... გრიგოლი რა დღეში აღმოჩნდებოდა ასეთ დროს?

თურმე არც არავითარში, რაკილა დარწმუნებით განაცხადებდა:

მე ასეთი „ყუმბარა“ სასაცილოდაც არა მყოფნისო.

არ მიიღებდა ამ შეთავაზებას კალე სალია?

მაშინ „ბედი ქართლისა“ გრიგოლ რობაქიძის ერთ სტრიქონსაც ნუღა დაელოდებოდა.

გრიგოლს ეს სულაც არ მიაჩდა „ულტიმატუმად“, როგორც კალე ჰგონებდა.

ეგაა გრიგოლს ვერავინ გადაარწმუნებდა, მტკიცედ რომ ამცნობდა მიხეილ წერეთელს, რაკიღა უკიდურესი სიმძაფრით განეცადა ჯერ დაუსაბუთებელი უარი და მერე მისი მოსაზრების სრული იგნორირება:

აქ სულ მცირე დათმობაც ყელის გამოჭრა იქნებოდა ჩემიო!

უსურვებდა მიხეილს სიმხნევესა და სიმარჯვეს, როგორც უმცროსი ძმა-მეგობარი, და ლოცავდა: არ მოგკლებოდეს მადლი თეთრი გიორგისაო!

პოსტსკრიპტუმად დაურთავდა, რომ: ამიერკავკასიის კომიტეტის ქართული სექცია ცდილობდა: გრიგოლი ჩასულიყო მიუნხენში. თუ მოხერხდებოდა — კიდეც დარჩებოდა ერთ თვეს. ჰოი იმდენ რამეს უამბობდა მიხეილს... თანვე: გაამხნევებდა, გაამაგრებდა!

და დანანებით დასძენდა:

მქონოდა ქართული საბეჭდი მანქანა, გადავწერდი ამ ბარათს და „ჩემებურად“ გავმართავდი ქართულსო...

არადა დღითიდღე უძნელდებოდა ხელით წერა — გამოსაქვეყნებლის წერა სულ მეტსა და მეტ დროს თხოულობდა.

16 მაისს მიუნჰენიდან მიიღებდა მიხეილ წერეთლის საპასუხო ბარათს, გრიგოლს ძვირფას და საყვარელ ძმად რომ მოიხსენიებდა და ამცნობდა: ნინო სალიამ გადმომიგზავნა შენი წერილი მისადმი და მთხოვა — შენი თანხმობით — წამეკითხა და მერე შენთვის ჩემი აზრიც მომეწერა იმ დავის თაობაზე, რომელიც თქვენს შორის გაჩნდაო.

ეჭვი არ ეპარებოდა: გრიგოლსაც კარგად მოეხსენებოდა, თუ რარიგ სამძიმო გახლდათ ასეთ შემთხვევებში მსჯავრის დადება რაიმე საქმისათვის, ან რომელი მოსამართლე მიხეილი იყო, მსჯავრი რომ დაედო, მაგრამ არ უნდოდა მისი გულგრილობისათვის მიეწერა ორივე მხარეს მისი სიჩუმე და ამიტომაც შეადგენდა ამ ბარათს.

სწამდა, გრიგოლი არ იფიქრებდა მისგან რაიმე მიკერძოებას, იმხელა ნდობა ჰქონდა მიხეილისა, და ამიტომაც ბედავდა ეთქვა:

ჩვენი ემიგრაცია დღეს პირდაპირ დასნეულებულიყო. აქ აღარ ჭრიდა ლოგიკა; ისე იყო ხალხი გამწარებული და სასოწარკვეთილი, არანაირ გონიერ სიტყვას ყურად აღარ იღებდა.

„რუსეთის საკითხიც“ ასეთ ატმოსფეროში მოხვედრილიყო.

გამწარებული ხალხი ყვიროდა:

— რუსეთმა ჯერ სახელმწიფო დაგვინგრია, მერე ბოლშევიზმი შემოიტანა, ახლა მისი დემოკრატიაც არათუ დაუსრულებელი მონობით, არამედ მთლად ამოჟლეტითაც გვემუქრება (და ჩაურთავდა: დაწერეს მართლაც — კმაყოფილი იყავით იმით, რომ ისე არ გაგწყვიტეთ, როგორც ამერიკელებმა წითელკანიანებიო...), ამიტომ რუსის სახელის გაგონებაც აღარ გვინდა.

ვიღა არჩევდა ერს სახელმწიფოსაგან, პოლიტიკისაგან, ინტელიგენციისაგან — ეს შეუძლებელი ხდებოდა ასეთ ატმოსფეროში.

მიხეილი ბედნიერად რაცხდა გრიგოლს, რომ ქართულ „კოლონიებში“ არ ცხოვრობდა. თორემ დაინახავდა, რა საშინელებაც ერტყათ გარს გონიერ და კეთილშობილ პიროვნებებს და პატივისცემაც აღარ არსებობდა ურთიერთისა.

ამას წინათ პროცესი გამართულიყო — გრიგოლსაც ეცოდინებოდა — ალშიბაიებისა დემეტრაშვილის წინააღმდეგ. კრიმინალებს არ დაეტოვებინათ არცერთი ქართველი, ლაფი არ გადაესხათ თავზე და „ბოლშევიკების აგენტობა“ არ დაებრალებინათ.

პირადად მიხეილი მოსყიდულ „მოწმედ“, „ბოლშევიკების“ ბუდის „თეთრი გიორგის“ შეფად გამოეყვანათ.

ევგენი გეგეჭკორი — „ბოლშევიკების“ აგენტად.

სხვებისათვის კიდევ მეტი ლაფიც გადაესხათ თავზედ.

ამ კრიმინალებს ჰყავდათ თავიანთი მომხრეები არგენტინაშიც („მამული“), ლონდონშიც, ჟენევაშიც, პარიზშიც და სხვაგანაც.

მიზანი? ისე გადაეკიდებინათ ქართველები ერთმანეთისათვის, რომ ერთიმეორეს აღარ ნდობოდნენ და ხმაც აღარ გაეცათ.

ასე დაიშლებოდა ემიგრაცია!

და აბა მიხვედრილიყავი, ვის აინტერესებდა ეს არეულობა, დაქსაქსვა და დაპირისპირება და ვისგან მოწყობილიყო სატანური ეშმაკობით?..

და სარგებლობდნენ ყოველი წვრილმანი მოვლენითაც, რისთვისაც კი კლანჭის გამოდება შეიძლებოდა: ეს რუსოფილობაო, ეს ბოლშევიკობაო, ეს...

აი ასეთი გახლდათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა.

და გრიგოლსაც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ: თვითონ სიწმინდის სფეროში გრძნობდა და აზროვნებდა, „საზოგადოებაში“ კი ტალახი და პროვოკაცია გამეფებულიყო და აქ სიფრთხილე გვესაჭიროებოდა, რათა სულ არ წავმწყდარიყავით.

ესეც ის მიზეზი, თუ რად ეთქვა კალე სალიას უარი გრიგოლის მეუღლის ნოველის დაბეჭდვაზედ „ბედი ქართლისას“ ფურცლელზე; და არა ის, თითქოს მას გრიგოლისა და მისი მეუღლის პატივისცემა არა ჰქონოდეს, ანდა თვით ნოველა შესანიშნავი ქმნილება არა ყოფილიყოს.

ასე გაეგო მიხეილ წერეთელს საქმის ვითარება და ჰგონებდა, რომ არა ცდებოდა.

ამიტომაც მიხეილი გრიგოლ რობაქიძის ადგილას რომ ყოფილიყო:

თავის საწყალ მეუღლეს სხვანაირად გაახარებდა — თუგინდ ნოველის ქართული თარგმანის დაბეჭდვით სხვა — უკეთეს — პირობებში, ანდა ფრანგულად გამოქვეყნებით, „ბედი ქართლისას“ კი არაფრისდიდებით არ ჩამოეხსნებოდა და მაინც მიაშველებდა თავის ნაწერებს. იგულისხმებოდა: რათა ავტორიტეტი აემაღლებინა ამ ჟურნალისათვის.

და ამ სტრიქონებით გათავდებოდა ბარათი იმ კაცისა, რომლისაც ასე ეიმედებოდა გრიგოლს, ამ დავაში ვის მხარეს დაიჭერს, თუ არა ჩემსას: ცამდე მართალიც ვარ და თანაც, სად მე რომ მაფასებს და სად კალეს, მცირე ყოყმანიც არ დასჭირდება მსჯავრის გამოსატანადო... დიაც, ამ სტრიქონებით გათავდებოდა:

— აი, ძვირფასო გრიგოლ, რა შემიძლია გითხრა ამ საქმეზედ, და ნუ მიწყენ, რათგანაც, როგორც ცა დედა-მიწისაგან, ისე

შორს ვარ იმისაგან, რომ რაითამე გაწყენინო ან შეურაცხ-ვყო შენი კეთილ-შობილი გრძნობები.

ასეთი ბოდიშებით, რაკიღა დავას კალე სალიას სასარგებლოდ გადაწყვეტდა. განიცდიდა, ძალიან განიცდიდა მიხეილ წერეთელი, უნებურად გულს რომ ატკენდა მისთვის ასერიგად ძვირფას პიროვნებას, რომელსაც — ისედაც განერვიულებულს — ვაითუ მასთან ურთიერთობაზეც ისევე აეღო ხელი, როგორც კალეს ემუქრებოდა თანამშრომლობის შეწყვეტით... მაგრამ სჯობდა დაუფარავად მოეხსენებინა თავისი მოსაზრება მწვავე გულისჭიდილის შემდგომ, ბედსაც რომ ემდუროდა: ნეტა ეს კამათი მე არ გადმომწვდომოდა... ჩემთვის არ მოენდოთ მსჯავრის დადებაო.

თავისი სიმართლე ჰქონდა გრიგოლ რობაქიძესაც.

თავისი სიმართლე ჰქონდა კალე სალიასაც.

გრიგოლის სიმართლე ემყარებოდა ადამიანური ყოფის ზოგად პრინციპებს — წრფელი, ამაღლებული გარემოს შესაფერისს.

და კალეს სიმართლე კი ემყარებოდა ადამიანური ყოფის რეალობას — ათასგვარად მოწამლულს, გულწრფელი ტკივილებითა და... ცილისწამებებით გაჟღენთილს, ერთმანეთში რომ აზელილიყო და ქმნიდა დაშლილ საზოგადოებას, ერთიმეორეზე წაკიდებულს.

მიხეილ წერეთელს მოსყიდული აგენტის იარლიყს რომ მიაწებებდნენ და „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციას ბოლშევიკურ ბუდეს დაურქმევდნენ, ასეთ გარემოში საბაბი რატომ უნდა მიგეცა არამარტო ცილისმწამებლებისათვის, არამედ ალალი ადამიანებისთვისაც, ძალიანაც გაგნაწყენებოდნენ: რა რუსული მიწის სიყვარული აუტყდა, ქართული მიწა რომ არ შეგვარჩინეს, აზირ იმაზე იდარდოსო?!.

თუ ვინმე, განა გრიგოლ რობაქიძე არა დარდობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ტრაგედიაზე?

თუ ვინმე, განა გრიგოლ რობაქიძე არა ზრუნავდა საქართველოს მწარე ხვედრის გადმოსაშლელად ევროპელთათვის?

თუ ვინმე, განა გრიგოლ რობაქიძე არა ცდილობდა ქართული მოდგმის ისტორიული ფესვების მოჩხრეკა-აღდგენასა და

მისი კულტურის მსოფლხატის გამოკვეთას მსოფლიო თვალშიც და თავისი თვისტომებისაც, რათა მხნეობა განემტკიცებინა და მომავლის იმედი და რწმენაც ჩაენერგა თვისტომთათვის?

ეს ყოველივე თურმე არა კმაროდა, რათა ელენა ფიალკინას ნოველისათვის პირნმინდად მხატვრული კუთხით შეეხედათ ჩვენს ემიგრანტებს და მის პუბლიკაციაში არ დაენახათ მაინცდამაინც ის, რისი ნასახიც არ არსებობდა: გრიგოლ რობაქიძის თაყვანება რუსული მიწისადმი. აღგექვა განზოგადებულად და... შენი მიწის ანდამატურ ძალად შეიგრძნობდი, გრიგოლს როგორც განეცადა „გადია", ქართული მიწის სურნელიც რომ მოჰბერდა მისი სიუჟეტიდან და ცრემლებსაც ამიტომ მოიწურავდა...

ამჯერადაც მწვავედ შეხლოდა ერთიმეორეს ყოფითი სინამდვილე და ამაღლებული წარმოდგენა ამ ყოფით სინამდვილეზე.

უხერხულად გრძნობდა თავს მიხეილ წერეთელი, გრიგოლისათვის საწყენი განაჩენი რომ უნდა გამოეტანა, მაგრამ სჯობდა თვალი აეხილა მისთვის, ილუზიების ტყვეობაში ყოფნას მცდარი ნაბიჯი რომ არ გადაედგმევინებინა.

მცდარ ნაბიჯად ჩაუთვლიდა „ბედი ქართლისას" რედაქციასთან კავშირის გაწყვეტას, რაც დააზარალებდა თვითონ გრიგოლსაც, რედაქციასაც და იმ მკითხველსაც, რომელიც გულისფანცქალით მოელოდა ამხელა მწერლისაგან სანუგეშო სიტყვას, ტკივილების შემამსუბუქებელსა და სასოწარკვეთილებისაგან დამხსნელს.

ისე... რაოდენ უცნაურია, ამხელა გამოცდილების კაცი მიამიტურად რომ იქცეოდა.

ასეთი დავიდარაბა გადახდენოდა ბენიტო მუსოლინისა და განსაკუთრებით მაინც ადოლფ ჰიტლერზე გამოქვეყნებული წიგნაკებისათვის, უმთავრესად საქართველოს ბედისწერას რომ დასტრიალებდა თავს და ის სახელები საბაბად უფრო გამოეყენებინა ეროვნული ტკივილების გადმოსაშლელად... თანაც საბჭოეთიდან დევნილსა და გერმანიას თავშეფარებულს კიდევ სხვაგან რომ არ ეძებნა გასაქცევი და რაღაც ანგარიში გაეწია პოლიტიკური კონიუნქტურისათვის, განა ასე მკაცრად უნდა ეზღვევინებინათ — სასწაულად რომ არ გამოერიდებინათ იქა-

ურობისათვის და შვეიცარიისათვის არ შეეფარებინათ, დატუსაღება რომ არ აცდებოდა და საკონცენტრაციო ბანაკი?

ასე მწარედ გეწვნია ყოფითი რეალობის სისასტიკე და... კვლავაც ვერ გაგეთვალისწინებინა პოლიტიკური ვითარება, თავისი კონიუნქტურული ნაკადებით?

„გადიას" უცრემლოდ ვერ წაიკითხავო...

მაგრამ ეს — ყოველმხრივ მოწესრიგებულ ყოფაში, კეთილშობილური ურთიერთობებით სავსე სახელმწიფოში... თუმც როდესაც სახელმწიფო აღარც გაგაჩნია, ვნებათაღელვაც უკიდურესად გამწვავდებოდა აბა რა იქნებოდა?!.

ნოველის მხატვრული შთაბეჭდილება და მეუღლის გახარების სურვილი გადაძალავდა საღი განსჯის უნარს, გულუბრყვილობა ჩაითრევდა და... კალე სალია ვინ იყო ამისთანა, მისი რჩევა რომ გაეზიარებინა?

ჩემთვის ეს როგორ უნდა გაებედაო, — ფიქრობდა.

ბოლოსდაბოლოს პასუხს პუბლიკაციაზე ხომ გრიგოლ რობაქიძე აგებდა და არა „ბედი ქართლისას" რედაქცია, და კალე თავის ტყავს ასე ძალიან რომ უფრთხილდებოდა, განა რა დაუშავდებოდა, თუკი მკითხველი პასუხს მას კი არა, გრიგოლს მოსთხოვდა?

მაგრამ თავის ტყავს კი არა, გრიგოლის სახელსა და რეპუტაციას უფრთხილდებოდა კალე სალია, მის გარიდებას მოშურნეთა და მოძულეთაგანაც და იმ ალალი ადამიანებისგანაც, რომელთაც თავზარს დასცემდათ რუსული მიწისადმი გამჟღავნებული სიყვარული. ნუ მოსთხოვდი მათ, რომ პირწმინდად ლიტერატურული კანონებით ეხელმძღვანელათ და ნოველის ფინალში განზოგადებული მხატვრულ-იდეური მრწამსი დაენახათ და არა რუსული მიწის წინაშე ქედის მოხრა...

ხოლო გრიგოლი მიხეილ წერეთლის ბარათს რომ ჩაიკითხავდა, გაოგნებული დიდხანს ატრიალებდა ხელში: ნუთუ მართლა მიხეილი იწერება, ნეტა ამას რაღა დამართნიაო?!.

დაჯერება გაუძნელდებოდა, მაგრამ მინდობით მაინც მიენდობოდა — მიხეილ წერეთელი გახლდათ, აუარებელი საქვეყნო საქმის აღმსრულებელი და საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღსადგენადაც თავდადებული მებრძოლი, და ამჯერად თუნდ არასწორი გადაწყვეტილებაც მიეღო, გრიგოლი უნდა დამორჩილებოდა. ყველა-ყველა და... მას ვერ გაუნაწყენდებოდა.

ბოლოსდაბოლოს რას სთხოვდა მიხეილი?

მე რომ შენს ადგილას ვიყო, „ბედი ქართლისას“ დავეხმარებოდი და მაინც არ დავანებებდი თავსო...

და... თუმც არ დაიბეჭდებოდა ამ ჟურნალის ფურცლებზე ელენა ფიალკინას ნოველა „გადია“... და არ დაიბეჭდებოდა გრიგოლ რობაქიძის სტატიაც ნოე ჟორდანიაზე, გრიგოლი უკან წაიღებდა თავის ულტიმატუმს და ხელს არ აიღებდა სალიებთან თანამშრომლობაზე. ეგაა: მაინც ვერაფრისდიდებით ვერ გაიგებდა, რა სჭირდა იმ ნოველას დაუბეჭდავი, მითუფრო იმ მინაწერიანად: ეგზომ მნიშვნელოვან მწერალს სრული უფლება აქვს პერსონალურად აგოს პასუხი ქართულ საქმეში საერთოდ და მაშასადამე აქაცო.

* * *

ქართული საბეჭდი მანქანა რომ მაინც ჰქონოდა და ასე ძალიან არ ეწვალა და არ ეჯახირა ლათინური შრიფტის გამოყენებისას, ნაწერის მისებურ სტილისტურ დახვეწაზე რომ ველარც ზრუნავდა... ხელით წერა კი სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა და საგონებელში ჩავარდებოდა: რა მეშველება, რა წყალში მომიწევს გადავარდნაო?!.

თავი მეოთხე

ჩამორთმეული ავტორობა: მოთხოვნა დემონოკრატიისა

მიუნჰენში დაარსებული „საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კულტურის შესწავლის ინსტიტუტის“ მოამბე 1954 წლის მე-3 ნომერში რომ დაბეჭდავდა მინდია ლაშაურის წერილს „ქართული თეატრი საბჭოთა ეპოქისა“, გრიგოლ რობაქიძე კითხვისას შეუწყნარებელ შეცდომასაც არაერთს წააწყდებოდა და გარდასული სურათებიც ამოესახებოდა ისე, სინამდვილეში როგორც მომხდარიყო: და სრულიად განსხვავებული პანორამა გადაეშლებოდა თვალწინ, ვიდრე იმ სტატიიდან გაეცნობოდა მკითხველი.

საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში გრიგოლს შეხვდებოდა კოტე მაყაშვილი, ორიოდე სიტყვით ასე რომ აღადგენდა მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს: კაცი მშვიდი, ნელი, „უჩინარი“, მაგრამ როგორც მამულიშვილი, ფრიად „საჩინოო“. და ეს საჩინო მამულიშვილი ეტყოდა:

— ჩვენი მოვალეობაა გადავარჩინოთ ქართული კულტურა შემოსალტულ რკალში საბჭოეთისა. განსაკუთრებულ საშიშროებში იმყოფება ამ მხრივ ჩვენი დედაქალაქი, რომელიც უცხო ელემენტებითაა ავსილი.

გრიგოლი გაიზიარებდა მის აზრს და... კიდეც დაიწყებდნენ შეთანხმებულ მუშაობას.

კოტე მოქმედებას გაშლიდა ხელოვნების სასახლეში, გრიგოლი — სახალხო განათლების კომისარიატში, როგორც მოადგილე ხელოვნების განყოფილების გამგესი — გამგედ თვითონ კომისარი დაინიშნებოდა. ლიტერატურის გამგე იქნებოდა ალექსანდრე აბაშელი, მუსიკისა — მელიტონ ბალანჩივაძე, თეატრი-

სა და ნაწილობრივ ფილმისაც — შალვა დადიანი, სახვითი ხელოვნებათა — ჰენრიკ ჭრინევსკი, დიდი მეგობარი ქართველთა.

და მუშაობა რომ გაჩაღდებოდა, ხელს შეუწყობდათ კომისარი დავით კანდელაკი, ახლო ნათესავი ძმების — აკაკი და კიტა ჩხენკელებისა, 1937 წელს ვერც ის რომ ვერ გადაურჩებოდა დახვრეტას.

სახით პირწავარდნილი მუსოლინი გახლდათ ახალგაზრდობაში. ქართული არ ეხერხებოდა და მერე თანდათან მოიმარჯვებდა. არსებითად უფრო მოკომუნისტო გახლდათ, ესერთა ჯგუფიდან, დიდი ნიჭით დაჯილდოებული და ამასთან უშიშარიც და ყველაფრის თვითგადამწყვეტიც.

როდესაც გრიგოლი გვამცნობს:

ქართულ საქმეს ექცეოდა როგორც ნამდვილი მამულიშვილი. არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, უარეყოს მას რაიმე, ამ საქმისათვის სასარგებლო. პირიქით: გულით ეგებებოდა ყველაფერს სამამულიშვილოსო.

ამას ისე აღნიშნავს, თითქოს იმ ადამიანებს არ მოეხდინოთ კომისარზე სასიკეთო ზეგავლენა, სახალხო განათლების კომისარიატში რომ მოიყრიდნენ თავს, და თვითონ გრიგოლსაც. ამათ შემოთავაზებებს ეგებებოდა იგი გულით და ეს პროცესი ეროვნული სულისკვეთებით ამიტომაც წარიმართებოდა. გასაბჭოების პირველ ხანებში ახალმოწესენი სიფრთხილეს ამჯობინებდნენ და დროებით თავშეკავებას საზარელი პოლიტიკის განხორციელების წინ. რაღაც-რაღაცები, ჩვენი კულტურისათვის სასარგებლო, ამიტომაც მოხერხდებოდა.

მოგონება კი გრძელდებოდა, რომ:

მაშინ ავანსების ხანა იდგა და არ დარჩებოდა ხელოვანი რომელიმე დარგისა, დავით კანდელაკისაგან რომ არ მიეღო დახმარება. ავანსი ხშირად გაუნაღდებელი რჩებოდა, მაგრამ ამას იგი ყურადღებასაც არ აქცევდა. ერთხელ საკონტროლო კომისია ალმოუჩენდა 900 000 მანეთის ზედმეტ დანახარჯს. გრიგოლს არ ეეჭვება, რომ ეს თანხა უთუოდ ავანსებისათვის იყო გაღებული. მოელოდნენ: კომისარს მოხსნიანო, მაგრამ... ხელსაც ვერ ახლებდნენ. მემუარისტი ამას იმით ახსნიდა: საოცრად მოხერხებული გახლდათო.

მწერალთაგან უყვარდა დოსტოევსკი, და ეს გრიგოლისათვის იყო მოწმობა: შინაგანად ბოლშევიკი არ შეიძლება ყოფილიყოო.

ბერლინში ყოფნისას — სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სავაჭრო წარმომადგენლად იმყოფებოდა იქ დავით კანდელაკი — გრიგოლს ეტყოდა:

— ადამიანი დაივიწყეს.

და გრიგოლი გაოგნებული მიაჩერდებოდა: წესი აუგო ბოლშევიზმს და ეგაააო.

შესაძლოა რაიმე შეცდომა მოსვლოდა ბოლშევიკური ხაზით და სწორედ ბერლინში? გრიგოლმა ეს უკვე აღარ იცოდა. ამჯერადაც — როგორც ყოველთვის — ამბობდა იმას, რაც დანამდვილებით მოეხსენებოდა.

დიდ საქმეს რომ მოაბამდა თავს იმხანად ხელოვნების განყოფილება, გრიგოლი იმედით მიაჩერდებოდა მომავალს: ისტორია ოდესმე გადმოშლის ამას სავსებითო. თვითონ კი ერთი ღვაწლის გახსენებას იკმარებდა:

ტფილისი გასაბჭოების პირველ დღეებში „გასატაცებელს“ დაემგვანებოდა. „სატაცური“ კი რა აღარ იქნებოდა: მუსიკალური ინსტრუმენტები კერძო პირთა, წიგნსაცავები იმავე პირთა და მათივე ესა თუ ისე ძვირფასი ნივთი. გაჭირვება მძვინვარებდა და... ჩალის ფასად იყიდებოდა ყველაფერი. ყიდულობდნენ რუსეთიდან მოხეთქილი ურდოები. არ მიჰყიდდნენ და... „რეკვიზიციის“ მეთოდით ჩამოართმევდნენ, „რეკვიზიცია“ კი ხშირად ძარცვა-გლეჯად გადაიქცეოდა ხოლმე: ძაღლი პატრონს ველარ ცნობდა.

რას მოიმოქმედებდა ასეთ უმძიმეს პირობებში ხელოვნების განყოფილება?

აღრიცხვაზე აიღებდა წიგნსაცავებსა და მუსიკალურ ინსტრუმენტებს, და ძვირფას ნივთებსაც. ამ გზით გადარჩებოდა უამრავი წიგნსაცავიც და უამრავი ძვირფასი ნივთიც. გადარჩებოდა 600 როიალი — ეს რიცხვი არასოდეს დაავიწყებოდა გრიგოლს.

სიამაყით აგონდებოდა:

ვმუშაობდით მამულიშვილნი თავდადებითო.

არ ეშინოდათ: მმართველი წრეები პირველ წლებში დიდ ანგარიშს უწევდნენ კულტურის ხაზზე შემოქმედთ თუ მომუშავეთ.

ეს სცენა თვალნათლივ აირეკლავდა იმჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობას:

გრიგოლის კაბინეტში მრავალი ძვირფასი წიგნი მოგროვილიყო ბიბლიოთეკებიდან: რიგი მორთმეული, რიგიც გადანახული. ერთ დღეს ვიღაც შემოვიდოდა კაბინეტში. არც შესვლას ითხოვდა წინასწარ და არც მასპინძელს მიესალმებოდა.

„ნახალ", გაივლებდა გულში გრიგოლი.

ის მოჰყვებოდა წიგნების თვალიერებას, ხან ერთს წაწვდებოდა და ხანაც მეორეს და იტყოდა:

— ნამ პრიგოდიტსია. გამოგვადგება.

გაცეცხლდებოდა გრიგოლი, წამოვარდებოდა გახელებული და შესძახებდა:

— ვონ ოტსიუდა, მერზავეც! გაეთრიე, ნაძირალავ!

და ისიც მოკურცხლავდა და მერე როგორ!

ვინ აღმოჩნდებოდა ის არამზადა?

ვინ და... თვით ობერჩეკისტი შულმანი.

ამას შემდგომ შეიტყობდა გრიგოლი. შეეშინდებოდა? მსგავსიც არაფერი: მაშინ ხელსაც ვერავინ ახლებდა.

მოაგვარებდნენ ყოველ დარგს ხელოვნებისა და... დარჩებოდა მხოლოდ თეატრი.

რას ირწმუნებოდა მინდია ლაშაური?

საზოგადოება არ დადიოდა თეატრში და ამით პროტესტს უცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებასო.

არადა უფრო მართებულია გრიგოლის შეფასება:

საზოგადოებას მაშინ არ ეთეატრებოდაო!

ასე დადგებოდნენ თეატრის კრიზისის წინაშე. და საჭირო შეიქნებოდა მოენახათ ისეთი რამ, რაც საზოგადოებას თეატრში მიიზიდავდა.

რას ირწმუნებოდა მინდია ლაშაური?

სახალხო კომისარმა მოიწვია საგანგებო თათბირი და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო დროებით დაეხურათ თეატრი მსურველთა უკმარისობისა და რეპერტუარის უბადრუკობის

გამო. ასე აღმოჩნდა ქართული თეატრი, ერთადერთი ტრიბუნა ქართული სიტყვისა — საფრთხის წინაშე. ადამიანი, რომელსაც ჰქონდა გაბედულება გამოსულიყო საბჭოთა ხელისუფლების ამ ღონისძიების წინააღმდეგ, გახლდათ კოტე მარჯანიშვილი, უკვე მაშინ ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის, როგორც ევროპულად განსწავლული რეჟისორი. მან იკისრა თეატრის აღორძინება და მაყურებელთა მიზიდვაო.

ხოლო როგორ იყო სინამდვილეში?

გრიგოლს ამ სტრიქონების ჩაკითხვისას სწორედ სინამდვილის აღდგენის მძაფრი სურვილი რომ გაუჩნდებოდა, დაბეჯითებითა და თვითრწმენით განაცხადებდა თავის ზნეობრივ მრწამსს, იმ ეთიკურ იმპერატივს, რომლისგან გადახვევა კი არა, ოდნავ გამრუდება თუ სულაც შელამაზება ვერ წარმოედგინა:

— ჩემთვის სიმართლე ყველაფერია.

ეს მრწამსი, ეს წყურვილი ავალებდა ამჯერადაც კულუარებში ჩაკარგული ამბების გამომზევებას, ყურში რომ ჩაესმოდა პაოლო იაშვილის ანთებული სიტყვა:

— თავლა იყოს — ოღონდ თეატრი გვქონდეს.

რა ძალას შეეძლო თეატრის გაცხოველება და... ამგვარ ძალად კოტე მარჯანიშვილი ესახებოდა ყველას, მაგრამ როგორ შეხვდებოდა კოტე მათ გულნადებს?

„იმ“ თათბირს წინ უძღოდა სხვა თათბირი, გრიგოლის თაოსნობით მოწვეული და უფრო ვიწროც, რომელზეც მოახსენებდნენ კოტე მარჯანიშვილს თავიანთ სურვილს. და პასუხად რას განაცხადებდა კოტე, რომელსაც თავისი თეატრი ჰქონდა ტფილისში, თეატრი... რუსული?

— ხელოვნება ინტერნაციონალურია!

ესენი სახტად დარჩებოდნენ.

რა გამოდიოდა: გინდ რუსული თეატრი ყოფილიყო ტფილისში და გინდა ქართული, მნიშვნელობა არა ჰქონდა, მაინც ხელოვნება იქნებოდა! ბოლოსდაბოლოს იმას ხომ არა სთხოვდნენ: რუსული თეატრი მიატოვეო, — არამედ: მასთან ერთად ქართულს თეატრსაც უხელმძღვანელეო.

მაგრამ... ხომ მაინც გახდებოდა ხელმძღვანელი?

გახდებოა, ოღონდ: ხანგრძლივი ყოყმანის შემდგომ.

ჯერ ერთი, რომ: უთუოდ იმოქმედებდა მასზე „ფართო თათბირი“.

მეორეც: სამშობლოს დიდი ხნით მოწყვეტილი თანდათან ჩაეშვებოდა მშობლიურ ფესვებში — და გრიგოლს ეამაყებოდა, რომ ამ შემობრუნებაში თვითონაც ითამაშებდა გარკვეულ როლს.

და მესამეც: მისი თეატრი, რუსული თეატრი ვერ იხეირებდა და ვერა — და ვერ იხეირებდა სალაროს მხრივ.

და კოტე კიდეც შეუდგებოდა „ცხვრის წყაროს“ დადგმას ქართულ სცენაზე.

დადგმა გადაიქცეოდა დიდ, დიდ გამარჯვებად და კოტე მოექცეოდა სათავეში ქართული თეატრისა. მისი რუსული თეატრი დაიშლებოდა — და დაიწყებოდა ქართულის აღორძინება.

ესეც ის ნამდვილი სურათი, ფსიქოლოგიური თალსაზრისითაც დიდად საგულისხმო და მრავლისმეტყველი, და ამხსნელი იმ — ერთი შეხედვით დაუჯერებელი — ვითარებისა, ლამის, ან რაღა ლამის, გარუსებული რეჟისორი ქართული თეატრის დიდი განახლების სათავეში რომ აღმოჩნდებოდა.

რას ამტკიცებდა მინდია ლაშაური: მარჯანიშვილს „მიატოვებინეს“ რუსთაველის თეატრიო?

გრიგოლი არც ამას დაუთმობდა: კი არ „მიატოვებინეს“, თვითონ „მიატოვაო“.

და მეხსიერება ახლა სხვა სურათებს ამოზიდავდა.

1926 წლის ზაფხულში რუსთაველის თეატრი მოივლიდა საქართველოს. წარმოადგენდა ხუთ პიესას, მათ შორის „ჰამლეტს“, რომლის გასცენიურებასაც კოტე თავის შედევრად მიითვლიდა. უჩვენებდნენ „ლამარასაც“ და... ყველგან ეს გაისმოდა:

— დაგვიდგით მხოლოდ „ლამარა“, არ გვინდა სხვა პიესები!

კოტე იმხანად კლინიკაში იწვებოდა და ეს ხმა რომ მოესმოდა, სასიამოვნოდ არ დაურჩებოდა, თუმც ორი მოქმედება მას გაემართა, ორიც — მისივე გეგმის თარგზე — სანდრო ახმეტელს. უსიამოვნებას წყენაც დაემატებოდა, გამოწვეული სან-

დროს „ავარა" ჯეელობით, ხანდახან ქიზიყური მოურიდებლობაც რომ შეერეოდა ხოლმე, და „ლამარას" წარმატებით თავბრუდახვეულს დასცდებოდა:

— რაშია საქმე, „ლამარა" ჩემი დადგმაა!

ეს სიტყვა მიწვდებოდა კოტეს ყურს — ბოლოსდაბოლოს დასში მისი ცოლიც ერია: ელენე დონაური. მიწვდებოდა და... რომ ეწყინებოდა, გრიგოლს არ უკვირდა.

რა იცოდა სანდრო ახმეტელმა, რომ კოტეს წყენის მიტევება არა სჩვეოდა!

და თუმც გაგულისებულს ბოდიშს მოუხდიდა, ეს ბოდიში არ გაჭრიდა.

ერთი ჯგუფი არტისტებისა დაუჩოქებდა — არც ეს უშველიდა.

შეემუდარებოდნენ: უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე და აკაკი ხორავა — მუდარა ამაოდ ჩაივლიდა.

ბევრს შეეხვეწებოდა გრიგოლ რობაქიძეც — ხვეწნა უგულებელყოფილი იქნებოდა.

დაუდგამდნენ „ლამარას" საგანგებოდ. მოვიდოდა გამგუნებული, იჯდებოდა გამგუნებული, წავიდოდა გამგუნებული. ერთ სიტყვასაც არ იტყოდა: არც ავს, არც კარგს.

მარჯანიშვილი საკუთარ თეატრს რომ დააარსებდა, მინდია ლაშაური მის ამ გადაწყვეტილებას ასე ახსნიდა: ახმეტელი მარცხნივ გადაიხარა, მარჯანიშვილი კი ეწინააღმდეგებოდა რეპერტუარის გასვრას ეგრეთწოდებული პროლეტარული დრატურგების ნაწარმოებებითო.

კი მაგრამ: არცერთი პროლეტარული ავტორის პიესა რომ არ დაედგა იმ დროს ახმეტელს?

და ერთ რეალიასაც მიაქცევდა ყურადღებას გრიგოლი:

მარჯანიშვილი დადგამდა სპექტაკლს „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" — და თუმც ლაშაური ასახელებდა პიესის ავტორს — ერნსტ ტოლერს, მაგრამ მალავდა, რომ... იგი კომუნისტი გახლდათ. და ეს იმ მოსაზრებით: მარჯანიშვილს მინუსად ჩამოერთმევაო.

ხოლო როდესაც დაასახელებდა „ანზორს" და დასძენდა: გაწმენდილი იყო პროპაგანდული ჯუღასაგანო, — გრიგოლი მიიჩ-

ნევდა, რომ სტატიის ავტორი ამჯერად შეგნებულად ფარავდა რეჟისორის სახელს — რაკიღა ეს ახმეტელს პლიუსად ჩაეთვლებოდა.

და თუ მაინცდამაინც ახმეტელის მარცხნივ გადახრა უნდა ეხსენებინა, დაე ისიც გაეთვალისწინებინა, რომ: იგი ხელმძღვანელი გახლდათ პირველი სახელმწიფო თეატრისა და ასეთ თეატრს მეტ მოთხოვნებს წაუყენებდა კომუნისტური პარტიული ხაზი მემარცხენეობის მხრივ.

ვინ იდგა მაშინ „მარცხნივ" თუ „მარჯვნივ"?

ელიმებოდა გრიგოლ რობაქიძეს: ამის შეტყობა მეტერნიხსაც გაუჭირდებოდაო.

უდავო იყო ის, რომ: დიდი უმრავლესობა ქართული საზოგადოებისა კოტე მარჯანიშვილს ემხრობოდა.

და ესეც უდავო: მარჯანიშვილს მხარს უჭერდა დიდი უმრავლესობა კომუნისტებისაც. საკუთრივ მთელი კასტა ჩეკელებისა.

და სთავაზობდა მკითხველს გრიგოლი:

მოდი და გაერკვიე აქ, ამ მართლაც ქართულ პარადოქსშიო!..

ვარაუდით კი ივარაუდებდა, რომ: ამ უცნაურობაში დიდ როლს თამაშობდა როგორც რეჟისორული სახელი მარჯანიშვილისა, ისე მისი პიროვნული ხიბლი.

ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც სათავეში მიხეილ კახიანი ედგა, ახმეტელს ემხრობოდა.

ორიოდე შტრიხით ისე მარჯვედ და ტევადად მოხაზავდა გრიგოლი მის ფსიქოლოგიურ სილუეტს:

კახიანისათვის „სახელი" მხოლოდ ეს იყო: მარქსი, ლენინი, სტალინი, რაც შეეხება „ხიბლს", ამ მხრივ მგონი ეროტიკულ სფეროშიც „დაზღვეული" იყო, როგორც ცივი და შეუვალიო.

და მიიჩნევდა, რომ: კახიანი უფრო შორს ჭვრეტდა, ვიდრე რომელიმე მისი კომუნისტი „ამხანაგი". „საბჭოური" თვალგადავლებით სანდრო ახმეტელი უფრო ადვილად „დასაურვებელი" მოჩანდა, ვიდრე მარჯანიშვილი: ურჩი, ჟინიანი, თავნება, ხანდახან ჯიუტიც, თანაც ასერიგად სახელმოხვეჭილი და არამარტო საქართველოში.

ვითომ მარჯანიშვილს დევნიდნენ კომუნისტები?

ვერ დაიჯერებდა ამას გრიგოლ რობაქიძე.

და... ეგებ ცენტრალური კომიტეტი?

ვერც ამას დაიჯერებდა, რადგანაც:

მარჯანიშვილი რომ დააარსებდა ახალ თეატრს, საკუთარს, მმართველ წრეებში არამცთუ დაეხმარებოდნენ ამ საქმეში, თავგამოდებითაც კი. ახალ თეატრს გამოაცხადებდნენ „მეორე სახელმწიფო“ თეატრად. და ეს აქტი, ფინანსური გაზომვით, „ხელგაშლილობას“ ცილდებოდა. წინ აღუდგებოდა ამას ცენტრალური კომიტეტი? არა, ნებას დართავდა. მართალია უგულოდ, მაგრამ მაინც. და ნუთუ შეიძლებოდა ამის შემდეგ გემტკიცებინა: ცენტრალური კომიტეტი დევნიდა მარჯანიშვილსო?!.

დევნილი, გრიგოლის შეტყობით, სწორედაც ახმეტელი გახლდათ: დევნილი როგორც ქართული საზოგადოების, ისე კომუნისტთა უმრავლესობისაგან. ჭორი ჭორს დაესართებოდა და ინტრიგა ინტრიგას მიემატებოდა. რა სურდათ მარჯანიშვილის მომხრეთ? რა და: ახალი თეატრით შესულიყვნენ რუსთაველის თეატრში, შედეგზე კი სრულიად არა ფიქრობდნენ.

დიდხანს და მედგრად მოიგერიებდა მიხეილ კახიანი მათ იერიშებს, მაგრამ... ბოლოს ისიც შეირყეოდა. და ახმეტელის თეატრი ბენზე დაეკიდებოდა.

გაისეირნებდა გრიგოლი რუსთაველის გამზირზე, მიუახლოვდებოდა რუსთაველის თეატრს და... იქაურობას დამწუხრებას შეატყობდა, მთელ მის შემადგენლობას. იქვე დაინახავდა პაოლო იაშვილსაც და ტიციან ტაბიძესაც. და რომ იკითხავდა: რა მოხდაო? — პასუხად ეს მოესმოდა:

— ხმა გავრცელდა, კახიანმა დაუთმო „შემომსეველთო“.

მიმართავდა პაოლო გრიგოლს:

— ახლავ ვინახულოთ კახიანი!

და კიდეც გაეშურებოდნენ სამივენი. თუმც გრიგოლიც, პაოლოც და ტიციანიც მარჯანიშვილისა და ახმეტელის შეხლა-შემოხლაში სიმართლეს კოტეს მხარეს ვერა ხედავდნენ — მაინც შემარიგებელთა როლს თამაშობდნენ. მივიდოდნენ კახიანთან. დაელაპარაკებოდნენ. მაშინ ამათ სიტყვას კიდევ ითვალისწი-

ნებდნენ, განსაკუთრებით გრიგოლისას. დაბეჯითებით ვერ იტყოდა, ამათ სიტყვა გაჭრიდა თუ არა, მაგრამ რუსთაველის თეატრი კი გადარჩენით გადაურჩებოდა განსაცდელს.

ვინმეს რომ ეკითხა ამ გადასახედიდან გრიგოლისათვის:

გადადგამდით თუ არა იმ ნაბიჯს, ბედი თქვენი „ლამარასი" გადაბმული რომ არა ყოფილიყო რუსთაველის თეატრის ბედთანო?

შეკითხვას გრიგოლი მორალურად სავსებით მართებულად მიიჩნევდა, და გულახდილადაც აღიარებდა: შესაძლოა არ გადამედგაო, — მაგრამ მთავარი ისაა, რომ საქმის მხრივ ეს არა წყვეტდა საკითხს. აბა წარმოგვედგინა, რომ მარჯანიშვილი თავისი თეატრით შესულიყო რუსთაველის თეატრში. ამ შემთხვევაში სანდრო ახმეტელი გაირიყებოდა, ასევე მისი თანაშემწე ივანე პატარიძეც, და აგრეთვე სახელოვანი მსახიობები: აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, გიორგი დავითაშვილი და სხვანი. გაირიყებოდა ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომელნიც ახმეტელს სპორტულადაც გაეწრთვნა სპექტაკლის ფიზიკურ-რიტმული გაშლისათვის. და ვინღა მისცემდა მას საშუალებას, გაემართა ახალი თეატრი? არა სახელმწიფო, არამედ სრულიად ჩვეულებრივი. აღარავინ. და ეს იმიტომ, რომ სანდო ახმეტელი არ გახლდათ კოტე მარჯანიშვილი. და ქართული საქმე, ისედაც საკმაოდ დაზიანებული, კიდევ უფრო დაშავდებოდა.

აი რა მოტივები ამოძრავებდა მაშინ გრიგოლ რობაქიძეს!

მინდია ლაშაური რომ ამცნობდა მკითხველს: 1929 წელს პირველად ქართული სათეატრო ხელოვნების ისტორიაში მოხდა არაჩვეულებრივი მოვლენა — ბრწყინვალე გასტროლები მოსკოვშიო, — და იმოწმებდა აზრს ჟურნალისა „სოვრემენიი ტეატრ":

— მარჯანიშვილის დადგმებს უკანასკნელი წლებისა შეუძლიათ დააშშვენონ ყველა სცენა ჩვენი სატახტო ქალაქებისა.

გრიგოლ რობაქიძეც სავსებით გაიზიარებდა ამ მოსაზრებას და მეტსაც იტყოდა.

დაე წაეყენებინათ ამ ამბისათვის რუსთაველის თეატრის გამარჯვება მოსკოვში 1930 წელს გამართულ სათეატრო ოლიმპიადაზე. თუ მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები მოინათლებოდა „არაჩვეულებრივ მოვლენად", მაშინ რუსთაველის თეატრის მიერ

ლელოს აღება შეჯიბრში პირდაპირ „ფანტასტიკურადაც“ უნდა შეფასებულიყო.

აბა დაკვირვებოდა მკითხველი: რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ კი არ ჩასულიყო მოსკოვს, არამედ შეჯიბრში მიეღო მონაწილეობა და წინ გაესწრო საბჭოეთის ხალხთა ყველა თეატრისათვის, მათ შორის თვით რუსთა დადგმებისთვისაც.

წინ გაესწრო „ლამარათი“ და მერე როგორ?!

შორს, შორს მოეტოვებინა უკან ყველა თეატრი.

და შეფიქრიანდებოდა გრიგოლი: ემანდ ტრაბახად არავინ ჩამომართვასო, — და ხაზგასმით აღნიშნავდა: „ლამარას“ ვგულისხმობ როგორც სპექტაკლსო.

დაე სცოდნოდა ყველას, რომ:

უდიდესი გამარჯვება ქართული თეატრისა, თუ გნებავთ, ეს გახლდათ სწორედ.

მეტის თქმაც შეიძლებოდა:

ეს ერთობ პირველი გამარჯვება საქართველოსი რუსეთის ფარგლებში.

სწორედაც ეს იქნებოდა მთავარი გრიგოლისათვის, ეს განზოგადება და გასიმბოლოვება, ამ წარმატებას არამცთუ თეატრის საზღვარში რომ არ ჩაჰკეტავდა, თვით ხელოვნებისა თუ კულტურისაც და... მთლად საქართველოს გამარჯვებასთან გააიგივებდა. საამისოდ კი ის რწმენა შეაგულიანებდა, რომ:

ეს წარმატება პირველი შინაგანი დაძლევა გახლდათ ბოლშევიზმისა მთელი საბჭოეთის მასშტაბით, რადგანაც „ლამარას“ არა ჰქონდა რა საერთო არც „ოქტომბრის რევოლუციასთან“ და არც მისგან გამოჩეკილ კომუნიზმთან.

უკვირდა და ვერ აეხსნა გრიგოლს, რატომ მორიდებოდა „ლამარას“ გამარჯვების ხსენებას მინდია ლაშაური: განა დაჩრდილავდა კოტე მარჯანიშვილის სახელს ამის აღნიშვნა?.. ბოლოსდაბოლოს პირველი ნახევარი დრამისა სწორედ კოტეს მოემზადებინა, და მეორე ნახევარშიც სანდრო ახმეტელი კოტეს გეგმის კვალობაზე წარმართავდა დადგმას.

მინდია ლაშაურს, ამ დამწყებ ავტორს, ნიჭს შეატყობდა და დაენანებოდა ამ გზით სიარულისათვის, და ურჩევდა, გარიდებოდა

ფაქტების არასწორ მოხმობას, თორემ მისი ნიჭი სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებდა. ნიჭს წრთვნა ესაჭიროებოდა — განსაკუთრებით შინაგანი სიმართლის ხაზით. და კარგს იზამდა, თუკი თვითონ მინდია აღადგენდა სიმართლეს დოკუმენტური მხრივ „ვესტნიკის“ ფურცლებზევე. ხოლო თუ ის არ მოინდომებდა, აუცილებლად გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც ამას მოიმოქმედებდა.

იძირებოდა გარდასულ დღეებში გრიგოლი და კვლავდაკვლავ უტრიალებდა გარშემო კოტე მარჯანიშვილის მონუმენტურ ფიგურას, რუსეთშიაც დიდ რეჟისორად რომ აღიარებულიყო, დაუბრუნდებოდა თუ არა სამშობლოს, კიდეც ეზიარებოდა მშობლიურ ფესვებს და... ეს ფესვები სიუხვით კიდეც გაანაყოფიერებდნენ მის შემოქმედებას.

უდავო გახლდათ:

რენესანსი ქართული თეატრისა მისგან იწყებოდა.

და გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: იგი კიდევ უფრო მეტსად შესძენდა თეატრს, თავის თავში რომ დაეძლია ის შინაგანი ნაკლი თუ სულაც საფრთხე — ჟინიანობა, რაც ჯიუტობაში გადადიოდა. აგრეთვე — მიუტევებლობა წყენისა.

მაგრამ ბუნება მისი, მიუხედავად ამ ნაკლ-საფრთხისა, გენიის ნატეხი გახლდათ ნამდვილი. და გრიგოლს ეამაყებოდა, რომ რომანში „მცველნი გრალისა“ კოტე მარჯანიშვილისათვის აეგო სწორედაც შესაფერისი ნიში. უფრო ცოცხლად კი მის სახებას გამოხატავდა ლიტერატურულ ესკიზში.

როგორ ამბობდა ქართული სიბრძნე? ერთი აქეთაც თქვი და მეორე იქითაცო.

როგორ შეიძლებოდა კოტე მარჯანიშვილის გვერდით არ გახსენებოდა და არ ეხსენებინა სანდრო ახმეტელი, მითუფრო, რომ ახმეტელი დაეხვრიტათ, დახვრეტილს კი „იქ“ ვილა გამოესარჩლებოდა.

გრიგოლის ეს პოლემიკური გამოხმაურება გამოეწვია მოვალეობას: აღედგინა სიმართლით სახელი წამებულისა. ახმეტელი არა ყოფილა რასაკვირველია მარჯანიშვილი — მაგრამ ისიც მარჯვე რეჟისორი გახლდათ. მაგალითად ბორის ლავრენევის „რღვევას“ რომ დადგამდა, მისი სპექტაკლი ბევრად უფრო მოხდენილი გამოვიდოდა, ვიდრე რუსთა.

მართალია მას არ გააჩნდა არც სხივოსნობა მარჯანიშვილისა და არც მისი ხიბლი, მაგრამ აუცილებლად უნდა აღენიშნა გრიგოლს მისი ის განსაკუთრებული ღირსება: მამულიშვილობა, უაღრესად ფესვმაგარი.

ეს კი გულისხმობს: ნიმუშად და სიმბოლოდ წარმოდგებოდა პატრიოტობისა.

თავნებაც გახლდათ მარჯანიშვილივით, და ხანდახან — ქიზიყურად „ჯირკიც", მაგრამ აქ, მამულიშვილობაში, პიროვნულზე მაღლა იდგებოდა.

ერთი აქეთაც თქმულიყო?

მეორე — აგერ იქითაც!..

ყველაფერი რომ ეფიქრა, ყველაფერი რომ წარმოედგინა, ან რა მოაფიქრებდა და ან რა წარმოადგენინებდა, „ლამარას" ავტორობას თუ ჩამოართმევდნენ და... ამ დრამა-მისტერიას ვაჟა-ფშაველას გადაულოცავდნენ.

თურმე ამის შემსწრეც უნდა გამხდარიყო, თითქოს აბსურდული პიესის პერსონაჟი ყოფილიყოს.

ან რაღა თითქოს — აქცევდნენ და ეგ არის აბსურდული პიესის პერსონაჟად: პოლიტიკური ცხოვრების პიესისა.

თუ ვინმეს არ უყვარდა და ძალიანაც არ უყვარდა გრიგოლი, მათ შორის იოსებ მჭედლიშვილსაც, თავის 1924-41 წლების დღიურში სადაც კი ახსენებდა, ყველგან მკაცრად, გამეტებულად, ირონიულად... ისეთ პორტრეტს ჩახატავდა, კარიკატურისაგან არც განსხვავდებოდა, თუმც ამ პოეტსა და დრამატურგს, გაბედულ პროტესტანტს ვერავინ გადაარწმუნებდა, თუ ეს შტრიხები რეალისტური არ იყო.

— არაფერს ვაჭარბებო, — დაიჟინებდა, — თითქოს ფოტოგრაფიული სურათი შემეტანოს თხრობაშიო.

1926 წლის 22 თებერვლის ჩანაწერში რომ აღნიშნავდა სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობის გახსნას, რომელსაც მოიწვევდა „მთავრობა" (მათი ხსენებისთანავე ჩაურთავდა: უკაცრაული პასუხიაო!), იქ მყოფთაგან მწარედ დაჩხვლეტდა ფილიპე მახარაძეს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილსა და ნიკოლო მიწიშვილს, და მწვავედ გა-

დაწვდებოდა გრიგოლ რობაქიძესაც: „პირველ ადამიანსა და დრამატურგს საქართველოსი“, პოეტ- მოაზროვნეს.

ეს შესიტყვება საიდან?

საიდან და:

როდესაც იგი კულტურის კომიტეტს ხელმძღვანელობდა და რუსეთს წავიდოდა „კულტურული“ საქმეებისათვის (დღიურის ავტორს ზუსტად ვეღარ მოეგონებინა, 1922 თუ 23 წელს), თვითონ დაწერდა მოწმობას და რუდნიცკაიას გადააბეჭდინებდა მანქანაზე: პოეტი-მოაზროვნე ამხანაგი რობაქიძეო... ამისთანები იქ კიდევ სხვაც ეწერებოდა.

ქალებს რომ მოსწონდათ ერთ დროს?

იოსებ მჭედლიშვილი ირონიას არ დაიშურებდა:

ალბათ იმისათვის, რომ მისი ლექციები არავის ესმოდა. ქალს ხომ ის უყვარს, ვინც მისთვის გაუგებარია და უცნაურიო!

„უდიდესი დრამატურგის“ სახელიც რომ მოეპოვებინა „ლონდათი“, „მალშტრემითა“ და „ლამარათი“?

სიცილს ვერც ამჯერად შეიკავებდა იოსები:

არცერთ პიესას აუარება ხალხი არ დასწრებია, არცერთი მისი პიესა ხალხისათვის გასაგები არა ყოფილა და „უდიდესი დრამატურგიც“ თვითონვე შეირქვა და... ალბათ რომელიმე მოწმობაშიც ჩაწერდაო...

ამ ცხარე სტრიქონებს ვინ ჩივის, უხამს გამოთქმებსაც არ მოერიდებოდა: დღიური იყო და ამჯერადა გულს ამოიბერტყავდა... და კიდეც დამშვიდდებოდა: დაე იცოდეს შთამომავლობამ, სინამდვილეში ვინც იყოო!..

რაღა ალექსანდრე ქუთათელი და რაღა იოსებ მჭედლიშვილი. რაც იმას დაეკლო, ამას მოეთავებინა — განა რა აუცილებელი იყო იოსებ მჭედლიშვილსაც ოთხკარიან რომანში გამოეყენებინა პროტოტიპად, ვითომ ორიოდ მონასმიც არ იკმარებდა კარიკატურისათვის?!.

* * *

აქცევდნენ და ეგ არის აბსურდული პიესის პერსონაჟად: პოლიტიკური ცხოვრების პიესისაო...

ხოლო მანამდე...

გაზეთ „მამულის" ფურცლებზე გიორგი გამყრელიძის ლექსს რომ გაეცნობოდა: „ძველი სიმღერა", ყურადღებას მიაქცევდა, რომ ქართული ემიგრაციის ეს ცნობილი პირი ნათესავი გახლდათ პაოლო იაშვილისა: არამარტო სისხლით, არამედ პოეტური გზნებითაც. და ამ გზნებაში თავისებურებას იჩენდა: ამჟღავნებდა საკუთარ ლირიკულ ხმას.

ლირიკოსი იგივე პოეტი რომ გახლდათ ყველას თვალთახედვაში, გრიგოლი მათ შორის განარჩევდა ერთ ნიუანსს.

ყველაზე უფრო დიდ ლირიკოსად იგი აღიარებდა ელინელ ქალწულს საფოს. ყოველი მისი სიტყვა გხვდებოდა გულში: გხვდებოდა ისე, რომ გული გიტოკავდა: გიტოკავდა ისე, რომ ამოვარდნას აპირებდა: ამოვარდნას აპირებდა ისე, რომ სხვა გულს გადახსნოდა.

და აენთებოდა გრიგოლ რობაქიძე:

აი ნამდვილი ლირიკაო.

პოეტისათვის სხვა საზომი მოეპოვებოდა. იგი მხოლოდდამხოლოდ ამ ფორმულით განიზომებოდა: რამდენად ახალი გახლდათ მის მიერ ხილული სამყარო, რამდენად უნივერსალური ეს სიახლე და რამდენად პლასტიკურად ჩამოსხმული.

უნდა გაგვეთვალისწინებინა: როდესაც საფოზე ამბობდა: ყველაზე დიდი ლირიკოსიო, — ეს არა ნიშნავდა, რომ ყველაზე დიდ პოეტადაც მიაჩნდა.

გიორგი გამყრელიძეს ლირიკოსად მოიხსენიებდა. მის შაირებში ბევრი მოიპოვებოდა უფრო ლირიკული ყაიდისა, ვიდრე „ძველი სიმღერა", თუმც ამ ნიმუშში ერთი რამ გააკვირვებდა. ყოველი ტაეპი ბოლოვდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდიანი ამოძახილით: ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნოო!.. მოხმობილიყო ის როგორც ციტატა, მაგრამ გრიგოლი სულაც არ აღიქვამდა ციტატად. და საკვირველიც ეს ეჩვენებოდა.

რამდენჯერ სმენოდა: ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნოო! — და რამდენჯერ გადაეშალა მისთვის ამ ამოძახილს სევდით აღვსილი გული ქართველისა! მოისმენდა მას გიორგი გამყრელიძის შაირში და... ხმა სხვა იქნებოდა.

როგორ არ გაოცებულიყო:

ეს ძახილი „იქ“, საქართველოში მოსმენილი, სხვა იყო, და „აქ“, გადმოხვეწილობაში გაგონილი — კიდევ სხვა. ხოლო „კონტექსტი“ მისი მაინც ერთიდაიგივე გახლდათ. ამ შაირში კონტექსტი გადმოხვეწილობა იქნებოდა თვითონ და ამოძახილი ამით მძაფრდებოდა. და ეს ხდებოდა ისე, რომ ავტორი გადმოხვეწილობას ერთი სიტყვითაც არ იხსენიებდა — და ამით მითუფრო მეტყველი აღმოჩნდებოდა მისი ეს პოეტური ქმნილება.

ვერ იტყოდა გრიგოლი: „ძველი სიმღერა“ სრულყოფილია ოსტატობის მხრივო, მაგრამ „ოსტატობა“ აქ თავიდათავი არ გახლდათ.

გიორგი გამყრელიძესთან გაგზავნილ ბარათში, 1953 წლის 3 მარტით რომ თარიღდება, გრიგოლი სიტყვა-სიტყვით გააცნობდა ადრესატს ამ გამოხმაურების შინაარსს. მანამდე კი გამოთქვამდა წუხილს, გიორგის „ანგინა“ რომ სჭირდება. სამწუხაროდ დაურჩებოდა ის ამბავიც, ასერიგად რომ დატვირთულიყო შრომით, და გაამხნევებდა: არგვეთის მუხის კუნძი ხარ — მაგრამ საჭიროა მაინც: თავს მოუაროო.

და უფალს სთხოვდა: შესწეოდა გიორგი გამყრელიძეს.

იმის სონეტს — „გიორგი რობაქიძე“ — შინაგანად შეერხია გრიგოლი, ღრმა ლირიზმით ჰქროდა ამეტყველებული მეორე ნახევარი. წაიკითხავდა და... აცრემლდებოდა.

1955 წლის 10 იანვრს გაგზავნილ წერილში გიორგი გამყრელიძე გაკვირვებას რომ გამოთქვამდა: როგორ შეიძლება შენი გატყდომაო, — 18 იანვრის საპასუხო ბარათში გრიგოლს იმისი გაკვირვება გაუკვირდებოდა:

ხუთი წელი შესრულდება თებერვალში ჩემი ცოლის დაავადმყოფებიდან. გასაოცარია, რომ ჯერ კიდევ ვუძლებ თავსდატეხილ უბედურებასო!

ამას თან ერთვოდა ლიტერატურული „განაპირებაც“, გამოწვეული მისი წიგნაკით ჰიტლერზე. ჯერ კიდევ მაგრად აღმართულიყო „ჯებირი“. არადა უკვე ხუთი ახალი წიგნიც ჰქონდა მზად. გამომცემელნი პირდაპირ ეუბნებოდნენ: დავიცადოთო! — ანდა ამას იგულვებდნენ.

რა მოეწერა გიორგის?

მეზმანა პაოლო, რომელიც 32 წლის განმავლობაში არ დამსიზმრებიაო.

ახსნას ამისა გრიგოლი შეუძლებლად მიიჩნევდა. ვარაუდით კი ივარაუდებდა: ალბათ იმან იმოქმედა, შენთან გამოგზავნილ ბარათში პაოლო რომ ვახსენეო.

განზრახულიყო ემიგრანტ-მწერალთა კონფერენცია პარიზში და... ამერიკის კომიტეტს ისიც მიეწვია. ამზადებდა მოხსენებას რუსულად — გერმანულად უკვე გაემზადებინა — „თუკი ინებებდნენ".

პოსტსკრიპტუმში მოუბოდიშებდა:

ჩემებურად ვერ გავმართე ბარათი — მაწუხებს მაღალი მოწოლა სისხლისაო.

30 მარტის ბარათს კი მობოდიშებთი რომ დაიწყებდა: დამიგვიანდა პასუხი შენს წერილზეო, — არც დაეძრახებოდა, რადგანაც გრიგოლის ამჟამინდელი ყოფა აუტანელი გამხდარიყო. სანდრო კორძაიას მოეწერა მისთვის: მორჩენილი ხარ უკვე და მუშაობა შეგიძლიაო. და ძალიან, ძალიან გახარებოდა.

ემიგრანტ-მწერალთა კონგრესი შემოდგომაზე უნდა გამართულიყო და მის თაოსანს — ამერიკის კომიტეტს — ეთხოვა გრიგოლისათვის: მიეწოდებინა ქართველ მწერალთა სია. სურდა მიეწვია მის გარდა სხვანიც.

გრიგოლს გიორგი გამყრელიძეც დაესახელებინა რასაკვირველია. და დასძენდა: ანბანის რიგითო!.. კაცნი ვართ, ვაითუ იმას წყენოდა: სიის სათავეში მე რატომ არ მომაქციაო. შეიძლება არცა, მაგრამ გრიგოლი თავს დაიზღვევდა. ეგებ მოეხერხებინა გიორგის და აეღო შვებულება ერთი კვირით. ხარჯებს — სასტუმროსი, კვებისა, მოგზაურობისა — კომიტეტი დაფარავდა. კარგი იქნებოდა, ძალიან კარგი, მოეხერხებინა გიორგის: შეხვდებოდნენ ერთიმეორეს და გაიხარებდნენ.

მინდია ლაშაურს დაეწერა საპასუხო სტატია და კალე სალიასათვის წარედგინა, კალეს კი გრიგოლისათვის გადმოეგზავნა წინასწარ გასაცნობად. და გრიგოლი გაოგნებული დარჩენილიყო: ასეთი აბნეული რამ თავის სიცოცხლეში არ წაეკითხა. არ

დაბეჭდოო, ამის თქმას როგორ იკადრებდა, და ასეც ეცნობებინა „ბედი ქართლისას“ რედაქტორისათვის: დაბეჭდეო, — მაგრამ კალე არ იყაბულებდა: ისევ „ვესტნიკში“ გამოაქვეყნოსო.

გული დაწყდებოდა გრიგოლს: ჩემმა სიტყვამ ვერ გამოიღო ნაყოფი ლაშაურში. სამწუხაროაო!..

მაგრამ კვლავინდებურად იმავე აზრისა რჩებოდა — და გიორგიც იზიარებდა ამ თვალსაზრისს — დამწყები ავტორის შეუმჩნევლობა რომ არ ივარგებდა გრიგოლის მხრიდან.

4 აპრილს გიორგი გამყრელიძის წერილს რომ მიიღებდა, თანდართული შაირით „ზღაპარი ტფილისზე“, 12 აპრილის ბარათით მიულოცავდა ამ კიდევ ერთ გამარჯვებას. კალე სალიასაც მოეწერა:

— შესანიშნავი, მართლაც დიდებული შაირი გამომიგზავნა გიორგი გამყრელიძემ.

უთუოდ ეს ლექსი იგულისხმებოდა და: გრიგოლი ულოცავდა შორიდან, როგორც მგოსანი! კალე და ნინო სალიები სააღდგომოდ მიუნჰენში რომ იქნებოდნენ, იქიდან ჟენევაში აპირებდნენ გამოსვლას და ორ-სამ დღესაც დარჩენას.

რასაკვირველია: გიორგისაც არაერთხელ ახსენებდნენ საუბრებისას. და ორიოდე სიტყვასაც მისწერდნენ.

ფულის გამოგზავნისათვის ემადლიერებოდა, მაგრამ თან შეწუხებულიყო გრიგოლი: შენ თვითონ ახლა მძიმე პირობებში იმყოფებიო.

ნიკოლოზ ჩხოტუა ჟენევაში იმყოფებოდა და გრიგოლისათვის რომ დაერეკა ტელეფონით, ელაპარაკა აღფრთოვანებით. ამ დღეებში მონახულებასაც აპირებდა და გრიგოლი თავის მხრივ პირდებოდა გიორგის: შეხვედრას აგიწერო.

ქრისტე აღსდგაო! — რომ მიულოცავდა აღდგომას, თან დაატანდა: მარჯი საქართველოსო!

8 მაისს იმ სიხარულით დაიწყებდა ბარათს, გიორგის მორჩენას რომ შეიტყობდა. და უფალს მადლობას შესწირავდა, რომ: არც იმის მეუღლეს აღმოსჩენოდა ჭაჭების დაავადება. კიდევ უფრო გაიხარებდა, თუ გიორგის მართლაც ეშოვნა უკეთესი საშრომი.

რაკიღა იმას მოენდომებინა დაწერა ესკიზისა ახალ ქართულ მწერლობაზე, შეეძლო გამოეყენებინა გრიგოლის სტატია: „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული. უგზავნიდა ოთხ ლექსსაც და ურჩევდა:

— გერმანულად ჩამოსხმული შაირი მოითხოვს უაღრესად შენელებულ წაკითხვას.

ნეტა რა თავისებურებას გულისხმობდა ამისთანას, გერმანულად უაღრესად შენელებულად რომ უნდა წაკითხულიყო და ქართულ ენაზე გამართული ლექსები კი ამას არ მოითხოვდა?.. ეგებ იმიტომ, რომ: ეს შაირი ლოცვა გახლდათ გრიგოლისა, ისევე როგორც წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ორი ლექსი.

თუკი გიორგი მოინდომებდა, გრიგოლი გაუგზავნიდა „ორღობის ეშაფოტსაც“ — არ იცოდა, წაკითხული ჰქონდა თუ არა იმას ეს ლექსი.

პოსტსკრიპტუმში დაურთავდა:

ვხვდები ნიკოლოზ ჩხოტუას. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. თავადურ ამართლებს ქართველთა ტრადიციებსო.

ისეთ ღრმა და ტევად ფრაზას მოიფიქრებდა, ხელშესახებად წარმოსახავდა ღირსეულ და კეთილშობილ პიროვნებას.

და შენც თვალნათლივ შეჰყურებ კაცს, რომელიც თავადურ ამართლებდა ქართველთა ტრადიციებს.

15 მაისის წერილით გიორგი რომ წაებუზღუნებოდა: ეს რა მოკლე და მშრალი ბარათი გამომიგზავნეო, — 23-ში გრიგოლი თავს იმართლებდა: ასეთი ბარათის შედგენაც ძნელი გამიხდა ჩემს დღევანდელ ყოფაშიო.

დილიდან საღამომდე ჭაპანწყვეტაში გაბმულიყო.

იღლებოდა, იქანცებოდა, და ქართული საწერი მანქანა მაინც ჰქონოდა — წერას გაუადვილებდა.

ჩაურთავდა: გერმანულად წერისათვის ევროპულ მანქანას ვიყენებ — უკვე 15 წელია, რაც მანქანაზე ბეჭდვას შევეჩვიეო.

ხელით წერა უჭირდა: მისი ნაწერი „გასმული“ კი არ გახლდათ — ალბათ გიორგიც შეამჩნევდა ამას — არამედ „ამოჭრილი“. ასოების „ამოჭრა“ კი მეტ ძალას მოითხოვდა — ამაში გიორგიც დაეთანხმებოდა.

ნინო და კალე სალიები ჟენევაში იმყოფებოდნენ გავლით — აქ ოთხ დღეს დარჩებოდნენ. „ზღაპარი ტფილისზე“ კალეს გადაეწერა და ნიკოლოზ ჩხოტუასათვის გაეგზავნა ლოზანაში. ძალიან რომ მოსწონდა, გრიგოლს არ უკვირდა: მართლაც ძალიან მოსაწონიაო. თავისი აზრი ამ ლექსზე ხომ უკვე ეცნობებინა გიორგისათვის.

კვლავ გაუმეორებდა: „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ გამოგადგება შენი ესკიზისათვის. მისწერე კალეს, მოგაწოდოს ჟურნალის მეხუთე რვეულიო.

გიორგი რომ მიიჩნევდა, გრიგოლის ორი სონეტიდან — „აქლემი“ და „ვასაკა“ — პირველი „პირველობდა“, ავტორის აზრით: „ვასაკა“ „აქლემს“ არ ჩამოუვარდებოდა.

გიორგი არ ეთანხმებოდა, რომ ერთ სონეტშიც და მეორეშიც ბოლო გახლდათ თავი და თავი. მოეწერა:

— სონეტის რვა პწკარში გამოქანდაკებულია მართლა „კლასიური ასხმით“ აქლემის ფორმა...

შესაძლოა ეს ასეც ყოფილიყო, მაგრამ ეს „ასხმა“ ახატვას ვერა სცილდებოდა, და „ახატვა“ კი — გრიგოლის დაბეჯითებით — ვერა ჰქმნიდა თავისთავად „მაღალ პოეზიას“: ხშირად „აღწერად“ რჩებოდა.

როგორ აგრძელებდა გიორგი ესთეტიკურ განსჯას?

— შემდეგ ექვს პწკარში ის ხდება „სულიერად“ და ანიჭებს მას მეტაფიზიურ აზრს.

ეს კი მართალი იყო, რადგანაც გრიგოლისათვის მეტაფიზიკურის გამოვლინება გახლდათ ყველაფერი — გამოვლინება რასაკვირველია არააბსტრაქტული — და ამიტომ იმეორებდა ახლაც: ბოლოა იქ თავი და თავიო.

„ვასაკაც“ ასევე შეთხზულიყო.

ორი პწკარი „აქლემის“ ბოლოსი:

— და უშნო ცოხვნით ოდეს ერთვი მელანქოლიას, დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი.

და ორი პწკარიც „ვასაკას“ ბოლოსი:

— ხის სენაკითგან მალვით ზემო ამოცოცდები და შეუდგები ღვთის დიდებას კვახე ყაყანით.

და აღარც იცოდა გრიგოლმა, რომელი ხვეული იყო აქ უფრო „მეტაფიზიური", პირველი თუ მეორე. და ერთ შენიშვნასაც დასძენდა: მის შაირებში ვერც „აქლემი" მოექცეოდა პირველ რიგში და ვერც „ვასაკა". ეს მისი პირადი აზრი გახლდათ.

„ავაზა" რაინერ მარია რილკესი ბევრჯერ წაეკითხა და ახსოვდა. ამ შაირს არ აყენებდა ისე მაღლა, როგორც გიორგი. მაგრამ ამის შესახებ დაე სხვა დროს ყოფილიყო — უკვე დაღლას გრძნობდა გრიგოლი. „ორლობის ეშაფოტს" უსათუოდ გადაწერდა და გაუგზავნიდა. მისი განსჯით: ამ ლექსს — ვიზიონერული მხრივ — ვერც „აქლემი" გაუტოლდებოდა და ვერც „ვასაკა".

8 ივნისს კიდეც გაუგზავნიდა „ორლობის ეშაფოტს" და სთხოვდა დაკვირვებოდა თარიღს, თუ როდის იყო დაწერილი: 1921 წლის 2 თებერვალს.

— ვიგზენ წინასწარ ბოლშევიკების შემოსევაა?!

რიტორიკული კითხვა ძალდაუტანებლად გაამჟღავნებდა გრიგოლის სიამაყეს თავისი წინასწარჭვრეტის უნარით.

პირველად წაეკითხა საწყალი ნიკოლო მიწიშვილისათვის ყავახანაში „ძმური ნუგეში". და რა დაავიწყებდა გრიგოლს იმ სურათს: როგორ შეირხეოდა თანამოკალმე! — ბარათში კი ჩაურთავდა: ძალიან გონიერი და ნიჭიერი იყო საცოდავი! მართლაც „მიწისშვილიო"!

ლექსში „მელამურის" მაგიერ იყო: „გველის წიწილებს". შეცვლიდა და ადვილი მისახვედრია, რატომაც — შაირს ეჭირვებოდა „ხელოვნური" გადამუშავება.

კალე სალიას მოეწერა:

— საქმე გაგიფუჭათ სომეხმა ტოროსიანმა და ერთმა ქართველმა.

ქართველმა?! ვაი, სირცხვილი და თავისმოჭრაო!!. — გაოგნებასა და გულისტკივილს ვერ დაფარავდა გრიგოლ რობაქიძე.

კალე ცდილობდა სხვებთან ერთად: არცერთი ქართველი მწერალი არ დასწრებოდა კონგრესს, თუკი გრიგოლი არ იქნებოდა დაშვებული.

თუ ეს მოხერხდებოდა: ქართული საქმის შელახვა იქნებოდა სათანადოდ პასუხგებული.

დაეთანხმებოდა გიორგიც:

ეს უმსგავსი ამბავი პირად საზღვრებს ცილდებოდა.

ჩქარობდა გრიგოლი: ფოსტის ყუთს გახსნიდნენ მალე. კიდევ მისწერდა — ელოდა მიუნჰენიდან ცნობებს... ფილიალი ამერიკის კომიტეტისა ევროპაში ხომ მიუნჰენში დაფუძნებულიყო. ფილიალისათვის გაეგზავნა პასუხი მის დადგენილებაზე.

ხოლო „ორღობის ეშაფოტი“ იმ ხილვითა თუ ხატით უნდა დაწყებულიყო, რომ:

ჩამოხრჩობილიყო ვიოლინო ორღობის სარზე. ეპილეფსია — გადარევა და ბედისწერა. მავნე თვალებისა აქ ცივდებოდა სასტიკი მზერა. ბოლო ელებოდა ყოველ ნდომას აქ მარტო მწარზე.

უყვარდა ცხენის თავს დაჟინებით ქვეყანა მრუდე. საოცარი გახლდათ გაბზარული უცხვირო ხაპი. დაღრენილ ხახას კიდევ ახსოვდა სიგიჟის ქაფი — ბნედამორეულ მეღამურას ეხსნებოდა ბუდეთ.

სქელი ობობა სპლინის ბადეს სკელეტზე ლამბავდა: დროს, გუგადამპალს, თუ მოსწყენოდა უმიზნო ბანდი. გახეთქილ შუბლზე გადაირბენდა ასტრალის ლანდი, უცხო გამვლელი წაიკითხავდა საშინელ ამბავს.

თავის ორალის ჭიხვინს იგი მოელოდა მარად. ძნელი გახლდათ მეტად ხსოვნისათვის კუნძული პატმოსი. შიშობდა: სიკვდილს არავინ დაეთმო — ესურვებოდა მთელი სამყარო დაქცეულიყო არად.

და როცა მიწა გადაჰყვებოდა ძეობას ავი, მზე მაშინ ალბათ გადატყდებოდა გადახრის ტარზე — დაიჭიხვინებდა ბოლო წყევით ორღობის სარზე გატიტვლებული ძვალდახრული გამხმარი თავი.

კუნძულ პატმოსს რატომ ახსენებდა და: აკი იქ დაწერილიყო იოანეს აპოკალიფსი. „ორალი“ კი, იგივე ორეული, აპოკალიფსის ცხენს გულისხმობდა.

როგორ ვიგზენ წინასწარ ბოლშევიკების შემოსევაო, — იჯერებდა და ვერც იჯერებდა გრიგოლ რობაქიძე, კიდევ ერთხელ რომ ჩაავლებდა მზერას იმ უჩვეულო ხილვებსა და ათრთოლებულ სტრიქონებს.

11 ივლისს კი კმაყოფილი მისწერდა გიორგის: ღრმად გაგიგია ჩემი „ორლობის ეშაფოტიო“.

გიორგისეულ განსჯას თავის მხრივ დაუმატებდა მხოლოდ, რომ:

აქ მცირე არეზე გადმოშლილიყო ასერიგად დიდი ვიზიონი.

მიეწერა და კვლავ უმეორებდა:

ლექსს ეჭირვებოდა ხელოვნური გადამუშავება.

პაოლო იაშვილის პიროვნების შეფასებისას დაეთანხმებოდა:

მართალია შენი აზრი, იგი ყოველთვის „ერთ ხომალდზე“ იდგაო.

თუმც: თითქმისო, — ამასაც დასძენდა.

რითი აიხსნებოდა ეს?

პაოლოს — ეს ეცოდინებოდა გიორგისაც — სანადიმო სიტყვა შეეძლო „ზმებით“ — ანუ რითმებით — წარმოეთქვა. მაგრამ შაირს ასე „უცბურად“ არ ექცეოდა. ლექსი მისთვის ნამდვილი დღესასწაული გახლდათ სიცოცხლისა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ამუშავებდა შინაგანად. აქედან მომდინარეობდა: მისი დგომა „ერთ ხომალდზე“. ასე თუ ახსნიდა გრიგოლი მისი ხასიათის თავისებურებას.

ხოლო წინა თვის 15-ს ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოებას პარიზში ერთხმად დაედგინა:

— ემიგრანტ-მწერალთა კონგრესზე წარმომადგენლობა და მეთაურობა ქართველთა დაევალოს გრიგოლ რობაქიძეს.

რარიგ გახარებოდა ეს შეთანხმება და დადგენილება — როგორც მწერალსა და როგორც ქართველს.

ხმა მოესმოდა: კონგრესი მოხსნესო.

არ იცოდა: რის გამო. და ვეღარც ვეღარავისთვის ეთქვა: შედგებოდა თუ არა ოდესმე.

მაგრამ ესეც არაფერი იმასთან შედარებით, ქართველ მწერალ-ჟურნალისტთა საზოგადოების ის დადგენილება რასაც ნიშნავდა პირადად მისთვისაც და ქართველთა ღირსების გადარჩენისთვისაც, მაინცდამაინც ქართველის ფარულ ხვანჯებს რომ შეიძლება ჩამოეშორებინა გრიგოლი ემიგრანტ-მწერალთა ამ თავყრილობისათვის.

გადაიკეცებოდა თვეები და: 1956 წლის 2 მაისს მისწერდა, რომ „ბედი ქართლისას“ 21-21-ე ნომერში წაეკითხა გიორგის შაირები — „საჩხერის ღამე“ და „ყველა სიმღერებს მირჩევნია“ — და მოწონებას ასე გამოთქვამდა: ლირიკული ტონალობა ორივესი ცინცხალიაო. უფრო მაინც „საჩხერის ღამე“ მოსწონებოდა.

წაეკითხა გიორგის სტატიაც: „მიეცით ღმერთსა...“ — მაგრამ მის შესახებ ცალკე მისწერდა. „გაკვრით“ რაიმეს თქმა არ ივარგებდა.

გიორგი გამყრელიძეს დიდად დაეფასებინა მიხეილ წერეთლის მიერ გრიგოლის სახელის ხსენება სტატიაში — „მიმცემი და მიმღები“ — დიდ ქართველ მწერალთა რიგში.

გრიგოლიც დიდად აფასებდა ამ ჟესტს.

ამასაც იწერებოდა გიორგი:

— ამავე დროს დაფიქრდი: სალიები, ორივე — ცოლიც და ქმარიც, როგორ გაფასებენ და უყვარხარ!

და გრიგოლი ეთანხმებოდა:

ვიცი ეს — ვიცი გულით, მეგობართა სიყვარული საერთოდაც ძალიან მამხნევებსო.

ახლოვდებოდა მართლმადიდებელთა დღესასწაული აღდგომისა და ულოცავდა გრიგოლი:

ქრისტე აღსდგაო!

ისე კი... ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. საშინლად ნერვებაშლილი იყო. გუნება გაცუდებოდა. დატვირთულიყო ყოველდღიური შრომით.

ამიტომაც ვერ გამოხმაურებოდა გიორგის წინა ბარათებს.

ეიმედებოდა, რომ ამ შეფერხებას მალე გამოასწორებდა, თუმც... ბარე ხუთ წელიწადსაც უნდა ჩაევლო, ვიდრე მათი მიმოწერა განახლდებოდა.

ყველაფერი რომ ეფიქრა, ყველაფერი რომ წარმოედგინა, ან რა მოაფიქრებდა, ან რა წარმოადგენინებდაო...

ხოლო მანამდე...

დაენანებოდა, რარიგ დაენანებოდა, რომ აღარ იქნებოდა ამსოფლად ალექსანდრე აბაშელი. დაგვიანებით მაინც უნდა მოეგონებინათ გარდაცვლილი, მოეგონებინათ ორიოდე სიტყვით

მაინც. და „ფოთლების“ ახალ რკალში გაიხსენებდა იმის შინაგან სიმტკიცეს, სიმედგრეს, მაგრამ არაშემმართებლობას: მშვიდი გახლდათ, ნელი და წყნარი. გულგახსნილი, გულკეთილი. გრიგოლს ყოველთვის აკვირვებდა მისი მხვედრი გონი.

ალექსანდრე, რომელსაც საშუალო სკოლაც არ გაევლო, წამსვე ხვდებოდა რომელიმე ფილოსოფიურ პრობლემას, საუბარში წამოჭრილს.

საუბარი მასთან — შეუმჩნეველი რომ არა რჩებოდა არცერთი ნიუანსი — ნამდვილ ტკბობად აგონდებოდა გრიგოლს.

რა დაავიწყებდა მის სიცილს. იცინოდა: თითქოს ხალისს აფრქვევდა, უფრო სწორად: გაფრქვევდა. და შეხვედრა მასთან ხომ ჭეშმარიტი გახარება გახლდათ.

როგორ შეიძლება შეფასებულიყო მისი ლიტერატურული ღვაწლი?

როგორც ჩვენი ახალი პოეზიის ერთი პირველმდგენისა.

სამწუხაროდ გრიგოლს ხელთ არ გააჩნდა ალექსანდრე აბაშელის პოეტური კრებული, რათა მის ლირიკულ სამთავროთაგან გადმოეშალა აქ რომელიმე შუქურა ფენი.

და ჩაურთავდა:

მისი ლირიკის თავისებურება ჯერ კიდევ არაა ძირეულად განხილული. ეგებ „სოციალისტური რეალიზმის“ მიხედვით განიხილეს! რას გაიგებდნენო?.. — ჩაიცინებდა.

ხანდახან „საბჭოურ“ ლექსებსაც რომ წერდა?

მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, ასრულება „სავალდებულოსი“, სხვა არაფერი.

ახლა კი:

დღემდე ვერ მიეტევებინა გრიგოლს თავისათვის, რომ იმისი ლექსების კონას — „მზის სიცილი“ — დიდი დრო კი გასულიყო მას აქეთ — ვერ შეხვედროდა ისე, როგორც საჭირო იყო. შესაძლოა მართალიც გახლდათ ის, რაც დაეწერა იმ კონის შესახებ, მაგრამ კილო კი სტატიისა აღარ ეჩვენებოდა მართებულად ამ გადმოსახედიდან.

ალექსანდრე აბაშელის გარდაცვალების ცნობასთან ერთად მიეღო ცნობა ილო მოსაშვილის გარდაცვალების თაობაზეც.

როგორც ახსოვდა: მოსაშვილი გამოვიდოდა სამწერლო ასპარეზზე საქართველოს გასაბჭოების შემდგომ. და აქვეყნებდა მაგარძარღვიან შაირებს.

რაც რამ დაეწერა მას შემდეგ, გრიგოლს რაც დაეტოვებინა საბჭოეთი, ლირიკული თუ დრამატული თუ სხვა რამ, ეს უკვე აღარ წაეკითხა.

აგონდებოდა ბოლო ნასხლეტი მისი ერთი შაირისა, რომელსაც შეეხებოდა ნარკვევში „უცნობი საქართველო“. ეს გახლდათ გადაძახილი:

— უფსკრულებისკენ გაქანებულ უზანგებიდან!

თილისმად ქართული ენისა გრიგოლი მიიჩნევდა ელიფსს: ისეთ მოზმევას თქმისა, სადაც ართქმული თქმულად ცნაურდებოდა. და ეს სტრიქონი: უფსკრულებისკენ გაქანებულ უზანგებიდან! — სწორედ გასაოცარი ნიმუში გახლდათ ელიფსისა: გესმოდა გადაძახილი და თვალწინ გეშლებოდა თავბრუდამხვევი სურათი, რომელსაც აღწერა არ ესაჭიროებოდა.

და გრიგოლს არსად ეგულებოდა შაირული თქმა, სადაც ასეთი დინამიურობით გაყვანილიყო დიონისური გავარდნა და ისიც მხოლოდ სამი სიტყვით!..

„ფოთლების“ ამ რკალში კიდევ ერთ სახეს უნდა გაეელვა.

ფრიად დასაფასებლად წარმოუდგებოდა იოსებ გრიშაშვილის სიყვარული ლიტერატურული ნაქმისადმი. ძველი ტფილისის ერთ-ერთ განაპირა კუთხეში რომ ედგა საკუთარი ორსართულიანი სახლი, რომლის ზედა სართულიც თვითონ ეკავა, მთელი ბინა წიგნსაცავი გახლდათ. იქ მოთავსებულიყო მრავალი რამ ღირსშესანიშნავი, რაც რამ დაწერილიყო ქართულ ენაზე. და არაღირსშესანიშნავიც.

საქართველოში ხშირად გამოსულიყო რომელიმე შეუმჩნეველი წიგნი რომელიმე უჩინარი ავტორისა. და ვერსად იპოვიდით, თუ არა გრიშაშვილთან.

ხშირად გამოეცათ ჩვენში გაზეთი თუ ჟურნალი — მხოლოდ ერთი ნომერი. და სად შეძლებდით მონახვას ასეთ გამოცემათა? უსათუოდ გრიშაშვილთან.

მოეძევებოდა არამარტო ნაწერები რომელიმე ავტორისა, არამედ ისიც, რაც კი რამ ამ ავტორზე დაწერილიყო, თუგინდ უბრალო რეცენზიაც.

მაგალითი ენება მკითხველს?

ბევრი რამ გამოექვეყნებინა თუნდაც გრიგოლს გაზეთსა თუ ჟურნალში. ვერ მოთვლიდა, ვინაიდან ყველა არ ეგროვებინა. ბევრი რამ დაეწერათ მასზეც, მაგრამ ვერ მოიგონებდა, რადგანაც ამის მოგროვებით თავი არასოდეს ეტეხა.

და აი ერთხელ სტუმრად იმყოფებოდა იოსებთან, რომელიც გაუმასპინძლდებოდა ტფილისური ახალისებით. შემდგომ კი აჩვენებდა ყველაფერს, რაც რამ გამოქვეყნებულიყო გრიგოლისა გაზეთებსა თუ ჟურნალებში. აჩვენებდა აგრეთვე ყველაფერს, რაც რამ გამოქვეყნებულიყო გრიგოლზე ამა თუ იმ გაზეთსა და ჟურნალში.

გაოცებული დარჩენილიყო სტუმარი.

და ასე ექცეოდა იოსები ყველა მწერალს.

რაღა გაეგრძელებინა „ფოთლების" ეს ჩანახატი:

იოსებ გრიშაშვილის არქივი ქართული ლიტერატურისათვის ფასდაუდებელიაო.

ბარე ხუთ წელიწადსაც უნდა ჩაევლო, ვიდრე მათი მიმოწერა განახლდებოდაო...

შესაძლებლობა რომ მიეცემოდა და თვალს მიადევნებდა საქართველოში გამოსულ ჟურნალ-გაზეთებს, გაეცნობოდა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებსაც და... გიორგი გამყრელიძეს შესჩივლებდა 1961 წლის 21 სექტემბერს მიწერილ ბარათში:

დედაგული ვაჟას შემოქმედებისა მე გადმოვშალე ჩემს „ისტორიულ" მოხსენებაში 1909 წელს, რუსეთსაც მე გავაცანი იგი და... მე არ მახსენებენ. წვდებოდნენ მაინც ნამდვილად შუაგულს მისი პოეზიისა! უახლოვდებიან მხოლოდ — ისიც ცოტანიო.

აქვე აცნობებდა, რომ: აპირებდა დაეწერა მოზრდილი ნარკვევი „ვაჟას ენგადი". წუხილს გამოთქვამდა, რომ ქართული რვეული „ბედი ქართლისასი" ჯერ კიდევ ვერ გამოდიოდა.

15 ოქტომბერს შეპირდებოდა, რომ: ხვალ გაუგზავნიდა საქართველოსადმი მიძღვნილ რვეულს ჟურნალისა „ატლანტისი“. შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო. გიორგის ყველაზე მეტად ალბათ დააინტერესებდა სტატია კურტ ჰოჰოფისა ქართულ ლიტერატურაზე. გრიგოლი წინასწარვე ამცნობდა, რომ: გარდა რუსთაველისა — და „ვისრამიანისაც“ — არ იყო განხილული არცერთი მნიშვნელოვანი ავტორი იაკობ ხუცესიდან მოყოლებული დავით კლდიაშვილამდე. ილია და აკაკი გაკვრით ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი. რუსთაველი და „ვისრამიანი“ — ეს ნაწილი ძალიან კარგად შედგენილიყო. მაგრამ ამის გარდა რაც მოთხრობილიყო — ნამდვილი „დომხალი“ გახლდათ. გრიგოლზე ხომ სულაც „მიქარვა“ ეწერა... სხვაგან რომ ყოფილიყო ეს გამოქვეყნებული, ყურადღებასაც არ მიაქცევდა — მაგრამ თუ წუხდა, მხოლოდ იმიტომ, ასეთი „მიქარვა“ საქართველოს რვეულად განსაზღვრულ ნომერში რომ აღბეჭდილიყო.

პოსტსკრიპტუმში დასძენდა, რომ:

აღმოაჩნდებოდა შაქრის ავადობა — თუმც არა მძაფრი ფორმით.

16 ნოემბრის ბარათით აცნობებდა, რომ „ატლანტისის“ რედაქტორისათვის გაეგზავნა შენიშვნები: ორი ბარათი. ასლები კი გადაეგზავნა კიტა ჩხენკელისათვის — როგორც მრჩევლისათვის — ამ მინაწერით:

— ციურიხში ამზადებენ საქართველოს რვეულს და გრიგოლ რობაქიძეს ქართულ ლიტერატურაზე არ ეკითხებიან?! როგორ გესმით ეს თქვენ: თქვენ — მრჩეველს?!

ის ალბათ მიხვდებოდა გრიგოლის გულისწყრომის მიზეზს და... არ უპასუხებდა. პასუხს გამოუგზავნიდა კიდევ ერთი მრჩეველი ბელმონტი, თუმც გრიგოლი ივარაუდებდა: ცხადია კიტას მიერ არის ნაკარნახევიო.

ბელმონტი ამ დეტალსაც აღნიშნავდა საპასუხო წერილში:

— კიტე ჩხენკელი ამხანად ძალიან დატვირთულია.

იცინებდა და რას იცინებდა გრიგოლი ამ „ძალიან დატვირთულობაზე“... ჯერ ისედაც, და მერე კიდევ: რამენიმე დღის შემდეგ ნინო დადიანს მიუვიდოდა კიტა ჩხენკელისაგან ბარათი — სწორედ აღძრულ საგანზე!..

რა დაერქმეოდა ამ საქციელს?!.

უგზავნიდა გიორგის იმ პასუხის ასლს — გამანადგურებელი პასუხისას. ტონს რასაკვირველია დაიცავდა ისეთს, როგორიც თვითონ შეეფერებოდა ასეთ შემთხვევაში.

„ვაჟას ენგადი" გამოვიდოდა 39 მანქანაზე გადაბეჭდილი ფურცელი — თითქმის ყველა გვერდზე თქმულიყო ისეთი რამ, რაც ქართველობას ჯერ არ სმენოდა: არამარტო ვაჟაზე, არამედ სხვებზეც და სხვაზეც, ვაჟას ირგვლივ.

როგორ არ გაემეორებინა კალე სალიას სიტყვები 11 ნოემბერს გამოგზავნილი წერილიდან:

— მომილოცავს სულით და გულით ასეთი შედევრის შექმნა. ნინოც აღფრთოვანებულია. შენი ეტიუდი ვაჟაზე დარჩება როგორც უკვდავი, შეუდარებელი ისტორიულ-კულტურული განძი, საამაყო და სასახელო. ვაშა შენს მარჯვენას! მრავალჟამიერ შენს შემოქმედებას!.. მსგავსი რამ არასდროს არსად წამიკითხავს.

და კალეს ნინოსთან ერთად გადაეწყვიტა: საგანგებო ნომერი გამოეშვათ ახლავე, სადაც მარტო „ვაჟას ენგადი" დაიბეჭდებოდა. შემდეგი ნომერი კი დეკემბრის დამდეგისათვის მოჰყვებოდა.

დღეს კიდევ მიეღო კალესაგან წერილი:

— უნდა გამოვტყდე — არ მეგონა, ასეთი გენიალური გამოვიდოდა. ვიცოდი დიდებული იქნებოდა. მაგრამ ასეთი??? არა მგონია, შენ თვითონ საკმაოდ აფასებდე შენს ნაქმს. კიდევ გადავიკითხეთ — შთაბეჭდილება უფრო გაიზარდა!

პოსტსკრიპტუმში დასძენდა გრიგოლი:

ჟურნალის საფასურისათვის თავს ნუ შეიწუხებ — უფასოდ მივიღე რამდენიმე რვეულიო.

1962 წლის 30 ივლისს კი ესეც როგორ არ მიეხარებინა:

გავიდა დრო. გამოვიდა ჩემი „ვაჟას ენგადი". დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოიდგინე, იქაც: საქართველოში. ეს ჩემმა დამ მაცნობა. აქ, ემიგრაციაში, ვიეთნი გამომეხმაურნენ — აღფრთოვანებით. წარმოიდგინე: ერთი შესანიშნავი ბარათი იმ ქალაქიდანაც მივიღე, საცა შენ ცხოვრობო!

შედევრობა შედევრობად, მეორე და მესამე გაცნობა ამ ნარკვევისა მკითხველის შთაბეჭდილებას კიდევ და კიდევ რომ ზრდიდა, მაგრამ... აქ გამოითქმოდა სწორედ ის მწარე გულისტკივილიც, ყველაფერი რომ ეფიქრა, ყველაფერი რომ წარმოედგინა, ამას ან რა მოაფიქრებდა და ან რა წარმოადგენინებდა.

ქართული თეატრის დადგმების მიმოხილვისას ხშირად ახსენებდნენ „ლამარას“: მიიჩნევდნენ როგორც დრამას, მოქცეულად რკალში ვაჟას შემოქმედებისა, და გრიგოლს სხვა რა ეთქვა, თუ არა:

ამის მთქმელთ ან „ლამარა“ არ გაეგებათ, ან ვაჟას შემოქმედება, ანდა ორივე, რაც უფრო სწორად მეჩვენებაო.

ჯერ კიდევ 1953 წელს აკაკი ვასაძეს — სწორუპოვარ განმასახიერებელს მურთაზის როლისა — ასეთი ფორმულა მოენახა:

— ვაჟა-ფშაველას მიხედვით გასცენიურებული პიესა.

„ლამარა“ წაეკითხა გრიგოლს მსახიობთა და რეჟისორთა წინაშე 1924 წლის შემოდგომის მიწურულს. და როგორ დაეჯერებინა, რომ: ამ „აღმოჩენისათვის“ აკაკის, გონიერ კაცს უთუოდ, 28 წელი დასჭირებოდა? ისიც ვერ გამოეთქვა ხეირიანად, რისი თქმაც სურდა. „ხრიკისათვის“ მიემართა, ნაცვლად ნათელი სიტყვისა — ღმერთმა უწყოდა, რატომ. დავიწყებოდა მხოლოდ — თუკი იცოდა — რომ „ხრიკი“ სადღაც გიმტყუნებს და: გაგცემს.

როგორ ამბობდა?

ვაჟას მიხედვით გასცენიურებულიო...

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვაჟა გვერდით ედგა რეჟისორებს, რომელნიც მისი ამათუიმ ჩვენებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც მუშაობდნენ პიესის გასცენიურებაზე.

ამჯერად კი:

ვასილ კიკნაძე აცხადებდა:

„ლამარა“, „ბახტრიონი“, „მოკვეთილი“ — აი ხაზი ვაჟას თეატრისაო.

ეთერ გუგუშვილიც ამავეს ამტკიცებდა:

ვაჟა-ფშაველას ცნობილი პოემის სცენური ვარიანტიო.

იქ კიდევ დავით გაჩეჩილაძე...

მხრებს იჩეჩავდა გაოცებით გრიგოლ რობაქიძე:

მართალია გამოსავალი მუხლი „ლამარასი“ და „გველის-მჭამელისა“ ერთიდაიგივეა, მაგრამ ეს მუხლი არც ჩემია და არც ვაჟასი: ის ხალხის კუთვნილებაა. და მჭირდება მე განა მოქცევა ვინმეს რკალში, იყოს იგი თუგინდ ისეთი პოეტი, როგორიც ვაჟააო?..

გრიგოლი უკვე „მიმავალი“ გახლდათ და... დამცველი არავინ ჰყავდა.

ამიტომაც მიტევებას ითხოვდა მკითხველისაგან იმ გადახვევისათვის, „ლამარასა“ და „გველის-მჭამელის“ ამომწურავ შეპირისპირებას რომ დაეთმობოდა და თვალნათლივ გამოჰკვეთდა, რომ: „ლამარა“ სიუჟეტურად სულ სხვა გზით მიედინებოდა, ვიდრე „გველის-მჭამელი“ და სხვაობა მათ შორის ბოლოს უფსკრულადაც იქცეოდა.

ვაჟასთან მინდია თავს იკლავდა.

გრიგოლთან — თავს წირავდა.

თვითმკვლელობა ბოლოსდაბოლოს ტრაგედიაც არ არის, ესაა უბედურებაო, — ირწმუნებოდა გრიგოლ, — თავშეწირვა კი მისტერიის ხრტილიაო.

თავშეწირვით მინდიასი „ლამარა“ მისტერიაში გადადიოდა.

სანდრო ახმეტელის უბის წიგნაკში ამგვარი ფორმულა ენახათ „ლამარასი“:

— რაინდული რომანტიზმი.

და გაიხარებდა გრიგოლი: რა კარგად შეუმჩნევია, ამ პიესაში ეს მართლაც მთავარი ხაზიაო.

ახმეტელს გამორჩენოდა მხოლოდ, რომ: გასწვრივ ამ ხაზისა მინდიაური დენაც მიმდინარეობდა, მისტერიული.

ხოლო გრიგოლს არ ეგულებოდა სხვა დრამა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც „ლამარასავით“ მისტერიაში გადადიოდა.

ბერძნებს მოეპოვებოდათ ტრაგედიები და ცალკე — მისტერიები. ბედისწერით გამართულ ტრაგედიებში წინარიგზნებოდა ის, რაც მისტერიებში ხდებოდა.

„ლამარა“ ასეთი არ გახლდათ.

პოლ კლოდელის „ხარება“ სასწაულზე აგებულიყო — ასევე „და ბეატრისაც“ მორის მეტერლინკისა.

„ლამარა“ სხვა გახლდათ.

დაეძებდა მის მსგავსს — ვერ მოენახა და ვერა.

და არა და არ წყინდებოდა გამეორება:

„ლამარა“ ერთადერთი დრამაა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც თითქოს შეუმჩნევლად გადადის მისტეაშიო.

ამით ახსნიდა მის ფანტასტიკურ გამარჯვებას, რომლისდაგვარიც არ რგუნებოდა არცერთ პიესას: არც საქართველოში, არც რუსეთში, არც სხვაგან.

გულისხმობდა სულ სხვა ჯურის გამარჯვებას, ვიდრე „ანშლაგურია“ — ეს უკვე სულაც არ გახლდათ იშვიათობა.

მაყურებელი დრამის დასრულებისას რაღაც მადლით, ასხივოსნებულით, რომ აენთებოდა: ესეც ის სრულიად თავისებური მარჯი „ლამარასი“!

და გრიგოლს გულს აკლდა: ეს მარჯი კიდევ უფრო დიდი რომ იქნებოდა, თუკი რუსთაველის თეატრი მისი დადგმისას სამ გარემოებას გაითვალისწინებდა:

არ ამოაგდებდა მეოთხე მოქმედებას, რაკიღა სულიერი დრამა ლამარასი, მინდიასი და თორღვაისა სწორედ ამ მოქმედებაში ვითარდებოდა, მისი გაფატვრა-ამოგდებით კი იკარგებოდა „დედაგული“.

გრიგოლის ყოველ თხზულებას შინაგანად მუსიკალური აღნაგობა რომ ახასიათებდა, და „ლამარას“ სიმფონიასაც კი შეადარებდნენ, ეს სიმფონიური სული სასურველად ვერ გადავიდოდა სპექტაკლში. არ დაიცავდნენ მართებულად, რაც სცენაზე სასწაულმოქმედია: პაუზას.

არ შენარჩუნდებოდა მინდიაური დენა: მისტერიული.

ადრე თუ გვიან ხომ მაინც დაუდგებოდა შესაფერისი დრო ამ პიესას, ავტორის ჩანაფიქრი და სურვილი სრულყოფილად რომ შეისხამდა ხორცს. აი მაშინ კი — გრიგოლის მტკიცე რწმენით — „ლამარას“ გამოთქმელი გამარჯვება ერგუნებოდა.

თითქოს თვალნათლივ შეჰყურებდა, ისეთი სიცხადით გრძნობდა ამ უჩვეულო ტრიუმფს.

მართალია თვითონ აღარ იქნებოდა,
მაგრამ
ხომ იქნებოდა
„ლამარა“!

და ნურავინ გაიკვირვებდა, ასე რომ გაუგრძელდებოდა სიტყვა ამ ქმნილებაზე. თუმც „გველის-მჭამელი“ სხვა გახლდათ და „ლამარა“ კიდევ სხვა — თაური ორივეს ერთი ჰქონდა — მწვერვალი ქართველი ხალხის ზეპიროვნული შემოქმედებისა:

მინდია — არსი, რომელშიც მთლიანად სახიერდებოდა ორმაგი უნივერსალური იდეა:

— სიყვარული შეიქმს შემეცნებას, — მოციქული პავლე რასაც ირწმუნებოდა.

და:

— შემეცნება შეიქმს სიყვარულს, — ლეონარდო და ვინჩი რასაც ამტკიცებდა.

სწორედ ეს მითიური არსი მოითხოვდა „ლამარასა“ და „გველის-მჭამელის“ ამომწურავ შეპირისპირებას.

ყველაფერი მართლაც მოლეკულურად გადმოიშლებოდა „ვაჟას ენგადში“, მაგრამ... მოუწევდა წაკითხვა ვალერიან კანდელაკის წერილისა, სადაც კვლავ წააწყდებოდა: ხოლო „ლამარა“ ვაჟასიაო, — და გაღიზიანებული 1962 წლის აპრილში ირაკლი აბაშიძეს, პირველ მდივანს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა, მოსწერდა ვრცელ ბარათს, რომელშიც აღარ დაფარავდა გულისწყრომას:

მაშ მე, ავტორი „ლამარასი“, ლიტერატურულ ქურდი ვყოფილვარ! და: რა ყოფილა ქართველი ხალხი — ბეცი, რომ ეს „ქურდობა“ ათეული წლის განმავლობაში ვერ დაუნახავსო!..

და კვლავინდებურად რომ წამოეშლებოდა „ლამარას“ ტრიუმფული სულის სურათები, გარდა იმ ფაქტებისა, რასაც სხვა დროსაც იხსენიებდა, ამჯერად სხვებსაც მიადევნებდა:

1930 წლის ნოემბერში მოსკოვს რომ მოუწევდა ყოფნა, ერთი საქმის გამო სერგო ორჯონიკიძესაც მოინახულებდა და საუბრისას უეცრად „ლამარა“ წამოყოფდა თავს. შთაბეჭდილება მისი ლეგენდარული გამარჯვებისა ოლიმპიადაზე მოსკოვში ჯერაც არ მინელებულიყო.

— რა დაგიწერია, კაცო! — მიმართავდა ის ვითომ წყრომით, — რაღაც ურაპატრიოტული, ულტრანაციონალისტური?!

სახტად დარჩებოდა გრიგოლი. და აბა მართლაც რას მიუგებდა?

ის კი გადმოქანდებოდა სავარძლიდან სტუმრისაკენ მთელი ტანით და — თითქოს მარჯვენათი დაყვავება სურდა გრიგოლისა — სილაღით გაბადრული გადმოსძახებდა ზემოიმერულად:

— კაი კია და!

ერთ დღეს ბორის პილნიაკთანაც შეივლიდა, ის იყო წასვლას რომ აპირებდა სადღაც და გრიგოლს შესთავაზებდა: ერთი ინგლისელი ჟურნალისტი დამპირდა მაღალყელიან გალოშებს — დღეს უნდა მივიდე მასთან — და თუ ისურვებთ, თქვენც წამოდითო.

წაჰყვებოდა. ჟურნალისტის გვარი დაამახსოვრდებოდა: ფიშერი. მივიდოდნენ. პილნიაკი გააცნობდა. მოესმოდა თუ არა იმას „ქართველი მწერალი“ წარდგენისას, იტყოდა — ალბათ გრიგოლის გვარი ვერ მოესმოდა გარკვევით, ანთუ დავიწყებული ჰქონოდა:

— რა ბედნიერი უნდა იყოს „ლამარას“ ავტორი!

ღიმილით მიუგებდა პილნიაკი:

— ავტორი თქვენს წინ დგას!

და კიდევ ეს ეპიზოდიც.

იმავე წელს ტფილისს ეწვეოდნენ მოსკოვიდან უცხო მხარეთა და ხალხთა კორესპონდენტები — ორმოცამდე. მლეთას რომ მიუახლოვდებოდნენ სამხედრო შარაზე, ერთხმად გასძახებდნენ თურმე მთებს:

— ლა-მა-რა! ლა-მა-რა! ლა-მა-რა!

ამდენ სიხარულს ეს რა მწარე ტკივილი უნდა მოჰყოლოდა:

მაშ მე ლიტერატურული ქურდი ვყოფილვარო...

ვაჟას ნუ მიაკუთვნებდნენ, თორემ დაე ეხსენებინათ „ლამარა“ ავტორის სახელის მოუხსენიებლად. ვიეთნი აკი ასეც იქცეოდნენ. მაგრამ გრიგოლს ეს არ აწუხებდა:

„ლამარა“ ისე შესულიყო ქართველი ხალხის გულში, სულაც მის გულისცემად ქცეულიყო — შესული და ქცეული ავტორის სახელით. ასე რომ: გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენება საჭირო აღარც გახლდათ.

სიტყვა მოიტანდა და:

საბჭოთა საქართველოში გრიგოლს „არ“ ახსენებდნენ, თუ... ვერ ახსენებდნენ?!.

ღმერთი, რჯული! გრიგოლი არც არავის ეძალებოდა: მაინც-დამაინც მახსენეთო. ვინც მას იცნობდა, უმალვე დაიჯერებდა ამას.

ვერ გაეგო მხოლოდ ერთი რამ:

რუსეთში ივან ბუნინის ნაწერებს ათიათასობით აქვეყნებდნენ, საქართველოში კი გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებაც გაურბოდნენ.

როგორ ერწმუნა, რომ: ბუნინი მასზე მეტი „ანტი“ გახლდათ!..

აქ შესაძლოა ვინმეს ეთქვა:

— ბნინი ბუნინია და...

და „ჭინკასაც“ წამოეყო თავი, ეს ჯიში კაცუნათა ალბათ ჯერაც არ გადაშენებულიყო, ამ შეპირისპირების ხსენებაზე მარცხენა წარბს ოდნავ რომ აიქნევდა — გაკვირვებისათვის, ბაგის მარჯვენა კუთხეს კი ოდნავ შეკუმშავდა — ირონიისათვის. მისი ბუნება რომ მოეხსენებოდა გრიგოლს, მყისვე ამოიცნობდა „ჭინკას“ გულნადებს: ბუნინი მას ისევე აინტერესებდა, როგორც „შარშანდელი თოვლი“, მაგრამ მისი სახელის კრძალვით ხსენებით გრიგოლს „წაჰკრავდა“, გრიგოლის დამცირებას შეეცდებოდა, ვერც წარმოედგინა, რომ ეს „წაკვრა“ არ გაუვიდოდა, რადგანაც თვით გერმანელები დააყენებდნენ გრიგოლ რობაქიძის რომანს „ჩაკლული სული“ ივან ბუნინის იმ წიგნზე — „ცხოვრება არსენიევისა“ — მაღლა, ნობელის პრემია რისთვისაც მიენიჭებოდა.

და ეცინებოდა და ხალისობდა გრიგოლი, როდესაც წარმოიდგენდა, როგორ მიიპარებოდა მოლანდებული „ჭინკა“ კუდამოძუებული.

ერთ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას:

ყოველი გამოჩენილი ავტორის წიგნს გერმანელი გამომცემლები თანაყოლებდნენ ხოლმე პროსპექტს, სადაც მოყვანილიყო სხვადასხვა მოსაზრებანი ავტორის შემოქმედებაზე. გრიგოლის მთავარი გამომცემელიც დაბეჭდავდა ამგვარ პროსპექტს: სამს.

ამდენი ხანი გავიდოდა და იმ დაფასებას „ჩაკლული სულისა“ გრიგოლი არ გამოიყენებდა თავისი პროსპექტისათვის.

რატომ და: რომ არ გაექეზებინა აქაური რუსები, დაზოგავდა მათ თავმოყვარეობას. გამოიჩენდა რაინდობას, ცხადია ქართულს... თუმც მათ განზრახ „დუმილს“ მისი სახელის ირგვლივ არაერთხელ მიეცა ხელსაყრელი საბაბი, რომ ამ შემთხვევაში სხვანაირად მოქცეულიყო.

თავის მხრივ როგორ არ დაერთო, რომ:

უთვალავ წიგნში საბჭოეთზე მისი ის რომანი ყველასაგან გამოირჩეოდა, რადგანაც შექმნილიყო... „მესამე ნაპირზე“ — დიახ, მდინარეს მესამე ნაპირიც მოეპოვებოდა: უხილავი. „მესამე ნაპირი“ არც იქითაქეთურ „ნეიტრალობას“ გულისხმობდა და არც მაბეზრებელ „ობიექტურობას“, ხოლო რას ნიშნავდა თავისთავად ამ ნაპირზე დგომა, ფილოსოფიური ახსნა შორს წაიყვანდა, ამიტომაც შესაფერის განსჯას შემდგომისათვის გადადებდა.

ვრცელ ბარათს ისე როგორ დაამთავრებდა, ესეც არ ეცნობებინა აქაურობისათვის.

შეეტყო, რომ აქ ეგონათ თურმე: თითქოს გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერიანელი ყოფილიყოს.

ორად ორ ფაქტს იკმარებდა ამ მცდარი მოსაზრების გასაქარწყლებლად.

ჯერ ერთი:

მსოფლიოში ცნობილი ერთი ორგანიზაცია აცნობებდა 1955 წლის 7 ივნისში ერთ ამბავთან დაკავშირებით, რომ: ის გრიგოლის წიგნაკს არ მიიჩნევდა „ნაცისტურად“.

და მეორეც:

ჰიტლერიანელი რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა გესტაპო-ს დაზვერვის ქვეშ მოქცეული 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ომის ბოლომდე.

აქ დასვამდა წერტილს. კარგად იცოდა, რომ ამ ბარათზე პასუხს ვერ მიიღებდა. ამას იმიტომ სწერდა, რომ ეცნობებინა მხოლოდ: პასუხს არც ველიო.

...არა, ყველაფერი რომ ეფიქრა, ყველაფერი რომ წარმოედგინა, ამას რა მოაფიქრებდა ან რა წარმოადგენინებდა: „ლამა-

რას" თუ ჩამოართმევდნენ და ვაჟა-ფშაველას გადაულოცავდნენ — მაგრამ როცა ტაბუ ადევს შენს სახელს?!.

რუსები თავიანთ ბუნინს უფრთხილდებოდა, თორემ „ნაცმენებს" რაც უფრო გააქრობდნენ, ის არ ერჩივნათ?!.

* * *

მიაყურადებდა საქართველოს გულისცემას გრიგოლი, შორითშორიდან კვლავაც შეიგრძნობდა იმ მისუსტებულ, მაგრამ კვლავინდებურად შენარჩუნებულ რიტმებს, და ამ იდუმალ ქროლვაში მოესმოდა „ლამარასაგან" მოგვრილი მუსიკაც, და ის უჩვეულო დენაც თანდათან ცნაურდებოდა, დრამა მისტერიაში რომ გადადიოდა... და რამდენიც გინდა გეძებნა მისი მსგავსი, ვერ გარდასულ ეპოქებში მონახავდი და ვერც თანადროულობაში დაადასტურებდი.

ცალკე ტრაგედიას და ცალკე მისტერიას როგორ არა, და უხვადაც, მაგრამ... ორივე ერთობლივად?

და ნურც კლოდელ-მეტერლინკის მხატვრულ ძიებებს დაუკავშირებდი „ლამარას" მდინარებას, მის შეუმჩნეველ გადასვლას მისტერიაში, რაც გრიგოლ რობაქიძეს თავის საუფლოდ და სამკვიდროდ დაეგულებინა, ყოფით რეალობაზე გაცილებით უფრო სარწმუნო რეალობად: სუნთქვას სადაც იბრუნებდა, სულს სადაც ითქვამდა, თავს სადაც მიიდრეკდა...

თავისას ირწმუნებოდა პავლე მოციქული:

სიყვარული შეიქმს შემეცნებასო.

თავისას ირწმუნებოდა ლეონარდო და ვინჩი:

შემეცნება შეიქმს სიყვარულსო.

და თავისი უნდა ემტკიცებინა გრიგოლ რობაქიძეს:

აგერ მინდია — არსი, რომელშიაც მთლიანად სახიერდება ორმაგი უნივერსალური იდეაო.

თავი მეხუთე

სიტყვა ახალი, სიტყვა გრიგოლის: საკაცობრიოდ

დიდხანს ატრიალებდა ხელში „ვაჟას ენგადის“ ტექსტს, ეგებ როგორმე ჩაემატებინა ერთი პასაჟი, თხრობის მდინარებისას მისთვის ადგილი რომ ვერ მოენახა და ვერა, მაგრამ ეგებ ახლა გამოძებნილიყო ის შესაფერისი ადგილი, ამ ჩამატებას რომ მოიხდენდა.

არა და არა: ყველგან ამოვარდნილი მოჩანდა.

არადა... დაენანებოდა და რარიგ დაენანებოდა დასაკარგავად, და კალე სალიასთან 1961 წლის 29 ნოემბერს მიწერილ ბარათს ამ ერთგვარი გულისტკივილით დაიწყებდა:

ერთი ცნობა, ფრიად მნიშვნელოვანი, რომელიც „ენგადში“ ვერ ვახსენე, დარჩეს შენს არქივშიო.

რა ცნობა იყო მაინც ამისთანა?

რა და:

ვალერიან გუნიას ხშირად ეთქვა გრიგოლისათვის:

— ჰეე, რა იქნებოდა რომ ილია მოგსწრებოდა!

სწორედაც ეს ფრაზა არ უნდა დაკარგულიყო.

„ნეტა მართლაო“, ყოველთვის გაიფიქრებდა ხოლმე გრიგოლი მისი მოსმენისას, სიცოცხლის მიმწუხრზე კი კიდევ უფრო გაუმძაფრდებოდა ეს შეგრძნება, კიდევ უფრო მწარედ ჩაჩხვლეტდა გულში... და ოცნებებიც გაიხლართებოდა, როდესაც წარმოიდგენდა: ილიასთან შეხვედრას, ილიას დასწრებას მის საჯარო ლექციაზე, ილიასგან მოსალოდნელ შეფასებას, ილიას გვერდით ტრიალსა და მასთან თანამშრომლობას...

თქვენ ის თქვით, ვალერიან გუნიას რომ ენანებოდა ეს აცდენა, თორემ გრიგოლისათვის ხომ დარჩებოდა და დარჩებოდა გა-

უნელებელ ტკივილად, კალე სალიას რომ მიანდობდა მის შემონახვას...

ხოლო მანამდე:

8 ნოემბერს უპასუხებდა ბელმონტს 25 ოქტომბერს გამოგზავნილ წერილზე, რაკიღა აქამდე ფრიად მოუცლელი გახლდათ, თორემ ძალიანაც ეჩქარებოდა გამოპასუხება.

ის რომ უყვებოდა, თუ როგორ მოემზადებინათ „ატლანტისის" ქართული ნომერი, ეს ყოველივე ხომ „კულისებს" განეკუთვნებოდა და მკითხველისათვის დახშული გახლდათ. გრიგოლი იმას შეეწუხებინა, რამდენიმე გამაოგნებელ უზუსტობას რომ წაწყდომოდა ჟურნალის კითხვისას, მრჩევლებად კი ჩხენკელი და ბელმონტი იხსენიებოდნენ, და როგორ არ ეკითხა გაოცებულს თავისი თავისათვის: ნეტა რას აკეთებდა კიტა ჩხენკელი მრჩევლის როლშიო? ბელმონტს არც არას ემართლებოდა: დღესაც არ იცოდა, ეს გერმანელი კაცი რამდენად ჩახედულიყო ქართული სინამდვილეში.

მაინც რას ამუნათებდა ეს უცხოელი?

— იმის ნაცვლად, რომ დაგეფასებინათ ჟურნალის მთავარი იდეა და უპირველეს ყოვლისა ამისათვის გადაგეხადათ უღრმესი მადლობა, თქვენ, ქართველ მწერალთა „მხცოვანი გრანდი" ჟურნალს საყვედურებით ავსებთ დეტალების გამო და მეორეხარისხოვან ამბებსაც აზვიადებთ.

არადა ტყუილუბრალოდ ედავებოდნენ აქეთ, რადგანაც გრიგოლს არც საქებარი სიტყვები დაეშურებინა რედაქტორის — შარლ ჰუმელის — მიმართ, 4 და 12 ოქტომბრით დათარიღებულ წერილებში.

თვითონ ჰუმელის შესავალი სტატია იყო და:

— ჩინებულია! სონეტივით დასრულებული ფორმა აქვს. გაუმარჯოს საქართველოს!

ჯონ სტაინბეკის „ქართული დღიური" იყო და:

— დიდებულია! გულაძგერებულმა წავიკითხე. ჩემი საყვარელი საქართველო!

ერნსტ ვინკლერის სტატია იყო და:

— ძალიან კარგია, ძალიან კარგი!

ნიკო ჩუბინაშვილის სტატია იყო და:

— კარგია.

რეჯებ ჟორდანიას სტატია იყო და:

— ძალზე საინტერესოა ის ადგილები, სადაც ნათქვამია, რომ გურულ სიმღერებში შეიცნობა პითაგორული გამა.

ტკაჩენკოს სტატია იყო და:

— კარგია.

იოჰან კნობლოხის სტატია იყო და:

— დასაწყისი შესანიშნავია!

მისი მწვავე კრიტიკაც კი კურტ ჰოჰოფის სტატიაზე ასე იწყებოდა:

— შესავალი ჩინებულია, რუსთაველი — შესანიშნავი, „ვისრამიანი“ — ზუსტი.

და ნუთუ ყოველივე ეს „საყვედურებად“ უნდა ჩამორთმეოდა, თანაც უხვად გამოთქმულად?..

არადა როგორ არ ეთქვა, ჰოჰოფის სტატიის მეორე ნახევარი იმედს რომ გაუცრუებდა. ჯერ ერთი ის, რომ: აკლდა ძალიან მნიშვნელოვანი ავტორები.

თავდაპირველად კლასიკურის შემდგომი ხანა: სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკ გაბაშვილი.

შემდეგ XIX საუკუნისა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ყაზბეგი.

და მოგვიანებით გარდამავალი ხანის: ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, დავით კლდიაშვილი.

როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთ სტატიაში, რომელიც ქართულ ლიტერატურას ეძღვნებოდა, ამ ავტორებისათვის აევლოთ გვერდი?

სრულიად წარმოუდგენლად ეჩვენებოდა გრიგოლს.

მერე კიდევ: XX საუკუნის მოდერნისტ ავტორებს შორის დასახელებულიყო... კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მწარედ ეღიმებოდა გრიგოლს, რადგანაც: მოდერნისტული სკოლის აღმოცენებისას იგი ჯერ კიდევ ბავშვი გახლდათ, შემდეგ კი დაიწყებდა წერას... როგორც კომუნისტი.

ხოლო ამ სკოლის საკუთრივ დამფუძნებლები — პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე — სულ არ იყვნენ მოხსენიებულნი.

და გრიგოლი გულისწყრომას ველარ მალავდა: ეს როგორ გაბედაო?

შემდეგ: წარდგენა გრიგოლ რობაქიძის პოეზიისა. კეთილგანწყობილი, მაგრამ... შეცდომაში შემყვანი მკითხველისა.

— ცდილობდა მითიური შინაარსები ქართული პოეზიისა თანამედროვეობაში გადმოეტანაო, — გერმანელი სწავლული რომ ირწმუნებოდა, როგორ არ გაკვირვებოდა გრიგოლს: სად? რომელი შინაარსები ქართული პოეზიისაო?

თავისას მიერეკებოდა კრიტიკოსი: გვიანი ექსპრესიონიზმის დროისათვის მისი ნაწილობრივ არქაიზებული, ნაწილობრივ კოსმიური სტილიზება შეიგრძნობა როგორც მოულოდნელობა, მაშინ, როცა ჩვენ დღეს ამასობაში უფრო მეტად მოდურ ტენდენციებს შევიმეცნებთო, — და გაოგნებისაგან მხრებსღა იჩეჩდა გრიგოლი:

მე და „არქაიზება"? მე და „სტილიზება"? თანაც „კოსმიური", მერეა და... ეს „მოდური ტენდენციები"? ვერა, ვერაფერი გავუგეო.

შემდეგ: გიორგი ლეონიძე — საერთოდ ადრეული მოდერნისტი — საზღვარგარეთ სად იყო ცნობილი.

და კიდევ ერთიც.

ამ ფრაზას რომ ამოიკითხავდა: ქართველი ახალგაზრდობა სოცრეალიზმში ალბათ საკუთარ შესაძლებლობებს გულისხმობდაო, — ვერ ახსნიდა გრიგოლი: საიდან მოიტანა ეს ავტორმაო?

იმედის გაცრუება იმედის გაცრუებად და... ჰოჰოფის სტატიის მეორე ნახევარი მთელ რვეულს აფუჭებდა. და ვიღაცას ხომ უნდა მოეხსენებინა რედაქციისათვის კრიტიკული აზრი: გულშემატკივრის პოზიციიდან. და რედაქტორი ასეც აღიქვამდა და მადლიერებითაც გამოეხმაურებოდა.

შარლ ჰუმელს 25 ოქტომბერს — ანუ ზუსტად იმავე დღეს, როდესაც ბელმონტსაც გამოეგზავნა წერილი — მოეწერა, რომ:

— ასევე მადლობა უნდა გადაგიხადოთ 12 ოქტომბრით დათარიღებული დაწვრილებითი წერილისათვის. თქვენი კრიტიკული შენიშვნებიდან მე პირადად ბევრი რამ ვისწავლე.

დასანანია, რომ აქამდე კიდევ უფრო მეტი რამ არ ვიცოდი საქართველოზე.

ამ დღეებში ხელახლა გადაიკითხავდა ჰუმელის შესავალ სტატიას და მოწონებით იტყოდა:

ის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ მანიფესტად გამოდგებაო.

მაგრამ ამის გამო ნუთუ არ უნდა აღენიშნა ის ფაქტობრივი უზუსტობა, ავტორს რომ გაპარვოდა: თითქოს საქართველოში დამოუკიდებლობის ხანს ერთი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და ორი უნივერსიტეტი დაარსებულიყოს.

ჰოჰოფის სტატიაში რომ ეწერა:

— სახალხო სკოლაში გარუსებული ქართველი სტალინი...

ნუთუ გრიგოლს გაკვირვება არ უნდა გამოეთქვა:

სტალინი და... გარუსებულიო?

თითქოს წვრილმანი გახლდათ, მაგრამ არა მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ფიგურის მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ქართველს ეხებოდა:

— ჩვენ, ქართველები კერკეტი ხალხი ვართ, დიახ, კერკეტი და აქედან გამომდინარე, სასტიკი რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად გარუსებას არ ვემორჩილებოდით. სტალინი საბჭოთა კავშირის მეთაურის პოსტზეც იყო და არის ქართველი.

ბელმონტი მტკიცებას რომ დაუწყებდა: ბატონი ჰოჰოფი გერმანიის ერთ-ერთ პირველ კრიტიკოსად ითვლებაო, — გრიგოლს მისი სტატიები წაეკითხა ჟურნალში „მერკურ“ და ციურიხის გაზეთში „დი ტატ“, და გერმანულენოვან სივრცეში ერთ-ერთ უჭკვიანეს „ინტელექტუალადაც“ მიაჩნდა იგი. და ღმერთს მადლობას შესწირავდა, რომ: გონის ამ ახალ „რასას“ ანუ „ინტელექტუალთა რასას“ თვითონ არ მიეკუთვნებოდა, და დარწმუნებული გახლდათ, რომ ჰოჰოფი, როგორც „ინტელექტუალი“, მის შემოქმედებას ვერ ჩაწვდებოდა. მაგრამ ეს უფლებას არ აძლევდა, ამ ნაღვაწის არსი დაემახინჯებინა. მისი გამონათქვამი კი გრიგოლის შემოქმედებაზე პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე ასეთი დამახინჯების ნიმუში გახლდათ.

ბელმონტი რომ იწერებოდა:

— ბატონმა ჰოჰოფმა წინ წამოსწია აზრი, რომ თქვენ ცნობილი მწერალი ბრძანდებით და ამ სტატიაში სულაც არ განუზრახავს თქვენზე რაიმე ცუდი ეთქვა. პირიქით, ჩვენ გვიხარია, რომ ჟურნალის ამ ნომრის მეშვეობით კვლავ მოექეცით ყურადღების ცენტრში.

გაუგებრობა გახლდათ: ბატონ ჰოჰოფს მისი აუგად მოხსენიება რომ არ განეზრახა, ეს ხომ გრიგოლსაც აღენიშნა, ხოლო ის დამადლება, თითქოს ყურადღების ცენტრში მისი მოქცევა ამ სტატიის დამსახურება ყოფილიყოს, გრიგოლს ამაზე უფრო მცდარი აზრი ველარც წარმოედგინა:

თუკი მე კვლავ მოვექეცი ყურადღების ცენტრში, ამას არა ჰოჰოფის სტატიის მცდარ პასაჟს, არამედ ათასგზის უნდა ვუმადლოდე „ატლანტისში" გამოქვეყნებულ ჩემს ესეის „საქართველოს მსოფლხატი". ამ ესეიში მართალია ადგილის სიმცირის გამო აზრი მოკლედ არის გადმოცემული, მაგრამ საქართველო თავისი ჭეშმარიტი სულიერი სიდიადით არის წარმოჩენილი და არა როგორც თავაზიანად მოხსენიებული ეთნოგრაფიული სიდიდითო.

პირველადო, — ამას საგანგებოდ გამოჰკვეთდა, ვინაიდან ამ მსოფლხატის მსოფლიო მნიშვნელობას არც ევროპასა და არც თვითონ საქართველოში გრიგოლ რობაქიძის გარდა არავინ შეხებოდა.

ბელმონტი ნიშნისმოგებით რომ ეკითხებოდა:

— გინახავთ ოდესმე გასულ ათწლეულებში ისეთ ავტორიტეტულ ჟურნალს, როგორიც „ატლანტისია", საქართველოსთვის საგანგებო ნომერი მიეძღვნას? აქ ან თუნდაც სადმე სხვაგან ევროპაში?

გრიგოლს პასუხად იმედი უნდა გაეცრუებინა მისთვის.

1930 წელს ბერლინში გამომავალი ჟურნალი „დას ნოიე რუსლენდ" საგანგებო ნომერს მიუძღვნიდა საქართველოს. მას „ატლანტისის" მსგავსი სახელი და დონე არ გააჩნდა, თან მის უკან საბჭოთა ხელისუფლებაც იდგა, მაგრამ იმ ნომერში მაინც დაიბეჭდებოდა:

ცნობილი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის სტატია ქართულ მუსიკაზე.

გრიგოლ რობაქიძის დაწვრილებით მიმოხილვა ქართულ ლიტერატურისა V საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნემდე, რომელშიც მსოფლიოს წარუდგენდა 18 ავტორს.

არაჩვეულებრივად საგულისხმო ესკიზი ნიკოს კაზანძაკისისა, რომელიც ეხებოდა გრიგოლთან შეხვედრას თბილისში გამართულ საზეიმო ბანკეტზე.

და აგრეთვე ნაწყვეტი მისი რომანიდან „გველის პერანგი".

მსგავსი უზუსტობანი იქ არ გაპარულიყო, რადგან მაშინ გრიგოლი ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრობდა.

ბელმონტი ატყობინებდა:

ჟურნალმა ამ ნომრის გამო მთელი ევროპიდან აღფრთოვანებული გამოხმაურებანი მიიღოო.

ამაში გრიგოლს წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, ოღონდ გერმანელ ოპონენტს ნუ დაავიწყდებოდა, რომ გრიგოლის მიერ აღნუსხულ უზუსტობებს ევროპაში კაციშვილი ვერ შეამჩნევდა; მაგრამ ეს ნომერი მხოლოდ ევროპისათვის ხომ არ გახლდათ განკუთვნილი? მას საქართველოშიც წაიკითხავდნენ, იქ კი სულიერი კულტურის ყველა სფეროს მცოდნენი მრავლად მოიპოვებოდნენ.

და აი ეკითხებოდა გრიგოლი:

რას იტყოდნენ ისინი ნომერში გაპარულ დეფექტებზე?

და ახლა მაინც თუ ხვდებოდა ბელმონტი, გრიგოლ რობაქიძეს საქართველოს დარდი რომ ჰქონდა, როდესაც ჟურნალის ქართულ ნომერს აკრიტიკებდა?!.

მანამდე, 21 სექტემბერს, გიორგი გამყრელიძისათვის ეცნობებინა, რომ: მისი მოზრდილი ეტიუდი „საქართველოს მსოფლხატი" „ატლანტისის" ფურცლებზე შეემოკლებინათ უადგილობის გამო, მაგრამ ეიმედებოდა, რომ: შემოკლებულიც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, დიდს: აქაც და იქაც, რადგანაც ამ თემას ჯერ არავინ შეხებოდა: არც აქ და არც იქ. და სიხარულით გაუზიარებდა, ჟურნალის რედაქტორს რაც მოეწერა ამ ეტიუდზე:

— უჩვეულოდ მშვენიერია.

1962 წლის 9 აგვისტოს კი გიორგი გამყრელიძისგანაც უნდა მოესმინა საყვედური: ვაჟაზე წერდი და რა საჭირო იყო იქ აკაკი ბელიაშვილის მოხსენიება ან ავად და ან კარგადო. და გრიგოლი თავს იმართლებდა: ყოველი თქმა მის კონტექსტში უნდა განიხილოო.

ამ საპასუხო ბარათს კი ისე გაშლიდა, იმ ეტიუდის თავისებურ გაგრძელებად და თან დამოუკიდებელ ესეიდაც აქცევდა.

* * *

მაინც რა გენიალური ინტუიცია ჰქონდა აკაკის, როგორ მიწვდა იმ ფესვებს, საიდანაც მე მოვდივარო, — განსაკუთრებული სიამაყის წუთებში ყოველთვის ამოუჩნდებოდა ხოლმე იმისი ლანდი... და კიდევ არჩილ ჯორჯაძის, დავით კლდიაშვილის... ილია ზურაბიშვილისა და კოტე ბაქრაძის აღტაცების სიტყვებიც რომ ჩაესმოდა ყურში.

სად ისწავლა ასეთი ქართულიო...

არსადაც არ ესწავლა — იმთავითვე მომადლებოდა.

* * *

რარიგ ახარებდა არჩილ ჯორჯაძეს ისე მომწიფება ქართველი საზოგადოებისა 1909 წელს, რომ შეეძლო სამი-ოთხი საათის განმავლობაში ესმინა პოეზიის შესახებ სჯა-ბაასისათვის, ესმინა არა ისე, როგორც შეგირდები უსმენენ მასწავლებლის გაკვეთილს, არამედ შეგნებულად, ჩაფიქრებით, უნდობლობისა და თანაგრძნობის გამოაშკარავების უნარით.

და ასეთი გახლდათ სწორედ აუდიტორია გრიგოლ რობაქიძის ლექციაზე — ქართული თეატრის დარბაზში შეგროვდებოდა რჩეული ქართველი საზოგადოება, ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით. მოვიდოდა ლექციაზე ბევრი იმათგანი, ვისაც ქართული მწერლობის სვე-ბედი აფიქრებდა, ვინც პოეზიაში ეძებდა პასუხს იმის შესახებ, რაც სულიერ სიღრმეში გამოუცნობ ამოცანად ეჩვენებოდა, და ვინც ეტრფიალებოდა ოცნებას და ოცნებისადმი სიყვარულში ჰპოვებდა ნუგეშსა და შვებას.

ასეთი აუდიტორიის — ზუსტი შტრიხებით ასე მოხდენილად დახასიათებულის — თავმოყრის მიზეზი იქნებოდა ლექციის საგნად ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის შერჩევა, თავისი „შეწუხებული მშვენიერების“ დაუშრეტელი წყაროთი ასე რომ ატკბობდა და იზიდავდა ადამიანს.

და კიდევ ის, რომ ლექტორად გამოვიდოდა გრიგოლ რობაქიძე:

— ადამიანი ნიჭით დაჯილდოებული, ხოლო ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველი საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკურ ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალ და დღემდე თითქმის გამოუცნობ მოვლენად ჩაითვლება.

პირველი ნაწილი ლექციისა რომ საზოგადოებას ვერ მოხიბლავდა?

არჩილ ჯორჯაძის შეტყობით:

უხერხულობა წარმოდგებოდა ბუნებრიობის დარღვევისაგან. ლექტორი სიტყვას დაიწყებდა ამაღლებული, პათეტიკური კილოთი, რაც ქართულ საუბარს, დინჯს, ტკბილსა და დამშვიდებულს — დამშვიდებულს თვით აღფრთოვანების მომენტებშიაც — სრულიად ვერ ეგუებოდა. ლექტორი ძლიერ ღელავდა და ამ აღელვებას დასაწყისში ვერ შეიკავებდა, რის გამოც ცოტა არ იყოს გადალახავდა ესთეტიკური მოთხოვნილების ზომასა და ბუნებრიობას.

მაგრამ საბედნიეროდ თანდათან ძლევდა ამ ნაკლს და ლექციის მეორე და მესამე ნაწილში:

ნამდვილი არტისტი და ბატონი შეიქნებოდა თავისი სიტყვისა.

და საზოგადოებასაც უკმაყოფილება აღარ დაეტყობოდა, პირიქით, აშკარა გახდებოდა, რომ შეკრებილი ხალხი ლექტორთან ერთად იმსჭვალებოდა ერთი აზრითა და მისწრაფებით.

და ეს უნდა მიგვეწერა გრიგოლ რობაქიძის ორატორული ნიჭიერებისათვის, რასაც არჩილ ჯორჯაძე სიამოვნებით აღნიშნავდა.

საყურადღებოდ მოეჩვენებოდა, რომ:

მისტიკოსი და იდეალისტი გრიგოლ რობაქიძე იმავე საფუძველზე იდგებოდა, რა საფუძველზედაც მატერიალისტი და რეალისტი ივანე გომართელი.

ხოლო ილია ჭავჭავაძე პოეტის სულისკვეთების შინაარსს რომ დაუკავშირებდა ვაებას კაცობრიობისა, რომელსაც მიზეზი ჰქონდა ძებნისა, ეძებდა და... პოვნით კი ვერა და ვერ ეპოვნა, და ეს შეიქნებოდა სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, შავად მღელვარე ფიქრებით რომ აღავსებდა მის ცხოვრებას, ამ მხარეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა მშვენივრად და სავსებით დაახასიათებდა ლექტორი თავისი გამოსვლის მეორე და მესამე ნაწილში.

შეუდარებელი იქნებოდა მისი ანალიზი სიყვარულისა და პოეტის სულიერი დრამის გაღრმავებისა იმის გამო, რომ სიყვარულში ვერა ჰპოვებდა იმ ნუგეშსა და თავმისადრეკელს, რასაც ეძიებდა.

შეუდარებელი იქნებოდა ბუნების სიახლოვით გამოწვეული გრძნობების ანალიზიც და ისიც, რომ ვერც ბუნების ციაგსა შორის ჰპოვებდა პოეტი სულის მყუდროებასა და სიმშვიდეს.

არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა იმ გარემოებასაც:

ლექცია მხატვრული ფორმითა და კეთილშობილური აღფრთოვანებით რომ გადაეშლებოდა მსმენელს თვალწინ.

და ამ და მსგავს ლექციებს დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდა ქართული ლიტერატურისათვის.

— სასიამოვნოა, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც კარგის, მკაფიო გამოსახულის ენით, უსაუბრება საზოგადოებას პოეზიის და ხელოვნების შესახებ. სასიამოვნოა, რომ ჩვენში გაჩნდა უკვე იმგვარი აუდიტორია, რომლისთვისაც საინტერესონი ხდებიან ცხოვრებისა და ხელოვნების ღრმა პრობლემები. ამ საქმეში გრიგოლ რობაქიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის და მადლობის მეტი არა ეთქმის რა.

უკვე გამოელო შესაფერისი ნაყოფი გრიგოლის საგანმანათლებლო-ორატორულ მოღვაწეობას საზოგადოების გემოვნების დახვეწასა და სულიერ ამაღლებაში. და ამ სასიკეთო ზეგავლენას თვით არჩილ ჯორჯაძე ადასტურებდა, გემოვნების კანონმდებლად აღიარებული პიროვნება.

1911 წელს გაზეთ „თემის“ რედაქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა და ახალი ამბების რუბრიკით მკითხველს აუწყებდა, რომ:

22 აპრილს თბილისში დაბრუნდებოდა ახალგაზრდა ნიჭიერი ლექტორი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ამ მოკლე ხანში წაიკითხავდა ლექციას ნიცშეზე, და თუ დრო ნებას მისცემდა, წაიკითხავდა მეორე ლექციასაც: „იდეა ჰამლეტისა“, ხოლო რედაქციას აღუთქვამდა მის ფურცლებზე დაბეჭდვას რამდენიმე ფელეტონისა ოსკარ უაილდზე, აგრეთვე წერილების ციკლისა: „ბარათები ქართველ მწერლებს“. რედაქციას არ ეეჭვებოდა, რომ ამ წერილებში სხვადასხვა საგულისხმო საზოგადო და სალიტერატურო საკითხი იქნებოდა აღძრული და განხილული.

ხოლო ლექციის გამოხმაურებად „მან წილის“ (მიხეილ წულუკიძის) სტატიას რომ გამოაქვეყნებდა, დარბაისლურს, კეთილსინდისიერსა და დინჯი კილოთი დაწერილს, სარედაქციო მინაწერში საგანგებოდ აღნიშნავდა:

გამოხმაურება სავსებით შეესაბამება იმ ღრმად მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტორს, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის ლექციები ჯერ სულ ახალგაზრდა ლექტორისა, რომელსაც ხვდა ბედნიერი წილი — ქართული აუდიტორიის შექმნაო.

ხედავთ, რაოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის შუაგულში მოექცეოდა და სულაც განსაზღვრავდა მის შექმნას: ქართული აუდიტორიისა.

სტატიის ავტორს გრიგოლის ლექციები ლაიფციგშიც მოესმინა და მკითხველს აცნობებდა, რომ ეს საჯარო გამოსვლები კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზეც და უამრავ ადამიანზეც, რასაც ადასტურებდა გადავსებული აუდტორიები.

ხოლო ევროპიდან გრიგოლ რობაქიძეს საქართველოში ჩამოეტანა:

გერმანელის შრომისმოყვარეობა და პრაქტიციზმი, ფრანგის სიფხიზლე და გამჭრიახობა და, რაოდენ საკვირველიც უნდა ყოფილიყო, რუს ინტელიგენტთა მისტიციზმი.

გრიგოლი უთუოდ მოიწონებდა გერმანელებთან შედარებასაც და ფრანგებთანაც, მაგრამ ვერ დაეთანხმებოდა რუს მწერალთა თუ ფილოსოფოსთა ზეგავლენის არსებობას, რაკიღა თავისი მისტიკური ხედვა სრულიად განსხვავებულად მიაჩნდა რუსების მისტიკური ხედვისაგან.

დავით კლდიაშვილს ახსოვდა გრიგოლ რობაქიძის პირველი საჯარო გამოსვლებიც რუსულ ენაზე, და თუმც ხალხი აუარებელი ესწრებოდა თბილისშიც და ქუთაისშიც, გული სტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა. და აი ვარლამ ბურჯანაძისა და გიორგი თუთბერიძის პირით — რომლებთანაც იდგებოდა გრიგოლი — შეუთვლიდა: ლექციები ქართულად ეკითხა.

და მისი პასუხი ეს იქნებოდა:

— მალე ქართულად ვიწყებ ლექციებს.

და მოკლე ხანშივე აასრულებდა დანაპირებს.

პირველი ასეთი გამოსვლა აღმოჩნდებოდა ლექცია ნიკოლოზ ბარათაშვილზე, და საზოგადოება განსხვავებულად რომ აღფრთოვანდებოდა და გაზეთები ქებით რომ მოიხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს.

ამას მოჰყვებოდა ლექცია ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელზე“.

შემდეგ უკვე ლექცია აკაკი წერეთელზე.

შემდგომ...

საზოგადოების აღტაცებაც თანდათან იმატებდა, შესამჩნევად გაიზრდებოდა არაჩვეულებრივად ლამაზი ქართულის გამგონეთა რიცხვი, სულგანაბულნი ყურებს რომ არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შეიძლებოდა ლექციების კითხვა.

დავით კლდიაშვილს რა დაავიწყებდა თუნდ პავლე თუმანიშვილის, საზოგადო მოღვაწისა და დიდად განვითარებული კაცის, უსაზღვრო აღტაცებას, ბერიკაცი პირდაპირ აფრენილი რომ იქნებოდა სიხარულით:

— აი ჩვენი ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არა ვდებთ.

და დავითს თამამად შეეძლო განეცხადებინა, რომ:

გრიგოლ რობაქიძე გამოაცოცხლებდა მაშინდელ ქართველობას თავისი ლექციებით. ნათლად დაუმტკიცებდა საზოგადოებას, რომ ქართული ენა მშვენებით გახლდათ აღვსილი და მისით დიდებულად გამოიხატებოდა ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთებაც და აზროვნებაც. დაანახვებდა საზოგადოებას, გადაგვარების გზაზედ შემდგარს, ქართული ენის სიმშვენიერესა და სიმძლავრეს, დაანახვებდა და გაიტაცებდა. ამით დიდად დაავალებდა საზოგადოებას და ვერც ვერასოდეს დაუვიწყებდა ქართველობა გრიგოლ რობაქიძეს ამ დიდ ნამოღვაწარს: ქართული აუდიტორიის მოსაკრებად.

* * *

სად ესწავლა ასეთი ქართული და:

იმთავითვე მომადლებოდა.

ეს სიტყვა ყველაზე მეტად აღანთებდა და აიმედებდა, რომ მისი ღვაწლი და ცხოვრება მისი უკვალოდ არ ჩაივლიდა და ადრე თუ გვიან დაუდგებოდა შესაფერისად წარმოჩენის ხანა, გრაალის მცველის სიმბოლურ სახებადაც რომ დამკვიდრდებოდა შთამომავლობის შეგნებაში.

ეს სიტყვა: მომადლებული.

სიტყვა, რომელსაც უნდა განესაზღვრა მისი ამქვეყნიური მისია.

უფლისაგან დავალებოდა და გამორჩეული ნიჭიერებითაც ამიტომ აღვსილიყო.

და მარტოდენ ქართველთა შეგნებაში კი არ უნდა დარჩენილიყო სულიერ წინამძღოლად, არამედ მთელი კაცობრიობისა, რომლისთვისაც რაღაც ისეთი ჰქონდა სათქმელი, სხვა ვერავინ რომ ვერ აუწყებდა.

„რაღაც ისეთი“ — ანუ საქართველოს მსოფლხატის გადმოშლა კაცობრიობის წინაშე.

იმთავითვე მომადლებოდაო...

საამისო დასტურს არაერთხელ ჰპოვებდა.

თუნდ აგერ: 1937 წელს რომ გამოიცემოდა მისი რომანი „მცველნი გრალისა“, რომელშიც გადმოცემულიყო სხვათა შო-

რის ერთი მეტად გულხმიერი შემთხვევა: სცენა. განვლიდნენ წლები და აი 1947 წელს ჟენევაში ჩაუჯდებოდა ერთ წიგნს დიდ ავგუსტინეზე. და უეცრად — თვალებს არ დაუჯერებდა — ამოიკითხავდა „იმ“ შემთხვევას: სცენის მთავარ მუხლს, თითქმის სიტყვა-სიტყვით იმსახითვე თხრობილს.

ესეც „მისტიკური ზმანება“.

შესაძლოა ვინმეს გაეფიქრა: კვლავშვებაო!..

მაგრამ ეს იდეა გრიგოლს არა სწამდა.

როგორც ჩახედული, ამბობდა ამასაც: ეს იდეა საერთოდ მრუდედ გახლდათ გაგებული!

ახსნა ამ საარაკო ამბისა მხოლოდ ერთი შეიძლება ყოფილიყო: გონის ერთ მუხლში მისი შეხვედრა ავგუსტინესთან.

და... იულიუს კეისარივითა და ნაპოლეონ ბონაპარტესავით ალაპარაკდებოდა:

გრიგოლ რობაქიძე — მესამე პირში მოიხსენიებდა თავს — ამბობს ხოლმე: დააკვირდით ამ სიბრძნეს ქართული სიტყვისა: „შეხვედრა“ — „მიხვედრა“ — „ხვედრიო“.

ორ ასეთ ამბავს კიდევ რომ ახსენებდა სხვაგან, სწორედაც დასტურად: „სწავლა“ აქ ვერ გიშველიდა, თუკი ნიჭი არ „მოგმადლებოდა“.

ალბათ ამ ნიჭის მეოხებით შეძლო აეხსნა ოთხი დიდი საიდუმლო — ქვაკუთხედი მოსეს ქმნილებისა — რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში აუხსნელნი რჩებოდნენ.

რამდენიმე წლის წინათ იგი ერთ ფრაზას, ოთხ სიტყვას, ორნაირად დაწერდა. პირველში ერთ სიტყვას გაუსვამდა ხაზს, მეორეში — სხვას. თანვე: პირველში ორ უკანასკნელ სიტყვას ცალკეულად დატოვებდა, მეორეში ერთ სიტყვად აქცევდა. და ჩაურთავდა: ფრაზა — გერმანულზეო.

და მიიღებდა გრაფიკულად მთელ დიალექტიკურ მეთოდს ჰეგელისა: იმ ფსევდომისტერიას, რომელიც ჰეგელიანელებსაც და ანტიჰეგელიანელებსაც მისტერია ეგონათ.

ვინც ნახულობდა გრიგოლის ფორმულას — განცვიფრება ეუფლებოდა.

ესეც „იმ“ ნიჭისათვის უნდა მიგვეწერა.

საოცარი, პირდაპირ სასწაულებრივი ბევრი რამ მომხდარიყო მის ცხოვრებაში, უპირველესად მაინც ის რომ აგონდებოდა ხოლმე: სახადისაგან სასიკვდილოდ გადადებული პატარა გრიგოლი, მამა-ბიძის მიერ საავადმყოფოდან გამოპარებული — რათა მისი დაკრძალვა არ გახიახებულიყო — მეორე დღეს თავიანთ ქოხში კერიასთან რომ იქნებოდა ჩამომჯდარი: საღსალამათი.

როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდოდა, უმალვე იგზნებდა — და ქადილით დასძენდა: ლიტერატურასა და ფილოსოფიაში მე შეიძლება ითქვას არამცთუ მეექვსე, მეშვიდე გზნება მაქვს მომადლებულიო — რომ ქართულში ისეთ შეცდომებთან ჰქონდა საქმე, რომელნიც კოლექტიური ფსიქეს აბრუნდებიდან გამოდიოდნენ. ორ მაგალითზე ნათელყოფდა ამას.

„სანდომიანი". ვინ არ იყენებდა მას უკანასკნელი ხანების საქართველოში? და სრულიად უაზროდ ხმარებული „ამოცანა". არხი რომ გასაყვანი იყო, მაგალითად, ეს უკვე „ამოცნობილი" გახლდათ — „სა-ქმე" ისაა: გაეყვანათ.

ამნაირადვე მკვიდრდებოდნენ დღეს ასეთი უბადო სიტყვები და თქმები: „ვაღიარებ", „ბრძანებულობა" (უნდა ყოფილიყო: „ნაბრძანები" ან „ბრძანებული"), „მიგვანიშნებს" (გამოდიოდა: ჩვენ ვენიშნებოდით მას — ნააზრევი კი სხვა იყო: ჩვენ გვენიშნებოდა ეს), „საღამოს ესწრებოდენ" (ალბათ „საღამო" სხვა დროს იყო), „აღიქვამს", „ერკინება" (გამოჰყავდათ უაზროდ „მორკინალი"-საგან), „ცხოვრებისეული" და მრავალიც სხვა.

და ირონიით რომ დასძენდა: ამჩნევენ ამ „უბადოებს" „გრამატიკოსებიო"? — იქვე განმარტავდა: ვწერ „გრამატიკოსს" და არა ვგულისხმობ ლინგვისტსო.

იცილებდა და იცილებდა აბრუნდებს. ამავდროულად ხვეწდა და წმენდდა ქართულს მთელი ცხოვრების განმავლობაში. და დასძენდა: ახლაცო.

სანიმუშოდ გაიხსენებდა, რომ:

„ბრჭყალი" არ იყო სწორი, უნდა ყოფილიყო: „ბრჭალი".

ნაცვლად „ჭკნობისა" — „ჭნობა". აქედან „დაჭნობილი".

ნაცვლად „ფხრეწ"-ისა — „ფრეწს"...

ქმნიდა და ქმნიდა ახალ სიტყვებს ქართულის შუაგულიდან. მათ რა ჩამოთვლიდა, იმდენი დაგროვებულიყო!.. რამდენიმეს კი ახსენებდა მაინც:

ეს „ჭედიო“ ეს „ათვისებაო“. ეს „არქმევაო“. ეს „ცალკეულიო“. ეს „შორეთიო“. ეს „თაურიო“. ეს „ასახვაო“. ეს „ნაქმიო“. ეს „ქმედითიო“. ეს „შეცნეულიო“. ეს „ზმანეულიო“. ეს „ტეხილიო“. ეს „მთვარეულიო“. ეს „მზეოსანიო“. ეს „თაურმდგენიო“. ეს „ცეცხლეულიო“. ეს „ნათელმფენიო“. ეს „წვართიო“. ეს „ცნაურებაო“. ეს „გონიო“... სადღა გაჰყოლოდა, ვაითუ მათ ტევრში ჩაკარგულიყო. მრავალთაგან მრავალი რომ შესულიყო და დამკვიდრებულიყო ქართულში მისი და სწორედაც მისი მეოხებით. და როგორ არ მოეწონებინა თავი:

ჩემამდე „ასანთი“ რაა — ისიც არ იყო, „ხმაური“ რაა — ესეც არ იყოო!..

ერთ ღრმად ჩახედულ გონმეტყველ ქართველს X საუკუნეში რომ ეთქვა, თუ რა არის ქართული:

— ...რამეთუ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და იგულისხმებოდა: თუ ყოველი არა, მრავალი მაინცო.

გრიგოლ რობაქიძის მტკიცე რწმენით:

ცნაურება ამ საიდუმლოთა ისტორიას მისთვის ერგუნებინა: მისთვის, როგორც გამომავლისა ქართულის შუაგულიდან.

მხოლოდ რამდენიმე მაგალითს იკმარებდა.

„ᲛᲐᲠᲮᲕᲘ“ — აქ მთელი მისტერია მოქცეულიყო, როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული.

„ᲮᲡᲜᲘᲚᲘ“ — აქაც ისეთივე მისტერია.

„ᲙᲕᲘᲠᲐ“ — ღვთაებრივი პაუზა: ნამდვილი.

„ᲮᲕᲔᲓᲠᲐ“ — ზემოთ ხომ უკვე ეხსენებინა.

„ᲛᲢᲙᲘᲪᲔ“ — „ᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔ“: „მაგარი“ და „წმინდა“, ვითარცა სინონიმები.

„ᲦᲕᲘᲫᲚᲘ“ — „ᲦᲕᲘᲫᲚᲘ“ — ამოეხსნა პრომეთეს ფენომენის მოშველიებით.

„ᲮᲔᲚ-ᲛᲬᲘᲤᲔ“ — ერთ სიტყვაში მთელი კონცეფტი „მღვდელ-მეფ“-ისა.

„ნაყოფი“ — წარსული-არგადასული. ესიტყვებოდა „მარად მყოფადს“.

და დასძენდა ანთებული:

როგორ გაიხარებდა ჰეგელი, ეს რომ სცოდნოდა! ჰეგელი, რომლისათვისაც არსი არის „გარდასულ, თუმც კი უჟამოდ გარდასულ ყოფიერებაშიო“.

და პლატონის აღფრთოვანებას ხომ ზღვარი არ ექნებოდა, როდესაც დაინახავდა, რომ: ამ სიტყვაში „ნაყოფი“ მოქცეულიყო სამი მთავარი ნაკადი მისი სწავლებისა.

და ერთი მაგალითიც კიდევ.

„ტაბუ“ — მისი განმარტება ლარუსის, ფრანგული ენციკლოპედიის, მიხედვით: პოლინეზიის რელიგია გამოჰკვეთდა ადამიანის ან საგნის სიწმინდეს და მისი ზნე-ჩვეულების გარკვეულ აკრძალვებს ითვალისწინებდა. და გაგვეხსენებინა ახლა ქართული: „კრძალვა“ — „აკრძალვა“. ზედგამოჭრილი „ტაბუ“ არ იყო?!.

ქართულში „დამარხულ“ საიდუმლოთა „გამოშიგნვისას“ თვალწინ ეშლებოდა ქართული ზეპიროვნული გენიის მიერ წარმოსახული სამყარო, ანუ: „მსოფლხატი“.

მოყვანილ მაგალითებშიც ქართული სიტყვის ლოგოსური ქვედინებისა რომ ილანდებოდა ეს მსოფლხატი, გრიგოლ რობაქიძე სხვებსაც შეაგულიანებდა: მიახლოებოდნენ ამ „ლანდურს“.

ქართველი მევენახე ყურძნის მწიფობისას რომ იტყოდა: „თვალი ჩასულა მტევანშიო“, — „თვალი“ აქ გულისხმობდა მზეს: „მზერა“ — „მზე“.

ესეც პირდაპირ უმაგალითო მითიური ხატიო, — აცხადებდა გრიგოლი, რათა ქადილით დაერთო:

ასეთი ხატი — სილრმისა და პლასტიკური სხმულობის მიხედვით — არ გააჩნიათ: არც გიორგი მერჩულეს, არც შოთა რუსთველს, არც სულხან-საბა ორბელიანს, არც ბესიკ გაბაშვილს, არც ალექსანდრე ჭავჭავაძეს, არც ნიკოლოზ ბარათაშვილს, არც აკაკი წერეთელს, არც ილია ჭავჭავაძეს, არც ვაჟა-ფშაველას — და არც რომელიმე სხვასო.

თვალი ჩასულა მტევანშიო...

რამდენჯერ ჩამოეგდო ამაზე სიტყვა. და რარიგ აღფრთოვანდებოდნენ — ეს რომ სმენოდათ — პლატონი, პროტინი და გოეთე!

ახლა ჩავკვირვებოდით გამოთქმას „ჯვარი ვაზისა“: ქრისტე მითიურად გახლდათ მზე. მის მიმართ მევენახის ნათქვამი გულისხმობდა: ძე ღვთისა „ჩასულა“ ვაზის ნასხლევში: ჩასულა ვითარ ვნებულიო. და მოიხმობდა რაჰოფენის განმარტებას: მითოლოგიაში „ვნებული მზეც“ არსებობსო. ვნება ქრისტესი „ვაზის ჯვარში“ თითქოს ლერწად იქცეოდა, რომელსაც მოჰქონდა „შვება“ — ჯვარცმა ქრისტესი ხომ ხსნა გახლდათ!

და დასძენდა: „შვება“, „ბადება“, „განთავისუფლება“, „სიხარული“ — აი კიდევ ერთი საიდუმლო, ქართულში „დამარხულიო“!

ჯვარი ვაზისაო...

თქმით ეთქვა არაერთხელ და... განმეორება არც არასოდეს მოწყინდებოდა:

ასეთი უნივერსალური რეალსიმბოლო მთელს საქრისტიანოში არ მოიპოვებოდა. და ეს სიმბოლო მხოლოდ იმ მხარეში თუ წარმოიშობოდა, სადაც მევენახე ამბობდა: თვალი ჩასულა მტევანშიო...

მერე კიდევ:

მითიური მოვლენა მარადი მყოფადი რომ არის, ქართულ ზმნაში ეს „მყოფადი“ მოცემულიყო. და არ უკვირდა, თუ ზეპიროვნულ გენიას ქართველთა ღრმააზროვანი მითიური სახეები შეექმნა: „ირმის ნახტომი“, „ოქროს ვერძი“, „ამირანი“, „დალი“.

ოთხივე შესაფერისადაც რომ გაერჩია, თავისი განმარტების უცთომელობაში ეჭვიც არ ეპარებოდა, რაკიღა ამტკიცებდა: ჩემი განხილვა მითოსის შუაგულიდან გამოდისო. ბარემ ესეც სცოდნოდა გიორგი გამყრელიძესაც და სხვათაც, რომ: განეხილა „ამირანის“ ერთი ყველაზე ღრმააზროვანი ვარიანტი, რომელსაც მკვლევარნი არც კი შეხებოდნენ.

მერე კიდევ:

„ხელ-მწიფეზე“ რაც ეთქვა, ამჯერაც დასძენდა, რომ: დავით აღმაშენებელს ისე გაემართლებინა ქართველთა ზეპიროვ-

ნული გენიის მიერ გონებული „ხელმწიფება“, რომ ისტორიაში იგი „მღვდელ-მეფედ“ აისახებოდა. დასავლეთში ლეგენდარულ „იოანე პრესვიტერს“, მმართველს ვითომდა რომელიღაც მხარისა აღმოსავლეთში, დავით აღმაშენებლად ცნობდნენ. და ეს განსაცვიფრებელი ამბავი გასაგები გახდებოდა, თუკი ქართველთა „მსოფლხატის“ განფენას გაავლებდი თვალს.

მერე კიდევ:

საქართველოში გზნება მითიური რეალობისა ისეთი მძაფრი გახლდათ, რომ მის შვილთა ხსენში ერთი რეალური პიროვნება — უსაყვარლესი — მითიურად იქცეოდა: თამარ. 700 წლისთავზე მისი მიცვალებისა გრიგოლი სიტყვას რომ წარმოთქვამდა ტფილისში, ამჯერად მხოლოდ იმას დასძენდა:

მითოსი ნიშნავს არამარტო „ყოველთვის“ — არამედ ამასაც: „ყოველგან“. თამარის საფლავი ჩვენ არ ვიცით. იგი არსადაა და თან ყველგან. ყოველი კუთხე ჩვენი სამშობლოსი თავის გულში იგულვებს მზექალს თამარს „დამარხულადო“.

მერე კიდევ:

ქართულ „მსოფლხატში“ მოქცეულიყო მთიანეთის თემური განცდა ყოფისა. სიტყვას აღარც გააგრძელებდა. ვინ აღარ იცოდა, რომ: აქედან გამოჰყავდა გრიგოლს ვაჟას პოეტური მემკვიდრეობა.

ქართველოლოგიაში ბევრი რამ გაკეთებულიყო და კეთდებოდა?

ამას ვინ უარყოფდა, და გრიგოლ რობაქიძეც თავის მხრივ აღტაცებით ადასტურებდა: მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავიო.

თუმც მიაჩნდა, რომ:

საუკუნეთა განმავლობაში იგი და სწორედაც იგი გახლდათ ერთადერთი ავტორი, რომელიც აცნაურებდა ქართველთა „მსოფლხატს“. და ბოლომდე გაგება საქართველოსი გარეშე ამ „ხატისა“ გრიგოლისათვის წარმოუდგენელი გახლდათ და... ელოდებოდა იმ დროს, როდესაც ასევე წარმოუდგენელი შეიქნებოდა ყველასთვის.

შენიშვნად დაურთავდა:

მისი შემოქმედების სათავენი ამ „მსოფლხატის" ფარგლებში მოქცეულიყო. და ესეც უნდა გაეგოთ მის თვისტომთ, რომ: მისი ლირიკა არსებითად სხვა იყო, ვიდრე ლირიკა „ცისფერყანწელებისა".

მართებულად მიიჩნევდა ამის დართვასაც:

მას აღმოეჩინა ნამდვილი ბგერა ქართული სიტყვისა, რაც შესაძლებელს ხდიდა ქართული შაირწყობის გამოცნობას. და მიუთითებდა ნარკვევს „ქართული შაირი", გამოქვეყნებულს „ბედი ქართლისას" მეორე რვეულში.

თან ერიდებოდა ამხელა ექსკურსი, თითქოს გიორგი გამყრელიძეს წარმოდგენა არა ჰქონოდეს მასზე... მაგრამ რაკიღა ღრმად შესულიყო თავისი ბიოგრაფიის ხვეულებში, ბარემ ბოლომდე ამოებერტყა გული.

1923 წელს რომ დაიდგმოდა მისი „ლონდა", ერთი ლიტერატურული გაზეთი — გაუგონარი ამბავი საქართველოში — თითქმის მთელ ნომერს მიუძღვნიდა მას.

გამოვიდოდა „გველის პერანგი", ვითარცა საგანძური ნამდვილი. ამჯერად ერთ დეტალს იკმარებდა გრიგოლი — დიდად მეტყველს. კონსტანტინე ლორთქიფანიძე დაწერდა: ატენის კოლმეურნეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „გველის პერანგიო".

ავტორს ეს რომანი საზომად დაესახა არალიტერატურული მოვლენებისათვისაც კი! შესადარებლად სხვა ნაწარმოები რატომ არ გახსენებოდა?

„ლამარაზე" რაღა ეთქვა: ყველასთვის ცნობილია, ფანტასტიკური მარჯი რომ აღმოჩნდაო. და ჩაურთავდა: საქართველო ოდესმე იამაყებს მსოფლიოს წინაშე „ლამარათიო".

ტიციან ტაბიძეს ერთ წერილში გრიგოლის გამოუქვეყნებელი შაირი „ტფილისის ხერხემალი" მოეხსენიებინა ვითარცა „გენიალური". თუმც გრიგოლი ამ შეფასებას გადამეტებულად მიიჩნევდა: მასზე უმარჯვესი შაირებიც მომეპოვებაო. უცხოეთში დაწერილებს იგულისხმებდა.

მიმოხილვებში მისი შემოქმედებისა არაერთხელ წაეკითხა: „გენიალური". ერთი ავტორი „გენიოსადაც" გამოაცხადებდა.

სადაც „გენიალური" არა თქმულიყო, ისეთი რამ ითქმოდა, რაც კონკრეტულად გადმოშლიდა ამ ეპითეტს: ჯერ მარტო ეს სიტყვა რად ღირდა „მეგიზე" ერთი გამოჩენილი ფრანგი მწერლისა, მარსელ ბრიონს რომ იგულისხმებდა: ...რადგან, მისი შინაარსისაგან დამოუკიდებლად, მონათხრობი ცოცხალ არსებად, რაღაც ნამდვილ წიგნად იქცაო.

1933 წელს ივან ბუნინს არგუნებდნენ ნობელის პრემიას, საკუთრივ წიგნისათვის: „ცხოვრება არსენიევისა". ამ წიგნს თარგმნიდნენ გერმანულადაც. კვირეულში „დე ვოხე" — 1934 წლის ივნისის ნომერში — რეცენზენტი დაწერდა: რომ არ ვიცოდეთ, ავტორი ნობელის პრემიის ლაურეატია, ნაკლებად გავწბილდებოდით. ის, ვინც შეძლებდა გადმოცემას მარადი რუსეთისა, არის ავტორი რომანია „ჩაკლული სული": გრიგოლ რობაქიძეო.

და ადრესატი თავის მხრივ დასძენდა: რეცენზენტს ალბათ რუსი ვეგონე, — რაც მის მიუდგომლობას კიდევ უფრო აძლიერებსო. დაე დაგვეტოვებინა განზე — ეს განსჯა მართებული გახლდათ თუ არა. გრიგოლისათვის — და ყველა წამკითხველისათვის — თვითონ ფაქტი ასეთი განსჯისა თავისთავადაც ბევრს გვეუბნებოდა!

ომის წინა წლებში შვედური ჟურნალი „იდუნი" ანკეტას გამართავდა. გამოჩენილ ავტორებს **სამი** უმნიშვნელოვანესი წიგნი უნდა დაესახელებინათ იმჟამინდელ მსოფლიო ლიტერატურაში. და აი ნენანდერ ნილსონი სამეულში მოაქცევდა „ჩაკლულ სულსაც".

საფუძვლიან ნარკვევებში მისი შემოქმედება მიჩნეულიყო **მითიურად**.

ორი ცნობა კიდევ.

წინ ედო ნიკოს კაზანძაკისის რომანი „ჩემი ასიზის მესაჭე", ავტორისაგან ნაჩუქარი ცალი. და მოძღვნაში ნათქვამი იყო:

— მეოცნებე, რომლის თანამედროვენიც ჯერ არ დაბადებულან.

დასძენდა: ეს არ არის მართალი, მაგრამ მაინცო.

მიმდინარე წელს პარიზში გამოსულიყო ამავე ავტორის რომანი „ტოდა-რაბა". პერსონაჟად გამოყვანილი გახლდათ გრი-

გოლ რობაქიძეც: ორ გვერდზე გრძელდებოდა მასზე სიტყვა. საარაკო ამბავი იყო: „რომანში" — ნამდვილი პიროვნება და ისიც ჯერ კიდევ ცოცხალი. დაურთავდა, რომ: რომანი გამოცემულიყო ავტორის გარდაცვალების შემდგომ. ნიკოს კაზანძაკისი აღესრულებოდა 1957 წელს. გახლდათ კანდიდატი ნობელის პრემიისა.

სილუეტისათვის სავსებით კმაროდა ეს რეალიებიც: შთამბეჭდავიც, მრავლისმეტყველიც.

დანარჩენი დაე მკვლევარებს მოეჩხრიკათ და მოეძიათ — ეს დრო უსათუოდ რომ დადგებოდა, ამის იმედი ამხნევებდა და ასულდგმულებდა გრიგოლ რობაქიძეს. ეს მოძიებული და ერთ აკიდოზე ასხმული მასალები შეიქნებოდა გზამკვლევად მისი მხატვრული ნაღვაწის გასასიგრძეგანებლად, ეს ნაღვაწი კი საყრდენი უნდა შექმნილიყო საქართველოს მსოფლხატის წარმოსაჩენად სამყაროსთვისაც და ჩვენთვისაც, სრულყოფილად რომ გაგვეაზრებინა: ვინ ვიყავით, საიდან მოვდიოდით და სად მივდიოდით.

გაგვეაზრებინა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ფორმულებად ჩამოსხმული!..

* * *

სიცოცხლეში თუ ვერა, ზეციდან ხომ მაინც მიაწვდენდა ხმას კაცობრიობას, იქიდან ხომ მაინც მოჰფენდა ახალ სიტყვას...

* * *

და კიდევ ერთი ბარათის გაშლა მოუწევდა ისე, იმ ეტიუდის „საქართველოს მსოფლხატი" თავისებურ გაგრძელებად და თან დამოუკიდებელ ესეიდაც აქცევდა.

ვერც იფიქრებდა, ასეთი ბარათის შედგენაც თუ დასჭირდებოდა, მაგრამ გარემოება თვითვე უბიძგებდა საამისოდ და... ამისთანა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან როგორ უნდა გაეშვა?!.

გრიგოლის პიროვნულ ხასიათს რომ ვიცნობთ: სიმბოლურ მნიშვნელობასაც მიანიჭებდა ამ ბარათს და მის მიღმა მისტიკურ ხვეულებსაც დალანდავდა.

ბარემ ერჩივნა პარიზს ჩასულიყო და უშუალოდ მიეღო დალოცვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორისაგან, მაგრამ რაკიღა ვერ მოუხერხდებოდა, ისღა დარჩენოდა კალმისათვის მოეკიდა ხელი და 1962 წლის 12 აგვისტოს მისთვის მიეწერა ბარათი-აღსარება.

გახლდათ ქრისტიანი — და მთავარი გრიგოლისათვის ის იყო, რომ: არა მხოლოდ პასპორტით. ამიტომაც გასაგები უნდა ყოფილიყო, უაღრესად რომ აწუხებდა გაჭირვებული ყოფა თანადროული ქრისტიანული სამყაროსი.

კრიზისი მისი სად იფარებოდა?

მასშივე თვითონ: ქრისტიანული ცხოვრების თანადროულ მდინარებაში.

და ამიტომაც ვერავითარი ეკუმენური კრება ვერ უშველიდა, თუკი... თუკი არ გადახალისდებოდა შინაგანად.

და მოვალედ რაცხდა თავს, მოეხსენებინა თავისი მოსაზრებანი.

ოღონდ მათი მოსმენისას ქვეყნის სულიერ წინამძღოლს დაე კარგად სცოდნოდა, რომ: გრიგოლი არ გახლდათ არც „ქედმაღალი" და არც „თავმდაბალი" — არც ერთი და არც მეორე მიღებული გაგებით.

გარკვეულ პროგრამადაც შეემუშავებინა დიდხანს ნაფიქრი და განსჯილი, და მისთვის მეტი მნიშვნელობის მოსანიჭებლად მუხლობრივად დანომრავდა, როგორც გარდუვალ საფეხურებს ღრმა ფერისცვალების ხორცშესასხმელად ჯერ საქართველოში, და აქედან მთელს ქრისტიანულ სამყაროსაც მოედებოდა, რაკიღა ყველა ირწმუნებდა შინაგანი გადახალისების ამ დიდ სიკეთეს.

ჯერ ერთი:

ქრისტიანობა არ გახლდათ სწავლება ქრისტესი — ეს ყოველივე ქრისტემდეც იყო ცნობილი. იგი: სწავლა იყო ქრისტეზე. აქ გრიგოლი ეყრდნობოდა უდიდეს ქრისტიანს ნეტარ ავგუსტინეს. ყოველი მდგენი რელიგიისა იტყოდა: „ესაა" ჭეშმარიტებაო! მხოლო ერთი ქვეყანაზე იტყოდა: „მე" ვარ ჭეშმარიტებაო — და ეს ერთი გახლდათ სწორედ ქრისტე.

მიუთითებდა იოანეს სახარების ამ პასაჟს: 14, 6. და თავს ვერ შეიკავებდა გადახვევისაგან:

ასეთი წიგნი, როგორიცაა სახარება იოანესი, ჩვენს პლანეტაზე არ დაწერილა. იოანეს გარეშე მე გზას ქრისტესაკენ ალბათ ვერ ვიპოვიდი. სახარება მისი გვიხსნის იმასაც: თუ რატომ უყვარდა იგი მაცხოვარს გამორჩევით. რატომ და: სწავლა ნამდვილად გადაეცემა მხოლოდ ამ გზით: მოყვარულისაგან ყვარებულსო.

მეორეც:

ღმერთი პიროვნება გახლდათ, ოღონდ ზეინდივიდუალური. ვისაც არ გააჩნდა ორგანო ასეთი წარმოდგენისათვის, იგი ღმერთს წარმოისახავდა „ანთროპომორფულ" ვინმედ და: კონსეკვენტურად გადაიქცეოდა ღვთის უარმყოფელად!

მესამეც:

ქრისტე-პიროვნება ხომ ინდივიდუალურად მოვლენილიყო?! გონებისათვის ეს საიდუმლო თითქმის აუხსნელი რჩებოდა. ამის გამოისობით: რომ გწამდეს ღმერთი ათასჯერ უფრო გეადვილებოდა, ვიდრე გწამებოდა ქრისტე. ამბობდა „თითქმის" — ვინაიდან: თუკი ერთხელ განიცდიდი ქრისტეს შინაგანად, მაშინ სიძნელე იგი გონებითი მოიხსნებოდა. რასაკვირველია მადლიც უნდა ყოფილიყო აქ შემწე: ქრისტე-პიროვნების ინდივიდუალური მოვლინების ასაღიარებლად.

მეოთხეც:

ადამიანის შექმნაც „ანთროპომორფულად" წარმოედგინათ, რასაც გრიგოლი სრულიად მცდარ შეხედულებად მიიჩნევდა! ვინაიდან: ადამიანის გაჩენა გულისხმობს: მის ღვთიურ წარმოშობას. აქ აუცილებელი ხდებოდა „თეომორფული" ხილვა, რომლის მიხედვითაც ადამიანი „იმთავითვეა" მოქცეული წიაღში ღვთისა. ამ ხილვის გარეშე აუხსნელი რჩებოდა როგორც თავისუფლება ადამიანისა, ისე მისი პასუხისმგებლობა!

მეხუთეც:

ადამიანი რომ მოიხსენიებოდა „მონად ღვთისა", სიტყვა „მონა" უნდა ამოვარდნილიყო ეკლესიის სიტყვარიდან. ერთხელაც იქნებოდა ამოვარდებოდა კიდეც — მიხედვით არამარტო მეოთხე მუხლში თქმულისა, არამედ და უფრო შეგნებით თვითონ

ძველი და ახალი აღთქმისა. გაგვეხსენებინა, რომ: იესო უწოდებს თავს „ძეს ღვთისას“. იუდეველნი გმობდნენ ამას. იესო ეუბნებოდა მათ: განა თქვენს საღვთო წერილში არა წერია: მე ვამბობ: ღმერთები ხართო? იოანეს ამ პასაჟში — 10, 34 — იგულისხმებოდა თქმული 82-ე ფსალმუნში.

მეექვსეც:

პირველცოდვის, რომელიც გულისხმობდა შემოჭრას ბოროტისა ყოფაში, ასახსნელად მრავალი თეორია არსებობდა, მაგრამ არცერთი არ ესადაგებოდა ამ საიდუმლოს. ყოველი მათგანი, ხსნიდა რა ბოროტის შემოჭრას ყოფაში, ბოლოს მაინც ამ რეალობის წინაშე დგებოდა: კეთილისა და ბოროტის არსებობისა. ეს საიდუმლო აუხსნელი გახლდათ, ოღონდ იგი წარმოადგენდა პოსტულატს, ურომლისოდაც არც ონტოლოგია იყო შესაძლებელი და არც გნოსეოლოგია.

მეშვიდეც:

ღმერთი დამსჯელად რომ წარმოისახებოდა. არადა დამსჯელი ღმერთი არ შეიძლება ყოფილიყო ღმერთი. თვით იაჰვეც შურისმგებელი კი არ გახლდათ, არამედ — მშურველი.

მერვეც:

ნამდვილი წინამორბედი ქრისტესი იყო მოსე. საუკუნეთა განმავლობაში ოთხი საიდუმლოება — ქვაკუთხედი მისი ქმნილებისა — ვერ აეხსნათ.

როცა ამას ამბობდა ხოლმე, ყოველთვის იმართებოდა ეს კითხვა-პასუხი:

— თქვენ ახსენით?

— დიახ, ავხსენი.

— საიდან იცით?

— არა უნივერსიტეტებიდან და ბიბლიოთეკებიდან.

— მაშ?

— ალბათ მომადლებული მაქვს: ვგულისხმობ ცოდნას.

არადა იმ ოთხ საიდუმლოებას თუ ვერ ახსნიდი, ვერ ახსნიდი საიდუმლოებას ებრაელთა ყოფისა.

და შენიშვნად დაურთავდა, რომ ამ ყოფის ერთ საიდუმლოზე მიეთითებინა — თუმც გადაკრულად — მოციქულ პავლეს:

რომაელთა მიმართ: 11, 25. და გრიგოლს ჯერ არ სმენოდა, რომ: საქრისტიანოში ვინმეს აეხსნას ეს „გადაკრული".

და უშუალოდ მიმართავდა ეფრემ მეორეს:

კურთხეულო მღვდელმთავარო! რასაც აქ ვწერ, ვეუბნები მთელს საქრისტიანოს. შემთხვევა მეძლევა: თქვენც გითხრათ: უმაღლეს მწყემსს ქრისტიან ქართველთა. სავალალოა მხოლოდ, რომ მოკლედ მოხდება გასაუბრებაო.

დაე მიგვემართა ახლა საქართველოსათვის.

ამათუიმ ხალხის ნიჭი ხომ ამით განიზომებოდა: თუ როგორ წარმოესახა მის ზეპიროვნულ გენიას მსოფლიო — მოკლედ: „მსოფლხატი". ქართველოლოგიაში ბევრი რამ კეთდებოდა მნიშვნელოვანი. აქაც: გულისხმობდა ემიგრანტულ ჟურნალს, „ჩვენად" რომ მოიხსენიებდა — „ბედი ქართლისა".

და როგორ არ განეცხადებინა თვითდაჯერებით:

მე ვარ ჯერ კიდევ ერთადერთი ავტორი, რომელიც აცნაურებს „მსოფლხატს" ქართველთა. და ამ მსოფლხატს მსოფლხატნი ჩვენი დროის ხალხთა ვერ შეედრებიან სიღრმითო.

და რუსებს ურჩევდა, ეკლოთ ტრაბახისათვის, თორემ: თუ წავუყენებდით მათ მსოფლხატს ჩვენს მსოფლხატს, სასტიკად დამარცხდებოდნენ.

ამას ამბობდა როგორც მოყვარული ჭეშმარიტებისა. დაიმედებული, რომ „რუსოფობობას" ვერავინ დასწამებდა. „ფობია" უცხო რომ იყო მისთვის, თვალსაჩინოებისათვის შეეძლო მოეხმო 1919 წელს გამოცემული ერთი წიგნაკი, რომელსაც მიუძღვნიდა რუსეთის მხარეს, რუსულად დაწერილს. იგულისხმებდა ოთხი რუსი მწერლის პორტრეტს, და თავმომწონედ დასძენდა:

„მხარისადმი" ასეთი მიძღვნა პირველი მაგალითია მსოფლიო ლიტერატურაშიო!

1930 წელს გამოვიდოდა მისი „ჰაიასტან" — სომხეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. და ყურადღებას მიაქცევინებდა სულიერ მესაჭეს იმ საგულისხმო დეტალზე, რომ: სომხები მას თარგმნიდნენ როგორც ერევანში, ისე პარიზში!

ხოლო ქართველთა მსოფლხატში რად ღირდა ჯერ მარტო ქართული ენა! ენა, რომელიც ასე დაესახა X საუკუნეში ერთ ღრმადჩახედულ გონმეტყველ ქართველს:

— ...რამეთუ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.

„ერთ ქართველს“ ამბობდა, ვინაიდან — როგორც „ვაჟას ენაგადში“ აღნიშნავდა საგანგებოდ — პავლე ინგოროყვას შესანიშნავი ქმნილების შემდეგ „გიორგი მერჩულე“, იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელი, დღემდე ავტორად მიჩნეული საგალობლისა „ქებაი ქართულისა ენისაი“ ამიერიდან გადამწერად უნდა ჩათვლილიყო. ავტორი საგალობლისა კი, საუბედუროდ, უსახელოდ დარჩენილიყო. და ამოიგმენდა გრიგოლი:

ოო, რომ ვიცოდეთ მისი სახელი, მარტოდმარტო სახელიც — რაოდენ გავმდიდრდებოდით! ჰოი საიდუმლოებავ „სახელისაო“!

ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინაო...

და გრიგოლი თავის მხრივ დაურთავდა:

თუ ყოველი არა — მრავალი უთუოდო!

ხოლო გული ჩვენი მსოფლხატისა გახლდათ ჯვარი ვაზისა — უდიდესი „რეალსიმბოლო“, რომლის სადარიც მთელს საქრისტიანოს არ მოეპოვებოდა.

და ჩაურთავდა ერთბაშად წარმოსახვებში გახვეული, აღტაცებითაც და დანანებითაც ერთსა და იმავე დროს:

რა იქნებოდა, ნეტარ ავგუსტინეს რომ ცოდნოდა ჯვარი ვაზისას არსებობა! მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ექნებოდაო!

განმარტებით კი ასე განმარტავდა ამ უჩვეულო ხატს:

როცა ქართველს მამულის დასაცავად ხმალი ეჭირა, მისი მარჯვენის მაჯისცემას სწორედ გულისცემა ამაგრებდა: ჯვარი ვაზისაო.

გრიგოლისათვის რომ ეკითხათ:

— რომელ ნაწარმოებში უფრო გრძნობ ქართველობას?

მიუგებდა:

— გიორგი მერჩულეს ძეგლში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

ამ პასუხით — მისი რწმენით — ბევრი რამ ითქმოდა. სიტყვას აღარც გააგრძელებდა: სულიერი მეუფე ისედაც მიხვდებოდა, თუ რა თქმულიყო.

მაგრამ ეს როგორ არ დაერთო:

წაკითხული გექნებათ შესანიშნავი გამოკვლევა პავლე ინგოროყვასი „გიორგი მერჩულე". დიდი მარჯვია საქართველოსიო!

იმედოვნებდა, რომ ეფრემ მეორეს წაკითხული ექნებოდა შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორიაც", ოღონდ... ეს კი დიდი მარცხი გახლდათ — მარცხი დიდი ნიჭით დაჯილდოებული ავტორისა. დიდ ნიჭიერებას როგორ დაუკარგავდა შალვა ნუცუბიძეს, მაგრამ მიუდგომლობა აიძულებდა ასეთ მკაცრ შეფასებას, იმასაც რომ დასძენდა: მარცხი, დიდად მავნებელიო.

აპირებდა, რომ ჩვენი ჟურნალის ანუ „ბედი ქართლისას" მომავალ რვეულში გაერჩია ეს წიგნი — აუღელვებლად და გულდასმით. და კათოლიკოს-პატრიარქს არწმუნებდა: მისი „პანთეისტური მატერიალიზმისაგან" ნამცეციც აღარ დარჩებაო.

ეგაა: ისე ედავებოდა ამ შეხედულებას და საერთოდ ამ ორტომეულს, თითქოს შალვა ნუცუბიძეს დალხინებულ, ყველაფრით ხელშემწყობ პირობებში დაეწეროს და არა დაუნდობელი პოლიტიკური რეჟიმის ქვეყანაში, მარქსიზმი რომ გაებატონებინათ ერთადერთ იდეოლოგიურ დოქტრინად და სულაც ახალ რელიგიად, და სასტიკად იდევნებოდა ყოველივე არამატერიალისტური, დაკვირვება იქნებოდა თუ შეხედულება, — იდეალისტური კონცეფციები პირდაპირ დანაშაულად შერაცხულიყო და არავინ დაგანებებდა შენს ნებაზე აზროვნებას — მხატვრულს, ფილოსოფიურსა თუ რელიგიურს.

მწერლები მაინც ახერხებდნენ მხატვრულ საბურველში გახვევით რაღაც-რაღაცების თქმას, მაგრამ ფილოსოფოსს საამისო სახსარი არ მოეპოვებოდა და იძულებული ხდებოდა მარქსისტულ მოთხოვნებს დამორჩილებოდა ისტორიული სურათების აღდგენის დროსაც კი. „პანთეისტური მატერიალიზმიო" — ამით შალვა ნუცუბიძე ლამობდა იდეალისტური თვალთახედვისაკენ შეებრუნა როგორღაც მკითხველის მზერა — უფრო მეტს ვერც ის შეძლებდა და... ვერც გრიგოლ რობაქიძე, საბჭოეთის მკვიდრი რომ ყოფილიყო. მაშინ უკვე შემწყნარედ შეხედავდა ამ ორტომეულს და დაუფასებდა ქართული

ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარს ზოგადი პანორამის აღდგენას უძველესი ხანიდან ბოლო დრომდე, არაერთი საგულისხმო დაკვირვებაც და მოსაზრებაც რომ ჩნდებოდა მსჯელობისას და არაერთი სახელიც შემოდიოდა მკითხველის ცნობიერებაში — მიკარგული თუ მიჩქმალული.

ამასობაში ბარათიც ჩამთავრდებოდა და კვლავ უშუალოდ მიმართავდა კურთხეულ მღვდელმთავარს:

ღრმად მწამს, რომ: პირნათლად შეასრულებთ განგებისაგან რგუნებულ საქმეს. ისე, როგორც ამას ასრულებდნენ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი მღვდელმთავარნი, რომელნიც დიდი მამულიშვილებიც იყვნენო.

და პირად თხოვნასაც გაუბედავდა:

თქვენ ალბათ ბევრად უმცროსი ხართ ჩემზე — კალენდარით. ასე რომ: მე თქვენზე უფრო ადრე გარდავალ სამარადისოში. გაიგებთ ჩემს გარდაცვალებას — გადამიხდით პანაშვიდსო.

უსურვებდა: ყოფილიყო ნათელმოსილი და მზეგრძელი! და ემთხვეოდა იმ მარჯვენაზე, რომლისგანაც დალოცვას იღებდა წარმოსახვით.

გადაიკითხავდა ბარათს და... ზოგიერთი დამატების დართვასაც დაისაჭიროებდა.

მეოთხე მუხლში:

განკაცება ღვთისა შეუძლებელი იქნებოდა, კაცი „იმთავითვე" ღვთის წიაღში რომ არ იყოს „თეომორფულად" გაელვებულიო.

მეხუთე მუხლში:

იგივე „განკაცება" წარმოუდგენელი იყო, თუ კაცი „მონა" იქნებოდა.

და მეშვიდე მუხლში:

ვთქვათ: რაინდი ჩაიდენდა არარაინდულ რამეს, ხომ წარხდებოდა! და თვითონვე ისჯებოდა!

ჰოი რამხელა იმედებს დაამყარებდა ამ ბარათზე. კაცობრიობისათვის რომ აპირებდა ახალი სიტყვის თქმას საქართველოს მსოფლხატის სრულყოფილი წარმოჩენით, და გზა-ბილიკს ვერ აგნებდა, როგორ მიეწვდინა ეს სიტყვა მსოფლიოსათვის ისე,

რომ: იმთავითვე სადღაც არ ჩაკარგულიყო და ამაო ღაღადისად არ დარჩენოდა, აგერ საქართველოს სულიერ მესაჭეს შეეძლო ამ ახალი სიტყვისათვის გზის გაკვალვა, მითუმეტეს გრიგოლ რობაქიძე ქრისტიანული მოძღვრების შინაგან გადახალისებაფერისცვალებასაც ესწრაფოდა, რაკიღა იმჟამინდელ ქრისტიანულ სამყაროს ღრმა კრიზისში ჩაფლულად მიიჩნევდა, ამიტომაც რაღაც ახალი იყო აუცილებელი, მკვეთრი და მძლავრი, თორემ დემონურ ძალთა თარეშს რა აღკვეთდა და უღმერთო ეპოქას რა დაასრულებდა.

ადამიანურ სიტყვას უნდა ეპოვნა ღვთის სიტყვა და მათი გადაკვეთისას გადახალისებულიყო ძე ღვთისას ნაქადაგარის შინაგანი რეალობა, და გარსიც მისი შესაფერისად გარდასახულიყო.

ამ შთამაგონებელი ადამიანური სიტყვის გამომთქმელად გრიგოლ რობაქიძეს სხვა ვინ, თავისი თავი ეგულებოდა, ჯერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რომ დაიჯერებდა და გაითავისებდა მის სიტყვას, და ივერთა მხარეს რომ მოჰფენდა, იქიდან მთელი საქრისტიანოც ეზიარებოდა და საქრისტიანოსაგან კაცობრიობაც ირწმუნებდა და... კიდეც დაადგებოდა მინიშნებულ გზას. სწორედაც გრიგოლ რობაქიძის მიერ მინიშნებულსაც და გაწალდულსაც.

რამეთუ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არსო...

ჯერ კიდევ მაშინ აღანთებდა ეს სტრიქონიც და ეს ერთიბეწო თხზულებაც, როდესაც „კავკასიონის“ ფურცლებზე გაეცნობოდა: 1924 წლის პირველ-მეორე გაერთიანებულ ნომერში. ჯერ კიდევ მაშინ გასდებდა ხიდს X საუკუნის მოღვაწესთან, წინასწარმეტყველად რომ წარმოუდგებოდა — ქართული ენის უჩვეულო გაბრწყინება-გასხივოსნებისაც: მეორედ მოსვლისას უფალი ქართული ენით რომ ამხილებდა ყველა ხალხს; და მისი, დიახაც — გრიგოლ რობაქიძის მოვლინებისაც, რომელსაც ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა გაეცხადებინა ეს ჭეშმარიტება.

გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაც“ განსაკუთრებულ თხზულებად რომ მიაჩნდა, ქართული სულიერების ყველაზე თვალნათლივ დადასტურებად, ახლა „ქებაი და

დიდებაი ქართულისა ენისაიც“ უნდა შემატებოდა და მათ ჭრილში უნდა გადახსნილიყო მისთვის ის ზერეალური სივრცე, სადაც უფლის სიტყვის მოსმენაც შეიძლებოდა.

ამ კვალს მისდევდა.

ამ საფიქრალს უტრიალებდა.

და წვეთ-წვეთობით, ნაბიჯ-ნაბიჯ აგროვებდა იმ მარგალიტებს, ერთიერთმანეთზე ასხმულნი სამოქმედო პროგრამად რომ უნდა გამოკვეთილიყო.

შეიგრძნობდა, ჰოი რარიგ შეიგრძნობდა იმ ზერეალობიდან მონაბერ სუნთქვას, კანთიელად ფრაგმენტებსაც რომ ამჩნევდა, მაგრამ სურათის ერთიან გამოკვეთას კიდევ რაღაც ესაჭიროებოდა, შემაგულიანებელი და ისეთი გზნებით ამნთები, მანამდელ განცდებს რომ წააჭარბებდა და ის სამოქმედო პროგრამა უკვე ხელთაც ექნებოდა: ლიტერატურულ ფორმულებად ჩამოსხმული.

ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შთამაგონებელი ძალა კიდევ ცალკე, მთელი ცხოვრება რომ ვერ მოეშვებოდა ახალი ჟამის ამ მესიტყვეს და წამდაუწუმ დაისაჭიროებდა მასში ჩახედვას, წერდა მასზე, წერდა და წერდა და... ვერა და ვერ შეეჯერებინა გული, კიდევ უფრო ღრმად ჩაძირვას რომ ესწრაფოდა მის სიღრმეში, სულაც ჩაყურყუმელავებას... და ჯერ კიდევ როდის უკვირდებოდა ამ ფილოსოფიური რომანის მიმართებას ქრისტიანობასთან, რაღაც სხვას რომ ხედავდა მათ გადაკვეთაზე, იმ ნამდვილს, რაც იფარებოდა გარეგნული ქსოვილისა თუ სულაც ნიღბის ქვეშ. იმ გარეგნულის, „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ქრისტეს მოძღვრებასთან შეურიგებლად დაპირისპირებულ ქმნილებად რომ წარმოგვიდგენდა.

გრიგოლ რობაქიძესაც ასევე რომ ეფიქრა, მაშ ამის გარკვევაზე აღარც მოცდებოდა: ნიცშესა და ქრისტეს მოძღვრებათა შედარებაზე. გასარკვევი ანკი რა შეიძლება ყოფილიყო ზერელე აღქმით — დამსხვრევას ლამობდა ნიცშე ქრისტიანულ ფიცართა, მათ ისე შემუსვრას, ვეღარასოდეს რომ ვეღარ აღდგენილიყო ის ნაწერი.

არადა სინამდვილეში ამ რელიგიური მრწამსის განახლება-გადახალისებას ესწრაფოდა ახალი დროის კვალობაზე, მის ში-

ნაგან ფერისცვალებას, იმ ცვლილებათა გარდუვალობას, ურომლისოდაც ქრისტიანობა დაჰკარგავდა ზემოქმედების ძალას, დაკნინდებოდა და დასუსტდებოდა.

ნიცშესა და მხოლო ნიცშეზე დაყრდნობით თუ იქნებოდა შესაძლებელი იმ გზა-ბილიკის მოძებნა ახალ სივრცეში შესაღწევად და ქრისტეს მოძღვრების გამოსაბრწყინებლად ახალი ძალმოსილებით.

„ესე იტყოდა ზარატუსტრა“,

„ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“,

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“:

ესეც ის იდეური საყრდენები გრიგოლ რობაქიძის მიერ შექმნილი საქართველოს მსოფლხატისა, რომლის უმთავრეს დასკვნებსაც უზიარებდა კათოლიკოს-პატრიარქს, და ეიმედებოდა, რომ ბოლოსდაბოლოს მიეგნო იმ სწორი გზისათვის, თუ საიდან შეიძლებოდა მის მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამა მოჰფენოდა ჯერ ქრისტიანულ სამყაროს, მერე კი კაცობრიობასაც მოესმინა გრიგოლ რობაქიძის ახალი სიტყვა.

წვეთ-წვეთობით, ნაბიჯ-ნაბიჯ აგროვებდა მარგალიტებსო...

მაგრამ სურათის ერთიან გამოკვეთას კიდევ რაღაც ესაჭიროებოდაო...

და ეს რაღაც, ის გადამწყვეტი საფეხური თუ რგოლი უნდა აღმოჩენილიყო მისთვის პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“, რომელიც ფრაგმენტულ მონახაზებს ამოავსებდა და გაამთლიანებდა გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვაში და წლობით ნაფიქრს პროგრამად ჩამოანაკვთინებდა. რწმენას ხომ განუმტკიცებდა და განუმტკიცებდა, რომ მისი სიტყვა მიაღწევდა კაცობრიობამდე — უფლის სიტყვის გადაკვეთაზე რომ გადმოხსნიდა და ხელახლა მოჰფენდა უჩვეულო მადლს, აქამდე გრიგოლის სულში ჩაგუბებულს, ამიერიდან კი...

კითხულობდა და კითხულობდა „გიორგი მერჩულეს“ მოუწყინრად და ხედავდა:

საქართველო იზრდებოდა ვითარ ცოცხალი არსი.

ვრცელდებოდა თანდათან.

მკვიდრდებოდა ნელინელ.

დგინდებოდა, მტკიცდებოდა.

წიგნი ციხე-სიმაგრედ აღმართულიყო, ისეთ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავდა და ვერარა აიღებდა.

დაუფასებდა და ძალიანაც დაუფასებდა პავლე ინგოროყვას, გადამწყვეტ ნაბიჯს რომ გადაადგმევინებდა წლობით ნაოცნებარ სამყაროში, ასეთ აღმტაც ეპითეტებად რომ დაიღვრებოდა და ძლიერ მოინდომებდა, პავლე ინგოროყვას რომ უსათუოდ შეეტყო გრიგოლ რობაქიძისეული შეფასება. ამიტომაც მისწერდა ამ სტრიქონებს ლიდას, თავის დას, და სთხოვდა: უსათუოდ გაეცნო „გიორგი მერჩულეს" შემოქმედისათვის.

და აი გრიგოლი სანდრო ფანჩულიძეს რომ გაუგზავნიდა ბარათს 1961 წლის 18 აპრილს, მიახარებდა, რომ კითხულობდა პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს", ამ შესანიშნავ თხზულებას, ხოლო იმავე წლის 20 სექტემბერს მიწერილ ბარათში ეს ფრაზებიც ამოიკითხება:

— ჩემი და ლიდა მთხოვს შენს მისამართს, რასაკვირველია ვაცნობებ. გითვლის სალამს. პავლე ინგოროყვა უნახავს. გადაუცია, რაც მივწერე „გიორგი მერჩულე"-ზე. მწერს „მადლობას გითვლის შეფასებისათვის" — ძალიან გამახარა ამ ამბავმა.

ამ გადასახედიდან უკვე თავისებურ სიმბოლოდაც დაისახავდა, პავლე ინგოროყვას თავისი ლიტერატურული გაზეთისათვის „ლაშარი" რომ დაერქმია 20-იანი წლების დამდეგს, მერე რა, რომ ერთ დღეზე მეტს ვერ იცოცხლებდა გაზეთი, თვითონ სახელწოდება იყო მრავლისმეტყველი და ღრმა სულიერი სიახლოვის დასტური პავლე ინგოროყვასა და გრიგოლ რობაქიძეს შორის.

ახასიათებდა „გიორგი მერჩულეს" და... უნებურად ახასიათებდა თავის თხზულებასაც „საქართველოს მსოფლხატი", რომელიც მთელი თავისი ნაღვაწის გვირგვინად მიაჩნდა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან მიწერილ იმ სამოქმედო პროგრამას იქიდან რომ ამოიღებდა: თეზისურ მონახაზად.

იქიდანაც ხომ საქართველო ამოიზრდებოდა ვითარ ცოცხალი არსი, და კიდეც გავრცელდებოდა თანდათან, კიდეც დამკ-

ვიდრდებოდა ნელინელ, კიდეც დადგინდებოდა, კიდეც განმტკიცდებოდა და... იმ ციხე-სიმაგრედაც აღიმართებოდა, რომელსაც ვერარა შელახავდა და ვერარა აიღებდა.

მთავარია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ მეორეს გახსნოდა ხელი მისთვის გზის გასაკვალად. ხელი გახსნოდა, თორემ გაზიარებით რომ გაიზიარებდა გრიგოლის მიერ შემოთავაზებულ პროგრამას და მასში დაინახავდა უაღრესად სასიკეთო და მნიშვნელოვან ცვლილებათა მაუწყებელს საქართველოსთვისაც და მთელი კაცობრიობისთვისაც, ეს ხომ უდავო და უთუმცაო გახლდათ გრიგოლ რობაქიძისათვის.

* * *

ყოველი საიდუმლო დამარხულიყო ამას ენასა შინა...

გრიგოლის, უთუოდ და მხოლოდ და სწორედაც გრიგოლის ხელის შეხებას რომ ელოდებოდა...

კარი მეოთხე

მისტიკური ქორწინება

ჩემი ღერბია დიონისოს მედალიონი.
გრიგოლ რობაქიძე

სჭრი ლექსებს მაგარ, რკინის ღვედებით,
და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით;
საქართველო კი გეიმედება
ირრუბაქიძის გადანათებით.
პაოლო იაშვილი

თავი პირველი

გიტა – წყარო,
გიტა – მზის წილი

— გიტა: მზეო ჩემო, „წყაროვ“ ჩემო!

ამ მიმართვით დაიწყებოდა გრიგოლ რობაქიძის ბარათი, შედგენილი ჟენევაში, 1962 წლის 17 ნოემბერს.

და ისეთი მღელვარე სტრიქონები მიედევნებოდა:

ამ კვირაში შენთვის ცნობილმა შიშმა კვლავ ძლიერ შემიპყრო: შიშმა შენს გამო. ხელშესახებად ვგრძნობდი, არ იყავი კარგად არც ფიზიკურად, არც სულიერადო.

გიტას 13 ნოემბრის წერილს ეს განცდა და განწყობილება სავსებით დაედასტურებინა: ქალი დაღლილობას გრძნობდა, დაძაბულობას, ძალ-ღონის გამოცლას. და გრიგოლი შესთხოვდა:

მოერიდე გადაღლას! თორემ დეპრესია-ნერვოზს მოიმკი, რაც ძალიან საშიშიაო.

გიტა წუხდა, რომ იძულებული იყო გრიგოლთან ჩამოსვლა კიდევ ერთხელ გადაედო.

ასერიგად ნუ განიცდიდა, ნუ ფორიაქობდა, დაე დამშვიდებულიყო! და მაშინ ჩამოსულიყო — როდესაც შ ე ძ ლ ე ბ დ ა.

ჩამოსულიყო, რათა გრიგოლთან დარჩენილიყო სამუდამოდ.

მთავარიც და არსებითიც ეს გახლდათ.

მათი ბავშვი იქნებოდა მათივე სიყვარული — გამოხატული მარადიულ დაბადებაში. და ამ მარადიულობაში გიტა გაიფურჩქნებოდა, როგორც ღვთიური ყვავილი — და გრიგოლ რობაქიძეც შეასრულებდა თავის მისიას ამქვეყნად.

— ღმერთმა დაგლოცოს!

რას იწერებოდა ქალი?

— შენთან რომ ხელმოკლე ცხოვრება მექნება — არ მაშინებს. არჩევანი შეგნებულად გავაკეთე. გიამბე, ჟენევიდან უკან დაბრუნებისას ერთმა 38 წლის, ექვსი ენის მცოდნე, ბრწყინვალე მდგომარეობის, კარგი გარეგნობის ამერიკელმა დაქორწინება რომ შემომთავაზა? ივლისში კი ხელი მთხოვა 60 წლის ყოფილმა დიპლომატმა, არისტოკრატმა, კარგად მოვლილმა. განა ბედი უცნაური არაა? არჩევანის საშუალება მომცა!

იმ ამერიკელზე სმენოდა გრიგოლს — მის მიერ გიტას ხელის თხოვნა ალბათ მწერლის denen-ს მოსწყვეტოდა.

ასეთი ხელსაყრელი შეთავაზებანი და...

გიტას მაინც ი ს ერჩია, ვინც მისტიკურად განეცადა უძველეს დროში, როგორც შეყვარებული.

აღელვებული კითხულობდა ამ სტრიქონებს გრიგოლი.

ახლა კი მას, პოეტს, ნამდვილად არა ჰყოფნიდა სიტყვები თავისი გრძნობების გამოსახატავად.

უსიტყვოდ ეხვეოდა: და მაშინ, როდესაც გიტას ქალწულებრივ მკერდს „ეწაფებოდა“, დაუსრულებლად კოცნიდა მის გულს, იმავდროულად მისი მარჯვენა მხარი გრძნობდა, თუ როგორი სიყვარულით ეალერსებოდა მას ქალის ასე დაღლილი, ასე გრძელი მარჯვენა.

და დასძენდა გრიგოლი:

უნდა ითქვას, შენდამი ჩემს სიყვარულს არაფერი მოაკლდებოდა, იმ ორიდან ერთ-ერთზეც რომ გათხოვილიყავი, რადგანაც შენთვის უფრო მიყვარხარ, ვიდრე ჩემთვისო. თუმც არც ამას დაუფარავდა, რომ:

სიყვარული მსუბუქი ნაღველით გაიჟღინთებოდა.

ამ დღეებში გრიგოლის ერთ მეგობარს არნიმ ზიგრისტს დახვეწილ ლირიკოსს (ციურიხი — ცოლიკონი) მოეწერა მისთვის:

— ორმაგი სიხარული მომანიჭეთ, თქვენი ფოტო რომ გამომიგზავნეთ. ჯერ ერთი, თვით გამოგზავნამ გამახარა, მეორე, ისე კარგად და ჯანმრთელად გამოიყურებით, რომ ნამდვილად შეიძლება ირწმუნო გაახალგაზრდავება!

გრიგოლს ეჭვიც არ შეეპარებოდა ამ სიტყვების გულწრფელობაში, მხოლოდ თავაზიანობად და გამხნევების სურვილად სულაც არ ჩამოართმევდა მეგობარს, მართლაც კარგად და ჯანმრთელად გრძნობდა თავს, მართლაც ახალგაზრდულად, და გიტას წვლილს გადამწყვეტად მიიჩნევდა ამ არაჩვეულებრივ, ლამის დაუჯერებელ გარდასახვაში:

— შენ იცი, ვის უნდა ვუმადლოდე ამას.

ასე რომ, დღეს ბედავდა და უგზავნიდა ამ სურათს, რომელზეც თუ რას წერდა, გიტას კარგად მოეხსენებოდა. თავის არცერთ ფოტოსურათს ასე არ „მოეხიბლა“, როგორც ამას.

რითი აიხსნებოდა ეს?

რითი და:

გადაღებისას მხოლოდ გიტაზე რომ ფიქრობდა, გრაფინია ბრიგიტა ფონ შტრახვიტცზე, პროფესიით მხატვარზე, ძველი კულტურებით, მითოსური ეპოქით გატაცებულ ქალზე, და... გრიგოლზე 42 წლით უმცროსზე...

მაგრამ არ დაგიდევდა გიტა ამხელა ასაკობრივ განსხვავებას, რაკიღა გრიგოლ რობაქიძე მისტიკურად განეცადა უძველეს დროში, როგორც შეყვარებული.

რარიგ სწამდა გრიგოლს მისტიკისაც და თავისი მისტიკური ბუნებისაც.

და ამ შეგრძნებასა და მსოფლგანცდას მთელი სისრულით უნდა ეჩინა თავი მისი სიცოცხლის მიმწუხრზე ასე უეცრად —

თუ იდუმალი კანონზომიერებით — თავსდატეხილი სიყვარულის ალმურში. ისე ნიაღვარი უფრო მიესადაგებოდა მის განცდებს, ყოვლისწამლეკავი ნაკადი.

მზეო ჩემო, „წყაროვ“ ჩემოო...

შორს დარჩებოდა ის დრო, როდესაც ასე მიმართავდა:

ძვირფასო გიტა, გრაფინია შტრახვიტცო.

მერე, დაახლოვების კვალობაზე, უკვე:

ჩემო ძვირფასო შეგირდოო.

და მერე დაიწყებოდა, თუ დაიწყებოდა:

ჩემო შეუდარებელოო.

ჩემო ღვთიურო მეგობარო: ენგადოო.

ჩემო შეუდარებელო სიყვარულოო.

ჩემო მისტიური მეუღლევ: ჰატჰოროო.

ჰატჰორი აკი ცის ქალღმერთია ძველეგვიპტურ მითოლოგიაში. და კიდევ: სიყვარულის, მხიარულების, ცეკვა-სიმღერის უფალი.

საყვარელოო.

ჩემო წყაროსთვალოო.

ჩემო სიხარულოო.

ჩემო ღვთიურო დაო — მეგობაროო.

ჩემო ღვთიურო სატრფოვო.

სატრფოვ და დაოო.

ჩემი გულის დედოფალოო.

ჩემო მზიურო საცოლევო.

მერე უნდა მიეგნო ამ ფორმულისათვის: მზეო ჩემო, „წყაროვ“ ჩემოო, — და ემეორებინა და ემეორებინა დაუსრულებლად და მოუწყინრად, საერთოდაც რომ არ დაელეოდა ეპითეტები გიტას სახის ამოჩენისას.

რას ირწმუნებოდა გალაკტიონი?

მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელიო.

სულ სხვაო და: ესეც ის „სულ სხვა“ — გრიგოლ რობაქიძეს თავის თავზე რომ უნდა გადაეტანა და კიდეც მის ალმურში ჩაფერფლილიყო; ჩაკარგულიყო მის წამლეკავ ნაკადში.

ქალი ახლა ისე უნდა ჩამოსულიყო, რომ კიდეც დარჩენილიყო მასთან: სამუდამოდ.

ჭაბუკად რომ შეიგრძნობდა თავს, ეს „სამუდამოდ“ სულაც ხანგრძლივ დროდ ესახებოდა.

მაგრამ...

არა, ქალი თანახმა გახლდათ და გრიგოლის ეს ბარათი უნდა ქცეულიყო დასაწყისად მათი სამუდამო შეკავშირებისა.

ვაი, რომ „მაგრამ“...

— დიონისეო, — ამ სიტყვით რომ შეჰხაროდა და შეჰფოფინებდა ქალი, იმიტომაც: ყველაზე ძალიან ამ გაიგივებით რომ ასიამოვნებდა ამ უჩვეულო კაცს; და იმიტომაც: მართლა ხელახლა გაჭაბუკებულად რომ აღიქვამდა, მარადგანახლებადი ღვთაებისა არ იყოს.

ოღონდ ეგაა: გრიგოლი ყოფით ცხოვრებაშიც თუ იდიონისებდა...

ისე მათ მიმოწერას მართლაც ეპოპეა შეექმნა გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიაშიც და შემოქმედებაშიც. სატრფიალო ნაკადად რომ გამოკვეთილა მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, იმ მომხიბლავ გირლანდად, ურომლისოდაც რაღაც მოაკლდებოდა ამ ჟანრსაც მის მრავალფეროვან შემოქმედებაში და მთლიანად მხატვრულ ნაღვაწსაც, მითუმეტეს, რომ გიტა შტრახვიტცს გრიგოლი ნორინას ადარებდა, თავის პერსონაჟს რომანიდან „გრაალის მცველნი“, მაშინ წარმოსახვით დახატულს, ნორინასა და ლევან ორბელის სიყვარულს იდეალად რომ დასახავდა, რაღაც გამორჩეულად მსოფლიო ლიტერატურაში, და ახლა თითქოსდა ამ ამაღლებულ, იდეალურ პერსონაჟებს შეტოლებოდნენ ისიც და გიტაც, რეალობისა და წარმოსახვათა მიჯნაზე მობორიალე გრიგოლს რომ ვეღარც წარმოედგინა მსოფლიო მწერლობაში ბადალი სიყვარული, მისი და გიტას ტრფიალება რომ გახლდათ.

ქრონოლოგიურ დროში დიდხანს არ გაგრძელდებოდა მათი ეს უჩვეულო ურთიერთობა, სულიერ პლანში საუკუნეებსაც რომ მოიცავდა. არადა პირველი ბარათი გრიგოლისა 1961 წლის 27 აპრილით დათარიღდებოდა, ეკოლ-მედსინის სანაპიროს 8 ნომრიდან რომ მისწერდა, ჟენევიდან.

20 აპრილს დაწერილი მისი ძვირფასი სტრიქონებიდან შეეტყო, რომ გრიგოლის ლექსებს — „ოთხი მტევანი ჟანა დ' არკის

წილ“ და „მომაკვდავი არწივი“ — გიტას გულში ხელმეორე დაბადება ხვდომოდათ წილად — უმაღლესი ბედნიერება, რომელიც შეიძლებოდა რგებოდა ლექსს გიტას სამყაროში, შეეძლო წარმოედგინა, რარიგ გაახარებდა გრიგოლს ამ სტრიქონების წაკითხვა.

ახლა უგზავნიდა ყველა ფურცელს საოცარ ჟანაზე. მეოთხე ფურცელი უკანასკნელი იყო. ვინაიდან ეს ლექსები ერთ მთლიანობას ქმნიდნენ, ცხადია ესეც გადმოეწერა.

გულითად მადლობას უძღვნიდა ღია ბარათისათვის: წმინდა გიორგის სურათი რომ შეერჩია ქალს.

რას იწერებოდა გიტა?

— რამდენიმე დღის წინათ, როდესაც საღებავებს ვყიდულობდი, ღია ბარათი შევამჩნიე; მან უეცრად თქვენი თავი გამახსენა — ხომ არის წმინდა გიორგი თქვენი სამშობლოს მფარველი? — ამიტომაც გიგზავნით.

და აღტაცებას ვერ დაფარავდა გრიგოლი:

საოცარია დეტალების ცოდნა ჩემს შესახებო.

და მადლიერებასთან ერთად გულიც აუჩუყდებოდა.

ბარათი 22 აპრილს მიეღო, გიორგობის წინა დღეს. ბარათზე გიტას ხელით მოწერილიყო: „23 აპრილი, 1961“ — და ეს შეძრავდა სულის სიღრმემდე და საპასუხოდ აღუთქვამდა:

ამიერიდან თქვენც ჩემი სამშობლოს მფარველის კალთის ქვეშ გიგულებთო.

ხოლო 3 მაისს დაწერილი ძვირფასი სტრიქონები, რომელშიაც გიტას გულიდან მოფენილი შუქი იგრძნობოდა, გრიგოლს ძალდაუტანებლად წამოაგონებდა ერთი ფრანგი ავტორის მშვენიერ ნათქვამს რაინერ მარია რილკეზე, და საპასუხო ბარათში, 5 მაისს შედგენილში, მას რომ დაესესხებოდა, თავისასაც მიადევნებდა:

„ოცნებაში სინამდვილის შეცურების“ გზით ცხადყოფენ ჩემთვის „მეტაფიზიკურ საიდუმლოს“, რომელიც — როგორც თქვენი გაუბედავი აღსარება მამცნობს — ჩემთან გაკავშირებთო.

ქალს მორცხვად და გულახდილად ეამბნა აღდგომის ღამეს ნანახი სიზმარი, რომელსაც აქამდე მხოლოდ გუმანით ნაგრძნობი საიდუმლო მეხსიერებაში მკვეთრად გამოებრწყინებინა?

ისე შეძრავდა ეს ნაამბობი გრიგოლს, როგორ არ ეთქვა:

პოეტს გაუჭირდებოდა თქვენი ბუნდოვანი წარმოდგენა ისე შესანიშნავად გაეშალა, როგორც ამ სიზმარშია, რომელიც ფრთხილად, მოსინჯვით, აზრიანად გადადის გულისწამლეკავ ხილვაშიო.

— თქვენ იცით ამ სიზმრის ახსნა, — არ ეეჭვებოდა ქალს.

და პასუხად გრიგოლი თავშეკავებას ამჯობინებდა:

მაქვს კი ამის უფლებაო?

და აგონდებოდა დიდი ვაიმარელის სიტყვები, სადღაც ნათქვამი:

— ყოველი საიდუმლო ისე უნდა გამჟღავნდეს, რომ მისი საბურველი არ დაზიანდეს.

და თავის მხრივ დასძენდა:

ალბათ ხელვყოფდი თქვენი სიზმრის წმინდა საბურველს, მისი სიტყვიერი ახსნა და გადმოცემა რომ მეცადაო.

განა სჭირდებოდა ეს გრიგოლს?

სჭირდებოდა ეს ამ ორს განა!

ღრმად განიცდიდა გიტას ხილვას, დიახ, ეს „თანაგანცდა" გახლდათ, განცდა ქალთან ერთად. დაე მას, ამ უჩვეულო სიზმარს, უბიწოს თავისი აუხსნელობით, ეთერივით ელივლივა მათ შორის. ხოლო მადლობის ნიშნად გულის აღმვსები ამბისათვის უგზავნიდა თავის „ჰიმნს ორფეოსისადმი", რომელშიაც გრიგოლის გულისცემა სავსედ და მთლიანად გაისმოდა.

ეს ის ლექსი გახლდათ, ნაგალობევი 1949 წლის თებერვალში, არვის ნაპირას, ჟენევაში, და მიძღვნილი მის გერმანელი მეგობრებისადმი: ჰანს ჰასო ველტჰაიმის, ლეოპოლდ ციგლერისა და ბრუნო გოეტცისადმი: პნეუმანიტიკოსის, ორფიკოსისა და ჰიმნიკოსის. ხოლო უცხო ბგერები ის საკრალური თაურბგერები გახლდათ, რითაც ისინი დაშთენილიყვნენ ქართულ სიმღერებს შემორჩენილნი.

მისი შექმნის ისტორია კი ნიკოს კაზანძაკისთან გაგზავნილ ბარათში უნდა ჩაწურულიყო 1952 წლის დეკემბერში:

— ომის დროს სამყარო სარდაფად იყო ქცეული, ომის შემდეგ კი ის ბანაკი გახდა. შეკითხვაზე, თუ რა აწუხებდა დღევან-

დელ კაცობრიობას, მე ვუპასუხებდი: შინაგანი ჩაკეტილობა. მინდოდა ორფეოსისათვის მიმემართა, ორფეოსისათვის, ვისთანაც გაცხადდა შენ შენში, რათა ჩემი ღრმა გრძნობა გამომეხატა. ასე წარმოიშვა 1949 წელს ჩემი ჰიმნები ორფეოსისადმი...

მაინც რას გულისხმობდა ეს „შენ შენში", რომლის გაცხადებაც ყველაზე უკეთ გამოხატავდა გრიგოლ რობაქიძის ღრმა გრძნობას?

ეს უნდა გადმოეშალა სწორედ საგალობელთა ამ ნაკადს, რომელიც ლამის ვეღარც შეგუბებულიყო და ედინა და ედინა...

იარრაალ არრალუუ ორეეაა რооიაა:

ამ საკრალური თაურბგერებით უნდა ეგალობა ორფეოსს, და ტყეს მთვრალეულს განეწოდებინა თვისი შრიალით და გარდაეფინა კიდით კიდემდე სიომობერვით: და ზესთა-ატანილ-მორიალე ქორალი კიდეც მიიჭავლებოდა და მირაკრაკებდა შორეთთა შინა.

აზლაზნილი აეტანებოდა ნოტიო მღვიმეს და მზისაკენ აღემართებოდა გველი რქიანი და ძოწისფერი, და გახელებით ხვრეპდა ათინათი. რადგანაც ისე, თითქო სასაში ყლუპით ყლუპამდე ქვადქმნილიყო ეს სასმელი, ანთხევდა მზის ხვითოდ და გადატყორცნიდა მასვე იმ გალობის წიაღ, რომ ყუჩდებოდა და ოქროვანი აგერ-აგერ გადაბრწყინდებოდა.

კაცი ბრმობილი — მოშიშის ხელით სიცარიელეს რომ ეფათურებდა და ყოველი ნაბიჯისას გულისყურთ იკრებდა, ჰომეროსი ბაგემდუმარი: გერშით-სმენა მარტოოდენი, და ეგრე წყნარად ეყუდა ტინის კედელს; სითბოს შინაგანს ბეჭი გრძნობდა. თვისით-ესრეთ-მიმოძვრას თუ მოწადინეობდა ბაგეუბარი? კვეთება რამ ტრფობა-აღსავსე: აწ წყდებოდა ლოდი შვერილისაგან, ხეობაში გრაგანით ჩაექანებოდა და აგრე ფრენას იმავ გალობისთანავე ასე დაიგემოვნებდა.

ოდილარ იდალლაა დალი დალ დილლარაა:

ამ საკრალურ თაურბგერებს უნდა წარმოესახა უცხო ასული, ხისტი და მშვენიერი ათინათთა შორის მშვიდად რომ ასხივოსნდებოდა რბილი მზერით. ჩხიბავდა ორფეოსი. ვინ იყო ასული, აგრე ახლომოსული? და თვითონ ვინღა — აგრედ მშორები?

თვალი-თვალ მიბჯენილნი ნუთუ მზერა იყვნენ იმ მავანისა, თავს რომ იოცვნიდა? აჩქეფდებოდა ორფეოსი. ქალის ლანდი მის ლანდს ევლებოდა — ო სიახლოვე მშორებელი. ოცნება იგი, გულისცემას თანმიწევნილი! გალობდა ორფეოსი. საგალობელი ამიერიდან — სისხლი ძლიერი, თბილა-თბილად აღავსებდა ლანდებს. შ ე ნ-ისა წ ი ა ღ შ ე ნ-ს ისევ შ ე ნ ესხივოსნებოდა — ორფეოსი დაბადებას დღესასწაულობდა.

ო ო რ ე ე ა ა რ ო ო ი ა ა:

ამ საკრალურ თაურბგერებს უნდა მოეჩხრიკათ სიღრმე ზღვისა, სად წყალმცენარენი, ყოვლად რბილნი, თავისთავიდან ამოტანილ კირს ჯავშნად რომ შემოიწყობდნენ, წელიწადთა შემდგომ თავიანთი აღსასრულის პირისპირ მოციმციმენი, აღმოიფშვენდნენ ხოლმე, მაშინ ჩაეტანებოდა მათ ქერქებს ჰანგი, ვითარცა ნათელი, და სიკვდილად გადადებულნი, მარჯანნი საყვარელნი, გაიღვიძებდნენ. და ჩვენც, ორფეოს, წყალმცენარეებივით არა ვმყოფობდით განა?

ო ო რ ო ო ი ა ა რ ე ე ა ა:

ამ საკრალური თაურბგერებით კვდებოდა ვიღაც, უკანასკნელი ამოსუნთქვის მიმნდობი შენდა, და ნათელ ჰანგს, შენი საგალობლის წიაღში მბოგინებელს, ჰკოდავდა სალმობა იმ ვიღაცისა?

ისე, ვით მყნობილს ესათნოებოდა ხე თვისი ნაჭრევით, შენს ჭრილობასაც თანაეზრდებოდა მარჯი მარტოდენ, ტკივილი კიდევ, მარჯით განკურნებული, ხომ თვითვე იქმნებოდა მარჯად.

მარჯის ხსენება ჰოი რარიგ აღანთებდა გრიგოლ რობაქიძეს:

მარჯი შენდა, ორფეოს, მარჯი! მარჯი შენსა საგალობელსა! იგალობებდე, იგალობებდე, იგალობებდეო!..

გალობდა ყოველი და აღფრენდა აგრე შენსავ-თანაერთ, თვით ვასაკაც დაფხავებულ ფუღუროს აუცოცდებოდა ზემო-ზემო და თანდათან ამ გალობას მიედევნებოდა მკვახე ყაყანით, და ეზო-კაპს სახედარიც, საწყალობელი, ექსტაზში დაინთქმოდა და ბეგარად ყელს თვისას, მოუხეშავსა და გაჯირჯვულს, განაღებდა ანუ აჰყვებოდა ყოყინ-ყოყინით ამ ქორალს და მომთავრება აღარც ენებებოდა.

არაალლუ იიარრაალ:

ამ საკრალური თაურბგერებით აღფრენდა ყოველი და იგალობდა შენსავ-თანაერთ. დედამიწა, თასი, ჰანგთაგან გალიცლიცებული, ნეტარ აღიბრწყენდა იმ აღმაფრენით, ბრუნვა-ბრუნვით რომ აგრძელებს ცისკენ არწივი. სულ მაღლა-მაღლა ეტანება არწივულ ფრენას — ვიწრო და ვიწრო გვირისტი სულაც. იქნებოდა იგი, მზის ფრთოსანი, ზვარაკად მისად: მზისად მირთმევას ჰანგისას თუ მოისურვებდეს?

იდილლარ იდალლაა.

სვლად შეიღერებოდნენ მენადები, რაც ხანია, ზარხოშისაგან, ვით ღველფად-მჩქეფი თესლისაგან არეულ-დარეულად ასწრაფებულნი, და მსგავსადვე მათდა, რომელნიც მოშთობად-მიწევნილნი ძარღვს იკბენენ ხოლმე უკიდურესად, მოიხელთონ რათა ჰაერი, ესენიც ველურად მიილალვიან და მიჰყივიან მთრობელს თვისსა.

ევოე-ევოე — გამზადებულნი მთრობელის მკერდზე სრულ-დანდობილად იფლითონ ხორცნი მოსაკვდინებლად. ევოე! ევოე!

დალი დალ დილლარაა:

ამ საკრალური თაურბგერებით ანაზდად ისე, თითქოს დანას პირწამახულს მოხმიანე მკერდი ტყისა სრულიად-გამჭოლ გადაესეროს — წყდებოდა გალობა ბაგე-ოხვრილით. იმ მტრობელ-მოღუღუნეებს, სიშლეგე-პყრობილთ, თავიანთი ბრმა გახელებით ელვისებრი ტკბილ-კბენით, ნუთუ სასიკვდილო დაეკოდათ მგალობელი?

ახაიმე! ახაიმე!

კვდებოდა ორფეოსი! ტყე გაშანშხლული მსწრაფლ სრულადვე დაიყუჟებოდა. დაშტერდებოდნენ სრულად-ცარიელ სიბრმავის წიაღ მზერანი. ფორხილ-ფორხილ იფრენდა არწივი დაკოდილი — ტანჯვანაწვნევი მაინც იქნებოდა მხნეობასავსედ: გულნიც თვისითვე მას მიენდობოდნენ. არწივმა, რომელსაც მზის შუაგულში ჩაეხედა, უწყოდა: აროდეს განქარდებოდა, რაც გულში ოდესმე ვით გული აღმომხდარიყო!

და შენ, ორფეოს, აეგ გული არა ხარ განაო? — შეღაღადებდა ცისა და მიწის მომაჯადოებელს ღვთიური სიმღერით:

შენავ-ლაფანი ლტოლვისა, აროდეს დასრულებული — აღსრულებას სისრულითვე განწვალება რომ მოჰყვებოდა? განქარვა მისი განა არ გახლდათ კვლა-ნარმოდგენა მისივე მიმსწრაფი სუნთქვის, წმინდა სუნთქვის, რასაც ჩვენგანვე შორეთს აღლტოლვით მეტისმეტი სისავსისაგან ეონიდან ეონისაკენ ჟამით ჟამამდე ასერიგად დავნატრულდებოდით ხოლმე?

ვითა ზუმილს ჰაერწაგვრილს, ჩვენც, განქრევადებს, ეგრე გვწყუროდი. და ეს ხანია იმწყვდევდა არწივი მშვინვას ორფეოსულს და ფრთაშესხმით ჩვენზე ზემოდან გადმოატარებდა — და გვამცნობდა ასე მხილველი მზისა: მოვალს იგი, ოდესმე კვლავ მოვალსო!

და გრძელდებოდა ღაღადება, და იკვროდა კომპოზიციური ქარგა საგალობლისა საკრალური თაურბგერებით, ოღონდ მათ ჩამოფრქვევამდე ორფეოსს მიმართავდა:

ო, შ ე ნ-ის წიაღ ისევ შ ე ნ-ის განმცხადებელოო!

მ ზ ე რ ი ს შ ი გ ა ნ-მ ყ ო ფ მ ზ ე რ ი ს ა დ მ ი შ ე ნ ღ მ რ თ ი ს ე ლ ვ ა რ ო ო!

ო, გამოგვეცხადე, ორფეოს, ოდესმე კვლავ გამოგვეცხადეო!

და მანამდე კი მოჰქონდა მისი სუნთქვაც და კვლავმოვლინების იმედიც საკრალურ თაურბგერებს:

ე ვ ო ე! ე ვ ო ე! ე ვ ო ე!

ი ი ა რ რ ა ა ა ლ ა რ რ ა ლ უ უ ო დ ი ლ ლ ა რ ი დ ა ლ ლ ა ა!

ესეც ის შ ე ნ შ ე ნ-ში, ორფეოსში გამოცხადებული და გრიგოლ რობაქიძის ღრმა გრძნობის გამომხატველი, თვით ორფეოსისას შეტოლებული იქვე გამჭვირვალედ რომ იელვებდა დიონისეს სახებაც, თორემ სხვაგვარად გრიგოლის გულისცემა სავსედ და მთლიანად ვერ გაისმოდა ვერასდიდებით. ანკი რანაირად?!.

„ევოეო“ — ეს შეძახილი ასდევდა დიონისურ დღესასწაულებს, განუყოფელ ბეჭდად ამ რიტუალისა, გრიგოლს ორფეოსისადმი მიძღვნილ საგალობელში რომ გადმოჰქონდა და მითიური მომღერლის კვლავდაბრუნების იმედსა და სასოებას დიონისეს კვლავდაბრუნების, მარადიული დაბრუნების რწმენით განამტკიცებდა.

თან... აკი დიონისე თვითვე გახლდათ, თავს რომ უიგივებდა, როგორც არქეტიპულ სიმბოლოსა და სულიერ წინაპარს, და ორფეოსობასაც დაიჩემებდა, მალულად ამ საგალობელს რაბინდრანათ თაგორის ჰიმნებს — სულაც მსხვერპლშეწირვებს — რომ შეადარებდა და... სულაც არ იგრძნობდა გაწბილებას ამ შედარებით.

მაშინ ხომ აღარც მოჰყვებოდა მტკიცებას — თანაც ვის წინაშე: მისი ოცნების ქალისა — ორფეოსისადმი აღვლენილ ჰიმნში ჩემი გულისცემა სავსედ და მთლიანად გაისმისო.

ხოლო 8 ივნისის მშვენიერი სტრიქონები გიტას ბარათიდან გულის სიღრმემდე რომ შეძრავდა და ერთი კვირის თავზე დაწერილ პასუხში ის რიტორიკული შეკითხვაც გაისმოდა: ვგრძნობდი განა ქვეცნობიერად, რომ ჩემს შეკითხვაზე, წაკითხული გაქვთ თუ არა ჩემი რომანი „მცველნი გრალისა“ ამ პასუხს მივიღებდიო?

— ეს წიგნი ჩემი შინაგანი შეხვედრა იყო თქვენთან, რომელიც შემდგომ ღრმა განცდად გადაიქცა. ბავშვობასა და სიყმაწვილეში ნანახი ყველა სურათი უეცარი რეალობით აღივსო. განა ეს ღრმა შინაგანი ნათესაობა შეცნობა არ იყო?

რიტორიკულ შეკითხვას პასუხად... რიტორიკულივე შეკითხვა, გრიგოლი აღტაცებით რომ დაურთავდა: ნამდვილად! ასე ჩანს. ეს მახარებსო.

მის რომანში იბრძოდნენ გრაალის თასისათვის. შეიტყობდა, რომ გიტას სიმბოლო თასი ყოფილიყო — „მისტიკურჯვრიანი“ ფიალის სახით ქალის მარჯვენა ხელში ჩახატული.

და როგორ არ გაკვირვებოდა გაკვირვებით: მისი რომანი ხომ მზიურს წარმოაჩენდა, იქ ცხენის ჯირითშიც კი მზე ვლინდებოდა.

და შეეტყო, რომ: გიტა ასტროლოგიურად „მისტიკურ კავშირში“ მზესთან ყოფილიყო დაქორწინებული. და როგორ არ მიელოცა: მისთვისაც და... თავისი თავისთვისაც!..

ეს ასტროლოგიური „მისტიკური კავშირი“ ანუ დაქორწინება მზესთან სხვას რას ნიშნავდა, თუ არა მოსალოდნელ შეუღლებას გრიგოლ რობაქიძესთან?

რას იწერებოდა კიდევ ქალი?

— გაგიკვირდებათ განა, თუ გეტყვით, რომ თქვენს ლექსს — „ორფეოსი“ — ველოდი?

ალბათო — მიუგებდა გრიგოლი — მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ აქ გამოთქმული საოცრად, დიახ მთლად წინასწარმეტყველურად ახდაო.

გულითადად ართმევდა ხელს.

თუ გიტას მარჯვენაზე აღნიშნულიყო ფიალა „მისტიკურჯვრიანი“, გრიგოლის მარჯვენა ხელისგულზე გულის ხაზი მზის ფორმით გამოხატულიყო, ეს კი ნიშნავდა: გულისა და გონების ხაზები ერთად რომ გახლდათ.

როდესაც ხელს ართმევდა, თავისი „მზის ხაზით“ ეხებოდა ქალის „ფიალას“. და ამით მათი შინაგანი ერთობა სამუდამოდ დასტურდებოდა.

დიდ მადლობას მოახსენებდა ფრიდრიხ ნიცშეს ლექსისათვის „დიდება და მარადისობა“: ამ ლექსს არ იცნობდა.

ქალი რომ ეკითხებოდა: მუშაობ თუ არა კიდევ „ნიცშეს პორტრეტზეო“? — მიუგებდა, რომ ეტყობა მთლად ზუსტად ვერ გამოეთქვა მაშინ, როდესაც ქალი მასთან იმყოფებოდა სტუმრად. ეს პორტრეტი ჯერ კიდევ 1948 წლიდან დასრულებული და... ჩაკეტილი იდო. და თავმომწონედ მიანიშნებდა:

უთუოდ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ეს არაა „კიდევ ერთი წიგნი“ ნიცშეზეო.

რატომ არ დაბეჭდილიყო დღემდე?

ერთ აქაურ გამომცემელს ვერ გაებედა მისი გამოცემა „ჰიტლერზე“ დაწერილი წიგნაკის გამო, თუმც მიაჩნდა და გრიგოლთან არც დაფარავდა, რომ: ეს იყო სიახლე ლიტერატურაში ნიცშეს შესახებ.

ცოტათი მაინც რომ ყოფილიყო ჩემი ნაშრომი „ნაცისტურიო“! — ირონიით დასძენდა გრიგოლი.

მერე ის შეეთავაზებინა თავისი მთავარი გამომცემლისათვის გერმანიაში. ცხრა თვის განმავლობაში იდებოდა ხელნაწერი იმასთან და... ბოლოსდაბოლოს ამ პასუხს ეღირსებოდა: ფილოსოფიურ წიგნებს დღეს გასავალი არა აქვთ, და ამას ემატება ისიც, რომ ხელნაწერის მოცულობა წიგნისათვის საკმარისი არააო.

არადა ორივე ეს არგუმენტი, თუკი ამას არგუმენტი შეიძლება დარქმეოდა, მაშინვე შეეძლო ეთქვა, როგორც კი ხელნაწერს ნახავდა!

განა გრიგოლი ვერა ხვდებოდა, რომ ცხრათვიანი გაჭიანურებისა და საბოლოოდ უარის მიზეზი ნამდვილად „სხვა“ იყო?!.

ერთ გამომცემელს კი მისი შეკითხვის პასუხად მოეწერა: „ნიცშეს“ თემა დღეს აქტუალური არააო. და გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: ესეც იმ „მიზეზის“ დაფარვისათვის იყო ნათქვამი.

და ხომ ხედავდა გიტა: გრიგოლის წიგნი — რომელშიაც სრულიად ახალი ნიცშე წარმოსახულიყო — გამოუქვეყნებელი რჩებოდა. და ავტორი იმ იმედს თუ მოებღაუჭებოდა: ალბათ ბედი სხვა დროს გაუმართლებსო.

თუკი ქალი მოისურვებდა, გრიგოლს შეეძლო ხელნაწერი წასაკითხად გაეგზავნა მისთვის.

3 სექტემბერს გიტა რომ მოსწერდა: შეგირდს რომ მიწოდებთ, რითი დავიმსახურე ეს სახელი? რა თქმა უნდა მაქვს სურვილი გავხდე თქვენი შეგირდი, რადგანაც ვიცი, როგორია თქვენი „ცოდნაო“, — 14 სექტემბრის ბარათით გრიგოლი აგრძნობინებდა, რომ ქალი უფრო უნდა ჩაკვირვებოდა ამ წოდებას:

აქ საქმე მხოლოდ „ცოდნაში“ არაა — მაშინ გიწოდებდით „მოსწავლეს“. „შეგირდი“ — „მოსწავლე“: ნიუანსის ახსნა საჭიროდ არ მიმაჩნიაო.

აქამდე მაინც საჭირო იყო განმარტება?

ამიერიდან აღარ, რაკიღა ამ ნიუანსზე მიანიშნებდა და ჩააფიქრებდა.

ფიქრობდა გიტაზე. და ამავდროულად კითხულობდა მის წერილს.

ძალზე ინტროვერტირებულად ეჩვენებოდა და ურჩევდა, რაც შეიძლება გახსნილად მოპყრობოდა თავის სამყაროს, რადგანაც:

რაც უფრო გახსნილად მოეპყრობოდა, მითუფრო თავისუფლად და ნაყოფიერად გაიხსნებოდა ქალის მდიდარი ბუნების შესაძლებლობანიც.

გრიგოლთან შეეძლო სავსებით გულახდილი ყოფილიყო: დიახაც უნდა ყოფილიყო — მათი ურთიერთობის განსაკუთრებულობის გამო.

ხედავდა, რომ გიტა მაღალი აზრისა გახლდათ ასტროლოგიაზე. და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ფრაზა თავისი „გრაალის მცველთაგან“:

— ბოლოსდაბოლოს ყველაფერს წყვეტს ადამიანის პირადი მე, რომელიც ბედის სასწორზეა შეგდებული.

„თავის ხატებაში“ შექმნილ ადამიანს ეს ხატება უნდა გაემართლებინა. და ამას იმით ამართლებდა, რომ თავისი შინაგანი სამყაროდან — წინარეალური არარაობიდან — მოქმედებაში გადაჰყავდა, ანუ ნამდვილ მოქმედებაში. აქ გახლდათ თავისუფლების ადგილი, რომელიც არა ნიშნავდა მხოლოდ თავისუფალ არჩევანს. გულისხმობდა ყოველთვის ახალ დასაწყისს წინარე დასაწყისის ზღვართან. ეს იყო სწორედ ღვთაებრივი ადამიანში.

რაიმე ბუნდოვანი შეინიშნებოდა? ყოველ შემთხვევაში მაინც განმარტავდა: „თავის ხატებაში“ და არა „ხატად თვისადო“. ადგილების გადანაცვლება მარტინ ბუბერისა და ფრანც როზენკრანცის მიხედვით, ჩანდა, უფრო სწორიც გახლდათ და უფრო ღრმაც. რაც შეეხება „წინარეალურ არარაობას“, ეს იღბლიანი გამოთქმა ეკუთვნოდა ოსკარ გოლდბერგს და სხვა მიმართულებით გამოიყენებოდა წიგნში „ებრაელთა სინამდვილე“.

ახსენებდა „ლაშარსაც“ და სტალინსაც — მის მოწინააღმდეგეს — და ორივეს საქართველოდან! როგორ შეიძლებოდა ეს? ალბათ აქ ყოფიერების პოლარულობა მოქმედებდა. და ამ ფრაზას რომ დაწერდა, ერთხელ კიდევ გაიმეორებდა: ალბათო.

გიორგი გურჯიევის პიროვნებითა და ნააზრევით დაინტერესებულიყო გიტა?

მას გრიგოლი დაახლოებით 40 წლის წინათ ხვდებოდა თბილისის ერთ-ერთ კაფეში, სადაც პოეტები და ხელოვანნი თითქმის ყოველდღე დადიოდნენ. ჯერ კიდევ მაშინ მიიჩნეოდა ჯადოქრად. გინდ გაკვირვებოდა და გინდ არა გიტას, მაგრამ გრიგოლს არავითარი სურვილი არ გასჩენოდა, გაცნობოდა მას.

მის წიგნსაც არ იცნობდა: „ბელზებელის დღიური", მაგრამ კარგად იცოდა გიორგი გურჯიევის მოსწავლის უსპენსკის განმარტებებით სავსე წიგნი მის მეთოდზე სწავლების შესახებ: „უცნობი მოძღვრების ფრაგმენტები". საგულისხმოდ მიიჩნევდა, მაგრამ „ბნელადაც" — ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით.

ოლდოს ჰაქსლის წიგნი „მომავალი დრო" ამისათვის უცნობი გახლდათ. და გაეღიმებოდა მის ხსენებაზე, რაკიღა საერთოდ არ კითხულობდა წიგნებს მომავლის შესახებ.

ჟურნალ „ატლანტისის" ოქტომბრის ნომერი მის სამშობლოს ეძღვნებოდა. გრიგოლის ფართოდ ჩაფიქრებული ესეი ქართველთა მსოფლიო სახის თაობაზე სამწუხაროდ შეემოკლებინათ, თორემ გადააჭარბებდა ჟურნალის ჩარჩოებს.

— არაჩვეულებრივად ლამაზი, — ასე დაახასიათებდა მას რედაქტორი.

გუშინწინ გაეგზავნა ქალისათვის ხელნაწერი ნიცშეს შესახებ და სთხოვდა, შეეტყობინებინა მისი მიღება.

უგზავნიდა „ელვანაკრავსაც".

და 1962 წლის 10 აპრილის ბარათია: ჩემო შეუდარებელო გიტაო, — ასე რომ დაიწყებოდა და მას მერე სულ ასეთი მიმართვები იტრიალებდა, ერთიერთმანეთზე აღმტაცი და შემამკობელი, თუმც მანამდე აკი თვალნათლივ ცნაურდებოდა ეპისტოლეთა ამ რკალის მკითხველისათვის მათი ურთიერთობის უჩვეულობა: ასტროლოგიური „მისტიკური კავშირით" გიტას დაქორწინება მზესთან, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, გრიგოლის „მზის ხაზის" შეხებით გიტას „ფიალასთან" სამუდამოდ რომ დასტურდებოდა მათი შინაგანი ერთიანობა. ანდა თავიანთი ურთიერთობის განსაკუთრებულობას რომ ახსენებდა. მაგრამ ჯერ მაინც თავშეკავებას ამჯობინებდა, ვიდრე ისე ამოასკდებოდა გრძნობები, გულში ჩაგუბებასა თუ მინიშნებებს ვეღარ იკმარებდა.

შეუდარებელი იყო გიტა მის თვალში?

ბარემ ასევეც თქმულიყო, პირდაპირვე, მინიშნებების დრო მოთავებულიყო მათ ურთიერთობაში.

5 აპრილს ქალს მოეწერა:

— ნუ ხედავ ჩემში ბევრ, თანაც დიდ ღირსებებს: უფრო მესიამოვნება, რომ ის სისუსტეები, რასაც საკუთარ თავში ვხედავ, დამიდასტურო, რასაც ვერ ვხედავ — მიმითითო. ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა შენ?

პასუხად გრიგოლს სხვა რა ეთქვა:

დღევანდლამდე შენში ერთი ნაკლიც ვერ მიპოვნიაო. და დასძენდა: იცი, რა გულწრფელიცა ვარო. და თუკი ოდესმე აღმოაჩენდა — დაუფარავადაც გაუმჟღავნებდა. და მეტი დამარწმუნებლობისათვის მიადევნებდა: ჩემი სიმართლისმოყვარეობაც ცნობილია შენთვისო.

გიტას ქალური არსებისათვის „ქალწულებრივი“ განსაკუთრებული მნიშვნელობით ეწოდებინა. რომლით? გერმანული ენა ამბობდა: ზღვა მდედრობითი სქესისაა, ტბა — მამრობითი სქესისაო. და ეს განსაზღვრება გრიგოლს გენიალურად ესახებოდა. ანკი სხვაგვარად როგორ, როდესაც: ქალი ნამდვილად უსაზღვრო გახლდათ — ზღვასავით, და კაცი ნამდვილად შემოსაზღვრული — ტბასავით.

არსებობდა კიდევ შემზარავი ქალური „რაღაც“. და თუ ქალი მას ერთხელ გამოამჟღავნებდა, პიროვნებიდან უპიროვნო არსებად გადაიქცეოდა: ბრმად, ქაოტურად, ალოგიკურად, უხეშად.

აქ გიტა ფონ შტრახვიტცი ბედნიერი გამონაკლისი გახლდათ.

მასში ის „რაღაც“ ქალური მის პიროვნებას აქცევდა უფრო ზეპიროვნებად და არა უპიროვნო არსებად. „ბრმის“ ნაცვლად გიტა ხდებოდა „ნათელი“. აქედან მომდინარეობდა მისი შეუდარებელი ნათელმხილველობის უნარი.

თუ ყოველივე ამას თავს მოუყრიდა, გრიგოლს შეეძლო ეთქვა:

შენი ქალური არსება შეედრება მარიამ მაგდალელს: ის წმინდაა, „ქალწულებრივიო“.

გიტას არსების უდიდესი გახსნა გახლდათ მისი სიყვარული: სიყვარული გრიგოლ რობაქიძისადმი.

აქაა სწორედ, რომ უნდა განუცხადოს: ამაოდ ვეძებ მსგავს სიყვარულს მსოფლიო ლიტერატურაში, უფრო რომ ჰგავს ნორინას სიყვარულს ლევან ორბელისადმი „გრაალის მცველნიდანო“.

ნორინას მსგავსად გიტაც „მზის გზას“ ადგა, მაგრამ მისი სიყვარულისაგან განსხვავებით გიტას სიყვარულს მისტიკური საწყისი მოეპოვებოდა. გრიგოლს იგი იცნობდა მეტაფიზიკური სამყაროდან, გაუცნობიერებლად. და აქ ისიც უნდა დამატებოდა, რომ ნორინას უყვარდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლევან ორბელი, ხოლო გიტას — უკვე მოხუცი გრიგოლ რობაქიძე.

გიტას სიყვარულის მეტაფიზიკური მხარე ხორცს ისხამდა მასშივე, ასე რომ:

მეტაფიზიკურად: ენგადი.

ემპირიულად: გიტა.

ისინი მასში განუყრელად არსებობდნენ: ერთმანეთს შეზრდილნი.

ენგადი გრიგოლის ღვთიური მეგობარი გახლდათ.

გიტა — მისი მიწიერი შეყვარებული.

პირველს იგი უყვარდა ზებუნებრივად.

მეორეს — გრძნობით.

გიტას „ქალწულებრიობის“ გამოისობით ენგადის სიყვარული სძლევდა გიტას სიყვარულს.

ამას ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ გიტა ახალგაზრდა გახლდათ, გრიგოლი — მოხუცი. ისე ხედავდა მის სიყვარულს — ის გიტაში ისეთ სახეს იძენდა, ისეთ სახეს, როგორიც თვითონვე იყო ქალი. და ეს სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა უკიდურესი იშვიათობა!..

გრიგოლის ცხოვრებაში ნამდვილად საოცრება გახლდათ გიტა შტრახვიტცი. და გრიგოლს ყველა მიზეზი ჰქონდა, ეს დაბეჯითებით ემტკიცებინა. ზებედნიერად გრძნობდა თავს, ასეთ ქალს რომ უყვარდა. გიტას სიყვარულის ძალა თავისუფლად ეპასუხებოდა ენგადის სიყვარულის ძალას, ნაკლებად გიტასას. ეს სახე ქალისათვის ნაკლებმნიშვნელოვანი რომ იყო და იქნებოდა კიდეც, ზემოთქმულიდან გამომდინარე საკმაოდ ნათელი გახლდათ. სამწუხაროდ მხოლოდ ის ესახებოდა, რომ გრიგოლს ასეთი ქალის სიყვარულისათვის დედამიწაზე ცოტა დროლა დარჩენოდა. დიდხანს, დიდხანს უნდა ჰყვარებოდა. ეს კი ნიშნავდა: ემსახურა გიტასათვის.

ქვეცნობიერად სჯეროდა, რომ მის ტკივილს გრძნობდა გიტა. ხშირად იყენებდა ამ გამოთქმას ქალი: მე შენ გიღიმიო, — და აქ ხშირად, ხშირად უღიმოდა.

ნეტა დაენახა ქალს თავისი ღიმილი!

მასში შორეთიდან გამობრწყინებული სიყვარულის მზერას ამოიცნობდა: უსიტყვო, ეთერული, ფარული ნაღველით.

ასეთად ეჩვენებოდა ყოველთვის გრიგოლს გიტას ღიმილი.

აქ ერთ რამესაც უნდა შეხებოდა.

— ჩემი გული უერთდება შენს გულს და გადაიქცევა შენს გულისცემად, — ჩაესმოდა გრიგოლს ასერიგად საყვარელი ხმა გიტასი, მაგრამ კაცის გული ერთხელ რომ შეწყვეტდა ცემას! მერე? რა მოუვიდოდა გიტას გულს?.. მაგრამ გრიგოლი წინდაწინვე ანუგეშებდა:

იყავი მშვიდად! შენ ენგადი დაგამშვიდებს, რადგანაც მისი სუნთქვა ჩემს სუნთქვასთან მისტიკურად დაქორწინდებაო.

ცოტა ხნის წინათ გიტას არსებისათვის გრიგოლს „გენიალური“ ეწოდებინა. გადაემეტებინა ვითომ? არა და არა! და ეს იმიტომაც, საოცრად რომ მოჩანდა: გიტას ინტელიგენტობა, გიტას სინათლე, გიტას ინტონაცია, გიტას განჭვრეტის უნარი, გიტას ღრმა აზრი არსებულსა და ლამაზზე, გიტას უნაკლო ლიტერატურული გემოვნება. კიდევ რა? თუმც მაგალითების მოყვანა აქ გრიგოლს ეზედმეტებოდა.

და ბოლოს გიტას ხასიათი.

ერთი კვირის განმავლობაში თავის გვერდით განეცადა გრიგოლს იგი. ერთხელაც არ ყოფილიყო ქალი ცუდ გუნებაზე, არც „ყალბი ნაბიჯი“ შემჩნევია სიტყვასა ან მოქმედებაში.

ყოველი ნიშანი — წამში აღმოჩნდებოდა ხოლმე გაგებული, ყოველი მინიშნება — აზრით მიღებული. ყველაფერში შეთანხმებულობა ამიტომაც იგრძნობოდა.

მ ე-ს ნაცვლად მეფობდა მხოლოდ შ ე ნ.

და როგორ არ ყოფილიყო გრიგოლი გიტათი გაოცებული?

გრძნობდა იმასაც, რომ გიტა არ ყოფილა განებივრებული, თორემ ასე რომ ყოფილიყო, მისი ასეთი ქებისაგან თავს შეიკავებდა.

და თუ მანამდე ასე ეთხოვებოდა ხოლმე:

სულიერად მონათესავეო.

ყოველივე საუკეთესოო.

გელოდებათ თქვენი ნატრულიო.

ახლა ასე თუ გამოემშვიდობებოდა და მხოლოდ ასე:

გეხვევა შენით აღტაცებული, შენით ზღაპრულად დასაჩუქრებულიო.

და კვლავაც ამ აკორდზე, ამ აღმაფრენით გაგრძელდებოდა გამოსათხოვარი ფრაზები:

გეხვევი ძლიერ, ძლიერ, შენი, შენიო.

გეხვევა ძლიერ, ძლიერ შენი საყვარელი და: ძმაო.

გეხვევა ძლიერ, ძლიერ, შენით ენითაუწერლად დასაჩუქრებულიო.

გეხვევა ძლიერ, ძლიერ შენი საყვარელი და შენი მსახურიო.

გეხვევი ძლიერ, ძლიერ: და: ვართ განუყრელად ერთადო.

გიკრავ გულში: და: ვარ განუყრელად შენთანო.

გეხვევი და ჩაგისუნთქავ დაუსრულებელ ნეტარებაში — შენო!

გეხვევი ძლიერ და დაუსრულებელ თრობაში მესმის მხოლოდ შენი ტკბილი „შეეენო!"

ჩემო შევარდენო! როგორ მენატრები! გეხვევი და დაუსრულებელი თრობით გსვამ შენს ტკბილ ბაგეთაგან. შენ — ჩემო შევარდენოო!

შენ კი მანდ ხარ: და: ღმერთს მადლობას ვწირავ ამისათვის, უფრო მეტიც: მადლობა მ ა ს, რ ო მ შ ე ნ ს ა ე რ თ ო დ არსებობო!

გეხვევი ძლიერ, ჩემო შეუდარებელო გიტა: და: ვარ მუდამ შ ე ნ თ ა ნ ო.

საყვარელო და ღვთიურო მეგობარო: დაოო.

გეხვევი ძლიერ და დაუსრულებელ თრობაში ვარ განუყოფლად ე რ თ ა დ. გფარვიდეს ლაშარიო!

დღეს ისე ძლიერ გეხვევი, რომ ვართ განუყოფლად ე რ თ ი. გფარვიდეს ლაშარიო.

გეხვევი ძლიერ, ჩემო დედოფალო გიტა, და ვართ განუყოფლად ერთადო.

ჩემს მკლავებში უფრო მეტად გაიგებ: როგორ მიყვარხარო.

გეხვევი და წინასწარი წარმოსახვით შეგისუნთქავო.

გეხვევი ძლიერ, ძლიერ და: აუწერელ თრობაში ვართ განუყრელად ე რ თ ა დ ო.

გეხვევი იიისე — შენ იცი როგორცო.

ჩემო მოჩუხჩუხე „წყაროვ“! ვერ გრძნობ როგორ მენატრები, როგორ გელოდები?! შენ: ჩემო სიცოცხლის — წყაროვო!

გეხვევი შენი, შენით ასე დასაჩუქრებული, ასე გაბედნიერებული კაციო.

გეხვევი ძლიერ დაუსრულებლად. შენი „დიონისოო“.

შენი წამებული „დიონისოო“.

შენი „დიონისო“ გრიგოლი. „დიონისო“: დღეს შენს საწოლშიო.

იყავ დალოცვილი: მზეო ჩემო, „წყაროვ“ ჩემოო!

გეხვევი ძლიერ შენს სიყვარულში განახლებული შენი გრიგოლიო.

„გფარვიდეს ლაშარიო“ ხშირად გამეორდებოდა, რაკიღა ეს სახელი ახლობელი და ძვირფასი შეიქნებოდა გიტასთვისაც მას მერე, რაც გრიგოლი აუხსნიდა, რომ: ვინც საქართველოსათვის საქართველოს შუაგულიდან გამოდიოდა, იგი „თეთრ გიორგის“ გვერდს ვერ აუხვევდა. „თეთრი გიორგი“ ხომ რაინდი გახლდათ ქართველობისა და რაინდი: „წმინდა“. ამცნობდა ალავერდობის მისტერიის არსებობასა და მის თავისებურებას. და ამ ფონზე გადმოუშლიდა ფენომენს ლაშარისა — ლაშა „სხივოსანს“ რომ გულისხმობდა და „ბრწყინვალეს“, და იგივე იყო მთაში, რაც ბარში თეთრი გიორგი.

დაე ქალს ისიც სცოდნოდა, 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რომ ერგუნებოდა და მას — საბედისწეროდ — მარქსისტები მოექცეოდნენ სათავეში, სახელმწიფო გერბისათვის ინტერნაციონალისტები თეთრ გიორგის მიმართავდნენ. და წარწერას გერბზე გრიგოლ რობაქიძე თავისი ხელით გაავლებდა.

და მწერალთა კავშირი რომ დაარსდებოდა და მის მეთაურად აირჩევდნენ კოტე მაყაშვილს, მწერალთა „დღედ“ შეარჩევდნენ მაისის მეხუთე დღეს: დღეს „გიორგობისა“ ახალი სტილით.

რა დრო იყო, ამ „დღეს" საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც რომ დღესასწაულობდნენ?!.

პირველ წელს ამ ზეიმზე გრიგოლი აიღებდა სიტყვას და გადმოშლიდა „გიორგის", როგორც მისტერიას ქართველთა.

და ამ გახსენებაზე კიდეც მწარედ ამოიგმენდა:

მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ასეთ საგნებზე საუბარიო.

დაახლოებით ამ დროსვე პარიზში რომ წარმოიშობოდა რაზმი „თეთრი გიორგისა"?

გიტას რატომ არ უნდა სცოდნოდა ესეც, რომ:

არავითარი „პოლიტიკა" არ ჩარეულიყო თეთრი გიორგის ხსოვნის აღდგენაში იქ, საქართველოში. და არც არავითარი კავშირი არ გაბმულა ამ „ხსოვნის აღდგენასა" და უცხოეთში მის „რაზმულად" დგენას შორის.

ყველაფერი ეს მოხდებოდა თავისთავად.

და მოხდებოდა, რადგანაც: ამ ამბებში საქართველოს „შუაგული" ფეთქავდა.

ისმენდა ყველაფერს გიტა შტრიხვიტცი დიდი გულისყურით და გულისფიცარზე აღიბეჭდავდა და:

გფარვიდეს ლაშარიო, — სიამედ ეღვრებოდა ქალს გულში ყოველი გახმიანებისას, მისი უცხო ჟღერადობაც და ღრმა შინაარსიც, მისთვის ისედაც ძვირფას მისტერიების სამყაროს რომ აზიარებდა კიდევ ერთხელ.

ხოლო გრიგოლი კოტე მაყაშვილს რომ ახსენებდა: აი კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველიო, — გაივლებდა გუნებაში და გული დაწყდებოდა, რომ მისი ხსოვნა ჯერ კიდევ არ აღენიშნა, ვერა და ვერ მოეცალა მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოსაძერწად.

არადა თუ ვინმე იცნობდა კარგად ამ ჩინებულ პოეტსა და ზნეობრივ პიროვნებას, მათ შორის უსათუოდ გრიგოლ რობაქიძეც, მეგობრები რომ ეთქმოდათ და... ის კი არა, გრიგოლს ისიც ეოცნებებოდა, კოტე მისი სიმამრი გამხდარიყო.

კი მაგრამ... კოტე მაყაშვილის ქალიშვილი ბევრად უმცროსი არ იქნებოდა გრიგოლზე?

იქნებოდა და... ასეც გახლდათ: მარო ასაკით შვილად უფრო ერგებოდა. თუმც ხდებოდა ამისთანა ქორწინებანი, ასაკობრი-

ვად სრულიად შეუფერებელი, და გრიგოლი გამონაკლისი არა ყოფილა, ამგვარი ფიქრ-ოცნება რომ გასჩენოდა... ისე სხვა ამისთანა შემთხვევა რომც არ მომხდარიყო საქართველოში, გრიგოლის ბუნების ადამიანისათვის ეს დაბრკოლებად ვერ შეიქნებოდა — მითუმეტეს, აგერ თვით გოეთეს შვილთაშვილის ტოლი გოგონა ამოერჩია გულისსწორად და ამ ფონზე გრიგოლის არჩევანი რაღა სათქმელი უნდა ყოფილიყო. ორიენტირად რჩებოდა გოეთე მისთვისაც როგორც მხატვრული ძიებებისას, ასევე ყოფით რეალობაში, და... ამ აღტაცებასაც მისი პიროვნებით უნდა ეთამაშა გარკვეული — თუ მთლად გადამწყვეტიც არა — როლი გრაფინია გიტა შტრახვიტცისადმი მის იმგვარ ლტოლვაში, ქორწინებითაც რომ უნდა დასრულებულიყო, თუკი ყველაფერი მათ ნებაზე აეწყობოდა...

მთლად შვილთაშვილად თუ არა, გიტა შვილიშვილად ნამდვილად ერგებოდა.

და შვილის ტოლი ხომ სულაც რა!..

დიდხანს ეძებდა ასეთ სიყვარულს გრიგოლ რობაქიძე, თავდავიწყებულსა და გახელებულს, ვიდრე მართლაც დაუდგებოდა ჟამი სიცოცხლის მიმწუხრზე მისი პოვნისა, მსგავსი სიყვარული რომ ვერც აღმოეჩინა მსოფლიო ლიტერატურაში და თავს იწონებდა გიტას წინაშე, რომ მათი განცდები თუ რაიმეს ჰგავდა, ჰგავდა სწორედაც „გრაალის მცველთა“ პერსონაჟების ურთიერთლტოლვას, ნორინა რომ აღარც განერჩეოდა გიტასაგან, ყოფით რეალობაში სწორედ გიტას რომ მიუსადაგებდა „ტყის გზაზე“ სიარულს.

ოცნებას ზეციდან მიწაზე ჩამოიტანდა გრიგოლი.

ისევე როგორც თავის დროზე ოცნება მიწიდან ზეცამდე აეზიდა, და რასაც წარმოსახვით ჰქმნიდა — ქალისა და სიყვარულის ამაღლებულ, გაიდეალებულ სახებას, მის მხატვრულ ფანტაზიას მარო მაყაშვილის ხსოვნა ასაზრდოებდა, ყოფით რეალობაში ის განუხორციელებელი სიყვარული, გრიგოლი ასე რომ შეჰფოფინებდა, მაგრამ საპასუხო გრძნობას კი ვერა ჰპოვებდა: მაროს ვერც წარმოედგინა გრიგოლ რობაქიძის შეყვარება.

ასე ნაადრევად და ტრაგიკულად რომ არ აღსრულებულიყო, იქნებ როგორ წარმართულიყო მათი ურთიერთობა?

რაც უნდა ყოფილიყო და როგორც უნდა ყოფილიყო, რომანი და მისი სამყარო ხომ გრიგოლის ხელთ გახლდათ და მხატვრულ წარმოსახვებში მაინც ჰპოვებდა შვებას, იქ მაინც დაიამებდა გულს და დაიცხრობდა ოცნებას, „გრაალის მცველთა“ ფურცლებზე, ნორინას პროტოტიპი საძებნელი რომ არ ეყოლებოდა.

თავი მეორე

გაუხარელი სიყვარული ან პერსონაჟობა კარიკატურისა

ჰოი რარიგ გაშლიდა ფრთებს ოცნება-ფანტაზიებში გრიგოლ რობაქიძე, თავს რომ ლევან ორბელს გაუიგივებდა „გრაალის მცველთა“ სიუჟეტურ ქარგაში, ნორინას მომხიბლავ ხასიათში კი მარო მაყაშვილს იგულისხმებდა და სამაგალითოდაც დასახავდა მათ სიყვარულს, მსოფლიო ლიტერატურაში მსგავსს რომ ვერც ვერას ჰპოვებდა: არამცთუ იმ წუთას და წამიერი აფოფინებით, არამედ წლების შემდგომაც და დაბეჯითებული რწმენით.

აბა ალექსანდრე ქუთათელისათვისაც გეკითხათ, სინამდვილეში რა მომხდარიყო და რისი რა ლევან ორბელი გახლდათ გრიგოლი, ანდა მაროსთან ურთიერთობისას რა წარმატებისათვის მიეღწია.

იცინებდა და იხითხითებდა გრიგოლის ყოველ გახსენებაზე, ვერც გაღიზიანებას დაფარავდა და ვერც მთლად გაგულისებას, და ოთხკარიან რომანში „პირისპირ“ ისტორიული ფონისა და ისტორიულ პირთა გალერეის წარმოსახვისას გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტსა რომ ჩახატავდა, თავის განწყობილებას იქ გადმოანთხევდა.

მართლაც რომ გადმოანთხევდა, რაკიღა იმასაც არ მოერიდებოდა, პერსონაჟად გარდასახული გრიგოლისათვის მაინც-დამაინც ეს გვარ-სახელი შეერჩია: პლატონ მოგველაძე.

ამთავითვე იოლი მისახვედრია, ეს პორტრეტი კარიკატურული რომ იქნება, უკიდურესად გაშარჟებულ-გაპამპულებული. თუმც ალექსანდრე ქუთათელი ხატზე დაიფიცებდა, რომ უკი-

დურესად კი არა, ოდნავადაც არაფერი გადაემეტებინა და სავსებით რეალისტურ პორტრეტად ჩამოექნა გრიგოლის ხასიათი — ის მიეგო, რასაც იმსახურებდა, თუკი ხელოვნურად შემობლანდული საბურველი შემოეძარცვებოდა, დიდების შარავანდით შემკული, და არა მოლამაზებულ-მოპირკეთებული ნიღბით, არამედ თავისი ნამდვილი სახით წარმოდგებოდა მკითხველის წინაშე.

პლატონის შერქმევით მის ბრძნადმეტყველებას დასცინებდა.

ხოლო მოგველაძე მხოლოდ იმიტომ არ მიესადაგებინა თუ მიეკერებინა, „გველის პერანგის“ ავტორი რომ გახლდათ გრიგოლი — უამისოდაც არ დაინდობდა და გააიგივებდა უხსენებელთან.

პოლიტიკური კონიუნქტურა აქ არაფერ შუაშია — პერსონაჟს, თვითონ როგორც სურდა ალექსანდრე ქუთათელს, ისეთსაც გამოხატავდა, ამის გამო ცენზურა ნამდვილად არ ჩაერეოდა რომანში მაკრატლით — მართლაც ასე ფიქრობდა, ასე შეჰყურებდა და გაიაზრებდა გრიგოლ რობაქიძის პიროვნებასაც და ლიტერატურულ ნაღვაწსაც და... პლატონ მოგველაძის კარიკატურულ სახებას შეეწირებოდა გრიგოლის ამაღლებული განცდაც მარო მაყაშვილის მიმართ.

იმ თავს — „მაყაშვილის ბინაზე“ — რომელშიაც პირველად უნდა გამოჩენილიყო პლატონ მოგველაძე, და საერთოდაც თანდათან წარმოსახულიყო ისტორიული ფონი და რეალობიდან პირდაპირ გადმოსახლებულ პერსონაჟთა გალერეაც გახსნილიყო, რომანისტი წაუმძღვარებდა სტრიქონებს გილბერტ კეით ჩესტერტონის ესეიდან ჩარლზ დიკენსზე, რითაც წინასწარვე შეეცდებოდა თავის დაზღვევას მოსალოდნელი უსიამოვნო აჟიოტაჟისაგან, რაც უეჭველად მოჰყვებოდა „პირისპირის“ გამოქვეყნებას.

ჩესტერტონი გაიხსენებდა, რომ რომანში „ცივი სახლი“ სხვა მოქმედ პირთა შორის გამოყვანილი გახლდათ ჰაროლდ სკიმპოლიც, სწორედ ის, რომლისთვისაც — ლი ჰანტთან მისი მსგავსების გამო — დიკენსს წილად ხვდომოდა მრავალი საყვედური.

ეგ საყვედური დაუმსახურებელი იყოო, — ექომაგებოდა ჩესტერტონი სახელოვან მწერალს და მიზეზსაც განმარტავდა:

დამტკიცებულია, რომ შეიძლება რომელიმე ცოცხალი პირის გამოთქმათა სესხებით შეიქმნას საუბრის განსაზღვრული სტილი და მოხდეს მისი შეხამება სხვა პირთა დამახასიათებელ თვისებებთან. სავსებით შესაძლებელია, რომ დიკენსს მიზნად დაესახა ახალი ფორმაციის გაიძვერა დაეფარა ლი ჰანტის ზერელე ფილოსოფიის ნიღბითო.

და აი სიუჟეტში ჩაერთვოდა პლატონ მოგველაძე, რომელიც უნებლიეთ უნდა შესწრებოდა, როგორ მიესალმებოდა კაპიტანი გაჯარისკაცებულ სტუდენტებს. და ოჯახის დიასახლისთან — ვარდოსთან — საუბრისათვის თავი მიენებებინა და ეყვირა:

— გაუმარჯოს საქართველოს!

და ჯარისკაცებსაც შეეძახათ: გაუმარჯოსო!..

და პლატონის თვალები ისე უცნაურად უნდა ანთებულიყვნენ, თითქოს უხილავ მტერს ხმალში იწვევდა.

და კიდეც უნდა წარმოჩენილიყო ნიშანდობლივი შტრიხები პერსონაჟის ხასიათისა, უმთავრესად მაინც როგორც უცნაური კაცის.

ყველას უნდობლად რომ ეკიდება, ამ უნდობლობას თავისებურადაც ასაბუთებს:

— ისეთ ქვეყანაში, სადაც მოჰკლეს ილია, მე არავის ვენდობი.

არ ენდობა იმიტომ, რომ ქვეტექსტურად თავს ილიას უიგივებს...

ძალზე ეჭვიანია, პატივმოყვარე, ეგოცენტრიზმითა და განდიდების მანიით შეპყრობილი.

განათლება ევროპაში მიუღია. ფილოსოფიისა და ხელოვნების დიდ მცოდნედ მოაქვს თავი, მაგრამ ხშირად ელემენტურ საკითხთა უცოდინრობას ამჟღავნებს.

სოფლელი დიაკვნის შვილია, ინგლისელი ლორდის შვილობას მონატრებული. ინგლისელს რომ დამსგავსებოდა, ბაგეთა კუნთების დაძაბვისა და დაჭინთვის მეშვეობით, ნიკაპი ხელოვნურად გაეფართოვებინა. და არამარტო ნიკაპი — მისი სახის

ყოველი ნაკვთი, ყოველი მისი მოძრაობა, ქცევა, სიტყვა და მოსაზრება, მთელი მისი არსება ხელოვნურად გახლდათ გაბერილი, დაძაბული, დაჭინთული და შეკოწიწებული. ხელოვნურად გაბერილ კაცსაც ამიტომ ჰგავს.

მსახიობური ნიღბის ტარებით განა არ იღლება?

იღლება და ხშირადაც, და როდესაც შინ მარტო დარჩება ხოლმე და სარკეში თავის ნიღაბახდილ, ბუნებრივ სახეს, გაქსუებულ ცხვირსა და თხელ ნიკაპს ხედავს, შეძრწუნება ეუფლება.

თავისი სახით გულნატკენი „ზეკაცი" მაშინვე თვალის უპეთა ქვეშ მდებარე კუნთებს სწევს, თვალებს ხელოვნურად ანთებს, ბაგეს ჭიმავს, სახეს ძაბავს და... ქალაქში კვლავ მსახიობის ყალბი ნიღბით გამოდის.

თავზე დაკოსებული კატელოკით, ხელთათმანით, სტეკით, სახის მრისხანე გამომეტყველებით გამზირზე ჩქარა უნდა გაიაროს იაქესავით მარტომ, ბრაზმორეულმა, სამართებელივით ალესილმა, თითქოს ქვეყანას ემდურის და ხმალში იწვევსო.

საქართველოში იმჟამად ჩამოყალიბებული ლიტერატურული ჯგუფი მას თავის ხელმძღვანელად გამოაცხადებდა და... მოულოდნელად ორმოცი წლის კაცი პოეტობას დაიწყებდა.

და მისგან რაღა გასაკვირი უნდა ყოფილიყო, ამჯერადაც თეატრალური ჟესტით რომ ასწევდა ხელს და ახოვან სტუდენტ-ჯარისკაცებს ისევ შესძახებდა:

— გაუმარჯოს საქართველოს გვარდის!

და ჯარისკაცები კი აჰყვებოდნენ, მაგრამ კაპიტანი უნდა განაწყენებულიყო: გვარდიას ნუ გამაგონებთო, — და პლატონი ცდილიყო გამოესწორებინა ნათქვამი: მენშევიკების სახალხო გვარდიაზე როდი მოგახსენებთო, — ხოლო ესტატე მაყაშვილს ჩაერთო: გვარდიაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ბოლო მთავრობა რეგულარული ჯარის შედგენას გულგრილად რომ ეკიდება და შესაძლოა ამ გარემოებამ საქართველო დაღუპოს, ეს კი კარგად ვიციო.

ესტატე მაყაშვილი — რომლის პროტოტიპადაც კოტე მაყაშვილი იგულისხმებოდა — მკითხველს უნდა გაეცნო, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ეროვნულ სა-

კითხებზე ლაპარაკი, თუკი სადმე ხელი მიუწვდებოდა, არასოდეს რომ არა წყინდებოდა. მოხალისე სტუდენტებზე უკეთეს მსმენელებს იშვიათად თუ წააწყდებოდა. და ახლაც თავს არ დაზოგავდა, რათა თავისი მრწამსი გაემჟღავნებინა. მას სიტყვის ლამაზი აღნაგობა — ფორმა უფრო ხიბლავდა, ვიდრე შინაარსი. მის სიტყვას კი ყოველთვის თან ახლდა ჭარბი ჟესტ-მიმიკა.

მსოფლიო ომის დროს, პირველ ხანებში, გერმანიის არმიის გამარჯვებით გაოცებული და აღტაცებული ვექილი მაყაშვილი პირწავარდნილი გერმანოფილი შეიქნებოდა: გერმანიის სამხედრო ძლიერების, ფილოსოფიის, მუსიკის მოთაყვანე... გარდა იმ სურათისა, რომელზეც ბრძოლის ველი მოჩანდა და ხის ქვეშ უბრალო მაგიდის ირგვლივ შემოწყობილი გერმანიის არმიის მთავარი შტაბის ოფიცრები, კაბინეტში ეკიდებოდა არტურ შოპენჰაუერის, ფრიდრიხ ნიცშესა და რიჰარდ ვაგნერის პორტრეტებიც, ვიწრო და მაღალ მაგიდაზე გრამაფონი იდგმეოდა, მემბრანა დღედაღამ რომ ხაზავდა ფირფიტას და ვექილის ბინაში ძველი ბავარიული, ახალი პრუსიული და სხვა მარშები გაისმოდა.

და სწორედ ეს გერმანოფილობა დააკავშირებდა ერთმანეთთან ესტატე მაყაშვილსა და პლატონ მოგველაძეს, რომელსაც დითირამბიადა უნდა წამოეწყო:

ჯერ არ ყოფილა და არც ამჟამად არის სადმე ისეთი ერი ქვეყნად, თავისი ფილოსოფიითა და მუსიკით გერმანელ ხალხს რომ გაეჯიბროს. არავინ არის ამქვეყნად გერმანიის მძიმე ინდუსტრიის პირმშოს — გერმანიის არმიის მჯობნი. რა ბედნიერი იქნებოდა საქართველო, გერმანიის მფარველობას რომ ღირსებოდა. ტახტზე დაგვესვა ბაგრატიონთა უკანასკნელი ნაშიერი. ვეღირსებოდეთ ძლევამოსილ ქართულ ლაშქარს. მოვიდოდნენ ქართველი ხალხის დასახმარებლად სწორუპოვარი გერმანელი მეცნიერები, სპეციალისტები, ინჟინრები, ინსტრუქტორები, მრეწველნი და საქმის კაცნიო...

კაპიტანი გულისწუხილს რომ გამოთქვამდა, ამდენი პარტიული რაზმისა და გვარდიის შედგენით მთავრობა საკმაოდ რომ აფერხებდა ერთი მთლიანი რეგულარული ჯარის შედგენას და

ხელს უწყობდა სამხედრო ძალების დაქსაქსვას. ნამდვილი ჯარისკაცები კი ჩვენ არა გვყავდა: რასაკვირველიაო, — იყვირებდა პლატონი, კაბინეტში შეიჭრებოდა, კედლიდან კარაბინს ჩამოხსნიდა, საკეტს გამოიღებდა და ლულას სინათლეზე გახედავდა. ჯარისკაცებიც კაბინეტში შევიდოდნენ და პლატონს გარს შემოეხვეოდნენ.

დაიწყება ახლა ამ სამიწე თოფის ჩხაკუნიო, — დიასახლისი რომ დაიჩივლებდა, პლატონი გაიცინებდა, ხელზე აკოცებდა და მიუგებდა:

ხომ ხედავთ, ქალბატონო, რა დღეში ვართ?! ჩვენს საზღვრებს თურქები მოადგნენ. შიგნით კი ბოლშევიკები აფეთქებას გვიპირებენ. მოდით და თოფს ნუ აიღებთო?!

ეს ყალბი, ფუქსავატური კილო და ქცევა, რომლითაც წარმოითქმოდა ეს სიტყვები, ეკალივით უნდა მოხვედროდა გულზე ერთ-ერთ მოხალისე ჯარისკაცს და ტანშიც გააჟრჟოლებდა, მაგრამ იყუჩებდა.

ესტატე მაყაშვილი კი წუხილს გამოთქვამდა:

არაფერი ეშველება ბოლშევიკების ალაგმვას: არც გაზეთების დახურვა და არც ცემა-ტყეპა, არც რუსეთში მათი გადასახლებაო.

ნინო მაყაშვილი დედის გვერდით იჯდებოდა და მხრებზე ყვითელი შალი ექნებოდა მოსხმული, მოგვიანებით კორნელი მხეიძემ — კიდევ ერთმა მოხალისე ჯარისკაცმა, საერთოდ კი რომანის მთავარმა გმირმა — რომ უნდა უთხრას:

— ვინ იცის, იქნებ ისეთი დროც დადგეს, რომ თქვენც ჯარში და ომში მოწყალების დად წახვიდეთ. ბრძოლის ველზე იარას გვიხვევდეთ! ნინო, მე ვხედავ: წმინდა ასულს თეთრ ტანსაცმელში, მკერდს სისხლისფერი ჯვარი რომ უმშვენებს...

ამ სტრიქონებით უნდა მინიშნებულიყო არამარტო და არაიმდენად პერსონაჟის, რამდენადაც მისი პროტოტიპის ხვედრი, ის ხატი, რითიც უნდა დარჩენილიყო მარო მაყაშვილის სახება ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ჯერ კიდევ გათენებამდე გვარდიელები, ქართული და სომხური ჯარების ნაწილებთან ერთად მოულოდნელად დაესხმოდნენ

თავს არსენალს, და მის აღებას ასე განუმარტავდნენ ჯარისკაცებს, რომ: ქართული კორპუსის გარდა თბილისში სომხური, აზერბაიჯანელი და რუსული კორპუსიც ყალიბდებოდა. არსენალის იარაღი ყველას ვერ გაწვდებოდა, და ამიტომ საჭირო იყო კავკასიის არმიის საწყობებს ახლავე დაპატრონებოდნენ.

— რა დომხალია, — აღშფოთება უნდა გამოეთქვა პლატონ მოგველაძეს, — ჩვენი მთავრობა ნამდვილად ბეცია. დაე რუსებმა თავისი კორპუსი რუსეთში ჩამოაყალიბონ, სომხებმა — ერევანში, აზერბაიჯანელებმა კი — ბაქოში.

მერე კი ჯარისკაცებს მიმართავდა, რომ: შეედგინათ რაზმი და ამათაც დაეკავებინათ უპატრონოდ მიტოვებული საწყობები და გარაჟები. თუნდ ოლღას ქუჩაზე მოთავსებული გარაჟი.

და მეორე დღეს, შუაღამისას ყაზარმაში სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი პლატონი რომ მივიდოდა, აიყოლიებდა ჯარისკაცებს და გარაჟის ხელში ჩაგდებას მოინდომებდა, მაგრამ როდესაც იქ მყოფი შოფრები ასე ადვილადაც არ დაუთმობდნენ და ბანდიტიზმში დასდებდნენ ბრალს, პლატონს რევოლვერი უნდა ეძრო და ჰაერში შეეტრიალებინა, მაგრამ... უმალვე ეს იარაღი ჯავახელი ვაჟკაცის ხელთ უნდა აღმოჩენილიყო, კიდეც რომ დაიმუქრებოდა: თუ საქმისათვის მოვედით, საქმე გავაკეთოთ, თორემ რევოლვერის ტრიალს მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდაო.

პლატონი კიდევ ათ ჯარისკაცს ჩამოაყვანინებდა ყაზარმიდან. და შოფრები უარს რომ განაცხადებდნენ ბრიგადაში მანქანების წაყვანაზე, ჯარისკაცებს დილამდე მოუწევდათ შოფრების მიერ მოშლილი მანქანების მიგორება ბრიგადამდე. აღმართში მხრებით მიაწვებოდნენ და გასავათებულებს ოფლი გადასკდებოდათ.

დილის სამ საათზე ოლღას ქუჩით გარაჟისაკენ მომავალი რაზმი რომ გამოჩნდებოდა, პლატონი განკარგულებას გასცემდა და არტილერისტები სვეტებთან, აივანზე და სახლის კუთხესთან ჩასაფრდებოდნენ.

ისინი აღმოჩნდებოდნენ სომხური კორპუსის ჯარისკაცები, გარაჟის დასაცავად მომავალნი, მაგრამ პლატონი ეგრე ადვილად არ დაანებებდათ: გარაჟს მეორე საარტილერიო ბრიგადის

ჯარისკაცები იცავენო. იმ რაზმის მეთაური ერთხანს გაჯიუტდებოდა და ძალით მოინდომებდა იქაურობის დაკავებას, მაგრამ დააფრთხობდა პლატონი სიტყვები:

— ამ აივანზე და აი, იმ ფანჯრებში ტყვიამფრქვევები დგანან. ჩემს განკარგულებაში ორმოცდაათი ჯარისკაცია.

თანაც პლატონის რაზმელები საკეტს გადარაზავდნენ და შაშხანების ჩხაკუნს ასტეხდნენ. და კიდეც გააბრუნებდნენ სომხურის კორპუსის ჯარისკაცებს უკან.

პლატონი იზეიმებდა და თავს ნამდვილ გმირად მიიჩნევდა: ხომ გავაცურე პორუჩიკიო!..

ეგაა დილით ბრძანებას მიიღებდნენ და... ასეთი დიდი ვაივაგლახით ბრიგადაში მიტანილ მანქანებს კვლავ გარაჟშივე ჩააგორებინებდნენ ჯარისკაცებს, რომელნიც პლატონის დაბადების დღეს დაწყევლიდნენ და მას დონ კიხოტს შეარქმევდნენ.

ცხადია — დამამცირებლად.

და ასევე იყენებს თვითონ რომანისტიც, ასერიგად რომ არ ეჭაშნიკება პლატონ მოგველაძე და ქიმუნჯის წაუკვრელად არსად უშვებს. ერთგან რა არის, ერთგანაც კი არ იმეტებს მისთვის რაიმე სასიკეთო შტრიხს. და ამჯერადაც სავსებით იზიარებს ჯარისკაცების განწყობილებას.

თუმც გრიგოლ რობაქიძეს რომ სმენოდა, ვინმე დონ კიხოტს მეძახისო, არა მგონია უკმაყოფილო დარჩენილიყო. კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, დონ კიხოტობა არამცთუ სათაკილოდ, სასახელოდაც რომ მიაჩნდა და ამ პერსონაჟს უპირატესობას ანიჭებდა თუნდ შექსპირის ჰამლეტთან შედარებით. და ზვიად გამსახურდიასაც საპატიოდ ესახებოდა, მამამისს სერვანტესის ამ უკვდავ გმირთან რომ აიგივებდნენ.

ერთხელ პლატონი კაპიტან ალექსიძეს ცხენს სთხოვდა. იმას ორი ცხენი ჰყავდა: ერთი — ყოველდღიურ სამუშაოდ, ინგლისური ჯიშის, მაღალი და ოქროსფერი ფაშატი „მზია“, ხოლო მეორე — საპარადო, დოღის, თხაფეხა და მუქწაბლისფერი, ინგლისურ-არაბული ჯიშის ულაყი „გიაური“, რომელსაც კაპიტანი არავის ათხოვებდა, და კიდეც რომ ეთხოვებინა, პლატონისთანა მხედარი ზედ ვერ შეჯდებოდა.

ცხენოსნობაში გამოუცდელს „მზიაც“ კი არ მიიკარებდა. ამიტომ კორნელი მოევლებოდა ზედ და ცხენზე ქანდაკებასავით ჩამოსხმული დარჩებოდა, თითქოს მხედარი და ულაყი ერთმანეთს შეეზარდნენო. კორნელი ცხენს დაძრავდა და პლატონს აჩვენებდა ნაბიჯიდან ჩორთაზე, ჩორთიდან ჭენებაზე გადაყვანის წესს, ცხენის ცვალებად ტარებას — ალიურს უჩვენებდა და აუხსნიდა კიდეც, მერე ჩამოხტებოდა, ცხენს პლატონს მიჰგვრიდა და ღიმილით ეტყოდა: ცხენოსნობა რთული და თავისებური ხელოვნებააო, — და კაპიტანიც რომ დაუდასტურებდა, პლატონი იუკადრისებდა:

— დარდი ნუ გაქვთ! სხვა რომ წლობით სწავლობს რასმე, მე უმალ ვითვისებ. მალე ჩემსავით ვერავინ დაიურვებს ბედაურს. ეს კი ფაშატია. ველოსიპედის მართვა ხელის მიკარებისთანავე ვისწავლე.

საცნაური ეჩვენებოდა მეტად, რომ:

მხედველობა, შორსმჭვრეტელობა და სისწრაფე არწივისა მომადლებოდა.

— ნადირობაში ნუ გამეჯიბრებით. ერთ ხოხობს რომ წინ ჩამოვაგდებ, მეორე ზურგსუკან თუ ამიფრინდა, უმალვე მოვბრუნდები და ისიც ჩემი მსხვერპლია.

არამარტო ველოსიპედზე ჯდომა და ნადირობა, მისთვის საცნაური გახლდათ ისიც, რომ:

ფილოსოფიურ წიგნებს რომანივით ჩქარა კითხულობდა და რომანივითვე სწრაფად ითვისებდა.

— თქვენ მაგ დარგში ბევრი გიმუშავიათ. თქვენი გონება ფილოსოფიური ნააზრევის ათვისებას შეჩვეულია და ამიტომ საკვირველიც არ არის, ბატონო პლატონ, — შენიშნავდა გრიგოლ ცაგურიშვილი, მეგრელიშვილი რომ იგულისხმებოდა, პოეტი, თურქებთან ბრძოლაში რომ გაიწირებოდა. აქ კი: რასაკვირველიაო, — რომ იყვირებდა პლატონი, თან ბრძენის გამომეტყველებას მიიღებდა, სახის კუნთებს დაძაბავდა და კეფიდან ნასესხებ და მელოტ თავზე პარიკივით დაწებებულ თმას ელეგანტური მოძრაობით საფეთქელთან გაისწორებდა.

მისი თხოვნის თანახმად, უნაგირს პერანგჩაცმულ კარაბინს მიამაგრებდნენ, თვითონ პლატონი მაუზერს, ხმალსა და დურ-

ბინდს დაიკიდებდა, ჩექმებზე დეზებს გააკეთებინებდა, თავზე წითელი მაუდის შავყალმიან ქუდს დაიხურებდა. ოღონდ „მზიას“ შეშინებულ, ფართო თვალებსა და გაბერილ ნესტოებს რომ დაინახავდა, შეკრთებოდა და კაპიტანს მიმართავდა:

უცნაური თვალები და ნესტოები აქვს თქვენს ფაშატს, აგზნებულიაო.

„მზია“ განზე გახტებოდა, ათამაშდებოდა და პლატონს კვლავ არ გაიკარებდა ახლოს, ამას ძალიან რომ არ ეჭაშნიკებოდა, რაკილა კორნელის ასე ადვილად დაემორჩილებოდა. ახლა პლატონსაც შეეშველებოდა კორნელი, უზანგში ფეხს რომ შეადგმევინებდა და დიდი ვაივაგლახით შესვამდა უნაგირზე. რაკილა ის უნაგირზე აღმოჩნდებოდა და აღვირსაც დაიჭერდა ხელთ, ცხენი საბოლოოდ დაოკებული ეგონებოდა და კაპიტანს სტეკს სთხოვდა.

ჩემს ცხენს მათრახი არ უყვარსო, — გაფრთხილებით გააფრთხილებდა კაპიტანი, მაგრამ სტეკს მაინც მიაწოდებდა, გართობის გუნებაზე რომ დადგებოდა, ეშმაკურადაც გაიღიმებდა და პორუჩიკს წასჩურჩულებდა: ნაცარქექია საომრად მიემგზავრებაო.

სტეკის მიკარებისთანავე „მზია“ ადგილს მოწყდებოდა, მხედარს თავს წაართმევდა და ჭენებით წავიდოდა, მწევარივით გაიშლებოდა და საბურთალოს ყაზარმების, თავლებისა და საარტილერიო პარკს შორის მდებარე მოედანს დატორავდა.

უნაგირზე ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ გადაკიდებულ მხედარს მიჩერებული ოფიცრები და ჯარისკაცები უგულო ხარხარს ასტეხდნენ, მაგრამ ხარხარს მალევე შეწყვეტდნენ და შეშინდებოდნენ. პლატონს ქუდი გადმოუვარდებოდა, კეფიდან ნასესხები და მელოტ თავზე პარიკივით დაწებებული თმა გიჟივით აეჩეჩებოდა და, თვალებდაკუსული და შეშინებული, განწირული ხმით ასტეხდა ყვირილს: გააჩერეთ ფაშატი! გაგიჟდა, მიშველეთ! მიშველეთ, მი... შვე... ლეთო!..

გულწასულ მხედარს როდი-როდის რომ ჩამოსვამდნენ ცხენიდან, ოდნავ მოსულიერებული თავის მართლებას დაიწყებდა: ცხენმა მიგზნო და გახელდაო. და დასძენდა: ნუ შეახედვინებთ,

თორემ ისევ გაგიჟდებაო, — და თვალებს უცნაურად დააბრიალებდა.

და ქადილით მიადევნებდა:

— თვალი ეცა. ცხენი კი არა, კაცი ვერ უძლებს ჩემი თვალის ძალას.

ტრაბახს ასეთ დროსაც რომ არ მოიშლიდა!..

ზემდეგს ეს სიტყვები ცოტა არ იყოს შეაეჭვებდა: იქნებ მართლა თქვენი თვალების ძალამ გაახელაო, — მაგრამ კაპიტანი გაუწყრებოდა: რას მიჰქარავ, ცხენი იცნობს და მაშინვე დაჯაბნის გამოუცდელ და მშიშარა მხედარს. მორჩა და გათავდა. რის თვალი, რა თვალიო!..

როდესაც პლატონი დამშვიდდებოდა, თავლიდან ფურგონის თვინიერ ცხენს გამოუყვანდნენ, შეუკაზმავდნენ და ქალაქში გაისტუმრებდნენ. სტეკი კი არა, თავში კეტიც რომ შემოეკრა პლატონს, ის ცხენი მაინც არ გაჭენდებოდა.

პლატონი გამზირს მიუახლოვდებოდა, სახეს მოღუშავდა, ცალ წარბს მრისხანედ აზიდავდა, სახის კუნთებს დაძაბავდა და განზრახ გაბრაზდებოდა. და იმ წუთას ეს ესპანელი დონ კიხოტი და ჩვენებური ნაცარქექია მართლა იფიქრებდა: თითქოს შეუდარებელი მხედარი, მებრძოლი, გმირი და ბრძენი გახლდათ.

თვითონვე რომ იჯერებს, ესაა სწორედ!..

გამზირზე მოსეირნენი შედგებოდნენ და პლატონს მიაშტერდებოდნენ: და მხედარი ნაცნობთ მხედრულ სალამს მისცემდა.

— პლატონ მოგველაძე ჯარში ჩაწერილა, ომში მიდის! რა კარგი ცხენი ჰყავს! გამოჩენილი მხედარი ყოფილა! რა კოხტად აცვია! ნამდვილი ევროპელია, — იძახებდნენ ქალები.

— დიდი მამულიშვილია! ვიცოდით, თურქეთთან ომის დროს შინ არ დადგებოდა, — იტყოდნენ კაფე „დარბაზის" წინ გაჩერებული სალახანები.

— დიდად განათლებული და მომზადებული კაცია.

— დიდი პატრიოტია.

— დიდი მოლაპარაკეა, ნამდვილი ენამზე, ოქროპირია, — იძახებდნენ აქეთ-იქიდან.

ეს ეპითეტები — „პატრიოტი“ და „ოქროპირი“ — მთავარი და გადამწყვეტი გახლდათ პლატონ მოგველაძისა და სხვათა გაბერვისა და გაღმერთებისათვის.

საზოგადოებაში ისეთი განწყობილება სუფევდა, რომ:

დაუსრულებელ მიტინგებსა და კრებებზე იმჟამად სიტყვით გამოსული კაცი პატრიოტულ სიტყვას თუ იტყოდა, ცამდე აიყვანდნენ და „ორატორსა“ და „მამულიშვილს“ უწოდებდნენ. და დანარჩენ თვისებებს თავისთავად მიაწებებდნენ. იგი ხალხის თვალში „ბრძენიც“ იქნებოდა, „საზოგადო მოღვაწეც“ და „ზნეობით სავსეც“.

და პლატონ მოგველაძეც ყალბი „ენამზეობით“ რომ გამოირჩეოდა, ამიტომაც ყველა ამ ეპითეტს მიაწებებდნენ.

არადა ალექსანდრე ქუთათელის თვალში მას სხვა არა ჰქონდა რა, თუ არა: შაურის ამუნიცია და მანეთის ამბიცია.

თუმც რომანის ავტორი იმჟამად გამზირზე ცხენით გამოსული ნაცარქექიას ამუნიციასა და ამბიციას შორის იმდენ განსხვავებას ვერ დაინახავდა.

და პლატონის თვისებებს განაზოგადებდა. ვითომ მას აღარ გულისხმობდა, მაგრამ გამჭვირვალე ქვეტექსტი ხელშესახებად ამჟღავნებდა სწორედ ამ მიზანში ამოღებული პერსონაჟის ნამდვილ ბუნებას — ცხადია ქუთათელური თვალსაწიერიდან:

დაუსრულებელი ლაპარაკი, ანუ ლაპარაკობია, ყალბი ორატორობა და რაც მთავარია პატრიოტიზმით სპეკულაცია დიდ საცთურს რომ წარმოადგენდა ჩვენში, მისი საშუალებით ხშირად ცრუ, ცრუპენტელა, მჩატე ჭკუის, გაიძვერა ადამიანი ფონს გადიოდა და სახელსაც იხვეჭდა.

ხოლო იმ დღეს თბილისს მეტი გამოცოცხლება რომ დაეტყობოდა: დანა-ჩანგლებისა და თეფშების ჩხრიალი, ჭიქების წკარუნი და მრავალჟამიერი გაისმოდა — ეს იმიტომ, რომ ნინოობის დღესასწაული აღინიშნებოდა.

და ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები დილიდანვე მიულოცავდნენ ესტატე მაყაშვილის ქალს, ნინოს, სახელობის დღეს და უამრავ საჩუქარსაც გაუგზავნიდნენ,

ცნობილი ვექილი და საზოგადო მოღვაწე — თავადი ესტატე მაყაშვილი სტუმართმოყვარე, დარბაისელ, მოქეიფე და განთქმულ თამადად იქნებოდა აღიარებული.

მაშ რა ქართველი და რაღა კახელი თავადი იქნებოდა, ქეიფი და კახური ღვინო რომ არა ჰყვარებოდაო, — რომანის ავტორი მსუბუქ ირონიას რომ გამოურევდა, ძალდაუტანებლად ამოუჩნდებოდა ილიას ლანდი, „კაცია-ადამიანში" ლუარსაბ თათქარიძეს კახეთისა და კახური ღვინისადმი მიმართულ ხოტბას რომ ათქმევინებდა: ვენაცვალე კახეთს! ეგ რომ არ ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. და მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდიო?

ესტატეს კი არამარტო კახეთი, კახური ღვინო და ქეიფი უყვარდა, არამედ სამართლისმეტყველებაც, პოლიტიკაც და ესთეტიკაც. და ხელოვნების დარგში მომუშავეთ რომ მფარველობდა, კიდეც მეცენატს ეძახდნენ.

ესტატეს ბინა სტუმრებით გადავსებოდა. მასპინძლის კაბინეტში საუბარი შამქორის ამბების გარშემო იტრიალებდა.

დიასახლისი სტუმრებს ჩაიზე მიიწვევდა. მარმარილოსავით თლილ მის ყელს, მკერდსა და მკლავებს შავი ხავერდის კაბა დამაბრმავებელ სითეთრეს შემატებდა.

თუმც ორმოც წელს გახლდათ მიღწეული და სახესა და სხეულს ოდნავი სიმსუქნეც შეჰპარვოდა, მაინც ახალგაზრდა ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. და ნინო მისი უმცროსი დაიკო უფრო ეგონებოდა კაცს, ვიდრე შვილი.

მის სილამაზეს არაფერი მოჰკლებოდა: გიშრისფერსა და ხუჭუჭ თმაში არცერთი თეთრი ღერი არ ერია, დიდრონ დ აშავ თვალებში შუქი უმციმციმებდა და პირის კანს ნაოჭი არ შეხებოდა. და რომანის ავტორი იმასაც დასძენდა, რომ: ამ დარბაისელი ქალის ცხოვრება მუდამ მდიდრული გახლდათ, სიუხვითა და სიტკბოებით სავსე, ისეთი, როგორც ნაირნაირი ნამცხვრითა და ტკბილეულით გადატენილი მისი სუფრა.

და ამ აღმტაცი სტრიქონების ფონზე უნდა თქმულიყო სწორედაც, რომ:

დღეს სტუმართა ყურადღებას უმთავრესად ვარდო კი არა, მისი ქალი — ნინო — იპყრობდა.

ნინო იმჟამად ამთავრებდა გიმნაზიის კურსს და მრავალ ჭაბუკსა და არაჭაბუკს ეჭირა მისკენ თვალი.

იმ დღეს მაყაშვილთა ასულს სრულასაკოვანი ქალისათვის შესაფერისი სამოსი ჩაეცვა, და მუქწაბლისფერი აბრეშუმის გუ-

ლამოჭრილი კაბა ასულის მოღერებულ ყელს, წარმტაც მკერდს, მშვენიერ მხრებსა და ბეჭებს კანთიელად აჩენდა.

და აქ უნდა ჩაერთოს თხრობას პლატონ მოგველაძე, რომელიც: ალბათ ამიტომაც არ უნდა აშორებდეს თვალს, თავს რომ სდებს სილამაზისა და მშვენიერების მოტრფიალეობაზე და მეგობართა წრეში „დიდ ესთეტიკოსადაც“ ამიტომ არის აღიარებული. ახლა ამ ესთეტიკოსს თვალები უცნაურად უნდა ანთებოდა, ცხვირის ნესტოები ათამაშებოდა და მოკუმულ ბაგეებს კი „ბრძენი დიონისეს“ დაუოკებელი ღიმილი არ მოშორებოდა.

„ბრძენი დიონისესა“ და „ესთეტიკოსის“ ფიქრებს რომანის ავტორი ასე გაახმოვანებდა:

— ესტატე მაყაშვილის ქალი მზეთუნახავი ყოფილა. მე კი ჯერ კიდევ ბავშვი მეგონა და მის დას — ელოს ველაციცებოდი. ამიერიდან ნინო უნდა ამოვიღო ნიშანში. ესტატე ჩემი მეგობარია, ჩემი თაყვანისმცემელი და ქალს არ დამიკავებს. მაგრამ, როგორც ვიცით, მგონი კორნელისა და ნინოს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ.

კორნელისა და ნინოს სიყვარულის ამბავი, რაც გამოსდევს რომანს, პირწმინდა მწერლური გამონაგონია, ჟანრობრივი თავისებურებითა და აუცილებლობით გამოწვეული. ეგებ გამოგონილი სულაც არ არის და ყოფითი რეალობიდან აირეკლა?.. მაგრამ ასე რომ იყოს, მარო მაყაშვილის დღიური უსათუოდ გაგვიმჟღავნებდა — ნებით ან უნებურად, ყოველ შემთხვევაში, ამოცნობა დიდად რომ არ გაგვიძნელდებოდა.

პლატონი ნინოს უნდა მისჯდომოდა და ეს „დიონისე ესთეტიკოსი, ენამზე პოეტი“ შესაფერისადაც ამეტყველებულიყო:

— თქვენი მშვენება დღეს მაბრმავებს, ტურფა ასულო! სურნელი თქვენი ტანისა არის ისეთი, ვით შვლის ნუკრის, ან გაზაფხულზე მინდვრის ყვავილთა.

კორნელი ყურს მოჰკრავდა ამ ფერადოვან სიტყვებს და მეტოქეს ბრაზით გადახედავდა. ნინო შენიშნავდა მის გამომეტყველებას, მაგრამ თავს დარცხვენით არ ჩაჰკიდებდა, რადგანაც სიამოვნებდა ენამზე კაცის ქათინაურები, ენამზე კაცი კი თავისას გააგრძელებდა:

— ბუნებამ სრული სილამაზე ქალს მიანიჭა. ამიტომ ვამბობთ: ქალი — სარო, ქალი — ლერწამი, ლოტოსი, გედი, ანგელოსი, ქალი — მზე, მთვარე... გახსოვთ ძველი ეგვიპტელნი და ელინელნი? მათი ძეგლები: ქანდაკება, ბარელიეფი. მათი განჭვრეტა, მარმარქვაში გამოკვეთილი: კაცთა, ცხოველთა, მცენართა ღრმა შერწყმა? იქ თუ მიწვდებით და გაიგებთ, რაა ღმერთ-კაცი, ანუ ქალ-ღმერთი, ღვთიური ხელით გაორებული: თხაფეხა ღმერთი, დიონისე და პაზიფაი.

ნინო სულგანაბული რომ უსმენდა ახლა თავისივე სიტყვებით მოჯადოებულ და ეშხში შესულ პლატონს, იმის თქმა კი გაძნელდებოდა, რაიმე აზრი თუ გამოჰქონდა „ენამზე“ კაცის სიტყვათდინებისაგან.

კორნელის შური დატანჯავდა, რადგანაც პლატონის მსგავსი განსწავლული, ლამაზი და ქარაგმული ქართული არ ეხერხებოდა. ამასობაში კი პლატონი აჯადოებდა ნინოს, საუბარში ითრევდა და აცინებდა. ეს სიცილი კი გულზე ეკლად ესობოდა კორნელის.

სამაგიეროდ ესტატე და ვარდო მიაშტერდებოდნენ სიამოვნებით მათ ქალთან მობაასე „დიდ ესთეტიკოსსა“ და პოეტს, „დიდ მამულიშვილსა“ და ენამზე პლატონს.

სენატორის მეუღლეს — მელანია ვახეკს მოცისფრო ჟუჟუნა თვალებზე ლორნეტი უნდა აეფარებინა, პლატონს მისჩერებოდა და ვარდოსათვის ეჩურჩულა:

— პლატონ მოგველაძე ევროპელსა ჰგავს. ნიჭიერი და კულტურული კაცია. პლატონი და ნინო ერთმანეთს მეტად შეეფერებიან.

— რასა ბრძანებთ, — ღიმილით უნდა მიეგო ვარდოს, — პლატონი ორმოცი წლისა იქნება, ნინო შვილად შეჰფერის.

— ეხ, ჩემო კარგო, — უნდა შეენიშნა მელანიას, — ორმოცი წლის კაცი გირჩევნოდეთ თავქარიან ჭაბუკს.

მერე ისევ გაეკეთებინა ლორნეტი და პლატონი მუშტრის თვალით შეეფასებინა.

ვარდოც პლატონსა და ნინოს დააცქერდებოდა. სახეზე ღიმილი გადაურბენდა. მერე ნაღვლიანად გადახედავდა კორნელის, რომელიც გაწითლდებოდა და თავს ჩაჰკიდებდა მწარე

ფიქრებით შეპყრობილი: ვარდომ და მელანიამ მე და პლატონი სასწორზე შეგვაგდეს, ცხადია: პლატონი ამჯობინეს. ამ ბრწყინვალე დარბაზში საზიზღარი ვაჭრობა არის გამართული და ამას ჩემს გარდა ვერავინ ხედავსო.

სისხლი აემღვრეოდა, მოულოდნელად წამოიჭრებოა, ხმალს მარცხენა ხელით ასწევდა და დარბაზიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდოდა. კორნელის საქციელი ნინოს ძლიერი გაუკვირდებოდა, ვარდო კი გაიფიქრებდა: ნამდვილად ჩემი ქალი უყვარს. ერთი უცქირეთ, რარიგ ეჭვიანობს და ღელავს, თავის ქერქში ვერ ეტევა. ეს რა გააკეთა, რა ჰქნა. ხედავ: თავს როგორ გაუვიდაო!

სტუმრები დიასახლისს მადლობას რომ გადაუხდიდნენ, ჩაის მერე საზეიმო დღისათვის მდიდრულად მოკაზმული და ძვირფასი სამკაულებით მორთული ქალები დარბაზში უნდა გამოფენილიყვნენ. ახლა — პლატონის გარდა — ნინოს გარშემო უნდა ეტრიალათ პოეტ რაფაელ ახვლედიანს — ანუ პაოლო იაშვილს — მომღერალ ვანო სარაჯიშვილსა და სხვებს და მისთვის როიალზე დაკვრა ეთხოვათ, რადგანაც ჩინებულად უკრავდა. ამჯერად რობერტ შუმანის „ფანტაზიას“ შეარჩევდა. ხოლო რაკიღა ნოტების გადაფურცვლა ყოველთვის კორნელის ევალებოდა, ქალს მაშინვე მოაგონდებოდა კორნელის უეცარი გასვლა დარბაზიდან და მის საძებნელად წავიდოდა.

კორნელი ოთახში აღელვებული იჯდებოდა, ცალი ფეხის დეზს რომ აჟღარუნებდა და კედელზე ნინოს სურათს მიშტერებოდა. თვალები სევდით ავსებოდა. აგონდებოდა ნინოსადმი მიმართული პლატონის სიტყვები და აენთებოდა: სწორედ ასეთივე სიტყვებით მივმართე ნინოს, როდესაც პირველად გავუმჟღავნეთ ერთმანეთს ხვაშიადი. ახლა ამ სიტყვებს პატივი აეყარა, რადგანაც ისინი პლატონს თავის გასართობად დასჭირდნენ და არა ჭეშმარიტი გრძნობის გამოსახატავად. პლატონს ნინო არ უყვარს. მას სიყვარული არც შეუძლია. ნინო მოსწონს მხოლოდ. მოსწონს ისე, როგორც სხვა მრავალი ქალი. ის ლამაზი ლათაიები რამდენი ქალისათვის უთქვამს ალბათ, ვინ მოთვლის?! სწორედ ამიტომაც ეუბნებოდა ნინოს — გაზეპირებული ლექსივით — იმ ტირადას. განა გულს ატანდაო?..

ნინო კარს რომ შემოუღებდა და ჰკითხავდა: აქ რას უზიხარ, რა მოგივიდაო? — ეს თავის ტკივილს მოიმიზეზებდა, მაგრამ ის არ დაუჯერებდა: ტყუილია. ამაოდ მიბრაზდებით. წამოდით. რა დროს გაბუტვააო?!.

მაგრამ კორნელი:

უჩემოდაც კარგად მოგალხენთ მოგველაძე, უსმინეთ მის ყალბ დითირამბებსო.

ნინო დაანამუსებდა: არა გრცხვენია? რა დროს ეგ არის? დღეს ჩემი დღეობააო, — და მხარზე ხელს დაადებდა. კორნელი რომ შემობრუნდებოდა, ქალის კაეშნიანი, მიმზიდველი თვალები მუდარით დააცქერდებოდნენ, და არამარტო თვალები, ყველაფერი მომხიბლავი იქნებოდა ამ ქალისა. და კორნელიც დაცხრებოდა ნინოს ეშხით მოხიბლული.

საამური ხმების მოლოდინში ვანო სარაჯიშვილი ღიმილით იქნებოდა მიწოლილი სავარძლის ზურგს და მისი შავი, მგზნებარე თვალები განაბულის შთაბეჭდილებას დატოვებდა.

პლატონ მოგველაძეს კიდევ ერთი ქიმუნჯი წაეკვროდა:

ცუდი სმენა ჰქონდა, მაგრამ მაინც მუსიკის მცოდნედ მოჰქონდა თავიო.

რას ეუბნებოდა მიამიტ ნაცნობებს?

— ფილოსოფიისა და პოეზიის ნაცვლად მუსიკისათვის რომ მომეკიდა ხელი, ახლა უდიდესი კომპოზიტორი ვიქნებოდი!..

და მათ, გულუბრყვილოებს, აზრადაც არ მოუვიდოდათ მისი მუსიკალური ნიჭის გამოცდა. ეგაა ერთხელ, ისიც სიმთვრალისას, გასცემდა პლატონი თავს.

მას პოეტად, დიდ ფილოსოფოსად, ბელეტრისტად და ჟურნალისტად რომ მოჰქონდა თავი, ბევრსაც წერდა. მხატვრობის ცოდნასაც იჩემებდა, ოღონდ მხატვართა სურათების გამოფენის გამო ჟურნალში მოთავსებულ წერილებში რამდენ დამოუკიდებელ მოსაზრებასაც გამოთქვამდა, იმდენი შეცდომაც მოუვიდოდა — ეჭვმიუტანელი ნიჭის მხატვართა სურათები დაწუნებული აღმოჩნდებოდა, უნიჭოთა კი — გენიოსურად გამოცხადდებოდა.

ასეთ შეცდომებს რა იწვევდა?

რა და:

პლატონს არ გააჩნდა საკუთარი თვალსაზრისი, მსოფლმხედველობა და გემოვნება, ხოლო ხელოვნების დარგში მომუშავეს უამისოდ ვერც დიდი ნაკითხობა და ვერც დიდი მწიგნობრობა ვერ უშველიდა.

და ალექსანდრე ქუთათელიც აღიარებდა ღვთის წინაშე, რომ: პლატონს არც დიდი ნაკითხობა აკლდა და არც დიდი მწიგნობრობა.

მაგრამ კვლავ მწარე-მწარეები უნდა ეკადრებინა:

არც აკლდა არც სხვისი აზრის, სხვისი თქმისა და შეხედულების თავისად გასაღების უნარი, და თანაც ისეთი რიხით, ბაქიაობითა და არტისტული პოზით, რომ წიგნში ჩახედულ კაცსაც კი თავგზას აუბნევდა. ეტყობოდა ამ კაცის ყალბი ბაქიბუქი დიდხანს გასტანდა ჩვენში, ვიდრე მსახიობის ყალბ ნიღაბს არ ჩამოხდიდნენო.

ჯერჯერობით კი:

ესტატე მაყაშვილის დარბაზში მყოფი საზოგადოების თვითეული წევრი მას შესცქეროდა: როგორც ბრძენს, დიდ ესთეტიკოსს. და ისიც მკაცრი და მრავალტანჯული კაცის სახით იჯდებოდა სავარძელში.

მრავალთათვის იგი უჩვეულო ადამიანი და — უპირველეს ყოვლისა მაინც თვით პლატონის აზრით — „ზეკაცი" გახლდათ.

მსახიობის ნიღაბი, არტისტიზმი, ეგოცენტრიზმი და განდიდების მანია ორგანულ თვისებად გადაქცეოდა.

და იჯდებოდა ახლა ეს გულზვიადი, მედიდური და მარტოსული კაცი ბერძენთა მრავალტანჯული ღმერთის დიონისეს მსგავსად დახატული.

ბრიოლინით ალაპლაპებული, ინგლისურად გვერდზე გაყოფილი თმა კეფიდან წამოელო, დეკადენტი ფრანგი პოეტის ბოდლერის მსგავსად მელოტ დაკუთხულ კინიზზე პარიკივით დაეწებებინა და შუბლის ძვალი ხელოვნურად გაეფართოვებინა.

დაჭიმული თითები დროდადრო ყურის ძირში ელეგანტურად უნდა მიედო და მოშვებული პარიკი ქალაზე მიეჭირა.

თეთრი ჰალსტუხი მოერგო. მისივე გრძნობა-სულივით გულმოდგინედ დაუთოებული ფრაკი და შარვალი ჩაეცვა. თითქოს

ტანსაცმლის მაღაზიაში მანეკენს ლაქის ფეხსაცმლის ქუსლით ვიტრინა გაეტეხოს, გამზირი გაერბინოს და ესტატე მაყაშვილის დარბაზში სავარძელში ჩასკუპებულიყოს.

კორნელი და ნინო როიალთან რომ მივიდოდნენ, პლატონს ქალისათვის თვალი უნდა გაეყოლებინა და გაეფიქრა:

— არა, ეს ქალი უთუოდ ჩემი უნდა იყოს. ვერსად წამივა, თუნდ ანაზდად გამექცეს, ველად გაიჭრას და ვაკხებივით მალემსრბოლი ფეხებით ქარი დააყენოს.

ნინო როიალთან დაჯდებოდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდებოდა. გრძელი და თლილი თითები კლავიშებზე გაიჯირითებდნენ და დარბაზი შუმანის „ფანტაზიის“ წარმტაცი ჰანგებით აღივსებოდა. ვანო სარაჯიშვილი თვალებს დახუჭავდა და ისე მოუსმენდა, მერე დიდრონ, შავ და მგზნებარე თვალებს გაახელდა და ნინოს მოწონებით შეხედავდა.

პლატონი სრულიად ვეღარ ჩაწვდებოდა ახლა, თუ რა შინაარსსა და განცდას შეიცავდნენ ეს ჰანგები, მაგრამ რაც უფრო ვერ ჩაწვდებოდა, მითუფრო დინჯი და დინჯი კაცის სახეს მიიღებდა. სახის კუნთები უნდა შეეკუმშა და ანთებული თვალები ჭერისაკენ აღეპყრო, თითქოს ამბობდა: შეხედეთ, მუსიკამ რარიგ დამატკბო და ზენაარ სამყოფს გადამასახლაო.

ბოლოს ამ ყალბი ქცევით, სახის კუნთების ჭინთვა-დაძაბვით დაიღლებოდა და მალე ჰანგებთან კავშირს სრულიად გაწყვეტდა. გაუქმებული ყურის ნაცვლად თვალიღა შერჩებოდა, რომელიც მარტოდენ კლავიშებზე მარბენალ ნინოს თითებსა და დაკვრის ტექნიკურ მხარეს თუ ხედავდა. და ფიქრით კი ამას ფიქრობდა: რა ეშმაკად სჭირია, ან რად გამოადგება ადამიანს ბეთჰოვენის, მოცარტის, შუმანის, ჩაიკოვსკისა და სხვათა მუსიკა. ასეთი ტანჯვა-წვალებით მიღწეული ტექნიკაო?..

ნინო „ფანტაზიის“ პირველ ნაწილს — „ნანგრევები“ — დაამთავრებდა და მეორეზე — „ტრიუმფალური თაღი“ — გადავიდოდა. და წინ ყველაზე რთული მესამე ნაწილი ელოდა: „გვირგვინი ვარსკვლავისა“.

რობერტ შუმანის ეს შედევრი ახალი რომანტიკული დიდი მუსიკალური ფორმის შესანიშნავ ნიმუშს რომ წარმოადგენდა და

ეპიგრაფად შლეგელის სტრიქონები წამძღვარებოდა: მიწიერ ხმათა ნაირფერად მოზღვავებაში გამოირჩევა იდუმალი, ჩუმი რამ ტონი, მხოლოდ მახვილი ყურისათვის ხელმისაწვდომიო, — ამის შეხსენებასთან ერთად რომანის ავტორს ისიც უნდა დაერთო: როდესაც კომპოზიტორი „ფანტაზიას“ წერდა, რასაკვირველია პლატონ მოგველაძის ყურს არა გულისხმობდა, არამედ თავისი სატრფოსა და ცოლის — მუსიკოსი ქალის — კლარას ყურს, რომელსაც ამ შედევრის მუსიკალურ სახეებში ჩაქსოვილი ის „იდუმალი“ და ჩუმი ტონი უნდა გაეგონაო. იმ ვარირებული „იდუმალი“ ტონით განმსჭვალულიყო „ფანტაზიის“ ყველა ნაწილი — ის ხან საშუალო ხმებში ჩამალულიყო და ხანაც კიდევ „ზედაპირზე“ ამოტივტივებული.

როგორ აფასებდა ამ მუსიკალურ თხზულებას რომანის ავტორი?

„ფანტაზიაში“ XIX საუკუნის გაორებული, რომანტიკული პიროვნების ღრმა და ფაქიზი განცდებია ჩაქსოვილი. მისი ღრმა ფილოსოფიური იდეა არანაკლებ ღრმა ლირიკულ ნაკადთან არის შერწყმულიო.

შუმანს „ფანტაზიაში“ მთელი თავისი ტრაგიკული სული რომ ჩაეტია, ამიტომაც ამ რთული კონცეფციისა და კომპოზიციის მქონე მუსიკალური ნაწარმოების გაგება, ჩაწვდენა და ინტერპრეტაცია არც ახალგაზრდა დამკვრელ ნინოსა და არც იმჟამად დარბაზში მყოფ მსმენელთათვის, თვით სახელგანთქმული მომღერლის — ვანო სარაჯიშვილისათვისაც ადვილი არ გახლდათ.

და რა შეიძლება მოჰყვეს ამ სტრიქონებს?

ისედაც მიხვდებოდით:

მითუფრო მუსიკალურ სმენას სრულიად მოკლებული პლატონ მოგველაძისთვისო.

ამისდა მიუხედავად: როდესაც ნინო დაკვრას დაასრულებდა და დარბაზში ტაში იგრიალებდა, პლატონი თოფნაკრავივით ნამოიჭრებოდა, ნინოს მივარდებოდა, ხელზე აკოცებდა, მადლობას შესწირავდა და შესძახებდა:

— რა ყოფილა ეს ქალი! თქვენ ნამდვილი შემოქმედი ბრძანდებით! მთელი ევროპა მომივლია, ბევრი მსოფლიო ვირტუოზი-

სათვის მომისმენია, მაგრამ ასეთი თავისებური და განუმეორებელი გაგება და ინტერპრეტაცია შუმანის „ფანტაზიისა“ მათ არ ჰქონიათ. თქვენი უპირატესობა თქვენს ინტუიციასა და შთაგონებას უნდა მიეწეროს. მე ვამტკიცებ: თქვენი ინტერპრეტაცია თქვენს მიერ განმეორებული შემოქმედებითი სინთეზით აიხსნება!

ამ სიტყვებზე ნინოს მშობლები სიამოვნებისაგან შაქარივით უნდა დამდნარიყვნენ. მაგრამ აი მოხუც ანტონ ვახეკს — რომელმაც მუსიკის ფასი იცოდა, თვითონაც უკრავდა ვიოლინოზე, და პრაღასა და ვენაში ნაცხოვრებიც გახლდათ — უნდა გაკვირვებოდა პლატონის ამგვარი აღტაცება: გზა-კვალს რად უბნევს როიალზე დამკვრელ, ჯერ კიდევ დამწყებ და გამოუცდელ გოგონასო?!

ვანო სარაჯიშვილი კი საჭირო, გზიან და საფუძვლიან შენიშვნებს გაუზიარებდა ნინოს ზოგიერთი პასაჟისა და ნიუანსის თაობაზე, თემატური მასალის კომპოზიციის, იმ ნაწილებისა, რომელშიაც ზღაპრულ-თხრობითი, ტრიუმფალურ-საზეიმო ხასიათი გამოსჭვივის და ბოლოს ლირიკული სიღრმე, დრამატული სიმძაფრე და მგრძნობელობა — რასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კონსერვატორიის მოწაფისათვის, ვიდრე... ვიდრე დიახ: პლატონის უსაფუძვლო შექებას, რასაც არა ერთი და ორი ახალგაზრდა დაეღუპა და სწორი გზიდან აეცდინა. მაგრამ პლატონი რისი პლატონი უნდა ყოფილიყო, ამგვარებისათვის რაიმე ანგარიში გაეწია.

— მე უფრო ვრცლად მოგახსენებთ ჩემს აღტაცებას, როდესაც სავსე ფიალით შევსვამ თქვენს სადღეგრძელოს, — ამასაც ეტყოდა ნინოს.

— ესეც მალე იქნება, — უნდა დაეძახა პოეტ რაფაელ ახვლედიან-პაოლო იაშვილს.

სასადილო ოთახში გაშლილი სუფრას თავს უნდა დაჰნათოდა ელექტრონის ნათურებით გაჩირაღდნებული ჭაღი. ბროლის ლარნაკები და მაღალყელიანი ჭიქები ათასნაირად რომ ღვიოდნენ და ბრწყინავდნენ, ფაიფურის თეფშების გვერდით ვერცხლის დანა-ჩანგალიხის რგოლში გაყრილი და მაყაშვილთა

გვარის ასოებით — ვენზელებით ნაგვირისტალი, თოვლივით თეთრი ხელსახოცები ჩამორიგებულიყო. დიასახლისი ფულს არა ზოგავდა სარეცხზე. საერთოდ კი იქაურობას სიმდიდრისა და მაღალგემოვნების ბეჭედი ეკრა. სუფრა იშვიათი საუზმით გავსებულიყო. საზეიმოდ და ლხინისათვის გაშლილი უხვი და მდიდრული სუფრის ოქრო-ვერცხლს, მინანქარს, ბროლსა და ფაიფურს ჭერიდან დაშვებული ჭაღი აშუქებდა, ცეცხლს უკიდებდა და ალაპლაპებდა. ფირუზისფერტარიანი, პატარა სადესერტო დანები და ჩანგლები მარაოსავით გადაშლილ ვერცხლის დგამებში იქნებოდა ჩარჭობილი. ბურგუნდიის ღვინოსა და შამპანურზე უფრო საამო კახური ქინძმარაულის, ქართლური ატენურისა და მრავალნაირი მაგარი და ტკბილი სასმელით ჩარაზმული ბოთლებისათვის წითელი და ვარდისფერი, ლალისა და ქარვისფერი ცეცხლი უნდა ყოფილიყო მოკიდებული.

სტუმრები სასადილო ოთახში რომ შელაგდებოდნენ, სუფრას თანამდებობის, საზოგადოებრივი წონისა და ასაკის კვალობაზე შემოუსხდებოდნენ. დამა კავალერს მიჰყვებოდა, ყველაფერი გარკვეულ წესრიგსა და ადათს დაემორჩილებოდა. სუფრის თავში ცარიელი სავარძელი თამადას დაელოდებოდა.

ყველა ღიმილად დაიღვრებოდა და ხმადაბალ საუბარსაც გააბამდნენ, გარდა პლატონ მოგველაძისა, რომელიც მანეკენივით იჯდებოდა. მალე კი ესტატეს უნდა დაეძახა:

— ბატონებო, თამადა ავირჩიოთ, თამადა! — და მაშინვე სხვებსაც აქეთ-იქიდან უნდა შეეშველებინათ: თამადა, თამადაო! — და ცოტა ხნის ჭოჭმანის მერე თამადად... სხვა ვინ — პლატონი აერჩიათ და სავარძელშიც ჩაესვათ. და კიდეც წამოეწყო სადღეგრძელო:

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, პირველი სასმისით ჩვენს მშვენიერ ნინოს მივულოცოთ სახელობის დღე, დღე ქართველთათვის სანუკვარი, შესანიშნავი. ნინოს სახელით ცნობილია წმინდა ასული, ვინც პირველად ქრისტეს რჯული განავრცო ქართლში და წარმართობას გადაამყნა ქრისტიანობა. ნინომ აღმართა მსხმოიარე ჯვარი ვაზისა, ვაზი — სიმბოლო დიონისური თრობის, გზნებისა, და ქალწულური ნაწნავებით დააცხრო ის, პანი

და ქრისტე ქართლში მტრულად არ შემოსულან. ამიტომაც იყო ქართველი კაცის მსოფლშეგრძნება ასკეტური, მისტიკური რწმენისათვის უცხო, ქართველს არა სწამს საიქიო და უკვდავება. ამიტომ სურს წუთისოფელი ხარბად მოსჭამოს. ამის გამო ეტრფის იგი დედამიწას, ვაზსა და პურ-ღვინოს. მაგრამ ევროპამ...

და სიტყვანაკადი ასე უნდა გაგრძელებულიყო:

ევროპამ პირველქმნილი ყოფა მოშალა, გოლიათი ქალაქებით დაჰფინა მიწა და დიდ ბუნებას წინ აღუდგა თავისი კულტურითო.

მაგრამ ევროპას დაეწეოდა ოდესმე ქართლი?

ნუმც დასწეოდა!..

ჩვენ არას გვარგებდა ის ჯოჯოხეთი! დაე ის ვეება ღუმელები, მარტენად თქმული და ბლუმინგები — ჯოჯოხეთი ინდუსტრიისა ცივილიზებული ქვეყნებისათვის დაგველოცა, იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც მსოფლიო ბაზრის ძებნაში ერთმანეთს ომით, მანქანებით ანადგურებდნენ. ბუნების მძლენი საკუთარივე სისხლში ცურავდნენ.

დაე ეცურათ — ჩვენ კი იმ გზით არ უნდა გვეარა!

და მაშ საქართველო ბუნებასა და კულტურას შორის რა გზას უნდა დადგომოდა?

აგვერჩია დაბრუნება მიწასთან.

თორემ უნდა დაგვენახა: საქართველო უფსკრულის პირას, საქანელაზე ქანაობდა და დაკიდებულიყო.

რომანის ავტორს ამჯერადაც უნდა გაეშარჟებინა პლატონის სადღეგრძელო, ნაყოფი მისი უცნაური მეტყველებისა, ნინოს სადღეგრძელო განზე რომ დარჩებოდა.

დაბრუნება მიწასთან გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ფორმულა და მოწოდება გახლდათ, ისევე როგორც ბუნებასა და პირველქმნილებასთან უშუალო, ცოცხალი კავშირის შენარჩუნება. ბოლოსდაბოლოს სხვა რა არის გამოხატული ამ სადღეგრძელოთი, თუ არა, იგივე, რასაც შტეფან ცვაიგი ირწმუნებოდა და ამტკიცებდა „გველის პერანგის“ წინასიტყვაობაში და ევროპას ნიმუშად უდებდა ამ რომანსაც და

იმ ქვეყანასაც, რომლის ენაზეც შექმნილიყო გრიგოლ რობაქიძის ეს ეპიკური ქმნილება — მითოსს მოკლებულ ქვეყნებს მითოსურ სამყაროსთან ხიდის გადებას რომ შეაგონებდა, საამისოდ კი — ინდოეთთან ერთად — ეს ჯერჯერობით უცნობი ქვეყანაც რომ უნდა შეშველებოდათ, უცნობი, მაგრამ უსათუოდ აღმოსაჩენი.

ამასობაში კი პლატონ მოგველაძეს ქართველი კაცის თვისებებზე უნდა დაეწყო ლაპარაკი:

ჩვენ სიკვდილის შიშს თავს ვაღწევდით ბრძოლითა და ლხინით, მიწაზე შრომით. ამიტომაც უხმეს „გეორგია“ საქართველოს უცხოელებმა. ეს ყველა ცხადად გამოსჭვივის ჩვენს სიმღერებში: საშრომ-სალხინო, ძველ სუფრულსა და ჩვენს ლაშქრულში, სადაც მოისმის მისწრაფება დროშებგაშლილი, აბჯარასხმული მებრძოლების ცხენთა თქარუნი. არა. არასოდეს მოკვდება, მწამს, საქართველო! ისევ წინ გვიძღვის ნინოს ჯვარი, ხმალი თამარის... ნება მიბოძეთ, ქალბატონო, მთელი გულით მოგილოცოთ ქალწულის წმინდა ნინოს სახელობის დღეო!..

— გენაცვალე თქმაშია! — უნდა დაეძახა ესტატეს.

ფეხზე წამომდგარ სტუმრებს ბრწყინვალე დღე უნდა მიელოცათ ნინოსათვის, რომელიც იღიმებოდა, ირემივით ყელმოღერებულს შავი თმა ოსტატურად დაეგრაგნა კეფაზე. თმის მორგვს სპილოს ძვლის სავარცხელი უმაგრებდა, რომლის თვალმარგალიტებზე მეტადაც ასულის დიდრონ თვალებს უნდა ებრწყინათ.

ამასობაში გენერალ ჩიჯავაძის სადღეგრძელოს ჯერიც მოაწევდა, პლატონი აქაც რომ მისებურად გალესავდა ენას:

ჯვარი და ხმალი მართლაც მთელი საქართველოა. თუ წინათ ჩვენი გენიოსი ვაჟა ტიროდა: დაჟანგებულხარ, გორდაო, დაგობებია ქარქაში... სადა გყავს შენი პატრონი, დაგაწყებინოს კაშკაშიო?! — ახლა ის ხმალი ქარქაშიდან ამოწვდილია. ჩვენი ბიჭები თურქეთსა და შამქორს იბრძვიანო.

და მოიგონებდა თამარ მეფის ბრწყინვალე ხანას, როს დავით სჯისლანი წარუძღვა ლაშქარს, ეკვეთა ლომებრ და სისხლიანი

შამქორის ომში დაამარცხა ამირა აბუბაქარი. წაართვა მის ჯარს აშუბული მწვანე დროშები. აზერბაიჯანს დაარბია მისი სამეფო, წაართვა განჯა და სულთნის ტახტზე თვითვე დაჯდა.

და სიხარულით მიადევნებდა, რომ:

ეს მოგონება დიდშორეულ წარსულს უკავშირდებოდა. დღეს კი სოსლანის მაგიერს — მამაც პოლკოვნიკ მაღალაშვილსა და აფხაზავას — აბუბაქარის ნაშიერი, მისი ნაცვალი — რაფიბეგოვი სიყვარულით უკავშირდებოდა.

რაო, შამქორის გამო ჩვენი მტრები ბევრს ყაყანებდნენ და სისხლისმსმელებს გვიწოდებდნენ?

გაოცება ვერ დაეფარა პლატონს:

თურმე ნუ იტყვით, თბილისის კარი ურდოთათვის უნდა გაგველოო!..

და წუხილით დასძენდა, რომ:

შამქორის ომში ჩვენ დაგვეკარგა წმინდა გიორგის დიდი ორდენის კავალერი — აფხაზავა სახელგანთქმული, რომელსაც ჰქონდა რაღაც უცნაური, რაც აწვალებს თვითეულ ქართველს: უცხოეთში გაჭრის სურვილი და იქ მოხვეჭა სახელისა, გმირობის ჩენა, როგორც კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს...

და უმატებდა და უმატებდა ყვირილს თამადა:

ეს არის ჩვენი სახელმწიფოს დაშლის შედეგი. ქართველს სურს თავის ხალხს, თავის თავსაც გაექცეს ახლა, დიდსა და ძლიერ სახელმწიფოს მონატრებული. მწამს: ყოველ ქართველს სააკაძის ხატი აწვალებს; მისი მარჯვენის ძალა, ღონე, ხმალი რისხვარი. ეს პრობლემაა და მის გამო მე ტომებსა ვწერო.

და თვალების ბრიალსაც რომ შემატებდა, მისი არტისტული პოზებითა და აწეული ხმით მოჯადოებულ გენერალ ჩიჯავაძეს, კაპიტან მაყაშვილსა და ჯარისკაცებს სამშობლოს მიტოვება, უცხო შორეთში გაჭრა, სახელის მოხვეჭა, გმირული ბრძოლა და იქ სიკვდილი მოსწყურდებოდათ.

კიდევ ბევრს ილაპარაკებდა პლატონი. მთელ თავის ტემპერამენტს, არტისტულ და ორატორულ ნიჭს დახარჯავდა და აქაც, დაგვიანებით, სიტყვის ბოლოს მოაგონდებოდა სადღეგრძელოს მოლოდინში ფეხზე დგომით დაღლილი გენერალი, და

დაიძახებდა: ქართული ლაშქრის სარდალს ვაშა და გამარჯვებაო!..

წარმოთქმული სადღეგრძელოთი დაღლილი პლატონი ახლა მოწყენით იჯდებოდა და გაშტერებული თვალებით დააცქერდებოდა თეფშს. ვერავინ იტყოდა: ღვინო მოერიაო. მთვრალი არ გახლდათ, ეგაა დაუსრულებელ ლაპარაკს — სადღეგრძელოებს დაეღალა და დაექანცა. იგი ხომ თვითვე ექცეოდა ხოლმე ლოგიკურ აზრს მოკლებული თავისივე სიტყვების ჰიპნოზში და უმიზეზო, ნაპირგადასულ ეგზალტაციაში, აღგზნებაში ვარდებოდა.

აქ სულაც არ მოთავდებოდა პლატონის ენამზეობის გაკილვა-გაბიაბრუება:

ხშირი ორატორობა, გაცვეთილი სიტყვისა და მოსაზრების მრავალჯერ განმეორება გონივრულ და ზნეობრივ დაშრეტას იწვევდა. ორატორი დიდ სიცარიელეს გრძნობდა, ჩლუნგდებოდა და ძველი საზანდარივით ცვდებოდა, რადგანაც სათქმელი წამისა ჰქონდა, ხოლო საათობით იჭაჭებოდა. ამიტომაც იჯდა დაქანცული, მოწყენილი, უაზროდ თვალებგაშტერებულიო.

რომანის ავტორის სათქმელს აწ უკვე პერსონაჟებიც იტყოდნენ.

— საკვირველი კაცია ეს მოგველაძე. ვერ გაიგებ რა უნდა თქვას, რას ეტრფის, რა სწამს, — უჩურჩულებდა ვექილი ქარცივაძე დირექტორს დათა მიქელაძეს, რომელიც მიუგებდა:

— ალაგ-ალაგ საინტერესო და სწორ მოსაზრებებს აყენებს, მერმე ერთბაშად აურევს. ხან ევროპის კულტურას და ცივილიზაციას იცავს, ეპოტინება, და ხან კიდევ — სოფლურ ყოფას. ხან ოპტიმისტია და ხანაც პესიმისტი. ხან ქრისტეს რელიგიას ეტრფის და ხან კიდევ წარმართობას...

— ერთი გარკვეული თვალსაზრისი და მსოფლმხედველობა არ გააჩნია, — ისევ უჩურჩულებდა ვექილი ქარცივაძე დათას, რომელიც გაიღიმებდა და ეტყოდა:

— დეკადენტი პოეტია. გარკვეული მსოფლმხედველობა და მრწამსი საიდან ექნება?

რაფაელ ახვლედიანი ყურს მოჰკრავდა მათ საუბარს და აღენთებოდა:

— თქვენი აზრით, დეკადენტს პოეტს თვალსაზრისი და მსოფლმხედველობა არ გააჩნია? ახირებული მსჯელობაა. ბოდლერისა და ნიცშეს ცოდნასა და ფილოსოფიას ყველა ქვეყნის ფილისტერები ვერ გადაწონიან. ერთი გარკვეული მსოფლმხედველობა — დოგმატიზმი ჩვენ, პოეტებს, თქვენთვის დაგვითმია. ჩვენ პოლიტიკური მოღვაწეები და პროპაგანდისტები არ გახლავართ და არც სახარების მქადაგებელი ხუცები.

კამათი ისე გამწვავდებოდა, პლატონი თავს ასწევდა და სუფრას წესრიგისაკენ მოუწოდებდა.

რაფაელი პასუხად გასძახებდა: ბატონო პლატონ, ჩემი ბრალი არ არის. აქ პოეტებს დასცინიანო!..

პლატონი დაძაბულ ატმოსფეროს ოხუნჯობით გაფანტავდა:

— რაფაელ, დაწყნარდი, თორემ მე და თქვენ ისევე გაგვაძევებენ ამ სუფრიდან, როგორც ფილოსოფოსმა პლატონმა გააძევა პოეტები თავისი სახელმწიფოდან.

ესტატე მაყაშვილი გადაიხარხარებდა, მას სხვებიც აჰყვებოდნენ და კვლავ გაჩაღდებოდა ლხინი, ისევ გაგრძელდებოდა ჭამა-სმა, სიმღერა და ცეკვა-თამაში.

სხვა ეპიზოდში კორნელი მხეიძე „სალამბოს“ კითხვას უნდა ამთავრებდეს, გუსტავ ფლობერის ამ რომანის უკანასკნელ თავს — „მატო“ — ჩაჰყურებდეს და ჯარისკაცებს ასმენინებდეს და მძაფრადაც განაცდევინებდეს გახურებული შანთებითა და ჯაჭვების ცემით კართაგენის მხედართმთავრის მატოს წამებას, და როდესაც ცოცხალ-მკვდარი მატო საყვარელი ქალის, სალამბოს ფერხთით დაეცემოდა, მოგვი შაგაბარიმი მკერდს გაუპობდა, გულს ამოგლეჯდა და ჩამავალ მზეს უჩვენებდა, მსმენელები უნდა აღელვებულიყვნენ, — ჯადოქარი მწერლის მხატვრულ ძალას მაგიური გავლენა მოეხდინა მათზე და წამებული მხედართმთავრის სახე სულსა და გულში სამუდამოდაც აღბეჭდვოდათ.

გრიგოლ ცაგურიშვილი, ანუ მეგრალიშვილი, უნდა აჩურჩულებულიყო და ჩურჩულით თქმული დალეული ფანქრით უბის წიგნაკში ჩაეწერა, საღამოს კი მეგობრებს აღტაცებით მოესმინათ მისი ახალი ლექსი, რომელიც ასე ბოლოვდებოდა:

ჰო, ჰამილკარის ქალო, სალამბო, შენს ფერხთით ვკვდები მე ბარბაროსი. გულს შემომედო, როგორც მალამო, გველი, პიფონის შხამი, ქაოსი, შხამი ძარღვების გაპობას ლამობს, თვალებს მიბრმავებს ღამე უკუნი, მიყვარდა წუთზე უფრო საამო უნდო უდაბნოს უცხო გუგუნიო.

კორნელი წამოხტებოდა და მთრთოლვარე მეგობარს გადაეხვეოდა. ხოლო გმირის დაღუპვის მიზეზად გრიგოლ ცაგურიშვილი ქალსა და ცთუნებას რომ მიიჩნევდა, ასეთ შეხედულებას სავსებით იზიარებდა პლატონ მოგველაძეც.

ლექსს რომ მოიწონებდა: ღირსშესანიშნავიაო, — ჭაბუკი პოეტის მეგობრებს ამასაც ეტყოდა:

მართლაც ქალი სიმბოლოა გულგრილი ბუნებისა, მამაკაცი კი ქალის ანტიპოდია. იგი აქტიურია — ინდივიდუალური სწრაფვის, გონების, ნებისა და გმირობის სათავე, ქალი კი პასიურია. კულტურა შექმნილია მამაკაცის მიერ. ეს ორი ძალა: პასიური და აქტიური — ბუნება და კულტურა, ანუ დიონისური და აპოლონური საწყისი, საუკუნეთა მანძილზე ებრძვიან ერთმანეთს, ამ ბრძოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორია დასაბამიდან დღევანდლამდე. ეროტის შხამიანი ისრით დაიღუპნენ ყველა ქვეყნის გმირები: აქილევსი — ჰიმპილეს, ჰერაკლე — დეამინეს, ზიგფრიდი — კრიმჰილდეს და მატო — სალამბოს მიერო...

როგორ ესმოდა ჰამლეტის სიტყვები: — და სასახელო ძლიერ საქმეთ, დიდად განზრახულთ წინ ეღობება... ოფელია?

როგორ და... სწორედაც ისე, როგორც ვაჟური და ქალური საწყისის ბრძოლა.

ვაჟა-ფშაველას — ჩვენს ბუმბერაზ პოეტად რომ მოიხსენიებდა — „გველის-მჭამელის" გმირი მინდიაც მზიას გამო გახდებოდა „უგერგილოდ და ყროლადა", „დაცარიელდებოდა ცოდნითა" და დაიღუპებოდა. ეს „ვაჟური" და „ქალური" საწყისი ფრიად საგულისხმო გახლდათ ამ პოემაში. ვაჟური — გმირული საწყისის გათვალისწინების მერე სულ სხვაგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა თვითონ ფშაველი პოეტის ფსევდონიმსაც — „ვაჟა".

და ისე როგორ იქნებოდა, დატრაბახებითაც არ დაეტრაბახა: მე ამ საკითხზე დიდ შრომას ვწერო.

კორნელი არ იზიარებდა პლატონის „ფილოსოფიას“ და სალამბოს ტრაგედიას — როგორც ბოლშევიკური მსოფლმხედველობის ახალგაზრდა — ხედავდა კართაგენში გამეფებული რელიგიის სიმკაცრესა და ადამიანზე მის ულმობელ ბატონობაში.

ჯარის ნაწილს ესტატე მაყაშვილი რომ ესტუმრებოდა ცოლშვილთან ერთად, ვარდო გაიკვირვებდა: ყაზარმაში მუსიკოსებიც ყოფილანო, — და კაპიტანი ამცნობდა, რომ ყველა ჯურის ხალხი ჰაყვდათ: მუსიკოსებიც, პოეტებიც, ფილოსოფოსებიც, ექიმებიც, ქიმიკოსებიც ინჟინრებიც, ვექილებიც... ის კი არა, ვეღარც გაეგოთ, ყაზარმა იყო ეს, კონსერვატორია, უნივერსიტეტი თუ მწერალთა კლუბი.

ერთ-ერთი ჯარისკაცი, დათა კაჭკაჭიშვილი მწერალს ასე უნდა დაეხასიათებინა: მას — პლატონ მოგველაძესავით — დაუსრულებელი ლაპარაკი, ორატორობა, ფრანგული რომანების კითხვა, ფილოსოფიისა და ხელოვნების ცოდნით კვეხნა და ბაქიაობა უყვარდაო. და ახლა მაყაშვილებს ფრანგულად რომ გაუბამდათ საუბარს, მისი ფრანგული ჟღურტული უჩვეულოდ გაისმოდა ყაზარმაში.

ოფიცრები და ჯარისკაცები ნიშანში ამოიღებდნენ ნინოს, რომელსაც ძალიან შვენოდა შავი ბეწვის პალტო და ასეთივე ქუდი. და დათა ერთ ფრანგულ ნოველაზე აღტაცებით რომ ალაპარაკდებოდა, ნინო აღელდებოდა და ისე განიცდიდა სიუჟეტს, მთელი არსებით, თითქოს იქ მოყოლილი ამბავი გუშინ მომხდარიყოს, და იქ მოქმედი პირი, უარყოფილი სიყვარულის გამო გაუბედურებული ქალი, ნინოს საყვარელი მეგობარი ყოფილიყოს და ნამდვილად გუშინ განეტევებინოს სული.

ნინოს თავლაში რომ შეიყვანდნენ და ცხენებს დაათვალიერებინებდნენ, იგი გაბედულად მივიდოდა „გიაურთან“, კისერზე ხელებს შემოხვევდა და შუბლსა და ქოჩორზეც გადაუსვამდა, რითაც ძლიერ გააოცებდა კაპიტანს: საკვირველია! გიაური ჩემს გარდა არავის იკარებსო, — ესტატე კი მშვი-

დად განუცხადებდა ყველას, რომ: ნინო კარგი მხედარი გახლდათ, პაპას ჰგავდა, მხნე მეომარსა და განთქმულ მხედარს, გაგიჟებით რომ უყვარდა ცხენები და ეს სიყვარული ახლა შვილიშვილში გადმოსულიყო.

სხვა ეპიზოდში კორნელი მხეიძე ნინო მაყაშვილის საწერ მაგიდას რომ დახედავდა, მის რვეულსაც გადაფურცლავდა, შიგ ესთეტიკაზე წაკითხული ლექცია რომ ჩაეწერა ნინოს, რომელიც ქალთა უმაღლეს კურსებზე დაიარებოდა. აღმოჩნდებოდა, რომ: ამ საგანს პლატონ მოგველაძე უკითხავდათ, ლექციებს კი ეტყობოდა, რომ ლექტორი პოეტი გახლდათ.

— მე წავიკითხე ამას წინათ დაბეჭდილი ერთი მისი გრძელი ლექსი, აბდაუბდა. სავსებით ამჩატებულა ხანში შესული კაცი, — შენიშნავდა კორნელი, რის პასუხადაც:

— იგი უცნაური კაცია. მსმენელნი არტისტს ეძახიან, ჰალსტუხზე მარგალიტის ქინძისთავს იკეთებს. მუდამ ახალი და დაუთოებული კოსტიუმი აცვია.

— სულიცა და გულიც იმ ტანისამოსივით აქვს დაუთოვებული, — ისევ გესლიანად შენიშნავდა კორნელი, — როგორ კითხულობს ლექციებს რუსულ უმაღლეს კურსებზე, როდესაც რუსული არ იცის?

ამაზე კი ნინო არ დაეთანხმებოდა:

— არა, მართალია რუსული ღალატობს, საშინელი გამოთქმა აქვს, მაგრამ მაინც საინტერესოა.

პერსონაჟ მარო მაყაშვილს ორი თაყვანისმცემელი ჰყავს: ერთი გამოუცდელი და ჯერ მერყევი ჭაბუკი — კორნელი მხეიძე, მეორე კი გამოცდილი, ნიღბოსანი მამაკაცი — პლატონ მოგველაძე. პირველი უყვარდა ქალს, და... მეორე? ამ კითხვაზე პასუხი ვერ გაეცა.

სხვა ეპიზოდში სოფელ კარისმერეთში რომ სტუმრობენ კორნელიც და ნინოც იონა ჩხეიძეს, ნინო პიანინოზე დაუკრავდა ბეთჰოვენის „მთვარის სონატას“, რომელიც მუსიკის ხელოვნების მოტრფიალე იონა ასე შეუფასებდა:

ნინო შესანიშნავად უკრავდა, მაგრამ ბუნებამაც ხელი შეგვიწყო ამ ნაწარმოების ღრმა ათვისებაში. ეს კარისმერეთის ამ

მყუდრო, წყნარ და მთვარიან ღამეს უნდა ვუმადლოდეთ. მუსიკის ასეთნაირი აღქმა ქალაქში შეუძლებელიაო!..

ერთ-ერთი სტუმარი ჩოლოქის ბრძოლაზე რომ ალაპარაკდებოდა: იქ თურქები საგრძნობლად დაზარალდნენ, ჭერეხებივით ეყარნენ ასკერები ბრძოლის ველზეო, — დასძენდა, რომ: სადგურ სუფსაზე ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძეც ენახა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ესტატე თბილისს წასულიყო, ხოლო პლატონი — კარისმერეთის მახლობელ სოფელში, მშობლებთან.

იონა პლატონის მეგობარი გახლდათ და მის ნიჭსა და ცოდნას დიდად აფასებდა. ამიტომაც ფილოსოფიასა და ხელოვნებაზე ქუთაისში გამართული მისი არცერთი ლექცია არ გამოეტოვებინა. პლატონი რამდენჯერმე სწვეოდა იონას, რომელსაც თავი მოსწონდა ასეთი „დიდი“ ქართველი ინტელიგენტის სტუმრობით და ახლაც საგანგებოდ გაუგზავნიდა წერილს. ესტატე მაყაშვილი ამ ოთხ დღეში უნდა ჩამოსულიყო და იონაც ამ დღისათვის ეპატიჟებოდა პლატონს, რომელიც მოიწერებოდა: დაამზადე ალისფერი ღვინო, ჩვენ რომ „ერეკლე მეორე“ ვუწოდეთ! ძრწოდეთ: ღვინის სმაში ყველას დაგჯაბნითო!.. უცნაური ოტია მდივნის მონახულებასაც ესწრაფოდა: ჰომეროსის მოხუც გმირებს მაგონებსო!.. საერთოდ კი მოელოდა წრეგასულ ლხინს ქართველთა, ხანისწყალს კი უნდა განებანა ყველა სტუმარი პოეზიის სუფთა და ანკარა ტალღებით!..

იონა სიხარულს რომ გამოთქვამდა სტეფანე მხეიძესთან, კორნელის ძმასთან: კიდევ კარგი, შენ რომ აქ დაუხვდები. ხომ იცი რა განათლებული კაცია და შენთან საუბარი ესიამოვნებაო, — ის სიტყვას მოუჭრიდა:

ცოდნა აქვს, მაგრამ ყოველგვარი სისტემისა და მეთოდის გარეშე. და ეს იმიტომ, რომ არ მიუღია მტკიცე ფილოლოგიური განათლებაო.

გაიოცებდა იონა, ანკი სხვა ვინ დაუჯერებდა სტეფანეს, თითქოს პლატონს განათლება ჰკლებოდეს... მაგრამ სტეფანე თავისაზე დადგებოდა:

დაუჯერებელი არაფერია, რადგანაც იგი ყოფილი სემინარიელია, მერე იურევის მეორეხარისხოვანი უნივერსიტეტის იური-

დიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ისეთი სკოლა, როგორიც მე გავიარე ფილოსოფიისა და ლიტერატურის პროფესორებთან, მას არც კი დასიზმრებიაო.

კი მაგრამ... პლატონს ბოლოს გერმანიაში რომ დაემთავრებინა უნივერსიტეტი?

სტეფანეს რა გადაარწმუნებდა:

გერმანიაში სამონყალოდ მოუწერეს ხელი დიპლომზე და მაშინვე შინ გამოისტუმრეს, როგორც ჩვეულებრივ ისტუმრებენ ხოლმე ჩამორჩენილი ქვეყნების, შავკანიან და ყვითელკანიან მსმენელებს ევროპიდანო.

იონაც რომ არ დაუთმობდა:

აი ჩამოვა ის კაცი და ვნახოთ რომელი აჯობებთ კამათშიო.

არც ის შეეპუებოდა:

როგორ ვეკამათო ისეთ ადამიანს, რომელიც მაგალითად სერიოზულად ამტკიცებს: რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა და მიმართულება, ფილოლოგების მოჭორილი ამბავიაო?

— ტყუილად აძაგებ პლატონს: იგი დიდი ინტელიგენტია, ფილოსოფიურად განსწავლული ადამიანი, პოეტი, ესთეტიკოსი და ორატორი, შენ კი ვინ გიცნობს? — შეუტევდა იონა.

— ის შენისთანა პროვინციელებს ატყუებს და აჯადოებს. არც მინდა პლატონისთანა ლათაიებით გავდიოდე ფონს და ასე მიცნობდნენ, — მიუგებდა სტეფანე, რომელსაც კორნელიც დაუჭერდა მხარს:

— მე თვითონ გახლავართ მოწმე: პლატონის ცოდნა ქართული პოეზიისა და ბერძნული ლიტერატურის დარგში ხუთი ლექციით ამოიწურა. მისი ყალბი სტილი ამ წერილიდანაც ჩანს. ცხენზე ჯდომა მე ვასწავლე საცოდავს, ბატარეაში, და აქ კი იკვეხნის: თავს დაგესხმით ჩერქეზული ბედაურითო. წარმომიდგენია, რა ყალბი იქნება შენდამი მოძღვნილი ლექსი!

და აქ ტერეზა უნდა ჩარეულიყო და შვილები გაეკილა:

იონა, განგებ გაბრაზებენ, თორემ პლატონ მოგველაძე რომ დიდი და განათლებული კაცია, ეს თვითონაც კარგად იციანო, — და სტეფანეს წაკრავდა ქიმუნჯს: შენ არ იყავი, კარისმერე-

თიდან რომ ქუდმოგლეჯილი გარბოდი ქუთაისში მოგველაძის ლექციებზეო?

ის დღეც უნდა დამდგარიყო, როდესაც იონას ეზოში პლატონ მოგველაძე შემოაჯირითებდა ცხენს, ეცმეოდა საზაფხულო, ნაცრისფერი ფრენჩი, გალიფე და გერმანული გამაშები, თავზე ჭილის ქუდი ეხურებოდა, ეკიდებოდა ტყავის ბუდეში ჩაგებული ცეისის ბინოკლი. გაპარსვითაც გაეპარსა. ერთი სიტყვით პლატონ მოგველაძე სათავგადასავლო რომანის გმირს ემგვანებოდა.

— კარისმერეთი ნამდვილი აგარაკია. უკვე დაგტყობიათ აქ ყოფნა, — ეტყოდა ვარდოსა და ნინოს, რომელსაც რამდენიმე ქათინაურითაც გაუმასპინძლდებოდა. ესტატეს კი თბილისის ამბებს გამოჰკითხავდა.

როდესაც მასპინძელი ეტყოდა: სტეფანეს შენზე უფრო ნასწავლ და ფილოლოგიის მცოდნედ მოაქვს თავი და კამათში შენი დამარცხება არ ეეჭვებაო, — პლატონს, რომელსაც ზეკაცად მოჰქონდა თავი, ეწყინებოდა გატოლება მოკვდავ, ჩვეულებრივ მასწავლებელთან. მაგრამ მაინც მოუწევდა პაექრობა რომანტიზმის თაობაზე, როდესაც განაცხადებდა:

ეს ცნება შეიცავს მეტისმეტად გაურკვეველ და მრავალნაირ ლიტერატურულ მოვლენასო.

რაო, სტეფანე გარკვეულად მიიჩნევდა?

არა და არა, რადგანაც, — პლატონის მტკიცე რწმენით, —რომანტიზმი, ისევე როგორც რეალიზმი და ნატურალიზმი, შემადგენელი ელემენტები გახლდათ იმ დიდი და ერთადერთი მარადიული სკოლისა, სიმბოლიზმი რომ ეწოდებოდა. აქ ეპოქები, ეკონომიკური და სოციალური ვითარებანი არაფერ შუაში იყო. არსებობდნენ გენიოსი და უნიჭო პოეტები და პროზაიკოსები, რომელთაგან ერთნი კარგად წერდნენ და მეორენი — ცუდად. ესქილეც, შექსპირიც, გოეთეც, ბოდლერიც სიმბოლისტები გახლდნენ, ვინაიდან რეალურ სინამდვილესა და წარმავალ მოვლენებში ზერეალურსა და წარუვალს ჭვრეტდნენ. განა გოეთე არ ამბობდა „ფაუსტში“: ყოველივე წარმავალი სიმბოლო არის მხოლოდო... იგულისხმებოდა სიმბოლო წარუვალისა.

და სტეფანე რომ წაედავებოდა:

რა უცნაური რამ ყოფილა ეგ სიმბოლიზმი, ყველა ლიტერატურული მიმდინარეობა რომ ზღვასავით შეუსრუტავს! ვთქვათ ეგრეცაა, მაგრამ ლიტერატურის ისტორიისათვის „კარგი" და „ცუდი" განა ერთნაირად ღირებული არ არისო?

პლატონს ღიმილით უნდა მიეგო:

ეგ თქვენი საქმეა: მკვლევართა, კრიტიკოსთა და პედაგოგთაო.

კამათი დიდხანს რომ გაგრძელდებოდა, იონა აღფრთოვანებული დარჩებოდა, რადგანაც ინტელიგენტთა „ბრძნულ" პაექრობას ისმენდა, სტეფანე კი დარწმუნდებოდა, რომ: საქმე ჰქონდა დამთავრებულ სიმბოლისტთან, დეკადენტთან, პარადოქსების მოყვარულ ადამიანთან. ხოლო პლატონისათვის სტეფანე წარმოდგებოდა მცოდნე ფილოლოგად, რომელიც ტრადიციულ კვლევასა და ლიტერატურის ქრესტომათიულ კურსს ვერ გაშორებოდა.

ვარდო და ნინო კამათის მხოლოდ გარეგნულ მხარეს რომ მიაქცევდნენ ყურადღებას, პლატონ მოგველაძის არტისტული ქცევა ამჯერადაც მოაჯადოვებდათ.

პლატონი „ზეკაცის" მსგავსად იჯდებოდა, სახის კუნთები დაეძაბა და შუქიანი თვალებით გაჰყურებდა შორეულ ქედებს, თითქოს მიუწვდომელსა და მოუთხრობელზე ფიქრობსო. მერე ბინოკლს მოითხოვდა და იონას ეტყოდა:

— რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთები ჩემი ეზოდან უკეთ მოჩანს.

სასეირნოდ წასულები უხსენებელს რომ გადააწყდებოდნენ, ნინო ცუდად გახდებოდა, მიწის ფერი დაედებოდა, ლამის გული შეუღონდებოდა და ატირებული ბავშვივით მიეხუტებოდა დედას. პლატონი კი სალაპარაკო მასალას იშოვნიდა:

გველის სახით მოვიდა ცთუნება ამქვეყნად. ის ცთუნების, სიბრძნისა და მიჯნურობის სიმბოლოა. გველის შხამით მოწამლული ისრით განგმირა ჰერაკლემ კენტავრი ნესი და თვითონაც ამავე შხამით მოწამლული დაიღუპა. ლემნოსის კუნძულის მოგვ ქალთან ალერსისა და ცთუნების ჟამს მოშხამა ყვავილნა-

რიდან გამოცურებულმა გველმა ფილოქტეტე, რომელზეც სოფოკლე იტყოდა: შენ უბედობა გარგუნა ღმერთმა — იგემე ერისეს შინაბუნების გუშაგი გველიო. გაიხსენეთ კლეოპატრა, რომელმაც უცნაური სიკვდილი ისურვა უარყოფილი სიყვარულის გამო: შიშველი ძუძუსთავი მოალერსე გველს დააკბენინა. მუსიკით გრძნეული გველის — პითონის მაგარ სალტეებში განიცდიდა უტკბილეს ვნებათაღელვას კართაგენის მხედართმთავრის ასული სალამბოც... გაიხსენეთ გველის ჭამით გამეცნიერებული მინდიაცო...

და აღარა და აღარ დაამთავრებდა ამ უცნაურ ლაპარაკს.

ხოლო როდესაც იონას ოთახში შევიდოდა, მასპინძელი კუთხეში აყუდებულ გრძელ ყავარჯენს აიღებდა და მის ბოლოს ადამიანის თავის ქალას ქვედა ყბის ძვალზე დააჭერდა, რითაც ქალა ხან დახურავდა ხახას და ხანაც გააღებდა, შეძრწუნებული პლატონი ოთახიდან რომ გავარდებოდა, იონა დაადევნებდა: ზეკაცი ვარო, რომ გაიძახი, აი შეხედე, ზეკაცის ბოლო ეს არისო.

და შეკითხვაზე: რად გინდა ოთახში თავის ქალაო, — უნდა მიეგო: ყოველთვის რომ მახსოვდეს ადამიანის ცხოვრების ამაოებაო, — და მერე საუბარს ირანელი ლირიკოსების — ომარ ხაიამისა და საადის — ლექსებსა და შექსპირის „ჰამლეტში“ გამოთქმულ ამაოებაზე ჩამოაგდებდა. და ხაიამის იმ რობაის რომ გაიხსენებდა: შეჩერდი, ფრთხილად დააბიჯე ფეხი დედამიწას! ვინ იცის: ეს მტვერი შენს ფეხთა ტერფებქვეშ იქნებ მზეთუნახავის ნეშტისა და წარმტაც თვალთა წილიაო, — პლატონს აღტაცებით უნდა დაეძახა:

— როგორი დაწვრილებული და სწორუპოვარი ხატოვანებით წერდნენ ირანელი პოეტები! — და მოეშველიებინა გოეთეს ცნობილი აზრი ირანელ ლირიკოსებზე.

მერე იონა მიხაილ ლერმონტოვის ლექსის — „ანგელოზი“ — თარგმანს რომ წააკითხებდა, მასპინძელი უნდა გაეოცებინა პლატონისეულ მსჯელობას:

ჩინებული ლექსია, ქერუბიმთა გალობის მსგავსად ამეტყველებული, თითქოს არფათა შორეული ჰანგები მოისმოდეს ციდან, მაგრამ მე არა ვარ ასეთი პოეზიის მოტრფიალე. კაეშნითა

და ცრემლით სავსე ქვეყნის გმობა, ასკეტიზმი, სხეულის დათრგუნვა და მის ნაცვლად სულისათვის ცხოვრების მინიჭება არ ეგუება ქართველი კაცის ბუნებას. ქართველი წარმართია. ძველბერძენთა კულტურის გავლენა დიდი იყო ჩვენზე. მიწის სჯულსა და წარმართობას უფრო მძლავრად უდგას ფესვები ქართველობაში, ვიდრე ქრისტიანობას. შენდამი მოძღვნილი ლექსი სწორედ ამ გაგებით მაქვს დაწერილიო.

შემდეგ კი, როდესაც პლატონი ესტატე მაყაშვილსა და მის ოჯახს შეაქებდა, იონა გაიღიმებდა: მე რომ შენი ამბავი ვიცი, ნინოს არ მოეშვებიო! — მაგრამ სტუმარი იწყენდა: რას ამბობ, ნინოს მიჯნური ხომ კორნელიაო? — და დასძენდა:

— რამდენჯერ უნდა დაიდაგოს ის საცოდავი ჭაბუკი, ვიდრე შეიგნებდეს, რომ ქალები არ არიან ღირსნი მამაკაცთაგან მაღალი სიყვარულისა. გაიარს ჟამი და ეგ თავდათრობა და ყმაწვილკაცური აღტაცება, სასოება და საცთური ოცნება განქრება.

— დემონიც კი მიჯნურობაში ეძიებდა შეძრწუნებული სიმშვიდეს და შენ რაღა მოგივიდა? — ჰკითხავდა იონა და ურჩევდა, — მოეკიდა ოჯახს. მაშინ შენი პესიმიზმი, დეკადენტობა, უიმედობა და ახირება გაქრება. დამიჯერე: უცოლობამ ახირება იცის კაცისა... რა ვუყოთ, რომ სიჭაბუკის მიჯნურობა გაგიცრუვდა!

პლატონი შეატყობდა, იონა სერიოზული საუბრისას ოხუნჯობას რომ შეაპარებდა, და მიუგებდა: სოფელში დასვენებული ვარ. ქალი მენატრება, ჩვენებური სოფლის გოგონა, ევროპის კულტურით გაურყვნელი, ბუნების შვილიო, — რის პასუხადაც მასპინძელი გაიცინებდა მხოლოდ, ეს ბებერი სატირი, როგორც პლატონი უწოდებდა.

სხვა ეპიზოდში პლატონს სურო, ასკილი, კურკანტელი და ფითრი უნდა მოეწყვიტა, ნინოსათვის მიერთმია და ეთქვა: მენადები ამით ირთავდნენ თავსო.

ხოლო როდესაც ოტია მდივნის ოჯახშიც გაიშლებოდა სუფრა, იონა სხვას რას ურჩევდა მასპინძელს, თუ არა: პლატონი განთქმული თამადაა, დიდებული მოლაპარაკე და ოქროპირიო.

და პლატონი მასპინძლის მშობლებს რომ გაიხსენებდა პირველი სასმისით, დარეჯანის ღირსებად გააცნობდა სტუმრებს

იმ უნარს, „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენს სახარებად ქცეული, ზეპირად რომ იცოდა. მერე კი გვარის გაგრძელებასა და მის უკვდავებაზე ილაპარაკებდა.

დიასახლისს კი კოლხეთის მზეთუნახავ ასულს — მედეას შეადარებდა:

— მედეამ იცის ტრფობაც და არწივის თვალების ცივი სიშორეც, მისმა ხელმა იცის ალერსი და ვეფხის ტოტების საშინელი ბრჭყალების ჩვენებაც. სიამით სავსე ბაგე შესაძლოა მეორე წუთში შხამით აღსავსე გაპობილ ბროწეულად გეჩვენოს. ორმაგია იგი, ვით ამორძალი პენთესილე, აქილევსის დასაღუპავად რომ ჰქონდა აწვდილი ძუძუ.

— ყურში სანთელი ჩაისხი, თორემ უთუოდ მოგაჯადოვებს და ცუდად წავა საქმე, — გასძახებდა იონა ბაბოს.

მერე პლატონი თამარ მეფეს შეადარებდა დიასახლისს — შეამკობდა, თავბრუს დახვევდა, ნინოს კი კვლავ წმინდა ნინოს ხატსა და ბოტიჩელის მგალობელ ანგელოსებს გაუიგივებდა, უნაზეს და უსპეტაკეს შროშანებივით რომ მოეღერებინათ ყელი და თვისი ფერმკრთალი სახე ცისაკენ აეწვდინათ.

ერთი შურისძიების ამბავს რომ გაიხსენებდნენ და ხმლის ხმარების ოსტატობაზეც ისაუბრებდნენ, ადვილად მიხვდებით, მუსაიფში პლატონი მისებურად რომ ჩაერეოდა:

ხმალი განა ყველას უნდა ერტყას! ხმლისა და სატევრის ხმარებას თავისი წესები აქვს. ბევრს ალა-ალა ჰგონია. საქართველოში ხმლისა და სატევრის გარშემო მთელი რიტუალებია შექმნილი. მე ამის გამო გამოკვლევასა ვწერო.

მერე სტუმრებს წაუკითხავდა იონასადმი მიძღვნილ ლექსს, ადრესატს რომ მოეჩვენებოდა, თითქოს პლატონის თვალები შუქს ისროდნენ და ეს შუქი აჯამეთის ტყემდე და ალისფერი ცის დასავლამდე აღწევდა. კორნელის კი ნინოსათვის უნდა ეჩურჩულა: რა პროვინციელი, რა გულუბრყვილო და მიამიტი კაცია ეს ჩვენი მოხუცი იონა! ეს აბდაუბდა, ოჩოფეხებზე შემდგარი ლექსი რამ მოაწონაო?..

ბაბო ლეკურს რომ დაუკრავდა, აღტაცებული პლატონი უნდა წამომხტარიყო, წრე შემოევლო, ფეხები გაესვა და ბაბოს წინ

გაჩერებულიყო. ქალიც წამოჭრილიყო, დაირა მაღლა აეტაცა, წელში გაზნექილიყო და ტანის ლამაზი მიმოტარებით აეგრიალებინა მაღლა აზიდული დაირა, თანაც წარმტაცად ეცეკვა. პლატონიც ანთებულიყო, საოცარი სისწრაფით გაესვა ფეხი, ფეხი ფეხისათვის გადაეჯვარებინა, ერთურთისათვის ეკვანტებინა, რიტმი არეოდა. რომანის ავტორი ცინიკური ჩაღიმებით: ყველაფერს რომ ჰგავდა მისი ცეკვა — ველურ ტომთა სიმბოლურ როკვას კოცონის გარშემო, ექსტაზში ჩავარდნილი ბაკხების შაბაშს, ყველაფერს, გარდა... ქართული ცეკვისა.

თუმც ცეკვის დასრულებისას პლატონს სუფრისათვის მედიდურად უნდა გადაეხედა და დაეძახა:

ადექით, ყველამ იცეკვეთ! ცრუობს ის ქართველი, ვინც იძახის, ცეკვა არ ვიციო! არცერთი ტომის ადამიანში არა ცნაურდება ასე ძლიერად დიონისური თავდავიწყება, ექსტაზი, ბაკხური გზნება და გაქანება, როგორც ქართველშიო!..

სხვა ეპიზოდში წინაპართა და მშობელთა ქება-დიდებას რომ მოჰყვებოდნენ, როგორც ბევრს სჩვეოდა, ესენიც მეფეთა და წარჩინებულ პირთა შთამომავლებად გაასაღებდნენ თავს. და ამიტომაც: ვარდი ერეკლე მეფისა და ილია ჭავჭავაძის ნათესავი აღმოჩნდებოდა, ტერეზა — სოლომონ მეფისა, პლატონ მოგველაძე კი — გაბრიელ ეპისკოპოსისა...

მერე პლატონს უნდა განეცხადებინა: თვალის მსგავსი ადამიანს არა გააჩნია რაო! — და ეს იმიტომ, რომ ვერც ქვეყანას აღიქვამდით და შევიცნობდით უიმისოდ და ვერც ჩვენს განცდას, აზრს, სიყვარულის გრძნობას გადავცემდით ერთმანეთს. თვალის მეშვეობით ვწვდებოდით სილამაზესაც. და მოიხმობდა გოეთეს ერთ ელეგიას: განა ყველაზე უკეთ მაშინ არა ვწვდები სილამაზეს, როდესაც ლამაზი ასულის აღნაგობას თვალხილული ხელით ვსინჯავო?!.

და იონა რომ გაიცინებდა და იყვირებდა: არცერთი წესიერი გოგონა არ დაუშვებს, რომ პოეტი თვალხილული ხელით შეეხოს მის სხეულსო, — და სიცილ-ხარხარი ატყდებოდა, პლატონი იწყენდა: მე ესთეტიკურ საკითხებზე, სილამაზის ცნებაზე მოგახსენებ, შენ კი ყველაფერი ოხუნჯობამდე დაგყავს და ამასხრებო.

ის თავს იმართლებდა: განზრახ ვლაპარაკობ ასე. მინდა ციდან მიწაზე დაეშვა, სადაც ტალახი, კამეჩის განავალი, ნეხვიც შეგხვდება, მაგრამ იცი, ცხოველთა და ფრინველთა ის ნეხვი, სკორე სოფლად მომუშავეებს ხანდახან ოქროს ფასადაც გვიღირსო.

— ვინ მოგახსენა, რომ მიწას გავურბი? პირიქით, მიწის სჯულსა და მის ძალას ვქადაგებ და არა ევროპის ცივილიზაციას. ქალაქს გავექეცი იმისათვის, რომ თავი შევაფარო სოფელს, მიწის პირველყოფილ სინედლეს. აი თქვენი კულტურა! — დაიძახებდა პლატონი და ამ დროს ატეხილ ზარბაზნების გრიალზე შეაჩერებდა დამსწრეთა ყურაღებას, — ხალხი ერთმანეთს ანადგურებს. მე არცერთის მხარეზე არა ვარ, ვინაიდან ისინიც და ესენიც მატერიალური დოვლათის გადალაგებისა და განაწილებისათვის ზრუნავენ და ებრძვიან ერთმანეთს და არა ადამიანში უკვე დაკარგული სულის აღდგენისათვის. მე სულ სხვა ყოფასა და ხანას შევნატრი.

— მაინც? — ჰკითხავდა იონა და პირველად შეატყობდა პლატონს ჭარბ აგზნებას, ახირებულ ულოგიკო საუბარს, საშინელ ჯიუტობას და... ეწყინებოდა. პლატონი კი მთვრალივით შეანათებდა თვალებს და განაგრძობდა, რომ:

შენატროდა უძველეს ხანას, ბედნიერსა და ნეტარს, როდესაც არ იყვნენ ცათამწვდენები, მანქანები, ასფალტი, რკინა-ბეტონი, ოქრო. მიწურში ცხოვრობდნენ, პირველყოფილი კავით ხნავდნენ ყველასათვის სამყოფ დედამიწას, ხელით რთავდნენ და ქსოვდნენ ცხვრის მატყლისაგან შალს. მშვილდ-ისრით ნადირობდნენ.

მაშინ მიჯნურობაც და ზნეობაც მაღალი იყო, ქალიც — ჯანსაღი, გულწრფელი, უბრალო და სადა. დიდად განირჩეოდა თანამედროვე ევროპის კულტურის გარყვნილი ქალისაგან, კრეპდეშინებითა და ფეიდეშინებით განებივრებული, სისხლნაკლული, უსაქმო, ანგარებით სავსე, ცბიერი და მოღალატე დიაცისაგან.

იმ უძველასი ეპოქის კაცსა და ქალს არა რცხვენოდათ პირველყოფილი სიტიტვლისა, რადგანაც ის გულუბრყვილო და

წმინდა იყო ისე, ვით ბუნება. ასეთი პირველყოფილი და წმინდა სიტიტველე ახლდა სახელგანთქმული ფრანგი მხატვრის პოლ გოგენის ტაიტელ ქალებს, რომელნიც თავიანთ ბუნებრივ ყოფაში ნარმტაცად გამოიყურებოდნენ. გოგენის ტაიტელები ახალ მადონებად წარმოდგებოდნენ. ევროპის ცივილიზებული ქალის სიტიტველეს კი უსირცხვილობის ბეჭედი აჯდა. და თუკი ლამაზი გახლდათ, კიდევ უარესი: მაშინ იგი ხდებოდა წყარო ბოროტებისა და ტანჯვისა, როგორც იგივე გოგენი ირწმუნებოდა თავის„ნოა ნოაში".

და გაიხსენებდა უოლტ უიტმენის სტრიქონებს: ოჰ, გავწიოთ იქ, სადაც საკმაო სივრცეა და ჰაერი! გავთავისუფლდეთ ბორკილებისა და პირობითობისაგანო! — რათა დაერთო:

— ჩემი ოცნება ფშავ-ხევსურეთი და სვანეთია!

არა, პატივცემულო პლატონ, თქვენ იქ ვერ გაძლებთო, — არ დაეთანხმებოდა ტერეზა, — ჩვენ ხშირად ვაბრუნებინებდით სვანებს სავენახე მიწას. ნადირთა ტყავის ტყაპუჭებიან, პაჭიჭებიან, ჩიყვიან და ჩულიან სვანებში თქვენ როგორ გაძლებთო!..

გზა მშვიდობისა! ვნახოთ, როგორ გაძლებს კულტურისა და ცივილიზაციის უარმყოფელი ჩვენი გოგენი მთაში, სვანეთისა და ხევსურეთის მადონებშიო! — განაცხადებდა იონა, რის პასუხადაც პლატონი თავს გამოიდებდა: თქვენ მე სათანადოდ ვერ მიცნობთო, - და შეახსენებდა ყველას ვაჟა-ფშაველას მოქმედებას:

განა იგი არ გაექცა თქვენს ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციას? ეს გაქცევა ტრაგიკულია მეტადო.

ესტატე მაყაშვილი არ დაეთანხმებოდა:

ვაჟა არამარტო თავისი წარმოშობით, არამედ სულიერი ცხოვრებითაც ტიპური ფშაველი იყო, მთის კაცი. იგი არა ყოფილა განმსჭვალული იმ კულტურით, რომლის მანკიერებასაც თქვენ აქ აძაგებდით. ამიტომ მისგან გაქცევა არა სჭიროდა. მე ვიზიარებ ერთი ჩვენი ნიჭიერი კრიტიკოსის აზრსო.

და დაუსახელებლად მოიშველიებდა ციტატას გერონტი ქიქოძის ესეიდან:

— ვერც სემინარიამ, ვერც უნივერსიტეტმა ვერ შეძლო შთაებერა მასში თანამედროვეობის სული. მისი აღქმა და ათვისება

დარჩა პრიმიტიული, ზნეობა — საშუალო საუკუნეობრივი. მას არაფერი გაეგებოდა ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა, ორთქლის, ელექტრონისა და მანქანების ხანაში იგი თავისი მუზარადით და თავისი რაინდობით წარსულის აჩრდილს მოგვაგონებდა.

ვაჟას უკულტურობა ზღაპარიაო! — აღშფოთებულს უნდა ეყვირა პლატონს და ესტატესაც აღარ მორიდებოდა, არამცთუ გერონტი ქიქოძეს:

— ნუ გავიწყდებათ: იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის მსმენელი იყო, პლატონისა და პლოტინის, კანტისა და კონტის, ნიცშესა და შოპენჰაუერის, შექსპირისა და გოეთეს მცოდნე. მაშ კიდევ რაღა ეშმაკს ვუწოდოთ კულტურა? მისი ჩოხა და ფარხმალი ისეთივე საცნაურია, როგორც ლეონ ტოლსტოის გლეხური ჩექმა, ხალათი, კავი და ცელი. იგი ფშაველი კაცის სიბრძნით სუნთქავდა, ხოლო ლეონ ტოლსტოი ადამიანის ბედნიერებად თვლიდა ცივილიზაციისაგან თავისუფალი რუსი გლეხის სიბრძნეს და პირველყოფილებას. მაგრამ ვერცერთმა ვერ დააღწია თავი ცივილიზაციის დამღუპველ უღელს.

ცივილიზაცია განუხრელი და უცილობელი გზაა მთელი კაცობრიობისაო, — კამათში სტეფანეც რომ ჩაერეოდა მარქსისტული პოზიციიდან, რა გასაკვირია, ამ ისტორიული აუცილებლობის წინამძღოლებად ბოლშევიკებს რომ მიიჩნევდა. და როდესაც პლატონი არ დაუთმობდა ლევ ტოლსტოისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მარქსისტულ ახსნას: ეგ პოლიტეკონომიის ქრესტომათიული კურსიდან ამოღებული ფილოსოფიააო, — არც ჭაბუკი შეეპუებოდა: ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების უბრალო განმარტება რაღაც მისტიკით გინდათ შეცვალოთო:

— ბოროტების წინაშე მორჩილება განსაკუთრებით მძაფრად გამოიხატა ლევ ტოლსტოის ნაწარმოებში. ვაჟა-ფშაველა სვამდა ადამიანისა და საზოგადოების, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის, ძველ საზოგადოებაში ადამიანის ტრაგედიის ღრმა სოციალურ და ფილოსოფიურ პრობლემებს, მაგრამ მანაც ვერ შეძლო გაეგო, თუ როგორ მოესპო ეს ტრაგედია. განა შეიძლება საერთოდ ამის მოსპობა? აქედან არის გამოწვეული მის მიერ

მთის სათემო წყობილების, მემამულისა და გლეხებისათვისაც ბედნიერი პატრიარქალური ცხოვრების იდეალიზაცია.

პლატონი შეეცდებოდა მის შეგონებას:

— თქვენ თვითონ იგონებთ ტრაგედიებს იმის ასახსნელად, რაც ტოლსტოისა და ვაჟა-ფშაველასათვის სავსებით ნათელი იყო.

მაგრამ ამაოდ, რაკიღა მოპაექრე — მარქსისტთა ჩვეულების თანახმად — ლამობდა დოგმატური მოძღვრების ჩარჩოებში ჩაეტენა ყველაფერი, ხოლო რაც ამ ჩარჩოებში არა თავსდებოდა, მისტიკად გამოეცხადებინა... ზედმეტ და უსარგებლო ბარგად ადამიანისათვის...

პლატონისათვის სასტუმროში ტახტზე რომ გაეშალათ ლოგინი, სასთუმლის ახლოს, პატარა მაგიდაზე ლამპა იდგებოდა. პლატონი ჩემოდანს გახსნიდა და წიგნებს ამოიღებდა, რაკიღა ძილის წინ კითხვა უყვარდა. ერთს ეწერებოდა: „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ — ართურ შოპენჰაუერისა, და მეორეს: „ესთეტიკა“ — გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგისა.

ტანსაცმელს რომ გაიძრობდა, დედაკაცივით სხეული აღმოაჩნდებოდა. მერე თმაში წაივლებდა ხელს და პარიკს მოიძრობდა — მელოტი კაცი თითქოს ნიღაბს მოიხსნიდა. დაწვებოდა, გერმანულ წიგნს აიღებდა, გადაფურცლავდა და კითხვას დაიწყებდა. დაღარულ სახეს მსახიობივით დაძაბავდა, ხაშხაშით მთვრალის მსგავს თვალებს სტრიქონებს მიაპყრობდა. ცოტა ხნის შემდეგ კორნელის დაუძახებდა, წიგნს გადასცემდა და ეტყოდა: აბა ამ აბზაცს თუ გადათარგმნითო, — და კორნელიც შეუცდომლად თარგმნიდა:

— ერთხელ ქრისტე მიდიოდა გზაზე, რომელზედაც მკვდარი ძაღლი ეგდო. ყველამ ზიზღით აუქცია ლეშს გვერდი. მხოლოდ ქრისტემ შეხედა და შეამჩნია მისი მარგალიტივით კრიალა კბილები.

პლატონს გაუკვირდებოდა, შეაქებდა და ხელოვნების ფილოსოფიაზე ჩამოუგდებდა საუბარს, საცნაური რომ ეჩვენებოდა ქრისტეს მიერ სილამაზის განჭვრეტა ყოველ ქმნილში და სიყვარული ყოველი არსისა. და სწორედ ამგვარი ქრისტიანული გა-

გებით დაწერილიყო შარლ ბოდლერის ლექსიც „ლეში“: და ამ დამპალ ჩონჩხს, ისე როგორც ვარდს, უცქერდა ზეცა ლურჯი ალერსითო.

ესთეტიკური ღირებულების რა მაღალ რანგში ადიოდა აქ სიმახინჯე, თუმც ეს ყოველი პლატონს მაინც იწილო-ბიწილოს მოაგონებდა, რადგანაც ვერც ქრისტეს დიდი სიყვარული და ვერც დოსტოევსკის სიკეთე და სილამაზე ვერ იხსნიდა ადამიანს სიკვდილის შიშისაგან. რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება, პოლიტიკა, მეცნიერება და ტექნიკა — ვერცერთი ვერ იხსნიდა ადამიანსა და ქვეყანას დაღუპვისაგან. იბადებოდა აურაცხელი პლანეტა, თავს აღწევდნენ ვულკანურ ხანას და ცხრებოდნენ. მერე მათზე ორგანული ცხოვრება ჩნდებოდა და ბოლოს ბერდებოდნენ, კვდებოდნენ და უზარმაზარ გაციებულ მასად იქცეოდნენ.

— ჩვენი დედამიწის ბედიც ასეთია. ყველაზე უკეთ დაიტირა ეს დედამიწა არტურ რემბომ, რომელიც ტრაგიკულში ეძიებდა ადამიანის გამოსავალს ამქვეყნად.

და პლატონი წაიკითხავდა „მთვრალი ხომალდის“ უკანასკნელ სტრიქონებს:

უძრავს სივრცეში ხეტიალსა — მე მეცოდება ევროპა თვისი შელობილი ნავსადგურებითო.

პლატონი შეეცდებოდა შეუცნობის წინაშე მისტიკური შიში ჩაენერგა ჭაბუკისათვის. ამიტომაც ლაპარაკობდა მიწიერი ცხოვრების ამაოებაზე, კაცობრიობის დაღუპვასა და მსოფლიო კატასტროფის გარდუვალობაზე.

მაგრამ კორნელი პირში უნდა შებმოდა და ბრალიც დაედო პლატონისათვის: ლაპარაკობთ განყენებულ თემებზე და არა ფიქრობთ ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაზე, თუ როგორ თავხედურად უჭირავთ თავი თბილისშიც კი გერმანელ და თურქ ოფიცრებსო.

— მენშევიკები აქებენ და ეჭიდებიან თავიანთი ტყავის გადასარჩენად. მათ კარგად იციან, რომ ერთ საათსაც ვერ იბოგინებენ თბილისში, თუ არა გერმანელთა ჯარები! დღეს გერმანელებს ემსახურებიან, ხვალ კი ვის მიჰყიდიან თავის ხალხს?..

ამის გამგონე პლატონი გააფთრებით უნდა დასხმოდა თავს:

— დაე ცნობილი იყოს თქვენთვის, ჭაბუკო, რომ ჩვენ ომისათვის მიჩნეული სამხედრო პირები და მანეკენები არა ვართ! არც პედაგოგები და არც ქრისტიანული მორალის მქადაგებელი ხუცები, არც პოლიტიკური მოღვაწეები, სოციალისტები თუ პროპაგანდისტები.

აბა ვინ იყვნენ?

პოეტები, მოგვები და ჯადოქრები.

მათთვის არ არსებობდა კარგი და ცუდი. არ ეშინოდათ საშინელებათა ხილვისა, რადგანაც ცხოვრების სადავე პოეზიის ქურუმთა და ჯადოქართა ხელთ გახლდათ.

— ჩვენ შეგვიძლია ჯოჯოხეთი სამოთხედ ვაქციოთ და პირიქითაც. ჩვენ სხვისი შექება, მოწონება და ხალხის აზრი არ გვაინტერესებს. ერთმა კაცმაც რომ გამიგოს მართებულად ამქვეყნად, მაშინ მე გამართლებული ვარ, როგორც პოეტი, თავიდან ბოლომდე უთუოდ!

იყვირებდა პლატონი და ისეთი მისტიკური ჭვრეტით გაიხედავდა განზე, თითქოს ტრანსში გადავარდნილიყოს.

კორნელის ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ მის წინაშე არანორმალური ადამიანი იდგა. პლატონი ლოგინზე იჯდა და მის თვალები შეშლილივით ბრიალებდნენ. მისი უცნაური ქუდიც მეტად ჰგავდა საგიჟეთში დამწყვდეულთა ქუდს და... კორნელის ეგონებოდა, პერანგისამარა დარჩენილი პლატონი ტახტზე შეხტებოდა და ნიკოლაი გოგოლის „შეშლილის წერილების“ გმირივით დაიძახებდა:

— ესპანეთში აღმოჩნდა მეფე და ის მეფე მე ვარ.

მაგრამ პლატონი ნიცშეს სიტყვებით დაასრულებდა თავის მონოლოგს:

— ო, სმენად იქეც, ადამიანო, რას ამბობს უკუნი შუაღამე! მე მეძინა, მე მეძინა, მე ღრმა ძილისაგან გაღვიძებული ვარ.

კიდევ სხვა ეპიზოდში — მაყაშვილთა ოჯახში სტუმართა შეკრებისას — პლატონ მოგველაძეს „ქართლის ცხოვრებიდან“ უნდა გაეხსენებინა, თუ რარიგ შველოდა საქართველო მუსულმანთა მიერ დარბეულ და აწიოკებულ სომხეთს — თანაც მრავალგზის. დავით აღმაშენებელი ერთმორწმუნე ერის გადასარჩენად

70 000-იანი ჯარით გაილაშქრებდა ანისზე, აბულსოვარს სასტიკად დაამარცხებდა, სომხეთიდან განდევნიდა და სატახტო ქალაქს — ანისს კვლავ სომხებს დაუბრუნებდა.

ციტატას დაიმოწმებდა ზეპირად:

— მივიდეს მეფე და კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა. ახლავ წესი აუგის და თვითონ მეფემან სამჯერ საფლავთ ჩასძახა: გიხაროდენ შენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი ურჯულოთა ხელთაგანო...

და დასძენდა:

ქართველნი მეფენი დიდად მფარველობდნენ მუსლიმთაგან დევნილ, დარბეულ და ლტოლვილ სომხებს, ასახლებდნენ თავიანთ მიწა-წყალზე და ნუთუ ახლა, მადლობის ნაცვლად, სომხები უნდა გვეომებოდნენო?..

ყველა სულგანაბული რომ მოუსმენდა „ოქროპირს", განსაკუთრებით მაინც ვარდო და ნინო. და როცა პლატონი დადუმდებოდა, ვარდო ნინოს რაღაცას უჩურჩულებდა, და კორნელი მიხვდებოდა, რომ პლატონ მოგველაძეს მაყაშვილთა ოჯახი სავსებით მოეჯადოვებინა და დაეპყრო.

შური შეეპარებოდა და მასთან კამათს გადაწყვეტდა, მაგრამ მანამდე პლატონს გიორგი დადვაძე შეედავებოდა: ქართველი და სომეხი ხალხები ერთმანეთს მენშევიკებმა და დაშნაკებმა გადაჰკიდესო, — და როგორც რუსოფილი, მტკიცებას მოჰყვებოდა: ჩვენი ქვეყნის ხსნა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიის ერთობაშიაო.

კორნელის კი თანდათან ისეთი განცდა უნდა გასჩენოდა, რომ: მაყაშვილები მას თავიდან იშორებდნენ, ალბათ სასიძოც მოეძებნათ და ის სასიძო სხვა ვინ, სწორედაც რომ პლატონ მოგველაძე უნდა ყოფილიყო.

დარდით ის ადარდებდა, რომ:

მასთან შედარებით პლატონს უპირატესობა ენიჭებოდა — საზოგადოებაში მოხვეჭილი სახელისა, მჭევრმეტყველებისა, მწიგნობრობისა და პოეტობის გამოისობით. ამასთან უმაღლესი სასწავლებელი ევროპაში ჰქონდა დამთავრებული.

და კორნელის პლატონის ჯობნის სურვილი რომ დაებადებოდა, კიდეც ხარბად დაეწაფებოდა წიგნების კითხვასა და უცხო ენების შესწავლას. ხოლო რაკიღა პლატონი ხშირად ემყარებოდა კანტს, შოპენჰაუერს, ბერგსონს, ნიცშეს, ლომბროზოს, ვაინინგერს, ფროიდსა და დეკადენტ მწერლებს, ამიტომაც უპირველესად მათი შრომების შესწავლას მიჰყოფდა ხელს.

კიდევ სხვა ეპიზოდში ტრამვაის სადგომთან მიახლოებულ პლატონ მოგველაძეს შავი კატელოკი უნდა ხურებოდა და შავივე პალტო ცმოდა. ყელზე ჭადრაკის დაფასავით შავად და თეთრად მოხატული კაშნე ჰქონოდა მოხვეული. წვერ-ულვაში კი გაეპარსა.

ხელთათმანს გაიძრობდა, შორიდანვე მოიხდიდა კატელოკს, მარცხენა ხელში დაიჭერდა, ვარდოსა და ნინოსთან მიიჭრებოდა და ხელზე ეამბორებოდათ.

ვარდო რომ უსაყვედურებდა: რად დაგვივიწყეთ? მთელი საუკუნეა ჩვენსა აღარ ყოფილხართო, — პლატონი მაშინვე შეაგებებდა: თქვენს თავს რა დამავიწყებსო, — და ისე გადახედავდა ნინოს, ვარდოს მიხვდებოდა, თუ რისთვის ვერ დაივიწყებდა პლატონი მაყაშვილებს. ეამებოდა ეს მზერა და მოაგონებდა:

— ნინოობა ახლოვდება. იმ დღეს ჩვენსა უნდა იყოთ. თამადობა არ აგცდებათ, — თელავურად დაამღერებდა და ჩაიჭიკჭიკებდა ვარდო, მაყვლისფერ თვალებს განაბავდა და გაიცინებდა.

— ნინოობას ჩინებულად ვიზეიმებთ, — მიუგებდა პლატონი და ნინოს გვერდით დადგებოდა, თავს დახრიდა და ჩუმად დაუწყებდა ლაპარაკს.

— პლატონს დაავიწყდა, რომ 14 იანვარს ბაქოში იქნება, — ეტყოდა ცოლს ესტატე. ვარდო და ნინო ისე გაიკვირვებდნენ, წარბებსაც შეჰყრიდნენ და პლატონს გაოცებით მიაშტერდებოდნენ, თითქოს საქვეყნო, მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება შეფერხებულიყოს.

— მართლა, ბაქოდან ჩემი მეგობრის — ცნობილი რუსი პოეტისა და ფილოსოფოსის — ვიაჩესლავ ივანოვის წერილი მივიღე. იქით მიხმობს. იგი ამჟამად ბაქოს უნივერსიტეტში ან-

ტიკური ლიტერატურის კურსს კითხულობს. მეხვეწება, საათები გავიყოთ და აგრეთვე ცოტა ხნით ვესტუმრო, ჩვენი სულიერი მეგობრობა დიდი ხანია უკვე, რაც გაინასკვა. მერე რა? თუ მშვიდობა იქნა და ეს ომი ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდა, ნინოს დღეობაზე ბაქოდან საგანგებოდ ჩამოვალ, — დაამშვიდებდა დედა-შვილს პლატონი.

კიდევ სხვა ეპიზოდში: ოფიცრებთი სავსე მთავრობის დარბაზში ესტატე და პლატონი სამხედრო მინისტრ გიორგაძესა და გენერალ მაზნიაშვილს უნდა შეხვედროდნენ და გამოლაპარაკებოდნენ, და მოესმინათ სრულიად საიდუმლო ახალი ამბავი, წინა დღით ლონდონიდან ჩვენი დელეგატებისაგან — ავალიშვილისა და ღამბაშიძისაგან — ნოე ჟორდანიას დეპეშა რომ მიეღო: ინგლისის მთავრობასთან ჩვენს მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანს და არის უტყუარი შანსები იმისა, რომ ინგლისი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობსო.

— ეს დიდი ამბავია! საქართველოს ბედი სწვევია! — იყვირებდნენ უცხო ძალის იმედით ფართო ლოგინის გაშლას ჩვეული ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძე.

სხვა ეპიზოდში კორნელის უნდა უთანაგრძნონ: იმ ყალბ კაცსა და პოზიორში გაგცვალათ თქვენმა თავქარიანმა გოგონამო, — მაგრამ კორნელი რომ აენთებოდა, მარგალიტა მოუბოდიშებდა: ნუ ფიცხობთ, ალბათ ჭორიაო.

მერე კი მაყაშვილების მზარეულ ევტიხის უნდა შეეჩივლა კორნელისათვის: ახლა კი ვიცი, ჩვენსას რატომ აღარ დაიარები. უნდათ ნინო პლატონ მოგველაძეს მიათხოვონ, მაგრამ ქალს შენ უყვარხარო.

— რა იცი? ქალის ამბავს შენ გაიგებ?! — მიუგებდა კორნელი.

— რომ არ უყვარდე, გულიც არ შეუღონდებოდა. სულ იმას გაიძახოდა: პლატონს არასგზით არ მივთხოვდებიო. ქალს არ უყვარს და მის მშობლებს რაღამ შეაყვარა ის ულვაშგაპარსული, საჭურისივით დამჭკნარი კაცი! — გაკვირვება ვერ უნდა დაემალა ევტიხის, და არც პლატონის სიმდიდრისა სწამდა: მამამისის, საწყალი დიაკვნის ქონება არ მოსატანიაო.

კიდევ სხვა ეპიზოდში ნინო მაყაშვილის პორტრეტული შტრიხები ხელშესახებად უნდა გამოკვეთილიყო, აღწერა თვალებით რომ დაიწყებოდა — გომბორის მთაზე ჩამოწოლილი უმთვარო ღამესავით შავით... მაგრამ ოდნავ მაინც თუ დააკვირდებოდით, მალევე შენიშნავდი, რომ მისი თვალები ბნელს ჰფანტავდა და იქიდან შუქთა ისრები ისე მოემართებოდნენ, თითქოს იდარა და ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენო. ამიტომაც ტოვებდა მისი თვალები ორმაგ შთაბეჭდილებას: ერთსა და იმავე დროს კაეშნით მიბნედილნი, შავი, უძირო და უსახონიც იყვნენ და თანაც შუქიანნი, მეტყველნი და საზრიანნი, ღიმილისას ოდნავ რომ ეხუჭებოდნენ და... მაშინ ქალი მზეზე განაბულ ძუ ვეფხვს ედარებოდა.

ერთი შეხედვით არც სახე ჰქონდა ლამაზი: ყვრიმალის ძვალი — ფართო და მონღოლივით ოდნავ ამობურცული, ხოლო ბაგე — დიდი და მსუქანი. მაგრამ ბაგეთა ბოლოს უმანკო ბავშვის ღიმილი თამაშობდა. ნიკაპსა და ორივ ლოყაზე დამჯდარი ნაჭდობი — ფოსოები თავისთავად იღიმებოდნენ და თვალსა ხიბლავდნენ.

შუაზე გაყოფილი, მუქწაბლისფერი თმა, მაღალსა და ფიქალ შუბლზე მერცხალივით გაფრენილი წარბები კი იმდენ სიტურფეს, ქართულ ეშხსა და პატიოსნებას ჰფენდნენ სახეზე, რომ წმინდა ნინოს ხატსაც კი მოგაგონებდა, თითქოს კაპადოკიიდან მოსული მარადქალწული საქართველოს დედაქალაქში, მაღალი მთის წინაშე, მტკვრის პირას დრო-ჟამის გამო გამოქარულ და გამოფიტულ, მოვარდისფრო ფილაქვაზე ჩამომჯდარაო.

სხვა ეპიზოდში „უქიმერიონის" დარბაზში უნდა გამოჩენილიყო ბაქოდან ახლახან ჩამოსული პლატონ მოგველაძე, უკან პოეტების ამალა რომ მოჰყვებოდა — თეთრი პიჯაკი ცმოდა და თავზე ჭილის ქუდი — პანამა ხურებოდა. ამაყად უნდა გაჩერებულიყო ბუფეტთან და ხალხისათვის მედიდურად გადაეხადა, თითქოს ბაქოდან კი არა, სინგაპურიდან, ინდოეთიდან ან ეგვიპტიდან ჩამოსული ინგლისელი ყოფილიყოს. და ისიც სჯეროდა, რომ: ეს „შავი მასა" და საცოდავი „კაცუნები" მის პერსონას — იშვიათ უცხო გმირსა და ადამიანს — მოწიწებითა და თაყვანის-

ცემით შესცქეროდნენ, თუმც დარბაზში მყოფ ადამიანთა უმრავლესობა თავისი სადილითა და კერძით უფრო გახლდათ გართული.

ცალკე კაბინეტში რომ განმარტოვდებოდნენ, პლატონს დინჯად ეჭირებოდა თავი, პოეტები კი თვალებში მიაჩერდებოდნენ და ყოველ მის სიტყვას სულგანაბულნი მოუსმენდნენ. იგრძნობოდა, რომ პლატონი ამ პოეტთა მეთაური და ხელმძღვანელი გახლდათ, მათ შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ყველა მის წინაშე თავის გამოჩენას ლამობდა. უცხო ენები პლატონისა და რაფაელ-პაოლო იაშვილის გარდა არავინ იცოდა (რაფაელი საფრანგეთში იყო ნამყოფი და ფრანგულს ამტვრევდა). პოეტები პლატონის წინაშე პირფერობდნენ, მლიქვნელობდნენ, პლატონს აქებდნენ, ცამდე აჰყავდათ, გენიოსს უწოდებდნენ და... მისგანაც ამასვე მოელოდნენ.

ერთ რამეში შეთანხმებულიყვნენ — საქართველოში მათზე ნიჭიერი, იშვიათი და სათაყვანებელი ადამიანი არ არსებობდა და ამიტომაც ყოველგვარი უმსგავსოება ეპატიებოდათ.

— პოეზია უპირველეს ყოვლისაო, — გაიძახოდნენ, — პოეზია ცხოვრების გამამშვენიერებელია, პოეტები მოგვები არიან, მოგვთა მოგვი კი პლატონ მოგველაძე ბრძანდებაო.

ერთ-ერთ ეპიზოდში პლატონი მისებურად უნდა გაჭინთულიყო და ტრაბახი დაეწყო:

მე უცხოეთში ბოქსს ვსწავლობდი. რომ ვინმე კრივში გამომყვეს, ალბათ შემომაკვდება, მტერს მოხვდა ჩემი მუშტიო.

კიდევ სხვა ეპიზოდში ქართული კლუბის ბაღში გამართულ სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე ნინო პლატონთან ერთად გამოჩნდებოდა ხელკავით, იღიმებოდა უჩვეულოდ აგზნებული და, ხმამაღლა იტიკტიკებდა და კავალერს სახეში სასოებით მიაჩერდებოდა. და კორნელის მოეჩვენებოდა, რომ ისინი იმ წუთას მართლაც ბედნიერნი იყვნენ.

პლატონი მოიწონებდა „ეგმონტის" ფინალს, როგორც გამარჯვების ჰიმნსა და შედევრს, და საცნაურად მიიჩნევდა, რომ: წარსულ საუკუნეთა მუსიკა და საერთოდ ხელოვნება მთელი თავით მაღლა იდგა თანადროულ მუსიკასა და ხელოვნებაზე.

წარსულს ხელოვნებაში ის უპირატესობაც ენიჭებოდა, რომ კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების ყველაზე დიდი მწვერვალი არა მერმისში იდო, არა წინ, არამედ ჩვენს უკან.

— ბერძენთა მშვენიერების იდეალი დღემდე მიუღწეველ მწვერვალს წარმოადგენს უთუოდ! — ისე უნდა ეყვირა პლატონს და თვალებიც გამარჯვებული კაცივით დაებრიალებინა, თითქოს ის ძველი მუსიკა და წარსულ საუკუნეთა ხელოვნების ნიმუშები და შედევრები მისი შექმნილი ყოფილიყოს.

ბერძენთა შემდგომ უფრო ბრძნული, შინაარსიანი, ექსპრესიული, ღრმა და ფართო ხედვის ხელოვნება რომ შეიქმნებოდა — მაგალითად მუსიკა და ფერწერა?

ამ მოსაზრებას კიდევ როგორღაც შეიწყნარებდა პლატონი, მაგრამ ვერავინ დააჯერებდა, რომ ხელოვნებას — წარსულთან შედარებით — მეტი სიტურფე, მშვენება და სილამაზე შეეძინა.

პერიკლესა და ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი ადამიანები თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში ყველა შემდგომი ხანისა და რასის ხალხზე უფრო მიუახლოვდებოდნენ სრულყოფილებას, რაც ყველა ჩვენგანის იდეალს წარმოადგენდა ამჟამადაც უცილოდ! — დაასკვნიდა „ოქროპირი".

მაგრამ კორნელი რომ არ მოერიდებოდა: ჭაღარა წარსულის ნიმუშისმაგვარი ნაწარმოების შექმნის სურვილსა და ცდაში სამუდამოდ დაკარგული სიჭაბუკისადმი სიბერის მისწრაფება იმალებაო, — ეს სიტყვები გულს ატკენდა ორმოცს გადაცილებულ პლატონს, რომელსაც კორნელი ბრალად დასდებდა თანადროული ცივილიზაციიდან გაქცევას:

— თქვენი არქაიზმები არსებითად ძველი ნიმუშებისა და ხერხების მიბაძვაა. ამით თქვენ ზოგზოგებს საბუთს აძლევთ ილაპარაკონ არამარტო თქვენს დეკადანსზე, არამედ ქართული ლიტერატურისა და კულტურის დეკადანსზეც. მაგრამ საბედნიეროდ ეს ასე არ არის.

პლატონი სიტყვას გააწყვეტინებდა, რომ ამ თემატიკაზე უკვე გამზადებული ჰქონდა ორი ტომი, მთელი მისი შრომა ორას გვერდს დაიკავებდა, ახლა კი თავის მოსაზრებებს მოკლედ, დებულებათა სახით მოჭრიდა.

პირველი დებულებაო და:

ქრისტიანობა ქართველი ხალხის ბუნებას არ შეხებოდა იმრიგად! ქართველი წარმართი გახლდათ უთუოდ! იგი მიწის მუშად, ვაზის, პურ-ღვინის, ქეიფისა და „წუთისოფლის“ მოყვარულად რჩებოდა ამჟამადაც. მას სააქაო სწამდა და არა საიქიო. ჩვენში ქრისტიანული რელიგიიდან გამომდინარე მწვალებლობა და მოწამებრივი მარტვილობა არც არასოდეს ყოფილიყო. მარადისობის წინაშე განცვიფრება და მისტიკური ჭვრეტა ქართველ კაცს არა სჩვეოდა.

იქნებ ამის გამო საამაყო არც არაფერი გვქონოდა და ეს კაცის სულიერ სიღატაკეზე მეტყვებდეს კიდეც?

მაგრამ ეს ხალხის სიჭაბუკის მაუწყებელი გახლდათ უთუოდ და არა სიბერისა!

ათინასა და რომს ქრისტეს რჯული მათი დაცემის ჟამს შეეპარებოდათ, ჩვენში კი პირიქით მოხდებოდა.

მეორე დებულებაო და:

საქართველო პატრიარქალური, ფეოდალური ყოფიდან ჯერაც არ გამოსულიყო. კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანას ჯერ არც კი შეხებოდა. ევოლუციები და რევოლუციები მიზნად ისახავდნენ უმეტესწილად მატერიალური დოვლათის გადანაწილებას და არა ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და ხალხის თანდაყოლილ თვისებათა ძირეულ ტრანსფორმაციას. ცივილიზაცია ამ მხრივ — ფიქცია გახლდათ!

საცნაური იყო მეტად: თანამედროვე უმაგალითო ომსა და ხალხის ჟლეტას ნუთუ არ დაერწმუნებინა ადამიანი ცივილიზაციის უმწეობაში?

ამიტომაც დაე დაგვეთმო თანამედროვე ტექნიკისა და ინდუსტრიის ჯოჯოხეთი ევროპისათვის!

უარი უნდა მიხლოდა ცივილიზაციას და ლოზუნგად გვექცია: დაბრუნება მიწასთან!

დებულება მესამეო და:

გენიოსობის გადასარჩენად პოეტი უსათუოდ უნდა გაქცეოდა თანადროულ ცივილიზაციას! მარტოდენ ფიზიკური რაობით უნდა ყოფილიყო თავისი დროის მოქალაქე, თორემ ფანტაზიის

გაქანებით — თავისი სულიერი სამყაროს შემოქმედი. იგი თავისი ხალხის ჭაღარა წარსულს — მითოსსა და ძველ ხელოვნებას უნდა დაწაფებოდა.

ყველა სულგანაბული რომ დაუგდებდა ყურს „ოქროპირს“:

— მეგობრებო, — დაიძახებდა მელასებრ ეშმაკი სახის მქონე ჯუჯა ჭაბუკი თეოფილ გვათუა, — ეს დღე ისტორიულად უნდა ჩაითვალოს! ბატონი პლატონის მოსაზრებანი მთელი აღმოჩენაა. მე მწუხარებას გამოვთქვამ, რომ ბატონი პლატონის სიტყვის სტენოგრამა არ იწერება. მას პირადი მდივანი უნდა დასდევდეს, რათა ყოველ მის სიტყვასა და მოსაზრებას ინიშნავდეს.

პოეტები დაუდასტურებდნენ და პლატონს ცამდე აიყვანდნენ.

კორნელი მაინც შებედავდა შედავებას, ვრცელ სიტყვას ასე რომ დააბოლოვებდა:

არქაული მიმართულების ლიტერატორები — ჭაღარა წარსულის თაყვანისმცემელნი — ამაოდ ცდილობენ მიბაძონ გარდასულ საუკუნეთა შთაგონებულ, ცოცხალი რწმენით აღსავსე ოსტატებს, რადგანაც იმ ოსტატთა ბრმა მიმბაძველნი ახერხებენ გაიმეორონ მათ მიერ შექმნილი ხელოვნების მხოლოდ მკვდარი ფორმა და არა მისი უკვდავი სული. ასეთ მიმბაძველთა ქმნილებებს არ გააჩნიათ ცხოველმყოფელი ძალა სიმართლისა და ექსპრესია. ისინი ყალბნი არიან და მკვდრადშობილ ბავშვებს ჰგვანან, რაგინდ უნდა კაზმავდნენ და ალამაზებდნენ მათ ავტორებიო.

ყველაზე უფრო გულისმომკვლელი პლატონისათვის ის გარემოება გახლდათ, როდესაც მის ნაწარმოებს ვინმე ყალბს უწოდებდაო, — ჩაიქირქილებდა ალექსანდრე ქუთათელი, — რადგან თვითონაც კარგად იცოდა, რომ პოეტად და პროზაიკოსად არ იყო გაჩენილი. მწერლობა ძალით დაეჩემებინა და მერე თავისი „ქმნილებების“ დასაცავად ათასგვარ თეორიასა და ნაკითხობას იშველიებდაო.

უხერხულობის გასაფანტავად პოეტები თავიანთი ლიდერის, ქურუმისა და მოგვის ნაწარმოებთა ხოტბას დაიწყებდნენ. პლა-

ტონს გენიოსს უწოდებდნენ... მაგრამ ამ დროს ანტრაქტი გათავდებოდა. მეორე ზარი დაირეკებოდა და ხეივანში დარჩენილნიც დარბაზისაკენ გაეშურებოდნენ.

ფრანც შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონიის მეორე მოტივი“ რომ დასრულდებოდა:

— ქრისტე-ღმერთის, განგებისა და შეუცნობის წინაშე ასეთი უნებისყოფო, ქედმოხრილი და სისხლნაკლული ადამიანების მუსიკის მოყვარული კაცი არა ვარ, — უნდა ეჩურჩულა პლატონს ნინოსათვის.

ხოლო სამიკიტნოში „მოდი მნახე“ კორნელი თავის მეგობრებს ასე დაუხასიათებდა პლატონს: მეცოდება ნინო მის ხელში, რადგანაც დაიღუპება, პლატონი ხომ ეგოისტი, თავის თავზე შეყვარებული, რწმენადაკარგული კაცია. სამშობლო იმდენად სწამს, რამდენადაც მისი პიროვნების განდიდებას ხელს შეუწყობს. მის გულში სასონარკვეთილებისა და უიმედობის შხამი ბუდობს. ერთხელ მითხრა: ისეთი ბეჩავი, ღალატიანი, პატარა და ისტორიის მიერ განწირული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, თავის გაწირვა დამპალ ხეზე თავის ჩამოხრჩობას უდრისო.

საუბედუროდ მისი მეგობარი პოეტები მას ბაძავდნენ და მრავალი ახალგაზრდა, მისი შემყურე, სულიერად გაიხრწნებოდა. აი რისთვის არა სურდა, რომ ნინო მაყაშვილი ხელთ ჩავარდნოდა ამ ყალბ, ანგარებით სავსე ადამიანს. ნინო — აზიზი, კდემამოსილი და პატიოსანი.

კიდევ სხვა ეპიზოდში:

დამფუძნებელი კრების სხდომის დამთავრების მერე სასახლის ერთ-ერთ დარბაზში პლატონ მოგველაძეს მთავრობის წევრებისა და ჟურნალისტების მცირე ჯგუფისათვის უნდა განეცხადებინა თავისი აღტაცება ნოე ჟორდანიას იმ გამოსვლით, რომლის გამოც მას მშრომელი მასა ჰკიცხავდა, ნაციონალისტები კი აქებდნენ და ადიდებდნენ:

— დღეს ისტორიული დღეა, ჟორდანიამ სწორი პოლიტიკური კურსი აიღო. დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა იურიდიულად საძირკველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ჩვენში ყველა კლასი და წოდება, ყველა პარტია და ორ-

განიზაცია საერთო ნაციონალურ პლატფორმაზე უნდა შეკავშირდეს. ეს ჩინებული რამ არის, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, — ამან უკვე ნოე რამიშვილსა და ევგენი გეგეჭკორს მიმართავდა, — ჩვენი პარლამენტის თავზე ეროვნული დროშის ნაცვლად წითელი დროშა რად ფრიალებს?

და ესტატე მაყაშვილი მაშინვე ჩასჭიდებდა ხელს პლატონის ამ განცხადებას:

— ეს წითელი დროშა მუშათა კლასის ბრძოლისა და რევოლუციის ემბლემაა და სრულიადაც არ გამოხატავს ქართველი ხალხის ერთობლივ სულისკვეთებას. ჩვენს სახელმწიფოს, ქართველ ხალხს თავისი ეროვნული დროშა აქვს და საქართველოს პარლამენტის თავზე ის უნდა აღიმართოს.

და პლატონ მოგველაძე ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო იმ რამდენიმე კაცთაგან, რომელნიც — საგანგებო ჩოხაში გამოწყობილი — სასახლის თავზე ავიდოდნენ, წითელ დროშას ჩამოხსნიდნენ და მის ნაცვლად დამფუძნებელი კრების შენობის თავზე სამფეროვან დროშას აღმართავდნენ.

თხრობაში ფილიმონ ერისთავი რომ შემოვიდოდა, ბერძნული და რომაული ლიტერატურის კურსს ვინც კითხულობდა უნივერსიტეტში, და ბიოგრაფიული რეალიებითა და ფსიქოლოგიურ შტრიხებით გრიგოლ წერეთელი იგულისხმებოდა, მის მიერ ბერძენ პოეტთა ლექსების ოსტატური კითხვა არსებული სინამდვილით შეშფოთებულ ქართველ თავადებსა და მათ ქალებს შორეულ წარსულში, ძველი ქვეყნის საოცნებო წარსულში ასახლებდა, და ისტორიის მიერ განწირულ წოდებას სწორედ ეს ხიბლავდა.

ფილიმონ ერისთავი განსაკუთრებით ქალებს აჯადოებდა და მათ შორის იქნებოდა ნინო მაყაშვილიც, რომლის მამაც — ესტატე ხშირად პატიჟებდა პროფესორს სადილ-ვახშმად. და ნადიმობის დროს კი პლატონ მოგველაძე, რომელსაც მანამდე ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და ლიტერატურის ცოდნით თავი მოჰქონდა... უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგანაც მას პეტერბურგის უნივერსიტეტის ანტიკური ლიტერატურის დოქტორის ფილიმონ ერისთავის პიროვნება ჩრდილავდა.

და მანამდე ეს „ენამზე“, „მეცნიერი კაცი“, „ბრწყინვალე პოეტი და არტისტი“ ახლა... მუნჯად იჯდებოდა და მოწაფესავით შეაჩერდებოდა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს, არისტოკრატსა და პოეტური ბუნების მოხუცს, რომელსაც ბერძენი ლირიკოსები რუსულად ეთარგმნა. ნინოს დღეგრძელობისას ფილიმონი თავისი თლილი და გრძელთითებიანი ხელით მაღალყელიან ბროლის ჭიქას კოხტად ასწევდა და ესტატე მაყაშვილის ლამაზ ასულს მომაჯადოებელი ღიმილით, არწივისებური ხედვითა და ნარნარა ხმით უკითხავდა პოეტი ქალის საფოს ლექსებს.

ნინო სიამოვნებისა და ნეტარებისაგან რომ დნებოდა, ის ფიქრი ასდევდა: ნეტა კორნელი ახლა აქ იყოს, რომ დაინახოს და მოისმინოს, თუ რა დიდი, ბუმბერაზი ადამიანი, მეცნიერი, პოეტი იხიბლება ჩემით და საფოსა და ალკეოსის წარმტაც ლექსებს მიკითხავსო.

ბოლო დროს მოხუცი პროფესორი ყველას რომ აქებდა, აგულიანებდა, უღიმოდა და ეფერებოდა, პლატონს ცოტა არ იყოს ეჭვი შეეპარებოდა მის მხატვრულ გემოვნებასა და გულწრფელობაში. თუმც იგი არ ითვალისწინებდა, რომ ფილიმონმა ბევრი იცოდა, ბევრი ენახა, განეცადა და ბოლოს დაღლილიყო. საქართველო მისთვის პროვინციას წარმოადგენდა და ახლა აქ თავს იქცევდა და ერთობოდა.

კიდევ სხვა ეპიზოდში ესტატე მაყაშვილის მიერ გამართულ წვეულებაზე ყველაზე ადრე პლატონ მოგველაძე და მისი დამშეული მეგობრები — რაფაელ ახვლედიანი, ლეონარდო ტაბადაძე და თეოფილ გოთუა — გამოცხადდებოდნენ.

ყურადღების ცენტრში კვლავ პლატონი იქნებოდა — სტუმრებით გარშემორტყმული შუა დარბაზში რომ იდგებოდა. სტუმრები აქებდნენ მოგველაძეს, მის სიტყვას, რომელსაც ვენდერველდეც კი აღეფრთოვანებინა. პლატონი ქებას შეიფერებდა და ურცხვად განაცხადებდა:

— ჩემი სიტყვა სონეტივით ჟღერდა!

— ჩვენს სოციალისტებს არა სჯერათ, პოეტები რომ ბრძენი ხალხია, პოლიტიკაში კარგად ერკვევიან და სახელმწიფოს მართვაც შეუძლიათ, — დაიკვეხნიდა რაფაელ ახვლედიანი.

— რა დალაგებული სახელმწიფო იქნებოდა, — დაგესლავდა თეოფილ გოთუა. პლატონი მრისხანედ გადახედავდა მას, რაფაელი კი უჩურჩულებდა: ის არა კმარა, დაუპატიჟებლად რომ შემოძვერი მაყაშვილის სალონში და ხალხში გაერიე? ახლა აქაც ბალაგანის გამართვას აპირებო?!.

პოეტები წაძიძგილავდებოდნენ, მაგრამ ამ დროს სტუმრების ყურადღებას დარბაზში შემოსული მასპინძელი მიიპყრობდა, პლატონს რომ მიმართავდა:

— დაინახეთ, როგორ წამოიჭრა ვანდერველდი და რა აღტაცებით გიკრავდათ ტაშს?!

— სხვა რა გზა ჰქონდა? მთელი დარბაზი ხელში დავიჭირე, — მიუგებდა პლატონი, გაშლილ ხელს ჰაერში გაიქნევდა და მერე თითებს შეკუმშავდა, თითქოს საოპერო თეატრის დარბაზი მართლაც ხელში დაიჭირაო.

ამასობაში მდგომარეობის კატასტროფულობაზეც უნდა ალაპარაკებულიყვნენ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს კიდევ ერთი კრიზისიც რომ მიემატებოდა — მორალური. გენერალი ჩიჯავაძე კი გამოსავალს იმაში დაინახავდა, თუ საქართველოს სამხედრო დიქტატურას გამოაცხადებდა. ესტატე და მისი სტუმრები მოწყენილნი და დაღვრემილნი რომ უსხდებოდნენ სუფრას, ამ ყოფიდან პლატონი გამოიყვანდათ:

— მეგობრებო, დროა თავი გავანებოთ იერემიადას. კმარა ქართლის ბედის გამო ამდენი გლოვა და ქვითინი! ასეთი ცხოვრება ჯოჯოხეთია, ხოლო მუდამ ჯოჯოხეთში ცხოვრება — აუტანელი.

— მე არა ვფიქრობ, რომ ევროპამ მიგვატოვოს, — განაცხადებდა მასპინძელი და თამადობას მიულოცავდა პლატონს, რომელიც ბიძგს მისცემდა სუფრის მხიარულებას.

ფილიმონ ერისთავი საუცხოო, ნარნარი რუსულით სიტყვას წარმოთქვამდა, ალკეოსის სატრფიალო ლექსს წაიკითხავდა და თანამესუფრეთ შხამიანი სინამდვილიდან შორეულ, ეფემერულ და ტკბილ სამყაროში გადაასახლებდა. პოეტები ლექსებს წაიკითხავდნენ. ვანო სარაჯიშვილი ნინო მაყაშვილის აკომპანიმენტზე რამდენიმე ნეაპოლიტანურ სიმღერას შეასრულებდა და... ყველა გამხიარულდებოდა.

ამასობაში მოაწევდა თებერვლის ტრაგიკული დღეები და: როდესაც პლატონ მოგველაძე ნაცნობი ოფიცრებისაგან შეიტყობდა ფრონტზე შექმნილი სახიფათო მდგომარეობის ამბავს, ვეღარ გადაწყვეტდა, სად გაქცეულიყო და რა მოემოქმედა. თავზარსა სცემდა იმაზე ფიქრი, თუ რა მოელოდა, როდესაც XI არმია — რომანში „აჯანყებულები“ წერია საბჭოთა პროპაგანდის კვალობაზე, თითქოსდა აჯანყებულ ხალხს დაემხოს მენშევიკური მთავრობა, საქართველოს ხელახალი ოკუპაცია კი არ მომხდარიყოს რუსეთის მიერ — თბილისს დაიკავებდა. სამი დღის წინათ რაფაელ ახვლედიანთან ჩასახლდებოდა, ის კი საზღვარგარეთ გაქცეული მრეწველის — ჯაყელის, ანუ აკაკი ხოშტარიას, ბინაში ცხოვრობდა.

შუაღამე გადავიდოდა და ზარბაზნების გრიალიც შეწყდებოდა. პოეტების მშვიდი ძილი უკვე აღარაფერს უნდა დაერღვია, მაგრამ უეცრად ბორბლების გრიალის ხმა გაისმოდა ვერის ხიდიდან და კირკის ქუჩიდან, თანაც განუწყვეტლივ მატულობდა. გაღვიძებული პლატონი ყურს რომ დაუგდებდა ავისმანიშნებელ, განუწყვეტელ გრიალს, გაიფიქრებდა: ალბათ არტილერია და ქვეითი ჯარი მიდის ფრონტისაკენ, საქართველო უთუოდ გადარჩება, ამდენი ჯარი თუ მიედინება ფრონტზეო.

მაგრამ უეცრად კარზე ვილაცას გაშმაგებით უნდა დაეწყო კაკუნი. პლატონი შეშინდებოდა და თავზე საბანს გადაიფარებდა, რაფაელი კი წამოიჭრებოდა და კარს მივარდებოდა. ოთახში ლეონარდო ტაბადაძე, თეოფილ გოთუა, ვარლამ შევარდნაძე, არსენ ლალიაშვილი და ახალგაზრდა პოეტი ბეჟან ერაძე შემოცვივდებოდნენ ყვირილით:

— რა დროს ძილია! ჩვენები თბილისს ტოვებენ. თბილისი გარშემორტყმულია. მთავრობა კი გაიქცა.

პლატონი საწოლზე ფეხმორთხმით დაჯდებოდა და თავს პირსახოცით მაგრად გაიკრავდა. მერე მისტიკური ჭვრეტით სავსე თვალებს ჭერისაკენ აღაპყრობდა, ხელებს ასწევდა და ჩურჩულით წარმოთქვამდა:

— ო, ღვთისმშობელო, წმინდა მარიამ, შენ უშველე საქართველოს! ის ხომ შენი წილხვედრია!..

თეოფილ გოთუას შეეცოდებოდა იგი და ქალაქიდან გასვლას, მასთან ერთად გაქცევას ურჩევდა, მაგრამ გადაჭრილ უარს მიიღებდა:

არავითარ შემთხვევაში, მე მოვალე ვარ ჩემი ხალხის ბედი გავიზიარო. შეუძლებელია ინგლისმა და საფრანგეთმა ამ საშინელ და მრისხანე ჟამს მიგვატოვოს. არ მოხდება ასეო!..

პლატონის პოზა, თვალთმაქცობა, ღვთისმშობლისადმი ვედრება და ევროპის იმედად ყოფნა არ მოეწონებოდა ბეჟან ერაძეს:

ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგები, რომელთა იმედიც კიდევ შეგრჩენიათ, მეოცნებე პოეტები კი არ არიან, არამედ საქმის კაცები. ჩვენს გამო რუსეთის ჯარებთან ბრძოლით თავს არ აიტკიებენ. მითუმეტეს თუ ბაქოს ნავთის გამო ინგლისი და რუსეთი შეთანხმდნენ, მენშევიკთა წირვა გამოსულია და ხალხს ეს ახარებს, თქვენ კი მათ ბედს დასტირით და ღვთისმშობელს ევედრებითო...

— გაჩუმდი!.. როგორ ბედავ უმსგავსოების როშვას? — გააწყვეტინებდა პლატონი, — მე პატრიას, სამშობლოს მივტირი და არა მენშევიკებსა და მათ პარტიას.

და აღაღადდებოდა:

ქვეყანა გაგიჟდა! არულს მართავენ კუდიანები ზესკნელზე, ჭკუას უმღვრევენ სუსტ სულებს! ჭინკები ეზიდებიან სახრჩობელაზე და უფსკრულისაკენ მიაქანებენ საქართველოს. თქვენ არ იცით, რანი არიან ბოლშევიკები! მე ვნახე ისინი, მათი მთავრობა, მათი ჯარი, „ჩეკა“ ბაქოში და აღარ მინდა კვლავ ვიხილო ისინი! ო, ღვთისმშობელო, შენ გამოიხსენ საქართველო დაღუპვისაგან. და უკეთუ ეს შეუძლებელ არს — იყავ ნება შენი, უფალო! თუ დაღუპვა გვიწერია, დაე დავიღუპოთ!.. დავიღუპოთ, რადგან დაღუპვაში შევიცნობთ სულიერი განწმენდის უკანასკნელ სიტკბოებას, იმას, რასაც არისტოტელემ კათარზისი შეარქვაო...

გულხელდაკრეფილი ვარლამ შევარდნაძე და არსენ ლალიაშვილი გამტკნარებულნი მიაჩერდებოდნენ „პოეზიის მოგვს“, რომელიც მისტიკურ სიტყვას განაგრძობდა...

მერე პლატონმა იმ ეპიზოდში უნდა ამოჰყოს თავი, ისიც სადგურისაკენ რომ მიეშურება. კვლავ დამბლადაცემულს უნდა

მგვანებოდა, გაშეშებული მანეკენივით რომ მიაბიჯებდა პლეხანოვის პროსპექტზე, რომელზედაც ფრონტიდან მცხეთისაკენ უკანდახეული ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, არტილერია და აღალი კვლავ განაგრძობდა სვლას.

გათენდებოდა. ზემო ავჭალისა და მცხეთის ვიწროებში, მთასა და მტკვარს შუა გზატკეცილი ერთმანეთში არეული ჯარისკაცებითა და ხიზნებით გადაიჭედებოდა, რასაც ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ჯარების მომლოდინე შოფრები საბარგო მანქანების მოტორებს მოშლიდნენ და ავტოკოლონას დააყენებდნენ. აქ გაიჭედებოდნენ ჩვენი ხიზნებიც. ერთი შავგვრემანი შოფერი მის მანქანასთან მდგარ დრაფის პალტოში გამოწყობილ კატელოკიან პლატონს იცნობდა, კაბინიდან თავს გამოჰყოფდა და გასძახებდა: გამარჯობათ, ამხანაგო! თქვენც მოუსვით თბილისიდანო?

პლატონიც მაშინვე იცნობდა შოფერს იმ გარაჟისა, რომლის დაკავებასაც აპირებდა 1918 წელს, მეორე საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცთა დახმარებით. შოფრები აშკარად აგინებდნენ მთავრობას. ისინი მოშლიდნენ და გარდიგარდმო დააყენებდნენ მანქანებს იქ, სადაც რკინიგზის ხაზს გზატკეცილი ჭრიდა.

მცხეთაში მართლაც წარმოუდგენელი უწესრიგობა და ორომტრიალი იდგებოდა. ჯარისკაცები ერთმანეთში იქნებოდნენ არეულნი. სარდლობა დივიზიებს არ მიუჩენდა ადგილებს და სადგურსა და ტაძარს შუა ჯარის ნაწილები ისე დაბანაკდებოდნენ, ვინც სად მოასწრებდა.

ქვეითი სიარულით დაღლილ-დაქანცული პლატონი სადგურის დარბაზში რომ შევიდოდა, მაგიდაზე გაშხლართულ, ხახადაღებულ და მძინარე იუნკრებს შორის ბევრ ნაცნობს დაინახავდა... ზოგი ძილფხიზლობდა, თავი ამაყად ეჭირებოდა და კვლავ ბრძოლის გუნებაზე იქნებოდა.

პლატონი დარბაზიდან ქუჩაში ჩასასვლელ კიბეზე მჯდარ, გამხდარ და დაღლილ მოხუც პროფესორ ფილიმონ ერისთავს, მის მეუღლე სოფიოს, ესტატეს, ვარდოსა და ელოს დაინახავდა.

იქვე იდგებოდა მოწყალების დის ტანსაცმელში გამოწყობილი ნინოც.

იგი ფრონტზე წასულიყო. მკერდზე წითელი ჯვარი ეკერებოდა, იუნკრებს ესაუბრებოდა და პლატონს ახლა ყურადღებას არც მიაქცევდა. ფრონტზე იგი თოფ-ზარბაზნების გრიალსა და ტყვიების ზუზუნში ჭრილობებს უხვევდა მებრძოლებს.

— მე არ გიცნობდით ასეთ გმირად, — შეაქებდა ნინო მაყაშვილს პლატონი და ხელზე აკოცებდა. ნინო ხელს ჩაიქნევდა და ფილიმონ ერისთავსა და მის მეუღლეს ეტყოდა: წამობრძანდით, მამა მიგიყვანთ ჟორდანიასა და რამიშვილთან. მთავრობის მატარებლით იმგზავრებთ მათთან ერთად. აქ თქვენი ჯდომა უხერხულიაო.

პლატონი ესტატე მაყაშვილთან ერთად სადგურისაკენ რომ გაეშურებოდა, იქ იდგებოდა მთავრობის მატარებელი, რომელშიაც ისხდებოდნენ ნოე ჟორდანია და მინისტრები ცოლშვილიანად, საქართველოს კათოლიკოსი — რომანში რატომღაც „ეგზარქოსად“ მოხსენიებული სინამდვილეში კი კათოლიკოსი არ გაჰყვებოდა გაქცეულ მთავრობას — ამალით, გენერლები, მრეწველები და მმართველ წრეებთან ახლოს მდგომი საქმოსნები.

მერე ორივეს ბათუმის ნავსადგურში ვხედავთ, მთავრობის, მათი მახლობლებისა და თანამშრომლების გაქცევის შემდეგ მეორე რიგის მგზავრთა სიაში ჩაწერილნი გემში ჩაბარგებას მთელ ღამეს რომ ელოდებიან.

ესტატე და ნინო შეშფოთებულნი იქნებოდნენ, რადგანაც ამ ქვეყნის დაქცევის ჟამს ნინო არსადა ჩანს, სად უნდა წასულიყო, სად უნდა გამქრალიყო?

ეჭვი გამოითქმოდა:

კუკური ზარანდიას ხომ არ გაჰყვა ფრონტზეო?

17 მარტს, შუაღამეს თურქეთის ჯარების სარდალი თავის ბრძანებაში ბათუმის ოლქს თურქეთის ტერიტორიის ნაწილად რომ გამოაცხადებდა, თავს კი — ოლქის გენერალ-გუბერნატორად, ქართული არმიის სარდლობას წინადადება მიეცემოდა: 24 საათის განმავლობაში განეიარაღებინა თავისი ჯარები, ჩაებარებინა იარაღი და გაეყვანა ბათუმის ოლქიდან თავისი ყველა ჯარისკაცი.

სახელდახელოდ შექმნილი რევოლუციური კომიტეტი გენერალ გიორგი მაზნიაშვილს — რომელიც არ გაჰყვებოდა გაქცეულ მთავრობას — შესთავაზებდა: როგორც მცოდნე, მამაცი და საბრძოლო გამოცდილების მქონე, სასწრაფოდ ჩადგომოდა სათავეში ბათუმის დაცვის საქმეს.

და ისიც თანხმობას განაცხადებდა იმ პირობით, თუკი მასაც და სხვა სამხედრო პირებსაც დანაშაულად არ ჩაუთვლიდნენ, მენშევიკთა ჯარში რომ მსახურობდნენ, და ამისათვის პასუხს არ აგებინებდნენ. ისინი ხომ სამშობლოს ემსახურებოდნენ და არა მენშევიკურ პარტიას.

და კიდეც ჩაბარდებოდა რევოლუციური ხელისუფლების მხარეზე მყოფი ჯარების სარდლობა, თვითონ გიორგი მაზნიაშვილი ბათუმის გენერალ-გუბერნატორადაც რომ დაინიშნებოდა და კიდეც მოსთხოვდა ქიაზიმ ყარაბექირ-ფაშას, რომ ბათუმიდან თურქთა ჯარების ევაკუაციას შედგომოდა: ახლავე, სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ.

ნებით არ იზამდნენ? ძალა აიძულებდათ — ჯერ პორტისა და საბარგო სადგურის მიდამოებიდან რომ გარეკავდნენ, მერე კი ბატარეა-ბარცხანიდან გამოსულ თურქებს ქართული ესკადრონი დაესხმოდა თავს, გარნიზონის ნახევარს ხმლებით აკუწავდნენ, ორას თვრამეტ ასკერს კი ტყვედ იგდებდნენ და გენერალ მაზნიაშვილის შტაბში გაგზავნიდნენ.

მალე თურქები იძულებული შეიქნებოდნენ ქალაქში დაკავებული ყველა შენობა გაეთავისუფლებინათ და ბათუმიდან გასულიყვნენ, მთელ ოლქში მათი ერთი ჯარისკაციც რომ აღარ დარჩებოდა.

თუმც თურქებზე გამარჯვება ძვირად დაუჯდებოდა ქართულ ჯარს — მოკლულთა რიცხვი ას კაცამდე მიაღწევდა და მათ შორის ბევრი სტუდენტიც დაიღუპებოდა.

და... ნინო მაყაშვილიც, რომელსაც მაშინ მოხვდებოდა ასკერის ტყვია, როდესაც მებრძოლს ჭრილობას უხვევდა.

ფინალური აკორდი ამ ოთხნაწილიანი რომანისა ნინო მაყაშვილის ტრაგიკული აღსასრულითა და დაუვიწყარი სახებით არის განმსჭვალულ-განათებული, როგორც კორნელი მხეიძის პირველი და დაუვიწყარი სიყვარულისა.

პროტოტიპი ნინოსი — მარო მაყაშვილი — დაიღუპებოდა თბილისის დაცვისას — რუსი ბოლშევიკის ტყვიით.

პოლიტიკური კონიუნქტურა აიძულებდა ალექსანდრე ქუთათელს, რომ რეალური ამბავი გეოგრაფიულადაც გადაენაცვლებინა და იდეურადაც — ნინო მაყაშვილი არ შეიძლება რუსი ბოლშევიკის ტყვიით დაიღუპოს, არამედ — მხოლოდ და მხოლოდ ასკერისა.

ის ბიოგრაფიული რეალია კი პირდაპირ გადავიდოდა ყოფითი რეალობიდან მხატვრულ სინამდვილეში, მარო მაყაშვილიც მებრძოლის ჭრილობის შეხვევისას რომ უნდა დაღუპულიყო. ეგაა — არა ტყვიით, არამედ მის სიახლოვეს გამსკდარი ყუმბარის ნამსხვრევისაგან.

პლატონ მოგველაძეს ნავსადგურში რომ დატოვებდა მკითხველი, იგულისხმება, რომ მეორე რიგის მგზავრ-ემიგრანტთა შორის ისიც იქნებოდა.

სინამდვილეში კი გრიგოლ რობაქიძეს თებერვალ-მარტის ტრაგიკულ დღეებში არც უფიქრია სამშობლოდან გამგზავრება. ის კი არა, ათი წლის თავზეც, როდესაც სამუდამოდ აღმოჩნდებოდა უცხოობაში, არ გამგზავრებულა იქ დასარჩენად, არამედ მხოლოდდამხოლოდ წიგნების გამოცემის მოსაგვარებლად — ეგაა: საბჭოეთში სულ უფრო გამწვავებული პოლიტიკური ყოფა უკარნახებდა, რომ აღარ ღირდა შინ დაბრუნება, თუკი მაინცდამაინც მოსურნე არ გახლდათ ციხე-გადასახლებისა თუ სულაც დახვრეტის.

ხოლო კოტე მაყაშვილი ლექსად მაშინვე ვერც დაიტირებდა მაროს, ჯერ კარგახანს უნდა ედუღა მის გულში ტკივილს, კარგახანს ებორგებინა მისი არსება, ვიდრე სტრიქონებად გადმოიღვრებოდა, რომ: არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარ ჰქონდა ხალისი, თებერვალს სამუდამოდ დაეზამთრებინა მისთვისაც მაისი!..

დაღლილიყო, აღარ ალხენდა მნათობთ ლბილი ციალი, მის ოცნებასაც აღარ ძალუძდა ცად ნავარდი, სრიალი, ჯადოსნური წრე შემოვლებოდა გარს და ვერა და ვერ დაეღწია თავი უმაროდ დარჩენილს ოხერ-ტიალად.

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარ ჰქონდა ხალისი...

გულზე სევდა შემოსწოლოდა თავის მძიმე ლოდებით; საქართველო გაჟღენთილიყო მაყაშვილთა გოდებით... დაღლილიყო... დაჩაგრულიყო... და კვლავ მაროსი გახლდათ მხმობელი, რათა ამ გმირსა და წმინდანს გაემხნევებინა მშობელი.

სამშობლო თუ შენ, რომელი, ახ, ვიტირო რომელი?..
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლის
მშრობელი!

თებერვალს სამუდამოდ დაეზამთრებინა მისთვისაც მაისი...

მაგრამ არა! დაე შვილს შეენდო ეს წუთიერი სისუსტე, თორემ მაროს მამა ლაჩარივით როგორ უნდა შეშინებულიყო?

როს იღვიძებდა მარო მასში, მამა მფეთქავ ალად იგზნებოდა, მარო მისი ღირსი გახლდათ და მამაც შვილის ღირსი უნდა ყოფილიყო!

შემოეხედა — მუხასავით იდგა მაგრად და წყნარად, სადარაჯოს არა ტოვებდა და ავდარსაც არად აგდებდა, და თუ ბედი წააქცევდა მეხით ცეცხლის მკვესავით, წაიქცეოდა უდრეკელი, რაინდულად, მაროსავით!..

რჩებოდა ჰეროიკული ხსოვნა ყმაწვილქალისა, მისი სისხლიც რომ უნდა შერეოდა თებერვლის განწირულებას... და რჩებოდა მისი „დღიურიც", არა სევდიან მოგონება თუ მის საფლავზე მიტანილ ყვავილად, არამედ სრულფასოვან ქმნილებად, შედევრად ამ ჟანრისა, საქართველოს ეფემერული დამოუკიდებლობის წლების სახიერ, შთამბეჭდავ დოკუმენტად, საზოგადოებრივ ყოფას ხელშესახებად რომ განგვაცდევინებს — გარეგნულ იერსაც და რაც მთავარია — ეპოქის სულსაც, მის იმ ფარულ ნაკადებსაც, ასეთ მგრძნობიარე და დაკვირვებულ, გონიერ და ნიჭიერ გოგონას რომ შეეძლო შეემჩნია და შესაფერისადაც გადმოეცა: მსოფლიოში სახელგანთქმულ ანა ფრანკის დღიურს თუ რითიმე ჩამოუვარდებოდეს!.. თან დარწმუნებით მოგეხსენება, რომ მარო მაყაშვილის დღიურს რედაქტორული ხელი არ შეხებია — როგორც დაიწერა, ისევეც ვეცნობით.

ასდევდა სიყმაწვილესა და სიკასკასეს.

და ასდევდა გამონათებას 117-წლოვანი ტყვეობის შემდგომ, სამშობლოს ბედს საკუთარ ბედად რომ განიცდიდა, და ამის თქმა გაკვრითაც არა სჭირდებოდა, რადგანაც შინაგანად გაჟღენთილიყო ამ განცდით მისი ყოველდღიური ჩანაწერები, რომელიც იმ მხრივაც უნდა აღმოჩენილიყო მნიშვნელოვანი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ იმ გადაქროლილ, მაგრამ სისხლსავსე ხანის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე მარო მაყაშვილის „დღიურის“ გამოქვეყნებამდე ალექსანდრე ქუთათელის რომანი თუ მოგვეპოვებოდა — „პირისპირ“, და საგულისხმოა, რომ მის სიუჟეტს თავით ბოლომდე გამოსდევს მარო მაყაშვილის ლანდი, ასე ადვილად ამოსაცნობი.

ანკი რომანი იმ ეპოქაზე და... უმარომაყაშვილოდ?!.

გაყოფილიყო ნინო მაყაშვილის გული კორნელი მხეიძესა და პლატონ მოგველაძეს შორის — რომანს ესაჭიროება ამისთანა სიუჟეტური ხაზები... მაგრამ სინამდვილეში ნეტა როგორღა იქნებოდა, როგორ ღებულობდა მარო გრიგოლ რობაქიძის ტრფიალს?

როგორ შეიძლება ამას მივხვდეთ?

დღიური გვამცნობდა აუცილებლად, პირდაპირ თუ არა, მოიარებით, ქარაგმულად მაინც აღიბეჭდებოდა მის ფურცლებზე მაროს განწყობილება.

ალბათ... სასაცილოდაც არ ეყოფოდა, სინამდვილედ ვერც მიიღებდა გრიგოლ რობაქიძის განზრახვას. ვერც მიუხვდებოდა, და თუკი ვინმე ჩააწვეთებდა: მთლად გულგრილი არ უნდა იყოს შენს მიმართო, — იქვე ჩააჩუმებდა: რას ამბობ, მამაჩემის მეგობარიაო!..

და დღიურსაც არ მიანდობდა, რაკიღა ნამეტანი მოეჩვენებოდა, თორემ ის სიცილი კი აღბეჭდილა თხრობაში, მარო მხიარულად რომ შეეგებებოდა გიორგი მაზნიაშვილის თითქოსდა ხუმრობით ნათქვამს: ჩემი რძალი უნდა გახდეო.

საიდან სად გვწვდება მარო მაყაშვილის კისკისი.

ძალიან რომ ჩასციებოდა გრიგოლ რობაქიძე და გოგონას რეალობად აღექვა ორმოცი წლის კაცის ეს სწრაფვა, სიცილ-კისკისი მაშინ გენახათ... ხუმრობად რომ ჩამოართმევდა, თორემ

დაცინვას როგორ აკადრებდა. იმასაც კი გაიფიქრებდა: რომ ამბობენ, გრიგოლს იუმორი არ გააჩნია, აბა თუ არა აქვს, ხუმრობა და ამისთანაო?!.

უფრო მარჯვე, უფრო შესაფერის დროს დაელოდებოდა გრიგოლ რობაქიძე გულნადების ამოსათქმელად, ხვაშიადის გასამხელად... მაგრამ სადღა ეს უფრო მარჯვე, უფრო შესაფერისი დრო... რას წარმოიდგენდა, თებერვალი მასაც სამუდამოდ თუ დაუზამთრებდა მაისს... და ახლა აღარ იცოდა, რა ეგლოვა — მარტოდენ ქვეყნის უბედო ბედი თუ თავისი გაუხარელი სიყვარულიც...

თავი მესამე

მისია გრიგოლის: ამქვეყნიური

17 აპრილს — 1962 წლისა — ამ სტრიქონით დაიწყებდა კიდევ ერთ მღელვარე, სულ და გულათრთოლებულ ბარათს:

რომ იცოდე, როგორ ვიტანჯებიო!

საბედნიეროდ ხელთ ჰქონდა 10 აპრილს გიტასადმი გაგზავნილი წერილის ასლი. „საბედნიეროდ" რატომ? რაკიღა თავისი წერილების ასლს იშვიათად, იშვიათად ამზადებდა. და ახლა კითხულობდა მას შინაგანი მედიტაციურობით და ადგენდა: სანატრელი ქალის ყველაზე ღრმა ფენებში ნათელით შეეღწია. „ნათელი" კი სხვას რას, სიყვარულის ნათელს გულისხმობდა.

გიტას 12 აპრილის ღია ბარათი ამას სავსებით ადასტურებდა. მაინც რას ამბობდა იქ გიტა?

— მწერ: შენი არსების უმაღლესი გახსნა შენივე სიყვარულია: სიყვარული ჩემდამიო. რა ღრმად გამიცანი. მხოლოდ შენით შევძელი ეს. ჰო, შენდამი სიყვარულში ყვავილივით გავიფურჩქნე. რადგანაც: შენ (შენგანვე ფარულად) ხარ ის: ხარ — ჩემი არსებობის მთავარი მიზეზი.

და ახლა ეკითხებოდა თავის თავს:

როგორ შეძლებდა გრიგოლი, რომელმაც შენს არსებაში თავისი სიყვარულის „ნათელით" ასე ღრმად შეაღწია, დიახ, როგორ შეძლებდა შენთვის „ჩაკეტილად" ყოფნას?! სიყვარული თვითვე არ გახლდათ „გახსნაო"?

მერე კი ეკითხებოდა თავის თავს:

როგორ შეძლებდა ენგადი-გიტა, რომელიც გრიგოლის სიყვარულში ყვავილივით გაფურჩქნულიყო — როგორ შეძლებდა უკან

დაბრუნებისას თავისი შინაგანი განცდების შესახებ მისთვის, თავისი არსებობის მთავარი მიზეზისათვის არაფერი ეამბნა?

გაფურჩქვნა თვითვე არ გახლდათ გახსნა!

წარმოუდგენლად ეჩვენებოდა! მითუფრო, რომ ეს გადაწყვეტილება გარკვეულად უკავშირდებოდა ტაბუს, რომელიც გრიგოლისათვის სრულიად გაუგებარი რჩებოდა!..

ივარაუდებდა:

აქ ნამდვილად რაღაც ფატალური შეცდომა უნდა იმალებოდესო.

ტყუილად კი არ ეშინოდა აქამდეც და ამჟამადაც ბოროტების ჩარევისა მათ საკრალურ ურთიერთობაში. მართალია დედამიწაზე არანაირ ძალას არ შეეძლო ამ ურთიერთობის დარღვევა — მაგრამ წამიერი „არეულობა“ მათ გრძნობებში შეძლებდა ბოროტების ჩადენას.

ალბათ გული უგრძნობდა, ერთხელ რომ მისწერდა:

ჩვენი სიყვარული პირადულზე მაღლა დგას: ამიტომაც მოვალენი ვართ: ის „დავიფაროთ“, დავიცვათო.

პირდებოდა:

უახლოეს დღეებში, როდესაც ყველას სიცოცხლის აღდგომას ლოცვებში მოგიხსენიებთ, ჩემო შეუდარებელო გიტა, მისტიკური კავშირის სალამს შემოგითვლიო.

გუშინდელი შოკის მერე ჯერ ბოლომდე ვერც გამოკეთებულიყო, ერთადერთი მხოლოდ გიტას სიტყვა გამოაცოცხლებდა. ეს სიტყვა, გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა, გიტას არ გამორჩებოდა.

ამ ბარათს ქალი ზეგ მიიღებდა. თუ იმავე დღეს მოიწერებოდა, შაბათს უკვე გრიგოლს ექნებოდა ხელთ — ასე იმედოვნებდა.

უწინარეს ყოვლისა სთხოვდა აეხსნა იმ სტრიქონების კონტექსტი:

— არ მინდა იმით (ანუ: ჩემი წინადადებით) ვისარგებლო. ეს არის ჩემთვის (შენგან დაფარული) ტაბუ. — შენი ტაბუ — შევამჩნიე ეს და დაბრუნების შემდეგ აღარ ვილაპარაკებ ჩემს შინაგან განცდებზე (შენ იყავი ერთადერთი ადამიანი, ვისაც მათ შესახებ ვუამბობდი).

ვერ გაეგო და ვერა.

და ბარათს იმავე სტრიქონით დააბოლოვებდა, რითაც დაეწყო:

რომ იცოდე, როგორ ვიტანჯებიო!

18 აპრილის ბარათით გიტას 15 აპრილის წერილს, მხოლოდ ერთ სტრიქონს, მოიხსენიებდა იმედგაცრუების წამებად.

მაგრამ სტრიქონი: ნაზად გეხვევაო... — მაინც იმოქმედებდა მასზე, ამ სიტყვის „ნაზად" ჩურჩულითაც რომ გაიმეორებდა, რადგანაც თუ რაიმე, სინაზე სჭირდებოდა ამ წუთას და თანაც სანატრელი ქალისა. გუშინწინდლიდან მოყოლებული სული ეხუთებოდა, როგორც გუშინაც მისწერდა და გუშინწინაც.

ახლა გრძნობდა: გიტას ხელები ეალერსებოდნენ მის დაღლილ საფეთქლებს და... რა შვება გახლდათ.

სურათი: „ფარაონი სეთი და ქალღმერთი ჰატჰორი". აღტაცებით ათვალიერებდა ღმერთქალს. და გასაოცარ მსგავსებას პოულობდა გიტასთან. და წამიერად ეს აზრიც გაუელვებდა: ეგვიპტური პანთეონის ქალღმერთი ხომ არ გასულიერდა როგორღაც გიტაშიო?

ახლა მისთვის ეს საიდუმლო სახელიც მოეძებნა: ჰატჰორი.

გრიგოლისათვის გახლდათ: გიტა: მიწიერი საყვარელი.

გრიგოლისათვის გახლდათ: ენგადი: ღვთიური მეგობარი.

დღეიდან ხდებოდა ასევე! ჰატჰორი: მისტიკური მეუღლე.

ჰაიმიტო ფონ დოდერის მოთხრობა წაეკითხა და კითხვისას ფიქრობდა: უეცრად გიტასავით რომ ემტყუნა შეუცდარ ლიტერატურულ გემოვნებას? „წარმოდგენები" — „დადუმებული"! „გაელვება"! მაგრამ დასასრული — ცნობა: ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი ის-ისაა გარდაიცვალაო — ამართლებდა მოთხრობას. ქარიშხალი აბობოქრებულ ბეთჰოვენს მარადისობაში მიაქანებდა.

— ჩემი გული იღვრება შენს გულში და იქცევა შენს გულისცემად.

მოხდებოდა ეს, გიტასათვის გრიგოლი გულდახურული რომ ყოფილიყო?

მოხდებოდა, თუკი უკან დაბრუნებისას ქალი თავის შინაგან განცდებზე აღარაფერს უამბობდა.

უგზავნიდა „წამოწოლილ ფაშატს".

27 აპრილს რომ მიიღებდა 24 აპრილს გამოგზავნილ გიტას წერილს, შვებით ამოისუნთქებდა, რადგანაც ის ყველაფერს ნათელს ჰფენდა. უსურვებდა ქალს, რომ მშვიდად ყოფილიყო, სავსებით მშვიდად!

რას იწერებოდა გიტა?

— შენ გეშინია ბოროტებისა, რომელმაც შეიძლება ავნოს ჩვენს სიყვარულს? მე — არა. ჩვენი ფარული შენ და მე მიუწვდომელია ყოველგვარი ბოროტებისათვის.

დღეიდან აღარც მე მეშინიაო:

ესეც გრიგოლის სიტყვა.

სიტყვა ლაშარის წინაშე.

დღეისათვის დაე მხოლოდ ეს ყოფილიყო. ხვალ მეტს მისწერდა.

ისე ნეტა თუ ამჩნევდა გიტა, განსაცვიფრებლად რომ ჰგავდა ჰატჰორს?

ბოლოში ხელით მინაწერი ვერ გაერჩია — ამას პოსტკრიპტუმში აღნიშნავდა და დასძენდა: როგორ მიყვარხარო!..

დაე ქალი ჩაკვირვებოდა იოანეს ამ სიტყვებს (4, 18):

სიყვარულში არ არის შიში, ხოლო სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა, ხოლო მშიშარა არ არის სრულყოფილი სიყვარულში.

29 აპრილს რომ მიიღებდა გიტას ტკივილიან ექსპრეს-წერილს, გამოგზავნილს ორი დღის წინათ, მაშინვე უდეპეშებდა: დასამშვიდებლად. და 30 აპრილის ბარათით იმედს გამოთქვამდა, რომ ბოლო ორი წერილით ტკივილს ოდნავ მაინც დაუამებდა ქალს.

25 აპრილს, ღამით ნამდვილად ეძახდა.

მონატრებით შეპყრობილი გიტას გულს თავის გულთან ახლოს გრძნობდა. ნამდვილად. წარმოსახვითი ყოფნა ისე მწველად ტკბილი იყო — რომ რეალური არყოფნა იმ წუთას ისეთივე მწველ ტკივილად იქცეოდა და... გრიგოლი კიდეც აყვირდებოდა — გიტას ეძახდა.

ასე იტანჯებოდა ხანდახან სანატრელი ქალისაგან მოშორებული. მაგრამ გიტა ამის გამო არ უნდა დატანჯულიყო.

— მე სხვა ვარ, შენს გამო რას არ გადავიტან! შენ მე სიყვარული უბრალოდ კი არ მაჩუქე: არამედ შენივე თავი სიყვარულში! მე, შენმა შეყვარებულმა, ვიცი ამის ფასი: ისევე როგორც ლაშარის რაინდმა.

ქალის გულისცემა გრიგოლის გულისცემად გადაიქცეოდა.

გიტამ ეს იცოდა, მაგრამ ის აღარ იცოდა, რომ: ამით გრიგოლის გულის თასი გადაქცეულიყო თავისებურ გრაალის თასად გიტასთვის.

ქალის გულს შეეძლო ამ თასში მზესავით ებრწყინა ისე, რომ უბედურების ჩრდილი ოდნავადაც არ შეხებოდა.

პოსტსკრიპტუმში მიადევნებდა, რაც კინაღამ დავიწყებოდა. 13 აპრილის წერილში გიტა გრიგოლის ლექსზე „კენტავრი" რომ ამბობდა: განსაკუთრებულად ლამაზიაო. განსაკუთრებულისათვის ხაზი თვითონ გიტას გაესვა. არადა ეს თავს იკავებდა მის გაგზავნაზე.

7 მაისის წერილიდან ამოიწერდა ფრაზას:

— შეგიძლია გაზომო ჩემი ბედნიერება, როცა შენი სიახლოვის სითბოს განვიცდი?

რითაც დაიწყებდა 11 მაისის ბარათს გრიგოლი და მიადევნებდა:

მესმის ჩემთვის ასერიგად საყვარელი შენი ხმა და თავს ბედნიერად ვგრძნობ. რადგანაც: მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როდესაც შენა ხარ ბედნიერი. ჩემი სიახლოვე ყოველთვის გაგათბობს. ისე ძლიერ მიყვარხარ, შენი ძვირფასი თავი რომ ჩემს მარჯვენა მხარზე ჩამოგაყრდნობინო, ეს სიახლოვე მკურნალ ძალად გადაიქცეოდა და თავის იმ ტკივილისაგან გაგათავისუფლებდა, რაც ცოტა ხნის წინათ ასე გტანჯავდაო.

— შენს გულში რომ ჩემი გრაალის თასი იმალება — უკვე მიჩვენე შარშან, როცა მეორე საიდუმლო სახელი მიბოძე: „ათანასია".

რას ნიშნავდა ეს ბერძნული სახელი და: უკვდავს.

და გრიგოლი ახლაც ნათლად ხედავდა, რომ გიტა მასში უკვდავი იყო.

და აღფრთოვანდებოდა: რა წამიაო!..

რომ შეპირებოდა: მომდევნო წერილში ბოლო სიზმარს გიამბობო, — ახლა უარყოფდა ამ ვეტოს. და გრიგოლს იმედი აღარ ჰქონდა, რომ მომავალში გიტას შინაგან განცდებს შეიტყობდა. მის შეუდარებელ გიტას არა სურდა, რომ გრიგოლი დატანჯულიყო. და ამისათვის ემადლიერებოდა თავის მფარველ ანგელოსს.

სიბილასავით ამბობდა, იმ წუთას, როდესაც ესენი ერთმანეთს ეხვეოდნენ: სულიერად შენ სხვა გზას გადიხარ და მე სხვასო.

შეიძლებაო, — ეთანხმებოდა გრიგოლი და დასძენდა, — მაგრამ: ჩემს გზას შენთან მოვყავარ, ისევე როგორც შენსას — ჩემთანო.

როგორ ამბობდნენ ფრანგები? მაღალი ღმერთი წვრილმანებშიაც მონაწილეობსო. და გრიგოლს სჯეროდა: მაღალი ღმერთი თუ არა, ადამიანი ხომ მაინც დაადასტურებდა.

ხომ ახსოვდა ქალს ის შემთხვევა: როდესაც ქალაქში მოულოდნელად ერთმანეთს შეეჯახებოდნენ.

ასეთი რამ ხომ ათასი ერთხელაც არა ხდება ხოლმე.

თუ საოცრება არა, მაშ რა შეიძლება ამისათვის დაერქმია?

დღეს კიდევ ერთ დეტალს ეჩინა თავი, თუმც ნაკლებმნიშვნელოვანს, ვიდრე მაშინდელი იყო: გიტას წერილში იდო ბარათი და მასზე გამოსახულიყო სტელა — ქვადიის მეფე, რომელიც გველთა მეფედ იწოდებოდა.

მერე რა მოხდა?

როგორ თუ რა:

გრიგოლის „გველის პერანგის“ ქართულ გამოცემაზეც იგივე ნახატი აღბეჭდილიყო.

და ნუთუ ეს „დამთხვევად“ უნდა მიჩნეულიყო?

ერთში მართალი გახლდათ ქალი. ამაზე დაწვრილებით შემდგომ ბარათში სჯობდა.

ამ დღეებში გრიგოლს საფუძვლიანად დაემუშავებინა თავისი ძველი სტატია, რომელიც ეხებოდა პოეტურ სახეებს ანტიკურ სამყაროსა და მოდერნში. ასლს უახლოეს ხანში გაუგზავნიდა. და დაურთავდა, რომ „შთამომავლობისათვის“ (ლათინურად რომ ემჯობინებინა ამ სათაურის დაწერა) ჯერ არ იყო კოპირებული.

ნეტა იცოდა გიტამ „ათანასია“ უკვდავს რომ ნიშნავდა?

და აღტკინდებოდა გრიგოლი: ვარ შენი საყვარელი, ვარ შენი მსახური! იცოდე ესო!

16 მაისის ბარათით გაახსენებდა, რომ:

19 წლის გიტას, თითქოსდა ახალგაზრდა ქურუმს, სიზმრად ოსირი ენახა. და 12 წლის შემდეგ „დაბრუნებოდა მას“.

არ იყო საჭირო მეტი დაკონკრეტება.

გრიგოლი აღფრთოვანებით კითხულობდა ამ ადგილს გიტას 13 მაისის წერილში და იმყოფებოდა „mysterium tremendum“-ში.

გუშინ ოკულტისტისათვის მიეკითხა და იმას გრიგოლის მოტირალი თვალებისათვის გამოეწერა წვეთები „ოკულოსანი“. თუ წვეთები არ უშველიდა — მაშინ საცრემლე არხს ოპერაციის საშუალებით გაუხსნიდა. არა ღირდა სალაპარაკოდ!

ამ დღეებში მისი სიძე — ალია პოგორელოვას მეუღლე სავერიო კალეა — იმყოფებოდა მასთან. თვალებს არ უჯერებდა, ასე გაახალგაზრდავებულს რომ ნახავდა სიმამრს. რომ სცოდნოდა, ვისი მადლიერი უნდა ყოფილიყო ამისათვის გრიგოლი!

წარმოსახვისას გიტა ხშირად მკლავებში ჰყავდა ხოლმე მომწყვდეული ისე მხურვალედ, თითქოსდა მართლაც ასე მომხდარიყოს. ახლა გაეგო, რომ გიტაც თითქმის ყოველთვის მის მკლავებში გრძნობდა თავს.

საოცრება გახლდათ, აბა სხვა რა!

შეამჩნევდა, რომ ბოლო დროს ქალს ზუსტად ისე უყვარდა, როგორც აქ, გრიგოლთან ყოფნისას განიცდიდა ამ სიყვარულს, ანუ — არა როგორც ორივესათვის უსაზღვროდ საყვარელი ენგადის „შუამავალი“.

ერთი „საიდუმლო“ შეკითხვა: არ „ეჭვიანობდა“ ენგადი გიტაზე?

დაე ნუ დაუმალავდა.

18 აპრილის წერილში ამ ეჭვიანობას ბრწყინვალე გამოხატულება ეპოვნა. თუმც... ამის შესახებ მომდევნო ბარათში.

დღეს უგზავნიდა ნარკვევს „შთამომავლობისათვის“. მალე მიაწვდიდა რილკეს „დუინურ ელეგიებსაც“. ნაწყვეტსაც სტატიიდან წარმართულ და ქრისტიანულ დროთა პოეზიის თაობა-

ზე. დაედგინა, რომ: ქრისტიანული დროის პოეტური სურათები ბევრად უფრო ღარიბად გამოიყურებოდა წარმართულთან შედარებით. რითი უნდა ახსნილიყო ეს?

გუშინ ღამის 4 საათიდან გათენებამდე გიტა ხომ გრიგოლთან იწვა მკერდზე მოხუტებული. და გრიგოლი მოწყურებული შესვამდა გიტას მისი უსაზღვროდ საყვარელი ტუჩებიდან და: იქნებოდნენ განუყოფლად ერთად. და დასძენდა: ენგადმა არ უნდა იცოდეს ეს. იღიმებიო.

18 მაისის ბარათის თავშივე აღბეჭდავდა თავისი ნარკვევის სათაურს: „შთამომავლობისათვის". სახელწოდება იმთავითვე რომ განსაზღვრავდა მის შინაარსსა და მიზანს: შთამომავლობისათვის ნაგულისხმევს. არ უნდა სცოდნოდათ მათ, თუ ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე? ვერ გაეგო, რატომ მოსჩვენებოდა გიტას ამ ხელნაწერის დასაწყისი ნაღვლიანად! ამასაც რომ ამცნობდა:

— შემდგომ მეტს მოგწერ, რადგანაც დღეს ისევე ძალიან ვჩქარობ.

გული უჩერდებოდა გრიგოლს და საყვედურსაც შეაპარებდა: რალაც ძალიან ხშირად „ჩქარობ". სიამოვნებით გავიგებდი: რაშია საქმე. ამის თაობაზე კონკრეტულად თითქმის არაფერს მწერო.

ენგადი „და" გიტა.

„და" რას ნიშნავდა ამ კონტექსტში? ეს ნიუანსი ხომ თვითონ გიტას ჩაესვა. ერთხელ მოეწერა:

— ენგადს შენ უყვარხარ — მე მხოლოდ მისი შუამავალი ვარ.

ანუ: გიტას უყვარდა გრიგოლი, რადგანაც გრიგოლი ენგადს უყვარდა.

გრიგოლს კი ენგადი უყვარდა, რადგანაც უყვარდა გიტა.

გიტას აქ ყოფნისას ამ „დას" წინწკლებშიაც არა გრძნობდა. გიტასა და ენგადს განუყოფლად განიცდიდა: ორივე ერთი გახლდათ. ეს ნიუანსი — „და" — ამოტივტივდებოდა ხოლმე გიტას გამგზავრების შემდგომ. ყოველი წერილი მას მერე ამას უმტკიცებდა. მკაფიოდ ასე ჩამოაყალიბებდა:

ენგადს უყვარდა გრიგოლი დროის გაგების გარეშე: აგრეთვე ამ დროშიაც.

გიტა უყვარდა ამ დროში და: დროის გაგების გარეშეც.

მაგალითად:

როდესაც ქალი იწერებოდა: შენდამი ჩემი სიყვარული განხორციელდა, მაგრამ ის აღარ ეკუთვნის ამ სამყაროსო — ამას ამბობდა ენგადი.

და როდესაც ამბობდა: თითქმის ყოველთვის ვგრძნობ, რომ გულში გყავარ ჩაკრულიო — ამას ამბობდა გიტა.

გიტას 18 აპრილის წერილში ეს ნიუანსი ასე გამოიხატებოდა:

— როგორ მიყვარხარ, საყვარელო, საყვარელო. შენ!

მერე წინწკლებში:

— ენგადს უყვარს შამაში — შამაშს უყვარს ენგადი.

და ბოლოს ხელმოწერა:

— გიტა (გიტას უყვარს გრიგოლი).

მშვენიერი იყო, არა?

პირველი ფრაზა ეკუთვნოდა გიტას.

მეორეში სასწრაფოდ ერთვებოდა ენგადი, თითქოს სურდა გიტას ნათქვამი „დაეზუსტებინა“:

გიტას მაინც სურდა ბოლოს თავისი გაეტანა. ხოლო ფრჩხილებს რომ მოიმარჯვებდა, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ამას ენგადისაგან საიდუმლოდ წერდა.

ესეც გრიგოლისეული ახსნა.

როდესაც გიტა ჩამოვიდოდა (და დაიგმენდა გრიგოლი, მოლოდინის წყურვილით პირგამშრალი და ათრთოლებული: მაგრამ როდისო?), უფრო დაწვრილებითაც აუხსნიდა, უფრო კონკრეტულადაც იყო და რჩებოდა გრიგოლის შეუდარებელ სატრფოდ. ენგადი „და“ გიტა მისი ორი სახე გახლდათ. ასე განიცდიდა გრიგოლი გიტას... და საჭირო იყო განა, რომ გრიგოლს ახდილად ეთქვა გიტასათვის: შენი მონატრება დღითიდღე იზრდებაო?

19 მაისის წერილის პასუხად გრიგოლი 26 მაისს მისწერდა:

ნათლად ვხედავ, დღითიდღე უფრო დაკავებული ხდებიო.

ასე რომ, შესთავაზებდა: მომავალ კვირაში ორჯერ ნუკი გამოუგზავნიდა წერილს, როგორც შეთანხმებულიყვნენ, არამედ — ერთხელ. კერძოდ: სამშაბათს. ბარათი გიტას ერთსა და იმა-

ვე დღეს ჩაეგდო საფოსტო ყუთში, რათა გრიგოლს ის ხუთშაბათს ან პარასკევს მიეღო. მის ბარათს კი ყოველ ორშაბათს მიიღებდა ქალი.

რა მოეწერა?

— შენ რომ ენგადი ისე გიყვარს, როგორც გიტა — ეს მე შემიძლია გავიგო.

არ ითვალისწინებდა, არა, ქალი იმ უსაზღვროდ ფაქიზ ნიუანსს — „და".

შემდეგ:

— შენ ენგადი უფრო უნდა გიყვარდეს, ვიდრე გიტა.

ისევ ის ნიუანსი.

დაე ჩამოხსნოდნენ ამ დახვეწილობას. არსებითად აქ საქმე არ ეხებოდა მათ სიყვარულს, რომელიც მათშივე ყოფად ქცეულიყო — არამედ იმ ეგზისტენციურ „ჩარჩოს", რომელშიაც მას განიცდიდა ორივე. როდესაც ქალი კვლავ იქნებოდა გრიგოლთან — მაშინ კი აუხსნიდა კონკრეტულადაც და დაწვრილებითაც. მაგრამ... როდის ეპირებოდა ჩამოსვლას? ალბათ ხუთ კვირაშიო, ამბობდა ქალი და თან დასძენდა: ეჰ, როგორ მოითმინოს ჩემმა მონატრებამო.

ანდა ის ფრაზა:

— შენი ენგადი უფრო უნდა გიყვარდეს, ვიდრე გიტა. თუ არადა გიტას ეწყინება.

თუ რაიმეს გამორიცხავდა გრიგოლი, უპირველესად და უწინარესად ამას, რომ ოდესმე გიტასათვის ეწყენინებინა. ისე უყვარდა, რომ ყოველი მისი სიტყვა გრიგოლისათვის კანონი გახლდათ.

ცხადია შეეცდებოდა ენგადი უფრო ჰყვარებოდა, ვიდრე გიტა, რადგანაც გიტასაგან იცოდა, რომ მისი სიყვარული ენგადისაგან მოდიოდა. ამასთან არ შეეძლო თავი შეეკავებინა და ის პირველი ფრაზა კვლავ არ გაემეორებინა:

— შენ ენგადი ისე გიყვარს, როგორც გიტაო — ეს მე შემიძლია გავიგო.

ზუსტად მიზანში ხვდებოდა.

ახლა კი გიტას 25 აპრილის სიზმარი.

გუშინწინ ხომ უკვე მიეწერა, რომ მის მეტაფორულ-სიმბოლურ შინაარსს სრულიად შეეძრა გრიგოლი, როგორც ამაღელვებელ წინასწარმეტყველებას.

— ჩვენ გადახვეულები ვიყავითო.

აქ იგულისხმებოდა მათი მიწიერი კავშირის ბოლო აქტი.

— როცა მომცილდი და ფეხზე ადექი, ორდენის მფლობელის ნაცრისფერი ტანისამოსი გეცვაო.

ეს ნიშნავდა: მე იმად ვიქეცი, ვისაც შენში ენგადთან მეტაფიზიკურად აიგივებო.

— წინ გამიძეხი საქარავნო გზაზე. უდაბნოში ირგვლივ ბრტყელი მთები იყოო.

ეს ნიშნავდა: ვემზადებოდი, რომ სამუდამოდ გამოგთხოვებოდი, მხოლოდ შენ მარტოს, მთელი ქვეყნისაგან მოშორებულს. შენთან მსურდა ცოტა ხნით ყოფნაო.

— მოსახვევში უეცრად გაუჩინარდიო.

ეს ნიშნავდა: გარდავიცვალეო.

— სასოწარკვეთილი გეძებდი — შორს ჰორიზონტზე წერტილივით მეგონა კიდევ გხედავდიო.

მე უკვე მარადისობაში ვიყავიო.

— მერე ულამაზეს ლანდშაფტში გადავინაცვლე, მესმოდა, როგორ მეძახდიო.

მიცვალებულებს ვერ ხედავენ — მათი ესმით. ასე მომხდარიყო ამჯერადაც.

„ულამაზესი ლანდშაფტი" კი ეშვა მარადისობის მიჯნაზე მყოფ მათ სიყვარულს.

სხვას ანკი რას?!.

— შენ დამიძახეო.

გესმოდა, როგორ ვიძახდი შენს სახელს: ნეტარება ჩემთვის — ნეტარება შენთვის. ჩემთვის უკვე ზეციური, შენთვის — ამქვეყნიურიო.

— ბედნიერი გავიქეცი ხეებისაკენ, დარწმუნებული, რომ გნახავდიო.

შენ უკვე ექსტაზში იყავიო.

— უცებ აღმოჩნდა, რომ ირგვლივ ღობეშემოვლებული ვარ, ღობის იქით კი კბილებდაკრეჭილი ურჩხულები დაყუდებულან, რომელნიც ყოველ წუთს შეიძლება მეცნენ. ერთი ფეხით „ულამაზეს ლანდშაფტში“ ვიყავი, მეორეთი კი — ამ „ბოროტების“ სამყაროში: თავისი ეგზისტენციური სისაძაგლით. უეცრად აზრად მომივიდა, მხოლოდ სიყვარულით შემიძლია დავძლიო ეს — და მე მათ სიყვარული მივაფრქვიეო.

გრიგოლი შეახსენებდა, თუ რა მიეწერა მისთვის ერთხელ: ჩვენი სიყვარული პიროვნულობას სცილდება. ახლა მან თავი იჩინა: შენ იყავი სრულიად გასულიერებული სიყვარულიო.

— ცხოველები ხტოდნენ ჩემს ირგვლივ, მილოკავდნენ სახესა და ფეხებსო.

შენ გახდი წმინდა ფრანცისკო ასიზელის ღვთიური და. სიზმარი — ნოველა მეტს არას ამბობსო.

და სიზმრის დასრულება ცოცხალ გრიგოლს რომ ევალებოდა, კიდეც შესაფერისად დააგვირგვინებდა: გაგიმარჯოს შენ, გიტაო!..

გამოემშვიდობებოდა და... მიადევნებდა: დაგავიწყდა გეპასუხა, რატომ გეჩვენება ჩემი ხელნაწერის დასაწყისი ნაღვლიანადო?..

1 ივნისის წერილზე ასეთ ბარათს გაამზადებდა:

შენ და მე. ჩვენ მართლაც ერთმანეთს ვუძღვენით ჩვენივე თავი სამყაროს შიგნით. ვშორდებით და კვლავ ვპოულობთ თავს ერთმანეთში. კვლავ და კვლავ. ასეა ნამდვილად. მტკივნეულია განშორებაო.

მაგრამ მოაგონებდა სტროფს თავისი ლექსიდან „სევდიანები“: როგორ შევძლებდი, თუ არ ვიქნებოდი ბედის რჩეული, შენთან შეხვედრას! განშორებაც კი ღვთიურიაო!

გიტას კვლავ ეპოვნა გრიგოლი — გრიგოლს გიტა ეპოვნა კვლავ. ისინი უფრო ძლიერად უნდა ჩაჭიდებოდნენ ამ მიწიერ მონაპოვარს და სავსებითაც „ეგემნათ“, რათა თავიანთი თავი კიდევ ერთხელ, უფრო ძლიერად ერთმანეთში აღმოეჩინათ. ასე იყო ნამდვილად, მხოლოდდამხოლოდ ასე.

ციფრი 8-ს სიმბოლური შინაარსიც გაეგო. ნიშნავდა (თანმიმდევრობით): პაროლი: ზმნა: ლოგოსი: ღვთის შვილი. ახლა უკვე გასაგები იყო, რაზეც მიანიშნებდა გიტას სიზმარი.

გიტა, ჩემი სიცოცხლის წყაროო, — გულიდან რომ ამოსკდებოდა, ისე მონატრებოდა, რომ ერთხელ ნათქვამს კვლავ გაუმეორებდა: წარმოსახვითი ყოფნა — მკერდი მკერდს მიკრული, ისეთი ტკბილია, რომ რეალური არყოფნა იმწამსვე ტკივილად იქცევაო.

რაო, რას სთხოვდა გიტა — მომხვიე ხელებიო?

გრიგოლს ისედაც ყოველთვის ხელმოხვეული ჰყავდა — და მერე როგორ!!!

მომდევნო წერილში ქალი რომ აღარ მოუწონებდა სიტყვას „წყაროსთვალი" — ნაკარნახევი გრძნობით, 9 ივნისის ბარათით გრიგოლი წუხილს გამოთქვამდა: მაშ ველარ უნდა გიწოდო „ჩემი წყაროსთვალიო"?!. მაგრამ გამტყუნებითაც არ ამტყუნებდა: ყოველ ჩვენგანს აქვს რომელიღაც იდიოსიკრაზია — ძლიერი აპათია რაღაცის მიმართო.

სურდა აეხსნა თავისი ლექსი „ბიჭობაში". ამაზე არ ეფიქრა. სწორედ ახლა ახსენდებოდა: თუ რა დაეწერა თავის ხელნაწერთა წიგნში „ირმის ნახტომის" თაობაზე.

ყველგან: „დიდი დათვი".

ქართულად: „ირმის ნახტომი".

გასაოცარი სურათი ჩნდებოდა ცაზე — ელასტიკურობით მას ვერცერთი ცხოველი ვერ შეედრებოდა. სასიცოცხლო ძალა აქ იღებდა ძლიერი, მბრძანებლურად უკან გადაყრილი, გატოტვილი რქების გამძლეობას. და აღარ უკვირდა, რომ თითქმის ყველა ხალხში ირმის რქებს სამკურნალო საშუალებად მიიჩნევდნენ. ირმის რქების ერთი მხარის დაზიანება — შესაფერისად — მეორე მხარესაც ცვლიდა. რაც უფრო სრულყოფილი გახლდათ ირმის სხეული, მითუფრო ჰარმონიულად გამოიყურებოდა რქებიც.

ამბობდნენ: მათი განმკურნებელი ძალა ძირითადად მარჯვენა და მარცხენა მხარეთა სრულყოფილ შესაბამისობაზეა დამოკიდებულიო.

ჰარმონია კურნავდა: და: ირემი ამას ულამაზესად გამოხატავდა.

„ნახტომი" მიანიშნებდა დაბადების მისტიკურ ხედვას, ეს კი გულისხმობდა: დასაწყისს თავდაპირველი საწყისის საზღვარზე.

ვინც იხილავდა ცაზე ნახტომს ვარსკვლავთა შორის — სურათის ღრმა ინტუიციურობა ყოველ მათგანს გაანათებდა: ასეთი სახე უნდა მიეღო ყოფიერებას. და დაურთავდა, რომ: აინების დათვის კულტს არ იცნობდა, და ემადლიერებოდა ქალს მის შესახებ მიწოდებული ცნობებისათვის. თავის მხრივ კი გველთა მეფის სტელის სურათს შემდგომ ბარათში განუმარტავდა.

უგზავნიდა ნაწყვეტს თავისი ვრცელი თხზულებიდან: „პოეზიის სამთავროდან“: ფრაგმენტს რილკეს „დუინური ელეგიების“ თაობაზე. ნამდვილად ძალიან დააინტერესებდა. დანარჩენ ნაწილებს კი აქ წაიკითხავდა — გრიგოლთან, რომელსაც იმედი არ დაეკარგა, რომ ქალი ესტუმრებოდა და თანაც: მალე.

ამ წუთას წამოაგონდებოდა არაბთა დევიზი: თუ ცეცხლს საწვავს არ შემატებ, ის თავს ამოიჭამსო.

და ამ აკორდზე დააბოლოვებდა:

გეხვევი და ჩაგისუნთქავ დაუსრულებელ ნეტარებაში — შენო!

18 ივნისს რომ გაეცნობოდა 15-ში გამოგზავნილ წერილს, განიცდიდა გიტას სიახლოვის მაგნიტურ ძალას: გრძნობით. კონკრეტულად: ეს უკვე პირისპირ შეხვედრისას.

რას იწერებოდა ქალი?

— თუმც წარმოუდგენლად არ მიყვარს სიტყვა „წყაროსთვალი“, ვინაიდან ეს ხაზს უსვამს ჩვენს ასაკობრივ სხვაობას, მაინც ყოველთვის მინდა შენი „წყარო“ ვიყო: დაუღალავი შენს სიყვარულში.

გრიგოლს კი ეგონა, რომ: გიტას არ ეჭაშნიკებოდა მის მიმართ ნათქვამი ეს „წყაროსთვალი“. და ახლა აღელდებ-აფოფინდებოდა: რა სინაზეა! ენით აღუწერელი! შენ, ჩემო მოუღლელო წყაროვო!

ხომ იცოდა ქალმა, რომ „ჰერც“ ქართულად „გულს“ ნიშნავდა. და გრიგოლი ნამდვილად შეუძლებლად მიიჩნევდა, რომ მათი სახელები სხვა ასოზე დაწყებულიყო, გარდა ამის: „გ“.

ამჟამად ქალს მძიმე დრო ედგა — გრიგოლს ეს წინა წერილიდან შეეტყო. და უზომოდაც შეწუხდებოდა. ნეტა შეძლებოდა მისი შველა: შველა, შველა!

უკვე მოეხაზა თავისი განმარტება „გველთა მეფის“ სტელის ნახატობაზე. გადაწერდა და მაშინვე მიაწვდიდა.

როგორ მოსწონებოდა ქალს „დუინური ელეგიების“ გრიგოლისეული კრიტიკულ-ესთეტიკური განსჯა?

რას იწერებოდა ქალი?

ვარ შენი: ვარ განუყოფლად შენთანო.

ესეც ძლიერ ეხვეოდა და დაუსრულებელ თრობაში ესმოდა მხოლოდ გიტას ტკბილი „შეეენ!“

აჰა ის განმარტებაც 20 ივნისის ბარათში:

„გველთა“ მეფის სტელა. ზემოთ — შევარდენი, ქვემოთ — გველი.

შევარდენი. დიდებული მბრძანებლური თავდაჭერილობით. კეთილშობილების განსახიერება. გამოხედვაში: მზის სხივი მუქ-ლურჯ ალმასებად შეკრული. ფრენაში — ნავარდი (და ჩაურთავდა, რომ: ქართულ სიტყვაში „შევარდენი“ მინიშნებულიყო ნავარდი). ნავარდში: თავგამოდება, შთაგონება, გამბედაობა. მთლიანობაში: ღვთიურად ფრთაშესხმული ტალღა.

მთავარიც ეს გახლდათ გრიგოლისათვის, ეს სიმბოლური, მისტიკური შინაარსი, თორემ სტელის აღსაწერად რატომ გაირჯებოდა. და ამცნობდა თუ შეახსენებდა ქალს, რომ:

ძველი ეგვიპტელი აღმერთებდა მას, შევარდენს, ამომავალი მზის პირველ სხივთა კონაში ხედავდა მქროლავ შევარდენს. და მხოლოდ შემდეგ, თითქოსდა მზის თესლით აღვსილი, მიუახლოვდებოდა მიწას: შეყვარებულს (და დასძენდა: მე მიყვარს ცხენები, ირმები, მიყვარს არწივი. შევარდენში კი შეყვარებული ვარ. ნიუანსი თავისთავად მეტყველებს. გინახავს ოდესმე ასეთი შევარდენიო?).

გველი. „გრაალის მცველებში“ ლაპარაკი იყო ვარდნაზე: ადამიანის პიროვნულობა ღმერთიდან გადმოვარდნილიყო, შეჯახებოდა მის მეტაფიზიკურ საზღვარს: სიკვდილს.

„დემონი და მითოსი“ ირწმუნებოდა, რომ: გველი გახლდათ ეს საზღვარი ცხადია.

— მძაფრი ცივი ტალღა, რომელიც ღვთიურსა და არაღვთიურს შორის ელვასავით ამოიკლაკნება. მისი დანახვისას ადამი-

ანი გუმანით შეიგრძნობს საკუთარ ვარდნას და უძლურად ხედავს, რომ შეიძლება არარაობად გადაიქცეს.

დღეს აზუსტებდა:

გველი გრძნობადი ცენზურაა: ღმერთსა და არარაობას შორისო.

და საზიზღრობად ეჩვენებოდა!

გველზე გრიგოლის აზრი განცდილი აზრი ყოფილიყო. ბავშვობაში, ზაფხულობით, არდადეგებზე მთელ დღეებს მდინარესა და მის ნაპირზე ატარებდა თანასოფლელებთან ერთად. ცურავდნენ, თამაშობდნენ, ბანაობდნენ: კამეჩები, ცხენები, ძროხები. ერთ ადგილას, სადაც მდინარე დაბალი იყო, ქვების ქვეშ თევზებსაც იჭერდნენ. და ერთხელ გრიგოლის მარჯვენას ამოჰყვებოდა — საშინელება — თევზის ნაცვლად გველი. გულშეწუხებული დავარდებოდა. შოკი შინაგანად დაჭრიდა. ამ სულიერი ტრამვისაგან სულიერად დღემდეც ვერ განკურნებულიყო მთლიანად. გველის მიმართ თავისებური მეტაფიზიკური შიში დასჩემდებოდა. სიზმარშიაც კი ეშინოდა მისი ნახვისა.

შევარდენი და გველი — ერთად. ფარული აზრი: შევარდენის მზიური გამოხედვა დაიმორჩილებდა გველის გამანადგურებელ მზერას.

ასე განმარტავდა „გველთა მეფის“ სტელას.

ტყუილად კი არ გამოერჩია ეს სტელა „გველის პერანგის“ ქართული გამოცემის თავფურცლისათვის. დღეს ამაში კიდევ უფრო დარწმუნებულიყო.

და გიტას თავის შევარდენად მოიხსენიებდა! რარიგ ენატრებოდა! ეხვეოდა და დაუსრულებელი თრობით სვამდა ქალს მისივე ტკბილ ბაგეთაგან. მას — თავის შევარდენს!

23 ივნისს გიტას წერილს რომ ელოდა და არ მოუვიდოდა, თავს დაიმშვიდებდა: ალბათ ზეგ მოვა. ალბათო.

19 მაისს რომ მოეწერა:

— როგორც კი შევძლებ შეკვეთის დამთავრებას, ჩამოვალ. ალბათ ხუთ კვირაში...

და გრიგოლი დღეებს ითვლიდა.

გიტას ნატვრაში იწვოდა და: დაიწვებოდა.

დარწმუნებული გახლდათ, ქალიც გრძნობდა ამას.

რა უნდა მიეწერა კიდევ?

დღეს გრიგოლის არსებაში სიცარიელე ბატონობდა. ქალი კი იქ იმყოფებოდა: და: გრიგოლი ღმერთს მადლობას სწირავდა. მეტიც: ემადლიერებოდა მას, რომ გიტა საერთოდ არსებობდა!

ეხვეოდა მაგრად და ლოცულობდა გიტასთვის და ლოცავდა და ლოცავდა. და მადლობას გადაუხდიდა, ჩაი რომ ჩამოუვიდოდა!

30 ივნისის ბარათში გაიხსენებდა 27 ივნისის ბარათში გამოთქმულ წუხილს, რომ ეტყობა გიტა ივლისშიაც ვერ მოახერხებდა ჩამოსვლას.

რას ამბობდა გიტა?

— ვაი, რომ დღესაც ღია ბარათი.

და განმარტავდა 25-ის წერილში:

— ერთ კვირაში ორი პორტრეტი მაქვს დასახატი, ისინი სრულ კონცენტრაციას საჭიროებენ.

ამგვარი განმარტება გრიგოლზე „უცნაურად" იმოქმედებდა. რატომ? ახსენდებოდა ქალის სიტყვები 15 ივნისის წერილიდან:

— ვარ შენი — ვარ შენთან.

ყოველი სიტყვა სიმართლეს ღაღადებდა, თვითეული ასოც კი.

გრიგოლიც ეუბნებოდა: შენი ვარ — შენთან ვარო. აქედან გამომდინარე: ყველაფერში გიტასთან იმყოფებოდა, გიტასთან, გიტასთან. და: როდესაც რაიმეს ქმნიდა — შემოქმედების დროს კი ყოველთვის უკიდურესად კონცენტრირებული გახლდათ — იმყოფებოდა გიტასთან. სწორედ თავისი კონცენტრირებული შემოქმედების პროცესში სწერდა ხოლმე ქალს უფრო დეტალურად.

ეს ზოგადად.

მთავარი კი სხვა იყო.

გიტას ყოველ წერილში, ყველაზე პატარაშიც კი, ეწერა სულ ცოტა ერთი სტრიქონი მაინც, რომლის წაკითხვისასაც გრიგოლი შინაგანად გრძნობდა მისკენ გიტასაგან მაგნიტურად მომდინარე სიახლოვის ტალღას.

გიტას 25 ივნისის ბარათს აკლდა ეს ღელვა. და ეს გამოკვეთილიყო ერთი გამაოგნებელი დეტალით.

წარმოედგინა ქალს: სწერდა წერილს. კიდეზე აწერდა ორ სიტყვას გრიგოლისათვის სრულიად უცხო შრიფტით.

მერე წარმოედგინა: საპასუხო ბარათში არცერთი სიტყვით, სრულიად არ შეხებოდა გრიგოლი ამ საიდუმლოებითმოცულ „ორ სიტყვას", უბრალო ცნობისმოყვარეობაც კი არ გამოეჩინა. რას იფიქრებდა გიტა? არ დაიბნეოდა?

ერთ ბარათში გრიგოლს ორი ქართული სიტყვა ქართული შრიფტითვე დაეწერა.

და... მერე?

არცერთი სიტყვა გიტას წერილში ამის შესახებ. ცნობისმოყვარეობის ნატამალიც კი არა! ვინ შეძლებდა ამის ახსნას! ალბათ გიტა! და მაშ აეხსნა!

გრიგოლი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ეს რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში ყოფნისას, ასე ვთქვათ „წამიერად" დამართოდა ქალს. მაგრამ თუნდ „წამიერად" მომხდარიყო — „შემაშფოთებლად" გამოიყურებოდა.

ეს რომ დაემალა ქალისათვის, მათ წმინდა სიყვარულს მიაყენებდა ზიანს.

ეხვეოდა ძლიერ თავის შეუდარებელ გიტას: და: იმყოფებოდა მუდამ მასთან.

გუშინ დიდი სიხარული განეცადა — როგორც ქართველს.

კალათბურთის ფინალში — ევროპის ქვეყნების თასის გათამაშება თბილისის „დინამოსა" და მადრიდის „რეალს" შორის.

20 ივნისს სანდრო ფანჩულიძეს რომ მოიკითხავდა და მსუბუქად უსაყვედურებდა: დიდი ხანია შენგან არა ისმის რა, მიკვირსო! — ისე მღელვარედ მიადევნებდა: გაიგებდი, ჩილეში ქართველებსა და ესპანელებს გაუმარჯვიათ კალათბურთის შეჯიბრში, ასე ვთქვათ „წყვილად", თანასწორად. და ახლა აქ მოხდება, ჟენევაში, მათი შეხვედრა, ამა თვის 27-შიო.

და ჰა, უნდა გადაწყვეტილიყო: ვინ ვის?

არ დაუმალავდა, რომ: ძალიან ღელავდა.

„ცეცხლის“ მხრივ — ანუ: შურვილით მარჯისადმი — ქართველები ესპანელებს არ ჩამოუვარდებოდნენ — მაგრამ გაეტოლებოდნენ თუ არა მათ გამძლეობით — ეს კი აფიქრებდა!

კიდევ გაიმეორებდა, რომ: ძალიან ღელავდა.

და კვლავ თვალნათლივ აცნობიერებდა:

რა ყოფილა სისხლიო!..

და ადვილად წარმოიდგენდა, რარიგ ღელავდნენ იქ: საქართველოში!

მატჩს ცხადია დაესწრებოდა. ძალიან ღელავდა: სისხლი ყიოდა! შიშით არ ეშინოდა, მისი თანამემამულენი ბრწყინვალედ გაიმარჯვებდნენ. ესპანელები კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდებოდნენ, რომ არა ჰყოლოდათ გასაოცარი მოთამაშე: ზანგი ჰაიტაუერი. ესპანელთა 83 ქულიდან 32 მის ანგარიშზე იქნებოდა და: ფანტასტიკურიაო, — დასძენდა. უგზავნიდა კორესპონდენციას. ბარათი კი ასე და მხოლოდ ასე თუ დაგვირგვინდებოდა:

საქართველო ცოცხლობს. გაუმარჯოს საქართველოსო!

* * *

ამ სიხარულს, ქართველ კალათბურთელთა გამარჯვებით გამოწვეულს, ლიდასაც გაუზიარებდა, თავის დას, 30 ივნისს გამოგზავნილ ბარათში, საგანგებოდ რომ აღნიშნავდა ქართველთა თამაშის მანერასაც — აუღელვებელს, შეწყობილსა და მეთოდურს — და მათი ხელმძღვანელის — ოთარ ქორქიას — წარმმართველ ხელსაც.

ძალიან რომ ღელავდა მატჩის მსვლელობისას, რა გასაკვირია: სისხლიო! — ამ ერთ სიტყვაში მოაქცევდა განცდათა კორიანტელსა და სიმძაფრეს, გამარჯვებას კი დიდ მნიშვნელობას იმიტომაც მიანიჭებდა, რომ: დაინახავდა ყამირთაგან ამოხეთქილ ძალას ქართულს — მ ა გ ა რ ს.

20 ივლისის ბარათში კვლავ დაუბრუნდებოდა ამ თემას და კიდევ უფრო გაშლიდა, გულს დააკლდებოდა ის გაკვრითი აღნიშვნა.

მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყო ეს გამარჯვება მისთვის და:

ჟენევაში ესპანელები ბლომად იმყოფებოდნენ. თამაშზე ზოგიერთები ბუკებითაც მივიდოდნენ და ყვირილსაც მორთავდნენ თავისიანთა გასამხნევებლად. და ცხადია ქართველთათვის ნერვების ასაშლელად.

აკვირდებოდა გრიგოლი და: იმათი ყვირილი, ხივილი თუ განგაში ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა ქართველებზე. არც შეამჩნევდნენ თუ არც შეიმჩნევდნენ, გასაოცარი წრთვნა კი აღმოაჩნდებოდათ ხასიათისა.

პირველ ტაიმში ქართველები ორი ქულით რომ გაუსწრებდნენ ესპანელებს, გრიგოლი საშინლად აღელდებოდა, რაკიღა ეშინოდა მეორე შებმისა. რატომ და:

ქართველები ხომ საერთოდ პირველ შებმაში „ხარჯავენ" მთელ „ცეცხლს" და შემდგომ ძალა აღარ ჰყოფნით: ცეცხლი აკლდებათ.

და ერთბაშად გადავარდებოდა წარსულში:

მონღოლებს რომ არ გაეგოთ ეს თვისება ქართველთა, საქართველოს დაპყრობა ძალიან გაუჭირდებოდათ. „ქართლის ცხოვრებაში" არის სიტყვა შესახებ ამისაო.

აქ კი არამცთუ ცეცხლი არ მოაკლდებოდათ, კიდეც მოემატებოდათ და მეორე ნახევარში სულაც ხუთი ქულით გაუსწრებდნენ ესპანელებს.

ეს ისეთი დიდი ამბავი გახლდათ, რომ: სპორტულ გამარჯვებას სცილდებოდა, როგორც ბევრად, ბევრად მეტი.

როგორც ქართველი, გრიგოლ რობაქიძე ამიტომაც გაიმართებოდა მხრებში.

იმ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ:

გამარჯვებულნი არ „აყვინჩილდებოდნენ" გამარჯვებით. ერთის სახეზეც არ ამოიკითხებოდა: „ხომ გაჯობეთ!" — ზრდილად, რაინდულად, ქართველურად გაუწვდიდნენ ხელს მოპირდაპირეს. და ამ აქტით დაუვიწყარ სურათს შექმნიდნენ!..

გამარჯვების ნახევარი თითქმის ხელმძღვანელს ეკუთვნოდა: ოთარ ქორქიას — მათ სულისჩამდგმელს... და თვითეულ კალათბურთელს ექცეოდა როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა...

გაიფიქრებდა: მისალმებოდა გამარჯვებულებს... და იქვე გადაიფიქრებდა: შეიძლება „ეუცხოვოთო“. ლიდა კი მიხვდებოდა: რის გამოც... და სიხარულთან ერთად გრიგოლი ბასრ ტკივილსაც იგრძნობდა სულის სიღრმეში...

ჟენევაში ყოფნისას ძალიან დაუახლოვდებოდა ქართველ კალათბურთელებს იმჟამად ამ ქალაქში მცხოვრები დიკა კედია. იგი გახდებოდა მათი გიდიც, თარჯიმანიც და რაც მთავარია თავისი ქალური სინაზით განმუხტავდა იმ დაძაბულობასაც, რომელიც მომავალი საპასუხისმგებლო მატჩით იყო გამოწვეული.

როდესაც თამაში დასრულდებოდა და უკვე ავტობუსში ისხდებოდნენ, სასტუმროში გუნდის დამგზავრებას დიკა კედია დაააყოვნებდა — ავტობუსიდან ოციოდე მეტრის დაშორებით ვიღაც მამაკაცსა და ორ ქალბატონს რომ ესაუბრებოდა.

გუნდს ბანკეტზე აგვიანდებოდა და ბევრი ლაპარაკის საშუალებას აღარ მისცემდნენ, ავტობუსში მოუხმობდნენ.

ბანკეტზე გურამ მინაშვილი ჰკითხავდა დიკას უცნობთა ვინაობას და...

უცნობი მამაკაცი გრიგოლ რობაქიძე აღმოჩნდებოდა, რომელსაც დიკასთან აღტაცება გამოეთქვა ჩვენი კალათბურთელების თამაშით.

გურამს მალულად წაკითხული ჰქონოდა მისი „გველის პერანგიც“ და ორი ლექსიც, „კავკასიონის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული, და დიკას გაუზიარებდა თავის აღფრთოვანებას ამ ნაწარმოებებით. ქალი შესთავაზებდა:

— რახან ეგრეა, მოდი გავიპაროთ ბანკეტიდან და ვესტუმროთ ბატონ გრიგოლს.

ვერ გაბედავდა გურამი იმ ავბედითი დროის გამო სავსებით დარწმუნებული, დაუსჯელად რომ არ ჩაუვლიდა ეს შეხვედრა.

ყოველთვის სინანულით მოიგონებდა იმ წუთებს და ახლა თამაზ ჩხენკელსაც შესჩივლებდა იმ გაუნელებელ გულისტკივილს, დიდებულ პიროვნებასთან შეხვედრისა და თუნდ ხანმოკლე გასაუბრების შესაძლებლობა რომ გაეშვა ხელიდან, შესჩივლებდა მაშინ, თამაზი გრიგოლ რობაქიძის იმ ორი ბარათის ასლებს რომ გადასცემდა, ლიდა რობაქიძის მიერ ნასახსოვრებს მისთვის...

* * *

2 ივლისის ბარათი გიტასთან კი ამ აღტკინებით გაიხსნებოდა:

შენი ვარ — ვარ განუყოფლად შენთან. ჩემი ხარ — ხარ განუყოფლად ჩემთან. ამიტომ: რაც შენ გეხება, მეც მეხებაო.

ამიტომაც უყურებდა შეძრწუნებული, რომ გიტას გადაღლა მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური დაღლა. ბოლო მცირე წერილის სტრიქონები ისეთ შთაბეჭდილებას შეუქმნიდა გრიგოლს: თითქოს ქალი მთვარეულის მდგომარეობაში იმყოფებოდა. გარემო, სადაც ცხოვრობდა გიტა — როგორც ჩანდა — სავსე იყო უბედურებით.

არსებობდა გადარჩენის ერთადერთი გზა: მგონი იცოდა კიდეც ეს გზა ქალმა. გრიგოლს ბარათში ამაზე ლაპარაკი უძნელდებოდა. ყველაფერი გიტას გადაწყვეტილებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

პრობლემებზე აქ მოილაპარაკებდნენ: პირისპირ.

საშინლად შეწუხებული გახლდათ გიტას გამო. ზომაზე მეტად შეშფოთებული.

დაე ღმერთს დაეფარა იგი! ლოცულობდა ქალისათვის. ლოცავდა: თავის შეუდარებელს, საყვარელ და ღვთიურ მეგობარს: დას.

3 ივლისს ერთიბეწო ბარათს მისწერდა, რომ: ჩაწვდომოდა გიტას ბოლო მოკლე წერილის სტრიქონებს. შეძრწუნებული ხედავდა, რომ ქალის დაღლა: გადაღლა წმინდა-ფიზიკურზე მეტი იყო. გიტას მდგომარეობა მთვარეულისას უტოლდებოდა (დასძენდა: სხვა სურათს ვერ ვხედავო). შიშში ჩავარდებოდა და ღმერთს ევედრებოდა ქალის მფარველობას!

ლოცულობდა მისთვის და — ლოცავდა.

ორი დღის თავზე მისწერდა, რომ:

„წინათგრძნობას“ არ ემტყუნა. გრძნობდა, ახლა უსაზღვროდ იტანჯებოდა გიტა.

3 ივლისის წერილის სიტყვები ამას სავსებით უდასტურებდა:

— მხოლოდ წყვდიადში ყოფნის დღეებია, აუტანელი ნევრალგიური ტკივილებით.

გიტა! — ჰკიოდა გრიგოლის მთელი არსება — შენ „ნება“ არა გაქვს „წყვდიადში“ ყოფნისა! იფიქრე გამუდმებით ჩვენს სიყვარულზე, ჩვენს წმინდა კავშირზე! შენი და ჩემი გული ერთია. ორივეს ფეთქვა — შენი მზის დაბადებაა შენშივე. „წყვდიადს“ აქ ადგილი არა აქვს. იყავი მხნედო!..

„ჩვენი გამონათქვამი“ გრიგოლის ენაზე ასე ხმიანებდა: „შენთან!“

ის ორი სიტყვა კი — გიტა რატომღაც რომ არ დაინტერესებულიყო მათი შინაარსით — ნიშნავდა: „გფარვიდეს ლაშარი!“ გერმანულად დაწერილს.

რას ამბობდა ქალი გრიგოლზე?

— ის არის უდიდესი და უმხურვალესი გული.

დაე გვერდზე გადაედოთ ზედსართავები — გული ხომ მართლაც გახლდათ გრიგოლი. და მხოლოდ გიტას გულს შეეძლო ეთქვა ეს!

მოუთმენლად ელოდებოდა. გრიგოლის მკლავებში ქალი ერთბაშად განიკურნებოდა „წყვდიადში“ ყოფნისაგან. ეს ხომ გიტასაც მოეხსენებოდა.

გრძელდებოდა მისი ძლიერი და დაუსრულებელი თრობა განუყოფლად ერთად ყოფნისა.

პოსტსკრიპტუმს იმისათვის დაურთავდა, ეთქვა, რომ ოტო ვილჰელმ ბარტის გამოცემას არ იცნობდა.

კვლავ და კვლავ რომ წაიკითხავდა 3 ივლისს გამოგზავნილ წერილს, 7-ში საპასუხო ბარათის შედგენას გიტას დაუმთავრებელი წინადადებით დაიწყებდა:

— დღეები, როდესაც ღმერთის სიშორისა და ერთი აზრის გამო ვიტანჯები, რომელიც ბანალური და სტერეოტიპულია.

კითხულობდა ამ სტრიქონებს და ახლა უფრო თავზარი ეცემოდა, ვიდრე მაშინ, როდესაც პირველად წაიკითხავდა. როგორ დახმარებოდა აქედან? დაე ყოველდღე ეფიქრა ქალს: იმაზე კი არა: რა იყო, არამედ: რომ საერთოდ არსებობდა! ხომ შესაძლებელი იყო, რომ დღის სინათლე საერთოდ არ ენახა. მაგრამ რადგანაც ახლა „აქ“ იმყოფებოდა, თავისივე თავისთვის გახლდათ ღვთის საჩუქარი (პინდარეს იმ ფრაგმენტის შესაბამისად, რო-

მელსაც იმოწმებდა ნიცშეს შესახებ ხელნაწერში). საჩუქარი თავისივე თავისთვის: და გრიგოლისთვისაც, — ესეც როგორ არ დაერთო.

ატმოსფერულად გრძნობდა: საიდან მოდიოდა გიტას მწუხარება. ბარათში ამაზე ლაპარაკი არ შეეძლო. მხოლოდ — პირისპირ. ხომ ესტუმრებოდა მალე გრიგოლს მისი ეს ღვთიური მეგობარი!

მის მკლავებში — მკერდით მკერდზე, საფეთქლით საფეთქელზე — კვლავ მოიპოვებდა ქალი სასიცოცხლო ძალებს.

ო, რარიგ ენატრებოდა! ლოცულობდა მისთვის. ლოცავდა. და ლაშარს შესთხოვდა მის მფარველობას!..

5 ივლისის სტრიქონებს 9-ს ბარათით ასე გამოეხმაურებოდა:

რა ცოტაა დაწერილი და: რა ბევრია თქმული! შენ ეს შეგიძლია: შენ, რადგანაც „სავსე" ხარო.

დიახ, გიტას აწმყოში არაფერი შეემთხვეოდა. დიახ, გრიგოლის სიყვარული დაიფარავდა.

კვლავ იგრძნობდა ქალის სტრიქონებში მისკენ მომართულ იმ მაგნიტურ ტალღას.

ნიშანი იმისა, რომ ეს ასე და მხოლოდ ასე გახლდათ:

გრიგოლი გრძნობდა ამ ტალღას, გიტას ისიდას ტალღას თავისი მზის ფესვით (და დასძენდა: დღეს შემიძლია ეს გითხრაო). წინათაც გრძნობდა რამდენიმე წამით, დღეს — ბევრად, ბევრად დიდხანს. და თვითონაც გაოცებული გახლდათ!

ესე იგი: ქალი მალე ჩამოვიდოდა! სიხარულის გადმოსაცემად გრიგოლი სიტყვებსაც ვეღარ პოულობდა. ეს — უნდა დაეჯერებინა ქალს — არ გახლდათ „ფრაზა". იმედოვნებდა, რომ გიტა დარჩებოდა უფრო დიდი ხნით — თუ სამუდამოდ არა. დამოუკიდებელი წინადადება ამ თუ-თი სრულიად სპონტანურად წამოცდებოდა. არა სურდა გადაეშალა. ალბათ მიუხვდებოდა ქალი, თუ რასა გრძნობდა!

დღეს ისე ძლიერ ეხვეოდა, რომ ხდებოდნენ განუყოფლად ერთი.

13 ივლისის ბარათი იმ ამონარიდით დაიწყებოდა:

— ...ხმალს, რომელიც გველსა ჰგავს, ვადაზე არწივის თვალი აქვს. გველი მზის შვილია...

შესანიშნავი სურათიაო, — თავს ვერ შეიკავებდა გრიგოლი.

რა ადგილას იყო ეს „გველის პერანგში“?

დავიწყნოდა. და თითქმის აღტაცებული გახლდათ.

გრიგოლისეული ახსნა გველისა. გაიმეორებდა:

— მძაფრი ცივი ტალღა, რომელიც ღვთიურსა და არაღვთიურს შორის ელვასავით ამოიკლაკნება.

თუ ვიგულისხმებდით, რომ ღმერთი არარაობის პირას შეიცნობა, მაშინ შიში გველის წინაშე განიხილებოდეს როგორც Mysterium tremendum.

ხომ ხედავდა ქალი, რომ გველის გრიგოლისეული ახსნა შორს არ იყო მისეულისაგან.

ეხნატონის ბრწყინვალე პორტრეტი!

შევარდენის ფრთას დიდი სიხარული მიენიჭებინა მისთვის. უფრო სასიხარულო იქნებოდა, თვითონ შევარდენი მოფრენილიყო მასთან. საჭირო იყო აეხსნა, თუ რას გულისხმობდა?!.

მოუთმენლად ელოდა. უკვე „ღვთიურ“ მოუსვენრობაში მოქცეულიყო. ამ მოუსვენრობით ზომავდა სიყვარულს: მისი სიძლიერის ხარისხს.

16 ივლისს ლინციდან გამოგზავნილ წერილს დროულად რომ მიიღებდა, 23-ში პასუხად მისწერდა, რომ: მას შემდეგ ერთი სიტყვაც აღარ ღირსებოდა გიტასაგან! უნდა ეფიქრა, რომ ამ დროში ორიოდე წუთიც ვერ გამოენახა, რათა ორიოდე სტრიქონი მოეწერა!

საშინლად აღელვებულიყო. და ეს ღელვა არ გახლდათ: „ღვთიური“.

კორინთოში „რამდენიმე“ დღეს აპირებდა დარჩენას ქალი. ივლისი იწურებოდა და აგვისტოში კი საბერძნეთს მიემგზავრებოდა. როდის ჩამოაკითხავდა გრიგოლს? ლინციდან გამოგზავნილი ბარათი ატყობინებდა:

— მალე ნახვამდე!

გრიგოლის შიში იზრდებოდა.

ერთადერთი ნუგეში: ესმოდა გიტას ესოდენ საყვარელი ხმა:

— შენთან ერთად!

დაე მიეტევებინა გიტას ეს შიში. სცოდნოდა. არაჩვეულებრივად ძლიერი, ზედმიწევნით ძლევამოსილი გახლდათ გარკვეულ

დროს, თუნდ ის ცოტა ფატალურიც ყოფილიყო. მაგრამ ასევე სუსტი ხდებოდა გაურკვევლობის წინაშე.

ეხვეოდა ძლიერ და შეიგრძნობდა განუყოფლობას მასთან.

როგორც იქნაო! — აღმოხდებოდა 26 ივლისს: როგორც იქნა მოვიდა 23 ივლისის წერილიო.

ცხოვრებაში ისე არასოდეს დატანჯულიყო, როგორც ამ დღეებში, გიტასაგან რაღაც ამბის მოლოდინში. ქალის დროებითი მისამართი რომ ჰქონოდა, დაუკავშირდებოდა. როგორც ვენაში გაგზავნილ სასწრაფო ბარათში მიეწერა: გახლდათ არაჩვეულებრივად ძლიერი გარკვეულობის ჟამს, თუმც ის საშინლად ფატალურიც ყოფილიყო, მაგრამ ასევე სრულიად უმწეო — გაურკვევლობის წინაშე.

რა აღარ ეფიქრა. დაბნეულიყო. მეტიც: ქაოსს მოეცვა. უძილო ღამეები თავისას გაიტანდა. მისი სულიერი ყოფა გუშინ ისეთი შემაშფოთებელი შეიქნებოდა, რომ საჭირო გახდებოდა ვენის მისამართზე გიტასათვის დეპეშით შეტყობინება.

გიტა! დღემდე კიდევ ვერ ჩაწვდი ბოლომდე: რა, ან უფრო სწორად: ვინ ხარ ჩემთვისო, — გული ყელში მობჯენოდა გრიგოლს, — შემეძლო ეს მეთქვა ამ ბარათში, მაგრამ ჩემი არყოფნისას Mysterium tremendum-ში რომ არ ჩავარდე, უმჯობესია გითხრა პირისპირო.

უთუოდ დაებადებოდა ეს შეკითხვა ქალს: რატომ აღელდი ასეო?

მაშ მოესმინა.

ეს ორივე, გრიგოლი და გიტა, იყვნენ მისტიკურად დაქორწინებულნი: სამუდამოდ დაძმობილებულნი. ქალს ეს უკეთესადაც მოეხსენებოდა, ვიდრე გრიგოლს. და... მერე? მგზავრობისას ორიოდე წუთიც ვერ გამოენახა, რათა ორიოდე სტრიქონი მოეწერა!.. რა უნდა ეფიქრა გრიგოლს ასეთ შემთხვევაში? დაე ქალს თავი წარმოედგინა გრიგოლის ყოფაში. და მის კითხვას კიდეც გაიგებდა სავსებით და მთლიანად.

ერთხელ მოეწერა:

— როდესაც შენთან ვარ, არაფერი დამემართება, შენი სიყვარული დამიფარავს.

სრული ჭეშმარიტებააო, — მიუგებდა გრიგოლი, მაგრამ დაე მიექცია ყურადღება: როდესაც შენთან ვარო!.. — და თუ გრიგოლისაგან შორს იმყოფებოდა? მაშინ ალბათ გრიგოლის სიყვარული მთელი ძალით ვეღარ შეძლებდა ჩასაფრებული მოწინააღმდეგისაგან გიტას დაცვას!..

ყოველ შემთხვევაში თავიანთი წმინდა კავშირის სახელით სთხოვდა, ჰო, ემუდარებოდა: ნათქვამის გათვალისწინებით „დაენდო" (პატიებას სთხოვდა: სხვა სიტყვას ვერ ვპოულობო!). დიდი იყო გრიგოლის თხოვნა: „ორიოდე წუთი" — „ორიოდე სტრიქონისათვის"?!

ამ ბარათს ალბათ მიიღებდა, როცა ვენაში დაბრუნდებოდა. ქალის სიტყვებიდან გამომდინარე, ვენაში კიდევ ერთ კვირას დარჩებოდა: და: მერე ჩამოვიდოდა გრიგოლთან. ახლავე რომ შეძლებოდა დაეზუსტებინა: როდის ჩამოვიდოდა? ღვთის გულისათვის, აჩქარებით სულაც არ აჩქარებდა: ეს რაღაცისათვის სურდა სცოდნოდა — უმნიშვნელოსათვის — რასაც აქ გაუმხელდა.

გიტას, თავის ამ შეუდარებელ სატრფოს კიდევ ერთხელ უმჟღავნებდა სიყვარულს, ეხვეოდა ძლიერ, ძლიერ და: იყვნენ განუყრელად ერთად.

4 აგვისტოს წუხილს გამოთქვამდა, რომ: გიტას პასუხი მის 26 ივლისის სასოწარკვეთილებამდე მისულ ბარათზე ჯერ კიდევ არა ჩანდა. და ეს გაუგებრად ეჩვენებოდა! მთელ მსოფლიოში განა შეძლებდა ვინმე გაეგო: რომ გიტა ორიოდე წუთსაც ვერა პოულობდა გრიგოლისათვის ორიოდე სტრიქონის მოსაწერად? ვერავინ, ვერავინ გაიგებდა! საშინელი წინათგრძნობით გახლდათ მოცული კაცი, საშინელ გაურკვევლობაში ჩავარდნილი.

ეჩვენებოდა, რომ ქალს მისთვის რაღაც ჰქონდა სათქმელი, რაც გრიგოლს უდიდეს ტკივილს მოაყენებდა: და ამიტომაც ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ვერ გაემხილა.

გრიგოლის წინათგრძნობა რომ გამართლებულიყო — კონიუქტივს იყენებდა: რადგანაც სულიერი არეულობისას თავისი მეექვსე გრძნობაც უმტყუნებდა — დიახ, გრიგოლის წინათგრ-

ძნობა რომ გამართლებულიყო, მაშინ ეცოდინებოდა ქალს, რომ უბრალოდ ვერ შეძლებდა ტკივილის მიყენებას, რაკიღა ამ შემთხვევაში ტკივილი ბედნიერება იქნებოდა. ისე უყვარდა გიტა გრიგოლს.

ამ დღეებში რამდენჯერმე გამოეტირებინა თავი — უცრემლოდ.

ვაიმე, თუ ეს სტრიქონებიც უპასუხოდ დარჩებოდა! მაშინ... მეტი წერა აღარ შეეძლო.

5 აგვისტოს ბარათი უნდა ყოფილიყო გუშინდელი სასწრაფო წერილის გაგრძელება. ეტყობა ქალს ახლა არ უხერხდებოდა: თავისი დანაპირები: რომ შეესრულებინა გრიგოლთან ჩამოსვლის შესახებ, თანაც ამ თვეს საბერძნეთში მოგზაურობაც წინ ედო. ალბათ ამიტომაც დუმდა „უხერხულად". თუ რასაც გრიგოლი ვარაუდობდა, სწორი იყო — ნუ იფიქრებდა ქალი ამაზე. და სცოდნოდა, რომ: გიტასადმი ზეადამიანური სიყვარულის გამო გრიგოლი მის მონატრებას გულში ჩაიკლავდა (თუმც ამასაც დასძენდა: ამჯერადო).

დაე გამგზავრებულიყო საბერძნეთში და გრიგოლთან მოგვიანებით ჩამოსულიყო: სექტემბერში. მხოლოდ შეეტყობინებინა: ჯერ დეპეშით, და მერე წერილით დაწვრილებითაც ეცნობებინა — რადგანაც: გიტას შესახებ რაიმე ამბის მოლოდინით მოკვდებოდა გრიგოლი.

ლოცულობდა მისთვის, რომ ღმერთს დაეცვა!

9 სექტემბერს მიიღებდა 7-ში კლაგენფურტიდან გამოგზავნილ გიტას წერილს. და: როგორც იქნაო! — აღმოხდებოდა.

გიტას სიყვარული გრიგოლისადმი. არასოდეს — წამითაც კი არ შეპარვოდა ეჭვი. არასოდეს! ეს იქნებოდა მათი წმინდა კავშირის შეურაცხყოფა. მაგრამ... რა დღეში იყო ჩავარდნილი წერილის მოლოდინისას?

23 ივლისს კლაგენფურტიდან მოეწერა:

— ვენაში სამუშაო დაუმთავრებელი დამრჩა. უახლოეს დღეებში უნდა დავბრუნდე იქ. ვენაში დაახლოებით ერთ კვირას ბევრი სამუშაო მექნება — მერე კი შენთან ჩამოვალ!

ამის მერე აღარაფერი შეეტყო. 4 აგვისტოს ჯერ კიდევ არ მიეღო ქალისაგან წერილი. საშინელი მოუსვენრობა დაეუფლებო-

და. საშინელი წინათგრძნობით მოცული ერთიანად მტანჯველ გაურკვევლობაში იმყოფებოდა. ეკითხებოდა თავის თავს: რა მოხდა? რა მოუვიდა? ღმერთმა დაიფაროს და, რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვაო? — თავს მიანდობდა დამაუძლურებელ ეჭვებს. სასოწარკვეთილებამდე მისული გადაწყვეტდა... გიტას მამისათვის მიემართა, იქნებ მისგან მაინც შეეტყო რაიმე გიტაზე. კიდეც დაწერდა დიდ წერილს, მაგრამ აღარ გაუგზავნიდა. მაინც ელოდებოდა ქალისაგან რაიმე ცნობას.

ზოგი რამ იმ ბარათიდან:

— თქვენი ქალიშვილის, გიტას პიროვნებას ზედმიწევნით ვიცნობ. არაჩვეულებრივად ნიჭიერი, ამავე დროს უაღრესად მოწყალეა — უკიდურესი იშვიათობა ჩვენს უმოწყალო დროებაში. მისი „თავისებური სტილი" თავიდან მეჩვენებოდა: მანერად — სინამდვილე შეეცურებინა ზმანების ნაცვლად, თუ ერთი ფრანგი ავტორის გამოთქმას დავესესხებოდი რილკეს შესახებ. შემდგომ გამოირკვეოდა საწინააღმდეგო, სახელდობრ: მანერა — ზმანება შეეცურებინა სინამდვილის ნაცვლად („ზმანება" აქ გულისხმობდა: სურათში ფარულ რეალობათა ხედვას). იგი ნათელია. მისი ხედვა წინ კი არაა მიმართული, ისტორიულში, არამედ: უკან — მეტაფიზიკურში. აქედანაა მისი ფიზიონერობა, რომელიც მე, მრავალი საიდუმლოს მცოდნეს, მაკვირვებს. ზოგიერთი ამ ვიზიონერობიდან განუზომელი სიღრმისაა. იგი (გიტა) ფაქიზია, მეტიც, უფაქიზესი — როგორც საერთოდ მისი კალიგრაფია. ამიტომაც ადვილად გულსატკენი და ყოველთვის დაღლისათვის: გადაღლისათვის განწირული.

როგორც ზედმიწევნით განსაკუთრებულ არსებას — თუ არ ვიტყოდით: გამორჩეულს — არ უადვილდებოდა გარემოში: თანატოლებში ორიენტირება (და ჩაურთავდა, რომ: ერთხელ იგი შეედარებინა გზაარეული მთვარეულისათვის). ალბათ ამიტომაც მის გარემოს: მის თანატოლებს არ ეჩვენებოდათ იგი თავისებურად და „უცნაურად".

და კიდევ ერთი: ქვეცნობიერად წარმოჩენილი ეშმაკური ქალური ფენომენის კვალიც არ შეინიშნებოდა მის ბუნებაში. იგი სუფთა გახლდათ, სუფთა და ნაღდი.

გრიგოლისათვის გიტა გასაოცარი არსება იყო, როგორც გრიგოლი გიტასათვის, თუმც უნდა ეღიარებინა, რომ ქალი აღემატებოდა მას. და ყოველთვის, როდესაც მასზე ფიქრობდა, აგონდებოდა ფრანსუა ლამარტინის შესანიშნავი სიტყვები: ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცაო.

— ჩვენი სიახლოვე, რაც ორ წელზე მეტია გრძელდება, მისტიკური წარმომავლობისაა. ეს მან უფრო იცის, ვიდრე მე. ჩვენი კავშირი საკრალურია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ორივე ღრმად: მთელი პასუხისმგებლობით ვგრძნობთ ამას. ამ კავშირის დაკონკრეტება არ შემიძლია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ რამდენადაც ვიცი, მსგავსი რამ არ არსებობს. ასე რომ, მას „მესამე“ ვერ გაიგებს. მეორეც, აქ სიტყვა არა მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის, არამედ კიდევ უფრო მეტად მას: გიტას.

ყოველ შემთხვევაში ერთ რაიმეში შეეძლო რაინდულად დაერწმუნებინა გიტას მშობელი:

იგი ხომ ხვალვე ვინმეს მისთხოვებოდა, ამით მათ კავშირს არაფერი დაუშავდებოდა, რადგანაც მათი სიახლოვე ასეთ რაღაცებზე მაღლა იდგა. და ცხადია მის ქორწინებას წმინდა გულით, სწორედაც წმინდა გულით დალოცავდა გრიგოლი. ეს გიტამ იცოდა და მამამისსაც უნდა სცოდნოდა.

ესეც ის ნაწყვეტი განზრახული ბარათისა.

და ეკითხებოდა ქალს:

შეეძლო კი ამ სტრიქონების ავტორს — მისადმი გიტას სიყვარულში წამითაც კი ეჭვი შეპარვოდა? გამორიცხული გახლდათ.

კიდევ რამდენ ხანს რჩებოდა კლაგენფურტში ქალი? როდის ბრუნდებოდა ვენაში? მიემგზავრებოდა ამ თვეს საბერძნეთში? აგვისტოში თუ მაინც შეძლებდა გრიგოლთან ჩამოსვლას, თუ ერჩივნა სექტემბერში ჩამოსულიყო?

ესეც ის კითხვები, რომლებზედაც, იმედოვნებდა, მაშინვე უპასუხებდა ქალი. მაშინვე, რაკიღა ძალიან სთხოვდა ამას.

გფარვიდეს ლაშარიო! — ასე რომ დალოცავდა, ფრანგულად მიადევნებდა: შენი მარადიული მეუღლეო.

13 აგვისტოს ის-ისაა მიიღებდა 10-ში გამოგზავნილ წერილს. სიმშვიდის უკმარობა! და ეს... ზაფხულის არდადეგებისას? წარმოუდგენლად ეჩვენებოდა და სთხოვდა: კონკრეტულად ამიხსენიო.

თავისი საშინელი მოუსვენრობის დროს სულ დავიწყებოდა, რომ ეს ამბავი ეცნობებინა ქალისათვის. ერთ მიუნჰენურ გამომცემლობას — ყმაწვილთათვის განკუთვნილს — სურდა მისი „კავკასიური ნოველების“ გამოცემა. ჯერ კიდევ ამოწმებდა: იყო თუ არა ყმაწვილთათვის შესაფერისი. გრიგოლის აზრით, ეს ციკლი სწორედაც ყმაწვილთათვის გახლდათ „ზედგამოჭრილი“.

ნაცნობი იყო ქალისათვის ვენის ეს ტელეფონის ნომერი: 65-14-883? მარტო ეს შეკითხვაც ბევრს აუწყებდა ქალს. აღარ დაერეკა გრიგოლს — აღარ იყო საჭირო.

6-დან 7 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, გრიგოლს გიტა შეეგრძნო — ისე, როგორც მაშინ. და... 7 აგვისტოს, საღამოს, გიტას წერილი მოეწერა!

ასე ეგონა, ლამარტინის ის სიტყვები — დამოწმებული გიტას მამისადმი მიმართულ, მაგრამ გაუგზავნელ ბარათში — ამ წუთას წაეკითხა ქალს. თითქოს გიტასათვის ყოფილიყო თქმული! ეცოდინებოდა ამიერიდან: როგორი არსება გახლდათ გრიგოლისათვის? ალბათ ეგრძნო მისტიკური კრძალვა, როდესაც ამას კითხულობდა.

ეტყობა, არ უხერხდებოდა ამ თვეში გრიგოლთან ჩამოსვლა. სამწუხარო იყო! მაგრამ აჩქარებით არ აჩქარებდა. ამას ყოველთვის ყოფნიდა მოთმინება — მაშინაც კი, როდესაც გიტას მონატრებით კვდებოდა.

ასე უყვარდა გიტა!

რა ბევრი ჰქონდა ქალისათვის სათქმელი, რამდენი ჰქონდა მოსალაპარაკებელი! ერთი რამ კი უნდა სცოდნოდა ქალს აქ ჩამოსვლამდე. ერთი წამითაც რომ შეპარვოდა ეჭვი მისადმი გიტას სიყვარულში — იმწამშივე ფსიქიკურ წონასწორობას დაკარგავდა. სცოდნოდა ეს, სცოდნოდა!

დაე გაეზიარებინა გიტას თავისი უახლოესი გეგმები.

შეეძლო გრიგოლისათვის ერთი ნახატის ესკიზი ეჩუქებინა? გრიგოლს ეს ჯერ კიდევ ადრე უნდა ეთხოვა.

15 აგვისტოს რომ წაიკითხავდა 12-ში გამოგზავნილ გიტას წერილს, კიდევ უფრო მეტად, სუნთქვასავით ახლოს იგრძნობდა მის სიახლოვეს — გამაბედნიერებელს, დამათრობელს.

თამარ მეფის სურათი. გული უგრძნობდა, რასაც იტყოდა ქალი ამ სურათის შესახებ და: მერწმუნე. სწორედ ამიტომაც გამოგიგზავნეო, — დასძენდა.

ფრანკ თეასის წიგნი „დემონთა სამყარო". იცნობდა. მართლაც შესანიშნავი გახლდათ! კიდევ უკეთესი იყო, გრიგოლის აზრით, „ცუსიმა". მისი სხვა წიგნები არ უყვარდა. ისე ავტორს პირადადაც იცნობდა.

რას სწერდა ქალი?

— როგორ ვისწრაფი იმ წამისაკენ: როცა შენთან ვიქნები, შენს გვერდით! მაინც ვმერყეობ — შეგიძლია გამიგო?

ესმოდა, როგორ არ ესმოდა გრიგოლს.

იმ თავის ზეადამიანურ ბედნიერებაში, რომელიც გიტას ეჩუქებინა მისთვის, სწორედაც ეს „მერყეობა" ქალისა გახლდათ გრიგოლის უღრმესი ტკივილი. მაგრამ ისინი, გიტაც და გრიგოლიც, საკმაოდ ჭკვიანები იყვნენ: და იმას, რაც გრიგოლს ასე სტკიოდა, სწორად გადაწყვეტდნენ. ოღონდ ამის თაობაზე — მხოლოდ პირისპირ. სცოდნოდა ქალს: მისი სიტყვა გრიგოლისათვის გახლდათ: კანონი.

სიბილასავით ხმიანებდა გიტას სიტყვები:

— რა ძნელია ცხოვრება შენს სამყაროში, როდესაც არა უწყი რა ამ სამყაროს შესახებ.

ამის თაობაზეც ილაპარაკებდნენ პირისპირ.

მაგრამ როდის ჩამოვიდოდა? მოწერით იწერებოდა:

— სამწუხაროდ დღეს არ შემიძლია გიპასუხო, აგვისტოში ჩამოვალ თუ მხოლოდ სექტემბერში. ალბათ მხოლოდ სექტემბერში.

ვაითუ... სექტემბერშიც არ ჩამოსულიყო?!.

ესე იგი: შემდგომ კვირაში რამდენიმე დღით იტალიას მიემგზავრებოდა ქალი. ამ ბარათს ხვალ მიიღებდა. შეიძლებოდა, რომ

გრიგოლს ჯერ კიდევ შაბათს კლაგენფურტში მიეწერა? ეცნობებინა დაუყოვნებლივ! მოეწერა იტალიიდან. არ დავიწყებოდა: მისამართი.

იყო გიტასი გრიგოლი — იმყოფებოდა განუყოფლად გიტასთან!

18 აგვისტოს ბარათით აცნობებდა, რომ: ამ კვირაში ორი სასწრაფო წერილი მიეწერა: 13 და 15 აგვისტოს. მეორეს — ასე ვარაუდობდა — გუშინ მიიღებდა ქალი. სთხოვდა გრიგოლი, მაშინვე ეცნობებინა: შეეძლო თუ არა შაბათს კლაგენფურტში მიეწერა. დღეს გიტას პასუხს ელოდა. ტყუილუბრალოდ. ძალიან ნერვიულობდა. ეხვეოდა ძლიერ მისი წამებული გრიგოლი.

პოსტსკრიპტუმს იმიტომაც დაურთავდა, რომ: წინა ბარათში შეშლოდა გიტას სტრიქონის ციტირება: ნაცვლად „ამ სამყაროში“ დაწერდა „შენს სამყაროში“. და ქალს საყვედურობდა: ამაში დამნაშავე შენი შემოკლებული კალიგრაფიაა. მისამართი მაინც მომწერე გარკვეულად! ამით შენს კალიგრაფიას სილამაზე არ მოაკლდება. პირიქით პლასტიკური გახდებაო!

ამოსაღები იყო სიტყვაც „სიბილასავით“.

ახლა კითხულობდა ჰერმან კაიზერლინგის წიგნს „მოგზაურობა დროში“: მეორე ნაწილს. მისი აზრით, ქალს ის არ მოეწონებოდა. ისე ავტორს პირადადაც იცნობდა გრიგოლი.

21 აგვისტოს რომ მიიღებდა 19-ში ტრიესტიდან გამოგზავნილ წერილს, იქ ამოკითხული სიტყვები სიზმრიდან ოსირისზე:

— 12 წელი გელოდი!

იმ დღეს უფრო ამაღელვებლად იმოქმედებდა მასზე. უსასრულოდ ინეტარებდა: განსაკუთრებულად. და ასეც ამცნობდა მეორე დღეს მიწერილი ბარათით.

ერთხელ რომ სწერდა:

გულში მყავხარ ჩაკრული, მკერდით მკერდზე: წარმოსახვითი ყოფნა ისე ტკბილია, რომ რეალური არყოფნა ტკბილად იქცევაო.

დღეს ამბობდა:

წარმოსახვითი ყოფნა ისეთი ღვთიურია, რომ რეალური არყოფნა ნეტარებად იქცევაო.

ეს ნამდვილად იმიტომაც ხდებოდა, რომ დამათრობელ წამში განიცდიდა გიტას ერთდროულად: როგორც სატრფოსა და როგორც დას. რაოდენ ღვთიური გახლდათ ყოფნა გიტას გამო და გიტასთან ერთად.

ერთი რაღაცის გამო სჯობდა შუა სექტემბერში ჩამოსულიყო ქალი. 18 სექტემბერს ჟენევაში გამოვიდოდა სახელგანთქმულ ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლი: 65 წევრი. ლოზანაში მცხოვრები თავისი თანამემამულე, გრიგოლთან დამეგობრებული — თავადი, მალტის ორდენის რაინდი, კეთილშობილი, ძალიან ცნობილი, მდიდარი — შეპირებოდა ბილეთებს. გიტასთვისაც სიამოვნებით შეუკვეთავდა ერთ ბილეთს იმ პირობით, თუ შუა სექტემბერში ნამდვილად ჩამოვიდოდა. ის, „დედოფალი“, ხომ უნდა დასწრებოდა! ახლავე მოეწერა: შეძლებდა თუ არა იმ დროისათვის ჩამოსვლას.

გულში ჰყავდა ჩაკრული მკერდით მკერდზე, საფეთქლით საფეთქელზე: და: შეიგრძნობდა დაუსრულებელ ნეტარებაში, როგორც სატრფოსა და დას.

ამდენ თვისებას ჩამოთვლიდა ლოზანაში მცხოვრები თანამემამულისა, ერთიერთმანეთზე შთამბეჭდავს, მაგრამ ვინაობას არ გაამჟღავნებდა. თუმც დაფარვით არ დაიფარებოდა და ლეილა ცომაია პუბლიკაციის სქოლიოში გახსნიდა გამჭვირვალე შიფრს: ნიკოლოზ ჩხოტუა იგულისხმებაო.

29 აგვისტოს აღტაცებით წაიკითხავდა 27-ში გამოგზავნილ წერილს, უსაზღვროდ სასიხარულო სიურპრიზი რომ დახვდებოდა. ქალი ჩუქნიდა იმას, რასაც გრიგოლი თებერვლის მერე ასე მწველად ელოდა: არა, გიტა თავისთავადაც საოცარი საჩუქარი იყო მისთვის.

ანკი სხვა რა გუნებაზე დააყენებდა ამ ფრაზის ამოკითხვა:

— დღეს რაღაც უნდა გაგიმხილო — მინდა სამუდამოდ შენს სიახლოვეს ვიცხოვრო.

და გრიგოლის სიხარულს რა აღწერდა!

კიდევ რას იწერებოდა ქალი?

— ზეციური და მიწიერი აზრი დიდხანს ებრძოდა ჩემში ერთმანეთს: მიწიერმა გაიმარჯვა.

ახლა ხედავდა გრიგოლი, რომ თავისი მოუსვენრობის შემოტევათა ბოლო მიზეზი აქ უნდა მოძებნილიყო: როგორც ჩანს, გიტას ამ ბრძოლას შინაგანად გრძნობდა.

ქალის გეგმა: ჟენევაში სამუშაო ადგილის პოვნა და გრიგოლთან ახლოს ოთახის დაქირავება. ამ ადგილს იმდენ ხანს შეინარჩუნებდა, ვიდრე მხატვრობით რაიმეს გამოიმუშავებდა.

მოუხერხდებოდა, რომ ჩანაფიქრისათვის ხორცი შეესხა? როგორც უცხოელს, აქ უნდა მიელო ცხოვრების ნებართვა. ნებას კი მაშინ დართავდნენ, როდესაც სამსახურს იშოვნიდა. ხოლო სამსახურის შოვნა საშინლად ძნელი გახლდათ, თუ სულაც შეუძლებელი არა.

რა ელონათ?

პრობლემების მთელი კომპლექსი ერთი რაღაცით წამში გადაწყდებოდა, რომელზედაც გრიგოლს ერთხელ ჩურჩულით მიენიშნებინა კიდეც. გიტას კი გადაჭრით უარეყო, ისე, რომ იმ რაღაც უშუალოდ არც კი გაეშიშვლებინა. გრიგოლს ის თავისი მინიშნება არასოდეს აღარ გაემეორებინა, რადგანაც: ნება არ ჰქონდა ნდომოდა რაღაც, რაც გიტას არასასურველად მიაჩნდა.

მისთვის ეს წმინდა კანონი გახლდათ.

ამაზე დაწვრილებით პირისპირ ილაპარაკებდნენ.

ვენიდან აქ ვერც ადგილისა და ვერც ბინის ძებნას ვერ შეძლებდა, პოვნაზე რომ არაფერი თქმულიყო. და ასე: ვიდრე ორივეს არ იპოვნიდა, ქალი — რა თქმა უნდა — გრიგოლთან იცხოვრებდა. ალბათ გიტასნაირ საოცარ არსებას — რომლისაც გრიგოლს ასე სჯეროდა — ყველაფერიც გამოუვიდოდა.

— 12 წელი გელოდი.

სხვა რა ეთქვა გრიგოლს: შესანიშნავია შენი სიზმარიო!

— შანშან მე ეს გვირგვინი მივიღე: ჩემდამი შენი სიყვარულის სახით.

კითხულობდა გრიგოლი ამ სიზმარს კვლავ და კვლავ: და: ნეტარებით სავსე ზეიმობდა თავიანთ მისტიკურ ქორწილს. და აღტაცდებოდა: გაუმარჯოს ჩემს ღვთაებრივ გიტასო!

— ნეტა ამაღამაც თუ შემიგრძენი? — ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა ქალს.

გიგრძენი: და მერე როგორო! — დნებოდა და ლღვებოდა გრიგოლი.

არ ეგონა, თუ ისეთი უკიდურესად გრიგოლისეული წიგნი — ჰერმან კაიზერლინგის „მოგზაურობა დროში“ — მოეწონებოდა ქალს. ყველაზე საგულისხმო თავად ამ წიგნისა გრიგოლი მიიჩნევდა „ვიქტორია ოკამპოს“. ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ქალის პორტრეტს! კაიზერლინგი ვერ ხედავდა ან: თავს არ უტყდებოდა, რომ მისი „მზიური ძალა“ არ აღმოჩნდებოდა ვიქტორიას „ისიდას ძალაში“ გადასული. აქედან მომდინარეობდა: ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ქალის მცდარი მსჯელობანი. უახლოეს დღეებში გაუგზავნიდა ნარკვევს „ჩემი პირველი შეხვედრა ჰერმან კაიზერლიგთან“. ჯერ უნდა გადაებეჭდა.

ეხვეოდა ძლიერ თავის დედოფალ გიტას და იყვნენ განუყოფლად ერთად.

2 სექტემბერს მისწერდა, რომ:

ქალის გადაწყვეტილება — სამუდამოდ ეცხოვრა გრიგოლის სიახლოვეს — სრულიად ათრობდა. წარმოსახვით გამუდმებით გულში ჰყავდა ჩაკრული, სუნთქვასავით ახლოს. მკერდით მკერდზე — მისთვის გახლდათ: სატრფო. საფეთქლით საფეთქელზე — მისთვის გახლდათ: და. ერთიანობაში კი: მისტიკური მეუღლე.

გრიგოლის დარჩენილი დღეები გიტას ეძღვნებოდა: მთლიანად და სრულად.

გრიგოლთან სიახლოვისას ქალი მთელი სისავსით შეიგრძნობდა მისადმი გრიგოლის სიყვარულს.

და გიტას მკლავებში ჰპოვებდა გრიგოლი აღსასრულს.

მაგრამ ეს არ იქნებოდა გიტასთან გამომშვიდობება. მეორე ცხოვრებაში მასთან რჩებოდა: სამუდამოდ მასთან. დაე მხნედ ყოფილიყო ქალი!

პოსტსკრიპტუმში მიადევნებდა, რომ:

შეეტყო, აქ ადგილის შოვნა შესაძლებელი ყოფილიყო, თუმც არა ადვილი. რა სახის სამუშაოს შეძლებდა? ბარემ მოეწერა ესეც!

8 სექტემბერს აცნობებდა, რომ: მხოლოდ გუშინ მიეღო 3 სექტემბერს გამოგზავნილი წერილი. წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, რომ „ვენა-ჟენევის“ ფოსტა ხშირად იგვიანებდა.

შემაძრწუნებელი კითხვა წამოტივტივდებოდა ხოლმე გრიგოლის არსებაში — პასუხისმგებლობის გრძნობით.

როგორ მოსდიოდა გიტას ასეთი აზრი:

— შევძლებ მე, რომ გრიგოლი ბედნიერი გავხადო?

გიტა ხომ გრიგოლისათვის უმაღლესი ბედნიერება იყო. მკერდით მკერდზე — მისთვის გახლდათ: სატრფო. საფეთქლით საფეთქელზე — მისთვის გახლდათ: და. მთლიანად კი: მისტიკური მეუღლე.

შეძლებდა რომელიმე შეყვარებული თავისი სატრფოსათვის უფრო მეტის ჩუქებას?!

გიტას შეკითხვა საკუთარი თავისათვის უნდა დაესვა გრიგოლს:

როგორ შეძლებდა გაებედნიერებინა: მას ხნიერს — ის: ახალგაზრდა?

მაგრამ ამ შეკითხვას თავს არ უსვამდა, რადგანაც: მისი სიყვარული ისეთი დიდი იყო, შეეძლო ასაკობრივი განსხვავების დაძლევა. მითუფრო, რომ მათი სიყვარული არაჩვეულებრივი ბუნებისა გახლდათ. ამიტომაც დაე მხნედ ყოფილიყო ქალი!

კიდევ რას იწერებოდა?

— შეგიძლია ყოველ წამს აწმყოში იცხოვრო? მე არა: შევამჩნიე, რომ თებერვლის მერე მომავალში ვცხოვრობ: რომ მხოლოდ ერთი დღისათვის ვცხოვრობ, როდესაც შენ კვლავ გულში ჩამიკრავ.

თებერვლიდან გრიგოლიც ამ დღისათვის ცხოვრობდა. ასეთ ნატვრაში მისი ახდენის წინაპირობა იდო. ასე შეიძლებოდა აწმყოში ცხოვრება. ამ წუთშიაც მწველი მონატრებით, ხელისცეცებით დაეძებდა თავის შეუდარებელ გიტას: დაეძებდა მთვრალი.

ესე იგი: ჩამოვიდოდა სექტემბრის მიწურულს.

შესანიშნავიაო! — აღტაცდებოდა და კიდეც დადნებოდა გრიგოლი, — ჩემს მკლავებში უფრო მეტად გაიგებ: როგორ მიყვარხარო.

მუდამ „შენთან“ — შენს სუნთქვასთანო, — ამასაც დასძენდა.

პოსტსკრიპტუმად კი ამ ფრაზას დაურთავდა: გადაუღე ფოტო ამ ქართული შრიფტით დაწერილ დალოცვასო?

10 სექტემბერს მისწერდა:

ასე მხურვალედ რომ გენატრები, ეს მე დიდ სიხარულს მანიჭებს. შენი გული კი — რომელიც ჩემს გულში ძგერს: შენდამი ჩემი სიყვარულის გრაალის თასში — ამით „ავად" არ „უნდა" გახდესო.

თუმც: მალე იქნებოდა გრიგოლთან.

არა გრძნობდა ქალი, რომ თავისი გიტას მოლოდინში გრიგოლს წინასწარი წარმოსახვით გულში ჰყავდა ნეტარებით ჩაკრული? ყოფილიყო სავსებით მშვიდად ქალი! მისი იყო, მთლიანად მისი გრიგოლი!

და იქვე პოსტსკრიპტუმი:

როლფ იტალიანდერის (რა თქმა უნდა ებრაელიაო, — ჩაურთავდა) „სტუმრად მარკ შაგალთან" დიდი ინტერესით წაეკითხა — ქალის მიერ გახაზული სტრიქონები კი — შინაგანი თანაგრძნობით. გიტამ კი იცოდა: რატომაც. მხოლოდ ერთი რამ არ ესმოდა: სახელგანთქმული მხატვარი თავის სტუმრებს რომ არ გაუმასპინძლდებოდა.

15 სექტემბერსაც მოკლე ბარათს იკმარებდა:

პირველი უმაღლესი ბედნიერების წამი ის იყო გრიგოლისათვის, როდესაც გაიგებდა, რომ გიტასაც უყვარდა. მეორე — გიტას დღევანდელი გადაწყვეტილება. მესამესაც მალე განიცდიდა. გიტამ კი იცოდა, რასაც გულისხმობდა გრიგოლი.

— ჩვენ ორივეს, — იწერებოდა გიტა, — სიძნელეები გვაქვს გადასალახი.

ხოლო გრიგოლი ამ სიძნელეებს ვერა ხედავდა. შემართება არ აკლდა: ესეც პასუხი ქალის შიშზე. ეხვეოდა და წინასწარი წარმოსახვით შეისუნთქავდა.

და კიდევ ერთი მოკლე ბარათი — 19 სექტემბრით დათარიღებული.

შენმა სიყვარულის ძალამ გამაახალგაზრდავაო, — მისწერდა. ამ ძალის მადლით კი გრიგოლის საშიში ნერვიული დეპრესია თითქმის გაქრებოდა. გიტას სიყვარულის წყალობით განიცდი-

და არსებობის სიხარულის მადლსა და შემოქმედებით აღმაფრენას.

ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ: გიტას სიყვარულის ძალას გრიგოლის სიყვარული შეექმნა, რისთვისაც ზედსართავ სახელს ვერა პოულობდა.

მალე გულში ჩაიკრავდა. ოო, რარიგ ენატრებოდა.

22 სექტემბერს გაუგზავნიდა რეცენზიას „ტრიბუნ დე ჟენევიდან" ქართული ბალეტის შესახებ. შესანიშნავად იქნებოდა შეფასებული! გრიგოლი ბალეტს ორჯერ ნახავდა. ფანტასტიკურიაო — სხვა სიტყვას ვერა პოულობდა. მთვრალივით გრძნობდა თავს!

ოქტომბრის დამდეგს ეს ბალეტი ავსტრიას მოემგზავრებოდა. წარმოდგენები ვენაში დაიწყებოდა 5 ოქტომბერს — სულ გაიმართებოდა ექვსი. გიტას აუცილებლად უნდა ენახა გრიგოლის თანამემამულეთა ცეკვები. გრიგოლი წინასწარი წარმოსახვით გიტას გვერდით იჯდებოდა და მისი ხელი თავისაში ეჭირებოდა. ასე იზეიმებდნენ ამ ჯადოსნური ცეკვებით ტკბობისას გიტას გადაწყვეტილებას.

და მხოლოდ ამის მერე მოვიდოდა ქალი.

მხოლოდ ამის მერე.

მხოლოდ.

გიტას მონატრებით კვდებოდა გრიგოლი — მაგრამ: მათი სიყვარული მოითხოვდა ამას.

სთხოვდა: შენი ნივთები წინასწარ ფოსტით გამომიგზავნე. წამოიყვანე თან შენი მუსი. ჩემი წერილებიც წამოიღეო.

გრიგოლის ქალიშვილი ალბათ წინააღმდეგი იქნებოდა — მაგრამ მხოლოდ „ფსიქოლოგიურად". იგი ძალიან გონიერი გახლდათ და ამათ კავშირს უსიტყვოდ გაიგებდა. ამაში გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა!

ლექსს — რომელიც გიტას „გრაალის მცველების" წაკითხვის მერე დაეწერა — გრიგოლი უსაზღვროდ გაებედნიერებინა. თავისი მარჯვენა საფეთქლით ეხებოდა: კოცნიდა ქალის მარცხენა საფეთქელს.

ეხვეოდა ძლიერ, ძლიერ და: აუწერელ თხრობაში იმყოფებოდნენ განუყრელად ერთად.

29 სექტემბერს მისწერდა, რომ: გუშინაც, დღესაც ელოდებოდა მის წერილს. ელოდებოდა დიდი გზნებით. ტყუილუბრალოდ. არ მოვიდოდა. ეს ძალიან დამწუხრებული შეიქნებოდა. ავად ხომ არ იყო გიტა? ველარ მოეცალა? რა მომხდარიყო? დამაუძლურებელ ეჭვებში ჩავარდებოდა კაცი. იმედოვნებდა, ზეგ მიიღებდა მის სტრიქონებს. იმედოვნებდა!

ნეტა თუ მიეღო გრიგოლის 22 სექტემბრის ბარათი „ტრიბუნ დე ჟენევის" რეცენზიითურთ ქართული ბალეტის შესახებ? ორჯერ კიდევ წავიდოდა ამ ბალეტზე და: ფანტასტიკურიაო! — სხვა სიტყვას ვერა პოულობდა. ძალიან კი დაძაბულიყო: რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ქალზე.

გუშინწინ საღამოს ნაწლავები ასტკივნოდა. ბევრი ყურძენი ეჭამა: კანითა თუ კურკებით (უკანოდ და უკურკოდ ისე გემრიელი არააო, — ჩაურთავდა). თუ არ გაინძრეოდა, ტკივილს არა გრძნობდა, მოძრაობისას კი სასტიკად სტკიოდა. განსაკუთრებით — დაღუნვისას. გუშინ ექიმს ორი მედიკამენტი გამოეწერა.

ნეტა ემზადებოდა გიტა სამგზავროდ? მისი ნახვის სურვილით იწვოდა გრიგოლი. არა გრძნობდა ქალი ამას? თავიანთი კავშირი გარესამყაროს მიმართ უნდა მოეგვარებინათ და კერძოდ: ისე, როგორც გიტასათვის იქნებოდა მისაღები. გრიგოლი თავს სავსებით ანდობდა მას. დაე სცოდნოდა ქალს: მისი სიტყვა გრიგოლისათვის კანონი კი არა, სულაც ბრძანება რომ გახლდათ. გრიგოლის სიტყვისა კი ალბათ სავსებით სჯეროდა.

ეხვეოდა ძლიერ, ძლიერ და წინასწარი წარმოსახვით იმყოფებოდა განუყრელად მასთან.

პოსტსკრიპტუმში აღშფოთებას გაუზიარებდა ქალს „ველტვოჰეს" 21 სექტემბრის ნომერში საქართველოზე დაბეჭდილი სტატიის ამ სტრიქონების გამო:

— ეს შავგვრემანი, მკვირცხლი, უქნარა და ტრაბახა სამხრეთელები — საბჭოთა კავშირის მარსელები — უთუოდ უაღრესად სიმპათიურები არიან.

უთუოდო...

მადლობას მოახსენებდა მოწყალე განაჩენისათვის!

უქნარაო?

თუ ასე იყო, ჩინური სიბრძნის უმაღლესი გაგებით: უსაქმურობით დაკავდებოდი და ყველა საქმე შენთან მოვიდოდა.

ტრაბახა მარსელებიო.

ეს საკითხი სასაცილო იქნებოდა, მტკივნეული რომ არა ყოფილიყო გრიგოლისათვის.

გუშინ რედაქციას დიდ — 11 ნაბეჭდ გვერდს — საპროტესტო წერილს გაუგზავნიდა სათაურით „ქართველთა სავიზიტო ბარათი". სცოდნოდა ქალს: რაც უფრო აღშფოთებულიყო გრიგოლი — იმდენადვე მშვიდი გახლდათ მისი ტონი, და ასევე: იმდენადვე გამანადგურებელიც. მიაწვდიდა ასლს — მაგრამ მალე ხომ მასთან უნდა ყოფილიყო. ოოო, რარიგ ენატრებოდა!

2 ოქტომბერს მიიღებდა გიტას სტრიქონებს — 29 სექტემბერს გამოგზავნილს. აღარ იყო უწინდელი სიტყვათა „მიმზიდველობა", 17 სექტემბრის ბარათისდაგვარი, რომელთაც ასეთი ბედნიერება მოეტანა გრიგოლისათვის?

რას იწერებოდა ქალი?

— კიდევ რამდენი დღე მაშორებს შენგან?

ხედავდა გრიგოლი, რა საშინლად დაღლილიყო.

კიდევ რას?

— 10 დღის განმავლობაში 12-საათიანი კატორღული შრომა.

ბოლოსდაბოლოს როდის გათავისუფლდებოდა ამ დაწყევლილი ეგზისტენციური გარემოსაგან: როდის ჩამოვიდოდა გრიგოლთან?

აქ სრულიად უზრუნველად იცხოვრებდა. ქალი: დახატავდა, წაიკითხავდა, დაწერდა — სიწყნარეში — ყველასაგან ხელისშეუშლელად, გრიგოლისგანაც კი. მხოლოდ ხანდახან თუ ესტუმრებოდა — იმისათვის, რომ თავისი მარჯვენა საფეთქელი ქალის მარცხენა საფეთქელისათვის ალერსიანად შეეხო.

ილია ერენბურგი. იცნობდა პირადად. როგორც ჟურნალისტი — ნიჭიერი გახლდათ. როგორც რომანისტი — საშუალო. როგორც ადამიანი — არასაიმედო. იცნობდა ოსიპ მანდელშტამსაც, მასაც პირადად. სავსებით საპირისპირო ერენბურგისაგან — კეთილშობილი. როგორც ლირიკოსი — ძალზე ნიჭიერი. პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე — გამოჩენილი

ლირიკოსები: ორივე რეჟიმის მსხვერპლი — იყვნენ გრიგოლის ყველაზე ინტიმური მეგობრები. რომანში „გრაალის მცველნი“ პაოლო „ოდილიანად“ გამოეყვანა და ტიციანი „ავალად“ — გასაოცარი ადამიანები.

უხაროდა გიტას გამო: ნახავდა ახლა ქართულ ბალეტს. ხომ მოსწერდა შთაბეჭდილებებს! გრიგოლი წერდა დიდ სტატიას ამ ბალეტის შესახებ. მას ცალკე გამოსცემდა და საქართველოში გაგზავნიდა.

ამჟამად უკეთესად გრძნობდა თავს.

იმედოვნებდა, მალე ჩამოვიდოდა ქალი. უკვე თავს იჩენდა გრიგოლის მოუთმენლობა. ქალმა არ იცოდა, რარიგ ენატრებოდა გრიგოლს.

6 ოქტომბერს შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ: 29 სექტემბრისა და 2 ოქტომბრის ბარათებზე პასუხი არ მიელო.

„12-საათიანი კატორღული შრომა ყოველდღიურად“ — ეს ბუნებრივია რაღაცას ნიშნავდა. მაგრამ მხოლოდ ამით აიხსნებოდა ქალის წერილების დაბრკოლება? რაიმე ხომ არ იმალებოდა ამის მიღმა? მიტევებას სთხოვდა შიშის გამო — ძალიან დავიქანცეო. დარწმუნებული — რომ სიტყვით ბედის გამოწვევა არ შეიძლება — აღარ ლაპარაკობდა თავის წინათგრძნობაზე. ის ალბათ სწორი არ იყო.

იმედოვნებდა! რაღა რჩებოდა გიტას გარეშე ამქვეყნად? არავინ და არაფერი! იმეორებდა, რაც უკვე ეთქვა. გიტას სიტყვა — ღვთიური! — გრიგოლისათვის უბრალოდ კანონი კი არ გახლდათ, არამედ: პირდაპირ ბრძანება. დაე სცოდნოდა ეს ქალს!

10 ოქტომბრის ბარათს ამ სტრიქონებით დაიწყებდა:

შენ მართალი ხარ. ტყუილად არ უნდა გავრჯილიყავი ჟურნალ „სლოგანში“ მოხვედრილი აზრის კრიტიკისათვის. სიმართლე „შენსკენააო“.

„ქართველთა სავიზიტო ბარათის“ დასაწყისში ხომ ეწერა:

ეს „ბარათი“ პასუხი კი არაა ხსენებულ სტატიაზე, არამედ ცნობა საქართველოს შესახებ ევროპულ-ამერიკული სამყაროსათვის, სადაც ამ ქვეყანას დღემდე მხოლოდ „თავაზიან“ ეთნოგრაფიულ საკითხად განიხილავენო.

ეს შენიშვნა ცოტაოდნავ მაინც ხომ ამართლებდა.

იორგე ლუის ბორგესი. გაეგონა. არ იცნობდა. პარიზიდან მიელო უაღრესად საგულისხმო, მაგრამ ამავდროულად უკიდურესად საშიში წიგნი ლუი პაუელსისა და ჟაკ ბერჟიესი: „მაგების დილა“. ამონაწერი გიტას მიერ ნახსენები ბორგესის ნოველიდან „ალფი“ წიგნის დებულების გასაძლიერებლად იყო ციტირებული და თვით ნოველას ასახასიათებდნენ როგორ „გენიალურს“! წაეკითხა ამონაწერი და... გენიოსობისა არავითარი ნიშანწყალი. წიგნში ძალზე მზაკვრულად წარიმართებოდა ღმერთის წინააღმდეგ მოქმედება: ის უბრალოდ გამოირიცხებოდა ფიქრებში. ამ წიგნს გიტა გრიგოლთან წაიკითხავდა. მასზე ბევრი დაგროვებოდა სათქმელი.

რას სთხოვდა ქალი?

— შეძლებ შენს დაბადების დღეზე გულში ჩამიკრა?

შეძლებდა და... მერე როგორ! იმ დღეს ორივე იზეიმებდა დაბადების დღესაც და თავიანთ ახალ კავშირსაც, რომელიც იქნებოდა აღუწერელი სიხარულის დაბადებაც. მაგრამ ელოდებოდა უფრო ადრე. ალბათ წამოიყვანდა თავის მუსისაც. თუ იცოდა, გრიგოლს რომ უყვარდა მისი პატრონი? ეჭვიანობდა კაცზე?

იცოდა, გიტას მშობლები მათი კავშირის წინააღმდეგნი იქნებოდნენ. ხომ არა სჯეროდა — დაე ნუ დასცინებდა ქალი — მათთვის გიტას ხელი ეთხოვა? ისინი მათ კავშირს დალოცვით თუ არ დალოცავდნენ, უცვლელად ხომ მაინც დატოვებდნენ? მოეწერა ქალს თავისი აზრი. გრიგოლს ამით სურდა მისთვის გადაწყვეტილება გაეადვილებინა.

როგორც უკვე ეთქვა: მათი კავშირი გარესამყაროსთან უნდა მოწესრიგებულიყო და სახელდობრ ისე: როგორც გიტასათვის იქნებოდა მისაღები (და დასძენდა: ვწერ ამ სტრიქონებს და მრცხვენია — გამიგებ. მგონია, რომ შენც შეგრცხვება ამ სტრიქონების კითხვისას. ეს ბუნებრივიაო).

ერთ ჭკვიან კაცს ეთქვა: ადამიანის სიყვარული ნიშნავს — დაინახო იგი ისეთად, როგორც ღმერთმა ჩაიფიქრაო.

უყვარდათ ამათ — გიტასა და გრიგოლს — ასე ერთმანეთი?!

რა შთაბეჭდილება მოეხდინა ქალზე ქართულ ბალეტს? როგორ მოწონებოდათ მისიანებს — განსაკუთრებით გიტას „ტვისტის მოცეკვავე" დას? ცნობისწადილს ვერა ფარავდა.

13 ოქტომბრის ბარათით მოუთმენლობას ამჟღავნებდა: მალე რომ მოელოდა, დღეებს ითვლიდა — ერთიანად გიტათი აღვსილი. უსიტყვოდ: რათა ამ სისავსის არცერთი წვეთი ერთი „სასიყვარულო სიტყვით" არ დაღვრილიყო.

ამ ბარათს ქალი მიიღებდა სამშაბათს, ძალიან გვიან. და საღამოს 10 საათზე დაე წაეკითხა „სვლა ტყეში" — რომანიდან „გრაალის მცველნი". გრიგოლიც იმავდროულად წაიკითხავდა მას. სიყვარულით ასე მოეალერსებოდა საფეთქლით საფეთქელზე.

გრიგოლის მზიური ფესვი უკვე გრძნობდა გიტას ისიდას ლოტოსის დამათრობელ სიახლოვეს.

ახლა იმ რეცენზიაზე, ქალის მიერ გამოგზავნილზე. აღფრთოვანებით დაწერილიყო, ეგაა გრიგოლი ამ სტრიქონებს გაებრაზებინა:

„სტილიზებული კაზაკთა ცეკვები" — ისინი ისევე ზემოქმედებენ, როგორც გოგოლის „ტარას ბულბას" გაშმაგებულ „შენელებულ კინოკადრებშიო".

ანკი როგორ არ გაღიზიანებულიყო:

განა რა საერთო გვქონდა ჩვენ, ქართველებს, კაზაკებთან, განსაკუთრებით ტარას ბულბასთან?!

ჩვენს ბალეტზე გრიგოლს დიდი სტატია დაეწერა, 12 ნაბეჭდი გვერდი, ცალკე დაიბეჭდებოდა და ისე გაიგზავნებოდა საქართველოში.

პოსტსკრიპტუმად კი ამ მღელვარესა და თავმომწონე სტრიქონებს შეარჩევდა, თავის თავს — ნაპოლეონივით — მესამე პირში რომ მოიხსენიებდა. ხანდახან სჩვეოდა ასეთი რამ, მაგრამ უცხოც რომ ყოფილიყო განაპოლეონება მისთვის და გუნებაში არ შედარებოდა ხოლმე, ამჯერად თავს ვერ შეიკავებდა, ისეთ შარავანდში გახედავდა თავის მწერლურ ხელოვნებას, თანაც გიტასთვისაც უნდა გაეცხადებინა:

გრიგოლი, პოეტი, გეკითხება: იცნობ თუ არა მსოფლიო ლიტერატურაში ერთ ნაწარმოებს მაინც, სადაც სიყვარულის გა-

მოხატვა „სიყვარულის ახსნის“ გარეშე იყოს წარმოსახული, როგორც ესაა „ტყეში სვლის“ შემთხვევაში?

შეკითხვა რიტორიკული იყო, რაც მიანიშნებდა, რომ გიტა ამაოდ არ უნდა დამშვრალიყო ამის ძებნით, მაინც ვერსად ჰპოვებდა სიყვარულის გამოხატვის სურათს სიყვარულის ახსნის გარეშე, თუ არა ერთადერთ რომანში.

და მაშ 10 საათზე ხელახლა გადაეკითხა ეს თავი.

ზუსტად იმ დროს გრიგოლიც ამ სტრიქონებში ჩაეფლობოდა.

და შეიგრძნობდნენ ერთმანეთის გულისცემას.

და მიეკვროდნენ ერთიმეორის მკერდს მკერდით და საფეთქელს საფეთქლით — რაც ისედაც განეცადათ ხოლმე დროდადრო, მაგრამ ახლა ეს შეგრძნება კიდევ უფრო ხელშესახები გახდებოდა... კიდევ და კიდევ...

თავი მეოთხე

ისია გრიგოლის: იმქვეყნიური

ჩვენს ბალეტზე გრიგოლს დიდი სტატია რომ დაეწერა, 12 ნაბეჭდი გვერდი...

ჯერ სათაური ღირდა ერთ რამედ: „ქართული გენია როკვით განფენილი".

მერე მისი სულისკვეთება და განზოგადებული გააზრება, საქართველოს დაჭრილ მზედ რომ მოალანდებდა.

ამ მოლანდებას ყველა და ყველაფერი ვერ გამოიწვევდა ცხადია.

ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ შექმნილ ქართულ ბალეტს გამოეწვია ეს აღმტაცი და შემძვრელი განცდაც, შთაბეჭდილებაც და ხილვაც, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ანსამბლი ჟენევასაც რომ ესტუმრებოდა და გრიგოლ რობაქიძე ვერა და ვერ გაძღებოდა მათი ცქერით.

მროკავთა დასში არცერთი ვაჟი არ გახლდათ ნიჟინსკი და არცერთი ქალი — პავლოვა?

მაგრამ ვერანაირი ნიჟინსკი ვერ იცეკვებდა „ქართულს" ისე, როგორც ცეკვავდა რომელიმე ვაჟი ამ დასისა, და ვერც ვერანაირი პავლოვა ვერ გაჰყვებოდა მოცეკვავე ვაჟს ისე, როგორც რომელიმე ქალი ამ დასისა.

ეს იმიტომ, რომ:

ბალეტი ქართული გახლდათ: ბალეტი ჯიშის: რასის.

რომ გაგვეგო თუ რას ნიშნავდა „ჯიში" თუ „რასა", საჭირო იყო პირვანდელი აზრი დაგვებრუნებინა მისთვის — ნამდვილი და წაურყვნელი.

იდეა „რასისა“ არ გამოეგონებინა: არც ფრანგ დე გობინოს, არც გაავსტრიელებულ ჰ. ს. ჩემბერლენს, არც გერმანელ ლუდვიგ ვოლტმანსა და ალფრედ როზენბერგს და არც არაბ იბნ-ქალდუნს.

და აქვე ჩაურთავდა, რომ:

ეს იბნ-ქალდუნი ის ქრონისტი გახლდათ, რომელიც მოგვითხრობდა დიდგორის გამარჯვებას 1121 წლის 14 აგვისტოსი, მეფეთმეფის დავითის: აღმაშენებლისა. საკვირველი იყო, რომ: ეს ავტორიც — ისევე, როგორც სხვა დანარჩენნი — უპირატესობას ანიჭებდა ჩრდილოურ რასას.

იდეა რასისა ძველთაძველ დროშიც რომ არსებობდა, გრიგოლი თავიდათავად იმას აცხადებდა: ბევრად უფრო ღრმად და ნამდვილად გაგებული, ვიდრე დღესდღეობითო.

მოკლედ მისი კონცეფტი.

ზორვისას — მსხვერპლად შეწირვის დროს — ენიჭებოდა ადამიანს ქმედითი უნარი ქაოტურში ჩარევის და მისი მოგვარებისა. ამ გზით ხდებოდა იგი რჩეული: „ARIA“: კეთილშობილი: თავადი, ჩვენი შესანიშნავი სიტყვით, თუ მას ჩამოვაცილებდით სოციალური ფუნქციის ელფერს.

ეს მოპოვებული უნარი თესლზედაც ახდენდა გავლენას და სისხლზედაც: იქცეოდა მემკვიდრეობად.

ოღონდ უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ: ვერც თესლი, ვერც სისხლი ვერა ხდიდა მემკვიდრეს თავისთავად „არია“-დ. „თავადი“ რომ გამხდარიყო, მას მეორე დაბადება უნდა განეცადა გონის მხრივ. გრიგოლი აქვე დააზუსტებდა: „გონში“ „ესპრის“, „გაისტს“ ვგულისხმობთ. მემკვიდრეობა მხოლოდ უადვილებდა ამ მეორე დაბადებას მას.

ინდოეთში „არია“-ს მემკვიდრე, ვიდრე „მეორე დაბადებას“ არ გამოცდიდა, ჯერ კიდევ არ მიიჩნეოდა უდაბლეს კასტაზე — „ჩადრაზე“ — მაღლა მდგომად.

ასე გაიაზრებდნენ ძველთაძველ ხანაში კავშირს უნარისა და სისხლისა: იკლებდა „უნარი“ და „სისხლსაც“ ძალა აკლდებოდა.

იმავე ინდოეთში ამბობდნენ: თუ ვინმეს ზორვაში სიცრუე შეეპარება, მსხვერპლი გაარაფრდებაო. ბოლოსდაბოლოს ეს ნიშ-

ნავდა, რომ: სიცრუით თვითონ მწირველი მსხვერპლისა „შავდებოდა“: ზიანდებოდა.

კიდევ უფრო ნათლად ჩანდა ეს ირანის ტრადიციაში. როდესაც მზე-მეფე — იამა — ტყუილებს დაიწყებდა, მას თანდათან მოცილდებოდა „ჰვარენო“: შარავანდი. ანუ: მიეცემოდა გადაგვარებას.

რას ვხედავდით ამ კონცეფტში?

როგორც წარმოშობას თავადობისა, ისე მიზეზს მისი ევანტუალური დეკადანსისა.

საქართველოში ეს შეგნება „ჯიშისა“ — ღრმა და ნამდვილი — ძვალსა და რბილში გაგვჯდომოდა, რასაც ადასტურებდა ქართული: ჩვენი უგენიალურესი ენა.

ვაგინებდით ვინმეს და: შე უჯიშოო!..

ვკრულავდით და: შენი ჯიში ამოვარდაო!..

ამაზე უფრო მეტყველი მოწმობა მართლაც რაღა უნდა ყოფილიყო.

ჯიში რა არის და: რჩეულობა, ყველგან და ყოველთვის თავისებური რომაა: ნაირნაირი. ამასთან: თანაბრად ღირსეული, ფასეული.

ვინც საკითხს ასე აყენებდა: რომელია რასებში უმჯობესიო?

გრიგოლ რობაქიძის მტკიცებით: მას რასისა არა გაეგებოდა რა.

უფრო შორს აღარ გაჰყვებოდა, ნათქვამი სავსებით კმაროდა იმის გასაცხადებლად, რომ: ქართული ბალეტი გახლდათ ბალეტი ჯიშისა. დაზუსტებითაც დააზუსტებდა: ქართული ჯიშისა. დაქადნებად თუ ჩამოართმევდნენ და: მის თვალწინ „ქართულის“ საროკავად რომ გაეშვათ მისთვის უცნობი ორი მოცეკვავე და ეთქვათ მხოლოდ: ერთია ქართველიო, — პირველ გავლებაშივე ამოიცნობდა, ქართველი რომელიც იყო.

ქალთა კადრი დასში?

თვითეული: კენარი. ჯავარი. სინაზით ტვიფრული. მწყაზარი. მორცხვი. კდემული. ნელი. ნარნარი. ქალწულური სრულიად — მიმოხვრაშიაც.

ყოველი სიტყვა რა გულდასმითა და სიზუსტითაა შერჩეული, ერთმანეთს რომ ავსებს და მოზაიკასავით ამრავალფეროვნებს.

და კიდეც შემოიჭრებოდა ექსპრესია: როკვას გოგმანს რომ გაუიგივებდა, გოგმანს — სრიალს, სრიალს — ცურვას, ცურვას ცურვილს: ცურვილს გედისა. და ყველა ერთობლივ აიშლებოდნენ: გედებად, გედებად, თეთრ გედებად — ხან ფრონტალურად გამწკრივებულნი ჰაეროვნებით. ხანაც მარაოდ გაშლილნი, რომელიც არეს ცისარტყელად ეფინებოდა.

და აღტაცებულს ამოსკდებოდა გულიდან:

რა გოგონებია! დაილოცოს ჩვენი დედულიო!

ახლა ვაჟები?

თვითეული: ყოფის შუაგულიდან გამოსხმულიყო. მკვრივი. ნაკვთიერი. ყოველ ნაკვთში — მზის ჭავლი ხალასი. ასხეპილი ასკილივით. დახვეწილი, დაწმენდილი. ხალისით ალესილი. შმაგი, ხანდახან შლეგიც. ძალაგაყრილი. აცეცხლებული. რადგან თვითვე სიცოცხლეს განასახიერებდნენ: ცეცხლი და ცოცხალი აკი ერთი ძირიდან ამოზრდილიყო. ხლტომა — „ელან ვიტალ“. ავარდნა. გავარდნა. მოვარდნა. შევარდნა. ხედვაში — თვალციალი შევარდნისა.

მათი როკვა სხვა რა იქნებოდა, თუ არა: რიტმული დენის ელვარი. ცქნაფი წამახულ ფერხთა: წარმოუსახავი: სულაც ზებუნებრივი. ამავდროულად მთელი ტანი: თითქოს უძრავი, ურხევი.

„თითქოს“ იმიტომ, რომ: ლხენით ავსილიყო: ისე, რომ ერთი ცვარიც არ დაექცეოდათ (ჩაურთავდა: ეს ხომ მთავარი ხრტილია როკვისასო). მოშვილდული. ყოველი სხლეტი — ხვედრა თვითონვე.

და აღტაცებულს ამოსკდებოდა გულიდან:

რა ბიჭები! დაილოცოს ჩვენი მამულიო!

გასაღებს ამ ბალეტის ჯადოქრობის ამოსახსნელად მას მისცემდა ერთი სცენა:

და რაოდენ საკვირველიც უნდა ყოფილიყო: არა როკვა, არამედ შეჯიბრი ორი მედოლისა. ერთი ეჯიბრებოდა მეორეს. ტექნიკა ორივესი — გასაშტერებელი. მაგრამ მთავარი აქ სხვა რამ გახლდათ. ნეტა მიექციათ თუ არა ამისათვის ყურადღება? დიახ, ერთი ეჯიბრებოდა მეორეს, — მაგრამ ამ ჭიდილში თვითეული თავის თავს უფრო ეჯიბრებოდა. სურდა „მეტი და მეტი“.

ზღვარს ვერ პოულობდა, რათა შეჩერებულიყო. ერთვოდა და ერთვოდა უსაზღვროს. ამავდროულად ამ „შერთვაში“ „მოზომილი და მოქნეული“ ერთი და იგივე გახლდათ. უზღვაროს ოსტატი ზღვარში ავლენდა, უზომოს ზომით სალტავდა. ამაზე შორს ოსტატობა — საერთოდ ხელოვნება — ვეღარ წავიდოდა. მთელი ბალეტი, პირველი როკვიდან უკანასკნელამდე, ამ საოცარი ოსტატობით გამართულიყო.

და თვითეულ ცეკვას ჩაუკვირდებოდა საგანგებოდ და შეეცდებოდა მათი იდუმალება და თავისებურება რამდენადმე ამოეცნო და გაეთვალსაჩინოებინა მკითხველისთვისაც — მათი განზოგადებული შინაარსი, როკვიდან ამოზრდილი, ოღონდ როკვის სამანებს შორს გადაცილებული, ეროვნული ხასიათისა და ესთეტიკური სულისთქმის ნიშნები ხელშესახებად რომ ცნაურდებოდა.

„მხედრული“ სხვა რა იყო, თუ არა: დიონისური ზღვარგადალახვა, რომლის მსგავსიც იქაც არ მოლანდებოდათ, სადაც დიონისე წარმოშობილიყო: თრაკიაში. ყივილი, ხივილი, ყიჟინა, ჩახაჩუხი ხმალთა და ტკრციალი ნაპერწკალთა ნამდვილ გრიგალად რომ გარდაიქმნებოდა — თავმოშვებულად, მაგრამ ეს გრიგალი გახელებულ რიტმებს უნდა დაეურვებინათ. ზათქი და ზანზარი, შეხლა და შეხეთქება არ აღიქმებოდა ბრძოლად, არამედ შეჯიბრად მორკინალთა. მოჯიბრენი თითქოს დამხვდურები იყვნენ, რომელნიც, თუკი მტერი თავს დაესხმოდათ, შეტევაზე გადავიდოდნენ — მომხვდურთ მიწასთან გაასწორებდნენ.

და ინატრებდა:

ნეტა ეს როკვა ენახათ: ალექსანდრე მაკედონელს, მეფე ერეკლესა და გიორგი სააკაძეს. რა იქნებოდაო!

„ხანჯლურს“, იგივე მთიულურს, ასეთ სახელს შეურჩევდა: „მზეშრი". რადგანაც მზის ახალისება იგრძნობოდა კაცის ტანში ნამდვილი, და მოცეკვავენიც მზისფერ: მეწამულ ჩოხებში გამოწყობილიყვნენ.

ბუნებას არ მიენიჭებინა გრიგოლ რობაქიძისათვის ნიჭი ცეკვისა?

სამაგიეროდ — მონიჭებოდა გზნება რიტმული დენისა: ნადირული პირდაპირ.

მრავალმხრივ დამაფიქვრელი და გასათვალისწინებელი თვითშეფასებაა, მის სტილურ მანერაზე მსჯელობისას გზამკვლევადაც რომ უნდა გვეგულებოდეს.

გზნება რიტმული დენისა.

ნადირული პირდაპირ.

და ამ შინაგანი კონსტიტუციის კაცს როგორ გამორჩებოდა მზის ტანში-ახალისება „ხანჯლურის" მორღვეულ რიტმებში.

ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებს წერდა, ჟრუანტელი უვლიდა სხეულში, მზის ახალისება რომ გადმოსდებოდა.

რიტმი იმატებდა, იმატებდა, იმატებდა და... მოცეკვავეებს ერთი მოსხლეტით უნდა შეეწყვიტათ როკვა, ერთბაშად დაეოკებინათ მათში ატეხილი მზე, რათა კიდევ უფრო ამზეურებულნი ერთიმეორეს ძმურად შერთვოდნენ... მერე კი თითქოს უფსკრულს გადაევლებოდნენ ვითარ ნადირ-ღმერთები.

და ინატრებდა:

ნეტა ეს როკვა ენახათ: შამილს, სანდრო ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველასო! ნეტა ენახა ილო მოსაშვილსაც, რომელსაც ის სწორუპოვარი გადაძახილ-შურდული ეკუთვნის: უფსკრულებისკენ გაფრენილი უზანგებიდანო!

რა მოხდებოდა, რომ ენახათ?

რა მოხდებოდა და:

ველარ მოითმენდნენ: სცენაზე აცვივდებოდნენ და მოცეკვავეებს შეუერთდებოდნენ.

„ბაღდადურის" სამშობლოდ ტფილისს მიიჩნევდა, ძველ ტფილისს, კინტოთა კასტას — მათი უმაგალითო ლხინით მტკვარზე მოშვებულ ტივებზე, არათუ სხვა მხარეში, საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეშიც წარმოუდგენელი რომ გახლდათ ასეთი რამ, ტფილისის ლხინად რომ აღიქმებოდა: სიმარდით, სისწრაფით, მოქნილობით, გულის სიუხვითა და ჰუმორით!..

და ინატრებდა:

ნეტა ეს როკვა ენახათ საიათნოვას, გრიგოლ ორბელიანსა და ნიკო ფიროსმანსო!

თუ აქამდე არ უნახავს, ნეტა ახლა მაინც ნახოს იოსებ გრიშაშვილმა, ძველი ტფილისის მეტრფემ, და კიდევ — ლადო გუდიაშვილმაო, თვითონაც შესანიშნავად რომ ცეკვავდა „ბაღდადურს“.

„შეჯიბრისას“ მთელი დასი ეფინებოდა სცენას და ჰფენდა საქართველოს მზეს. ესეც გვირგვინი მთელი ბალეტის, საქართველოს ნამდვილ აპოთეოზად რომ აღიქმებოდა თვალისმომჭრელი ლივლივით, ერთიმეორეს რომ ენაცვლებოდნენ და თვითეულის თავისებურება ხალას შედევრად წარმოდგებოდა.

როდესაც ამ ცეკვას შეჰყურებდა, მაყურებელთა შორის, განზე, ნათელმფენი თამარი ელანდებოდა, გულისფეთქვა ყოველი ქართველისა: და: მის გვერდით: მეფე დავით: აღმაშენებელი, მძლეთამძლე და კლდე. და მისი წარმოთქმისას აღტკინდებოდა: რა სიტყვააო!

ხოლო თუ როგორ ელანდებოდნენ, დაე მკითხველს წარმოედგინა.

რომ ეკითხათ გრიგოლისათვის, რომელ თხზულებაში გრძნობ უფრო ქართველობასო?

იტყოდა:

გიორგი მერჩულეს აღწერა-გადმოშლაში გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისაო.

„უფრო“ იმიტომ, რომ აქ ჰაეროვნულად იფინებოდა ზემიწიერი ქართულ მიწაზე.

რომ ეკითხათ, თვითონ მიწას, ქართულ მიწას რომელ ნაქმში უფრო განიცდიო?

დაასახელებდა:

ვაჟა-ფშაველას შაირს „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ და, ნუ გაიკვირვებდა მკითხველი, უიარაღოს მოთხრობის — „მამელუკი“ — ბოლო სცენას.

თვითცხადებაში სიტყვა ყველაფერს რომ აღემატებოდა, იოანეს სახარებაც მოწმობდა: პირველითგან იყო სიტყვაო...

მაგრამ ერთი განზომვით სიტყვას როკვა უსწრებდა წინ — ვინაიდან მთელი ადამიანი აღენთებოდა: თმის ძირებიდან ფრჩხილების ნუნებამდე. და გასაგები გახლდათ, ძველ დროში

უზენაესის მიმართ აღტკინებულთ სიტყვა რომ აღარ ჰყოფნიდათ, როკვაზე რატომაც გადადიოდნენ.

შეჰყურებდა როკვას ჩვენი ქალებისა, ჩვენი ვაჟებისა, ერთვოდა მათ შინაგანი როკვით, ერთვოდა ისე, რომ შიგადაშიგ გრიგოლ რობაქიძეც აღარ იყო, გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ ქართველი, ზოგადქართველი — ოღონდ არა განყენებით, არამედ ნამდვილი: ცოცხალი.

ეს როგორ უნდა აგვეხსნა?

პლატონის გზით გაიგებთო, — გვირჩევდა.

იმ წუთას კი რას განიცდიდა?

ფესვეულ თაურს ქართველობისა: ხალისს ყოფის მიმართ.

ვითომც რა მომხდარიყო ამისთანა — განა ვის არ ეხალისება ყოფა?

გრიგოლი განსაკუთრებულ ხალისზე მიგვანიშნებდა: ხომ შეიძლებოდა სრულიად არ მოვლენილიყო ამსოფლად ᲐᲠᲐᲛᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ! და თუ „იყო“, იყო საჩუქარი გამჩენისაგან თავისი თავის მიმართ! ახსენდებოდა ეს უღრმესი თქმა პინდარესი, კლემენს ალექსანდრიელის მიერ შემონახული.

და ირწმუნებოდა გრიგოლ რობაქიძე:

ქართველს სწორედ ეს ახარებს, რომ: ᲐᲠᲘᲡ, არის საერთოდო.

ეს სიხარული ჩვენში ისე გამჯდარიყო, რომ ხშირად ყვავილსა თუ საერთოდ მცენარეზე ნაცვლად იმისა გვეთქვა: იზრდებაო, — ვამბობდით: ხარობსო. თანაც: სიხარული ჩვენი არ იზღუდებოდა „შენ“-ით. პირიქით: მცხადებელი „შენ“-ისა „შენ“-ში მჟღავნდებოდა.

და ორფეოსიც საქართველოში ყოველდღე იბადებოდა!..

ეს ყოველივე არსად ისე არა ცხადდებოდა, როგორც ქართულ ᲜᲐᲓᲘᲛᲖᲔ, რომელიც „ქეიფი“ კი არ გახლდათ, არამედ „კულტი“ ნამდვილი.

ყოველ ადამიანს — თუგინდ კუზიანიც იყოს და არამარტო ფიზიკურად — ხომ მოეპოვება ისეთი რამ, რაც მარტო მას აქვს: „ერთხელური“, ფასეული, ღირსეული. და ქართულ სუფრაზე ამ „რამეს“ ვინმე ოსტატურად ამზეურებდა: და: კუზიანიც, გახარებული, მხრებში იმართებოდა.

და გრიგოლი მოჭრიდა ერთი სიტყვით:

ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔ-ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲔ: აი ფესვეული თაური ქართველობისაო.

ვისაც ეს უნარი არ გააჩნდა?

იგი ქართველთათვის გახლდათ — ერთი სიტყვით რომ მოგვეკვეთა — ᲣᲒᲐᲓᲝ.

კიდევ უფრო ხარობდა ქართველი, როდესაც „შენ“ უცხოელი გახლდათ. შემთხვევით კი არ გამომდინარეობდა „საუცხოო“ „უცხოსაგან“!.. ამას გამოეწვია ჩვენი ფანტასტიკური სტუმარ-მოყვარეობა. და დიახაც, ხალისის ყოფისადმი ქართველთა რჩებოდა ჭეშმარიტად: როგორც „გენიუს ლოცი“ (ადგილის დედა) თავიანთი მიწისა.

გაუგრძელდებოდა ისტორიულ-ფსიქოლოგიური ექსკურსი?

სამაგიეროდ უფრო კანთიელად გამოიკვეთებოდა მისი შეფასება:

ქართული ბალეტი სწორუპოვარი დითირამბია ყოფის მიმართ, დიახაც: როკვებით განფენილი ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔ-ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲔᲝ!

და ასეთი სიხარული, ასეთი ლხენა — საუკუნეებში ტანჯული საქართველოს წიაღიდან!

არ გახლდათ ეს საკვირველი?

საკვირველი და მერე როგორ!..

სადღაც უკვე ეთქვა, მაგრამ კვლავინდებურად როგორ არ გაემეორებინა ამხელა განცდებითა და შთაბეჭდილებებით აღვსილს:

ყოველი წვეთი სისხლისა, საქართველოს დედულ-მამული-სათვის დანთხეული, მზის სხივად ესხმოდა ქართულ მიწას.

და ახლა ეს ლიტერატურული ფორმულა კიდევ უფრო გაელრმავებინა და მეტაფორად ჩამოენაკვთა:

საქართველო — დაჭრილი მზე.

ბახოფენის მოწმობით: აკი არსებობდა მითოსურ წარმოდგენებში „ვნებული მზე“.

დაე „დაჭრილი მზეც“ მის ფარდად მიგვეჩნია და ჩვენს მიწა-წყალზე განგვეზოგადებინა, მის სიმბოლოდ დაგვემკვიდრებინა.

დაჭრილი მზე — მაგრამ ხომ მაინც მზე!..

აქედან მომდინარეობდა: მისი ხალისი, ხალისი მაინც: და ასე: უფრო ძალაყრილი.

და ძალდაუტანებლად რომ წამოაგონდებოდა ფრიდრიხ ნიცშეს სიტყვები:

— რაც ვერა მძლევს, მხდის უფრო ძლიერს.

საქართველოს მიუსადაგებდა: მასზეა სწორედ ზედგამოჭრილიო!..

და ფინალური აკორდი ამ მღელვარე ფიქრთადენისა სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა:

ვაშა, როკვის ჯადოქარნო: ქალებო და ვაჟებო! ვაშა! ვაშაო!..

თვითონ არ დაჰყოლოდა ცეკვის მადლი?

ჰეე, სამაგიეროდ მინიჭებოდა ისეთი გზნება რიტმული დენისა, ნადირულს რომ იტყვიან. და ამ რიტმული გზნებით უნდა ამოეცნო სწორედ დიონისური სული ქართულ ცეკვაში, თრაკიელებს რომ არც მოელანდებოდათ. და ამ რიტმული გზნებითვე უნდა შეეგრძნო და თვალდათვალაც ეხილა, როგორ ავარდებოდნენ სცენაზე: იმამ შამილი, ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა...

* * *

1962 წლის 2 ოქტომბრით დათარიღებულ ბარათში გრიგოლი ლიდას, თავის დას, ამცნობდა, რომ: „ქართული გენია როკვით განფენილი“ უკვე დაბეჭდილიც იქნებოდა ახლა, ცალკე გამოცემად, პარიზში. აქვე დაურიგდებოდათ ჩვენს მოცეკვავეებს. ლიდასაც გამოუგზავნიდა.

ვახტანგ ჭაბუკიანის ცეკვა გრიგოლს არ ენახა. დაიჯერებდა, რასაც ლიდა მისწერდა მასზე. ერთი რამ ავიწყდებოდა ქალს მხოლოდ: ჭაბუკიანი — რამდენადაც გრიგოლს მოეხსენებოდა ჟურნალ-გაზეთებიდან — კლასიკურ ბალეტს ეკუთვნოდა. „ოტელოს“ სხვაც იცეკვებდა — არაქართველი, და არანაკლები ოსტატობითაც. ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ბალეტი კი სხვა გახლდათ: ბალეტი ჯიშის, ქართული ჯიშის. არაქართველი ვერ იცეკვებდა ისე, როგორც ამ ბალეტში ცეკვავდნენ.

17 ოქტომბერს კალე სალიასაგან მოუვიდოდა ბარათი, ლუვენიდან დაბრუნებულს მისი ეს სტატია რომ დახვდებოდა ქართველ მოცეკვავეებზე. ბრიუსელშიც ყოფილიყო ერთი საღამო და ენახა ჩვენი ბალეტი — უდიდეს მოწონებას რომ დაიმსახურებდა. მოუთმენლად მოელოდნენ გრიგოლის წერილის გამოქვეყნებას. კალე სათაურს რომ ამცნობდათ: „ქართული გენია როკვით განფენილიო“, — აღტაცდებოდნენ:

— მარტო ეს რად ღირს!

თუმც ნინო და კალე საშინლად დატვირთულიყვნენ მუშაობით — „ბედი ქართლისა“ ათ დღეში უნდა გამოსულიყო, გადაწყვეტდნენ: იმდენად მნიშვნელოვანია გრიგოლის წერილი, სასწრაფოდ დავბეჭდოთ და, ვიდრე მოცეკვავეთა დასი წავიდოდეს, ყველას დავურიგოთო.

ხვალ თვითონვე მივიდოდა კალე ვიკტორ ნოზაძესთან და ააწყობინებდა. შეთანხმებით უკვე შეთანხმებოდა. დაიბეჭდებოდა როგორც ქართული დამატება „ბედი ქართლისას“ ფრანგული გამოცემისა.

მაგრამ... აქ უნდა დაეჯერებინა გრიგოლს სალიებისათვის და დავა არ დაეწყო, რადგანაც მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რა სჯობდა და რა არა განსაკუთრებულ პირობებში. და თავმომწონედ დასძენდა კალე: ასე რომ არ იყოს, ასეთ დიდ ჟურნალს ვერ შევქმნიდითო.

შელევით უნდა შელეოდა ცალკეულ ადგილებს.

მოთავებით უნდა მოთავებულიყო მხოლოდ ასე: „ვაშა, როკვის ჯადოქარნო: ქალებო და ვაჟებო! ვაშა! ვაშა!“ — სხვა საჭირო აღარ იყო არავითარ შემთხვევაში — ეს შედევრი შეილახებოდა.

არაფერ შუაში იყვნენ ისინი, ვინც მათ ზედამხედველობდნენ — ისინი იცვლებოდნენ ყოველი წამოსვლისას — და მათ ქებას „ბედი ქართლისა“ ვერ დაბეჭდავდა და არც გრიგოლს ურჩევდა.

ის სიტყვა: „მაინც“ — სჯობდა შეეცვალა.

საშიში იყო „სომეხისა და ქართველის გამოცნობა“ — ყოველ შემთხვევაში უნდა მორიდებოდა დაწერას: ილიკო სუხიშვილმა დამიდასტურაო. „ღიმილით გაიბადრაო“ — შეეძლო დაეტოვე-

ბინა, თუკი ასე ძალიან სურდა.

— რასაც ზეპირად გვეუბნებიან, იმისი დაწერა არ შეიძლება, — ურჩევდა კალე, — გადაირევა ამაზე სუხიშვილი და პასუხსაც მოსთხოვენ.

უსათუოდ იტყოდა გრიგოლზე მწარე გულისტკივილით: ეს როგორ დამაღალატაო!..

„ქალთა კადრი დასში“ — ამას კი ნინო სთხოვდა კატეგორიულად: ეს მაჩუქეო, — და კალეც ეთანხმებოდა მეუღლეს. სთხოვდა ამოეღო: „ქორფა. მოვანებული, ბელეშური თუ გოლეული? ორივე. მაცდური? უიმისოდ ქალი რა ქალია! მაცდური — თითქოს უნებურ ცეცხლი! ჯერ არ გაღვივებული, მიმალული: რომელიც გაღვიძებას ვაჟისაგან ელის“.

ეწყინებათო, — ირწმუნებოდა ნინო, — ასეთ შინაარსთან არ ივარგებს ესო.

როგორც ქალს, უფრო გაეგებაო, — უბეჯითებდა კალეც.

ეს ხომ სრულიად უმნიშვნელო ცვლილებები იყო, არადა სხვანაირად კალეს დაბეჭდვა არ შეეძლო. და ბარათს ამ თხოვნა-მოთხოვნით დაასრულებდა:

— არც მაქვს უფლება ასეთი შედევრი, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შენ გგონია — გავაფუჭო. ამიტომ ამ ადგილების ამოღებას დაბეჯითებით გთხოვ. უსათუოდ გააფუჭებს, თუ დავტოვეთ. დავის თავი არა მაქვს — გთხოვ დეპეშით შემატყობინო თუ არ გვეთანხმები, რომ არ დავიწყო ბეჭდვა.

დავის თავი არა მაქვსო...

მძიმედ დამახსოვრებოდა წლების წინანდელი უსიამოვნება, ელენა ფიალკინას იმ ნოველის — „გადია“ — გამოუქვეყნებლობას რომ მოჰყვებოდა და, მიხეილ წერეთლის ჩარევა რომ არა, უეჭველად დაჰკარგავდა — და სამუდამოდაც — გრიგოლ რობაქიძეს, როგორც ავტორს.

ამჯერად შეთანხმდებოდნენ.

გრიგოლი ყველა შენიშვნას გაითვალისწინებდა. არცთუ ხალისით, მაგრამ ისე მონდომებულიყო დროულად გამოქვეყნებას, რათა დასის წევრებს ხელთ ჰქონოდათ პუბლიკაცია და საქართველოშიც ჩამოეტანათ, ყველაფერზე დათანხმდებოდა.

მითუმეტეს აქ არაფერი ყოფილა ისეთი, რაც შედევრის ქსოვილს დააზიანებდა.

* * *

12 ოქტომბრის წერილს გიტა ასე მოაწერდა ხელს: შენი წყაროო.

და ჰოი რა სიხარული დაეუფლებოდა გრიგოლს: სწორედ „წყაროში" ვარ შეყვარებულიო.

და ამ სიხარულით დაიწყებდა 15 ოქტომბრის ბარათს და... ლინგვისტურ ძიებებშიც ჩაეფლობოდა:

გერმანული იტყვა „წყარო!" იერარქიული ფონეტიკის მიხედვით ყველაზე საუკეთესოა სხვა ენების შესაბამის სიტყვებს შორის. მას ალბათ ქართული ენგადი თუ შეეჯიბრებაო.

და მთავარი — გიტას წერილიდან შეეტყო, რომ: წყარო და ქალი ებრაულად სინონიმები ყოფილიყო! და ახლა გრიგოლის სიხარული მთლად უსაზღვრო შეიქნებოდა. აბა მაშ როგორ: გიტა მისთვის გახლდათ სწორედაც რომ: წყაროც: და ქალიც.

რას იწერებოდა ქალი?

— აღტაცებული ვარ შენი ოპტიმიზმით: არ ფიქრობ ჩვენს რისკზე?

რატომ არ უნდა ყოფილიყო გრიგოლი „ოპტიმისტი", როდესაც გიტასნაირ „წყაროს" ფლობდა?! მხოლოდ ერთი რამ აღელვებდა ცოტაოდნავ — ძალიან ხნიერი იყო ქალისათვის. შესაძლოა ამის გამო გიტაში ქალურობა დაჩაგრულიყო. მაგრამ. სიყვარულის „ძებნისას" გიტა უძველეს დროში შეხვედროდა — გრიგოლს კი სამუდამოდ ეპოვნა თავი მისი სიყვარულში. ასე რომ, მათი სიყვარული უფრო ზებუნებრივიდან წარმოშობილიყო, ვიდრე ბუნებრივიდან. ზებუნებრივში კი ასაკობრივ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ეს აიმედებდა გრიგოლს. და უშიშრად გაჰყურებდა მომავალს. ძალიან შორსა და შორს რომ მიადევნებდა მზერას.

სხვა დანარჩენს კი იმ უხილავ მისტიკურ რაღაცას მიანდობდა, რომელსაც ისინი წინასწარვე მიეკუთვნებინა ერთმანეთისათვის. ისვე იზრუნებდა ამათთვის.

და გიტა? თუ ეფიქრა მათ რისკზე? და თუკი ეფიქრა, ბარემ ეამბნა ამის შესახებ!

კიდევ რას იწერებოდა?

— რატომ უნდა მეცინა შენს შეკითხვაზე?

მოუწონებდა გრიგოლი: კარგია, ძალიან კარგია შენი შეკითხვაო! მხოლოდ სურდა ქალს, რომ ამაზე უფრო დიდხანს ეფიქრა. და მაშ მერე შეეტყობინებინა გრიგოლისათვის.

ესე იგი, უფრო ადრე ვერ ჩამოდიოდა! მაგრამ გრიგოლის დაბადების დღისათვის ხომ ნამდვილად ჩამოვიდოდა! ამ დღეს იზეიმებდნენ თავიანთ ახალ კავშირს.

ესე იგი, ქალი თავის საყვარელ მუსას ვერ ჩამოიყვანდა! რა ძნელი იქნებოდა გიტასათვის მასთან დაშორება! ვინ იზრუნებდა მასზე ვენაში?

პაუელსისა და ბერჟიეს წიგნის შესახებ — შემდგომ.

ჩემო მოჩუხჩუხე „წყაროვო"! — შესციცინებდა, — ვერა გრძნობ, რარიგ მენატრები, რარიგ გელოდები?! შენ: ჩემო სიცოცხლის წყაროვო!

18 ოქტომბერს შეატყობინებდა, რომ გიტას მშობლებისათვის განკუთვნილი ბარათი უკვე გაემზადებინა. როგორ ჟღერდა?

პატივცემულ გრაფინია და გრაფ ფარალდ შტრახვიტცებს მიმართავდა ამ აღსარებით:

ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს: გიტას და მე. ჩვენი სიყვარული ისე განუზომლად ღრმაა, ვერავითარი მიწიერი ძალა ვერ შეარყევსო. თვით სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს, რადგანაც: სამუდამოდ ვარ მისტიკურად დაქორწინებულნიო.

მისტიკურად დაქორწინებული ნიშნავდა და ასე და მხოლოდ ასე თუ აიხსნებოდა, რომ: არცთუ იშვიათად თავს და-ძმასავით გრძნობდნენ.

აღიარებდა, რომ ნებისმიერი მესამე ადამიანი — რაკიღა გიტასთან შედარებით ძალზე ხნიერი გახლდათ — მათ სიყვარულს არაბუნებრივად მიიჩნევდა. მაგრამ. გიტას სიზმრის თანახმად: გრიგოლი მას, როგორც სიყვარულს, უძველეს დროში შეხვედროდა — გრიგოლს კი თავი სამუდამოდ ეპოვნა მის სიყვარულ-

ში. ასე რომ, მათი სიყვარული უფრო ზეგრძნობადზე დაფუძნებულიყო, ვიდრე გრძნობადზე. აქ კი, ამ განზომილებაში, ასაკობრივ განსხვავებას განა რა ხელი შეიძლება ჰქონოდა.

ახლა გადაეწყვიტათ: თავიანთი სიყვარული ქორწინებით დაეკანონებინათ. იცოდა გრიგოლმა, გიტას მშობლებისათვის ფსიქოლოგიურად ძნელი იქნებოდა ეს გადაწყვეტილება მოეწონებინათ, და ვერც გაბედავდა ეთხოვა. ერთს კი მაინც მოელოდა მათგან: რომ საკუთარ გულში ამათი ქორწინება არ „შეეჩვენებინათ". დიახ, გრიგოლი იმედოვნებდა ამას, განსაკუთრებით გიტას გამო.

გიტა ისედაც გენიალური არსება რომ გახლდათ, გრიგოლისათვის კიდევ უფრო მეტიც: საოცარი საჩუქარი. გრიგოლის გული გადაშლილიყო თავისებურ გრაალის თასად, რომელშიაც გიტა ყოველთვის ჰპოვებდა სიკეთესა და მფარველობას. ეს გრიგოლის პატიოსანი სიტყვა გახლდათ. ეს გახლდათ მისი რაინდული ფიცი!

როგორ მოიწონებდა გიტა ამ ტექსტს? თუ რაიმე იყო შესასწორებელი — შეეტყობინებინა.

ზეგ ამ ქორწინების შესახებ გრიგოლი თავის ქალიშვილს აცნობებდა. როგორც უკვე მიეწერა გიტასათვის: ალია პოგორელოვა ფსიქოლოგიურად ალბათ მათი კავშირის წინააღმდეგი იქნებოდა — მაგრამ: იგი ძალზე ჭკვიანი გახლდათ და ყველაფერს გაიგებდა. საერთოდ კი: გრიგოლი აქ სულ მცირედითაც არავისზე იყო დამოკიდებული.

19 ოქტომბრის ბარათს თითქოსდა ისეთი ანთებული დაიწყებდა:

შენ მე, როგორც საყვარელი, „ზებუნებრივში" უძველეს ჟამს ერთხელ ისე განმიცადე, ღრმად ვიყავი დარწმუნებული: „ზებუნებრივი" შენში „ბუნებრივს" დაძლევდაო.

მაგრამ...

17 ოქტომბრის წერილის მერე ეს ისე აღარ სჯეროდა, რაკიღა ქალი ამბობდა:

— ჩემი სადარდებელია: ვაითუ ერთ დღეს „ბუნებრივი" უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე „ზებუნებრივი"?

ასეთ შემთხვევაში გიტას შეეძლო ჩამოშორებოდა კიდეც. ამიტომაც ამაზე ნუღა იფიქრებდა. გიტა გრიგოლისაგან ჩამოშორებული იქნებოდა „ბუნებრივში", ოღონდ არასოდეს — „ზებუნებრივში". იქ მათ თვით სიკვდილიც ვერ დააშორებდათ. ცხადია ძალიან დაიტანჯებოდა, მაგრამ სანატრელი ქალის გულისათვის რას აღარ გადაიტანდა.

გარდა ამისა: გრიგოლის წლები დათვლილიყო. მისი გარდაცვალების შემდგომ გიტა, ჯერაც ახალგაზრდა ქალი, „ბუნებრივში" თავისუფალი იქნებოდა.

კიდევ რას იწერებოდა გიტა?

— მშვენიერებაში ცხოვრება, მშვენიერებით თავის გარემოცვა ჩემთვის უდიდესი მოთხოვნილებაა.

რარიგ წუხდა გრიგოლი, რომ არ გააჩნდა შესაძლებლობა ეს „მშვენიერების ჩარჩო" შეექმნა ქალისათვის! იმას კი მოეხსენებოდა კაცის მდგომარეობა.

ესეც გრიგოლის გულითადი პასუხი. სავსებით უერთდებოდა გიტას სიტყვებს:

— მივანდოთ ეს მომავალ, კვლავ ურთიერთის პოვნას!

აღსავსე გახლდათ რწმენით.

ქალს პასპორტი უნდა წამოეღო და ამასთან ეკითხა მმაჩის ბიუროში: ქორწინებისათვის კიდევ რაიმე ქაღალდი ხომ არ იყო საჭირო.

პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა:

„დიონისო" რომ შემარქვი. ხომ არ გაგახსენო, რომ „დიონისო" წამებული ღმერთი იყოო?!

23 ოქტომბრის ბარათით შეატყობინებდა:

საღამოს 9 საათზე როგორ განეცადა გიტას მონატრების უეცარი, საშინელი შეტევა.

ტელეფონის ზარი. მისი თანამემამულე თავადი ჩხოტუა, ლოზანადან:

— საერთაშორისო მდგომარეობა: კატასტროფული.

ქალის მონატრება უფსკრულივით გაღრმავდებოდა, და: ალბათ ვეღარასოდეს ვნახავ ჩემს გიტასო, — ელვასავით გაუელვებდა აზრი სხეულის ყოველ ნაკვთში.

გიჟივით დაურეკავდა.

ტელეფონთან მივიდოდა გიტას დედა (და ჩაურთავდა: ლამაზი ხმა. მელაპარაკება სიყვარულით. მადლობა მასო!) და ამცნობდა: გიტა შინ არ არისო.

გრიგოლი მისცემდა თავისი ტელეფონის ნომერს.

სიცხე მაღლა აუვარდებოდა. ცეცხლმოკიდებულივით ელოდებოდა მის ზარს. გულისცემად გადაიქცეოდა მთელი არსებით.

გავიდოდა ერთი საათი. ტელეფონის ზარი. მოესმოდა გიტას ხმა. ასერიგად საყვარელი. ეს რაღაცის ლუღლუღს დაიწყებდა. ის დააწყნარებდა. და მერე ჰკითხავდა გრიგოლი:

— ჩამოხვალ ჩემი დაბადების დღეს?

და ის:

— იძულებული ვარ შენთან ჩამოსვლა კიდევ ერთხელ გადავდო.

ტკივილი. ტკივილი. ტკივილი.

— 10 ნოემბრამდე ხომ ჩამოვალ?

— ჰო!

— ნამდვილად?

— მე მგონი.

დამშვიდდებოდა კაცი. მაგრამ... მაგრამ: გული რატომ უცემდა ასე მოუსვენრად?!

მასში მყოფი დემონი — ოღონდ „დემონი“ ანტიკური გაგებით — ეტყოდა:

— გრიგოლ, ხომ ხარ ადაადამიანურად ძლიერი?!

როგორ არა — მაგრამ... გული?

იცოდა ქალმა, როგორც უყვარდა გრიგოლს. ერთი რამ კი არ უწყოდა: უყვარდა უფრო მეტად გიტასათვის, ვიდრე თავისთვის: ნიუანსი თავისთავად მეტყველებდა, ზედმეტი ახსნა-განმარტებებისათვის რომ აღარც დამშვრალიყო.

26 ოქტომბრის ბარათით, რომელიც პუნქტობრივად დაინომრებოდა, გაიზიარებდა ქალის სიხარულს: ეტყობა კარგი შეკვეთა რომ მიეღო. სურდა ჟენევაში „რაღაც კაპიტალით“ ჩამოსულიყო? ამ მიზეზით უფრო ადრე ვერ ჩამოვიდოდა: ყველაფერი სავსებით, ულაპარაკოდ ესმოდა გრიგოლს.

ეს პირველი მუხლი.

უგზავნიდა ბარათს მშობლებისათვის გადასაცემად. თუ მიიჩნევდა, ტექსტი კიდევ შესასწორებელიაო, კონკრეტული შენიშვნებით დაე უკანვე გადმოეგზავნა. უფრო მარტივად — ანუ ყოველგვარი „მისტიკის“ გარეშე — ვერ შეძლებდა დაეწერა.

ესეც მეორე.

რას ამბობდა ქალი?

— ხანდახან ვფიქრობ, რომ შენ ალბათ კარგად არა გაქვს შეგნებული, რას ნიშნავს ჩემთვის გადაწყვეტილება — შევაერთოთ ჩემი და შენი ცხოვრება.

გრიგოლს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: სავსებით კარგად ესმოდა. დაწვრილებით ამის თაობაზე — ზეგ სჯობდა. გარდა ამისა. დაეწყო თავიანთი სიყვარულის მოკლე ბიოგრაფიის წერა. იქ ყველაფერი ნათლად იქნებოდა გამოხატული.

ესეც მესამე.

უკვე ეცნობებინა თავიანთი ქორწინების შესახებ ალიასათვის. დღეს მოსვლოდა პასუხი, ამჯერად გერმანულად რომ მოეწერა შვილობილს. უკიდურეს გაკვირვებას ვერა ფარავდა. მისი აზრი რა იყო და: ეჩვენებოდა, რომ ესენი, გიტა და გრიგოლი, ერთმანეთს ახლოს არ იცნობდნენ. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ ამ სიყვარულის ისტორიას გრიგოლი მას დაწვრილებით აღუწერდა. იგი მიიჩნევდა, რომ: ამათი გადაწყვეტილება საკმაოდ სახიფათო გახლდათ. ისე კი ლოცავდა მას — ამ გადაწყვეტილებას. და როგორც იწერებოდა:

— სავერიო და მე აქედან გისურვებთ ყოველივე კარგს შენი გადაწყვეტილებისათვის და გულით ვიმედოვნებთ, რომ ის მოგიტანს ყველაფერს, რასაც მოელი.

გულს მოეფონებოდა ეს სიტყვები გრიგოლს.

ესეც მეოთხე.

ყოველივეს მოუყვებოდა თავისი ქალიშვილის მეგობარს — ძალზე გონიერ ახალგაზრდა ქალს, გათხოვილს ესპანელზე, თვითონ რუსს (და დასძენდა: ჩემი ქალიშვილიც, თუ გახსოვს, რუსია: ნაშვილები, ჩემი გარდაცვლილი მეუღლის დისშვილიო). იგი აღტაცებული დარჩებოდა გიტათი, გრიგოლი ისე წარუდ-

გენდა თავისი მომავალი მეუღლის პიროვნებას; და გაახარებდა გრიგოლის ამბავი.

ესეც მეხუთე.

დაწვრილებით ყველაფრის მოყოლას პირისპირ შეხვედრისათვის გადადებდა.

გასაგებია, რატომაც დაინომრებოდა ბარათი პუნქტობრივად — უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება თავისთავად მოსთხოვდა ყველაფრის გულდასმით ჩამოყალიბებასა და გათვალისწინებას.

თითქოსდა სამოქმედო პროგრამას ადგენსო.

და... რატომაც არა?!.

28 ოქტომბრის ბარათს კი... ეპიგრაფი წაემძღვარებოდა, უჩვეულო მოვლენა ეპისტოლური ჟანრისათვის. ეპიგრაფად შეარჩევდა დანტე ალიგიერის სიტყვებს „ღვთაებრივი კომედიიდან", იტალიურადვე რომ წააწერდა, ქართულად კი ეს სტრიქონები — კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ გაწყობილნი — ასე ხმიანებდა: რომ სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცთომილებსო.

ახლა თავისი დაბადების დღეს ზეიმობდა.

აკლდა გიტა. მაგრამ პნევმატიკურად ხომ ყოველთვის მაინც მის გვერდით იმყოფებოდა. განსაკუთრებით ამ წუთას. და აღმოხდებოდა: გგრძნობ სუნთქვასავით ახლოს, ჩემო საყვარელოო.

ცოტა ხნის წინათ სწერდა, რომ: მათი სიყვარული უფრო ზეგრძნობად ბუნებას დაფუძნებოდა, ვიდრე გრძნობადს — აქ კი ასაკობრივ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ქალს ეპასუხა:

— შენდამი ჩემი სიყვარული მეტ ბუნებრიობას მოითხოვს, ვიდრე შენი ჩემდამი.

მიზეზი საშიშროებაში იდო:

— ვაითუ ერთ დღეს „ბუნებრივი" (ჩემში) უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე „ზებუნებრივი"?

უსაზღვროდ დახვეწილად, ამასთან უაღრესად ზუსტად გახლდათ ნათქვამი!

მაგრამ მეორე მხრივ:

იმისათვის, რათა ერთ დღეს „ბუნებრივს“ გიტას არსებაში უფრო ძლიერ არ ეჩინა თავი, ვიდრე „ზებუნებრივს“, გრიგოლის სიყვარული გიტასადმი მოითხოვდა მეტ „ზებუნებრიობას“, ვიდრე გიტასი გრიგოლისადმი.

ეს ხომ დღესავით იყო ნათელი.

რას იწერებოდა ქალი?

— ღონემიხდილი ვიყავი ერთი საშინელი სიზმრის გამო. მესიზმრებოდა, რომ აღარ გინდოდა სიცოცხლე უჩემოდ.

„უჩემოდ“ გრიგოლს ასე ესმოდა: ემპირიულ პლანშიო.

ახსნით კი აუხსნიდა, რომ: ამჯერად სიზმარს შეცდომაში შეეყვანა ქალი — მხოლოდ ამჯერად. თუ ოდესმე გრიგოლს უიმისოდ (ემპირიულად) სიცოცხლე აღარ ენდომებოდა, ეს იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ „ზებუნებრივში“ განუყოფლად დაკავშირებულნი არ იქნებოდნენ.

ამასთან — უარყოფდა მოვალეობას, მთლიანად შეესრულებინა თავისი ამქვეყნიური მისია.

დაბოლოს: ხელი უნდა აეღო წმინდა განზრახვაზე, მიენდო უკანასკნელი ამოსუნთქვა მხოლოდ მისი შემქმნელისათვის.

გიტასთან დაშორებული „ბუნებრივში“ ნამდვილად უსაზღვროდ დაიტანჯებოდა, მაგრამ მისი გულისათვის რას აღარ გადაიტანდა. ახსოვდა მისი სიტყვები ქალს: შენთვის უფრო მიყვარხარ, ვიდრე ჩემთვისო?

მეორე მხრივ: „ბუნებრივში“ გრიგოლთან დაშორებული გიტა უსაზღვროდ დაიტანჯებოდა, უფრო მეტად, ვიდრე კაცი, რადგანაც გრიგოლთან ერთად „ზებუნებრივში“ განუყრელად ყოფნა და „ბუნებრივში“ კი სხვასთან ერთად ცხოვრება სრულიად გაანადგურებდა.

ესეც მათი სიყვარული — წმინდა სიმკაცრით პნევმატოლოგიურად დანახული.

რა უნდა ეღონათ?

მათი სიყვარული მაღლიდან მოდიოდა და იქიდანვე განსაზღვრულიყო. ეს ქალმა უკეთ იცოდა, ვიდრე კაცმა. სიტყვები გიტას წერილი — „ფიქრიდან“: ვგრძნობ ჩვენზე მფარველი ძალა მოქმედებსო, — ამას მიუთითებდა.

სრული სიცხადე გახლდათ — ამის მიუხედავად და ამიტომაც მათი სიყვარული მისტერია იყო: ქმედებად ქცეული საიდუმლო. როგორც ბოძებული მაღალი წყალობა, მათი სიყვარული ამავდროულად მაღალი ვალდებულებაც გახლდათ. ასე მოწადინებულიყო ორივე: შეესრულებინათ ეს დავალება (და ჩაურთავდა, ერთხელ რაც მიეწერა: ჩვენი სიყვარული პირადულზე მაღლა დგასო). შეძლებდნენ კი, ეს დავალება რომ შეესრულებინათ?

ფიქრობდა: შევძლებთო.

ნიცშეს სიტყვები: რაც ვერ მანადგურებს, მაძლიერებსო, — შეეძლოთ თავიანთ თავზეც ეთქვათ. ესენი ხომ ძლიერები იყვნენ, ძალ-ღონით სავსენი.

ერთს კი დასძენდა:

გიტასათვის, როგორც ქალისათვის, ამ დავალების შესრულება ისე ადვილი არ იქნებოდა, როგორც გრიგოლისათვის. ერთხელ აკი ეთქვა: გერმანული ენა გენიალურად წვდება „კაცისა“ და „ქალის“ ფენომენის არსს იმით, რომ: კაცს შემოსაზღვრულად აღიარებს, ქალს კი — უსაზღვროდ: იმას ტბად და ამას — ზღვადო.

გიტას არსებაში ქალურის, როგორც რაღაც ეშმაკურის, კვალიც არ შეინიშნებოდა.

განა გიტაში ზღვა არ იჩენდა თავს?

შეძლებდა დაეძლია ეს უსაზღვრო ქალურობა?

გრიგოლისათვის საოცარი საჩუქარი — ბრიგიტა ფონ შტრახვიტცი — თვითვე საოცრება გახლდათ. გრიგოლს სჯეროდა ამ საოცრებისა, ეს კი ნიშნავდა: სჯეროდა გიტას ძალების.

ჩაურთავდა, რომ: რწმენის ძალა არაჩვეულებრივი ბუნებისა ჰქონდა. მოწაფეობისას ორჯერ ცდილიყო მკვდარი გაეცოცხლებინა. მთელი დღეები მხოლოდ ლოცვად იქნებოდა ქცეული. ბუნებრივია არ გაუმართლებდა. მაგრამ გული არ გაუტყდებოდა. მხოლოდ თავს ეუბნებოდა: ძალები არ გეყოო.

ჰო, მე მჯერა შენი, გიტაო, — ჯერ საერთოდაც და სასწაულმოქმედად გაეძლიერებინა გრიგოლის რწმენა ქალის 25 ოქტომბრის წერილს, რომელშიაც მოციქულის სიტყვებს იმოწმებდა:

რომაელთა მიმართ: VIII 9, 14. ენით აუწერელი ბედნიერება გიტასა და გრიგოლისათვის — მათი სიყვარული — ამავე დროს გამოცდაც გახლდათ ქალისათვის. და გრიგოლი ამხნევებდა: შენ მას დაძლევო.

შეეძლო ზემოთქმულის მერე ქალს ეს დაეჭვება:

— ხანდახან ფიქრობ, მთლად კარგად არა გაქვს გააზრებული, რას ნიშნავს ჩემთვის გადაწყვეტილება, შევაერთო ჩემი ცხოვრება შენს ცხოვრებასთან.

დიახ, შეეძლო განა ეს დაეჭვება კიდევ გაემეორებინა?

ახლა კვლავ თავიანთ სიყვარულზე.

კაცი სანთლებს ანთებდა. ქალი იდგა მასთან ძალიან ახლოს. მხარი მხარს მიყრდნობილი. ლოცულობდნენ. კაცი უეცრად იგრძნობდა, როგორ უცახცახებდა ქალს მხრები. ნაზად აბრუნებდა თავისკენ და მის თვალებში ხედავდა ორ დიდ ცრემლს.

— დაიკო, ძვირფასო დაიკო, ალბათ ძნელია შენს საოცარ სიყვარულში ჩემთვის „წყარო" გახდე?

უეცრად მოეხვეოდა ქალი. კაცს ესმოდა მისთვის ასერიგად საყვარელი ხმა:

— შენ, შენ! დამშვიდდი! შენი ვარ: შენი და, შენი საყვარელი და ამიერიდან: შენი წყაროც!

ინტონაციაში „ამიერიდან" წარმოთქმისას კაცს ეჩვენებოდა, თითქოს ქალი თავს, როგორც „წყაროს", წმინდა მსხვერპლად სთავაზობდა. და: ნეტარებით გაოგნებული მუხლებზე ეცემოდა, რათა თაყვანისცემით მუხლებზე მოხვეოდა ქალს. და: სრული მეტანიის მდგომარეობაში იგრძნობდა თავს. მერე დგებოდა და ეხვეოდა. ქალიც მოეხვეოდა. კაცის გული ერთვოდა ქალისას. ქალის გული ერთვოდა კაცისას. ორივ გადიქცეოდა ერთ გულისძგერად.

და ესეც ბარათის ფინალური აკორდი:

— ჩვენ განუყოფელნი ვართ, ჩვენი ქორწინების აქტი შესრულებულია. ამინ!

ჩვენი ქორწინების აქტი შესრულებულიაო...

წარმოსახვას, ხილვას რეალობად განიცდიდა, გაცილებით უფრო დამაჯერებელ რეალობად, ვიდრე ყოფითი სინამდვილეა.

31 ოქტომბერს ათას ბოდიშს მოუხდიდა. მაგრამ გიტას გადაწყვეტილებას მაინც საბოლოოდ მიიჩნევდა. ამასთან ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს გაუგზავნიდა სასწრაფო ბარათს, რომელშიც სწერდა: ზეგ ვაცნობებ ჩემს ქალიშვილს ჩვენი ქორწინების ამბავსო.

რატომ მაინცდამაინც „ზეგ"? იფიქრებდა: თუკი გიტა ამ მოსალოდნელ განცხადებას არ ეთანხმება, შაბათს დეპეშით მაცნობებსო. „შაბათს" — რადგანაც წერილი ყველაზე გვიან შაბათს ჩამოვიდოდა.

დეპეშა არ მოუვიდოდა.

ქალიშვილს მიწერით მისწერდა, მაგრამ ასე კი არა: ვქორწინდებიო, — არამედ: მოსალოდნელია ქორწინებაო. ეს ნიუანსი, პატარა რა თქმა უნდა: თავისთავად მეტყველებდა. თავისი ქალიშვილის მეგობარს კი ეტყოდა: მან, ანუ გიტამ, შეიძლება გადაიფიქროსო.

ათას ბოდიშს უხდიდა!

ასეა თუ ისე მალე ჩამოვიდოდა და დაწვრილებით მოილაპარაკებდნენ. დაე ყოფილიყო ქალი სრულიად მშვიდად.

აგონდებოდა მისი მონაწერი:

— შენთან იმისათვის მოვდივარ, რომ შ ე ნ თ ა ნ ვიყო. სხვა ყველაფერი უმნიშვნელო უნდა იყოს.

და გრიგოლი ეთანხმებოდა თავით ბოლომდე. უთუმცაოდ და სავსებით!

გრიგოლის 28 ოქტომბრის ბარათი ალბათ უკვე მიელო. ამ ბარათს კაცი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. დაე გიტას შეესწორებინა სიტყვები დანტედან, იტალიურ ტექსტში ამას უნებურად კორექტურა რომ გაჰპარვოდა. ერთი-ორი სიტყვაც გამორჩენოდა.

„მეტანია" ითარგმნებოდა — მაგალითად ლუთერთან — „მონანიებად". ქართული ეკლესია, რომელიც ლუთერსა და სხვებზე უფრო ძველი გახლდათ, „მეტანიაში" გულისხმობდა: წმინდა პატივის მიგებას უზენაესისადმი, გამოხატულს მუხლებზე დაცემით. და გრიგოლს გამოეყენებინა ეს შესანიშნავი სიტყვა სწორედაც უზენაესისადმი თავგანწირვის მნიშვნელობით.

3 ნოემბერს გაუმჟღავნებდა თავის დაძაბულობას, თუ როგორ შეხვდებოდა ქალი 28 ოქტომბრის ყველაზე მნიშვნელოვან ბარათს. ალბათ გამგზავრების სამზადისი დიდ დროს ართმევდა, თორემ დღეს მის წერილს აუცილებლად მიიღებდა გრიგოლი.

გიტას მიზეზით თავს სრულიად განახლებულად გრძნობდა. მეტიც: გიტას სიყვარულის წყალობით ამ დღეებში სრულად და ერთიანად შეეცნო თავისი მისია ამქვეყნად.

„მისია". ეგზალტირებული იყო მისი განცდა? შეეძლო მხოლოდ გაემეორებინა, რაც გოეთეს ეკერმანთან საუბრისას ეთქვა:

— მე ხომ თავი ჩემი არ შემიქმნია!

და ეს სავსებით კმაროდა.

გრიგოლის ხელები, რომელნიც მალე მკერდში ჩაიკრავდნენ ქალს, ახლა ფრთები გახლდათ მზის ფრინველის: არწივის. ისინი გიტას მზისაკენ წაიყვანდნენ. და აღტაცდებოდა: შენ ხომ ნაწილი ხარ მისი — მზეო ჩემოო!..

გუშინ წაეკითხა, რომ გიტას სახელი ებრაულად „სიმართლეს" ნიშნავდა. და... ეს ხომ ისედაც იცოდა.

შესცქეროდა როგორც ღვთიურ მეგობარსა და წყაროს ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე, და ეხვეოდა ძლიერად და დაუსრულებლივ...

პოსტსკრიპტუმში კი ამას სთხოვდა: წამოიღე ის ინდური ჩაიო.

6 ნოემბერს ღამით საგანგებო ბარათს აფრენდა: მხოლოდ შენ შეგიძლია „ჩაწვდე" ფანტაზიასთან ნაზიარებ ამ ამბავსო.

რა იყო მაინც ამისთანა ეს ამბავი და:

ბიჭი სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, დასავლეთ საქართველოში. ერთ დღეს დაავადდებოდა ტიფის უმძიმესი ფორმით. მდგომარეობა დღითიდღე გაუარესდებოდა. სიკვდილის პირას უგონოდ იბრძოდა სიცოცხლისათვის. მამა და ბიძა გადაწყვეტდნენ: ბიჭი მაშინვე წაეყვანა ქალაქიდან შინ, რათა იქ, სიკვდილის შემდგომ, მშობლიური სოფლის მიწისათვის მიებარებინათ.

ძალაუნებურად იბადებოდა შეკითხვა:

უფრო ჭკვიანური არ იქნებოდა მომაკვდავის აღსასრულს საავადმყოფოში დალოდებოდნენ, ვიდრე შედგომოდნენ საბედისწერო მგზავრობასო?

და დასძენდა: როდესაც ამბობენ, „უიმედოაო“, სასწაულს იმედოვნებენო.

პასუხი კი ეს იყო:

ბიჭის მამასა და ბიძას სასწაულის იმედი გადაწურვოდათ. ერთადერთ საზრუნავად ესღა რჩებოდათ: თუ ავადმყოფი ქალაქად გარდაიცვლებოდა, მაშინ მიცვალებულის გადასვენების ნებართვა ქალაქის ხელმძღვანელთაგან უნდა მიეღოთ: ეს კი ძალზე საძნელოდ მიაჩნდათ. წუთიც არ უნდა დაეკარგათ! ახლავე უნდა ემოქმედათ!

მაგრამ როგორ უნდა წაეყვანათ სნეული საავადმყოფოდან?ისინი მოისყიდდნენ დარაჯს. ის დათვრებოდა და უკვე ღრმა ძილით დაიძინებდა. და ბავშვს ასე გამოაპარებოდნენ.

წყნარი გვიანი ღამე იდგებოდა. ქალაქი ძილში იქნებოდა ჩაძირული. ისინი ჩრდილებივით გამოილალებოდნენ: მამა ფეხით, ბიძა ცხენზე. წინ უნაგირზე გადაწოლილი ეჭირებოდა უგონო ბავშვი. ღამის გასათევი ქალაქიდან შვიდ კილომეტრში გახლდათ. აქ უნდა შეესვენათ. ჩამოხტებოდა თუ არა ცხენიდან ბიძა ბავშვით ხელში — ო, საოცრებავ — ყმაწვილი გონს მოვიდოდა.

და მეორე დღეს — ეს უკვე ფანტასტიკურზე მეტია — ბიჭი სავსებით ჯანმრთელი და გაბრწყინებული იჯდებოდა საყვარელ ცხენზე.

მისტიკური კრძალვა!

ეს ბიჭი — ქალი უკვე მიხვედრილიც იქნებოდა — მისი გრიგოლი იყო. იგი ამჟამად ეხვეოდა ქალის ფეხებს და მუხლებს უკოცნიდა. ასე იქმნებოდა ის ამბავი გიტასადმი გრიგოლის სიყვარულის ფორმად. მეტიც. ეს სასწაული ბევრს მოჰფენდა ნათელს გიტას უძველესი გრიგოლის — განცდებში. სახელდობრ რას? ამას უკეთ გამოიცნობდა, როდესაც კაცი სავარაუდოდ მიანიშნებდა.

დაე დალოცვილი ყოფილიყო: მზეც გრიგოლისა და „წყაროც“ გრიგოლისა!

7 ნოემბერს გაიხსენებდა ქალის სიტყვებს:

— ვიმედოვნებ, თუ რაიმე არ მოხდა, ათისთვის ბოლოსდაბოლოს შენთან ვიქნები.

4 ნოემბერს წერილში კი ამის თაობაზე ერთი სიტყვაც აღარ ეწერებოდა და... როგორ არ დამწუხრებულიყო გრიგოლი?!.

„ქალი: ზღვა“. უსაზღვროება. მაგრამ დაწვრილებით ამაზე პირისპირ ილაპარაკებდნენ. სხვაგვარად არ შეიძლებოდა. პრობლემის სირთულე მოითხოვდა გულდასმით განსჯას.

„სმარა“. არ იცნობდა. ნახატი კი შესანიშნავი იყო, შესანიშნავი!

ამჟამად ორ რჩეულ წიგნს კითხულობდა: რუდოლფ ოტოს „წმინდანს“ და ჰაინრიხ ციმერის „მარადიულ ინდოეთს“. ქალი ალბათ იცნობდა ამ წიგნებს — ისეთი ნაკითხი გახლდათ!

წიგნზე „მაგების დილა“ კრიტიკა უკვე გაემზადებინა. პირდებოდა: აქ წაგაკითხებო.

გიტას დაე ნურაფრისა შეეშინდებოდა! გრიგოლი ფლობდა ორივესათვის გარანტირებულ საარსებო მინიმუმს. დანარჩენი თავისით მოვიდოდა. გრიგოლი, როგორც მწერალი, გიტა, როგორც მხატვარი — რაიმეს ხომ გამოიმუშავებდნენ! ცხადია მომჭირნედ იცხოვრებდნენ. მაგრამ: რა იყო ეს მათი სიყვარულის შინაგან სიმდიდრესთან შედარებით, რომლითაც ბოლომდე დატკბებოდნენ?!.

თავისი დის სურვილით გრიგოლს ამ დღეებში სურათი გადაეღო. დღეს სურდა ერთი ცალი გამოეგზავნა გიტასათვის. მაგრამ ერთი გაურკვეველი გრძნობა აკავებდა. სურათზე წარმოუდგენლად გაახალგაზრდავებულად გამოიყურებოდა. ეს გრძნობა ესაზღვრებოდა — გაუგებრად კი ეჩვენებოდა — „სირცხვილს“. ცხადია უაზრობა გახლდათ! ქალი ალბათ შეძლებდა ამის ახსნას!

თვითონ ვერ აეხსნა გრიგოლს, ეს გაორება რატომ დამართნოდა ფოტოსურათის შემყურეს: თან რომ დიდად სიამოვნებდა და კიდეც ეამაყებოდა, თავის სახეს გაახალგაზრდავებულს რომ დაჰყურებდა, და თან სირცხვილითაც რცხვენოდა.

ერთიმეორეს შეხლოდა ეს ორი გრძნობა და მათ ჭიდილში დაბნეულიყო. ბერიკაცი?.. ყმაწვილკაცი?.. ყმაწვილკაცი?.. ბე-

რიკაცი?.. ამიტომ გიტა თუ შემოეშველებოდა და გაუქარვებდა ამ შინაგან დაპირისპირებას.

სულიერად რა სივრცეებსა და განზომილებებში აღარ ტრიალებდა, ჯერ ისედაც და ახლა კიდევ მეტი აღმაფრენით შეპყრობილი, მაგრამ... თან რომ უხაროდა, გიტას გვერდით ისე ხნიერიც არ გამოვჩნდებიო, თან უხერხულობასაც გრძნობდა: გარეგნულად ასე ძალიანაც რატომ უნდა მეტყობოდეს გაახალგაზრდავებაო.

და ჩაესმოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქილიკური სიტყვები, მისი მხიარული სიცილი შეაძოძგინებდა: სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდესო!..

და კიდევ კარგი, გოეთეს აჩრდილიც რომ გადაიელვებდა, იმისი გამხიარულებული სახე, ხელახალი გაჭაბუკებით რომ განეცადა სიყვარულის ცეცხლში ჩაფლულს, და უკვირდა ყველასი, ვისაც ეგონა, რომ სხეულთან ერთად გულიც ბერდებოდა.

ბარათაშვილიც რომ მოსწრებოდა ამათ ხნოვანებას?!.

ვინ იცის, იმას რა დამართნოდა სიყვარულის უეცარი გამოცხადებისას სიცოცხლის მიმწუხრზე, რომ ვეღარც გაიგებდა, 80-ს მიტანებოდა თუ ისევ ის ბიჭი გახლდათ, 27 წლისა, სულ სხვა საქმეში გაბმული ლიტერატურისათვის ლამის რომ ვეღარც იცლიდა და იმედს ებღაუჭებოდა: როგორ არ ამოვისუნთქებ, დროს როგორ ვერ ვიშოვნი ჩემს ნებისად, პროზაშიც რომ მოვსინჯო ძალაო.

და აღარ მოეჩვენებოდა სასაცილოდ ბერიკაცის გაყმაწვილება — ბუნებრივი გაყმაწვილება, თორემ ხელოვნური კვლავ ქილიკისას და სიცილის გუნებაზე დააყენებდა.

ეს ფიქრი ანუგეშებდა გრიგოლს.

ბარათაშვილის შესაძლო ფერისცვალება გულს დაუამებდა.

გოეთეს გადაელვებული ლანდი დაამშვიდებდა.

მაგრამ დაე გიტასაც ეთქვა თავისი სათქმელი — პირწმინდად ჩაეცხრო კაცის ეს უეცარი შფოთვა.

ამჯერად კი მოაგონდებოდა ის სტრიქონები ქალის წერილიდან:

— შენი მგზნებარე გული — ჩემთვის მზის ანარეკლად ქცეული — ენით აუწერლად მიყვარს...

ბედნიერი ვარ, ბედნიერიო, — იყვირებდა გრიგოლის გული ამ გახსენებისას.

და გრძელდებოდა წამოგონება:

— შევძლებ მე, როგორც „წყარო", ისეთივე ბედნიერების ჩუქებას?

და გრძელდებოდა ყვირილიც გულისა:

ამაში ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი! შენ, შენო!

და კიდეც მოეხვეოდა ძლიერ ქალს გიტას სიყვარულში ასე-რიგად განახლებული გრიგოლი, მოეხვეოდა იმ მისტიკურ განზომილებაში, სადაც ვერ აღწევდა ოდნავი უხერხულობის განცდაც, ფოტოსურათისაგან მოგვრილი...

მერე იქნებოდა 17 ნოემბრის ის ბარათი, ქალის წუხილს, კვლავ რომ ვერ ახერხებდა ჩამოსვლას, ამ სიტყვებით რომ აქარვებდა გრიგოლი:

მაშინ ჩამოხვალ — როცა შეძლებ. ჩამოხვალ: რათა ჩემთან დარჩე სამუდამოდ. ესაა არსებითიო.

ბავშვიც შეეძინებოდათ?

რატომაც არა:

მათი შვილი ხომ იქნებოდა მათივე სიყვარული, გამოხატული მარადიულ დაბადებაში.

და ამ მარადიულობაში გიტა შტრახვიტცი რომ გაიფურჩქნებოდა ღვთიურ ყვავილად — გრიგოლ რობაქიძე კიდეც შეასრულებდა თავის ამქვეყნიურ მისიას.

მათ ხომ ერთმანეთი იმიტომაც ეპოვნათ, რადგან მისტიკურად განეცადათ ერთიმეორე უძველეს დროში — როგორც შეყვარებულებს.

მისტიკა აცხადებულიყო.

და ცხადი კვლავ მისტიკური საბურველით იმოსებოდა.

ორი სამყაროს მიჯნაზე იდგებოდა გრიგოლი.

და უკვე აღარც უკვირდა და აღარც ეუხერხულებოდა ფოტოზე აღბეჭდილი ის ახალგაზრდული იერი, რაკიღა მიზეზს თვითონაც იპოვნიდა ამ მკვეთრი ცვლილებისა: გადაღებისას გიტაზე ფიქრობდა.

და ეს ფიქრი იყო, ამგვარად რომ გამჟღავნებულიყო, ყველა რომ შეატყობდა რაღაც დიდ გარდასახვას — გული ძალდაუტანებლად ზეაღმობეჭდილიყო გარეგნობაზე!..

რაღაც ახალი უნდა დაწყებულიყო გრიგოლ რობაქიძის ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მოუთმენლად რომ მოელოდა, სულიც უსწრებდა და... თან თავშეკავებასაც იჩენდა... წუთი წუთზეც მოელოდა გიტას გამოჩენას და არც ის უნდოდა, იმას რაიმეში ხელი შეშლოდა თუ გულს დაკლებოდა. ბარემ ყველაფერი მოეგვარებინა და სრულიად თავისუფალი სწვეოდა ჟენევაში — არა სტუმრად, არამედ სამუდამოდ დასარჩენად იმ კაცთან, ვისაც მისთვის უფრო უყვარდა ქალი, ვიდრე თავისთვის, და ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, დიონისე ჩამსახლებია სხეულში და ეგაა, ან რაღა ჩამსახლებია, დიონისე აკი მე თვითონვე ვარ, კიდევ ერთხელ მოვლენილი წუთისოფელშიო.

კი მაგრამ... დიონისე როგორ შეიძლება გამოჩენილიყო ევროპულ ქალაქში ამ მითოსს მოკლებულ ჟამს?

ხომ თვითონ გრიგოლსვე შემოეტანა მითოსური ხილვები ამ სივრცეში, შტეფან ცვაიგი რომ ურჩევდა გერმანელებსაც და სხვა დასავლელთაც, არ გამორჩენოდათ „გველის პერანგის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა: სრულიად უცნობ სამყაროს რომ აღმოაჩენინებდათ. და ისევე დაწაფებოდნენ ამ უცხო ქვეყნიდან მოვლენილი მწერლის მხატვრულ ნააზრევს, როგორც ცოტა ხნის წინათ რაბინდრანათ თაგორის შემოქმედება შეეტკბოთ და შეეთვისებინათ და... კიდეც გადახსნოდათ სრულიად ახალი კარიბჭე სულ სხვა სივრცეთა მოსახილველად.

„გველის პერანგსაც“ ახალი კარიბჭე უნდა გადაეხსნა მათთვის, ის უჩვეულო გარემო, სადაც დიონისესაც უნდა ამოეყო თავი, რათა ერთხელ კიდევ ექციათ იგი ნაფლეთებად ბაკხური გახელების ჟამს — მითოსური ციკლური პროცესის გარდუვალობით.

რაღაც ახალი უნდა დაწყებულიყო გრიგოლ რობაქიძის ამქვეყნიურ ცხოვრებაშიო...

ზედ ზღურბლთან იდგებოდა.

ეგაა, მარტო ხომ არ გადააბიჯებდა, თავისი მისტიკური სიყვარულის ხორცშესხმული გამოვლინების გარეშე, იმ გიტა

შტრახვიტცისა, რომლის არსებობასაც იჯერებდა და ვერც იჯერებდა... და თუ რაიმეს, მიენდობოდა კვლავდაკვლავ მარადიული დაბადების რწმენას, იმედს მარადიული დაბრუნებისა.

რაღაც ახალი უნდა დაწყებულიყო გრიგოლ რობაქიძის ამქვეყნიურ ცხოვრებაშიო...

17 ნოემბრის ბარათი ხელშესახები დასტურია ამ „რაღაც ახლისა“, ჰა თითქოსდა ხელის გაწვდენაც რომ აღარ ესაჭიროებოდა.

ბოლოსდაბოლოს ჩამოვიდოდა გიტა და ამქვეყნადაც შეერთდებოდა ეს ორი ერთმანეთისაკენ მიმსწრაფი სული.

შეერთდებოდა თუკი... თუკი ბედისწერა არ ჩაერეოდა თავისი სასტიკი განაჩენით.

მაგრამ ბედისწერას თავისი განეჩინა და სწორედაც სასტიკად უნდა ჩარეულიყო, ნაბიჯის გადადგმასაც რომ არ დაანებებდა გრიგოლს ზღურბლს მიღმა, ნაბიჯის გადადგმასაც.

ეს რაღა იყო, არა, ნაბიჯი, ერთი ნაბიჯი მაინც?!.

მაგრამ თავისი კანონები აქვს ბედისწერას და ერთი იმ კანონთაგანი შეიმართებოდა გრიგოლის ოცნების წინააღმდეგ.

ასე აღმოჩნდებოდა 17 ნოემბრის ბარათი უკანასკნელი მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, არამცთუ გიტა შტრახვიტცთან მიმოწერისას. აქ შეიკვროდა ის წრე, მის ეპისტოლეთა სატრფიალო რკალად რომ გამოცალკევდება და მზამზარეულ რომანადაც კი წარმოგვიდგება, კონსტანტინე გამსახურდიას ბარათების ციკლისა არ იყოს, რებეკა ვაშაძესთან მიწერილის.

კონსტანტინეს არამცთუ ამ სიყვარულის მოკლე ბიოგრაფია დაეწერა, ავტობიოგრაფიულ რომანშიც არსად გაურევდა რებეკას სახელს, ორიოდ ფრაგმენტადაც კი არ შემოინახავდა, განსხვავებით გრიგოლისაგან, რომელიც საგანგებოდ ჩაუჯდებოდა მისი და გიტა შტრახვიტცის სიყვარულის მოკლე ბიოგრაფიის წერას.

ჯერჯერობით მიუკვლეველია ეს ესკიზი?

ადრე თუ გვიან ხომ მაინც უნდა აღმოჩნდეს.

და თუ დაფარული დარჩება სამუდამოდ, ბარათების ეს ციკლი ხომ მაინც გვაქვს ხელთ, ამ სიყვარულის ბიოგრაფიის გა-

მომხატველად — მთელი თავისი ექსპრესიითა და ტკივილებით, სიღრმითა და ნიუანსობრიობით.

ბოლოსდაბოლოს ჩამოვიდოდა გიტა და...

ჩამოსვლით კი ჩამოვიდოდა, მაგრამ...

იმქვეყნად თუღა შეერთდებოდა ეს ორი ერთმანეთისაკენ მიმსწრაფი სული: მაინც მისტიკური იყო და მისტიკური მათი სიყვარული, წუთისოფლური კანონებით ცოტა ძნელი ასახსნელი.

თუმც... უეცრად შესაძლოა გამოგვეცხადოს გოეთეს ლანდი საყვედურით: ძნელი ასახსნელი სულაც არ არის, თუკი მოინდომებთ... თუმც ვისთვის როგორო!..

ორი დღეღა — ან ეგებ ისიც არა — დარჩენოდა გრიგოლ რობაქიძეს საწუთროს ბინადრად, მისი ნეშტი რომ უნდა ეპოვნათ მისი ბინის კარის შემტვრევის შემდეგ და... განსასვენებლამდე რვა ადამიანს გაეცილებინა, რომელთა ჩამოთვლასაც აუცილებლად მიიჩნევდა აკაკი ბაქრაძე:

ნინო დადიანი, დიკა კედია, ნინო სალია, კალისტრატე სალია, სანდრო ფანჩულიძე, ხარიტონ შავიშვილი, კიტა ჩხენკელი და ნიკოლოზ ჩხოტუა-მაყაშვილი.

გამოხდებოდა ხანი და ლიდა რობაქიძეს უნდა მოსვლოდა პარიზიდან კალისტრატე სალიას წერილი, დათარიღებული 1976 წლის 23 ოქტომბრით, და შეეტყო, რომ: წინა დღით სალიებს გადაესვენებინათ გრიგოლის ნაშთი პარიზში და ორშაბათს დაეკრძალათ ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. დასჭირებოდათ, რაც დარჩენილიყო, დაეწვათ კრემატორიუმში, რადგან თვითონაც არა ყოფილა ამის წინააღმდეგი.

გადმოესვენებინათ მიხეილ წერეთლის ურნაც. იმასაც დამარხვის დროს დაწვავდნენ — მისივე ანდერძის თანახმად.

ორივე გვერდი-გვერდ იქნებოდა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე და იქ მოვლა უკვე არ დააკლდებოდათ.

დაე სცოდნოდა ლიდას ისიც, რომ:

გრიგოლი მთლად მიტოვებული გახლდათ და მისი საფლავი — საშინელ ყოფაში ჩავარდნილთ. მისი ცოლის დისშვილი — ნურც იმას გამოვტოვებთ: გრიგოლის აღზრდილი და შვილობილი — ერთხელაც არ მივიდოდა.

კალისტრატე იმედს გამოთქვამდა, რომ: დადგებოდა დღე, როდესაც გრიგოლ რობაქიძეც და მიხეილ წერეთელიც მიებარებოდნენ მშობლიურ მიწას.

სხვა არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო გრიგოლის მემკვიდრეობის საკითხში. მისი დანატოვარი ყველაფერი შვეიცარიელებს ჰქონდათ ხელთ.

პარიზის ქართველობას დიდი მადლობა გამოეცხადებინა სალიებისათვის ამ ორი დიდი პიროვნების გადმოსვენებისათვის. არა ყოფილა იოლი საქმე. ყველა ხარჯს ნინო სალია გაიღებდა. მას სურდა, რომ ეს ორი დიდი მეგობარი ერთადაც „დაებინავებინა", ვიდრე თვითონაც გაიხურავდნენ სალიები წუთისოფლის კარს.

საფლავი საშინელ ყოფაშიო...

ალია პოგარელოვას ერთხელაც რომ არ მიეკითხებინა, ერთხელაც არ გაეტოკებინა ხელი...

და... გიტას, ბრიგიტა ფონ შტრახვიტცს?

მისი ყურადღებისა და მზრუნველობის კვალიც არაფერზე აღბეჭდილიყო და გრიგოლ რობაქიძის საფლავი ვინ იცის უკვალოდაც დაკარგულიყო, სალიების თავგამოდება რომ არა.

არც გრიგოლის დაკრძალვას დასწრებოდა ჟენევაში.

არც გადასვენებას პარიზში.

მიუტევებდა გრიგოლის აჩრდილი.

ის კი არა, იმ მოლოდინადქცეული ჩამოსვლის ნაცვლად სულაც რომ გათხოვილიყო, ამასაც იოლად აპატიებდა.

მათ სულიერ კავშირს, მათ მისტიკურ ქორწინებას რა შეაფერხებდა, რა შეარყევდა, რა ჩაშლიდა.

ის შეუვალი იქნებოდა ყველასა და ყველაფრისაგან, წუთისოფლის კანონები იქ ანკი როგორ შეაღწევდა.

1963 წლის აპრილში იმ არნიმ ზიგრისტს, გრიგოლს გაახალგაზრდავებას რომ მოუწონებდა და მიულოცავდა, გიტა შტრახვიტცი მისწერდა ბარათს, რომელშიაც ეს მრავალმხრივ საგულისხმო და გასათვალისწინებელი სტრიქონებიც ამოიკითხებოდა:

— რობაქიძე ფლობდა რაღაცას, რასაც დღეს იშვიათად იპოვნით — სიბრძნეს. სიბრძნე სიყვარულსა და წრფელ გულს

გულისხმობს. ჩვენ ალბათ შეგვიძლია ვიპოვნოთ გრიგოლ რობაქიძის პიროვნებაში შეცდომები, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მე მისი მშვინვიერი და სულიერი მე იყო სასწაულებრივი.

პიროვნებაში — შესაძლოა შეცდომებიც, მაგრამ სულიერი მე — და შესაბამისად: მხატვრული მემკვიდრეობა — სასწაულებრივი.

და როგორ არ გაგახსენდეს რაბინდრანათ თაგორის სიტყვები:

— ჩემს ცხოვრებაში, ნებით თუ უნებლიეთ, არაერთი უმართებულო საქციელი ჩამიდენია, მაგრამ ჩემს პოეტურ შემოქმედებაში არასოდეს მითქვამს უმართლო სიტყვა. ის წმიდათა წმიდაა, სადაც ივანებენ უღრმესი ჭეშმარიტებანი ჩემი სულისა.

რასაც გიტა ამბობდა გრიგოლზე,

რასაც თაგორი ამბობდა თავის თავზე,

ადვილი შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის თვითშეფასებაც ეს ყოფილიყო.

მაინცდამაინც აღფრთოვანებული ვერ დარჩებოდა, და არაერთხელაც მოეწურებოდა გული, თავისი ცხოვრების გზას რომ გახედავდა, სამაგიეროდ შემოქმედებით ნაღვაწს მიენდობოდა მთელი არსებით, თავისებურ შარავანდად რომ აღიქვამდა ამ ნაღვაწის ირგვლივ იმ თავს „გრაალის მცველთაგან", რომელში გამჟღავნებული სიყვარულის აპოთეოზის ბადალიც არა ეგულებოდა რა მსოფლიო ლიტერატურაში.

და ეამაყებოდა და რარიგ ეამაყებოდა, რომ ამ ოცნებას ყოფით ცხოვრებაში სულაც რეალობად აქცევდა — სიცოცხლის მიმწუხრიც და სიკვდილის აჩრდილიც რომ ვერ შეაკრთობდა.

ეპილოგი

რა იყო მაინც ეს მხურვალე თხოვნა-ვედრება: ქალი რომ ვერა და ვერ ჩააღწევდა მასთან, ისე უნდა ამოხდომოდა სული.

თითქოს მორის მეტერლინკის პიესა იყოს — მძაფრი, მაგრამ ამაო მოლოდინით გაჟღენთილი, ისე რომ მთავრდება, მომსვლელი არა და არ მოდის.

თითქოს სემუელ ბეკეტის პიესა იყოს — მძაფრი, მაგრამ ამაო მოლოდინით გაჟღენთილი, ისე რომ მთავრდება, მომსვლელი არა და არ მოდის.

თითქოს საერთოდაც დრამატურგიული თხზულება იყოს გრიგოლ რობაქიძის ამქვეყნიური სიცოცხლის ფინალური ხანა.

თითქოს რომანი იყოს — მასაც სჩვევია და უხდება კიდეც მსგავსი სიუჟეტური ხაზები.

ეს როგორ დამგვანებოდა ყოფითი ცხოვრება მხატვრული ქმნილების ქარგას.

თუმც რა:

მთელი ცხოვრება მაინც სცენაზე გრძნობდა თავს გრიგოლ რობაქიძე — ზოგში აღტაცებასა და მოკრძალებას რომ იწვევდა მისი არტისტობაც და არტისტიზმიც და ზოგში გაღიზიანებასა თუ სულაც აღშფოთებას.

მთელი ცხოვრება მაინც რომანის გმირად ეგულებოდა თავი.

იქ სჯობდა, მხატვრულ გარემოში, რამდენჯერაც შეეხებოდა მკითხველის ხელი წიგნის ფურცლებს, იმდენჯერ რომ გაცოცხლდებოდი... და თუ ამ განცდას ყოფითობაშიც ირწმუნებდი, კიდეც შეიძლებოდა გულმშვიდად შეგეხედა სიკვდილის აჩრდილისათვის... თანაც თუ სიყვარულიც ჩაგინერგავდა მარადიული დაბადების შეგრძნებას.

მთელი ცხოვრება მაინც დიონისეს გაიგივებოდა, წამებულ ღმერთს თრაკიელთა და ძველბერძენთა, გრიგოლს ქართველი ღვთაებისაგან რომ არც განერჩეოდა.

ზეკაცსაც შესთამაშებდა, ზარატუსტრას ნიღბის მორგებასაც ლამობდა, მაგრამ უვარდებოდა ის ნიღაბი, ისე მარჯვედ რომ ვერ ჩამოეცვა, როგორც ნიღაბი დიონისესი, სულაც რომ შეერწყმოდა.

თანაც მის დიონისობას გიტა შტრახვიტცი ადასტურებდა, ქალი, რომელსაც მასთან შეკავშირება მისტიკური აქტით უძველეს ჟამსვე განეცადა, როდესაც დიონისეც და მისი კულტიც ქართველთა წინაპრების კუთვნილება გახლდათ და ბერძნებს ჯერაც არ მიესაკუთრებინათ.

* * *

ხომ მაინც შევასრულე ჩემი ამქვეყნიური მისიაო, — ბედისწერას ექადნებოდა გრიგოლ რობაქიძე.

2018

5 თებერვალი – 31 მარტი

შინაარსი

ნაწილი პირველი
ცის ალმოსავლეთიდან

თავი პირველი
ევროპის განთიადის წინარ 4

თავი მეორე
ნაპერწკალი - ხორცში ტანჯული, ხორცი - ელვით ნატანჯი ... 70

თავი მესამე
„გველის პერანგის“ გერმანული
ვერსია ცვაიგური შენიშვნების თარგზე 122

თავი მეოთხე
ოიკომენური სამყარო, ოიკომენური ადამიანი 152

თავი მეხუთე
ტოსლტოის დღეები, დღეები ცვაიგთან 193

თავი მეექვსე
ქართული იმედები, ევროპული ილუზიები 235

ნაწილი მეორე
ახალი მითოსი

ორიოდე სიტყვა მკითხველთათვის 313

თავი პირველი
აღსარება კაზანძაკისთან 320

თავი მეორე
ჰიტლერის მითოსური სილუეტი 351

თავი მესამე
მუსოლინის მითოსური სახეება ან
დ'ანუნციოს დამსხვრეული ფრთები 367

თავი მეოთხე
რა მოენია ჰამსუნს, პაუნდს რა მოენია 391

თავი მეხუთე
ლენინური დითირამბები ან ტრაგედიის მწვერვალზე 407

თავი მეექვსე
ნოე ჟორდანია - მოსე წინასწარმეტყველი? 430

თავი მეშვიდე
ძალის კულტი - ერთადერთი შარავანდი 440

თავი მერვე
სტალინი - მითოსის გარეშე 454

თავი მეცხრე
მითოსის ნამსხვრევებში 471

თავი მეათე
უხილავი ხუნდები 481

თავი მეთერთმეტე
უპიროვნება - ყოველგვარ ძალას აღმატებული 518

ნაწილი მეხუთე
მისტერიიდან ენგადამდე

თავი პირველი
ისტორიული წამები: წამოგონებად 535

თავი მეორე
საიდუმლო ძალა „ლამარასი" 567

თავი მესამე
ორი სიმართლე 605

თავი მეოთხე
ჩამორთმეული ავტორობა: მოთხოვნა დემონოკრატიისა 626

თავი მეხუთე
სიტყვა ახალი, სიტყვა გრიგოლის: საკაცობრიოდ 663

ქარი მეოთხე
მისტიკური ქორწინება

თავი პირველი
გიტა - წყარო, გიტა - მზის წილი 697

თავი მეორე
გაუხარელი სიყვარული ან პერსონაჟობა კარიკატურისა..... 721

თავი მესამე
მისია გრიგოლის: ამქვეყნიური 786

თავი მეოთხე
მისია გრიგოლის: იმქვეყნიური 831

ეპილოგი 864